

THE MANUAL OF MUSEM EXHIBITIONS

EDITED BY BARRY LORD
and
GAIL DEXTER LORD

სამუზეუმო ექსპოზიციების სახელმძღვანელო

ბარი ლორდი
და
გაილ დექსტერ ლორდი

ნიგნის გამოცემა დაფინანსდა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ

The book is published by the financial support of the
Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia

პროექტის ავტორი: ინგა ქარაია

ინგლისურიდან თარგმნა სალომე ცისკარიშვილმა

რედაქტორები: მარიამ ბურჭულაძე, ინგა ქარაია

კომპიუტერული დიზაინი: ლაშა ქარაია

Project author and editor: Inga Karaia

Translation from English: Salome Tsiskarisvili

Editor: Mariam Burchuladze

Computer design: Lasha Karaia

ნიგნში დეტალურად განხილულია სამუზეუმო და საგალერეო საგამოფენო პოლიტიკის ყველა ძირითადი პარამეტრი: საგამოფენო პოლიტიკის პრიორიტეტები, სამუზეუმო ობიექტების წარდგენის იდეოლოგია, ექსპოზიციის ტიპები (ვიზუალური, თემატური, სისტემური, ინტერაქტიული და სხვა), სტაციონარული და დროებითი ექსპოზიციების ორგანიზაციის პროცესის (გამოფენის კონცეფციის ფორმირება, ინტერპრეტაციის გეგმა, ექსპოზიციის დიზაინი — სქემატური და დეტალური პროექტირება, აგება და ინსტალირება, ეტიკეტების, განმარტებითი ტექსტების მომზადება, საინფორმაციო უზრუნველყოფა და სხვა) რაოდენობა, სიხშირე, სიდიდე და თემატიკა. ნიგნი მიჩნეულია საუკეთესო მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოდ სამუზეუმო ექსპოზიციის საკითხებში სპეციალური უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის ორგანიზაციის მენეჯმენტის, ხელოვნებათმცოდნეობის, მუზეოლოგიის, დიზაინის სპეციალობებისათვის, საგალერეო და სამუზეუმო საქმის სპეციალისტთა გადამზადებისათვის.

ALTAMIRA PRESS

A division of Rownan & Littlefield Publishers, Inc.

www.altamirapress.com

Copyright © 2002 by AltaMira Press

All rights reserved. No part of this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted in any form or by any means, electronic, mechanical, photocopying, recording, or otherwise, without the prior permission of the publisher.

© Georgian Museums Association, ICOM National Committee in Georgia (*Georgian version*)

დაიბეჭდა შპს „სი-ჯი-ეს“-ში

Printed by CGS Ltd

სარჩევი

თავი 1. შესავალი: გამოფენის დაგეგმვის პროცესი	7
<i>გაილ დექსტერ ლორდი</i>	

ნაწილი I. რატომ?..... 15

თავი 2. სამუშაოთ გამოფენების მიზანი	15
გამოფენა, როგორც მუზეუმის ფუნქცია <i>ბარი ლორდი</i>	
2.1. გამოფენა, როგორც მუზეუმის ფუნქცია	17
2.2. სამუშაოთ გამოფენები, როგორც შინაარსის კომუნიკაცია	19
2.3. გამოფენის აღქმის ფორმები, მოდელები	23

თავი 3. როგორ წარმოიქმნება გამოფენის იდეა?	30
3.1. კვლევაზე დაფუძნებული და ბაზარზე ორიენტირებული გამოფენები	30
<i>ბარი ლორდი</i>	
3.2. საგამოფენო კვლევის დაგეგმვა	31
<i>ბარი ლორდი</i>	
3.3. საგამოფენო იდეები: საზოგადოებისა და აუდიტორიის სურვილების ინტეგრაცია	34
<i>მარგარეტ მეი</i>	

თავი 4. როგორ გავიგოთ, რომ მიზანს მივალნივით?	41
გამოფენის ევალუაცია	
4.1. ბაზრის ანალიზის როლი	41
<i>ქეით სელერსი</i>	
4.2. დანყებად, განმავლობაში და შემდეგ: ევალუაციის სამი საფეხური: სანყისი, ჩამოყალიბების და შემაჯამებელი საფეხურები	46
<i>დანქან გრეუქოქი</i>	
4.3. აუდიტორიის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა	59
<i>ბარბარა სორინი</i>	

ნაწილი II. სად?

საგამოფენო სივრცე და სათავსოები	70
თავი 5. საგამოფენო სათავსოების დაგეგმვა და დიზაინი	70
5.1. საგამოფენო სივრცისთვის ოპტიმალური დიზაინის კრიტერიუმების შემუშავება	74
<i>ჰეზერ მაქსიმეა</i>	
5.2. საექსპოზიციო სივრცის მოთხოვნების დაგეგმვა	78
<i>ჰეზერ მაქსიმეა</i>	

5.3. კულისებში: დამხმარე საქმიანობა და სათავსოები <i>ჰეზერ მაქსიმეა</i>	91
5.4. მუზეუმის სხვადასხვა დანიშნულების ფართობთან მიდგომა და ცირკულაცია <i>ჰეზერ მაქსიმეა</i>	99
5.5. გამოფენილი კოლექციების დაცვა <i>მიურეი ფროსტი</i>	111
5.6. დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება მუზეუმებში <i>პიტერ ოსბორნი</i>	125
5.7. გამოფენის მისანდომობა <i>კრისტინ ჯონსონი</i>	134

თავი 6. საგამოფენო გალერეები	142
<i>ჰეზერ მაქსიმეა</i>	
6.1. ხელოვნების ნიმუშთა გალერეები და არქივები	142
6.2. არტეფაქტების და ნიმუშების გალერეები	147
6.3. საბავშვო მუზეუმის და სამეცნიერო ცენტრის გალერეები	152
6.4. სასწავლო სივრცეები	157
6.5. მრავალფუნქციური საჯარო ადგილები	159
6.6. გალერეის განათება და ფერი	166
6.7. გალერეის სტრუქტურა	172
6.8. მასალები და ზედაპირის მოპირკეთება	186

თავი 7. გალერეის კონსტრუქცია და მოწყობილობა	198
7.1. საგამოფენო ვიტრინები	198
<i>თილ ჰანი</i>	
7.2. განათება	208
<i>კევან შოუ</i>	
7.3. აუდიო და ვიზუალური მოწყობილობა	216
<i>ბარი კრინი</i>	
7.4. მულტიმედია: შთაბეჭდილების გაძლიერება	224
<i>მარია პიაჩენტე</i>	
7.5. სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენება სამუზეუმო გამოფენებზე	236
<i>ჰიუ ა.დ. სპენსერი</i>	

ნაწილი III. როგორ?	
გამოფენის მოწყობის პროცესი	261

თავი 8. საგამოფენო პროგრამის დაგეგმვა და მართვა	262
8.1. მუდმივი კოლექციების გამოფენა	263
<i>ბარი ლორდი</i>	
8.2. დროებითი გამოფენების დაგეგმვა და მართვა	278

ბარი ლორდი	
8.3. მოძრავი გამოფენები	295
ბარი ლორდი	
8.4. საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი პროგრამები გამოფენებისათვის	303
<i>ქეთლინ ბრაუნი</i>	
თავი 9. გამოფენების დაფინანსების დაგეგმვა და მართვა	326
9.1 გამოფენის ბიუჯეტის ნიმუშის შემუშავება	326
<i>მარტა მორისი</i>	
9.2. დროებითი საგამოფენო პროგრამის ფინანსური დაგეგმვა და მართვა	334
<i>რობერტ სკოტი</i>	
თავი 10. კურატორობის ფუნქციები გამოფენის დაგეგმვის პროცესში	340
<i>ჯინ ნიკსი</i>	
10. 1. გამოფენის კონცეფციის შემუშავება	341
10.2. საკურატორო კვლევა-ძიება	341
10.3. კოლექციების ევალუაცია, შერჩევა და განვითარება	346
10.4. დოკუმენტაცია	348
10.5. კონსერვაცია	349
10.6. გამოფენის ბრიფის მომზადება	350
თავი 11. ინტერპრეტაციის დაგეგმვა	365
<i>პიუ ა. დ. სპენსერი</i>	
11.1. კომუნიკაციის პროცესი	365
11.2. მომარაგებისა და უზრუნველყოფის პროცესი	368
11.3. ინტერპრეტაციის დაგეგმვის პროცესი	369
თავი 12. გამოფენის ტექსტი	386
12.1. ხედვის კუთხეების განონანსორება საგამოფენო ტექსტებში	387
<i>პიუ ა. დ. სპენსერი</i>	
12.2. მითითებები საგამოფენო ტექსტისათვის	391
<i>პიუ ა.დ. სპენსერი</i>	
12.3. ტექსტის ჩართვა გამოფენის მზადების პროცესში	393
<i>პიუ ა.დ. სპენსერი</i>	
12.4. მულტიმედიის ენა	395
<i>მარია პიაჩენტი</i>	
თავი 13. გამოფენის დიზაინერის როლი	398
<i>ივ მერიენდი</i>	
13.1. სამუზეუმო გამოფენის ეფექტური დიზაინის კრიტერიუმები	398
13.2. სივრცის დიზაინი სამუზეუმო გამოფენისთვის	402
13.3. გამოფენების დიზაინი შეგრძნებათა მთელი სპექტრისთვის	404
13.4. გამოფენის დიზაინის შემუშავების პროცესი	405

თავი 14. კონსტრუქცია და ინსტალაცია	417
<i>ჩაკ სიუთილა</i>	
14.1. მუზეუმის მომზადება ექსპოზიციის კონსტრუირებისა და ინსტალირებისათვის	418
14.2. კონსტრუირებასა და ინსტალირებასთან დაკავშირებული კონტრაქტი	418
თავი 15. გამოფენის განათება	430
<i>ქევან შოუ</i>	
თავი 16. პროექტის მენეჯერის როლი	434
<i>ჩაკ სიუთილა</i>	
16.1. პროექტის მენეჯმენტის მეთოდები	435
16.2. დოკუმენტაცია	436
16.3. გამოფენის პროექტის წარმატებული მენეჯერის თვისებები	437
16.4. საგამოფენო პროექტის ჩაბარება და დასრულება	438
16.5. საგარანტიო პერიოდი: მუშაობა და ტექნიკური მომსახურება	439
თავი 17. მალაზიები მუზეუმებში	445
<i>სიუზენ დანლოპი</i>	
17.1. საცალო ვაჭრობის კვლევა	445
17.2. საქონლის ასორტიმენტი (გაყიდვების სტრუქტურა)	447
17.3. მუზეუმის მალაზიის მიღმა	448
17.4. დროებით გამოფენებთან დაკავშირებული პროდუქცია	451
 ნაწილი IV. შემდეგ რა?	 455
თავი 18. საფუძულო გამოფენები XXI საუკუნეში	
<i>ქევინ გოსლინგი</i>	

შესავალი: გამოფენის დაგეგმვის პროცესი

გელ დექსტერ ლორდი

გამოფენა წარმოადგენს სამუზეუმო საქმიანობის (იქნება ეს კვლევა თუ კონსერვაცია, საგანმანათლებლო თუ დამთვალეობაზე ორიენტირებული პროგრამები) ძირითად ასპექტს. განვლილი ნახევარი საუკუნის განსაკუთრებით კი უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, მუზეუმები მოექცა საზოგადოების არნახული ინტერესის სფეროში, აღინიშნა ახალი გალერეებისა და საგამოფენო დარბაზების ინტენსიური მშენებლობის ტენდენციაც, რასაც მოჰყვა ახალი იდეები გამოფენების ვიზუალური მხარისა და მნახველებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

გამოფენების მოწყობის შესაძლებლობებისა და მოთხოვნების გაფართოვებასთან ერთად, გაიზარდა იმის გაცნობიერების აუცილებლობაც, თუ როგორ იბადება საგამოფენო იდეები, როგორ ხორციელდება ისინი, რა არჩევანი არსებობს სასურველი შედეგის მისაღწევად, ვინ აკეთებს ამ არჩევანს, რა ჯდება გამოფენების მოწყობა და რეალურად, რა შედეგს შეიძლება ველოდოთ გამოფენისაგან საზოგადოებისა და ფინანსების მოზიდვის, ახალი შთაბეჭდილებების შექმნის თვალსაზრისით. ხშირად ხდება, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც გადანყვებილებას იღებენ, არც იმაზე აქვთ წარმოდგენა, თუ რამდენად ძვირი ჯდება გამოფენის მოწყობა, არც იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ ხარჯების გაკონტროლება. გამოფენები შეიძლება ინიცირებული იყოს დამთვალეობელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის მისაღწევად, მაგრამ არ იყოს ჩატარებული მარკეტინგული კვლევა, ან ჩატარდეს კვლევა, მაგრამ იგნორირებული იყოს გამოფენის დიზაინი. ზოგჯერ დიზაინი კურატორებისა და საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლების მინიმალური მონაწილეობით კეთდება, რის შედეგადაც გამოფენა არც არტეფაქტებსა და არც სასკოლო პროგრამებს არ შეეფერება.


როგორ ინარჩუნებს გამოფენის მოწყობის პროცესი თავის მიმართულებას, მიუხედავად ესკალაციისა, რომელსაც იგი ამ პერიოდში განიცდის, შეუძლია თუ არა საგამოფენო მასალას უპასუხოს მოთხოვნებს, რომელსაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უყენებენ მას საზოგადოება, დონორები, სპონსორები და ასევე – თავად გამოფენის მომწყობი ქუზუუმის პროფესიონალები?

ეს წიგნი მიზნად ისახავს გამოფენის დაგეგმვისა და შექმნის პროცესის ანალიზისა და სისტემატიზების მეშვეობით იპოვოს ამ და სხვა საკითხების გადაჭრის შესაძლებლობები. წიგნის ავტორთა აზრით, სამუზეუმო გამოფენები ეწყობა სხვადასხვა დისციპლინის პროფესიონალთა ურთიერთთანამშრომლობით. მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვნახოთ, თუ როდენ მრავალგვარია ამ დღევანდელ მუზეუმებში საკითხებისადმი მიდგომა. ჩვენ ავირჩიეთ სახელმძღვანელოს ფორმატი იმ იმედით, რომ იგი სასარგებლო გზამკვლევი იქნება ყველასთვის, ვინც ჩართულია სამუზეუმო გამოფენების მომზადების სხვადასხვა ასპექტში: კურატორების, კონსერვატორების, ასევე – საგანმანათლებლო პროგრამების, მარკეტინგის, ფანდრაიზინგის (სახსრების მოზიდვის) სპეციალისტებისთვის, ევალუატორების, მენეჯერებისა და დამხმარე თანამშრომლებისთვის; ასევე მათთვის, ვინც მუშაობს

ინტერპრეტაციაზე, აგრეთვე დიზაინერების, არქიტექტორების, მეურვეების, დონორებისა და სპონსორებისთვის, ყველა იმ პირისთვის, რომელიც აკეთებს საგამოფენო ობიექტებს და საგამოფენო ტექნოლოგიებს. ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია აგრეთვე სტუდენტებისთვის, მუზეუმის მოხალისეებისა და საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომლებსაც სურთ უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ სფეროში.

სახელმძღვანელოს ფორმატის არჩევით, ჩვენ იმედი გვაქვს, თავს ავარიდებთ ერთ-გვარ გაუგებრობას, რომელიც ხშირია რეალურ საგამოფენო საქმიანობაში, მაგალითად, რაც ერთისთვის "კონცეფციაა", მეორისთვის ის "სქემატური მონახაზია", რასაც ზოგჯერ შემაშფოთებელ გავლენას ახდენს ხოლმე ბიუჯეტსა და პროგრამაზე (თუ ეს განრიგია?). ამდენად, შესავალში წარმოდგენილია გამოფენის შექმნის პროცესის ნიმუში (ტაბ.1.2), საორგანიზაციო სქემა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იქნას მიღებული გად-ანყვეტილებები (ტაბ. 1.3), მონაწილეების როლების და პასუხისმგებლობის განაწილების ამსახველი სქემა (ტაბ.1.1.). ეს ტერმინოლოგია სტანდარტიზებულია მთელს ნიგნში და ასახულია ლექსიკონსა და ინდექსში. ნიგნის თავები და მაგალითები უფრო დანვრილებით იკვლევს საგამოფენო პროცესის ბევრ ასპექტს. ჩვენ ძირითადად გამოვიყენეთ ბრიტანული ტერმინოლოგია, ხოლო ამერიკული და კანადური ტერმინოლოგია წარმოდგენილია თავდა-პირველი მითითების დროს და ნიგნის ბოლოს, ტერმინების ლექსიკონში.

ტაბულა 1.1. წარმოადგენს გამოფენის პროცესის მულტიდისციპლინარულობას. სულ მცირე, ეს არის გამოწვევა სხვადასხვა შესაძლებლობებისა და ინტერესების მქონე პიროვნებებისა, რომლებმაც ერთობლივად უნდა იმუშაონ საგამოფენო პროექტზე დროისა და ბიუჯეტის პრესინგის პირობებში. ბევრმა მუზეუმმა სტრუქტურულიდან ამოიღო დიზაინისა და კონსტრუქციის განყოფილებები, ამიტომ დღეს საგამოფენო პროცესში მონაწილეობას



ტაბ. 1.1. გამოფენის პროცესის მულტიდისციპლინარულობა

იღებენ როგორც მუზეუმის თანამშრომლები, ასევე კერძო კონტრაქტორები, ზოგჯერ მონვეული კურატორებისა და ტექსტური ნაწილის უზრუნველმყოფი სპეციალისტების ჩათვლით. ამდენად, ასეთი შემადგენლობის ჯგუფების მართვა და მათში მონაწილეობა მოითხოვს განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს. აუცილებელია იმის გაგება, რომ სხვადასხვა დისციპლინა და მასთან დაკავშირებული სპეციალიზაციები, უკლებლივ ყველა, აუცილებელია წარმატებული გამოფენისთვის. დიაგრამის მარცხენა მხარეს, აუდიტორიის სპეციალისტებში, იგულისხმება მარკეტინგისა და განვითარების სექტორის თანამშრომლები, ევალუატორები (შემფასებლები) და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტები. კურატორები, მკვლევარები და კოლექციების მენეჯმენტის თანამშრომლები არიან სპეციალისტები, რომლებიც გამოფენის შინაარსზე მუშაობენ. გამოფენისა და მულტიმედიის დიზაინერები, ინტერპრეტაციის დამგეგმავები და ტექსტების შემდგენლები არიან კომუნიკაციის სპეციალისტები. პროექტის მენეჯერები, კონსერვატორები, თანამშრომლები, რომლებიც დაკავებულნი არიან თანხების მოზიდვით, კონტრაქტით მონვეული ისეთი დარგების სპეციალისტები, როგორცაა კონსტრუირება, საინჟინრო საქმე, გრაფიკა, ფილმების გადაღება და დიორამების შექმნა, არიან ინსტალაციის სპეციალისტები.

ტაბ. 1.2 გვიჩვენებს საგამოფენო პროცესის სამი ფაზის ზოგად სქემას:

- **განვითარების ფაზა**, ეს არის პერიოდი, როდესაც ყალიბდება და იხვეწება გამოფენის იდეა ან კონცეფცია. ეს პროცესები განხილულია მე-3, 4, 9 და 10 თავებში. ამ ფაზის ძირითადი მიზანია ინსტიტუციონალურ დონეზე გაცნობიერება იმისა, თუ რატომ ეწყობა ეს გამოფენა და რატომ აკეთებს ამას მუზეუმი ამ კონკრეტულ დროს, ამგვარად და ამ მასშტაბით.

ეს შეხედულებები შეადგენს საგამოფენო ბრიფის (მოკლე მონახაზის) შინაარსს, რომელიც ამ ფაზის შედეგად იწერება. ბრიფის ჩამოყალიბება საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესია, რასაც ვერ ახერხებს ბევრი მუზეუმი, სავალალო შედეგები კი ბრალდება დიზაინერებს (გამოფენა არაა მიმზიდველი), მარკეტინგს (არასაკმარისი რეკლამა), ან განვითარების განყოფილებას (არასაკმარისი ფული). სინამდვილეში კი პრობლემა უფრო ისაა, რომ მუზეუმის თანამშრომლები არ მუშაობენ ურთიერთშეთანხმებით, მიზანი არაა მკაფიო და ცუდადაა შესწავლილი საგანი, აუდიტორია, ან ორივე ერთად.

- **დიზაინის ფაზა** დგება მაშინ, როდესაც დიზაინერებისა და მუზეუმის სხვადასხვა დეპარტამენტების თანამშრომლებთან, ინტერპრეტაციის დამგეგმავებთან და ევალუატორებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, საგამოფენო ბრიფი სამგანზომილებიან რეალობად გადაიქცევა. ეს ფაზა განიხილება მე-11, 12, 13 თავებში.

- **იმპლემენტაციის ფაზა** არის გამოფენის აგება და დამონტაჟება, რაც აღწერილია მე-14, 15, 16 თავებში.

I. განვითარების ფაზა

- კონცეფცია
- საინტერპრეტაციო დამგეგმვა
- კვლევა
- საგამოფენო ბრიფი/პროგრამა წინასწარი ბიუჯეტითა და გრაფიკით

II დიზაინის ფაზა

- სქემატური დიზაინი

- დიზაინის განვითარება
- დანვრილებითი დიზაინი და სპეციფიკაციები
- დანვრილებითი ბიუჯეტი და გრაფიკი
- დანვრილებითი შინაარსის კვლევა, წყაროები და ტექსტი

III იმპლემენტაციის ფაზა

- უზრუნველყოფა: ტენდერები/მონვევები და გეგმების ჩამოყალიბება
- პროექტის მენეჯმენტი და აგება
- წარმოდგენის/აუდიო-ვიზუალური/მულტიმედიის პროექტის მენეჯმენტი და წარმოება
- ხარისხის/ღირებულების კონტროლი და კოორდინაცია
- ინსტალაცია
- დახვეწა და ექსპლუატაციაში შეყვანა
- ევალუაცია

ტაბ. 1.2 გამოფენის პროცესი

რასაკვირველია, ისეთი ფუნქციები, როგორცაა ბიუჯეტი, ფასების კონტროლი და ევალუაცია, მთელი პროცესის განმავლობაში მიმდინარეობს. თავისთავად ცხადია, რომ კურატორების, დიზაინერებისა და რესტავრატორების სამუშაო გრძელდება გამოფენის გახსნის დღემდე და მის შემდეგაც. გამოფენის ორგანიზების, განვითარების, განახლების ხასიათი ალბათ, უკეთესად არის ასახული ამ სახელმძღვანელოს სტრუქტურაში:


- I ნაწილი ეძღვნება საკითხებს, რომელიც გავლენას ახდენს საგამოფენო ფუნქციების/დანიშნულების/ ყველა ასპექტზე, ანუ ეს არის სამუზეუმო გამოფენების ორი ძირითადი კითხვა: «რატომ?» და «რისთვის?».

- II ნაწილში აღწერილია გამოფენების მონყობისთვის აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნები: დაწყებული გალერეის ტიპიდან და დამთავრებული საგამოფენო კარადებით, განათებით, აუდიო-ვიზუალური მონყობილობების გამოსაყენებლად აუცილებელი დამხმარე ფართით.

- III ნაწილში აღწერილია ყველა საგამოფენო ასპექტის ერთიანობა და გამოფენის გახსნასთან დაკავშირებული პროცესები.

- IV ნაწილი წარმოადგენს მსჯელობას XXI საუკუნის გამოფენების შესახებ.

ვიდრე ვისაუბრებთ 1.1. ცხრილის შესახებ, რომელიც აღწერს თუ ვინ რას აკეთებს გამოფენის მონყობის პროცესში, სასარგებლო იქნება წინასწარ გადავალოთ თვალი პროცესის მონაწილეებს. ტაბ. 1.3. მუზეუმის დირექტორი წარმოდგენილია როგორც გადამწყვეტილების მიმღები მთავარი პირი, რაც რეალურია საგამოფენო პროექტების უმრავლესობისთვის, მაგრამ პრაქტიკა სულ უფრო მეტად გვიჩვენებს აუცილებლობას, რომ დირექტორმა გამოფენის პროექტზე ყოველდღიური პასუხისმგებლობა გადააბაროს გამოფენის მონყობის ძირითად გუნდს, რომელიც მუზეუმის ყველა ფუნქციური სფეროს წარმომადგენლებისაგან შედგება. არაა აუცილებელი, რომ ეს წარმომადგენლები განყოფილების გამგეები იყვნენ, მაგრამ საჭიროა, ისინი გამოფენის პროექტის დასრულებამდე მუდმივად იყვნენ ჩართულნი ამ საქმიანობაში. თითოეულ მათგანს პროექტის მიმდინარეო-



ტაბ. 1.3 საგამოფენო გეგმის როლები და მოვალეობები

ბის განმავლობაში საქმის კურსში უნდა ჰყავდეს როგორც თავისი განყოფილება, ასევე გუნდიც. გამოფენის გუნდის კოორდინატორის თანამდებობა პრაქტიკულად გულისხმობს სრულ დატვირთვას პროექტის პირველი დღეებიდან მოყოლებული, გამოფენის გახსნისა და

შემდგომ, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის ჩათვლით. ტაბულა გვიჩვენებს, რომ დიზაინერი არის საგამოფენო გუნდის ბირთვი. ეს შეიძლება იყოს შტატში მყოფი დიზაინერი ან დიზაინის მენეჯერი, მოწვეული კონტრაქტორი, ან/და იმ სადიზაინერო ფირმის წარმომადგენელი, რომელთანაც კონტრაქტია დადებული.

ცხრილი 1.1 როლები და მოვალეობები გამოფენის განვითარებაში

თანამდებობა	როლი	მოვალეობა
დირექტორი	გამოფენასთან დაკავშირებული პოლიტიკის და ძირითადი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, ჩვეულებრივ – მმართველი გუნდის წევრებთან ერთად. თუ პროექტი დიდია, შეიძლება ჩართული იყოს მზრუნველთა საბჭოს წევრებიც	პროექტის გასაძლოდ ნიშნავს გამოფენის დაგეგმვის გუნდის ბირთვს და გამოფენის გუნდის კოორდინატორს. აწვდის გუნდს პოლიტიკას, გეგმას და ფინანსურ რეკომენდაციებს. კოორდინატორის მეშვეობით მდუმეივად ინფორმირებულია პროექტის მიმდინარეობის შესახებ. პროცესის გადამწყვეტ მომენტებში ხელს აწერს ისეთ დოკუმენტებს, როგორცაა კონცეფცია, გამოფენის ბრიფი, სქემატური დიზაინი, დეტალური დიზაინი და ბიუჯეტი. ასევე – ძირითად ხელშეკრულებებს და ექსპლუატაციაში შეყვანას
საგამოფენო გუნდის ბირთვი	საგამოფენო ბრიფის და ბიუჯეტის ჩამოყალიბება. ყველა სტადიაზე მისი იმპლემენტაციის გაკონტროლება. გამოფენის განვითარების დაკავშირება მუზეუმის სხვადასხვა დეპარტამენტებთან	ის, რომ ამ გუნდის შემადგენლობაში შედიან მუზეუმის ყველა ფუნქციური სფეროს წარმომადგენლები, განაპირობებს შემდეგს: გამოფენა შეესაბამება აუდიტორიის მოთხოვნებს, დაცულაა შინაარსისა და კომუნიკაციის საჭირო ბალანსი. გუნდი ქირაობს საჭირო კონსულტანტებს და სპეციალისტებს მუზეუმის მომარაგების პოლიტიკის შესაბამისად. გუნდი წარუდგენს დირექტორს დანვრილებით ბიუჯეტსა და გრაფიკს. გუნდი განიხილავს კონტრაქტების და ყველა პროდუქციის მონოდების პირობებს მათი საგამოფენო ბრიფთან და ბიუჯეტთან შესაბამისობის თვალსაზრისით. გუნდი რეკომენდაციას აძლევს დირექტორს ხელმოსაწერად (ან უარსაყოფად) ისეთ დოკუმენტებზე, როგორცაა: სქემატური დიზაინი, დეტალური დიზაინი, ბიუჯეტი, ტენდერის დოკუმენტაცია, ძირითადი კონტრაქტები და ექსპლუატაციაში შეყვანა
საგამოფენო გუნდის კოორდინატორი	საგამოფენო დაგეგმვის გუნდის ბირთვის შეხვედრების გაძლვლა და გუნდსა და დირექტორს შორის, აგრეთვე გუნდსა და პოექტის მენეჯერს შორის, კავშირის უზრუნველყოფა.	ინვეცს და უძლვება შეხვედრებს. ავრცელებს შეხვედრების ჩანაწერებს და გადაწყვეტილებებს. უზრუნველყოფს დოკუმენტების მაღალ დონეზე მომზადებას სპეციალისტების ან კონსულტანტების მიერ. დოკუმენტების დარიგებას განსახილველად, დისკუსიისა და გადაწყვეტილების მისაღებად. ხელს უწყობს მუზეუმის საფინანსო/შესყიდვების განყოფილებას დიზაინერებთან, ამწყობებთან და სხვ., კონტრაქტების ტენდერების განხორციელებაში

<p>დიზაინერი</p>	<p>მუზეუმის საგამოფენო ბრიფის შესაბამისად აკეთებს გამოფენის დიზაინს</p>	<p>გამოფენის დიზაინერი და დიზაინის სპეციალისტი კონსულტანტები (გრაფიკისა და მულტიმედიის დარგში) შეიძლება იყვნენ მუზეუმის თანამშრომლები, ინდივიდუალური კონტრაქტორები ან სადიზაინო ფირმის წევრები. ისინი ამზადებენ სქემატურ და დეტალიზებულ დიზაინს, ანუ მათ საგამოფენო გუნდის ბირთვს განსახილველად, შესასწორებლად და დასამტკიცებლად. ისინი აგრეთვე ამზადებენ დოკუმენტაციას ტენდერისათვის. დიზაინერები ზედამხედველობას უწევენ იმპლემენტაციის მთელ პროცესს, რათა უზრუნველყონ დიზაინთან მისი ხარისხობრივი შესაბამისობა</p>
<p>პროექტის მენეჯერი</p>	<p>გამოფენის განხორციელება დროულად, ბიუჯეტის ფარგლებში, დიზაინის ხარისხის დონის შენარჩუნებით</p>	<p>ამზადებს განხორციელების დეტალურ გრაფიკებს და ბიუჯეტებს. კოორდინაციას უწევს მუზეუმის იმპლემენტაციის გუნდებს. უზრუნველყოფს მუზეუმში მომუშავე ყველა კონტრაქტორის მიერ სამუშაო ნების შესრულებას, განსაკუთრებით – უსაფრთხოების მხრივ. განსაზღვრავს და წერილობით აღრიცხავს პრობლემებს, ატყობინებს მათ საგამოფენო გუნდის ბირთვს და /ან დირექტორს ზოგადი გადანყვეტილებების მისაღებად. ზედამხედველობას უწევს მიღება-ჩაბარებას, ადგენს ნუნის ნუსხებს და უზრუნველყოფს მათ გამოსწორებას. დასრულების შესახებ რეკომენდაციას აძლევს დირექტორს</p>
<p>სამშენებლო გუნდი</p>	<p>გამოფენების კონსტრუქციების დამზადება და ინსტალაცია</p>	<p>ეს გუნდი შეიძლება შედგებოდეს ერთი ფირმისაგან, ან შეიძლება ეს იყოს თავისი სპეციალისტი სუბკონტრაქტორების მქონე კონსტრუქციების აგების მენეჯმენტის ფირმა. ან ეს შეიძლება იყოს ცალ-ცალკე კონტრაქტით მონეული ფირმები. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ მიერ უზრუნველყოფილი მომსახურება მოიცავს კონსტრუქციების დამზადებას, რთული სადურგლო სამუშაოების ჩატარებას, გრაფიკული მასალის უზრუნველყოფას, მულტიმედიის დამზადებას და ვიტრინების დამზადებას</p>
<p>პოდ კლიუჩ ანუ დიზაინის/ კონსტრუქციების ალტერნატიული გუნდი</p>	<p>გამოფენის დიზაინი, პროექტის განხორციელება, კონსტრუქციების შექმნა და ინსტალირება</p>	<p>ეს გუნდი შედგება ერთი მულტიდისციპლინარული ფირმის ან ძირითადი კონტრაქტორისაგან, რომელსაც ჰყავს სპეციალისტი სუბკონტრაქტორები და რომელსაც შეუძლია იმპლემენტაციისთვის საჭირო ყველა მომსახურების უზრუნველყოფა კონკრეტული თანხის ფარგლებში. ეს გუნდი ითანამშრომლებს უშუალოდ მუზეუმის საგამოფენო გუნდის ბირთვთან.</p>

პროექტის მენეჯერის თანამდებობა (ნარმოდგენილია რომბში), შეიძლება იყოს საშტატო ერთეული ან სპეციალურად ამ პროექტისათვის კონტრაქტით შექმნილი თანამდებობა, ან შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სადიზაინერო ფირმის მიერ, როგორც მომსახურების ერთიანი "პაკეტის" ნაწილი. პროექტის მენეჯერი ძირითად საგამოფენო გუნდს აკავშირებს საიმპლემენტაციო გუნდთან. ნახ. 1.3 მიხედვით განსაზღვრულია სამი საიმპლემენტაციო გუნდი:

- *მუზეუმის საიმპლემენტაციო გუნდი*, რომელშიც იგულისხმება ყველა თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ექსპონატების საგამოფენოდ მომზადებაში, დამხმარე მასალების შექმნაში, გამოფენის გაძღოლაში. ძირითადი გუნდისაგან განსხვავებით, რომელიც მთელი პროექტის განმავლობაშია დაკავებული, საიმპლემენტაციო გუნდის მონაწილეები პროექტზე მუშაობენ განრიგის შესაბამისად.

- *დიზაინერთა გუნდში* შედიან სამგანზომილებიანი ობიექტების დიზაინერები, გრაფიკის და მულტიმედიის დიზაინერები, ისინი, ვინც ამუშავებენ ტექსტებს და დიზაინის სხვა სპეციალისტები, სავარაუდოდ – არქიტექტორები. ზოგიერთ მუზეუმს საკუთარ შტატში ჰყავს ყველა ჩამოთვლილი სპეციალისტი. უმეტეს შემთხვევებში გუნდში მუზეუმის თანამშრომლები და გარედან მონეული კონტრაქტორები შედიან.

- *გამოფენის მონტაჟის სამუშაო გუნდში* შედიან სპეციალისტები, რომლებიც ამზადებენ გამოფენისთვის საჭირო სხვადასხვა სახის სპეციალურ მონყობილობებს (საგამოფენო კარადები და ა.შ.). ზოგ მუზეუმს შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი განყოფილებები, მაგრამ მათ, ვისაც არ აქვს მსგავსი სამსახური, უხდებათ ამ საქმისათვის კონტრაქტის გაფორმება ტენდერის (ან ფასის შეთავაზების) მეშვეობით. ხშირად მუზეუმს ურჩევნია დაიქირაოს დიზაინისა და მონტაჟის სპეციალისტები, როგორც ერთი გუნდის წევრები.

ნანილი I:

რატომ?

საჭიროა თუ არა ეს გამოფენა? მოიტანს თუ არა რაიმე ახალს? თუ ასეა, ვისთვის? ღირს კი მის მოწყობას მოხმარდეს მუზეუმის კოლექციები, ფართი, დრო, ფული და განსაკუთრებით – ადამიანური რესურსები? და რაც მთავარია, როგორ გავიგებთ, რომ წარმატებას მივაღწიეთ?

ამ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ამ ფუნდამენტურ კითხვებს ეძღვნება. მეორე ნაწილის მიზანია სამუზეუმო გამოფენების მიზნის განსაზღვრა, ხოლო მესამე ნაწილი იკვლევს საგამოფენო იდეების წყაროებს და განიხილავს, თუ როგორ შეიძლება მათი რეალიზაციისათვის საუკეთესოდ აენწყოს მუშაობა თანამშრომლებთან და მუზეუმის ირგვლივ არსებულ საზოგადოებასთან ერთად. მეოთხე ნაწილი ეძღვნება როგორც რაოდენობრივი; ისე – ხარისხობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე ევალუაციის (შეფასების) კრიტერიუმების დადგენას გამოფენის ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე, რათა ყურადღება მიექცეს დაგეგმვის, დიზაინის, მონტაჟის პროცესს.

თავი 2

სამუზეუმო გამოფენების მიზანი

ბარი ლორდი

ჩვენ უკვე შეჩვეულები ვართ განვიხილოთ გასული საუკუნე, როგორც საზოგადოებრივი კომუნიკაციების თვალსაზრისით მეტად წარმატებული პერიოდი. ეს იყო რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ჩამწერი საშუალებების ინდუსტრიის, ფაქსის და ბოლოს – ინტერნეტის საუკუნე. მაგრამ ამის გარდა, იყო კიდევ ერთი მიღწევა საზოგადოებრივი კომუნიკაციების სფეროში, რომელიც კვლავაც ჩვენთანაა, მუდმივად ვითარდება და აფართოვებს თავის გავლენას, ესაა მუზეუმი.

მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო იზრდება მუზეუმების რიცხვი. გასული საუკუნის მეორე ნახევარში, დიდ ბრიტანეთში ორ კვირაში ერთხელ ახალი მუზეუმი იხსნებოდა. აშშ, კანადის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნების (რომელსაც აქვთ მუზეუმების ცნობარები), დანესებულებების ჩამონათვალში, 50 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მუზეუმების რიცხვი – ბევრგან შვიდჯერ ან ათჯერ მაინც. ფლანდრიის სამუზეუმო ცნობარების უკანასკნელმა შემონმებამ აჩვენა, რომ გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში ყოველწლიურად ათი ახალი მუზეუმი იხსნებოდა. ისრაელიდან მიღებული ინფორმაციით, ყველა ქალაქს აქვს სურვილი გახსნას საკუთარი მუზეუმი. აზიისა და აფრიკის ქვეყნები და ქალაქები სტაბილურად ზრდიან სამუზეუმო ქსელს. სინგაპურმა ეროვნული მუზეუმი უკვე დაანანილა ქვედანაყოფებად: ხელოვნების მუზეუმი, ისტორიის მუზეუმი, აზიის ცივილიზაციების მუზეუმი; გარდა ამისა, იქაური მაცხოვრებლები უკვე სარგებლობენ ფილატელიის მუზეუმით, ხოლო სამოქალაქო თავდაცვის მუზეუმი დაგეგმვის

ფაზაშია. ფილიპინების ეროვნულმა მუზეუმმაც გამოიჯნა თავისი ხელოვნების გალერეები იმ გალერეებისაგან, რომელთა მიზანი ფილიპინელი ხალხის ისტორიის წარმოჩენაა; იგეგმება ბუნების ისტორიის მუზეუმის გახსნა.

არანაკლებ შთაბეჭდავია არსებული მუზეუმების ზრდისა და გაფართოების მასშტაბები. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მსოფლიოს ყველა კუთხის მუზეუმები, რომლებსაც კოლექციების მუდმივი ზრდის გამო მათი დაბინავებისა და დამთვლიერებლების სულ უფრო რთული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრობლემები აქვთ, იძულებულნი არიან მუდმივად იყვნენ ჩართულნი გაფართოების ან ახალ ადგილებზე დამკვიდრების პროექტებში. ათი (ან ნაკლები) წლის მანძილზე მსოფლიოს ბევრ უმნიშვნელოვანეს მუზეუმს დასჭირდა ახალი ფლიგელების აშენება ან გალერეების განახლება. ზოგიერთმა, გუგენჰაიმის მუზეუმის ან თვით გალერეის მსგავსად, დაიწყო ფილიალების დაარსება, რის შედეგადაც მათი მეტად ღირებული კოლექციების ნახვა შესაძლებელია არა მხოლოდ ერთ ქალაქსა და ქვეყანაში.

მუზეუმების ზრდა არაა დაკავშირებული გეოგრაფიულ არეალთან. თითოეული ქვეყანას და ხშირად – ყველა რაიონს, ყველა წარმოებას, სურს ჰქონდეს საკუთარი მუზეუმი (სასოფლო-სამეურნეო, საბადოების, საზღვაო), რომელთა არსებობა შეიძლება პრობლემატურიც კი გახდეს, ვინაიდან საარსებოდ მათ აუცილებლად დასჭირდებათ ერთმანეთთან კოოპერაცია. იგივე შეიძლება ითქვას მუზეუმის ტიპების დიდ უმრავლესობაზე, მაგალითად, სხვადასხვა სამხედრო დანაყოფის მუზეუმზე, რომლებმაც (ასევე საარსებოდ) უნდა მოახერხონ თავისი რესურსების გაერთიანება მოცემული ქვეყნის ან რეგიონის უფრო დიდ სამხედრო მუზეუმად ჩამოყალიბებისთვის.

ამასთან, სულ უფრო იზრდება ისეთი მუზეუმების რიცხვი, როგორცაა ალბუკერკში ანდერსონ აბრუცოს საჰაერო ბუშტების საერთაშორისო მუზეუმი, იდეებზე დაფუძნებული მუზეუმები – ტოლერანტობის მუზეუმი ლოს ანჯელესში, მუსიკალური ინდუსტრიის მუზეუმები – მოტოუნის მუზეუმი დეტროიტში და პერსონალიების მუზეუმები – შანია თვეინის საინტერპრეტაციო ცენტრი ტიმინსში, ონტარიო. როგორც ჩანს, მომავალში სულ უფრო სწრაფად განვითარდება საბავშვო მუზეუმები.

საჭიროა გვესმოდეს, რომ მსოფლიოს მასშტაბით მუზეუმების რიცხვის ზრდა და განვითარება, უნდა აღვიქვათ არა მხოლოდ როგორც ჩვენი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, არამედ როგორც საზოგადოებრივი კომუნიკაციების სფეროს განვითარება. იმისათვის, რომ გავიგოთ მსოფლიოს ხალხთა ერთსულოვანი პოზიტიური დამოკიდებულება მუზეუმების მიმართ, საჭიროა განვიხილოთ მხოლოდ მუზეუმებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის სპეციფიური ინსტრუმენტი – გამოფენა.

რა არის სამუზეუმო გამოფენების მიზანი და რატომაა იგი ასე წარმატებული? ამ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი განიხილავს ამ ტიპის კითხვებს და შეეცდება ჩამოაყალიბოს ზოგიერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც დაგვეხმარება XXI საუკუნის მუზეუმის დამთვლიერებელთა და სწრაფად ცვალებადი პუბლიკისათვის განკუთვნილი სამუზეუმო გამოფენების დაგეგმვაში, დიზაინსა და შეფასებაში.

2.1 ბამოფენა, როგორც მუზეუმის ფუნქცია

ადამიანები მუზეუმში გამოფენების სანახავად დადიან, იქნება ეს მუდმივი კოლექციების გამოფენა, თუ მხატვრის ნამუშევრების, ცივილიზაციის არტეფაქტების, კონტინენტის დამახასიათებელი ობიექტებისა თუ სამეცნიერო მიღწევების ინტერაქტიური დროებითი გამოფენა. როგორც ჩანს, გამოფენები მუზეუმისათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პიესა თეატრისათვის. ეს არის ის, რასაც კულტურის ეს ინსტიტუტი დამთვალეირებელს წარუდგენს, როგორც ძირითად ფაქტორს.

გამოფენები, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, იმდენად დომინირებდა დამთვალეირებლების აღქმაში, რომ თითქმის გამორიცხა სამუზეუმო ცხოვრების ყველა სხვა ფორმა. ხელოვნების ისტორიის დარგის დიდი ბლოკბასტერები, ზოგიერთი ძირითადი ცივილიზაციების არქეოლოგიური აღმოჩენები, მეწინავეები იყვნენ სამუზეუმო საგამოფენო სივრცეში, მაგრამ ამასთან, მოქმედებდა სამეცნიერო თემატიკისადმი მიძღვნილი ახალი გამოფენებიც, რომელმაც რევოლუცია მოახდინა ბუნების ისტორიის მუზეუმებსა და სამეცნიერო ცენტრებში. მუზეუმებში, საგამოფენო კულტურის დომინირების საქმეში, თავისი წვლილი შეიტანეს შედარებით მცირე გამოფენებმაც, მაგალითად, როგორიცაა ლონდონის ეროვნულ გალერეაში მოწყობილი ერთი სურათის ყველა ასპექტის მეცნიერულ წარმოჩენაზე დამყარებული გამოფენები, აგრეთვე ეთნოგრაფიული გამოფენები, რომელიც უშუალოდ ეთნიკურ ჯგუფებთან თანამშრომლობით მოეწყო. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ კანადელი ინუიტების შესახებ მოწყობილი შესანიშნავი გამოფენა ლონდონში, ადამიანის ისტორიის მუზეუმში.

მაგრამ მუზეუმი არაა თეატრი და გამოფენა არ თამაშობს იგივე როლს, რასაც ასრულებს პიესა თეატრისათვის. მუზეუმს სხვა მიზნები და ფუნქციებიც აქვს, რომელიც მათთან ასოცირებული ადამიანების, განსაკუთრებით – პროფესიონალი თანამშრომლებისა და კურატორებისთვის შესაძლებელია პრიორიტეტულიც კი იყოს. ეს ფუნქციებია:

- *შეგროვება*: ხელოვნების ნაწარმოებების, არტეფაქტების, ან სხვადასხვა ობიექტების შესყიდვა თავისთავად რთული საქმეა, ვინაიდან სხვადასხვა თვალსაზრისით (არა მარტო პროფესიონალებისთვის, არამედ დამთვალეირებლებისა ან მომავალი თაობისთვისაც კი), იგი წარმოადგენს კურატორის და თავად დირექტორის საქმიანობისა და კეთილსინდისიერების შეფასების კრიტერიუმს.

- *კონსერვაცია/შენახვა*: თეატრისაგან განსხვავებით, რომელიც მაინც ეფემერულს ემსახურება, მუზეუმი მოწოდებულია ემსახუროს მატერიალური და სულიერი კულტურის მემკვიდრეობის შენახვა-დაცვას. სწორედ ამიტომ, კონსერვაცია, კოლექციების მენეჯმენტი და მათი უსაფრთხოება არის ძირითადი სასიცოცხლო საქმიანობა მუზეუმისთვის, რაც სამართლიანად განიხილება როგორც მისი ხანგრძლივადიანი უზენაესი პრიორიტეტი.

- *კვლევა*: კოლექციები და თუნდაც გამოფენები, ნებისმიერ მუზეუმში მხოლოდ იმდენადაა ფასეული, რამდენადაც არსებობს დოკუმენტებით განმტკიცებული ცოდნა მათ შესახებ. ამდენად, კოლექციების შეგროვებასთან, კონსერვაციასთან და გამოფენაზე გასატან ობიექტებთან დაკავშირებული, კვლევა სამართლიანად განიხილება როგორც ყველა მუზეუმის საქმიანობის ქვაკუთხედი, ფუნქცია, რომელსაც გამოფენებთან მიმართებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს.

ზემოთ განხილული სამივე ფუნქცია. ისტორიულად პრიორიტეტულ მიმართულებად

რჩება მუზეუმების განვითარებას ყველა ეტაპზე.

აქვე უნდა შევხვით გამოფენის მოწყობის ზოგიერთი ფორმას. უკვე სალაპარაკო არაა, რომ გამოფენის პრაქტიკულად სტატიკური მოწყობა მუდმივი კოლექციებისათვის (რომელიც ახასიათებდა მრავალ სამუზეუმო საგამოფენო დარბაზებს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში და დღემდე ახასიათებს ზოგიერთს), საუკეთესო შემთხვევაში წარმოადგენს "საგამოფენო" ფუნქციის მინიმალურ არსს. XIX საუკუნის პარიზის "სალონებში", იმართებოდა ხელოვნების სახელგანთქმული გამოფენები, საუკუნის ბოლოს კი – კომერციულ გალერეებში, რომლებიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდნენ. 1851 წელს მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისადმი მიძღვნილი გამოფენების ნახვა შეიძლებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების გამოფენებზე (მათ შორის ლონდონის ბროლის სასახლეში), რომელიც თანმიმდევრულად იმართებოდა პარიზში, ჩიკაგოში და სენ ლუისში. სამუზეუმო გამოფენა, როგორც მუდმივი კოლექციების ნაწილის, ასევე – დროებით სარგებლობაში მიღებული ობიექტების (წარმოდგენილი სპეციფიური გამოფენების სახით), უკავშირდება XIX საუკუნისთვის დამახასიათებელ მუდმივი კოლექციების გამოფენებს, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარში, მან შეიძინა მუზეუმებში მნახველთა მოზიდვის ძირითადი ფუნქცია. გამოფენების საყოველთაო და საზეიმო ხასიათი დამთვალიერებლებისთვის იმდენად შთაბეჭდავი გახდა, რომ დღეს, მუზეუმების შესახებ დისკუსიებში, დღის წესრიგის საკითხების უმეტესობაში, სწორედ გამოფენები დომინირებს. მაგრამ, გამოფენების რიცხვის მზარდი ტემპის მიუხედავად, შენარჩუნებულია მუზეუმების მრავალმხრივი ფუნქციებიც, რომელთა ნუსხა უფრო ვრცელი გახდა, კერძოდ, მას დაემატა საგანმანათლებლო ფუნქცია, როგორც ძირითადი მიმართულება.

მუზეუმებში არ იყო და ახლაც არ არის გამოფენების მოწყობის ერთიანი, ორგანიზებული სისტემა (როგორც თეატრია ორგანიზებული პიესის დადგმის გარშემო. პროდიუსერებმა, რეჟისორებმა, დრამატურგებმა, მსახიობებმა, სცენისა და კოსტიუმების დიზაინერებმა, სცენის მუშებმა და სხვებმა, ვინც დაკავშირებულია სათეატრო წარმოებასთან, მოსალოდნელია, იცოდნენ შესაბამისი მოვალეობები და ამის შესაბამისად შეიძლება დაჯგუფდნენ თეატრის შტატში გარკვეული ძირითადი საორგანიზაციო პრინციპების მიხედვით, ვინაიდან აქ მთავარია პიესა). იგულისხმება, რომ კურატორები ორგანიზებას უკეთებენ, ან სულ მცირე – სტიმულს აძლევენ და ხელმძღვანელობენ, გამოფენის მოწყობას. ეს დღესაც ასეა ბევრ მუზეუმში. მაგრამ პრობლემები, რომელიც თან ახლავს კურატორის მუშაობას, დღენიადაგ თავს იჩენს, კერძოდ:

- კურატორები პასუხს აგებენ კოლექციების შექმნასა და კვლევაზე. ხშირ შემთხვევაში, მათ ურჩევნიათ ძირითადი ყურადღება ამ ფუნქციებს მიაქციონ და საგამოფენო პროგრამას მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი მიაკუთვნონ
- ბევრი მუზეუმის დირექტორს სურვილი აქვს და ამას ახორციელებს კიდევ, რომ შეასრულოს უშუალო როლი მუზეუმის საგამოფენო პროგრამებში, რაც შეიძლება ერთგვარი დახმარებაც კი იყოს (ან არც იყოს) კურატორებისთვის
- კურატორთან ერთად, როგორც ხაზგასმული იყო წინა ნაწილში, ახლა უკვე სპეციალისტების მთელი ლეგიონია ჩართული ამ საქმეში, რათა უპასუხონ თანამედროვე გამოფენების რთულ მოთხოვნებს – რეგისტრატორები, კონსერვატორები, საგანმანათლებლო განყოფილების მუშაკები, უსაფრთხოების სამსახურის უფროსები, გამოფენის დიზაინერები, აუდიო-ვიდეო ტექნიკოსები, ტექსტების შემდგენელები, გაყიდვების მენეჯერები, მარკეტინგის

და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები, ადმინისტრატორები, რომლებმაც უნდა აწარმოონ მოლაპარაკება სპონსორებსა და პარტნიორებთან, რის გარეშეც გამოფენა ვერ გაიმართება. მათ გარდა, გამოფენაში მონაწილეობას იღებენ სხვა თანამშრომლებიც, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი მონაწილეობის აუცილებლობა საგამოფენო პროგრამის წარმატებულად ჩატარებაში.

ბევრი მუზეუმი ამ დილემას პასუხობს საგამოფენო განყოფილებების ჩამოყალიბებით, ან ისეთ თანამდებობის შემოღებით, როგორცაა "გამოფენების კურატორი", "თანამშრომელი გამოფენების დარგში", რომელიც პასუხისმგებელია საგამოფენო პროგრამის კოორდინაციაზე და ზოგჯერ – მის შინაარსზეც. მაგრამ მიუხედავად იმისა, საქმე გვაქვს ცალკე განყოფილებასთან თუ რომელიმე სხვა ფორმასთან, გამოფენა, როგორც მუზეუმის ფუნქცია, პრობლემატურია თავისთავადაც და მუზეუმის სხვა ფუნქციებთან მიმართებაშიც.

სამუზეუმო გამოფენის არსის გასაგებად საჭიროა იგი განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც მუზეუმების ძირითადი ფუნქცია, არამედ როგორც მუზეუმის აუდიტორიასთან კომუნიკაციის დამყარების მძლავრი საშუალება. ზუსტად ისევე, როგორც კომუნიკაციის სხვა საშუალებების შემთხვევაში, საჭიროა ამგვარი სპეციფიკური კომუნიკაციის მოდელის შექმნა, როგორც საფუძველი ნებისმიერი სამუზეუმო გამოფენის შემდგომი დაგეგმვისა და შეფასებისთვის.

2.2 სამუზეუმო გამოფენები, როგორც შინაარსის კომუნიკაცია

სასურველია, სამუზეუმო გამოფენას ვასხვავებდეთ ყველა სხვა ტიპის გამოფენისაგან, მაგალითად, სავაჭრო გამოფენისაგან. გამოფენის ორივე ტიპი წარმოადგენს ობიექტებს, გამოფენს მათ და შეიძლება მოიცავდეს აუდიო-ვიდეო გამოსახულებებსა და ინტერაქტიურ გამოცდილებას. ცხადია, მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობა ისაა, რომ მუზეუმი, სავაჭრო გამოფენისაგან განსხვავებით, არ ცდილობს პროდუქტის გაყიდვას.

მაგრამ, მაინც რას გვთავაზობს სამუზეუმო გამოფენა?

მუზეუმის ბევრი მუშაკი (განსაკუთრებით საგანმანათლებლო განყოფილების თანამშრომლები), სამუზეუმო გამოფენებს ძირითადად აღიქვამენ როგორც საგანმანათლებლო საშუალებას. მათი თვალთახედვით გამოფენები წარმატებულია, თუ საგამოფენო თემატიკა გარკვეულ ცოდნას მისცემს დამთვალიერებელს და წარუმატებელია, თუ იგი ვერ აღწევს ამ მიზანს. გარდა იმისა, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად მართებულია სამეცნიერო ან ისტორიული საკითხებისადმი მიძღვნილი თემატური ან დიდაქტიკური გამოფენისადმი, ბევრი ამტკიცებს, რომ ეს თანაბრად მისაღებია ხელოვნების გამოფენებისთვისაც.

რასაკვირველია, სამუზეუმო გამოფენებს აქვს საგანმანათლებლო ფუნქცია და ყოველთვის სასურველია, რომ ეს ფუნქცია ჩაითვალოს ნებისმიერი გამოფენის წარმატებულობის მნიშვნელოვან კრიტერიუმად. სასკოლო ჯგუფებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ასპექტს, მაგრამ მათთვისაც, რომელთა ცხოვრებისეული დევიზია: "სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე" და რომლებიც სწორედ ამისათვის მოდიან მუზეუმში, ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული ასპექტიც.

მეორე მხრივ, მუზეუმის ბევრი სხვა დამთვალიერებლის მოტივაცია, რომ თავისი სულ უფრო მცირე თავისუფალი დრო მუზეუმში დახარჯონ, გაცილებით მრავალგვარია, მაგრამ

არამკაფიო და მას სიტყვა "სიამოვნება" უფრო ესადაგება, ვიდრე "განათლება". სამუზეუმო გამოფენების, როგორც გართობის ფორმის შესახებ მსჯელობა, ხშირია სხვადასხვა (მათ შორის მუზეუმების დირექტორების) მხრიდან. მათი აზრით, მუზეუმის, როგორც გასართობი დანესებულების წარმატებულობის კრიტერიუმები, შესაძლებელია უფრო ადვილად განისაზღვროს, კერძოდ, დამთვალიერებელთა რაოდენობით და მუზეუმში გატარებული დროის ხანგრძლივობით. იგივე ითქმის გამოფენის ხარისხის შეფასებაზეც – "უკვე ვერთობით?". სამწუხაროდ, მუზეუმებს იშვიათად შეუძლიათ გართობის თვალსაზრისით თემატურ პარკებს გაუთანაბრდნენ, ვინაიდან მუზეუმების ბიუჯეტი ბევრად ნაკლებია, ვიდრე პარკებისა.

სამუზეუმო გამოფენების წარმატების ერთ-ერთი მიზეზი დამთვალიერებლისათვის აუთენტური და ორიგინალი ნივთების წარდგენაა. ნიშანდობლივია, რომ ის დამთვალიერებლებიც კი, რომლებიც არ სცნობენ არაფერს რელიგიურს და იმასაც კი სათუოდ მიიჩნევენ, რასაც მათი შვილები სკოლაში თუ უნივერსიტეტში სწავლობენ, ხშირად მზად არიან გამოფენის თემის მიუხედავად, სრული ნდობა გამოუცხადონ გამოფენაზე წარმოდგენილ აუთენტურ საგნებს, იქნება ეს სახელგანთქმული მხატვრის ნამუშევარი, რაიმე ნივთის ორიგინალი თუ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ნაგებობა, ან მეცნიერული თეორია, წარმოდგენილი სამეცნიერო ცენტრის ინტერაქტიური მოწყობილობების მეშვეობით.

საინტერესოა მუზეუმების მიერ შემოთავაზებული ტესტი გამოფენის ვირტუალურ ჩვენებაზე, როცა ასობით ათასი ექსპონატი მუზეუმების კოლექციებიდან, ფართოდაა წარმოდგენილი CD-ROM, DVD-ისა და ინტერნეტის მეშვეობით. XXI საუკუნის დასაწყისში მართალია ნაადრევია დასკვნების გაკეთება, მაგრამ არის პირველი ნიშნები, რომ ვირტუალური გამოცდილების საყოველთაო გავრცელება მედია-მომხმარებელს მხოლოდ «რეალური ნივთის» აუთენტური გამოცდილების მიღებისკენ უბიძგებს, რაც მან მხოლოდ შესაბამის მუზეუმში მისვლით შეიძლება მიიღოს.

რატომაა დამთვალიერებლებისთვის აუთენტური ნივთი მნიშვნელოვანი? თუ განვიხილავთ არსებით გამოცდილებას, რომელსაც დამთვალიერებელი იღებს წარმატებული საგამოფენო ექსპონატისაგან – იქნება ეს შემინულ კარადაში მოთავსებული სურათი, ნივთი ან რაიმე ნიმუში, ინტერაქტიური მოწყობილობა ან მულტიმედიური ეკრანი, რომელთაგან ნებისმიერში მუზეუმის დამთვალიერებელმა შეიძლება აღმოაჩინოს შინაარსი და მნიშვნელობა. როდესაც მნახველის წინ ჩნდება ობიექტი ან ობიექტების ჯგუფი, მუზეუმის წარმატებული დამთვალიერებელი «იჭერს», აღიქვამს მისი მნიშვნელობის, შინაარსის ახალ დონეს. ეს მნიშვნელობა თავისი ხასიათით შეიძლება იყოს ესთეტიური, ისტორიული, ან სამეცნიერო, მაგრამ ის წარმოიქმნება ხელოვნების ნაწარმოების, არტეფაქტის ან რაიმე ნივთის გამოფენით, ან გამოსახულებებითა და ხელსაწყობით, რომლითაც მუზეუმი უზრუნველყოფს მას. დამთვალიერებლები მხოლოდ მაშინ ენდობიან ამ მნიშვნელობას, როცა ისინი დარწმუნებულნი არიან ობიექტების აუთენტურობაში.

ტრანსფორმაცია ხდება იმის გამო, რომ დამთვალიერებელზე შთაბეჭდილებას ახდენს გამოფენილი ნივთის აუთენტურობა, რის შედეგადაც იგი აღმოაჩენს გამოფენილი ობიექტების შინაარსს. ეს ხდება მაშინაც კი, როცა თანმედროვე გამოფენაზე წარმოდგენილი კონკრეტული სურათის ან სკულპტურის ნიმუშისადმი ჩვენი მიდგომა შეიძლება გამოვხატოთ სიტყვით «უშინაარსო», ან მაშინაც, როცა სამეცნიერო გამოფენის არსს ქაოსის დემონსტრირება წარმოადგენს. ამ შემთხვევებშიც კი, ამ შინაარსის აღქმა თავისთავად არის გარდაქმნა ცნობიერებაში, რომელსაც მხოლოდ გამოფენა ხდის შესაძლებლად. ამგვარი

გარდაქმნა დამთვალეირებლის მსოფლაქმასში, არ შეიძლება მიღწეულ იქნას ნიგნის ნაკითხვით, სასწავლო კურსის გავლით, ფილმის ნახვით და არც გართობით. ეს არის წარმატებული სამუზეუმო გამოფენის უნიკალური და ძირითადი მიზანი.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ შინაარსის აღქმა, როგორც ნებისმიერი გარდაქმნა, უფრო აფექტური გამოცდილებაა, ვიდრე გონებისმიერი. სამუზეუმო გამოფენები ცვლის ჩვენს მსოფლაქმას და ზემოქმედებას ახდენს ჩვენს დამოკიდებულებებსა და ფასეულობებზე, რომლებიც გაცილებით უფრო სიღრმისეულია, ვიდრე რაიმე საგანთან დაკავშირებული სპეციფიკური ფაქტების ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ სამუზეუმო გამოფენები თითქმის ყოველთვის გაცილებით უფრო დისკურსიულად აღსაქმელ იდეებთან ერთად, შეიცავს და გადმოსცემს შემეცნებით მონაცემებსაც (როგორცაა თარიღები, რუკები ან ზუსტი ტერმინოლოგია), მათი, როგორც ვიზუალური, სააუდიტორო და კინესთეტიური კომუნიკაციის უნიკალური საშუალებების ფოკუსში, არის ჩვენი აღქმა, ჩვენი დამოკიდებულებები და ფასეულობები. როდესაც აღქმაზე ან შეფასებაზე უკვე იმოქმედა გამოფენამ, ცოდნის გასაღრმავებლად ჩვენ შეიძლება შემდგომში მივმართოთ ნიგნს ან მეტი ინფორმაციის მისაღებად ბიბლიოთეკას მივაკითხოთ, ან შესაძლებელია, ლექციას ან სასწავლო კურსსაც დავესწროთ. მაგრამ სამუზეუმო გამოფენის წარმატებულობას განსაზღვრავს ეფექტი, რომელმაც ახალი დამოკიდებულება ან ინტერესი წარმოშვა მნახველში და არა ის, რომ მათ მუზეუმში შეიძინეს ცოდნა კონკრეტული ფაქტების შესახებ, ან გაერკვნენ სამეცნიერო დისციპლინის ძირითად პრინციპებში.

გამოცდილების მიღება, რომელსაც დამთვალეირებელს სთავაზობს ხელოვნების ნიმუშთა დიდი გამოფენა, შეიძლება სიტყვიერად მეტად რთული ჩამოსაყალიბებელი იყოს, მაგრამ სწორედ ამგვარი გამოცდილება ხდის შესაძლებელს «ხელიდან ხელში» გადაეცეს ინფორმაცია, ანუ ეს ერთგვარად, რეკლამის კარგი საშუალებაა, რაც წარმატებული სამუზეუმო გამოფენის ყველაზე უტყუარი ნიშანია. ძველი ცივილიზაციის ღრმად აღქმა, ან მისი გადაჭარბებული შეფასება, ტოლერანტობა თანამედროვე უცხოური ან იმიგრანტული კულტურის მიმართ, არის ბევრი წარმატებული არქეოლოგიური ან ეთნოგრაფიული გამოფენის შედეგი. ქალაქის ისტორიის მასალების გამოფენამ შეიძლება ბიძგი მისცეს მშობლიური ქალაქის ქუჩების დაგეგმარების მიზეზების შესახებ ცოდნის გაღრმავებას. სამეცნიერო ცენტრში მიღებულმა ინტერაქტიურმა გამოცდილებამ შეიძლება გააღვიძოს დამთვალეირებლების ინტერესი გარემოს, ან მათ ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების მიმართ. ნებისმიერ შემთხვევაში, აუთენტური ექსპონატების გამოფენით მიღებული გამოცდილება, ანუ ემოციური სწავლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუზეუმის დამთვალეირებლები ნამდვილად იღებენ სიამოვნებას ამ პროცესისგან.

წინაიდან სამუზეუმო გამოფენები უნდა იყოს ერთდროულად საგანმანათლებლოც და სახალისოც, მათი დანიშნულება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

სამუზეუმო გამოფენის დანიშნულება არის დამთვალეირებლის ინტერესების, დამოკიდებულებების, ფასეულობების ზოგიერთი ასპექტის ემოციურ დონეზე გარდაქმნა, რაც ხდება დამთვალეირებლის მიერ გამოფენილი ობიექტების შინაარსის გარკვეული დონის აღმოჩენის შედეგად, რომელიც სტიმულირებული და გამყარებულია დამთვალეირებლის რწმენით, რომ ეს ობიექტები აუთენტურია.

ამრიგად, მუზეუმში არაა ბიბლიოთეკა და სამუზეუმო გამოფენა არ უნდა ეცადოს მისი ფუნქცია შეითავსოს. მუზეუმმა უნდა იგულისხმოს, რომ საგამოფენო დარბაზში გამოფენის

სახით დევს წიგნი და დამთვალეირებული მას ფეხზე მდგომი კითხულობს, როგორც ამას აკეთებს გრაფიკული საშუალებებით გადატვირთული ზოგი გამოფენა. მაგრამ იგი ასევე არ უნდა ეცადოს წიგნის შინაარსის სრულად გადმოცემას. გამოფენის ემოციური ხასიათი განაპირობებს უფრო ფოკუსირებულ, ნაკლებად დისკურსიულ მიდგომას.

მუზეუმი არაა არც სკოლა და არც უნივერსიტეტი, ამიტომ სამუზეუმო გამოფენა არ უნდა ეცადოს მნახველისთვის ლექციის ან სასწავლო კურსის შეთავაზებას. როცა გამოფენა ცდილობს სასწავლო მასალის ასეთი დონით გადმოცემას (რაც შეიძლება კიდევაც შეძლოს), მაგრამ სავარაუდოა, რომ დამთვალეირებულზე ის დადებით გავლენას ვერ მოახდენს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი სასწავლებელში გადის კონკრეტული საგნისადმი მიძღვნილ ასეთივე ხასიათის სასწავლო კურსს, ან უკვე არის მისი სპეციალისტი. სასკოლო ჯგუფების გამოკლებით, დამთვალეირებლები მუზეუმში ვიზიტს განხილავენ, როგორც არაფორმალური სწავლების ადგილს, მაგრამ მათ სულაც არ აურჩევიათ მუზეუმი, როგორც ოფიციალური სასწავლო დაწესებულება. ამიტომ კურატორი (მცველი) არ უნდა ცდილობდეს, რომ გალერეა საკლასო ოთახად აქციოს.

მუზეუმი ასევე არაა თავყვანისცემის და ლოცვის ადგილი, ამიტომ სამუზეუმო გამოფენა არ უნდა იყოს არც მქადაგებელი. მაშინაც კი, როდესაც გამოფენა ეძღვნება რელიგიას ან სხვადასხვა რწმენას, იგი ისე წარმოადგენს საგანს, რომ დამთვალეირებელმა ის აღქვას თავისი მიმართების, დამოკიდებულების შესაბამისად და არა – მისი შეხედულებების შესაბამისად. გარდაქმნის გამოცდილება, რომელსაც სამუზეუმო გამოფენები სთავაზობს დამთვალეირებელს, ეხება არა რწმენას, არამედ დამოკიდებულებას, ტოლერანტობასა და შეფასებას.

ამასთან, სამუზეუმო გამოფენა არაა ფილმი, ვიდეოთამაში ან ატრაქციონი. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება შეიცავდეს აუდიო-ვიზუალურ გასართობს, ინტერაქტიურ მულტიმედია პროგრამებს, სიმულაციის გამოცდილებას, ყოველივე ეს მიმართული უნდა იყოს გამოფენის შინაარსის შესაბამისად, დამთვალეირებლის ინტერესების, ფასეულობებისა თუ დამოკიდებულებების ცვლილებისაკენ. დამთვალეირებელმა სასიამოვნოდ უნდა გაატროს დრო და ამ სიამოვნებასთან და გამოცდილების მიღებასთან ერთად, აღმოაჩინოს ახალი, გააფართოვოს გამოფენის საგანთან დაკავშირებული არსებული ინტერესები და ფასეულობები.

გამოფენილი ობიექტების, ან თემების მიმართ დამოკიდებულების, კომპეტენტურობის, ან ფასეულობების ამგვარი ცვლილება, რომლისთვისაც შეიძლება XVIII საუკუნის ტერმინი – განათლება, გამოვიყენოთ, ისაა, რასაც სამუზეუმო გამოფენები საუკეთესოდ აკეთებს.

თუ ჩვენ გამოფენებს ამ თვალსაზრისით აღვიქვამთ, თავისთავად ნაგულისხმევი იქნება, რომ სამუზეუმო გამოფენის ორგანიზება არ არის მხოლოდ დიზაინთან დაკავშირებული პრობლემა, არამედ აქ დგას დამთვალეირებლების სამიზნე ჯგუფებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების საკითხიც. არსებითი კითხვები ასეთია:

- რა შინაარსის გადმოცემა გვინდა?
- ვისთვის ვაპირებთ ამ შინაარსის მიწოდებას?
- რომელია ყველაზე ადექვატური საშუალება ამ შინაარსის გადმოსაცემად?

გაითვალისწინეთ, რომ ეს კომუნიკაციის საკითხებია და არა – გამოფენის დიზაინის. გამოფენის დიზაინი მოსდევს ამ კითხვებზე პასუხს, მაგრამ არ წყვეტს ამ პრობლემებს. როდესაც გამოფენები წარუმატებელია, როგორც წესი, ეს ხდება იმის გამო, რომ ეს კითხ-

ვები არ დასმულა თავიდან და ამდენად, არ იყო მოძებნილი მათზე პასუხები. ხელოვნების ნიმუშები, არტიფაქტები, სხვადასხვა სახის ობიექტები, ან ზოგიერთ შემთხვევაში გამოფენის საგნობრივი სფერო, შეიძლება გადაეცეს გამოფენის დიზაინერს, მხილოდ იმ მცდარი წარმოდგენის გამო, თითქოს გამოცდილება, რასაც ველით გამოფენისგან, შეიძლება ერთგვარად მიღწეულ იქნას მხოლოდ დიზაინის მეშვეობით.

საპირისპიროდ, წარმატებული გამოფენები ამ კითხვებს პასუხობს როგორც ნაგულისხმევი, ასევე აშკარად გამოხატული სახით. განსაკუთრებით ხელოვნების ზოგიერთ გამოფენის შემთხვევაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ კითხვებზე პასუხი ზოგჯერ ძნელად ჩამოსაყალიბებელია ან თავისთავადაა ნაგულისხმევი, არ სჭირდება მტკიცება. მაგრამ ამგვარმა მიდგომამ შეიძლება შექმნას სამუზეუმო გამოფენის წარმატებული დაგეგმვისა და ევალუაციის საფუძველი. ზოგადად, რაც უფრო მკაფიოდაა ამ კითხვებზე გაცემული პასუხები, როგორც სიტყვიერად, ასევე საქმით, მით უფრო სავარაუდოა, რომ გამოფენა წარმატებული იქნება. ეს შეიძლება იყოს კურატორების, საგანმანათლებლო დარგის, ან სამუზეუმო დაგეგმვის თანამშრომლების საქმე, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს გაკეთებული, არსებითი ისაა, რომ ფუნდამენტური კითხვები უნდა იყოს გაგებული და აღქმული, როგორც ეფექტური საგამოფენო დიზაინის საფუძველი და არა პირიქით.

2.3 გამოფენის ალქმის ფორმაზი, მოდელები

დამთვალეიერებლის მიერ სამუზეუმო გამოფენის სწორად აღქმას ძირითადი მნიშვნელობა აქვს გამოფენის წარმატებისთვის. სამუზეუმო გამოფენების დანიშნულების ფოკუსირება ხდება გამოფენილი ობიექტების შინაარსის აღმოჩენის შედეგად მნახველზე ემოციური ზემოქმედების მოხდენაზე, რაც დაფუძნებულია იმაზე, რომ დამთვალეიერებელი დარწმუნებულია ობიექტების აუთენტურობაში. მიუხედავად იმისა, რომ სამუზეუმო გამოფენის შემეცნებისა და ალქმის იმდენივე ხერხი არსებობს, რამდენი მნახველიცაა, მაინც დამთვალეიერებლის ალქმის მოდელები შეიძლება დაჯგუფდეს ოთხ ძირითად მიმართულებად:

- მხედველობითი
- გაცნობიერების, გაგების
- აღმოჩენის
- ინტერაქტიური

ამ ნაწილში მოკლედ არის აღწერილი დამთვალეიერებლის მიერ სამუზეუმო გამოფენის ალქმის ეს ოთხი ფუნდამენტური მოდელები.

2.3.1 მხედველობითი მიმართულება

დამთვალეიერებლის ალქმის ეს მოდელები განსაკუთრებით მისაღებია ხელოვნების მუზეუმებში, რომელთა ძირითადი მიზანი მნახველთათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებაა, თუმცა ის აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას ისტორიის ან მეცნიერების მუზეუმებშიც. ამ მოდელებს ხელს უწყობს მხატვართა ცალკეული ნამუშევრების, გამოსახულებების, არტიფაქტების, ან ნიმუშების გამოფენა, რომლის მიზანია, გარშემო არსებული სხვა ობიექტებისაგან დამოუკიდებლად, თითოეული ამ ობიექტის ცალკე აღქმა და მისით ტკობა.

ტრადიციულად, ხელოვნების მუზეუმებში დაცული ნაწარმოებების ეტიკეტები გვანდის შეძლებისდაგვარად მცირე ინფორმაციას (სათაური, მხატვარი, თარიღები, მასალა, დონორი) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საკუთრივ ნაწარმოებით ტკობა, მისი განჭვრეტა. მაგრამ ლონდონის თვით გალერეამ ნამოინყო გალერეის კედლებზე თავისუფალი, არაკადემიურ-დასრულებული სახის მქონე, გრაფიკული კომენტარების მოთავსება, რომლის მიზანია მისცეს სტიმული მნახველს ხელოვნების ნაწარმოებების უფრო ღრმად გააზრებისთვის. ეს მიდგომა უკვე არაერთმა გალერეამ და მუზეუმმა გადაიღო. აუდიოტურებიც შეიძლება ასევე დაეხმაროს ზოგიერთ დამთვალიერებელს გამოფენილი ნამუშევრების ისეთი ასპექტების აღქმაში, რომელიც სხვაგვარად მისთვის მიუწვდომელი დარჩებოდა. სკამები, საზურგის მქონე კომფორტული დასაჯდომები, შეიძლება ხელს უწყობდეს დამთვალიერებელს და უბიძგებდეს მას გამოფენილი ნამუშევრების მხედველობითი აღქმისკენ. აგრეთვე, გამოფენილ ნამუშევრებს შორის კონტრასტი ან თანხვედრა შეიძლება თამაშობდეს გარკვეულ როლს, მაგრამ ამ შემთხვევებშიც კი, ცალკეული ნამუშევარი გამიზნულია მისი თავისთავადობის, სხვებისაგან დამოუკიდებლად აღქმისთვის, რომელიც იქნება უკვე შემდგომი შედარების საფუძველი.

2.3.2 გაცნობიერება-გაგების მიმართულება

აღნიშნულისგან განსხვავებით, ისტორიისა და მეცნიერების მუზეუმები უფრო მეტად წარმოადგენენ კონტექსტურ ან თემატურ გამოფენებს, რომელზეც გამოფენილი არტეფაქტები, ნიმუშები და სხვა ობიექტები არაა გამიზნული ცალ-ცალკე შესასწავლად, როგორც ინდივიდუალური ობიექტები, არამედ გულისხმობს მათ ერთობლიობაში, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული საგნების აღქმას. ზოგჯერ ისინი შეიძლება განთავსდეს ოთახში, ან ქმნიდეს დიორამას, ან სულ მარტივად – დაჯგუფებული იყოს საგამოფენო კარადაში თემატური ან კონტექსტური კავშირების შესაბამისად. გრაფიკული გამოსახულებები შეიძლება მრავალ ფენად იყოს წარმოდგენილი და დამთვალიერებლისთვის უფრო მოსახერხებლად აღსაქმელი რომ იყოს, შეიძლება წარმოადგენდეს სიტყვებისა და გამოსახულებების კომბინაციას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ცალკეული ობიექტის თვისებები შეიძლება მოითხოვდეს მის ინდივიდუალურად შეფასებას და აღქმას (როგორც ეს იყო მხედველობითი მოდელის შემთხვევაში), ამ შემთხვევაში მიზანი ისაა, რომ დამთვალიერებელს ვუბიძგოთ აღიქვას ობიექტების მნიშვნელობა ერთიმეორესთან კავშირში ან თითოეული ობიექტი – თემის ან საერთო კონტექსტის ფარგლებში. დამთვალიერებელი უფრო აქტიურადაა ჩართული კავშირის დამყარების პროცესში, როდესაც იგი შეისწავლის გრაფიკულ გამოსახულებებსა და წარწერებს, ან მაშინ, როცა ის ერთმანეთთან აკავშირებს და ადარებს ობიექტებს. გარდაქმნის გამოცდილება შედგება "აჰაა!" – აღმოჩენისაგან ობიექტების შინაარსის, ან გამოფენის თემასთან მიმართებით მათი კავშირის კონტექსტში.

2.3.3 აღმოჩენის მიმართულება

ყველაფრის მიუხედავად, სამუზეუმო გამოფენაში მნახველის ვიზუალურად და ინტელექტუალურად ჩართვის ყველაზე მეტად აქტიური საშუალებაა დამთვალიერებლის მიერ მსგავსი ნიმუშების ან არტეფაქტების კვლევა, თითოეული მათგანის შეფასება ან მათ შორის

კავშირის აღქმა. ეს არის აღქმის მოდელი, რომელიც ტრადიციულად ახასიათებს საბუნებისმეტყველო მუზეუმებს, მათთვის დამახასიათებელი ნიმუშების სისტემური კოლექციებით. მაგრამ ბოლო ხანებში, ამგვარი მიდგომა სულ უფრო ხშირია სხვადასხვა ტიპის მუზეუმებშიც, რომლებმაც აითვისეს გამოფენის ისეთი სახეობა, როგორიცაა ღია შენახვა, ანუ, როცა ობიექტები განთავსებულია ისე, როგორც საცავებში იმ განსხვავებით, რომ ისინი ადვილად დასათვალიერებელია მინის კარს მიღმა და უჯრებში. არტეფაქტების ან ნიმუშების შესახებ აღმოჩენა შეიძლება გაღრმავდეს სრული საკატალოგო ინფორმაციის დართვის მეშვეობით, რომელიც კომპიუტერის ეკრანზე ან ლამინირებული ბარათების სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ღია შენახვის შემინული კარადების გვერდით.

2.3.4 ინტერაქტიური მიმართულება

გამოფენის სწორად აღქმაში დამთვალიერებლის ჩართვის ყველაზე კინესთეტიური მოდელი, რომელსაც განსაკუთრებით იყენებენ სამეცნიერო ცენტრები და საბავშვო მუზეუმები, სადაც თანამშრომლები, მოხალისეები, საგამოფენო საშუალებები, ან ნიმუშების ასლები განხილულია, როგორც საგანმანათლებლო მიზნებისათვის განკუთვნილი ხელშესახები ობიექტები, შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი უკუგების მისაღწევად, რომელიც ბიძგს აძლევს დამთვალიერებლის მიერ გარდამქმნელი გამოცდილების შექმნას, შინაარსის აღმოჩენას, რომელიც გავლენას ახდენს მნახველის ფასეულობებზე, ინტერესებზე ან დამოკიდებულებებზე.

დამთვალიერებელთა კვლევები აჩვენებს, რომ ინტერაქტიური საგამოფენო ობიექტების ყველაზე მძლავრი ზემოქმედების მქონე ტიპებია, როცა დამთვალიერებელი "პასუხობს" ინფორმირებულ გიდს, სამუზეუმო დემონსტრატორს, ან ინტერპრეტატორს, რომლებსაც ეპოქის შესაბამისი კოსტიუმი აცვიათ. ამგვარი უშუალო ინტერაქცია შეიძლება გახდეს ყველაზე მეტად ეფექტური გამოცდილება, რომლის შეთავაზებაც მუზეუმს შეუძლია. ეს ფორმა განსაკუთრებით მართებულია იმ შემთხვევაში, როდესაც თანამშრომლები ან მოხალისეები მომზადებულნი არიან იმგვარად და იმ დონეზე, რომ დამთვალიერებლებში კითხვების დასმის სურვილი გამოიწვიონ და ჩართონ ისინი თავის პრეზენტაციებში.

არის ინტერაქტიური საგამოფენო ობიექტების მრავალი სხვა მაგალითი – მექანიკური ან ელექტრონული სახის, როდესაც გრაფიკულ გამოსახულებაზე დასმული კითხვის სწორი პასუხის სანახავად, საჭიროა აინიოს სპეციალური პანელი, ან ღილაკზე თითის დაჭერით ენახოთ სამგანზომილებიანი მოდელის ან რუქის სხვადასხვა ხედები. მაგრამ მულტიმედიაური პროგრამების განვითარებამ, განსაკუთრებით კომპიუტერული პროგრამების ადაპტირებამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ინტერაქტიურ გამოფენებს გაცილებით მეტი გასაქანი მისცა და გაამდიდრა, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო და ფიზიკური მეცნიერებების პრეზენტაციების შემთხვევაში, თუმცა ეს არანაკლებად ეხება ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებსაც. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ინტერაქტიურმა გამოფენებმა მოიცვა ატრაქციონები, სიმულაციის და ვირტუალური რეალობის გამოცდილება, გააფართოვა თავისი სფერო ისეთი საშუალებებით, როგორიცაა მონიტორებზე წარმოდგენილი პროგრამები, რაც ეხმარება დამთვალიერებელს მთლიანობაში დაინახოს ისტორიული ნაგებობა, რომელიც თავის დროზე იდგა არქეოლოგიური გათხრების ადგილზე და რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ საძირკვლის ნაშთების სახით.

ცხრილი 2.1 მნახველის მიერ გამოფენის აღქმის მოდელები

აღქმის მოდელი	ტიპი	ძირითადად გვხვდება (მაგრამ არა მხოლოდ)	თავისებურებები
ჭვრეტითი	ესთეტიკური	ხელოვნების მუზეუმები	ცალკეული ნამუშევრების ინდივიდუალური აღქმა
შემეცნებითი	კონტექსტური ან თემატური	ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის მუზეუმები	არტიფაქტების ურთიერთკავშირში, კონტექსტში ან თემასთან მიმართებით აღქმა
აღმოჩენის	კვლევის – როგორც ღია საცავში	საბუნებისმეტყველო მუზეუმები	ატეგორიების მიხედვით დაჯგუფებული ნიმუშების შესწავლა
ინტერაქტიური	უშუალო დემონსტრაცია: მულტიმედია	სემეცნიერო ცენტრები	სტიმულირებაზე კიესთეტიკური პასუხი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაბულა 2.1-ში მოცემული ორი ძირითადი პირობა:

I. ყველა ეს მოდელი შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული ნებისმიერი ტიპის მუზეუმში. ღია შენახვის საცავები და მულტიმედია პროგრამები, მაგალითად, მეტად კრეატიულად გამოიყენება ხელოვნების მუზეუმებში (როგორც ამას ადასტურებს ამ ნიგნში მოყვანილი მაგალითი), მაშინ, როდესაც გეოლოგიური გამოფენა (როგორც გახდა დიზაინერ რალფ აპელბაუმის მიერ შექმნილი "დედამინის გალერეა" ბუნების ისტორიის ამერიკის მუზეუმში, ნიუ იორკში, შეიძლება მოენცოს ისე, რომ მნახველმასაგნების სამეცნიერო მნიშვნელობის კვლევით არანაკლებ ისიამოვნოს, ვიდრე მათი ესთეტიკური თვისებებით.

II. ერთმა მუზეუმმა შეიძლება მეტად ეფექტურად შეათავსოს მოდელები. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ წარმოვადგენთ მაგალითს, რომელიც დაწერა ქორნიგის მინის მუზეუმის დირექტორმა. ამ მუზეუმში ყველა მოდელი მეტად შემოქმედებითად შეუთავსეს ერთმანეთს, რათა დამთვალიერებლისათვის შეექმნათ მინის ყველანაირ ასპექტთან – მის ესთეტიკასთან, ისტორიასთან, ტექნოლოგიასა და სოციო-ეკონომიკასთან, დაკავშირებული სასიამოვნო და სამახსოვრო გარემო.

მაგალითი 2.1.

გამოფენაჰი ქორნიგის მინის მუზეუმში

დამთვალიერებლის აღქმის მოდელების კომბინირება
დევიდ ვაითჰაუზი, დირექტორი

ქორნიგის მინის მუზეუმი, არამომგებიანი დაწესებულებაა, გაიხსნა 1951 წელს როგორც ქორნიგის მინის ცენტრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ამავე ცენტრის ნაწილი იყო სთიუბენის მინის საწარმო და საკუთრივ მინის ცენტრი, კომერციული ორ-

განიზაცია, რომელშიც შედიოდა მეცნიერებისა და ინდუსტრიის სახლი, სადაც ნაჩვენები იყო მინის თვისებები, დამახასიათებელი ნიშნები და ქორნინგის მინის ნაწარმის გამოფენა. თავდაპირველად ეს ორგანიზაცია დაფუძნდა იმისათვის, რომ დამთვალეირებლისათვის კომპლექსურად წარმოეჩინა მინა, როგორც მხატვრული მასალა, ადამიანის ისტორიის ნაწილი, სამეცნიერო კვლევის საგანი და აგრეთვე – როგორც ინდუსტრიული და კომერციული პროდუქტი.

1998 წელს მუზეუმმა თავის არაკომერციულ ნაწილს მიუერთა მინის ცენტრი და გაფართოვდა (ძირითადი ნაგებობების განახლება და გაფართოვება დასრულდა 2000 წელს). ძირითადი კოლექციების მიმდინარე გამოფენები ასახავს მუზეუმის ზრდას არა მხოლოდ მისი ზომების, არამედ შესაძლებლობების და თვალსაწიერის მხრივაც. ბევრი მუზეუმისგან განსხვავებით, ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი მოვლენის, ან არტეფაქტების, ან ხელოვნების ნაწარმოებების წარდგენით, არამედ წარმოაჩენს ყოველივე ამას ერთად, როგორც ერთი მასალისაგან შესრულებულ ნიმუშებს.

სურ. 2.1 მინის მჭრელი ქორნინგის მინის მუზეუმში

წყარო: ქორნინგის მინის მუზეუმი. ფრანკ ბორკოვსკი

15 წუთიანი შესავალი ფილმის ნახვის შემდეგ, დამთვალეირებლები ნახულობენ შემდეგ გამოფენებს:

მინის ინოვაციის ცენტრი

ერთმანეთთან დაკავშირებული სამი გალერეა მნახველს აცნობს მსოფლიოს მასშტაბით მინის წარმოებაში ინოვაციების 100 წლიან ისტორიას, აგრეთვე ნივთებს, რომლებმაც შეცვალა ჩვენი ცხოვრება. გალერეებში მჭიდროდ არის განლაგებული ექსპონატები, მათი დათვალეირება ხდება სწრაფ ტემპში, ინტერაქტიური საშუალებების გამოყენებით. ასეთი გალერეებია:

- ფანჯრების გალერეა (ბრტყელი მინა, ნაწრთობი, ლამინირებული და საფარველიანი მინა, ფორმიანი მინა საავტომობილო წარმოებისათვის)
- ოპტიკის გალერეა (ლინზები ტელესკოპებისა და მიკროსკოპებისათვის, მინები შუქურებისთვის, ოპტიკურად წმინდა მინა, ოპტიკური ბოჭკო)
- ჭურჭლის გალერეა (ბოთლები, ნათურები, კათოდური სანათი მილაკები, ბოროსილიკატის მინა, მინის ბოჭკო)

ხელოვნებისა და ისტორიის გალერეები

მინის წარმოების ოცდათხუთმეტი საუკუნე მსოფლიოში. გალერეები ქმნის უწყვეტ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, რომელსაც თან სდევს დროის შკალა სხვადასხვა კულტურებსა და პერიოდებთან დაკავშირებული ძირითადი თარიღებითა და გამოსახულებებით, რაც ფონს უქმნის წარმოდგენილ კოლექციას. ამრიგად, ესთეტიური მოდელი კომბინირებულია თემატურ ან კონტექსტურ მოდელთან. თითოეულ გალერეაში შედევრები თავმოყრილია მთავარ კარადებში, ხოლო უფრო რიგითი ობიექტები გამოფენილია გაცილებით უფრო დიდი რაოდენობის "მეორეხარისხოვან" კარადებში. გალერეებში წარმოდგენილია:

- პრე-რომაული მინა
- რომაელების და მათი თანადროული მინა
- ისლამური სამყაროს მინა
- ევროპული მინა, XIII-XIX ს.ს.
- აღმოსავლეთ აზიის მინა
- ამერიკული მინა, XVIII-XX ს.ს.
- ფერმერული ქალაქიდან – “ბროლის ქალაქამდე” (ქორნინგის ბროლის წარმოება)
- თანამედროვე მინა (არტ ნუვოდან დღევანდელ დღემდე)

ძირითადი მიზანი, რომელსაც ისახავდა ამ გალერეების დაგეგმვა, იყო დამთვალიერებლის მიერ გამოფენილი მასალის აღქმის გაადვილება, რისთვისაც გამოფენა აენყო ისე, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით ეჩვენებინათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ერთდროულად მიმდინარე განვითარების პროცესი.

- გალერეები, რომლებშიც ხელოვნება და ისტორია ესაზღვრება ერთმანეთს:

- ჯერომ და ლიუსილ შტრაუსების სასწავლო გალერეა (სარეზერვო კოლექცია). აქ მუზეუმი დამთვალიერებლებს აღმოჩენის მოდელის შესაბამისად, სთავაზობს კოლექციის ყველა ნაწილის მეტად ფართო, წარმომადგენლობით გამოფენას

- დროებითი გამოფენის გალერეა, სადაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი მოდელის შესაბამისი გამოფენა.

ქანდაკების გალერეა

- თანამედროვე მინის ქანდაკების დროებითი გამოფენა მუდმივი კოლექციიდან. ამ გალერეისათვის დამახასიათებელია სივრცე, სინათლე და სიმშვიდე. აქ ბატონობს ესთეტიური მოდელი.

- ქორნინგში დამთვალიერებლის მიერ აღქმის სხვა მოდელებია:

- ცხელი მინის შოუ (ძალზე პოპულარული, მჯდომარე აუდიტორიის წინაშე მინის გაბერვის 15 წუთიანი დემონსტრაცია კომენტარით)

- სახელოსნო (მთელი წლის განმავლობაში მოქმედი მუზეუმის სახელოსნო, სადაც მინაზე მუშაობის სხვადასხვა ტექნიკა ისწავლება)

- ლეონარდ და ჯულიეტ რაკოვების კვლევითი ბიბლიოთეკა: მსოფლიოში ყველაზე სრული რესურს-ცენტრი მინის შესახებ, რომელიც დამთვალიერებლებს კვლავ აღმოჩენის მოდელს სთავაზობს.

ეს რესურსები (საგანმანათლებლო პროგრამებთან, პუბლიკაციებთან და სამეცნიერო კვლევასთან ერთად) შესაძლებლობას აძლევს მუზეუმს მიაღწიოს დასახულ მიზანს: მოუთხროს მსოფლიოს მინის შესახებ.

გამოფენა წარმოადგენს ერთ მთლიანობას და დამთვალიერებლის გამოცდილებაც არის თანმიმდევრული და შემაჯამებელი. ამრიგად, ნებისმიერი დამთვალიერებლის მიერ ამ მოდელების აღქმა ან მათი კომბინაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს წრფივი თანმიმდევრობით ან ისეთი გამოფენის სახით, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ თავისუფლად იმოძრაონ გალერეებში და თვითონ აღმოაჩინონ კავშირები გამოფენილ ობიექტებს შორის.

- გამოფენის წრფივი თანმიმდევრობა ყველაზე მეტად მიესადაგება შემთხვევებს,

როდესაც მუზეუმს სურს მოყვეს ამბავი, რომელიც თანმიმდევრულად იქნება აღქმული, მაგალითად – ქრონოლოგიური ისტორია. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც ხელოვნების ნიმუშების თანმიმდევრული განთავსებით მათი შექმნის თარიღის მიხედვით, ისე, რომ თითოეულის ესთეტიური აღქმა შესაძლებელი იქნება ისევე ადვილად, როგორც თემატური თანმიმდევრობა, რომელიც მიჰყვება მონათესავე ექსპონატების ამბის ხაზს და გათვალისწინებულია დამთვალიერებლის მიერ კავშირების ანდა კონტექსტის აღსაქმელად.

- თავისუფალი დათვალიერებისთვის განკუთვნილი გამოფენები, შესაძლებლობას აძლევს დამთვალიერებელს დამოუკიდებლად იკვლიოს კავშირები, იქნება ეს განპირობებული არტეფაქტებისა და ნიმუშების დახარისხებული ღია შენახვის წესით გამოფენა, თუ ინტერაქტიური ან აღქმის მოდელის შესაბამისად განლაგებული ობიექტების ჯგუფი, რომელიც ასურათებს თემის ასპექტებს, რომელთაც არ სჭირდება თანმიმდევრული გამოცდილება. თავისუფალი დათვალიერებისათვის ესთეტიკური ფასეულობის მქონე ექსპონატები იმ შემთხვევაში შეიძლება გამოიფინოს, თუ დამთვალიერებელს არ სჭირდება ქრონოლოგიური, ან სხვა რაიმე თანმიმდევრობის, დაცვა.

სამუზეუმო გამოფენების მიზნის, იმ გზებისა და საშუალებების ცოდნა, რომელიც დამთვალიერებლის მიერ ექსპონატების აღქმის სხვადასხვა ვარიანტებს წარმოშობს ამ მიზნის მისაღწევად, ქმნის კომუნიკაციის ამ უნიკალური მეთოდების დაგეგმვის და შეფასების შესაძლებლობის საფუძველს.

როგორ წარმოიქმნება გამოფენის იდეა?

მაშინ, როცა სამუზეუმო გამოფენა საუკეთესო შემთხვევაში არის საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალება, რომელიც გვთავაზობს გარდამქმნელ ემოციურ გამოცდილებას და ამით აფართოვებს ან ცვლის დამთვალიერებლის ცოდნას, ინტერესს, ან შეფასებას საკუთარ თავსა ან სამყაროს მრავალ ასპექტთან მიმართებაში (რაც დაფუძნებულია დამთვალიერებლის რწმენაზე, რომ გამოფენილი და მის მიერ აღქმული ობიექტები აუთენტურია), შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი გამოფენების იდეა შეიძლება გაუჩნდეს მხოლოდ მუზეუმის პროფესიონალებს, ამ საქმის ექსპერტებს. რამდენიმე ათწლეულის წინ ეს დასკვნა თავისთავად ნაგულისხმევი იქნებოდა და არც ეს ნაწილი იქნებოდა საჭირო სამუზეუმო გამოფენებისადმი მიძღვნილ წიგნში.

მიუხედავად ამისა, სამუზეუმო გამოფენისადმი ამგვარი მიდგომა, მიგვანიშნებს აგრეთვე სხვა შესაძლებლობებზეც. საჭიროა თუ არა, რომ სამუზეუმო გამოფენა გაკეთდეს მოცემული დისციპლინის კვლევის შედეგად გამოკვეთილ პრობლემაზე დაყრდნობით? თუ მისი საგანი უნდა პასუხობდეს საზოგადოებრივ ინტერესს, ან საზოგადოებრივ მოთხოვნილებას? რა როლი ენიჭება იმ საზოგადოებას, რომლისთვისაც გამიზნულია გამოფენა და რომელთა ნაწილიც, შესაძლოა, ადრე არც არასოდეს ყოფილა მუზეუმში? როგორ შეიძლება მიიღონ მათ მონაწილეობა სამუზეუმო გამოფენის ისეთი იდეების ჩამოყალიბებაში, რომელიც მათ ნააზრევს ეხმიანება? მოცემული ნაწილი იკვლევს იმ საკითხებს, რომლებიც აისახება სამუზეუმო გამოფენის დაგეგმვასა და განვითარებაზე და აგრეთვე გვთავაზობს აუდიტორიისადმი ისეთ მიდგომას, სადაც გამიზნულია კითხვაზე პასუხი.

3.1 კვლევაზე დაფუძნებული და გაზარჯე ორიენტირებული გამოფენები

ბარი ლორდი

დასახელებული ორი მიდგომა, ხშირად წარმოდგენილია როგორც ურთიერთ შეუთავსებელი ალტერნატივები – დაფუძნებული ფართოდ გავრცელებულ წარმოდგენაზე, თითქოს სამუზეუმო გამოფენა უნდა ეყრდნობოდეს ან კვლევას ან საბაზრო მოთხოვნებს:

- *კვლევაზე დაფუძნებული საგამოფენო პროგრამა* არის ის, რომელიც წარმოიშობა საკუთრივ დისციპლინის, სამუზეუმო კოლექციის ანალიზის, ან – მუზეუმის კურატორების ინტერესების საფუძველზე. მას სთავაზობენ, როგორც მოცემულ სფეროში ჩვენი ცოდნის გაღრმავების საშუალებას, მაგალითად, ის შეიძლება მიეძღვნას დაუმსახურებლად დაუფასებელი მხატვრის საზოგადოებისთვის გაცნობას, არქეოლოგიური გათხრების ახალი ადგილის აღმოჩენას, ან საფრთხეში მყოფი ნიმუშების ეკოლოგიას.

- *საპირისპიროდ, ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ საგამოფენო პროგრამას*, საფუძველად ედება საზოგადოების ინტერესი ან მოთხოვნილება, რომელსაც ინტერპრეტაციას უკეთებს მუზეუმი. პოლიტიკურმა მოვლენებმა შეიძლება მიუთითონ ეთნიკური ჯგუფის ან უცხო ქვეყნის კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენის აუცილებლობაზე. მხატვრის პოპულარობამ შეიძლება განაპირობოს რეტროსპექტივის საჭიროება, ან ჯანმრთელობასთან

დაკავშირებულმა საკითხებმა შეიძლება ბიძგი მისცეს მავნე ჩვევებისა და მათზე კონტროლის საშუალებებისადმი მიძღვნილი გამოფენის მონაცემებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ალტერნატივები ხშირად ისე ფიგურირებს ხოლმე პროფესიულ დისკუსიებში, თითქოს ერთმანეთს უპირისპირდება, მაგრამ პრაქტიკაში ეს ყალბი დიქტომიაა. აღნიშნული შეიძლება ჩამოყალიბდეს, შემდეგი პრინციპის სახით:

ერთის მხრივ, კვლევა, თუნდაც ყველაზე იშვიათ დისციპლინებში, არ ხდება სოციალურ ვაკუუმში და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ინტერესი ყოველთვის არის დაკავშირებული სოციალურად პასუხისმგებლობით შესრულებულ კვლევასთან. სწორედ მუზეუმის პროფესიონალების ამოცანაა გამოძებნონ ამგვარი კავშირები. ამრიგად, წარმატებული სამუზეუმო საგამოფენო პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს ორივეს – კვლევასაც და ბაზრის მოთხოვნებსაც. საგამოფენო პოლიტიკა უნდა აყალიბდეს ამ ამოცანას ტერმინებით, რომელიც მუზეუმის კონკრეტულ დისციპლინას (ან დისციპლინებს) შეესაბამება და უნდა პასუხობდეს მიზანს, იყოს პასუხისმგებელი საზოგადოების, აუდიტორიის მიმართ.

ავსტრალიის მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა, დეს გრიფინმა, რომელიც დარწმუნებული იყო ამ პრინციპის მართებულობაში, საგამოფენო იდეებისათვის შემოიღო “წინადადებების ყუთი”. მან არა მხოლოდ სთხოვა ყველა თანამშრომელს, რომ ყუთში ჩაეგდოთ გამოფენის მონაცემებსა და დაკავშირებული ნებისმიერი წინადადება, არამედ ნაახალისა და ცვა, დამთვალეირებლის მომსახურე პერსონალი, რათა მათ დაეფიქსირებინათ დამთვალეირებელთა მოსაზრებები ამ კუთხით. მისი, როგორც დირექტორის, საქმე იყო გაეანალიზებინა წინადადებები, შეეკრიბა ყველა განყოფილების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომიტეტი და განეხილათ ის საგამოფენო იდეები, რომელთა განვითარებაც ღირდა. გამოფენის კონცეფციის შემუშავებაში მონაწილეობდა ყველა განყოფილება, დაცვისა და ტექნიკური პერსონალის ჩათვლით.

3.2 საგამოფენო კვლევის დაგეგმვა

ბარი ლორდი

რამდენადაც სასურველი უნდა იყოს მსგავსი პრაქტიკა, მუზეუმის ბევრი პროფესიონალი ამჯობინებს კვლევაზე და ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული მიდგომების გაერთიანებას, რაც სხვა არაფერია, თუ არა საუკეთესო სურვილი, მაგრამ ისეთი, რომელიც მიუღწეველია ყოველდღიურ მოთხოვნილებებთან მიმართებაში და რომელიც გულისხმობს დროის, ფულის, რესურსების და პერსონალის გამოყენებას სამუზეუმო გამოფენის პროგრამის გახორციელებისთვის. მართლაც, კურატორები, რომლებიც პასუხს აგებენ საგამოფენო პროგრამებზე და ამავე დროს ცდილობენ კვლევებიც ჩაატარონ, ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ისეთ ვითარებაში, რომელთგან არც ერთია სასურველი და არც მეორე:

- ზოგიერთმა კურატორმა, მუდმივად ცვალებადი საგამოფენო პროგრამას შემუშავებისას, შეიძლება სცადოს კვლევის ჩატარება. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ახერხებს მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი საკვლევი თემების შესასწავლად მოკლე “შეტყუების” სერიების ჩატარებას და თითოეულის შინაარსს მხოლოდ მცირე დროს უთმობს, რადგან მუშაობის დაძაბული გრაფიკის გამო, მას მეტი საშუალება არ აქვს. საგამოფენო კატალოგები და გამოფენისთვის აუცილებელი ტექსტები შეიძლება წინასწარ მოამზადო და გამო-

ფენებიც დროულად იქნება ინსტალირებული, მაგრამ ბევრი ისეთი თემა შეიძლება დარჩეს შეუსწავლელი, რაც აუცილებელია მუზეუმის ფასეულობის შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად.

- ამის ალტერნატივა თანაბრად არასასურველია როგორც მუზეუმისთვის, ასევე მისი თანამშრომლებისთვის. ამ შემთხვევაში კურატორი თავს არიდებს საგამოფენო პროგრამას და მასზე პასუხისმგებლობას გადააბარებს ასისტენტს, დიზაინერს ან გამოფენის თანამშრომელს, რის შედეგადაც მას უჩნდება თავისუფალი დრო კვლევისთვის, მაგრამ ეს კვლევა შეიძლება მხოლოდ ირიბად იყოს დაკავშირებული კოლექციასთან და ხშირად ასახვას პოვნებს მხოლოდ პროფესიულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში. ამ შემთხვევაში კურატორი ესწრაფვის დაემსგავსოს მკვლევარ პროფესორს, რომელიც თავის ცოდნას არავის არ გადასცემს.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ასეთი რამ არც მოხდეს, აღნიშნული ფაქტორი მაინც გასათვალისწინებელია, როგორც შესაძლო ვარიანტების სანინალმდეგო პოლუსები, რომელთაგან არც ერთი არაა მისაღები არც მუზეუმისათვის და არც მისი თანამშრომლებისთვის. ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებაა კვლევის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გულისხმობს კურატორების, კონსერვატორების, დიზაინერების, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტებისა და გამოფენის თანამშრომელთათვის კვლევის გეგმების შემუშავებას:

- *მუზეუმის კვლევის პოლიტიკა* არის მუზეუმის ვალდებულება, აწარმოოს კვლევა, დაუთმოს მას შესაბამისი დრო, ფული, პერსონალი და ფართი. ეს შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს. მაგალითად, უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე ხელოვნების გამოფენის შესაბამისობა უახლეს (საგამოფენო თვალსაზრისით) შესაძლებლობებთან, ან მიიღება გრძელვადიანი ვალდებულება უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მუზეუმის ნიმუშების საფუძველზე შესწავლილ იქნას რეგიონულ ფლორასა ან ფაუნაზე გარემოს ცვლილებების გავლენა. კვლევის პოლიტიკა უნდა აყალიბებდეს მუზეუმის დამოკიდებულებას მისი თანამშრომლების მიერ კვლევითი ინტერესების შესაბამისად წარდგენილი საგრანტო განაცხადების მხარდაჭერის შესახებ. აგრეთვე აუცილებელია ჩამოყალიბდეს მუზეუმის მიდგომა ინტელექტუალური საკუთრების საკითხებისადმი, რათა თანამშრომლების მიერ მუზეუმში ჩატარებული კვლევის შედეგები და პუბლიკაციები გაიმიჯნოს კვლევის იმ შედეგებისაგან და პუბლიკაციებისაგან, რომელიც თავისუფალ დროს და სხვა გარემოში შეიქმნა. პოლიტიკა უნდა აღწერდეს მუზეუმში ჩასატარებელი კვლევების სპექტრს, სასურველია აქ იყოს მუზეუმის მალაზიის, მისი კომუნიკაციებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა, ისევე, როგორც საკურატორო და სარესტავრაციო კვლევები. უპირველეს ყოვლისა, კვლევის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მთელ იმ პერსონალს, რომელსაც სურს აწარმოოს კვლევა პირადი წლიური კვლევის გეგმის მოსამზადებლად, რომელიც დამტკიცების შემდეგ შეიძლება გახდეს კვლევის ძირითადი გეგმის შემადგენელი ნაწილი.

- მუზეუმის თითოეულ თანამშრომელს, რომელსაც სურს კვლევის ჩატარება (მათ შორის შეიძლება იყვნენ როგორც გიდები, მოხალისეები, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამების, მარკეტინგის და განვითარების სპეციალისტები, შენობის მენეჯერები, ასევე – კურატორები, მათი ასისტენტები, რესტავრატორები და მეცნიერ-რესტავრატორები), უნდა მოეთხოვოს კვლევის პირადი წლიური გეგმის მომზადება. ეს გეგმა უნდა აყალიბებდეს ინდივიდუალური კვლევის ამოცანებს და აკავშირებდეს მათ მუდმივ კოლექციასთან და მუზეუმის

დამთვალეირებელზე ორიენტირებულ პროგრამებთან, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს გამოფენებს, საგანმანათლებლო, მარკეტინგის განვითარების ან სხვა პროგრამებს. კვლევის გეგმა უნდა აღწერდეს მკვლევარის კონკრეტულ კვალიფიკაციას და იძლეოდეს მეთოდოლოგიას, რომელიც პასუხობს როგორც სამეცნიერო-აკადემიური, ასევე პრაქტიკული შედეგების მიღებას, მაგალითად, როგორცაა ფინანსური ან მოგზაურობის აუცილებლობის დასაბუთება. კვლევის გეგმა უნდა შეიცავდეს კვლევის შესრულების გრაფიკს, საჭიროების შემთხვევაში – მრავალწლიანს. ამ შემთხვევაში ყოველი წლის კვლევის გეგმა უნდა განახლდეს ყოველწლიურად, მასში მოცემული უნდა იყოს კვლევის განვითარების ანგარიში ან ხელისშემშლელი ფაქტორები და საჭიროების შემთხვევაში – რეკომენდებული ცვლილებები. უნდა გადაიხედოს თითოეულის პირადი კვლევის გეგმა, დამტკიცდეს დირექტორის მიერ, რათა კონკრეტული თანამშრომელი იყოს ანგარიშვალდებული ხელმძღვანელის წინაშე. დირექტორის მოვალეობაა ყველა პირადი გეგმის გაერთიანება მუზეუმის საერთო გეგმაში. ამ პროცესისთვის შეიძლება საჭირო იყოს სამუშაო თათბირების ჩატარება, რათა პირადი პრიორიტეტები მიესადაგოს დაწესებულების მისიას, კორპორატიულ გეგმას და პირიქით.

ბევრი კურატორი და ზოგიერთი მუზეუმის დირექტორი ფიქრობს, რომ გეგმებს შეუძლია შეზღუდოს სამეცნიერო კვლევის თავისუფლება. ეს განსაკუთრებით ეხება კურატორებს, რომლებსაც აქვთ სურვილი მუზეუმებმა შეინარჩუნონ კვლევის ფუნქცია. მაგრამ სინამდვილეში კვლევის გეგმა, როგორც ეს აქ არის წარმოდგენილი, შეიძლება იქცეს საშუალებად, რომელიც დაეხმარება მათ გადაწყვიტონ ზემოთაღნიშნული დილემა, კერძოდ, როდესაც კურატორები იძულებულნი არიან ერთი გამოფენიდან მეორეზე გადაერთონ ან პირიქით, როდესაც კურატორი თავს აღწევს საგამოფენო პროგრამას კვლევის გამო. მუზეუმი არც უნივერსიტეტი და არც კვლევითი ინსტიტუტი, მაგრამ ის შეიძლება გახდეს ყველა დისციპლინის ფარგლებში კვლევის სასიცოცხლო ცენტრი, რომელიც ერთნაირად იკვლევს როგორც მუდმივ კოლექციას, ასევე – ემსახურება დაწესებულების აუდიტორიაზე ორიენტირებულ პროგრამებს. ყოველწლიურად განახლებადი მთელი მუზეუმის კვლევის ძირითადი გეგმა, რაც დაფუძნებულია ყველა დაინტერესებული თანამშრომლის პირადი კვლევის გეგმებზე, შეიძლება გახდეს მუზეუმის წიაღში კვლევის შენარჩუნების დინამიური გზა.

მაგალითად, საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმისათვის, კვლევის ძირითადი გეგმა, შეიძლება მოიცავდეს ორნიტოლოგიის კურატორის პირადი კვლევის გეგმას, რომელიც გულისხმობს კონკრეტული ფრინველების ნიმუშების როგორც გენეტიკურ შესწავლას დნმ-ის ანალიზის საფუძველზე, ასევე მათი არეალის კვლევას და მათ შორის კავშირების დადგენას. ასეთი სამუშაოს გრაფიკი შეიძლება რამდენიმე წლითაც კი იყოს დაგეგმილი თუ მარკეტინგის და საგანმანათლებლო განყოფილებების რჩევით, დირექტორი გადაწყვეტს, რომ მუზეუმის საგამოფენო პროგრამას ძალიან სჭირდება გამოფენა “შინაური ფრინველები”, რომელიც ეპასუხება სასკოლო პროგრამას, სადაც განიხილება კლიმატური ცვლილებებისა და დაბინძურების საკითხები და ამავე დროს, სახალისო იქნება მთელი ოჯახით მოსული დამთვალეირებლისთვის. ამრიგად, გადაწყვეტილება, რომ ორნიტოლოგიის კურატორის კვლევითი სამუშაო ამ მიმართულებით გაგრძელდეს მომავალი წლის მანძილზე, რათა ეს გამოფენა დაიგეგმოს და განვითარდეს, შეიძლება მიღებული იქნას როგორც კვლევის გრძელვადიანი გეგმა, რომელიც უკვე ჩართულია მუზეუმის ძირითადი კვლევის გეგმაში. ალტერნატივა შეიძლება იყოს სპეციალური გამოფენისა და მარკეტინგული და გაყიდვების პროგრამების მოსამზადებლად მონვეული კურატორის მონვევა, რომელიც თავის თავზე

აიღებს მნახველთა რაოდენობის ზრდას, შემოსავლების, კერძო შემოწირულობების და სპონსორების, ან სამთავრობო გრანტების მოძიებას დამატებითი ხარჯების დასაფარად.

ამ გადანყვეტის მიმართ სწორი მიდგომა იქნება თუ ორნიტოლოგიური ნიმუშების კვლევის პროექტი ჩასმული იქნება მუზეუმის კვლევის ძირითად გეგმაში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ის დაუკავშირდება მუზეუმის აუდიტორიაზე ორიენტირებული პროგრამების ამოცანებს. ეს შეიძლება იყოს ფრინველების ძირითადი კოლექციის ახალი გამოფენა, რომელსაც თან ერთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა. როგორც გადანყვეტილება უნდა იქნას მიღებული, კვლევის გეგმისა და კვლევების პოლიტიკის დახმარებით კურატორის კვლევა შეიძლება ჩართული იყოს მუზეუმის მნახველებზე ორიენტირებულ პროგრამებში. სამუზეუმო კვლევა, რომელსაც აქვს სასურველი, მაგრამ საკმაოდ ხშირად არაპრაქტიკული ძიების სტატუსი, უნდა გარდაიქმნას მუზეუმის პოლიტიკის, დაგეგმვისა და პრიორიტეტების შემუშავების პროცედურების ფარგლებში.

3.3. საგამოფენო იდეები: საზოგადოებისა და აუდიტორიის სურვილების ინტეგრაცია

მარგარეტ მერი

პროფესიონალების მიერ მართულ მუზეუმებში დანერგილია პრაქტიკა, როდესაც კურატორებს აკისრიათ პასუხისმგებლობა მუზეუმის კოლექციები წარუდგინონ დამთვალიერებლებს. კურატორის ავტორიტეტს წარმოშობს მისი ცოდნა ხელოვნების ნაწარმოებების, არტეფაქტებისა და ნიმუშების შესახებ, რომელიც ჩვეულებრივ ეფუძნება სამეცნიერო ან სხვა დისციპლინაზე დამყარებული კვლევის მოდელს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დანესებულებაში არსებობს სხვა მიდგომებიც, კერძოდ, საგანმანათლებლო და მარკეტინგის სფეროს თანამშრომლების გაკვლევა გამოფენების შერჩევაზე, ყურადღების გამახვილება საკვანძო საკითხებზე, რომელთა მიზანია დამთვალიერებლებისათვის გამოფენა უფრო შინაარსიანი და მიმზიდველი გახადონ.

მაშინ, როდესაც წარმატებულმა გამოფენამ შეიძლება მიიზიდოს დიდი რაოდენობით მნახველი, რაც პრაქტიკული სარგებელსაც მოუტანს მუზეუმს, სულ უფრო მეტი მუზეუმი ხვდება, რომ საგამოფენო პროგრამა არის ფუნდამენტური ინსტრუმენტი იმ საზოგადოებასთან მუდმივი კავშირების დასამყარებლად, რომელსაც ის ემსახურება და აგრეთვე იმ აუდიტორიებთან, რომელსაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა იზიდავდეს. ყოველივე ამის გაცნობიერება მოხდა მას შემდეგ, რაც მუზეუმებმა გამოფენის იდეის განვითარების და კოლექციის ინტერპრეტაციის პასუხისმგებლობა გაუზიარეს იმ საზოგადოებებს, რომლებსაც აქვთ ინტერესი და რომელთაც ეკუთვნით ეს კოლექცია, ან იმ აუდიტორიებს, რომლებსთვისაც გამიზნულია კონკრეტული გამოფენა. ამგვარად, პერსპექტივაში გამოფენები შეიძლება იყოს კიდევ უფრო წარმატებული. გამოფენის განვითარების ეს პროცესი მუზეუმის საგანმანათლებლო მისიას კიდევ უფრო ავითარებს და საინტერესოს ხდის.

როდესაც მუზეუმები გამოფენის განვითარების პასუხისმგებლობას უზიარებენ ადგილობრივ საზოგადოებას ან სავარაუდო აუდიტორიას, ეს არ ნიშნავს, რომ კოლექციის ფუნდამენტური მთლიანობა ან კურატორის კვლევა დაკნინებულია. მუზეუმების გამოცდილება აჩვენებს, რომ უკეთესისაკენ და მაღალი ხარისხისაკენ სწრაფვას არანაირი თვალსაზრისით არაფერი აკლდება იმ შემთხვევაში, თუ გამოფენების დაგეგმვის დროს ყურადღება ექცევა

საკუთარ, ადგილობრივ საზოგადოებასა და აუდიტორიას.

ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნებზე ორიენტირებული გამოფენის დაგეგმვისადმი მიდგომის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ სთეიქჰოლდერები (საერთო საქმის ორგანიზებაში ჩართული ადამიანები), აუდიტორია და პროცესები.

• *სთეიქჰოლდერები* არიან ისინი, ვისაც აქვს კანონიერი ინტერესები და განსაკუთრებულად ერკვევიან ხელოვნების ნამუშევრებში, არტეფაქტებსა ან ნიმუშებში, რომელიც უნიკალურია არა მარტო ისტორიის, არამედ მათი გამოცდილების წყალობით. როდესაც მუზეუმი გადაწყვეტს გამოფენის მოწყობას ამ კოლექციებიდან, არსებითია ამ ჯგუფის ჩართვა თემების არჩევის პროცესში, გამოფენის "ისტორიის" შექმნაში, ინფორმაციის მიწოდებასა და გამოფენის დიზაინის გადწყვეტის პროცესში. ტრადიციულად, მუზეუმები ამისათვის იზიდავენ ისეთ "სთეიქჰოლდერებს", როგორც არიან მხატვრები, კოლექციონერები და ხელოვნების ნიმუშებზე მომუშავე დილერები. დღეს უკვე "სთეიქჰოლდერის" კონცეფცია გაფართოვდა და მოიცავს მათაც, ვისთვისაც კოლექციას აქვს ისტორიული დანიშნულება და დატვირთვა. გამოფენის პროცესის დაგეგმვის დროს, მუზეუმს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული გამოფენაში მათი ჩართვის, მონაწილეობის ხასიათი – დანყებული მრჩეველის როლით, როცა მუზეუმი მხედველობაში იღებს რჩევებს და დამთავრებული სრული პარტნიორობით, როდესაც გადწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობა თანაბრად გაზიარებული. როგორც ბრიტანული კოლუმბიის სამეფო მუზეუმის მიერ მოწყობილი გამოფენის – "ნისლს მიღმა – ნუუ-ჩა-ნულსის ბელადების საგანძური", გამოცდილება გვიჩვენებს ამ ნაწილის ბოლოს მოყვანილ მაგალითში, მუზეუმი იწყებს სრულ პარტნიორობას სთეიქჰოლდერების ადგილობრივ საზოგადოებასთან, დაგეგმვის პროცესი თავისთავად უნდა გახდეს მოლაპარაკების საგანი და დიდი ყურადღებით ორგანიზებული.

• *აუდიტორია* არის გამოფენის არსებული და პოტენციური დამთვალიერებლები. მუზეუმმა შეიძლება აირჩიოს სპეციფიკური გამოფენების მოწყობა შესაბამისი აუდიტორიების მოსაზიდად, დასაინტერესებლად: მაგალითად, თანამედროვე კულტურის შესახებ გამოფენა შეიძლება იყოს თინეიჯერების მუზეუმში მოსაზიდად მათი ნახალისების მცდელობის შემადგენელი ნაწილი. ან შესაძლებელია, მუზეუმი ცდილობდეს შეაგროვოს კოლექციები, რომელიც უფრო მეტად პასუხობს ახალი აუდიტორიის მოთხოვნებს და იყენებს შესაბამის "ამბებს" ამ აუდიტორიასთან სალაპარაკოდ. სპეციფიკური აუდიტორიების ინტერესების შესაფერისი გამოფენების დაგეგმვა იწყება თავიდან, გამოფენის კონცეფციის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპიდან და გრძელდება გამოფენის დაგეგმვის მთელი პროცესის განმავლობაში. ეს ეხება აუდიტორიის შესწავლას ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ფოკუს-ჯგუფები, დამთვალიერებლებისა და კონკრეტული აუდიტორიის მცოდნე ადამიანების გამოკითხვები. მაგალითად, ილუსტრირებული მანუსკრიპტების გამოფენის მოწყობისას, ახალგაზრდებისა და მოზარდების მოსაზიდად, დამგეგმავ გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს იმაში გარკვევა, თუ რა იციან და რა არ იციან პოტენციურმა დამთვალიერებლებმა მოცემულ ეპოქაზე, კონტექსტზე, მანუსკრიპტების დამზადებაზე და რისი გავება უნდათ. მეტიც, მუზეუმი უნდა ეცადოს განჭვრიტოს ისიც, თუ რას შესძენს, სავარაუდოდ, გამოფენილი ობიექტების დათვალიერება მნახველს.

აუდიტორიის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, გამოფენის დამგეგმავებს შეეძლება მოაწყონ გამოფენა, რომელიც უკავშირდება კურატორების კვლევებს (და კოლექციებს) და ამავე დროს, დამთვალიერებელთა ცოდნას და გამოცდილებასაც. ამის შედეგად კომუ-

ნიკაციის დამყარება იქნება უფრო ეფექტური და შინაარსიანი. ამგვარი მიდგომა სამუზეუმო გამოფენის მიმართ ექსკლუზიურად არც "კვლევაზე დაფუძნებული" და არც "ბაზრის მოთხოვნებზე", არამედ ცდილობს "უპასუხოს აუდიტორიას".

გამოფენის დაგეგმვის პროცესის განვითარებისას, როცა გამოფენის იდეის ფორმულირებაში გათვალისწინებულია სთეიქჰოლდერებისა და აუდიტორიის მონაწილეობა, იქმნება განსაკუთრებული კავშირი მუზეუმსა და საზოგადოებას შორის. როდესაც მუზეუმი აქტიურადაა ჩართული აუდიტორიასთან და სთეიქჰოლდერებთან დიალოგში, იზრდება მისი, როგორც ორგანიზაციის ცოდნა და შესაძლებლობები. მუზეუმი იძენს ცოდნას იმ უხილავი ბარიერების შესახებ, რომელიც ხელს უშლის კომუნიკაციის დამყარებას და ცდილობს შეამციროს ეს ბარიერები არა მხოლოდ ცალკეული გამოფენის შემთხვევაში, არამედ ზოგადად.

აღნიშნული პროცესი, რომელიც მთელი წიგნის განმავლობაში განიხილება და ესოდენ ხატოვნად არის ნაჩვენები მაგალითებში, მოითხოვს შემდეგს:

- მუზეუმის აუდიტორიების შესახებ ცოდნის ჩამოყალიბებისა და გაზიარების ვალდებულებას
- ინტეგრირებულ საგამოფენო გუნდს, რომელშიც შედიან დაწესებულების ყველა სექტორის თანამშრომლები და სადაც თავისი საგრძნობი წვლილი შეაქვთ სთეიქჰოლდერებს
- მუზეუმის მენეჯმენტის ლიდერობას პროცესის განმავლობაში საბოლოო პროდუქტის ხარისხისა და წონასწორობის უზრუნველსაყოფად
- კონტროლს

წინაი 4 გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გამოფენებისადმი ამგვარი, ადგილობრივ საზოგადოებაზე დაფუძნებული და აუდიტორიაზე ორიენტირებული, მიდგომა გახდეს უფრო ადვილად მისაღწევი სამუზეუმო გამოფენების დაგეგმვის, დიზაინის, ინსტალირების და მუშაობის ყველა ეტაპზე, გამოფენის შეფასების ყოველმხრივი პროგრამის დახმარებით.

მაგალითი 3.1

პუუფუკვანუმ - თუფათ

ნისლს მიღმა – ნუუ-ჩა-ნულსის ბელადების საგანძური

ბრიტანული კოლუმბიის სამეფო მუზეუმი, ვიქტორია

მართა ბლეი

გამოფენა, "ნისლს მიღმა – ნუუ-ჩა-ნულსის ბელადების საგანძური" შესაფერისი ცერემონიით გაიხსნა ვიქტორიაში, ბრიტანული კოლუმბიის სამეფო მუზეუმში, 1999 წლის 3 ივნისს და დაიხურა 2000 წლის 31 მაისს. შემდგომში გამოფენამ იმოგზაურა ჩრდილოეთ ამერიკაში, კერძოდ, დენვერის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმში, სადაც გახსნა შედგა 2000 წლის 3 ოქტომბერს. გამოფენას თან ახლდა ორი პუბლიკაცია: ილუსტრირებული კატალოგი და სამეცნიერო სტატიების კრებული.

"ჰუუფუქვანუმ - თუფათ" არის პირველი გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ვანკუვერის კუნძულის დასავლეთ სანაპიროზე (მონათესავე დითიდათისა და ფაჩეედათის, აგრეთვე მაქას ჩათვლით, რომლებიც სამხრეთით ვაშინგტონის შტატის ოლიმპიურ ნახევარკუნძულზე

ბინადრობენ) მობინადრე ნუუ-ჩა-ნულსის ტომის ხელოვნებასა და კულტურას. ფართო საზოგადოებას პირველად ამ გამოფენაზე მიეცა შესაძლებლობა ენახა უზარმაზარი მოხატული ფარდები, რომელზეც გრაფიკულადაა გამოსახული შთამომავლობითი ბელადების უფლებები, მინები და პრივილეგიები.

ვინაიდან ნუუ-ჩა-ნულსის კულტურული და დიზაინის ტრადიციები საგრძნობლად განსხვავდება საზოგადოებისათვის უფრო ცნობილი ბრიტანულ კოლუმბიაში მათი მეზობლად მობინადრე ადგილობრივი ტომების (როგორცაა ჰაიდა) ტრადიციებისგან, გამოფენამ დაამსხვრია ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს ხელოვნებასა და კულტურასთან დაკავშირებული სტერეოტიპები. ისტორიული და თანამედროვე ობიექტების ორგანული შეთავსებითა და ევროპული ქრონოლოგიის ჩამოცილებით, რომელსაც შეეძლო გამოფენისთვის თავს მოეხვია კოლონიური თვალთახედვა, გამოფენაზე ნუუ-ჩა-ნულსის აზროვნების ხერხებს, ევროპულთან შედარებით, უპირატესობა აქვს მინიჭებული. წინაპრები ნაჩვენებია როგორც დღევანდელი ნუუ-ჩა-ნულსის ხალხის ცხოვრების განუყრელი ნაწილი. წარმოდგენილია ნუუ-ჩა-ნულსის ტრადიციები, როგორცაა უუსიმჩ – რიტუალი, რომელიც სრულდება მინისაგან რაიმე რესურსის ალების წინ, ან რაიმე მნიშვნელოვანი სარისკო საქმის დაწყებამდე. გამოფენა აგებულია ნუუ-ჩა-ნულსის საკვანძო კონცეპტებზე: ჰაუ'ი (შთამომავლობითი ბელადი), ჰაჰუული (ბელადის მემკვიდრეობითი საკუთრება) და ჰუუფუ ქვანუმ (მეტაფორულად – ბელადის სკივრი, ანუ ყველაფერი, რაც მას ეკუთვნის, – სახელების, რეგალიების, სიმღერების და რესურსების ჩათვლით).

ვანკუვერის ერთ-ერთი გაზეთის მიმოხილვაში ნათქვამი იყო, რომ “ჰუუფუქვანუმ - თუფაათ”, როგორც ჩანს, ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენაა ამ პროვინციის ისტორიაში (Michael Scott, “Bringing Genius to Light”, Vancouver Sun, 4 April 2000, C4,6). მიუხედავად ამისა, სკოტის მსგავსი მიმოხილველისთვის შესაძლოა, სრულებითაც არ იყოს თვალსაჩინო ის, რითაც გამოფენა მნიშვნელოვანია მუზეუმის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული კოლუმბიის სამეფო მუზეუმს (RBCM) “თავდაპირველ ხალხებთან” წარმატებული თანამშრომლობის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, “ჰუუფუქვანუმ - თუფაათმა” ამ ტრადიციების სრული გადაფასება გამოიწვია და ახლებურად დაანახა მუზეუმის მესვეურებს, როგორ უნდა კეთდებოდეს ერთობლივი გამოფენები დღეს, როდესაც წინა პლანზე წამოიწია ისეთმა საკითხებმა, როგორცაა “თავდაპირველი ხალხების” უფლებები მინაზე, კულტურულ საკუთრებაზე და მის ინტერპრეტაციაზე. იმის უზრუნველსაყოფად, რომ აბორიგენების თვალსაზრისი და მიზნები წარმოდგენილი იქნება არა მხოლოდ სიმბოლურად, არამედ რეალურად, RBCM-მა ნუუ-ჩა-ნულსის პოლიტიკურ ლიდერებთან, შთამომავლობით ბელადებთან და ოჯახებთან აწარმოა რთული მოლაპარაკებების და კონსულტაციების სერია. მაშინ, როცა წარსულში მსგავსი გამოფენები ეწყობოდა “თავდაპირველი ხალხების” კურატორისა (ხშირად ეს იყო მხატვარი ან მეცნიერი, რომელიც წარმოადგენდა თავის ხალხს) და მუზეუმის კურატორის მიერ, “ჰუუფუქვანუმ - თუფაათის” მომზადებაში მონაწილეობდა მთელი ჯგუფი – მუზეუმის თანამშრომლები და ნუუ-ჩა-ნულსის 19 ტომის წარმომადგენელი. ნუუ-ჩა-ნულსის წარმომადგენლები უშუალოდ იყვნენ ჩართული პროტოკოლების შემუშავებაში, რომელსაც უნდა განესაზღვრა ნუუ-ჩა-ნულსის თემების ჩართვა, არა-ინდიელების თემებთან და სპონსორებთან კავშირები, მარკეტინგი, გამოფენის შემადგენლობა და შინაარსი, გამოფენის დიზაინი და საორგანიზაციო საკითხები, დროებით სარგებლობაში ექსპონატების მიღება, გამოფენის ინტერპრეტაციის საკითხები, საგანმანათლებლო პროგრამები, მთელი

მუზეუმის თანამშრომლებისათვის უცხო კულტურის მიმართ ფაქიზი დამოკიდებულების ტრენინგი, სპეციალური ღონისძიებები, საჩუქრების მალაზიის ასორტიმენტი და გაყიდვები, აგრეთვე – მუშაობის გრაფიკი. ყოველივე ეს განხორციელდა ძირითადად ნუუ-ჩა-ნულსის ტომის საბჭოს, უხუცეს მრჩეველთა საბჭოს და ნუუ-ჩა-ნულსის მრჩეველთა საგამოფენო კომიტეტის, აგრეთვე ღჩ-თჩ ერთობლივი კომიტეტის მფარველობით. (თჩ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ნუუ-ჩა-ნულსის ავტონომიური ხალხების უმრავლესობას).

საგამოფენო სივრცის მონყობის ლოჯისტიკის საკითხები ისეთივე რთული იყო, როგორც ადგილობრივ საზოგადოებებთან ურთიერთქმედება. ეს ეხებოდა როგორც არტეფაქტების შერჩევის პროცესს, ასევე ექსპონატებისთვის ტექსტების მომზადებას. მიუხედავად ამისა, 7.000 კვადრატული ფუტის ფართის მქონე, 215 არტეფაქტის შემცველი გამოფენა, მომზადდა სულ რაღაც 2 წლის განმავლობაში. თავდაპირველი შეხვედრები NTC-თან შედგა 1997 წლის ზაფხულში, გამოფენის მომზადების პერიოდი გაგრძელდა 14 თვე. ვადების სიმცირისა და მუზეუმის თანამშრომლების მოთხოვნების გამო, გამოფენის დიზაინისა და მისი მონტაჟისთვის, ასევე – ქვესათაურის “ნისლს მიღმა“-სა და პოსტერის დიზაინის შესაქმნელად, მოიწვიეს გარეშე ფირმები.

გამოფენის ექსპონატების ძირითადი ნაწილი ნუუ-ჩა-ნულსის მატერიალური კულტურის RBCM-ის კოლექციიდანაა. მათი უმეტესობა შესყიდულია XX-ს დასაწყისში ვიქტორიაში მოღვაწე ნატურალისტის, ს. ფ. ნიუქომბის მიერ. ღჩ-ის ნივთების კოლექცია შეივსო კერძო კოლექციებიდან და სხვა მუზეუმებიდან დროებით სარგებლობაში მიღებული ექსპონატებით. მათ შორის აღსანიშნავია რელიეფურკვეთიანი თავი, რომელიც მოპოვებული იქნა ნუუთქა საუნდში კაპიტან ჯეიმზ კუკის უკანასკნელი მოგზაურობის დროს 1778 წელს და რომელიც დღეს ინახება ქეიფთაუნის სამხრეთ აფრიკის მუზეუმში. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ეს ობიექტები გარკვეული თვალსაზრისით, ნუუ-ჩა-ნულსის ხედვის შესაბამისად, მოყოლილი “ნაამბობის” ილუსტრაცია გახდებოდა. ვინაიდან RBCM-ის და სხვა კოლექციების ისტორიული ექსპონატების შესახებ დოკუმენტაცია მწირია და ნუუ-ჩა-ნულსის “ხმა” არ ისმის ეთნოგრაფიული ჩანაწერების უმრავლესობაში, მუზეუმი ეცადა, ობიექტების შესახებ განმარტებები, მათი გამოფენის უფლება და მოსაყოლი “ამბის” შინაარსი ნუუ-ჩა-ნულსის თემებში მოეპოვებინა. NTC-მა გვირჩია, ობიექტების გამოფენის უფლების საკითხებში მკაცრად დაგვეცვა პროტოკოლი და მეთოდოლოგია და მოგვცა ინსტრუქციები ობიექტების შესაბამისი ინტერპრეტაციებისათვის:

- იმ შემთხვევებში, როდესაც ცნობილი იყო კონკრეტული პირი ან ოჯახი, რომლისგანაც ობიექტი იყო მიღებული, ჩვენ ვცდილობდით გვეპოვა ისინი და გამოგვეკითხა ამ ოჯახის წევრები

- თუ მხოლოდ ნუუ-ჩა-ნულსის ხალხის სახელწოდება ვიცოდით, რომლიდანაც იქნა მოპოვებული ობიექტი, ჩვენ ვუკავშირდებოდით ამ ხალხის თააიი ჰავიი-ს – პირველი რანგის შთამომავლობით ბელადს

- თუ მუზეუმში არსებული ჩანაწერებიდან ვიცოდით მხოლოდ ის, რომ ობიექტი ეკუთვნის ნუუ-ჩა-ნულსს, მაშინ ნებართვისა და განმარტებებისათვის ვუკავშირდებოდით NTC-ს

- თანამედროვე ნამუშევრების შემთხვევაში, როგორც იყო სპეციალურად გამოფენისათვის შეკვეთით შესრულებული ორი ნიმუში, ჩვენ ვუკავშირდებოდით უშუალოდ მხ-

ატყრებს.

იმის გამო, რომ საჭირო იყო კონსულტაციები ვრცელ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ ადამიანებთან, RBCM-მა ამ საქმიანობისთვის დაიქირავა კონტრაქტორები, მათ კი, თავის მხრივ, დაიქირავეს ნუუ-ჩა-ნულსის წარმომადგენლები საკონტაქტოდ და გამოკითხვებში დასახმარებლად.

1886 წელს, როდესაც ანთროპოლოგი ფრანც ბოასი პირველად ეწვია ვიქტორიას, მან აჩვენა აქ ბერლინის მუზეუმის კოლექციაში არსებული ობიექტების ფოტოგრაფიები და დაუინებით თხოულობდა ინფორმაციას მათ შესახებ. მისი მოლოდინი არ გამართლდა. მან ვერ მოიპოვა კონკრეტული მონაცემები. ასზე მეტი წლის შემდეგ ვერც ჩვენ შეეძელით ამის გაკეთება. განმარტებებისა და აღწერის შემცველი ინფორმაციის ნაცვლად, ჩვენ გვაძლევდნენ მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და მითითებას იმაზე, თუ ვისთვის უნდა მიგვემართა და რა უნდა იქნას ჩართული, ან ამოღებული გამოფენაში და ინტერპრეტაციაში. გვარების შთამომავლობის ხაზები დარღვეულია და ნათელი ვახდა, რომ ობიექტის შესახებ შეუძლია მოყვეს მხოლოდ მან, ვისაც შთამომავლობითი უფლება აქვს მოცემულ ობიექტზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ობიექტებთან დაკავშირებული ისტორიების გაგება ხერხდება, აღმოჩნდება, რომ ეს ამბები არ იძლევა ობიექტის "განმარტებას". თემებთან კონსულტაციების პროცესში მოპოვებული ინფორმაცია ჩვენ შევაჯერეთ მეცნიერებისა და განათლების დარგში მომუშავე სპეციალისტებისაგან (ენის მასწავლებლები, მხატვრები) კულტურის შესახებ მიღებულ ინფორმაციასა და ნუუ-ჩა-ნულსის ტექსტიბიდან ამოკრებილ ციტატებთან. ამდენად, ნუუ-ჩა-ნულსის "ხმა" გამოფენაზე, ფაქტიურად, არის ხმათა გუნდი, ქორო, რომელშიც წელილი აქვს არანუუ-ჩა-ნულსის მუზეუმსაც, რომელმაც გამოფენას შესძინა ანთროპოლოგიური ხიბლი. ტექსტი კი უფრო ლექსია, ვიდრე ამბავი, უფრო მეხსიერების შემონახული, ვიდრე კულტურული ფასეულობების ახსნა-განმარტება.

შინაასრისა და ტექსტის მიწოდების ხერხი ისე იყო შერჩეული, რომ ხაზი გაესვა გამოფენის მიღმა დარჩენილ ძირითად იდეებს: არ შეიძლება მუზეუმი თვითონ გახდეს ხალხის კულტურის პირველი ინტერპრეტატორი. ეს პრინციპი გამოხატულია აგრეთვე იმით, თუ როგორ იქნა ინტერპრეტირებული გამოფენა მნახველებისთვის. გამოფენაზე ნუუ-ჩა-ნულსის ინტერპრეტატორებმა ჩაანაცვლეს აუდიო-ტურები და მუზეუმის გიდები. ზაფხულის დატვირთული თვეების განმავლობაში, ნუუ-ჩა-ნულსის რვა ინტერპრეტატორი იყო წარმოდგენილი ვიქტორიას გალერეებში და ორი – ნაკლებად აქტიურ, ზამთრის, პერიოდში. დამატებით, ნუუ-ჩა-ნულსის ხალხების რამდენიმე წარმომადგენელი მოხალისედ იღებდა მონაწილეობას გამოფენაში. ამ ადამიანების ღირსშესანიშნავმა უნარ-ჩვევებმა და დამოუკიდებელმა პოზიციამ თავიდან აგვაცილა ინტერპრეტატორების ცოცხალ ექსპონატებად ქცევის საშიშროება. ისინი უფრო მეტად NTC-თვის მუშაობდნენ, ვიდრე RBCM-თვის. მათ ხელმძღვანელობდა კოორდინატორი, რომლის ოფისი განლაგებული იყო მუზეუმის ანთროპოლოგიის განყოფილებაში, მაგრამ ექვემდებარებოდა უშუალოდ NTC-ს. ნუუ-ჩა-ნულსის წარმომადგენლების მუდმივმა დასწრებამ დიდი როლი ითამაშა გამოფენის წარმატებაში როგორც ზოგადად დამთვალეირებლებთან, ასევე თავად ნუუ-ჩა-ნულსის თემთა წარმომადგენლებისთვის, რომლებიც შეადგენდნენ გამოფენის აუდიტორიის დიდ ნაწილს. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ნუუ-ჩა-ნულსის ჩართვა გამოფენასთან დაკავშირებული სასკოლო პროგრამებისა და სპეციალური ღონისძიებების შემუშავებაში.

გამოფენის წყალობით, ჩვენ ახლებურად გავიაზრეთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავ-

ლობაში RBCM-ში არასისტემატურად შეგროვებული ნუუ-ჩა-ნულსის კოლექციების უწყვეტი კულტურული კონტექსტი. მას დავამატეთ ნუუ-ჩა-ნულსი მხატვრების თანამედროვე ნამუშევრები. ნუუ-ჩა-ნულსის ხალხისთვის სრულიად სხვაგვარად და გაცილებით უფრო რეალურად ხელმისაწვდომია კოლექციები და მათი დოკუმენტაცია. მათ აქვთ შესაძლებლობა სამუზეუმო კონტექსტისაგან დამოუკიდებლად ჩაატარონ ობიექტების და მათი მნიშვნელობების საკუთარი კვლევა. ურთიერთობა RBCM-სა და NTC-ს შორის გრძელდება ახალ კონტექსტში, ვინაიდან ნუუ-ჩა-ნულსის ხალხები ამჟამად ბრიტანეთის კოლუმბიისა და კანადის მთავრობებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ მინების მოთხოვნის შესახებ გადწყვეტილების მისაღებად და სხვა გრძელვადიანი საკითხების თაობაზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შეთანხმების პირობებით, "პუუფუქვანუმ - თუფათის" ზოგიერთი ობიექტი გამოფენიდან დაუბრუნდება ნუუ-ჩა-ნულსის ხალხებს. ერთი მხრივ, გამოფენა არ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პროცესებთან, მაგრამ მეორე მხრივ, ის მისი ნაწილიცაა.

ჩვეულებრივ, ითვლება, რომ სამუზეუმო გამოფენები, მათ შორის ეთნოგრაფიული, მოცემული დაწესებულების კოლექციის შეგროვებაში ჩადებული მონდომებისა და მისი კურატორის კვლევის შედეგია. "პუუფუქვანუმ - თუფათის" შემთხვევაში ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეს გამოფენა მხოლოდ დასაწყისია. მივხვდით, რომ გამოფენა არის პროცესი და არა – შედეგი.

შენიშვნა: ამ მაგალითისათვის სიტყვები დაინერა ინგლისურად. სწორად ისინი ნუუ-ჩა-ნულსის სპეციალური ფონტის მეშვეობით ინერება.

როგორ გავიგოთ, რომ მიზანს მივალნიეთ? გამოფენის ევალუაცია

რა განაპირობებს გამოფენის წარმატებას? თუ გამოფენები გაგებულა, როგორც მედია, საშუალება კომუნიკაციისათვის, მათზე კრიტიკული მსჯელობა მოითხოვს გაცილებით მეტს, ვიდრე მათ დიზაინზე ესთეტიური გამოხმაურება. ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ, თუ ვისთან ცდილობს მუზეუმი დაამყაროს კომუნიკაცია – რაც აქ განხილულია ქვემოთ სელერსის მიერ დაწერილ 4.1. ნაწილში “ბაზრის ანალიზის როლი”. გამოფენის მომზადების მთელი პროცესის განმავლობაში, ჩვენ გვჭირდება გამოფენის შინაარსის გადმოცემაზე ფოკუსირებული ევალუაციის (შეფასების) ტექნიკის ჩართვა, როგორც ეს აღწერილია დაქვემოთ გრეუქოქის მიერ დაწერილ 4.2. ნაწილში, აუდიტორიის ევალუაციის ტექნიკა უნდა მოიცავდეს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მეთოდოლოგიებს, როგორც ამას ხსნის ბარბარა სორინი 4.3. ნაწილში.

4.1 ბაზრის ანალიზის როლი

ქვემოთ სელერსი

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მუზეუმები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია იმის გაგება, ვინ და რატომ მოდის მათთან დასათვალიერებლად. მუზეუმებმა დაიწყეს მნახველების გამოკვლევა, რათა გაერკვიათ, თუ ვინ არიან ისინი, რატომ მოვიდნენ და ამ კონკრეტულ დღეს ყველაზე მეტად რამ მიიზიდა ისინი მუზეუმის მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობებს შორის. ამ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, მუზეუმს შეუძლია უკეთ დაამყაროს კომუნიკაცია აუდიტორიებთან და გააფართოვოს მათი რიცხვი. გააკეთოს მნახველთა უკეთ მომსახურების ანალიზი, რაც შემდგომში იქნება მათი მუზეუმში ხელმეორედ მოსვლის, ნევრად გახდომის, მაღაზიებში ნივთების შეძენის და თავის წრეში მუზეუმის დადებით კონტექსტში მოხსენიების გარანტი.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ როგორც წესი, მუზეუმის დამთვალიერებლებს შორის მეტია ქალი, მათ შორის უფრო მეტია ასაკოვანი (40+), ვიდრე ახალგაზრდა ქალები. მეტიც, ამ გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დასათვალიერებლად მოსვლის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია განათლების დონე. მუზეუმის დამთვალიერებელთა 75%-ს კოლეჯი მაინც აქვს დამთავრებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს გარკვეული სასარგებლო განზოგადებები, მაგრამ როცა საქმე ეხება მუზეუმის აუდიტორიებს, თითოეული ადგილობრივი საზოგადოება და თითოეული მუზეუმი თავისებურია და საკუთარი განუმეორებელი სახე აქვს. ადგილობრივი საზოგადოების “ხასიათის” ცოდნა, დიდ დახმარებას გაგვიწევს კონკრეტულ გამოფენაზე აუდიტორიის რეაქციის წინასწარ გასაგებად. დასწრების სტატისტიკის მონაცემების კოლექციისთვის გაზიარება (ადგილობრივი და რეგიონის მასშტაბით), მეტად სასარგებლოა ყველასთვის, რადგან გვეხმარება უკეთ გავიცნოთ ადგილობრივი საზოგადოება.

ამდენად, თითოეულ მუზეუმს სჭირდება აუდიტორიის დასწრების ჩანაწერების წარ-

მოება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მომავალში მსგავსი გამოფენების მიმართ ინტერესის წინასწარ განსაზღვრის საშუალება. მნიშვნელოვანია, რომ ეს ჩანაწერები იყოს ზუსტი და ითვლიდეს თითოეული გამოფენაზე დასწრებას და არა საერთოდ მუზეუმის დათვალიერებას, რამაც შეიძლება შენიღბოს ცალკეული შემთხვევები, როდესაც დამთვალიერებელი შეიძლება მიეზიდა განსაკუთრებულ პროგრამას, საჩუქრების ყიდვას, ან მუდმივი კოლექციის გამოფენას.

ზოგიერთი ადგილობრივი საზოგადოება, განსაკუთრებითაა დაინტერესებული, ვთქვათ, არქეოლოგიური გამოფენებით და პრაქტიკულად, ნებისმიერ ამგვარ გამოფენას მრავალი დამთვალიერებელი ეყოლება (სულაც არაა აუცილებელი, რომ ეს ეგვიპტური გამოფენა იყოს). სხვაგან უფრო მეტად "ძველი ოსტატების" ფერწერა აინტერესებთ, მაგალითად – ფრანგი იმპრესიონისტების ნამუშევრები. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ცალკე ჩანაწერების წარმოება, იმ შემთხვევაშიც, თუ განსაკუთრებულ გამოფენებზე არ იყიდება ბილეთი. ამ შემთხვევაში მეთვალყურე ან დაცვის თანამშრომელი შეიძლება იდგეს გალერეის შესასვლელთან და აღრიცხავდეს მომსვლელებს.

დასწრების დეტალური ჩანაწერები გვეხმარება განესაზღვროთ აუდიტორიის რეაქცია მომავალ გამოფენაზე. რეგულარულად შეგროვებული ინფორმაცია ქმნის ერთგვარ საფუძველს დასწრების რიცხობრივი მონაცემებისთვის. რამდენიმე წლის გამოცდილების შემთხვევაში, საკმაოდ ადვილია (გარკვეულ ფარგლებში) წინასწარ განისაზღვროს, ადგილობრივი საზოგადოების როგორ ყურადღებას მიიპყრობს "ნორმალური" გამოფენა, როგორს შეუძლია შედარებით დიდი, ვთქვათ – რეგიონული, ინტერესის გამონვევა და როგორი იქნება ინტერესი "ბლოკბასტერის" მონაცემების შემთხვევაში. კლივენდის ხელოვნების მუზეუმში, სადაც სტატისტიკას მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ, "ნორმალური" გამოფენა, რომელზეც არ იყიდებოდა ბილეთები (ანუ ისეთი, სადაც არაა მოსალოდნელი დასწრების მაღალი მაჩვენებელი), იზიდავდა დაახლოებით 35-45 ათას დამთვალიერებელს. დასწრების ეს "საბაზო ზღვარი", სხვადასხვა იქნება სხვადასხვა ადგილობრივი საზოგადოებისთვის.

ასევე ცვალებადია ადგილობრივი და ჩამოსული დამთვალიერებლების პროცენტული თანაფართობა, როგორც გეოგრაფიულად, ასევე ხშირად ერთი და იმავე ქალაქის დაწესებულებებს შორის. მაგალითად, კლივენდის ხელოვნების მუზეუმში ჩვეულებრივ ვითარებაში დამთვალიერებლების 70% შეადგენს ადგილობრივი აუდიტორია, ხოლო ქალაქის სტუმრები – 30%, კარგი გამოფენის შემთხვევაში ჩამოსულების რიცხვი შეადგენს 40%, ხოლო "ბლოკბასტერის" შემთხვევაში – 50%.

დასწრების რეგულარული ჩანაწერების წარმოება გვეხმარება აგრეთვე დამთვალიერებლების რაოდენობის სეზონური ცვალებადობის წინასწარ განსაზღვრაში. შეერთებულ შტატებში მრავალ დაწესებულებაში წინასწარ იციან, რომ სექტემბრის პირველი ორი კვირისა და დეკემბრის პირველი სამი კვირის განმავლობაში დასწრება დაბალი იქნება. ამის მიზეზი კი "სეზონურია" – სექტემბერში ეს დაკავშირებულია სასკოლო წლის დასაწყისთან, ხოლო დეკემბერში – საახალწლო სამზადისთან. სხვა საზოგადოებაში შეიძლება აქტიური დასწრების პერიოდი იყოს ზაფხული, მაგრამ რეგიონებში, სადაც ზაფხული ცხელია, მუზეუმებში მცირდება დამთვალიერებელთა რიცხვი. ბევრი მუზეუმი გამოფენების დაგეგმვისას შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს დასწრების ამ შაბლონებს. დასწრების სეზონური ცვალებადობის გათვალისწინება აუცილებელია, რათა გამოფენები დაიგეგმოს სამუშაო გრაფიკის მიხედვით. საზოგადოდ, გამოფენის დაგეგმვა დამთვალიერებელთა

დასწრების ბუნებრივი სეზონური აქტივობის გაუთვალისწინებლად გაუმართლებელია. მაგალითად, კლიველენდის ხელოვნების მუზეუმში 1999 წელს ბუგატის გამოფენა (რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ ნატიფ ავეჯსა და ქანდაკებას, არამედ ბუგატის ექვს ავტომობილსაც), დაიგეგმა შუა ივლისიდან შუა სექტემბრამდე. ყოველკვირეული დასწრების მაჩვენებელი დიდი იყო, რაც განაპირობა კარგმა რეკლამამ. მაგრამ აგვისტოს ბოლოს, დასწრების მაჩვენებელი საგანგაშოდ შემცირდა მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაბრუნდნენ სასწავლებლებში. გამოფენა შუა ივლისიდან შუა აგვისტომდე რომ ყოფილიყო დაგეგმილი, ის გაცილებით მეტ დამთვალიერებელს მიიზიდავდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ზოგიერთ გამოფენას შეიძლება ხელი შეეწყოს, რათა იგი მოეწყოს მნახველთა მაღალი პროცენტით დასწრების პერიოდში, კერძოდ, როცა ადამიანებს აქვთ დრო მუზეუმში წასვლის დასაგეგმად და გადანივყეტილებას იღებენ ნახონ გამოფენა, რომელსაც სხვა დროს, შესაძლოა, მათი ინტერესი არც გამოენჯია.

თავისებური როლი აკისრია ადგილობრივი საზოგადოების დემოგრაფიულ მხარესაც. ბევრ მრავალეროვან ქვეყანაში მუზეუმები სულ უფო მეტად აცნობიერებენ საკუთარი ადგილობრივი საზოგადოებების ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინების აუცილებლობას. ამიტომ ისინი გეგმავენ ისეთ გამოფენებს, რომელიც მიზნდელია ესპანური, აფრო-ამერიკული, აზიური და სხვა ბაზრებისათვის. სპეციფიკურ ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ ტენდენცია, გამოეხმაურონ ამგვარ პროგრამებს, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ მათთან ურთიერთობის დასამყარებლად, მარკეტინგი სწორად არის დაგეგმილი, კერძოდ, აქ იგულისხმება მათ მშობლიურ ენაზე საუბარი. მსგავს გამოფენებზე მათი გამოხმაურების წინასწარ განსაზღვრა წარმატებულია მაშინ, როცა ეთნიკური კომუნიკაცია ფართო მასშტაბისაა. დიეგო რივერას გამოფენამ ჰიუსტონში, მიიზიდა 130 ათასი დამთვალიერებელი, ხოლო ლოს ანჯელესში, სადაც ესპანურენოვანი მოსახლეობა დიდია – 250 ათასი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კარგად ორგანიზებული გამოფენა იყო, კლიველენდში მას 77 ათასი დამთვალიერებელი ჰყავდა, თუმცა ესპანურენოვანი მოსახლეობა იქ დაახლოებით 10 ათასია.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნება ბაზრის ასე მცირე სეგმენტებად დაყოფა. ადამიანები ეხმაურებიან არა მხოლოდ იმ გამოფენებს, რომელიც პასუხობს მათ ეთნიკურ წარმოშობას, რადგან "ეთნიკური" მასალით სხვა ადამიანებიც შეიძლება არანაკლებ დაინტერესდნენ. მაგალითად, ბევრი კოლექციონერი, ან აზიისა და აფრიკის ხელოვნების შემსწავლელი სტუდენტი, არ განეკუთვნება რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს, მაგრამ თავისი ინტერესების შესაბამისად, მათ აინტერესებთ ასეთი გამოფენები. "ბლოკბასტერი" გამოფენები კი მოსახლეობის ძალიან დიდ სეგმენტებს მოიცავს ხოლმე.

რელიგია შეიძლება გახდეს ფართო საზოგადოებისათვის მიმართვის კიდევ ერთი საშუალება, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამოფენის ორგანიზატორები შეიძლებენ და რელიგიურ ლიდერებს დაიხმარენ მრევლთან გასასაუბრებლად. შედეგი შეიძლება იყოს გამოფენის როგორც ჯგუფური მონახულება, ასევე – ცალკეული დამთვალიერებლების მოსვლა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის რელიგიური ხელოვნების გამოფენები, როგორც ნესი, ინვეეს ფართო აუდიტორიის ინტერესს, რაც შეიძლება წინასწარ განსაზღვრული იქნას მსგავსი შინაარსის სხვა გამოფენების მონაცემების მიხედვით.

აგრეთვე, გასათვალისწინებელია სასკოლო აუდიტორიის ფაქტორიც. სავარაუდოა, რომ გამოფენა, რომელიც პასუხობს სასკოლო პროგრამებს, მოიზიდავს სკოლის მოსწავლეთა ჯგუფებს, რასაც შესაბამისად, შეიძლება მოყვეს მუზეუმში მოსწავლეთა ოჯახების მოზიდვაც.

უკანასკნელ წლებში, "The Art Newspaper"-ის მეშვეობით, ხელმისაწვდომი გახდა გამოფენების მონახულების წლიური სტატისტიკის გაცნობა მსოფლიო მასშტაბით. გაზეთი, მუზეუმების მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე, დამთვალეიერებლების ჯამურ რაოდენობას და განსაკუთრებული გამოფენების დროს დღიურ დასწრებას აქვეყნებს. ეს ფართო მასშტაბის ინფორმაცია შეიძლება ხელსაყრელი გახდეს მსგავსი შინაარსის გამოფენებზე ადგილობრივი გამოხმაურების წინასწარი განსაზღვრისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ლონდონი და პარიზი ვერ გამოდგება ნიმუშად რომელიმე მცირე ქალაქის გამოხმაურების წინასწარ განსაზღვრისათვის.

გარდა ამისა, ბაზრის ანალიზი შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სპონსორობის საკითხთან. წარსულში, უმეტესწილად, კორპორაციების მიერ ხდებოდა ძირითადი, სპეციალური გამოფენების სპონსორობა. გამოფენების ტიპები, რომლის სპონსორიც ხდება კორპორაციათა უმეტესობა, შეზღუდულია ამ უკანასკნელების კორპორატიული და მარკეტინგული მიზნებით, რომლის გამოც ისინი აფინანსებენ გამოფენას. კორპორაციებს სურთ, რომ ისინი ასოცირებულნი იყვნენ ყოველივე საუკეთესოსთან, რაც გამორიცხავს ისეთი გამოფენების სპონსორობას, რომელსაც შეიძლება რაიმე დისკუსია ან წინააღმდეგობა მოჰყვეს. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე ხელოვნების გამოფენების დიდ ნაწილს მეტისმეტად გაუჭირდება კორპორაციებისაგან მხარდაჭერის მოპოვება.

გამოფენისა და კორპორაციის მიზნებს შორის სწორი თანხვედრის მოძებნა თავისთავად უკვე ხელოვნებაა. კორპორაციის ინტერესების ცოდნა (მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის, გართობის და ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნილებების მხრივ), უპირველესი საშუალებაა სწორი არჩევანის გასაკეთებლად. გამოფენის საგანი შეიძლება ბუნებრივად ქმნიდეს პარტნიორობის სურვილს. მაგალითად, "გოია ფუდსი" აფინანსებს გოიას გამოფენას, – მაგრამ დროის ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, კორპორაციას, რომლის შტაბ-ბინა ახლახანს გადავიდა ახალ ადგილას, შეიძლება უნდოდეს გამოიყენოს მთავარი გამოფენა ადგილობრივ საზოგადოებასთან თავის წარსადგენად, სახელის ან ლოგოტიპის ცვლილების გასაცნობად. მათ შეიძლება სურდეთ მუზეუმი გამოყენონ, როგორც კორპორატიული მიღების, თავშეყრის, ადგილი. ამ შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წელიწადის დრო და კორპორაციის მოთხოვნილებებთან თანხვედრა.

თვალსაჩინო როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობაც. როგორც წესი, კორპორაციები არ აფინანსებენ გამოფენებს, რომლებიც მათი ძირითადი ოპერაციების არეალის გარეთ იმართება. მიუხედავად ამისა, ბაზრის ანალიზმა შეიძლება უბიძგოს კორპორაციას კონკრეტული გამოფენის დაფინანსებისაკენ, მისთვის სასურველი აუდიტორიის არსებობის გათვალისწინებით. საამისოდ მუზეუმებს შეუძლიათ გამოიყენონ არსებული მონაცემთა ბაზა თავისი დამთვალეიერებლების (ასაკი, ქონებისა და განათლების დონე) და "მუზეუმის მეგობრების" (ამ შემთხვევაში შესაძლოა უფრო სპეციფიკური ინფორმაცია იქცეს გადამწყვეტ ფაქტორად) შესახებ. ეს მიდგომა ქმედითია იმ შემთხვევებში, როდესაც მუზეუმის დამთვალეიერებლები წარმოადგენენ ჯგუფებს, რომელთა დაინტერესებაც სურს კორპორაციას. ბალტიმორის ვოლტერის ხელოვნების გალერეამ თავისი გამოფენისათვის "პანდორას ყუთი", მეტად სპეციფიკური მაგალითი გვიჩვენა. ფარმაცევტულმა ფირმამ (ჩიბა) საგულისხმო სპონსორობა გაუწია გამოფენას, ვინაიდან მუზეუმის წევრებს შორის მაღალი იყო ექიმების პროცენტი, ამას ისიც დაემატა, რომ ადგილობრივი საავადმყოფოებისაგან მიღებული იყო სარეკომენდაციო წერილი.

ამასთან, კორპორაცია არ არის გამოფენების სპონსორობის ერთადერთი წყარო. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოფენის საგანი საკამათოა, ან სამიზნე აუდიტორია მცირეა, მუზეუმები დახმარებისათვის მიმართავენ ცალკეულ პიროვნებებსა და ფონდებს. კოლექციონერებს ესმით თანამედროვე ხელოვნება და შეიძლება ხელი შეუწყონ მათი სათაყვანებელი მხატვრების გამოფენის მოწყობას. ფონდებს შეიძლება მიმართონ ისეთი მცირერიცხოვანი აუდიტორიისათვის განკუთვნილი გამოფენების დასაფინანსებლად, რომელიც წელიწადში შეიტანს დარგის სამეცნიერო განვითარებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას ურთიერთობის ეთიკა და მუზეუმმა არ უნდა შელახოს თავისი რეპუტაცია საეჭვო კავშირებით. სპონსორობის პოლიტიკა, რომელიც აყალიბებს მუზეუმის ეთიკურ პოზიციას, არის ნებისმიერი მუზეუმის საგამოფენო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩვეულებრივ, მისაღებია ყველა სპონსორისთვის, რომელთაც ესმით მისი აუცილებლობა.

ზოგიერთი დაწესებულება, განსაკუთრებული გამოფენების დაფინანსების პრობლემას აგვარებს მხოლოდ ამ მიზნისთვის განკუთვნილი შემოწირულობათა ფონდების შექმნით. ეს ფონდები საშუალებას აძლევს მუზეუმს და მის თანამშრომლებს, გაცილებით უფრო თავისუფლად დაგეგმონ გამოფენები და აცილებს მათ ეთიკური კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობას. სხვა საკითხია, რომ მსგავსი ფონდების შექმნა და განვითარება ადვილი საქმე არაა. გარდა ამისა, ზოგიერთი მუზეუმი აწესებს წლიური შენატანის მაღალ კატეგორიას, რომელიც უფლებას აძლევს დონორს, ჩაითვალოს წინასწარ დაგეგმილი გეგმიური გამოფენების ერთ-ერთ სპონსორად. ეს დონორები ირჩევენ გამოფენების ჩამონათვალიდან ერთს, რომლის დაფინანსებაც მათთვის მისაღებია. მათი მოტივაცია მარტივია – სპონსორის სახელი დაკავშირებულია მუზეუმთან მთლიანობაში და არა – მხოლოდ კონკრეტულ გამოფენასთან.

გამოფენას, რომელიც არ არის მიმზიდველი ფართო საზოგადოებისთვის, შეიძლება ჰყავდეს გულითადი მხარდამჭერები. შედარებით ვიწრო აუდიტორიაზე მიმართული ინტენსიური მარკეტინგული ძალისხმევა შეიძლება დიდი წარმატებით დაგვირგვინდეს, თუმცა ამას სჭირდება პოტენციური აუდიტორიის კვლევა და მასთან ურთიერთობის დამყარება. მაგალითად, კლივლენდის ხელოვნების მუზეუმმა გამოფენას “ბუდისტური საგანძური წარადან”, რეკლამა გაუკეთა ადგილობრივი ბუდისტური თემის საფოსტო ნუსხის და პუბლიკაციების მეშვეობით, რასაც მოჰყვა ენთუზიაზმით სავსე აუდიტორიის შემოკრება და მრავალრიცხოვანი ჯგუფური ტურები.

მუზეუმების გარკვეული რაოდენობა წარმატებულად იყენებს საგამოფენო კომიტეტებს, რომელშიც ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები ერთიანდებიან. კომიტეტის მიზანია ადგილობრივი თემის მოსახლეობის ლიდერების ჩართვა გამოფენის ორგანიზებაში, რითაც მას განსაკუთრებულ მიმზიდველობას შესძენენ. კომიტეტებს შეუძლია გამოფენის გახსნამდე დიდი ხნით ადრე, გამოფენის შესახებ დადებითი აზრის გამოხატვით, ერთი შეხედვით “უშუალო ნათქვამის” შედეგად, შექმნას განწყობა, დაეხმაროს მაუწყებლობას გამოფენის შესახებ ინფორმაციის განთავსებაში, მუზეუმში მოიზიდონ თავისი ნაცნობები, რომლებიც ჩვეულებრივ, იქ არ დადიან. ამგვარი მეთოდი ეხმარება მუზეუმის პროფესიონალებსაც გამოფენის მოწყობისას ნაკლოვანებების გამოავლენაში, ეტიკეტების მთარგმნელთა მოზიდვაში, იმ ადამიანების ამოცნობაში, ვინც პოტენციურად შეიძლება დახმარება აღმოუჩინოს მუზეუმს. მოხალისეებისა და ადგილობრივი ლიდერების საქმეში ჩართვა მოითხოვს

როგორც თანამშრომლობას, ისე მოსმენის კულტურასაც, რაც წარმატების აუცილებელი წინაპირობაა. ბევრი გამოფენისათვის ეს შეიძლება იყოს აუდიტორიის განვითარების ყველაზე გამართლებული სტრატეგია, ისე, როგორც მთელი მუზეუმისათვის – მშვენიერი "უშუალო ნათქვამის" რეკლამა.

ვინაიდან მუზეუმი ცდილობს ჩამოაყალიბოს გამოფენების მოწყობის წლიური გეგმა, მან უნდა დააბალანსოს არა მხოლოდ სხვადასხვაგვარი თემების შეთავაზება საზოგადოებისთვის, არამედ წინასწარ უნდა განსაზღვროს დამთვალეირებლების გამომხაურების, შემოსავლის მიღების შესაძლებლობები და სპონსორების დახმარების მიღების პერსპექტივები. ბევრ მუზეუმს შეუძლია მოაწყოს მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოფენები, რომელიც არ მოიზიდავს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მნახველს. ამგვარი გამოფენების ზედიზედ მოწყობას შეუძლია მუზეუმის ბიუჯეტი რისკის წინაშე დააყენოს ან შეამციროს მუზეუმის მეგობართა რაოდენობა. ბიუჯეტის 12 თვეზე მეტი დროით წინასწარ დაგეგმვა ამსუბუქებს ამ პრობლემას, ვინაიდან იმ პერიოდმა, როცა მუზეუმში იყო მეტი დასწრება და შესაბამისად, მეტი შემოსავლები, შეიძლება გაათანაბროს ნაკლები დასწრებისა და შემოსავლების წლები.

ამრიგად, რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული ბაზრის ანალიზი მუზეუმს უთუოდ მოუტანს სარგებლობას საგამოფენო პროგრამის დაგეგმვისას და შეიძლება მიანიშნოს ცალკეული გამოფენების წარმატების განსაზღვრის შესაფერის კრიტერიუმებზეც.

4.2 დანჯიბამდე, განმავლობაში და შემდეგ: ევალუაციის სამი საფეხური: საწყისი, ჩამოყალიბების და შემაჯამებელი

დანქან გრეუქოქი

თუ გვინდა, რომ ჩვენდეთ სამუზეუმო გამოფენის არსს, უნდა ვიცნობდეთ მომხმარებელს, დამთვალეირებელს. ხშირად, გამოფენები, რომლებიც არ ითვალისწინებს დამთვალეირებლის მიერ კომუნიკაციის პროცესში შეტანილ წვლილს, "ჩავარდნის" რისკის წინაშე დგანან. ბევრია დანერილი იმაზე, თუ როგორ სწავლობს დამთვალეირებელი მუზეუმში. ევალუაცია კი არის პროცესი, რომლის წყალობითაც შეუძლია ისწავლოს მუზეუმმა.

ამდენად, გამოფენის ევალუაციის ვალდებულება არ არის მუზეუმისა და მისი თანამშრომლების კუთვნილი პროფესიული და ინტელექტუალური კაპიტალის არც კაპიტულაცია და არც კომპრომისი. ევალუაცია უბრალოდ არკვევს მუზეუმის აუდიტორიის დინამიკას და ხელს უწყობს ცოდნისა და გაგების წარმატებულ გაზიარებას დამთვალეირებლებსა და მუზეუმს შორის. ამრიგად, გამოფენის წარმატებული ევალუაცია ზრდის მუზეუმის ინტელექტუალურ კაპიტალს და აძლიერებს მის უნარს მიაღწიოს დანესებულების ზოგადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

გამოფენის დამგეგმავი გუნდის ზოგიერთი წევრი მაინც, რეგულარულად უნდა ეცნობოდეს უახლეს სამუზეუმო ლიტერატურას სამუზეუმო გამოფენების კვლევების, ევალუაციის მეთოდოლოგიის, სწავლების თეორიისა და მუზეუმების სოციალური ფასეულობების კუთხით. ამგვარი კვლევა ხშირად აწვდის გუნდს მნიშვნელოვან პირველად პრინციპებს და კონცეპტუალურ ჩარჩოებს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ევალუაციის მთელი პროგრამა. გამოფენის დაგეგმვის მთელი პროცესის ყველა სტადიაზე საჭიროა ინფორმაცია დამატებითი კვლევის შესახებ, ხოლო ახალ ევალუაციას ყოველთვის უნდა ახლდეს


მუზეუმის მიერ ჩატარებული წინა ევალუაციისა და აუდიტორიის კვლევის პროგრამები.

სამუზეუმო გამოფენების თანმხლები ევალუაცია ძირითადად იყოფა სამ ცალკეულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ, საფეხურად: დასაწყისი, ჩამოყალიბება და შეჯამება. თითოეული საფეხური განისაზღვრება მისი პოზიციით გამოფენის დაგეგმვის პროცესში, მისი სპეციფიკური შინაარსით და ევალუაციის მიმართულებით. ვიდრე გამოფენის განვითარების პროცესს მის დანყებამდე, მიმდინარეობის დროს და დასრულების შემდეგ, მათ გამოყენებას და ფასეულობას შევხვებით, სასარგებლო იქნება განვიხილოთ თითოეული საფეხური.

4.2.1 გამოფენის ევალუაციის სამი საფეხური

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგია შეიძლება იცვლებოდეს, გამოფენის ევალუაციის სამი, ყველაზე მეტად მიღებული და გავრცელებული საფეხური, შეესაბამება გამოფენის განვითარების ფაზებს, რომელიც აღწერილია ამ წიგნის 1 ნაწილში და წარმოდგენილია ტაბ. 4.1.

- წინასწარი ევალუაცია: შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხური. წინასწარი



ტაბ. 4.1 გამოფენის ევალუაციის ციკლი

ევალუაცია ხორციელდება განვითარების ფაზაში და ამრიგად, ძირითად გავლენას ახდენს კონცეფციაზე, შინაარსა და საგამოყენო ბრიფზე. სანყისი ევალუაცია ამონებს გამოფენის ამოცანების განსაზღვრას გათვალისწინებულ აუდიტორიასთან მიმართებაში, წარმატებული სანყისი ეტაპის სამუშაო საფუძველს უქმნის ევალუაციის შემდეგ საფეხურს, რომელშიც შედის გამოფენის კონცეფციისა და შინაარსის "საუკეთესოდ მორგების" განვითარების დასანყისი და შესაბამისად – მოსამზადებელი სამუშაოს წარმატებული კომუნიკაცია. გამოფენა, რომელსაც სოციალური მიზანი აქვს, ავტომატურად ზრდის ევალუაციის პასუხისმგებლობას და მნიშვნელობას აუდიტორიისათვის კონცეფციის ან ძირითადი აზრის რეალურად მიწოდების თვალსაზრისით. ამდენად, ყველა საკითხი, არსებული თუ ალქმადი, დაკავშირებული მონაწილეობასთან, გაგებასთან და შეფასებასთან, უნდა დაისვას ევალუაციის პროცესის ყველაზე ადრეული საფეხურიდანვე.

- *ჩამოყალიბების ევალუაცია:* სადიზაინო სამუშაოების წარმოების განმავლობაში სამიზნე ბაზრის წარმომადგენლებზე ამონებს დეტალურ შინაარსს და კომუნიკაციის შეთავაზებულ მოდელებს. ამ საფეხურზე გამოფენის სპეციფიკური კომპონენტები შეიძლება შემონმდეს იმპროვიზაციისა და პროტოტიპების მეშვეობით, რომლის მიზანია დიზაინერებისთვის მეტად სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებენ დამთვლიერებლები ექსპონატებს, რამდენად ესმით ტექსტი და ა.შ. ამდენად, გამოფენის დიზაინისა და განხორციელების ფაზებს ინფორმაცია ეძლევა ჩამოყალიბების ევალუაციის მეშვეობით, რაც შეიძლება მოითხოვდეს ტესტირებას ან განმეორებით ტესტირებას იმისათვის, რომ გადაილახოს ნებისმიერი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის გამოფენის შინაარსის წარმატებულ გადმოცემას.

- *წინასწარი ევალუაცია:* შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხური. წინასწარი ევალუაცია ხორციელდება განვითარების ფაზაში და ამრიგად, ძირითად გავლენას ახდენს კონცეფციაზე, შინაარსა და საგამოყენო ბრიფზე. სანყისი ევალუაცია ამონებს გამოფენის ამოცანების განსაზღვრას გათვალისწინებულ აუდიტორიასთან მიმართებაში, წარმატებული სანყისი ეტაპის სამუშაო საფუძველს უქმნის ევალუაციის შემდეგ საფეხურს, რომელშიც შედის გამოფენის კონცეფციისა და შინაარსის "საუკეთესოდ მორგების" განვითარების დასანყისი და შესაბამისად – მოსამზადებელი სამუშაოს წარმატებული კომუნიკაცია. გამოფენა, რომელსაც სოციალური მიზანი აქვს, ავტომატურად ზრდის ევალუაციის პასუხისმგებლობას და მნიშვნელობას აუდიტორიისათვის კონცეფციის ან ძირითადი აზრის რეალურად მიწოდების თვალსაზრისით. ამდენად, ყველა საკითხი, არსებული თუ ალქმადი, დაკავშირებული მონაწილეობასთან, გაგებასთან და შეფასებასთან, უნდა დაისვას ევალუაციის პროცესის ყველაზე ადრეული საფეხურიდანვე.

- *ჩამოყალიბების ევალუაცია:* სადიზაინო სამუშაოების წარმოების განმავლობაში სამიზნე ბაზრის წარმომადგენლებზე ამონებს დეტალურ შინაარსს და კომუნიკაციის შეთავაზებულ მოდელებს. ამ საფეხურზე გამოფენის სპეციფიკური კომპონენტები შეიძლება შემონმდეს იმპროვიზაციისა და პროტოტიპების მეშვეობით, რომლის მიზანია დიზაინერებისთვის მეტად სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებენ დამთვლიერებლები ექსპონატებს, რამდენად ესმით ტექსტი და ა.შ. ამდენად, გამოფენის დიზაინისა და განხორციელების ფაზებს ინფორმაცია ეძლევა ჩამოყალიბების ევალუაციის მეშვეობით, რაც შეიძლება მოითხოვდეს ტესტირებას ან განმეორებით ტესტირებას იმისათვის, რომ გადაილახოს ნებისმიერი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის გამოფენის შინაარსის წარმატებულ გადმოცემას.

• *შემაჯამებელი ევალუაცია:* ევალუაციის ფინალური საფეხური განხორციელების ფაზის ბოლოს ტარდება და მიმართულია არსებულ გამოფენასა და დამთვალეებზე-ბზე. იდეალურ შემთხვევაში, გარკვეული ევალუაცია ტარდება წინასწარ გახსნაზე (ე.წ. "მოსამზადებელ გახსნაზე"), რაც შესაძლებლობას იძლევა ყველა ხარვეზი გამოფენის ოფიციალურ გახსნამდე აღმოიფხვრას. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე ხშირად შემაჯამებელი ევალუაცია ტარდება გამოფენის გახსნის შემდეგ, რათა მომავალი გამოფენების განვითარების ფაზებისათვის მომზადდეს აუცილებელი ინფორმაცია. ამგვარად, ეს პროცესი სამომავლო საგამოფენო ევალუაციის მიმდინარე ციკლის ფარგლებში ემსახურება წინასწარ კვლევებს. გარდა ამისა, შემაჯამებელ ევალუაციას შეუძლია აჩვენოს და დააფიქსიროს შედარებით ფართო სოციალური ფასეულობები ან შედეგები, რომელიც მიღწეულ იქნა გამოფენის მეშვეობით როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე.

ამრიგად, ეს ფაზები სასურველია ჩატარდეს გამოფენის განვითარების პროცესის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობის დროს და დასრულების შემდეგ.

4.2.2 გამოფენის განვითარებამდე: წინასწარი ევალუაცია

გამოფენის დასაწყისში, საჭიროა მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, რატომ და ვისთვის იგეგმება გამოფენა. წინასწარი ევალუაცია იწყება კითხვით: ამ მომენტისათვის რა იციან მნახველებმა, რომლებიც წარმოადგენენ სასურველ აუდიტორიას, შემოთავაზებული გამოფენის საგნის შესახებ? როგორ შეიძლება მათი საწყისი ცოდნა გამოვიყენოთ გამოფენაში?

მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც დაგეგმვის პროცესის ეფექტურად გაძღოლაში, ასევე ევალუაციის მომდევნო საფეხურებზეც, რის შედეგადაც გამოფენის წარმატება შეიძლება შეფასდეს დადებითად სპეციფიკური კრიტერიუმების მიხედვით. მაგალითად, მნიშვნელოვანია, დასაწყისშივე განისაზღვროს გამოფენის მიზანი – მუზეუმის აუდიტორიის გაფართოება და დამთვალეებლების სპეციფიკური ჯგუფების მოზიდვა. წინასწარმა ევალუაციამ უნდა განსაზღვროს გამოფენის სამიზნე აუდიტორიები, რაც საჭიროა არა მხოლოდ გამოფენის მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით, არამედ ფართო საზოგადოებაში მუზეუმის ზოგადი როლისა და პასუხისმგებლობის გასათვალისწინებლადაც. სწორედ აქ უნდა დასახოს დამგეგმავმა გუნდმა ამოცანები, რომელიც შეეხება გავლენას ფართო, ან მართლაც ძალიან სპეციფიკურ, სოციალურ საკითხებზე. მაგალითად, ბუნებისმეტყველების ისტორიის გამოფენა მიმართავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და სახეობების გადაშენების საკვანძო საკითხს და ცდილობს ინფორმაცია მიანოდოს მნახველებს ბუნებრივ გარემოში ადამიანის პოტენციურად სახიფათო ჩარევის შესახებ. ამ კონკრეტული საკითხის წინასწარმა ევალუაციამ, სიღნიში, ავსტრალიის მუზეუმის თანამშრომლებს საშუალება მისცა ბიოლოგიური მრავალფეროვნებისადმი მიძღვნილი გამოფენა გადაეწყვიტათ იმის შესაბამისად, თუ როგორ ესმით ადამიანებს ეს ტერმინი, მისი ქვეტექსტი და მნიშვნელობა.

სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრება გამოფენის დაგეგმვისათვის არ ითხოვს დემოგრაფიული პორტრეტის შექმნას ისე, როგორც ეს მარკეტინგის სამყაროშია მიღებული. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ წარმატებული კომუნიკაციის დამყარებისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანია მოხდეს თუნდაც "ეროვნული დამთვალეებლის" იდენტიფიკაცია. გამოფენები, მეტწილად, არის მასმედიური გამოცდილება. ამიტომ აუდიტორიებს

აქვთ მიდრეკილება, გახდნენ ფართო და მრავალფეროვანი პუბლიკა, რომელიც მოიცავს როგორც ოჯახებს, ასევე – სპეციალისტებსა და არასპეციალისტებსაც. ნებისმიერ შემთხვევაში, ცალკეული გამოფენები ან მათი შემადგენელი ნაწილები შეიძლება გამიზნული იყოს სპეციფიკური ჯგუფებისათვის – მაგალითად, საბავშვო გალერეა ან ოჯახური სწავლების დარბაზი, რაც შეიძლება გაცილებით უფრო ეფექტური იყოს “ფართო აუდიტორიისა” და “სპეციფიკური აუდიტორიის” განსაზღვრისთვის.

გამოფენის დამგეგმავმა გუნდმა მაქსიმალურად მრავალი კუთხით და ღრმად უნდა გაიაზროს სამიზნე ჯგუფები და მათი მოთხოვნილებები, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მუზეუმის დათვალეობებისა და სხვა გასართობი და სასწავლო შესაძლებლობების კონტექსტში. არც ერთი მოქალაქე არ შევა საგამოფენო დარბაზში, თუ მუზეუმის შესასვლელშივე არ იგრძნობს მის მიმზიდველობას. ამგვარ ინფორმაციაზე მუშაობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- მოსვლის მოტივაცია
- რას მოელის დამთვალიერებელი
- დამთვალიერებლის მიერ აღქმა
- ფიზიკური გარემო და მისი გამოყენება
- მოსვლის ხელისშემშლელი მიზეზები

ამ კითხვების ფოკუსი დამოკიდებული იქნება გამოფენის ზოგად მიზანზე და მის სავარაუდო ზეგავლენაზე, თუმცა მასპინძელი მუზეუმის მნახველების წინასწარი კვლევა მეტად სასარგებლოა. ამ ეტაპზე ამოცანებისა და სამიზნე აუდიტორიის დეტალური დადგენა საშუალებას მისცემს ევალუაციის პროცესს, რომ მომდევნო ეტაპებზე კვლევა მიმართული იქნას შესაბამის სფეროებზე.

მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი წინასწარი ევალუაციის დასაწყისის განსასაზღვრისთვის, “არის გამოფენის მკაფიოდ შემუშავებული სასწავლო ამოცანები. სამიზნე აუდიტორიების შერჩევის მსგავსად, სამუზეუმო სწავლების ევალუაცია გაცილებით უფრო ფართო საკითხია, ვიდრე მარტო გამოფენა. ის სრულად უნდა გაანალიზდეს დანესებულების მისიისა და მანდატის შესაბამისად. გამოფენის ევალუაციისათვის სასწავლო ამოცანებს არ უნდა ჰქონდეს ჩანაფიქრის ბუნდოვანი განცხადების სახე. ამავე დროს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სამუზეუმო სწავლება უპირველეს ყოვლისა ემოციურია და არა – შემეცნებითი. 1999 წლის აპრილში, სიდნეის ავსტრალიის მუზეუმში სემინარზე წარდგენილ მოხსენებაში “ფიქრები სწავლაზე”, ლინდა ქელიმ (“Musing on Learning”, Lynda Kelly) შეაჯამა სწავლებასთან დაკავშირებული უახლესი კვლევა და დაასკვნა, რომ სწავლა:

- არის პროცესი, რომლის დროსაც თავდაპირველი ცოდნა მიესადაგება ახალ გამოცდილებას

- უპირველეს ყოვლისა, ვითარდება თავდაპირველი ცოდნიდან და მხოლოდ შემდეგ – ახლად წარდგენილი მასალებიდან

- წარმოადგენს ურთიერთქმედებებისა და უკუკავშირების წრეების რთულ სერიებს
- ავითარებს მახსოვრობას და შესაბამისად – მეხსიერებას
- ფაქტობრივად არის დაკავშირებული გრძნობებთან და ემოციებთან
- გრძელვადიანია: აღმდგენი გამოცდილების მუდმივი პროცესით

ამრიგად, გამოფენის სწავლების ამოცანები უნდა ითვალისწინებდეს იმას, რაც ზოგადად, სამუზეუმო სწავლების შემადგენელ ნაწილადაა მოაზრებული. შემდგომში ნებისმიერ

სხვა სოციალურ ამოცანებთან ერთად, იგი გახდება შემაჯამებელი ევალუაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

სასწავლო ამოცანების დაგეგმვის დროს, მუზეუმები ხშირად ითვალისწინებენ თავისი აუდიტორიის ნაწილის ცოდნის დონეს. მუზეუმების მნახველების უმრავლესობას, ჩვეულებრივ, საკმაოდ მწირი ცოდნა აქვს სპეციალური დისციპლინის, კონცეფციის ან იდეის შესახებ. თავდაპირველი დაშვება არსებული ცოდნის შესახებ, შეიძლება უხეშად იყოს გაკეთებული და ამდენად, შეზღუდოს დამთვალეირებლის მიერ გამოფენის საგნის ან ძირითადი იდეის აღქმა. ეს გავრცელებული პრობლემაა ისტორიული და სამეცნიერო გამოფენებისთვის, როცა მუზეუმის კურატორებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ მუზეუმის დამთვალეირებლებმა მოცემული საგნის შესახებ მეტი იციან, ვიდრე ამას სინამდვილეში ავლენენ.

რასაკვირველია, ეს შეიძლება პრობლემა გახდეს სხვა თვალსაზრისითაც – თუ გამოფენები თავის აუდიტორიებზე "ზრუნვით" ეცდებიან "დაამუხჯონ" საგანი. გამოფენის დამგეგმავებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყველა დამთვალეირებელს თან ახლავს მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, ასოციაციების საკუთარი რიგი და ზოგადად – სამყაროსთან მისი კავშირის ყველა ასპექტი. მუზეუმის პოტენციური დამთვალეირებლისაგან რაიმე რომ ისწავლოს, გამოფენის საწყისი ევალუაცია მიზნად უნდა ისახავდეს შემდეგს:

- უზრუნველყოს ინფორმირებულობა დამთვალეირებლის ცოდნისა და აღქმის დონის შესახებ კონკრეტულ საგანზე
- დაადგინოს ამ საგანთან დაკავშირებული კითხვები, რომელზეც, სავარაუდოდ, დამთვალეირებელი პასუხის მიღებას მოითხოვს
- ინფორმაცია მიანოდოს სხვადასხვა აუდიტორიებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის "დონეებად დაყოფის" მიმართ მიდგომის შესახებ
- ინფორმაცია მიანოდოს დიზაინერებს ინტერპრეტაციის ტექნიკის გამოსაყენებლად
- შესაძლოა, ამ ინფორმაციის საფუძველზე, გარდაქმნან გამოფენის ზოგადი სასწავლო ამოცანები

წინასწარი ევალუაცია შეიძლება აგრეთვე ეხმიანებოდეს დამთვალეირებლის მიერ გამოფენის აღქმის შეთავაზებულ მოდელებს, ან პრეზენტაციის ჩაფიქრებულ სტილს. გამოფენის დაგეგმვის პროცესის ამ ადრეულ საფეხურზე სასარგებლოა შემომწმდეს გამოფენის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მიდგომის მიმართ მნახველის დამოკიდებულება, რითაც დიზაინერებს შესაძლებლობა მიეცემათ შეუდგნენ კომპონენტების შექმნას ევალუაციის შემდეგი საფეხურისათვის.

ამრიგად, გამოფენის ამოცანების, სამიზნე აუდიტორიების, სასწავლო ამოცანების და აღქმის სასურველი მოდელების განსაზღვრითა და შემდეგ მათი გადახედვით, წინასწარმა ევალუაციამ შეიძლება შეცვალოს გამოფენის მიმართულება, ახალი ფორმა მისცეს დამგეგმავების მიკერძოებულ მიზნებს და ამოწუროს დაგეგმვის გუნდის წევრებს შორის არსებული უთანხმოებები.

4.2.3 გამოფენის განვითარების განმავლობაში: ჩამოყალიბების ევალუაცია

გამოფენის დაგეგმვის გუნდმა ახლა უნდა დაიწყოს გამოფენის გეგმის დეტალიზება, რომელშიც დამუშავებულია შინაარსი და მოფიქრებულია მისი ინტერპრეტაციისა და კო-

მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საშუალებები. ჩამოყალიბების ევალუაცია პასუხობს საკითხებს, რომელიც სამ ფართო სფეროს მოიცავს:

- შინაარსი და ამბის მოყოლა
- გამოფენა და ინტერპრეტაციის საშუალებები
- ფიზიკური და სოციალური გარემო

წინასწარი ევალუაციის შედეგად ინფორმირებული დამგეგმავი გუნდი (რაც მოიცავდა როგორც უკუგებას პოტენციური აუდიტორიისაგან, ასევე გამოფენის ზოგად მიზნებსა და ამოცანებს), ახლა უკვე უნდა შეუდგეს გამოფენის შინაარსის დეტალურ განვითარებას. უკვე შეიძლება გამოფენის ძირითადი თემატური კომპონენტების შესახებ საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება. ამ დეტალიზებული შინაარსის ჩამოყალიბების ევალუაცია სასარგებლოა შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად:

- რამდენად და როგორ ფლობენ დამთვალეირებლები ტექნიკურ დეტალებსა და ტერმინოლოგიას, ან კიდევ უფრო მეტად რთულ და ფაქიზ კონცეპტებს?
- შეიძლება თუ არა შინაარსის კომპონენტების ცალ-ცალკე აღქმა, თუ ამისთვის მათ სჭირდება უფრო განვითარებული კონტექსტი?
- ამბის თხრობა უკეთესია მოხდეს შინაარსის მიხედვით, თუ მოდულების სახით? უკეთ აღიქმება თუ არა შინაარსი, თუ დამთვალეირებელს იგი ხაზობრივი თანმიმდევრობით მიეწოდება? თუ დამთვალეირებლებს მიეცეს უფლება თვითონ აირჩიონ გამოფენის მოდულების აღქმის თანმიმდევრობა?
- შეუძლიათ თუ არა დამთვალეირებლებს აღიქვან გამოფენის ძირითადი გზავნილები?

გამოფენისა და ინტერპრეტაციის ალტერნატიული საშუალებების შესახებ მსჯელობით, ჩამოყალიბების ევალუაცია ცდილობს პასუხი გაეცეს კითხვას, თუ როგორ უნდა გადაწყდეს შინაარსის ან ამბის მიწოდება დამთვალეირებლისთვის მზა გამოფენის სახით. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მუზეუმის საგამოფენო პოლიტიკის კონტექსტში უნდა იქნას გადაწყვეტილი, არის სამუზეუმო ექსპონატების (ხელოვნების ნაწარმოებები, არტიფაქტები, საარქივო დოკუმენტები, ნიმუშები თუ მონყობილობები) როლის განსაზღვრა გამოფენის შინაარსის გადმოცემისას. მუზეუმებს აქვს ობიექტების გამოფენისა და ინტერპრეტაციისადმი მიდგომის დიდი არჩევანი. სულ უფრო ხშირად, ერთი გამოფენის ფარგლებში რამდენიმე მეთოდი გამოიყენება ხოლმე. ეს კეთდება იმისათვის, რომ დამთვალეირებლებს მიეცეს სწავლების რაც შეიძლება უფრო ფართო შესაძლებლობები. გამოფენის დამგეგმავებს ევალებათ საგნის ინტერპრეტაცია ისე მოახერხონ, რომ ის გახდეს ხელმისაწვდომი და მიმზიდველი, რათა მნახველსა და სამუზეუმო ექსპონატებს შორის არ შეიქმნას გადაულახავი დისტანცია. ამ შემთხვევაში ჩამომყალიბებელი ევალუაცია დამგეგმავს ეხმარება “საუკეთესო მორგების” მიღწევაში.

ვინაიდან ჩამოყალიბების ევალუაცია დაკავშირებულია გამოფენისა და ინტერპრეტაციის საკითხებთან, მას ძირითადად განმეორებადი პროცესის ხასიათი აქვს. გამოფენის კომპონენტები მუშავდება, ფასდება, კვლავ მუშავდება და კვლავ ფასდება. ამ პროცესის თითოეულ ნაბიჯზე უნდა შემუშავდეს სპეციფიკური ინფორმაცია, ამიტომ დიზაინერებს შეუძლიათ გამოიყენონ ყველაზე ძლიერი ეფექტის მქონე აღმოჩენები.

ვინაიდან სამუზეუმო გამოფენა არის თხრობა როგორც ობიექტების, ასევე მტყვევლების გამოყენებით, ამიტომ ნებისმიერი გამოფენისთვის სალაპარაკო ენას ფუნდამენტური მნიშ-

ენელობა ენიჭება. მიუხედავად ამისა, ძალიან ხშირად სხვადასხვა სახის წარწერები, გრაფიკული გამოსახულებები და გამოფენაში გამოყენებული სხვა ტექსტები იწერება, იბეჭდება და იფინება ყოველგვარი შემონმების გარეშე. საგამოფენო ტექსტის და წარწერების გაკეთება არის გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე უშუალო და იაფი ასპექტი, რომელიც ჩამოყალიბების ევალუაციის განმავლობაში აუდიტორიაზე შეიძლება შემონმდეს. აუცილებლად უნდა შემონმდეს არა მარტო გამოფენის ტექსტები, წარწერები, ასევე – ნებისმიერი სხვა სახის ტექსტი. ტექსტი ადვილად უნდა იკითხებოდეს, წინასწარ უნდა შეირჩეს როგორც შრიფტი და შრიფტის ზომები, ასევე – გამოყენებული ტერმინოლოგია, ტექსტების და გრაფიკული პანელების განთავსების სიხშირე და ადგილი. საჭიროა აგრეთვე დამთვალეიერებლისადმი მიმართვის ფორმის შერჩევა – თხრობითი წინადადება უკეთ შესაბამება სასურველ შედეგს, თუ უფრო ეფექტური იქნება კითხვის დასმა?

დიდი ხანია ცნობილია, რომ მუზეუმში მისვლის ფიზიკური და სოციალური კონტექსტი უზარმაზარ გავლენას ახდენს მნახველზე, როგორც ზოგადად სიამოვნების მიღების, ასევე ცოდნის მიღების თვალსაზრისით. ამდენად, გამოფენის დამგეგმავებმა, ჩამოყალიბების ევალუაციის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს დამთვალეიერებლებთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გამოფენის როგორც სივრცით გადანყვეტაზე, ასევე მთელ კონცეფციაზეც. შესაძლებელია, მნახველების სხვადასხვა ჯგუფებს დასჭირდეს სხვადასხვა დონის პირობების შექმნა. დიზაინის პრობლემების თავიდან ასაცილებლად და მნახველების კომფორტისა და დაცულობის შეგრძნების უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებული უნდა იყოს ურთიერთდამოკიდებულება ამ ჯგუფებს შორისაც და გამოფენასთან.

ამრიგად, ჩამოყალიბების ევალუაცია გამოფენის განვითარების პროცესის განუყრელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს გამოფენის ყველა ასპექტის შემონმებას მათი შემუშავებისთანავე, რაც დამგეგმავებს და დიზაინერებს აწვდის ინფორმაციას და ხშირად, თავისივე აღმოჩენების შესაბამისად, შემოთავაზებულ ცვლილებებსაც ამონმებს. საბოლოო შედეგის გასაუმჯობესებლად, ჩამოყალიბების ევალუაცია შეიძლება გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენის საშუალებასაც იძლევა დრო და ბიუჯეტი.

4.2.4 გამოფენის განვითარების შემდეგ: შემაჯამებელი ევალუაცია

მკაცრად ჩატარებული წინასწარი და ჩამოყალიბების ევალუაცია საშუალებას აძლევს გამოფენის დამგეგმავებს, ისე შეიმუშავონ გამოფენა, რომ დარწმუნებულები იყვნენ – თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გამოფენა მნახველისთვის ყოფილიყო შინაარსიანი და სასიამოვნო. შემაჯამებელი ევალუაცია ამონმებს იმას, თუ რამდენად მიაღწიეს მათ წარმატებას, ააშკარავენ შეცდომებს და რეკომენდაციებს იძლევა როგორც არსებული გამოფენისთვის, ასევე სამომავლოდ.

დასრულებული გამოფენის პირობებში, რეალური მნახველების გათვალისწინებით, შემაჯამებელი ევალუაცია აძლევს მუზეუმს უკუგებას აუდიტორიისაგან და შეუძლია განსაზღვროს გამოფენის ზოგადი გავლენა და წარმატება. შემაჯამებელი ევალუაცია უნდა ჩატარდეს უშუალო კავშირში როგორც კონკრეტული გამოფენის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ასევე ზოგადად, მუზეუმის თვალსაზრისითაც. ამიტომაც ინფორმაციის შინაარსი უნდა იყოს ვრცელი და პასუხობდეს კითხვას: "რა შესძინა ახალმა გამოფენამ

თითოეულის ცხოვრებას?", ან განსაზღვრავდეს, განხორციელდა თუ არა წინასწარი ევალუაციის შედეგად დაგეგმვის დასაწყისში დასახული მუზეუმის ამოცანების სამიზნე აუდიტორიების, სასწავლო და სოციალური ამოცანების თვალსაზრისით?

გამოფენაში ფიზიკური ხასიათის პრობლემები ხშირად საკმაოდ ადრე იჩენს თავს. ეს შეიძლება იყოს დამთვალეობების ნაკადის მოძრაობის და ცირკულაციის პრობლემები, ან ცალკეული საგამოფენო კომპონენტების ინტენსიური გამოყენების გამო მათი დაზიანება, კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უფრო რთული აუდიო-ვიზუალური საშუალებების შემთხვევაში (მათი აღდგენა და ტესტირება რთულია ჩამოყალიბების ევალუაციის საფეხურზე). გამოფენის ის კომპონენტები, რომელიც მწყობრიდან ადრე გამოდის, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად იქნა გამოყენებული, რაც უშუალოდ უჩვენებს ევალუატორებს დამთვალეობების მიდრეკილებებს, ანუ – რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას გამოფენაზე.

შემაჯამებელ ევალუაციას აინტერესებს, თუ ვინ მოდის გამოფენაზე და როგორ იყენებენ ისინი მას. როგორც კი გამოფენა გაიხსნება, მუზეუმს უკვე საკონსულტაციოდ ჰყავს რეალური აუდიტორია. თუ მუზეუმს ჰქონდა ჩატარებული დამთვალეობების კვლევა, ის გამოდგება შეგროვებული ინფორმაციის სტრუქტურისთვის და შესაბამისად, შესაძლებელი გახდება შედარება წინა კვლევებთან. ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი ასევე სასარგებლო იქნება მარკეტინგის განყოფილებისათვისაც. ქვემოთ მოყვანილი სქემა წარმოადგენს დამთვალეობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც გამომდინარეობს შემაჯამებელი ევალუაციიდან:

- დემოგრაფიული მონაცემები: ასაკი, სქესი, ეთნიკური წარმოშობა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, განათლების დონე, თანამდებობა/სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, განსაკუთრებული მოთხოვნილებები (ენების ჩათვლით)

- დამთვალეობის მოტივაცია და მოლოდინი: ინტერესი, რომელმაც განაპირობა მუზეუმში დღეს მოსვლა/მოსვლის მიზანი, დამთვალეობელთა არსებული ჯგუფი და ჯგუფი, რომელიც სასურველია, ინფორმაციის წყაროები, მუზეუმში მოსვლის სიხშირე

- გამოფენის შენობის ფიზიკური გამოყენება: გამოყენებულია შესასვლელი, დამთვალეობისთვის განკუთვნილი ადგილები, სპეციფიკური საინტერპრეტაციო მასალების გამოყენება (აუდიო გიდები, ექსკურსიამძღოლის მიერ ჩატარებული ტური, ა.შ.), მუზეუმში ყოფნის ხანგრძლივობა

- გამოფენის დამთვალეობის ხარისხი და დამთვალეობის შედეგები: მუზეუმის ყველაზე ნიშანდობლივი ინდიკატორი, რომელიც უნდა შეფასდეს გამოფენის ამოცანებთან მიმართებაში.

ვიმეორებთ, რომ გამოფენის შემაჯამებელი ევალუაციის დროს, მუზეუმის პროფესიონალებს უნდა ახსოვდეთ, რომ გამოფენა, უპირველეს ყოვლისა, არის ემოციური სწავლის ადგილი. კვლევისა და შეფასების სულ უფრო მზარდი დონე გვკარნახობს, რომ სამუზეუმო გამოფენა არ არის ეფექტური რთული ინფორმაციის გადაცემის ანდა ცოდნის მიღების თვალსაზრისით. სატელევიზიო პროგრამების მსგავსად (მასმედიას კიდევ ერთი მაგალითი), ჩანს, რომ გამოფენები უფრო წარმატებულია ენთუზიაზმის გასაღვივებლად, გრძელვადიანი დამოკიდებულების გამოსაწვევად, დამოკიდებულებაზე გავლენის მოსახდენად, ინტერესის აღსაძრავად, სპეციფიკური საკითხების მიმართ ყურადღების მისაპყრობად და ღრმა – ხშირად ხანგრძლივი, ემოციური დამოკიდებულების შესაქმნელად. ამიტომ ევალუატორებმა უნდა

გადანყვიტონ გამოფენის შეფასების რომელი კრიტერიუმების მიხედვით უნდა მოხდეს შეფასება, რომ შედეგები მაქსიმალურად შინაარსიანი და მნიშვნელოვანი იყოს. ნაკლებად ფასეული იქნება იმის შემონგება, თუ რამდენად დაამახსოვრდა დამთვალიერებელს ფაქტობრივი მასალა, მაშინ, როცა უმნიშვნელოვანესი იქნება იმის აღმოჩენა, რომ ინტერესის არარსებობის გამო ადრე უარყოფილი თემის მიმართ სწორედ ახლა გაჩნდა ინტერესი.

მრავალი სთეიქჰოლდერი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენს მუზეუმების ნამდვილი ფასეულობისა და მათ მიერ შეთავაზებული გამოცდილების ზედმინევენით დემონსტრირებისადმი. ეს მოითხოვს ფასეულობის ახალი საზომი კრიტერიუმების შემუშავებას, რომელიც მთლიანად არ ეყრდნობა სტატისტიკას და შესრულების სხვა კლასიკურ ინდიკატორებს. ვინაიდან გამოფენა კვლავაც რჩება მუზეუმის აუდიტორიისა და ობიექტების კავშირის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად, დასრულებული გამოფენების შემაჯამებელმა ევალუაციამ, შეიძლება საგრძნობი წვლილი შეიტანოს ამ უფრო ფართო ხასიათის მქონე მსჯელობაში. ამ ინტერესის და მსჯელობის შედეგი, როგორც მუზეუმის სექტორში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, არის გამოფენების ორგანიზატორთა მიერ მკაფიო სოციალური ამოცანების დასახვა, რაც ნებისმიერი მუზეუმისა და გამოფენისთვის უკვე უნდა ჩაითვალოს დადებით ტენდენციად, როგორც ადგილობრივ საზოგადოებასთან, ასევე ცალკეულ ადამიანებთან მიმართებაში. გამოფენის ევალუატორებს დასჭირდებათ შეიმუშავონ სოციალური ფასეულობის ახალი შესაფერისი “საზომი ერთეულები” ან ნიშნები კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებით. ამგვარი ნიშნების შემუშავებასა და სარგებლიანობას, გაცილებით უფრო ფართო გავლენა შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე შემდეგი გამოფენისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. მან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში მუზეუმების როლისა და ფუნქციის საკმაოდ რადიკალური გადახედვა, ან სულ მცირე – ახლებური ხედვის ჩამოყალიბება. ამრიგად, ერთი გამოფენის შემაჯამებელი ევალუაცია არ არის ევალუაციის დასასრული. ისევე, როგორც მუზეუმის მნახველები, მუზეუმის თანამშრომლებიც ევალუაციის მეშვეობით განაგრძობენ სწავლას, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას შემდეგი გამოფენისათვის. გამოფენის ევალუაციას შეუძლია მოგვანოდოს არსებითი ინფორმაცია მთელი მუზეუმის მენეჯმენტისა და მიმართულებისათვის და ამის გამო უნდა განიხილებოდეს, როგორც ნებისმიერი გამოფენის შემუშავების აუცილებელი ნაწილი, განსაკუთრებით – გრძელვადიანი ინსტალაციების შემთხვევაში.

გამოფენის ევალუაცია არ გვპირდება და არ გვაძლევს გარანტიებს, რომ გამოფენით მიღებული გამოცდილება უნაკლო იქნება. გამოფენები არასოდეს გახდება საშუალება, რომლითაც ნებისმიერი დამთვალიერებელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის მიიღებს სწორედ იმას, რასაც მოელის. მაგრამ გამოფენების ევალუაცია აძლევს მუზეუმს გაცილებით მეტ შანსს წარმატებით მიაწოდოს თავის აუდიტორიას შინაარსიანი და სწორად ჩამოყალიბებული სათქმელი. ნაწილი 4.3 იკვლევს, თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს ზემოაღნიშნული რაოდენობრივი და თვისობრივი ცვალებადი ფაქტორების გათვალისწინებით.

მაგალითი 4.1

კონსერვატორების საქმიანობისადმი მიძღვნილი მუდმივი გამოფენის ევალუაცია ეროვნულ მუზეუმებსა და გალერეებში მერსისაიდში, ლივერპული

(National Museums and Galleries on Merseyside - NMGM)

ანნ პენინგტონი

დამთვალეობებთან დაკავშირებული კვლევა არ არის სიახლე მერსისაიდის ეროვნული მუზეუმებისა და გალერეებისათვის. დამთვალეობების შესახებ მონაცემები, კომენტარებთან ერთად, ჯერ კიდევ დაარსების წლიდან (1852 წ.) ინერგობდა შთაბეჭდილებათა ნიგნში და შესაბამისად, ყურადსაღები იყო მუზეუმის მესვეურთათვის. 1980-იანი წლების შუახანებიდან მნახველების ინტერესთა კვლევა უკვე აპრობირებული იყო და ვითარებოდა ორი მიმართულებით:

- დამთვალეობების თვალთახედვით გამოფენის ფასეულობის ობიექტური ნიშნების უზრუნველყოფა: --ის პირველმა სამეცნიერო ცენტრმა – ტექნოლოგიურმა საცდელმა მოდელმა (Technology Testbed, 1986-9) დაფინანსება მიიღო გეტსბის საქველმოქმედო ფონდისაგან (Gatsby Charitable Trust), რომელიც ასევე მთელ რიგ კვლევებს ლივერპულის უნივერსიტეტში აფინანსებდა. კვლევებმა აჩვენეს ინტერაქტიური ექსპონატების საგანმანათლებლო ფასეულობა და განსაზღვრეს გზები, რომლითაც შეიძლება მნახველს მათთან ურთიერთქმედება გაუადვილოთ. ამ გამოცდილებამ აჩვენა, რომ --ის სხვა სფეროებსაც შეუძლია ისარგებლოს ამგვარი საქმიანობით, რის გამოც თანამშრომლებმა დაიწყეს საკუთარი გამოფენებისათვის დამთვალეობების კვლევების შექვეთა.

- დამთვალეობების შესახებ დემოგრაფიული და სხვა ინფორმაციით უზრუნველყოფა მარკეტინგული გეგმების შესამუშავებლად

მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლების დასაწყისამდე, უშუალოდ გამოფენის შექმნის პროექტში ევალუაცია არ გამოიყენებოდა მისი შინაარსისა და დიზაინის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დასახმარებლად. ასე მოხდა გამოფენაზე "დროულად დაჭერილი", რომელიც მოეწყო --ის საკონსერვაციო ცენტრში. პროექტის მანძილზე ევალუატორები, რომელთა რიცხვშიც შედიოდა პაულები მაკმანასისა და სიუზი ფიშერის მონვეული სააგენტოები და თანამშრომლებისაგან შემდგარი გუნდი, რომელსაც ამ სტრუქტურის ავტორი ხელმძღვანელობდა.

1. გამოფენის განვითარებამდე: წინასწარი ევალუაცია

კონსერვატორების საქმიანობის შესახებ გამოფენები პრაქტიკულად არ ჩატარებულა, ამიტომ ვიდრე დავიწყებდით დიზაინის ბრიფის წერას, ჩავატარეთ წინასწარი ევალუაცია. კითხვარის მეშვეობით გამოვკითხეთ ლივერპულის მუზეუმის და იმავე ქუჩაზე მყოფი ვოლქერის ხელოვნების გალერეის დამთვალეობები, ვინაიდან ჩავთვალეთ, რომ ეს ის ადამიანებია, ვისაც შეიძლება აინტერესებდეს ჩვენს მიერ შემოთავაზებული გამოფენა სამუზეუმო კონსერვაციის შესახებ. ამ კვლევამ მოგვცა პირველი ინდიკატორები, რომ მნახველებისთვის პრობლემა გახდება ტერმინ "კონსერვაცია" აღქმა მისი სამუზეუმო მნიშვნელობით და გამოააშკარავა გავრცელებული მცდარი აზრი, თითქოს კონსერვატორებს არ შეუძლიათ ნივთების განადგურების შეჩერება. გამომდინარე აღნისნულიდან, გაკეთდა

დასკვნა – საჭიროა ბევრი მუშაობა კონსერვაციის, როგორც დარგის, კონცეფციის ეფექტურად გადმოსაცემად.

პროექტის მენეჯერმა ჩამოაყალიბა გამოფენის განვითარების გუნდი, სადაც თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი დამთვალეიერებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში განაფული თანამშრომლები და კონსერვაციის სპეციალისტები, რომლებსაც აღნიშნული დისციპლინის შესახებ მნახველების ცოდნაზე ცოტა რამ გაეგებოდათ. პროექტის მენეჯერმა იგულისხმა, რომ კომუნიკაციის სტრატეგია უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს ორმხრივად – დასრულებული პროდუქტი უნდა იყოს საკმარისად მიმზიდველი მათთვისაც კი, ვინც გამოფენისადმი ყველაზე ცუდადაა განწყობილი და ამავე დროს, შეინარჩუნოს ტექნიკური გამართულობა. ვინაიდან პროექტის მენეჯერი გახსნამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე დაიქირავეს, არ იყო დრო პროექტში რაიმე ცვლილებების შესატანად – სწორი გადაწყვეტილებები პირველივე მცდელობით უნდა მიღებულიყო. განვითარების ჯგუფისათვის პირველი დავალება იყო გამოფენის მისიის და ამოცანების კომპლექსის ჩამოყალიბება. იმ მომენტში, როცა ამოცანებს დახვეწა სჭირდებოდა და ვიდრე რაიმე უთანხმოება წარმოიქმნებოდა, ჩატარდა კიდევ ერთი წინასწარი ევალუაცია. გამოკვლეული იქნა სამი ფოკუს-ჯგუფი:

- 40-70 წლის ადამიანები, რომლებიც მუზეუმში დადიან მარტო ან ერთ მოზრდილთან ერთად

- 14 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლები, რომლებიც მთელ ოჯახთან ერთად დადიან მუზეუმში

- 25-55 წლის დიპლომირებული ადამიანები, ენთუზიასტი დამთვალეიერებლები, რომლებსაც მუზეუმები მიაჩნიათ სასარგებლოდ და რომლებიც წელიწადში, სულ მცირე, 4-ჯერ მაინც მიდიან მუზეუმში.

განვითარების გუნდმა იმუშავა ფოკუს ჯგუფებთან და მივიდა დასკვნამდე, რომ სავარაუდოდ, არსებობს პრობლემები კომუნიკაციის კუთხით. მეტიც, შემდეგ დილას თოფ ლაინ დებრიფმა (სავარაუდო აღმოჩენების შესახებ პირველი შთაბეჭდილებების არაფორმალური პრეზენტაცია, ჩატარებული დეტალური ანალიზის გაკეთებამდე), ხელი შეუწყო პრობლემების სწრაფ გავრცელებას გამოფენის გუნდის წევრებს შორის და მიაღწია შეთანხმებას თავდაპირველ კონცეფციაში შესწორებების შეტანის შესახებ. გაირკვა, რომ დამთვალეიერებლებს პრობლემა აქვთ ტერმინთან "კონსერვაცია". მათთვის ძნელია ამ დარგის სპეციალისტთა აზრის გაგება, რომ "ნივთის განადგურების შეჩერება ახლავე შეუძლებელია" ან "დიღემები, რომლებიც დგას კონსერვატორების წინაშე", ვიდრე მათ არ აჩვენებენ კავშირებს მათთვის ნაცნობ ყოფით საკითხებთან. მაგალითად, – რატომ ფუჭდება ფარდები, ან გადაამეტებული წმენდის გამო რატომ ზიანდება ესა თუ ის ნივთი.

2. გამოფენის განვითარების დროს: ჩამოყალიბებული ევალუაცია

განვითარების პროცესის შემდეგ ეტაპზე, სხვადასხვა საკითხების ილუსტრირებისათვის, თავს იყრის ინტერაქტიური გამოფენის ნაწილების იდეები. ინტერაქტიური ნაწილის შესაქმნელად სრული დატვირთვით მომუშავე დიზაინერი ჩამომყალიბებელი ევალუაციისათვის ამზადებს ერთგვარ იმპროვიზებულ საგამოფენო იდეებს. ეს საგამოფენო იდეები ლივერპულის მუზეუმის გალერეაში განხორციელდა და განვითარების გუნდის თითოეულ წევრს დაევალა დღის განმავლობაში შეემონებინათ დამთვალეიერებლების რეაქცია ნანახზე. ისინი ინვესტდენ დამთვალეიერებლებს იმპროვიზებულ საგამოფენო ექსპონატებთან, უსვამდნენ

კითხვებს იმის გასარკვევად, თუ რას აღიქვამენ მნახველები და მათი აზრით, რისი ჩვენება იყო ჩაფიქრებული. თუ მნახველთა პასუხების მიხედვით ირკვეოდა, რომ ინტერაქტიური საგამოფენო ელემენტები ვერ იქნა გაგებული და აღქმული სწორად, ეს ნიშნავდა გამოფენის ჩაშლას. გუნდი სალამოსთვის დებრიფს აწყობდა და იმუშავებდა რეკომენდაციებს წარუმატებელი იდეების შესაცვლელად.

ჩამომყალიბებელი ევალუაცია განმეორებადი პროცესია – ნებისმიერი ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა პირველი ტესტირების შემდეგ, კვლავაც უნდა შემოწმდეს. ამის გამო განვითარების გუნდს საჭიროდ მიაჩნია ჩამომყალიბებელი ევალუაციის მეორე "ტალღის" ჩატარება, ვიდრე ისინი არ დარწმუნდებიან, რომ ინტერაქტიური ნაწილი წარმატებით ახერხებს დამთვალეირებლისათვის სასურველი ინფორმაციის მიწოდებას. ჩამომყალიბებელი ევალუაცია აუცილებელია:

- განვითარების გუნდის წევრების სრული მხარდაჭერით რეკომენდაციების სწრაფი და უშუალო მიღება-შესრულებისთვის
- კომუნიკაციის ამოცანების მისაღწევად
- გუნდის დასარწმუნებლად, რომ უარყოფილი იდეები ვერ, ან არ გამოდგებოდა საქმეში
- სახსრების დასაზოგად, რადგან ჩამომყალიბებელი ევალუაცია რომ არ ჩატარებულიყო, შეცდომები აღმოჩენილი იქნებოდა მხოლოდ გამოფენის გახსნის შემდეგ.

3. გახსნის შემდეგ: შიშაჯამბაელი ევალუაცია

როდესაც საკონსერვაციო ცენტრი გაიხსნა დამთვალეირებლებისთვის, ჩატარდა შიშაჯამბელი ევალუაცია და გაირკვა, რომ მუზეუმებსა და გალერეებში კონსერვაციის სამუშაოს არსის გადმოცემა წარმატებულად მოხერხდა. ამ შედეგის ინდიკატორი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- არც ერთი რესპონდენტი არ ასახელებდა გარემოს კონსერვაციას
- 80 პროცენტზე მეტმა აღნიშნა, რომ ასხვავებენ ერთმანეთისაგან კონსერვაციას და რესტავრაციას
- რესპონდენტებმა აღიქვეს გამოფენა, როგორც სასწავლო გამოცდილება, რომლის დაკავშირება შეიძლება საკუთარ გამოცდილებასთან, თუნდაც ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებაში
- რესპონდენტებმა აღნიშნეს დაზიანის პროცესსა და იმ მასალებში მკაფიო გარკვევა, რომლებზეც მუშაობენ კონსერვატორები.

დასკვნა

წინასწარი და ჩამომყალიბებელი ევალუაციისათვის რესურსების დახარჯვა ღირდა შემდეგის გამო:

- დამყარდა კომუნიკაციის უფრო მაღალი დონე არასპეციალისტთა აუდიტორიებთან
- განვითარებაზე დახარჯული დრო დაიზოგა გადმოსაცემი აზრის სავარაუდო წარმატების ან წარუმატებლობის დროულად განსაზღვრით
- დაიზოგა ფული ინტერაქტიური დისპლეებისა და გადმოსაცემი აზრების დასაწყის-შივე სწორი ორგანიზებით

საკონსერვაციო ცენტრს, გაიხსნიდან, 1996 წლიდან, დღემდე, მოპოვებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები:

- ჯერვუდის ჯილდო კონსერვაციის წარმოჩენისთვის (Jerwood Award for Communicating Conservation) – 1997 წ. მაისი
- ჩრდილო დასავლეთის ტურიზმის ჯილდო (North West Tourism Awards – Small Visitor Attraction of the Year) – წლის პატარა დამთვალიერებლების მიზიდვისათვის – 1997 წ. აგვისტო
- გულბენკიანის პრიზი განსაკუთრებული მიღწევისათვის (Gulbenkian Prize for Exceptional Achievement) – 1997 წ. ნოემბერი
- მერსისაიდის დამთვალიერებლების მიზიდვის წლის ბრინჯაოს ჯილდო (Merseyside Visitor Attraction of the Year Bronze Award) – 1997 წ.
- ინტერპრეტაციის ბრიტანეთის ჯილდო (Interpret Britain Award) – 1998 წ. იანვარი
- წლის ევროპული მუზეუმის ჯილდო (European Museum of the Year Award) – 1998 წ. ივნისი
- IIC Keck-ის ჯილდო (IIC Keck Award) – 1998 წ.

4.3 აუდიტორიის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა

ბარბარა სორინ

4.3.1 კითხვები

როგორ უნდა მიიღონ ინფორმაცია გამოფენის დამგეგმავებმა გამოფენის დამთვალიერებლების და მათი გამოცდილების შესახებ? ქვემოთ მოყვანილია კითხვები, რომელიც უნდა დასვას გამოფენის დამგეგმავმა:

- რამდენი ადამიანი მოვიდა გამოფენაზე?
- რატომ გადანწყვიტეს მათ მოსვლა?
- რა ჯგუფები მოდიან (მაგალითად, ასაკი, ეთნიკური/რასობრივი კუთვნილება, სქესი, ოჯახები, უნარშეზღუდული პირები)?

- ვისთან ერთად მოვიდნენ?
- საიდან მოვიდნენ?
- რამდენ ხანს რჩებიან დასათვალიერებლად?
- შინაარსიანია თუ არა დამთვალიერებლის გამოცდილება?
- რას სწავლობენ ადამიანები გამოფენის შინაარსიდან?
- რა სარგებლობა ან შედეგი მიიღეს თავისი გამცდილებით?

ამ კითხვებიდან ზოგიერთს შეიძლება პასუხი გაეცეს თვისობრივი შეფასებებით, ხოლო ზოგს – რაოდენობრივით, მაგრამ უმეტესობას – ამ ორი მიდგომის კომბინაციით ან მიდგომის მრავალმხრივი მეთოდით:

- თვისობრივი მეთოდები – გამოიყენება ქცევისა და სიტყვების (ნათქვამის ან დაწერილის) შესაგროვებლად, რაც გვაძლევს შერჩეული საკითხების, ადამიანთა მცირე ჯგუფისთვის, სიღრმისეული და დეტალური კვლევის საშუალებას

- რაოდენობრივი მეთოდები – შემუშავებულია ციფრების შესაგროვებლად, რისთვისაც საჭირო ხდება ადამიანთა გარკვეული ჯდუფისადმი სტანდარტიზებული მიდგომა, პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიების შემუშავება, მათი რეაქციის საზომების დადგენა.

- რიცხვები ზუსტია, სიტყვები მიანიშნებენ დეტალებსა და ნიუანსებზე. მონაცემების შეგროვებას, ინტერპრეტირებას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

4.3.2 აუდიტორიის კვლევისადმი თვისობრივი და რაოდენობრივი მიდგომა

თვისობრივი მონაცემები გვაძლევს მდგომარეობის დეტალურ აღწერას და ხშირად, მოყოლილი ისტორიებისა და ამბების ფორმას ღებულობს. თვისობრივი მიდგომის გავრცელებული მეთოდებია:

- დაკვირვება მოცემული სფეროს გარემოში

- გასაუბრებები-ინტერვიუები

- ანგარიშში იმ დეტალების გამოყენება, რომელიც ცოცხლად აღწერს დამთვალე რეზონის გამოცდილებას დაკვირვებიდან, ინტერვიუებიდან და წერილობითი კითხვარებიდან უშუალო ციტატების ჩართვით.

ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა იმისათვის, რომ მოისმინოთ ადამიანების მიერ მოყოლილი ისტორიები მათი მუზეუმში მოსვლის გამოცდილების შესახებ. კვლევის განმავლობაში დამთვალე რეზონის ქცევის და კომენტარების მიმდინარე ანალიზი თანდათან ქმნის დამთვალე რეზონის მიერ გამოფენაზე მიღებული გამოცდილების ხასიათის სურათს. აუდიტორიის კვლევის ამ ტიპისთვის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს დიდი რაოდენობის შეგროვებული ინფორმაციიდან იმ ტოპიკების, თემებისა და სახეების გამორჩევა (მაგალითად, ქცევები, დამოკიდებულებები, შეხედულებები, ფასეულობები, რწმენა, სწავლა) და გადწყვეტა, რამდენად მეტი და რა მასალა შეიძლება შევიდეს მოხსენებაში ცალკეული ადამიანების პასუხებიდან და დაეხმაროს მათ, ვინც კითხულობს მოხსენებას, დასკვნები გაკეთონ მნახველების მიერ გამოფენაზე მიღებული გამოცდილების შესახებ.

რაოდენობრივი მონაცემები ხელს უწყობს შედარებების გაკეთებას, ვინაიდან პროგრამის ყველა მონაწილე პასუხობს ერთსა და იმავე შეკითხვას, რომელსაც ახლავს წინასწარ განსაზღვრული კატეგორიების სტანდარტული შკალა. რაოდენობრივი კვლევის საკვანძო ფაქტორებია:

- ქცევიდან გამომდინარე, წინასწარ განსაზღვრა იმისა, რასაც დიზაინერების გუნდი ელოდება გამოფენებზე

- ცვალებადების კონტროლი

- ანალიზი, რომელიც მოიცავს სტატისტიკას (მაგალითად, სიხშირე, ცენტრალური ტენდენციის საზომები – მნიშვნელობა, მოდელი, საშუალება, ცვალებადობა).

რაოდენობრივი ინფორმაცია გამოიხატება ციფრებით (ქულები, რეიტინგი, კატეგორიები ან სიხშირეები) და ძალიან ხშირად წარმოდგენილია ტაბულებისა და ნახაზების სახით.

ზოგიერთი სხვაობა აუდიტორიის კვლევის თვისობრივ და რაოდენობრივ მიდგომებს შორის ნაჩვენებია 4.1. ტაბულაში

ტაბულა 4.1 განსხვავებები კვლევის თვისობრივსა და რაოდენობრივ მიდგომებს შორის

თვისობრივი	რაოდენობრივი
თვისობრივი მონაცემები (მნახველების ისტორიები, ამბები)	რაოდენობრივი მონაცემები (მნახველების რაოდენობა, სტატისტიკა)
საბუნებისმეტყველო კვლევის მეთოდები	ექსპერიმენტული დიზაინები
ცალკეული ადამიანების მაგალითების კვლევები	მოვლისა და კონტროლის ექსპერიმენტული ჯგუფები
მნახველების თავდაპირველი ანალიზი	დედუქტიური სავარაუდო ტესტირება მნახველების თაობაზე
სუბიექტური პერსპექტივა	ობიექტური პერსპექტივა
მნახველის გამოცდილებასთან უშუალოდ დაკავშირებული	მნახველის გამოცდილებისაგან განცალკევებული
კონტექსტის მთლიანი ხედვა	დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვალებადები
მნახველის გამოცდილების დინამიური, მიმდინარე ხედვა	პრე- და პოსტ- ფოკუსი ცვლილებებზე
გამოფენის არსთან დაკავშირებული მნახველების გამიზნულად არჩევა სანიმუშოდ	მნახველების შემთხვევითი არჩევა სანიმუშოდ
ფოკუსირება გამოცდილების უნიკალურობასა და მრავალფეროვნებაზე	სტანდარტიზებული, "გაერთმნიშვნელებული" პროცედურები
აუდიტორიის კვლევის იმპროვიზაციული, მოქნილი დიზაინი	აუდიტორიის კვლევის დადგენილი, გაკონროლებული დიზაინი
შინაარსის ანალიზი, დაკავშირებული თემებსა და ქარგასთან	სტატისტიკური ანალიზი
კვლევისაგან განყენებული აზრი აუდიტორიების შესახებ	კვლევიდან გამომდინარე გაკეთებული განზოგადებები აუდიტორიების შესახებ

ტაბულები 4.2 და 4.3 ხაზს უსვამს აუდიტორიის კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების საჭიროებას. მაგალითები ეფუძნება აუდიტორიის კვლევის პროექტებს, რომელიც ციტირებულია უკანასკნელი დროის საერთაშორისო პუბლიკაციებში.

ტაბულა 4.2 თვისობრივი მეთოდები

მეთოდი	აღწერა	აუდიტორიის საკვლევად გამოყენება
მნახველების წინასწარი და ჩამომყალიბებელი კვლევები		
პროექციის ტექნიკები	<ul style="list-style-type: none"> • შეიძლება იყოს ფოკუს ჯგუფის, კითხვარის, ინტერვიუს, ან კვლევის ნაწილი • დამთვალეურების ჩართვა გამოფენის დიზაინის ჯგუფის მიერ წამოყენებული იდეების განვითარებაში 	<ul style="list-style-type: none"> • თემის შესახებ (მაგ. მარჯნის რიფები, ფიზიკოსების საგამოფენო იდეები, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ელემენტებთან, როგორცაა გრავიტაცია, ძალა, ენერჯია) არასწორი წარმოდგენის შესახებ ინფორმაციის მოპოვება

		<ul style="list-style-type: none"> • გამოფენის შინაარსთან არატრადიციული დამთვლიერებლების დამოკიდებულება (ეთნიკური უმცირესობები, უნარშეზღუდული ადამიანებისათვის ხელმისაწვდომობა) • საინტერპრეტაციო მონყობილობების აუდიტორიასთან და სწავლების სტილთან შესაბამისობაში მოყვანა (ვიდეო, გალერეის წიგნები)
ფოკუს ჯგუფები	<ul style="list-style-type: none"> • სამიზნე ბაზრის წარმომადგენელი ჯგუფი, ფასილიტატორის ხელმძღვანელობით, რომელიც საკვანძო საკითხებს განიხილავს სტრუქტურირებული ან ღია დისკუსიის ფორმით • შესაძლოა გამოყენებულ იქნას ექსპონატების და/ან ობიექტების პროტოტიპები • შეიძლება გაკეთდეს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი • კატალიზატორი ჯგუფის დამკვირვებლებს შორის კომუნიკაციისათვის 	<ul style="list-style-type: none"> • ფოკუს ჯგუფი (-ები), რომელშიც შედიან ცალკეული ადამიანები ან ჯგუფები, ვინც ეხმარება დიზაინის გუნდს განსავითარებელი ელემენტების შერჩევაში (მაგ. სამეცნიერო ფანტასტიკის გამოფენისათვის იკვლევენ თუ რა იცის და რას ანიჭებს უპირატესობას სამიზნე ბაზარი; საგამოფენო იდეები და შესატყვისი პროგრამები) • არსებული გამოფენის აღქმის ვარიანტები და ცვლილებები, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს ახალი გამოფენისათვის (მაგ. ორიენტაცია, "მისასალმებელი" გარემო, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტექსტები, დონებად დაყოფილი ინფორმაცია, დამთვლიერებლების ცხოვრებასთან დაკავშირებული დისპლექები) • გამოფენის მონახულებასთან დაკავშირებული, მოზარდების მიერ იდენტიფიცირებული საკუთარი მოთხოვნილებები და მოლოდინები • ოჯახის მიერ ერთობლივად სწავლისათვის ქცევის ინდიკატორების შექმნა და გამოფენის გაუმჯობესება ოჯახური სწავლების მიზნების მისაღწევად
დამთვლიერებლების შემაჯამებელი კვლევა		
შინაარსის ანალიზი		
მნახველების შემაჯამებელი კვლევა	<ul style="list-style-type: none"> • გამოფენის დაგეგმვის დოკუმენტების და დაგეგმვის შეხვედრების ჩანაწერების ანალიზის ჩატარება მიზნებისა და ამოცანების განსასაზღვრად • დამთვლიერებლების კომენტარებისა და ინფორმაციის მოთხოვნების ანალიზი დამთვლიერებლების მიერ მიღებული შედეგების შესასწავლად 	<ul style="list-style-type: none"> • მიმდინარე ისტორიის ადგილზე, თანამშრომლების შეხვედრების, მოხალისე თანამშრომლების ტრენინგებზე, სახლის საშობაო მორთულობაზე და რამდენიმე სპეციალურ უქმე დღეებისა და საღამოს პროგრამაზე დაკვირვება იმისათვის, რომ ობიექტების "ისტორიები", არჩეული იდეები და მიღებული გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი ობიექტები, რა გამოცდილება უნდა მიიღონ და როგორ შეიმეცნონ მნახველებმა და რა საინტერპრეტაციო სტარტეგეიები უნდა იქნას განვითარებული

		<ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო ცენტრში – მნახველების კომენტარების ბარათების ანალიზი, იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ როგორ ესმის მნახველს მეცნიერების ბუნება და ასევე – მნახველის ალქმაზე სოციო-კულტურული გავლენები
<p>ნერილობითი კითხვარები, სტრუქტურირებული ინტერვიუები, კვლევები, ფოკუს-ჯგუფები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ღია კითხვები (რომელსაც არა ერთის ასარჩევი პასუხები), დასმული სისტემატური სახით, რის შედეგადაც მნახველების პასუხების გამოყენება უშუალოდ შეიძლება • შესაძლოა გაკეთდეს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები • ობიექტები გამოფენიდან და/ან ფოტოები გადაღებული მნახველების მიერ, შეიძლება გამოყენებული იქნას გამოფენაზე რეაქციის შესახებ მსჯელობისათვის 	<ul style="list-style-type: none"> • გაირკვეს, თუ როგორ, როდის და რატომ მოდიან ადამიანები გამოფენაზე, და გაირკვეს მნახველებისათვის მინოდებული ინფორმაციისა და საინტერპრეტაციო მასალების ეფექტურობა • როგორ აღიქვამენ დამთვალიერებლები სამეცნიერო მასალებზე აგებულ გამოფენაში იუმორის გამოყენებას (მაგ. შიანით თუ არა დამთვალიერებლებს იუმორის გამოყენება გამოფენის კონტექსტის შესაფერისად, გასაგებ იყო თუ არა იუმორი საშუალო მნახველისათვის, მოახდინა თუ არა იუმორმა დადებითი გავლენა მათი ვიზიტის ეფექტზე, შეცვალა თუ არა იუმორმა მათი დამოკიდებულება მოცემული თემის მიმართ)
<p>გალერეაში ჩატარებული დაკვირვებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • დამთვალიერებლების მიერ გამოფენის შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ შთაბეჭდილებები, აღწერები, ჩანერილი დამკვირვებლის მიერ • ჩანანერი შეიძლება იყოს სტრუქტურირებული (მაგ. ჩამონათვალი), ან ჰქონდეს თხრობის სახე • ქცევა, ვთქვათ, მოძრაობა გამოფენის ფარგლებში და საინტერპრეტაციო მასალების კითხვა, ინტერაქტივებში მონაწილეობა, გამოფენაზე ყოფნის ხანგრძლივობა 	<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუების დროს გაკეთებული ინდივიდუალური კომენტარებიდან უკეთესად გაგება იმისა, თუ რა გადანყვებულებებს ლეზულობენ გამოფენის მონახულებისას სხვადასხვა ტიპის დამთვალიერებლები მოძრაობის მარშრუტის შესახებ, რისი ნახვა აინტერესებთ გამოფენაზე დაკვირვების პროტოკოლი შეიძლება შეიცავდეს შემდეგს: <ul style="list-style-type: none"> • დამთვალიერებლის ქცევა (მაგ. თავდაპირველი გადაწყვეტილებები მოძრაობის მარშრუტის შესახებ, ვისთან ერთად არის მოსული, საუბრის მოდელები) • საორიენტაციო მასალებთან დაკავშირებული ქცევა (მაგ. დამთვალიერებლის გზა, მისი ორჭოფობა, მუზეუმის რუკის/გეგმის, გზამკვლევის გამოყენება) • ნარწერებთან, გამოკრულ ტექსტებთან დაკავშირებული ქცევა (მაგ. კედელზე გამოკრული ტექსტების ნაკითხვა, ამაზე დახარჯული დროის რაოდენობა, გამოფენილი ობიექტების რაოდენობა გამოფენაზე და ისეთი, რომელთანაც შეჩერდნენ, ოთხი არჩეული ექსპონატის სათაურების ნაკითხვაზე დახარჯული დრო, მათ დამთვალიერებაზე დახარჯული დრო)

<p>გამოფენაზე ჩატარებული ინტერვიუ</p>	<ul style="list-style-type: none"> • სასაუბრო ინტერვიუ, რომლის დროსაც დამთვალეირებული საკვანძო საკითხებზე ან კითხვებზე თავისუფლად მსჯელობს • შეიძლება ჩართული იყოს ცალკეული პირი ან ჯგუფი 	<ul style="list-style-type: none"> • დამთვალეირებლების კონცეფციები კონკრეტული საკითხების შესახებ (მაგ. ალტერნატიული მედიცინა, გენეტიკური კვლევები, ჩვენი როლი ჯანდაცვაში, ალკოჰოლით ან ნარკოტიკების გადამეტებული მოხმარების პრევენცია, გარემოს დაბინძურება, მხატვრის სტატუსი) • მნახველების სწავლების სხვადასხვა პროგრამების მასალების ეფექტურობის ტესტირება
<p>პირადი ანგარიშები, აუდიო/ვიდეო ჩანაწერები</p>	<ul style="list-style-type: none"> • გამოცდილების და ობიექტებზე, გამოფენებზე და ა.შ. რეაქციის ჩანაწერები • შეიძლება გამოყენებული იქნას ყურნალები, ინტერესების შესაბამისი პირადი ნაწერები და/ან ჩანახატები 	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო ჯგუფებთან ერთად მოსული ბავშვების წერილების და ნახატების შესწავლა და შედარება მუზეუმის მოზრდილების მიერ აღქმასთან
<p>დამთვალეირებლებზე გრძელვადიანი გავლენის კვლევა</p>		
<p>სანიმუშო მაგალითები</p>	<ul style="list-style-type: none"> • გამოფენასთან, საქმიანობასთან, ან პროგრამის გამოცდილებასთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე ადამიანის ფოკუსირებული, ინტენსიური კვლევა • შესაძლოა – ჯვარდინი (ჯგუფებს შორის) ან პირდაპირი • შესაძლოა უშუალოდ მოყვებოდეს მიღებულ გამოცდილებას ან გარკვეული დროის შემდეგ, რათა განისაზღვროს გამოფენაზე მიღებული გამოცდილების გრძელვადიანი გავლენა 	<ul style="list-style-type: none"> • სატელეფონო ინტერვიუები დამთვალეირებლებთან, იმის შესამოწმებლად, რამდენად ახსოვთ მათ გამოფენაზე მიღებული გამოცდილება დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ • მუზეუმში მიღებული გამოცდილების შესახებ მოგონებები (მაგ. სკოლიდან მოწყობილი თემატური ექსკურსია, რეგიონის ღია ცის ქვეშ მოწყობილი კულტურული ატრაქციონების მონახულება)

ტაბულა 4.3 რაოდენობრივი მეთოდები

მეთოდი	აღწერა	აუდიტორიის კვლევაში გამოყენება
<p>მნახველების წინასწარი კვლევა</p>		
<p>პროექციის ტექნიკები</p>	<ul style="list-style-type: none"> • დამთვალეირებლის ჩართვა გამოფენის დიზაინის ჯგუფის მიერ წამოყენებული იდეების განვითარებაში • არ არსებობს "სწორი პასუხები", ანალიზი უკეთდება პასუხების სიხშირეს 	<ul style="list-style-type: none"> • ფოკუს-ჯგუფი (-ები), შედგენილი სამიზნე ბაზრის წარმომადგენლებისაგან, ან ჯგუფები, რომლებმაც უნდა რეაგირება მოახდინონ ელემენტებზე, რომელსაც ამუშავებს გამოფენის დიზაინის გუნდი, ან ელემენტებზე, რომელიც უნდა შეიქმნას

		<ul style="list-style-type: none"> • სტრუქტურირებული ინტერვიუები, რომლებშიც რესპონდენტებს სთხოვენ აღწერონ ექსპონატი ან გამოფენის კომპონენტი და წინასწარ განსაზღვრონ რა მოხდება, თუ ისინი ექსპონატებს გამოიყენებენ
მნახველების ჩამომყალიბებელი კვლევა		—
წარდგენის ტესტები ხარისხის სახეობები	<ul style="list-style-type: none"> • განსაკუთრებული ქცევის, შესაძლებლობების, და/ან ინტერსების გამოსავლენად რეალისტური სიტუაციის შექმნა ან სიმულაცია • ჩვეულებრივ, მოიცავს დაკვირვებას ჩამონათვალის ან რეიტინგული შკალის სახით • ფასეულობების, მოთხოვნილებების და უპირატესობების დახარისხებული კატეგორიების შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> • სპეციფიკური უნარების, სტრატეგიების და გამოფენის კომპონენტების შესახებ თავდაპირველი ცოდნის/გაგების გამოყენების ტესტირება • პროტოტიპების ან გამოფენის ელემენტებთან დაკავშირებული უპირატესობები, პრიორიტეტები, დამოკიდებულებები
მნახველების შემაჯამებელი ანალიზი		
ქცევის ანალიზი და ნუსხა დაკავშირებული გალერეის შიგნით მიმოხილვასთან	<ul style="list-style-type: none"> • შესასვლელებში, გალერეებში/დარბაზებში, საორიენტაციო სივრცეებში, პროგრამების სპეციფიკური ქცევის განსაზღვრა, განხილვა და კოდირება • სპეციფიკური ჩვევების ან სტრატეგიების გამოცდა, ინდივიდუალური თვისებების, სოციალური ურთიერთქმედებების, ქცევების სახეობებისა და სიხშირის შესახებ წინა გამოცდილების გამოყენება 	<ul style="list-style-type: none"> • კვლევა იმისა, თუ რა გზებს ირჩევენ დამთვალიერებლები გამოფენაზე მოძრაობისათვის • გამოფენილი ობიექტების რაოდენობასთან იმ ობიექტების რაოდენობის შეფარდება, რომლებთანაც ჩერდებიან • დრო, რომელიც იხარჯება გალერეებში და დრო, რომელიც იხარჯება ტექსტებისა და წარწერების წაკითხვაზე • მუზეუმის ბროშურების, ლიფტების, გზამკვლევების, გეგმების და ა.შ. გამოყენება • აუდიო გიდების გამოყენება • გიდების, საგანმანათლებლო პროგრამების თანამშრომლების, ფასილიტატორების, გალერეებში მყოფი პერსონალის გამოყენება
წერილობითი კითხვარები, სტრუქტურირებული ინტერვიუები, კვლევები	<ul style="list-style-type: none"> • ასარჩევი პასუხების მქონე კითხვების სერიები (მაგ. რეიტინგული შკალები, დიახ/არა, ასარჩევი პასუხები) ან "ღია" კითხვები, რომლის შედეგებიც მნახველების გამოფენაზე რეაქციასთან დაკავშირებულ ერთ ან მეტ "შეფასებაში" აისახება 	<ul style="list-style-type: none"> • დათვლადი ინფორმაცია მოსვლის მოტივაციის, მუზეუმში გზის გაკვლევის და კმაყოფილების დონის შესახებ • ცოდნის მიღების და დაინტერესების ზრდის ტესტირება, დამთვალიერებლების შესახებ ზოგადი ინფორმაციის ჩანერა, მნახველების კმაყოფილების შეფასება, ასაკობრივი და ენობრივი ჯგუფების შედარება

შინაარსის ანალიზი	<ul style="list-style-type: none"> • დამთვალეიერებლების შესახებ სტატისტიკის ან ჩანაწერების შესწავლა. შინაარსის კლასიფიცირება და სტატისტიკური ანალიზი 	<ul style="list-style-type: none"> • აუდიტორიის სამიზნეები, მნახველების ბაზრის სეგმენტები • ბილეთის ფასის გაანგარიშება, მნახველების შესახებ რიცხობრივი მონაცემები • მნახველების შთაბეჭდილებების ბარათები ან ნიგნები
ექსპერიმენტული ან კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინის შესწავლა ალბათობით შერჩეული ნიმუშებით და საკონტროლო ჯგუფებით	<ul style="list-style-type: none"> • დამთვალეიერებლების მოქმედებები, გაანალიზებული გამოფენის თემების, იდეების, შინაარსის გათვალისწინებით, ცვალებადი ფაქტორების გაკონტროლებითა და სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით 	<ul style="list-style-type: none"> • შემთხვევით შერჩეული დამთვალეიერებლების მაგალითის შესწავლა გასასვლელში ჩამორთმეული ინტერვიუების, მუზეუმში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ კითხვარებზე გაცემული პასუხებისა და კომენტარების შეესებელი ბარათების შესწავლა. ცვალებადი ფაქტორები შეიძლება იყოს დასვენების ჩვევები, მუზეუმში მოსვლის სიხშირე, მოსვლის მიზეზები, მუზეუმში ყოფნის ხანგრძლივობა, რას ფიქრობენ დამთვალეიერებლები კომპონენტების შესახებ, თემების შესახებ, გამოვლენილი ცოდნა • პროექტის კომპონენტების ეფექტურობის შესწავლა ფოკუსირებულ სასკოლო ექსკურსიაში, რომელიც აწყობილია მუზეუმის, როგორც რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებზე გათვლილი საგანმანათლებლო რესურსი (სამიზნე კონცეპტების შესახებ საბაზო ცოდნის წინასწარი და დამთვალეიერების შემდგომი ტესტირება, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სამიზნე ქცევის რეიტინგის ჩატარება)

4.3.3 დამთვალეიერებლის გამოცდილების მრავალგვარი პერსპექტივები

ხშირად რაოდენობრივი და თვისობრივი სტრატეგიები იძლევა დამთვალეიერებლის მიერ გამოფენაზე მიღებული გამოცდილების მრავალგვარ პერსპექტივებს და ყველაზე სიღრმისეულ გაგებას. ცალკე აღებული თვისობრივი მეთოდები ხშირად შემთხვევითი და ნაკლებად სანდო, დასაბუთებული და სარწმუნოა. ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება რაოდენობრივ გამოხატვას (მაგ. მუზეუმში მოსვლის მოტივაციის, მუზეუმში გზის გაკვლევისა და კმაყოფილების დონის შესახებ), შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კონტექსტი უფრო მეტად აღწერითი და განმარტებითი მონაცემებისათვის. ევალუატორებმა, რომლებიც მუშაობენ უფრო მეტად ეთნოგრაფიული და ნატურალისტური მიდგომებით,

შეიმუშავეს ტრიანგულარული ტექნიკები, როგორც მნიშვნელოვანი გზა წინასწარი განწყობების გასაკონტროლებლად და არგუმენტირებულობის დასამკვიდრებლად. ტრიანგულაციური სტრატეგიების ტიპები მიოცავს მკვლევარის მონაცემებს და მეთოდოლოგიურ სტრატეგიებს.

მონაცემების ტრიანგულაცია

მონაცემების ტრიანგულაციის ტექნიკებში შედის მონაცემების შეგროვება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და სხვადასხვა გარემოებების პირობებში. მუზეუმის შემთხვევაში ეს შეიძლება შეიცავდეს დღის/სალამოს, კვირის, თვის, წელიწადის სხვადასხვა დროს შეგროვებულ მონაცემებს. ასეთივე ვითარება შეიძლება გაანალიზებულ იქნას შემთხვევითი დამთვალეირებლის, ექსკურსიის, ან სასკოლო პროგრამის თვალსაზრისით. შეიძლება შესწავლილ იქნას სხვადასხვა შემთხვევითი დამთვალეირებლების გამოცდილება, როგორც არის, მაგალითად, ოჯახები, დაუქორწინებელი ადამიანები, ეთნიკური/რასობრივი ჯგუფები, ან ფიზიკურად უნარშეზღუდული ადამიანები.

მაგალითად, თვით გალერეის დამთვალეირებლების აუდიტისთვის აუდიტორიის კვლევის კომპონენტისათვის:

- დაკვირვება ჩატარდა დაახლოებით 50 საათის განმავლობაში, 10-ზე მეტი დღე შეხვედრების ადგილებში და ოთახებში მთელი თვით გალერეის მასშტაბით (ამჟამად თვით ბრიტანეთი).

- დამთვალეირებლებს აკვირდებოდნენ და ინტერვიუს ართმევდნენ რამდენადაც შეიძლებოდა მეტ სხვადასხვაგვარ არეალში როგორც გალერეის გარეთ – ჭიშკართან და ეზოში, ასევე გალერეის შიგნითაც, სხვადასხვა ოთახებსა და სპეციალურ საგამოფენო ადგილებში.

- შეგროვდა დამთვალეირებლების კომენტარები, რომელიც მათ მისწერეს თვით გალერეას ან თანამშრომლებს გადასცეს საინფორმაციო მაგიდასთან.

- ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის, რომლებმაც თვით გალერეის სხვადასხვა არეალში მონიახულეს დაკვირვებისა და ინტერვიუების კვირის განმავლობაში, გამოცდილების ნაირსახეობების ჩვენების მიზნით დამთვალეირებლები დაყვეს ცალკეულ ჯგუფებად. ჩანაფიქრის მიხედვით, ეს დამთვალეირებლები უნდა ყოფილიყვნენ განსაზღვრული ბაზრის სემენტების წარმომადგენლები, რომელიც შეისწავლებოდა დამთვალეირებლების აუდიტის მიერ. ესენი მოიცავდა:

- პირველად მოსულები, ისინი, ვინც იშვიათად დადიან (წელიწადში 1-2-ჯერ)

- ვინც ხშირად დადიან (წელიწადში 3-ჯერ ან მეტჯერ)

- ყველა ასაკობრივი ჯგუფები, პატარა ბავშვებიანი ოჯახების ჩათვლით, 18-29 წლის და 55 წელზე მეტი ასაკის დამთვალეირებლები

- ადგილობრივი მაცხოვრებლები და ტურისტები

სასარგებლოა, რომ შეგროვდეს ყველა ხელმისაწვდომი ისტორიული დოკუმენტი, ინფორმაცია მანდატებისა და კოლექციების შეგროვების ფილოსოფიის, საზოგადოებრივი განათლების შესახებ (მაგ. ორიგინალური პროექტები, საბაზო ინფორმაცია, გამოფენილი ობიექტების შესახებ გამოფენის ჩანაფიქრის სტადიის დროინდელი ჩანაწერი). ძველი კვლევები აუდიტორიის ან მარკეტინგის სფეროში, ადგილობრივი საზოგადოების მონათესავე სფეროებში კვლევები (მაგ. ადგილობრივი/რეგიონული დემოგრაფია), ჩანაწერები მუზეუმის

და მსგავსი ადგილების მონახულების შესახებ იძლევა ინფორმაციას თუ ჩვეულებრივ, რას აძლევენ უპირატესობას. დამთვალეირებლების კომენტარები, ჩანერილი ნიგნებში ან შეგროვებული წინადადებების ყუთებში, აგრეთვე მიმდინარე პროგრამების ან სპეციალური ღონისძიებების ფარგლებში, გვეხმარება დამთვალეირებლის გამოცდილების შესახებ შევიქმნათ ნარმოდგენა.

მკვლევარის ტრიანგულაცია

მკვლევარის ტრიანგულაცია მონაცემების შესაგროვებლად რამდენიმე მკვლევარის გამოყენების შედეგად ქმნის მრავალმხრივ პერსპექტივებს. მონვეული ევალუატორების/მკვლევარების ჯგუფიც – "შიდა" და "გარეშე" მკვლევარების კომბინაცია და მხოლოდ თანამშრომლებისაგან შემდგარი გუნდიც კი, შეიძლება იყოს ჩართული ტრიანგულაციის პროცესში. აუდიტორიის კვლევის გუნდი სასარგებლოა, რადგან დამკვირვებლების ჯგუფს შეუძლია გაუზიაროს ერთმანეთს თავისი ხედვა, მუდმივად იმსჯელოს დაკვირვების შედეგების შესახებ და ერთობლივად ასახოს საკვლევი მონაცემები.

მაგალითად, ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში აუდიტორიის კვლევის მიზანი იყო დახმარებოდა ხელოვნების ინსტიტუტს ხელოვნების მუზეუმის დათვალეირების გამოცდილების უკეთესად გაგებაში. ევალუაციისა და კვლევის დირექტორმა მოიწვია აფრო-ამერიკული აუდიტორიის მკვლევარების გუნდი. დაკვირვებისა და ინტერვიუს ჩატარების სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად მე შევექმენი მინი-ტრენინგის სახელმძღვანელო მკვლევარების გუნდისათვის და ვხელმძღვანელობდი მათ მონაცემების შეგროვების მთელი პროცესის განმავლობაში.

მეთოდოლოგიური ტრიანგულაცია

მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის დროს აუდიტორიის მკვლევარი ინფორმაციის მოსაპოვებლად მრავალგვარ მეთოდს იყენებს. ეთნოგრაფიული მეთოდები, როგორცაა გალერეაში დაკვირვება და ინტერვიუები, იძლევა ღრმა ინფორმაციას დამთვალეირებლების მცირე ჯგუფების გამოცდილების შესახებ. სხვა მეთოდები ამას უფრო მეტად აფართოვებს და იძლევა სტიტისტიკურ მონაცემებს, მაგალითად, იმ მოძრაობის მარშრუტებზე, რომელსაც დამთვალეირებლების დიდი რაოდენობა ირჩევს და კოლექციების იმ ნაწილზე, რომელსაც ისინი ირჩევენ დასათვალეირებლად; დამთვალეირებლებისათვის გამიზნული მომსახურების ეფექტურობის, დემოგრაფიული მონაცემების და მოსვლის მიზეზების შესახებ. თეით გალერეის დამთვალეირებლების აუდიტის მიერ ივლისსა და ოქტომბერში თითო კვირის განმავლობაში:

- ინტერვიუ ჩაუტარდა 90 დამთვალეირებელს, 450 ცალკეულ პირსა და ჯგუფზე მოხდა დაკვირვება მთელი თეით გალერეის კომპლექსის ფარგლებში და მის საინტერპრეტაციო პროგრამებში
- იგივე პერიოდში შეიქმნა და თეით გალერეის 274 დამთვალეირებელზე განხორციელდა მინი-კვლევა, რომლის მიზანი იყო რაოდენობრივი ინფორმაციის მიღება მოსვლის მოტივაციის შესახებ, თეით გალერეის ტერიტორიაზე გზის გაკვლევის და კმაყოფილების დონის შესახებ, უფრო მეტად აღწერითი და ინტერპრეტატიული მონაცემების შესაყებად.
- უსაფრთხოების და საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს კონსულტაციები ჩაუტარდა დამთვალეირებლების გამოცდილებაზე მათი დაკვირვების შესახებ

- თითოეულ დამთვალეირებელს, რომელიც მონაწილეობდა აუდიტში, ეთხოვა აგრეთვე შეეცნოთ საბაზო ინფორმაციის ფურცელი დამთვალეირებლების შესახებ ძირითადი დემოგრაფიული ინფორმაციის მისაღებად.

- 28 მუდმივი დამთვალეირებლისაგან შეიქმნა სამი ფოკუს ჯგუფი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის (18-30 წლის, 35-55 წლის, 55 და მეტი წლის). მიზანი იყო დადგენა თუ როდის და რატომ მოდიან ადამიანები თვით გალერეაში და ამასთან ერთად, – რამდენად ეფექტურია დამთვალეირებლისათვის განკუთვნილი საინფორმაციო და საინტერპრეტაციო მასალები.

ზოგადად, მრავალგვარი მეთოდი, რომელიც აერთიანებს თვისობრივ და რაოდენობრივ სტრატეგიებს, იძლევა ცალკეული “სანიმუშო” ადამიანების მიერ გამოფენის დამთვალეირების შედეგად მიღებული გამოცდილების ბუნების მდიდარ პალიტრას და ნვლილი შეაქვს იმის უფრო განზოგადებულად გაგებაში, თუ რა შინაარსი გამოაქვს დამთვალეირებელს გამოფენაზე ყოფნის განმავლობაში.

სად?

საგამოფენო სივრცე და სათავსოები

გავიაზრეთ რა სამუზეუმო გამოფენების მიზანი, საგამოფენო იდეების მუზეუმის კოლექციებთან დაკავშირებული წყაროები, კვლევის ინტერესები, მისი ადგილობრივი საზოგადოება და დავსახეთ მიდგომა გამოფენების ევალუაციისადმი, რომელმაც უნდა ინფორმაცია მოგვანოდოს დაგეგმვის, დიზაინისა და შექმნის მთელი პროცესისათვის, აგრეთვე გამოფენების ყოველდღიური მუშაობის შესახებ, ჩვენ უკვე შეგვიძლია შევისწავლოთ მრავალი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სამუზეუმო გამოფენების სივრისა და სათავსოების დაგეგმვაზე. სახელმძღვანელოს ეს ნაწილი მე-5 თავში განიხილავს საგამოფენო გალერეების და მათი დამხმარე სივრცეების დაგეგმვის პრინციპებს, მე-6 თავში განიხილავს სახესხვაობებს გალერეებში, რომელიც საჭიროა გამოფენის ყველა მოდელისათვის – ხელოვნების, ისტორიის და სამეცნიერო გამოფენების მოსაწყობად, და მე-7 თავში, დასკვნის სახით აღწერს სათავსოებსა და აღჭურვილობას, რომელიც მუზეუმის საგამოფენო გალერეებში უნდა იყოს XXI საუკუნის პირველ ათწლეულში. თუმცა საგამოფენო ტექნოლოგია უდავოდ გააგრძელებს განვითარებას, სახელმძღვანელოს ეს ნაწილი მოწოდებულია აჩვენოს ძირითადი მიმართულებები, რომელიც მკითხველს დაეხმარება დაგეგმოს, გააკეთოს დიზაინი და შექმნას საგამოფენო გალერეები და მათი ავეჯი და აღჭურვილობა მომავალი საუკუნის ვრცელი პერიოდის განმავლობაში.

თავი 5

საგამოფენო სათავსოების დაგეგმვა და დიზაინი

ყველა გამოფენა არსებობს სივრცეში ისევე, როგორც დროში და შემოიფარგლება არა მარტო საგამოფენო სივრცით, არამედ მთლიანად მუზეუმის ნაგებობით. დღეისთვის ამ ურთიერთობაზე ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული როგორც მუზეუმებში, ისე გამოფენების შესახებ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოებში.

საგამოფენო გალერეა არის მუზეუმის შენობის, მისი ადგილმდებარეობის და საგამოფენო სივრცის ერთობლიობის ნაწილი, სამივე ერთად კი ქმნის სასურველ ადგილს ვიზიტორებისთვის, მათზე კი პირველ რიგში, აუცილებლად იმოქმედებს ადგილის ფიზიკური მდგომარეობა და ნაგებობის არქიტექტურული მონაცემები: მდებარეობა, მისადგომები, ორიენტაცია, ფორმა და ფერი. ყოველივე ეს წინასწარ ინფორმაცია აწვდის მნახველს მუზეუმსა და მის კოლექციებზე. თითოეული ეს ელემენტი მნიშვნელოვანი ფაქტორია მუზეუმსა და დამთვალიერებლებს შორის კომუნიკაციისთვის. მუზეუმის ნაგებობისა და ადგილისადმი სწორი მიდგომა, ხელს უწყობს მუზეუმის იმიჯის შექმნას და მისი ფუნქციის მკაფიოდ გამოხატვას. უზეუმში თავდაპირველად აღიქმება შორიდან, შემდეგ – უფრო ახლოდან, როცა მნახველი ფეხით ან მანქანით მიუახლოვდება და ბოლოს – უშუალო სიახლოვიდან, როცა მნახველი მივა ფასადთან და შევა შენობაში.

ადგილი, სადაც განთავსებულია მუზეუმი (სოფლად ან ქალაქად), შეიძლება საკმაოდ გადატვირთული იყოს სხვა შენობებით, მოედნებით და ბალებით, ან განთავსებული იყოს ბუნების წიაღში. ვიზიტორისთვის ეს არის პირველი ინფორმაცია მუზეუმზე და მისი, როგორც დანებსებულების, საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაზე. მაგალითად, ლუვრი ყოფილი სამეფო სასახლეა პარიზის შუაგულში, შერწყმული რთული სტრუქტურის ქალაქურ გეგმარებასთან, რომელსაც ახასიათებს იერარქიულად ორგანიზებული მიდგომა, რაც მეტყველებს საზოგადოების და მისი ინსტიტუტების სტაბილურ, მონესრიგებულ წარმოდგენებზე, რომელსაც ეზიარება მუზეუმის ვიზიტორი. ლუვრის ამ საერთო კონტექსტზე დიდი გავლენა მოახდინა არქიტექტორ ი.მ. პეის მიერ აშენებულმა შემინული "პირამიდის" შესასვლელმა. სრულიად საპირისპიროა ადგილობრივი მემკვიდრეობის ცენტრი (ანქორიჯი, ალიასკა) განლაგებული გაშლილ, ტყიან, ხელუხლებელი ბუნებრივი პეიზაჟის ფონზე, სადაც ვიზიტორები მანქანის სადგომიდან ფეხით მიდიან მისაღები დარბაზის მთავარ შესასვლელში მოსახვედრად. ბუნებრივ გარემოში მოხვედრილი, ვიზიტორი მშვიდდება, ის თითქოს განერიდება თანამედროვე სამყაროს ხმაურიან გარემოს და ხვდება ისეთ სამყაროში, სადაც ბუნებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირი აუცილებელი პირობაა ადამიანის გადარჩენისათვის.

ყველა არქიტექტორმა იცის, რომ მუზეუმის შენობა თავისთავად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ეს კარგად ჩანს არქიტექტორ ფრანკ გერისეულ გუგენჰაიმის მუზეუმის შენობის მაგალითზე ბილბაოში, სადაც შენობაც კი შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად. გერის შენობა თანამედროვე ხელოვნების ნათელი მაგალითი და გამომხატველია, რომელიც თითქოს გპირდება: "შიგნით კიდევ უფრო მეტს აღმოაჩენ". ის ერთდროულად "მუშაობს" როგორც შემნახავი და შესანახი, კონტინერი და ის, რაც მასშია მოთავსებული.

უფრო ზუსტად, მუზეუმი შეიძლება ისე ჩაენეროს პეიზაჟში და წარმოადგინოს თავისი შიგთავსი, რომ არ მოექცეს ყურადღების ცენტრში. ვანკუვერში მდებარე ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმის არქიტექტორმა არტურ ერისკონმა ამას მიაღწია ცენტრალური ფასადის მეშვეობით, რომელსაც თითქოს ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ტროპიკულ ტყეში შევყავართ, და მიწაში ჩაფლული, კედარის ხის მასიური კარით ეგებება ვიზიტორებს. მუზეუმის შიგნით პანდუსიანი შესასვლელია, რომელსაც მივყავართ მონუმენტური ქანდაკების გალერეებისკენ, საიდუმლოების და იდუმალების ელფერს ჰმატებს ექსპოზიციას, და ვიზიტორები სულ სხვა დროსა და სივრცეში გადაჰყავს. ამის საპირისპიროდ, სანაპიროს მხრიდან, შენობა ზემოდან დაჰყურებს პეიზაჟს, აბორიგენების სახლებსა და ტოტემურ ბოძებს, და თითქოს ეპასუხება მათ არქიტექტურულ ფასეულობას ისე, რომ არ დომინირებს მათზე. ურთიერთზემოქმედება ადგილს, შენობასა და ხელოვნების ნაწარმოებებს, არტეფაქტებსა თუ ნიმუშებს შორის, მრავალი მუზეუმისა და მათი არქიტექტორისთვის ხარისხის სტანდარტის ძიების საკითხია.

ნებისმიერ მუზეუმს შეუძლია გარდაქმნას დამთვალეიერებლის მიდგომა შენობისადმი, იმუშაოს ადგილის "თანდაყოლილ" თავისებურებებზე – როგორც ეს მოხდა ლუვრის შემთხვევაში, და ამასთან ერთად – დაამატოს ელემენტები, რომელიც მუზეუმისათვის მნიშვნელოვან ახლებურ გზავნილად იქცევა მნახველისათვის. დაპირისპირება ისეთ თანდაყოლილ, არსებულ შეხედულებებთან, რომელიც ელიტარულ ქედმაღლობას, ისევე როგორც სქესის, ასაკის და ეთნიკური ნიშნით ჩაგვრას გულისხმობს, სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანია მუზეუმებისთვის გლობალურ ბაზარზე. ვიზუალური, უსიტყვო "გზავნილი" განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც თქვენი ვიზიტორების დიდი ნაწილი უცხოელები, სხვა

ეროვნების ადამიანები არიან და შესაბამისად – სხვა კულტურებს წარმოადგენენ, ან თუნდაც თქვენივე საზოგადოების ისეთი წევრები არიან, რომლებიც ჩვეულებრივ არ დადიან მუზეუმებში.

მრავალი მუზეუმი, მათი ტრადიციული ნეო-კლასიკური ან ნეო-გოთური შენობით, კარგად აცნობიერებს, თუ რამდენად შემბორკავი შეიძლება იყოს ამგვარი გარემო დამთვალეიერებლისთვის, ამიტომაც ყოველგვარ ძალ-ღონეს არ იშურებს რათა რაც შეიძლება მიმზიდველი გახდეს ვიზიტორისთვის. ახალი მუზეუმები წარმატების უმთავრეს ფაქტორად თვლიან მუზეუმის სტუმართმოყვარეობის თავდაპირველ შთაბეჭდილებას. მასიური ბრინჯაოს კარიანი ფასადის ნაცვლად, რომელიც შეუჩვეველი ადამიანისათვის გამოიყურება, როგორც აღსაქმელად რთული და მოსაწყენი სანახაობის წინაპირობა, მუზეუმთან მისადგომი და შესასვლელი შეიძლება ისე მოეწყოს, რომ თითქოს ამბობდეს: “შემოდი, აქ ბევრი არაჩვეულებრივი რამ გელოდება – ეს შენი მუზეუმია”.

გარეთ მოსასვენებელი კომფორტული ტერიტორია, დაგმებისათვის განკუთვნილი ადგილები ან შადრევნები, მსახიობები ან ქუჩის მუსიკოსები, რომლებიც ხალხში გაერევიან, ხელს უწყობს მუზეუმის მონოლითის “გაადამიანურებას” და შეიძლება დაიგეგმოს როგორც გამოფენის ნაწილი. ვიზიტორებისადმი ინფორმაციის მიწოდება მიმზიდველი ფერადოვანი აფიშებით და მინიშნებებით, რომლებიც გვაუწყებენ მიმდინარე ღონისძიებებზე, ფასებსა და საათებზე, მნიშვნელოვანი ხერხია იმისათვის, რომ მუზეუმის შესასვლელი “ნაკლებად შუშის მომგვრელი” გახდეს. გარეთ მოთავსებული ისეთი ექსპონატი, როგორიცაა ქანდაკება, მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა ან არქიტექტურული ელემენტი, შეიძლება გახდეს მნახველის პირველი განცვიფრების მიზეზი, რომელიც მას მუზეუმის შიგნით უფრო საინტერესო სანახაობას პირდება.

იგივე “მიმანიშნებელი” ელემენტების გამოყენება, რომლებიც მუზეუმის მისადგომებზე მიიზიდავს ან პირიქით – უკუაგდებს დამთვალეიერებელს, შეიძლება გამოყენებულ იქნას მუზეუმის კარს მიღმაც, დამთვალეიერებლისათვის ღია მუზეუმის ყველა სივრცეში. მუზეუმის პოლი შეიძლება იყოს არაკომფორტული ან პირიქით, ისეთი, სადაც სასიამოვნოა ყოფნა. ამ სივრცეების ფუნქცი არის მოაწესრიგოს მნახველთა შენობაში შესვლა, თავმოყრა, ინფორმაციის მიწოდება, ბილეთის აღება, ანუ – ნებისმიერი აუცილებელი მომსახურების ორგანიზება. ყოველივე ჩამოთვლილი ქმნის წინაპირობას მუზეუმის ვიზიტორის “მთავარი” მიზნისთვის, დაათვალეიეროს გამოფენა და ექსპონატები. მუზეუმის გაცნობა შესასვლელიდანვე იწყება, რაც ინტერპრეტაციული პროგრამის ნაწილია ისევე, როგორც ბანერები, მანიშნებლები, აფიშები, ბროშურები, სარეკლამო მონიტორები და კომპიუტერით აღჭურვილი ჯიხურები. სინგაპურის აღმოჩენათა ცენტრის შესასვლელშივე მოთავსებული ისეთი მახასიათებელი ელემენტები, როგორიცაა მაგალითად, ორსართულიანი სახლის სიმაღლის ორმაგი სპირალი “ადამიანის დნმ-ი”, ინტერაქტიური ვიდეო ქანდაკება გამოფენის პირველ შთაბეჭდილებას უქმნის მნახველს.

მიუხედავად ამისა, ინტერაქტიური პროგრამის განსახორციელებლად ძირითადი სივრცე მაინც საგამოფენო გალერეაა. საგამოფენო გალერეის ფიზიკური სივრცე აგრძელებს მუზეუმის ადგილმდებარეობითა და მისი შენობით მიღებულ შთაბეჭდილებას. ვინაიდან გალერეა უშუალოდ შეიცავს გამოფენილ ექსპონატებს, არტიფაქტებს, ის არქიტექტურის, მასალის, განათების, ხმის და ფერის მეშვეობით აძლიერებს თავდაპირველი არსებითი გზავნილების მიწოდებას მნახველისათვის. მგვარი გზავნილების მრავალი დამატებითი ფენა

იქმნება გამოფენის დიზაინისა და შინაარსის მეშვეობით.

თუკი ჩვენ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, დავინყებთ იმით, რომ წარმოვიდგინთ საუცხოო გამოფენებს, ხელოვნების ნიმუშთა ბრწყინვალე კომბინაციას, რომელიც რეალობად გვინდა ვაქციოთ, აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი უნდა იყოს მუზეუმის და გალერეის დიზაინი, რომელიც გამოფენის წარმატებას შეუწყობს ხელს?

ეს პროექტი ჩვენგან მოითხოვს გამოფენის დეტალების გვერდზე გადადებას და ყურადღების გამახვილებას ისეთ დეტალებზე, რომელთა გადანყვეტა განსაზღვრავს იმას, ვისი თვალსაწიერიდან ვუდგებით გამოფენას – მნახველის თუ მუზეუმის თანამშრომლის.

ვიზიტორებს ხშირად კარგად ახსოვთ და გვსაყვედურობენ, რომ ვერ მოძებნეს მანქანის სადგომი; წვიმაში დიდხანს მოუხდათ რიგში დგომა; გაუგებრობა მოხდა სალაროსთან; მოუხდათ გრძელი გზის გავლა სასურველ გალერეამდე; შუქ-ჩრდილის კონტრასტის გამო წაბორძიკდნენ; გალერეები და სასუენირო მალაზიები გადატვირთული იყო ხალხით; ამავე მიზეზით შეუძლებელია ნამუშევრების კარგად დანახვა; მცირე შრიფტის გამო ვერ კითხულობენ წარწერებს; ფინჯანი ყავის დასალევად დიდხანს მოუხდათ ლოდინი, დღის ბოლოს დაიქანცნენ და ფეხები ეტკინათ.

ჩამოთვლილი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მუზეუმის კომფორტულად და სიამოვნებით მონახულებას, შეიძლება ნაწილობრივ თავიდან ავიშოროთ წინდახედული გეგმარების მეშვეობით, ზოგიერთი ფიზიკური მიზეზის მქონე პრობლემის მოგვარებით. მაგალითად, დასიებული ფეხების მიზეზი შეიძლება იყოს ბეტონის მაგარი იატაკი – შეიძლება თუ არა ეს პრობლემა მოგვარდეს იატაკის ზედაპირის შეცვლით, აგრეთვე სკამებისა და მოსასვენებელი ადგილების განლაგებით იქ, საიდანაც მოსახერხებელი იქნება ექსპონატების ცქერა?

მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებიც თვითონ არ აღიქვამენ გამოფენას მნახველის თვალსაწიერიდან, მაინც შეუძლიათ მიხედნენ, თუ როგორი ხედება შენობა და საგამოფენო სივრცე დამთვალიერებელს. ამის გაგება შეიძლება დათვალიერებით, ზეპირი და წერილობითი კომენტარების მეშვეობით და გამოფენის დათვალიერების მათი საკუთარი შტაბჟეჭდილებების რეგულარული გამოკითხვებით. გარდა ამისა, მუზეუმის თანამშრომლებს მათი ყოველდღიური საქმიანობის შედეგად ეცოდინებათ, თუ რა ფიზიკური ფაქტორები უშლის ხელს გამოფენის ეფექტურად დაგეგმვას: ვინრო კარი იქ, სადაც ბევრი ხალხი მოძრაობს; "მობილური ბუფეტების" ურიკების დგომა დერეფანში; შემოსასვლელთან უნარშეზღუდულთა ეტლებისთვის განკუთვნილი ფართობის სიმცირე; და მრავალი მსგავსი პრობლემები, რომელიც ნათელი გახდება მათთვის, ვინც ამზადებს გამოფენებს.

აღნიშნული პრობლემები საბჭოსა და დირექტორისათვის შეიძლება სხვა კუთხით იჩენდეს თავს. მუზეუმს შეიძლება პრობლემა შეუქმნას გამოფენის გახსნის ხშირმა გადადებათ; დამატებითი სამუშაო დროის ანაზღაურების დიდი თანხები და თანამშრომლების გადაღლა; ხელოვნების ნიმუშების დაზიანების შედეგად სადაზღვევო გადასახადები და ახალ პროექტებში მონაწილეობის სუსტი სურვილი ან სულაც – უარი მათგან, ვისგანაც მუზეუმმა უნდა დროებით სარგებლობაში მიიღოს საგამოფენო ექსპონატები; განათების და ვიდუო-აუდიო პროგრამების მწყობრიდან გამოსვლა ვიპ-ტურების დროს. რატომ ჩნდება ეს პრობლემები დროგამოშვებით? თუკი დამხმარე პერსონალს დაეკითხებოდნენ და ობიექტურ ანალიზს სთხოვენ, მიიღებენ ინფორმაციას მოუხერხებელი, არაეფექტური, ცუდად დაგეგმილი მომსახურების შესახებ, ისევე, როგორც დამხმარე სივრცეებისა და გალერეების შესახებ, რომელიც არ შეესაბამება სამუზეუმო პროგრამით დასახულ მოთხოვნებს.

მუზეუმის არსებული საშუალებების გულდასმით დათვალიერება კარგად გამოავლენს მსგავს ფიზიკურ პრობლემებს და იმ ცვლილებებს, რომელიც უნდა განხორციელდეს საგამოფენო სივრცის ფუნქციურობის გაუმჯობესებისათვის. თუმცა, იდეალური დრო გამოფენების მოსაწყობად საუკეთესო შესაძლებლობების მქონე გალერეის დასაგეგმად მაშინაა, როცა შენდება ახალი ნაგებობები, არსებული ფართოვდება ან ხდება შენობის საფუძვლიანი განახლება. ძალისხმევა, განეული დაგეგმვის ადრეულ სტადიაზე, გრძელდება ვიდრე ახალი გამოფენების გახსნამდე, იმისათვის, რომ გამოფენისათვის აუცილებელი მოთხოვნები იქნას განსაზღვრული. საჭიროა ამ მოთხოვნების კონკრეტულ ფორმებში ხორცშესხმა, რაც ნლების განმავლობაში გამოიღებს სასიკეთო ნაყოფს გამოფენების ეფექტურობის სახით.

ამ თავში განხილულია ფართო მოთხოვნები, იმისათვის, რომ მუზეუმის შენობაც და მისი საგამოფენო გალერეაც გახდეს საინტერპრეტაციო პროგრამის ეფექტური კომპონენტები. ადგილმდებარეობის, შენობის და გალერეის ურთიერთკავშირის გარდა, მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

- უსაფრთხოებასა და საზოგადოების დაცულობა
- გალერეაში კოლექციების განთავსება, მათი გამოყენების ფორმა
- საექსპოზიციო სივრცის მოთხოვნების დაგეგმვა
- გამოფენის თანმხლები საქმიანობისა და პირობების უზრუნველყოფა
- ყველა ვიზიტორისთვის ხელმისაწვდომობა.

თითოეული ამ ფაქტორის განხილვამდე, პირველ რიგში აუცილებელია საგამოფენო სივრცისთვის ოპტიმალური დიზაინის კრიტერიუმების შემუშავება.

5.1 საგამოფენო სივრცისთვის ოპტიმალური დიზაინის კრიტერიუმების შემუშავება

ჰეზერ მაქსიმეა

ყოველი მუზეუმისთვის და საინტერპრეტაციო პროგრამისთვის, რომელსაც გალერეა და დამხმარე საშუალებები სჭირდება, ადგილის, ნაგებობის და ბიუჯეტის შესაძლებლობების და სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით, პოტენციური გადაწყვეტილების მრავალი ვარიანტი შეიძლება იყოს შერჩეული, ან/და დანუხებული და სახეცვლილი. როგორ უნდა მივიღოთ საუკეთესო გადაწყვეტილება კონკრეტულ სიტუაციაში? ერთი მეთოდია პრინციპების კომპლექსის ანუ *დიზაინის კრიტერიუმების* შემუშავება, რომელიც ერთი მხრივ, აღწერს სასურველ შედეგს და მეორე მხრივ, ამ შედეგის მიღწევის შეფასების მეთოდიკას.

მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზების დიზაინის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმების განსაზღვრისას, შეიძლება გამოვიყენოთ ის, რაც სხვადასხვა ვითარებაში და ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოსადეგია. ხოლო გამოფენის გადაწყვეტები, რომელსაც მუდმივად შეიმუშავებენ ხოლმე მუზეუმის მცველები, დიზაინერები, დამკვეთარბლები და არქიტექტორები, უნდა შესწავლილ იქნას და გაიაროს ტესტირება მასალებისა და სისტემების ტექნიკურ შესაძლებლობებზე, ასევე უნდა მოხდეს ხელმისაწვდომობისა და მნახველების სივრცეში გადაადგილების, ინსტალაციისა და ტექნიკური მომსახურების შესაძლებელი სქემების შემოწმება.

ნებისმიერი ახალი მუზეუმის შენობის ან არსებული გალერეების გაფართოებას ან განახლებას დასჭირდება დიზაინის სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება,

რაც საგამოფენო სივრცეების გრძელვადიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული.

5.1.1 დიზაინის კრიტერიუმები, ორიენტირებული მისიაზე

შენობისა და მისი გალერეების მისიაზე ორიენტირებული დიზაინის კრიტერიუმები, კონცენტრირებულია სივრცის საერთო კონცეფციაზე, ან – ზოგად ხედვაზე, რომელიც ემყარება მუზეუმის მისიას, დანიშნულებას და აუდიტორიასთან ურთიერთობის მიზნებს. ხშირად ეს აისახება "მიდგომის დებულებაში" ან მსგავს დოკუმენტში, რომელიც გამოხატავს შენობის ან გამოფენის დაგეგმილი პროექტის სულისკვეთებას. დიზაინის ეს კრიტერიუმები გვთავაზობს ნაგებობისა და მისი შიდა სივრცეების ხასიათს, გადმოცემულს კონცეპტუალური და ხარისხობრივი თვალსაზრისით.

მაგალითი 5.1 გვიჩვენებს კარგ ნიმუშს ფართო მიდგომისა, რომელიც მომზადდა მუზეუმის საბჭოს მიერ როგორც არქიტექტორ არტურ ერიქსონისთვის განკუთვნილი მასალა. მასალა მოიცავს როგორც მისიაზე ორიენტირებულ, ისე წინასწარ გათვლილ ფუნქციურ კრიტერიუმებს, რათა სრულად გამოიხატოს იმ დანებსებულების ხედვა, სადაც თავად ექსპოზიცია და ინტერპრეტაცია ვრცელდება მთელი სივრცის მასშტაბით, და რომელშიც ექსპოზიცია წარმოადგენს დამთვალეიერებლის მიერ მინის დამზადების შესახებ მისაღები შთაბეჭდილების მხოლოდ ნაწილს.

მაგალითი 5.1

დიზაინის კრიტერიუმები

მინის საერთაშორისო მუზეუმი (ტაკომა, ვაშინგტონი)

მინის საერთაშორისო მუზეუმი (ტაკომა, ვაშინგტონი) უნდა იყოს ვიზუალურად დინამიური და მეტად მიმზიდველი სტრუქტურა, შეკრების ადგილი, რომელიც მინის ხელოვნების ნიმუშების შექმნით "ასხივებს" სინათლეს, სიცოცხლესა და ენერგიას. საკუთრივ ნაგებობამ ხელი უნდა შეუწყოს მინის მუზეუმის, როგორც კინეტიკური გარემოს შექმნას, გარემოსი, სადაც შემოქმედებითი მუხტი იფრქვევა და ეს ემსახურება მნახველების, თავად ხელოვნებისა და მათ მოთხოვნილებებს, ვინც პასუხისმგებელია იმაზე, რომ ყოველივე ეს მართლაც მუშაობდეს შენობის შემდეგი კრიტერიუმები წარმოადგენს საშუალებას არქიტექტურული დიზაინის პროცესის გასაძლიერად იმისათვის, რომ სრულად აისახოს მუზეუმის პროგრამების მიმართულებები, რომელიც უნდა:

- პასუხობდეს და არსებობდეს გარემოს არქიტექტურულ კონტექსტში და სრულად ურთიერთქმედებდეს მის მაგისტრალურ ხაზთან
- ჰქონდეს სივრცეები და ადგილები, რომელიც ითვალისწინებს შენობის ხედვასა და შესაძლებლობებს როგორც მის შიგნით, ასევე მის გარშემოც
- გამოხატავდეს მიპატიჟებისა და კეთილ განწყობას ნებისმიერი ადამიანის მიმართ
- უქმნიდეს თანამშრომლებსა და დამთვალეიერებლებს უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს
- მინის ნაკეთობებს დინამიურად და ახლებურად წარმოაჩენდეს შენობის გარემოში

- გამოხატავდეს ორგანიზაციის ხელმისაწვდომობას და აქტიურობას
- მოიცავდეს მინის უნიკალურ ფიზიკურ თვისებებს
- ქმნიდეს ორგანიზაციის სწორი აღქმის პირობებს
- იყოს ხორცისშემსხმელი ხალისისა და შემოქმედებითი მუხტისათვის

ფუნქციური კრიტერიუმები:

- უნდა მოიცავდეს პროგრამის სხვადასხვა ელემენტს და გვთავაზობდეს ფუნქციურ სივრცეებს იქ, სადაც მათი არსებობა ეფექტური იქნება
- პასუხობდეს თანაარსებობის საკითხებს და საზოგადოებრივი ადგილის მიმართ არსებულ მოთხოვნებს
- შეესაბამებოდეს არსებულ კოდექსებს, წესებს და სტანდარტებს და სათანადო ყურადღებას ამახვილებდეს თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე
- სრულდებოდეს დროულად და ბიუჯეტის ფარგლებში
- აკრედიტაციის მისაღებად, პასუხობდეს ამერიკის მუზეუმთა ასოციაციის მოთხოვნებს ვიზიტორთა მომსახურებაზე
- ადგენდეს პოტენციური საჭიროებების სამომავლო გეგმებს.

მიზნები

- მინის საერთაშორისო მუზეუმის კონცეფციის განხორციელება (საბჭომ მიიღო 1997 წლის მარტში, პროგრამის გეგმა მიღებულ იქნა 1998 წელს)
- მნახველების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორც ეს განსაზღვრულია სამოქმედო გეგმაში
- ხელოვანთა მოთხოვნების გათვალისწინება, მინის საერთაშორისო მუზეუმის "მიღგომის დებულებისა" და პროგრამის გეგმის შესაბამისად.

ამოცანები

- დასახელებული ამოცანების მიღწევა შენობის პარამეტრების (საერთო ფართობი 59,000 კვადრატული ფუტი) ფარგლებში და სამომავლოდ, გაფართოების შესაძლებლობის გათვალისწინება;
- ოპერატიული ეფექტურობის დაგეგმვა, რათა მინის საერთაშორისო მუზეუმმა შეძლოს საკუთარი სახსრებით არსებობა, როგორც ეს განსაზღვრულია სამოქმედო გეგმით.

5.1.2 ფუნქციური დიზაინის კრიტერიუმები

ახალი ან განახლებული საექსპოზიციო სივრცეების დიზაინის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია ფუნქციური კრიტერიუმთა კრებული, რომელიც გზას გაუკვლევს ამ პროექტზე მომუშავე არქიტექტორებს, ინჟინრებს, მშენებელ კონტრაქტორებს და გამოფენის დიზაინერებს.

საექსპოზიციო დარბაზებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საგამოფენო სივრცის დიზაინში ჩადებული გარკვეული მოქნილობა. ნარსულში, მუზეუმების საგამოფენო დარბაზები მეტ-ნაკლებად წარმოადგენდა უცვლელი არქიტექტურული ხასიათისა და მკაფიო

თავისთავადობის მქონე ერთეულებს. მე-20 საუკუნეში გაჩნდა მოთხოვნილება, რომ სივრცე ყოფილიყო უფრო ნეიტრალური და შესაძლებელი ყოფილიყო მისი ადვილად გარდაქმნა სხვადასხვაგვარი საგამოფენო მასალის მოთხოვნილებების შესაბამისად, გათვალისწინებული ყოფილიყო მასალის, კლიმატის კონტროლის, განათების და სხვა ტექნოლოგიური მოთხოვნები. იდეე ერთ გავრცელებულ ტენდენციას წარმოადგენდა ე. წ. "შავი ყუთის გალერეა" და "ჭკვიანი გალერეა". ორივე მათგანისთვის დამახასიათებელი ისაა რომ აღჭურვილია განათების და ხმის კონტროლის ახალი ტექნოლოგიებით, მულტიმედია პრეზენტაციების გამართვის საშუალებებით და გარდა ამისა, მათი სივრცე მთლიანად დაქვემდებარებულია მასში მონყობილ გამოფენას. განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად ადაპტირებადი უნდა იყოს ახალი საგამოფენო სივრცე და როგორი თანამედროვე ტექნოლოგიები იყოს გამოყენებული მასში, მეტად მნიშვნელოვანი გადანყვეტილებაა და მას იღებენ დაგეგმვის პროცესის საწყის ეტაპზე, რასაც თავისთავად სჭირდება შესაძლებლობებისა და ფასების ფართომასშტაბიანი კვლევა.

თავდაპირველი ამოცანების დიზაინის კრიტერიუმები მუშავდება ახალი სივრცის ან ნაგებობის დაგეგმვის საწყის ეტაპზე, როგორც ეს მოცემულია მინის საერთაშორისო მუზეუმის მაგალითზე. მათ შორის შეიძლება იყოს ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა:

- ყველა არსებული კოდექსის, წესისა და სტანდარტის დაცვა
- კლიმატის კონტროლისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაყოფილება
- განათებისა და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა
- მუშაობის ეფექტურობის და დაცვითი სისტემების დაგეგმვა
- სამომავლოდ გაფართოების ვარიანტების გათვალისწინება
- ეტაპობრივი განვითარების პროცესის უზრუნველყოფა
- მუდმივი და დროებითი გამოფენების პროგრამების სივრცის მოთხოვნებზე ყურადღების

გამახვილება

- პროექტის დროულად დასრულება ბიუჯეტის ფარგლებში.

თითოეული ამ მოთხოვნის შესრულებისა და რაოდენობრივი გამოხატულების მქონე ამოცანების დასახვისათვის, აუცილებელია მიმდინარე საქმიანობის, არსებული და მომავალში გათვალისწინებული კოლექციების, აგრეთვე – სამომავლოდ შესაძლო მოთხოვნილებების წარმოსახვა დეტალური რაოდენობრივი მონაცემების სახით. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმვა შეიძლება დაიწყო წინასწარი ძირითადი ბიუჯეტზე ან ნაგებობის ზომისა და სირთულის შესახებ თავდაპირველ იდეაზე დაყრდნობით, ეს ფაქტორები არ უნდა იქცეს სავალდებულოდ. არსებობს სხვადასხვა სტრატეგია იმის შესამონმებლად, თუ რამდენად შეესატყვისება სანატრელი "თავად ხელოვნების ნიმუში" საგამოფენო სივრცე ადგილის, შენობის, ძირითადი ბიუჯეტისა და სამომავლო მიმდინარე ბიუჯეტის შესაძლებლობებს. სავალდებულოა თავიდან აცილებულ იქნას ძვირადღირებული შეცდომები დიზაინში და ბიუჯეტის გადამეტება, საჭიროა დადებითი, რეალისტური მიზნების მიღწევა. შემონმება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- კოლექციების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი და წარმოდგენა იმისა, განსათავსებელი ყველაზე დიდი "ხელოვნების ნიმუში/არტეფაქტი" რა ზომის შეიძლება იყოს
- აუდიტორიისა და საბაზრო მონაცემების რაოდენობრივად შეფასება და ყველაზე დატვირთულ დღეს შენობაში მნახველთა შესაძლო რაოდენობის დაგეგმვა
- საექსპოზიციო და დამხმარე სათავსოების დაგეგმვა ზომისა და კატეგორიის მიხედ-

ვით

- მთლიანად მუზეუმის მიერ დაკავებული ფართობის, მისი შენობისა და დაგეგმილი საექსპოზიციო სივრცეების შესაბამისობის გადასინჯვა

- კლიმატური რეჟიმისა და დაცვის სისტემების, აგრეთვე განათების, სტრუქტურული და მექანიკური სისტემების გადასინჯვა.

იმისათვის, რომ გალერეებმა შეასრულონ აღნიშნული კრიტერიუმები, მუზეუმის საქმიანობის დაგეგმვის გამოცდილმა სპეციალისტმა, უნდა მოამზადოს "ბრიფი" (მოკლე პროგრამა) ან "ფუნქციური პროგრამა", რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ არქიტექტორებმა და დიზაინერებმა; მანვე უნდა იმუშაოს მათთან ამ პროგრამისა და გეგმარების შესაბამისობაში მოსაყვანად. რაც მთავარია, ფუნქციური მოთხოვნები ან დიზაინის კრიტერიუმები, რომელიც ჩამოყალიბდება და შეთანხმდება გამოფენის დამკვეთთან, უნდა დაინერგოს გალერეის დიზაინის შეცვლის ან მშენებლობის ყველა ეტაპზე. აღნიშნულ კრიტერიუმებში ცვლილებების შეტანა არქიტექტორის, კონტრაქტორის ან დამკვეთის სურვილით აკრძალულია. ცვლილების შეტანა მხოლოდ მუზეუმის დაგეგმვის სპეციალისტის მიერ, დაგეგმვისა და დიზაინის გუნდის სხვა წევრებთან ერთად, ყველა ფაქტორის დაბალანსებული და დინჯი განხილვის შედეგად არის შესაძლებელი.

5.2 საექსპოზიციო სივრცის მოთხოვნების დაგეგმვა

ჭეზერ მაქსიმეა

საექსპოზიციო დარბაზების მშენებლობის ან სარემონტო სამუშაოების დაპროექტების დასაწყისში, არსებობს ხოლმე სურვილი რაც შეიძლება მეტი სივრცე დაეთმოს გამოფენებს. ამასთან, არსებობს შენობის და ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინების აუცილებლობა და განდება კითხვა: "რა მოცულობის საგამოფენო სივრცე გვჭირდება სინამდვილეში?" ანუ "რეალურად რა მოცულობის საგამოფენო სივრცეს გავწვდებით?".

თანამშრომლებისა და სამშენებლო კომიტეტის (ისეთი გარე კონსულტანტების მხარდაჭერით, როგორებიც არიან მუზეუმის მაგეგმარებლები და არქიტექტორები) ამოცანაა, მოითხოვონ "სურვილთა ჩამონათვალი" და რეალურად შეაფასონ საექსპოზიციო სივრცეების რაოდენობა და ტიპები, რომლებიც საჭიროა მუზეუმის საპროგრამო მიზნების მისაღწევად ისე, რომ არ გასცდნენ მუზეუმის შესაძლებლობების ზღვარს.

სასურველია გეგმარების პირველ საფეხურზე მუზეუმმა მოახდინოს თავისი საექსპოზიციო სივრცის შედარება მსგავსი მასშტაბის, მიზნების და სტატუსის მქონე მუზეუმის საექსპოზიციო სივრცესთან. მაგალითად, სინგაპურის ეროვნული მემკვიდრეობის საბჭო, მუზეუმის სამომავლო განვითარების გენერალური გეგმის მომზადებისას, გაეცნო სხვა ეროვნული მუზეუმების კვლევის მონაცემებს, მათი კოლექციების სიდიდეს, ორგანიზებას და საექსპოზიციო დარბაზების შესაბამის ზომებს. ფაქტობრივად, ეს კვლევა იყო "რეალობის შემოწმება", რის შედეგადაც სინგაპურმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც წარმოაჩინდა მას, როგორც რეგიონის მთავარ სამუზეუმო ცენტრს და შეძლო მიეზიდა ახალი კოლექციები და საერთაშორისო მოძრავი გამოფენები.

მიღებულია, რომ ჩვეულებრივ მუზეუმებსა და გალერეებში საექსპოზიციო სივრცეს შენობის საერთო მოცულობის 40% უჭირავს, და არავითარ შემთხვევაში –60%-ზე მეტი. თუკი ექსპოზიციას ზედმეტად დიდი ფართი უჭირავს, მუზეუმის სხვა ფუნქციებისთვის (კერძოდ,

კოლექციების საცავები და გამოფენების დამხმარე სათავსოები) განკუთვნილი ფართი არაად-
ექვატური იქნება. მეორეს მხრივ, საექსპოზიციო სივრცისათვის საერთო ფართის 40%-ზე
ნაკლების დათმობა ბაღებს, კითხვას, მოახდენს თუ არა ექსპოზიცია ვიზიტორზე საკმარისი
სიღრმისა და დიაპაზონის შთაბეჭდილებას, ექნება თუ არა საზოგადოებრივი მხარდაჭერა
და გამოიწვევს თუ არა იგი მათ გრძელვადიან ინტერესს? ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არის
დასაშვები, თუ მუზეუმი ძირითადად კვლევითი დანებს უბუღებს და საზოგადოებისათვის
ხელმისაწვდომობა არ წარმოადგენს მის მთავარ ფუნქციას.

მუზეუმის საინტერპრეტაციო პროგრამები და მათი განვითარება დეტალურად არის
განხილული სხვა თავებში. ამასთან, საგამოფენო დარბაზების მიმართ საინტერპრეტაციო
პროგრამების მოთხოვნებს, ძირითადად შემდეგი მოტივაციები აქვს:

- მთელი კოლექციის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპონირების სურვილი
- გამოფენის იდეის გადმოსაცემად თემატური ელემენტების გამოყენების სურვილი
- მოდულარული საექსპოზიციო ელემენტებისთვის (სამეცნიერო ცენტრის გამოფენე-
ბისა ან ინტერაქტივებისთვის) სივრცის გამოყოფის საჭიროება
- იდეის ან ემოციის გადმოსაცემად თავად სივრცის გამოყენების სურვილი.

თითოეული ეს სურვილი სხვადასხვაგვარად ახდენს გავლენას სივრცის მოთხოვნილე-
ბასა და მის გამოყენებაზე. მუზეუმის საექსპოზიციო ინტერპრეტაციულ პროგრამაში,
საექსპოზიციო სივრცის მოთხოვნების შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი
სამი გარემოება:

- საექსპოზიციო საგნების რაოდენობის ზრდის, ანუ გამოფენილი კოლექციის პროპორციის
ზრდის შედეგები
- გალერეის სტრუქტურაში ხელოვნების ნიმუშებისა და არტეფაქტებისათვის საჭირო
სივრცე
- სივრცე, რომელიც ხალხს სჭირდება მუზეუმის ექსპოზიციის უსაფრთხოდ და კომ-
ფორტულად დასათვალიერებლად.

5.2.1 ექსპოზიციის და საცავის ფართების თანაფარდობა

მუზეუმების უმრავლესობას ერთდროულად საკუთარი კოლექციის მხოლოდ 10% ან
ნაკლები შეუძლია გამოფინოს. ექსპოზიციის და საცავის თანაფარდობა მუზეუმის კოლექციე-
ბისთვის შეიძლება მერყეობდეს 1:0-დან (ყველა ნიმუში გამოფენილია) 1:10,000 ან ნაკლებამდე
(ყოველი 10,000-დან მხოლოდ ერთი ნიმუშევაარია გამოფენილი). ექსპოზიციისა და საცავის
ამგვარი თანაფარდობის მიზეზი (სულ რამდენიმე ექსპონატია და კავშირებული საცავში
შენახულთან) შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მუზეუმში დაცული მრავალი ნივთი და ნიმუში
ერთნაირი, ერთგვაროვანია, ან არ გამოდგება საექსპოზიციოდ. კერძოდ, ეს ახასიათებს
არქეოლოგიურ და ბუნების ისტორიის ზოგიერთ კოლექციას, რომლებიც ძირითადად კვ-
ლევითისთვის არის ფასეული. შეიძლება მუზეუმს ქრონიკულად აკლდეს ყველა ტიპის სივრცე,
რაც ჩვეულებრივ იმის გამო ხდება, რომ მუზეუმი განთავსებულია ისტორიულ შენობაში, ან
როცა მუზეუმი იმდენად იზრდება, რომ ვეღარ ეტევა თავდაპირველ ფართში.

ამის საპირისპიროდ, თუ ეს თანაფარდობა მაღალია, ანუ ექსპოზიციაში წარმოდგენილია
საერთო რაოდენობის დიდი ნაწილი, ეს შეიძლება მეტყველებდეს იმაზე, რომ გამოფენილი
ასახავს უაღრესად ფასეული ექსპონატების შედარებით მცირე კოლექციას (როგორც ეს

ლონდონის ნაციონალურ გალერეაშია), ან შესაძლოა, ნიშნავდეს, რომ მუდმივი ექსპოზიცია ატარებს ღია შენახვის სახეს, რაც საგამოფენო სივრცის ზედმეტ გადატვირთულობას მოასწავებს.

მრავალი საგამოფენო სამშენებლო პროექტის საგამოფენო პოლიტიკის მესვეურთა და დამფინანსებელთა მთავარი მიზანია საზოგადოებისთვის საინტერესო და ხელმისაწვდომი ექსპონატების რაოდენობის გაზრდა საგამოფენო გალერეების სივრცის გაზრდის საშუალებით. ამდენად, საჭირო ფართის ზომის შესახებ გადანყვეტილების მიღება დაკავშირებულია იმასთან, კოლექციის რა ნაწილი შეიძლება ან უნდა იყოს გამოფენილი ერთდროულად? ეს არის საცავისა და საექსპოზიციო სივრცის თანაფარდობის გაუმჯობესების ამოცანა, რაც საზოგადოებისათვის კოლექციების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასაც ნიშნავს.

ბოლო პერიოდში კომპიუტერისა და ვირტუალური ტექნოლოგიების წყალობით კოლექციები და მათ შესახებ ინფორმაცია გაცილებით მეტად ხელმისაწვდომი გახდა ექსპონატების უშუალოდ გამოფენის გარეშეც. მიუხედავად ამისა, ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრონული გამოსახულებების დათვალიერება ადამიანებს მეტ ინტერესს უჩენს რეალური ნივთის ნახვის მეტ ინტერესს უჩენს.

5.2.2 მხატვრული ნამუშევრების, მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა

მუზეუმმა შეიძლება გამოფინოს მრვალფეროვანი კოლექციები, როგორც ზომის, ისე მასალის მხრივ. შესაბამისად, საექსპოზიციო სივრცის მოთხოვნილების განსაზღვრამდე საჭიროა არსებულ კოლექციებზე და მათი ზრდის კოეფიციენტზე ინფორმაციის მოპოვება.

პირველ რიგში, გალერეის სივრცის განსაზღვრამდე, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა მასალისგან შედგება გამოსაფენი ექსპონატები. ეს მოითხოვს კურატორებისგან, რომ მკაფიო წარმოდგენა იქონიონ არსებული და პოტენციური კოლექციების შესახებ, აგრეთვე – შესაძლო მოძრავი გამოფენების მასალების ვარიანტებზე. ამის კარგი მაგალითია ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმში ვანკუვერში, რომელმაც 1976 წელს, ახალი შენობის დაგეგმვის ადრეულ სტადიაზე, უკვე იცოდა, რომ ახალ გალერეებში, სულ ცოტა, ოთხი სხვადასხვა ტიპის კოლექცია გამოიფინებოდა. კერძოდ:

- ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ხელოვნების მონუმენტური ნიმუშები: 50-მდე ტოტემის სვეტი, სახლების ფასალები და სადღესასწაულო ჭურჭელი, რომელთა სიმალლე უნდა ყოფილიყო 5-დან 25 ფუტამდე (1.5-7.6 მ), ხოლო სიგანე – 2-დან 15 ფუტამდე (0.6-4.5მ)
- ოქროს, ვერცხლის, ნეფრიტის, არგილიტის, სპილოს ძვლის და ბუნებრივი მასალები-სგან დამზადებული ძვირფასი სამკაულები და რეგალიები, მათ შორის დაახლოებით 100 – ცნობილი ავტორების მიერ შესრულებული;
- ეთნოგრაფიული კოლექცია (მცირე ზომის მასალიდან დაწყებული მონუმენტური მასშტაბის მქონე ნიმუშებით დამთავრებული, დაახლოებით 7000-მდე ერთეული), რომელთა უმეტესობა მყარი მასალიდან არის დამზადებული, თუმცა გვხვდება ქალაღი, ბოჭკო, არამდგრადი საღებავი და სხვ. (20 წელიწადში კოლექცია გაორმაგდა და 14,000 ერთეულს გადააჭარბა);
- ეთნოგრაფიული კოლექციის ნაწილს შეადგენს სხვადასხვა ქსოვილის, ბეწვეულის და ბუმბულის ნაწარმი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას, კერძოდ,

განათებისა და მტვრის კონტროლს.

- აშკარა გახდა, რომ მუდმივი კოლექციების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საუკეთესო საშუალება იყო ოთხი სხვადასხვა ტიპის გალერეის დაგეგმვა. საბოლოო ჯამში, დაიგეგმა ხუთი ტიპის გალერეა:

- დიდი დარბაზი: მონუმენტური ხელოვნების მუდმივი ინსტალაციები 5 მ (16 ფუტი) სიმაღლის სივრცეში

- შედეგების გალერეა: დაბალჭერიანი, მყუდრო გალერეა სამკაულის გამოფენით
- ღია საცავების გალერეები, სადაც ეთნოგრაფიული კოლექციები კარაღებში და უჯრებში მჭიდროდ არის განთავსებული

- ქსოვილების გალერეა, რომელიც განსაკუთრებით დაცულია მტვრისგან და სუსტადაა განათებული

- “ადვილად გარდაქმნადი” გალერეები დროებითი გამოფენებისთვის, ზოგი გამოსადეგია მოძრავი და ადგილობრივი გამოფენებისთვის, ზოგიც – მცირე სტუდენტური გამოფენებისათვის.

მოგვიანებით, ევროპული კერამიკის კოლექციის ჩუქებამ შექმნა შესაძლებლობა ახალი, ამ მასალის გამოსაფენი, გალერეის აშენებისა, რის გამოც აუცილებელი გახდა თავდაპირველად დაგეგმილი ტექსტილის სპეციალიზებული გალერეის შეცვლა.

ვინაიდან თითოეული გალერეა გათვალისწინებული იყო გარკვეული კატეგორიის და ზომის ნივთებისთვის, ცნობილი იყო ყოველი კატეგორიის მიახლოებითი რაოდენობა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა თითოეული საგნისათვის საჭირო მოცულობის დაანგარიშება (მისი “ფეხის ანაბეჭდი”) და ამ ინფორმაციის გამოყენება გალერეის ფართის დაანგარიშებისთვის. შესაბამისად, თითოეული გალერეისათვის კრიტერიუმი უკრატორების მიერ ჩატარებული კოლექციების ანალიზის შედეგად შეიქმნა.

გალერეაში გამოსაფენად დაგეგმილი მასალის შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად უნდა დეტალურად შესწავლილ იქნას კოლექციის მონაცემები, ხოლო რიცხობრივ მონაცემებს მიეცეს ცხრილის სახე. ცხრილი 5.1. გვიჩვენებს ამის მაგალითს. თითოეული კოლექციისთვის ზომის შესაბამისი კატეგორიები უნდა განისაზღვროს.

	მიკრო სკოპული	ძალიან მცირე	მცირე	საშუალო	დიდი	ძალიან დიდი		ჯამი
	<1სმ	1-5სმ	6-25სმ	26-100სმ	18-2.5მ	2.5მ-5მ	>5მ	
ნიმუშის კატეგორია								
მწერები	5,000	10,000	10,000	2,000				27,000
მოლუსკები		4,000	7,000	3,000	10			14,010
ფრინველები		500	4,500	900	75	1		5,976
ძუძუმწოვრები		1,000	800	800	400	50	10	3,060
რეპტილიები	5	500	3,00	2,000	10	2		5,517
ჯამი	5,005	16,000	25,300	8,700	495	53	10	55,563

5.2.3 საგამოფენო მეთოდები და სიმჭიდროვე

ასეთი ცხრილი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საცავში, ისე ექსპოზიციაში კოლექციებისთვის საჭირო სივრცის მოთხოვნების გასარკვევად. ამავდროულად, შეასაძლოა, ამის შემდეგაც გაჩნდეს ახალი კითხვები, მაგ., ზუსტად რა ზომისაა ეს 10 ძუძუმწოვარი? ეს არის კითხვა, რომელიც შესაძლოა, მანამდე არ დასმულა კურატორის წინაშე.

ბევრ შემთხვევაში, მსგავსი ცხრილი აჩვენებს კოლექციის ზოგიერთ მნიშვნელოვან თვისებას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ექსპოზიციის მონყოლაზე: ზოგი კატეგორია შედგება მრავალი მცირე ზომის ერთეულისაგან, ზოგი კი მოიცავს დიდი ნიმუშების გარკვეულ რაოდენობას. როგორც ეს ანთროპოლოგიის მუზეუმის ანალიზმა გვიჩვენა, არის კოლექციები, რომლებიც ღია შენახვის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი და კოლექციები, რომელთა ერთეულები მოითხოვს სათითაოდ წარმდგენას და მოვლას. ღია შენახვა ყველაზე ეფექტურია, როდესაც გამოსაფენია მრავალი ერთეული და სასურველია კონკრეტული კოლექციის დამახასიათებელი კატეგორიების შედარება ერთმანეთთან. მაგალითად, ნიღბები, პეპლები და მონეტები, მინა, კერამიკა, ძაფის საერთავეები ან უფრო დიდი ზომის ერთეულები, მაგ. ლოკომოტივი, ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებლობას აძლევდეს სპეციალური გამოცდილების მქონე ვიზიტორებს თვითონ შეადარონ და გააკათონ დასკვნები, ხოლო არასპეციალისტ მნახველებს საშუალება მიეცეს აღმოაჩინონ მათთვის ახალი ინტერესის სფერო.

კოლექციების შესახებ არსებული მონაცემები აგრეთვე უნდა გვეხმარებოდეს "განსაკუთრებულ" ანუ "ვარსკვლავი" ექსპონატების იდენტიფიკაციაში, ანუ, ექსპონატების ისეთი ჯგუფების, რომელიც ყველაზე მეტად იზიდავს დამთვალიერებლებს (მაგალითად, პეპლები ან ძვირფასი თვლები), ან ყველაზე გამორჩეული ცალკეული ნიმუშების (მაგალითად ზვიგენის ჩონჩხი). ამგვარი "ვარსკვლავი" ექსპონატების (რომლებიც ნამდვილად გამოიფინება გალერეებში) ზომების შესახებ ზუსტი მონაცემების არსებობა, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნორმებს გადაცილებული გამორჩეული საექსპოზიციო ფართის მოთხოვნების განსაზღვრისათვის. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის ცნობილი დენდურის ტაძარი, უზარმაზარი ზომის ექსპონატის მაგალითია, რომელსაც ცალკე გალერეა სჭირდება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მატერიალური კულტურის ძეგლების და ნიმუშების განსაკუთრებული განზომილებების გათვალისწინება. მაგალითად, ზვიგენის ჩონჩხი ექსპონირებული უნდა იყოს გრძივად და შესაძლებელია, საჭირო გახდეს მისი ჩამოკიდებაც; რელიეფი უნდა განთავსდეს ისევე, როგორც ის იყო თავდაპირველ ადგილზე; ხოლო ტოტემის სვეტი მოითხოვს ძალიან მაღალ, მაგრამ ვიწრო სივრცეს. სამგანზომილებიანი საგნები სამივე მხრიდან უნდა აღიქმებოდეს, მაშინ, როცა ორგანზომილებიანი (მაგ. სურათები) მოითხოვს მხოლოდ ერთი მხრიდან აღქმას. საგნების განზომილების გათვალისწინება ხელს შეუწყობს დიზაინის კრიტერიუმის შემუშავებას, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება საგანთა თითოეულ კატეგორიაში არსებული ყველაზე დიდი საგანების – მხატვრული ნამუშევრების, მატერიალური კულტურის ძეგლების ან სხვადასხვა ნიმუშების მოდელების, საექსპოზიციო სივრცეში სწორად განთავსება.

მხატვრული ნამუშევრების, არტეფაქტების ან ნიმუშთა მოდელების განზომილებების წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელოვანია არა მარტო საექსპოზიციო სივრცის მოთხოვნების გასარკვევად, არამედ სხვა ისეთი სივრცის კრიტიკული კრიტერიუმის დასადგენად, როგორიცაა კარის ღიობის და დერეფნების ზომა მთელი მარშრუტის სიგრძეზე, რომლითაც ეს საგნები უნდა გადაადგილდეს ექსპოზიციაში განსათავსებლად.

მონაცემთა ანალიზის შემდეგი ასპექტი იქნება კოლექციის საექსპოზიციოდ ვარგისი ნაწილის დადგენა. მაგალითად, 5.1 ცხრილში, ფრინველების მრავალი ნიმუში შესასწავლი ობიექტების სიაშია და მხოლოდ 5% შეიძლება გამოდგეს საექსპოზიციოდ. სხვათა შორის, ინტერპრეტაციული მიზნების მისაღწევად, დამატებითი ნიმუშების დაკვეთაც კი შეიძლება გახდეს საჭირო.

ზოგადად, მუზეუმის მცველებს და კონსერვატორებს შეიძლება მიაჩნდეთ, რომ მაგალითად, კოლექციის 20% საექსპოზიციოდ ვარგისია. მაგრამ მაინც სასურველია, თავიდანვე მოხდეს კოლექციის კატეგორიების და მათი მოცულობის უფრო დეტალური შესწავლა და თითოეული მათგანის საექსპოზიციოდ ვარგისი ნიმუშების პროპორციების განსაზღვრა.

ყველა ზემოთმოცემული ფაქტორიდან გამომდინარე, შეიძლება დავიანგარიშოთ საერთო ფართიდან საექსპოზიციო ნაწილისთვის საჭირო სივრცე. არ უნდა დაგვავინწყდეს, დამთვლიერებელთა სამოძრაოდ საჭირო სივრცის დამატებაც, როგორც ეს განხილულია მომდევნო თავში. ხშირ შემთხვევაში, პროექტით მოთხოვნილი ფართი შეიძლება აღემატებოდეს შესაძლებელ რესურსებს. ამ შემთხვევაში მგეგმავებმა უნდა გადაამოწმონ რა ზომის საექსპოზიციო სივრცე იქნება მიზანშეწონილი ექსპოზიციის პრიორიტეტების განსათავსებლად. შეიძლება საჭირო გახდეს კოლექციის ნაკლები ნაწილის ერთდროული ექსპონირება, რაც შეიძლება უპირატესობად ჩაითვალოს კოლექციის იმ ნაწილისათვის, რომელიც მგრძობიარეა შუქის მიმართ (ქსოვილები, ქალაღის ნიმუშები, სხვ.) და კონსერვაციისა და დაცვის თვალსაზრისით მუდმივი როტაცია სჭირდება. ამრიგად, საგამოფენო გალერეების დაგეგმვა ხშირად მუდმივად მიმდინარე პროცესია.

5.2.3 საგამოფენო მეთოდები და სიმჭიდროვე

დამთვლიერებლების მიერ ექსპონატების აღქმის უზრუნველსაყოფად გამოყენებული მრავალი სხვადასხვა ხერხიდან, რომელიც განხილულია მე-2 თავში, თითოეულს სჭირდება შესაბამისი საექსპოზიციო მეთოდი, რომელიც დამოკიდებულია აუცილებელი სივრცის სიდიდეზე. ეს ორგვარად შეიძლება გამოიხატოს: პირველ რიგში, როგორც გამოფენილი ნივთების განთავსების სიმჭიდროვე სხვადასხვა საექსპოზიციო მეთოდისთვის და მეორე, დამთვლიერებლების სიმჭიდროვე (რაოდენობა) სხვადასხვა საექსპოზიციო მეთოდისთვის (უნდა გავითვალისწინოთ, რომ საგნების ან ვიზიტორების განთავსების შესაძლო სიმჭიდროვის ასეთი დაანგარიშება შეიძლება გამოვიყენოთ სივრცის შესწავლის ძალიან ადრეულ ეტაპზეც და სხვა მიზნით ჩატარებული კვლევისას, მაგრამ ეს არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც გალერეის ზომის დადგენის ერთადერთი საშუალება).

გასარკვევია, სივრცის რა მოცულობა დასჭირდება საგანს, იქნება ეს ორ თუ სამგან-ზომილებიანი ექსპონატი, რომ იგი კარგად აღიქმებოდეს. ამას ხედვის დისტანცია ეწოდება და ემსახურება დამთვლიერებელთათვის კომფორტის შექმნას ექსპონატების უკეთესად აღსაქმელად, ისე, რომ ხელი არ შეუშალოთ არც ექსპონატების ახლოს ხალხმრავლობამ და არც მათგან დიდმა დაშორებამ. გარკვეულწილად, ხედვის დისტანცია სუბიექტურია და დამოკიდებულია ისტორიულ და კულტურულ სხვაობებზე, თუმცა მაინც არსებობს ნორმები და მინიმალური მოთხოვნები.

პრაქტიკულად, მოცულობით დიდი საგნები (ორთქლმავალი ან დიდი მოცულობის თანამედროვე ქანდაკება) მოითხოვენ ყველაზე მეტ საექსპოზიციო სივრცეს, რათა მათი სრუ-

ლად აღქმა მრავალი ვიზიტორის მიერ ერთდროულად იყოს შესაძლებელი. საპირისპიროდ, მცირე ნივთებს დასჭირდებათ ძალიან მცირე სივრცე. ისინი შეიძლება ერთად გამოეფინოთ საექსპოზიციო უჯრის დანაყოფში ან ვიტრინაში. მაგრამ საჭირო სივრცის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ მნახველს სხვამ არ უნდა შეუშალოს ხელი. ზოგადი გამოთვლების ჩატარება ექსპონატების განთავსების სიმჭიდროვის განსაზღვრისთვის ძალიან სასარგებლოა საექსპოზიციო სივრცის დაგეგმვისას და არა – უშუალოდ გამოფენის მოწყობის წინ.

გალერეების შიდა სივრცეზე მოთხოვნების ზოგადი გათვლა იწყება დახურული სათავისათვის (საცავი, სადაც შენახულია საგანთა უმეტესობა) საჭირო სივრცეებთან მისი შედარებით. მუზეუმის დახურულ საცავში, იატაკის საერთო სივრცის დაახლოებით 40% საჭიროა ადამიანების გადაადგილებისათვის მაშინ, როდესაც 60%-ს იკავებს თაროები, სტელაჟები ან უჯრები, სადაც ექსპონატები ბევრად უფრო მჭიდროდაა განთავსებული, ვიდრე გამოფენაზე. შესაბამისად, საექსპოზიციო დარბაზებში იატაკის სივრცის 40%-ზე გაცილებით მეტი საჭირო იქნება დამთვალიერებელთა თავისუფალი გადაადგილებისთვის (იხ. ცხრილი 5.2).

ცხრილი 5.2 გალერეებში სივრცის მოთხოვნების ზოგადი შეფასებები

დახურული საცავი	60% ეთმობა კოლექციებს	40% ცირკულაციის სივრცე
ლია საცავი	40-50% ეთმობა კოლექციებს	50-60% ცირკულაციის სივრცე
თემატური გამოფენები	25-35% ეთმობა ექსპონატებს	65-75% ცირკულაციის სივრცე და ხედვის დისტანცია
სამგანზომილებიანი ნიმუშების გამოფენები	იატაკის სივრცის 25% ან ნაკლები ეთმობა ქანდაკებებს და ინსტალიაციებს	75% ცირკულაციის სივრცე და ხედვის დისტანცია
ორგანზომილებიანი ნიმუშების გამოფენები	კედლის ფართის 65-75% ეთმობა ხელოვნების ჩამოსაკიდებელ ნიმუშებს	90%-მდე ცირკულაციის სივრცე ხელოვნების ნიმუშის წინ უსაფრხოების ზონის შესაქმნელად

ამასთან, დაანგარიშებული საგნებისთვის საჭირო ტერიტორია ან კედლის გრძივი ფართი, როგორც აღვნიშნეთ, აღქმული უნდა იყოს გალერეის არსებულ სივრცესთან მიმართებაში მას შემდეგ, რაც გათვალისწინებული იქნება ადამიანების ცირკულაცია და ხედვის დისტანცია. *საგამოფენო სიმჭიდროვე*, როგორც კომბინირებული ფაქტორების ერთობლიობა, განისაზღვრება ყველა საგამოფენო ექსპონატისათვის და მის განსათავსებლად საჭირო მინიმალური ფართის (მ²) გარდა, მოიცავს სივრცეს ადამიანების გადაადგილებისათვის და ხედვის დისტანციას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატერიალური კულტურის ძეგლების და ხელოვნების ნიმუშების უშუალოდ განთავსებისათვის საჭირო ფართი შეადგენს თემატური გამოფენის სივრცის ერთ მესამედს, მეორე მესამედი ეთმობა დამთვალიერებლების ცირკულაციას, ხოლო კიდევ ერთი მესამედი – ხედვის დისტანციას. ამრიგად, სულ 67%, რომლიდანაც ექსპონატი უშუალოდ 33%-ს იკავებს.

შემდგომი ქვეთავები შეიცავს არტიფაქტების, ნიმუშების და ხელოვნების ნაწარმოებების შესახებ მონაცემების შედარებას განთავსების სხვადასხვა სიმჭიდროვისა და ექსპოზიციის მოწყობის სხვადასხვა მეთოდებისათვის, როგორცაა: ესთეტიკური, კონტექსტუალური ან თემატური, შესწავლა/აღმოჩენა და ინტერაქტიური.

5.2.3.1 ესთეტიკური მეთოდი

ექსპოზიციის ესთეტიკური მეთოდი, რომელიც კონცენტრირებულია თითოეული ობიექტის აღქმაზე, შეიცავს ხელოვნების ნიმუშების (სურათები, გრაფიურა, ქანდაკება, კოლაჟები, ინსტალაციები და თეატრალური წარმოდგენებიც კი) ჩვეულებრივ განთავსებას. გარდა ამისა, იგი შეიძლება მოიცავდეს დეკორატიული ხელოვნების ყველა სახეობისა და არადასავლური კულტურების საინტერესო ექსპონატებს, რომლებიც თავდაპირველად არ იქმნებოდა როგორც ხელოვნების ნიმუშები, მაგრამ ამჟამად გამოფენილია ხელოვნების მუზეუმებში. ბოლოს, განსაკუთრებით ცალკე მდგომი სამგამზომილებიანი ექსპონატები – არქიტექტურული დეტალები, სტრუქტურები, ავეჯი, ავტომობილები, დანადგარები, ფიტ-ულები და ისეთი ეთნოგრაფიული ნიმუშები, როგორიცაა ტოტემის სვეტები (რომელთაც, ჩვეულებრივ, შემოვლა სჭირდება), ხშირად გამოფენილია ისე, რომ ჩვენ მას "ესთეტიკურს" ვუნოდებთ. საკრამენტოში, კალიფორნიის რკინიგზის სახელმწიფო მუზეუმმა შეძლო ესთეტიკური მეთოდით ლოკომოტივიც კი გამოეფინა.

სივრცე ჩამოსაკიდი ხელოვნების ნიმუშებისათვის (სურათები, გრაფიურა, ფოტოები, ქსოვილები, რუქები ან სხვა ორგანზომილებიანი ექსპონატები) განისაზღვრება კედლების და ტიხრების სიგრძივი ზომებით და არა – იატაკზე მათი განლაგების სიმჭიდროვით. თუმცა, იატაკის სიმჭიდროვის ცნება გამოიყენება დაკიდებული ექსპონატების მიმართაც, რადგან უნდა განისაზღვროს მათ დასათვალიერებლად საჭირო სივრცე. ყველა სხვა კატეგორიის ნიმუშების ესთეტიკური მეთოდით განთავსება, უნდა განიხილებოდეს იატაკის მოცულობის მიხედვით, რომელიც მერყეობს მცირე ზომიდან (15 ფუტი² ანუ 1.4 მ² კერძოდ, გრაფიურების, ფოტოებისა და დეკორატიული ხელოვნების პატარა ნიმუშებისთვის) საშუალო ზომამდე (50 ფუტი², ანუ 4.6 მ²), რაც უმეტესად სურათების, ქანდაკებებისთვის (100 ფუტამდე², ანუ 9.3 მ²) ან უფრო დიდი ნამუშევრებისთვისაა განკუთვნილი. თანამედროვე ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში, შეიძლება გაცილებით დიდი ზომის იყოს და საგანგებო გადანყვეტას მოითხოვდეს.

მაგალითად, პილჩუკის სკოლასა და კლივლენდის ხელოვნების მუზეუმში არსებული თანამედროვე ხელოვნების და მინის ხელოვნების უკანასკნელი ნიმუშებს რაც შეეხება, თითოეულს სჭირდება 50 ფუტი² (4.6 მ²). ამასთანავე, მსოფლიო გამოფენა-გაყიდვაზე ძალიან დიდი თანამედროვე სურათების გამოსაფენად, საჭირო გახდა 200 ფუტი² (19 მ²) თითო ნამუშევრისთვის. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად საგანგებო და მრავალგვარია ესთეტიკური მეთოდის დიაპაზონი, რომელიც ექსპონატების ტიპებისა და ზომების დიაპაზონიდან გამომდინარეობს.

5.2.3.2 კონტექსტური ანუ თემატური მეთოდი

ამ პოპულარული საექსპოზიციო მეთოდის შესაბამისად, საგნები დაჯგუფებულია ერთად ვიტრინებში, დიორამებში, ვინიეტებში ან ოთახის დეკორაციებში, ხშირად, სხვა მასალასთან ერთად, როგორიცაა გრაფიკა და ბუტაფორია. ასეთი მეთოდი ხელს უწყობს ექსპონირებული საგნების ერთმანეთთან დამაკავშირებელი თემის კონტექსტის წარმოჩენას. გარდა მატერიალური კულტურის ნიმუშების ან ეგზემპლიართა ჯგუფისა, თემატური გამოფენა შეიძლება მოიცავდეს ექსპოზიციის ისეთ ელემენტებსაც, როგორიცაა აუდიო-ვიდეო, ინტერაქტივი,

ანიმატრონიქსი ან დიდი მოცულობის გრაფიკა. ჩვეულებრივ, ეს დიდ სივრცეს მოითხოვს და ამცირებს სხვადასხვა ნიმუშებისა და უშუალოდ ექსპონატებისთვის განკუთვნილ სივრცეს (და სიმჭიდროვეს).

ძირითადად, თემატურ ექსპოზიციასში არტეფაქტს შეიძლება დასჭირდეს საშუალოდ 10-15 ფუტი² (0.9-1.4 მ²), თუმცა ოთახის მოწყობა, რომელშიც მჭიდროდაა განლაგებული არტეფაქტები, შეიძლება მოითხოვდეს მხოლოდ 5 ფუტი² (0.5 მ²) ფართს თითოეულზე; ამასთანავე, დიორამები, სადაც დიდი ძუძუმწოვრები ან დინოზავრებია გამოფენილი, ძალიან დიდ სივრცეს მოითხოვს.

5.2.3.3 შესწავლა-აღმოჩენის მეთოდი

შესწავლა-აღმოჩენის მეთოდი მოიცავს: ბუნების ისტორიისა და არქეოლოგიური ობიექტების ტრადიციულ სისტემურ ექსპოზიციას, რომელშიც ექსპონატები სამეცნიერო კლასიფიკაციის სქემების მიხედვითაა განლაგებული; აგრეთვე ძველმოდურ ე.წ. "საკვირველებათა კაბინეტს", სადაც კედლის და იატაკის მთლიანი ზედაპირი გამოყენებულია საექსპოზიციოდ; ეს მეთოდი ასევე იყენებს ღია საცავის ბოლოდროინდელ სტრატეგიასაც.

ღია საცავი ანუ სასწავლო გალერეა, მოითხოვს მცირე, 1 ფუტი² (0.1 მ²) სივრცეს თითო საგანზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ექსპონატები მცირეა და მჭიდროდაა განლაგებული შემინულ სექციებში. ასეთი ექსპონატებისთვის ძირითადად საჭიროა 2 ფუტი² (0.2მ²) თითო საგანზე, რაც მათი სრულყოფილად აღქმისა და თითოეული ღია საცავში მნახველის გადადგილებისთვის საკმარისი სივრცის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

5.2.3.4 ინტერაქტიური მეთოდი

ინტერაქტიური ექსპოზიცია მოიცავს შემდეგს: უშუალოდ მიმდინარე დემონსტრაციები, სამეცნიერო ცენტრები, აღმოჩენების დარბაზები, მრავალი საბავშვო საშუალებით გამოფენა, მულტიმედია პროგრამები, ვიდეო ეკრანები და კომპიუტერული ჯიხურები. ხშირ შემთხვევაში, საჭიროა, რომ მრავალი ექსპონატთან აქტიურად "ურთიერთობდეს" ერთზე მეტი ადამიანი. საჭირო და მნიშვნელოვანია მომხმარებელთა რაოდენობისა და ობიექტთან მათი ვიზუალური თუ ფიზიკური კონტაქტის ტიპების განსაზღვრა. აქედან გამომდინარე დგინდება სივრცის სავარაუდო მოთხოვნილება, რომელიც შეიძლება იყოს, ვთქვათ, თითო კომპიუტერული ჯიხურისათვის მინიმუმ 50 ფუტი² ანუ 4.6 მ² და მაქსიმუმ 100 ფუტი² (9.3 მ²) ან მეტი, უფრო ფართო საექსპოზიციო კონსტრუქციებისთვის. სივრცის ორგანიზება ხშირად აკვარებს ხელმისაწვდომობის პრობლემას, ვთქვათ, "ქსელის მონიტორების", მაღლა განთავსებული ეკრანების მესვეობით, რადგან ინტერაქტივში უშუალოდ ჩართული ვიზიტორის თანმხლებს, ან თავისი რიგის მომლოდინე სხვა ვიზიტორს შეუძლია თვალი ადევნოს მის "ურთიერთქმედებას" ინტერაქტიურ პროგრამასთან.

5.2.3.5 ექსპოზიციის კომბინირებული მეთოდები

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მრავალი გამოფენა სცილდება ცალკეული მეთოდის საზღვრებს და უთავსებს თითოეულის ორ-სამ თვისებას. ცხრილი 5.3 წარმოგვიდ-

გენს ვანკუვერის ანთროპოლოგიური მუზეუმის არსებულ მონაცემებს, რომელიც ერთ დანესებულებაში გამოყენებული საექსპოზიციო მეთოდებისა და სიმჭიდროვის მრავალფეროვნებას გვიჩვენებს.

ანთროპოლოგიის მუზეუმის ღია საცავი

ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტი, ვანკუვერი, კანადა

ჰეზერ მაქსიმეა

ანთროპოლოგიის მუზეუმი (ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტი, ვანკუვერი, კანადა) სასწავლო მუზეუმი, რომლის საერთო ფართობია 70,000 ფუტი² (6,500 მ²), საიდანაც დაახლოებით 50,000 ფუტი² (4,650მ²) საზოგადოებრივი ფართია, ანუ განკუთვნილია ვიზიტორებისთვის. იგი აგრეთვე წარმოადგენს წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სანახაობით დანესებულებას. მუზეუმი განსაკუთრებით განთქმულია თავისი ბუნებრივი გარემოთი, კოლექციებით, შენობით და კულტურის მატერიალური ძეგლების ინოვაციური ექსპონირებით. ის ფაქტი, რომ ნელინადში 170,000-ზე მეტი ადამიანი ათვალიერებს მუზეუმს, მისი მუდმივი პოპულარობის მაჩვენებელია. 1989 წელს ანთროპოლოგიის მუზეუმი ტურისტთა მოზიდვის მხრივ წლის საუკეთესო დანესებულებად აღიარეს და იგი დღესაც რჩება ძალზე პოპულარულ ადგილად სხვა კონტინენტიდან ჩამოსული დამთვალიერებლებისთვის.

არტურ ერიქსონის შენობა (რომელმაც ჯილდო მოიპოვა), განთავსებულია მთის ტყიან ფერდობზე და ზღვისკენაა ორიენტირებული ისევე, როგორც ჩრდილო-დასავლეთის ტიპური სოფელი. აქ ბეტონის და მინის მასალა შერწყმულია აბორიგენულ ძეგურ კონსტრუქციასთან. მყუდრო შესასვლელიდან პანდუსს მიყვავართ ინტერიერების დიდი სივრცეებისკენ, სინათლით სავსე დიდ მინის დარბაზამდე. ეს სივრცე ორგანიზებულია ნატურალური ზომის ტოტემის სვეტების, მონუმენტური, ხისგან ნაკვეთი სახლის ბოძებისა და საზეიმო ჭურჭლის ღია გამოფენის ირგვლივ. დარბაზის 45 ფუტიანი (14 მ) მინის კედლებიდან იშლება შთამბეჭდავი ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთვის დამახასიათებელ გრძელ სახლებსა და ტოტემის სვეტებზე, რომელიც სანაპიროს პეიზაჟს და ოკეანეს შორ ხედს ერწყმის. შენობის ყოველი ნახნაგი ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს კულტურების ღირსებისა და სტუმართმომყვარეობის გამომხატველია, რომლითაც ამაყად ხვდებიან ვიზიტორს. სწორედ ამიტომ ეს ადგილი და შენობა ფუნქციონირებს ერთდროულად როგორც არტეფაქტი, ექსპონატი და როგორც კოლექციებისა და ცოდნის სათავსო, როგორც სათქმელი და თქმის საშუალება.

ძირითადი გალერეები განლაგებულია დაქანებული პანდუსიდან მარჯვნივ, ფართო სამოძრაო ბილიკის ორივე მხარეს, რომელიც თავის მხრივ, ადგილის მოხაზულობას იმეორებს. კედლები, ხალიჩებიანი იატაკები და ჭერი ბაცი, ნეიტრალური მონაცრისფერო-ხორცისფერია, რაც ყველა გალერეაში საუკეთესო ფონს ქმნის ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებისათვის. ბეტონის დაუფარავი ძეგლები გამოყენებულია განათებისა და სხვა ჭერის მოწყობილობებისათვის, ლითონის ვინრო ღიობები იატაკში – გასუფთავებული ჰაერის ცირკულაციისთვის. მათი ერთობლიობა აგრეთვე ქმნის ერთგვაროვან ფონს და აძლიერებს ექსპოზიციისა და მთელი საპრეზენტაციო სივრცის ნეიტრალობას. სამი შიდა სივრცე – როტონდა, აუდიტორია და დიდი დარბაზის სცენა, ჰაიდას სახლების გარეთა ნაწილთან ერთად,

გამოიყენება პერფორმანსებისა და ექსპოზიციისთვის. ღია საცავის გალერეა, რომელიც ერთი საფეხურით დაბლაა მოთავსებული, მასპინძლობს ექსპედიციების შედეგად მოპოვებულ კოლექციებს, რომლებიც კედლის კარადებსა და სპეციალურად დამზადებულ უჯრებშია (ზოგ მათგანს ზედა ნაწილი მინისაა, ზოგი გამოიყენება მონაცემთა წიგნების, კატალოგების საკითხავ სტენდებად) მოთავსებული.

დიდი დარბაზის და ჩრდილოეთის ფასადის პარალელურად, გაშლილია მყუდრო, მცირედ განათებული გალერეა, რომელიც თავდაპირველად მასპინძლობდა ოქრომჭედელთა ხელოსნობის ნიმუშებს, ოქროს, ვერცხლის, სპილოს ძვალში და არგილიტში ნაკვეთ ნივთებს, იშვიათი ფორმის კალათებს და გადასაფარებლებს, დამზადებულს ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს ძველი და თანამედროვე ოსტატების მიერ. 1990 წელს ძველ შენობას მიაშენეს ახალი, სადაც განთავსდა კოერნერის კერამიკის გალერეა (4,200 ფუტი² ანუ 390 მ²) და საინფორმაციო რესურსების ბიბლიოთეკა. შხვადასხვა ადგილას განთავსებული სამი მცირე გალერეა (თითოეული 900-2,800 ფუტი² ანუ 84-260 მ²) განკუთვნილია დროებითი გამოფენებისთვის. მიუხედავად ამისა, ანთროპოლოგიის მუზეუმს ძალიან სჭირდება დროებითი გამოფენისთვის განკუთვნილი დიდი ზომის გალერეაც.

1976 წლის შემდეგ, რაც ანთროპოლოგიის მუზეუმი გაიხსნა, მრავალი საკითხი გახდა სადაო; მაგალითად, ღია საცავის იდეა, რომელიც, მიუხედავად თავდაპირველი კრიტიკისა, მიღებულ მეთოდად იქცა მრავალ მუზეუმში. ანთროპოლოგიის მუზეუმის ღია საცავის კონცეფცია 1970 წლების შუახანებში გაჩნდა, როცა თანამშრომლებმა დააპირეს ახალი ტიპის მუზეუმის შექმნა. მარტივად რომ ვთქვათ, "ღია საცავი" ნიშნავს მუზეუმის ყველა 14,000 ეთნოგრაფიული ექსპონატისა და არტეფაქტის წარმოდგენას საზოგადოებისათვის ინტერპრეტაციის გარეშე (გარდა არქეოლოგიური და ქსოვილთა კოლექციისა). ამასთან, მუზეუმის ექსპონატთა მონაცემების სრული კატალოგი, რომელიც მონაცემთა კომპიუტერული ბაზიდან არის ამოღებული, პლასტმასისყდიანი ბაინდერების სახით ხელმისაწვდომია ყველასთვის. ღია საცავი ემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებს, მკვლევარებს, მკვიდრ მოსახლეობას და მუზეუმის ჩვეულებრივი ვიზიტორებს, ეხმარება მათ მატერიალური კულტურის ძეგლების (როგორც ჩვეულებრივი ნივთების, ისე შედეგების) გაცნობაში.

დაახლოებით 14,000 ფუტი² (1300 მ²) სივრცე ეთმობა ამ, ღია საცავის, საექსპოზიციო ფორმატს, რომლის საექსპოზიციო სიმჭიდროვე არის ერთი არტეფაქტი ერთ ფუტზე² (10.8 ერთ მ²). არტეფაქტების საექსპოზიციო კარადებს და უჯრებს უჭირავთ 4,000 ფუტი² (370 მ²), ხოლო 10,000 ფუტი² (930 მ²) კი ვიზიტორთა სამოძრაოდ არის საჭირო. მოცულობის მხრივ, არტეფაქტებს 14,000 ფუტი²-იანი (1,300 მ²) სივრციდან გალერეის 38,058 ფუტი³ (1,077 მ³) ეთმობა. ეს მნიშვნელოვნად განსხვავდება ესთეტიკური მეთოდით მონყობილი გალერეისაგან, სადაც 25,000 ფუტი² (2.320 მ²) ფართზე არტეფაქტები წარმოდგენილია სიმჭიდროვით, რომელიც გვხვდება ხელოვნების მუზეუმთა უმეტესობაში (10-დან 50 ფუტი² ანუ 0,9-დან 4.6 მ²-მდე) თითო ნივთზე; უფრო დიდი სივრცე ეთმობა ტოტემის სვეტებსა და მონუმენტურ რელიეფებს.

ღია საცავი არ არის განცალკევებული სათავსო, არამედ კომბინირებულია სხვადასხვა საექსპოზიციო მეთოდებთან, რაც საზოგადოების ისტორიის მეტი მხარის წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. ღია საცავთან ერთად, მუზეუმი გეთავაზობს მუდმივ ექსპოზიციებს, ღონისძიებებს, როცა ვიზიტორი თვითონ აკეთებს ნივთს და თეატრალურ წარმოდგენებს, მოძრავ გამოფენებსა და სანახაობებს (მუზეუმს ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთის აბორიგენტთა

კვეთის ხელოვნების პროგრამა). მრავალფეროვანი საექსპოზიციო მეთოდები აგრეთვე ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მუზეუმოლოგიაში გამოცდილების მიღებას.

ღია საცავი მუდმივი გამოცდაა მუზეუმისთვის. პრობლემატურია მზარდი კოლექციის (ღია საცავის არტიფაქტების რიცხვი 7,000-დან 14,000-მდე გაიზარდა) გამოფენა, ვიზიტორთა ინფორმირება უფრო გასაგები მეთოდით და კონსერვაციის პრობლემების წარმოქმნისთანავე მოგვარება. ვიზიტორებისგან ღია საცავი მოითხოვს აქტიურ ჩართვას ცოდნის შექმნის ამ ახალ ფორმაში და სწორად დანახვის პროცესში. ანთროპოლოგიის მუზეუმის თანამშრომლებს ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის შეისწავლეს და შეაფასეს ვითარება, ჩაატარეს ექსპერიმენტები საორიენტაციო ტურებსა და მონაცემების ტერმინალებზე. ფიზიკური ინფრასტრუქტურის მხრივ, ისინი ჩართულნი არიან ახალი საექსპოზიციო კარაღების, მიკროკლიმატის კონტროლისა და განათების სისტემების, წარწერების და გზის ნიშნულების მაკეტების, პროტოტიპების მომზადებაში. თანამშრომლთა მუშაობის მოქნილი სტილი და თავდადება, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა წარმატებისთვის. კვლევისა და კონსულტაციების გზით მუზეუმის ფარგლებში უნდა მოგვარდეს ყველა რთული საკითხი.

მუზეუმმა ისწავლა ყოველ გამოფენასა და თვით საექსპოზიციო სივრცეში სპეციალური პროგრამების „ჩაქსოვა“. ჩრდილო-დასავლეთის მკვიდრებთან და ვანკუვერის მრავალ ეთნიკურ ჯგუფებთან ახლო თანამშრომლობით, გამოფენების პროგრამების შემადგენელი ნაწილი გახდა საცეკვაო და თეატრალური წარმოდგენები. ინტერაქტიური ღონისძიებების ჩასატარებლად მუდმივ საექსპოზიციო სივრცეს გამოეყო შესაბამისი ფართი. ჩვენებები, ფორუმები, დისკუსიები და საინფორმაციო პრეზენტაციები, ნაკლებად ოფიციალურ და არატრადიციულ გარემოში ტარდება. არც ისე დიდი ხნის წინ, მუზეუმის დიდ დარბაზში ჩატარდა ადგილობრივი ხალხების ხეზე კვეთის ახალგაზრდა ოსტატებისთვის შეკვეთილი ნამუშევრების გამოფენა „რაენის რეპრიზა“. 1999 წელს, ანთროპოლოგიის მუზეუმის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გადაკეთდა შედეგების გალერეა, რათა განახლებად ფორმატში უკეთ და სრულად ასახულიყო ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობები, თანამშრომლობა და არტისტული სიახლეები. სხვადასხვა საგალერეო სივრცის გამოყენება ადვილად ეხმარება ახალ იდეებს, ცვალებადი ფორმატი კი სხვადასხვაგვარი აუდიტორიის ჩართვის საშუალებას იძლევა.

ანთროპოლოგიის მუზეუმის მისიაა „კულტურათა ურთიერთობის საკითხების გაგების და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა“ და „მუზეუმოლოგიური, ანთროპოლოგიური, ესთეტიკური, საგანმანათლებლო, პოლიტიკური საკითხების წამოჭრა და მათზე ინოვაციური პასუხების გაცემა“. ამ მისიის ტანმიმდევრული განხორციელება ზოგჯერ გაუგებრობას იწვევს. მაგალითად, ვიზიტორებმა გააკრიტიკეს არატრადიციული საექსპოზიციო მეთოდები (მაგ. გალერეა ტრადიციულ ექსპოზიციასთან ერთად მოიცავდა სტუდენტთა მიერ განხორციელებულ რადიკალურ ანალიზს ან გალერეაში მიმდინარე ტოტემის სვეტის კვეთის პროექტი, რომელიც მუზეუმის სამუშაო საათების დასრულების შემდეგაც მიმდინარეობს). მიუხედავად ამისა, ასეთი სახის გამოფენა უფრო იზიდავს ვიზიტორებს, რადგან იციან, რომ როგორც კი შეაღებენ ანთროპოლოგიის მუზეუმის ქსანის ნაკვეთ კარს, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესაცნობად მათ უფრო დიდი სიღრმეები ელოდებათ.

ცხრილი 5.3. საექსპოზიციო მეთოდები და ექსპონატთა განლაგების სიმჭიდროვე ვანკუვერის ანთროპოლოგიის მუზეუმში

	ვიზიტორის მიერ ალქმის მეთოდი	ექსპონირების მეთოდი	ფართი მ2	ექსპონატების რაოდენობა	მ2 თითო ექსპონატზე
დიდი დარბაზი	დათვალიერება	ესთეტიკური	743	40-50	14-19
შედეგების გალერეა	დათვალიერება/ ალქმა	ესთეტიკური/ თემატური	74	100	0.75
ღია საცავი	ალქმა/ალმოჩნა	კვლევითი	1,300	14,000	0.1
კერამიკა	ალქმა/ დათვალიერება/ ალმოჩნა	ესთეტიკური/ თემატური/ კვლევითი	370	600	0.6

ანთროპოლოგიის მუზეუმის დიდი დარბაზი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან აქ წარმოდგენილია საკმაოდ დიდი ზომის ექსპონატები (ტოტემის სვეტები, სახლების ბოძები და ფასადები) და სტილისტურად ესთეტიკური მეთოდის განსაკუთრებული საექსპოზიციო მოთხოვნები გააჩნია. შესაბამისად, ამგვარი არტეფაქტების განლაგების სიმჭიდროვე საკმაოდ დაბალია და არქიტექტურული გადანწყვეტა ქმნის საკმაოდ დიდ სივრცეს, რათა შესაძლებელი გახდეს ნიმუშის დათვალიერება და მასთან მიახლოება. ამავე დროს, მუზეუმის სურვილი და მიზანია ამგვარი კლანური, ოჯახური და მათი სტატუსის განმსაზღვრელი ეთნოგრაფიული ნიმუშები წარმოადგინოს უფრო დიდაქტიურ კონტექსტში, ვიდრე როგორც ხელოვნების ნიმუშები. ამის მსგავსად, შედეგთა გალერეაში გამოფენილი ძვირფასი მასალით შესრულებული ექსპონატები, რომელთაც დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ხალხებისთვის, წარმოდგენილია ხელოვნების კონტექსტში, რაც მათი ესთეტიკური მეთოდით პრეზენტაციის მეშვეობით ხერხდება. ამ გალერეის სამუშაო პრინციპი იმის დასტურიცაა, რომ ესთეტიკური პრეზენტაციის მეთოდი შესაძლოა ამავე დროს ხასიათდებოდეს ექსპონატთა განლაგების შედარებით მაღალი სიმჭიდროვით, რაც გამოსაფენი მასალის მცირე მოცულობითაა განპირობებული.

მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად ანთროპოლოგიის მუზეუმში, მუდმივი თემატური თუ კონტექსტუალური გამოფენისთვის გამოიზნული სივრცე არ არსებობდა, თუმცა დროებითი გამოფენების სივრცე რეგულარულად გამოიყენებოდა ამგვარი გამოფენებისთვის; შედეგთა გალერეაში გამოყენებულია განავსების ისეთი სიმჭიდროვე, რომელიც აჭარბებს ზოგიერთი კონტექსტუალური გამოფენისას. კერამიკის ახალი გალერეა თემატურად მოიცავს კერამიკული ტექნოლოგიების სასწავლო ექსპოზიციას, მიუხედავად ამისა, ის ღრმა ესთეტიკურ შეგრძნებას ბადებს. 1976 წ. ღია საცავის თავდაპირველი სიმჭიდროვე თითოეულ არტეფაქტზე 0.2 მ² შეადგენდა. მას შემდეგ, რაც კოლექციითაა რაოდენობა გაორმაგდა, ღია საცავის სისტემა თითოეულ არტეფაქტზე 0.1 მ² შეადგენს.

5.2.4. მნახველისთვის საჭირო სივრცის გამოთვლა

საგამოფენო ფართის გამოთვლისას, იანგარიშება ერთი ვიზიტორის მიერ დაკავებული მინიმუმალური ან ოპტიმალური სივრცე, რომელიც საჭიროა თითოეული ნიმუშის ან ნიმუშთა ერთობლიობის თავისუფლად დათვალიერებისა და ალქმისთვის. ეს მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც არსებობს მონაცემები დღის მანძილზე და პიკის საათებში

დამთვალეირებელთა რაოდენობის შესახებ და როდესაც დამთვალეირებელთა რაოდენობა გამოთვლილია მარკეტინგული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა რაოდენობის ფართი იქნება საჭირო დამთვალეირებლებისთვის. კერძოდ, როდესაც დაგეგმილია პოპულარული გამოფენების მოწყობა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოთვლას, რა რაოდენობის მნახველის დატევა შეუძლია გალერეას ერთდროულად და რამდენ ხანს დაჰყოფს ვიზიტორთა ერთი ჯგუფი გალერეაში. მნახველთა რაოდენობა, რომელიც შესაძლოა ამგვარ ვითარებაში მისაღები იყოს ვიზიტორისთვის, დიდად განსხვავდება იმ ვითარებისგან, რომელიც მისაღები იქნება მნახველებისთვის ნორმალურ პირობებში, როდესაც ისინი მუზეუმის დაუბრკოლებელი დათვალეირებით სიამოვნების მიიღებას მოელოან.

ხალხით გადაჭედილი დარბაზების ამტანუნარიანობა განსხვავებულ კულტურებში სხვადასხვაა. გადაჭედულ დარბაზებში, სადაც მკაცრად არის განერილი დამთვალეირებელთა მიღების საათები, ან იქ, სადაც ვიზიტორები მუდმივად მოძრაობენ, მან შესაძლოა აიტანოს 1.8 მ² სივრცე თითოეულ დამთვალეირებელზე (მათ შორისაა გამოფენილ ნიმუშთა მიერ დაკავებული ფართიც), თუმცა დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთში. ასეთ შემთხვევაში სიმჭიდროვემ შესაძლოა 0.9 მ² შეადგინოს ერთ ადამიანზე, მაგრამ ყოველივე ეს შედეგად გვაძლევს ძალიან მცირე საექსპოზიციო ხედვის სივრცეს.

ყველაზე მეტი სიმჭიდროვე სამუზეუმო ექსპოზიციის დარბაზებში პიკის საათებშია (აღმოჩენითი და კონტექსტუალური ხასიათის საგამოფენო დარბაზებში) და შეადგენს 2.8-4.6 მ² ერთ ადამიანზე, ხოლო უფრო ფართომასშტაბიანი კონტექსტუალური და ესთეტიკური ექსპოზიციებისას, ერთ ვიზიტორზე დაახლოებით 9.3-19 მ² გათვლილი. შესაბამისად, 186 მ² ფართის ხელოვნების გალერეა, შესაძლოა 20 ვიზიტორზე იყოს გათვლილი (9.3 მ² ერთ დამთვალეირებელზე), მაგრამ ამასთან, შესაძლებელია, მან 40-მდე სკოლის მოწაფე და მათი მასწავლებლებიც დაიტიოს ერთ ჯერზე (4.6 მ² ერთ დამთვალეირებელზე). მოსალოდნელია, გამოფენის გახსნის საღამოს სიმჭიდროვე 100 დამთვალეირებელამდეც გაიზარდოს.

დამთვალეირებლებით გადაჭედულმა დარბაზმა შესაძლოა საგამოფენო ექპონატებს გარკვეული ზიანიც მიაყენოს და ხშირ შემთხვევაში, ვიზიტორისთვისაც შეამციროს მუზეუმის დათვალეირების ფასეულობა. გარდა ამისა, შესაძლოა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ნორმებიც ირღვეოდეს. შესაბამისად, შენობის დაგეგმარებისას და მიმდინარე გამოფენების მოწყობისას, გალერეების დიზაინერებმა და არქიტექტორებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მაქსიმალურად დასაშვები ფართი თითოეული გალერეისთვის.

5.3 კულისებში: დამხმარე საქმიანობა და სათავსოები

პეზერ მაქსიმეა

გამოფენა მხოლოდ ერთი ლამაზი მხარეა, რასაც დამთვალეირებელი ხედავს, კერძოდ – ნატიფად დაპროექტებულ და დალაგებულ საგამოფენო დარბაზებს, სწორედ ისე, როგორც ეს თეატრში ხდება. თუმცა, თეატრის მსგავსად, სპექტაკლი ვერ გაიმართება, თუ სცენის მიღმა სამუშაოები არ შესრულდა. შესაბამისად, მუზეუმშიც მნიშვნელოვანი საქმე ვერ გაკეთდება, თუ მას "კულისებში" მუზეუმის თანამშრომლებმა უდიდესი ძალისხმევა არ მოახმარეს.

კულისებში სხვადასხვა ფუნქციების შესრულება და იმის გარკვევა, თუ სად უნდა განხ-

ორციელდეს ეს საქმიანობა, უმცირეს მუზეუმშიც კი აუცილებელია. მაშინაც კი, როცა არ არის დამატებითი სათავსოს გამოყოფის საშუალება, არსებული სივრცის ოპტიმალური გამოყენებით მრავალი რამ შეიძლება გაკეთდეს.

დამხმარე სივრცეებში, რომლებიც მუზეუმებს სჭირდება, ხშირად მუზეუმის სხვა ფუნქციებიც სრულდება. ამის მიზეზია ის, რომ ექსპოზიციის მიღება, მომზადება და განთავსება ხდება მხოლოდ პერიოდულად, თუმცა დაკავშირებულია ხოლმე მოკლევადიან, ინტენსიურ, აგრალურ მუშაობასთან, რომელსაც მოსდევს მშვიდი პერიოდი, როცა გამოფენა უკვე მონყობილი და მოქმედა. ასეთ შემთხვევაში სივრცის მნიშვნელოვანი სეგმენტების გამოყენებლად დატოვება დაუშვებელია. შესაბამისად, სხვადასხვა დამხმარე საქმიანობის სათანადო ფართზე გაშლა ეკონომიკურადაც მომგებიანი გახდება. სივრცის საზიარო გამოყენების ყველაზე ხშირი შემთხვევა საგამოფენო და საკოლექციო/კურატორული საქმიანობისთვის ხდება, ვინაიდან ამ ფუნქციებს, როგორც წესი, ერთი და იგივე თანამშრომლები ასრულებენ. მას შემდეგ, რაც საგამოფენო მზადების ციებ-ცხელება იკლებს, მუზეუმის ეს თანამშრომლები უბრუნდებიან ახალი კოლექციების მიღებას, განფუთვასა და დამუშავებას; ისინი იყენებენ სატვირთო პლატფორმებსა და მისაღებ სათავსოებს, საიზოლაციო ოთახებსა და ფოტოსტუდიას. სადიზაინო სტუდიები და გამოფენის მოსამზადებელი სახელოსნოები შესაძლოა გარდაიქმნას გრაფიკული და საგამომცემლო, მათ შორის – საგანმანათლებლო მასალების, მოსამზადებელ სტუდიებად, ადგილად, სადაც მზადდება დამხმარე მასალა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ან კიდევ ადგილად, სადაც შემდეგი გამოფენის დაგეგმვის პროცესში, საცაევებში მყოფ ექსპონატებს გაშლიან და ახალ ჩარჩოს უკეთებენ.

5.3.1 გამოფენის დაგეგმვა და კოორდინირება

ყველა მუზეუმს, რომელსაც აქვს საგამოფენო პროგრამა, სჭირდება საგამოფენო საქმიანობის ფართო სპექტრის წინასწარი დაგეგმვა და კოორდინირება. ეს ძირითადად, საოფისე საქმიანობაა, რომელსაც სჭირდება შეხვედრებისა და საკონფერენციო ოთახები, სათანადო სარეპროდუქციო, კომპიუტერული აღჭურვილობითა და უნაკლო საკომუნიკაციო სისტემებით. გამოფენების დაგეგმვა და კოორდინირება ძირითადად ევალება მუშაკებს, რომელთა სამუშაო ოთახები უმეტესად განთავსებულია მუზეუმის შენობის ადმინისტრაციულ ნაწილში.

5.3.2 სათავსოები დიზაინისა და სახელოსნოებისათვის

ნებისმიერი მუზეუმისთვის მნიშვნელოვანი საკითხია იმის გადანყვეტა, ახალი მუდმივი ან დროებითი გამოფენისთვის საჭირო ინვენტარს (საგამოფენო დგამებს, ავეჯს, ა.შ.) დაამზადებს საკუთარი ძალებით, თუ ნაწილობრივ ან მთლიანად დაუკვეთავს რომელიმე სპეციალიზებულ ფირმას. ეს გადანყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს როგორც სივრცისა და მუშახელის მოთხოვნილებაზე, ასევე შესაბამისად – მუზეუმის ძირითად თუ მიმდინარე ხარჯებზე.

გამოფენის მოსამზადებლად საჭიროა არსებობდეს ორი ძირითადი ტიპის სახელოსნო:

- *ჭუჭყიანი სახელოსნოები*, სადაც სრულდება სადურგლო, სამღებრო და სხვა სახის

შავი სამუშაოები, რამაც მტვერისა და საღებავში არსებული მავნე ნივთიერებების გამო, შესაძლოა ზიანი მიაყენოს სამუზეუმო ექსპონატებს. ამგვარ სახელოსნოებში ძირითადად დგას ელექტრომონოცილობები და გამოყოფილია სათანადო ადგილები სამღებრო სამუშაოებისათვის; ზედა ნაწილში თაროები მასალის შესანახად გამოიყენება ხოლმე. მუზეუმი აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი სადურგლო ხელსაწყოებით, რომლებიც მას საშუალებას მისცემს შეასრულოს როგორც მცირე, ასევე დიდი მასშტაბის სადურგლო სამუშაოები (ყუთის, ჩარჩოს, სადგამის გადაკეთება და დამზადება). ამავე სახელოსნოებში შესაძლოა შესრულდეს გრაფიკული სამუშაოებიც. ნებისმიერ შემთხვევაში, კატეგორიულად აკრძალულია ამგვარ სახელოსნოებში ხელოვნების ნიმუშების, არტიფაქტებისა თუ სხვა ექსპონატების შეტანა.

• **სუფთა სახელოსნოები** ისეთი სივრცეებია, სადაც ხდება სურათების ჩარჩოებში ჩასმა ან არტიფაქტების და სხვადასხვა ნიმუშების სათანადო სადგამებზე დამონტაჟება. თუ მუზეუმს არ აქვს სპეციალური საკონსერვაციო ლაბორატორია, შესაძლოა აქვე ჩატარდეს ხელოვნების ნიმუშების წმენდა-გასუფთავების რუტინული სამუშაო და სამუშაოები ქალაქში (პასპარტუს გაკეთება, და სხვ.). ამგვარი სახელოსნოები მუზეუმში განთავსებულ უნდა იქნას მნახველებისთვის დახურულ, საკოლექციო ზონებში, სადაც უნდა იყოს იგივე შენახვის რეჟიმი (გარემოს და ტემპერატურის) და მისი პირობების კონტროლი, როგორც ეს გალერეებში და კოლექციის საცავებშია. განათება აგრეთვე უნდა იყოს მიახლოებული საგამოფენო დარბაზებთან, რათა პრეპარატორებს და კონსერვატორებს საშუალება ჰქონდეთ დაინახონ თავისი დასულელებული ნამუშევარი ისე, როგორც ის გამოჩნდება გამოფენაზე.

დიდ მუზეუმებს შესაძლოა გამოფენების მოსამზადებელი დიდი, სპეციალიზებული სივრცეები ჰქონდეთ. 5.4. ცხრილში მოცემულია დამხმარე სათავსოების ნუსხა, რომელიც აქვს დიდ მუზეუმს, სადაც გამოფენისთვის მოსამზადებელი ყველა სამუშაო საკუთარი ძალებით სრულდება.

ამ სივრცეების მიმდებარე ფართების ურთიერთგანლაგების დაგეგმვისას, გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

ცხრილი 5.4 დიდ მუზეუმში გამოფენის მომზადებისას სივრცის გამოყენების პრაქტიკა

სივრცის დასახელება	მ2
მოსამზადებელი/სადიზაინო ოთახი	37
სადიზაინო სტუდია/გრაფიკა	56
ოთახი გრაფიკული სამუშაოებისთვის	37
ჭუჭყიანი სახელოსნო (სადურგლო, ლითონზე მუშაობა)	186
სუფთა სახელოსნო (ჩარჩოებში, პასპარტუებში ჩასმა)	37
პასპარტუს დასამზადებელი ოთახი (ორგანული მინა)	56
საინსტალაციო ოთახი (ტექსტილი და ქალაქი)	56
ოთახი სამღებრო სამუშაოებისთვის	74
ხელსაწყოების ოთახი	9.3
ჭუჭყიანი და სუფთა მასალის სანყოფი	19
გასანათებელი მონოცილობების სანყოფი	46
ფოტოსტუდია	149
საგამოფენო ავეჯის სანყოფი	186

- საუკეთესო პირობებში გამოფენის დიზაინისა და საპრეპარაციო სათავსოები ერთმანეთთან ახლოს, შენობის ერთ სართულზე უნდა იყოს. საჭიროა აგრეთვე სხვადასხვა მასალის მოსახერხებელ მიწოდებას, მიტანას მომარაგებისთვის განკუთვნილი შესასვლელიდან და სატიერთო ლიფტებით. აქვე უნდა იყოს კონტეინერები ნარჩენებისთვის

- კოლექციებისთვის განკუთვნილი სატიერთო ლიფტებიდან ყველა საგამოფენო დარბაზთან მისვლა იოლად უნდა იყოს შესაძლებელი

- ყველა სართულზე, სადაც არის გალერეა, მის სიახლოვეს უნდა არსებობდეს სათანადო სამონტაჟო ფართი;

- გამოუყენებელი საგამოფენო ავეჯის, სადგამებისათვის საჭიროა საწყობი, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია სატიერთო ლიფტებიდან

- ხელსაწყობის და დანადგარების შესანახად საჭიროა დაცული საწყობები, სახელოსნოებთან და მათ სათავსოებთან შეზღუდული მისასვლელით

მართალია, გამოფენის მოსამზადებელი ძირითადი სამუშაოები შესაძლებელია გარეშე ფირმის მეშვეობით შესრულდეს, მაგრამ გამოფენის ტექნიკური მომსახურება თანამშრომლების ფუნქციაა. შესაბამისად, ყველა მუზეუმს მინიმალური ფართი მაინც სჭირდება გამოფენის მიმდინარე მომსახურებისათვის, ისევე, როგორც კოლექციების შენახვის შიდა სამუშაოებისთვის, როგორცაა ჩარჩოში ჩასმა, პასპარტუს დამზადება. ამისათვის მინიმალური ფართია საჭირო როგორც ჭუჭყიანი, ასევე სუფთა სახელოსნოებისთვის და საწყობი საგამოფენო განათების, მასალების, აღჭურვილობის, გადასაადგილებელი მონობილოების, დასასუფთავებელი ურიკების, კიბეების, ხარისხების შესანახად.

5.3.3 ექსპონატების დროებით სარგებლობაში მიღება და მოძრავი გამოფენები

მუზეუმის უნარი, შეასრულოს მისი საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება ნაწილობრივ გამოიხატება იმ საგანძურის მიღებისა და დაცვის უზრუნველყოფაში. ეს ეხება არა მხოლოდ მუდმივ კოლექციას, არამედ დროებით სარგებლობაში მიღებულ ექსპონატებსა და მოძრავ გამოფენებსაც. თავისი ექსპონატების დროებით სარგებლობაში გადაცემამდე, მეპატრონე დეტალურად იკვლევს იმ სათავსოებსა და პირობებს, რომელშიც ექსპონატები აღმოჩნდება მასპინძელ მუზეუმში. აქ იგულისხმება ყველა პროცედურა და სათავსო: შენობაში შესატანი შესასვლელი, ადგილი, სადაც ხდება განფუთვა, ფოტოგადაღება, შენახვა, გამოსაფენად მომზადება, საგამოფენო დარბაზში გადატანა და ექსპონირება. მუზეუმის თანამშრომელთა გულითადი ზრუნვა ფუჭი აღმოჩნდება, თუ ექსპონატთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათანადო გარემოს კონტროლი, პირობები და საშუალებები არ არსებობს.

საგამოფენო ექსპონატების მისაღებად და მათ მოსამზადებლად საჭიროა არსებობდეს ოთხი განცალკევებული, მაგრამ თანმიმდევრობით განთავსებული სივრცე:

- დასატიერთი პლატფორმა
- გადასატანი და მიმღები სივრცე
- შესაფუთი და გასახსნელი სივრცე
- სატრანზიტო სათავსო (დროებითი გამოფენის ექსპონატების შესანახი ოთახი)

ყველა ზემოთჩამოთვლილ სივრცესთან ერთად საჭიროა არსებობდეს უსაფრთხოების სამსახურის ოთახი, საინჟოლაციო (კარანტინის) ოთახი და დოკუმენტების შესანახი ოთახი.

იმ შემთხვევაში, თუ მუზეუმის შენობას ერთზე მეტი სართული აქვს, მაშინ აუცილებელია დიდი სატივროთო ლიფტი, რათა ექსპონატები საზოგადოებისათვის დახურული სივრციდან გადატანილ იქნას საგამოფენო დარბაზებამდე.

თითქმის ყველა გამოფენის ადგილზე მიტანა სატივროთო მანქანების და ხშირად, ძალიან დიდი ტრაილერების მეშვეობით ხდება, შესაბამისად, სატივროთო პლატფორმა ისე უნდა მოეწყოს, რომ გათვალისწინებული იყოს ამ ტრაილერების პლატფორმასთან ზურგით მობრუნების შესაძლებლობა. გარემოს კონტროლის და უსაფრთხოების მიზნით, რეკომენდებული სატივროთო პლატფორმა საშუალებას უნდა იძლეოდეს, რათა ყველაზე დიდი ტრაილერიც კი მთლიანად განთავსდეს მასზე. თუ ეს არ არის შესაძლებელი, მაშინ სატივროთო პლატფორმა აუცილებლად უნდა იქნას გადახურული იმ სიმაღლეზე და ფართზე, რომ მასში მთლიანად მოთავსდეს ტრაილერი და რაც მთავარია, ჩამოსატივროთი საგნები დაცული იყოს წვიმის, ქარის, თოვლის ზემოქმედებისაგან და გადმოტივროთის პროცესს ვერ ხედავდნენ გამვლელები. მიუხედავად იმისა, თუ რა ფართისაა დასატივროთი პლატფორმა, აუცილებელია სივრცე მთლიანად იყოს სწორი. დასატივროთი პლატფორმა არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა დანიშნულებისთვის, განსაკუთრებით კი საკვები პროდუქტების მისატანად თუ ნარჩენების გადასაყრელად.

მოდრავი გამოფენების მიღება და მათი გადმოტივროთა, ყველა მუზეუმის უსაფრთხოების სისტემებისთვის პოტენციურად სუსტი ნერტილია. შესაბამისად, საჭიროა ამ პროცესის კარგად დაგეგმვა, რათა იგი უსაფრთხო იყოს როგორც პერსონალისთვის, ასევე ექსპონატებისთვის. დაცვის პუნქტები, რითაც თვალს ადევნებენ სატივროთო სივრცეს, საშუალებას უნდა აძლევდეს დაცვის თანამშრომლებს დაცული ფანჯრიდან და ვიდეო თვალის მეშვეობით კარგად დაათვალიერონ მოახლოებული სატივროთო მანქანები და მძღოლები. აქვე უნდა არსებობდეს ხმოვანი კავშირიც, რომელიც ჩვეულებრივ დამონტაჟებულია პერსონალისთვის განკუთვნილ კართან, რომელიც საშუალებას მისცემს მძღოლს, მიკროფონის მეშვეობით დაადასტუროს თავისი ვინაობა. მას შემდეგ, რაც მოხდება ვიზუალური და ხმოვანი იდენტიფიცირება, დაცვას შეუძლია გახსნას კარი, რის შემდეგაც მძღოლი მოხვდება ჯერ მხოლოდ სპეციალურ, ტყვიაგაუმტარი მინით აღჭურვილ პატარა მოსაცდელ სივრცეში, სადაც მან დაცვის თანამშრომლებს შესამოწმებლად უნდა წარუდგინოს სათანადო დოკუმენტაცია.

თუ დაცვა ჩათვლის, რომ დოკუმენტაცია წესრიგშია, ნებას დართავს მძღოლს დატოვოს მოსაცდელი ოთახი და დაბრუნდეს მანქანის კაბინაში. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სატივროთო სივრცეში შესასვლელი მძიმე მეტალისგან დამზადებული კარი-ჟალუზის გახსნა, რომელიც ზემოთ იწევს იმგვარად, რომ სატივროთო მანქანა აღწევს სატივროთო სივრცეში. თუ ეს სივრცე საშუალებას იძლევა (რაც რეკომენდებულია), ამ პროცედურის შემდეგ კარი ხელახლა უნდა დაიხუროს მანამდე, ვიდრე დაიწყება გადმოტივროთა ან დატივროთა. ამგვარ სივრცეს, რასაკვირველია, აუცილებელია ჰქონდეს მექანიკური ვენტილაცია, რათა მანქანის გამონაბოლქვი დაუყოვნებლივ გაიწოვოს.

იმის გამო, რომ სატივროთო მანქანების მოცულობები ერთმანეთისგან განსხვავდება, დასატივროთი პლატფორმა აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ჰიდრავლიკური ამწეებით, რომლებიც მაგრდება სატივროთო პლატფორმის გარეთა ფლანგზე და რეგულირდება მანქანის სიმაღლის მიხედვით. ზოგჯერ ამგვარი მოწყობილობები გამოიყენება მთლიანი პლატფორმების ნაცვლადაც. მაგრამ ხშირად, ეს მოწყობილობები მოუხერხებელია, რადგან არ მიესადაგება ყველა ტიპის ტრაილერს. ამასთან, არსებობს დიდი ალბათობა რყევისა,

რომელიც თავისთავად მანქანაში მოთავსებულ საგნებსაც გადაეცემა. ჰიდრალიკური ლიფტის სიგანე უნდა აღემატებოდეს ნებისმიერი სატვირთო მანქანის ძარის სიგანეს, იმისათვის, რომ იყოს ადგილი პერსონალის ძარის ორივე მხარეს დასადგომად; ხოლო ლიფტის სიღრმე საკმარისი უნდა იყოს მინიმუმ 2.4 მ (სასურველია 3.6 მ) სიღრმის ყუთების მისაღებად.

რკინის კარი-ჟალუზი სატვირთო პლატფორმას უნდა ყოფდეს მიმღები სივრცისგან. საჭიროა მეორე კარი-ჟალუზიც, რომელიც დასატვირთ/მიმღებ სივრცეს გამოყოფს შესაფუთი სივრცისგან. მართალია, მიმღებ სივრცეში არსებულ გარემოზე გავლენას იქონიებს სატვირთო პლატფორმის კარის გაღება-დაკეტვა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეს ადგილი წარმოადგენს ერთგვარ ბუფერულ ზონას სათანადო კლიმატის შესაქმნელად და იმ ადგილს, სადაც შესაძლოა მიმდინარეობდეს ტვირთების თანამიმდევრული მიღება. მისი ზომა საკმარისი უნდა იყოს ერთი დიდი ტრაილერის ტვირთის დასაღებლად და პერსონალის თავისუფალი გადაადგილებისათვის. მას შემდეგ, რაც მთლიანად გადმოიტვირთება ერთი მანქანა, გარეთა კარი უნდა დაიკეტოს და გაიხსნას შიდა კარი, ყუთების გადასატანად მათ გასახსნელად განკუთვნილ ზონაში. ხოლოდ მთელი ტვირთის შეტანის შემდეგ იხურება შიდა კარი და ახალი ტვირთის მისაღებად იხსნება გარეთა კარი.

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ არსებობს ამის თავიდან აცილების მინიმალური შესაძლებლობა მაინც, ყუთები არ უნდა გაიხსნას უშუალოდ საგამოფენო დარბაზში. ამის მიზეზია ის, რომ ასეთ შემთხვევებში საჭირო ხდება გახსნის მთელი პროცესის განმავლობაში საგამოფენო დარბაზის დაკეტვა და უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება; ამასთან, სახიფათოა ექსპონატების საგამოფენო დარბაზში ღამით დატოვება, ვიდრე დაუსრულებელია მათი დამონტაჟება; ექსპონატებისათვის პოტენციურად სახიფათოა მათი ამოღება ყუთიდან, როცა ირგვლივ სხვა ყუთებიც იხსნება, ვინაიდან ამ დროს ექსპონატები დაუცველია დაზიანებისაგან. არსებობს შესაფუთი მასალებიდან მუზეუმის შენობაში სხვადასხვა პარაზიტების შეღწევის ალბათობაც.

სწორედ ამიტომ, უმჯობესია ასეთი სახის სამუშაოებისთვის გამოიყოს დამატებითი ფართი, რომელიც იზოლირებული იქნება მიმღები ზონისგან. ყუთები უნდა გაიხსნას ან დაილუქოს მუზეუმის კვალიფიციური თანამშრომლების მიერ, რომელთაც უნდა მეთვალყურეობდეს უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამშრომელი: კურატორი, კონსერვატორი ან რეგისტრატორი, რომელიც ამზადებს ანგარიშს საგნის მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში იღებს ფოტოს. ამ პროცესში ციფრული კამერების და პორტატული კომპიუტერების გამოყენებამ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მიღებული ექსპონატების სიის და სურათების გადაგზავნა იმ ინსტიტუციაში, საიდანაც წამოღებულია ექსპონატი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დოკუმენტირების პროცესი. მცირე ოთახი, სპეციალურად გამოყოფილი ყუთების გასახსნელი სივრცის მიმდებარედ, გამოდგება რეგისტრაციისთვის, ასევე სხვა მუზეუმებიდან გამოგზავნილი კურიერების დასახვედრად, დოკუმენტების ასლების გადასაღებად, მათ ხელმოსაწერად, დასარეკად, ელექტრონული ფოსტის გასაგზავნად და საჭირო ხელსაწყოების და აღჭურვილობის შესანახად.

ყუთების შესაფუთ და გასახსნელ ზონაში უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ტენიანობა და ტემპერატურა, იგივე, რაც არის მუზეუმის საგამოფენო დარბაზებსა და საცავებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს კლიმატ-კონტროლის დონეების წინასწარი შეთანხმება იმ ორგანიზაციებთან, საიდანაც ხდება ექსპონატის გამოთხოვა. ზოგჯერ საჭიროა შემოსულმა საგანმა უნდა გაიაროს აკლიმატიზაცია, რასაც ზოგჯერ

24-48 საათი სჭირდება. შესაბამისად, ყუთების გასახსნელი სივრცე უნდა იყოს სათანადო ფართის, რათა შესაძლებელი იყოს ამ ფუნქციის შესრულება. იგივე ითქმის ფუთების შესანახ სივრცეზეც, რადგან ფუთები ხშირად გაუხსნელად უნდა ინახებოდეს. ამგვარ სივრცეებში აუცილებელია არსებობდეს იმავე სტანდარტების კლიმატ-კონტროლი, რაც სატრანზიტო ოთახებში თუ საგამოფენო დარბაზებშია.

სატრანზიტო ოთახები თუ დროებითი შენახვის ადგილები, უნდა მდებარეობდეს შესაფუთ სივრცესთან ახლოს ან უშუალოდ მის გვერდით. ეს არეალი მოითხოვს ზუსტად დაცულ კლიმატურ პირობებს და უსაფრთხოების ზომებს, ასევე დიდ სივრცეს სპეციალური პლატფორმების, თაროების, არტეფაქტებისთვის განკუთვნილი ყუთების თუ სურათების სტელაჟების განსათავსებლად. მხოლოდ იმ მუზეუმებს, სადაც ხშირად იმართება დიდი დროებითი გამოფენები, სჭირდება ამ ზონაში ობიექტების კომპაქტურად შესანახად ალქურვილი სპეციალური საცავეები. ამ ზონაში საერთოდ არ უნდა ინახებოდეს ყუთები, პანელები, სადგამები, საგამოფენო ვიტრინები და ვსგავსი ნივთები. ეს ზონა უნდა ეთმობოდეს მხოლოდ ექსპონატებს.

ამ სივრცეებს შორის გადაადგილება და დარბაზებში შესვლა უნდა ხდებოდეს კარების და დერეფნების მეშვეობით, რომლებიც საკმარისად დიდი უნდა იყოს მუზეუმში არსებული ნებისმიერი ექსპონატის გადასატანად, როგორც ეს აღწერილია 5.2 თავში. ამასთან, მათი მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ყველაზე დიდი სატვირთო მანქანის მოცულობას. კოლექციების გადაადგილების მარშრუტები უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი, ხოლო თუ შესაძლებელია, ექსპონატების გადატანისას მინიმალურად უნდა ხდებოდეს საფეხურების, პანდუსების და მოსახვევების გავლა. თუ აუცილებელი ხდება განსაკუთრებით გრძელი არტეფაქტისთვის მიმართულების შეცვლა, მის უსაფრთხოდ მოსაბრუნებლად, უნდა გამოიყოს შესაბამისი სპეციალური სათავსო. ინდუსტრიულ თუ ტრანსპორტის მუზეუმებს შესაძლოა დასჭირდეთ არა მხოლოდ გაცილებით უფრო ფართო და მაღალი დერეფნები, არამედ სპეციალური მოწყობილობების დამონტაჟება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გადაადგილდეს ექსპონატები.

ლიფტები იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ მუზეუმის მუშაკებს შეეძლოთ ექსპონატებთან ერთად გადაადგილება. ასევე, მიშენელოვნია ლიფტის შესასვლელთან არსებობდეს საკმარისი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება დიდი ზომის ექსპონატების გამოტანა ან მოტრიალება.

5.5. ცხრილში მოცემულია იმ სივრცეების ნუსხა, რაც სჭირდება დიდ მუზეუმებს კოლექციებისა და გამოფენების სათანადოდ მიღებისა და მოვლისთვის. უფრო მცირე მუზეუმებში, შესაძლოა მოხდეს ამ სივრცეების კომბინირებული გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში, ექსპონატების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ჩასატარებელი ოპერაციების თანამიმდევრობას.

ამგვარი სივრცეების მიმდებარე არეალის დაგეგმვისა და დაპროექტებისას, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი პრინციპები:

- სამუზეუმო ექსპონატების შეძლებისდაგვარად პირდაპირი გადაადგილება (პანდუსების, საფეხურების, მოსახვევების გარეშე) ჩამოსატვირთი პლატფორმებიდან მიმღებში და შემდგომ შესაფუთ/გასახსნელ ადგილამდე, და საბოლოოდ – კოლექციების საცავება და დროებითი გამოფენების საცავეებში (სატრანზიტო ოთახებში)

- ყუთების სანყოფი, საიზოლაციო საცავი და სატრანზიტო საცავი, განთავსებული

ცხრილი 5.5. ექსპონატების მიმღები და მოსავლელი სივრცეები დიდ დანესებულებებში

სივრცის დასახელება	I ვარიანტი მ ²	II ვარიანტი მ ²
სატვირთო პლატფორმა (I – ნანილობრივ ტევადი; II მთლიანად ტევადი)	56	130
გადმოსატვირთი მიმღები სივრცე	37	74
შეფუთვისა და გახსნისთვის საჭირო სივრცე	37	74
ყუთების სახელოსნო/სამონტაჟო	37	56
ყუთების სანყოფი	74	111
გადასაადგილებელი მონყობილობის შესანახი სივრცე	9.3	19
სატრანზიტო ოთახი (დროებით მიღებული ექსპონატების საცავი)	74	149
მისაღები ოთახი	9.3	19
კოლექციისთვის საჭირო მასალები (სუფთა) 4.6	4.6	9.3
კოლექციების ლიფტები (სატვირთო, თითოეულ სართულზე)	11	23
დაცვის ჯიხურები	14	14
ნარჩენების შესანახი სივრცე	14	14

უნდა იყოს შესაფუთ/გასახსნელ სივრცეებთან მეზობლად

- მისაღებ (სარეგისტრაციო) ოთახს პირდაპირი გასასვლელი უნდა ჰქონდეს შესაფუთ/გასახსნელ სივრცეში
- უნდა არსებობდეს პირდაპირი შესასვლელი ყუთების სახელოსნოდან ყუთების სამონტაჟო და შესაფუთ/გასახსნელ სივრცეში
- სატვირთო/მიმღები სივრცე გადასაადგილებელი მონყობილობების სანყოფის დვერდით უნდა იყოს
- ყველა ოთახიდან კოლექციების ლიფტამდე მისასვლელ გზაზე, შეძლებისდაგვარად, არ უნდა იყოს საფეხურები, პანდუსები და მოსახვევები. იფტი უნდა აღჭურვილი იყოს საკეტით, რომლის გარეშაც საჭირო იქნება ყველა სართულზე, სადაც განთავსებულია, მუსავდება ან გამოიფინება კოლექციები
- ყველა სივრცე უნდა იყოს აღჭურვილი ისე, რომ მასში შესვლა მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პერსონალს შეეძლოს.

5.3.4 გამოფენების მოწყობა და ინსტალაცია

გამოფენების მოსამზადებელი ფართის გამოყოფა, შესაძლოა, ფუფუნებას წააგავს, მაგრამ ეს მეტად მნიშვნელოვანი სივრცეა, სადაც დიზაინერებს და გამოფენის მომზადების სხვა მონაწილეებს საშუალება აქვთ დარბაზში გამოფენამდე ერთგვარი ტესტირება ჩატარონ ვიტრინების განლაგებას, იატაკის ფართის დანაწილებას. ეს არა მხოლოდ ქმნის პირობებს ექსპერიმენტებისა და გაუმჯობესებისათვის, არამედ აგრეთვე შესაძლებელს ხდის, რომ მომდევნო გამოფენის მომზადების პერიოდში არ ჩამოიხსნას მიმდინარე გამოფენა. მოსამზადებელ ფართს სჭირდება ისეთივე განათება, როგორიც საგამოფენო დარბაზებშია,

რათა მოხდეს გამოფენის პირობებთან მიახლოება. ასეთი ფართისთვის საჭიროა დაახლოებით 37 მ² თითოეულ სართულზე, ხოლო თუ ეს შესაძლებელია, უფრო მეტიც. უფრო მცირემასშტაბიან შემთხვევაში, ამგვარ ფართად შესაძლოა გამოდგეს კოლექციების ლიფტის მიმდებარე, ან დარბაზთან მისასვლელი ადგილი.

გამოფენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამხმარე სივრცე არის სანყოფი, სადაც ინახება სხვადასხვა საგამოფენო ელემენტი (ვიტრინები, პანელები და ა.შ.), რომელიც იმ მომენტი-სათვის არ გამოიყენება. მრავალი მუზეუმში ამგვარ მონყობილობებს შენობის გარეთ ინახავს, თუმცა ამ მიზნისთვის თვით შენობებში გამოყოფილი მინიმალური სივრცე, შესაძლოა გააუმჯობესებდა ყოველდღიური მუშაობის პროცესს. ასეთი სათავესთვის საშუალო ზომის მუზეუმს სულ ცოტა, 93 მ², ხოლო უფრო დიდ დანესებულებას – მეტი, სჭირდება.

5.3.5 დამხმარე საქმიანობის მხარდაჭერა

სასურველია, საგამოფენო დარბაზებს ახლდეს შემდეგი დამხმარე სივრცეები:

- გამოფენაზე ორიენტირებული მაღაზია და მისი სანყოფი (იხ. თავი 17)
- სივრცე მნახველებისთვის აუდიო ტურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და მოსასმენი მონყობილობების სანყოფი
- აუდიო-ვიზუალური ოთახები, ფილმების, ვიდეოს ან სხვა დამხმარე აუდიო-ვიზუალური მასალის საჩვენებლად
- სივრცე წარმოდგენების, დემონსტრაციებისა ან საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

ამ სივრცეებიდან ზოგიერთი საზოგადოებრივი დანიშნულებისაა, ხოლო მიმდებარედ განთავსებულია მნახველებისთვის დახურული დამხმარე ფართები. ბევრი მუზეუმში აუცილებლობის შემთხვევაში ახდენს გალლერიეს გარდაქმნას ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ოველ შემთხვევაში, კარგად დაგეგმილი დროებითი გამოფენის სივრცე უნდა მოიცავდეს ამ ფუნქციებისთვის განკუთვნილ ფართებსაც.

5.4 მუზეუმის სხვადასხვა დანიშნულების ფართებთან მიდგომა და ცირკულაცია

შეზერ მაქსიმეა

საგამოფენო ფართები, იქნება ეს არსებულ შენობებში თუ ახლად დაპროექტებულ მუზეუმებსა და გალერიებში, საჭიროა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ ფართის სიდიდის თვალსაზრისით, არამედ მათი მიმართებით როგორც შენობის სხვა ნაწილებთან, ასევე საკუთრივ საგამოფენო სივრცის ფარგლებში მისი ნაწილების სივრცითი კავშირების მხრივაც. ამ ნაწილში განიხილება მისადგომების, განლაგების და ადამიანების ცირკულაციის საკითხებს, რომელიც მთლიანობაში გავლენას ახდენს საგამოფენო დარბაზის სივრცეზე. დარბაზების შიდა განლაგება განხილულია მე-6 თავში.

აღნიშნული ასპექტების გათვალისწინება, ხელს უწყობს საგამოფენო ფართების ფუნქციურობის დადგენას, როგორც ზოგადად მუზეუმის ტერიტორიასთან, ასევე შენობასთან მიმართებაში, აგრეთვე მუზეუმის შენობით მოსარგებლებსაც: დამთვალიერებლებს, მუზეუმის თანამშრომლებს თუ სხვადასხვა მომსახურების სფეროში დაქირავებულ კონ-

ტრაქტორებს. ფუნქციურობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მუზეუმის ეფექტურ მუშაობას, სხვადასხვა საქმიანობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სპეციალურად განკუთვნილ ფართებში. საგამოფენო საქმიანობა მრავალგვარია და შესაძლებელია მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ ასპექტს (და დამატებით, კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად):

- სკოლის მონაფეთა ჯგუფის ვიზიტის ხელშეწყობა
- ახალი გამოფენის სპეციალური გახსნის ან ვერნისაჟების მონყობა
- დარბაზის ყოველდღიური დალაგება, ნაგვის გატანა
- ყოველდღიური შემონმებები და საათობრივი პატრულირება შენობაში უსაფრთხოების მიზნით

- შეფუთული მოძრავი გამოფენის მიღება და მისი მომზადება გამოსაფენად
- დროებით სარგებლობაში მიღებული ექსპონატების ჩამოხსნა, შეფუთვა და მეპატრონისთვის დაბრუნება. ექსპონატების ტრანსპორტირების კოორდინირება
- ახალი ვიტრინების და სადგამების დამზადება, ღებვა და დამონტაჟება

მუზეუმის საგამოფენო საქმიანობა ან ფუნქციები, ხშირად, მისი პოლიტიკის დებულებებისა და საპროცედურო დოკუმენტების მეშვეობით განისაზღვრება. ეს დოკუმენტები წარმოადგენს ინსტრუქციას მუზეუმის თანამშრომლებისთვის, რომელსაც ისინი იყენებენ დროებით სარგებლობაში ექსპონატების მიღება-გაცემის, დაზღვევის, ტრანსპორტირების საკითხების გადაწყვეტისა თუ ღონისძიებების მონყობის პროცესში. ამ პროცესების, როგორც კონკრეტულ ამოცანათა და ქვე-ამოცანათა, შესწავლა და აღწერა, უწყობს ხელს იმის გაგებას, თუ რა რესურსებია საჭირო ფართის, აღჭურვილობისა და თანამშრომლების თვალსაზრისით საგამოფენო პროგრამის განსახორციელებლად.

რადგან სამუზეუმო საქმიანობა კომპლექსურია (როგორც ეს ნაჩვენებია წინა ქვეთავში საგამოფენო დარბაზებისთვის დამხმარე სივრცეების განხილვისას), ბუნებრივია, მათ შესასრულებლად საჭიროა მთელი რიგი სპეციალიზებული ოთახების არსებობა, რომელთაგან თითოეული შეიძლება გამოიყენებოდეს ერთ-ერთი საქმიანობის მხოლოდ ნაწილის განსახორციელებლად. ისეთ საქმიანობას, როგორიცაა სკოლის მონაფეთების ჯგუფის მიღება მუზეუმში, დასჭირდება ჰოლი, გასახდელი, საპირფარეშოები, სასადილო ოთახი, ხელოვნების სტუდიები, პრაქტიკული მეცადინეობის ოთახები და საექსპოზიციო დარბაზები. ამ სპეციალიზებულ ფართებს შორის ურთიერთკავშირი უნდა განვიხილოთ მისადგომების, განლაგების და ადამიანების ცირკულაციის საკითხების გათვალისწინებით.

5.4.1 განსაზღვრებები

საგამოფენო სივრცეებთან მიმართებაში, მიდგომა გულისხმობს ადამიანების, კოლექციების, მასალების, მარაგების და ნაგვის შეღწევისა და გამოსვლის/გამოტანის სხვადასხვა სქემებს. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა ხასიათის და ფუნქციების მქონე სპეციალიზებული შესასვლელების არსებობას, როგორცაა სხვადასხვა დანიშნულების ცალ-ცალკე შესასვლელები: სატვირთო პლატფორმები კოლექციებისთვის, შესასვლელი საკვებისა და ნაგვისთვის, აგრეთვე ცალ-ცალკე შესასვლელები თანამშრომლების, ჩვეულებრივი დამთვალიერებლებისა და სკოლის მონაფეთებისთვის. არის პირობები, როდესაც მისადგომები შეიძლება გართულებული ან გაადვილებული იყოს, მაგალითად,

სართულიდან სართულზე ასვლა, რასაც სჭირდება კიბე, ლიფტი, პანდუსი ან ესკალატორი. ცალკე საკითხია სხვადასხვა დანიშნულების სივრცეების გამოჯვანა: ისეთის, სადაც მნახველები დაიშვებიან და სადაც მხოლოდ პერსონალს აქვს შესვლის უფლება.

მიმდებარე სივრცეები გულისხმობს ერთმანეთთან ახლოს მდებარე სივრცეებს, რაც უზრუნველყოფს მუზეუმის გამართულ მუშაობას საგამოფენო საქმიანობის ყველა ასპექტთან მიმართებით. მნიშვნელოვანი მიმდებარე სივრცეები ხშირად გამოსახულია სპეციალური სქემების მეშვეობით, სადაც დატანილია სივრცეების ერთმანეთთან კავშირის მაჩვენებლები. ამგვარი დიაგრამები არქიტექტორებს ეხმარება სართულების და ოთახების დაპროექტებისას.

ცირკულირება გულისხმობს ხალხისა და მასალების გადაადგილებებს, რომელიც ხორციელდება საგამოფენო საქმიანობისთვის განკუთვნილ ყველა სივრცეში. ამ შემთხვევაში, ხშირად გამოიყენება სპეციალური დიაგრამა, რომელიც ასახავს დამთვალიერებლების, თანამშრომლების, კოლექციების, საგამოფენო მასალების, საკვებისა და ნაგვის გადაადგილების მარშრუტებს. ცირკულაციის ასპექტების შესწავლა საჭიროა მიდგომის მოთხოვნების შესამოწმებლად და მიმდებარე ფართების ურთიერთმიმართების დასადგენად, რაც შესაძლო გამოყენების დროს პრობლემებისა და საცობების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა; გარდა იმისა, ეს გვიჩვენებს, სადაა საჭირო დამატებითი სივრცე დამთვალიერებელთა დიდი ჯგუფების მისაღებად, ანდა არასტანდარტული ფორმის ყუთებისთვის და ჩარჩოების შესანახად. 5.4.3 ნაწილში მოყვანილია ამ საკითხებთან დაკავშირებული დიაგრამების მაგალითები.

აღნიშნული სამი ცნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და შეგვიძლია სამივე განვიხილოთ შესასვლელის წინ ტერიტორიასთან, საკუთრივ საგამოფენო დარბაზებთან და დამხმარე სათავსებთან მიმართებაში.

5.4.2 შესასვლელი: საზოგადოების მიღება

საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიების ვიზიტორთა (ოჯახების, სკოლის მოწაფეების, საპატიო მოქალაქეების, ტურისტების, მნიშვნელოვანი პერსონების, მეცნიერების, კოლექციონერების და პოტენციური დონორების, და ა.შ.) დახვედრა, მათთვის აუცილებელი მომსახურების უზრუნველყოფა და მათ მიერ შერჩეულ საგამოფენო დარბაზში მიღება არის მუზეუმის ე.წ. „შესასვლელის საქმიანობის“ ასპექტები, აღწერილი 5.1. თავში. რაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვს მუზეუმს მისი არსებული და პოტენციური აუდიტორიის შესახებ, მათ მისაღებად შესაბამისი ზომის, განლაგების, და დანიშნულების სივრცეები მით უფრო შედეგიანად იგეგმება. ვიზიტორთა დახვედრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს უსაფრთხოების საკითხი. მიდგომა შეიძლება საგრძნობლად გაართულოს არასწორად გამართულმა ან შეუსაბამოდ დადგმულმა სათავსოს ან აღჭურვილობის შესახებ ინფორმაციის მაჩვენებელმა.

შესასვლელი სივრცეების მომხმარებლები არიან არა მხოლოდ დამთვალიერებლები, არამედ ისინი, ვინც ვიზიტორებს უწევს მომსახურებას, დაცვის პერსონალი და ის მუშაკები, რომელთა მოვალეობაა საზოგადოებრივ სივრცეებში სისუფთავის დაცვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ სივრცეების ყოველდღიური ვიზიტებისთვის მზადყოფნაში მოყვანა. მომხმარებელთა თითოეულ ჯგუფს, შესაძლოა სჭირდებოდეს საკუთარი შესასვლელი, რომ-

ლით სარგებლობაც შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად შეზღუდული სივრცითი ან დღის მონაკვეთის ნიშნით, გარდა ამისა, თიტოეულ ასეთ ჯგუფს აქვს ცირკულაციის საკუთარი მოდელი, თავისი მოძრაობის მარშრუტი.


შესასვლელი სივრცეები ასრულებს ვიზიტორთა მომსახურების და მათთვის განკუთვნილი დამხმარე ფართების დანიშნულებასაც. ამ სივრცეებში შედის საბილეთო სალაროები, საინფორმაციო ოთახები, გასახდლები, საპირფარეშოები, პირველადი დახმარების ოთახები, საცალო ვაჭრობის და კაფეები. ეს ობიექტები ხშირად თავმოყრილია მთავარ შესასვლელთან და შენობის თითოეული სართულის ჰოლთან. ამგვარი განლაგება, როგორც ეს სან-ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმშია, განსაკუთრებით მოსახერხებელია ვიზიტორთათვის. თავმოყრის ადგილები, დერეფნები, კიბეები, ლიფტები, ქმნის საკუთრივ საგამოფენო დარბაზთან მაკავშირებელ რგოლს, ადგილს, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დამხმარე ფუნქციას ასრულებს მის მიმართ.

თუ მუზეუმში შესვლა ფასიანია, გეგმარებისას მნიშვნელოვანია იმის გადანიშნულება, თუ სად მთავრდება ის არეალი, სადაც ვიზიტორს უბილეთოდ შეუძლია ყოფნა და სად იწყება სივრცე, სადაც მხოლოდ ბილეთის მეშვეობით შეიძლება მოხვედრა. ეს შეიძლება ხდებოდეს უშუალოდ მთავარი ჰოლის შემდეგ, მაგრამ დარბაზებში შესვლამდე, ან – შეიძლება იყოს უშუალოდ დარბაზში შესვლის პირობა. იგივე ეხება გამოფენებს, რომელზეც დანესებულია ბილეთის სპეციალური ფასი. აქაც უნდა განისაზღვროს, თუ სად უნდა ხდებოდეს ბილეთის ყიდვა, რიგში დგომა, ბილეთის შემოწმება. არბაზის სივრცესთან ასეთი ადგილების მიმართება მეტად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

მსჯელობის საგანია ის, თუ სადაა განლაგებული საგამოფენო დარბაზები საზოგადოებისათვის განკუთვნილი სივრცეე მიმართ. აღნიშნული საკითხის ყველაზე ოპტიმალური გადანიშნულება იქნება დარბაზებში პირდაპირ მთავარი შესასვლელიდან შესვლა, მაგრამ საგამოფენო დარბაზების დიდი რაოდენობა შენობის ერთ სართულზე აუცილებლად გამოიწვევს გრძელ რიგებს. ამიტომ სასურველია არსებობდეს დარბაზებისკენ მიმავალი პირდაპირი დერეფნები და მათი გადაკვეთები, რომელიც ვიზიტორს საშუალებას აძლევს პირდაპირ მისთვის სასურველ დარბაზში მივიდეს. ნახაზი 5.2. გვთავაზობს ძველი, ტრადიციული მუზეუმის შენობის გეგმას, რომელსაც არსებითად, ერთი საცირკულაციო მარშრუტი გააჩნია, თუმცა ცენტრალური დერეფნისა და კიბის მეშვეობით მნახველს აქვს შესაძლებლობა პირდაპირ გავიდეს შენობის უკანა ფლიგელში, ან დაბრუნდეს მთავარ როტონდაში ისე, რომ არ მოუხდეს ყველა დარბაზის გავლა. ამ, 1887 წელს აგებულ, სინგაპურის ეროვნული მუზეუმის შენობაში, ყველა სართულზე იგივე საცირკულაციო მარშრუტი მეორდება.

განსხვავებულია ალიასკას ადგილობრივი მემკვიდრეობის ცენტრი, რომელიც აღწერილია 6.2. მაგალითში. აქ შესასვლელი და დერეფნები თან გასდევს საგამოფენო სივრცეების ყველა მხარეს, რაც ნებისმიერ საგამოფენო დარბაზში და მის მიმდებარე სადემონსტრაციო სახელოსნოებში პირდაპირ მოხვედრის საშუალებას იძლევა.

დარბაზების ერთ ან მეტ სართულზე განთავსება გავრხელებული აუცილებლობაა. მოცანა ამ შემთხვევაში იმის უზრუნველყოფაა, რომ მნახველს არც გზა აებნეს და არც დაიღალოს ზედა სართულის დარბაზების ძებნაში. იმის საჩვენებლად, რომ მუზეუმში კიდევ ბევრი რამაა სანახავი, საუკეთესო ხერხია ეს კალატორიდან, ცენტრალური ლია ატროუმიდან ან აივნებიდან მოჩანდეს სხვა დარბაზები. თავი უნდა ავარიდოდ ისეთ გეგმებს, სადაც საგამოფენო დარბაზების სართულებს შორის განლაგებულია არასაგამოფენო სართული, ვთქვათ, თანამშრომლების სამუშაო ოთახებით.



ნახაზი 5.2 სინგაპურის ისტორიის მუზეუმი, პირველი სართული

მნიშვნელოვანი საკითხია იმის გადნყვეტა, რამდენად მიზანშეწონილია ორ სართულზე ერთი გამოფენის განთავსება. ეს საკიტხი შეიძლება დადგეს ძალიან დიდი, თემატური გამოფენების შემთხვევაში, ზოგჯერ – ხელოვნების ზოგიერთი გამოფენისათვის და დროებით, ბლიკბასტერების შემთხვევაში. ეს საკითხები გამოფენის მოწყობის სპეციფიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან არის საშიშროება, რომ მნახველი სართულებს შორის წყვეტილს გამოფენის დაბოლოვებად, ან თუნდაც მისი მდინარების დაბრკოლებად აღიქვამს. ეს საკითხი შესაძლოა ერგვარად მოგვარდეს სპეციალური ფერის გამოყენებით, იატაკსა და კედლებზე სპეციალური ნიშნების დამაგრებით, მოხალისე გიდების მეშვეობით, და მხოლოდ ამ გამოფენის მნახველებისთვის განკუთვნილი სპეციალური მარშრუტებით. კიდევ ერთი წარმატებული მეთოდი ექსპოზიციის ისე ორგანიზება, რომ დათვალიერება ზედა დონიდან იწყებოდეს და მნახველები დათვალიერების პროცესში ქვემოთ მოძრაობდნენ, ანუ დათვალიერების დასრულებისას ისინი ძირითადი შესასვლელის სართულზე აღმოჩნდნენ. ეს გაცილებით უკეთესი მეთოდი, ვიდრე აიძულო მნახველები ზედა სართულზე ავიდნენ და იქ დაასრულონ დათვალიერება.

სხვა დანიშნულების საზოგადოებრივი სივრცეები ხელს უნდა უწყობდეს დარბაზების მიმართულებით ვიზიტორთა მოძრაობას და მუზეუმიდან გასასვლელად მათ ადვილად დაბრუნებას მთავარი შესასვლელის მიდამოებში. მათე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ვიზიტორისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ისეთი დამხმარე ადგილები, როგორიცაა, მაგალითად, ტუალეტი. მაგალითად, მრავალდონიან შენობებში, საზოგადოებრივი ტუალეტები ყველა დონეზე უნდა განთავსდეს და მისადგომი ყველა საგამოფენო სივრციდან ჰქონდეს. სხვა დანიშნულების ობიექტები, როგორიცაა აუდიო ტურების აპარატურის


გამოსატანი და ჩასაბარებელი პუნქტები და გამოფენის სპეციალური მაღაზიის ადგილები, იოლად მისადგომი და თვალსაჩინო უნდა იყოს ყველა დამთვალიერებლისთვის, რომელიც შედის ან გადის მუზეუმშიდან.

5.4.3 საგამოფენო სივრცის მისადგომები და მიმდებარე ფართები

საქმიანობა, რომელიც საგამოფენო დარბაზში ან დარბაზების ანფილადაში მიმდინარეობს, მოიცავს უშუალოდ ექსპოზიციას და მის თანმხლებ სპეციალურ პროგრამებს, როგორცაა გამოფენის გახსნა, წარმოდგენები, ლექციები, ტურები, აუდიო ტურები და თვით დარბაზებში ოჯახებისთვის და სკოლებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები. საგამოფენო სივრცე შესაძლოა მოიცავდეს მხოლოდ ერთ დარბაზს და რაიმე მიმდებარე დამხმარე ფართებს (იხ. ნახაზი 5.3.-5.6.).

საგამოფენო სივრცეში შეიძლება შედიოდეს ნებისმიერი ტიპის და სიდიდის დარბაზი, ხოლო დამხმარე ფართები მოიცავდეს სპეციალურ აუდიო-ვიზუალურ ოთახებს, მედიისთვის განკუთვნილ ფართებს, სასწავლო ოთახებს, სადემონსტრაციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილ ფართებს, ასევე სპეციალურ მაღაზიებს, სადაც გამოფენასთან დაკავშირებული ნაკეთობები იყიდება.


საგამოფენო სივრცეებით სარგებლობენ იგივე ჯგუფები, რაც შესასვლელის სივრცით: მუზეუმის თითქმის ყველა მნახველი, ვიზიტორების მომსახურე პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული თანამშრომლები, შენობის ტექნიური მომსახურების და დასუფთავების სამსახურების მუშაკები.



ტაბულა 5.3

დამლაგებლების გარდა საგამოფენო სივრცე ტექნიკური მომსახურების უზრუნველ-საყოფად მისანვდომი უნდა იყოს სხვა პერსონალისთვისაც, როგორცაა კურატორები, კონსერვაციის სპეციალისტები, რომელთაც უხდებათ განათების შემონახვა-შეცვლა, ვიტ-რინების წმენდა, ექსპონატების გადაადგილება, საკონსერვაციო შემონახვების ჩატარება. შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს საგამოფენო სივრცე უნდა ცაალ-ცალკე ხელმი-სანვდომი იყოს როგორც დამთვალეიერებლებისთვის განკუთვნილი შესასვლელის მხრიდან, ასევე – სამუშაო, შიდა სივრცეებიდან.


საზოგადოებრივი შესასვლელისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს პიკის საათებში დამთვალეიერებლთა მიახლოებითი რაოდენობა და არჩევანის სპექტრი, რომელიც თითოეულ მნახველს ეძლევა დარბაზების შერჩევისას. ზოგ მუზეუმებში ყველა სართულზეა ვესტიბული, რომელიც სხვადასხვა საგამოფენო დარბაზს უკავშირდება; ამ შემთხვევაში ყველა დარბაზს საკუთარი შესასვლელი აქვს. სხვა შემთხვევებში, დამთვალეიერებლები შედიან ერთი ან რამდენიმე კარის გავლით, რის შემდეგაც სხვადასხვა საგამოფენო დარ-ბაზებში იფანტებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ შესასვლელს, არამედ გასასვლელი მარშრუტის დაგეგმვასაც. განსაკუთრებით, როცა შემსვლელი და გამომსვლელი მნახელები ართმანეთს არ უნდა შეხვდნენ. ზოგჯერ შესას-ვლელი დარბაზის ერთ ბოლოშია, ხოლო გასასვლელი მეორეში (იხილეთ ნახატი 5.7). აღ-ტერნატიული ვარიანტია, როცა ჩამწკრივებული ოთხი ორმაგი კარიდან ორი შესასვლელია, ორი კი – გასასვლელი. ასეთი განლაგება განსაკუთრებით ხელსაყრელია დიდ გალერეაში, სადაც ერთდროულად ორი გამოფენის გამართვაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში თითოეულ გამოფენას დაეთმობა 2-2 კარი და ექნება, მოთხოვნების შესაბამისად, საკუთარი შესასვ-





ცხრილი 5.4 ფრისტის სახვითი ხელოვნების ცენტრი, ნეშვილი: ცირკულაცია და ფართების ურთიერთგანთავსება

ლელიც და გასასვლელიც.

სასურველია, შესაძლებელი იყოს, თუ საჭიროა, თითოეული საგამოფენო დარბაზი დაიკეტოს მნახველებისათვის ნამუშევრების დაკიდების, ჩამოხსნის, კერძო ფუნქციების შესრულებისა და კრიტიკული სიტუაციების დროს. ამავე დროს, მეტად სასურველია საგამოფენო დარბაზებს შორის დაუბრკოლებელი მოძრაობის შესაძლებლობა, კარგად გაკეთებული მაჩვენებლები და კარგი ხილვადობა. მნახველებისთვის განკუთვნილი კარები, რომლებიც შეიძლება დაიხუროს, ხელს უწყობს როგორც კლიმატის კონტროლს, ასევე მნახველების რაოდენობის კონტროლსაც და ნიშნავს, რომ ცალკეული დარბაზი შეიძლება სრულიად გამოაკლდეს მოძრაობის ჩვეულებრივ მარშრუტებს. როდესაც დარბაზში საჭიროა სპეციფიური ტენიანობისა და ტემპერატურის შექმნა კონკრეტული ექსპონატებისთვის, ან საჭიროა ექსპონატის პატრონის (ვისგანაც ის დროებით არის მიღებული) მოთხოვნების შესრულება, დარბაზის კარის დახურვის შესაძლებლობა სავალდებულოა. საგამოფენო დარბაზებს შორის ან დარბაზების ანფილადში ხედის შესანარჩუნებლად შეიძლება მინის კარის გამოყენებაც.




ცხრილი 5.5 ფრისტის სახვითი ხელოვნების ცენტრი, ნეშვილი: კოლექციების/ექსპონატების გადაადგილება და ურთიერთგანთავსება




ცხრილი 5.6 საგამოფენო სქემა – მიმდებარე ფართები

ბევრ მუზეუმში დარბაზებს კარი საერთოდ არ აქვთ, რაც ღია, შეუზღუდავი სივრცის ატმოსფეროსა და სივრცეებს შორის თავისუფალი დინების შეგრძნებას ქმნის. მაგრამ რეკომენდებულია, რომ სადაც ეს შესაძლებელია, დარბაზის მთავარ შესასვლელს მაინც ჰქონდეს კარი, რომლის დაკეტვაც შესაძლებელი იქნება საგანგაშო სიტუაციაში. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება ხანძარსა და სანაღმდეგო დაცვისთვის საჭირო გახდეს გალერეის სივრცის გარკვეული ნაწილების გამიჯნვა დანარჩენებისაგან. აუცილებელია ყველა გალერეას ჰქონდეს ადვილად მისაგნები სახანძრო გასასვლელი, ისევე, როგორც მნახველების ძირითადი შესასვლელი.

შესასვლელი მომსახურებისათვის დარბაზისთვის აუცილებელია როგორც ახალი ექსპონატების შესატანად, ასევე მიმდინარე ტექნოსახურებისთვის. ახალი გამოფენებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ძალიან დიდი ზომის ყუთების, დაფების, კედლის ზომის ნამუშევრების და საერთოდ, ძალიან დიდი ზომის ექსპონატების შეტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამომსახურეო შესასვლელის ზომა უნდა შეესაბამებოდეს შესატანი ექსპონატების ზომებს, როგორც ეს აღწერილია 5.2.2 ნაწილში. დიდი ზომის სამომსახურეო კარი არ უნდა იქცევდეს ზედმეტ ყურადღებას, მაგრამ მისი საშუალებით ადვილი უნდა იყოს დარბაზის სივრცის მთავარ მონაკვეთებთან მიდგომა. ჩვეულებრივ, ეს კარი შეკვეთით მზადდება ხოლმე და არის 3-4 მ სიმაღლის, მაგრამ შესაძლებელია მას ჰქონდეს დამატებითი



ცხრილი 5.7 გალერეაში შესვლა-გამოსვლის შესაძლებლობები



ცხრილი 5.8 მომსახურე პერსონალის შენობაში შესვლის დიაგრამა

პანელებიც, რომელიც მის ჭერამდე გახსნას უზრუნველყოფს განსაკუთრებით მაღალი ექსპონატების შესატანად.

რეკომენდებული არ არის კოლექციების გადასაზიდი ლიფტის კარი უშუალოდ საგამოფენო დარბაზში იღებოდეს, ვინაიდან ეს საკმაოდ ხმაურიან, დამთვალეიერებლისთვის ხელისშემშლელ და დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს უსაფრთხოებისათვის პრობლემატურ სიტუაციებს ქმნის. კოლექციების ლიფტის კარი უნდა უკავშირდებოდეს ფართო დერეფანს ან სპეციალურ დასა ადგილს, რომელიც უკვე უშუალოდ საგამოფენო სივრცეს უკავშირდება, როგორც ნაჩვენებია 5.8 ნახაზზე. როდესაც მომსახურე პერსონალისა და საზოგადოებისთვის ერთი და იგივე დერეფანი გამოიყენება, ასეთი განლაგება ეხმარება ამ ორი ფუნქციის გამიჯვნას. ცნობილი გამონაკლისი გახლავთ "უიტნი მუზეუმი" ნიუ-იორკში, რომელიც, შეზღუდული სივრცის გამო, კაშკაშა ფერად შეღებილ კოლექციების ლიფტს მნახველებისთვისაც იყენებს.

მომსახურე პერსონალის დარბაზში შესვლა ინსტალაციის, დასუფთავებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ საათებსა და დღეებში, როცა საგამოფენო სივრცე დახურულია საზოგადოებისათვის. როდესაც მუზეუმი ღიაა, პერსონალი დარბაზებში მხოლოდ პერიოდულად და მკაცრად მოზომილად უნდა შედიოდეს, ისიც ძირითადად ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობაც მოითხოვს ამას, მაგალითად: ექსკურსიამძღოლები, დარბაზის მეთვალყურეები, კურატორები და დაცვის მუშაკები.

5.4.4 არასაზოგადოებრივი დანიშნულების დამხმარე სივრცეებში დაშვება

არასაზოგადოებრივი დანიშნულების სამსახურებრივი საქმიანობა მოიცავს შემდეგს:

- საგამოფენო პროგრამის ორგანიზება, დაგეგმვა და კოორდინირება
- დროებით სარგებლობაში მიღებული ექსპონატების და მოძრავი გამოფენების მიღება

და მოვლა-დამუშავება

- ექსპოზიციის დიზაინი და კონსტრუირება
- საგამოფენო მასალების მომზადება, გამართვა და ინსტალაცია.


ეს საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს აგრეთვე საკურატორო და საგამომცემლო საქმიანობას და სპეციალურ ღონისძიებებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მუზეუმის შიდა სამუშაოებს.

სამსახურებრივი სივრცეებით სარგებლობენ მუზეუმის თანამშრომლები, კონტრაქტორები, მომწოდებლები, მონვეული კურატორები და სხვა მეცნიერები, პირები, რომლებიც მუზეუმს საგამოფენოდ დროებით გადასცემენ ნივთებს და მათი კურიერები, ისევე, როგორც უმნიშვნელოვანესი „მომხმარებელი“, როგორცაა თავად ცოლექციები და გამოფენები. ვინაიდან ეს სივრცე დახურულია მნახველებისათვის, აუცილებელია მისი პერიმეტრის დაცულობის უზრუნველყოფა, რათა გამოირიცხოს მნახველების მასში შეღწევა. გამოფენის ეს დამხმარე სივრცე უნდა მკაცრად კონტროლდებოდეს იმისთვისაც, რომ შესვლის შესაძლებლობა მხოლოდ იმ თანამშრომლებს ჰქონდეთ, ვისაც უშუალოდ მოეთხოვება იქ ყოფნა. საუკეთესო ვარიანტია, როცა პერსონალი, რომელიც უშუალოდ არაა ჩართული საგამოფენო ან კოლექციებთან დაკავშირებულ საქმიანობაში, არ იყოს დაშვებული ამ ზონაში. მეტიც, ეს ორი ფუნქციაც უმჯობესია გარკვეულწილად გაიმიჯნოს: მუდმივი კოლექციების საცავებისა და საკურატორო/კოლექციების მართვის ადგილები, ჩვეულებრივ, არ უნდა იყოს დაკავშირებული იმ ადგილებთან, სადაც ხდება საგამოფენო მასალების მომზადება, მიღება და ინსტალირება. ამასთან, უნდა არსებობდეს კავშირი, რომელიც ექსპონატების საცავიდან გამოფენის მოსამზადებელ სივრცეში გატანის შესაძლებლობას ქმნის. დაცვის მუშაკებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გადაადგილდნენ კოლექციებისა და გამოფენისთვის განკუთვნილ ნებისმიერ სივრცეში, სადაც შეიძლება ამუსავდეს საგანგაშო სიგნალიზაცია; აგრეთვე მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში მოაწყონ სპეციალური საგუშაგოები საგამოფენო მასალების მიღებისა და მათი გადატანის პერიოდში. დამლაგებლებისა და ტექნომსახურების მუშაკებისთვის განკუთვნილი დამხმარე ფართი უნდა უკავშირდებოდეს დარბაზების სამსახურებრივ შესასვლელებს, მაგრამ ეს ფართი არ წარმოადგენს საკუთრივ საგამოფენო სივრცის ნაწილს.

სივრცეები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება გამოფენების მომზადებას, აღწერილია 5.3. თავში. მათ შორის არის სატვირთო პლატფორმები, სადაც ხდება დროებით სარგე-

ბლობაში მიღებული მასალებისა და მოძრავი გამოფენების მიღება, შესაფუთი/გასახსნელი ადგილები, სატრანზიტო საცავეები (დროებითი გამოფენების საცავეები), ყუთების საწყობი და სახელოსნოები, სადაც მზადდება საგამოფენო მასალები. ამ სივრცეების მიმდებარე ფართები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და გავლენას ახდენს არა მხოლოდ საგამოფენო სამზადისზე და დარბაზებში ექსპონატების შეტანა/გამოტანაზე, არამედ აგრეთვე ექსპოზიციის მზადების მთელ პროცესში ექსპონატებისთვის სათანადო გარემოს შენარჩუნებაზე.

გარდა ამისა, დამხმარე ფართები შესაძლოა გამოყენებულ იქნას გამოფენის თანმხლები საქმიანობისთვის, მაგალითად, სავაჭროდ (გამოფენის პერიოდში), საზოგადოებრივი კვებისთვის (იხ. ნახატი 5.9). ამ დამხმარე ფართებში მიდგომის, ურთიერთმდებარეობისა და მძრაობის მარშრუტების საკითხი აგრეთვე უნდა განიხილებოდეს გამოფენებზე მათ მიერ ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ძირითადად, უნდა გამოირიცხოს გამოსაფენ ადგილებში საკვები პროდუქტებისა ან ნაგვის გადატანა ან მათი იქ ქონა. მაღაზიის საქონლის და დამხმარე მასალების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა შეიძლება იყოს შეტანილი, სასურველია, მაშინ, როცა ეს სივრცე დახურულია მნახველებისათვის. ადგილებში, სადაც საკვები და სასმელი ნებადართულია (რაც თავისთავად არაა რეკომენდებული), საჭიროა შეზღუდვები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მათ დაცვაზე გაძლიერებული მეთვალყურეობა ხორციელდებოდეს.



ნახატი 5.9 ფრისტის სახვითი ხელოვნების ცენტრი, ნეშვილი: სავაჭრო და კვების ობიექტები და ნარჩენების გატანა

5.4.5 გამოფენის დამხმარე სივრცეების მარშრუტები

საგამოფენო სივრცეების მთელ კომპლექსში დაშვების, მიმდებარე ფართების განლაგების და ცირკულაციის ეფექტურობის შემოწმების კარგი საშუალებაა მოძრაობის მარშრუტების რეალური ან წარმოსახვითი გავლა, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ტიპის მომხმარებლის თვალთ. მარშრუტის რეალური გავლა, მაგალითად, შეიძლება მიყვეს ყუთს და მის შიგთავსს გადმოტვირთვის ადგილიდან მუზეუმის ყველა შესაბამისი სივრცეებისა და პროცესების გავლით; პარალელურად უნდა დავაკვირდეთ და მოვუსმინოთ პროფესიონალ თანამშრომლებს და ჩავინიშნოთ მათი კომენტარები და წარმოშობილი სირთულეების აღწერილობები. წარმოსახვაში ამავე მარშრუტის გავლა შესაძლებელია ქალაქზეც, თუ არის ამის საშუალება, სართულების გეგმების გამოყენებით და აუცილებლად იმ თანამშრომლების დახმარებით, ვინც უშუალოდ არის ამ საქმიანობასი ჩართული. ეს საუკეთესო მეთოდი მეტად გამოსადეგია შენობის დიზაინისა ან რეკონსტრუქციის პროცესში. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი ექსპერიმენტულ მარშრუტთა ჩამონათვალი, რომელიც უნდა იქნას ჩატარებული:

- შესასვლელში დადგმული ნარჩენების ყუთის გატანა
- სადურგლო სახელოსნოდან ნარჩენების გატანა
- ხელოვნების ნიმუშის გამოფენიდან გამოტანა, ვთქვათ, სასწრაფო კონსერვაციისთვის, ან ფოტოგადაღებისთვის
- მუზეუმის მონახულება სკოლამდელი ასაკის 2 ბავშვის დედის როლში
- მუზეუმის მონახულება ინვალიდის ეტლში მჯდომი მოზარდის როლში
- სამუზეუმო ჯგუფური ტური ხანდაზმულ ვიზიტორებთან ერთად
- მნიშვნელოვანი კოლექციონერის დაუგეგმავი ვიზიტის დროს მუზეუმის მონახულება თანმხლებლის როლში.

არსებობს მარშრუტების სხვა მრავალი ვარიანტი, რომელიც გეგმების შემდგენელებმა ან თანამშრომლებმა შეიძლება გამოიყენონ ამის სასარგებლო სავარჯიშოდ გადასატყევეად. ზოგიერთი შესაძლო ვარიანტი თანამშრომლების გამოცდილებამ შეიძლება რომ გვიკარნახოს. თითოეულმა ასეთმა ექსპერიმენტმა შეიძლება ხელი შეუწყოს სივრცეებში დაშვების, მიმდებარე ფართების განლაგების და ცირკულაციის ეფექტურობის გაზრდას ჯერ კიდევ დაგეგმვის სტადიაზე, ვიდრე ოტახები, კარები და კიბეები დამზადდება ძვირადღირებული და მუდმივი მასალებისაგან.

5.5 გამოფენილი კოლექციების დაცვა

მიურეი ფროსტი

თითქმის ყველა სამუზეუმო გამოფენის პროექტს საფუძვლად უდევს კოლექციების, ექსპონატების, მათთან დაკავშირებული ისტორიის თანხლებით, ანდა როგორც დიდაქტიკური, თემატური თუ კონტექსტური ექსპოზიციის ნაწილის, წარმოჩენა. ეს ექსპონატები ხშირად შეუცვლელი წყაროა და მნიშვნელოვანი ქონებაა მათი მფლობელებისთვის, და ამასთან – მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილიცაა. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ დაცვას, კონსერვაციას, რაც მუზეუმების ძირითადი დანიშნულებაა. ამავე დროს, თავად ექსპონირება და მისი დამხმარე პროცესები, როგორცაა შეფუთვა და გადაგზავნა, შეიძლება დაზიანების გამომწვევი გახდეს, რადგან ამ დროს ექსპონატი ნაკლებად კონ-

ტროლირებად გარემოში ხვდება. მაგალითად, შეიძლება აღმოჩნდეს დაშვებულზე მეტად განათებულ, ან დამტვერილ, დაბინძურებულ გარემოში, იქ, სადაც დიდია მავნებლების შეღწევის რისკი. გადაადგილების, ვიბრაციისა და გარემოს ცლილებებისას ნივთები განიცდის სტრუქტურულ და მექანიკურ სტრესს. ამდენად, საგამოფენო პროგრამების განუყოფელი ნაწილია პოტენციური კონფლიქტი, რის გამოც გამოფენის მზადების პროცესი უნდა გულისხმობდეს თანამშრომლობას იმისათვის, რომ გამოფენა კარგადაც გამოიყურებოდეს, თან ასრულებდეს მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის ვალდებულებას და ამასთან ერთად, იცავდეს ექსპონატებს.

გამოფენის მოწყობა კომპლექსური პროცესია, რომლის დროსაც დასახულია საზოგადოებასთან ურთიერთქმედების, დიზაინის და მნახველების მომსახურების ამოცანები. ამასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, რაც უშუალო გავლენას ახდენს ექსპონატების დაცვაზე, კერძოდ: აქტიურ და პასიურ კლიმატ-კონტროლზე, სათანადო განათებაზე, მასალების მავნე აირებისგან დაცვისა და მავნებლების თავიდან აცილების საშუალებებზე, გადაადგილებასა და ვიბრაციაზე. ამ თავში სწორედ ეს საკითხები იქნება განხილული. რაც შეეხება წყალდიდობისგან, ხანძრისგან, ვანდალიზმისგან და ქურდობისგან დაცვას, ეს ასპექტები განიხილება 5.6 თავში.

იმისათვის, რომ მუზეუმი გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში ჩაეტიოს და ამასთან, დააკმაყოფილოს სახედასახვა მოთხოვნილებები, რომელიც აქვთ დიზაინერებს, საზოგადოებას, კურატორებს და საგანმანათლებლო პროგრამებით დაკავებულ თანამშრომლებს, საჭიროა მოიძებნოს კომპრომისები. გამოფენის მომზადების ჯგუფში შემავალი რესტავრატორ-კონსერვატორი, რომელიც ასრულებს კოლექციის დამცველი „ადვოკატის“ ფუნქციას, შესაძლებლობას აძლევს დიზაინის ჯგუფს, კოლექციის დაცულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღონ მხოლოდ შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინებით. „ინფორმაციის გათვალისწინებით“ – იგულისხმება, რომ კოლექციის დაცულობა სინამდვილეში შეიძლება ერთგვარად შემცირებულიც იყოს, მაგრამ საგამოფენო ჯგუფი შეგნებულად მიდის გარკვეულ რისკზე და იღებს გადაწყვეტილებას, რომ ეს რისკი დასაშვებია იმ სარგებლობის გათვალისწინებით, რომელსაც იგი მოიტანს. არ არსებობს ერთი უნივერსალურად სწორი გამოსავალი, მაგრამ არის უამრავი გზა, რომლითაც შეიძლება გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული მისაღები გადაწყვეტილების მიღწევა.

გამოფენისთვის ან მთლიანად მუზეუმის საგამოფენო პროგრამისთვის პრევენციული საკონსერვაციო ღონისძიებების გატარებისას, უმთავრესია სათანადო გარემოს სტანდარტების არჩევა. შერჩეული სტანდარტები განსაზღვრავს შენობაში დამონტაჟებულ სისტემების ტიპებს, შესაბამისად – საგამოფენო დარბაზის კაპიტალურ ხარჯებს და მიმდინარე ხარჯებს, რომელშიც შედის ელექტროენერჯის და ამ სისტემების მომსახურე პერსონალის ხელფასის ხარჯები. ქვემოთ მოყვანილია ის რვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მუზეუმის გამოფენებზე და რომელიც განიხილება ამ ნაწილში:

- კლიმატ-კონტროლი
- ჰაერის მოძრაობა და დაუმუშავებელი ჰაერი
- ჰაერის სისუფთავე
- განათების დონეები
- მასალები
- მიკროკლიმატი

- მაენებლებისგან დაცვა
- გადადადგილება და ვიბრაცია

5.5.1 კლიმატ-კონტროლი

კლიმატ-კონტროლის სისტემის სამი ძირითადი ეფექტი მდგომარეობს ტემპერატურის რეგულირებაში, ფარდობით ტენიანობაში და ჰაერის მოძრაობაში. სამივე მათგანი ურთიერთქმედებს და ზეგავლენას ახდენს საგამოფენო სივრცეში შექმნილ გარემოზე. საგამოფენო ექსპონატებისთვის, რომლებიც პირვანდელი ადგილსამყოფელიდან ახალ საგამოფენო გარემომდე მოძრაობენ საჰაერო თუ სახმელეთო გზით, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სტაბილური გარემო პირობების შექმნა დეტალური მონიტორინგისა და ზოგადად, სისტემების მართვის თვალსაზრისით. გარემოს სტაბილურობა, რომელიც ჩვეულებრივ იქმნება შენობის გათბობის, სავენტილაციო და კონდიციონერების სისტემების მეშვეობით, შესაძლოა იოლად შეიცვალოს ან საერთოდ მოიშალოს ისეთი ფაქტორების არსებობის პირობებში, როგორცაა ჰაერის გაჟონვა, ქუჩაში გამავალი ღია კარი ან ფანჯრები, კლიმატ-კონტროლის გარეშე სივრცეებში გამავალი ღია კარი, სხვადასხვა რაოდენობის ადამიანების ყოფნა, რომლებიც გამოსცემენ საკუთარ სითბოსა და ორთქლს.

მსოფლიოს სხვადასხვა კლიმატურ ზონებში, დღის სხვადასხვა მონაკვეთებში, შენობის გარე ტემპერატურა და ტენიანობა შეიძლება უცებ დაეცეს ან გაიზარდოს. მასზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ამინდის ცვალებადობამ და სეზონურმა ციკლებმა. ზოგიერთ შემთხვევაში დღიური ციკლები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სეზონური ციკლები. ნებისმიერ შემთხვევაში, რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციალური კლიმატური პირობები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. კომპიუტერული მოდელირების ეპოქაში შესაძლებელია, ინჟინერ-კონსულტანტებმა მოამზადონ ვრცელი ანალიზი ადგილობრივ კლიმატურ მონაცემებზე დაყრდნობით, რითაც დახმარებას გაუწევენ მუზეუმებს დღიური თუ სეზონური კლიმატური ვარიაციების შესაბამისი გარემოს შექმნის საუკეთესო მოდელების შემუშავებაში.

მუზეუმში საჭირო გარემო პირობების სტანდარტების შექმნაზე ფიქრი მუზეუმის მუშაკებმა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყეს, რაც თვალსაჩინო გახდა ამ ფაქტორის ზემოქმედება ექსპონატებზე. საფრთხე, რომელსაც შეუფერებელი ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა (განსაკუთრებით ტენიანობის დონეების არასტაბილურობა) უქმნის სამუზეუმო ექსპონატებს, არის ხავსის მოკიდება, სოკოს გაჩენა, ქიმიური შლა, საღებავის ფენის შლა, მექანიკური და სტრუქტურული დაზიანებები (ბზარები, ნამტვრევები, შეერთების ადგილების დაშორება). აღნიშნული დაზიანებები განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც ექსპონატები გარემოს იცვლიან.

სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, მუზეუმები ცდილობენ ამგვარი ფაქტების აღმოფხვრას საცავებში, დამხმარე ფართებსა და საგამოფენო დარაზებში თავისი მუდმივი კოლექციებისთვის ოპტიმალური გარემო პირობების უზრუნველყოფით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროებითი და მოძრავი გამოფენებისთვის, რომელიც მოიცავს დროებით სარგებლობაში მიღებულ ექსპონატებს. XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მუზეუმებმა და კერძო კოლექციონერებმა განსაკუთრებით აქტიურად დაიწყეს მონანილეობა სპეციალური და მოძრავი გამოფენების მოწყობაში, მათ მკაფიოდ იგრძნეს პოტენციური

დაზიანების ალბათობა და შესაბამისად, გახდნენ უფრო პრეტენზიულები იმ სივრცეების მიმართ, სადაც უნდა გამოიფინოს დროებით სარგებლობაში გადაცემული ექსპონატები. დღეს, უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ დანესებულება, რომელიც გამოითხოვს ამა თუ იმ ექსპონატს თავის სივრცეში განსათავსებლად, ვალდებულია წარადგინოს ანგარიში მის ხელთ არსებული სათავსების და სისტემების შესახებ, რომელშიც აუცილებლად უნდა აისახოს როგორც კლიმატური, ასევე ნივთების მოვლის ყველა პირობა. გარდა ამისა, ნივთების თხოვების შესახებ შეთანხმებაში სხვა პირობებთან ერთად, დანვრილებით უნდა იყოს გაწერილი ფარდობითი ტენიანობის, ტემპერატურისა და განათების რეჟიმი. სწორედ ამიტომ, მუზეუმების საქმიანობის ყველაზე სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს როგორც მათი მუდმივი კოლექციებისთვის, ასევე დროებით გადმოცემული ექსპონატებისთვის სტაბილური სათანადო გარემო პირობების შექმნა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საგამოფენო დარბაზებში მნახველთათვის კომფორტის შექმნა და მათთვის მისაღები გარემოს განსაზღვრა.

1964 წელს რ.დ. ბიუკმა მოამზადა "მუზეუმების საჰაერო კონდიციონირების დეტალური აღწერა", რის მიხედვითაც, ზოგადი ტენიანობის რეკომენდირებული დონე 55 ± 10 პროცენტს შეადგენდა. 1970-იან წლებში კონდიციონირების სისტემების გაუმჯობესების გამო ეს დონე 50 ან 55 პროცენტით, ხოლო ცდომილება ± 5 პროცენტით, შეიცვალა. შესაბამისად, პროფესიონალთა და სპეციალიზებული ასოციაციების უპირველესი საზრუნავი გახდა მუზეუმებისთვის სტიმულის მიცემა, რათა მათ თანხები დაეხარჯათ ჰაერის კონდიციონირების მაღალხარისხიანი სისტემების შესაძენად. ამასთან, ეს ფაქტორი გადამწყვეტი გახდა მუზეუმთა აკრედიტაციისათვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორცაა, მაგალითად, ამერიკის მუზეუმების ასოციაცია. ამგვარი აკრედიტაცია პოტენციურ დონორებს და ექსპონატების მესაკუთრეს აძლევს გარანტიას, რომ აკრედიტებულ მუზეუმს ყველა საშუალება აქვს მისთვის მინდობილი ფასეული ექსპონატების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად. დადგენილი და გამოცემული სამუზეუმო გარემო პირობების სტანდარტები ნებისმიერ მუზეუმს ავალდებულებს მიზნად დაისახოს ამ პირობების შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მუზეუმს შეიძლება არ ჰქონდეს სახსრები მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის შესაძენად.

თითქმის ყველა ახლად აშენებულ მუზეუმს აქვს პირდაპირი ციფრული კონტროლის სისტემები, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერული სისტემის ნაწილს და შეიძლება ეწოდოს *ენერჯის მართვის კონტროლის სისტემა*, *შენობის მართვის სისტემა* ან *შენობის ავტომატიზებული სისტემა*. ასეთ შემთხვევაში მუზეუმის შენობაში გარემო პირობების რეგულირება მეტად გაადვილებულია და მხოლოდ ახალი მონაცემების და დასაშვები ცდომილებების ციფრების შეტანას მოითხოვს პროგრამაში.

ბოლო წლებში ელექტროენერჯის და დანახარჯების დაზოგვის მიზნით, ატლანტიკის ორსავე მხარეს გაჩნდა ტენდენცია კოლექციების განსათავსებელ სივრცეებში გარემოს სტანდარტების შესამსუბუქებლად. აღნიშნული ეფუძნებოდა გამოკვლევებს, რაც შემდგომ განიხილა გათბობის, გაცივებისა და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ამერიკის საზოგადოების მიერ მოწვეულმა ტექნიკურმა კომიტეტმა. მათი დასკვნის შესაბამისად, ექსპონატების უმეტესობისთვის მისაღები იყო ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის უფრო ფართო დიაპაზონი. თუმცა, ყველა შესაძლო რისკი უნდა შეფასდეს თითოეული მასალის სახეობისათვის და თითოეულ კლიმატურ გარემოში.

ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით, 1999 წელს ASHRAE Application Handbook-ში

გამოცემული სამუზეუმო სტანდარტები გვთავაზობს კოლექციების შენახვის ადგილებში შესაძლო მაქსიმალურ ცდომილებებს, დაყოფილ კონტროლის ხუთ კლასად (AA, A, B, C და D). მასში აღწერილია რისკები და უპირატესობები, რომელიც თითოეულ ამ კლასთან არის დაკავშირებული. ფარდობითი ტენიანობის ნიშნული ყველა კლასის კონტროლისთვის წლიური საშუალო ტენიანობის 50 პროცენტს შეადგენს და ერთნაირია იმ კლიმატური რეგიონებისთვის, სადაც წლის მანძილზე გარემო პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სამუზეუმო გამოფენებისთვის მნიშვნელოვანი კლასებია AA, A და B:

- დროებით სარგებლობაში გადმოცემული ექსპონატების და მოძრავი გამოფენებისთვის, უმაღლესი AA სტანდარტი შეიძლება მოთხოვნილ იქნას თხოვების ხელშეკრულებათა უმრავლესობაში. ამავე კლასის გარემო უნდა არსებობდეს იმ მუზეუმებში, საცავებში და საგამოფენო სივრცეებში, რომლებიც თხოვების ხელშეკრულებებში ითხოვენ თავისი ექსპონატების AA კლასის პირობებში განთავსებას

- მუდმივი გამოფენების პირობებში AA და A კლასებს შორის განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ უფრო დაბალი კლასი საშუალებას იძლევა მოხდეს ფარდობითი ტენიანობის ორი ოფციის არჩევა - ან სეზონური ტემპერატურის კორექტირებით ან მის გარეშე. მაგრამ სეზონური ტემპერატურის კორექტირება ქმნის არაკომფორტულ გარემოს, რის გამოც მისი გამოყენება ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში

- B სტანდარტი ძირითადად გამოიყენება სეზონური დატვირთვის მქონე ისტორიულ ნაგებობებში და საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ისტორიული კონსტრუქციების, მასალის დაზიანება და დაშლა. აღნიშნული სტანდარტი ქმნის არამართო სეზონური ტემპერატურის ვარიაციების შესაძლებლობას, არამედ ინარჩუნებს ფარდობითი ტენიანობას მაშინაც კი, როცა ხდება ტემპერატურის მინიმუმამდე დაყვანა

ცხრილში 5.6. მოცემულია გამოფენებისთვის საჭირო AA, A და B კლასებთან ზემოხსენებული ASHRAE სტანდარტების ადაპტირების მაგალითები.

როგორც აღნიშნულ ცხრილშია მოცემული, ASHRAE-ის AA, A და B ის ძირითადი კლასებია, რომელიც შეესაბამება უმრავლესი სამუზეუმო გამოფენებისთვის საჭირო გარემო პირობებს და მოითხოვს ერთი და იგივე ტიპის აღჭურვილობას. იმ შენობაში სადაც არსებობს აქტიური კონტროლი, ამ აღჭურვილობაში უნდა შედიოდეს ჰაერის დამუშავების ისეთი დანადგარები, რომელიც უზრუნველყოფს:

- გათბობას
- გაცივებას
- ტენიანობას
- გამოშრობას (ტენიანობის აღმოფხვრას) ხელახალი გათბობით
- ჰაერის განმენდას ნაწილაკებისგან
- ჰაერის განმენდას მინარევი აირებისაგან
- ზუსტ და სტაბილურ კონტროლის სისტემას

ცხრილი 5.6. ფარდობითი ტენიანობა/ტემპერატურის მოთხოვნები მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში

გამოფენის ტიპი	კლასი	ფარდობითი ტენიანობა	ტემპერატურა
დროებით გადმოცემული ექსპონატების გამოფენა	AA	50% ± 5% ან თხოვნების ხელშეკრულების შესაბამისად	210 C ± 2.20 C
მუდმივი კოლექციების გამოფენები	AA	50% ± 5%	210 C ± 2.20 C
მუდმივი კოლექციების გამოფენები: სეზონური ცვლილებები	AA	50% ან ნლიური საშუალო ± 5% სეზონური ცვლილებით ± 10%	ნიშნული 15-დან 250 C ± 2.20 C სეზონური +50 / -100 C
მუდმივი კოლექციების გამოფენები: სეზონური ცვლილებების გარეშე	A	50% ან ნლიური საშუალო ± 10% სეზონური ცვლილების გარეშე	ნიშნული 15-დან 250 C ± 2.20 C სეზონური +50 / -100 C
მუდმივი გამოფენები ზამთრის ტემპერატურის გათვალისწინებით (სეზონური ისტორიული ადგილებისთვის ზომიერ კლიმატურ ზონებში)	B	50% ან ნლიური საშუალო ± 10% სეზონური ცვლილებით ± 10%	ნიშნული 15-დან 250 C ± 50 C სეზონური + 50 / -100 C, -X0 C ფარდობითი ტენიანობის შესანარჩუნებლად

წყარო: ადაპტირებულია 1999 წლის ASHRAE Application Handbook-ის მიხედვით

აღნიშნული ASHRAE-ის AA, A და B კლასების სტანდარტებით გარემო პირობების უზრუნველყოფისას კაპიტალური დანახარჯები დიდად არ განსხვავდება, რადგან იცვლება მხოლოდ მონყობილობის მოცულობები და არა მათი რაოდენობა. მიუხედავად ამისა, AA ზომის მონყობილობის ყიდვას გარკვეული უპირატესობები აქვს, რა თქმა უნდა, თუ შენობისთვის ზიანის მიყენების გარეშე შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნდეს გარემოს პირობები. ასეთ შემთხვევაში დანარჩენი ორი კლასის გარემოს პირობების შექმნა შესაძლებელია მარტივად – ელექტროენერჯის მართვის კონტროლის სისტემის ხელახალი დაპროგრამებით. თუ მუზეუმს აქვს AA სტანდარტის აღჭურვილობა, შესაძლებელია ხდება სისტემის ნებისმიერ კლასში გადართვა. მაგალითად, ენერჯის და ხარჯების დაზოგვის მიზნით მუზეუმს შეიძლება ძირითადად A და B კლასის სტანდარტები ჰქონდეს მიღებული, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს AA კლასი დროებით გადმოცემული ექსპონატების გამოსაფენად.

კლასების მიხედვით მიმდინარე ხარჯებიც განსხვავებული იქნება. ზუსტი კონტროლის სისტემებში ყველაზე დიდ დანახარჯებს მოითხოვს AA კლასი, ხოლო B – ყველაზე მცირეს. ინჟინერ-მექანიკოსმა შესაძლოა განახორციელოს კომპიუტერული მოდელირება, რათა გამოითვალოს სხვადასხვა გარემო პირობების შექმნისთვის საჭირო მიმდინარე ხარჯები.

ზოგიერთ სტაბილურ და ზომიერ კლიმატურ პირობებში შესაძლებელია A და B კლასის გარემო პირობების მიღწევა მინიმალური რაოდენობის დანადგარების მეშვეობით, განსაკუთრებით მაშინ, როცა შენობაში ბუნებრივად არის შექმნილი საკმარისი პასიური ტენიანობის რეჟიმი და თერმული ბუფერინგი, ხოლო ქუჩის ჰაერის ინფილტრაცია/ექსფილტრაცია

არის პასიური ვენტილაციის ერთადერთი ხერხი. ფანჯრების გაღებით შესაძლებელია მარტივი ვენტილაცია ან ჰაერის გაცემა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჰაერის მიკრონაწილაკებისა და მავნე აირებისგან განმნდა მოითხოვს აღჭურვილობისა და ენერჯის გამოყენებას.

ტროპიკულ რეგიონებში, სადაც მთელი წლის და დღე-ღამის განმავლობაში მაღალი ფარდობითი ტენიანობაა, თავად შენობაში ფარდობითი ტენიანობის ნიშნული უნდა იყოს მაღალი, რათა მუდმივი კოლექციებისთვის შექმნილი გარემო პირობები მიუახლოვდეს ტენიანობის წლიურ საშუალო მაჩვენებელს. ასეთ რეგიონებში ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოკოს, ობის გაჩენა, შესაბამისად, თავიდან უნდა იქნას აცილებული ტენიანობა და მოხდეს ჰაერის ცირკულაცია. სამწუხარო პრაქტიკაა, რომ ტროპიკული რეგიონების ზოგიერთ მუზეუმში, ჰაერის კონდიციონირება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მუზეუმში ღიაა მნახველებისთვის, რაც იწვევს ტემპერატურისა და ტენიანობის დონეების ყოველდღიურ რყევას. ჰაერის კონდიციონირება იწვევს ექსპონატების გამოშრობას. ასეთ შემთხვევაში დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოკოვანი დაავადებების გაჩენა, რადგან საგნის ზედაპირზე არსებული ფარდობითი ტენიანობა შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ჰაერის კონდიციონირებამდე იყო. ამგვარად, თუ შენობის გარედან ცხელი ტენიანი ჰაერი მიაღწევს ცივ საგანამდე, შესაძლოა საგანზე მოხდეს ჰაერის კონდენსაცია, რაც განსაკუთრებით საშიშია ჰაერის კონდიციონირების სისტემების გამორთვის შემდეგ. ცხადია, რომ აღნიშნული პრაქტიკა რეკომენდებული არ არის.

თუ ხდება მოძრავი გამოფენების ზომიერიდან ტროპიკულ რეგიონში ჩატანა, დროებითი საგამოფენო დარბაზებში და დამხმარე ფართებში 24 საათის განმავლობაში 50% ფარდობითი ტენიანობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმ პერიოდისთვის, სანამ ექსპონატები მუზეუმში იმყოფება. იგულისხმება, რომ ოთახები, რომლებიც გამოიყენება ექსპონატების მისაღებად და გამოსაფენად, აღჭურვილი უნდა იყოს ტემპერატურის, ტენიანობისა და კონდიციონირების შესაფერისი სისტემებით. თუ მუზეუმი ადგილობრივ კოლექციას გამოფენს, მაშინ ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებელი უნდა შეესაბამებოდეს მუზეუმის სხვა საკოლექციო სივრცეებში არსებულ მაჩვენებელს. ამგვარი მიდგომა წარმატებით გამოიყენება სინგაპურის ხელოვნების მუზეუმში.

ტროპიკების მსგავსად, დროებითი გამოფენების დარბაზები და მათი დამხმარე ფართები ტემპერატურის, ტენიანობისა და კონდიციონირების ცალკე სისტემებით უნდა იყოს აღჭურვილი ზომიერი კონტინენტური კლიმატის პირობებშიც, ვინაიდან აქ მკაცრი ზამთარი იცის; ასეთივე მოთხოვნა არის მშრალი, უდაბნო ზონებისთვისაც. ყველა საგამოფენო სივრცე აუცილებლად უნდა იყოს იზოლირებული გარე კედლების/სახურავის/იატაკის ზედაპირისგან, ან სპეციალურად უნდა იყოს კონსტრუირებული შენობის სტრუქტურის დაუზიანებლად, რომ შენარჩუნდეს 50% ტენიანობა.

ზოგიერთი მასალისთვის უფრო სასარგებლოა ჩვეულებრივი 50-55% ტენიანობისგან განსხვავებული რეჟიმი. მაგალითად, ქალაქის ქიმიური სიცოცხლისუნარიანობა იზრდება, დაბალი ტენიანობის პირობებში, როცა ნიშნული 40% შეადგენს. ქალაქი კიდევ უფრო დაბალი ტენიანობის პირობებშიც "კარგად გრძნობს თავს", მაგრამ ამისთვის უკვე საჭირო ხდება სათანადო გამოსაშრობი მონყობილობის დამონტაჟება და გარკვეული აუცილებელი შეზღუდვების შემოღება კოლექციის მოვლის საკითხებში. ტემპერატურის დაწევა ტენიანობასთან ერთად მნიშვნელოვნად შეამცირებს მასალის შლის პროცესს. აღნიშნულის გათვალისწინებით მუდმივი გამოფენების შემთხვევაში, სასურველია ქალაქის და სხვა

სპეციფიკური მასალის ექსპონატებისთვის გამოიყოს ცალკე საგამოფენო დარბაზი, სადაც შენარჩუნდება სასურველი კლიმატი სპეციალურად მათთვის განკუთვნილი მონყობილობებისა და სისტემების მეშვეობით.

5.5.2 ჰაერის მოძრაობა და ჰაერი შენობის გარეთ

მუზეუმის შენობა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოს მასში არსებული კოლექციების პასიური დაცვა. იგულისხმება, რომ აღჭურვილობის შეკეთება-მომსახურებისა ან დენის გათიშვის დროს მუზეუმში აუცილებელად შენარჩუნდება სათანადო გარემო პირობები. შენობაში გარედან ჰაერის შეღწევა მაქსიმალურად უნდა იყოს შეზღუდული, რადგან სწორედ გარე ჰაერი არღვევს შენობის შიგნით არსებულ გარემოს. თუ საგამოფენო დარბაზი პირდაპირ ცენტრალურ ვესტიბიულში ან ისეთ სივრცეებში გადის, სადაც დარბაზთან მიახლოებული პირობების შენარჩუნება არ ხდება, მაშინ აუცილებელია კარი ძირითადად დახურული იყოს, რათა მოხდეს სასურველი გარემო პირობების რაც შეიძლება მეტად შენარჩუნება. კარი შესაძლოა იყოს მინის, მაგრამ კარგად დახშული, რაც არის დარბაზში არსებული პირობების მაქსიმალური დაცვის გარანტია.

კარგად დაგეგმილ მუზეუმებში შენობის გარე ჰაერის კონდიციონერებს უნდა ხმარდებოდეს ყველაზე მეტი ენერჯია და არა – შენობის შიგნით არსებული ჰაერის რეკონდიციონერებს, ვინაიდან ხდება სითბოს კარგვა/მიღება გარე ზედაპირებიდან. აუცილებელია მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ჰაერის გაყონვის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუშლის ტენიანობით გამონვეულ შენობის კონსტრუქციის დაზიანებას და პარაზიტების შენობაში შეღწევას. შენობაში უნდა არსებობდეს ნახშირორჟანგის (CO₂) სენსორები, რომლებიც, შენობაში დამთვალეირებელთა გადაჭარბებული რაოდენობის შესვლისას, დაუყოვნებლივ ირთვება, რათა კონდიციონერების სისტემამ გააკონტროლოს გარე ჰაერის ჩამკეტები და მინიმუმამდე დაიყვანოს ჰაერის შენობაში შეღწევის ალბათობა. შენობის მცირე ხნით განიავება შეიძლება, როდესაც შენობაში არ იმყოფება დამთვალეირებელი. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ვენტილაციის ნორმა 0.2 AC/H (ჰაერის ცლილება საათში), რაც ასევე დამოკიდებულია სივრცის მოცულობაზე.

გასათვალისწინებელია თერმული ცდომილება, რაც გამონვეულია სტრატეფიკაციით, ანუ თბილი ჰაერის მასის მალა ასელა და ცივი ჰაერის დაშვება. აღნიშნული წარმოიქმნება დარბაზებში დამონტაჟებული განათების, ვიზიტორების თერმული ზეგავლენით, აგრეთვე – გარე კედლებიდან, სახურავიდან, ფანჯრებიდან, ჭერის განათებიდან. ტენიანობის ცდომილებაზე გავლენა აქვს ვიზიტორთა დაფარულ სითბოსაც. ეს ის ფაქტორებია, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ძალიან პოპულარული გამოფენების დაგეგმვისას.

სტრატეფიკაციის დაძლევისა და ჰაერის ხშირად განმენდის მიზნით, რათა მოხდეს გარემოს უშუალო კონტროლი, შენობაში არსებული ჰაერის მასის სათანადო მონყობილობებში გატარება უნდა ხდებოდეს საათში ექვს-რვაჯერ, რაც ჩვეულებრივ არასამუზეუმო სივრცეებში მხოლოდ ოთხ-ექვსჯერ ხდება. განსაკუთრებით პოპულარულ გამოფენებზე ეს მაჩვენებელი 8-12-მდე არის უნდა გაიზარდოს.

სტრატეფიკაციის გაუმჯობესება შესაძლებელია ჰაერის სპეციალური გამანაწილებელი სისტემების მეშვეობითაც, რომელიც ეფექტურად ახდენს ჰაერის მასების შერევას და ამით

ხელს უშლის უმოძრაო ჰაერის დაგუბებას. ჰაერის გამანაწილებელი სისტემები, რომლებიც დარბაზს აწვდიან ჰაერის ახალ მასებს და ზღუდავენ ჰაერის უკან დაბრუნებას, კიდევ ერთი გზაა დარბაზებში სტარტიფიკაციის გასაუმჯობესებლად. ასეთი სისტემების დამონტაჟება ხდება კედლების ქვედა ნაწილში სათანადოდ გაკეთებული საჰაერო სარქველების მეშვეობით (შესაძლებელია ამგვარი სარქველების პლინტუსებთან ინტეგრირებაც), რაც გაცილებით უმჯობესია, ვიდრე მათი მოთავსება იატაკში, რადგან ასეთ შემთხვევაში, ისინი ულამაზოდ იჭრებიან საგამოფენო სივრცეში, განსაკუთრებით იქ, სადაც ხელოვნების ნიმუშებია განთავსებული.

5.5.3 ჰაერის სისუფთავე

ტემპერატურის კონტროლის, სტარტიფიკაციის ასპექტის, ფარდობითი ტენიანობის და ჰაერის ნაკადის ხშირი ცვლილების გარდა, აუცილებელია საგამოფენო დარბაზების სუფთა ჰაერით უზრუნველყოფა, რაც განსაკუთრებით რთულია იმ მუზეუმებში, რომელიც დიდ ურბანულ ცენტრებშია განთავსებული, სადაც ჰაერის დამაბინძურება განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს. ასეთ დროს საჭირო ხდება ჰაერის უძლიერესი ფილტრების დამონტაჟება, რომელიც ისეთ უმცირეს ნაწილაკებსაც კი გაფილტრავს, როგორცაა დიზელის ჭვარტი. სწორედ ეს უმცირესი ნაწილაკები (რომელთა დიამეტრი სულ რაღაც 1 მიკრონია) წარმოადგენს საგნის ზედაპირის გაშავების მიზეზს.

ფილტრების ეფექტურობა იზომება ორი ხერხით:

- ჩრდილო-ამერიკულ სტანდარტად მიღებული ASHRAE 52.1-1992 სტანდარტის მიერ დანესებული ეფექტურობის ტესტირება, *გრაფიმეტრიული და მტერის ლაქების შემონმების პროდუცტურები ჰაერგამწმენდი მონყობილობებისთვის, რომელიც გამოიყენება სავენტილაციო სისტემებში უცხო ნაწილაკების მოსაშორებლად*

- აღნიშნული სტანდარტის ევროპული ექვივალენტია ევროვენტის ტესტი (Eurovent Test) 4/5.

ამ სტანდარტების გამოყენებისას ჰაერის ფილტრებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი შემადგენლობა:

- წინასწარი ფილტრი 30 პროცენტისანი ეფექტურობით (ASHRAE), EU კლასი 4 (Eurovent)

- საშუალო ფილტრი, რომელსაც 85 პროცენტისანი ეფექტურობა გააჩნია (ASHREA), EU კლასი 7 (Eurovent)

- აქტივიზებული ნახშირის ფილტრი, რომელიც ხელს უწყობს შემდეგი მანევი აირების მოშორებას:

- SO₂ რომელიც < 1 მკგ/მ³ (0.4 ნაწილაკი მილიარდზე)

- NO₂ და HNO₃, რომელიც < 5 მკგ/მ³ (2.0 ნაწილაკი მილიარდზე)

- O₃, რომელიც < 2 მკგ/მ³ (1.0 ნაწილაკი მილიარდზე)

- და ბოლო ფილტრი, რომელიც ხასიათდება 95 პროცენტისანი ეფექტურობით აქტივიზებული ნახშირის ნაწილაკების დასაჭერად, რაც ევრო სტანდარტებით EU კლასი 8 (Eurovent) წარმოადგენს.

განურჩევლად იმისა, თუ რა დონის და სახის დაბინძურებას აქვს ადგილი შენობის გარე სივრცეში, რეკომენდებულია ჰაერის ნაკადების მარეგულირებელ სისტემებში აქტივიზე-

ბული ნახშირის ფილტრების დამონტაჟება. მაღალდაბვიანი (ელექტროსტატიკური) ჰაერის ფილტრების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, ოზონის წარმოქმნის საშიშროების გამო, რაც ხელს უწყობს და აჩქარებს კოლექციების დაზიანებას.

5.5.4 სინათლის დონეები

ტენიანობის და ტემპერატურის სასურველი დონეების შესწავლის გარდა, მეცნიერულად დადგინდა, რომ სამუზეუმო ექსპონატების უმრავლესობას შეუძლია უფრო მეტი განათების ატანა, ვიდრე ეს მესაკუთრესთან შეთანხმებებშია ხოლმე განერილი. იუხედავად ამისა, ტენიანობის და ტემპერატურის სამი სტანდარტული დონიდან გადახრა, მოითხოვს კოლექციის ხასიათის უფრო ღრმა ცოდნას, რათა დადგინდეს ექსპონატების განათების და ტემპერატურის სტაბილურობის ასპექტები. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ განათების დონის გაზრდამ, შესაძლოა გამოიწვიოს ინფრანითელი დასხივება საგანზე, რაც თავისთავად გაზრდის ტემპერატურას, შეამცირებს ფარდობითი ტენიანობის დონეს და გამოაშრობს ექსპონატს.

მეტიც, მუზეუმში ვალდებულია, მკაცრად დაიცვას მესაკუთრესთან დადებული შეთანხმების მუხლები. ასევე საგულისხმო ფაქტორია მუდმივი კოლექციების (ან ხანგრძლივი დროებითი გამოფენების), ექსპონატებზე წლიური განათების დონეების ზემოქმედება, რომლებიც იანგარიშება სინათლის ლუქსების დონეების გადამრავლებით იმ საათების რაოდენობაზე, როცა ექსპონატები განათებულია.

5.7 ცხრილში მოცემულია განათების დონეების რეკომენდაციები, რომელიც გააიოლებს ან საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას როგორც დროებითი, ასევე მუდმივი ექსპოზიციებისთვის და ამასთან, უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს მასალების უმეტესობისთვის:

მართალია, არსებობს აზრი, რომ შედარებით არამგრძობიარე საგნებისთვის შეიძლება დაშვებული იყოს უფრო მაღალი ან შეუზღუდავი განათების დონეებიც, მაგრამ უმჯობესია

ცხრილი 5.7: რეკომენდებული განათების დონეები მუზეუმის ექსპოზიციებისთვის

საგნის კლასი	ვგ ზემოქმედება	განათების დონეები	წლიური განათება
განსაკუთრებით მგრძობიარე	ქალღმადღე შესრულებული ხელოვნების ნიმუშები, ტექსტილი, ბუმბული, შეღებილი ტყავი, თექა, მელნის კალმით შესრულებული მხატვრობა	50 ლუქსი	120,000 ლუქს-საათი წელიწადში
მგრძობიარე	ზეთის საღებავებით, ტემპერით შესრულებული სურათები, სხვა ორგანული მასალები	200 ლუქსი	500,000 ლუქს-საათი წელიწადში
შედარებით არამგრძობიარე	ქვები, მინა, კერამიკა, შეუღებავი ლითონი, არაორგანული მასალები	300 ლუქსი	მონაცემი არ არის

მანც 300 ლუქსამდე დონის შენარჩუნება, რადგან ეს არის დონე, რომელიც ექვესჯერ აჭარბებს მგრძობიარე საგნებისთვის დაშვებულ განათებას, მაგალითად, ქალაქში შესრულებული ნამუშევრებისთვის. ამასთან, ადამიანის თვალს შეუძლია კონტრასტის დაფიქსირება სწორედ ამ განაკვეთში. შესაბამისად, ქვის ქანდაკების ნახატი შესაძლოა თავისუფლად გამოიფინოს 50 ლუქსით განათებული იმავე დარბაზის არეალში, სადაც სხვა ადგილას ექსპონირებული სკულპტურის განათება 300 ლუქსამდეა აწეული.

ცხრილში 5.7. მოცემული სტანდარტების გარდა, მათთან კავშირში უნდა გამოიყენებოდეს ქვემოთ მოყვანილი დამატებითი სტანდარტები:

- იმ არეალში, სადაც მონიტორინგი ხორციელდება ვიდეო თვალის მეშვეობით, უსაფრთხოების განათების დონე იატაკის დონიდან 1 მეტრზე უნდა შეადგენდეს 5 ლუქსს
- ულტრაიისფერი გამოსხივება უნდა შემცირდეს < 75 $\mu\text{ვატი/ლუმენამდე}$ მანც, მაგრამ ამასთან, უნდა არსებობდეს თანამედროვე ფილტრები, რომელსაც შეუძლია < 10 $\mu\text{ვატი/ლუმენის}$ დაფიქსირებაც. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ულტრაიისფერი გამოსხივების დასაშვები დონე, საჭიროა შენარჩუნდეს ზემოთ მოცემული რაოდენობის ლუქსი
- ფერის კორელირებული ტემპერატურა ფლურეცენციული თუ სხვა სახის ნათურებისთვის უნდა შეესაბამებოდეს საგამოყენო დარბაზებში არსებულ განათების სხვა ნყარობს
- ფერთა არეკვლის მაჩვენებელი ფლურეცენციული თუ სხვა სახის ნათურებისთვის მინიმუმ R_r (საშუალო მაჩვენებელი) 85 უნდა შეადგენდეს, ხოლო R_w (ცუდი მაჩვენებელი) 75
- ინფრანითელი გამოსხივების სითბოს თავიდან აცილების მიზნით, სამუზეუმო ექსპონატები დაცული უნდა იყოს მზის სხივებისგან, ხოლო განათება უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ აღწერილი ლუქსების დონეს.

5.5.5 მასალების შერჩევა საგამოყენო დარბაზებისა და ვიტრინებისთვის

გამოყენებისთვის გამოყენებული მასალები უნდა იყოს ქიმიურად მდგრადი, რათა არ გამოიწვიოს ექსპონატების დაზიანება. საღებავები, იატაკის და კედლის საფარი უნდა შეირჩეს მეტად ფრთხილად, რაც გულისხმობს არა მარტო ადვილად აალებადი ნივთიერებების შეზღუდვას, არამედ მასალებისგან მავნე აირების გამოყოფის ალბათობის შემცირებას. უმჯობესია თავი შევიკავოთ ახალ ან ახლად გარემონტებულ დარბაზებში ექსპონატების სასწრაფოდ განთავსებისგან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიტრინების დასამზადებლად გამოყენებული მასალების შემონახვა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მასში მავნე ქიმიური ნივთიერებების, როგორცაა ფორმალდეჰიდები, თუ სხვა სახის მჟავის ნაერთების არსებობის შესაძლებლობა. მის გამო ვიტრინების დასამზადებლად რეკომენდებული არ არის ხის (ვთქვათ, მუხის) მასალის გამოყენება. თუ ვიტრინების დასამზადებელი მასალა მავნე ექსპონატისთვის, მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სათანადოდ იქნება იზოლირებული, რითაც შემცირდება მავნე ნივთიერებების აორთქლების შესაძლებლობა.

შემონახვა სჭირდება არა მხოლოდ ვიტრინების დასამზადებლად გამოსაყენებელ მასალებს, არამედ მათში გამოყენებულ სხვა მასალებსაც, როგორცაა ქსოვილი, გადასაკრავი და დასაგმანი მასალები, ნებისმიერი საღებავი თუ სითხე. ეფექტურია აორთქლებისგან

დამცავი მრავალფენიანი ლამინირებული საფარები ვიტრინებისთვის. ქიმიურად მდგრადი უნდა იყოს ის მასალები, რომელიც გამოიყენება ექსპონატის ადგილზე დამაგრების დროს (თუ ეს საჭიროა) საგნის სიმძიმის გასაზრდელად, მიზიდულობის ცენტრის შესამცირებლად ან ვიბრაციისგან დასაცავად.

თუ დიდია საგნის დაბინძურების რისკი, ვიტრინის გარეთ თუ შიგნით, მაგნე აირების შემწოვად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აქტივიზებული ნახშირის საფარი. აქტივიზებული ნახშირი შესაძლოა მოთავსდეს თავად ვიტრინის ძირზე, ან ნახშირით გაჯერებულ ნაჭრის საფარში, ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ჰაერის ცირკულირების უზრუნველყოფა.

მასალათა ტესტირების და მათი შერჩევის შესახებ დეტალური რჩევების მიღება შეიძლება ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი), გეთის კონსერვაციის ინსტიტუტში (ლოს ანჟელესი) და კანადის კონსერვაციის ინსტიტუტში (ოტავა).

5.5.6 საგამოფენო დარბაზების მიკროკლიმატი

საგამოფენო დარბაზების მიკროკლიმატი გულისხმობს გარემოს, რომელიც შექმნილია უშუალოდ ვიტრინებსა თუ დიორამებში და განსხვავდება ზოგადად საგამოფენო სივრცეებში არსებული კლიმატისაგან. ეს განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება მაშინ, როდესაც ზოგადი გარემოს კონტროლი დანახარჯებთან და დიდი რაოდენობის ენერჯის გამოყენებასთან არის დაკავშირებული, ან შესაძლოა აზიანებდეს შენობის კონსტრუქციას (როგორც ზოგიერთ ისტორიულ ადგილებში), ან თუ გამოფენაზე ექსპონირებულია ისეთი საგნები, რომელთაც განსხვავებული გარემოს შექმნა სჭირდება. მაგალითად, ლითონის აგნები, რომელთაც 30% ტენიანობა სჭირდება, ხოლო სხვა დანარჩენი საგნებისთვის 50% ენიანობაა რეკომენდებული. მიკროკლიმატის კიდევ ერთი დანიშნულებაა ექსპონატისთვის გარემოს შეცვლის შემთხვევაში, მისი განსხვავებული ტენიანობის მქონე გარემოსთან თანდათანობით ადაპტირება.

არსებობს მიკროკლიმატის ორი ტიპი – პასიური და აქტიური. პასიური მიკროკლიმატი უბრალოდ იყენებს იმ მასალებს, რომელიც საჭიროა ექსპონატის უახლოესი გარემოს კონტროლისთვის, ხოლო მეორე, აქტიური ტიპი, იყენებს მექანიკურ საშუალებებს მიკროკლიმატის დასარეგულირებლად.

5.5.6.1 პასიური მიკროკლიმატი

პასიური მიკროკლიმატის შესაქმნელად შესაძლოა გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი პასპარტუ, რომელსაც უკან მიმაგრებული აქვს მტვერგაუმტარი ქალაღდი. ასეთ შემთხვევაში იგი აღარაა საჭირო სპეციალური მასალისაგან დამზადებული დამცავები.

მეორეს მხრივ, სურათისთვის პასიური მიკროკლიმატის შექმნას შესაძლოა მივალნოთ მისი ჩარჩოს უკან სილიკონის სპეციალური პანელების მიმაგრებით. ამგვარ სისტემაში სილიკონის რაოდენობა ძალიან დიდია თავად მიკროკლიმატის შესაქმნელად განკუთვნილ სივრცესთან შედარებით, შესაბამისად, შეიძლება ძალიან მაღალი იყოს ჰაერის გაყოფის დონეც, მაგრამ არ გამოიწვიოს ბუფერის მნიშვნელოვანი დაზიანება.

წიგნის 7.1. ნაწილში აღწერილია საგამოფენო ვიტრინებისთვის საჭირო სხვადასხვა

კრიტიკიუმები, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანი სიმჭიდროვის კრიტიკიუმში. რაც უფრო მჭიდროა ვიტრინა, მით უფრო მცირე მასალაა საჭირო დამცავი ზონების შესაქმნელად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დარბაზში არსებული საშუალო ფარდობითი ტენიანობა, ძირითადი ცდომილებების გამოკლებით, შეადგენს ტენიანობის იმ დონეს, რომელიც უნდა იყოს ვიტრინაში საჭირო გარემოს შესანარჩუნებლად. 1999 წელს გამოცემული ASHRAE-ს სახელმძღვანელოს მიხედვით, ვიტრინების უმრავლესობაში დღეში 10-დან 100-მდე ჰაერის გაყონვის შემთხვევაა, თუმცა კარგად დამზადებულ ვიტრინებში ეს მონაცემი შესაძლოა 0.1-მდე შემცირდეს. რა თქმა უნდა, როცა დიზაინი ასეთი გულისყურითაა განხორციელებული, ვიტრინაში განათებაც სათანადოდ უნდა გაკონტროლდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული გადახურება და ინფრანითელი გამოსხივება.

თუ ვიტრინაში საჭიროა საგამოფენო სივრცისგან განსხვავებული ფარდობითი ტენიანობის დონის შექმნა, მაშინ აუცილებელია სპეციალური რეკონდიციონირებადი ტენიანობის დამცავი მასალით აღჭურვილი მჭიდრო ვიტრინა, რათა დამცავი მასალის სათანადო რაოდენობის გამოყენებით, მოხდეს რეკონდიციონირების სიხშირის შემცირება. თავად ვიტრინაში ვენტილატორის მეშვეობით უზრუნველყოფილმა ცირკულაციამ და დამცავი ზონებიდან ჰაერის ამ მექანიზმით გამოტანამ, შესაძლოა შეამციროს სტრადიფიკაცია და გაზარდოს დამცავი მასალების ეფექტურობა და მათ დიდ რაოდენობაზე მოთხოვნილება. აქტიუზებული ნახშირის დამცავებმა, რომელიც მათ აირის მოშორებას უწყობს ხელს, ასევე შესაძლოა გაზარდოს ტენიანობის შენარჩუნება.

5.5.6.2 აქტიური მიკროკლიმატი

აქტიური მიკროკლიმატი იქმნება სპეციალური დანადგარების მეშვეობით, რომელიც ვიტრინებშია დამონტაჟებული. ამგვარ ვითარებაში ჰაერის გაყონვა ნაკლებად პრობლემატურია, რადგან კონდიციონირებული ჰაერი რეგულარულად ახლდება. ჰაერის მაკონდიციონირებელი ეს მოწყობილობები შესაძლოა დამონტაჟდეს უხილავ ადგილას თავად ვიტრინაში ან მის ძირზე, ან ახლომდებარე ოთახში, საიდანაც მოემსახურება ერთ ან რამდენიმე ვიტრინას. ზოგიერთ შემთხვევაში ტენიანობის შესანარჩუნებლად საჭირო ხდება წყლის რეგულარული დამატება, რაც დამატებით საზრუნავს წარმოადგენს.

ვიტრინაში მიკროკლიმატის შექმნის ნებისმიერი ვარიანტის შემთხვევაში აუცილებელია ყურადღება მიექცეს ჰაერის სათანადო ცირკულაციას, რათა არ შეიქმნას დაგუბებული ჰაერის ჯიბეები, ან ჰაერის ნაკადი პირდაპირ არ იქნას მიშვებული ექსპონატზე. შესაბამისად, საჭირო ხდება შიდა კლიმატის კონტროლი, რაც სპეციალურად დამონტაჟებული პიდროთერმოგრაფული მოწყობილობით ან სხვა სახის სენსორების მეშვეობით ხდება. ნებისმიერ შემთხვევაში მიკროკლიმატური პირობების შექმნაზე კონსერვაციის სპეციალისტები უნდა მუშაობდნენ და მათვე უნდა ჩაატარონ სათანადო ტესტირებებიც.

5.5.7 მავნებლებისგან დაცვა

კარგად დაპროექტებულ და კონსტრუირებულ ახალ მუზეუმებში მავნებლების შენობაში შელწევა ძალიან ძნელია. ხშირად გამოყენებულ კარებს წინ უნდა ჰქონდეს ვესტიბული, რომელიც დამუშავებული ჰაერის გაყონვისაგან და მავნებლებისაგან იცავს შიდა

სივრცეს. მუზეუმის შენობა აუცილებლად უნდა იყოს ჰერმეტიულად დახშული, რათა მასში არ შეაღწიოს მავნე აირებმა და ამავე დროს ხდებოდეს ჰაერის სათანადო კონდიციონება, ამასთან, კონდიციონების სისტემებმა უნდა წარმოქმნან მსუბუქი დადებითი მუხტი. ყველა თანდართულ მულტიკომპონენტთან ფილტრებთან ერთად, კონდიციონების სისტემები ასევე წარმოადგენს მავნებლებისგან დამცავ საშუალებას. აუცილებელია მუზეუმს გააჩნდეს მავნებლებისგან დასაცავი კარგად განერილი პროცედურები. მავნებლების შენობაში შეღწევისა და მათი აღმოჩენის შემთხვევაში, სჭირია დაუყოვნებლივ მოხდეს დეზინფექცია.

იმ შენობებში, სადაც არსებობს მავნებლებისგან დამცავი პასიური სისტემები, მათი შენობაში შეღწევა შესაძლებელია სხვადასხვა მასალების, მაგალითად, საკვების, საოფისე საგნების, მალაზიის საქონლის, სამშენებლო მასალების, დროებით სარგებლობაში მიღებული ექსპონატების და მათი ყუთების შეტანით მოხდეს. მუზეუმში შემავალი ყველა სახის ტვირთი უნდა შემოწმდეს დასატვირთ ან მიმღებ პლატფორმაზე, რათა გამოირიცხოს მავნებლების არსებობა. ნებისმიერი საეჭვო ტვირთი უნდა მოხვდეს იზოლირებულ ადგილას და გაიხსნას იქ, საიდანაც შეუძლებელია ინფექციის შენობაში შეღწევა.

ზოგჯერ, სანამ ტვირთი არ გაიხსნება, ან სულაც ყუთის შიგთავსი მუზეუმში მისთვის განკუთვნილ ადგილას არ აღმოჩნდება, შეუძლებელია ინფიცირებული ტვირთის აღმოჩენა. ამის გამო ყუთების საგამოფენო დარბაზებში ან კოლექციის საცავებში გახსნა არ არის რეკომენდებული. საჭიროა გამოიყოს სპეციალური საიზოლაციო ოთახები, რათა მოხდეს საგნებზე დაკვირვება და მხოლოდ ამის შემდეგ განთავსდეს საგამოფენო დარბაზებში. იგივე, სპეციალურად დაგმანული სივრცეები, შეიძლება გამოყენებულ იქნას სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად, რაც შეიძლება გულისხმობდეს გაყინვას ან ინერტული გაზების გამოყენებას პოლიეთილენის გარსაკრავებში. ზედმეტია გაფრთხილება, რომ სანამ არ მოხდება ინფიცირების ნიშნების სრული აღმოფხვრა (რასაც შესაძლოა რამდენიმე კვირაც კი დასჭირდეს), ასეთი საგნის მუზეუმში განთავსება დაუშვებელია.

5.5.8 მოძრაობა და ვიბრაცია

მუზეუმის მუშაკთათვის და კოლექციონერებისთვის კიდევ ერთ საფიქრალს წარმოადგენს ის, რომ სპეციალური გამოფენებისთვის ექსპონატების დროებით გადაცემის დროს პრობლემას წარმოადგენს ექსპონატების ტრანსპორტირებასთან ხმაური, რყევა და ვიბრაცია, რომელიც თან სდევს მოძრაობას. ეს ფაქტორები შესაძლოა შემცირდეს ექსპონატის სათანადო შეფუთვით, რაც თავისთავად ერთგვარი ხელოვნებაა. შეფუთული ნივთის დაზიანება შესაძლოა გამოიწვიოს არასწორ სატვირთო პლატფორმაზე ან უსწორმასწორო იატაკის ზედაპირზე გადატანამ. აღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება ჰიდრაულიკური დოკებისა და სპეციალური მათანაბრებელი მონწყობილობის შექმნის აუცილებლობა, რომელიც განთავსდება ტვირთის მიმღებ სივრცეებში და უზრუნველყოფს ყუთების ფრთხილად გადმოტვირთვას.

იყო შემთხვევები, როდესაც ვიზიტორთა მოძრაობის შედეგად წარმოშობილმა ვიბრაციამ, ექსპონატები სადგამის ზედაპირიდან გადმოაგდო. ექსპონატის დაზიანების მიზეზი შესაძლოა იყოს არამყარად დამონტაჟებული კონდიციონების სისტემების ვიბრაცია, საგზაო თუ სარკინოგზო მოძრაობით გამოწვეული შენობის გარე ვიბრაცია, შენობის გარეთ მიმდინარე სამშენებლო საქმიანობა. განსაკუთრებლად ძლიერ ვიბრაციას აქვს ადგილი

მინისძვრის დროს. შესაბამისად, სეისმურად აქტიურ ზონებში მუზეუმების მშენებლობის ან განახლების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ეისმური სტანდარტები. ეს სტანდარტები ძირითადად მიუთითებს იმ დანაკარგის პროცენტულობას, რომელიც შეიძლება მუზეუმმა განიცადოს კონკრეტული სიძლიერის მინისძვრების დროს. კონსერვაციის სპეციალისტებმა და გამოფენის მოსამზადებელ საქმიანობაში ჩართულმა მუშაკებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდები ექსპონატთა მუზეუმში გამოსაფენად, კერძოდ, დამზადდა ისეთი ვიტრინები, რომლებიც თავისუფლად უძლებს სტიქიურ უბედურებებს, არ ზიანდება არც ვიტრინა, არც შიგნით განთავსებული ექსპონატები. სან-ფრანცისკოს აზიის ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები ამ სფეროში ნამდვილი ლიდერები არიან.

მუზეუმებში აუცილებელია იატაკი იყოს სწორზედაპირიანი, რაც ხელს შეუწყობს ურიკების და სხვა მოწყობილობების გადაადგილებით გამოწვეული ვიბრაციის შემცირებას. დასატვირთ პლატფორმაზე ჰიდრავლიკური ამწე-დოკების გამათანაბრებელს, ნაცვლად უფრო გავრცელებული ჭადრაკულად განლაგებული ლითონის ფირფიტებისა, უნდა ჰქონდეს სწორი, არამცურავი ზედაპირი, რომელიც ხელს უშლის ვიბრაციას. მუზეუმებში იატაკის დაგებისას, ტვირთის მოძრაობისთვის გასათვალისწინებელი საჭირო ნორმების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია იმ მყარი მასალების გამოყენება, რომელიც ზემოქმედი ძალების აბსორბირების მეშვეობით ხელს შეუშლის ვიბრაციის წარმოქმნას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საჭირო პროფილის სპეციალისტებმა დეტალურად შეისწავლონ ყველა საკითხი, რაც უზრუნველყოფს საუკეთესო გარემოს შექმნას ექსპონატების დასაცავად.

5.6 დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება მუზეუმებში

პიტერ ოსბორნი

ხელოვნების ნუმუშებისა და ანტიკვარიატის მუზეუმებიდან მოპარვა, თითქმის ყოველდღიურად ხდება მთელს მსოფლიოში. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ამგვარი ქურდობები ძირითადად მუდმივ და დროებით საგამოფენო სივრცეებში ხდება. მრავალი დანესებულებით სთვის ასევე მნიშვნელოვანია ხანძრის პრობლემა, როცა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა უპირველესი საკითხია. ამდენად, საზოგადოებისა და ექსპონატების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მუზეუმის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფა როგორც საგამოფენო დარბაზებში, ისე დამხმარე ფართებში.

მართალია დაცვა ნებისმიერ საგამოფენო პროგრამაში უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება ყველა სხვა მიზნებზე მაღლა დგას, შესაბამისად, ნებისმიერ დანესებულებას გააჩნია როგორც მორალური, ისე სამართლებრივი ვალდებულება, თავის ტერიტორიაზე დაიცვას თითოეული ადამიანი. სათანადო დაცვისა და უსაფრთხოების ზომების არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელია გაიზარდოს როგორც ადამიანების, ასევე ექსპონატების საფრთხის რისკი, რამაც შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

სხვა სამუშაო მოთხოვნების გარდა, მუზეუმს უნდა გააჩნდეს ნათლად ჩამოყალიბებული საგამოფენო პოლიტიკა, სადაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები. იმ მომენტიდან, როდესაც მუზეუმის მესვეურები იწყებენ

ფიქრს მუდმივ თუ დროებით გამოფენებზე, აუცილებელია განისაზღვროს დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები და მიღწეულ იქნას ზოგადი შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან. დიდ მუზეუმებში ამ ასპექტთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა დაეკისრება დაცვის ხელმძღვანელს, ხოლო შედარებით მცირე დანესებულებებში შესაძლებელია ამ საქმისთვის გამოიყოს ერთი მუშაკი. დაცვისა და უსაფრთხოების ნორმების განსაზღვრისას, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ქურდობის შემთხვევები, ექსპონატის განზრახ დაზიანება და ხანძრის გაჩენა, შესაძლებელია განხორციელდეს როგორც გარე, ასევე შიდა წყაროებიდან.

გამოსაფენი ექსპონატის მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპონატის პრეზენტაციისთვის, მაგრამ ამავე დროს, ამ ექსპონატის ღირებულებამ და მისმა უნიკალობამ, შესაძლოა გვიკარნახოს საგნის გამოფენისთვის საჭირო კონკრეტული მეთოდი ან დაცვის შედარებით გაძლიერებული დონე. დაცვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე შესაძლოა, გავლენა იქონიოს სახელმწიფო გარანტიამ ან კომერციულმა დაზღვევამ. რაც შეეხება გამოფენების მოსაწყობად დროებით სარგებლობაში მიღებულ საგნებს, მესაკუთრემ შესაძლოა თხოვების შესახებ შეთანხმებაში მოითხოვოს უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გატარება.

მუზეუმის შიდა კომუნიკაცია დიდად განსაზღვრავს წარმატებული გამოფენის მოწყობას და საუკეთესო შედეგებს. ის ადამიანები, რომელებიც პასუხს აგებენ დაცვისა და უსაფრთხოებაზე, უნდა იცნობდნენ სხვადასხვა ფაქტორებს და საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ კავშირი იქონიონ გამოფენის ორგანიზატორებთან თუ სხვა შიდა თუ გარე წყაროებთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაცვა და უსაფრთხოება არ წარმოადგენს მხოლოდ მცველების საზრუნავს. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის, შენობების, მათში განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის და სხვათა დაცვა, მუზეუმის თითოეული მუშაკის საპასუხისმგებლო სფეროს წარმოადგენს. მათ დაუყოვნებელი რეაქცია უნდა მოახდინონ ნებისმიერ პრობლემურ საკითხზე და მიიღონ სათანადო ზომები. ამისათვის კი საჭიროა წვრთნა, ხოლო ინციდენტებთან დაკავშირებით მათი რეაქცია ანუ მოქმედების დეტალები, წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

ამასთან, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ გამოფენებს აქვთ ადამიანთა გართობისა და მათთვის სიამოვნების მინიჭების ფუნქცია. ამიტომ, დაცვისთვის მიღებული ზომები მინიმალურად უნდა იყოს შესამჩნევი გამოფენის დიზაინში.

ამ თავში ჯერ განიხილება მუზეუმის გამოფენებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ხოლო შემდგომ – ექსპონატების დაცვის საკითხები.

5.6.1 საზოგადოებრივი უსაფრთხოება

შენობებში თუ დარბაზებში, სადაც დაიშვება საზოგადოების წარმომადგენლები, თანამშრომლები, კონტრაქტორები და მნახველები, თავდაპირველ საზრუნავს წარმოადგენს ადამიანთა სიცოცხლის დაცვა, რასაც წინ უნდა უძღოდეს კომპლექსური შეფასებები საზოგადოების უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით. უნდა იქნას ჩამოყალიბებული პოტენციური რისკის სანინაალმდეგო ნებისმიერი კონტროლისძიება. აუცილებელია ამ ღონისძიებების განერა სამუშაო პროცედურებისა და სტიქიური უბედურებების სამოქმედო გეგმებში. პროცედურები უნდა გაინეროს ყოველდღიური, რუტინული სამუშაოსთვისაც.

ადამიანები შესაძლოა აღმოჩნდნენ სხვადასხვა საშიშროების წინაშე, როგორცაა ცეცხლი, კვამლი, სიცხე, აფეთქება, ტრავმა, ავადმყოფობა, თავდასხმა. ამ რისკების შესამცირებლად შესაძლებელია გარკვეული სიფრხილის გამოჩენა, რაც უნდა განხორციელდეს ექსპოზიციის დაგეგმვისა და ყოველდღიური მუშაობის პროცესში. არსებობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უამრავი ფაქტორი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული დროებითი თუ მუდმივი გამოფენების მონყობისას. ყველაზე მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაცვა და განსაკუთრებული მდგომარეობის დროს – ტერიტორიიდან ევაკუირება.

საზოგადოებრივი ღონისძიების ყველაზე დიდი რისკს წარმოადგენს ხანძარი. მრავალ ქვეყანაში გამოფენის დიზაინერი ვალდებულია გაიაროს კონსულტაციები სათანადო სახანძრო უწყებებთან და მიიღოს ნებართვა ნებისმიერი გამოფენის გასამართად. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამოფენის ნებისმიერ კომპონენტს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ცეცხლის გაჩენის წყაროს ან უბრალოდ, არღვევდეს ხანძარსაწინააღმდეგო წესებს. ამ წესების შესრულებისას, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ხელოვნების ნიმუშებიც ექვემდებარება ამ წესებს. ეს განსაკუთრებით ეხება თანამედროვე ხელოვნების გამოფენებს.

ქვემოთ მოყვანილი კითხვები მიუთითებს ზოგიერთ ძირითად საკითხზე, რომელიც საჭიროებს გააზრებას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის:

- ექსპოზიციის რაიმე ნაწილი, მაგალითად, დიდი სტენდი, ხომ არ ეფარება ავარიულ გასასვლელს და ხომ არ ბლოკავს მისკენ გზას?
- წარმოადგენს თუ არა ექსპონირებული ნამახვილებული, ან შორს გამომკერილი, საგანი დამთვლიერებელთათვის საფრთხეს?
- შეიძლება თუ არა, რომ მანქანების ექსპონირების დროს მათი ზოგიერთი ნაწილი კვლავ მუშა მდგომარეობაში იყოს, თუ ეს ასეა, დაცულია თუ არა ვიზიტორთა უსაფრთხოების სტანდარტები?
- იქნება თუ არა ამ მანქანებისთვის საჭირო სანვაი შენახული და გამოყენებული ჯანმრთელობისა და გარემოსთვის უსაფრთხო პირობებში?
- გამოინვევს თუ არა არსებული ბარიერები დამთვლიერებელთა თავმოყრას ვიტრინებთან?
- არის თუ არა საგამოფენო მასალები ცეცხლგამძლე?
- არის თუ არა საგამოფენო ექსპონატები ისე განთავსებული, რომ ხელი არ შეუშალოს ცეცხლსაწინააღმდეგო სისტემების ეფექტურად მუშაობას?
- არსებობს თუ არა სათანადო პორტატული ცეცხლმაქრები გამოფენის ზონაში და შეუძლიათ თუ არა ტანამშრომლებს მათი გამოყენება?
- შეესაბამება თუ არა დროის ნებისმიერ მონაკვეთში მუზეუმში ვიზიტორთა მაქსიმალური რაოდენობა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სტანდარტებს (ექსპონატების მიერ დაკავებული სივრცის გათვალისწინებით)?
- შესაძლებელია თუ არა დარბაზებში დასაჯდომი ადგილების გაკეთება არსებული საზოგადოებრივი სივრცის მეტისმეტად გადატვირთვის გარეშე?
- არის თუ არა საგამოფენო დარბაზებში სამოძრაოდ უნარშეზღუდული ვიზიტორების უსაფრთხოების მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებული?
- არის თუ არა დიდი ზომის ექსპონატები უსაფრთხო და დაცული?

- შესაძლებელია თუ არა ექსპონატებიდან მტვრის მოცილება დაზიანების გარეშე?
- თუ არის აუცილებელი საგამოფენო დარბაზებში დენის კაბელების გაყვანა იატაკზე?

უსაფრთხოების მიზნით, მნიშვნელოვანია გადანყვეტილების მიღება, დაიშვას თუ არა საგამოფენო დარბაზებში მნახველები პალტოებით, ჩანთებით, ქოლგებით. უსაფრთხოების დაცვის მიზნით ეს არ არის რეკომენდებული. უცილებელია, რომ თვალსაჩინო ადგილზე იყოს მინიშნება, რომ გალერებში ნებადართული არ არის პირადი მოხმარების საგნებით შესვლა. ასეთი ნივთების შესანახი ადგილები, უნდა განლაგდეს შესასვლელთან ახლოს, იზოლირებულად და იქ მუდმივად იმყოფებოდეს პერსონალი. ტუალეტების რაოდენობა აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს მნახველების სავარაუდო რაოდენობას.

ვიზიტორების ნაკადის მოზღვაება მოითხოვს პერსონალისგან ყურადღებასა და სიფრთხილეს, მნახველების რაოდენობის მუდმივ შემოწმებას ჭედვის თავიდან ასაცილებლად. თუ გამოფენა ძალიან პოპულარულია, ან დაგეგმილია სკოლის მონაწიეების მიღება, შესაძლოა მოულოდნელად მოხდეს ხალხის მოზღვაება. ასეთ შემთხვევაში, მნახველების განბილებისა და უკმაყოფილების თავიდან ასარიდებლად პერსონალის მკაცრი და თავაზიანი მოპყრობა ხდება საჭირო. დარბაზის გადაჭედვამ შესაძლოა გამოიწვიოს ექსპოზიციის დაზიანება, ხოლო ნალექიან დღეებში შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოს კონტროლზე. პოპულარული გამოფენების დროს საჭიროა დაცვის გაძლიერებაც. ასეთ შემთხვევებში სასურველია მნახველთათვის გამოფენაზე ყოფნის ლიმიტირებული დროის დაწესება, რაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შენობაში მყოფ ადამიანთა რაოდენობის კონტროლს შეუწყობს ხელს.

ექსპოზიციის დროს სასურველი არ არის შენობაში რაიმე სამშენებლო თუ სარემონტო საქმიანობის წარმოება, მაგრამ თუ ასეთი სახის სამუშაო გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, მნახველები არ უნდა დავეშვათ ამ სივრცეებში. კონტრაქტორებს, რომლებიც სამუშაოს ასრულებენ, არ უნდა მიეცეთ უფლება თავისუფლად გამოიყენონ ავარიული გასასვლელები. თუ დამთვლიერებლებს საგამოფენო თუ სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში რაიმე სახის საფრთხე ემუქრებათ, მაშინ მათი იქ დაშვება, სანამ ეს სივრცეები გამოყენებისთვის მთლიანად უსაფრთხოდ არ ჩაითვლება, უნდა აიკრძალოს.

მართალია, საგამოფენო სივრცეების დასუფთავება უმნიშვნელოვანესი ნაწილია მიმზიდველი და ჯანმრთელი გარემოს შესანარჩუნებლად, მაგრამ ამგვარი საქმიანობის განხორციელება არ უნდა ხდებოდეს დარბაზებში დამთვლიერებელთა ყოფნის დროს, რადგან სველი იატაკი, სანშენდი საშუალებები და ტექნიკა მათთვის ზიანის მიყენების გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომ გამოფენის მუშაობის საათები ზუსტად უნდა დაიგეგმოს დასუფთავების დროის გათვალისწინებით.

იმ საგამოფენო დარბაზებში, სადაც გამოფენილია სინათლისადმი მგრძობიარე ექსპონატები, საჭიროა სუსტი განათება, მაგრამ ამასთან, სათანადო ხილულობის უზრუნველსაყოფად როგორც დამთვლიერებლებისთვის, ისე დაცვის მუშაკებისთვის, აუცილებელია დარბაზის კარგად განათებაც. არასათანადო განათებამ შესაძლოა ზოგიერთ ვიზიტორში კლასტროფობია გამოიწვიოს ან ხელი შეუშალოს დაცვის მიზნით სივრცეების თვალყურის დევნებას.

მუზეუმს უნდა ჰყავდეს სულ ცოტა, ერთი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა. საუკეთესო შემთხვევაში, მუზეუმის შტატი

ისე უნდა იყოს დაკომპლექტებული, რომ ერთის არყოფნის დროს, იგი მეორემ შეცვალოს. პირველადი დახმარების ოთახში უნდა იყოს სანოლი და სათანადო წყალგაყვანილობა.

ფიზიკური ევაკუაციის გეგმასთან ერთად, მუზეუმში უნდა არსებობდეს სარეზერვო კიბეები და სიგნალიზაცია ხანძრის შემთხვევებისთვის. ხოლო საკმარისი რაოდენობის სახანძრო მოწყობილობები დამონტაჟებული უნდა იყოს გასასვლელებთან სპეციალურ შემინულ, დასამსხვრევ ვიტრინაში და მიერთებული სპეციალურ ავტომატიზებულ სისტემებთან. მუზეუმს უნდა ჰქონდეს მეხანძრის საშტატო ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი ზომების მიღებაზე.

მსოფლიოში მრავალი მუზეუმი განთავსებულია კონფლიქტურ რეგიონებში, სწორედ ამიტომ, აუცილებელია მუზეუმში არსებობდეს თავშესაფარი საბრძოლო განგაშისას თავის შეფარების მიზნით. აკრძალულია სახანძრო სიგნალიზაციის გამოყენება დაბომბვის განგაშისას, რადგან ასეთ შემთხვევაში არსებობს ალბათობა, რომ დაბნეული ადამიანები მიანყდებიან აფეთქების ადგილს. საბრძოლო განგაშისას ადამიანთა ევაკუირება უნდა მოხდეს მუზეუმის სპეციალურად განვრთნილი თანამშრომლების მიერ. მათ ხელმძღვანელობს წინასწარ დანიშნული კონტროლის ოფიცერი, რომელიც მოვალეობის შესრულებას შეუდგება საბრძოლო განგაშის გამოცხადებისთანავე.

საზოგადოებრივ სივრცეებს და მათ შორის საგამოფენო დარბაზებსაც, უნდა ჰქონდეს თავისუფალი ადგილები, საიდანაც მოხდება ადამიანთა გაყვანა ხანძრის შემთხვევაში. საავარიო კარებს და ბილიკებს უნდა ჰქონდეს სათანადო მინიშნება, აუცილებელია კარგი განათება, რათა გაადვილდეს უსაფრთხო ადგილამდე მისვლა, ისე, როგორც ეს აღწერილია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებში. საგანგებო შემთხვევებისთვის გამოყოფილი დერეფნები არასოდეს არ უნდა იყოს გამოყენებული საცავად ან სხვა დანიშნულებით. საგანგებო შემთხვევების დროს გამოსაყენებელი გასასვლელი კარები აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური გასაღები მექანიზმებით და არ უნდა დაიკეტოს ევაკუაციის დასრულებამდე. ჩამკეტი მექანიზმების რეგულირება (მექანიკური ან ელექტრონული) სახანძრო უსაფრთხოების უწყების მოვალეობაა.

მნიშვნელოვანია სპეციალური გეგმის შედგენა უნარშეზღუდულთა შენობიდან ევაკუირებისთვის, რაც ასევე უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად განვრთნილი ტანამშრომლების მიერ. კონკრეტულ შემთხვევაში, არ არის სავალდებულო, საერთო საევაკუაციო მარშრუტი ემთხვეოდეს უნარშეზღუდულთა გადაადგილების მარშრუტს, განსაკუთრებით, თუ გადაადგილება ეტლით ხდება (ვერ გამოიყენებს კიბეებს).

5.6.2 უშიშროება

შენობები, სადაც ეწყობა გამოფენები, მკვიდრად ნაგები და მაღალი ხარისხის კონსტრუქციის უნდა იყოს. მთელი პერიმეტრის გასწვრივ ფანჯრები, გამჭვირვალე ჭერი და კარები გამაგრებული უნდა ჰქონდეს, ისეთი, რომ მიზანმიმართლ შეტევას გაუძლოს. დაცვის ეს მაღალი დონე შესაძლოა მიღწეულ იქნას რკინის ჟალუზების, გასანევი ჭიშკრის, ფანჯრების შიდა გისოსებით და შესასვლელებში სპეციალური დამცავი ლამინირებული მინების მეშვეობით; დამატებითი სიმყარისთვის შესაძლებელია ლითონის სექციების დატანება იატაკში, კედლებსა და ჭერში. დასაცავად მიღებული ზომები ადგილობრივ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. თუ შენობაში არსებობს განცალკევ-

ებული საგამოფენო დარბაზები და ოთახები, მაშინ დაცვის მიზნით, შესაძლებელია შიდა პერიმეტრზე დამატებითი მეორე რიგის დაცვა გაკეთდეს.

ზოგიერთ ექსპოზიციას, გამოფენილი მასალის ღირებულებიდან და პოპულარობიდან გამომდინარე, დამატებითი დაცვა სჭირდება. ჩვეულებრივ, მასალა, რითაც დამზადებულია ექსპონატები, ხშირად კარნახობს მათი დაცვის მეთოდებსაც. კერძოდ, ეთნოგრაფიულ თუ საბუნებისმეტყველო გამოფენებს, შესაძლოა საფრთხე დაემუქროს მათგან, ვინც საკრალური რწმენის შეურაცხყოფად ან ცხოველთა უფლებების დარღვევად აღიქვამს გამოფენას. თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე ექსპონირებული ნამუშევრები, ზოგიერთ ადამიანში სიბრაზესა და ზიზღს იწვევს. ამდენად, საჭიროა ფრთხილად შეირჩეს ექსპოზიციის მეთვალყურეები, ხოლო შესაძლო ინციდენტების თავიდან აცილების ვარიანტები თავიდანვე დაიგეგმოს.

ჩარჩოში ჩასმული ექსპონატები კარგად უნდა იყოს მიმაგრებული კედელზე ან მყარ ეკრანზე მინიმუმ ოთხი სპეციალური ქანჭიკით. თუ ჯაჭვები, ან მსგავსი საშუალებები, არის გამოყენებული მძიმე მოჩარჩოებული მასალის დასაჭერად, აუცილებელია ისინიც კარგად დამაგრდეს, რათა თავიდან ავიცილოთ მათი ადვილად ახსნა-გატეხვა. სურათების შემინვა აუცილებლად გაზრდის უსაფრთხოების დონეს. თუ სივრცე იძლევა საშუალებას, სასურველია გამოფენილი ექსპონატებიდან ერთი მეტრის რადიუსზე გაიბას თოკები, ან გაკეთდეს სხვა ამგვარი ბარიერები, რის მეშვეობითაც იქმნება ე.წ. სტერილური ზონა და რაც აიოლებს დაცვის შესაძლებლობას. აუცილებელია ამგვარი ბარიერების სათანადო ხილვადობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით იმ საგამოფენო სივრცეებში, სადაც სუსტი განათებაა, რათა თავიდან ავიცილოთ ვიზიტორთა მხრიდან ბარიერის ხელყოფის შესაძლებლობა (განსაკუთრებით ვიტრინების კუთხეებში და დარბაზების შესასვლელებში).

დაუშვებელია ექსპონატების განთავსება კარების, მათ შორის – საავარიო გასასვლელების, ახლოს, საიდანაც ქურდმა იოლად და სწრაფად შეიძლება გააღწიოს.

მცირე ზომის ღირებული ექსპონატები უნდა განთავსდეს კარგად დაცულ ვიტრინებში, რომელსაც მინის ნაწილებს აქვს ლითონის მოჩარჩოება. სადაც არსებობს ექსპონატის ქურდობის ან დაზიანების მაღალი რისკი, აუცილებელია ვიტრინებისთვის გამოყენებულ იყოს შესაბამისი მინიმალური სისქის ლამინირებული მინები, ე.წ. "ანტი-ბანდიტები". მინის გასაწვევი კარის გამოყენება არაა სასურველი, უკეთესია საკეტიანი დასაკიდი კარი დამონტაჟდეს. ორმაგი საკეტი თითოეულ გასაღებ სექციაზე, უზრუნველყოფს სათანადო უსაფრთხოებას, მაგრამ საკეტები და ანჯამები დაფარული უნდა იყოს, რათა შემცირდეს ვიტრინებში და ყუთებში შეღწევის ალბათობა.

ექსპონატთა დაცვის დონე შესაძლოა გაიზარდოს ვიტრინებზე და ყუთებზე საკონტაქტო სიგნალიზაციის დამონტაჟებით ან სათანადო სენსორმატული და ვოლუმეტრული დეტექტორების მიმაგრებით. იქ, სადაც რთულია ასეთი სახის სისტემის დამონტაჟება, შეიძლება დამონტაჟდეს ავტონომიური კვებით უზრუნველყოფილი მონყობილობები, რაც რადიოსიხშირის გადაცემი საშუალებებით იქნება აღჭურვილი.

საგნის ადგილიდან ნებისმიერი მიზეზით მოხსნის შემთხვევაში, პასუხისმგებელი მუშაკის მიერ იქვე დგება ხელმოწერილი ეტიკეტი, რომელიც მიუთითებს ობიექტის მოხსნის დღეს და საათს. გამოფენის ყოველდღიური გახსნის და დახურვის დროს, უნდა შემოწმდეს ყველა ექსპონატი და გაკეთდეს სათანადო წერილობითი მინიშნება იმ შემთხვევაში, თუ შეინიშნება მოშვებული სამაგრები, ბზარები და ღრმულები, ან ადგილზე აღარ არის რომე-

ლიმე ეტიკეტი.

ყველაზე სახიფათო პერიოდია მუზეუმის სამუშაო საათები, როცა დაცვის სისტემები, შეღწევის სიგნალიზაციის დეტექტორები ვერ იმუშავებს. ასეთ ვითარებაში საკეტების და დეტექტორების ნაცვლად საჭიროა თანამშრომლების მიერ უშუალო მეთვალყურეობა დარბაზებში, მინიმუმ ერთის თითოეულ დარბაზში. მეთვალყურის ყოფნა დარბაზში ამავედროულად ემსახურება მნახველების მოთხოვნილებების უზრუნველყოფას და განგაშის შემთხვევაში მათ დაცვას, ორგანიზებულად გაყვანას. სამუშაო საათების დასრულებისას სავალდებულოა დაცვის მუშაკებმა სისტემატიზებული, კარგად დაგეგმილი და კოორდინირებული მეთოდებით მოახდინონ ყველა დამთვალეირებლის დარბაზებიდან, ტუალეტებიდან თუ მათთვის ხელმისაწვდომი სხვა სივრცეებიდან გაყვანა.

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში დღეს უკვე შესაძლებელია თანამშრომლთა აღჭურვა დისტანციური დაკვირვების მექანიზმებით, მაგრამ ამგვარი მოწყობილობები მთლიანად მაინც ვერ შეცვლის მეტად მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსებს.

მეთვალყურეებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ნებისმიერ დროს მოახდინონ რეაგირება თუნდაც უმნიშვნელო სახის განგაშზე და გააჩნდეთ სათანადო საკომუნიკაციო საშუალებები სხვა მუშაკებთან ან დაცვის ცენტრალურ საკონტროლო პუნქტთან დასაკავშირებლად. ყველაზე გავრცელებულ და სანდო საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს მობილური რადიო ტელეფონები და ორმხრივი პეიჯერები. მეთვალყურეებზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა მოვალეობას დაცვის მოვალეობასთან შედარებით მეორადი ხასიათი უნდა ჰქონდეს.

თუ მუზეუმს არ ჰყავს საჭირო ადამიანური რესურსი, თვალყურის დევნება შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალური დახურულ-წრედული ტელეკამერების საშუალებით, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი მოწყობილობები ვერ ცვლის ცოცხალ დაცვას. დახურულ-წრედულ ტელეკამერებს უნდა გააჩნდეთ მუდმივი ჩამწერი მოწყობილობები. ამასთან, საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ამ მოწყობილობების ეფექტურობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმ ადამიანების კეთილსინდისიერებაზე, ვინც მათთან მუშაობს. ტექნიკური საშუალებები დღეს უკვე იძლევა შესაძლებლობას, ყველა სართულზე დაყველა გალერეაში დაიდგას ამგვარი სისტემა. იმის შესახებ, თუ რა ტიპის, სად და რამდენი აპარატურა უნდა დამონტაჟდეს, სასურველია, რომ ექსპერტებს დავეკითხოთ, ვინაიდან მომწოდებელი ფირმა ყოველთვის დაინტერესებულია თავისი საქონლის გასაღებით.

განსაკუთრებული ღონისძიებებისათვის შესაძლებელია დამატებითი მეთვალყურების დაქირავება, კონტრაქტის გაფორმება სათანადო რეპუტაციის მქონე და სამუზეუმო საქმიანობაში გამოცდილ ორგანიზაციებთან. კონტრაქტი ფორმდება წერილობით უშუალოდ დაქირავებულ მეთვალყურეებთანაც, რომელთაც უნდა დაადასტურონ, რომ ეთანხმებიან მუზეუმის პირობებს. მუზეუმში უნდა დარწმუნდეს, რომ კონტრაქტორი ორგანიზაცია ნამდვილად კარგად იცნობს თავისი თანამშრომლების გამოცდილებას და პიროვნულ თვისებებს, პასუხს აგებს მათ შესახებ ინფორმაციის სიზუსტეზე.

ექსპოზიცია იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ დარბაზში არ იყოს თვალისათვის მიუწვდომელი თუ ჩაბნელებული სივრცეები, სადაც ცრიმინალს შეეძლება ფარულად იმოქმედოს. თუ შეუძლებელია ამის მიღწევა, მაშინ აუცილებელია დამატებითი სამეთვალყურეო მოწყობილობების დამონტაჟება, რითაც დაიფარება ბნელი და ადამიანის თვალისთვის მიუწვდომელი ადგილები. ყოველივე გაზრდის დაცვის ხარჯებს. მეთვალყურეები მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყვნენ, რათა თავიდან იქნას აცილებული დამთვალეირებელთა მხრიდან

ნებისმიერი არაორდინალური ქცევა თუ დივერსიის მცდელობა.

ზოგიერთ ქვეყანაში კრიმინალური შემთხვევის დროს, დაცვის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ეჭვმიტანილთა დაპატიმრება, რისთვისაც ისინი სპეციალურად უნდა იყვნენ მომზადებულნი და ადგილობრივ პოლიციასთან გაიარონ შესაბამისი კონსულტაციები.

შიდა თუ გარე პერიმეტრის სამეთვალყურეო მექანიკური დაცვის ყველა ზონა, სათანადოდ უნდა იყოს აღჭურვილი ელექტრონული დეტექტორებით, რომელიც დააფიქსირებს აკრძალულ სივრცეებში უცხო პირთა შესვლას, ხოლო ღია საგამოფენო დარბაზები დაფარული უნდა იყოს ინფრანითელი ან სხვა მსგავსი ტიპის დეტექტორებით. თუ დაცვის თანამშრომლების აზრით, არის რისკი განსაკუთრებით მაღალია, მაშინ სასურველია ცალკეული ვიტრინისთვის დამონტაჟდეს სპეციალიზებული დეტექტორები, მათ შორის აკრძალულ ზონებშიც.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს შენობისა და საგამოფენო დარბაზების აღჭურვას ხანძრის აღმომჩენი ელექტრონული მოწყობილობებით, რომელიც სხვა დეტექტორებთან ერთად უნდა უკავშირდებოდეს გარეთ არსებულ სამეთვალყურეო პუნქტებს, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მუზეუმს 24 საათიანი დაცვა ჰყავს. ასევე სასურველია, პროფესიონალებთან სათანადო კონსულტაციების გავლის შემდეგ დამონტაჟდეს კვამლის იონური ან ფოტოელექტრონული დეტექტორები.

მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც შეუძლიათ იმ გასაღებებითა და ბარათებით სარგებლობა, რითაც ხდება საგამოფენო სივრცეებში შეღწევა ან ვიტრინების გაღება. გასაღებების რიცხვი მკაცრად უნდა იყოს დაცული, ზედმეტი არ უნდა დამზადდეს. ისინი უნდა ინახებოდეს სპეციალურ სეიფებში ან საკეტიან ყუთებში, ოთახებში, რომლებიც შეიძლება განთავსდეს მუზეუმის თანამშრომლებისთვის გამოყოფილ შესასვლელების ახლოს. აკრძალულია შენობის გარეთ მათი გატანა. მუზეუმის დირექციამ უნდა უზრუნველყოს ხელმონერების სისტემის შემოღება, სადაც აღნიშნული იქნება გასაღებისა თუ ბარათის გაცემისა და მიღების ყველა შემთხვევა. დაუყოვნებელი უნდა დაფიქსირდეს გასაღების ან ბარათის დაკარგვის ან არასწორი გამოყენების შემთხვევა და გატარდეს სათანადო ღონისძიებები. თუ შეუძლებელია საგამოფენო დარბაზის ან ვიტრინის დაკეტვა, მაშინ უნდა დაწესდეს სათანადო მეთვალყურეობა მდგომარეობის საბოლოო გამოსწორებამდე.

მოძრავი გამოფენების გადაზიდვა და მიღება დაცვის დამატებით ღონისძიებებს მოითხოვს. იმისათვის, რომ ექსპონატების მიღებისა და მათი საგამოფენო სივრცეებში განთავსების დროს, აღმოიფხვრას დამატებითი რისკ-ფაქტორები და დაკმაყოფილდეს დაზღვევის ყველა მოთხოვნა, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება და დეტალური გეგმა. ტვირთის მიღებისას სატივრთო მანქანებისთვის საჭიროა შეიქმნას დამატებითი უსაფრთხო სივრცეები. ჩვეულებრივ, ეს ადგილი შენობაში უნდა იყოს განთავსებული ან მთლიანად გადახურული. თუ მუზეუმი იძულებულია გადმოსატვირთი სამუშაოები ჩაატაროს შენობის მიღმა და გადმოზიდოს ექსპონატები ღია სივრცეებში (ქუჩა ან მანქანების სადგომი), ასეთ დროს საჭიროა მოხდეს დამატებითი უსაფრთხოებისა და სამეთვალყურეო გეგმის წინასწარი შემუშავება. ამგვარ ვითარებაში სასურველია აღნიშნული საქმიანობა ჩატარდეს ადგილობრივი სამართლდამცავი ორგანოების დახმარებით, რათა თავიდან ავიცილოთ დარღვევები და რაც მთავარია, მათგან მივიღოთ დამატებითი მხარდაჭერა.

აღიარებულია, რომ აკლიმატიზაციის პერიოდის გავლამდე, საგამოფენო ექსპონატი უნდა დარჩეს შეფუთული. შესაბამისად, გარკვეული დროის განმავლობაში საჭირო ხდება დამატებითი შესანახი სივრცეების არსებობა, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის ნაწილს.

ექსპონატების გახსნა უნდა ხორციელდებოდეს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ამასთან საგამოფენო სივრცეებში მათ გადაადგილებაზე უნდა მიმდინარეობდეს სათანადო მონიტორინგი, მაგრამ საკითხი, რომელიც ხშირად უყურადღებოდ რჩება, არის ცარიელი ყუთების შენახვის კონტროლი, მანამ სანამ არ მოხდება მათი ხელახალი გამოყენება ექსპონატების უკან ჩასალაგებლად. რადგან ეს ყუთები ხშირად ინახება ღირებულ შიგთავსთან ანუ ნივთებთან ერთად, მათი შესანახი ადგილები ისევე უნდა იყოს, დაცული როგორც თავად საგამოფენო საცაფები.

ანგარიში არსებული სათავსების შესახებ, როგორც წესი, გამოიყენება ექსპონატთა კონსერვაციის მიზნებისთვის, მაგრამ ამასთან, იგი შესაძლოა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნითაც გამოიყენებოდეს. ამიტომ ეს ანგარიში, მიუხედავად საგამოფენო ღონისძიების სიდიდისა თუ ხასიათისა, უნდა იყოს შესული ყველა საგამოფენო პროგრამაში.

გამოფენის გახსნა სასურველია მოხდეს სპეციალური ვერნისაჟით ან სხვადასხვა ღონისძიებებით, რომელზეც სტუმრები მონვეული იქნებიან განსაზღვრული დროით. ამ დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

- აიკრძალოს საკვებისა და სასმელის შეტანა საექსპოზიციო სივრცეებში, განსაკუთრებით იქ სადაც მოქმედებს ეროვნული კანონი კომპენსაციის შესახებ (მაგ., გაერთიანებული სამეფო);
- ოთახი, სადაც მზადდება ცხელი საკვები, უნდა განთავსდეს სპეციალურ სივრცეში ან ოთახში, რომელიც მონყობილია ისე, რომ არის ნარჩენების გატანის შესაძლებლობა და ასევე მიღებულია ხანძარსაწინააღმდეგო ზომები;
- თუ ვიზიტორებს ნებადართული აქვთ საგამოფენო დარბაზებში ღვინის შეტანა (რაც არ არის რეკომენდებული), ღვინო აუცილებლად უნდა იყოს თეთრი და შეზღუდული რაოდენობის;
- დაუშვებელია ვიტრინებზე და საექსპონატო ყუთებზე რაიმე სახის სასმელის დადება, ექსპონატთა დასერვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით;
- გამოფენის გახსნისა და სადილობის დროს, დარბაზები უნდა იყოს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, რათა აღმოფხვრიდ იქნას ნებისმიერი სახის შემთხვევა ან არასასურველი ქცევა ვიზიტორთა მხრიდან;
- მედიისა და ტელევიზიის მიერ გამოფენის გაშუქებისას, უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი დამატებით განათებაზე და ელექტროენერჯის დამატებით გამოყენებაზე, რათა დაცული იქნას საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მოხდეს სინათლისადმი მგრძობიარე ექსპონატთა სათანადო დაცვა. დენის გაჭიმული კაბელები შესაძლოა სახიფათო იყოს, ხოლო ინტენსიურმა განათებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მხედველობაზე და დარბაზებში გამოიწვიოს ტემპერატურის მატება.

კატასტროფების წინასწარმეტყველება შეუძლებელია, განსხვავებულია მათი ფორმა, მასშტაბი და ინტენსიურობაც, მაგალითად:

- ხანძარი
- წყალდიდობა

- მიწის დანევა
- სტრუქტურული კოლაფსი
- ქიმიური გაჟონვა
- აფეთქება
- არახელსაყრელი კლიმატური პირობები
- საზოგადოებრივი არეულობა

ამ შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ყველა მუზეუმს ჰქონდეს კარგად სტრუქტურირებული საგანგებო გეგმა, რომლის მიხედვით თანამსრომლების წვრთნაც არის ჩატარებული. დაცვის პროცედურები უნდა იყოს ნათელი და ზუსტი, რომელიც განსაზღვრავს ექსპონატთან მოპყრობის წესებს ამგვარი შემთხვევების პროცესში და მათ შემდეგ. ეს პროცედურები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- იდენტიფიცირება
- აღდგენა
- დაცვა
- მოვლა
- კარანტინი
- შენახვა
- განახლება
- ექსპონატის ადგილის შეცვლა.

მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს ყველა საჭირო მონყობილობა. მუზეუმს უნდა ჰქონდეს დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია ადგილობრივი და სპეციალიზებული ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც ასეთ დროს ევალებათ დახმარების განევა.

მეხანძრეების, პოლიციის, სასწრაფო დახმარების და სხვა მსგავსი პროფილის ორგანიზაციების თანამშრომელთა მონაწილეობით, მუდმივად უნდა ტარდებოდეს საგანგებო ვითარებაში მოქცევის წვრთნა. მუზეუმის მუშაკებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, ამგვარ ვითარებებში უშუალოდ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესახებ და გადიოდნენ სათანადო მომზადებას. საგანგებო მდგომარეობისას სამოქმედო გეგმები უნდა მოიცავდეს შესაბამის პრიორიტეტებს თითოეული თანამშრომლისთვის.

5.7 გამოყენის მისაწვდომობა

კრისტინ ჯონსონი

დღეს, როგორც არასდროს, მუზეუმები ცდილობენ დაადგინონ, ვინ არიან მათი მნახველები და რატომ სტუმრობენ ისინი მუზეუმებს. მათი მოთხოვნილებების და სურვილების გაგება უმნიშვნელოვანესია მუზეუმების არამარტო ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, არამედ იმისთვის, რომ იყვნენ მისაწვდომი ყველასთვის განურჩევლად ასაკისა, მრწამსისა, სქესისა, განსხვავებულიშეხედულებებისა და ინტერესებისა.

ექსპოზიციონერთა მიზანს ხშირად წარმოადგენს ისეთი გამოყენის მოწყობა, რომელიც მისაწვდომი იქნება ყველაზე ფართო აუდიტორიისთვის, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

- 2-დან 90 წლამდე დამთვალიერებელს
- მნახველებს, რომელთაც აქვთ გადაადგილების, ხედვის, სმენის თუ კოგნიტური

პრობლემები

- უცხოენოვან დამთვალეირებლებს
- მნახველებს, რომელთაც აქვთ განსხვავებული განათლება და შესწავლის სტილი.

მართალია, ზოგიერთი მუზეუმი აღნიშნული მიზნის მისაღწევად ენთუზიაზმით ახორციელებს ცვლილებებს, განსაკუთრებით იმ ვიზიტორთათვის, ვისაც ინვალიდის ეტლით უწევს გადაადგილება, მაგრამ მისანვდომობა მაინც არ წარმოადგენს გამოფენის გეგმარების პროცესის განუყოფელ ნაწილს. მისანვდომობის სეგმენტი ხშირად დამატებით ხარჯებთან და დროის რესურსებთან ასოცირდება და ამასთან, გამიზნულია, შეზღუდულუნარიანი მნახველებისთვის, რომლებიც საერთო რიცხვის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. ყველაფერთან ერთად, ამ სეგმენტის გათვალისწინება გარკვეულად ზღუდავს მუზეუმის დიზაინერების კრეატიულ შესაძლებლობებს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მისანვდომობის ხარისხის გაუმჯობესება სასარგებლოა არა მხოლოდ უნარშეზღუდულთათვის, არამედ ბევრი სხვა მნახველისთვისაც.

გამოფენის მისანვდომობის გაუმჯობესება, მოიცავს ქვემოთმოყვანილ შემდეგ ასპექტებს:

- საგამოფენო სივრცეებში უკეთესი სამოდრაო ბილიკები
- ექსპონატებისა და ეტიკეტების უკეთესი ხილვადობა
- ინტერაქტიური ექსპონატების იოლად სამართავი მოწყობილობები
- გამოფენის შინაარსის პრეზენტაციის უფრო მეტი საშუალებები, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის შესწავლის, აღქმის სტილს.

მუზეუმებმა შესაძლოა შექმნან მისანვდომი და მრავლისმომცველი ექსპოზიციები და პროგრამები, რომლითაც ისიამოვნებს ნებიმიერი მნახველი, განურჩევლად შესაძლებლობებისა და უნარებისა, მაგალითად:

- ისეთი ექსპონატების გამოფენა, რომლებზედაც ნებადართული იქნება ხელით შეხება. ასეთი სახის გამოფენები სასარგებლოა არა მხოლოდ იმ აუდიტორიისთვის, ვისაც მხედველობის პრობლემა აქვს, არამედ ბავშვებისთვის, რომლებმაც ჯერ არ იციან კითხვა. ამასთან, თითქმის ყველა ასაკის მნახველს მოსწონს ობიექტის შეხება. რა თქმა უნდა, ეს ობიექტები არ უნდა წარმოადგენდეს ორიგინალურ არტეფაქტებს.

- უფრო ფართო დერეფნები საგამოფენო დარბაზებში არამარტო ინვალიდთა, არამედ საბავშვო ეტლებით იოლად გადაადგილების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს სხვა დამთვალეირებელთა იოლად გადაადგილებასაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუზეუმი გადაჭედლია

- ტიტრებიანი ფილმების გაშვება სასარგებლოა არამარტო მათთვის, ვისაც სმენის პრობლემა აქვს, არამედ მათთვისაც, ვისაც ხმაურის გამო უჭირს მოსმენა, განსაკუთრებით, როცა მიმდებარე სივრცეში სკოლის მოწაფეთა ჯგუფი იმყოფება

- მსხვილშრიფტიანი წარწერები საჭიროა მხედველობადაქვეითებული მნახველებისთვის, ასევე მათთვის, ვინც ექსპონატიდან მოშორებით დგას და ხალხის სიმრავლის გამო არ აქვს საშუალება მიუახლოვდეს მას, ან მათთვის, ვისაც დაავიწყდა სათვალის წამოღება

- სახელურიანი და ზურგიანი სკამები გამოსადეგია არა მხოლოდ ხანდაზმული და გადაადგილების უნარს მოკლებული მნახველებისთვის, არამედ ორსულებისთვისაც.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მნახველს, განსხვავებული მოთხოვნელებებით, ინტერესებით და უნარებით, უნდა ჰქონდეს საშუალება იოლად და წინააღმდეგობების გარეშე

გადაადგილდნენ სივრცეში. მისანვდომობის გათვალისწინება მუზეუმების დაგეგმვის პროცესში ხელს შეუწყობს ყველაზე ფართო აუდიტორიისთვის კომფორტული გარემოს შექმნას. ამასთან, არ მოხდება იმ მნახველებზე ყურადღების გადატანა, რომელთაც გარკვეული შეზღუდვები აქვთ.

გამოფენა რომ ყველასათვის მისანვდომი იყოს, საჭიროა თავიდანვე, დაგეგმვისას, გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, გათვალისწინებული და სათანადოდ შეფასებული იქნას ყველა მოთხოვნილება, რომელიც მუშაობის დაწყებისთანავე უნდა გამოიყენოს ექსპოზიციის მოსამზადებელმა ჯგუფმა.

ნიგნის ამ ნაწილში მოცემულია ათი ასპექტი, რომელთა განხორციელებაც საჭიროა მისანვდომი გამოფენის მოსაწყობად.

5.7.1 მისანვდომი გამოფენის დაგეგმვა

მისანვდომი გამოფენის მოწყობა არ მოითხოვს უფრო მეტ დანახარჯებს, თუ იგი ჩანაფიქრიდანვე წარმოადგენს საწყისი პროექტის ნაწილს და განერილია ბიუჯეტში. ხშირად, მისანვდომობაზე ზრუნვას იწყებენ მაშინ, როცა უკვე გვიანია. ასეთ შემთხვევაში ეს სეგმენტი აუცილებლად მოითხოვს დამატებით დანახარჯებს და დროის რესურსებს. რაც მთავარია, გამოფენის დიზაინერებისთვის რთული ხდება მისანვდომობის გათვალისწინება უკვე დაგეგმილ პროექტებში.

5.7.2 უნარშეზღუდულთა უფლებებთან დაკავშირებული კანონები და სახელმძღვანელო პრინციპები

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნები ექსპოზიციების მისანვდომობის საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, აშშ-ში მიღებულია მრავალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს უნარშეზღუდულთა უფლებებს, მათ შორის კანონი უნარშეზღუდული ამერიკელების შესახებ. ეს კანონი სავალდებულოს ხდის უნარშეზღუდულ ადამიანთა სხვადასხვა შენობებში, პროგრამებში და მომსახურებაზე დაშვების უზრუნველყოფას. ზოგიერთი ქალაქი, როგორც მანჩესტერი გაერთიანებულ სამეფოში, უფრო შორს მიდის, ვიდრე ეროვნული სტანდარტები მოითხოვს ამას და უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს. უფრო ძველ მუზეუმებთან მიმართებაში, რომლებიც გაცილებით ადრე დაფუძნდა, ვიდრე ეს მოთხოვნები შევიდოდა ძალაში, უნარშეზღუდულ მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოგვარდეს ამ შენობების განახლების, გაფართოების თუ მათი ადგილის შეცვლის დროს. მუზეუმები კარგად უნდა იცნობდნენ საკუთარი ქვეყნის კანონებს უნარშეზღუდულთა შესახებ და დაიცვან ისინი.

სხვა ქვეყნების კანონმდებლობებში არსებობს მოთხოვნები, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა არქიტექტურული საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციებისა თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. სამუზეუმო ასოციაციებს, მათ შორის აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და კანადის, გააჩნია ინფორმაცია თავის ქვეყანაში მოქმედი უნარშეზღუდულ ადამიანებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების შესახებ და ისინი მუზეუმებს ანვდიან სათანადო მასალებს ამ მიმართებით საგამოფენო სივრცეებში მისანვდომობის გაუმჯობესების მიზნით. სმიტსონის ინსტიტუტმა სპეციალურად მოამზადა

სახელმძღვანელო პრინციპები მისანვდომი გამოფენების მოწყობის შესახებ, რაც უკვე ხელმისაწვდომია მსოფლიოს მუზეუმებისთვის.

5.7.3 კანონისა და ფიზიკური მისანვდომობის მიღმა

მუზეუმებმა მინიმალურად მაინც უნდა დააკმაყოფილონ თავისი ქვეყნების მიერ დაწესებული საკანონმდებლო მოთხოვნები, მაგრამ ამასთან, მათ შეუძლიათ იმოქმედონ კანონის მოთხოვნების მიღმაც და იმგვარად მოაწყონ საკუთარი სივრცეები, რომ რაც შეიძლება თანაბარი შესაძლებლობები მისცენ და სიამოვნება მიანიჭონ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მათ კარს შეაღებს. ისინი შესაძლოა გასცდნენ კიდევ ფიზიკური მისანვდომობისთვის დაწესებულ ფარგლებს და რაც შეიძლება ფართო აუდიტორია უზრუნველყონ სრული ინტელექტუალური მისანვდომობით. ამგვარი მისია ნაკისრი აქვს უმეტეს მუზეუმებს.

5.7.4 გამოფენის მისანვდომობის კონსულტანტები და საბჭოები

მაშინ, როცა პროექტზე მუშაობისას მუზეუმის სამუშაო ჯგუფი ზრუნავს რაც შეიძლება ფართო აუდიტორიისთვის გამოფენის მისანვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე, მათ დიდ დახმარებას აღმოუჩენს ოფიციალურად დანიშნული კონსულტანტი-მრჩეველი, რომელიც სათანადო კუთხით გაანალიზებს ყველა გეგმას და დიზაინს. მრჩეველს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა უნარშეზღუდულ ადამიანებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ, რის საფუძველზეც გამოფენის მისანვდომობის გაუმჯობესების მიზნით სათანადო მეთოდები და მიდგომები უნდა შეიმუშაოს. ოფიციალურად დანიშნულმა მრჩეველმა შესაძლოა მოამზადოს სხვადასხვა ასპექტებისა და ჩასატარებელ სამუშაოთა ნუსხა, რომელიც შემდგომ შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა გამოფენებისთვისაც, მაგალითად, როგორცაა ვიდეო მასალაზე ტიტრების მუდმივად თანდართვა და სხვა მსგავსი. შედარებით დიდ მუზეუმებში შესაძლოა არსებობდეს სპეციალიზებული კომიტეტი, რომელიც იმუშავებს მისანვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე. კომიტეტის შემადგენლობაში იქნებიან დაცვის მუშაკები, შენობის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები, დიზაინერები და რესტავრატორები.

ამგვარი კომიტეტების გარდა, მეტად სასარგებლო იქნებოდა მუზეუმებით დაინტერესებული სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის პრობლემების მქონე უნარშეზღუდული პირებისგან სპეციალური საბჭოს შექმნა და მათთან კონსულტაციების ჩატარება. საბჭოს კოორდინატორი, რომელიც შეიძლება დანიშნული იყოს მუზეუმის თანამშრომელთა რიცხვიდან ან არჩეულ იქნას თავად საბჭოს წევრების მიერ, შეიძლება გახდეს მუზეუმის გამოფენების მისანვდომობის მრჩეველი, რადგან მან კარგად იცის სამუზეუმო გამოფენისადმი უნარშეზღუდულთა მოთხოვნილებები. ამოფენის დაგეგმვისას და დიზაინის მომზადებისას კოორდინატორის ან/და საბჭოს მიერ დროული განხილვა მეტად სასარგებლო იქნება პრაქტიკულად ყველა გამოფენის მისანვდომობის გასაუმჯობესებლად.

5.7.5 მონაწილეობა გამოფენის დიზაინში

ამ თავში მოყვანილი მაგალითების შესაბამისად, გამოფენის დიზაინერები ითვალისწინებენ სხვადასხვა უნარშეზღულ მნახველებისათვის ინფორმაციის მიწოდების განსხვავებულ გზებს, ან შესწავლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს, რითაც საშუალებას აძლევენ ყველა მნახველს, მათთვის უფრო მეტად მისაწვდომი გახდეს გამოფენა და მიიღონ უფრო მეტი სიამოვნება მუზეუმების დათვალიერებისას. შესაბამისად, გარდა ექსპონატების დათვალიერებისა და ეტიკეტების წაკითხვისა, მნახველებს საშუალება ეძლევათ გამოფენის შემეცნებისთვის თავადვე აირჩიონ უკეთესი და მათთვის მისაღები მეთოდი. მაგალითად, გამოფენილი არტეფაქტებისა და მათზე არსებული წარწერების გარდა სასურველია არსებობდეს:

- არტეფაქტის ზუსტ ასლზე, შენობის თუ ლანდშაფტის მცირემასშტაბიან სამგანზომილებიან მოდელზე, ფაუნის გამოფენისას ბენვის ნიმუშებზე და სხვა ნივთების ასლებზე ხელის შეხების შესაძლებლობა
- აუდიო მასალის მოსმენის საშუალება, როგორცაა ახსნა-განმარტებები, ბუნებრივი გარემოს ხმაური და ხმები, ისტორიული დიალოგები ან სიტყვები (რომელსაც ახლავს დაბეჭდილი ტექსტიც), და სხვა
- ინტერაქტიური კომპონენტები, რათა უკეთ მოხდეს ჩვენება თუ "როგორ-მუშაობს ეს", მიკრობების და უმცირესი ზომის არსებების მიკროსკოპიული დათვალიერება, რობოტების აწყობა და სხვა.

5.7.6 საგამოფენო სივრცეებში მისაწვდომი ბილიკები

უნარშეზღუდულ მნახველებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ადვილად გადააგილდნენ მუზეუმებში, სადაც არ იქნება მათთვის ხელისშემშლელი ბარიერი, მათ საგამოფენო სივრცეში შეღწევის და იქ მოძრაობას რომ უშლიდეს. მაგალითად:

- საგამოფენო დარბაზებში უნდა იყოს სათანადოდ მოსწორებული ბილიკები საფეხურების გარეშე. თუ მაინც საჭიროა საფეხურები, იქვე უნდა იყოს პანდუსები ან სკამის ლიფტები. თუ მუზეუმი მრავალსართულიანია აუცილებელია ლიფტი.
- სამოძრაო ბილიკების სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 91 სმ მთელ სიგრძეზე. შესასვლელებთან, თუ ეს აუცილებელია, აღნიშნული სიგანე 81 სმ-მდე შეიძლება შემცირდეს
- იმისათვის, რომ გაიოლდეს ინვალიდის ეტლით ექსპონატებთან მიახლოება, ყველა კუთხიდან აუცილებელია არსებობდეს 76 X 122 სმ ცარიელი სივრცე და დამატებითი მინიმუმ 91 სმ-იანი სივრცე, რათა ეტლებით მოსიარულეებმა ხელი არ შეუშალონ სხვა დამთვალიერებელს.

5.7.7 ექსპონატთა ვიტრინების მისაწვდომობა

ისე, როგორც აღნიშნულია წიგნის 7.1. ნაწილში, ექსპონატთა ვიტრინები შესაძლოა არსებობდეს სხვადასხვა ზომისა და ფორმის, გააჩნდეთ სტატიკური თუ ინტერაქტიური ელემენტები, შესაძლოა იყოს კედლის ან იდგეს განცალკევებით. ექსპოზიციის დიზაინერთა

ამოცანას წარმოადგენს ამ ვიტრინების იმგვარად მოწყობა, რომ ისინი მისაწვდომი იყოს ყველა დამთვალიერებლისთვის, შესაძლებელი იყოს ყველა ექსპონატის კარგად დათვალიერება, ინტერაქტიური ექსპონატების შემთხვევაში – მისი ხელით შეხება ან უჯრების გამოღება, მაგ., პეპლების კოლექციის უკეთ დასანახავად. მაგალითად:

- ადამიანები განსხვავებული სიმაღლიდან ათვალიერებენ. ფეხზე მდგომ მნახველთა ხილვადობის სიმაღლე 109-170 სმ-ს წარმოადგენს, მაშინ როდესაც ეტლში მყოფი დამთვალიერებელი და 8-12 წლამდე ბავშვები საგანს 102-132 სმ სიმაღლიდან ხედავენ. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გამოფენაზე თასის განთავსების მიზანს წარმოადგენს მის შიგნით არსებული დეკორატიული ნაწილების დათვალიერება, გამოფენის დიზაინერებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა დამთვალიერებელს ჰქონდეს ამის საშუალება. ამისათვის კი თასი იმ დონეზე ან იმ კუთხით უნდა განთავსდეს, რომ დასანახად ხელმისაწვდომი იყოს ბავშვებისთვის და ეტლით მოსარგებლებისთვისაც.

- ინტერაქტიური ექსპონატების შემთხვევაში, მნახველების მიერ ფიზიკური შეხებისთვის ობიექტის სიმაღლე ან სიღრმე არ უნდა იყოს მეტისმეტად დიდი, რომ ბავშვებს და ეტლით მოსარგებლებს ჰქონდეთ საშუალება მათი ხელით შეხებისა. ვიტრინების ქვეშ არსებული სიცარიელე საჭიროა ეტლით მოსარგებლე მნახველებისთვის, რათა ისინი მიუახლოვდნენ ექსპონატს. ვიტრინებს ქვემოთ არსებული ლიობის სიმაღლე მინიმუმ 69 სმ უნდა იყოს. გარდა ამისა, გამოფენის დიზაინერებმა უნდა მოახდინონ ყველა ინტერაქტიური ექსპონატის ტესტირება, ისე რომ იგი ხილვადი იყოს მჯდომარე მნახველისთვისაც. სასურველია, ინტერაქტიური ექსპონატის მიმდებარე არეალი ალიჭურვოს გასაშლელი სკამებით ისე, რომ ყველა დამთვალიერებელს ჰქონდეს თანაბარი საშუალება მჯდომარემ დაათვალიეროს და შეეხოს საგანს. ინტერაქტიური ექსპონატების საკონტროლო მოწყობილობები იოლად გამოსაყენებელი და ასამუშავებლად იოლი უნდა იყოს. ის ინტერაქტიური მოწყობილობები, რომლებიც მოითხოვენ მოტორიზებულ საკონტროლო ალჭურვილობას ან სხვა საკონტროლო მანქანების ერთდროულად ორივე ხელით ამოქმედებას, საჭიროა იმგვარად მოეწყოს, რომ მინიმუმადე იქნას დაყვანილი ამასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

- თუ კედელზე მიდგმული ვიტრინა 10 სმ-ზე მეტი სიგანისაა, მაშინ მისი ძირი იატაკს 69 სმ-ს მაღლა არ უნდა სცილდებოდეს, იდეალურ პირობებში ეს დონე უფრო დაბალია, ისე, რომ გამონეული ობიექტი საფრთხეს არ წარმოადგენდეს ცუდი მხედველობის მქონე მნახველებისათვის, რომლებიც ჯოხით გადაადგილდებიან და ვერ შეიგრძნობს უფრო მაღლა განთავსებულ ობიექტს.

5.7.8 აუდიო ინფორმაციის მინოდების ალტერნატიული გზები

სმენითი პრობლემების მქონე მნახველებისთვის, რთულია ნათქვამის გაგება აუდიო-ვიზუალურ პროგრამებში, მათთვის სირთულეს წარმოადგენს ლექტორის ან გიდის მონათხრობის მოსმენა. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი საშუალება, რომელიც გააუმჯობესებს სმენითი პრობლემების მქონე დამთვალიერებელთა მდგომარეობას მუზეუმებში:

- აუდიო-ვიზუალური პროგრამების გასაგებად საუკეთესო გზაა ეკრანების მეშვეობით ღია ტიტრებისა და გიდის საუბრის ერთდროული მინოდება. მეორე გზაა ე.წ. დახურული ტიტრები, რაც გულისხმობს მნახველის მიერ სპეციალური ლილაკის გამოყენებას ან მუზეუმის თანამშრომლის მიერ ტიტრების გამოსახულების ჩართვას. თუ არ არსებობს

ტიტრების მიწოდების საშუალებები, შესაძლოა პროგრამის პრეზენტაციის ახლოს არსებობდეს სათანადო ტექსტური მასალები

- ლექტორების ან გიდების მიერ საგამოფენო პროგრამების დემონსტრირებისას შესაძლოა მოხდეს აღნიშნული პრეზენტაციების სათანადო ნიშნების ენაზე თარგმნა. ასეთ შემთხვევებში, ტექსტური მასალის ან მოკლე შინაარსის არსებობა, პრობლემის გადაწყვეტის კიდევ ერთი საშუალებაა.

5.7.9 ვიდეო ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიული გზები

მხედველობის პრობლემების მქონე მნახველებს სხვადასხვა დონის მხედველობა აქვთ, მაგრამ ისინი ძირითადად ორ ჯგუფად ერთიანდებიან: ისინი, ვინც თითქმის ვერაფერს ხედავს და ისინი, ვისაც ცუდი მხედველობა აქვს. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მეთოდი, რაც ხელს შეუწყობს მხედველობადაქვეითებულთა მიერ გამოფენების შემეცნებას:

- წინასწარ გაკეთებული აუდიო ჩანაწერები ექსპონატების შესახებ, რომელიც გამოსადეგია არა მხოლოდ მათთვის, ვისაც მხედველობის პრობლემა აქვს, არამედ სხვა მნახველებისთვისაც, რომლებიც დამოუკიდებლად, გიდის გარეშე ათვალიერებენ ექსპონატიც

- თუ ტურებს ატარებენ გიდები, მაშინ მათ მეტი მომზადება მართებთ ექსპონატების უფრო დეტალურად აღწერისთვის, ამასთან, უნდა არსებობდეს შესაძლებლობა მნახველები ხელით შეეხონ ექსპონატის ასლებს

- ფილმებისა და წარმოდგენების შემთხვევაში, სასურველია მუზეუმის მაგნიტოფონებით უზრუნველყოფა, რომელიც აუდიო ჩანაწერების მეშვეობით აღწერს ღონისძიების მიმდინარეობას, შესაძლებელია არსებობდეს აგრეთვე სპეციალურად დამონტაჟებული მოსასმენი აპარატები, რომელიც დიალოგებს შორის აღწერს წარმოდგენებისა და ფილმების მიმდინარეობის მოკლე შინაარსს, აღწერს პერსონაჟის გარეგნობას, მოქმედების ადგილის ცვლილებას

- ექსპონატებზე ხელით შეხებით მიღებული ინფორმაცია, კიდევ ერთი გზაა ინფორმაციის მისაღებად; ბენვის ნიმუშმა შესაძლოა გამოიწვიოს ცხოველის ასოციაცია, ხოლო შენობების და ლანდშაფტების სამგანზომილებიანი მოდელები მხედველობის პრობლემების მქონე მნახველებს შესაძლოა დაეხმაროს ობიექტების კონტურების უკეთ აღქმაში.

5.7.10 ვიზიტორთათვის მოსახერხებელი წარწერები და ტექსტური პანელები

საგამოფენო ტექსტები განიხილება 12-ე თავში და იქ რეკომენდირებული ბევრი პრინციპი აგრეთვე უკავშირდება ყველა მნახველისთვის ინტელექტუალურ მისაწვდომობას. იმისათვის, რომ მოხდეს მნახველების უზრუნველყოფა სათანადო წარწერებით და ტექსტური პანელებით (მათ შორის მათიც, ვისაც აქვს მხედველობითი თუ კოგნიტური უნარშეზღუდვები, ასევე ბავშვების და სხვა ენაზე მოსაუბრე დამთვალიერებლების), სასურველია მიღებულ იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- ტექსტი უნდა იყოს ლაკონური, მკაფიო, ცოცხალი (განსაკუთრებით 9-12 წლამდე ასაკისთვის), არ უნდა შეიცავდეს ჟარგონს, ყველა ტექნიკური ტერმინი უნდა იყოს განმარტებული

- გრძელი ტექსტური პანელებისთვის, საჭიროა ტექსტის დანაწევრება ვრცელი

აბზაცების თავიდან ასაცილებლად. სასურველია მცირე აბზაცებად ან გამოყოფილ პუნ-
ქტებად ტექსტის დაყოფა. ევრი მნახველი ტექსტის მხოლოდ პირველ ნაწილს კითხულობს,
ამიტომ საჭიროა, რომ პირველ აბზაცში მოკლედ იყოს გადმოცემული ძირითადი ინფორმა-
ცია, ხოლო მომდევნო აბზაცებში – ხდებოდეს მისი ნაწილების გაშლა, საგაზეთო სტატიების
მსგავსად. თუ მუზეუმს საჭიროდ თვლის უფრო ვრცლად მოუთხროს დამთვალეირებელს
ექსპოზიციის შესახებ, ამ შემთხვევაში სასურველია ლამინირებული ბარათების ან ბუკლეტე-
ბის გამოყენება. აღნიშნული შესაძლოა დაერთოს გამოფენის კატალოგსაც და ცალკე ვარი-
ანტი ადაპტირებული იყოს ბავშვებისთვის.

- სასურველია სტანდარტული შრიფტების გამოყენება. ინფორმაციის ასომთავრულით
გადმოცემა, ასოთა შემჭიდროვება, დახრა ან სხვა არასტანდარტული ფორმის გამოყენება
ხშირად აძნელებს აღქმას. ამგვარი შრიფტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ უმ-
ნიშვნელო ინფორმაციის გადმოცემისას ან მოკლე სათაურებში. უნდა შეირჩეს შრიფტის ის
ზომა, რომლის ნაკითხვაც შესაძლებელი იქნება 1.8 მ დაშორებიდან.

- რაა სასურველი ტექსტი დაიბეჭდოს შეფერილ, სახიან, გამჭვირვალე ან ხის ზედა-
პირზე, რადგან მისი ნაკითხვა შეიძლება გაუჭირდეს მხედველობა დაქვეითებულ დამთვა-
ლიერებელს. საჭიროა მკვეთრი კონტრასტი ტექსტსა და ფონს შორის (ფონთან შედარებით
70 %-ით ღია ან მუქი)

- წარწერები და ტექსტური პანელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული, მაგრამ
განათების განთავსება მხოლოდ ექსპონატიდან მოშორებითაა შესაძლებელი, როგორც
ამას ექსპონატის დაცულობა მოითხოვს, მაგალითად, ქალაქის ან ქსოვილის შემთხვევაში,
რომელსაც ძლიერი განათება აზიანებს.

წინამდებარე წიგნის თანდართული ბიბლიოგრაფია მოიცავს იმ წყაროთა ჩამონათვალს,
რომელმაც შესაძლოა დახმარება გაუწიოს მუზეუმის მუშაკებს უფრო მისანდომი გახა-
დონ მუზეუმები ნებისმიერი დამთვალეირებლისთვის. მაგალითად, 1998 წელს გამოცემულ
„ამერიკელი უნრშეზღუდულების შესახებ“ კანონის ჯონ სალმანისეული ინტერპრეტაცია,
სმითსონის ინსტიტუტის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი,
ასევე ის საკონსულტაციო ჩანაწერები, რომელიც შესაძლოა შეივსოს თავად უნარშეზ-
ღუდული მნახველების მიერ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მუზეუმებს მიეცემათ საშუალება მნიშ-
ვნელოვნად გააუმჯობესონ ექსპოზიციების აღქმა ნებისმიერი დამთვალეირებლისთვის და
გაზარდონ მიღებული სიამოვნების ხარისხი.

საგამოფენო გალერეები

ჰეზერ მაქსიმია

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ მუზეუმებში მრავალი, ერთმანეთისგან ძალზედ განსხვავებულად დაპროექტებული საინტერპრეტაციო ფართობები არსებობს, მაინც შესაძლებელია მათი კლასიფიცირება განთავსებული გამოფენების ტიპების მიხედვით. სხვადასხვა კომბინაციების შესაძლებლობის გათვალისწინებით, გამოიყოფა ხუთი ტიპის სამუზეუმო-საგამოფენო გალერეა:

- ხელოვნების ნიმუშების გალერეები და გალერეა-არქივები (სადაც დომინირებს ორგანზომილებიანი ნამუშევრები)
- არტეფაქტების ან მოდელების გალერეები (სადაც დომინირებს სამგანზომილებიანი ნამუშევრები)
- საბავშვო მუზეუმების და სამეცნიერო ცენტრების გალერეები (სადაც ყურადღება ინტერაქტიურ ექსპონატებზეა გამახვილებული, და არა კოლექციებზე)
- სასწავლო ფართები
- მრავალფუნქციური ფართები.

ყველა ტიპის გალერეასა თუ საინტერპრეტაციო ფართობს, ახასიათებს ერთი საერთო პირობა - მათი დაგეგმარება უნდა მოხდეს ისე, რომ ხელი შეუწყოს მნახველის მიერ ხელოვნების ნიმუშების, არტეფაქტების, სათამაშო მოწყობილობების თუ სამეცნიერო აპარატების, ოპერატიული ინფორმაციისა და ციფრული გამოსახულებების გაცნობას შემდეგი ფაქტორების გამოყენებით:

- ფართი
- განათება და ფერი
- სტრუქტურა
- მასალები და ზედაპირის მოპირკეთება.

ამ თავის დასაწყისში აღწერილია გალერეების ხუთი ტიპი, რის შემდეგაც, თითოეული ტიპის მიხედვით, განხილულია განათება, ფერი, სტრუქტურა, მასალები და მოპირკეთება.

6.1 ხელოვნების ნიმუშთა გალერეები და არქივები

ზოგადად, ხელოვნების ნიმუშთა ჩვენებისთვის გამოყოფილი ფართი, გამიზნული უნდა იყოს ესთეტიკური აღქმის გასაძლიერებლად. ამოცანა მდგომარეობს თითოეული ნამუშევრის შექმნისდაგვარად საუკეთესო განათებაში. ამ შემთხვევაში, დამთვალიერებლის ძირითადი შთაბეჭდილება (როგორც ეს მე-2 თავში იყო აღწერილი), დამოკიდებული იქნება ვიზუალურ ეფექტზე.

საინტერპრეტაციო დანიშნულებით გამოსაყოფი ფართი, როგორც ეს მე-5 თავში იყო განხილული, დამოკიდებულია წარმოდგენილი საგნების ზომებზე და "ხედვის მანძილზე", რომელიც საჭიროა დამთვალიერებლისთვის ნამუშევრების ინდივიდუალურად ან ჯგუფურად აღსაქმელად. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფართის გამოყენების სახეობა, რათა შეიქმნას ინდივიდუალური საგნების შინაარსისგან საკმაოდ

განსხვავებული გარემო ან მოხდეს საგნების თემატურად ან ქრონოლოგიურად დაჯგუფება – მაგალითად, ისეთი ინფორმაციის მისაწოდებლად, რომელიც შეეხება ზოგადად ხელოვნებას ან მოიცავს კონკრეტული პერიოდის კულტურას ან ხელოვნების ნამუშევრებს.

კლასიკური არქიტექტურული ტრადიციებით აგებულ მუზეუმებში, შეიძლება იყოს გალერეები, რომელთა სივრცობრივი პროპორციები დაფუძნებულია არქიტექტურული "ოქროს შუალედის" პრინციპზე, რაც სიმაღლეს, სიგანეს და სიღრმეს შორის კონკრეტული მათემატიკური პროპორციებით გამოიხატება. ჩვეულებრივ, ასეთი სივრცეები ძალზე მაღალია, დიდი მოცულობისაა და მოსალოდნელია, რომ ასეთ გალერეებში იატაკიდან ჭერამდე მჭიდროდ ეკიდოს მრავალი ნახატი. დღეს, მსგავსი ზომის სივრცე შეიძლება შევსებული იყოს სულ რამდენიმე დიდი ზომის სურათით ან ქანდაკებით, რომელთაგან თითოეულს საკუთარი სივრცე აქვს გამოყოფილი. პროპორციების განმსაზღვრელი ესთეტიკური პრინციპები კრიტიკულია გალერეის სივრცის "შეგრძნებისთვის", რაც ყველაზე მკვეთრად გამოიხატება მაშინ, როდესაც გალერეაში გამოფენილია ხელოვნების ნამუშევრები, რომელთაც სივრცისადმი ინდივიდუალური მიდგომა სჭირდებათ. ხშირად კამათობენ, რომ ხელოვნების ნამუშევრების გამოფენისას გალერეის არქიტექტურა მიზნად უნდა ისახავდეს ნეიტრალური ფონის შექმნას თუ გადამწყვეტი უნდა იყოს გალერეა ქმნიდეს სივრცეს, რომელსაც უნდა მოერგოს ექსპონატი. არქიტექტორები ფრანკ გერი (რომელმაც სახელი გაითქვა ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმით) და დანიელ ლიბესკინდი (ცნობილია, როგორც ბერლინის ებრაული მუზეუმის პროექტის ავტორი), სწორედ უკანასკნელ ტენდენციას უჭერენ მხარს, რისი დასტურიცაა მათ მიერ შექმნილი სპეციფიური ხასიათის მქონე გალერეები, რომლებიც განთავსებულია ძალზე რთული აგებულების შენობების კონტექსტში. თავის მხრივ, რიჩარდ მეიერი (ლოს ანჯელესის გეტის მუზეუმი) და ჟაკ ჰერცოგი (ლონდონის "თეი მოდერნი"), თავისი ქმნილებებით ხაზს უსვამენ, რომ მთავარი არქიტექტურული გადამწყვეტები შეიძლება განხორციელდეს შედარებით ნეიტრალური სახის სამუზეუმო საგამოფენო გალერეების მშენებლობის პირობებში.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულია მართკუთხა ფორმის გალერეები, რადგან მათი კედლები სურათების დასაკიდებლად ყველაზე მეტ საშუალებას იძლევა. არსებობს სამკუთხა გალერეების რამდენიმე მაგალითიც, როგორიცაა ოჰაიოს შტატის ქალაქ ოქსფორდის მაიამის უნივერსიტეტის ხელოვნების ნამუშევართა მუზეუმის გალერეა, ან ლოურის მუზეუმის ერთ-ერთი დროებითი გალერეა, რომელიც 2000 წელს გაიხსნა დიდი ბრიტანეთის ქალაქ სალფორდში, თუმცა იგი ხშირად ეფექტური არ არის, რადგან არ იძლევა სურათის სრულყოფილად ნახვისთვის საჭირო საკმარის პერსპექტივას და რთული გასანათებელია. კიდევ უფრო მეტ პრობლემას ქმნის გალერეის შეღრმავებული ან გამონეული თუ ხვეული კედლები (რისი რამდენიმე მაგალითიც არსებობს), რამდენადაც მათზე ნამუშევრების დაკიდება საკმაოდ რთულია.

რაც შეეხება ზომებს, ახლად აშენებული გალერეებისთვისაც კი, უჩვეულო არ არის როცა გალერეის სიგანე დიდად არ აღემატება 20-22 ფუტს (დაახლოებით 7 მ). ამგვარი შემზღუდავი პირობები გარდაუვალია კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობის გალერეად გადაკეთების შემთხვევაში, როცა მუზეუმის დამპროექტებლებმა და დიზაინერებმა უნდა შეიმუშაონ გალერეის შეძლებისდაგვარად საუკეთესო ვარიანტი. თუმცა ახალ, სპეციალურად აგებულ მუზეუმებში, სასურველია გალერეების მინიმალური სიგანე იყოს 30 ფუტი (10 მ), რათა შესაძლებელი გახდეს ქანდაკებების ისე განთავსება იატაკზე, რომ

მათი დათვალიერება ყველა მხრიდან შეიძლებოდა, ხოლო მათ მოპირდაპირე კედლებზე სურათების დაკიდების შემდეგ, ქანდაკებების გარშემო კვლავ დარჩეს საკმარისი ადგილი დამთვალიერებლთა სამოძრაოდ და ვიზუალური პერსპექტივის შესაქმნელად, ასევე, უკან დასახევი ადგილი ნახატის ან ქანდაკების სრულყოფილად დასათვალიერებლად.

ჩვეულებრივ, მცირე ზომის ხელოვნების ნამუშევრები და ორგანოზომილებიანი საარქივო არტეფაქტები, ეფექტიანი ნარმოდგენისთვის დიდ საგალერეო ფართს არ საჭიროებენ. მათთვის შეიძლება საკმარისი იყოს 300-500 კვ. ფუტი (30-50 მ²) ფართობის წყნარი გალერეები, პროპორციულად შედარებით დაბალი ჭერით, თუმცა ამგვარი ფართობის გამოყენება ძირითადად სპეციალური დანიშნულებით, კერძოდ კი არქივების და ბიბლიოთეკებისთვის იქნება შესაძლებელი. ზოგადად, გალერეების მინიმალური ფართი, შეზღუდული ფართის მქონე განახლებულ შენობებშიც კი, დაახლოებით 1000 კვ. ფუტი (100 მ²) უნდა იყოს. ცხადია, ფართობის გაზრდა ქმნის პირობებს სხვადასხვა ზომის, სახეობის და რაოდენობის ხელოვნების ნამუშევრების განთავსებისთვის. გალერეა, რომლის ფართობიც 1500 კვ. ფუტს შეადგენს, ნარმოდგენს გალერეის უნივერსალურ მოდელს. თუმცა, არსებობს გალერეები 4000-დან 8000-მდე კვ. ფუტის (400-800 მ²) ფართით, ძალზე დიდი ზომის ხელოვნების ნამუშევრების გამოსაფენად. დიდი მოცულობის საგამოფენო სივრცე შეიძლება შეიქმნას რამდენიმე, ერთმანეთში გამავალი საგამოფენო დარბაზის შეერთებით.

სამუზეუმო გალერეების დაპროექტება (ერთი დიდი ოთახის, ერთმანეთში გამავალი შედარებით მცირე გალერეების თუ ორი-სამი ძალზე დიდი გალერეისგან შედგენილი ნაწილების სახით), დიდადაა დამოკიდებული გამოსაფენი ნამუშევრების ზომებსა და გამოფენების ცვლილების სიხშირეზე. თუ გალერეა კოლექციის მუდმივი გამოფენისთვის არის გამიზნული, მისი ზომები, ფორმა, რიგითობა და პერსპექტივები, შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული დასაკიდი ნამუშევრების ეფექტის გაძლიერების ამოცანის საფუძველზე, როგორც ამას ადგილი აქვს ლონდონის ეროვნული გალერეის სახელგანთქმულ "სენსბერის ფრთაში". გალერეებისთვის, რომლებიც დროებითი გამოფენებისთვის არის გამიზნული, ზომების განსაზღვრისას, მაგალითად, შეიძლება აუცილებელი იყოს დიდი ზომის თანამედროვე ნამუშევრებზე ან ქალაქში შესრულებულ, შედარებით მცირე ზომის, ექსპონატებზე ორიენტირება.

შედარებით ახალი ტენდენცია, რომელიც ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმში, ლონდონის თეით მოდერნის ტურბინების დარბაზში და მასაჩუსეტისის შტატის ქალაქ ნორს ადამსის მასაჩუსეტისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (სადაც საგალერეო სივრცეს განახლებული საფეიქრო საამქროების ჯგუფი ქმნის) არის რეალიზებული, გამიზნულია ჭეშმარიტად გიგანტური ნამუშევრების მისაღებად, ძალზე მაღალი ჭერით, რათა შესაძლებელი იყოს გარეთ, ღია სივრცეში დასადგმელი ხელოვნების ნამუშევრების ან ქანდაკებების გრძელი რიგის განთავსება. ასეთი ვაშლილი და მაღალი სივრცეების შემთხვევაში შესაძლებელია ანტრესოლების მოწყობა: მასაჩუსეტისის და ბილბაოს მუზეუმების ანტრესოლები გამიზნულია მთელს გალერეაზე თვალის გადასავლელად, მაშინ როდესაც, შედარებით მოკრძალებული ზომის ლოურის გალერეებში, რომელიც არქიტექტორ მაიკლ ვილფორმის მიერ არის დაპროექტებული და დიდი ბრიტანეთის ქალაქ სალფორდში მდებარეობს, ანტრესოლის ქვეშ მდებარე ფართი, გამოყენებულია შედარებით მცირე ზომის სურათების გამოსაფენად, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად ფართობზე გამოფენილ დიდი ზომის ექსპონატებთან.

გალერეების რიგებს შორის გადასადგილებელი კვანძის დასაპროექტებლად ხშირად

იყენებენ კლასიკურ არქიტექტურულ გადაწყვეტას, რომელიც ანფილადის სახელწოდებითაა ცნობილი და მდგომარეობს თითოეული ოთახის შესასვლელი და გასასვლელი კარების ლიობების ზუსტად, ერთმანეთის პირისპირ განთავსებაში. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ეს კარები მოპირდაპირე კედლების შუაგულშია დატანებული. ასეთი გადაწყვეტა უზრუნველყოფს დაშორებული ოთახების მხედველობის არეში მოქცევას, რაც თითოეულ მათგანში დაკიდული ნამუშევრების ანარეკლებთან ერთად, ქმნის დიდი დარბაზისთვის დამახასიათებელ ერთიან პერსპექტივას. მსგავსი არქიტექტურული გადაწყვეტის უარყოფითი მხარეა გარკვეულწილად სტატიკური სივრცის წარმოიშობა, რაც ტრადიციულად, გავლენას ახდენს ექსპოზიციის ხარისხზე; ამასთან, მოპირდაპირე კედლებზე კარების ლიობების გაჭრა ამცირებს ნამუშევრების დასაკიდებლად საჭირო კედლის ფართობს, რაც ზღუდავს დიდი ზომის ნამუშევრების გამოფენის შესაძლებლობას. ასეთი სახის გალერეებში ოთახის საპროექტო გადაწყვეტამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს დამთვალიერებელთა მოძრაობაზე.

ოთახის ალტერნატიული სახით დაპროექტებისას, კარების ჭრილები მომიჯნავე ოთახების მოპირდაპირე კედლებში თავსდება, ხოლო მომდევნო ოთახებში გასასვლელები, დიაგონალურადაა განლაგებული. ამდენად, ასეთ შემთხვევაში მაქსიმალურად იზრდება ექსპონატებისთვის განკუთვნილი კედლის ფართი, ხოლო დამთვალიერებელთა გადაადგილების ტრაექტორიებს უფრო მოუწესრიგებელი ხასიათი ეძლევა. ასეთი სახით დაპროექტება წარმატებული შეიძლება იყოს როგორც ცალკე ოთახის, ასევე ოთახების რიგისთვის და ინსტალაციების ცვლილების ფართო შესაძლებლობებს ქმნის.

იქ, სადაც ოთახები რიგებად დაჯგუფების ნაცვლად, უფრო დერეფნის გასწვრივ ან ატრიუმის ან შიდა ეზოს გარშემოა განლაგებული, შესასვლელი და გასასვლელი ლიობები ხშირად ერთსა და იმავე კედელშია გაჭრილი. ასეთი გადაწყვეტა სამი კედლის ლიობების გარეშე დატოვებასა და შესაბამისად, მათი საგამოფენო მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. განურჩევლად იმისა, ოთახების როგორი კონფიგურაციაა მიღებული, ყოველთვის უმჯობესია თითოეულ ოთახში, სულ ცოტა, ორი ლიობის – შესასვლელის და გასასვლელის – მოწყობა, რაც ხელ უწყობს დამთვალიერებელთა შეუფერხებელ მოძრაობას და ადექვატური ავარიული გამოსასვლელებით უზრუნველყოფას.


გალერეის სივრცის და ზომების ნაირსახეობის ბოლო პერიოდის საუკეთესო მაგალითს, არქიტექტორ მარიო ბოტას მიერ დაპროექტებული სან-ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების ნამუშევართა მუზეუმის კონფიგურაცია წარმოადგენს (იხილეთ ნახაზი 6.1). გალერეის საერთო ფართი 50000 კვ. ფუტია (დაახლოებით 5000 მ²) და განაწილებულია ოთხ სართულს შორის, ხოლო საგალერეო სივრცე, გარს უვლის ცენტრალურ სამოძრაო და ატრიუმთან ნაწილს:

- გალერეის პირველი სართული (რომელიც შესასვლელის დონის ზემოთ მდებარეობს), სადაც ფერწერის და ქანდაკების მუდმივი კოლექციებია გამოფენილი, შედგება 20 ურთიერთდაკავშირებული (მცირედან საშუალო ზომამდე) გალერეისგან; შენობის მთელი სიგრძის გასწვრივ უწყვეტი ანფილადის წყობით განლაგებული, კლასიკური ტრადიციების მატარებელი, მაგრამ მკაფიო, თანამედროვე დეტალების მქონე საგალერეო ოთახები, ქმნიან უწყვეტი, გრანდიოზული სივრცის შთაბეჭდილებას
- გალერეის მეორე სართულზე (შენობის მესამე სართული) ფოტოსურათებისა და ქალაქზე შესრულებული ნამუშევრების გამოფენისთვის, მცირე, მყუდრო გალერეებია


განთავსებული,

- გალერეის მესამე სართულზე (შენობის მეოთხე სართული) გრანდიოზული, 18 ფუტი (6 მ) სიმაღლის შემინულ-ჭერიანი გალერეებია, სადაც კედლების სასარგებლო ფართი მაქსიმუმამდეა აყვანილი, ხოლო ვიზიტორების მოძრაობის ტრაექტორიები შედარებით ნაკლებად არის სტრუქტურირებული, დაგეგმილი, გამოყენებულია თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების გამოფენებისთვის; საგალერეო სივრცე გაზრდილია ქანდაკებების დასადგმელი, გარეთ გამავალი ტერასის ხარჯზე


- ბოლო საგალერეო სართული (12000 კვ. ფუტი/1200 მ²), მთლიანად გამიზნულია სპეციალური გამოფენებისთვის, რომლის “შავი ყუთის” სახის გაშლილ სივრცეს, შეუძლია დაიტოს ექსპონატების განსათავსებლად საჭირო ყველა საშუალება.




პირველი სართული




მე-2 სართული



მე-4 სართული



მე-3 სართული



მე-5 სართული

ნახაზი 6.1 სან-ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების ნამუშევართა მუზეუმი

სან-ფრანცისკოს აღნიშნული მუზეუმი სხვადასხვა საგალერეო ფართობებისთვის საჭირო განსხვავებული დიაპაზონის ჭერის გამოყენების მაგალითსაც იძლევა. ზოგადად, ახლად აშენებული საგალერეო სივრცისთვის, ყოველგვარი გაყვანილობების და განათების საშუალებების ქვემოთ დარჩენილი ჭერის სუფთა სიმაღლე, რეკომენდებულია შეადგენდეს მინიმუმ 13 ფუტს (4 მ), რაც აღემატება სახლის ან ოფისის ჭერის სიმაღლეს (9 ფ. ანუ 3 მ). ვინაიდან სავენტილაციო და განათების სისიტემის მონტაჟისთვის აუცილებელია დაახლოებით 3 ფუტი (1 მ) თავისუფალი სიმაღლის ზემოთ, ამიტომ ახალ, სპეციალურად აშენებულ გალერეებში, იატაკიდან ჭერამდე მაქსიმუმ სიმაღლედ დაახლოებით 15 ფუტია (5 მ) რეკომენდებული. ისევე როგორც სან-ფრანცისკოს მუზეუმში, ჭერის დამატებითი სიმაღლე შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს დიდი ზომის ექსპონატების განსათავსებლად, როგორცაა: თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრები, ასევე ძველი ოსტატების ფერწერული ტილოები და ანტიკური პერიოდის მასშტაბური ზომების ქმნილებები. ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს 24 ფუტი (8 მ) სუფთა სიმაღლის ჭერის არსებობა, რაც სავენტილაციო მილებისა და სინათლის გაყვანილობისთვის საჭირო ინტერვალის გათვალისწინებით, ჯამში იატაკიდან ჭერამდე 27-30 ფუტ (9-10 მ) დაშორებას მოითხოვს. ხშირად, სხვენში ჩატანებული ფანჯრების და შემინული ჭერის მოსაწყობად, უფრო მაღალი ჭერიც კი შეიძლება გახდეს საჭირო. ასევე, მნიშვნელოვანია კედლების გასწვრივ, ჭერიდან იატაკამდე არსებული ფართობი თავისუფალი იყოს პანელების, შემნილბავი დაფების ან თალოვანი ჭერის დეტალებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს დეტალები გალერეად გადაკეთებული კულტურული მემკვიდრეობის შენობის ელემენტებს არ წარმოადგენენ.

მართალია, სახვითი ან დეკორატიული ხელოვნების ნამუშევრებისთვის გამიზნული ტრადიციული გალერეები კვლავ ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ დღეს მზარდ პოპულარობას იძენს ინტეგრირებული გალერეების მშენებლობის ტენდენცია, სადაც სახვითი ხელოვნების ნამუშევრები იმავე კულტურული პერიოდის დეკორატიული ხელოვნების ნამუშევრების ფონზეა წარმოდგენილი. ეს ნიშნავს, რომ საყრდენები, პედესტალები, ვიტრინები, საგამოფენო ვიტრინები და ზოგჯერ, დარბაზის მთელი აღჭურვილობა, სურათებთან და ქანდაკებებთან ერთად ერთ გალერეაში იყოს განთავსებული ისე, რომ თითოეული ნამუშევარი წარმოდგენილი იყოს შესაბამის კონტექსტში. ასეთი გალერეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფართის სიგანეს, რაც 30 ფუტს (10 მ) უნდა აღწევდეს, ვინაიდან მაგიდებისა და სკამების რიგები, რომელიც სურათებიანი კედლების გასწვრივაა განთავსებული, ნაკლებ სივრცეს ტოვებს დამთვალიერებელთა თავისუფლად სამოძრაოდ. სხვა მიმართებით, ამგვარი ინტეგრირებული გალერეები ემსგავსებიან შემდეგ თავში განხილულ გალერეებს, რომლებიც ძირითადად სამგანზომილებიანი არტეფაქტებისა და მოდელების გამოფენისთვის არის გამიზნული.

6.2 არტეფაქტების და ნიმუშების გალერეები

არტეფაქტების ან მოდელების გამოსაფენ გალერეებში წარმოდგენილია საგნების დიდი ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც შეიძლება შედიოდეს როგორც გარკვეულ ფონზე მჭიდროდ განთავსებული ისტორიული არტეფაქტები და ქრონოლოგიურად დალაგებული არქეოლოგიური მასალები, ასევე, სახეობებისა და ქვესახეობების მიხედვით განაწილებული ხოჭოები. როგორც წინა პუნქტში იყო აღნიშნული, გალერეების ერთ-ერთ ტიპს შეადგენენ

ინტეგრირებული გალერეები, რომლებშიც სახვითი და დეკორატიული ხელოვნების ნამუშევრები შესაბამის კულტურულ კონტექსტშია წარმოდგენილი.

იმის გათვალისწინებით, რომ უდავოდ შეიძლება არსებობდეს გარკვეული კომბინაციები და სხვა ვარიანტებიც, მათთვის დამახასიათებელი შემდეგი ფუნქციური დანიშნულებების მიხედვით, ეს გალერეები ზოგადად ორ ტიპად იყოფა:

- ექსპონატების სისტემური სახით წარმოდგენა, მიმართული დამთვალიერებელთა შემეცნებითი დონის ასამაღლებლად;
- ექსპონატების კონტექსტური/თემატური სახით წარდგენა, როცა დამთვალიერებლის გაცნობიერება ხდება არტეფაქტების ან ნიმუშების კონტექსტის ჩვენებით.

6.2.1 სისტემური წარმოდგენა

ექსპონატების სისტემური სახით წარმოდგენა, რომელიც დასაბამს უძველესი სამუზეუმო ჩვენებებიდან იღებს, მდგომარეობს მრავალი საგნის ერთად დაჯგუფებაში ნებისმიერი რაოდენობის კონცეპტუალური კატეგორიების მიხედვით, რომელთაგან თითოეული, აკადემიური განსჯის საფუძველზეა განსაზღვრული – მაგ., ბუნებრივი სამყაროს წარმოდგენლების კლასიფიკაციისა და დასახელებების კლინიკის სისტემით. ასეთი წარმოდგენა მიზნად ისახავს დამთვალიერებელზე შთაბეჭდილების მოხდენას სხვადასხვა კატეგორიის არტეფაქტებისა და ნიმუშების გაანალიზების გზით.

პუნქტში 6.1 განხილული საკითხების უმრავლესობა, რომლებიც ეხებოდა ხელოვნების ნიმუშებისა და საარქივო გალერეების სივრცობრივი დაგეგმარების საკითხებს, თანაბრად ეხება ამ ტიპის გალერეებსაც, განსაკუთრებით ტრადიციული სახის სისტემური გამოფენების შემთხვევაში, სადაც თითოეულ არტეფაქტს ან ნიმუშს თავისი საკუთარი ადგილი აქვს მიკუთვნებული. სისტემური სახით მონყობილ გალერეას ან გამოფენას ახასიათებს რიგებად დაწყობილი იდენტური შესახედაობის საგამოფენო ვიტრინები და პანელები, რომელთაგან თითოეულში განთავსებული საგნები მონესრიგებულადაა დალაგებული.

სისტემური გალერეის ახალ სახეს წარმოადგენს ე.წ. "ღია" გალერეა-საცავი, რომელიც განხილულია პუნქტ 5.2-ში მოცემულ მაგალითში კანადის, ბრიტანეთის კოლუმბიის ანთროპოლოგიური მუზეუმის შესახებ. ღია საცავი შეიძლება მთელ სპეციალიზებულ მუზეუმს მოიცავდეს, როგორც ამას ადგილი აქვს არქეოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მუზეუმებში, ან მხოლოდ კონკრეტულ კოლექციას წარმოადგენდეს, როგორცაა ლონდონში ვიქტორიას და ალბერტის მინის მუზეუმი. ალტერნატივის სახით, როგორც ამას ადგილი აქვს ვანკუვერში მდებარე ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიურ მუზეუმსა და სხვა დაწესებულებებში, ღია საცავი შეიძლება კომბინირებული იყოს სხვა სახის გამოფენებთან. ასეთი ტიპის საცავების მონყობის იდეა მდგომარეობს მთელი კოლექციის საჯაროდ გამოფენა, რის შემდეგაც მნახველს საშუალება ეძლევა გააკეთოს შედარება. ამას ხელს უწყობს მუზეუმის კატალოგები და მუზეუმში არსებული დამატებითი კვლევითი ინფორმაცია. ვანკუვერის ანთროპოლოგიური მუზეუმის ღია საცავი სანიმუშოა აღნიშნული მიზნების წარმატებული განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ, კერძოდ:

- ღია გალერეა-საცავის მგეგმავებმა უნდა განიხილონ ფართო დიაპაზონის მასალების გამოყენების შესაძლებლობა – ზომების, საყრდენების მონყობის საჭიროების, კულტურული

მსგავსების და სხვა ფაქტორების ჩათვლით, რომლებიც წარმოდგენილია ღია საცავით და შესაბამისად, დააპროექტონ სივრცე და საგამოფენო საშუალებები.

- ღია გალერეა-საცავებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი სივრცე სტუმრების მოძრაობის ხელშეწყობისა და საძიებო რესურსების მარტივი ხელმისაწვდომობისთვის, იქნება ეს ბეჭდვითი თუ კომპიუტერიზებული კატალოგები. ვანკუვერში ღია საცავის და კვლევითი კოლექციების განთავსების ფართობი 14000 კვ. ფუტს შეადგენს და ტიხრებით ფართო მართკუთხა სექციებად არის დაყოფილი. დერეფნის ორივე მხარეს კედლები შემინულია, რათა მნახველებს შეეძლოთ გალერეაში შეხედვა. თითოეულ სექციაში გამოყოფილია საკმარის დიდი ოთახი, სადაც განთავსებულია ოთხი უჯრიანი კარადა, რომელთა ზემოთ მოწყობილია ღია თაროები მონაცემების შემცველი წიგნებისთვის.

- ამ ტიპის გალერეებს, ჩვეულებრივ, არ სჭირდება 10 ფუტზე (3 მ) მაღალი ჭერი, რათა საგნები მარტივად ხედებოდნენ დამთვალიერებლების მხედველობის არეში, ხოლო ჰაერის ცირკულაციისთვისაც, კარადების ძირიდან ჭერამდე, საკმარისი მანძილი რჩება. კარადების ზემოთ მდებარე ჰაერგამტარებისა და საკონტაქტო განათების გაყვანილობის გათვალისწინებითაც კი, იატაკიდან ჭერამდე მანძილი შეიძლება მხოლოდ 13 ფუტს (4 მ) შეადგენდეს.

- ღია საცვი ან რომელიმე სისტემური ჩვენებისთვის განკუთვნილი სივრცე, შეიძლება გაცილებით მცირე ფართობზეც – 300 კვ. ფუტი (30 მ²) – განთავსდეს. ამ შემთხვევაში შეიძლება ნიშის გამოყენებაც, სადაც გამოსანეგ პანელებზე განთავსდება მარკების ან მწერების კოლექციები. საჭირო ფართობი გაანგარიშებული უნდა იყოს განსათავსებელი საგნების გათვალისწინებით, როგორც ეს მე-5 თავშია განხილული.

ღია საცავი შეიძლება მოეწყოს არსებულ საგალერეო ფართზე, როგორც ეს წარმატებით განხორციელდა ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმის მინის გალერეაში; ეს გრძელი და ვიწრო გალერეა, კედლების შუა ნაწილიდან ჭერამდე ჩატანებული ფანჯრებით, მინის ნაკეთობათა კოლექციის 85 პროცენტს იტევს. ექსპონატების ნაწილი განთავსებულია იატაკზე დადგმულ დიდ ყუთებში, რომელთა შორის გარკვეული შუალედებით კომპიუტერებია დადგმული, ხოლო ანტრესოლის ნაწილი, მჭიდროდ შევსებული, კედელზე ჩამოსაკიდი ყუთებითა და ჭერზე დაკიდული ჭალებით, იყენებს თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებულ ძალიან მაღალი ჭერის უპირატესობას. კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის ამერიკული დეკორატიული ხელოვნების გალერეები, სადაც ავეჯი ღია საცავების სახით, სამ დონედ არის წარმოდგენილი.

6.2.2 თემატური ან კონტექსტური წარმოდგენა

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ინტენსიურად დაიწყო ახალი სახეობის სამუზეუმო ექსპოზიციის დამკვიდრება, რომელიც ითვალისწინებს სამუზეუმო ექსპონატების წარმოჩენას მათი თავდაპირველი მდებარეობის კონტექსტთან ერთად. შესაძლოა ამ ტენდენციას საფუძველი დაუდო ბუნების ისტორიის ამსახველი დიორამების და კონკრეტული პერიოდების ყოფის ამსახველი ოთახების დუბლირების ან ამ კონტექსტების მთლიანად გადმოტანის პრაქტიკამ, რასაც გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი; ამ მხრივ ჭეშმარიტი პიონერი იყო 1930 წელს გახსნილი იორკის ციხე-მუზეუმი მე-19 საუკუნის ქალაქის ხედებითა და არტიფაქტებით გადაჭედილი მაღაზიებით. აღნიშნული მიდგომა

დღეისთვის გაფართოვდა და მიიღო თემატური გამოფენების სახე, რაც დიზაინერებისა და ხელსაქმის ოსტატების მოხერხებულობისა და გამომგონებლობის მკაფიო გამოსახატულებებს წარმოადგენს.

თემატური ჩვენება შეიძლება წარმოადგენდეს ოთახის ცენტრში მონყობილ კუნძულს, ერთიან შემოსავლელ გარემოს ან/და განცალკევებულ გამოფენას, რომელიც მოიცავს ვიტრინებს, ოთახის მოსაწყობ ატრიბუტებს და ვინიეტებს (ფონის შემქნელ გამოსახულებებს). დიორამები შეიძლება იყოს მინიატურული ზომის, მთლიანად ჩასმული გარსაცვამში ან სრულმასშტაბიანი და ორთავე მხრიდან გახსნილი. თემატური წარმოდგენის გამოსარჩევ ნიშანს ყოველთვის წარმოადგენს არტეფაქტის ან ნიმუშის განთავსება იმ მასალებთან ერთად ან მათ გარემოცვაში, რომლებიც არ შედის კოლექციაში, მაგრამ უზრუნველყოფს სათანადო კონტექსტის შექმნას ექსპონატის ინტერპრეტირების ხელშეწყობის მიზნით. გალერეის სივრცითი მოცულობა და გარემო, შეიძლება მცირე და ინტიმური იყოს, მაგ., როგორცაა თოჯინების სახლები და ბავშვობის სხვა მოგონებები, ან წარმოადგენდეს დიდი ზომის გამოქვაბულებს, სავანაში მოძრავი ყირაფებითა და სპილოებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული სივრცისადმი მოთხოვნები ამ შემთხვევაშიც განისაზღვრება მოსათხრობი ამბის შესაბამისი მასალებითა და შინაარსით. ამ მაგალითში აღწერილი ჩვენებისთვის, საკმარისი იქნება 12 ფუტი (4 მ) სტანდარტული სიმაღლის ჭერის გალერეა; ყფვლდბკ ზომის ძუძუმწოვრების, დინოზავრების, ეგვიპტური ტაძრის ან ვიქტორიას ეპოქის ქალაქის პეიზაჟის წარმოსადგენად, ჭერის წმინდა სიმაღლემ შეიძლება 40 ფუტს (13 მ) მიაღწიოს. ახალი, სპეციალური დანიშნულებით მშენებარე გალერეისთვის 18 ფუტი (6 მ) სიმაღლის ჭერის მოთხოვნა, შეიძლება ზედმეტი არ იყოს, თუ კი მოსალოდნელია, რომ აქ, 20-30 წლის განმავლობაში მაინც, ექსპონირებული იქნება მასშტაბური კოლექციები. ასეთ შემთხვევაში გალერეის ფართობი შეიძლება იცვლებოდეს 300-500 კვ. ფუტიდან (30-50 მ²) 4000-5000 კვ. ფუტამდე (400-500 მ²).

ზოგადად, თუ არ ხდება გალერეის ფართობის ადაპტირება, თემატური ან კონტექსტური გალერეებისთვის კლასიკური ანფილადის ტიპის სახვითი ხელოვნების გალერეებისთვის დამახასიათებელი ოთახების წყობის გამოყენება, რეკომენდებული არ არის. სანაცვლოდ, უმჯობესია საგამოფენო ფართობების შესასვლელები და გამოსასვლელები მოეწყოს ერთი კედლის ან მოპირდაპირე კედლების დიაგონალურ კუთხეებში, რაც ფართობის უფრო ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა და ნაკლებ დაბრკოლებებს ქმნის თანამედროვე ექსპონატების წარმოსაჩენად.

მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში, თემატური წარმოდგენისთვის გამიზნული სივრცეები, უკვე 40 წელზე მეტია გამოიყენება როგორც მუდმივი, ასევე დროებითი საგამოფენო გალერეების მოსაწყობად. ამდენად, ასეთი სივრცეების უწყვეტად და ცვალებად პირობებში გამოყენების განსაზღვრა უამრავი, უკვე პრაქტიკულად შემომწმებული მაგალითის საშუალებით შეიძლება (ლონდონის მუზეუმი, კალიფორნიის ქალაქ ოკლენდის მუზეუმი და ბრიტანეთის კოლუმბიის სამეფო მუზეუმი კანადის ქალაქ ვიქტორიაში). ამ მუზეუმების სივრცეები ოც წელზე მეტია უწყვეტად გამოიყენება და ამასთან, მუშაობის სტრატეგიული დაგეგმარების საშუალებით, აგრძელებენ ახალი ფორმატების გამოფენების მასპინძლობას. ასეთი დანიშნულებით აგებულ ან განახლებულ, შედარებით ბოლოდროინდელ სამუზეუმო გალერეებს შორის აღსანიშნავია საყოველთაოდ ცნობილი ჰოლოკოსტის მემორიალური მუზეუმი ვაშინგტონში, კანადის ცივილიზაციის მუზეუმი ოტავაში, ბუნების ისტორიის

მუზეუმი ლონდონში (რომელიც მე-11 თავში მოცემულ პრაქტიკულ მაგალითშია აღწერილი) და საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმი (იხილეთ მე-10 თავი).

უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც თემატური გამოფენების სივრცის დიზაინზე გავლენას ახდენს კომერციული თემატიკის გაშუქების პრაქტიკაც, დაწყებული არქეოლოგიური გათხრების შთამბეჭდავი ინტეგრირებით დიდი ბრიტანეთის იორკის იორვიკის მუზეუმში, სადაც გამოყენებულია მოძრავი ბილიკები, დამთავრებული დისნეის თემატურ პარკებსა და მსოფლიო სავაჭრო გამოფენებზე გამოყენებული ტექნოლოგიების ადაპტაციით, რასაც დღეს მრავალი მუზეუმი მიმართავს. ასეთი სახის ნოვაციებმა საზოგადოება მიაჩნია მასშტაბურ საგამოფენო სივრცეებს, სადაც შექმნილია ტექნიკურად რთულად წარმოსადგენი ექსპონატების ჩვენების შესაძლებლობები. ვინაიდან სულ უფრო მეტი მუზეუმი ცდილობს ბლოკბასტერების, დიდი თემატური გამოფენების მოწყობას აუდიტორიის სპექტრის გასაზრდელად, ცხადი ხდება, რომ ინვესტიცია “ჭკვიანი საგამოფენო დარბაზის” მოწყობაში გამართლებულია და იატაკის ელექტრო- და საინფორმაციო კაბელების გაყვანილობა უკვე ფუფუნება კი არა, აუცილებლობა გახდა.

თანამედროვე თემატური გალერეა ხშირად წააგავს თეატრს, რომელშიც სასცენო ეფექტებისთვის საჭირო ყველა ტექნიკური საშუალება უჩინარია მაყურებლისთვის. ტერმინი “შავი ყუთი”, მისადაგება როგორც საგამოფენო გალერეების, ასევე ავანგარდული თეატრების სივრცეებს, სადაც სივრცის შემადგენელი არქიტექტურული დეტალები მინიმუმამდეა დაყვანილი და საინჟინრო კონსტრუქციები და კომუნიკაციები გაშიშვლებული, მაგრამ უჩინარი საღებავების და პირდაპირი განათების ეფექტური გამოყენების საშუალებით. იდეალურ შემთხვევაში, “შავი ყუთი” ან არქიტექტურულად ნეიტრალური თემატური გამოფენა, წარმოადგენს ღია კონსტრუქციას, სვეტებს შორის ფართო ბიჯებით, სადაც კი შესაძლებელია - ღია მალეებით. სივრცის შემოქმედებითად დაყოფის მიზნით, კარადებთან, პანელებთან და სხვა საგამოფენო ელემენტებთან ერთად, შეიძლება დროებითი ან მოძრავი კედლების ან ოთახების გადასატიხრი დროებითი კონსტრუქციების გამოყენება. იატაკსა და ჭერზე არსებული ელგაყვანილობა, საკომუნიკაციო სადენების შეერთებები, ჭერიდან დაღმავალ საინჟინრო კომუნიკაციებთან ერთად, ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ექსპონატების განთავსება შეიძლებოდეს ნებისმიერი სახით, როგორც ამას გამოფენის დიზაინერი მოითხოვს. ასეთი ტიპის გალერეების კიდევ ერთი სრულიად აუცილებელი თვისებაა იატაკის, კედლების და ჭერის დატვირთვის მედეგობის თანაბარი ზრდა, ვინაიდან ექსპონატების სტაბილურად განსათავსებლად, იატაკის დატვირთვის გამძლეობა შეადგენს მინიმუმ 7,5-10,8 კნ/მ².

ტრადიციული სამუზეუმო წესების უგულვებელყოფით მოწყობილ “შავი ყუთის” სახის საგამოფენო სივრცის ბოლოდროინდელ მაგალითს წარმოადგენს სიეტლის მუსიკალური მუზეუმი (Experience Music Project), რომელიც არქიტექტორ ფრანკ გერის მიერაა დაპროექტებული. საგამოფენო ფართობი ეყრდნობა სამ პლატფორმას, რომლებიც წარმოადგენენ დამსხვრეულნაჭუჭიანი კვერცხის მომრგვალებული ფორმის უფანჯრო ნაგებობებს (გერის შენობების ფორმა). კონსტრუქცია და საინჟინრო კომუნიკაციები მთლიანად გაშიშვლებულია. პლატფორმებზე, იქ სადაც დამატებითი განათება ან გარემო პირობების რეგულირებაა საჭირო, მოწყობილია საგალერეო ფართი. ერთი დონიდან მეორეზე გახედვა კიბის უჯრედებიდანაა შესაძლებელი. მნახველები საგამოფენო ფართობებზე საორიენტაციოდ იყენებენ “ჯიბის საპილოტო” კომპიუტერებს, რაც მათ საშუალებას აძლევს აგრეთვე პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე “ჩაინიშნონ” განსაკუთრებით საინტერესო

საგამოფენო ინფორმაცია, რათა მომავალში, თავისუფალ დროს, შეძლონ დროში ვირტუალურად უკან დაბრუნება და ინფორმაციის ხელახალი გადახედვა. შესაბამისად, ამ ტიპის გალერეები სულ უფრო ერწყმიან მომდევნო პუნქტებში აღწერილ გალერეებს, რომლებიც განთავსებული არიან საბავშვო მუზეუმებსა და გალერეებში ან სამეცნიერო ცენტრებში.

6.3 საბავშვო მუზეუმის და სამეცნიერო ცენტრის გალერეები

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მარტო ახალი ტიპის სამუზეუმო ჩვენების მოდელი ჩამოყალიბდა, არამედ შეიქმნა აგრეთვე ახალი ტიპის – ახალად შეკრებილ მასალაზე დაფუძნებული, მუზეუმები, რომელთა დანიშნულება სწავლება, შესწავლა და აღმოჩენაა. მიუნხენის გერმანულ მუზეუმში ჯერ კიდევ 1920-იან წლებში დამონტაჟდა ტექნიკური მანქანა-მონყობილობები და გაიხსნა გამოფენა, რომლის დათვალიერებამ სურვილი გაუჩინა ამერიკელ ფილანტროპს, დაეფინანსებინა ჩიკაგოს მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმში მსგავსი გამოფენის მონყობა. 1950-60-იან წლებში ამ მიმართულების ტონის მიმცემ მუზეუმებს შორის იყვნენ ეინდჰოვენის ევოლუციის მუზეუმი (Evolution), სან-ფრანცისკოს ექსპლორატორიუმი და ონტარიოს სამეცნიერო ცენტრი ტორონტოში, ხოლო დღეისთვის ინტერაქტიური ექსპონატების ჩვენებას უკვე მიმართავენ მსოფლიოს რიგ მუზეუმებში - პარიზიდან და ლონდონიდან დაწყებული და სინგაპურითა და ბანგკოკით დასრულებული.

საბავშვო გალერეები და მუზეუმები, სადაც ინტერაქტიური ექსპონატებია გამოყენებული, დასაბამს ასევე უფრო ადრეული პერიოდიდან, მე-19 საუკუნეში ბრუკლინში მონყობილი გამოფენებიდან იღებს. ამ მიმართულებით მონინავე ადგილი შეერთებულ შტატებს უჭირავს, სადაც ასეთი დაწესებულებები დაფუძნებული იყო ბოსტონში, ფილადელფიასა და ინდიანაპოლისში, ხოლო დღეისთვის თითქმის ყველა დიდ ამერიკულ ქალაქში ფუნქციონირებს. შემდგომში ამ მოძრაობამ ევროპაში გადაინაცვლა ("ZooM!" ვენაში და "Eureka!" დიდი ბრიტანეთის ქალაქ ჰალიფაქსში), ხოლო მოგვიანებით აზიასაც გადაწვდა, რისი დასტურიცაა მანილას "მუზეო პამბატა" და ასევე, პირველი საბავშვო მუზეუმი სეულში, რომელიც დაფუძნებულია სამსუნგის ხელოვნებისა და კულტურის ფონდის მიერ.

ამ მუზეუმებსა და სამეცნიერო ცენტრებში გაცილებით გამარტივებულია მოთხოვნები კოლექციების შენახვა-მოვლასთან მიმართებით, თუმცა შეიძლება აუცილებელი იყოს სპეციალური სახელოსნოების შექმნა. შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული მოთხოვნები ცოცხალი ცხოველების, ნარგავების ან მწერების გამოფენის, წყლიანი ან ქარიანი გვირაბების მონყობის ან ისეთი საშუალებებით უზრუნველყოფის მიმართ, რომლებიც სჭირდება ინდუსტრიული, სატრანსპორტო, სამედიცინო და სამხედრო ტექნოლოგიების უკანასკნელი მიღწევების გამოყენება. ასეთი მუზეუმების ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სტუმრების მიერ არა მარტო გამოფენის დათვალიერება, არამედ მათ მიერ აქ გამოფენილი ტექნოლოგიების მოძრაობაში მოყვანა, კონკრეტული მოქმედებების შესრულების გზით. ამდენად, ამ ტიპის მუზეუმებში საგამოფენო ობიექტები უნდა დაპროექტდეს გალერეაში ან მის მიმდებარე სივრცეებში, როგორც ექსპონატების დემონსტრირების თვალსაზრისით, ასევე ინტერაქტიური და პრაქტიკული საქმიანობების ან წარმოდგენების მონყობის გათვალისწინებით.

საბავშვო მუზეუმის და სამეცნიერო ცენტრის გალერეების ინტერაქტიური ჩვენები-

სთვის გამიზნული ფართობები, ძალიან ემსგავსება წინა პუნქტში განხილული თემატური გალერეის საგამოფენო სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბავშვო მუზეუმებში, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ცენტრებში უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული ექსპონატის განცალკევებული მოდულის სახით წარმოდგენა. ორივე ტიპის მუზეუმისთვის გადამწყვეტია უზრუნველყოს ახალი საგამოფენო მოდულის "ჩასმა" ექსპოზიციაში არსებული ექსპონატების განლაგების სქემის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

6.3.1 საბავშვო მუზეუმების გალერეები

დღეს, მთელ მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება ახალი ტიპის მუზეუმების – საბავშვო მუზეუმების, რიცხვი. ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან გამოიკვეთა სხვადასხვა პროფილის მუზეუმებში ბავშვებისთვის განკუთვნილი აღმოჩენების ოთახების ან საბავშვო გალერეების გახსნის მძლავრი ტენდენცია. ასეთი ობიექტები შეიძლება წარმოადგენდნენ გალერეაში მოწყობილ კუთხეს, გამოუყენებელ საკლასო ოთახს ან სპეციალურად აგებულ და დაგეგმარებულ გალერეას. საბავშვო მუზეუმებს და გალერეებს შეიძლება გააჩნდეთ სპეციალური ორიენტაცია მეცნიერების და ტექნოლოგიების, ბუნების ისტორიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ან ხელოვნების სფეროებში ან სწავლებისა და შემეცნების ხელშეწყობის მიზნით მოიცავდნენ ყველა დარგს. მრავალი საბავშვო მუზეუმი ფოკუსირებულია ბავშვის ცხოვრებაზე ურბანულ გარემოში, მეხიკოში არის ასეთი ტიპის მსოფლიოში ყველაზე დიდი მუზეუმი.

მართალია, საბავშვო მუზეუმები და გალერეები ზოგადად, წინასასკოლო ასაკიდან დაახლოებით 12 წლამდე ბავშვებისთვისაა გამიზნული, მაგრამ ხშირად ისინი უფრო ვიწრო ასაკობრივი ჯგუფისთვისაც კი შეიძლება მოეწყოს, ან გააჩნდეთ განცალკევებული ფართობები ახლად ფეხადგმული (18 თვიდან სამ წლამდე ასაკის), საბავშვო ბალის (4-დან 6 წლამდე) და დაწყებითი და საშუალო სკოლის (6-დან 8-მდე და 9-დან 12-მდე წლის) ასაკის ბავშვებისთვის. გარდა ამისა, საბავშვო სექციებში შექმნილი უნდა იყოს სათანადო პირობები თანმხლები უფროსებისთვის. საბავშვო გალერეებში სტუმრობა და ღონისძიებებში მონაწილეობა, სულ უფრო მეტად განიხილება და რეკლამირდება როგორც საოჯახო ღონისძიება, რომლითაც ბავშვებთან ერთად მათ მშობლებს და ბებია-ბაბუებსაც შეუძლიათ ისიამოვნონ. საბავშვო გალერეა საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს შემდეგით: საინფორმაციო ნიშან-სიმბოლოები, რომელიც წერა-კითხვის არმცოდნე ბავშვებს ორიენტაციაში დაეხმარება, სიმალეების (ბავშვების, მოზარდებისა და უფროსებისთვის) შესაბამისი სკამები და ტანსაცმლის საკიდები, საპირფარეშოები, ჩვილებისთვის გამოსაცვლელი ოთახები და დასუფთავების საშუალებები, ლიფტები ან ესკალატორები, კიბეები, საბავშვო კვებისა და სხვა სავაჭრო ობიექტები.

კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრისთვის, აუცილებელია მუზეუმში მოსული ბავშვების და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნილებების ანალიზი, აგრეთვე კონსულტაციების და განახლებული ინფორმაციის მიღება კარგად გაცნობიერებული განათლების მუშაკებისა და სხვა შესაბამისი პირებისგან. გამოცდილი არქიტექტორები და გამოფენების დიზაინერები კარგად უნდა იცნობდნენ ბავშვებისა და უფროსებისთვის განკუთვნილ ნორმატივებს: სკამებისა და მაგიდების სიმალეს, მანძილს კედელზე განთავსებული ექ-

სპონატებსა და იატაკს შორის, ფერთა განანილებას საექსპოზიციო დარბაზებში და სხვა. ამ მხრივ, შეიძლება აუცილებელი იყოს კონსულტაციების მიღება ადგილობრივი და ეროვნული სტანდარტების შესახებ. ასევე ცხადია, რომ მთლიანად ობიექტი მარტივად ხელისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, მათ შორის განსაკუთრებული მოთხოვნილებების მქონე ბავშვებისთვის (იხილეთ პუნქტი 5.7).

მთლიანი სივრცის დაგეგმარებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ძალზე დიდმა ღია სივრცეებმა ან მეჩხერად განანილებულმა ექსპონატებმა, შეიძლება დამთრგუნავად იმოქმედოს ადამიანზე; მთლიანი სივრცის მასშტაბების განგარიშებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც ბავშვების, ასევე მათი თანმხლები პირების სრული უსაფრთხოება. როდესაც მშობელი ხედავს, რომ ბავშვი სიხარულით მონანილებობს სხვადასხვა ქმედებაში ან დარბის და ხტუნავს, მაგრამ არ სცილდება მხედველობის არეს, მას შეუძლია მეტი დრო და თავისუფლება მისცეს ბავშვს ექსპონატების შესასწავლად. მკაცრი სწორხაზოვანი გამოფენა ან ოთახების მიმდევრობა შეიძლება ზედმეტად მკაცრ ჩარჩოებში აქცევდეს ნორჩ სტუმრებს, რომელთაც ურჩევნიათ ხოლმე საინტერესო ობიექტთან მოგვიანებით დაბრუნება, "უნესრიგოდ" დათვალიერება. ბავშვებს მოსწონთ ისეთი ადგილები, სადაც არსებობს სხვადასხვა დონეზე ასვალ-ჩამოსვლის, გადმოხედვის შესაძლებლობა, მაგალითად, ანტრესოლები, საიდანაც შესაძლებელია კიბეებზე ჩამოსვლის ნაცვლად, ქვევით სახანძრო ძელით ჩამოცურება. ასევე, პოპულარულია მყუდრო, დაბალჭერიანი ადგილები, სადაც ბავშვის ზომაზე მოწყობილია თემატური ოთახები – ეპოქის, ადგილის რეკონსტრუქციები. საბავშვო გალერეაში უნდა არსებობდეს მცირე სცენის ან თოჯინების თეატრის განთავსების შესაძლებლობა, მაყურებელთა დასასწრებად საკმარისი ფართით და ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახით.

რამდენადაც საბავშვო მუზეუმები უფრო თავიანთი სამომხმარებლო სეგმენტის შესაბამისი გამოფენებზე არიან სპეციალიზებული, ვიდრე კლასიკური კოლექციების გამოსაფენად, ამიტომ საგამოფენო სივრცის ზომები დაფუძნებული უნდა იყოს რაც შეიძლება მეტად ობიექტურ ინფორმაციაზე, ისეთი მონაცემების ჩათვლით, როგორცაა კლასებში ბავშვების რაოდენობა, ოჯახური ჯგუფების შემადგენლობა, სამიზნე ასაკობრივი ჯგუფების მონაცემები, რომელთა მიხედვითაც უნდა შემუშავდეს დასწრების პროგნოზები. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ მოთმინებით ელოდონ თავის რიგს, ვიდრე მიეცემათ შესაძლებლობა "იურთიერთონ" ექსპონატთან. მიტომ აუცილებელია იყოს შესაძლებლობა სამაგაეროდ ბავშვი სხვა საქმით, სხვა ექსპონატით დაკავდეს, შესაძლოა ისეთით, რომელის "გამოყენება" ერთდროულად რამდენიმე ბავშვს შეუძლია; ეს განსაკუთრებით საჭირო ხდება როცა მნახველები ბევრი არიან. მნახველების დასწრების პროგნოზში შეიძლება მიეთითოს ექსპონატებისა და სამოქმედო პუნქტების საჭირო რაოდენობა, რის საფუძველზეც შეიძლება გამოითვალოს საჭირო ფართის დაახლოებითი სიდიდე და ზომები. პატარა ბავშვებისთვის გამიზნული აღმოჩენების დარბაზის ფართობი შეიძლება სულ 500 კვ. ფუტს (50 მ²) შეადგენდეს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ ბავშვზე ფართი 50 კვ. ფუტი მაინც უნდა იყოს, ასეთ ოთახებს ერთ ჯერზე მხოლოდ 10 ბავშვის მიღება შეეძლება. ასევე, 1500 კვ. ფუტი (150 მ²) ფართი შეიძლება საკმარისი იყოს ინტერაქტიული ექსპონატების შესწავლისთვის მხოლოდ ერთი, 30 მოსწავლიანი კლასის სრული შემადგენლობით მისაღებად; ზოგადად, საბავშვო აღმოჩენების გალერეებისთვის უპრიანია მინიმალური ფართი 2000 კვ. ფუტი (200 მ²) მაინც.

საბავშვო გალერეებში შესაძლებელია სრულიად სხვადასხვაგვარი ექსპონატების განთავსება, იმ პირობით, რომ, თითოეულ შემთხვევაში, ისინი უნდა გულისხმობდეს აქტიურ ქმედებას ან შეიცავდეს ინტერაქტიურ ელემენტს. ინტერაქტიურობა შეიძლება იყოს:

- "დაბალი ტექნოლოგიური დონის" ქმედებები, როგორცაა რომელიმე როლის შესრულება, მორთვა, მიმართული ხედვა და თავსატეხების ამოხსნა
- "საშუალო ტექნოლოგიური დონის" ქმედებები, რაც შეიძლება მოიცავდეს უშუალო მონაწილეობას კერამიკული საგნების და ბეჭდვითი მასალების დამზადებას ან კარაქის ადღევაში
- "მაღალი ტექნოლოგიური დონის" ქმედებები, რაც გულისხმობს სამეცნიერო ხელსაწყოების ან კომპიუტერული მულტიმედიას გამოყენებას.

განთავსების პირობებისადმი წაყენებული მოთხოვნები, განისაზღვრება ინტერაქტიურობის ზემოთ აღნიშნული დონეების მიხედვით, ისე, რომ მაღალი ტექნოლოგიური ხარისხის ექსპონატებისთვის გალერეაში უნდა შეიქმნას "საზრიანი" გარემო, როგორც დამახასიათებელია უფროსი ასაკის დამთვალეირებელზე გათვლილი თემატური გამოფენისთვის. თუ დაეუშვებთ, რომ საბავშვო პროგრამების ტექნოლოგიური დონის ზრდის ტენდენცია მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება, ამ შემთხვევაში გონივრული იქნება, თუ ახალი საბავშვო გალერეების დაპროექტებისას გათვალისწინებული იქნება "საზრიანი" შავი ყუთის ტიპის გალერეის მსგავსი ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება. მიუხედავად ამისა, დღეისთვის მოქმედი ძალზე ეფექტური აღმოჩენების ოთახები და მთელი საბავშვო მუზეუმები (როგორცაა მანილაში მდებარე "მუზეო პამბატა") მუშაობს დაბალი და საშუალო ტექნოლოგიური დონის მოქმედებებზე გათვლით და ზღუდავს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. რთული ტექნოლოგიების ექსპონატების გამოყენება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფასებთან, რის გამოც საჭიროა შესაბამისი გადანაცვლებები ან ღირებულებები პროექტირების ადრეულ ეტაპზე იქნას მიღებული, ან გადაიდოს გაფართოების მომავალი პროექტებისათვის.

ოჯახებზე ორიენტირებულ მრავალ და ყველაზე წარმატებულ ინტერაქტიურ გამოფენებზე, სტუმრებს ეძლევათ შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა. ასეთი სივრცეების დაგეგმარებისა და დიზაინის შექმნისთვის, შეიძლება საჭირო გახდეს სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების, სამხატვრო სტუდიების, თეატრების, მუსიკალური და საშემსრულებლო ობიექტების, მულტიმედიის პროდუქციის ან სამაუწყებლო სტუდიების დაპროექტების სპეციალისტების მონაწილეობა. ამგვარი მიდგომის გამოყენების ნიმუშია მინის სპეციალიზებული საამქრო, სადაც მასურებელთათვის გათვალისწინებულია დასაჯდომი ადგილები და დამონტაჟებულია მულტიმედიის სტუდიასთან შეერთებული პირდაპირი გადაცემის ვიდეოკამერები, რაც მომავალში იქნება ვაშინგტონის შტატის ქალაქ ტაკომაში მშენებარე მინის საერთაშორისო მუზეუმის ნაწილი, სადაც ერთსა და იმავე დანესებულებაში სამუზეუმო გამოფენებთან ერთად განთავსდება ექსპერიმენტული სამუსიკო სტუდიები, კაბარე და მულტიმედიის საშემსრულებლო სექცია სახელწოდებით "ციური საყდარი" (Skychurch).

საგალერეო სივრცეში საშემსრულებლო, სადემონსტრაციო და პრაქტიკული საქმიანობების ინტეგრირებისათვის, შეიძლება საჭირო გახდეს შემდეგი პირობების უზრუნველყოფა:

- შემალღებული სცენა ან სადემონსტრაციო ნიჟარა, სკამებით ან დასაყრდნობი

მოაჯირებით

- ერთ ჯერზე დაახლოებით ერთი კლასის, 30 ბავშვის, მისაღებად საკმარისი ფართი
- ნაწილების და რეკვიზიტის სანყოფი (ზოგჯერ შესაძლებელია ურიკის გამოყენებაც)

- წყალი, წყლის გაყვანილობა

- გამძლე ზედაპირი, რომელიც უძლებს ხშირ რეცხვას

- მიკროფონის სადგამები, ვიდეოგადაღების ან გახმოვანებისა და განათების სხვა

სპეციალური სისტემები

- დასაკიდი ვიდეომონიტორი

- სპეციალური აკუსტიკური ეფექტები.

6.3.2 სამეცნიერო ცენტრების გალერეები

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოფენები მუზეუმებში, განსაკუთრებით კი მეცნიერების ცენტრებში (მეცნიერების პოპულარიზაციისთვის შექმნილი დაწესებულებები), მონოდებულია გამოხატოს ჩვენი დროის მეცნიერების და ინდუსტრიის სულისკვეთება – კაცობრიობის უნარი წარმატებით უპასუხოს დროის გამოწვევას შესაძლებლობების, ინტერესებისა და ექსპანსიის მოთხოვნებს. სამეცნიერო აღმოჩენების და ტექნიკის მიღწევების გამოფენებს სპონსორობას უწევენ მთავრობები და მრეწველობის შესაბამისი დარგები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამეცნიერო და ტექნოლოგიურ განათლებაში. ისევე, როგორც საბავშვო მუზეუმების გალერეებში, სამეცნიერო ცენტრების ექსპონატებიც შეიძლება ორიენტირებული იყოს ბუნების ისტორიის, დედამიწის შემსწავლელი და ფუნდამენტური მეცნიერებების მიმართულებით, ან მიზნად ისახავდეს მეცნიერებისა და ტექნიკის ერთობლივი მიღწევების ჩვენებას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ეს შეიძლება მოიცავდეს საჰაერო და წყალქვეშა ცხოვრების, კომუნიკაციის, ხელოვნური ინტელექტის და სამედიცინო და ბიოტექნოლოგიური ტექნოლოგიების შესწავლას. მართალია, სამეცნიერო ცენტრები ტრადიციულად ზოგად სამეცნიერო კონცეფციებზე არის დაფუძნებული, მაგრამ მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, როგორცაა “ნაუტიკუსი” (ვირჯინიის შტატის ქალაქ ნორფოლკში მდებარე ეროვნული საზღვაო ცენტრი), მონრეალის “ბიოთალი” (Biodôme) ან ვაშინგტონში მდებარე ატმოსფეროსა და კოსმოსის ეროვნული მუზეუმი, მნახველებს აცნობს შედარებით უფრო სპეცილიზირებულ და თემატურ საკითხებს კონკრეტული სახეობების სატრანსპორტო ტექნოლოგიების ან მეცნიერული კვლევების შესახებ.

თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ინტერპრეტირებას შესაძლოა დასაჭირდეს დიდ ზომის მონყობილობების დამონტაჟება. ნაწილობრივ ინტერესს აძლიერებს ტექნიკის და მისი ფუნქციური შესაძლებლობების პრაქტიკულად შესწავლის საშუალებით. ამიტომ, მეცნიერების ცენტრებში შეიძლება განთავსდეს სხვადასხვა საიმითაციო საშუალებები, რეალობის ვირტუალურად ამსახველი მონყობილობა ან ფართოფორმატიანი ეკრანები, როგორც ეს მე-7 თავის ბოლო პარაგრაფშია განხილული. პლანეტარიუმები და აქვარიუმები ასევე მეტად მიმზიდველია მნახველისთვის.

სამეცნიერო ცენტრების აუდიტორია ხშირად სასკოლო ასაკის ბავშვების, მოზარდების და ზრდასრული მნახველებისგან შედგება, თუმცა ზოგიერთ მეცნიერების ცენტრში სამეცნიერო აღმოჩენების ოთახები სკოლმდელი ასაკის ბავშვებისთვისაც შეიძლება მოენ-

ყოს. ასეთი აუდიტორია შეადგენს აქტიურ ჯგუფს, რომლის ნევრებიც მეცნიერების და ტექნიკის ცენტრში მოდიან ექსპონატებთან რაც შეიძლება მჭიდრო კონტაქტში შესვლის მიზნით. მათთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი მუზეუმის დათვალეობით გადაღლა. შესაბამისად, მეცნიერების ცენტრები, სხვა სახის მუზეუმებთან შედარებით, უფრო მეტ წარმატებას აღწევენ მოზარდების დაინტერესების კუთხით, კერძოდ, ისეთი პროგრამების შეთავაზებით, როგორცაა პლანეტარიუმებში პოპ-მუსიკის, ლაზერული შოუებისა და გალერეებში ღამისთვის მოწყობა, რომლებსაც თან ახლავს ლაბორატორიულ ან ინტერაქტიურ ექსპონატებზე ფოკუსირებული ღონისძიებები.

ამდენად, დიდი სივრცეების და მთელი საგამოფენო ფართობის მომცველი გრძელი სასიარულო მარშრუტების შექმნა შეიძლება დიდ უპირატესობას წარმოადგენდეს გამოფენისთვის, რადგან დიდი სივრცის შეგრძნება გამოფენის ტიპისა და აუდიტორიის მოლოდინების შესაფერისი იქნება. თავად ექსპონატების მასშტაბები, ჩვეულებრივ, მოითხოვს ფართო, ღია სივრცეების არსებობას, მაღალ ჭერს, მძიმე საგნების ჩამოსაკიდებლად საკმარისად გამძლე სახურავის კონსტრუქციას, ექსპონატის დასანახავად სხვადასხვა დონეებს. სულ რამდენიმე მეცნიერების ცენტრში თუ შეხვდებით გალერეებს, რომელთა ფართობი მხოლოდ 4000-5000 კვ. ფუტს (400-500 მ²) შეადგენს, იმ დროს, როდესაც უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი მასშტაბის რამდენიმე ფართობი ერთი საინტერპრეტაციო სივრცის შექმნის მიზნითაა გაერთიანებული. ჭერის ტიპური სიმაღლე 18 ფუტია (დაახლოებით 6 მ), თუმცა, ფართობის სულ ცოტა 30%-ის სიმაღლე 30-35 ფუტს (10-12 მ) აღწევს, ექსპონატების ძალზე დიდი კომპონენტების დატვივის მიზნით, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ჭერზე იყოს დაკიდებული. იატაკის დატვირთვის გამძლეობა ექსპონატების სახეობების მიხედვით უნდა შეადგენდეს 10-20 კნ/მ².

სამეცნიერო მუზეუმებში ფართო სახეობრივი დიაპაზონის ტექნიკის განთავსებას მასშტაბური პირობების შექმნა სჭირდება. ამიტომ, სათანადო ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული ელექტრონული და საკომუნიკაციო გაყვანილობის გამოფენის იატაკში რაც შეიძლება ფართო ქსელის სახით განთავსების, ჭერსა და სახურავზე საგნების ჩამოკიდების შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის. დენის ძაბვა უნდა იყოს 250 ვოლტი; გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ჰაერის კომპრესორების, გამწოვი ტუმბოების ან რენტგენის აპარატების მონტაჟისადმი უაღრესად სპეციალური მოთხოვნები. შესაძლოა, საჭირო გახდეს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობა. თუ შესაძლებელია, ასეთი სისტემების განთავსება გალერეის განცალკევებულ ფართობზე უნდა მოხდეს.

6.4 სასწავლო სივრცეები

ბოლოდროინდელი მეტად აქტუალური ტენდენცია, ე.წ. "სწავლა სიბერემდე" კონცეფცია, გახდა საფუძველი იმისა, რომ მუზეუმებში ხშირად გამოყოფილია სპეციალური ფართები მნახველების მიერ კვლევისა და შესწავლისათვის. მის მიზეზია ის, რომ საზოგადოებაში ბევრია განათლებული ადამიანები, ისეთი ჯგუფები, როგორცაა ენთუზიასტები, კოლექციონერები, მხატვრები, ჰობის მქონე ადამიანები, აგრეთვე ისინი, ვინც ჩართულია ისტორიული წარსულის "გაცოცხლების" – გათამაშების პროექტებში. ვინაიდან არსებობს ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია მეტი შეიმეცნოს მუზეუმის კოლექციების

დახმარებით და უშუალოდ კოლექციებზეც, მუზეუმებმა გადახედეს არსებულ მიდგომას იმის შესახებ, თუ რა ტიპის ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი მნახველებისათვის. მდენად, არსებობს პოტენციალი, რომ კოლექციების უფრო მეტი ვიზუალური მასალა გახდეს ხელმისაწვდომი, ისევე, როგორც გაიზარდოს კატალოგების, პუბლიკაციებისა და დიגיტალიზებული გამოსახულებების ხელმისაწვდომობა.

სხვა ტიპის საინტერპრეტაციო სივრცისგან განსხვავებით, სასწავლო ცენტრი, სადაც პერსონალს, მცენიერებს და ჩვეულებრივ ადამიანებს შეუძლიათ ექსპონატებთან უშუალოდ შეხება და ერთდროულად, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო წყაროების გამოყენება, უნდა იყოს უფრო მყუდრო და მცირე. გალერეის პერსონალის ზედამხედველობით ობიექტების ახლოდან ნახვისა და შესწავლისთვის საჭირო სივრცის მოთხოვნასთან ერთად, ასეთ ადგილებში აუცილებელია იგივე კლიმატური გარემოს შექმნა, რაც ჩვეულებრივ საცავებსა და გალერეებშია. ასევე აუცილებელია ქურდობისა და ვანდალიზმის შემთხვევების შემცირების მიზნით დაცვის ღონისძიებების გატარება. ყველა ამ საკითხის გათვალისწინება გავლენას ახდენს საგამოფენო სივრცის დიზაინზე.

არსებობს სასწავლო ოთახების მონყობის მრავალი ვარიანტი. თითოეულმა დაწესებულებამ შეიძლება ინდივიდუალური გადაწყვეტა გამოიძებნოს. უმეტეს შემთხვევებში, ამ მიზნით მცირე ფართობები გამოიყენება. საჯარო ადგილი შეიძლება 300-500 კვ. ფუტ (30-50 მ²) ფართობზე იყოს გათვლილი, ხოლო ჭერის სიმაღლე არ აღემატებოდეს 12 ფუტს (4 მ). ფართობის გაანგარიშებისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას ერთ ჯერზე მომხმარებელთა სავარაუდო რაოდენობა, მუზეუმის პერსონალთან ერთად; ერთ მომხმარებელზე რეკომენდებულია 100 კვ. ფუტი (10 მ²) ფართობი.

სასწავლო ოთახების უმრავლესობა, საუნივერსიტეტო მუზეუმების გარდა, არ არის გამიზნული მრავალრიცხოვანი აუდიტორიისთვის, ვთქვათ, სკოლის 30 მოსწავლისთვის. მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება ნიგნების, სკამების და კომპიუტერების რიცხვიც. ძირითადი საინფორმაციო მაგიდის ზომა გათვლილი უნდა იყოს ორ ადამიანზე და მათ კომპიუტერებზე, მარტივი უნდა იყოს რეფერატული გამოცემების მიღება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა შეიძლებოდეს ოთახის შესასვლელსა და გასასვლელთან მისვლა. შედარებით დიდ სასწავლო ოთახებში მეთვალყურეობის გასაიოლებლად რეკომენდებულია პერსონალის სამუშაო ადგილების შემალღებულ ადგილზე მონყობა. ორიგინალების გამოყენების შემთხვევაში საჭიროა მკაცრი ზედამხედველობა და მასალებთან დაშვების შეზღუდვა. კერძოდ, ვიზიტორებს მოეთხოვებათ რეგისტრაციაში გატარება, ხელის დაბანა ან ხელთათმანების გაკეთება; პირადი საგნების შესანახად, რომელთა სასწავლო ოთახში შეტანა დაუშვებელია, შესაძლოა დამონტაჟდეს უჯრებიანი კარადები.

სასწავლო ცენტრების გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს რიგ ხელოვნების მუზეუმებსა და არქივებში განთავსებული ბეჭდვითი მასალებისა და ნახაზების შესასწავლად სპეციალური ოთახი, სადაც დაინტერესებულ მნახველებს, სტუდენტებს და მკვლევარებს შეუძლიათ, პერსონალის ზედამხედველობით, უშუალოდ დაათვალიერონ ქალაქზე შესრულებული ხელოვნების ნამუშევართა ორიგინალები, თავად მოიძიონ ინფორმაცია საძიებო სექციაში, სადაც განთავსებულია ფაილების ნაკრებები, საგამოფენო და აუქციონების კატალოგები, აგრეთვე ჩანაწერები კოლექციების შესახებ. ასეთი ადგილი მთლიანობაში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს წააგავს, საძიებო მაგიდით, სამკითხველო მაგიდებითა და მაგიდის სანათებით და თაროებით. ასეთი ტიპის ოთახებში მასალების ორიგინალები არ ინახება და

არც გამოიფინება. კვლევითის საჭირო ნამუშევრებს პერსონალი მიმდებარედ განთავსებული დახურული სათავსოდან გასცემს. სხვა ტიპის ოთახში, კედლებზე და ვიტრინაში შეიძლება გამოფენილი იყოს ხავერდოვან საფენებზე (ოლონდ ჩარჩოს გარეშე) განთავსებული ქაღალდზე შესრულებულ ნამუშევართა სრული ან ნაწილობრივი კოლექციები, რაც ამარტივებს მათ შეცვლას როგორც ვიტრინაში, ასევე მაგიდებთან შესწავლის დროს.

სხვა ტიპის სასწავლო ფართობისთვის დამახასიათებელია სრული კომპიუტერიზებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც პირველად ლონდონის ეროვნული გალერეის "მიკროგალერეაში" (Microgallery) დამონტაჟდა. ასეთ ადგილებში, სადაც ხელოვნების ნამუშევრების მხოლოდ ციფრული გამოსახულებებია შენახული, არ არის აუცილებელი კოლექციებისთვის საჭირო გარემო პირობების შექმნა და დაცვისთვის ზომების მიღება. თუმცა, ისევე როგორც ყველა სხვა სასწავლო ადგილისთვის, აქაც აუცილებელია პერსონალის ყოფნა ინფორმაციის მინოდების, დახმარების განევის და ზედამხედველობისთვის, რაც ასევე მოითხოვს პერსონალისთვის კომპიუტერების დადგმას. ასევე ადგილებში საკუთრივ ექსპონატებისაგან და ორიგინალური ნყაროებისაგან მოშორებით ხელმისაწვდომია როგორც ვიზუალური, ასევე ტექსტური ინფორმაცია.

დენვერის ხელოვნების მუზეუმში წარმოიშვა "აღმოჩენათა ბიბლიოთეკის" კონცეფცია, რომელიც 6.1 პრაქტიკულ მაგალითშია აღწერილი. აქ სივრცე ღიაა ყველა მნახველისთვის, შექმნილია ყველა პირობა მათი კომფორტისთვის, დამოუკიდებელი აღმოჩენების გაკეთების ხელშეწყობისთვის. შენობაში წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ასევე კომპიუტერიზებული ნყაროები – ხელოვნების ნამუშევრები და არტეფაქტები. ეს სივრცე არ არის გალერეა, მაგრამ არც სტერილური სასწავლო ფართია – მისი მიზანია, შექმნას მნახველის სახლის სასტუმრო ოთახის მსგავსი სიმყუდროვე (იხილეთ სურათი 6.2).

6.5 მრავალფუნქციური საჯარო ადგილები

მრავალმხრივი დანიშნულების საჯარო ადგილი დიდი ხანია წარმოადგენს მუზეუმის დაგეგმვის აუცილებელ კომპონენტს, რადგან იგი აფართოვებს პროგრამების შესაძლებლობებს სამუზეუმო ღონისძიებების, გახსნის ცერემონიების, ფილმების ჩვენებების და მიღებების მოწყობისთვის საჭირო ფართობით უზრუნველყოფის, ასევე, ჯგუფების, კორპორაციებისა და ცალკეული პირებისთვის მისი მიქირავების გზით. ხშირ შემთხვევებში, ასეთი ფართობი მუზეუმისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ჩვეულებრივ, საგამოფენო გალერეების მიმდებარედაა განთავსებული, რათა შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება დროებით საგამოფენო პროგრამასთან დაკავშირებული გახსნის და მიღების ღონისძიებების გასამართად.

მრავალმხრივი დანიშნულების ოთახი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს დარბაზს მიმდებარე სანყოფით (სადაც ინახება სკამები და მაგიდები), ხშირად – სამზარეულოთი, ხოლო ზოგჯერ, შემადგენელი ბაქანიტ და კინოსააპარატო კვანძით. ამ სივრცის მოპირკეთების დონე დამოკიდებულია მუზეუმის ძირითადი მომხმარებლების კატეგორიასა და იმიჯზე – თუმცა, რიგი მუზეუმები, როგორცაა ნიდერლანდების Spoorwegsmuseum უტრეხტში, მიიჩნევენ, რომ ასეთი სათავსოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად გარემონტება სარფიანია, რადგან იძლევა ძვირადღირებული კორპორატიული ღონისძიებებისთვის გამოყენების შესაძლებლობას, რაც ჩვეულებრივი სამუშაო საათების შემდეგ მუზეუმის ღიად დატოვებ-

მაგალითი 6.1

ერთი ახალი ტიპის გალერეა:

აღმოჩენების ბიბლიოთეკები დენვერის ხელოვნების მუზეუმში

პატერსონ ბ. უილიამსი

1997-1999 წლებში დენვერის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ხელოვნების ნამუშავერთა ორი ახალი სახის გამოფენა. ტერმინს "აღმოჩენების ბიბლიოთეკა" ვიყენებთ მნახველების გალერეაში მოსაპატიჟებლად და გარკვეული დროით შესაყოვნებლად, რათა მათ შეძლონ გამოფენის მდიდარი რესურსების შესწავლა და ამისთვის მუზეუმში, როგორც ტრადიციულად ბიბლიოთეკაში, ხელახლა დაბრუნდნენ. სინამდვილეში, ჩვენ გვსურდა სტერეოტიპის დამსხვრევა, რომლის მიხედვითაც დამთვალიერებელს მუდმივი საკოლექციო გალერეები მიაჩნიათ დაწესებულებებად, სადაც მხოლოდ ერთხელ უნდა მიხვიდე და ისიც მცირე დროით, რადგან იქ არაფერი იცვლება. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი "აღმოჩენების ბიბლიოთეკები" მხოლოდ ერთ-ერთი იქნება იმ მრავალი სახის გალერეებს შორის, რომლებიც ხელოვნების მუზეუმების მესვეურთა მიერ მომდევნო წლებში იქნება გამოგონებული. მართლაც, მას შემდეგ, რაც პირველი ორი გალერეა გაიხსნა, დენვერის ხელოვნების მუზეუმის სხვა კოლექციებთან მომუშავე პერსონალმა შეძლო შესაბამისი, მაგრამ იმავდროულად ძალზედ განსხვავებული ტიპის გალერეების დაგეგმვა. ეს ინოვაციები, "ლია საცავებსა" და მდიდარი ინტერპრეტაციული რესურსების მქონე ტრადიციულ გალერეებთან ერთად, შეიძლება ფართო დიაპაზონის აუდიტორიისთვის გალერეების ოპტიმალურ კომბინაციას წარმოადგენდეს.

ბარნაღეტ ბარბარის აღმოჩენების ბიბლიოთეკა

მუზეუმის ევროპული და ამერიკული ხელოვნების უფროსი მასწავლებლის, მელორა მაკდერმოტ-ლუისის, ხელმძღვანელობით საკურატორო /საგანმანათლებლო ჯგუფმა მოაწყო ოთახი, რომელიც ინგლისური მამულის სახლის ბიბლიოთეკის განწყობას ქმნის. მელორამ შეაგროვა ასეთი ბიბლიოთეკების თაროების, გლობუსების, ავეჯის და სხვა ელემენტების სურათები. შემდეგ, მან, გამოფენის დიზაინერებმა და კურატორებმა სათანადო ადგილი მოუძებნეს ამ სურათებს 800 კვ. ფუტი ფართის გალერეაში, რომელიც განთავსებულია შვიდ სხვადასხვა გალერეას შორის, სადაც გამოფენილია ამერიკული და ევროპული ხელოვნების ნიმუშები. ბიბლიოთეკაში შესვლისას, მნახველი ხედავს, რომ ოთახი ავეჯითაა გადატვირთული, შემდეგ ხედავს ხელოვნების ნიმუშებისა და არტეფაქტების ნაკრებზე, რომელიც კედლების გასწვრივ, თაროებზე განთავსებულ ნიგნებზე და თაროებს შორისაა დაწყობილი. მათ შორისაა მე-18 საუკუნის თოჯინების სახლი, ეგვიპტური მუმისის სარკოფაგი და რადენიმე ბერძნული ლარნაკი. ავეჯს აქვს გორგოლაჭებიანი უჯრები, მანხველებს შეუძლიათ გამოწიონ ეს უჯრები და დაათვალიერონ ნიმუშები, გრავიურები, მოხატული მინიატურები და ეგვიპტური სამკაული. ოთახში დგას კომპიუტერებიც, რომლებშიც ჩატვირთულია კოლექციებთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი კომპაქტ-დისკები (ამ დისკების შექმნა სავაჭრო ქსელში შეიძლება). ოთახი ცალსახად მნახველისთვის კომფორტის შესაქმნელად არის დაგეგმილი, მაგრამ ამაღროულად ხელოვნების მრავალრიცხოვან ნამუშევარს იტყვის, რისი წყალობითაც იგი თანაბარი წარმატებით ასრულებს გალერეის ფუნქციასაც. რადგან აქ მნახველები საკმაოდ დროით ჩერდებიან, ამიტომ ოთახის ელემენტების სიუხვე

თავის როლს ასრულებს და ამის შედეგად, მნახველები მიიჩნევენ, რომ ეს ადგილი საუკეთესოა მოსასვენებლად, წიგნის წასაკითხვად, რენესანსის პერიოდის კოსტიუმის გასასინჯად ან ოთახში გამოფენილ ნამუშევარზე დასაფიქრებლად.

დასავლური აღმოჩენების გალერეა

ამ ოთახისთვის ნივთების შეგროვება მელორამ ფრედერიკ რემინგტონისა და ჩარლზ რასელის არეულ-დარეული ფერწერული სტუდიების და მე-19 საუკუნის დასასრულის შტატების დასავლეთის არტეფაქტების კოლექციონერების ფოტოებით დაიწყო. ეს 700 კვ. ფუტი ფართის აღმოჩენების ბიბლიოთეკა ამერიკის დასავლეთის ფერწერის ნამუშევრებისა და ქანდაკებების გალერეებს შორისაა მოქცეული. ოთახში გამოფენილია ისეთივე ხელოვნების ნამუშევრები, როგორსაც დასავლეთში მოგზაურობისას აგროვებდნენ მხატვრები, მაგალითად, ამერიკელ აბორიგენთა კერამიკა და დანული ნაკეთობები. ოთახში ასევე წარმოდგენილია ამერიკის დასავლეთის კულტურის ამსახველი გრაფიურები, ფოტოები და სურათები. აქაური ატმოსფერო მყუდრო, მაგრამ ხალხმრავალი ოფისის მსგავსია. ოთახში დგას ტყავის კომფორტული დივანები კაშკაშა ფერის ბალიშებით, დიდი სტერეოოპტიკური კამერა და მძიმე რელიეფური სანერი მაგიდა მოსახსნელი თავსახურით, დამზადებული მე-19 საუკუნის ბოლოს დიზაინის მიხედვით. მაგიდა ოთახის ცენტრალურ ნაწილს იკავებს. ვიზიტორებს შეუძლიათ გამოაღონ მისი უჯრები და კარები და დაათვალიერონ წერილები, ძველი ფოტოსურათები, სათვალეები და იმ პერიოდის სხვა ნივთები. კომპიუტერები, რომლებშიც ჩატვირთულია კომპაქტ-დისკები ამერიკის დასავლეთის შესახებ, ოთახის ნიშბშია განთავსებული. ოთახის ერთ კუთხეში ჩამაგრებულ კედლის საკიდებზე კიდია მახლობლად მდებარე გალერეაში გამოფენილი ფერწერული ნამუშევრების მიხედვით შეკერილი კოსტიუმები, რომელიც მნახველებს შეუძლიათ მოიზომონ.

დენვერის ხელოვნების მუზეუმის აღმოჩენების გიგლიოთეკაში: რეზიუმე

ამ გალერეებში ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა ახალი ტიპის სივრცეები, სადაც ადამიანებისა და ხელოვნების შეხვედრა ახლებურ უღერადობას შეიძენდა. მართალია, ჩვენი სტანდარტული (ესთეტიური) გალერეების, ღია საცავების და თემატური გამოფენებისთვის ასევე დამახასიათებელია ანალოგიური სივრცეების და შესაძლებლობების შექმნა, ხელოვნების მუზეუმების სამყაროს მაინც სჭირდება უფრო გაბედული შემოქმედებითი მოდელების გამოძებნა. სწორედ ესაა აღმოჩენების ბიბლიოთეკის ტიპის გალერეების საბოლოო მიზანი. ამ კუთხით, ეს გალერეები მნახველებისთვის მაქსიმალურად მაღალი დონის ფიზიკური კომფორტის შექმნაზე არის ფოკუსირებული. დამთვალიერებლებს ეძლევათ პრაქტიკული მოქმედების ფართო არჩევანი ხელოვნების და მისი კონტექსტის გაცნობიერების მიზნით, ხოლო თავად ნამუშევრები გამოფენილია ისე, როგორც ეს მხატვრებისა და კოლექციონერების სახლებსა და ოფისებში არის ხოლმე.

ვიზიტორების რეაქცია აღმოჩენების ბიბლიოთეკების მიმართ ძალზედ დადებითი იყო. ისინი გვეუბნებოდნენ, რომ მათ უფრო მოსწონთ ბიბლიოთეკის გამოყენება, ვიდრე მხოლოდ მასში ყოფნა. მათ თვალში ჩვენი გალერეა გაცილებით მოსახერხებელია ინდივიდუალური მომხმარებლისთვის ან ოჯახისთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა უფრო დიდი და ცნობილი მუზეუმი. ისინი აღნიშნავენ, რომ აქ თავს ისევე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

ბის აუცილებლობიდან გამომდინარე, ამართლებს დასაქირავებელი დაცვის პერსონალზე გასანეე ხარჯებს.

ამ ტიპის სივრცის გამოყენების კიდევ ერთ ვარიანტს ისეთი მრავალმხრივი დანიშნულების ფართობები წარმოადგენს, სადაც შეიძლება როგორც გამოფენების მოწყობა, ასევე ზემოაღნიშნული ღონისძიებების ჩატარება. ამის აუცილებლობა შეიძლება განპირობებული იყოს მუზეუმის მნიერი სახსრებით და იმ ფაქტით, რომ მუზეუმს არ შეუძლია დაუშვას შენობის ფართობის არასრული გამოყენება. გარდა ამისა, მიზეზი შეიძლება იყოს მოთხოვნილება, მუზეუმს ჰქონდეს ალტერნატიული სივრცე საგამოფენო პროგრამებისათვის, ან გასაქირავებლად და სპეციალური ღონისძიებებისთვის. ეს სივრცეები მუზეუმისთვის შემოსავლის წყაროა, განსაკუთრებით – სეზონურად მომუშავე მუზეუმებისთვის.

ამ კუთხით მოსალოდნელია არსებობდეს ორი სახის შესაძლებლობა. პირველი, როდესაც ღონისძიებების მოწყობისთვის გამიზნული ფართობი საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ხელოვნების ნამუშევრების და არტეფაქტების გამოფენისთვის და მეორე, როდესაც ჩვეულებრივ საგამოფენო მიზნებისთვის გამოყენებული ფართობი, რეგულარულად ან დროდადრო საჯარო/კორპორატიულ ღონისძიებებს მასპინძლობს.

ორივე სახის სივრცეს სჭირდება განათების კონტროლი და კოლექციებისთვის სტაბილური, მისაღები გარემოს შექმნა. გონივრულად უნდა იყოს გათვლილი გარემო პირობების მართვისთვის დასამონტაჟებელი სისტემების შესაძლებლობები, უნდა გაითვალისწინებული იყოს, რომ ამ საშუალებების გამოყენებამ, ზოგჯერ შეიძლება შეზღუდოს ამა თუ იმ სახის გამოფენების მიღების შესაძლებლობა. მაგალითად, თუ არსებობს სურვილი, რომ მუზეუმმა პერიოდულად ბლოკბასტერებს უმასპინძლოს, სავარაუდოა, რომ დროებით სარგებლობაში გადმოცემულ ექსპონატებს შორის იყოს მგრძნობიარე ნიმუშები, რომლებიც მოითხოვს შესაბამის კლიმატურ პირობებს. ეს პირობები განსხვავებულია იმისგან, რაც საჭიროა ჩვეულებრივი მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ადამიანებისთვის კომფორტულ ტემპერატურას გულისხმობს. ამიტომ არსებულ აღჭურვილობას უნდა ჰქონდეს სიმძლავრეები, რათა კოლექციების შენახვის საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისი მკაცრი პირობების შესრულება იყოს შესაძლებელი.

მრავალმხრივი დანიშნულების ფართობის ბოლოდროინდელ გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენს სიეტლის მუზეუმი “Experience Music Project”. ამ შენობის “ციური საყდარი” (“Skychurch”) არა მარტო მოდულურად დაყოფილ საგამოფენო ელემენტებს მოიცავს, არამედ წარმოადგენს საშემსრულებლო სივრცეს, რომელიც აღჭურვილია უახლესი აკუსტიკური და განათების ტექნიკით. დარბაზიდან ექსპონატების გამოტანა მარტივად შეიძლება, რის შემდეგაც ფართი სრულიად შესაფერისი ხდება წარმოდგენებისა და წვეულებების გასამართად. ეს შენობა სპეციალურად საგამოფენო გალერეისთვის არ არის აგებული, მისი ძირითადი დანიშნულება სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებაა, რაც შეიძლება «დამშვენდეს» სპეციალურად დამზადებული ექსპონატებით.

კიდევ ერთი მაგალითია შემთხვევები, როცა საჭიროა წელიწადის გარკვეულ დროს შენობაში მასშტაბური საფესტივალო ღონისძიებების გამართვა. ასეთი ფესტივალებისთვის საჭიროა დიდი ცარიელი სივრცე, სცენა, საცეკვაო და საკონცერტო წარმოდგენებისთვის ხმისა და განათების სათანადო სისტემები, ადგილები სემინარებისა და ვორქშოპების ჩასატარებლად, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვების მოსაწყობად, აგრეთვე ყველა საერთო დანიშნულების ობიექტები – საპირფარეშოები, გასახდელეები

და სამზარეულოები. ადგილობრივი ფესტივალები ბუნებრივი პარტნიორებია რეგიონის მუზეუმებისთვის, მათი წყალობით ხდება აუდიტორიის გაფართოება და მუზეუმი ახალ მხარდამჭერებს იძენს ადგილობრივ მოსახლეობაში. ამდენად, ასეთი სივრცის შექმნამ მუზეუმში შეიძლება ის აქციოს ადგილობრივ ცენტრად, ამავდროულად იგი შემატებს კულტურულ მემკვიდრეობასთან ან უბრალოდ – კულტურასთან, ზიარების განზომილებას ადგილობრივი მოსახლეობის დასვენებასა და გართობას.

ამავე დროს, მრავალ მუზეუმს უნდა, ჰქონდეს შესაძლებლობა პერიოდულად უმასპინძლოს დიდ მოძრავ გამოფენებს ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს მათ მიმდინარე საგამოფენო პროგრამას, დაფუძნებულს მუდმივ კოლექციებზე. მ მიზნისათვის საჭირო იქნება სპეციალური გალერეა, რომელიც წელიწადში მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში გამოიყენება საგამოფენოდ. ასეთ სიტუაციაში, ოპტიმალურ ვარიანტად გამოდგება დიდი, “შავი ყუთის” ტიპის საგალერეო სივრცე, ალჭურვილი კლიმატ-კონტროლის სისტემებით, რომელსაც ამასთან ერთად აქვს ალჭურვილობა დიდი საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩასატარებლადაც. შეიძლება შემუშავდეს ეფექტური სამუშაო გეგმა, რომელშიც საგამოფენო პროგრამები გადაჯაჭვული იქნება სპეციალურ საზოგადოებრივ ღონისძიებებთან.

პუნქტში 6.2 აღწერილ ალასკის მკვიდრი ხალხების ეთნოგრაფიული ცენტრის შესახებ პრაქტიკულ მაგალითში, ნაჩვენებია თუ რამდენად შემოქმედებითად არის დაპროექტებული ანკორიჯში მდებარე მცირე მუზეუმის გალერეები, რომლებიც ალასკური ზაფხულის მოკლე, მაგრამ ინტენსიურად დატვირთული სეზონის დროს გამოფენებს წარუდგენენ ტურისტებს, ხოლო შემდეგ, გრძელი ზამთრის თვეებში, გარდაიქმნება სასწავლო ოთახებად და სახელოსნოებად. ამასთან, მთელი სივრცე, მიმდებარე დამხმარე ფართების ჩათვლით, ადვილად თავისუფლდება მუდმივი ექსპონატებისგან და გამოიყენება მოძრავი გამოფენების განსათავსებლად. ეს არის მრავალი ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის და გალერეის მუშაობის მოდელი, რომლებსაც სჭირდება ტრადიციულ მუზეუმებზე გაცილებით მეტად უპასუხოს ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნილებებს.

მაგალითი 6.2

ალასკის მკვიდრი ხალხების ეთნოგრაფიული ცენტრი

“ტრადიციების თავშეყრა”, ანკორიჯი, ალასკა

ჰეზერ მაქსიმეა

ანკორიჯში მდებარე ალასკის მკვიდრი ხალხების ეთნოგრაფიული ცენტრი (“ანკორიჯის ეთნოგრაფიული მუზეუმი”), ალასკის ერთ-ერთ ახალ ეთნოლოგიურ და კულტურულ თვალსაჩინოებას წარმოადგენს. ეს დაწესებულება, 1999 წელს გახსნის დღიდან, პირველია მსგავს ობიექტებს შორის, რომლებიც მოუთხრობენ სტუმრებს ალასკის აბორიგენთა კულტურის შესახებ. ცენტრმა, რომელიც დაპროექტებული და დაგეგმარებულია ვანკუვერის ერთერთი ფირმის “D Jensen and Associates Ltd” მიერ, კონსულტანტებთან – დოქტორ მაიკლ ეიმსთან და კერი მაკვედრანთან თანამშრომლობით, დიდი მოწონება დაიმსახურა მნახველებისთვის ალასკის ხუთი აბორიგენული კულტურული ჯგუფისა (ათაბასკები; ინუპიაკები/ნმ. ლოურენსის კუნძულის მკვიდრი იუპიკები, იუპიკები/კუპიკები; ალუუტები/ალიუტიკები; და იაკ/ტილინგიტები/ჰაიდა/ციმშიანის ჯგუფი) და თერთმეტი ქვეჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრისა და ურთიერთობის გამო. სუფთა ჰაერზე გაშლილ ვრცელ ლანდშაფტზე,

რომელიც გარს უვლის ხელოვნურ ტბას, გაშენებულია ადგილობრივი ხუთი სოფელი, რომლებშიც წარსულის ყოფაა გაცოცხლებული. დასათვალისწინებელი ტურის მთავარი პუნქტებია "მისაღები სახლი" და "სასაუბრო წრე", სადაც სტუმრებს ხვდებიან აბორიგენი თარჯიმნები, რომლებიც მოუთხრობენ მათ აბორიგენთა ისტორიას ექსპონატების, სხვადასხვა სახისა და ხასიათის წარმოდგენებისა და ღონისძიებების საშუალებით. ასეთი ჩვენება მიზნად ისახავს თემის - "ჩვენ ვართ ამბის მთხრობელები" თვალსაჩინო მაგალითებით გამდიდრებას.

ალასკა წელიწადის დროების მკვეთრი განსხვავებით გამოირჩევა, რაც ნიშნავს, რომ ზამთრის პერიოდში მუზეუმები და ატრაქციონები გაცილებით ნაკლებადაა დატვირთული ზაფხულთან შედარებით. ასეთი რეალობის და ალასკის აბორიგენი თემების (რომლებიც ანკორიჯში არიან კონცენტრირებული) მოთხოვნილებების გათვალისწინების მიზნით, ანკორიჯის ეთნოგრაფიულ მუზეუმის ზამთრისა და ზაფხულის სამუშაო პროგრამები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ზაფხულში ამ ობიექტზე ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზღვაებაა. მნახველები დამოუკიდებლად მოძრაობენ ცენტრის შენობის სხვადასხვა სექციებს შორის, რომლებიც ისეთი მიმდევრობით არის განლაგებული, რომ დამთვალისწინებელი ვესტიბიულიდან, თეატრის გავლით, შენობაში განთავსებულ გალერეებში გადადის. ამის შემდეგ, მნახველების მოძრაობის მარშრუტი გადის სადემონსტრაციო სახელოსნოებზე, შენობის გასასვლელისკენ. გარეთ გასვლის შემდეგ, სტუმრობენ ხუთ სოფელს და ბრუნდებიან უკან "მასპინძელი სახლის" სუვენირების მაღაზიის გავლით. სოფლებში მნახველს ხვდება აბორიგენი მოსახლეობის გაცოცხლებული წარსული, შენობაში განთავსებული გალერეები კი 21-ე საუკუნის ალასკის მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრებას აშუქებენ.

ზამთარში ალასკის ეთნოგრაფიული მუზეუმი საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციებს ასრულებს. სოფლები იკეტება, "მასპინძელი სახლი" და ზოგიერთი გამოფენის გარდა. ამ პერიოდში მუზეუმი ფართოდ უღებს კარს სასკოლო ჯგუფებს და სთავაზობს მათ ვრცელ საგანმანათლებლო პროგრამას. თუმცა, ყველაზე საინტერესო ფიზიკური ცვლილება დაკავშირებულია მცირე ზომის ხუთ გალერეასთან, რომლებიც ზაფხულის სეზონში ალასკის ხუთი ძირითადი ეთნიკური ჯგუფის კულტურას წარმოადგენს, ხოლო ზამთარში სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიების ფუნქციებს ასრულებენ, სადაც მიმდინარეობს ადგილობრივი ენების, სახვითი ხელოვნების და ხელოვნების სწავლება. ეს ფართები ასევე გამოიყენება ხელნაკეთი ნივთების დამზადების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების და თათბირების მოსაწყობად. საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის გამოიყენება "მასპინძელი სახლი", სადაც ტარდება დიდი ოჯახების, თემების და ტომების შეხვედრები, ასევე მცირე კონფერენციები და სიმპოზიუმები.

ცენტრის შენობისა და ტერიტორიის დღევანდელი სახით მოწყობას წინ უძღოდა დაგეგმარების რვანლიანი ინტენსიური პროცესი, რომლის ყოველ ეტაპზეც მონაწილეობას იღებდნენ აბორიგენი მოსახლეობის ჯგუფების წარმომადგენლები. თითოეული მომდევნო სამოქმედო ეტაპის დაწყებამდე ხდებოდა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და სათანადო კონსენსუსის მიღწევა. უსაობის ამგვარმა პრინციპმა შესაძლებელი გახდა ადგილობრივი უხუცესებისა და სხვა ადამიანების ნდობისა და პატივისცემის მოპოვება, რომლებიც თავდაპირველად შიშობდნენ, რომ საბოლოოშედეგი, ანუ გამოფენა, მათი ისტორიის არასწორად გააშუქების მცდელობა იქნებოდა.

სტრატეგიული დაგეგმარებისა და დაპროექტების პროცესზე პასუხისმგებელი კონსულ-

ტანტების რეკომენდაციით, პროექტის განვითარების თითოეულ საფეხურზე ერთმანეთის პარალელურად მუშავდებოდა და ხორციელდებოდა კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამები, ექსპონატები და სივრცეები. მის დამსახურებით, მთლიანობაში ამ პროცესში შესაძლებელი გახდა ტერიტორიის, შენობის, ექსპონატების და საგამოფენო პროგრამების ერთმანეთთან თანანწყობის უზრუნველყოფა.

შენობის ფართი თითქმის თანაბრად არის განაწილებული საჯარო (რომელიც მოიცავს მნახველების სამომსახურებო სექციებს, ვესტიბიულს, ღონისძიებების გასამართ ფართებს და თეატრს) და სხვა დანიშნულების (მათ შორის, ადმინისტრაციის, საგამოფენო გალერეების და ხელსაქმის სახელოსნოების განსათავსებლად) ფართობებს შორის. თეატრიდან გამოდის ერთი გრძივი სამოძრაო "ხერხემალი", რომლის ერთი მხრიდან შეიძლება სამსახურებრივი დანიშნულების ბლოკში მოხვედრა, ხოლო მეორე მხრიდან - გადასვლა "დეკორატიულ კედლებთან". ეს უკანასკნელი წარმოადგენენ მუდმივ საგამოფენო კონსტრუქციებს ხუთ კულტურული ჯგუფისთვის. თითოეულ დეკორატიულ კედელთან შეწყვილებულია მცირე ზომის კულტურული საგამოფენო გალერეა, რომლებშიც გამოფენილია არტეფაქტები, რეპროდუქციები და გრაფიკული ექსპონატები. ამ გალერეებში გამოყენებულია მოდულის ტიპის სადემონსტრაციო ვიტრინები, პლინტუსები და ფურცლოვანი მეტალის ფირფიტები, რომლებიც ქმნის მ ფუტი სიმაღლის ტიხრებსა და დეკორატიულ პანელებს. ხუთივე კულტურული საგამოფენო გალერეიდან თითოეულის მოპირდაპირედ განლაგებულია ხელსაქმის ნაწარმის სადემონსტრაციო სახელოსნოები, საიდანაც მნახველებს შეუძლიათ ძირითად სივრცეში დაბრუნება.

გალერეის კონსტრუქციული წყობა მთლიანად გამჭოლი სახისაა, ანუ ისეა შედგენილი, რომ დამთვალიებელს შეუძლია საკუთარი არჩევანით, ჯერ დაათვალიეროს ყველა საჩვენებელი კედელი და შემდეგ კულტურული გალერეები, ან ცალ-ცალკე და სრული შემადგენლობით დაათვალიეროს თითოეული კულტურული გალერეა, ან თავისუფლად იმოძრაოს ამ ელემენტებსა და სახელოსნოებს შორის. მისასვლელი "ხერხემლები", იატაკზე დაგებული ხალიჩებითა და მაღალი ჭერით ერთმანეთისგან გამოყოფენ გალერეების ფართობებს სახელოსნოებს, რომლებსაც უფრო დაბალი ჭერი და მტკიცე ხის იატაკი აქვთ. ბუნებრივი მასალები და ფერთა პალიტრა, რომელშიც სხვადასხვა ტონის ლურჯი ფერები დომინირებს, ასახავს ალასკის სხვადასხვა ლანდშაფტებისთვის დამახასიათებელ ზღვისა და ცის ფერების ცვალებადობას და შეესაბამება როგორც სხვადასხვა დასახლებულ ზონებსა და კულტურებს, ასევე დღე-ღამის, ეკოლოგიურ და სეზონურ რეჟიმებს.

დამატებითი არქიტექტურული ელემენტები, როგორიცაა ჭერის განათება, კედლები/ტიხრები და სახურავის კოჭები, დახვეწილად გამოხატავს გადასვლებს ღია სივრცის ცალკეულ ნაწილებს შორის. გარდა ამისა, ისინი უზრუნველყოფს სასწავლო აუდიტორიების დახურული სივრცეების შექმნას ზამთრის პერიოდში. გალერეების ექსპონატები ისეა განთავსებული, რომ დერეფნიდან გახედვისას საგამოფენო სივრცის შიდა ხედი დაცერებული ოპტიკური პერსპექტივის შექმნის საშუალებით, განსხვავდებოდეს მისასვლელი ხედისაგან. სახელოსნოებში მომუშავე ოსტატებს შეუძლიათ უშუალოდ კონტაქტში შევიდნენ დამთვალიერებლებთან და წინასწარ შემუშავებული და არაფორმალური დემონსტრირების გზით აჩვენონ მათ შემოქმედებითი პროცესი. შენობაში განთავსებულ გალერეებში გამოყენებული საგამოფენო მოდულები ისეა დაპროექტებული, რომ იძლევა ექსპონატების არა მარტო შეცვლის, არამედ მთლიანად მოხსნის შესაძლებლობას, რაც სასურველია და აადვილებს

მოძრავი გამოფენების მიღებას. ალასკის მკვიდრი მოსახლეობის ეთნოგრაფიული მუზეუმი წარმოადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების მაღალი ხარისხით დაპროექტებული შენობის, ექსპოზიციებისა და განათების სისტემის ნიმუშს. ამ ობიექტის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, შენობა-ნაგებობებზე და ექსპონატებზე განუღმმა სრულმა ხარჯებმა (კვლევებისა და რეპროდუქციების დამზადების ხარჯების ჩათვლით) 15 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპონატების ღირებულებამ - კვადრატულ ფუტზე 300 აშშ დოლარი, რაც მოკრძალებული მაჩვენებლებია, თუ გავითვალისწინებთ მუზეუმის მიმზიდველობის ხარისხს.

6.6 გალერეის განათება და ფერი

განათება და ფერი მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ოთახის ფუნქციებთან და შენობის პროექტთან, ისე გამოფენის დიზაინთან. თუ ჩავთვლით, რომ გალერეები "აქქმის მანქანებია", მაშინ აღნიშნული ორი კომპონენტი ასეთი მანქანის სიმძლავრის ორი სასიცოცხლო წყაროა.

გამოფენის განათების საშუალებები და მათი დამონტაჟება, შესაბამისად, მე-7 და მე-15 თავებშია განხილული. აქ ჩვენ შევჩერდებით განათების სამ ვარიანტზე, რომლებიც გავლენას ახდენს გალერეის სივრცეზე:

- ფანჯრების და ჭერის ბუნებრივი განათება
- ხელოვნური განათება
- კედლების, იატაკის და ჭერისთვის შერჩეული ფერები

6.6.1 ბუნებრივი განათება

გადანყვეტილების მიღება გალერეაში ბუნებრივი განათების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, დაკავშირებულია მე-5 თავში განხილულ ექსპონატების კონსერვაციისა და ესთეტიურობის საკითხებთან. სინათლის "სითბოსა" და ფერის «ტემპერატურის» მიხედვით, გამოირჩევა ბუნებრივი განათების სამი სახეობა:

- მზის განათება, რომელიც "ყველაზე თბილ" (ძირითადად ყვითელი ფერის) სინათლეს წარმოადგენს და აქვს ფერის უმდაბლესი ტემპერატურა
- ცის განათება, საშუალო სითბოთი და საშუალო ფერის ტემპერატურით
- ჩრდილოეთის ანუ "ყველაზე ცივი" განათება, ფერის ყველაზე მაღალი ტემპერატურით.

კვლევის შედეგების თანახმად, შედარებით დაბალი ინტენსიობის განათების პირობებში, რაც უმრავლესი მუზეუმებისთვისაა დამახასიათებელი, ადამიანები უპირატესობას სინათლის "სითბოს" ფაქტორს ანიჭებენ. ჩრდილოეთის განათებას, ტრადიციულად, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სამხატვრო სტუდიებისთვის, მაგრამ გალერეებისთვის ასეთი განათება მიუღებელია. გარდა ამისა, გალერეის სივრცეში მზის შუქის პირდაპირი მოხვედრა მისი მაღალი ინტენსიობის და ტემპერატურის ადგილობრივად მომატების ეფექტების გამო, სასურველი არ არის. ამგვარი მოსაზრებები განაპირობებენ შემდეგი ორი მიდგომის მიზანშეწონილებას:

- დღის განათების დაპროექტება, რომელიც მიზნად ისახავს მზის პირდაპირი შუქის

არეკვლას გალერეაში, მაგალითად, სამხრეთით მიმართული ამრეკლი თეფშით, რომელიც ღრუბლიან დღეებში ცის განათების წყაროს ფუნქციას ასრულებს.

- ცის განათების სისტემა, რომელიც ახდენს დღისა და ჩრდილოეთის განათებების კომბინირებას, რაც შედეგად იწვევს ფერის ტემპერატურის შექმნას, რაც მზიანი და ღრუბლიანი დღეების შედარებით თბილი და ცივი ფერების ტემპერატურის ნარევის წარმოადგენს.

სავარაუდოდ, შუქი გალერეაში შეიძლება მოხვდეს ორი გზით:

- *ზედა განათება*, რომელიც ვერტიკალურად ეცემა ქვერიდან ან სახურავში მოწყობილი სარკმლებიდან

- *გვერდითი განათება*, რომელიც ჰორიზონტალურად ვრცელდება ფანჯრების გავლით.

რეკომენდებულია მხოლოდ ზედა განათების გამოყენება. გვერდითი განათება სიკაშკაშის, ანარეკლების და ფოტოტროპული ეფექტის (ცნობილი მოვლენა, რომლის დროსაც თვალს იზიდავს მხედველობის არეში მყოფი ყველაზე კაშკაშა ობიექტი, რასაც ამ შემთხვევაში ფანჯარა წარმოადგენს) გამო, თავიდან უნდა ავიცილოთ. იმ დროს, როდესაც თვალი მუდმივად კაშკაშა ფანჯრისკენაა მიმართული, შეუძლებელი ხდება მხედველობის ადაპტირება შედარებით დაბალი დონის განათებასთან, რომელიც გალერეაში უნდა იქნას შენარჩუნებული. სწორედ ამის შედეგად, დამთვალიერებლები ხშირად ჩივიან, რომ სივრცე ძალზე ბუნდოვნადაა განათებულია. შედარებით დაბალი ინტენსიობის განათებასთან თვალის მისაჩვენებლად, ხანდაზმულ სტუმრებს შეიძლება რამდენიმე წუთი დასჭირდეთ.

ხელოვნების ნაწარმოებთა ან არტეფაქტების ისეთ გალერეაში გამოფენისას, რომელსაც აქვს ფანჯრები, რეკომენდებულია მათი სრულად ჩაბნელება დაფებით. ამის გაკეთება შეიძლება ისე, რომ ფანჯარა გარეთა მხრიდან კვლავ ფუნქციონირებდეს. ამავე მიზნით შეიძლება გამოიყენოთ საგამოფენო გალერეის დასაკეცი პანელები, რომელთა საშუალებითაც საჭიროების შემთხვევაში ფანჯარა შეიძლება დაიბლოკოს ან პირიქით. ლონდონში მდებარე "სომერსეტ ჰაუსის" სამხრეთ ფრთაში მოწყობილი ახალი გალერეები, სადაც გილბერტის კოლექციაა გამოფენილი, ამგვარი მიდგომის ეფექტურობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

არსებობს ხელოვნების ნიმუშთა ისეთი კატეგორია, როგორცაა ქალაქზე შესრულებული ნამუშევრები და საარქივო მასალები, რომლებზეც ბუნებრივი განათების მოხვედრა საერთოდ დაუშვებელია მისი პიგმენტზე და ქალაქზე ზეგავლენისა და რეკომენდებული განათების ლუქების დონის კონტროლის სირთულის გამო. მსგავსი პრობლემები ორგანული მასალებისგან ან ორგანული და არაორგანული მასალების კომბინაციით დამზადებული არტეფაქტებისთვისაცაა დამახასიათებელი, ამიტომ ფანჯრები, ქერის განათება ან კედლის ზედა ნაწილში მოწყობილი სარკმელები, თემატური ან კონტექსტური გალერეების უმრავლესობისთვის რეკომენდებული არ არის. ამის მიზეზი ისიცაა, რომ გამოფენის დამგეგმავ ჯგუფს უნდა ჰქონდეს საშუალება გააკონტროლოს შესაძლო მკვეთრი და ძლიერი ცვლილებები, რის საშუალებასაც იძლევა ხელოვნური განათება. საბავშვო მუზეუმებსა და მეცნიერების ცენტრებში, სადაც გამოფენილი არ არის არტეფაქტები, ხელოვნურ განათებასთან ერთად დასაშვებია ბუნებრივი განათების გამოყენებაც, როგორც ამას ადგილი აქვს დიდი ბრიტანეთის ქალაქ სალფორდში მდებარე ლოურის ხელოვნების ნამუშევართა გალერეაში. თუმცა, გალერეებში სხვადასხვა ვიზუალური ეფექტების მიღების მიზნით, ასეთ განათებას სჭირდება გარკვეული მარეგულირებელი საშუალებები, კერძოდ, ჟალუზები, საჩრდილ-

ობლები და ამრეკლი ეკრანები.

მეორე მხრივ, მუზეუმების დირექტორებისა და კურატორების ნაწილი, საჭიროდ მიიჩნევს გალერეის სივრცეში დღის სინათლის გამოყენებას, რისთვისაც იყენებენ ჭერის (სახურავის) განათების კონსტრუქციებს. ამიტომ, მრავალ შემთხვევაში, ისრორიული შენობების ჭერში ან სახურავში ჩატანებული სარკმელები შენარჩუნებულია და თავის ფუნქციას ასრულებს, როგორც ამას ადგილი აქვს სომერსეტ ჰაუსის კურტოლდის გალერეის ნაწილში (ლონდონი), სადაც თავდაპირველად სამეფო აკადემიის გალერეის დანიშნულების მქონე, მე-18 საუკუნეში აგებული, შენობის სახურავში ჩადგმული სარკმელები შესანიშნავადაა გამოყენებული კურტოლდის კოლექციის იმპრესიონისტების და პოსტ-იმპრესიონისტების შედეგების გასანათებლად.

გარდა ამისა, გალერეებში სადაც დღის განათება დაშვებულია, შეიძლება განთავსდეს არაორგანული მასალებისგან (როგორებიცაა ქვა, მინა, კერამიკა და ლითონები) დამზადებული ხელოვნების ნამუშევრები და არტეფაქტები, იმ პირობით, რომ სიკაშკაშის ეფექტი თავიდან იქნება აცილებული. 5.5 პუნქტში რეკომენდებული სამუზეუმო სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, ყველა შემთხვევაში აუცილებელია განათების (ლუქსებში) და ულტრაიისფერი გამოსხივების დონებისა და სიბოის აკუმულირების ქმედითი კონტროლი. დღის განათება ყველაზე მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სასწავლო ან კვლევითი დანიშნულების სივრცეში და თუ ასეთი ტიპის განათება დაიშვება, მუდმივად უნდა ხდებოდეს ულტრაიისფერი გამოსხივების გაფილტვრა და სინათლის გაბნევა.

ჭერის დღის განათება ოთახს განსაკუთრებულ ეფექტს მატებს, რის გამოც არქიტექტორები, მხატვრები და მუზეუმის პროფესიონალები ბუნებრივია, მოწადინებულნი არიან შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ხაზი გაუსვან მას. ჭერიდან განათებას და კედლის ზედა ნაწილში ჩატანებული სარკმელების სისტემას, ძალზე მაღალი დონის ვიზუალური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, რის გამოც ხშირად, გალერეის დაპროექტებისას, განათების მართვის როგორც პასიური, ასევე მექანიზებული სისტემებია გათვალისწინებული. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი მიდგომა კარგ შედეგებს იძლევა, თუმცა არსებობს არასრულყოფილი დაპროექტების ან შეუსაბამო ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევებიც, რის გამოც სასურველი შედეგის მიღება შეუძლებელი ხდება თუ არ ჩატარდა შრომატევადი და ძვირადღირებული გადაკეთება. ამიტომ, ამ კუთხით ყველაზე ფაქიზი მიდგომა სწორედ დაპროექტებას სჭირდება. სამწუხაროა, როდესაც არსებობს რამდენიმე აკრის ფართობის მინის ჭერის განათება, რომლის განმენდა ორთავე მხრიდან შეუძლებელია, ან მექანიკური ამრეკლი სისტემა, რომელიც მუდმივად იჭედება ნახევრად დახურულ მდგომარეობაში და ამასთან, ნყალი ჟონავს ხელოვნების ნამუშევრებზე ან ადგილი აქვს სხვა სახის დარღვევებს, რაც არ იყო დროულად გათვალისწინებული ახლებურ დიზაინსა და აღჭურვილობას დახარბებული ენთუზიატების მიერ. *ჭერის ან სახურავის განათების გამოყენებაზე მსჯელობისას, საჭიროა მიმწოდებლმა საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს გულმოდგინე კვლევა, თეორიული და ექსპერიმენტული მოდელირებები და სხვა სახის გამოცდები, ხოლო მუზეუმმა შესაბამისად, სისტემის გამართულობის დადასტურებამდე, გადააუადოს თანხის გადახდა.*

ჭერის (სახურავის) განათების სისტემის პროექტის შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები:

- დიზაინის სიმარტივე
- ექსპლუატაციისა და მოვლის პროცესის სიმარტივე

- განათების (ლუქსებში) და ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსიობის შემცირების საშუალებების ეფექტიანობა
- ტემპერატურის უკონტროლო ზრდის თავიდან აცილება
- წყლის და ჰაერის შეღწევის თავიდან აცილების მიზნით ჰერმეტიკულობის უზრუნველყოფა
- კონდენსირების პრევენცია ან კონტროლირება
- ჭერის განათების ფართობის სიმცირე გალერეის სახურავის სრულ ფართობთან შედარებით
- სასურველი ესთეტიკური სტანდარტის შესაბამისი ხარისხის განათების უზრუნველყოფა.

ბოლო კრიტიკიუმთან შესაბამისობის მიზნით, საჭიროა საცდელი მოდელის ან იდენტიური ნიმუშის წინასწარი გამოცდა. ზედა განათების მქონე გალერეებისთვის (მაგალითად, როგორცაა დიდი ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერში მდებარე სახვითი ხელოვნების გალერეა), ტრადიციული პრობლემაა გალერეის ცენტრალური ნაწილის კაშკაშა განათება, მაშინ როცა კედლები (რომლებზეც სურათებია ჩამოკიდებული) შედარებით დაჩრდილულია. ამასთან, გალერეის ცენტრალური ნაწილის ამ გზით განათებისთვის, ჭერიდან განათება შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ შემინული ჭერის ფართობის შეფარდება გალერეის იატაკის ფართობთან, საკმარისად მცირეა – ჩვეულებრივ, ეს ფარდობითობა 15 პროცენტზე ნაკლები უნდა იყოს. ჭერის ასეთი შემინვა გამოიყენება არა კედლებზე დაკიდებული ნამუშევრების გასანათებლად, არამედ საგამოფენო სივრცის გასაცოცხლებლად, რაც მიიღწევა გაფანტული დღის სინათლის ინტენსიობის ცვალებადობით ცაზე ღრუბლების მოძრაობის შესაბამისად, რითაც შესაძლებელი ხდება გალერეიდან ცის დანახვა.

ვინაიდან მზის შუქი სეზონისა და დღის საათების მიხედვით იცვლება, დღის განათების შემთხვევაში შეიძლება დამატებით საჭირო გახდეს ელექტროგანათება, რომელიც დარეგულირდება კონკრეტულ მომენტში დღის სინათლის სენსორებისა და ნათურების რეოსტატების მონაცემების შესაბამისად. ასეთი ფლურესცენციური ან ვარვარაძაფიანი სანათები, შეიძლება ინტეგრირდეს არაპირდაპირი დღის განათების სისტემაში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, გაძლიერდება არაპირდაპირი ხელოვნური განათების საშუალებებით. ასეთ სისტემას ასევე სჭირდება პროტოტიპის გამოცდა, განსაკუთრებით მისი მოქმედების შედეგად მიღებულ ფერთა განაწილების ესთეტიკურობის ხარისხის შეფასებისთვის. არაპირდაპირი ხელოვნური დღის განათების სისტემის გარდა, გალერეაში გამოფენილი საგნებისთვის საჭიროა პირდაპირი ელექტროგანათების სისტემის მოწყობაც.

6.6.2 ხელოვნური განათება

გამოფენილი საგნების ეფექტური დაცვისთვის გამოირჩევა სამი სახის ხელოვნური განათების სისტემა:

- *საგამოფენო განათება*, რომელიც გამიზნულია ნამუშევრების, ვიტრინების და გამოფენის სხვა კომპონენტების ინდივიდუალური გაშუქებისთვის, როგორც ეს განხილულია მე-7 და მე-15 თავებსა და 5.5.4. პარაგრაფში
- *საერთო განათება* - დამთვალეირებელთა უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილებისთვის, რაც მოიცავს სავალი ბილიკების განათებას, ოთახის საერთო განათებას

და ავარიულ განათებას

• **სამუშაო განათება**, რომელიც შეიძლება ჩაირთოს ან გამოირთოს საგამოფენო ნივთების ან მოწყობილობის მონტაჟის, განმენდის და მოვლის დროს.

ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ახალი ან განახლებული საგალერეო სივრცის განათების გეგმაში და ადგენდეს საბაზისო "სისტემას", რომელიც ყოველთვის მზადყოფნაში უნდა იყოს თავად ექსპოზიციებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად. გალერეის დაგეგმვისა და დაპროექტებისას უნდა გარკვეულ იქნას გამოფენაში ცვლილებების შეტანისთვის საჭირო სასურველი დონე და საბაზისო განათების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. ჩვეულებრივ, ზედა საგამოფენო განათება ვარვარების ნათურებით ხდება, ხოლო საერთო და სამუშაო განათებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ფლურესცენციული ნათურები. ოპტიკურ-ბოჭკოვანი სანათების შემოტანამ გაცილებით დახვეწა, მაგრამ გააძვირა, საექსპოზიციო ვიტრინების განათების ხელოვნება.

ხელოვნების ნამუშევრების ან საარქივო დოკუმენტების გალერეის განათების სისტემაში დამონტაჟებული სანათების გადაადგილების, დარეგულირების და ხელახალი ფოკუსირების საშუალებით, შესაძლებელი უნდა იყოს საგამოფენო კედლების ზედაპირის ნებისმიერი უბნის ეფექტიანი განათება, რომელიც არ ხდება მოთხოვნილი სამოძრაო მარშრუტის არეში. ამდენად, განათების ქსელის დაპროექტება უნდა უზრუნველყოფდეს ყველა დასათვალიერებელი ზედაპირის რაც შეიძლება სრულ განათებას. განათების ქსელური სისტემის გამოყენება საბაზისო განათების სახით, ასევე, სასარგებლო მეთოდს წარმოადგენს თემატურ და ინტერაქტიურ გალერეებში სინათლით ანალოგიური დაფარვის უზრუნველყოფისთვის, იძლევა რა გაფანტული ან კონცენტრირებული შუქის კედლის, იატაკის ან თუნდაც, ჭერის ზედაპირზე ფოკუსირების საშუალებას. ამგვარი საბაზისო განათების სისტემის ხელმისაწვდომობა ინვესს ხარჯების მნიშვნელოვან ეკონომიას.

საკონტაქტო სალტებიან განათების სისტემებში, ასევე, შესაძლებელია საერთო და სამუშაო განათების საშუალებებისა და ელექტროენერჯის წყაროების ინტეგრირება. გალერეის განათების სისტემის მართვის კარადები განთავსებული უნდა იყოს სამსახურებრივი შესასვლელების მახლობლად და იქ, საიდანაც განათების დამრეგულირებელ პირს, თუ ეს შესაძლებელია, შეეძლება მთელი სივრცის დანახვა. ამავე დროს, სანათების რეოსტატები და სხვა მარეგულირებელი საშუალებები, განთავსებული უნდა იყოს ტექნიკური პერსონალისთვის ადვილად მისაღწეად ადგილებში, მაგრამ არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი დამთვალიერებლებისთვის. ბოლო წლებში, სინათლის რეოსტატებით დარეგულირების ნაცვლად, ხშირად მიმართავენ უბრალოდ ნათურების შეცვლას, თუმცა რეოსტატები კვლავ რჩება მართვის ეფექტურ სისტემად. ნებისმიერ გალერეაში ნათურის გამოცვლას შეიძლება მნიშვნელოვანი დასჭირდეს, რადგან ჭერის სიმაღლის გამო, აუცილებელი ხდება "ამნე ბაქანების" ან ხიდურების გამოყენება.

6.6.3 გალერეის ფერები

საგამოფენო გალერეისთვის ფერების შერჩევის შესახებ იმდენი იდეა არსებობს, რამდენიც დიზაინერი და კურატორია. ობიექტური მიზეზის გარეშე, არც ერთი ფერი არ უნდა გამოირიცხოს, რადგან თითოეულ მათგანს და საღებავს საკუთარი ტონი და ჩრდილი, ხასიათი და შესაფერისი გარემო გააჩნია. კვლევებმა აჩვენა, რომ ფერი ჩვენზე ფსიქოლოგიურ

ზეგავლენას ახდენს – ამშვიდებს, ალაგზნებს, ხელს უწყობს ფიქრს და ასტიმულირებს წარმოსახვას. მაგალითად, 5.2 პუნქტში მოყვანილ პრაქტიკულ მაგალითში განხილული ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმის ღია საცავის დარბაზები დამამშვიდებელ და ფიქრის ხელშემწყობ მკრთალ მოყავისფრო-მომწვანო ფერშია გადანყვებილი, გამოყენებულია ღია ფერის ხის დეტალებიც. შერჩეული ფერი შეხამებულია გამოფენილი არტეფაქტების უმრავლესობასთან და დამამშვიდებლად მოქმედებს თვალზე, იმ დროს, როდესაც გარშემო ძალზე ბევრი საყურადღებო ობიექტია განთავსებული. გალერეის კვლევის ან სასწავლო ნაწილი შეიძლება ანალოგიურად მოითხოვდეს ისეთი ფერების შერჩევას, რომელიც ხელს შეუწყობს საკვლევ ობიექტზე ღრმად დაფიქრებას.

ფერების შერჩევა შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა კონკრეტული ექსპოზიციის ფარდობითი ხანგრძლივობა, გამოფენებს შორის გადაღების ხარჯები, კონტრასტული ფონის საჭიროება დიდი ზომის ხელოვნების განსაკუთრებული ნიმუშის, საგამოფენო მოდულის მოწყობის აუცილებლობა. გალერეა, რომელშიც უნდა მოეწყოს თემატური ან მუდმივი კოლექციის გამოფენა (რომელიც წლების განმავლობაში უცვლელი დარჩება), შეიძლება ეფექტური ან ექსპოზიციის ინდივიდუალობის წარმომჩენი ფერებით შეიღებოს. ამის საწინააღმდეგოდ, გალერეები, სადაც გამოფენები რეგულარულად იცვლება, ითხოვს უფრო საბაზისო, ნეიტრალური ფერების გამოყენებას, რაც რამდენიმე გამოფენას გაუძლებს. დღეს, როგორც წესი, მუზეუმების უმრავლესობა ყოველი ახალი გამოფენისთვის ხელახლა ღებავს დარბაზს.

ინტერაქტიური ნამუშევრების გამოფენის შემთხვევაში, რასაც ადგილი აქვს საბავშვო ან სამეცნიერო მუზეუმებში, სადაც დიდ სივრცეში შეიძლება განთავსებული იყოს ბევრი მოდული, ფერს ერთი მოდულიდან მეორისკენ თვლების მოძრაობის და გადაადგილების მიმართულების წარმართვა, თითოეული მათგანისთვის საკუთარი სივრცისა და ენერჯის მინიჭება შეუძლია. ანალოგიურად, ფერების მდორე ან მკაფიო ცვალებადობით შესაძლებელია მიანიშნო ერთი გალერეიდან მეორეში გადასვლის შესახებ. მაგალითად, ბოლო წლებში, მე-19 საუკუნის ფერწერის ნიმუშები ხშირად განთავსებულია ვიქტორიანული პერიოდისთვის დამახასიათებელი ფერებით შეღებილ კედლებზე. ასევე, რომაული არტეფაქტების გამოფენებზე, ხშირად გვხვდება ანტიკური რომის კედლებისთვის დამახასიათებელი თბილი ფერები.

საერთო დანიშნულების გალერეებში, რომლებშიც შეიძლება განთავსებული იყოს ფართო დიაპაზონის ხელოვნების ნამუშევრები, ფერების განაწილება ხშირად პალიტრის ნეიტრალური ფერებიდან (როგორებიცაა თეთრი ან მოთეთრო ფერები) იწყება. ჭერი შეიძლება თეთრად იყოს შეღებილი, რადგან ეს ფერი უზრუნველყოფს სინათლის არეკვლას სივრცეში, რითაც უფრო ნათელს ხდის სივრცეს და არ ახდენს გავლენას ოთახში გაფანტულ სინათლეზე, ანუ მასში განთავსებულ ვიტრინებზე. ასევე, თეთრი ფერის ზედაპირი შთანთქავს ულტრაიისფერ გამოსხივებას, რაც უპირატესობას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ ჭერი გამოყენებულია საგამოფენო სივრცის არაპირდაპირი ფლურესცენციული განათებისთვის. გალერეის კედლების მიმზიდველი მოთეთრო შეფერილობა, რომელიც ხაზს უსვამს განთავსებული სურათების ფერებს, შეიძლება მიღწეული იქნას მწვანე საღებავის შერევით (უკეთესად, ვიდრე ნაცრისფრით).

თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ნეიტრალური ფერების ეფექტს მხოლოდ თეთრი, ნაცრისფერი და ჩალისფერი საღებავები არ ქმნის – ნეიტრალური ფონის

შექმნა ბევრი ფერის "განაცრისფერებით" შეიძლება. 6.2 პუნქტში წარმოდგენილ პრაქტიკულ მაგალითში "ალასკის მკვიდრი ხალხების კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის" შესახებ, განხილულია ლურჯი ფერების სპექტრით შედგენილი საინტერესო პალიტრა, რომელიც განათების მიხედვით, როგორც ნეიტრალურ, ასევე აქტიურ (ხაზგამსმელ) ფერებს იძლევა. საბაზისო ფერის კიდევ ერთ ვარიანტი, რომელიც ხშირად გამოიყენება თემატური გამოფენებისთვის, "შავი ყუთის" ეფექტანაა დაკავშირებული, ანუ როცა კედლები და ჭერი იღებება შავ ან სხვა მუქი ფერის ხავერდოვან ტონებში, რომელიც გალერეის ფონის დიდ ნაწილს ქმნის, რაც ხელს უწყობს დამთვალიერებლის ყურადღების კონცენტრირებას სპეციალური სინათლით და ფერებით გამოკვეთილ საექსპოზიციო კომპონენტებსა და მოდულებზე.

6.7 გალერეის სტრუქტურა

მუზეუმის შენობის კონსტრუქციების დაპროექტება და მშენებლობა გავლენას ახდენს მასში მოწყობილ საგამოფენო დარბაზებზე. შენობა ქმნის განსაზღვრულ სივრცეს, რომელიც გარემოსგან იცავს კოლექციების განთავსების ადგილს – საგამოფენო დარბაზებს, ისევე როგორც დამხმარე სივრცეებს და მათ შიგთავსს. შენობას სჭირდება გამძლე ფუნდამენტი, რომელიც გათვლილი იქნება სტიქიურ უბედურებებზე (წყალდიდობა და მიწისძვრა), ასევე, ნესტის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რამდენიმე შრიანი ბათქაშით გალესილი გარსი და კონსტრუქცია, რომელიც გაუძლებს ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის ცვალებადობით გამოწვეულ ზემოქმედებას და ხელს შეუშლის მტვრის, დაბინძურებული აირების და ნაწილაკების შეღწევას კოლექციების განთავსების ადგილებში. გარდა ამისა, საგამოფენო დარბაზზე შეიძლება გავლენა იქონიოს შენობაში მოწყობილმა ლიობებმა, როგორცაა შესასვლელი კარები, ფანჯრები და შემინული სახურავები, რაც დაცვის პერიმეტრის სუსტ ნერტილებს წარმოადგენს, რის გამოც დიდია გარე ელემენტების შენობის შიგნით შეღწევის ალბათობა.

იდეალურ შემთხვევაში, საგამოფენო სივრცეები იზოლირებული უნდა იყოს შენობის გარე კედლებისგან. ეს პირობა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა საგამოფენო ოთახისთვის, რომელშიც განთავსებულია ადვილად დაზიანებადი სამუზეუმო მასალები. თუმცა, სამუზეუმო შენობების უმრავლესობაში, დარბაზების გარე კედლებთან უშუალო შეხება გარდაუვალია, რაც სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს. ერთ-ერთ გზას, რომელსაც ამ დროს ხშირად მიმართავენ, წარმოადგენს გარე კარკასის შიგნით მეორადი კედლის ამოყვანა დარბაზის ჩარჩოს სახით და დამატებითი საიზოლაციო და ბუფერული საშუალებების უზრუნველყოფა. მეორადი კედელი შეიძლება გაგრძელდეს "ოთახი ოთახში" საპროექტო გადაწყვეტის სახით. დარბაზის სრული გარე კარკასი – კედლები, იატაკი და ჭერი – შეიძლება გამოყენებულ იქნას ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო მილგაყვანილობის, ელექტროსადენების განთავსებისა და შენიღბვისთვის, რაც უზრუნველყოფს სასიცოცხლო კავშირს შესაბამის ოთახსა და დანარჩენ შენობას შორის.

უმეტეს შემთხვევებში, რეკომენდებული არ არის დარბაზის კარი პირდაპირ შენობის გარეთ გადიოდეს, რაც დაუშვებელია არამარტო ექსპონატების დაცვის, არამედ გარემო პირობების ცვალებადობის ექსპონატებზე ზემოქმედების თვალსაზრისითაც. აუცილებელი

სამსახურებრივი და ხანძარსაწინააღმდეგო კარებიც კი, უმჯობესია არ გადიოდეს ისეთ შუალედურ არეებში, რომელთაც თავის მხრივ, შენობის გარეთ პირდაპირი გასასვლელი აქვს. შენობის გარედან არასასურველი ზემოქმედების, ასევე ჰაერის გათბობა-გაცივებასთან დაკავშირებული საექსპლუატაციო ხარჯების შემცირების მიზნით, სასურველია შემცირდეს ან საერთოდ გაუქმდეს გალერეიდან შენობის გარეთ გამავალი ფანჯრები. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დაპროექტდეს ვესტიბიულები, სადაც კარები ან სხვა ლიობები დახშული იქნება, მაგრამ აღიჭურვება მაღალი ხარისხის დამცავი სიგნალიზაციით, სამეთვალყურეო და ჰერმეტიზაციისთვის აუცილებელი საშუალებებით. დარბაზის სივრცეში ჰაერის წნევა, მიმდებარე არეებსა და მათ შორის შენობის გარეთ არსებულ წნევაზე მცირედით მეტი უნდა იყოს, რათა შეიქმნას წნევის ბარიერი ინტერიერის გარემოს აირებით დაბინძურებისგან დასაცავად.

კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენს დარბაზის სივრცეში შენობის გარედან წყლის გაჟონვა ან დატბორვა, რაც თავისთავად დიდ საფრთხეს უქმნის ხელოვნების ნამუშევრებს და არტეფაქტებს. კოლექციების განთავსების ადგილზე ან მის მახლობლად, არ უნდა იყოს დამონტაჟებული წყლის ავზები, დანადგარები, აბაზანები, შადრევნები ან აუზები. შივრცეები, სადაც კოლექციებია განთავსებული, აღჭურვილი უნდა იყოს შენობაში ნესტის მაკონტროლებელი სენსორებით, რომელიც იმართება კომპიუტერიდან. თუ შენობის რომელიმე ადგილი გარე საკანალიზაციო გაყვანილობაზე ან გრუნტის წყლების სარკეზე ქვემოთაა, ან თუ არსებობს დატბორვის რაიმე საფრთხე, ფუნდამენტის (სარდაფის) კედლები და იატაკი სათანადოდ უნდა დამუშავდეს წყლის მოძრაობის შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით. სანიაღვრე მილები უნდა აღიჭურვოს უკუდინების დამბლოკავი საშუალებებით, ხოლო ლიფტების შახტებში უნდა დამონტაჟდეს სანრეტი ჭები და ტუმბოები.

გარე და შიდა დაცვის, ასევე უსაფრთხოების სისტემები დეტალურად არის განხილული მე-5 თავში. ისეთი სისტემები, როგორცაა მილგაყვანილობა, ელექტროსადენები, საკომუნიკაციო ხაზები, ვიდუოთვალის და სიგნალიზაციის მოწყობილობის შეერთებისთვის და ვენტილაციისთვის საჭირო ჰაერსატარების ინტენსიური ქსელი, ხშირ შემთხვევაში გალერეის სივრცის გარეთაა დამონტაჟებული და გარედანვე იმართება. სამწუხაროდ, ასეთი სისტემების განთავსებამ და დამონტაჟებამ შეიძლება გამოიწვიოს ექსპონატთა დაზიანებაც! ამიტომ ასეთი სისტემები ისე უნდა დაპროექტდეს და დამონტაჟდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნას სივრცის რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენება და ყოველგვარი დაბრკოლების თავიდან აცილება.

ქვემოთ ჩამოთვლილია დაპროექტების დროს მხედველობში მისაღები ზოგიერთი პირობა:

- მოითხოვეთ, რომ ჰაერსატარების გაყვანილი იყოს სახურავის სივრცეში, გალერეის გარეთ მდებარე კოჭებს შორის ან კედლების კონსტრუქციებში
- დარწმუნდით, რომ საჰაერო გაყვანილობა არ გადის კოჭების ან სვეტების ქვეშ ან მათ ირგვლივ, რისთვისაც მოითხოვეთ კონსტრუქციული და მექანიკური სისტემების პროექტების ურთიერთკოორდინირება
- ჰაერის მოძრაობის და ელექტრული და ხანძარსაწინააღმდეგო კარადების მოსაწყობად საჭირო ლიობების ზომები გულმოდგინედ უნდა იყოს გაანგარიშებული ინჟინერ-მექანიკოსების მიერ. დამკვეთმა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ამ ლიობების ადგილმდებარეობა და ზომები

- საკოლექციო სივრცეებში ჰაერის მინოდება ხდება კედლების ზედა ნაწილში ან ჭერზე გაყვანილი ჰაერსატარებიდან, ხოლო გადინება, უნდა მოხდეს ქვედა დონეზე – პლინტუსთან მდებარე სპეციალური ხვრელებიდან, რაც უზრუნველყოფს ჰაერის ყველაზე ეფექტიან ცირკულირებას და ამცირებს ხისტი ჰაერის კონტაქტს ხელოვნების ნამუშევრებსა და არტეფაქტებთან, ამასთან, შედარებით უხილავს ხდის კომუნიკაციების გაყვანილობას.

6.7.1 გალერეის დატვირთვის მედეგობის მოთხოვნების განმსაზღვრელი პრინციპები

გალერეის ყველა კონსტრუქციული კომპონენტი – კედლები, იატაკი და ჭერი – უნდა უძლებდეს ზღვრულ სამუშაო დატვირთვებს და დაპროექტებული იყოს ექსპონატების საყრდენების/საკიდების გათვალისწინებით, ხოლო იატაკის შემთხვევაში – მათი გადაადგილების და დამონტაჟების გათვალისწინებით, რასაც ემატება გამოფენის სივრცეში დამთვალეირებლების მოძრაობით გამოწვეული დატვირთვა. სწორედ ამიტომ, დაპროექტების და მშენებლობის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სივრცის სამუზეუმო დანიშნულებით გამოყენების სპეციფიკით განპირობებული დატვირთვის მოთხოვნები.

ორგანოზომილებიანი ნამუშევრების – სურათების, ნახატებისა და გრაფიურების – გამოსაფენად საჭიროა ბრტყელი ზედაპირი (როგორცაა კედელი ან მაგიდა), რომელმაც უნდა შეასრულოს საყრდენის როლი ექსპონატების ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად ან დიაგონალურად განთავსებისთვის. ანალოგიური მოთხოვნები მოქმედებს საარქივო მასალების გამოფენის დროსაც, როგორცაა დოკუმენტები, რუკები და წიგნები. ექსპონატი, რომელსაც როგორც ორი, ასევე სამგანზომილებიანი საგნის თვისებები გააჩნია (კედლის ბარელიეფი, მინის და კერამიკის თევზები, ტონდოები და არქიტექტურული ფრაგმენტები, კოლაჟები), ასევე მოითხოვს საკედლე საყრდენების მოწყობას, რასაც თავის მხრივ, შესაძლოა სათანადო საშუალებების სპეციალურად დაპროექტება სჭირდებოდეს. ცალსახად სამგანზომილებიანი საგნების დათვალეირება შესაძლებელი უნდა იყოს ყველა მხრიდან, რამაც შეიძლება აუცილებელი გახადოს იატაკზე დასადგმელი საყრდენის ან ჭერიდან ჩამოშვებული სადგამის მოწყობა. ყველა ასეთი საყრდენის ეფექტიანობისთვის ცალსახად აუცილებელია საყრდენ ან საკიდ კონსტრუქციას ჰქონდეს ადექვატური სიმტკიცე შესაბამისი წონითი დატვირთვის მიმართ და ასევე, საკმარისად მდგრადი იყოს არასასურველი ვიბრაციის თავიდან აცილების მიზნით, რაც გავლენას ახდენს როგორც საგამოფენო ელემენტებზე, ასევე მათზე დასადგმელ ან დასაკიდებელ საგნებზეც.

საჯარო გამოყენებისთვის გამიზნული კონსტრუქციების დაპროექტებისას, არქიტექტორებმა და ინჟინრებმა უნდა გააცნობიერონ სამშენებლო სფეროში მოქმედი სტანდარტები და ადგილობრივი სამშენებლო ნორმები. დამთვალეირებელთა მხრიდან დატვირთვის დონე ანუ ადამიანების რაოდენობა გალერეის სივრცის ყოველ კვადრატულ მეტრზე პიკის საათებში, წინასწარ უნდა განისაზღვროს, რათა ეს ინფორმაცია დროულად იქნას გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში. რიგ ქვეყნებში მოქმედი კანონების თანახმად, ადგილობრივი ორგანოები ახდენენ გალერეის სივრცის სერტიფიცირებას კონკრეტული დატვირთვის შესაბამისად, რის საფუძველზეც არასაკმარისად სრულყოფილი დაპროექტების ან მშენებლობის შემთხვევაში, გალერეაში ერთდროულად მყოფ დამთვალეირებელთა რაოდენობაზე დგინდება შეზღუდვები. საგამოფენო მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავ-

შირეული მინიმალური სავალდებულო დატვირთვების თვალსაზრისით, განსაკუთრებული პრობლემები შეიძლება შეიქმნას ისტორიული ნაგებობის გადაკეთების დროს.

“დატვირთვა” ნიშნავს კონსტრუქციის დაძაბულობას, რომელიც გამონვეულია მისივე და მასზე განთავსებული საგნების წონით (სიმძიმის ძალით) და/ან, არაპირდაპირი სახით – მოძრაობით და ვიბრაციით. დატვირთვა შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- **ხაზოვანი დატვირთვა**, როდესაც სიმძიმის ძალა მოდებულია მთელ ხაზზე. კედლები და ყველაფერი, რაც დამაგრებულია მათზე ან დაკიდულია იმავე ვერტიკალურ სიბრტყეში (წიგნის თაროები და რიგებად დალაგებული თაროები, სტელაჟები, სახურავის და იატაკის კოჭები), თავისი წონით თავადვე ქმნის ხაზოვან დატვირთვას და ასევე, მზად არის დამატებითი დატვირთვის მისაღებად ან გასანაწილებლად.

- **წერტილოვანი დატვირთვა**, როდესაც სიმძიმის ძალა მოდებულია ერთ წერტილზე ან წერტილთა ჯგუფზე, შეიძლება წარმოადგენდეს ერთგვაროვან ან კონცენტრირებულ დატვირთვას:

- ერთგვაროვანი დატვირთვის შემთხვევაში, საგნის წონა (წნევის ძალა) თანაბრადაა განაწილებული – ფართობის ერთეულზე არსებული წონა (წნევა) განისაზღვრება სხეულის სრული წონის გაყოფით საყრდენი ან საკიდი ზედაპირის ფართობზე (კვადრატული მეტრების რაოდენობაზე).

- რადგან, ჩვეულებრივ, ექსპონატების განთავსების ადგილებში საგნების, ვიტრინების ან სადგამების წონა მთელს ზედაპირზე თანაბრად არაა განაწილებული, ხშირად საჭირო ხდება კონცენტრირებული დატვირთვის გათვალისწინება. კონცენტრირებული დატვირთვის დროს, სხეული თავისი წონით ერთ, ძალზე მცირე წერტილოვან უბანს ეყრდნობა, ხოლო ამ წერტილზე მოდებული ძალა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ფართობის შემცირებასთან ერთად. გალერეაში კონცენტრირებულ დატვირთვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაღალი წერილი საგნის იატაკზე განთავსების, თვითმფრინავის მოდელის ქერზე ერთი ბაგირით ჩამოკიდების ან სურათის ერთ ლურსმანზე დაკიდების დროს.

თუმცა, საგამოფენო ავეჯის დაპროექტებისას, შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას კონცენტრირებული დატვირთვის შემცირება ერთგვაროვანი დატვირთვის პრინციპის გამოყენებით, რისთვისაც საჭიროა იმ წერტილოვანი ადგილის გაფართოება, რომელზეც წნევის ძალაა მოდებული. მაგალითად, თვითმფრინავის მოდელი შეიძლება ჩამოკიდდეს რამდენიმე ბაგირზე, საგამოფენო ვიტრინა შეიძლება მიმაგრდეს კედელზე ოთხივე კუთხით ან ბუდას ბრინჯაოს ქანდაკება შეიძლება დაიდგას სადგამზე, რომელიც დაპროექტებულია მისი წონის იატაკის შედარებით მეტ ფართობზე გადასანაწილებლად.

- **დატვირთვა მძიმე საგნის გადაადგილებისას**, რაც წარმოადგენს ჭარბ და იმავდროულად, დროებით ძალას, რომელიც მოდებულია რაიმე მძიმე საგანზე და გადაადგილება ზედაპირის გასწვრივ – ეს შეიძლება შეეხებოდეს ვიტრინებს და სხვა მოძრავ მძიმე საგნებს, ასევე – იატაკის გარკვეულ უბნებზე დამთვალეირებელთა განუწყვეტლივ მოძრაობას. აღნიშნული მიზეზების გამო, დროთა განმავლობაში, შეიძლება მოხდეს იატაკის გარკვეული უბნების მდგრადობის და ზედაპირის სისწორის დარღვევა, რასაც შედეგად მოყვება წნევის ქვეშ მოქცეული ფიცრების გადაადგილება. დატვირთვის მიმართ არასაკმარისმა გამძლეობამ შეიძლება გამოიწვიოს იატაკის უმნიშვნელო “მოძრაობა” ექსპონატების ქვეშ, რასაც შედეგად მოყვება საგამოფენო თაროებზე განთავსებული მომცრო არტეფაქტების გადაადგილება.

ამდენად, შენობის ექსპლუატაციის მთელს პერიოდში, იატაკის დატვირთვის მედეგობას სჭირდება რეგულარული შემონმება, რადგან დროთა განმავლობაში რაიმე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს იატაკის ან კედლის ჩაჯდომა ან ჩამოქცევა – ან უფრო ნაკლებად დრამატული, მაგრამ ანალოგიურად საზიანო მოვლენა. ვიტრინა შეიძლება დაიმსხვრეს, სურათებმა შეიძლება დაიწყოს «რხევა და ხტუნვა», მცირე ზომის არტეფაქტებმა კი "გაიაროს" თაროების კიდეებამდე და ძირს ჩამოვარდეს, განსაკუთრებით, თუ მუზეუმის გარეთ ადგილი აქვს ვიბრაციას, რომელიც გავლენას ახდენს შენობის კონსტრუქციის მდგრადობაზე.

დატვირთვაზე მედეგობის ნორმები განსხვავებულია ცალკეულ ქვეყნებში. მუზეუმები უნდა განხილვოდეს ისეთი შენობების გვერდით, როგორცაა ბიბლიოთეკები, თეატრები და მაღაზიები, რომელთა მდგრადობაზე გავლენას ახდენს როგორც საკუთრივ კონსტრუქციის წონა, ასევე მათი შიგთავსი და ადამიანების დიდი რაოდენობა, რომელიც ამ შენობებში იმყოფება და გადაადგილდება. ამასთან, მუზეუმებს გააჩნიათ განსაკუთრებული მოთხოვნები, კერძოდ, კონკრეტული გალერეისთვის დატვირთვაზე გამძლეობის მოთხოვნების განსაზღვრისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტური მონაცემების მოპოვებას გამოსაფენი საგნების ზომების, წონის და საგამოფენო ელემენტების შესახებ.

6.7.2 გალერეის იატაკი და დატვირთვის ნორმები

საგამოფენო სივრცეებში გამოყენებული სხვადასხვა ტიპის იატაკის კონსტრუქციები იყოფა ორ კატეგორიად:

- ბეტონის ფილები, რომლებზეც შეიძლება დაიგოს შავი იატაკი ან მოპირკეთების ფენა
- კოჭებზე და შუასადებებზე დამონტაჟებული იატაკის კონსტრუქციები, რომლებიც შეიძლება დამზადებული იყოს ლითონის ან ხისგან.

იატაკის სისტემები მრავალი განსხვავებული სახეობის მასალას მოიცავს, რომელთაგან თითოეულს სიმტკიცის და მდგრადობის ან დრეკადობის საკუთარი მახასიათებლები აქვს. გალერეის იატაკი შეიძლება მოპირკეთებული იყოს ბეტონის ფილებზე დაგებული ქვით, ვენეციური მოზაიკით ან კერამიკული ფილებით, ან შეიძლება მოაპირკეთონ ბეტონი, შეღებონ და გააპრიანონ, რაც იძლევა ცვეთაზე ყველაზე მეტად გამძლე, თუმცა იმავდროულად, ყველაზე ნაკლებად დრეკად ზედაპირებს. ყველაზე დრეკადი და თბილი ზედაპირი მიიღება ხის ან მერქნის ბოჭკოვან ფილებზე პარკეტის, ვინილპლასტიკის ფილების ან ხალიჩის დაგებისას, თუმცა ასეთ იატაკს შედარებით მცირე საექსპლუატაციო ვადა და დატვირთვაზე გაცილებით ნაკლები გამძლეობა ახასიათებს.

კიდევ ერთი სახეობის იატაკს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება შეგვხედეს გალერეებში, წარმოადგენს ანტრესოლი. ასეთი გადანყვეტა არ უნდა იქნას მიჩნეული დამატებითი ფართობის მიღების იაფ საშუალებად, რადგან სავარაუდოდ, საჯარო გამოყენების ნაგებობების მარეგულირებელი სამშენებლო ნორმებით, ანტრესოლის კონსტრუქციას იგივე პირობები წაეყენება, რაც შესასვლელისა და ძირითადი საგამოფენო სართულებისთვის. მეტალის კარკასზე მონყობილი ანტრესოლები, ჩვეულებრივ, საჯარო გამოყენების ადგილებში მისაღებ გადანყვეტას არ წარმოადგენს.

გალერეის იატაკის მონყობისას ერთ-ერთი ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხი ვიბრაციის წყაროების მოქმედების შერბილებაში მდგომარეობს. ვიბრაცია შეიძლება

გამონვეული იყოს ტრანსპორტის მოძრაობით, მეტროპოლიტენის ან სარკინიგზო ხაზით, სამშენებლო საქმიანობით, მინისძვრით და თავად შენობის ცალკეული კვანძების მოქმედებითაც კი. საგამოფენო ფართობის ვიბრაციის მუდმივი წყაროებისგან იზოლირებისთვის შეიძლება სხვადასხვა არქიტექტურული საშუალებების გამოყენება. დამატებით, იატაკის დაპროექტებისას შესაძლოა აუცილებელი გახდეს ნანაცვლებაზე წინააღმდეგობის ელემენტების გათვალისწინებაც. იატაკის ზედაპირების ერთგვაროვნების და სისწორის უზრუნველყოფა უაღრესად მნიშვნელოვანია გამოფენილი ექსპონატების მოძრაობის შეზღუდვისა და ექსპონატების გადასატანი ძრავიანი ან ხელის ურიკების იატაკის ზედაპირზე მოძრაობით გამონვეული ვიბრაციის თავიდან ასაცილებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი თანდაყოლილი წინააღმდეგობრივი გარემოება. ექსპონატებისა და საგნების უსაფრთხოების და მდგრადობის თვალსაზრისით, სასურველია მტკიცე იატაკის გაკეთება, რაც ხელს უწყობს ვიბრაციისა და ნანაცვლების შესაძლებლობების შემცირებას. მეორე მხრივ, დამთვლიერებლების, განსაკუთრებით კი შედარებით ხანდაზმული ვიზიტორების თვალთახედვიდან, სასიარულოდ გაცილებით მოსახერხებელია შედარებით დრეკადი იატაკი. ამიტომ, მუზეუმისთვის ოპტიმალური შედეგის მიღწევის მიზნით, სტუმრების კომფორტი და ექსპონატების მდგრადობა დაბალანსებული უნდა იყოს.

დიდი ბრიტანეთის სამშენებლო ნორმების თანახმად, გალერეის იატაკი უნდა უძლებდეს მხოლოდ 4 კნ/მ² სიდიდის დატვირთვას. თუმცა, რეალობაში, ხელოვნების ნამუშევართა გალერეებისთვის უფრო პრაქტიკულია ამ პარამეტრის სიდიდე 5 კნ/მ² იყოს, ხოლო ექსპონატებისთვის ზოგადად, უმჯობესია დატვირთვის მუშა ზღვარი შეადგენდეს 7,5 კნ/მ². 6.1 ცხრილში წარმოდგენილია დატვირთვის მინიმალური სიდიდეებისთვის განსაზღვრული საორიენტაციო ნორმატივები სხვადასხვა ტიპის საგამოფენო ფართობის იატაკისთვის.

ცხრილი 6.1 სხვადასხვა ტიპის საგამოფენო ფართობის იატაკის დატვირთვაზე მედეგობის სტანდარტული ნორმები

ხელოვნების ნამუშევართა გალერეები	სურათები, გრაფიურები, მცირე ზომის ქანდაკებები	5 კნ/მ ² – 7.5 კნ/მ ²
ზოგადი პროფილის და ხელოვნების მუზეუმები	ხელოვნების სხვადასხვა სახის ნამუშევრები/არტეფაქტები/მოდელები და საგამოფენო ელემენტები, რომელთა ზომები შეიძლება დიდი იყოს	7,5 კნ/მ ² – 10 კნ/მ ²
ღია საცავეის ტიპის გალერეები	დეკორატიული ხელოვნების ნამუშევრები, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური და ბუნების ისტორიის ამსახველი ექსპონატები	8 კნ/მ ² – 10 კნ/მ ²
სპეციალიზებული მუზეუმები	სამხედრო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, სატრანსპორტო დანიშნულების არტეფაქტები, მძიმე მონუმენტური ქანდაკებები და არქიტექტურის ნიმუშები	10 კნ/მ ² -ზე მეტი, 50 კნ/მ ² -მდე

6.7.3 გალერეის კედლები: მუდმივი, დროებითი და მოძრავი

დიდებულ ისტორიულ შენობებში მონყობილი გალერეების აგურის ან ქვის კედლები, ხშირ შემთხვევაში, დეკორატიული ქვის ფილებით ან გაჯითაა მოპირკეთებული. თუმცა, პრაქტიკაში ასეთი კედლები ნაკლებად გამოიყენება სამუზეუმო დანიშნულებით. მხედველობაში მისაღებ კედლე ერთ ფაქტორი, რომელიც ისტორიული ნაგებობების მასალების/მოპირკეთებული ზედაპირების უმრავლესობას ახასიათებს, ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მათი დაცვის აუცილებლობასთან, რის გამოც შეუძლებელი ხდება კედლების მოხატულობის ან დეკორატიული მოპირკეთების შეცვლა, რომ აღარაფერი ვთქვათ ექსპონატების ვაკუუმური იზოლაციის ან თუნდაც მათ დასაკიდად საჭირო ზედაპირების მონყობაზე. ასეთი საკითხები გულმოდგინედ უნდა იყოს შეხსავილი ისტორიულ ნაგებობებში მუზეუმების საგამოფენო გალერეების მონყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

დღეს, სატრანსპორტო ან სამრეწველო მუზეუმებში ხშირად გამოიყენება ბეტონის კედლების სისტემა, რაც მათი ეკონომიურობითა და გამძლეობითაა განპირობებული. მართალია, ამ კონსტრუქციებს შეიძლება დატვირთვაზე მაღალი გამძლეობა გააჩნდეს, მაგრამ ასეთი "მტკიცე კედლები" პრობლემებს ქმნის სამარჯვების, დიაგრამების ან სახვითი ხელოვნების ნამუშევრების ჩამოკიდების შემთხვევაში, განსაკუთრებით კი დროებითი დანადგარების მონტაჟისას. ასევე, შეიძლება პრობლემები შეიქმნას ნესტის კონდენსირების ან ჰაერის გათბობა/გაცივების მიმართებითაც.

საგამოფენო სივრცის დაპროექტება რეკომენდებულია მოხდეს პრინციპით "ოთახი ოთახში», განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა სპეციალური გარემოს შექმნა, რისთვისაც მეორადი კედლები ექსტერიერის კონსტრუქციული კედლებისგან ცალკე უნდა აშენდეს. მეორად კედლებს რამდენიმე ფუნქცია აკისრია:

- კედლები, რომელიც იტანს სხვადასხვა სამაგრი ხრახნების ან ამ ტიპის სხვა საშუალებების მიმაგრებას
- კედლები, რომლის საშუალებითაც შეიძლება ხანძარსა და სხვა საშიშროებების, ელექტროსადენების, ელექტროკარადების, ელექტროჩამრთველებისა და სინათლის რეოსტატების შენიღბვა.
- მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ შენობაში სავენტილაციო სისტემის მუშაობას.

ასეთი სახის კედელი რეკომენდებულია აშენდეს 5/8 დუიმი სისქის ცეცხლგამძლე თაბაშირის ფილებისგან, რომელიც სარჭებით დამაგრებულია 3/4 დუიმი სისქის ფანერაზე. ხის კარკასის საყრდენი კედელი, რომელიც აიგება ასეთი ორმაგი პანელების მისამაგრებლად, საკმარისად მტკიცე უნდა იყოს სახვითი ხელოვნების ნამუშევრების ან სხვა სახის საგნების დასაკიდებლად. სავარაუდოა, რომ განსაკუთრებით მძიმე ნივთები, როგორცაა ქვის ბარელიეფები, კედლის სპეციალური კონსტრუქციის გარდა, მოიტხოვს კონკრეტული მიზნებისთვის შესაფერისი საყრდენების მონყობას. თუ სამუზეუმო კოლექცია მოითხოვს, შედარებით მძიმე საგნების დაკიდების უზრუნველსაყოფად შეიძლება კონსტრუქციულად გაუმჯობესდეს ზოგიერთი ან ყველა კედელი.

რაც უფრო დიდია გალერეის დარბაზი, მით უფრო სავარაუდოა, რომ ცალკეულმა სადგამმა, უჩვეულო ნამუშევრის გამოფენამ თუ ექსპოზიციის გამოცვლამ, დარბაზის კონფიგურაციის შეცვლა მოითხოვოს. მცირე გალერეებს არ გააჩნიათ საკმარისი მოცულობის ღია სივრცე, რათა ტიხრების ან პანელების საშუალებით შესაძლებელი გახდეს მისი

დაყოფა მეტი ადგილის უზრუნველსაყოფად ან გამოფენის "შეგრძნების" შესაცვლელად. დიდ გალერეებში, შესაძლებელია საგამოფენო სივრცის ცალკეულ ნაწილებად დაყოფა ან კონფიგურაციის შეცვლა მოძრავი ან დროებითი კედლებისა და პანელების გამოყენებით. ამ მიზნით, უმრავლესობა მუზეუმებში გამოყენებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ან ორივე საშუალება:

- *მოძრავი კედლები*, რომელთა გადაადგილებაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია

- *დროებითი კედლები*, რომლებიც აიგება გარკვეული ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი დემონტაჟი.

სახვითი ხელოვნების მცირე გალერეებში ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს ერთგვარი მოძრავი სახის კედლის მონყობა, რომლის მობრუნებაც შეიძლება კიდის ან ცენტრის გარშემო, რაც საგამოფენო დარბაზის კედლების მიმართ მისი გარკვეული კუთხით განთავსების შესაძლებლობას იძლევა. ასევე, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის კომერციულად ხელმისაწვდომი ან კონკრეტული მიზნებისთვის დამზადებული პანელის კონსტრუქციები, როგორცაა ანკორიჯში მდებარე ალასკის მკვიდრი ხალხების კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის მოძრავი ტიხარი, რომელიც აგებულია სტანდარტული 4ჩმ ფუტი ზომის კედლის პანელებისგან. ხშირად ასეთი მოდულის სისტემებში ინტეგრირებულია სხვა საექსპოზიციო ელემენტები, როგორცაა დასახელების აღმნიშვნელი ან ტექსტური პანელები, სხვადასხვა ტიპის ვიტრინები, კომპიუტერული ტერმინალები ან განათების საშუალებები.

მუზეუმებში უამრავი მოძრავი კედლის ნახვა შეიძლება, რაც მათ სარგებლიანობაზე მეტყველებს. მაგრამ ხშირად გაისმის კრიტიკული შეფასებებიც მათი არასაკმარისი მდგრადობის, ვიზუალურად დაბალი დონისა და შედარებითი ხშირი შეკეთებისა და გადაღების აუცილებლობის გამო. ყველა ამგვარი შეფასება შეიძლება განეიტრალდეს დროებითი თუ მოძრავი კედლების დამზადებამდე მათი გულმოდგინედ დაპროექტებისა და მოცდის საშუალებით, საბოლოო გადანყვებილების მიღებამდე ყველა პრობლემური საკითხის გადაჭრის მიზნით. ხშირია შემთხვევები, როცა დროებითი ან მოძრავი კედლების მონყობას, ბოლო მომენტისთვის იტოვებენ, რაც აისახება კიდევ მათ ხარისხზე.

მნიშვნელოვანია კითხვა, უნდა აღწევდეს თუ არა მოძრავი კედლები ჭერამდე. თუ ასეთი მოძრავი პანელები ან კედლები აღჭურვილი იქნება დასაკიდი ჭერით, ისინი არა მარტო უზრუნველყოფენ დასრულებული სახის ოთახის ეფექტის შექმნას, არამედ ექნებათ სასარგებლო აკუსტიკური ეფექტიც. დასაკიდი ჭერის გარეშეც კი, შესაძლებელია ჰაერგამტარების წყლის დასასხურებელი მილგაყვანილობის და განათების სადენების დაპროექტება. საპანელო სისტემები (იატაკიდან ჭერამდე) ზოგჯერ დაპროექტებულია ჭერზე დამაგრებულ კილოებში ჩასასმელი პანელების სახით და საყრდენი პოზიციის უზრუნველსაყოფად აქვს მოძრავი ფეხები. მეორე მხრივ, მოძრავი კედელი, რომელიც ჭერამდე არ აღწევს, ქმნის გახსნილი სივრცის ეფექტს. ამგვარი კედლისთვის ხმის დამხშობი მასალის შერჩევა შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს დამთვალეიერებლებელთა ხმაურის ჩასახშობად.

მოძრავი კედელი საინტერესო საინჟინრო გამოწვევასაც წარმოადგენს მათი მდგრადობისა და გადაადგილების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი ფაქტორია იატაკის ზედაპირის ხარისხი – ხალიჩამ შეიძლება მნიშვნელოვანი დაბრკოლება შექმნას მოძრაობისთვის.

ამოტრიალების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად მოძრავი კედლების ძირში ათავსე-

ბენ ბალასტურ ტვირთს. მოძრავი კომპონენტების დაპროექტება უნდა მოხდეს გულდასმით, რათა იყოს მტკიცე, ამავე დროს უზრუნველყოს შეუფერხებელი გადაადგილება, რისთვისაც ზოგჯერ გამოიყენება მოსახსნელი პლინტუსები, რომლებიც ფარავენ მაღალი დატვირთვის ფიქსატორებიან ბორბლებს. პლინტუსები, ასევე, შეიძლება გამოვიყენოთ იატაკში ჩამონტაჟებულ ელექტროსადენებისა და მონაცემთა წყაროებთან შეერთებების დასამალად, ხოლო თავად მოძრავ კედლებში შეიძლება დამონტაჟდეს გაყვანილობა, რომელიც მიუერთდება იატაკზე დამონტაჟებულ როზეტებს.

დროებითი ან მოძრავი კედლების მონყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ხშირად დამოკიდებულია შესაბამის ხარჯებზე, რაც წინასწარ უნდა იყოს გათვლილი. მუზეუმები, რომელთაც გააჩნიათ თითოეული გამოფენისთვის დროებითი კედლების მონყობის შესაძლებლობა, ხშირად უპირატესობას სწორედ ასეთ გადაწყვეტას ანიჭებენ; დროებითი კედლების გამოყენება პრაქტიკული არჩევანია იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია საწყისი ერთჯერადი ხარჯების გადანაწილება რაც შეიძლება გრძელვადიან პერიოდზე, რის გარდაც რჩება გალესვის, გადაღების და შეკეთების სამუშაოების ხარჯები. თუმცა, მოძრავი კედლების ხარჯები უნდა მოიცავდეს მათი შენახვისთვის საჭირო სათავსოების მოსაწყობ კაპიტალურ და ასევე, ასეთი სათავსოების (რომლებიც ჩვეულებრივ გალერეის მახლობლად მდებარეობს) სხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. დიდ მუზეუმებს შეიძლება გააჩნდეთ მზა სატიხრე პანელების და მოძრავი კედლების მარაგი, თუმცა, ასევე შეუძლიათ დროებითი კედლების აშენება კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

6.7.4 გალერეის ჭერი

სამუზეუმო გალერეის ჭერის მოსაწყობი კონსტრუქციების, მოსაპირკეთებელი და სხვა მასალის არჩევასა, იბადება კითხვა: ჭერი უნდა იყოს ღია, გაშიშვლებული ჰაერსატარებით, წყლის დასასხურებელი მილგაყვანილობით და განათების სადენების არხებით, როგორ ამას ადგილი აქვს “შავი ყუთის” ან “საწყობის” ტიპის გალერეებში, თუ ჭერი უნდა შეინიღოს განათების საშუალებების დონეზე დამაგრებული ე.წ. “დაკიდული ჭერის” მეშვეობით?

საკმარის სიმაღლეზე მონყობილ დაკიდულ ჭერს შეუძლია შექმნას გალერეის ელგანტური მოპირკეთების შთაბეჭდილება, იმ პირობით, რომ არ იქნება გამოყენებული დაბალხარისხიანი ხმის საიზოლაციო ფირფიტები. ასეთი ჭერი, შთანთქავს ბგერებს, რითაც ხელს უწყობს სიჩუმის დაცვას გალერეაში, რასაც კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა ბევრ მუზეუმში, განსაკუთრებით მათ გალერეებსა და სასწავლო უბნებზე.

მეორე მხრივ, შიშველი ჭერი შეიძლება უფრო შესაფერისიც კი იყოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენისას, ხოლო მკაფიოდ თემატური გამოსახულებების და ინტერაქტიური გალერეებისთვის, ასეთი ჭერის გამოყენება უდავოდ მოსახერხებელია. ღია ჭერის კონსტრუქცია თავისთავად ბადებს ვიზუალურ ინტერესს, ზრდის ჭერის სიმაღლეს, იძლევა ექსპონატების უფრო მარტივად და გასაგებად დაკიდების საშუალებას და შესაბამისად – გამოფენის მონყობისთვის მეტი მოქნილობის გამოყენების შესაძლებლობას. ნეშვილში მდებარე სახვითი ხელოვნების პირველ ცენტრში, რომელიც 2001 წელს გაიხსნა, ძირითად დროებით საგამოფენო დარბაზებსა და ოჯახური ტიპის აღმოჩენების დარბაზებში ჭერი ღიადაა დატოვებული, თუმცა უფრო გრძელვადიანი გამოფენებისთვის განკუთვნილ

გალერეებში, სადაც შედარებით დასრულებული მოპირკეთება უფრო მიზანშეწონილია, საერთო დაკიდული ჭერია დამონტაჟებული.

დაკიდული ჭერის მოწყობის შედეგად იქმნება ზედაპირი, რომლის ქვედა მხარესაც დამონტაჟდება სადენები განათებისთვის. ამავე ზედაპირზე შეიძლება დამაგრდეს ან ჭერში ჩაისვას სხვა საინჟინრო კომუნიკაციებიც, როგორცაა დასასხურებელი წყლის მილგაყვანილობის დაბოლოებები, ჰაერსატარების ღია ბოლოები და მაღალი ტემპერატურის ან კვამლის დეტექტორები. ღია ჭერის კონსტრუქციის შემთხვევაში ყველა ზემოაღნიშნული კომუნიკაცია გამოჩნდება, თუმცა შესაძლებელია მათი შეღებვა ჭერის ზედაპირთან შეხამების მიზნით. ღია ჭერიანი ტიპის გალერეების "შავი ყუთის" სახელით მოხსენიება განპირობებულია იმით, რომ ისინი შავად, ან მუქ ფერადაა შეღებილი, რის გამოც არ იპყრობს დამთვალეირებლების ყურადღებას. ღია ჭერის კიდევ ერთი უპირატესობა მათი საყრდენი სისტემების ტექნიკური მოვლის სიმარტივეში მდგომარეობს. გარდა ამისა, ამ ტიპის კონსტრუქცია წყლის გაჟონვის ან სხვა მსგავსი პრობლემების სწრაფად, ექსონატების ან დაკიდებული ჭერის საფარისთვის სერიოზული დაზიანების მიყენებამდე გამოვლენას უწყობს ხელს.

გალერეის ჭერზე საგნების ჩამოკიდება ხშირად ქმნის კონცენტრირებულ წერტილზე დატვირთვის მოდებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, თუმცა რიგ შემთხვევებში, დატვირთვის ერთგვაროვნების ხარისხის გაზრდის მიზნით, შესაძლებელია დაკიდებული საგნით გამონეული დაძაბულობის რამდენიმე საკიდ წერტილს შორის გადანაწილება. აქაც სასარგებლოა დასაკიდი მასალების დატვირთვის წინასწარ განსაზღვრა. არსებული შენობის შეკეთების ან ახალი გალერეის მშენებლობის პერიოდში, შესაბამისი დაპროექტების შემადგენელი ნაწილის სახით, ინჟინერ-კონსტრუქტორების მიერ უნდა განისაზღვროს ჭერის კოჭების გამძლეობა.

მუზეუმებად გადაკეთებულ ისტორიულ შენობებში ჭერი დეკორატიული ხის მასალით ან თაბაშირითაა მოპირკეთებული და ინტენსიურადაა დაფარული ორნამენტებითა და სანათებით. ასეთი ჭერი, როგორც ისტორიული გარემოს შემადგენელი ნაწილი, შესაძლოა მიმზიდველად გამოიყურებოდეს, მაგრამ იმავე დროს, განათების საშუალებებისა და თანამედროვე უსაფრთხოებისა და დაცვის სისტემების დამონტაჟების კუთხით, ქმნიდეს სირთულეებს. ამასთან, ისტორიული შენობების ჭერის რეკონსტრუქცია ან ჭერზე რაიმე ექსპონატების დაკიდება შეიძლება დაუშვებელი აღმოჩნდეს.

6.7.5 კარის ლიობები, კიბეები და პანდუსები

კარის ლიობები, კიბეები და პანდუსები, მისადგომობისა და დამთვალეირებელთა მოთხოვნების მიმართებით, დეტალურად მე-5 თავშია განხილული. ყველა ამ ელემენტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანების უსაფრთხოდ მოძრაობის უზრუნველყოფისთვის, განსაკუთრებით კი ავარიულ შემთხვევებში; ამიტომ მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სამშენებლო ნორმების განსაზღვრისას. რიგი კანონმდებლობების შესაბამისად, მუზეუმებს ევალებათ ყველა საგამოფენო უბანზე დამთვალეირებლების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, რისთვისაც გამოყენებულია პანდუსები, ესკალატორები და სახანძრო ავარიული გასასვლელი, როგორც ეს შესაბამისი ნორმებითაა განსაზღვრული. სამშენებლო ნორმების თანახმად, შედარებით დიდ გალერეებში შეიძლება სავალდებულო იყოს რამდენიმე სახანძრო გასასვლელი კარის მოწყობა, რათა დაცული იქნას ნებისმიერი დამთვალეირებლის

მაქსიმალურად სწრაფად მისვლა უახლოეს ავარიულ გასასვლელამდე. ასეთი მოთხოვნების გარკვეულწილად შემსუბუქება მხოლოდ ისტორიულ შენობებში შეიძლება დაიშვას.

ზოგადად, დარბაზში მოძრაობის შეფერხების (საცობების) თავიდან აცილების, ექსპონატების და საგნების გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია ორფრთიანი კარების დამონტაჟება. საგამოფენო ოთახებში შესვლისთვის განკუთვნილი ძირითადი შესასვლელის კარის ზომები, უნდა განისაზღვროს ნორმატივების შესაბამისად. სამსახურებრივი (დამხმარე) კარები, რასაც იყენებენ ექსპონატების შეტანა-გამოტანისთვის, უნდა უზრუნველყოფდეს მინიმუმ 10 ფუტი (2,4 მ) სიგანის და 12 ფუტი (3,5 მ) სიგრძის ლიობის შექმნას. დიდი ზომის საგნების გადაადგილების უზრუნველსაყოფად შეიძლება დაგვარად დიდი უნდა იყოს ღია სივრცე ექსტერიერს, გადმოტვირთვის უბანსა და დროებით საგამოფენო დარბაზს შორის. კარების ლიობების ზომების განსაზღვრისას გადამწყვეტ ფაქტორს ქანდაკების, არტეფაქტის ან მოდელის (სავარაუდოდ ყველაზე დიდი ზომის გადასაადგილებელი ერთეულის) სიმაღლე, სიღრმე და სიგანე შეადგენს.

კარისთვის გამოყენებული მასალა ისტორიული ინტერიერის შესაფერისი ან თანამედროვე უნდა იყოს. თუ შესაძლებელია, კარის მასალა ხანძარსაწინააღმდეგო თვისებებით იდენტიური უნდა იყოს გალერეის კედლების, ჭერის და იატაკის ანალოგიური მახასიათებლებისა (მიუხედავად იმისა, რომ უფრო დაბალი ცეცხლგამძლე მასალებიც მისაღებია). ხშირად არჩევანი შეჩერებულია შემინულ კარზე (არამსხვრევადი მინის), რათა დამთვალიერებელს შეეძლოს საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი ადამიანების დანახვა და გარდა ამისა, შეიქმნას უფრო მეტი ღია სივრცის ეფექტი. დამხმარე კარის სახით, ჩვეულებრივ, გამოიყენება ღრუ მეტალისგან დამზადებული ცეცხლგამძლე კარი, რომლის შიდა (გალერეის მიმართ) ზედაპირი გალერეის კედლების მსგავსი მასალითაა მოპირკეთებული. გალერეის ყველა კარი აღჭურვილი უნდა იყოს დახურვისა და დაცვის ავტომატური საშუალებებით.

ყველა ავარიული კიბის უჯრედის გასასვლელსა და შენობის შესასვლელში უნდა დამონტაჟდეს ავარიული (ხანძარსაწინააღმდეგო) კარი ძელ-სახელურებით. შენობის გარეთ გამავალი ავარიული კარები მექანიკურად და თერმულად იზოლირებული, ჰერმეტიული, არმირებული და ღრუ, ზემტკიცე მეტალისგან უნდა იყოს დამზადებული. კარების არმატურა გარე მხარეს არ უნდა გადიოდეს – ანჯამები, სახელურები და ყველა სხვა გასაწყობი ნაწილი, კარის შიდა მხარეს უნდა დამონტაჟდეს.

გალერეაში ვერტიკალური გადაადგილების უზრუნველყოფა ყოველთვის პრობლემურია. კიბეებსა და პანდუსებს, ისევე როგორც იატაკის მოსაწყობ კონსტრუქციებს, სათანადო დონეების დატვირთვებთან შესაბამისობის სერტიფიცირება სჭირდება. პანდუსების დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს 1:30, ხოლო როცა მოსალოდნელია მათი გამოყენება სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გადასაადგილებლად, რეკომენდებულია დახრილობა არ აღემატებოდეს 1:50. ადგილობრივი ინსპექცია განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს კიბის ღია უჯრედებს, პანდუსებს და სართულებს შორის მოწყობილ მსგავს კონსტრუქციებს, რადგან ამ ლიობებით შეიძლება მოხდეს ხანძრის ზედა სართულებში გავრცელება.

ინვალიდების გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, მუზეუმის ხელმძღვანელობამ შესაძლოა მოითხოვოს სამგზავრო ლიფტების დამონტაჟებაც. ამასთან, სავარაუდოდ, ღია სკამ-ელევატორების ნაცვლად, საჭირო იქნება დახურული ლიფტების მოწყობა.

6.7.6 ფანჯრის ლიობების განაწილება

პუნქტი 6.6.1 მიმოხილულია ბუნებრივი განათება და ზოგიერთი სხვა საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს ან დაკავშირებული არის დღის განათებაზე მომუშავე გალერებთან. როგორც აღვნიშნეთ, საგამოფენო უბნებზე გვერდითი განათებისთვის მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული ფანჯრების გამოყენება, ხოლო სასწავლო და საკვლეო ოთახებში მათი გამოყენება უნდა მოხდეს სათანადო სიფრთხილით. ფანჯრების ლიობების განაწილებისას, უპირატესობა უნდა მიეცეს ჭერის (შემინული სახურავის) განათებას, ხოლო სახურავში ჩაშენებული ფანჯრები ორმაგი ან სამმაგი მინისა უნდა იყოს, რაც დამოკიდებულია ზამთარში ამინდის პირობების სიმკაცრეზე, ხოლო მინის ფირფიტებს ან “სანათებს” შორის არსებული შემავსებელი ჰაერის ფენის სისქე უნდა შეადგენდეს 1/2 დუიმს (13 მმ). მინები უნდა იყოს ლამინირებული და შესაძლოა, სჭირდებოდეს ფრიტირებული მომინანქრება გარე სინათლის ეფექტის შესარბილებლად. ფრიტირებულ მინას უპირატესობა უნდა მიეცეს შებურულ მინასთან შედარებით, რადგან ფრიტირება იძლევა შეუბურავი მინისთვის დამახასიათებელი გამჭვირვალობის შენარჩუნების საშუალებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ბუნებრივი სინათლის ფერების გავრცელებას შეფერილობის ხელოვნურად შეცვლის ნაცვლად. მიუხედავად იმისა, რომ ფრიტირება მინას გაუმჭვირვალეს ხდის, იგი მაინც იძლევა გამჭვირვალე უბნებიდან გარეთ გახედვის შესაძლებლობას. ლამინირებული პლასტიკატისგან შედგენილი შუა შრე 1/16 დუიმი (1,5 მმ) სისქის უნდა იყოს, ხოლო მისი ულტრაიისფერი გამოსხივების გამტარუნარიანობა ნაკლები 10 მვტ/ლუმენზე.

ჭერის განათება (სახურავის განათება) შეიძლება გამოვიყენოთ დღის სინათლეზე მომუშავე გალერებში, თუ მათი საპროექტო მახასიათებლები უზრუნველყოფს სასურველი ინტენსიობის განათებას, რაც ჩვეულებრივ, მინიმუმ 50 ლუქსს უნდა შეადგენდეს. ჭერის განათების დაპროექტებისას აუცილებელია შემდეგი კომპონენტების გულმოდგინედ გათვალისწინება:

- ჭერის განათების ლიობების ფორმა, ორიენტაცია და მომინანქრებული უბნების მდებარეობა
- მომინანქრების ტიპი და ულტრაიისფერი გამოსხივების ფილტრები
- ბუნებრივი განათების ხელშეწყობისთვის გამოსაყენებელი დღის განათების ან სხვა ელექტროსანათების შერჩევა და განთავსება
- დღის სინათლის დამბლოკავი შირმების ან დეფლექტორების საჭიროების შემთხვევაში გამოყენება
- კომბინირება სადენებიანი განათების სისტემებთან, რომლებიც გამოიყენება კედლებზე ან იატაკზე განთავსებული საგნების განათების მიზნით
- ინფრანიტელი გამათბობელი საშუალებების გამოყენების, ცივი კლიმატის ქვეყნებში ჭერის სანათებზე ნესტის კონდენსირების და გაყინვის თავიდან ასაცილებლად.

როგორც აღვნიშნული კრიტერიუმები და 6.6.1 პუნქტში მოცემული ბუნებრივი განათების განხილვა ცხადყოფს, ზედა სინათლის გამოყენება მიმზედველი, მაგრამ ამასთან რთული გამოწვევაა და მშენებლობის პროცესში დეტალური კვლევას და სათანადო ყურადღებას მოითხოვს.

6.7.7 იატაკში, კედლებზე და ჭერზე დამონტაჟებული ელექტრო და საკომუნიკაციო გაყვანილობა

წინამდებარე პარაგრაფში დეტალურადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ტექნიკური თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გამოფენებზე დარბაზში, განათების, აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიის (სიმულატორებთან ერთადაც კი) გამოყენების ჩათვლით. თითოეული აღნიშნული საშუალების დამონტაჟება, გალერეაში მნიშვნელოვანი ადგილის გამოყოფას მოითხოვს, რადგან ითვალისწინებს ენერგომომარაგების, საკომუნიკაციო გაყვანილობის და მონაცემთა გადაცემის ქსელების განთავსებასაც. ასეთი მოთხოვნილება განაპირობებს "გონიერი გალერეის" დაპროექტების საჭიროებას, რომლის სტრუქტურაშიც ინტეგრირებული იქნება ძალოვანი და საინფორმაციო კომუნიკაციები.

ტრადიციულ გალერეებს გააჩნდათ და დღემდე გააჩნიათ ელექტროროზეტების დიდი რაოდენობა, რომლებიც ოთახებში პლინტუსის დონეზეა განთავსებული. ასევე, ჭერზე გაყვანილი განათების სადენების არხები ხშირად დაპროექტებული იყო ზევადან დაშვებული ელექტროგაყვანილობის დამონტაჟებისთვის. ასეთი საბაზისო საშუალებების გარდა, მრავალი ტრადიციული სამუზეუმო გამოფენების ფართობი გადაჭვრთული იყო და დღესაც არის ხალიჩების ქვეშ ან იატაკზე მონყობილ საკაბელო არხებში ჩანყობილი ძალოვანი და საკომუნიკაციო სადენებით. ბევრ მუზეუმს ამგვარი გაყვანილობით გამოწვეულ პრობლემების მოგვარება კიდევ წლების მანძილზე მოუხდება.

სამეცნიერო და საკონფერენციო ცენტრების კომერციული საგამოფენო ფართობების და მსოფლიო სავაჭრო პავილიონების შემოღებასთან ერთად, დასაბამი მიეცა ახალი ტიპის საგამოფენო უბნების მონყობის პრაქტიკას. ასეთი უბნები გამოირჩევიან გამოყენების მხრივ მეტი მოქნილობით და მათი მოთხოვნაა ელექტროენერჯისა და საკომუნიკაციო გაყვანილობის განაწილება მთელ საგამოფენო სივრცეში, ყველგან, სადაც საჭიროა ექსპონატების განთავსება. ასეთი ტიპის შენობებში დღეისთვის სტანდარტულ რეალობას წარმოადგენს ვერტიკალური და ჰორიზონტალური საკაბელო არხების დამონტაჟება ჩვეულებრივი კაბელებისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენების ჩასანყობად. დღეს, სამეცნიერო ცენტრების გარდა, ასეთივე სახით ხდება საბავშვო და ტექნოლოგიური მუზეუმების, მრავალი თემატური მუზეუმის და თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნამუშევრების მუზეუმების დაპროექტება, რათა დაკმაყოფილდეს მომავალი ათწლეულების მანძილზე წარმოშობილი ტექნოლოგიური მოთხოვნები.

მუზეუმებსა და გალერეებში ასეთი გაყვანილობის დაბოლოებები ძირითადად იატაკშია ჩამონტაჟებული, თუმცა ზოგჯერ მოძრავი დანადგარების დაყენების ან სახვითი ხელოვნების ნამუშევრების უკანა მხრიდან განათების მიზნით, დამატებით საჭიროა მათი კედლებზე გაყვანა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ძალოვანი კაბელი როზეტთან ერთად შეიძლება კედელში ჩაისვას (თუ ის ბეტონის არ არის). ძალოვანი და საკომუნიკაციო სადენები ასევე შეიძლება გაიყვანონ სვეტებში, მოძრავ კედლებში ან ვიტრინებში.

გალერეის კედლებში პლინტუსების დონეზე დამონტაჟებული როზეტები, ხშირად შენიღბულია დამცავი დაფებით ან სხმულების სექციებით, ხოლო ძალოვანი და საკომუნიკაციო კაბელების სამგანყოფილებიანი არხები ჩვეულებრივ, იატაკშია გაყვანილი დაახლოებით 12 ფუტი (3,6 მ) ზომის უჯრედებიანი ქსელის სახით, რომელთა გადაკვეთებზეც მონყობილია სარემონტო კოლოფები. ელექტროგაყვანილობის სადენები შეიძლება განაწილდეს გალერე-

ის სვეტების ან სხვა კონსტრუქციული ელემენტების შესაბამისად. წყლის შეღწევის თავიდან ასაცილებლად, იატაკში დამონტაჟებული როზეტები უნდა დაიფაროს ჰერმეტიკული დაფებით, ამასთან, უნდა უსწორდებოდეს იატაკის ზედაპირს ან ჩაღრმავებული იყოს იატაკში, სასურველია მათი შენიღბვა ბრტყელი საფარი დაფით. როზეტები შეიძლება განთავსდეს ხალიჩების კიდეებთან ან ხის საფარის მოსახსნელ, თითქმის შეუმჩნეველ ელემენტებთან ან შეიძლება თუნუქის, დანული ფოლადის ან დეკორატიული ხის (მათი გარჩევის მიზნით) დეტალებთან ერთად, თავიდანვე იყოს გათვალისწინებული პროექტში.

როგორც აღინიშნა, ძალზე სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ჭერიდან დაღმავალი სადენების ზოგიერთი სახეობის გამოყენება, განსაკუთრებით მაღალი კონსტრუქციების და დაკიდული ექსპონატების შემთხვევაში. ელექტრომომარაგება უნდა წარმოადგენდეს სინათლის გაყვანილობის სისტემის კომპონენტს. მუშა განათების და ელექტრომომარაგების საშუალებები ყველა გალერეაშია საჭირო და ზოგჯერ შესაძლებელია მოხდეს მუშა განათების გათიშვა სადენების სისტემიდან. ელექტროენერგია საჭიროა ავარიული განათების, საჯარო განცხადებების და გახმოვანების, ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვის სისტემების, ცენტრალური ვაკუუმური სისტემის და ზოგჯერ, სატელეფონო ხაზებისთვის. ყველა ეს სადენი გალერეის კონსტრუქციებში რაც შეიძლება ეფექტიანად და დაბრკოლების გარეშე უნდა იყოს გაყვანილი. მონაცემთა საკომუნიკაციო სისტემებისთვის, შესაძლებელია საჭირო აღმოჩნდეს დენის და ძაბვის ცვლილების კონტროლი და სპეციალური სადენების დამონტაჟება. ასევე, შესაძლებელია საჭირო გახდეს მუზეუმის სხვა საინფორმაციო სისტემების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ქსელის შექმნა (როგორებიცაა კოლექციების საკატალოგო, გამოსახულებების და გამოცემების მონაცემთა ბაზის, ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვის, შენობის ავტომატიზაციის ან ავტომატიზებული ხმოვანი და განათების სისტემები), რომელთა სადენებიც, სავარაუდოდ, ცენტრალური სერვერიდან უნდა იყოს გაყვანილი. ერთდროულად მომუშავე დიდი რაოდენობის კომპიუტერებთან მაღალსიჩქარიანი დაკავშირების საჭიროებამ შეიძლება გაზარდოს მოთხოვნა საკომუნიკაციო ქსელის მიმართ და გაამართლოს მისი მოწყობისთვის გასაწევი კაპიტალური ხარჯები, რაც ხელს შეუწყობს საკომუნიკაციო მოწყობილობის ოპერატიული სიჩქარის გაზრდას.

6.7.8 აკუსტიკა და ხმის მაკონტროლებელი საშუალებები

გალერეის კონსტრუქცია, მასალები და მოპირკეთება წარმოადგენს სამ ძირითად ფაქტორს, რომელთა სწორად ან არასწორად გამოყენება განაპირობებს დამთვალეიერებლების, შენობაში დამონტაჟებული დანადგარების და თავად გალერეის აკუსტიკური სისტემების მიერ გამოწვეული ხმაურის დონეების სათანადოდ ან არასათანადოდ კონტროლირებას. ზოგადად, ხმაურის დონე ძალზე დაბალი არ უნდა იყოს, რათა სტუმრებმა თავი განმარტობულად არ იგრძნონ, მაგრამ არც ძალზე მაღალი, რათა არ გამოიწვიოს მათი გაღიზიანება. საპროექტო ხმაურის ნომინალური დონე (NC) ახლოს უნდა იყოს NC 30-თან საგამოფენო და კვლევით უბნებზე, თავშეყრის ადგილებში შეიძლება აღწევდეს NC 35, ხოლო აუდიტორიებში, არ უნდა აღემატებოდეს NC 25. აუდიო-ვიდეო პრეზენტაციების ხმის გამაძლიერებლების საშუალებით წარმოდგენის ან შენობაში რაიმე სხვა სახის განცხადებების გაკეთების დროს (მათ შორის საჯარო ადგილებში განცხადებების სახით ინფორმაციის გავრცელებისას), ტექსტში შემავალი თანხმობების განურჩევადობის მაჩვენებელი არ უნდა იყოს 15 პრო-

ცენტზე მეტი.

ლიფტების, საპირფარეშოების, სახელოსნოების და მექანიკური მოწყობილობების სათავსოები შეიძლება საჭიროებდეს ხმაურის შთანთქმის საშუალებების გამოყენებას. ზოგიერთ სპეციალიზებულ გალერეაში, როგორცაა საორიენტაციო ან საბავშვო გალერეა, ან მაღალხმაურიანი საგალერეო საქმიანობების წარმოების უბნებზე, შეიძლება აუცილებელი გახდეს აკუსტიკური ბუფერების და ხმაურის მაკონტროლებელი საშუალებების გამოყენება, რათა ხმაური არ გავრცელდეს ამ არეების გარეთ. ასეთი ადგილების მიმდებარე უბნებისთვის, არქიტექტორებმა და აკუსტიკოსებმა, ადამიანთა შესაბამისი რაოდენობის გათვალისწინებით, უნდა განსაზღვრონ სათანადო STS (ხმის გადაცემის კრიტერიუმები) სიდიდეები.

მუზეუმის მთელი ფართობი მოცული უნდა იყოს ცენტრალური საჯარო საინფორმაციო (განცხადებების) სისტემით, რომელიც გამოიყენება როგორც ჩვეულებრივი, ასევე საგანგებო განცხადებების გახმოვანებისთვის. საჯარო საინფორმაციო სისტემას უნდა გააჩნდეს ცალკეული ზონების შერჩევით დაფარვის შესაძლებლობა, რათა შეიძლებოდეს განცხადებების გაკეთება მხოლოდ გალერეის სექციებში, სამსახურებრივი სექციების გარეშე ან პირიქით. ამასთან, საჯარო ადგილებში დამონტაჟებულ აუდიო სისტემებთან შედარებით, საჯარო საინფორმაციო სისტემა უპირატესი რეჟიმით უნდა სარგებლობდეს და განმზოლოებული იყოს მათგან. ხშირად, საჯარო ინფორმაციის სისტემა დაცვის ცენტრალური ოფისიდან იმართება, რათა შესაძლებელი იყოს განსაკუთრებულ შემთხვევებში განცხადებების დროულად გაკეთება.

კონკრეტული გამოყენების და პროგრამების საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჯარო საინფორმაციო სისტემისგან დამოუკიდებელი აუდიო სისტემების მოწყობა, რომელთაც უნდა ჰქონდეს სამუშაო და მოწყობილობის შესანახი/გასამართი ცენტრალიზებული სათავსოები. ასეთი სისტემები შეიძლება მოიცავდეს როგორც მთლიანად გალერეას, ასევე შერჩეულ საჯარო ადგილებს. საჯარო საინფორმაციო სისტემით განცხადებების გაკეთების მიზნით, შესაძლებელი უნდა იყოს აუდიო სისტემების იმპერატიულად გამორთვა დაცვის მთავარი ოფისიდან.

6.8 მასალაჰი და ზედაპირის მოპირკეთება

მუზეუმების საინტერპრეტაციო საშუალებების დაგეგმვის დროს, დისკუსიისა და დებატების საგანი ყოველთვის არის ახალი ფართობების მოპირკეთების დონე და ხარჯები. ამ დროს იკვეთება სხვადასხვა შეხედულებები, ისეთი, როგორცაა "სულ ერთია რა ელირება – მხოლოდ საუკეთესო იყოს" და დამთავრებული მოსაზრებით – "ჩვენ გვინდა პრაქტიკულები ვიყოთ – მოპირკეთებულ ზედაპირს უნდა შეეძლოს დარტყმის გაძლება!". გალერეის ზედაპირის მოპირკეთების განხილვისას, ძირითადად ვიზუალურ ეფექტზე ფიქრობენ, ამიტომ, გარკვეულწილად, საჯარო მოლოდინის გამართლებისთვის, მრავალ მუზეუმში პოპულარულია მაღალი დონის მოპირკეთების გამოყენება, მაშინაც კი, როდესაც თავად გალერეა სტილით უფრო "სანყობს" ნააგავს.

მასალების შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ყველა შერჩეული მასალის გამოყენების უზრუნველყოფა. უმრავლეს შემთხვევებში, არქიტექტორი და გამოფენის დიზაინერი მონადინებულნი იქნებიან თავიანთ კონტროლის ქვეშ მოაქციონ ეს პროცესი, რაც ცხადია, ნორმალურია. არქიტექტორები ინფორმირებული უნდა იყვნენ ბა-

ზარზე გამოჩენილი ისეთი ახალი მასალების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოდგეს ტრადიციული მოსაპერკეთებელი მასალების გაცილებით უკეთეს ალტერნატივად. თუმცა, უნდა იხელმძღვანელონ იმით, თუ როგორ იმუშავენ ესა თუ ის მასალა სამუზეუმო გარემოში. იატაკის, კედლების, ჭერის ან კონსტრუქციების მოსაპერკეთებელი მასალების შერჩევასა, უნდა განისაზღვროს თუ როგორ შეასრულებს ისინი თავიანთ ფუნქციას გალერეაში არსებულ კონკრეტულ ფიზიკურ გარემოში შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ვიზუალური ეფექტი
- ფუნქციონირება
- მოვლა და შეცვლა.

მუზეუმის პროფესიონალებს, მუზეუმის დაგეგმვის კონსულტანტების ჩათვლით, უნდა შეეძლოთ მასალებისა და მოპირკეთებების მინიმალური სამუშაო კრიტერიუმების განსაზღვრა, რათა თავიანთი მოსაზრება მიანდონ არქიტექტორსა და დიზაინერს, რომლებიც საუკეთესო ვარიანტს აირჩევენ. ამ ფაქტორების განხილვისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ხარჯები. შენობის საბაზისო ბიუჯეტის შედგენა ხელს უწყობს მოპირკეთების ხარისხის სათანადოდ დაგეგმვას.

6.8.1 ვიზუალური ეფექტი

სავარაუდოდ, საგამოფენო გალერეისთვის მასალების შერჩევასა, პირველ რიგში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – “როგორ შეესაბამება გალერეის ვიზუალური ეფექტი მუზეუმისთვის სასურველ იმიჯს?” ეროვნული მუზეუმისთვის შეიძლება საჭირო იყოს გრანდიოზული იმიჯის შექმნა, იმ დროს, როდესაც რეგიონული თუ ეთნიკური ინდივიდუალობის გამომხატველი მუზეუმებისთვის, შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს აბორიგენული კულტურის ამსახველი ადგილობრივი მასალების, მშენებლობის გამოცდილების და მეთოდების ჩვენებას. თავის მხრივ, თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნამუშევრების მუზეუმების ან “მომავლის” სამეცნიერო ცენტრების პროფილისთვის, შეიძლება უპირატესობა ყველაზე თანამედროვე და ამასთან, ხელმისაწვდომ მასალებს მიენიჭოს.

ზოგ შემთხვევაში შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს მუზეუმის ყველა სხვა გალერეაში გამოყენებული მასალების და მოპირკეთებების შერჩევა, რაც ერთგვაროვნების განცდას იწვევს ან შესაძლებელია შეირჩეს მასალები, რომელიც ხაზს უსვამს შესაბამისი სივრცის განსაკუთრებულ დანიშნულებას, რასაც ადგილი აქვს სახვითი ხელოვნების მუზეუმში მონყობილ საბავშვო გალერეაში, სასწავლო სექციაში ან სპეციალური თემატური ან “სენსაციური” დანიშნულების ობიექტებში, როგორცაა საორიენტაციო თეატრები და საიმიტაციო კაბინები. თითოეულ ასეთ ობიექტს საკუთარი ინდივიდუალობა გააჩნია, რაც სივრცის გამოყენებით, ფერებით, განათებით და მასალებით იქმნება. გალერეის უპირატესი ვიზუალური ეფექტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, სასარგებლოა გალერეის ფუნქციის განხილვა, დირექტორთა საბჭოსა და აპარატის წევრების შეხედულების გარკვევა, მასალებისა და ესკიზების შედარებითი ანალიზის გაკეთება.

მოდერნისტული და ფუნქციონალური მოსაზრებებით, უპირატესობა ენიჭება გალერეის ნეიტრალურ ვიზუალურ ეფექტს, რომლის დროსაც ზედაპირი თავისი დიზაინით უფრო “გაუჩინარებელია”, ვიდრე გამოკვეთილი, რაც ხელს უწყობს ექსპონატების დომინირებულ მდგომარეობას გალერეის ინტერიერთან შედარებით. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ არის.

მაგალითად, დენვერის ხელოვნების ნამუშევართა მუზეუმის აღმოჩენების ბიბლიოთეკაში, რომელიც 6.1 პუნქტში მოცემულ სასწავლო მაგალითშია აღწერილი, გამოყენებულია მრავალფეროვანი ქსოვილები, ხის პანელები და ელემენტები, ქვის ბუხრები და გადაკრული სკამები, რაც ქმნის სპეციფიური პერიოდებისთვის და პირადი ბიბლიოთეკების სტილისთვის დამახასიათებელ სურათს. ეს მასალები უშუალოდ მიანიშნებს, რომ "ამ დარბაზს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს" მუზეუმის სახვითი ხელოვნების ნამუშევრების სხვა გალერეებს შორის. მასალები უზრუნველყოფს დიზაინს, რისი უბრალო მაგალითიცაა 6.2 პუნქტში მოცემულ პრაქტიკულ მაგალითში განხილული ანკორიჯში მდებარე ალასკის მკვიდრი ხალხების ეთნოგრაფიული ცენტრი, სადაც იატაკის მოპირკეთებული ზედაპირის ფერის ცვლილება ხაზს უსვამს გადასვლას გალერეის სივრციდან საჯარო მოძრაობის და სადემონსტრაციო სემინარების არეში.

გალერეის მოპირკეთების ხარისხი შესაბამისობაში უნდა იყოს მთლიანად შენობის დიზაინსა და ექსტერიერისა და საჯარო ადგილების (როგორცაა შესასვლელი), მოპირკეთებისთვის გამოყენებულ მასალებთან. მაგალითად, სან-ფრანცისკოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნამუშევრების მუზეუმში, ფასადსა და საჯარო ადგილებში გამოყენებული წერილმარცვლოვანი მარმარილოს და გრანიტის ქვებით მოპირკეთებული ზედაპირი, კარგადაა შერწყმული ერთმანეთთან, რაიმე პირდაპირი დუბლირების გარეშე. კედლები (რომელთა ზედაპირზეც შეიძლება ლურსმნის მიჭედება), ელექტროენერჯის წყაროები და საკომუნიკაციო რობოტები, ხაზოვანი და წერტილოვანი განათება, ქმნის თანამედროვე, მაგრამ ამასთან ელეგანტურ იერს, რომელიც განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავია, თუმცა "არ ჩრდილავს" ხელოვნების ნამუშევრებს.

გალერეის ვიზუალურ ეფექტთან დაკავშირებული მღელვარება ხშირად განპირობებულია ერთის მხრივ, საგამოფენო ელემენტების დიზაინს, ფერებს და მასალებს (როგორცაა ვიტრინები, საჩვენებელი ყუთები) და მეორეს მხრივ, საერთო არქიტექტურულ სივრცეს შორის არასაკმარისი კოორდინირებით. ამ მიმართებით შესაძლებელია შემდეგი ალტერნატიული გადაწყვეტის განხილვა:

- ზოგიერთ გალერეაში, კედლებში ჩამონტაჟებულ ვიტრინებს, რომლებიც შეიძლება იატაკიდან ჭერამდე აღწევდეს, შეუძლია შეასრულოს სივრცის კონფიგურაციის განმსაზღვრელი უმთავრესი არქიტექტურული ელემენტის ფუნქცია. ვიტრინის კედელი, იატაკთან და ჭერთან შეერთების ადგილებში, სინამდვილეში გალერეის კედლის კომპონენტს წარმოადგენს, ამიტომ თავსებადი და კოორდინირებული უნდა იყოს კარის, განათების პანელების ან გრაფიკული თვალსაჩინოების დამჭერი კედლის შეერთებულ ელემენტებთან. აქ არქიტექტორისთვის შეიძლება საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდეს ექსტერიერის დაპროექტება და გამოფენის დიზაინერთან და მუზეუმის პერსონალთან ერთად სათანადო მასალების შერჩევა. ვიტრინა-კარადების არქიტექტურული მახასიათებლების დადგენისას, ზოგ შემთხვევაში, მხედველობაში შეიძლება იქნას მიღებული საექსპოზიციოდ წარმოსაჩენი კულტურის არქიტექტურა, მაგალითად, როგორც ამას ადგილი აქვს ტორონტოში, ონტარიოს სამეფო მუზეუმის ეგვიპტისა და ნუბიის გალერეაში.

- სხვა გალერეებში გამოიყენება ცალკე მდგომი მოდულის ტიპის ვიტრინები, ბაქნები, პანელები და სხვა საგამოფენო ელემენტები, რომელთა დიზაინიც შეიძლება შეიცვალოს თითოეული ახალი გამოფენის მონყოფის წინ. ასეთ შემთხვევებში, გალერეა წარმოადგენს "კონტეინერებით" შედგენილ კარკასს, რომელიც მასალებისა და მოპირკეთების საკმაოდ

განსხვავებული დონის კოორდინირებას მოითხოვს. გალერეის სივრცის დ ვიზუალური ეფექტის დამატებით განმსაზღვრელი ელემენტის სახით, შეიძლება გამოყენებულ იყოს სპეციფიურად დაპროექტებული მოდულის ტიპის კონსტრუქციები, რომლის განსაკუთრებულად თვალსაჩინო მაგალითიცაა ლონდონის ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმის მინის გალერეა, სადაც განცალკევებით განთავსებული მინის და ფოლადის ვიტრინები, მკვეთრად გამოირჩევა მდიდრულად მოხატული ბათქაშის ზედაპირით და მარმარილოს იატაკებით შექმნილი ვიქტორიანული ეპოქის დიზაინის არქიტექტურული სივრცისგან.

- “შავი ყუთის” ტიპის გალერეებში ან თემატურ საექსკურსიო გარემოში, ექსპონატების განთავსების დიზაინი შეიძლება გამიზნული იყოს მთელ არქიტექტურულ ნაგებობაზე დომინირების ან მისი შენიღბვისთვის. ასეთი მაგალითები გვხვდება მანილას ეროვნული მუზეუმის ახალ არქეოლოგიურ გალერეაში, სადაც *ასახულია ფილიპინელი ხალხის ისტორია*, ხოლო მათში განთავსებული აღდგენილი სამარხები, არანაირად არ შეეფერება არქიტექტურულ სივრცეს. ამ გალერეაში უპრიანია მოქნილი კარკასის შესაქმნელი საბაზისო მასალების გამოყენება.

საგამოფენო დარბაზის ვიზუალური ეფექტისთვის ან, თუნდაც, უმაღლესი დონის დიზაინის ხაზგასასმელად, აუცილებელი არ არის თვალში საცემი იყოს ყველაზე მაღალი ხარისხის და სიძვირის მასალები, როგორცაა მარმარილო ან იატაკის მტკიცემერქნიანი ჯიშის ხის მასალები, მაღალი ხარისხის ორნამენტებიანი ჭერის ბათქაში ან კედლებზე გადაკრული აბრეშუმი. არქიტექტორები და დიზაინერები სულ უფრო მეტად მიმართავენ ჩვეულებრივი მასალების უჩვეულო სახით გამოყენების მეთოდებს პრაქტიკულობის და ეკონომიურობის შესარწყმელად განსაკუთრებულ ვიზუალურ ხარისხთან. თანამედროვე მხატვრები ხშირად უპირატესობას უბრალო, “საწყობის” ტიპის გალერეას აძლევენ. ასეთი ტენდენციის მრავალ ბოლოდროინდელ მაგალითს წარმოადგენს მუზეუმები, განთავსებული ყოფილ ელექტროსადგურში, როგორც ლონდონის “თეთი მოდერნია”, ან ქსოვილის ფაბრიკაში, როგორც ქალაქ ნორს-ადამსში მდებარე მასაჩუსეტისის შტატის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნამუშევრების მუზეუმი.

6.8.2 ფუნქციურობა

იმ დროს, როდესაც გალერეის ფუნქციონირებისთვის შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს მისმა ზომებმა, სტრუქტურამ და ტექნიკურმა მხარდაჭერამ, მასალა და მოპირკეთება საკუთარ როლს თამაშობს გალერეის სივრცის საპროექტო დანიშნულებით გამოყენების უზრუნველყოფაში. გალერეის მასალის და მოპირკეთების ფუნქციონირების ხარისხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მნახველებისათვის კომფორტული და უსაფრთხო პირობების შექმნის და გალერეის სივრცის რაციონალური და მოქნილი გამოყენების გათვალისწინებით.

6.8.2.1 დამთვალეირებელთა კომფორტი და უსაფრთხოება

მუზეუმში გამოყენებულ მასალებსა და მოპირკეთებას, სხვადასხვა სახით, თავისი წვლილი შეაქვს მნახველების კომფორტის უზრუნველყოფაში, რაც პირველ რიგში საგამოფენო სივრცეში მარტივი და უსაფრთხო შესვლის და მოძრაობის პირობებით განისაზ-

ღვრება. უმჯობესია, იატაკის ზედაპირი არ ცურავდეს და იყოს გაუპრიალებელი; ამასთან, არც იატაკის და არც კედლის ზედაპირსა და კიდეებს არ უნდა ჰქონდეს დაკბილული ან უხეში ფაქტურა. დამთვალეირებლებს არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეეხონ ცხელ ზედაპირებს, განათების სისტემის დეტალებს, ელექტროროზეტებს და პანელებს. სხვა პრობლემები, რომელიც შეიძლება შეექმნას დამთვალეირებლებს, შეიძლება იყოს ხალიჩებში დაგროვილი მტვრით და ახალი მასალების და სანმენდი ხსნარების ანაორთქლის ნარჩენებით აღერგიული ან ასთმური შეტევების გამოწვევაა. გარდა ამისა, მნახველების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია მასალები აკმაყოფილებდეს ყველა სამშენებლო და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმას. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია საგამოფენო სივრცეების იატაკის, კედლების და ჭერისთვის გამოყენებულ მასალებს გააჩნდეს გამძლეობა ორსაათიანი ხანძრის მიმართ, ხოლო კარები დამზადდეს შეძლებისდაგვარად უმაღლესი ხარისხის ცეცხლგამძლე მასალისგან. ყველა მასალა, მოპირკეთება და ავეჯი უნდა იყოს ცეცხლგამძლე და გააჩნდეს კვამლის გამოყოფის და ალის გავრცელების დაბალი მახასიათებლები.

მუზეუმში მუდმივად ხდება მხედველობის დაძაბვა, სიარულისგან ფეხის გადაღლა, თუმცა მასალების გულმოდგინედ შერჩევის გზით, შესაძლებელია ასეთი დისკომფორტის დაძლევა, კერძოდ:

- მხედველობის დაძაბვის შემცირება შესაძლებელია არაკაშკაშა მასალების და მქრქალი ფერის მოპირკეთებული ზედაპირის საშუალებით, ფერების ეფექტიანად გამოყენებითა და სინათლის ინტენსიობის გულმოდგინედ დარეგულირებით (რაც გულისხმობს განათების ეტაპობრივად შემცირებას შემინულ ფოიეში გავრცელებული კაშკაშა შუქიდან ქსოვილების ან ქალაღის ნამუშევრების გამოფენების უბნებზე) 50 ლუქსი სიდიდის სტანდარტულ განათებად.
- ხის იატაკი სასიარულოდ გაცილებით უხმაურო და კომფორტულია ბეტონის ფილების იატაკთან შედარებით. ბეტონის იატაკის კომფორტულობის ხარისხი შეიძლება ამაღლდეს ხალიჩების ან ვინილის საგებების გამოყენებით. გადაღლის შემცირებას (განსაკუთრებით ხანდაზმულ დამთვალეირებლებში), ხელს უწყობს იატაკის მასალების ცვლილება ერთი სივრციდან მეორეში გადასვლისას.

6.8.2.2 ეფექტიანობა და მოქნილობა

რამდენად სასარგებლოა გამოყენებული საგამოფენო სივრცე მისი სანყისი დანიშნულების გათვალისწინებით და რა წვლილი შეაქვს მასალებსა და მოპირკეთებას საგამოფენო სივრცის ეფექტიანად გამოყენებაში? თითოეული საგალერეო ფართისთვის ეს კითხვა თავის თავში სხვადასხვა კონკრეტულ ფუნქციათა შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა კითხვებს მოიცავს: შესაძლებელია თუ არა სურათის სწრაფად და საიმედოდ დაკიდება? შეიძლება თუ არა სათანადო მდგრადობის უზრუნველყოფით, მძიმე საგამოფენო ვიტრაჟების საიმედოდ დამაგრება კედელზე ან იატაკზე? შეუწყობს თუ არა ხელს გამოყენებული მასალა ვიბრაციის ან კოლექციებისა და ექსპონატების დაზიანების სხვა შესაძლო წყაროების ზემოქმედების შემცირებას?

საგამოფენო სივრცისთვის გამიზნული ყველა მასალისთვის, საჭიროა სკრუპულოზური შეფასებები ამ თავში მოხსენიებული დეტალური ინფორმაციის და მასალების შესახებ.

მასალების ფუნქციონირებაზე ფაქტობრივი ცნობების მოპოვებისთვის სათანადო წყაროს წარმოადგენს დამამზადებლების სპეციფიკაციები, დარგობრივი კვლევების და გამოცდების შედეგები, რომლებიც ხელმისაწვდომია მუზეუმების პერსონალის, არქიტექტორების, ინჟინრებისა და დიზაინერებისთვის.

საგამოფენო სივრცე უნდა იძლეოდეს გამოფენების ხშირად შეცვლისა და განახლების შესაძლებლობას. სურათების, გრაფიურების და ნახატების შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სისტემებს, რომლებიც უნდა განთავსდეს კედლებზე, რადგან სწორედ ამ სისტემების გავლით ხდება უშუალო ზემოქმედება გალერეის კედლებზე:

- გალერეის კედელზე შეიძლება დამონტაჟდეს მუდმივი საკიდი რელსი ძელებით ან ჯაჭვებით და შ ტიპის კაუჭებით, რომლებიც გამოიყენება ჩარჩოში ჩასმული სახვითი ხელოვნების ნამუშევრების სასურველ დონეზე ჩამოსაკიდებლად. ასეთი მიდგომა შეიძლება შესაფერისი იყოს ხელოვნების ისტორიის გამოფენებისთვის, თუმცა შეიძლება არ იძლეოდეს სასურველ ფუნქციურ ეფექტს ისეთი კედლებისთვის, რომელიც გამიზნულია მოდერნისტული და თანამედროვე ნამუშევრების განსათავსებლად. ხშირად რელსებს, ძელებს და ჯაჭვებს ვიზუალურად ზედმეტად შემზღუდავი შესახედაობა გააჩნიათ; თუმცა ბეტონის ზედაპირიანი კედლების შემთხვევაში, ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება უპირიანი გამოდგეს.

- გალერეის კედლების უმრავლესობა უნდა უძლებდეს სამაგრი ხრახნების ან ლურსმნების მრავალჯერადად გამოყენებას ნაპრალების და ბზარების წარმოშობის გარეშე. ლურსმნების კედლიდან ამოღება უნდა ხდებოდეს ლურსმნების საძრობი სპეციალური ჩაქურჩით, ისე, რომ შესაძლებელი იყოს დარჩენილი ნახვრეტის ამოვსება. რეკომენდებულია ხრახნების გამოყენება, რადგან ისინი უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაქსიმალურ ხარისხს, განსაკუთრებით, თუ მათი თავები ან ფირფიტები ლაქით ან საღებავითაა დაფარული.

მაქსიმალურად გამძლეა ორშირიანი კედლები, როგორც ეს აღწერილია 6.7.3. პუნქტში. ზედაპირის დაგლუვების და თაბაშირის ფილებს შორის ნაპრალების ამოვსების მიზნით ზოგჯერ კედელი ბათქაშითაა დაფარული, თუმცა ბათქაშის ფენა ძალზე თხელი უნდა იყოს, რომ არ მოხდეს მისი დაბზარვა. გათბობის, ვენტილაციის და კონდენცირების სისტემების ჰაერსატარების ღია დაბოლოებები უნდა განთავსდეს კედლების ძირში. ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, განათების სისტემის მართვის კარადები, თერმოსტატები და კედელზე დასამაგრებელი სხვა ატრიბუტები, სათანადო წინდახედულობით უნდა განთავსდეს, რათა არ შექმნას დაბრკოლება ექსპონატების კედლებზე განთავსებისას.

გალერეის იატაკი შეიძლება მოპირკეთდეს ქვით, ვენეციური მოზაიკით, ხის მასალით ან ხალიჩებით. თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გალერეებისთვის უპირატესობა ენიჭება ხის მასალას, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი მოქანდაკეების ნამუშევრებისთვის პედესტალების როლს თავად იატაკი ასრულებს. ხალიჩების გამოყენების შემთხვევაში, ისინი დაბალპროფილიანი და მჭიდროდ ნაქსოვი უნდა იყოს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მტვრის აკუმულირება. კოლექციების გადაადგილების არეებში იატაკის კერამიკული ან მსგავსი ტიპის ფილებით მოპირკეთების შემთხვევაში, არტიფაქტების ან ხელოვნების ნამუშევრების გადასაზიდი ურიკების ბორბლების ვიბრაციის შემცირების მიზნით, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი ტიპის ფილების შერჩევას, რომლებიც უზრუნველყოფს მკვრივი და გლუვი ზედაპირის ფორმირებას.

ყველა ბეტონის ზედაპირი, ქერის ზედაპირის ჩათვლით, მიუხედავად იმისა, ღიაა თუ

შენიღბულია დაკიდული ჭერით, მტვრის დაგროვების თავიდან ასაცილებლად, უნდა შეიღებოს ან დაიფაროს ჰერმეტიკული საფარით. იატაკის ზედაპირის დაბეტონებისას, ბეტონს უნდა დაემატოს გამამყარებელი რეაგენტი, მაშინაც კი, თუ გათვალისწინებულია ზემოდან ხალიჩის გადაფარება ან მისი მოპირკეთება (ასევე, იხილეთ პუნქტები 6.7.2 და 6.7.4).

6.8.3 მოვლა და შეცვლა

გალერეაში ზედაპირის მოპირკეთებისთვის გამოყენებული მასალა, გარდაუვლად განიცდის ცვეთას. თუ დაშვებულია გალერეებში გამოფენების დროს გამაგრებელი სასმელების დაღვევა ან მიღებების მოწყობა, ალკოჰოლური სასმელების მრავალსახეობა თეთრი ღვინით უნდა შეიზღუდოს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ფერადი სასმელის დაღვრით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი.

გამოფენის მომზადებისა და დამონტაჟების დროს, ადგილი აქვს ვიტრინების, პანელების, ბაქნებისა და მოძრავი კედლების გადაადგილებას, ხოლო ზოგჯერ, მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით – მათ იატაკზე დამაგრებას. შესაძლებელია ამ დროს მოხდეს ხარისხების, გასაშლელი კიბეების და კოშკურების გამოყენება ნათურების შეცვლის, ან ჭერის და სახურავის ფანჯრების გასანმენდად. საგამოფენო სივრცის მონესრიგებულ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის, შეიძლება საჭირო გახდეს ზედაპირის რეგულარული განმენდა მტვერსასრუტით, ხალიჩების დასუფთავება, კედლების გარეცხვა და იატაკის მოპირალება, ისევე, როგორც დროდადრო სხვა მასალების შეღებვა და შეცვლა.

წესრიგის და სისუფთავის სტანდარტების ყოველდღიურად დაცვა ძალზე მნიშვნელოვანია არამარტო ადამიანების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის, – მუზეუმში გამეფებული წესრიგი დამთვალიერებლებში პატივისცემასა და დადებით ემოციებს აღძრავს. ამიტომ, გალერეისთვის მოსაპირკეთებელი მასალების შესყიდვისას, მუზეუმმა უნდა დასვას იგივე კითხვები, რომელსაც ანალოგიურ შემთხვევებში სვამს კარგი დიასახლისი:

- რა სახის დაბინძურებებია მოსალოდნელი ამ მასალისგან?
- როგორია განმენდის უპირატესი მეთოდი?
- ხომ არ ექნება განმენდას უარყოფით გავლენა მოპირკეთებული ზედაპირის ფერის შეცვლის ან ქსოვილის გაცვეთის მიმართებით?

• რამდენად გამძლეა მასალა?

• შეკეთების ან შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება თუ არა იგივე მასალის შექმნა?

• რა დრო სჭირდება მასალის დამონტაჟებას?

• მოსალოდნელია თუ არა რაიმე უარყოფითი ეფექტები მონტაჟის დროს, კერძოდ, მქროლავი აირების წარმოშობა?

• მასალის დასამონტაჟებლად თუ არის საჭირო სპეციალისტი?

• როგორია ამ მასალაზე განეული ხარჯები სხვა ალტერნატივებთან შედარებით?

გალერეის მოპირკეთების განხილვისას, დამგეგმავები და დიზაინერები, სავარაუდოდ, ყურადღებას გაამახვილებენ მტკიცე მასალებზე, მათი ხანგრძლივი პერიოდით გამოყენების გათვალისწინებით. როცა საუბარია მასალის გრძელვადიან გამოყენებაზე, ხარისხის ფაქტორი არ უნდა შეენიროს ეკომონიურობის მოსაზრებებს. თუ მოსაპირკეთებელი მასალა ათწელს გაძლებს, მათი შეცვლისთვის ყოველწლიურად სრული ღირებულების მხოლოდ ათი

პროცენტი უნდა იყოს გამოყოფილი. შეცვლის შედარებით მოკლე ციკლი, აუცილებელს ხდის სახსრების უფრო ადრე გამოყოფას გალერეის ხელახალ მოპირკეთებაზე, როდესაც სხვა შემთხვევაში, ეს სახსრები შეიძლება უშუალოდ გამოფენისთვის დაიხარჯოს.

ზოგიერთმა მასალამ, მიუხედავად პოპულარობისა, ვერ გაუძლო დროის გამოცდას. ქსოვილები, ჩვეულებრივ გალერეის კედლების მოსაპირკეთებელ, მოდურ მასალად განიხილება, თუმცა მათ ახასიათებს პრობლემები არამარტო გახუნებასთან, არამედ მათი გაკერისთვის საჭირო სამაგრებთან და ნებოსთან დაკავშირებით. მტვერს და კუპრს ახასიათებს ქსოვილის ზედაპირის ცალკეულ უბნებზე აკუმულირების ტენდენცია, რომელთა განმენდაც ფაქტობრივად შეუძლებელია – ხუთ წელიწადში ქსოვილი მთლიანად უნდა შეიცვალოს. როგორც ქსოვილი, ასევე ნებოც, დამზადებული უნდა იყოს ცეცხლგამძლე მასალისგან და ნაკლებად შეიცავდეს მჟავას.

6.8.4 გალერეის მასალებისა და მოპირკეთებების მოკლე მიმოხილვა

თითოეულ მასალას სპეციფიური უპირატესობები და ნაკლოვანებები ახასიათებს. წინამდებარე თავის ბოლოს მოყვანილ 6.2 ცხრილში მოკლედაა შეფასებული დღევანდელ საგამოფენო სივრცეებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობის მასალები; სხვა ალტერნატივები, რომლებიც ფართოდ არ გამოიყენება, ანალოგიურად შეიძლება შეფასდეს.

ცხრილი 6.2: საგამოფენო სივრცეებში გამოყენებული მასალები და მოპირკეთებები

მასალა	უპირატესობები	ნაკლოვანებები
იატაკის მასალები		
ქვა, ვენეციური მოზაიკა	<ul style="list-style-type: none"> • ელეგანტური, მაღალხარისხიანი • მტკიცე, ხანგრძლივად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრობს მტვერს • ჩვეულებრივ, ნეიტრალური ფერის • საუკეთესო ტვირთგამძლეობა • საუკეთესო ცეცხლგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი ფასი • სიარული და დგომა გართულებულია • ცივი ზედაპირი – ძნელად თბება • შეუძლია შუქის არეკვლა • ირეკლავს და აძლიერებს ხმას • ზედაპირი შეიძლება უსწორმასწორო იყოს • გართულებულია გასანყობი დეტალების ჩამაგრება • დიდი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე
ბეტონის ფილა (ჰიდროიზოლირებული / ფერადი ბეტონის)	<ul style="list-style-type: none"> • დაბალი ფასი • მაღალი ფუნქციონალობა, კაპიტალური შესახედაობა • მტკიცე, ხანგრძლივად ცვეთადი ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრობს მტვერს • შეიძლება იყოს ფერადი ან შეიღებოს • საუკეთესო ტვირთგამძლეობა • საუკეთესო ცეცხლგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • სიარული და დგომა გართულებულია • ცივი ზედაპირი – ძნელად თბება • შეუძლია შუქის არეკვლა • ირეკლავს და აძლიერებს ხმას • ზედაპირი შეიძლება უსწორმასწორო იყოს • გასანყობი დეტალების ჩამაგრება გართულებულია • დიდი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე

<p>კერამიკული ფილა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერი ფასი • ელვანტური, მაღალხარისხიანი შეხედულება • მტკიცე, ხანგრძლივად გამძლე ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრობს მტვერს • გაცილებით მსუბუქი დაგებისას, ქვასთან შედარებით • ფერების ფართო არჩევანი • საუკეთესო ცეცხლგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • სიარული და დგომა გართულებულია • ცივი ზედაპირი – ძნელად თბება • შეუძლია შუქის არეკვლა • ირეკლავს და აძლიერებს ხმას • ზედაპირი შეიძლება უსწორმასწორო იყოს • გასაწყობი დეტალების ჩამაგრება გართულებულია • შედარებით დაბალია ტვირთგამძლეობა – შეიძლება დაიბზაროს
<p>ხის მასალა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხარისხიანი შესახედაობა, მოქნილი მოპირკეთება, შესაფერისია მრავალი სახისა და სტილის გამოფენებისთვის • თბილი, დრეკადი ზედაპირი • შედარებით უხმო ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრობს მტვერს • მოქნილობა დამონტაჟებისას • ბუნებრივი ფერები, შეიძლება შეიღებოს ან დაიფაროს ლაქით • შეიძლება გამოყენებულ იქნას ვინილპლასტის ან ხალიჩის დასაგებ ზედაპირად • ზომიერი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე 	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერი ან მაღალი ფასი • ზომიერად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მოითხოვს რეგულარულ პრომატევად მოვლას • მარტივად შეიძლება ჩაერჭოს ცალკეული დეტალები • ექვემდებარება მაღალი ქუსლებით, ავეჯით, მერქნის ჭიებით, სინესტის შედეგად ლობობით და სხვა მსგავსი მიზეზებით გამოწვეულ დაზიანებებს • შეკეთება ზომიერად მარტივია, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს შეცვლა • მხოლოდ ზომიერი ტვირთგამძლეობა • აალებადი
<p>ვინილპლასტის ფურცლები (იგება ბეტონის ფილაზე ან ხის შავ იატაკზე)</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაბალი ფასი • თანამედროვე, ფუნქციონირებადი ან კაპიტალური შესახედაობის • მდგრადი, ზომიერად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრობს მტვერს • მსუბუქი და მოქნილი დაგებისას • მსუბუქი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე • ფერების ფართო არჩევანი • საუკეთესო ტვირთგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერად გამძლე ზედაპირი, შეიძლება გაიფხაჭნოს ან გაცედეს • შეკეთება მარტივი არ არის; შეიძლება საჭირო გახდეს შეცვლა ან საკერებლების დადება • შეიძლება გააჩნდეს ცეცხლგამძლეობის და აალებადობის სხვადასხვა მახასიათებლები
<p>ხალიჩა (კომერციული დანიშნულების ხალიჩა: დაბალი ნაქსოვი ფაქტურით, სინთეტიკური, დალაქიანების ნაკლები შესაძლებლობა, გამძლე ზედაპირით, ბეტონის ფილაზე ან ხის შავ იატაკზე დასაგები)</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაბალი ან ზომიერი ფასი • საუკეთესო მოკლევადიანი გადაწყვეტა • ნაკლებად ცვეთაგამძლე ზედაპირი სხვა ვარიანტებთან შედარებით – შედარებით მოკლე გამოყენების პერიოდი • თბილი, უხმო ზედაპირი • მსუბუქი და მოქნილი დაგებისას • მსუბუქი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე • ფერების ფართო არჩევანი 	<ul style="list-style-type: none"> • ფართოდ განსხვავებული ხარისხი, შესახედაობა, ცვეთაგამძლეობა და ფასი • განმედა პრომატევადია და სჭირდება ინტენსიური ქიმიური დამუშავება • ხალიჩებს აქვს მტვრის, მწერების და დამაბინძურებლების აკუმულირებისადმი მიდრეკილება • აღდგენა მარტივი არ არის; შეიძლება საჭირო გახდეს შეცვლა ან საკერებლების დადება • შეიძლება ჰქონდეს ცეცხლგამძლეობის და აალებადობის სხვადასხვა მახასიათებელი

კედლები		
ქვა	<ul style="list-style-type: none"> • ელვგანტური, მაღალხარისხიანი შესახედაობა • ძალზედ მტკიცე, ხანგრძლივად გამძლე ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრობს მტვერს • ჩვეულებრივ, ნეიტრალური ფერის • საუკეთესო ტვირთგამძლეობა • საუკეთესო ცეცხლგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი ფასი • ცივი ზედაპირი – ძნელად თბება • შეუძლია შუქის არეკვლა • ირეკლავს და აძლიერებს ხმას • სურათების ჩამოკიდება, გასანყოფი დეტალების ჩამაგრება და შეკეთება გართულებულია • დიდი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე
ბეტონი	<ul style="list-style-type: none"> • დაბალი ფასი • მაღალი ფუნქციონირებადობა, კაპიტალური შესახედაობა • ძალზედ მტკიცე, ხანგრძლივად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ აკაეებს მტვერს • შეიძლება იყოს ფერადი ან შეღებილი ბეტონის • საუკეთესო ტვირთგამძლეობა • საუკეთესო ცეცხლგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • ცივი ზედაპირი – ძნელად თბება • შეუძლია შუქის არეკვლა • ირეკლავს და აძლიერებს ხმას • ზედაპირი შეიძლება უსწორმასწორო იყოს • სურათების დაკიდება, გასანყოფი დეტალების ჩამაგრება და შეკეთება გართულებულია • დიდი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე
ბათქაში (დაუშვებელია გარე კედლების შიდა ზედაპირებზე გამოყენება თბოიზოლაციის გარეშე)	<ul style="list-style-type: none"> • ელვგანტური, მაღალხარისხიანი, უნაკერო, ერთიანი ზედაპირის შესახედაობა • შეიძლება გააჩნდეს მაღალი დეკორატიული ღირებულება • მტკიცე, ხანგრძლივად ცვეთაგამძლე ზედაპირი • განმნდა მარტივია • შეიძლება შეიღებოს და ზომიერად დაილურსმოს • გაცილებით მსუბუქია, ქვის მასალებთან შედარებით • კარგი ცეცხლგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი ფასი • გაკვრა საჭიროებს სპეციალურ კვალიფიკაციას/ოსტატობას • ადვილად ზიანდება წყლის გაყოვნისას • შეიძლება დაიზაროს ვიბრაციის შედეგად • ირეკლავს და აძლიერებს ხმას • თითოეული გამოყენების შემდეგ საჭიროებს სათანადო სიფრთხილით შეკეთებას • შეუძლია გარკვეული რაოდენობით მტვერის გენერირება • დიდი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე
ხის პანელები	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერი ფასი • ხარისხიანი შესახედაობა, მოქნილი მოპირკეთებული ზედაპირი, შესაფერისია მრავალი სახეობის გამოყენისთვის • შედარებით უხმო ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრობს მტვერს • გასანყოფი დეტალების მიმაგრება და ლურსმნის მიჭედება მარტივია • მოქნილია დამონტაჟებისას • ბუნებრივი ფერები, ან შეიძლება შეიღებოს ან დაიფაროს ლაქით • შეიძლება გამოყენებულ იქნას ქსოვილის ან შპალერის გასაკრავ ზედაპირად • ზომიერი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე 	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მოითხოვს რეგულარულ შრომატევად მოვლას • ექვემდებარება დაზიანებას ლურსმნების და ხრახნების გამოყენებისას, იფხაჭუნება, ზიანდება სინესტიო, მერქნის ჭიებით და სხვა მსგავსი მიზეზებით • მხოლოდ ზომიერი ტვირთგამძლეობა • ფერების შეცვლა, გადაღების გარდა, მარტივად არ შეიძლება • აალებადი

<p>თაბაშირის ფილები (მშრალი ბათქაში) 3/4 დუიმი სისქის ცეცხლგამძლე</p>	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერი ფასი • ელასტიური მოპირკეთებული ზედაპირი, შესაფერისია ყველა სახის გამოფენისთვის, • შედარებით უხმო ზედაპირი • მარტივად გასანმენდი – არ იკრავს მტვერს • იღებება, შეიძლება დაედოს საკერებელი • შეიძლება გამოყენებულ იქნას ქსოვილის ან შპალერის გასაკრავ ზედაპირად • ზომიერი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე 	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მოითხოვს ნაკერების დადებას და გადაღებვას • შეიძლება გააჩნდეს ცეცხლგამძლეობისა და აალების ფართო დიაპაზონი • მხოლოდ ზომიერი ტვირთგამძლეობა
<p>ქსოვილით დაფარული პანელები (გადაკრულია კარკასზე)</p>	<ul style="list-style-type: none"> • მაღალხარისხიანი • დასაშვებია საგამოფენო გალერეებში გამოსაყენებლად • ხმის ჩამხშობი ზედაპირი • დეტალების ჩამაგრება შედარებით მარტივია – ქსოვილი ნიღბავს ლურსმნის ნახერხებს და სხვა დეფექტებს • მსუბუქი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი ფასი • აალებადი; ცეცხლგამძლეობის და აალებადობის მაჩვენებლები შეიძლება განსხვავებული იყოს • დაბალი ან ზომიერი ცვეთაგამძლეობის ზედაპირი • განმენდა ძნელია, იკრავს მტვერს • სჭირდება სპეციალისტის მიერ დამონტაჟება • ექვემდებარება დაზიანებას ლურსმნის, ხრახნის და სხვა მსგავსის გამოყენების შემთხვევაში • ზომიერი ტვირთგამძლეობა • ფერის შეცვლა მარტივად შეუძლებელია
<p>ჭერი</p>		
<p>ღია კონსტრუქციები (ბეტონის, ფოლადის)</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაბალი ფასი • ფუნქციური, კაპიტალური შესახედობა, შეიძლება შესაფერისი იყოს მოდერნისტული, ტექნოლოგიური ან თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების გამოფენებისთვის • შესაძლებელია ჭერის სიმალის ზრდა • ძალზე მტკიცე, ხანგრძლივად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, თუ პერმეტიზებულია, არ იკრავს მტვერს • შეიძლება იყოს ფერადი ან შეღებილი • საუკეთესო ტვირთგამძლეობა • საუკეთესო ცეცხლგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • ფუნქციური, კაპიტალური შესახედობა შეიძლება არ იყოს სასურველი ზოგიერთი გალერეისთვის • ცივი – გათბობა გართულებულია • ირეკლავს/აძლიერებს ხმას
<p>ბათქაში (დაუშვებელია გარე კედლების შიდა ზედაპირებზე გამოყენება თბოიზოლაციის გარეშე)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ელეგანტური, მაღალხარისხიანი, უნაკერო შეკავშირებული ზედაპირის შესახედობა • შეიძლება პჭონდეს მაღალი დეკორატიული ღირებულება • მტკიცე, ხანგრძლივად ცვეთაგამძლე ზედაპირი • განმენდა ზომიერად მარტივია • შეიძლება შეიღებოს, • ქვის მასალებთან შედარებით გაცილებით მსუბუქია 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი ფასი • გაკვრას სჭირდება სპეციალური კვალიფიკაცია/ოსტატობა • ადვილად ზიანდება წყლის გაჟონვისას • შეიძლება დაიზაროს ვიბრაციის შედეგად • ირეკლავს და აძლიერებს ხმას • სჭირდება სათანადო სიფრთხილით შეკეთება • შეუძლია გარკვეული

	<ul style="list-style-type: none"> • ტვირთგამძლე • ცეცხლგამძლე 	<ul style="list-style-type: none"> • რაოდენობით მტერის გენერირება • შიშვე დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე
ხის კოჭები და პანელები	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერი ან მაღალი ფასი • ხარისხიანი შესახედაობა, შესაძლებელია მოპირკეთება, შესაფერისია მრავალი სახისა და სტილის გამოყენებისთვის • შედარებით უხმო ზედაპირი • მარტივად გასანმენდი, არ იკრავს მტვერს • გასაწყობი ნაწილების მიმაგრება მარტივია – ადვილად შეიძლება ლურსმნის გამოყენება • იოლია დამონტაჟება • ბუნებრივი ფერები, შეიძლება შეიღებოს ან დაიფაროს ლაქით • ზომიერი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე • კარგი ტვირთგამძლეობა 	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერად ცვეთაგამძლე ზედაპირი • მოითხოვს რეგულარულ, პრომატეველ მოვლას • ექვემდებარება სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეულ დაზიანებებს (მაღალი ქუსლები, ავეჯის გადაადგილება, მერქნის ჭიები, სინესტე) • შეკეთება ზომიერად მარტივია, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს შეცვლა • ფერის შეცვლა, გადაღების გარდა, შეუძლებელია • აალებადი
თაბაშირის ფილები ან მშრალი ბათქაში (გამოყენება დაკიდული ჭერისთვის, რომელიც მონყობილია ჭერის	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერი ფასი • ელასტიური მოპირკეთებული ზედაპირი, შესაფერისია ყველა სახის გამოყენებისთვის, როგორც საბაზისო დადგმულობა • შედარებით უხმო ზედაპირი • მარტივად გასანმენდი – არ იკრავს მტვერს • გასაწყობი ნაწილების მიმაგრება მარტივია • ზომიერად მოქნილია მონტაჟის დროს • იღებება, შეიძლება დაედოს საკერებლები ან გადაიღებოს • შეიძლება გამოყენებულ იქნას ქსოვილის ან შპალერის გასაკრავ ზედაპირად • ზომიერი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე 	<ul style="list-style-type: none"> • ზომიერად ცვეთაგამძლე ზედაპირი • შეიძლება დაზიანდეს ნყლის გაუწონისას • მხოლოდ ზომიერი ტვირთგამძლეობა • შეიძლება გააჩნდეს ცეცხლგამძლეობისა და აალებადობის ფართო დიაპაზონის მახასიათებლები
ხმის ჩამხშობი პანელები	<ul style="list-style-type: none"> • მაღალხარისხიანი შესახედაობა, შედარებით ვარგისია სპეციალური გამოყენებისთვის, მაგალითად აუდიტორიუმში და საკონფერენციო ოთახებში • ხმის ჩამხშობი ზედაპირი • ზომიერი დატვირთვა საყრდენ კონსტრუქციებზე 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი ფასი • დაბალი ან ზომიერი ცვეთაგამძლეობის ზედაპირი • სჭირდება დამონტაჟება სპეციალისტის მიერ • ძნელად გასანმენდია — იკრავს მტვერს • გასაწყობი ნაწილების მიმაგრება მარტივი არ არის • ექვემდებარება დაზიანებას გაფხაჭნით, ხრახნების ან ლურსმნის გამოყენების და სხვა მსგავსის გამოყენების შემთხვევაში • ზომიერი ტვირთგამძლეობა • ფერის შეცვლა მარტივად შეუძლებელია • შეიძლება გააჩნდეს ცეცხლგამძლეობის და აალებადობის განსხვავებული მახასიათებლები

გალერეის კონსტრუქციები და მონყობილობები

ამ თავში განხილულია გალერეებში გამოყენებული კონსტრუქციები და მონყობილობები.

ბევრ გალერეაში ყველაზე მასშტაბურ შიდა კონსტრუქციებს, ცხადია, დროებითი ან მოძრავი კედლები წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, ასეთი კონსტრუქციების დაპროექტება მოხდეს თავიდანვე, გალერეის დაგეგმვის დროს. მათი სტილი და მოპირკეთება თავსებადი უნდა იყოს გალერეის არქიტექტურასთან და უდავოა, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება, თუ დაპროექტებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც არქიტექტორები, ასევე დამგეგმარებელთა გუნდის წევრები. ძალზედ ხშირ შემთხვევებში, ნაჩქარევად აღმართული პანელები ან დროებითი კედლები უარყოფით გავლენას ახდენს გალერეის საერთო გარემოზე. ასეთი დროებითი კედლები განხილულია 6.7.3. პუნქტში

ზოგადად, პანელებისა და დროებითი კედლების გარდა, გალერეის მოსაწყობი საშუალებები მოიცავს ქანდაკებების ან სხვა სამგანზომილებიანი ექსპონატების სადგამ ცოკოლებს ან პედესტალებს და ექსპონატების მყარად განთავსებისთვის საჭირო ბოგირებიან ან ძელებიან საყრდენ კონსტრუქციებს. ამ შემთხვევაში, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სამაგრი ბოგირების ან ძელების ისე დამონტაჟებას, რომ ისინი ადვილად დაინახო, რათა თავიდან ავიცილოთ მნახველების შემთხვევითი შეჯახება, განსაკუთრებით სუსტად განათებულ გალერეებში. მაგრამ ამასთან, უნდა ვეცადოთ, რომ კონსტრუქციები თვალშისაცემი არ იყოს და არ დაარღვიოს გალერეის ესთეტიკური ეფექტი.

ზოგიერთი ექსპონატისთვის, საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ელექტრონული სათვალთვალ სისტემის დაყენება, რომელიც გამოსცემს გამაფრთხილებელ სიგნალს მნახველის ზედმეტად მიახლოების შემთხვევაში, თუმცა განსაკუთრებული ფასეულობის ექსპონატებისთვის ყველაზე ეფექტური მაინც თოკის შემოვლება ან ჯებირის დადგმა წარმოადგენს.

ამ თავის მომდევნო პუნქტებში თანმიმდევრულადაა განხილული საგამოფენო (საექსპონაციო) ვიტრინები, განათების, აუდიო და ვიდეო მონყობილობა, მულტიმედიის პროგრამები და სპეციალიზებული (მაღალი დონის) მედია-საშუალებები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამუზეუმო გამოფენებისთვის.

7.1 საგამოფენო ვიტრინები

თილ ჰანი

საგამოფენო ვიტრინა განეკუთვნება საგამოფენო ავეჯის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც დომინირებს გალერეებში, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიის და ბუნების მეცნიერებების გამოფენების, ხშირად კი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენებზეც. ვიტრინებს ბიუჯეტის ყველაზე დიდ წილი მიაქვს.

ექსპონატების დაცვისა და შენახვის თვალსაზრისით, მუზეუმები ყოველთვის დილემის წინაშე დგანან. ერთი მხრივ, მათ სურთ ექსპონატების საზოგადოებისთვის გაცნობა, მაგრამ მეორე მხრივ, მუდმივად ღელავენ მათთვის ზიანის მიყენების საშიშროების გამო, კერძოდ,

ძალზე მაღალი ინტენსიობის სინათლის, კლიმატური პირობების ცვლილების, მტვერის და დაბინძურების ზემოქმედების შედეგად. ამიტომ, უმრავლეს შემთხვევებში, მუზეუმების საგამოფენო ვიტრინები უნდა უზრუნველყოფდეს მათში განთავსებული ექსპონატების მაქსიმალურად მაღალი ხარისხით დაცვასა და შენახვას. დამტკიცებულია, რომ ვიტრინის არასათანადოდ განათებით ხელოვნების ნიმუშებს გაცილებით მეტი ზიანი აქვს მიყენებული, ვიდრე წარსულის ყველა ვანდალის მიერ.

კარგად განათებულ და ხარისხიანად დამზადებულ ვიტრინას, შეუძლია მნიშვნელოვნად შეუნყოს ხელი მასში განთავსებული ექსპონატის შესახებ წარუშლელი შთაბეჭდილების შექმნას.

საგამოფენო ვიტრინების დაგეგმვისას, მრავალი სამუზეუმო მუშაკი მათ ავტომატურად განიხილავს, როგორც ასაკეც-სახურაეიან ტრადიციულ ვიტრინას, რომელიც, ჩვეულებრივ, მუზეუმის სადურგლო საამქროში დამზადებულ აკრილის პლინტუსზე დამაგრებული გამჭვირვალე სახურავისგან შედგება და რომლის ხარისხი და შესახედაობაც დიდადაა დამოკიდებული დანადგარებსა და ხელოსნის ოსტატობაზე. პირველი კითხვა, რომელიც ასეთ დროს იბადება, შეეხება აკრილის მასალას, რომელიც ხშირად მინაზე გაცილებით უკეთესია. შესაძლოა გარკვეული შემთხვევისთვის ასეც იყოს, მაგრამ ცხადია, ყოველთვის არა.

7.1 ცხრილში მოყვანილია აკრილის მასალის უპირატესობები და ნაკლოვანებები მინასთან მიმართებით.

ცხრილი 7.1 აკრილის უპირატესობები და ნაკლოვანებები მინასთან შედარებით

აკრილის უპირატესობები მინასთან შედარებით	აკრილის ნაკლოვანებები
შედარებით მსუბუქია	მინაზე უფრო ძვირია
ახასიათებს გატეხვის ნაკლები რისკი	ადვილად იფხაჭნება
ადვილად შეიძლება დამოუკიდებლად აწყობა	ადვილად იზარება
	სტატიკური მუხტის აკუმულირების გამო იზიდავს მტვერს
	მინაზე უფრო მალე ძველდება, ამიტომ სჭირდება შედარებით ხშირი შეცვლა
	ხანძრის დროს შეიძლება დადნეს
	ნაკლებად სანდოა ვიტრინის ხელოვნის შემთხვევაში

ამდენად, უმარტივესი გამოფენების შემთხვევაშიც კი მიზანშეწონილია საგამოფენო ვიტრინის როგორც მასალის, ასევე ტიპის შესაბამისობის განხილვა. უფრო დიდ მუზეუმებში უნდა შეიქმნას ამ პუნქტში განხილული ყველა ტიპის მასალის მარაგი და თითოეული ახალი გამოფენისთვის გულმოდგინე განხილვის საფუძველზე დადგინდეს, რომელი მათგანია ყველაზე შესაფერი ჩვენების თითოეული კომპონენტისთვის. არსებობს საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანი საგამოფენო ვიტრინებისა, რომელთაც ძალზე განსხვავებული მახასიათებლები, დანიშნულება, ღირებულება და კონსერვაციის თავისებურებები ახასიათებს. ამიტომ, სასურველია სხვადასხვა მოდელების და მათი თვისებების, უპირატესობების და ვარიანტების გაცნობა, აკრილის ნაცვლად რკინის დაბალ შემცველობიანი ან ლამინი-

რებული დამცავი მინის გამოყენების შესაძლებლობის ჩათვლით. ამ პუნქტის მომდევნო ქვეპუნქტებში მოცემულია ტიპოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ვიტრინების თითოეული ტიპის "რეიტინგი" (შეფასება).

7.1.1 ხუთნახნაგიანი სახურვიანი ვიტრინები

ხუთნახნაგიანი ვიტრინებს სახურავით, რომლებიც ზედა და ოთხივე გვერდითი მხრიდან გამჭვირვალეა, ახასიათებს გარკვეული სირთულეები, კერძოდ, სირთულესთანაა დაკავშირებული ვიტრინის სახურავის ბოლომდე აწევა. ჩვეულებრივ, მინის კუთხეები შექმნილია 45 გრადუსიანი გადასვლებით, რომელთა სეგმენტებიც მინაცემენტით, სილიკონით ან ულტრაიისფერი გამოსხივების გამძლე მწებავი მასალითაა შენებებული, ნიბოებისგან თავისუფალი მინის ერთიანი დეტალის შესადგენად. მინის ქვედა კიდეები, ჩვეულებრივ, -ს მაგვარ კილოებშია ჩასმული, რომლებიც ჩამაგრებულია მყარ ძირში. მინის სახურავის ახდის კონტროლისთვის დაყენებულია საკეტები.

რეიტინგი


- ვიტრინის ხარჯები – არ არის ძვირადღირებული
- ტრანსპორტირება – საკმაოდ მარტივი, ჩვეულებრივ, ბოლომდე აწყობილ მდგომარეობაში
- ადგილზე დამონტაჟების ხარჯები – დაბალი, რადგან წინასწარაა აწყობილი
- შიდა სივრცეში შეღწევა – რთულია შედარებით დიდი ზომის ვიტრინებისთვის; რომელთა სახურავი ხელით უნდა აიწიოს, თუ დამზადებისას არ არის გათვალისწინებული სპეციალური ასანევი საშუალებებით დამონტაჟება
- თაროების ჩადგმა – შეუძლებელია
- პერმეტულობა – ძალზე მაღალი ხარისხის
- განათება – გართულებულია, ჩვეულებრივ გარედან ნათდება
- კლიმატის კონტროლი – მაღალი პერმეტულობის წყალობით, საკმაოდ მოსახერხებელია კლიმატის როგორც პასიური, ასევე აქტიური კონტროლისთვის.

7.1.2 მაგიდაზე დასადგმელი ვიტრინები

მაგიდაზე დასადგმელი ვიტრინები (იხილეთ ნახაზი 7.1) ასევე ხუთგვერდიანია, მაგრამ ჩვეულებრივ უფრო ნაკლები სიმაღლისაა და გამოიყენება შედარებით ბრტყელი საგნებისა და მასალების დემონსტრირებისთვის. მინები ქვედა კიდეებით აქაც ჩარჩოშია ჩასმული, ოღონდ ჩარჩო ამ შემთხვევაში მყარ ძირზე დამაგრების ნაცვლად, მილსადგამებზეა დადგმული და ჩვეულებრივ, უკანა მხრიდან გააჩნია ანჯამები, ისე რომ საბჯენების საშუალებით შესაძლებელია მისი ხელით გაღება. ასეთი, შედარებით ბრტყელი ვიტრინა, შეიძლება წამოიწიოს მაგიდიდან, მის შიდა სივრცეში შეღწევის საჭიროების შემთხვევაში.

რეიტინგი

- ვიტრინის ხარჯები – ძალზე ზომიერი
- ტრანსპორტირება – საკმაოდ მარტივი, განსაკუთრებით, როდესაც შესაძლებელია მილსადგამების მოხსნა შეფუთვისა და გადაზიდვის გასაიოლებლად
- ადგილზე დამონტაჟების ხარჯები – დაბალი, რადგან წინასწარაა აწყობილი



ნახაზი 7.1 მაგიდაზე დასადგმელი ვიტრინები

- შიდა სივრცეში შეღწევა – გაადვილებულია საბჯენების დახმარებით მინის სახურავის წინა მხრიდან წამონევის ან ლილვის ელექტროძრავით მთელი სახურავის ვერტიკალურად აწევის გზით
 - თაროების დამონტაჟება – შეუძლებელია
 - ჰერმეტიულობა – ძალზე მაღალი ხარისხის
 - განათება – სასურველი განათება შეიძლება მიღწეული იქნას ერთი-ორი ოპტიკურ ბოჭკოვანი სანათი ძაფის საშუალებით – ჩვეულებრივ, განათება უნდა მოხდეს უკანა მხრიდან
 - კლიმატის კონტროლი – მაღალი ჰერმეტიულობის წყალობით, საკმაოდ მოსახერხებელია კლიმატის როგორც პასიური, ასევე აქტიური კონტროლისთვის.

7.1.3 განცალკევებულად დასადგამი ვიტრინები მინის თავებით

ისევე, როგორც სახურავიანი ვიტრინების შემთხვევაში, განცალკევებულად დასადგამ ვიტრინებში, ოთხივე გვერდითი და ზედა მხარე მინის პანელებითაა შედგენილი. ამასთან, მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ერთი პანელი კარის ფუნქციას ასრულებს. შემინვისთვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება თერმულად დამუშავებული ფურცლოვანი მინა; უმჯობესია – 8-10 მმ სისქის ლამინირებული დამცავი მინა. ვიტრინას უნდა ჰქონდეს მთლიანი ან ჩაღრმავებული დაბალი ძირი და მილსადგამები სიმაღლის კორექტირების შესაძლებლობით.

საგამოფენო პლატფორმა, ჩვეულებრივ, დამზადებულია დაპრესილი ნახერხის მასალისგან, როგორცაა საშუალო სიმკვრივის მერქნის ბოჭკოვანი დაფები (MDF), რომლებზეც ხშირად ქსოვილია გადაფარებული. ყველა მასალა ცეცხლგამძლე უნდა იყოს და ჰქონდეს დაბალი მჟავიანობა. ასევე, პოპულარულია შემალელებული სადგამების გამოყენება, რომელთა დახრილი გვერდები შეიძლება გამოყენებულ იქნას წარწერების მისამაგრებლად.

ვიტრინის გახსნა შეიძლება გასაწვევი პანელების ან ანჯამებიანი კარის საშუალებით. ხშირად ანჯამებიანი კარს უპირატესობა ენიჭება მოძრავ პანელებთან შედარებით, უკეთესი დაცულობის უზრუნველყოფის გამო, თუმცა კარის გამოღებამ შეიძლება მინის სტრუქტურული დაძაბვა გამოიწვიოს, განსაკუთრებით დიდი ვიტრინების შემთხვევაში, რომლისთვისაც საჭირო იქნება ფოლადის ანჯამების დაყენება. საკმარისი დაცულობის მიზნით, მოძრავ პანელებს უნდა გააჩნდეს სამი მიმართულებით გადაადგილების (მარჯვნივ, მარცხნივ განევა და დახურვა) და საგამოფენო ვიტრინის კედლებთან ბოლომდე მისვლის შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი საიმედოდ დაკეტვა ჰერმეტიკულობის დაცვის მიზნით და რაც შეიძლება ნაკლები იყოს მტერის შეღწევის რისკი.

რეიტინგი

- ვიტრინის ხარჯები – ზომიერი
- ტრანსპორტირება – მოზრდილი ვიტრინები მინის გატეხვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ადგილზე უნდა აიწყოს
 - ადგილზე დამონტაჟების ხარჯები – შედარებით მაღალი, რადგან მინის გვერდებისა და სახურავის შეერთება და პირაპირების განმენდა მნიშვნელოვან დროს მოითხოვს
 - შიდა სივრცეში შეღწევა – გასაწვევი პანელების გამოყენების შემთხვევაში, მათ უნდა შეეძლოს სამი მიმართულებით გაცურება – მარცხნივ, მარჯვნივ და ვიტრინის კედლებში შესასმელი კილოებისკენ, იმ პირობით, რომ მარცხნივ და მარჯვნივ განევისთვის იქნება საკმარისი ადგილი. სხვა შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნას ანჯამებიანი მინის კარი
 - თაროების დამონტაჟება – თაროები უნდა ეყრდნობოდეს ძირში ჩამაგრებულ მილსადგამებს, ან აკრილიანი მინის გასაწყობ დეტალებს, რომლებიც ვიტრინის გვერდებზე, წინასწარ განსაზღვრულ სიმაღლეზეა ჩამაგრებული
 - ჰერმეტიკულობა – მაღალი, თუ კარი ან პანელები ზუსტადაა მორგებული
 - განათება/ილუმინაცია – გარე; შიდა განათების მოწყობა რეკომენდებული არ არის
 - კლიმატის კონტროლი – საკმაოდ მოსახერხებელია კლიმატის როგორც პასიური, ასევე აქტიური კონტროლისთვის.

7.1.4 განცალკევებულად დასადგამი ვიტრინები სანათით

ასეთი ვიტრინების ოთხივე გვერდი მინის პანელებითაა შედგენილი, ხოლო თავზე სანათი კოლოფია განთავსებული. შემინვისთვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება თერმულად დამუშავებული ფურცლოვანი მინა, უმჯობესია იყოს ლამინირებული, 8-10 მმ სისქის. ვიტრინას შეიძლება ჰქონდეს დაბალი, მთლიანი ან ჩაღრმავებული, ძირი, მილსადგამები, და ყველა შემთხვევაში – სიმაღლის რეგულატორები.

ისევე, როგორც წინა ტიპის ვიტრინებისთვის, საგამოფენო პლატფორმა ჩვეულებრივ, დამზადებულია დაპრესილი ნახერხის დაფისგან (MDF) და ხშირ შემთხვევაში ქსოვილი აქვს გადაფარებული. ყველა მასალა არაააღებადი და დაბალი მჟავიანობის უნდა იყოს. როგორც წინა ტიპისთვის, ამ შემთხვევაშიც, ფართოდ გამოიყენება შემადლებული პლატფორმები, რომელთა დახრილ გვერდებზეც შეიძლება მიმაგრდეს ნარნერები.

ვიტრინის გახსნა შესაძლებელია სხვადასხვა სახის გასაწევი ან გასაღები კარის საშუალებით. ყველა გასაწევ კარს უნდა შეეძლოს სამი მიმართულებით გადაადგილება – მარჯვნივ და მარცხნივ განევა და დახურვისას, საგამოფენო ვიტრინის კედლებთან ბოლომდე მისვლა, უნდა იკეტებოდეს საიმედოდ, ჰერმეტიკის უზრუნველყოფისა და მტერის ვიტრინაში შეღწევის რაც შეიძლება ნაკლები რისკის მიზნით.

სანათი კოლოფი შეიძლება აღჭურვილი იყოს ვარვარების ან ფლურესცენციური ნათურებით, ჰალოგენური პროექტორებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სინათლის კონებით, თხევად კრისტალებიანი ილუმინატორებით ან ამ საშუალებების სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით. რამდენადაც განათების ნებისმიერი საშუალება გარკვეული რაოდენობის სითბოს გამოყოფს, სანათი კოლოფის თავზე დატოვებული უნდა იყოს სინათლის ჩამჭერი კონსტრუქციის სავენტილაციო ხვრეტილები, რომლებიც უზრუნველყოფს სათანადო ვენტილაციას შუქის ზედა მიმართულებით გაჟონვის გარეშე. ლამინირებული მინის პანელები უზრუნველყოფს სანათი კოლოფის იზოლირებას საჩვენებელი სივრციდან, გადახურების, მტერის და ადამიანთა უნებართვო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით, ამავე დროს, შთანთქავს სინათლის წყაროდან გამოსხივებული ულტრაიისფერი გამოსხივების უდიდეს ნაწილს.

ლითონის კორპუსიანი სანათი უფრო მარტივად შესახამებელია თავად ვიტრინაში განთავსებულ საოპერაციო დეტალებთან, როგორცაა უორაილ და უოტრაცკ მოდელების გასაწევი კარი, ანჯამებიანი კარი და მაგნიტური მართვის საშუალებები.

რეიტინგი

- ვიტრინის ხარჯები – ზომიერიდან ძვირამდე
- ტრანსპორტირება – საკმაოდ მარტივი, ჩვეულებრივ, ბოლომდე აწყობილ მდგომარეობაში
- ადგილზე დამონტაჟების ხარჯები – ეკონომიური, რადგან წინასწარ ბოლომდეა აწყობილი
- შიდა სივრცეში შეღწევადობა – გასაწევი პანელების ან ანჯამებიანი კარის ფართო არჩევანი
- თაროების ჩადგმა – მარტივად შეიძლება ჩამოიკიდოს სანათ კოლოფზე და გადაადგილდეს ნებისმიერ განსაზღვრულ პოზიციაში
- ჰერმეტიკობა – ზომიერიდან მაღალ ხარისხამდე
- განათება/ილუმინაცია – სანათ კოლოფში შეიძლება ჩაისვას ნებისმიერი სახის სანათი, როგორცაა ვარვარების ან ფლურესცენციური ნათურები, პროექტორები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სინათლის კონები ან თხევადი კრისტალის სანათი ეკრანები
- კლიმატის კონტროლი – საკმაოდ მოსახერხებელია კლიმატის როგორც პასიური, ასევე აქტიური კონტროლისთვის.

7.1.5 კედლის ვიტრინები შემინული სახურავით

კედლის ვიტრინები შედარებით დაბალ ხარჯებს მოითხოვს. მაგალითად, ხუთნახნაგიანი ვიტრინა ანჯამებიანი მინის სახურავით, შეიძლება მარტივად მიმაგრდეს კედელზე, ისე რომ მისი ძირი იატაკზე იყოს დადგმული. სხვა შემთხვევაში, კედელზე შეიძლება დამონტაჟდეს გაცილებით რთული აგებულების სადგამიანი ვიტრინა გასანევი ან ანჯამებიანი კარით.

შემინვისთვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება თერმულად დამუშავებული ფურცლოვანი მინა, უპირატესად – ლამინირებული, 6-10 მმ სისქის. კედელზე დასამაგრებელი ვიტრინების გარდა, ასეთ ვიტრინებს შეიძლება გააჩნდეთ სხვადასხვა სახის ძირი, როგორცაა მილსადგამებიანი, დაბალი, მთლიანი ან ჩაღრმავებული ძირი, რომელიც ყოველთვის ალჭურვილი უნდა იყოს სიმაღლის რეგულატორებით.

კედლის ვიტრინების ზურგი და პლატფორმა დაპრესილი ნახერხის ფანერისგანაა დამზადებული და ხშირ შემთხვევაში, მათზე ქსოვილია გადაკრული. ყველა მასალა ცეცხლგამძლე და დაბალი მჟავიანობის უნდა იყოს.

კედლის ვიტრინის გახსნა შეიძლება გასანევი ან ანჯამებიანი კარის მეშვეობით. გასანევი კარის შემთხვევაში მას უნდა შეეძლოს სამი მიმართულებით გადაადგილება: მარჯვნივ და მარცხნივ განევა და დახურვისას, საგამოფენო ვიტრინის კედლებთან ბოლომდე მისვლა, რაც უზრუნველყოფს საიმედოდ დაკეტვას, მტვერის შეღწევის ნაკლები რისკისა და ჰერმეტიკულობის მიზნით.

რეიტინგი

- ვიტრინის ხარჯები – ზომიერიდან ძვირამდე
- ტრანსპორტირება – მინის გატეხვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მოზრდილი ვიტრინები ადგილზე უნდა აიწყოს
- ადგილზე დამონტაჟების ხარჯები – ეკონომიური, რადგან წინასწარ ბოლომდეა აწყობილი
- შიდა სივრცეში შეღწევა – უპირატესობა ენიჭება სამი მიმართულებით მოძრავი კარების გამოყენებას, იმ პირობით, რომ მარცხნივ და მარჯვნივ გასანევიად საკმარისი ადგილია. სხვა შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იყოს ანჯამებიანი მინის კარი
- თაროები – უნდა ეყრდნობოდეს კრონშტეინებს, რომლებიც შენიღბული უნდა იყოს ქსოვილით დაფარულ ზურგის პანელებით
- ჰერმეტიკულობა – ზომიერიდან მაღალ ხარისხამდე
- განათება/ილუმინაცია – ზედა და წინა მხრიდან. შიდა განათების მოწყობა რეკომენდებული არ არის
- კლიმატის კონტროლი – მოსახერხებელია კლიმატის როგორც პასიური, ასევე აქტიური კონტროლისთვის.

7.1.6 კედლის ვიტრინები სანათი კოლოფებით

წინა ტიპის ვიტრინების მსგავსად, ამ ტიპის ვიტრინები, შედარებით რთული აგებულებისა და მაღალი ღირებულების საგამოფენო ვიტრინებია, იმ განსხვავებით, რომ აქ ანათი კოლოფებია დამონტაჟებული. შემინვისთვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება თერმულად დამუშავებული ფურცლოვანი მინა, უპირატესად – ლამინირებული, 8-10 მმ სისქის. ასეთი

ვიტრინები შეიძლება დამაგრდეს კედელზე ან ალიჭურვოს სხვადასხვა სახის სადგამით, როგორცაა მილსადგამებიანი, დაბალი, მთლიანი ან ჩალრმარებული ძირი, რომელსაც ყოველთვის უნდა გააჩნდეს სიმაღლის რეგულირების საშუალება.

როგორც წინა ტიპის ვიტრინების შემთხვევაში, აქაც ზურგი და საექსპოზიციო პლატფორმა, ჩვეულებრივ, დამზადებულია დაპრესილი ნახერხის დაფისგან (MDF) და ხშირ შემთხვევაში, დაფარულია ქსოვილით. ყველა ასეთი მასალა ცეცხლგამძლე და დაბალი მყავიანობის უნდა იყოს. ვიტრინის გახსნისთვის შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც გასაწვევი, ასევე ანჯამებიანი კარი. ყველა გასაწვევ კარს უნდა შეედლოს სამი მიმართულებით გადაადგილება – მარჯვნივ და მარცხნივ განწვევა და დახურვისას – საგამოფენო ვიტრინის კედლებთან ბოლომდე მისვლა. სანათი კოლოფი შეიძლება ალიჭურვოს ვარვარების ან ფლურესცენციური ნათურებით, ჰალოგენური პროექტორებით, ოპტიკურ ბოჭკოვანი სინათლის კონეებით, თხევად-კრისტალებიანი ილუმინატორებით ან მათი სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით. რამდენადაც განათების ნებისმიერი საშუალება გარკვეული რაოდენობის სითბოს გამოყოფოს, სანათი კოლოფის თავზე დატოვებული უნდა იყოს სინათლის ჩამჭერი კონსტრუქციის მქონე სავენტილაციო ხვრეტილები, რომლებიც უზრუნველყოფს სათანადო განიავებას შუქის ზედა მიმართულებით გაყონვის გარეშე. ლამინირებული მინის პანელები უზრუნველყოფს სანათი კოლოფის იზოლირებას ექსპოზიციის სივრცისგან, გადახურების, მტვერის და ადამიანის უნებართვო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით და ამავე დროს, შთანთქავს სინათლის წყაროდან გამოსხივებული ულტრაიისფერი გამოსხივების უდიდეს ნაწილს.

ლითონის კორპუსიანი სანათი კოლოფი უფრო მარტივად შესახამებელია თავად ვიტრინაში განთავსებულ საოპერაციო დეტალებთან, როგორცაა Duorail და Duotrack მოდულების გასაწვევი კარი, ანჯამებიანი კარი და მაგნიტით მართვის საშუალებები.

რეიტინგი

- ვიტრინის ხარჯები – შედარებით ძვირი
- ტრანსპორტირება – საკმაოდ მარტივი, ჩვეულებრივ ბოლომდე აწყობილ მდგომარეობაში
 - ადგილზე დამონტაჟების ხარჯები – ეკონომიური, რადგან წინასწარ ბოლომდეა აწყობილი
 - შიდა სივრცეში შეღწევა – გასაწვევი პანელების ან ანჯამებიანი კარების ფართო არჩევანი
 - თაროების ჩამონტაჟება – მარტივად შეიძლება ჩამოიკიდოს სანათ კოლოფზე ან კრონშტინებზე დამაგრებულ მინის თაროებზე, რომლებიც ჩაჭერილია სამაგრებში (შეიძლება შენიღბული იყოს ქსოვილით დაფარული პანელებით)
 - ჰერმეტიულობა – ზომიერი
 - განათება/ილუმინაცია – სანათ კოლოფში შეიძლება ჩაისვას ნებისმიერი სახის სანათი, როგორცაა ვარვარების ან ფლურესცენციური ნათურები, პროექტორები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სინათლის კონეები ან თხევად-კრისტალებიანი სანათი ეკრანები
 - კლიმატის კონტროლი – საკმაოდ მოსახერხებელია კლიმატის როგორც აქტიური, ისე პასიური კონტროლისთვის.

7.1.7 მოდულიანი ან სექციური ტიპის ვიტრინები

მოდულიანი ან სექციებიანი ვიტრინები (იხელეთ ნახაზები 7.2 და 7.3) მზადდება დიდ პარტიებად, უპირატესად, სტანდარტული ზომების, რაც ხელს უწყობს შედარებით დაბალ ფასებს, მასალებისა და დამზადების ოსტატობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებით. შემინვისას გამოიყენება 10 მმ სისქის ლამინირებული მინა. მინის პანელები მჭიდროდ მაგრდება ვიტრინის ძირსა და საყრდენ ელემენტებში, რის გამოც მინების ვერტიკალური კიდების შენება საჭირო აღარ არის. მოდულიანი ვიტრინების გადაზიდვა და აწყობა, ისე, როგორც მათი კონფიგურაციის შეცვლა- დაშლა (მოძრავი გამოფენების შემთხვევაში) მარტივია და არ მოითხოვს სპეციალისტების ჩარევას.

მოდულიანი ან სექციური ტიპის ვიტრინები დაპროექტებულია ცალკე და დამოუკიდებლად დადსადგამად. კედელზე მიდგმის შემთხვევაში, ზურგის ნაწილი შეიძლება მარტივად ლამინირდეს გაუმჭვირვალე პანელით ან ფოლგით.

ძირი და სანათი კოლოფი შეიძლება აიწყოს დაპრესილი ნახერხის დაფებით (MDF) ან ლითონის დეტალებით. გასათვალისწინებელია, რომ ვიტრინების შესყიდვიდან სულ ცოტა ათი წლის განმავლობაში, შესაძლებელი იყოს სათადარიგო ნაწილების შეძენა. ვიტრინის გახსნა, ჩვეულებრივ, შეიძლება გასაწვევი კარით, რომელსაც უკეთესი დაცულობის და პერმეტულობის უზრუნველსაყოფად სამი მიმართულებით გადაადგილების შესაძლებლობა აქვს. რეკომენდებულია სანათი კოლოფის გამოყენება, რადგან მასში შეიძლება ყველა სახის ნათურის ჩასმა, როგორცაა ვარვარების და ფლურესცენციური ნათურები, პალოგენური პროექტორები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სინათლის კონები, თხევად-კრისტალებიანი სანათი ეკრანები ან მათი სხვადასხვა ტიპის კომბინაციები.

რეიტინგი

- ვიტრინის ხარჯები – დაბალი, სერიულად დამზადების გამო

- ტრანსპორტირება – იაფი, რადგან ასეთი ვიტრინების გადაზიდვა შეიძლება დაშლილ

მდგომარეობაში, ცალკეულ ნაწილებად

- ადგილზე დამონტაჟების ხარჯები – არ არის ძვირი; აწყობა მარტივია და არ მოითხოვს სპეციალისტის მონაწილეობას

- შიდა სივრცეში შეღწევა – სამსვლიანი გასაწვევი პანელები ან ანჯამებიანი კარი

- თაროების დამონტაჟება – სანათ კოლოფზე ჩამოკიდებული


- პერმეტულობა – ზომიერი

- განათება/ილუმინაცია – სანათ კოლოფში შეიძლება ჩაისვას ნებისმიერი სახის სანათი, როგორცაა ვარვარების ან ფლურესცენციური ნათურები, პროექტორები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სინათლის კონები ან თხევად-კრისტალებიანი სანათი ეკრანები


- კლიმატის კონტროლი – არ მოითხოვება

აღნიშნული ტიპის ვიტრინები ყველაზე ხშირად გამოიყენება მოძრავ გამოფენებში და ახალი მასშტაბური მუზეუმების დიდი შეკვეთებისთვის. როგორი არჩევანიც არ უნდა არსებობდეს, გამოფენის ხარისხის უზრუნველსაყოფად შესაფერისი საგამოფენო ვიტრინის შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.


ერთმოდულიანი ვიტრინის კომბინაცია




ორი ერთმოდულიანი ვიტრინის კომბინაცია



ნახაზი 7. 2 სხვადასხვა კომბინაციის მოდულიანი ვიტრინები



ერთმოდულიანი და ორმოდულიანი ვიტრინის კომბინაცია



ერთი ერთმოდულიანი და ორი ორმოდულიანი ვიტრინის კომბინაცია

ნახაზი 7. 3 სხვადასხვა კომბინაციის მოდულიანი ვიტრინები
წყარო: - მოდულური სისტემები

7.2 განათება

კევან შოუ

სამუზეუმო გამოფენის განათების სისტემის დაგეგმვისა და დაპროექტებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია განათების საფუძვლების გააზრება ადამიანის მიერ მისი ალქმის მასახიათებლებთან მიმართებით. აგრეთვე, ნათურების, სამაგრი არმატურის, ამრეკლების, ლინზების, ფილტრების, საკონტაქტო საღებავების და მართვის სისტემების შერჩევამდე ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორცაა ფერების განაწილება და ტემპერატურა. სწორედ ეს ფაქტორებია თანმიმდევრულად განხილული ამ პუნქტში.

7.2.1 განათების ალქმა ადამიანის მიერ

გამოფენების განათებაზე მუშაობისას, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის მხედველობის სისტემის რეაქციას სინათლეზე. თვალი უზრუნველყოფს სანყისი ვიზუალური ინფორმაციის მიღებას, რომლის გადამუშავებაშიც, ტვინის საოცრად დიდი ნაწილი ლებულობს მონაწილეობას. ამგვარი გადამუშავება განაპირობებს უაღრესად მრავალფეროვანი განათების არსებობას, რომლებიც ვიზუალურად აღიქმება ადამიანის მიერ და ასევე, შედარებით მცირერიცხოვანი მინიშნებების არსებობის პირობებშიც კი შესაძლებელს ხდის გარემოს მრავალმხრივ ალქმას.

წარმოსახვისას, ტვინი ყოველთვის ახდენს შედარებებს მის მიერ უკვე შესწავლილ მოდელებთან – მაგალითად, ნათელი ქერი ასოცირდება დღის ცასთან, ხოლო ბნელი – ღამის ცასთან; თბილი ფერი სხვა მინიშნებებზე დამოკიდებულებით, უკავშირდება სინათლის შუქს ან ცეცხლს, ხოლო ცივი, ლურჯი ფერი, შეიძლება ასოცირდებოდეს მთვარის შუქთან ან მთლიანად ღრუბლებით დაფარულ დღის ცასთან, იმის მიხედვით, თუ როგორია სხვა მინიშნებები. ვიზუალური წარმოსახვის პროცესში, ტვინის ინტენსიური მონაწილეობა განაპირობებს ჩვენს მიერ მხედველობის არეში მოქცეული ობიექტის დეტალებისა და ფერების გარჩევას ცვალებადი განათების პირობებში, რაც წარმოადგენს გამოფენის კონტექსტის შესახებ მიღებული ვიზუალური ინფორმაციის უდიდესი ნაწილის წყაროს.

რადგან ვიზუალური ინფორმაციის მიღება თვალის მეშვეობით ხდება, ამიტომ მხედველობის უნარი ოპტიკური ფაქტორებით არის შემოსაზღვრული. ეს მნიშვნელოვანია გამოფენის განათებასთან მიმართებით, სადაც ყოველთვის აუცილებელია ექსპონატების კონსერვაციის პირობების უზრუნველყოფა. ძირითადად, თვალი შეიცავს სინათლის ორი სახის რეცეპტორს – კოლებს და ჩხირებს:

- კოლები უზრუნველყოფს ფერად, ე.წ. დღის მხედველობას და კონცენტრირებული არის თვალის ცენტრალურ ნაწილში.
- ჩხირები არ გადასცემს ფერად ინფორმაციას, მაგრამ შეუძლია მუშაობა ძალზე დაბალი განათების პირობებში. ასეთ მხედველობას ღამის მხედველობა ეწოდება.
- მხედველობის დიაპაზონი, როდესაც ორივე სისტემა აქტიურია, ბინდის მხედველობის სახელითაა ცნობილი. ეს შუალედი შეიძლება განხილული იქნას, როგორც საღამოს მხედველობა, როდესაც ფერების გარჩევა სულ უფრო გართულებულია.

მუზეუმების კონტექსტში, მხედველობის აღნიშნული დონეების გათვალისწინება უნდა მოხდეს დაახლოებით 50 ლუქსი განათების პირობებში, რაც ჩვეულებრივ, რეკომენდებულია

კონსერვაციის მიზნებისთვის, როგორც ქალაქებში ან მგრძობიარე ქსოვილზე შესრულებული ნამუშევრებისთვის შესაფერისი ხარისხის განათება. მნახველთა უმრავლესობისთვის ამ დონის განათება საკმარისია ფერების გასარჩევად, თუმცა შუალედური ტონების გარჩევა 20-30 ლუქსი ინტენსიობის განათებისას სერიოზულად რთულდება სხვა თანაბარ პირობებთან შედარებით. მაქსიმალური განათების 50 ლუქსის ფარგლებში შენარჩუნება, რთულია ბინდის მხედველობის შუალედში გადასვლის გარეშე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ გალერეის კედელზე ჩამოკიდებული ხელოვნების ნამუშევრის მაქსიმუმ 50 ლუქსი ინტენსიობის სინათლით განათებისას, იატაკიდან ერთ მეტრ სიმაღლეზე განათება 20-30 ლუქსამდე მცირდება.

ადამიანის მხედველობის სისტემის კიდევ ერთ თავისებურებაა რეაქცია მხედველობის არის ცვალებად განათებაზე. ზოგადად, მხედველობის სისტემა არ რეაგირებს როგორც ფოტომეტრი, რომელიც ზომავს მხედველობის არის საშუალო განათებას. ამის სანაცვლოდ, ჩვენი მხედველობის დიაპაზონი განისაზღვრება მხედველობის არის ყველაზე ნათელი ნერტილის განათებით. ამგვარი რეაგირება, ზოგადად, ცნობილია *თვალის მოჭრის ეფექტის* სახელით, როდესაც ერთ კაშკაშა სხივს, შეუძლია გამოიწვიოს ვიზუალური გარჩევის უნარის სრული დაკარგვა. ამ ფაქტორს სერიოზული გათვალისწინება სჭირდება გამოფენების როგორც ფიზიკური დაპროექტების, ასევე განათების სისტემის დაპროექტების დროს: მაგალითად, ყველა მხედველობის ველში, რომელიც მოიცავს დაბალი საკონსერვაციო დონის შუქით განათებულ საგნებს, უნდა გამოირიცხოს დღის სინათლის მოხვედრა. ანალოგიურად, ნათურების გონივრულად განთავსებისა და ბუდეებში მოხდენილად ჩასმის მეშვეობით, თავიდან უნდა იქნას აცილებული ნათურის შუქის თვალში პირდაპირ მოხვედრა, რათა მნახველი დაცული იყოს თვალის მოჭრის ეფექტისგან.

ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის მხედველობის სისტემას გარკვეული დრო სჭირდება განათების დონეების ცვლილებებთან შესაგუებლად. თვალის მიჩვევის სანყისი დრო 20-30 წამს შეადგენს, თუმცა სრული ადაპტირებისთვის შეიძლება 30 წუთამდე შუალედი იყოს საჭირო. შესაბამისად, საგამოფენო სივრცეების დაპროექტებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს საკმარისი დროის შუალედი მნახველის მიერ სრული დღის განათების მქონე ექსტერიერიდან შედარებით ნაკლებად განათებულ საგამოფენო სივრცემდე მისასვლელად, გზაზე განათების დონის თანდათან შემცირებით, რათა შესაძლებელი გახდეს გამოფენის განათებასთან იოლად ადაპტირება და თავიდან იქნას აცილებული დამთვალეიერებელთა საჩივრები "ბნელი და პირქუში" გამოფენების თაობაზე.

7.2.2 ფერთა გადაცემა და ნათურები

განათების სქემის შემუშავებისას, უპირველეს ყოვლისა უნდა შეირჩეს სინათლის წყარო. სინათლის სხვადასხვა წყაროების მიერ ფერების ზუსტად გადაცემის ფარდობით შესაძლებლობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუზეუმებისთვის. ამ პარამეტრის საზომია *ფერთა გადაცემის ინდექსი (CRI)*, რომლის 100-ის ტოლი მნიშვნელობა დღის სინათლეს შეესაბამება. ამ საზომის საფუძველს წარმოადგენს ხელოვნური სინათლის წყაროებსა და დღის სინათლეს შორის განსხვავება ფერთა გარჩევის მიმართებით. ამ კუთხით, სინათლის საუკეთესო წყაროს ვოლფრამის ჰალოგენური ნათურა (TH) წარმოადგენს, რომლის ფერთა გადაცემის ინდექსი 99-ია. ასეთი წყაროს სინათლე საკმაოდ განსხვავდება დღის სინათლის-

გან, რადგან შესაბამისი სპექტრი გაცილებით გაძლიერებულია წითელი და ყვითელი ბოლოებისკენ, თუმცა მისი სპექტრი, დღის სინათლის მსგავსად, უწყვეტია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სინათლეზე რეაგირებისთვის.

სინათლის სხვა წყაროები, რომელთა ფერთა გადაცემის ინდექსი 90-100 CRI შუალედშია, მხოლოდ ზოგიერთი ფლურესცენციური ნათურითაა წარმოდგენილი. მათ არ გააჩნიათ უწყვეტი სპექტრი, მაგრამ მათ სინათლეზე და დღის სინათლეზე თვალის რეაგირება თითქმის ერთნაირია. არსებობს სინათლის სხვა წყაროებიც, უმრავლესობა ფლურესცენციური ნათურების, მეტალის ჰალოიდური სანათების და ნატრიუმის გაზიანი ნათურების (White SON) ჩათვლით, რომლებიც საკმაოდ კარგად გადასცემს ფერებს, მაგრამ მათი ფერთა გადაცემის ინდექსი მხოლოდ 85-ს თუ აღწევს, ამიტომ ისინი არ შეიძლება მისაღები იყოს მუზეუმებისთვის, სადაც მნიშვნელოვანია ფერების ზუსტად გადაცემისა და გარჩევის უზრუნველყოფა. ამასთან, ასეთი წყაროები ზოგადად ენერგიას და გამოიყენება საგამოფენო ფართობებისგან განცალკევებულ ადგილებში ან ავარიული, სამომსახურეო და დაცვის განათების სისტემების მონყობისას, სადაც ფერები არსებით ელემენტს არ წარმოადგენს.

სინათლის წყაროების შერჩევისას, კიდევ ერთ გასათვალისწინებელ ფაქტორს ფერის შესახებდაობა წარმოადგენს. ეს მახასიათებელი, ხშირად, კელვინის გრადუსებში იზომება და მოიხსენიება თეორიული ფერის ტემპერატურის სახელწოდებით, რაც შეესაბამება იმავე ტემპერატურამდე გახურებული შავი სხეულის ფერს. ვინც ცეცხლს დაკვირვებია, იცის, რომ რაც უფრო ცხელია ნახშირი ან ლითონი, მით უფრო კაშკაშა და თეთრია მათი შუქი. სწორედ ეს პრინციპია ჩადებული ამ პარამეტრის გაზომვაში. თუმცა ეს მახასიათებელი ძალზე სუსტად ასახავს ჭეშმარიტ ვიზუალურ შესახებდაობას, რადგან ნათურებს შეიძლება ერთნაირი ფერის ტემპერატურული სპეციფიკაციები გააჩნდეთ, მაგრამ მათი მხედველობითი აღქმა განსხვავებული იყოს. სინამდვილეში, ადამიანის მხედველობის სისტემას ძალზე მაღალი დონის გარჩევის უნარი აქვს, ამიტომ ვიზუალური უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია მხედველობის მთელ არეში, ერთდროულად ერთი და იგივე სინათლის წყაროს გამოყენება, თუ რაიმე სპეციფიური ვიზუალური ეფექტის შექმნა არ არის განზრახული.

განსხვავებული მაჩვენებლების მქონე ფერთა გადაცემისა და ტემპერატურის გარდა, განსხვავებული ტიპის ნათურები განსხვავებული ინტენსიობის ულტრაიისფერ გამოსხვივებასაც (UV) ასხივებს, რაც ექსპონატების კონსერვაციის სპეციალისტების შემფოთებას იწვევს. მრავალ ქვეყანაში, ულტრაიისფერი გამოსხვივება ადამიანის კანისთვის რისკის მატარებლად განიხილება, რის გამოც შესაბამისი კანონმდებლობებით, მოითხოვენ ნათურების ულტრაიისფერი გამოსხვივების დონეების შემცირებას. ამის შედეგად, ექსპონატების განათებისას, ულტრაიისფერი გამოსხვივების ინტენსიობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. მიუხედავად ამისა, ასეთი ნათურები პრობლემის სრულად გადაჭრის შესაძლებლობას ვერ იძლევა, ამიტომ ძალზე სათუთი საგნებისთვის (რომლებზეც განსაკუთრებულად მოქმედებს ულტრაიისფერი გამოსხვივება), განხილული უნდა იყოს სინათლის დამატებითი გაფილტვრის მიზანშეწონილება.

მართალია, ნათურის წარმოების ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება, მაგრამ ფერთა სრული და საუკეთესო გადაცემა, კვლავ რთულად მისაღწევ მიზანს წარმოადგენს. კომერციული რეკლამები პროდუქციის მაღალი ხარისხის შესახებ, ძირითადად, დაკავშირებულია გამოყენების ისეთ სფეროებთან, რომლებიც არ მოითხოვენ იმ ხარისხის სიზუსტის დაცვას, რაც მუზეუმებისთვისაა საჭირო და მეტწილად, ენერგიას ზოგავენ. ამდენად, ფერთა გადა-

ცემის კუთხით, სამუზეუმო გამოფენების განათებისთვის, საუკეთესო არჩევანს ვოლფრამის ჰალოგენური ნათურები წარმოადგენს, ხოლო შემდეგი ადგილი, ფერთა მაღალი ხარისხით გადამცემ ფლურესცენციურ ნათურებს უჭირავს.

7.2.3 სამონტაჟო არმატურა

სამონტაჟო არმატურის სათანადოდ დაპროექტებას, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. მუზეუმებს უმნიშვნელო ადგილი უკავია ელექტროგანათების საშუალებების მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე, ამიტომ სპეციალურად მუზეუმებში გამოყენებისთვის გათვალისწინებულ არმატურას, სულ რამდენიმე დამამზადებელი თუ აწარმოებს. თუმცა ბევრი სხვა სანარმო უშვებს სხვადასხვა მოდიფიკაციის სამონტაჟო არმატურას, რომელიც შეესაბამება წინასწარ განსაზღვრულ ზოგიერთ მოთხოვნას, მაგალითად:

- ფორსირებული ფიქსატორი - ნათურის შეცვლისას სამონტაჟო არმატურის ფოკუსის შენარჩუნებისთვის
- ნათურის შეცვლის შესაძლებლობა არმატურის გადაადგილების საჭიროების გარეშე
- ლინზებიანი კვანძის შეუსაბამობის გამორიცხვა ნათურის შეცვლისას
- განათების ინტენსიობის დონეების ზუსტად დაყენების მიზნით, სამონტაჟო არმატურაზე სიკაშკაშის თვითრეგულირების სენსორის განთავსება
- სარემონტო ტრანსფორმატორებისა და სხვა აუცილებელი საშუალებების ადგილზე ხელმისაწვდომობა.

7.2.4 რეფლექტორები

უმრავლეს შემთხვევებში, განათების სისტემის სამონტაჟო არმატურაზე დამაგრებული ნათურები, რეფლექტორებშია ჩასმული. ჩვეულებრივ, რეფლექტორი სანათის ერთადერთ და ყველაზე მნიშვნელოვან ოპტიკურ კომპონენტს წარმოადგენს და უზრუნველყოფს სინათლის კონისთვის სასურველი ფორმის მიცემასა და შუქის გაფანტვის კონტროლს. რეფლექტორები შეიძლება შეადგენდეს არმატურის ან ნათურის შემადგენელ ნაწილებს, რომელთა შორის უპირატესობის განსაზღვრა, განათების დამპროექტებელ სპეციალისტებს შორის, მუდმივი კამათის საგანია. რეფლექტორები ჩვეულებრივ, ლითონისგან (მაგალითად, კაშკაშა ანოდიზირებული ალუმინისგან) ან საფარიანი მინისგან მზადდება. რეფლექტორის სამონტაჟო არმატურისთვის მიკუთვნების ძირითად არგუმენტს ნათურის შეცვლისას სანათის ოპტიკური მახასიათებლების უცვლელად დატოვება წარმოადგენს, სინამდვილეში კი, ნათურის რეფლექტორში ზუსტად ჩაჯენა, ყოველთვის მარტივი არ არის და მნიშვნელოვან დროს მოითხოვს. რეფლექტორებს ფრთხილად განმენდა სჭირდება, სულ ცოტა, ნათურების გამოცვლის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მტვრიანი ზედაპირი უარყოფითად მოქმედებს რეფლექტორის ეფექტიანობასა და თავად სინათლის სხივის ფორმაზეც კი ან, ზღვრულ პირობებში, საერთოდ აქრობს რეფლექტორის გარკვეულ ნაწილს.

რეფლექტორიანი ნათურების გამოყენების შემთხვევაში, რეფლექტორის განმენდასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები თავიდანაა აცილებული. თუმცა, ამ დროს შესაძლებელია საჭირო იყოს განსხვავებული სიმძლავრის ან განათების

კუთხის მქონე ნათურების დამონტაჟება, ისევე როგორც, სხვადასხვა ტიპის ნათურების მარაგის შექმნა.

7.2.5 ლინზები

გამოფენის განათების სისტემის სამონტაჟო არმატურაში ჩადგმული ყველაზე რთული კონფიგურაციის ლინზებიანი კვანძები, შედგება ორი ან მეტი ელემენტისგან, რომლებიც იძლევა თეატრებში გამოყენებული პროფილიანი განათებული უბნების მსგავს პროექციებს. მართლაც, არსებობს გარკვეული სიტუაციები, როცა შესაფერისი თეატრალური განათების მოწყობილობა შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს მუზეუმების განათების სისტემისთვის. თუმცა, სამუზეუმო გარემოში უფრო ფართოდაა გავრცელებული შედარებით მარტივი ლინზებიანი სისტემები, რომლებიც პროექტორების წინა მხარესაა განთავსებული. ლინზებიანი სისტემის სხვადასხვა ვარიანტებს შორისაა სკულპტურული ლინზები (ან გამფანტავი ლინზები), დიფუზიური ლინზები და ფილტრები:

- **სკულპტურული ლინზები** ან გამფანტავი ლინზები: ეს ლინზები, ჩვეულებრივ, დამზადებულია დაპრესილი ან ნახნაგებიანი ჩამოსხმული მინისგან, რომელიც ცვლის რეფლექტორით შექმნილ წრიულ ნათელ ლაქას და აძლევს მას ნაგრძელებულ, ოვალურ ან ელიფსურ ფორმას მაღალი და წვრილი ან ფართო და გრძელი ექსპონატების გასანათებლად, ან კედლებზე იძლევა განათებულ სარტყელებს, რომლებიც რამდენიმე საგანს მოიცავს.

- **დიფუზიური ლინზები**: ეს ლინზები სასარგებლოა კონკრეტული სანათი არმატურიდან გამოსხივებული სინათლის ინტენსიობისა და განათებული ფართობის შემცირებისთვის. ასევე, მათი საშუალებით შეიძლება სხივში არსებული პარაზიტული ზოლების მოშორება, რომლებიც წარმოშობილია რეფლექტორიდან ნათურის ვარვარების ძაფის გამოსახულების არეკვლის შედეგად. ეს ლინზები სხვადასხვა ტიპისაა და დამზადებულია ჩამოსხმული ან ქვისის ქავლით დამუშავებული მინისგან.

- **ფილტრები**: ლინზების მსგავსად, ფილტრებიც სამონტაჟო არმატურის წინ იდგმება და მათ ხანდახან ლინზების სახელითაც კი მოიხსენიებენ. ისინი გამიზნულია ნათურიდან გამოსული სინათლის ხარისხის შეცვლისთვის, მათი შეფერვის, ან რაც უფრო მნიშვნელოვანია, სინათლის სხივიდან ულტრაიისფერი გამოსხივების მოსაცილებლად. ასევე, ფერზე გავლენის გარეშე განათების დონეების შემცირებისთვის, სასარგებლოა დანული მავთულებისგან შედგენილი შემნილბავი ბადეები, რომლებიც ვეროპასთან შედარებით, უფრო ფართოდ ამერიკაში გამოიყენება.

7.2.6 ოპტიკურ-ბოჭკოვანი სამონტაჟო არმატურა

ბოლო წლებში, მწარმოებლები სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ შესაძლებელია ოპტიკურ-ბოჭკოვანი არმატურით მუზეუმის განათებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრა. ასეთი შესაძლებლობები გაზვიადებულია; სინამდვილეში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მასალები უბრალოდ კიდევ ერთ სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს. რაც მართლა შესაძლებელია, ეს არის სინათლის გადაცემის სისტემების ფორმირება, რომელთა ვიზუალიზაცია შეიძლება ნათურის წინ დადგმული საკმაოდ გრძელი და წვრილი ლინზის სახით. მოკლედ, მათ აქვს ერთი ნათურიდან სინათლის მეტ ფართობზე განაწილების და

ცალკეულ შემადგენელ სხივებად დაყოფის უნარი. ბოლოს, ისინი იძლევა ნათურის გასანათებელი ადგილიდან საგნის გარკვეულ მანძილზე განთავსების შესაძლებლობას. ასეთი მახასიათებლები ძალზე სასარგებლოა საგამოფენო ვიტრინების განათებისთვის, სადაც მოითხოვება დაბალი შუქი. ისინი უზრუნველყოფს განათების სისტემის მოქნილობას, ასევე, იძლევა ნათურის ვიტრინის გარეთ განთავსების საშუალებას, რაც შესაძლებელს ხდის სანათის ტექნიკურ მომსახურებას გამოფენილი საგნის მახლობლად მუშაობის აუცილებლობის გარეშე. სამუზეუმო დანიშნულებისთვის, უპირატესობა ენიჭება ბოჭკოვანი მინის გამოყენებას, რომელიც ბუნებრივად ამცირებს ულტრაიისფერ გამოსხივებას, მაგრამ ატარებს ინფრანითელ სხივებს (IR).

მსგავსი ტიპის ნათურებთან შედარებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემები არ გამოირჩევა ფერთა გადაცემის გაუმჯობესებული შესაძლებლობებით. ყოველ შემთხვევაში, ისინი სხივს აძლევენ მომწვანო ელფერს, რაც ბოჭკოვანი კვანძის სიგრძის ზრდასთან ერთად სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება. ასევე, პრობლემებთანაა დაკავშირებული დიდი მოცულობის ვიტრინების განათება, რომლებშიც ბოჭკოვანი მასალა ინვესს დიდი რაოდენობის მცირე განათებული ლაქების წარმოშობას. ამიტომ, საჭიროა სინათლის გულმოდგინედ დაფოკუსება და ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემების შერჩევა. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოოდ მოსალოდნელ შედეგს. უპირატესობა უნდა მიეცეს ბოჭკოვან დაბოლოებებთან ფართო დიაპაზონის ლინზებისა და ფილტრების და, ბოჭკოვანი სანათის ადგილზე მყარად დაფიქსირების მიზნით, გამართული სამაგრი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას.

7.2.7 საკონტაქტო სალტებიანი სისტემები

სალტებიანი სისტემები ხშირად გამოიყენება მუზეუმებში სათანადო მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, უნდა შეირჩეს ჩვეულებრივი ელექტროგაყვანილობის ნორმატივების დამაკმაყოფილებელი ერთი ტიპის სალტი; ამასთან, სალტეს უნდა შეეძლოს სხვადასხვა დამამზადებლების სამონტაჟო არმატურის მიღება, რაც კიდევ უფრო ზრდის მოქნილობის ხარისხს. ოპტიმალური მოქნილობა მიიღწევა სამსადენიანი განათების სალტის საშუალებით.

განათების სალტის განთავსება გალერეაში, ჩვეულებრივ, განისაზღვრება "30 გრადუსის" ნესის საფუძველზე, ანუ სალტი ისე უნდა იყოს გაყვანილი, რომ კედელსა და ნათურიდან გამოსულ ფოკუსირებულ სინათლის სხივს შორის კუთხე 5,5 ფუტი (1,65 მ) სიმაღლის ადამიანის თვალების დონეზე (5 ფუტი და 3 დუიმი, 1,6 მ) 30 გრადუსს შეადგენდეს (იხილეთ ნახაზი 7.4). ცხადია, სალტი ისე უნდა განთავსდეს, რომ ნახატის ზედა კიდე არ დაიჩრდილოს სალტის კონსტრუქციით). ჩვეულებრივ, სალტი გადის გალერეის კედლების პარალელურად. შედარებით დიდ გალერეებში, შესაძლოა გადიოდეს რამდენიმე ურთიერთპარალელურ დონეზე ან დამონტაჟებული იყოს ქსელის სახით.

7.2.8 განათების მართვის სისტემები

მუზეუმებისთვის ასევე მნიშვნელოვანია განათების მართვის სისტემა. გამოფენის განათების ცენტრალიზებულად მართვა გადამწყვეტი ფაქტორია ექსპოზიციის რაციონალურად და ეფექტიანად კონტროლისთვის. სინათლის ორგანიზებულად "ჩართვა" და

“გამორთვა”, მუზეუმის გაღებისა და დახურვისას აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. ეს შეიძლება შესრულდეს ხელით (თუ ამას მოითხოვს და მხარს უჭერს ეფექტიანი მენეჯმენტის სისტემა) ან ავტომატურად, რასაც ხელს უწყობს მართვის საშუალებების შენობის ერთ ოთახში თავმოყრა.

სამუშაო საათების შემდეგ, დაცვისა და დასუფთავების პერსონალისთვის საჭირო განათება შეიძლება იმართებოდეს ავტომატურად, სათანადო დროით ან ოთახში მყოფი ადამიანის აღმოჩენის სენსორების საშუალებით. ამ ორი სახის სენსორიდან, განათების მოთხოვნებისთვის უფრო მეორეა შესაფერი, რადგან ყველაზე უკეთესად უზრუნველყოფს არტეფაქტების ან ნამუშევრების დაცვას სინათლის ზედმეტი ზემოქმედებისგან.


განათების მართვა რთული ამოცანაა. ამ მიზნით, შესაძლებელია ვოლფრამის ჰალოგენური (TH) და ფლურესცენციური სანათების არმატურის წინასწარ განსაზღვრული ხარისხით შებურვა, რაც შეიძლება შესრულდეს ცალკეული ნრედების ან სამონტაჟო არმატურების მიხედვით. განათების ცენტრალიზებულად მართვას შეუძლია უზრუნველყოს საერთო განათების დონის შეცვლა ან რბილი გადასვლა სხვადასხვა განათებებს შორის, როგორცაა გადასვლა დღის სინათლიდან ხელოვნურ განათებაზე. ამ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას საგალერეო სივრცეში სინათლის ავტომატური სენსორების გამოყენება. დამსწრე აუდიტორიის მიერ განათების დონეებზე შესაბამისი და ზუსტი რეაგირების მოლოდინი, არც რეალისტურია და არც სასურველი.

ვოლფრამის ჰალოგენური ნათურების (TH) გამოყენებისას, სინათლის უმნიშვნელო ჩაბნელებასაც კი შეუძლია მნიშვნელოვნად გაახანგრძლივოს ნათურის მუშაობის პერიოდი. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ზედმეტად ჩაბნელება იწვევს სინათლის “ყვითლად” შეფერვას, რაც ამცირებს მის ფერთა გადატანის უნარს და შესაბამისობის ხარისხს.

7.2.9 განათების სისტემის ტექნიკური მომსახურება

სამუზეუმო გამოფენებზე ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათების დონეების ზუსტ და მდგრად შესაბამისობას დაპროექტებულ სპეციფიკაციებთან. აღსანიშნავია, რომ მუზეუმის გარემო უნიკალურია განათების სისტემის ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით. მაგალითად, საცალო ვაჭრობის ობიექტებზე განათების სქემები, სავარაუდოდ, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ხელახლა უნდა დაპროექტდეს და შეიცვალოს, ხოლო კომერციული დანესებულებების ოფისებში – ყოველ ათ წელიწადში. ამისგან განსხვავებით, სამუზეუმო განათების სისტემაში, რომლებიც მუდმივი კოლექციების ჩვენებებისთვის გამოიყენება, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილები 15-დან 25 წლის მანძილზე გათვალისწინებული არ არის. შუალედის მეორე ბოლოშია დროებითი საგამოფენო გალერეები, სადაც განათების სისტემა გამოფენასთან ერთად იცვლება, რაც წელიწადში რამდენჯერმე შეიძლება მოხდეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში, ახალი სისტემის მონყობის მიზნით, შეიძლება გამოყენებულ იქნას წინა სისტემის ელემენტები, მათი ცვეთის ხარისხის გათვალისწინებით.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი მოითხოვს სერიოზულ განხილვას განათების სისტემის დაპროექტებს ეტაპზე. უაღრესად მნიშვნელოვანია ხანგრძლივად გამოყენებადი მონყობილობისა და სამონტაჟო არმატურის შერჩევა. გარდა ამისა, ობიექტზე უნდა ინახ-



ნახაზი 7.4 საკონტაქტო სალტე

სამონტაჟო არმატურის ტიპური განთავსების ადგილები ნახატის 30°-იანი კუთხით განათებისთვის. სალტის გარსაცმები იწვევს ჭერის ხაზის დაახლოებით 6 დღით დადაბლებას, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ებოდეს ზუსტი ჩანაწერები არმატურის მდებარეობის, ნათურების ტექნიკური მონაცემების და ფოკუსირების კრიტერიუმების შესახებ. ამ გზით შესაძლებელი იქნება განათების სისტემის გამართული ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა გამოყენის მოქმედების მანძილზე.

7.3 აუდიო და ვიზუალური მონყობილობა

ბარი კრინი

აუდიო და ვიზუალური მონყობილობის მონტაჟის დაგეგმვისას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გამოფენის საკომუნიკაციო დანიშნულებას და ამოცანებს, ხოლო აუდიო და ვიზუალური მონყობილობის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს კომუნიკაციის ამოცანების უფრო ეფექტურად, მომხმარებლისთვის მოსახერხებელი სახით გადაწყვეტას და ხელს უწყობდეს მნახველების მიერ გამოფენის გზავნილების გაცნობიერებას.

ამ პარაგრაფში განხილულია აუდიო და ვიზუალური მონყობილობის გამოყენების დაგეგმვა გალერეის დაგეგმვის პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით, აუდიო და ვიზუალური მონყობილობის კოორდინირება გამოფენის რიგ სხვა ასპექტებთან და ამ მონყობილობის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დასაწყისშივე უნდა დაეთმოს სათანადო ყურადღება.

7.3.1 აუდიო-ვიზუალური მონყობილობის გამოყენების დაგეგმვა გამოფენის შემუშავების პროცესში

რა როლს ასრულებს გამოფენის დაპროექტების პროცესში აუდიო-ვიზუალური სისტემების სპეციალისტი? ეს დამოკიდებულია პროცესში მონაწილე ადამიანების ცოდნის დონეზე და მათსავე გამოცდილებაზე. თუ მუზეუმის დაგეგმვა ნულიდან იწყება, არქიტექტორს უნდა გააჩნდეს გარკვეული ცოდნა აუდიო-ვიზუალური მონყობილობების საბაზისო მოთხოვნების შესახებ. თუ არქიტექტორს არა აქვს საკმარისი გამოცდილება მუზეუმებში აუდიო-ვიზუალური სისტემების დაპროექტების საკითხებში, საჭიროა დაპროექტების პირველ ეტაპზევე მოწვეული იქნას შესაბამისი პროფილის სპეციალისტი. თუმცა, თუ არსებობენ ცალკეული პირები, რომლებსაც ვვალებათ არქიტექტორების ხელმძღვანელობა მშენებლობის გეგმის შემუშავებისას და გააჩნიათ გარკვეული შეხება აუდიო-ვიზუალური სისტემებთან, მათ შეუძლიათ მოხაზონ შენობის ძირითადი მოთხოვნილებები ამ მიმართებით, რაც არ მოითხოვს პროფესიონალურ კვალიფიკაციას აუდიო-ვიზუალური მონყობილობების სფეროში.

აუდიო-ვიზუალური მონყობილობის გამოყენების დაგეგმვისას, პირველ რიგში გასარკვევია, თუ როგორ უნდა მოეწყოს სისტემა – ცენტრალიზებული თუ არაცენტრალიზებული სახით:

- ცენტრალიზებულად მართვადი სისტემის შემთხვევაში, ხმისა და ვიზუალური ეფექტების მიწოდების წყაროები თავმოყრილია გალერეის მახლობლად, განცალკევებულად მდებარე ოთახში. ეს წყაროები მოიცავს ყველა აუდიო და ვიდეო მონყობილობას და მათი სიგნალების გაძლიერებისა და მართვის საშუალებებს. საგამოფენო გალერეებში განთავსებულია მხოლოდ ვიდეოჩვენების აპარატები, როგორცაა სატელევიზიო მონიტორები, ვიდეო პროექტორები და ხმის გამაძლიერებლები და თითოეული აუდიო-ვიზუალური ექსპონატის გაშვების ინიცირების საშუალებები. ცენტრალიზებული სისტემის უპირატესობას წარმოადგენს ყველა მონყობილობის ერთ ოთახში განთავსება და მართვა. ეს ამარტივებს მონყობილობის სამუშაო პირობების კონტროლს, რაც უზრუნველყოფს მტერისა და სიციხის მიმართ მგრძობიარე მონყობილობის მუშაობისა და ტექნიკური მომსახურებისთვის ოპტიმალური პირობების შექმნას. ცენტრალური მართვის ოთახში მდებარე გაუმართავი ან მოძველე-

ბული მონყობილობა მნახველებისთვის შეუმჩნევლად შეიძლება შეიცვალოს. სადენების მარშრუტები წინასწარ და გულმოდგინედ უნდა დაიგეგმოს. სადენები უნდა ჩაიდოს იატაკზე, კედლებზე ან ჭერზე გაყვანილ შენიღბულ საკაბელო არხებში. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს აუდიო და ვიდეო სიგნალების გადამცემი სადენების დენის კაბელებისგან საკმარისად დაცილებას. ასეთი პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის, გადამწყვეტი როლი არქიტექტორების, მექანიკოსების და კონსტრუქტორების მონაწილეობას ენიჭება.

- დეცენტრალიზებულად მართვადი სისტემის შემთხვევაში, ყველა მონყობილობა უშუალოდ საგამოფენო გალერეაშია დამონტაჟებული და განცალკევებული მართვის ცენტრი არ არსებობს. ასეთ დროს, გაუმართავი მონყობილობის შეცვლა სისტემის მუშაობის მინიმალური დარღვევით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ აუდიო-ვიზუალური სისტემის სამონტაჟო სქემა და კომპლექტაცია ითვალისწინებს ცალკეული კომპონენტების მოდულების სახით გამოცვლას. დეცენტრალიზებული სისტემა იძლევა აუდიო სიგნალების უშუალოდ გალერეებში დარეგულირების შესაძლებლობას, რაც მის უპირატესობას წარმოადგეს. მონტაჟის ფაზაში, რთული ექსპონატების მართვის საშუალებების რეგულირება, რაც განათების, აუდიო და ვიდეო მონყობილობის კოორდინირებას მოიცავს, შეიძლება საგამოფენო სივრცეშივე შესრულდეს. ასევე, შედარებით გამარტივებულია საკაბელო გაყვანილობის მონტაჟი. გრძელი სადენების გამოყენების საჭიროების მოხსნის შემდეგ, აუდიო და ვიდეო სიგნალების გამაძლიერებელი ხელსაწყოების გამოყენება აუცილებელი არ არის. სისტემის ნაკლოვანება მონყობილობის ტექნიკური მომსახურების სრულყოფილად კონტროლირებად გარემო პირობებში წარმოების შეუძლებლობითაა განპირობებული. მონყობილობა განთავსებული იქნება გამოფენის მოსაპირკეთებელ კონსტრუქციებში, რომლებიც შეიძლება სიცხის აკუმულირების თავიდან ასაცილებლად საკმარისად ვერ ნიავედბოდეს. კორპუსებში შეიძლება ჩაიდგას მცირე ელექტროვენტილატორები, მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ხმაური, თუ წინასწარ ხმის ჩახშობის ზომები არ არის მიღებული.

საინტერპრეტაციო გეგმის შემუშავების შემდეგ, ცალსახად საჭიროა მუზეუმში აუდიო-ვიდეო დანადგარების სპეცილისტის კონსულტაცია. გამოფენის დაპროექტების შესახებ მოსაზრებების ფორმულირება და დასახული ამოცანების განაწილება, შესაძლებელს ხდის კონკრეტულ აუდიო-ვიზუალურ მონყობილობაზე მოთხოვნის შეფასებას. პირმა, რომელმაც შეიმუშავა გეგმა, აუდიო-ვიზუალური სისტემების სპეციალისტს უნდა გააცნოს გამოფენის შინაარსის გადაცემისთვის განსაზღვრული მეთოდები, რომელმაც თავის მხრივ, დასახული ამოცანის გადასაწყვეტად უნდა შეძლოს შედარებით ეფექტიანი და შესაძლოა, ნაკლებ ხარჯიანი ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება. ხარჯებთან დაკავშირებული სირთულეების განხილვისას, აუცილებელია მხედველობაში მიღებული იქნას დამთვალეირებლბთან კომუნიკაციის დამყარებისა და მათთვის გამოფენის შინაარსის მიწოდების საკითხები. ამ დროს ყოველთვის უნდა დაისვას კითხვა – “წარმოადგენს თუ არა ასეთი გადაწყვეტა ტექნოლოგიის ეფექტიანად გამოყენებას გზავნილის გადაცემის მიზნით?”

როდესაც საწყისი ეტაპი ინტენსიური შემუშავების ხასიათს ატარებს, როდესაც განმარტებითი გეგმა მხოლოდ პროექტის სახით არსებობს, ძალზე უპირიანი შეიძლება იყოს აუდიო-ვიზუალური მონყობილობის საკითხებზე “ინტელექტუალური შეტყვის” სესიის მონყობა. ასეთი სესიის მიზანია სასურველი კომპონენტების ნუსხის შედგენა, რომლებიც აუცილებელია სტუმარზე “განმაცვიფრებელი” შთაბეჭდილების მოსახდენად. ასეთი შეხ-

ვედრის დასრულებიდან გარკვეულ დროში, შედგება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და განმარტებითი გეგმა. ამის შემდეგ, უნდა ჩატარდეს მომდევნო შეხვედრა ხარჯთაღრიცხვის მონაცემების კომუნიკაციის ამოცანებთან შეთანხმებისა და შერჩეული აუდიო-ვიზუალური სისტემის გამოფენის ბიუჯეტთან და მისი შინაარსის მნახველებისთვის მიწოდებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ჩვეულებრივია მოვლენაა, როცა სხვადასხვა სპეციალისტი აუდიო-ვიზუალური სისტემების ერთი და იმავე პრობლემის განსხვავებულ გადაწყვეტას გვთავაზობს. განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგი ძირითადი საკითხები მოითხოვს:

- იძლევა თუ არა შემოთავაზებული გადაწყვეტა გამოფენის საკომუნიკაციო დანიშნულების ნარმატებით მიღწევის საშუალებას გასაგები და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი გზით?
- ჯდება თუ არა შემოთავაზებული გადაწყვეტა ბიუჯეტში?
- აკმაყოფილებს თუ არა შემოთავაზებული მოწყობილობები შესაბამის კონკრეტულ სანარმოო სტანდარტებს, რათა შესაძლებელი იყოს მათი უწყვეტი გამოყენება მუზეუმის გარემოში?
- წარმოადგენს თუ არა შემოთავაზებული მოწყობილობა და ინტეგრირებული სისტემა, ნაცად გადაწყვეტას, თუ სისტემა მნახველისთვის გზავნილის მიწოდების ექსპერიმენტულ ვარიანტს წარმოადგენს?

თუ გამოფენის კონცეფცია და მისი შინაარსის გადაცემისთვის დაგეგმილი აუდიო-ვიდეო საშუალებები, თავიანთი ბუნებით, ექსპერიმენტული ხასიათისაა, საჭიროა სათანადო საცდელი მოდელის განხილვა. საცდელი მოდელი საშუალებას აძლევს განმარტებითი გეგმის შემუშავებელ პირს, შეაფასოს დამთვალეობის რეაქცია სიტუაციაზე და დაადგინოს, თუ რამდენად მარტივია მნახველებსა და ექსპონატებს შორის საურთიერთო ინტერფეისის გამოყენება და ნათელია მიწოდებული გზავნილი. მნახველის რეაქციის შეფასებასთან ერთად, ამ დროს შეიძლება თავად მოწყობილობის შეფასებაც, რათა განისაზღვროს, საკმარისად საიმედოა თუ არა შემოთავაზებული სისტემა დღეში 10-12 საათის და კვირაში 6 ან 7 დღის მანძილზე მუშაობისთვის.

შემოთავაზებული გადაწყვეტის გამოფენის საკომუნიკაციო ამოცანების მოთხოვნებსა და საბიუჯეტო პარამეტრებთან შესაბამისობის დადასტურების შემდეგ, შეიძლება დაიწყოს დეტალური პროექტის შემუშავება, რაც მოიცავს საჭირო მოწყობილობის სრული ნუსხის შედგენას. შედარებით რთული სამუშაოებისთვის, უნდა მომზადდეს კაბელების უწყისი, შედგეს ცალკეული სისტემების საინტეგრაციო ბლოკ-სქემა და მოწყობილობის თაროების სისტემის განთავსების გეგმა. სატენდერო დოკუმენტაცია და კონტრაქტი უნდა შეიცავდეს შემოთავაზებული აუდიო-ვიზუალური მოწყობილობის ჩამონათვალს, თითოეული კომპონენტის შესაბამის ფუნქციურ და საშემსრულებლო მახასიათებლებთან ერთად. ამავე დოკუმენტებში შეიძლება მოცემული იყოს კაბელების უწყისი, ბლოკ-სქემები და თაროების კონსტრუქციული ნახაზები, თუმცა ასევე შესაძლებელია, იგივე მასალების მიწოდება მოეთხოვოს აუდიო-ვიზუალური სისტემის კონტრაქტორს, მოწყობილობის მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ მისი წინადადების ნაწილის სახით. მონტაჟის დაწყებამდე, უნდა მოხდეს საბოლოო მუშა პროექტის ნახაზების დამტკიცება.

7.3.2 აუდიო-ვიზუალური გეგმების კოორდინირება გამოფენის სხვა კომპონენტებთან

აუდიო-ვიდეო სისტემების სპეციალისტებმა თავისი საქმიანობა მრავალი სხვა სფეროს საქმიანობებთან კოორდინირებულად უნდა აწარმოონ. სხვადასხვა დისციპლინების სამუშაოებს შორის ინფორმაციის გამართულად გადაცემის მიზნით, საჭიროა შემუშავდეს პოტენციური პრობლემებისა და აქტუალური საკითხების მომცველი კითხვარი. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ დროს განსახილველი ზოგიერთი საკითხი:

1. აუდიო-ვიზუალური სისტემის ახალ სამუშაოში შენობაში დამონტაჟებისას:

- ვინ არის სათანადო პირი მშენებელთა ჯგუფში, ვისთანაც შეიძლება დაკავშირება საჭიროების შემთხვევაში?

- ვინ არის შენობის მშენებლობის პროექტის მენეჯერი?
- ვინ არის შენობის ელექტრომომარაგების სისტემის მთავარი ინჟინერი?
- მოქმედებს თუ არა რაიმე სპეციალური წესები და ნორმები ობიექტზე მომუშავე პირების მიმართებით მონტაჟის პერიოდში, შენობის დამკვეთისთვის ოფიციალურად ჩაბარებამდე?

- ვის ეძლევა უფლება შეასრულოს კაბელების მონტაჟი? (ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი სამუშაოების წარმოების უფლება მხოლოდ სათანადოდ ლიცენზირებულ კონტრაქტორს ეძლევა და სრულიად მოსალოდნელია, რომ ობიექტზე სათანადო უფლებამოსილება მხოლოდ შენობის ელექტრომომარაგების სისტემის კონტრაქტორს ჰქონდეს)

2. აუდიო-ვიზუალური სისტემის არსებულ შენობაში დამონტაჟებისას:

- როგორ შეიძლება განანიღდეს შენობაში აუდიო-ვიზუალური სიგნალების გადაცემი და ელექტრული კაბელები?

- რამდენად არის მხედველობაში მიღებული ექსპონატების ფიზიკური საპროექტო მახასიათებლები, თითოეული ექსპონატისთვის საჭირო სიმძლავრე და სათანადო მდებარეობა ელექტროენერჯის მოსახერხებლად მიწოდებისთვის?

- შესაძლებელია თუ არა უკვე გაყვანილი კაბელების გამოყენება?

აუდიო-ვიდეო სისტემის მონტაჟის სამუშაოებს სულ უფრო მეტად ახასიათებს შეძლებისდაგვარად მაქსიმალური განდევნა. აუცილებელია, კონტრაქტორმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გამოფენის კარკასული სადგამის კონსტრუქციებით მომარაგება, წინასწარ მოიპოვოს მონყობილობის (მაგალითად, ტელევიზორის) განსათავსებელი სადგმელების კონსტრუქციული ნახაზები. თუმცა, დეტალური ნორმების აუდიო-ვიზუალური მონყობილობის შესყიდვის კონტრაქტის გაფორმებამდე მიწოდებას, თან საფრთხეც ახლავს, რადგან წინასწარი ზომები შეიძლება შეიცვალოს კონკრეტულად შერჩეულ მომწოდებელზე დამოკიდებულებით. ჩვეულებრივ, წინასწარ შერჩეული მონყობილობის მუშა პარამეტრები და დამამზადებლის ვინაობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაბამის სპეციფიკაციაში თან ახლავს სიტყვა "ექვივალენტური". თუ გამოფენა სანყისი სამაგალითო მონყობილობის საფუძველზეა დაპროექტებული, შესაძლებელია ეს მონყობილობა სრული მოცულობით შეიცვალოს, რაც გამოიწვევს სადურგლო კონსტრუქციული ნახაზების გადაკეთების ან გამოცვლის აუცილებლობას. მონყობილობის შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი ფაქტორები:

- შერჩეული მოდელის წარმოების შეწყვეტა

- გამოფენის გახსნის დროისთვის საჭირო რაოდენობის მონყობილობის მონოდების შეუძლებლობა

- იმავე ფასად შედარებით უკეთესი მუშა პარამეტრების მქონე მონყობილობის შექმნის შესაძლებლობა

- აუდიო-ვიზუალური სისტემის მომწყობი კონტრაქტორის მიერ ფასდაკლების შესაძლებლობა, სხვა დამამზადებლის მსგავსი ხარისხის (სულ ცოტა, კონტრაქტორის აზრით) საქონელში.

მჭიდრო კოორდინაცია გამოფენის დამპროექტებელსა და აუდიო-ვიზუალური სისტემის მომწყობ კონტრაქტორს შორის, აუცილებელია მონყობილობის გამოფენის ნაგებობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

დამპროექტებელთა გუნდის კიდევ ერთ წევრი, რომელთანაც საჭიროა საქმიანობის კოორდინირება, არის განათების სისტემის დამპროექტებელი პირი, რომლის როლიც წინა პუნქტში იყო აღწერილი. სავარაუდოდ, აუდიო-ვიდეო სისტემების ექსპერტს ექნება შემდეგი კითხვები:

- ვინ არის პროექტის განათების ნაწილის ავტორი?
- რა პირობები იქნა გათვალისწინებული განათების დამპროექტებლის მიერ პროექტის მომზადების პროცესში? გაეცნო თუ არა იგი წინასწარ აუდიო-ვიზუალური სისტემის მოთხოვნებს?

- არის თუ არა გათვალისწინებული რეოსტატების დამონტაჟება აუდიო-ვიზუალური მონყობილობის მართვისთვის?

- როგორ არის უზრუნველყოფილი სინათლის ინტენსიობის მართვა?
- გამოიყენება თუ არა შენობის მართვის სისტემა საერთო განათების კონტროლირებისთვის?

- როგორ ხდება გამოფენის შემადგენელი ნაწილის სახით მონყობილი განათების მართვა, გამოფენის შიგნიდან, თუ შენობის განათების სისტემის ნაწილის სახით?

- რა მოსდის განათების სისტემას ავარიული სიტუაციის შემთხვევებში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც გამოფენასთან, ასევე შენობასთან?

- რა მოსდის განათების სისტემას, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში?

გათვალისწინებული სიტუაციებისთვის მზადყოფნის უზრუნველყოფა გავლენას ახდენს, როგორც აუდიო-ვიდეო სისტემის მუშაობის გრაფიკზე, ასევე განათების საშუალებებზე. მუზეუმის აუდიო-ვიზუალური სისტემის სპეციალისტმა უნდა დასვას შემდეგი კითხვები და ეცადოს მათზე პასუხის გაცემას:

- რა მოსდის აუდიო-ვიზუალური სისტემის სამუშაო პროგრამას ავარიული სიტუაციის შემთხვევაში?

- არსებობს თუ არა ცენტრალური გამოსაცხადებელი სისტემა, რომელიც თითოეულ ექსპოზიციას მოიცავს?

- აუცილებელია თუ არა თითოეული აუდიო მონყობილობის ჩახშობა განსაკუთრებული განცხადების გაკეთების შემთხვევაში? (თუ საჭიროა, აუცილებელი იქნება შენობისა და გამოფენის აუდიო სისტემების ერთმანეთთან დაკავშირება, რათა შენობის სისტემას, ავარიული შემთხვევის სერიოზულობის მიხედვით, შეეძლოს ექსპონატის აუდიო მონყობილობის ამორთვა).

ცხადია, ასევე მნიშვნელოვანია დამოკიდებულება აუდიო-ვიზუალური ტექნიკის მიმწოდებელსა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მიმწოდებელს ან შემ-მუშავებელს შორის, რომლებიც ჩართული იქნებიან მონაცემების შერჩევის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი უხერხულობის მომენტსაც ქმნის, მათ შეუძლიათ წარ-მოადგინონ სასარგებლო ინფორმაცია საკუთარი პროგრამების მინიმალური ფუნქციური შესაძლებლობების შესახებ, ისევე როგორც თავიანთი საწარმოო მეთოდები და საბოლოო პროდუქციის ფორმები, როგორცაა კომპიუტერული კომპაქტ-დისკები, Beta-ს ტიპის კასეტები და სხვ.

გარდა ამისა, პროგრამული პროდუქტების დამამზადებლების ან მიმწოდებლებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს განათების სისტემის დამპროექტებელთან გასაუბრება. ამგვარი მოთხოვნები, აუდიო-ვიზუალური ტექნიკის მიმწოდებელსაც უნდა ეცნობოს, რათა მან სათანადოდ დაგეგმოს აუდიო-ვიზუალური სისტემა. მაგალითისთვის, თუ გამოფენაზე ექსპონატის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად ციფრული ვიდეო დისკი (DVD) გამოი-ყენება, საბოლოოდ მიწოდებული დისკის აგებულება უნდა იძლეოდეს სხვადასხვა ფაილების შერჩევის შესაძლებლობას. მონაცემების მოთხოვნების კოორდინირებას დიდ მნიშვნელობა გააჩნია გამოფენაზე გამოტანილი მასალის მნახველისთვის წარდგენის საბოლოო სახეზე.

აუდიო-ვიზუალური ტექნიკა ძალზე ჩქარა ვითარდება. პროდუქციის ციფრული სახით მიწოდების ახალი მეთოდები თითქმის ყოველკვირეულად ჩნდება. მნიშვნელოვანია მუზეუმის აუდიო-ვიზუალურმა პერსონალმა განიხილოს პროგრამების ყველაზე ახალი ვერ-სიები, რაც ხელს შეუწყობს მოცემულ სიტუაციაში ოპტიმალური მონაცემების შერჩევას, ისევე როგორც ტექნიკურ მომსახურებაზე გასანევი ხარჯების შემცირებას, რადგან შედ-ეგად, შეიძლება მოხდეს შედარებით მეტი მექანიკური ფუნქციების მატარებელი საქონლის ციფრული მიკროსქემების სისტემებით ჩანაცვლება.

7.3.3 აუდიო-ვიზუალური სისტემების ტექნიკური მომსახურების დაგეგმვა

აუდიო-ვიზუალური მონაცემების შერჩევის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს მათთ-ვის საჭირო ტექნიკური მომსახურების სამუშაოების რაც შეიძლება მინიმალური მოცულობა წარმოადგენს. მოძრავი მექანიკური ნაწილების გამოყენების საჭიროება მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. გრძელვადიან პერსპექტივაში ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ხარჯების შემცირების მიზნით, ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იყოს ნაცადი ელექტრონული ტექნიკური გადაწყვეტები, როგორცაა ციფრული აუდიო და ვიდეო მონაცემები. აუდიო-ვიზუალური სისტემების ინტეგრირების დაგეგმვის დას-რულებისთანავე, უნდა შემუშავდეს პრევენციული ტექნიკური მომსახურების პროგრამა:

- ამ პროცესში, პირველი ნაბიჯის სახით, აუცილებელია აუდიო-ვიზუალური სისტე-მების სპეციალისტმა ან კონტრაქტორმა წარმოადგინოს რეკომენდებული სათადარიგო ნაწილების ნუსხა, რომელიც საკმარისი უნდა იყოს ხუთ წლამდე ექსპლუატაციის პერიოდში სისტემის სარემონტო სამუშაოების წარმოებისთვის. ასეთი სიის შემუშავება და მონოლება გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიო-ვიზუალური მონაცემების მონოდებისა და მონ-ტაჟის კონტრაქტში. თავად სათადარიგო ნაწილები შეიძლება მონოდებული იქნას იმავე კონტრაქტორის მიერ ან ცალკე სატენდერო პროცესის შედეგად გაფორმებული სპეციალ-

ური კონტრაქტის საფუძველზე.

- მომდევნო ნაბიჯს დასამონტაჟებელი მონყობილობის ტექნიკური მომსახურების მეთოდის განსაზღვრა შეადგენს. დეფექტებზე პასუხისმგებლობის კონტრაქტის მუხლებით, კონტრაქტორს უნდა დაეკისროს დანადგარების თავდაპირველი მონტაჟისა და დამკვეთისთვის გადაცემის შემდეგ ერთი წლის მანძილზე გამოვლენილი გაუმართავი მონყობილობის შეცვლის ვალდებულება. აუდიო-ვიზუალური მონყობილობის მიმწოდებელთან გაფორმებულ კონტრაქტში, განსაზღვრული უნდა იყოს საგარანტიო მომსახურების პირობები და პერიოდი. ზოგადად, მომსახურების პირობებით უნდა დადგინდეს მწყობრიდან გამოსული კომპონენტების შეცვლის დასაშვები დრო, რათა შესაძლებელი იყოს სისტემის გამართვა და ხელახლა ამოქმედება შეძლებისდაგვარად დროის უმცირეს მონაკვეთში. მონყობილობის საგარანტიო შეცვლის კონტრაქტი უნდა მოქმედებდეს ერთი წლის განმავლობაში და მოიცავდეს მონყობილობის დადგენილ ვადაში შეცვლასთან დაკავშირებით მუშახელზე განუვლ სრულ ხარჯებს. მწყობრიდან გამოსული მონყობილობა, უნდა შეიცვალოს ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე, იმ პირობით, რომ მუზეუმში მის ექსპლუატაციას ეკიდებოდა სათანადო პასუხისმგებლობით, დამამზადებლისა და აუდიო-ვიდეო მონყობილობის მიმწოდებლის მოთხოვნების დაცვით. მუზეუმებში მომუშავე მომხმარებლებისთვის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სათანადო მოსამზადებელი კურსის ჩატარება სისტემის გამართული ოპერირების საკითხებში და მიაწოდოს მსმენელებს სათანადო ბეჭდვითი სახელმძღვანელოები.

გადანყვეტილება, თუ როგორ უნდა მოხდეს სისტემის ტექნიკური მომსახურება დეფექტებზე პასუხისმგებლობის ვადის ამონურვის მომდევნო წლებში, პროექტის განვითარების საწყის ეტაპებზევე უნდა იქნას მიღებული. ამგვარი უწყვეტი ტექნიკური მომსახურების და განსაკუთრებით, მონყობილობის მოვლაზე პასუხისმგებელი პერსონალის მზადყოფნის უზრუნველყოფისთვის, სამი გზა არსებობს:

- *სათანადო პერსონალის დაქირავება მონყობილობის ტექნიკური მომსახურებისთვის მთელს მის საექსპლუატაციო პერიოდში.* ასეთ გადაწყვეტას უპირატესობა ენიჭება, რადგან უზრუნველყოფს მონყობილობის მწყობრიდან გამოსვლისას კვალიფიციური პერსონალის ადგილზე ყოფნას. ამ შემთხვევაში, თუ საჭირო სათადარიგო ნაწილები ხელმისაწვდომია ადგილზე, სიტუაცია დღეების ნაცვლად, სულ რამოდენიმე საათში შეიძლება გამოსწორდეს, ხოლო დეფექტური მონყობილობა საჭიროების შემთხვევაში, გაიგზავნოს გასარემონტებლად. ამგვარი მუდმივი ტექნიკური პერსონალი, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მიმდინარე პროფილაქტიკური სამუშაოების წარმოებისთვის, რისი წყალობითაც სისტემის ჩავარდნები მხოლოდ იშვიათად თუ მოხდება. ასევე, თუ ამ პერსონალის ცოდნა და გამოცდილება საკმარისი იქნება, მათ შეიძლება ადგილზევე შეძლონ გაუმართავი მონყობილობის შეკეთება, რაც მოხსნის მისი ობიექტის გარეთ გაგზავნის საჭიროებას. ჩვეულებრივ, ასეთი პერსონალის ანაზღაურება შედარებით მაღალია უბრალოდ გაუმართავი მონყობილობის გამოვლენისა და შეცვლის უნარის მქონე პერსონალთან შედარებით. მუდმივ განაკვეთზე მომუშავე ტექნიკური პერსონალის შენარჩუნება კიდევ უფრო სასარგებლოა უწყვეტი განახლების პროცესში მყოფი მუზეუმებისა და სამეცნიერო ცენტრებისთვის, სადაც ხშირად წარმოებს გამოფენების განახლება, რასაც თან ახლავს შესაბამისი აუდიო-ვიზუალურ კომპონენტების ცვლა. მუდმივ პერსონალს, ასევე, შეუძლია სასარგებლო წვლილი შეიტანოს გამოფენების დაგეგმვის პროცესში, სათანადო რჩევების მიცემის,

დაპროექტებაში მონაწილეობის და შემდგომში, მონყობილობის შესყიდვისა და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების სახით.

- *ერთდროულად, მუდმივი პერსონალის დაქირავება და ტექნიკური სერვისის კონტრაქტის გაფორმება.* ეს ვარიანტი საშუალებას აძლევს მუზეუმს იყოლიოს მუდმივი პერსონალი პრობლემების გამოვლენისა და რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების წარმოებისთვის, თუმცა ამ შემთხვევაში, წინა ვარიანტთან შედარებით, გაცილებით მცირერიცხოვანი პერსონალი (სავარაუდოდ, მხოლოდ ერთი პირი) იქნება საჭირო. შესაბამისი მოვალეობები უბრალოდ მოიცავს პრობლემების წარმოშობის დროულად განჭვრეტას, შექმნილ პრობლემებზე წარმატებით და ეფექტიანად რეაგირებას და სათანადო შემთხვევებში, სერვისის კონტრაქტორის დროულად გამოძახებას მნახველების მომსახურების შეწყვეტის გამორიცხვის მიზნით.

- *კონტრაქტის გაფორმება სრულ ტექნიკურ მომსახურებაზე.* ეს მეთოდი გულისხმობს კონტრაქტორი კომპანიის მომსახურების შენარჩუნებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელშიც უნდა მოხდეს ყველა შესაძლო პრობლემის გადანყვება. სრული სერვისის კონტრაქტში, შეიძლება გათვალისწინებული იყოს პრევენციული ტექნიკური მომსახურების განწვევა, რომლის ფარგლებშიც კონტრაქტორი წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით აწარმოებს მონყობილობის ტექნიკურ შემონახვებს, რათა არ მოხდეს დამთვალეიერებელთა მომსახურების პროგრამების მიმდინარეობის შეწყვეტა. ასეთი კონტრაქტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა აუდიო-ვიზუალური მონყობილობის ტექნიკური მომსახურებისთვის მუდმივი პერსონალის შენარჩუნების აუცილებლობის მოხსნის შესაძლებლობას. მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელსაც შესაბამის დარგში გააჩნია საექსპერტო გამოცდილება, შეძლებს ადგილზევე გამოასწოროს ნებისმიერი პრობლემა. ამასთან, ამგვარ მიდგომას უარყოფითი მხარეც აქვს, რადგან ამ დროს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გარკვეულ დაყოვნებას პრობლემის გამოვლენასა და სათანადო სამუშაოების დაწყებას შორის. ეს შუალედი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, თუ მუზეუმში არ არის გამოყოფილი სპეციალური პირი, რომელიც თვალს ადევნებს ამ პროცესებს. ზოგიერთი მონყობილობის მიმნოდებელი სთავაზობს დამკვეთებს მიმდინარე სერვისის კონტრაქტების გაფორმებას და ტექნიკური მომსახურების განწვევასაც.

აუდიო-ვიზუალური მონყობილობის ექსპლუატაციის პერიოდის გახანგრძლივების მიზნით, საჭიროა გარკვეული სტანდარტული გარემო პირობების უზრუნველყოფა. კერძოდ, სამუშაო გარემო არ უნდა იყოს დამტვერიანებული, კონდიციონეროდეს და უწყვეტად მარაგდებოდეს სტაბილური ელექტროენერგიით. გარემოში, სადაც ასეთი მოთხოვნები არ სრულდება, მონყობილობის დამონტაჟება რეკომენდებული არ არის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მონყობილობის ექსპლუატაციის ვადის შემცირება. ხშირად, ახალ შენობებში დადგმული მონყობილობისთვის, აღნიშნული პირობები ნაგებობის მზადყოფნიდან მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი. შედეგად, დაწესებულების გახსნის წინასწარ გამოცხადებული თარიღის გადატანაზე უარის თქმა, გამოიწვევს მონყობილობის მუშაობის ხანგრძლივობის შემცირებას. ხშირად, აუდიო-ვიზუალური სისტემის მომწყობ კონტრაქტორს, არასაკმარისი დრო ეძლევა მონყობილობის დამონტაჟებისთვის. ასეთი პრობლემის გადასაჭრელად, სამონტაჟო სამუშაოების გარკვეული ნაწილი შეიძლება შენობის სრულ დასუფთავებამდე შესრულდეს. კერძოდ, ეს ეხება სადენების გაყვანას, მონყობილობის სამონტაჟო თაროების შიდა გაყვანილობას, მონყობილობის სადგამებზე

დამაგრებას და გამოცდას საბოლოო განთავსების ობიექტის გარეთ. ასევე, შესაძლებელია ექსპონატების საკაბელო გაყვანილობის მოწყობა და ბოლოების დროებით დაცობა, ისევე როგორც ვიდუო პროექტორის, ტელევიზორებისა და ხმის გამაძლიერებლების სამონტაჟო თაროების დადგმა.

7.4 მულტიმედია: შთაბეჭდილების გაკლიერება

მარია პიაჩენტე

გამოფენების ძირითად დანიშნულებას კომუნიკაცია წარმოადგენს, რაც მოიცავს სხვადასხვა სახის განათლებისა და ინტერესების მქონე აუდიტორიისთვის ესთეტიურობის განცდის, იდეებისა და კონცეფციების გადაცემას. მულტიმედიის საშუალებები იძლევა სრულიად ახალი დიაპაზონის კომუნიკაციების არჩევანს, რაც ხელს უწყობს მუზეუმის პროფესიონალ პერსონალს მნახველებთან ქმედითი კონტაქტის დამყარებაში.

გამოფენებზე გამოყენების მიზნებისთვის, *მულტიმედია* შეიძლება განიმარტოს, როგორც ნებისმიერი აუდიო-ვიზუალური, კომპიუტერული, ფოტოგრაფიული, ვიდუო ან ცოცხალი თეატრალური პროგრამა ან პროდუქცია. ნებისმიერი ორი ასეთი პროგრამის კომბინაცია ჭეშმარიტ მულტიმედიურ აღქმას იძლევა, თუმცა იგივე ტერმინი ხშირად მხოლოდ ერთი პროგრამის მონანილეობის შემთხვევაშიც გამოიყენება.

ვიდეო-ჩვენებას, გახმოვანებას, ანიმაციას, პროექციურებას, მოდელირებას, ჰოლოგრაფიას და სხვა ვიზუალურ ეფექტებს, შეუძლიათ სიცოცხლე შემატონ გამოფენას. გამოფენებში ტექნოლოგიური საშუალებების შემოქმედებითი გამოყენება საშუალებას აძლევს მუზეუმებს, სათანადო კონტექსტში განათავსონ არტეფაქტები და ნამუშევრები, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ძნელად გასაგებ იდეების ახსნას, გრანდიოზული ისტორიული მოვლენების ხელახლა აღმოჩენას, ინტერაქტიურობის შესაძლებლობების გაფართოებას და სათანადო აღქმის გამოწვევას მოვლენათა მოდელირების საშუალებით.

როგორც ყველა სასარგებლო ინსტრუმენტი, მულტიმედიის საშუალებებიც გამოყენებული უნდა იქნას "სწორ" კონტექსტში. ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მულტიმედია უნდა ეხმარებოდეს მნახველებს ექსპონატებთან რეალური კავშირის დამყარებასა და მათ კონცეპტუალურ გააზრებაში. გულმოდგინედ შემუშავებული მუზეუმის საინტერპრეტაციო გეგმის გარეშე, რიგი ექსპონატების მაღალტექნოლოგიურად წარმოჩენა, (როდესაც გაურკვეველია, თუ როგორ შეძლებს ექსპონატები გამოფენის შესახებ მნახველების ცოდნისა და შთაბეჭდილების გაღრმავებას), საბოლოოდ იძლევა მხოლოდ ძვირადღირებულ, მაღალი ტექნიკური შესრულების მექანიზმების გამოფენის განცდას, რომლებიც ვერ შეძლებს სათანადო კონტაქტის დამყარებას დამთვალიერებლებთან და შედეგად, უარყოფითადაც კი შეიძლება იმოქმედოს მათ მიერ საგნის აღქმაზე. მართლაც, უადგილო ტექნიკას შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მნახველების მიერ გამოფენის გააზრებასა და სასიამოვნო შთაბეჭდილების შექმნაზე.

სათანადოდ ინტეგრირებული მულტიმეტდიის სტრატეგიული გამოყენების მაგალითს წარმოადგენს ფილიპინების ეროვნული მუზეუმის მუდმივი საგამოფენო კოლექცია "ფილიპინელი ხალხის ამბავი", რომელიც დაიგეგმა კომპანიის Lord Cultural Resources კონსულტანტების მიერ წინამდებარე პუნქტის ავტორთან ერთად:

- ხმოვანი ეფექტები, რომლებიც გამოიყენება ვულკანის, სამარხების და უძველესი

პერიოდის სამსხვერპლოების ამსახავი დიორამების გასაცოცხლებლად, მნახველების უძველესი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და ადგილებში ვირტუალური გადაადგილების საშუალებით

- ანიმაციური, ინტერაქტიური სენსორული ეკრანის საშუალებით, დამთვალეირებლებს შეუძლიათ ნახონ, თუ როგორ ხდებოდა ფილიპინების კუნძულების ფორმირება, გაეცნონ ქანების გეოლოგიურ აგებულებასა და სხვა გრაფიკულ მასალებს, ასევე, სხვა გეოლოგიურ კონცეფციებს

- "ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო" მრავალი ამბის წარმოდგენისთვის, გამოფენაზე განთავსებულია სხვადასხვა ვიდეო და აუდიო პროგრამების გასაშვები მონაცემები

- ოპტიკურ-ბოჭკოვანი განათების სისტემებით ხდება რუკების გაცოცხლება და თვალნათლივ ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში სავაჭრო ქარავნების გადაადგილების მარშრუტები

- "სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე მანქანა", წარმოადგენს ფილიპინური ენის მრავალფეროვან ხასიათს, რომელიც 80-ზე მეტი დიალექტისგან შედგება.

ასეთ პროექტებზე მომუშავე მულტიმედია-სისტემების დამპროექტებლებმა საკუთარ თავს უნდა დაუსვან შეკითხვები, თუ რატომ არის საჭირო მულტიმედიის გამოყენება და რისი მიღწევაა შესაძლებელი მისი მეშვეობით. "ფილიპინელი ხალხის ამბის" გამოფენის შემთხვევაში, თითოეული მულტიმედია-კომპონენტი საინტერეპრეტაციო დაგეგმვის პროცესშივე დაიგეგმა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო შერჩეული მულტიმედია-საშუალებების შესაფერისობა გამოფენის საერთო ფაბულასთან, ხოლო სრულ ბიუჯეტში აისახა შესაბამისი სისტემის დაპროექტებისა და მონტაჟის ხარჯები (იხილეთ ცხრილი 7.2).

მულტიმედია-სისტემის გამოყენების შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს გამოფენის კონცეფციის შემუშავების პროცესში, კერძოდ:

- **პრიორიტეტულობა:** პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბიუჯეტთან და გამოფენის ფაბულის მოთხოვნებთან მულტიმედიის შესაბამისობას. ერთ ან ორ კარგად დაპროექტებულ ვიდეომონტაჟს ან ინტერაქტიურ ეკრანს უფრო ძლიერი ეფექტი აქვს, ვიდრე არასათანადოდ დაპროექტებულ უამრავ აპარატს. დამგეგმავებისთვის უპირველესი უნდა იყოს კითხვა:

- თუ შეეფერება კონკრეტული კომპიუტერული პროგრამა გამოფენის მოთხოვნილებებს, მუზეუმის მისიას და პოლიტიკას?

- რომელი კომპიუტერული პროგრამებია საკვანძო მიმდინარე პროცესისთვის და რომელთა ამოღებაა შესაძლებელი?

- **ხელახალი გამოყენება:** კომპიუტერული პროგრამების ხელახალი რედაქტირება, პაკეტების შემადგენლობის შეცვლა და ადაპტირება მრავალი შემოქმედებითი გზითაა შესაძლებელი და ნაკლებად ხარჯიანია ახალი პროდუქტის შექმნასთან შედარებით. ხარჯების კონტროლირებისა და წარმატების მიღწევისთვის, გამოიყენეთ ფართოდ გავრცელებული ფორმატები და პოპულარული პროგრამული პროდუქტები. მულტიმედია-ექსპონატს, განსაკუთრებულ ელფერს სწორედ სპეციალურად შემუშავებული მონაცემები და გულმოდგინედ გააზრებული პროგრამა აძლევს

- **ექსპერიმენტი:** მეორეს მხრივ, მუზეუმისთვის ასევე ცნობილი უნდა იყოს ტექნიკის უახლესი მიღწევები და სანარმოო მეთოდები. არ შეგუწინდეთ გარკვეული სიახლეების

გამოყენების

- **ხელმისაწვდომობა:** მრავალი სპეციალიზებული პროგრამა და მონყობილობა, არ არის შესაფერისი მცირე დაწესებულებისთვის. გამოფენის დამგეგმვაებმა უნდა გაითვალისწინონ ან შეიშუშავონ კონკრეტული გამოფენისთვის სპეციფიური აუდიტორიის მახასიათებლები და განსაზღვრონ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს ამ აუდიტორიამ შეთავაზებული პროგრამები. ასევე, მათ უნდა შეაფასონ შიდა რესურსების ხელმისაწვდომობა – ტექნიკური მომსახურების ხარჯების, პერსონალის დროისა და კვალიფიკაციის ჩათვლით, რაც საჭიროა პროგრამული პროდუქტებისა და მონყობილობის ექსპლუატაციისთვის.

- **საავტორო უფლებები:** მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროგრამების შემუშავებისას გამოსაყენებელი გამოსახულებების, სიტყვების და სხვა მასალების საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები, შესაბამისი საავტორო უფლების ან ნებართვის მოპოვებისთვის გასანევი ხარჯების და მათ გამოყენებაზე დაწესებული შესაძლო შეზღუდვების ჩათვლით. ყოველივე ეს დაგეგმვის სანყის ეტაპზე უნდა მოხდეს.

- **ხარჯები:** საინტერპრეტაციო პროცესის შემადგენელი ნაწილის სახით შემუშავებული მულტიმედია-საშუალებები შეიძლება უაღრესად მძლავრ, მაგრამ იმავდროულად ძალზე ძვირადღირებულ ინსტრუმენტს წარმოადგენდეს. ფართობის ერთეულზე გათვლილ ხარჯებს, შეიძლება ფართო დიაპაზონი ჰქონდეს, თუმცა მულტიმედიის ღირებულება გამოფენის ბიუჯეტის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კომპონენტს წარმოადგენს. ამ კუთხით, პრაქტიკული თვალსაზრისით, შეიძლება განხილული იქნას ერთეული ხარჯების შემდეგი შუალედები:

- მულტიმედია-საშუალებებით მჭიდროდ/ინტენსიურად დაფარული გამოფენები = 350 აშშ დოლარი/კვ. ფუტი (3,780 დოლარი/მ²)
- მულტიმედია-საშუალებებით ზომიერად დაფარული გამოფენები = 250 აშშ დოლარი/კვ. ფუტი (2,700 დოლარი/მ²)
- მულტიმედია-საშუალებებით მეჩხერად დაფარული გამოფენები = 140 აშშ დოლარი/კვ. ფუტი (1,500 დოლარი/მ²)

ხარისხი: მუზეუმებმა თანხების ინვესტირება მხოლოდ საიმედო ტექნიკასა და მაღალი ფასეულობის მქონე პროდუქტებში უნდა მოახდინონ. გამოიყენეთ ნაცადი მონყობილობა და პროგრამული პროდუქტები. მდარე ხარისხის პროდუქციას ყველაზე მაღალი ხარისხის შინაარსის გაუფერულება შეუძლია. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ჭეშმარიტებად რჩება გამოთქმა:

მთავარია შინაარსი!

ნებისმიერი მულტიმედია-პროდუქციის გულს მისი შინაარსი წარმოადგენს. როგორც კულტურული ობიექტების და ინფორმაციის უნიკალურ საცაეები, მუზეუმები შემოქმედებითი ხარისხის პროგრამული პროდუქტების შემუშავების კუთხით, საუკეთესო პოზიციაში იმყოფებიან. ამ პოტენციალის რეალიზაციის მიზნით, მულტიმედიურ საგამოფენო კომპონენტებს გულმოდგინე დაგეგმვა სჭირდება, რაც შემდეგ პროცესებს მოიცავს:

- სცენარის დამუშავება
- საილუსტრაციო კადრები
- საბოლოო სცენარი

ამიტომ, მულტიმედიური ექსპონატების შინაარსის შემუშავება საკმაოდ ემსგავსება მთლიანად სამუზეუმო გამოფენის შინაარსის შემუშავებისა და საინტერპრეტაციო დაგეგმვის პროცესს.

7.4.1 სცენარის დამუშავება

მულტიმედია-პროგრამის სცენარის დამუშავება უჩვენებს, თუ როგორ უნდა შემუშავდეს პროგრამული პროდუქტი, რამდენადაც ამ პროცესში მკაფიოდ განისაზღვრება თუ როგორი იქნება პროგრამა, რა როლი ექნება გამოფენაზე და როგორ მოხდება მისი და სტუმრების ურთიერთქმედება. უმარტივეს ხმოვან ეფექტებსაც კი, რომლებიც გამიზნულია ატმოსფეროს გასამდიდრებლად, უნდა გააჩნდეს შესაბამისი სცენარი, ნათლად მოცემული ამოცანებით. სცენარი უნდა შემუშავდეს სამუზეუმო დარგის პროფესიონალების მიერ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული საგამოფენო და საინტერპრეტაციო დაგეგმვის პროცესში. სცენარში უნდა განიმარტოს:

- საკომუნიკაციო ამოცანები
- გამოხატვის საშუალებები
- სცენარის მიმოხილვა/აღწერა
- მულტიმედია-პროგრამის პროცესის მიმდევრობითი სქემა.

7.4.1.1 საკომუნიკაციო ამოცანები

როგორია ძირითადი გზავნილები ან გათვითცნობიერების ამაღლების შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას მულტიმედიური პრეზენტაციის საშუალებით? ეს ამოცანები განსაზღვრავს არსს და ძირითად საყურადღებო საკითხებს, რომელთა მხედველობაში მიღებაც აუცილებელია სცენარის შემუშავებისა და საილუსტრაციო კადრების მომზადების პროცესში, ისევე როგორც გამოსახულებითი, მუსიკალური და სპეციალური ეფექტების შერჩევისას. პროცესის მსვლელობისას, რეგულარულად უნდა წარმოებდეს ამ ამოცანებთან ინტეგრაცია, რათა განისაზღვროს საბოლოო პროგრამული პროდუქტისა და დასახული მიზნების შესაბამისობა.

საკომუნიკაციო ამოცანები მარტივად და მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს, ამასთან, თითოეული მულტიმედია-პროდუქტისთვის მათი რაოდენობა სამ-ოთხს არ უნდა აღემატებოდეს. ზედმეტი ამოცანები კი თავიდანვე განაპირობებს გაფანტული და დამაბნეველი მულტიმედია-პროდუქტის შემუშავებას. არაფერი ისე არ ანზილებს მნახველებს, ვიდრე პროგრამები, რომლებიც "მათ არ ესმით". ამიტომ, საკომუნიკაციო ამოცანები გამიზნული უნდა იყოს:

- აუდიტორიაზე
- შეგრძნებებზე
- მთავარ შინაარსზე ან საგანზე, რომელიც გასაგები უნდა იყოს აუდიტორიისთვის
- სასწავლო მასალის მიწოდების ფორმაზე.

7.4.1.2 გამოხატვის ფორმები

მულტიმედიური სახის გამოხატვის საშუალებები, განსაზღვრავს ამოცანების მომხმარებლებისთვის მიწოდების საერთო მეთოდს. სცენარის დამუშავების ამ ნაწილში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

• როგორი იქნება პროგრამა, ფიქსირებულ-თანმიმდევრობითი აუდიო/ვიდეო პრეზენტაცია, თუ არაფიქსირებულ-თანმიმდევრობითი, მნახველის მიერ კონტროლირებადი პროგრამა?

• როგორი იქნება მნახველის აღქმა – პასიური თუ ინტერაქტიური?

• ფილმის გაშვება მოხდება ოპერატორის თუ მნახველის მიერ?

• პრეზენტაციისთვის გამოყენებული იქნება არსებული ფილმები, ვიდეორგოლები და ანიმაცია, თუ ამ მიზნით საჭირო იქნება ახალი ფილმის გადაღება?

• რომელი ენები იქნება გამოყენებული?

გამოხატვის საშალებების აღწერა, უნდა მოიცავდეს ისეთი სპეციალური ეფექტების განხილვას, როგორცაა ხმოვანი გაფორმება, განათება, სუნი და კვამლი, ასევე წრფივი პრეზენტაციების ხანგრძლივობა. გამოხატვის საშალებების განხილვისას, განისაზღვრება მულტიმედია-პროგრამისთვის საჭირო მოწყობილობა, პროდუქციის წარმოების ხარჯები და შესრულებისთვის საჭირო რესურსები.

7.4.1.3 სცენარის მიმოხილვა/აღწერა

სცენარის მიმოხილვაში აღწერილია საბოლოო სცენარი და საილუსტრაციო კადრები, ისევე როგორც ნაჩვენებია, თუ როგორც გამოიყენებენ პროგრამას მაცურებლები და რას მიიღებენ ისინი პროგრამისგან. აუცილებელია მულტიმედია-პრეზენტაციის შემადგენელი ნაწილების მიმდევრობის წარმოდგენა.

7.4.1.4 მულტიმედია-პროგრამის პროცესის მიმდევრობითი სქემა

სცენარის მიმოხილვასთან დაკავშირებული პროცესის მიმდევრობითი სქემა, მოიცავს როგორც წრფივ და არანრფივ, ასევე კონტროლირებად და არაკონტროლირებად პრეზენტაციებს. აღნიშნული სქემა აჯამებს და ალაგებს მულტიმედია-პროდუქტის შინაარსსა და საჭირო რესურსებს, ამასთან, უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტის მოქმედებათა გონივრულ თანმიმდევრობას. პროცესის მიმდევრობითი სქემები განმარტავს საილუსტრაციო კადრებს და ხელს უწყობს სცენარის შემუშავებას.

დამატებითი დეტალები მოცემულია მომდევნო მაგალითში, რომელშიც წარმოდგენილია ერ-რიადში არსებული საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმისთვის კომპანია Lord Cultural Resources Planning and Management მიერ (ამ პუნქტის ავტორთან ერთად) შესრულებული სცენარის დამუშავების პროცესი. ინტერაქტიური ვირტუალური ვიზიტები ძირითადად ამ სცენარში აღწერილი სახით დამზადდა კომპანია Lunny International Group Inc-ის მიერ და 1999 წლის იანვარში ახალი მუზეუმის გახსნის დღიდან, შეადგენს მის წარმატებულ კომპონენტს.

7.4.2 საილუსტრაციო კადრები

საილუსტრაციო კადრები წარმოადგენს სცენარის ვიზუალურ აღწერილობას, რომელიც შემუშავებულია საბოლოო სცენართან ერთად, თითოეული კადრის მიხედვით. საილუსტრაციო კადრები ხელს უწყობს პროგრამული პროდუქტის გამოსახულებების გარჩევასა

საილუსტრაციო სცენარის დამუშავება საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმისთვის

გალერეა: 2.0 მოგზაურობა უძველესი არაბული საემიროების ისტორიაში სცენარის დამუშავება

საკომუნიკაციო ამოცანები:

- ვირტუალური ვიზიტების შემუშავება საუდის არაბეთის სამ ძირითად/წარმომადგენლობით არქეოლოგიურ ობიექტზე: "თაიმა", "ქარიათ ალ-ფავი" და "მადან სალეჰი".

- ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის (6+) გასაგები ინტერაქტიური აღქმის შემუშავება

- თითოეული ვირტუალური ვიზიტი შესაძლებლობას მისცემს მნახველებს მოიძიონ სხვადასხვა არქიტექტურული ფორმები, არქეოლოგიური აღმოჩენები და მათი ინტერესისა და განსწავლულობის დონეების მიხედვით, მიიღონ ინფორმაცია ანტიკური ხანის ადამიანებისა და ცივილიზაციების შესახებ.

გამოხატვის საშუალებები

- დამოუკიდებელი, მნახველის მიერ აქტივირებადი, ინდივიდუალური პრეზენტაციები

- სენსორული ეკრანები, რომლებიც მნახველს აძლევს სხვადასხვა თემატიკის ეკრანზე გამოყვანის საშუალებას

- ანიმაციური საილუსტრაციო კადრები, რომელიც მოიცავს როგორც არსებულ მარაგებს (80 პროცენტი), ასევე ახალ ვიზუალურ მასალებს (20 პროცენტი)

- პროგრამისთვის სპეციალურად ახლად შემუშავებული ხმოვანი ეფექტები და მუსიკა

- კომენტარები და ტექსტური მასალები

- ორი ენის არჩევის შესაძლებლობა: ინგლისური და არაბული.

სცენარის მიმოხილვა/აღწერა

სამი ვირტუალური ვიზიტიდან, თითოეული მოიცავს ინტერაქტიური ელემენტების შემდეგ ორ მთავარ მიმართულებას:

- **ანიმაციური ვირტუალური ვიზიტი:** მნახველები, ნავიგაციის ლილაკების საშუალებით გადაადგილდებიან ობიექტის ვირტუალური რეკონსტრუქციის პროცესში. ამ დროს, მათ შეუძლიათ შეჩერდნენ რომელიმე არტიფაქტზე ან არქიტექტურულ ელემენტზე და მიიღონ მათ შესახებ უფრო სრული ინფორმაცია.

- **ფონური ინფორმაცია:** ეკრანზე გამოკვეთილად ნაჩვენებ ტერმინებზე ან ფრაზებზე შეხების გზით, სტუმრებს შეუძლიათ მიიღონ ზოგადი ინფორმაცია ობიექტის შესახებ, მისი არქეოლოგიური და კულტურული მნიშვნელობის ჩათვლით.


ვირტუალური ვიზიტები განხორციელდება შემდეგ სამ ობიექტზე: თაიმა, მადან სალეჰი და ქარიათ ალ-ფავი.

თაიმა: თაიმას ინტერაქტიური ტურის მთავარ ელემენტს წარმოადგენს ვირტუალური ვიზიტი არქეოლოგიურ ობიექტზე, რომლის დროსაც მონაწილეებს მიეცემათ სხვადასხვა არქიტექტურული ელემენტების გაცნობის შესაძლებლობა, ქალაქის კედლის, სასაფლაოს და ბაბილონელთა ქალაქის ჩათვლით. ეკრანის ფონზე გამოყვანილი სენსორების საშუალებით, მნახველებს შეეძლება მეთი გაიგონ თაიმას ბაბილონური და მედიანური კულტურების შესახებ.

ქარიათ ალ-ფავი: ქარიათ ალ-ფავის ინტერაქტიური ტურის მთავარ ელემენტს წარმოადგენს ვირტუალური ვიზიტი ქალაქის ბაზრის ობიექტზე, რომლის დროსაც მონაწილეებს შეეძლებათ სხვადასხვა შენობებისა და ოთახების დათვალიერება და შესაბამისი ისტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელი საგნების გაცნობა. სხვა ინტერაქტიური საშუალებების გამოყენებით, სტუმრები შეძლებენ მეტი გაიგონ კინდას სამეფოს, მისი ყოველდღიური ცხოვრების და საეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

მადან სალეჰი: მადან სალეჰში მონაწილე ვირტუალური ტური მოიცავს ნაბათიელებსა და მადან სალეჰის ობიექტთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გაცნობის შესაძლებლობებს. ტურის მთავარი კომპონენტია ვირტუალური ვიზიტი ობიექტზე, რომლის დროსაც სტუმრებს შეუძლიათ გადაადგილდნენ და შეისწავლონ მადან სალეჰის სამარხი. ინტერაქტიური ვიზიტის დროს, ასევე შესაძლებელია ობიექტისა და ნაბათიელი ხალხის შესახებ ზოგადი გამოსახულებებისა და ინფორმაციის მოძიება. 7.5 ნახაზზე ნაჩვენებია მადან სალეჰში ვირტუალური ვიზიტის მიმოხილვითი სქემა.

ნახაზი 7.5: მადან სალეჰში არანრფივი ინტერაქტიური ვირტუალური ვიზიტის პროცესის მიმდევრობითი სქემა. საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმი. ერ-რიადი.



და აღქმის გაუმჯობესებას, ასევე, ვიზუალურად ავსებს პროცესის მიმდევრობით სქემას. საილუსტრაციო კადრები განმარტავს შესაბამისი სცენარის გადმომცემი გამოსახულებითი მასალის სტილს, ფერებს და გამოყენებას. საილუსტრაციო კადრების დამზადებამ შეიძლება დიდი ხარჯები მოითხოვოს და არ იყოს შესაფერისი ყველა სახის მულტიმედიის პროდუქტივისთვის.

7.4.3 სცენარი

საბოლოო სცენარი მოიცავს ყველა ხმოვან და ეკრანზე გამოსაყვან ტექსტს, გამოსახულებებსა და ხმოვან ფაილებთან ბმულებს, სარედაქციო შენიშვნებს და პროგრამის თითოეული სეგმენტის (თუ გათვალისწინებულია) გაშვების დროს. იგი წარმოადგენს დაგეგმვის პროცესის კულმინაციას და საბოლოო პროდუქტის შექმნის სახელმძღვანელოს.

მულტიმედიის პროგრამების სცენარები სატელევიზიო და კინემატოგრაფიული პროდუქციის სცენარის მსგავსია. საბოლოო სცენარი განისაზღვრავს კონტროლს მთელს საწარმოო პროცესზე და უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა პირის სათანადოდ ჩართვას, – კადრების გადაღებაზე, რედაქტირებაზე, კომპიუტერული პროგრამის შემუშავებაზე და გახმოვანებაზე პასუხისმგებელი პირების ჩათვლით და ზუსტად განუსაზღვრავს მათ, საბოლოო პროდუქტის დამზადებისთვის აუცილებელ ამოცანას.

ამ ნაწილის ბოლოს წარმოვადგენთ საბოლოო სცენარის ორ მაგალითს:

- პირველი, წარმოადგენს ინტერაქტიური კომპიუტერული პროგრამის სცენარს, რომლის დამზადებთაც დასრულდა წინა მაგალითში აღწერილი სცენარის შემუშავების პროცესი საუდის არაბეთის ეროვნულ მუზეუმში. სცენარი დაწერილია კომპანია ორდ ჩულტურალ ლესოურცეს მიერ. შესაბამისი პროგრამა მომზადდა კომპანია Lunny Communications Group Inc-ის მიერ.

- მეორე მაგალითია ნყალქვეშა არქეოლოგიის შესახებ დამზადებული ვიდეო პროგრამა, რომელიც წარმოადგენდა მანილაში მდებარე ფილიპინების ეროვნული მუზეუმის გამოჭენის ნაწილს სათაურით "ფილიპინელი ხალხის ამბავი". მისი სცენარიც კომპანიამ Lord Cultural Resources Planing and Management შეიმუშავა (ამ პუნქტის ავტორის მონაწილეობით), ხოლო თავად პროგრამა მომზადდა მანილაში კომპანია Tracks-ის მიერ.

**მადან სალექში ინტერაქტიური ვირტუალური ვიზიტის საბოლოო სცენარი
საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმი, ერ-რიადი**

A. სამარხის ფასადი (ექსტერიერი):

თვალის გადავლება: მადან სალექის ოქროსფერი ქვიშით დაფარულ ხეობაში, კლდეებში, 80-ზე მეტი მონუმენტური პროპორციების მქონე სამარხია გამოჭრილი. მადან სალექის ნაბათიანელთა სამარხების წყალობით, რომლებიც ბერძნული და რომაული კულტურების გავლენის ნიშნებს ატარებენ, ეს ანტიკური ქალაქი შუა აღმოსავლეთის ყველაზე სახელგანთქმულ ობიექტებს განეკუთვნება.

სარედაქციო შენიშვნა: შესაძლებელია ამ ობიექტის ინტერაქტიური წარმოდგენის ხარისხის გაზრდა ობიექტზე მნახველების ვირტუალური გადაადგილების მეტი კონტროლის ქვეშ მოქცევის საშუალებით, ან ვირტუალური ვიზიტი შეიძლება განხორციელდეს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მოდელში, სადაც გადაადგილება მნახველებისგან დამოუკიდებლად იმართება და ინტერაქტიურობა მხოლოდ "გაგრძელების" ("continue") ლილაკებზე დაჭერით შემოიფარგლება. საკონტროლო ბრძანებების რაოდენობის გაზრდას ან სენსორებიანი ეკრანის შესაძლებლობების გაფართოვებას, შეუძლია მეტი დამოუკიდებლობა მისცეს მნახველებს წარმოდგენილი მასალის დათვალიერებისას.

ვიდეო/ანიმაციური წარმოდგენა: ვიზიტი უნდა დაიწყოს ხეობის შორი მანძილიდან ფართო პერსპექტივის გაშუქებით, რის შემდეგაც უნდა მოხდეს სამარხის უბანზე გადასვლა. თვალის გადავლების რეჟიმი სრულდება სამარხთან მიღწევის შემდეგ. თვალის გადავლების დროს გაჟღერდება ზემოთ მოცემული დიქტორის ტექსტის პირველი ნაწილი, რომელიც ქვემოთ მოცემული სტრიქონებით შეიცვლება:

B. სამარხის წინ: *ნაბათიელი ქვის ოსტატები სამარხებს ჭრიდნენ მადან სალექის ქვიშაქვის ქანებისგან შედგენილ კლდეებში. თითოეული სამარხი ერთ ოჯახს ეკუთვნოდა და მოიცავდა შიდა კედლებში გამოკვეთილ სამახრ კამერებს ოჯახის გარდაცვლილი წევრებისთვის.*

სარედაქციო შენიშვნა: ამ მომენტიდან იწყება ინტერაქტიური ჩვენება

ვიდეო/ანიმაციური წარმოდგენა: ქვემოთ აღწერილი თითოეული ელემენტი ისე იქნება მოდელირებული, რომ მონაწილეებმა ახლოდან შეძლონ მათი დათვალიერება.

შესასვლელი: სამარხის შესასვლელი თავდაპირველად დახურული იყო ხის ორფრთიანი კარით, რომელიც ხის ურდულებით იკეტებოდა. შესასვლელს მივყავართ ქვიშაქვის კლდეში გამოკვეთილ კვადრატული ფორმის სამარხ კამერაში.

პილასტრები: ხშირად, სამარხის ფასადზე, კარის ორთავე მხარეს, გამოყვანილია კვადრატული პილასტრები (სვეტები), რომელიც ტრადიციული ნაბათიული კაპიტელითაა დამშვენებული. ეს კაპიტელები ფრინველის შემართულ ფრთებს წააგავს, ბუმბულის და სპირალის მოტივებით.

საფეხურებიანი პირამიდული წყობა: ნაბათიელების სამარხების გამორჩეულ არქიტექტურულ თავისებურებას "დაღმავალ-საფეხურებიანი პირამიდული" ან "საფეხუროვანი" წყობა წარმოადგენს. ნაბათიელებს პირველებს არ დაუწყიათ ასეთი დეკორატიული მოტივის გამოყენება, რადგან იგი საუკუნეებით ადრე აშენებული ასირიული შენობებისთვის გამოიყენებოდა.

კარის ზემოთ გამოსახული დეკორატიული ელემენტები: სამარხების კარის თავზე

ხშირად გამოკვეთილი იყო ყვავილები, სარკოფაგები, ნიღბები, მითიური ქვენარმავლები და არნივები. სავარაუდოა, რომ არნივი წარმოადგენდა ნაბათიელთა მფარველ ღმერთს – დაშურას და ალბათ, სამარხის მძარცველებისგან დასაცავად იყო გამოსახული.

მემორიალური დისკო: სამარხის საინტერესო ელემენტს კარის თავზე ამოტვიფრული მცირე ზომის მემორიალური დისკო წარმოადგენს. ამ დისკოზე გამოსახულია სამარხის მეპატრონისა და მშენებელი ოსტატის სახელები და ვედრება დაშურასადმი სამარხის ნაბილნვისგან დაცვის შესახებ. ამ წარწერებში ხშირად გამოყენებული იურიდიული ტერმინები და დამსჯელი ღონისძიებები ადასტურებს ნაბათიურ საზოგადოებაში სავაჭრო ურთიერთობების მაღალ დონეს.

აუდიო წარმოდგენა: ხმა იცვლება დეკორატიულ დისკოზე გაკეთებული წარწერის ნაკითხვაზე გადასვლის ასახვისთვის:

“ეს სამარხი და მისი შემადგენელი ნაწილები აგებულია თაიმას მკვიდრის ჰუსაბუს, ალკუფის მემკვიდრე ნაფირის ძის მიერ, საკუთარი თავისთვის და მისი შვილების და დედის – ჰუბუს, დების – ფუფუს და აფთიუს და მათი შვილებისთვის. იგი წმინდაა მარადის, ნაბათიელთა და სალამინიანთა წმინდა ადგილების განმარტების შესაბამისად. და დაშურა დაწყევის ამ სამარხში დამარხულ ყველა ადამიანს, ზემოაღნიშნული პირების გარდა, ასევე იმათ, ვინც გაყიდის, იყიდის, დაავიარავებს, გააქირავებს ან გადასცემს ან მიიღებს ამ სამარხს. ყველას, ვინც დაარღვევს ზემოთ მოცემულ პირობებს დაეკისრება პასუხისმგებლობა დაშურას წინაშე 1000 დრაჰმის სრული ოდენობით და ასევე, პასუხს აგებს ჩვენი პატრონის, მეფე ჰარეტატის წინაშე. თავისი ხალხის მოსიყვარულე, ნაბათიელთა მეფე ჰართათის მე-13 წლის შუბათის თვე”.

С. ინტერიერი:

ვიდეო/ანიმაციური წარმოდგენა: ახლა, ფასადის დათვალიერების შემდეგ, მონაწილეებს შეუძლიათ შევიდნენ სამარხში. საჭიროა გარკვეული მინიშნება, რომ მონაწილეებმა ნახეს და გააკეთეს ყველაფერი სამარხის გარეთ და ახლა შეუძლიათ გააგრძელონ გზა.

შიდა კამერა: ნაბათიელთა სამარხების შიდა სამარხი კამერები არ არის ისეთივე გულმოდგინედ ნაკვეთი, როგორც ფასადები. ამ კვადრატული ფორმის კამერების კედლებში ამოჭრილია მართკუხუთხა განივკვეთის სამარხები. ზოგიერთ სამარხ კამერებში განთავსებული იყო კედლებში შეღრმავებული მოზრდილი ნიშები, რომლებიც “ლოკულის” სახელით მოიხსენიება. ამ ნიშების სიღრმე დაახლოებით ორ მეტრს შეადგენდა, ხოლო მათში მონყობილი იყო თაროები ან საფლავები მიცვალებულის ჩასასვენებლად.

ვიდეო/ანიმაციური წარმოდგენა: გადაადგილება საფლავების მიმართულებით. ფილა გადაცურდება (შესაბამისი ხმოვანი ეფექტებით) და გამოჩნდება სხეული საფლავში ჩატანებულ ზოგიერთ საგანთან ერთად.

სამარხის წარჩენები: საფლავებს იატაკშიც ჭრიდნენ და ზევიდან ქვის ფილებს აფარებდნენ. ნაბათიელები მიცვალებულს, საფლავში ჩასვენებამდე, ტანსაცმელში ახვევდნენ. სავარაუდოდ, სამარხებში სხვადასხვა საგანი, მათ შორის – თიხის ნაკეთობები, უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათი ნახვა ვერ მოხერხდა, რადგან სავარაუდოდ, ეს ნივთები ანტიკურ ეპოქაშივე მოიპარეს.

ცხრილი 7.2: წყალქვეშა არქეოლოგიის ვიდეო პროგრამის სცენარი ფილიპინების ეროვნული მუზეუმი, მანილა

საარღვეო მუშაობები: წარმოდგენილია მიახლოებით დაყოფილი ნაწილების სახით. აუდიო- ვიზუალური სამუშაოების კონტრაქტორმა უნდა დააზუსტოს სცენარი და შეარჩიოს ზუსტად შესაფერი კადრები

დიქტორის ტექსტი	აუდიო ეფექტები	ვიდეო ჩვენება
<p>ზღვებისა და წყლის სხვა ობიექტების შესწავლამ, შესაძლებელი გახადა წარსული კულტურების ამსახველი სურათების გამოვლენა. წყალქვეშა არქეოლოგია რთული და ძვირადღირებული საქმიანობაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ სამუშაოებში დიდი რაოდენობის არქეოლოგების მონაწილეობის აუცილებლობაზე, რომლებსაც, წყალქვეშა სკაფანდრებისა და სხვა სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით, დიდ სიღრმეზე საათობით მუშაობა უხდებათ. ფილიპინების არქიპელაგმა კაცობრიობას მისცა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი გათხრები, 600-ზე მეტი წლის წინანდელი საზღვაო კატასტროფების აღმოჩენები.</p>	<p>აბორიგენთა მუსიკა</p>	<p>დანყება კუნძულების ფართო ხედებით (14:00-20:00) გადასვლა წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოების საერთო ხედების კადრებზე (9:17:00-9:50:00) შეარჩიეთ წყალქვეშა სცენების ნებისმიერი მეტრაჟი</p>
<p>ამაღლებელი აღმოჩენა მოხდა კუნძულ პალავანის საზღვრით მიმდებარე მცირე კუნძულებს შორის. მარგალიტების მაძიებელთა ჯგუფი წააწყდა მარჯნისა და ქვიშაქვის ზედაპირებზე ამოტიფრულ უჩვეულო ფორმებს. ასე აღმოაჩინეს ჩაძირული ხომალდი.</p>	<p>გრძელდება აბორიგენთა მუსიკა</p>	<p>კუნძულებისა და სანაპირო ზოლის ხედები (30:00-33:00) კადრები ბადჯაოს ხედი, მარგალიტებით და მოხატული დოქების უცარი აღმოჩენით (55:50-1:08:18/4:26:00-4:38:00)</p>
<p>ობიექტის გათხრები შეასრულეს ეროვნული მუზეუმის წყალქვეშა არქეოლოგებმა, კომპანია ცოფარმ შესტემს ნცოპორატედ-ის მყვინთავებთან თანამშრომლობით. კატასტროფის გამოკვლევისთვის მათ მოაწყვეს ბანაკი კუნძულ პანდანანზე, რის შემდეგაც თავად არქეოლოგიურ ობიექტსაც ამ კუნძულის სახელი დაერქვა.</p>	<p>მუსიკა იცვლება სათადავგადასავლო მოტივზე შექმნილი მუსიკით</p>	<p>კადრები არქეოლოგების ნავით, რომელიც მიცურავს კუნძულ პანდანანისკენ (5:04:08-4:11:00)</p>
<p>პანდანანის ობიექტზე ჩაძირული გემის და მისი ტვირთის ამოღების მიზნით, აიგო სამი ტივი, რომლებზეც განთავსდა მოტივტივე ბაზა. ბაზაზე დამონტაჟდა უნგაბადის ბალონების დასამუხტი კომპრესორი, წყალქვეშა ექსკავატორის ამძრავი გენერატორი და ძრავიანი ჯალამბარი არტეფაქტების ზედაპირზე ამოსაღებად.</p>	<p>მუსიკის გარეშე - მხოლოდ ადამიანთა მუშაობის ხმები</p>	<p>ტივებისა და მათზე მომუშავე ადამიანების კადრები - წყალქვეშა აღჭურვილობის მომზადება (5:51:11—6:04:00)</p>

<p>წყალქვეშა უბნებზე გათხრების წარმოების მიზნით, არქეოლოგებმა გამოიყენეს სპეციალურად დამზადებული წყალქვეშა ექსკავატორი, რომელიც აცილებს არტეფაქტებს მიწის, ქვიშის და მარჯნის შრეს. ამოღებული ნივთების ჭუჭყისგან ფრთხილად და გულმოდგინედ განმენდის შემდეგ, არქეოლოგები განციფრებული დარჩენენ მათ მიერ აღმოჩენილი ამაღელვებელი არტეფაქტებით.</p>	<p>მუსიკის გარეშე — ისმის საყვინთ აპარატში სუნთქვის ხმა</p>	<p>კადრები ვაკუუმური დამუშავების საშუალებით არტეფაქტების გამოვლენის შესახებ. გამოვლენილი არტეფაქტების ამსახავი კადრები უნდა გაგრძელდეს ხუთი წამის განმავლობაში დიქტორის ტექსტის დასრულების შემდეგ.</p> <p>(6:46:10-7:16:00)</p>
<p>წყალქვეშა გათხრების წარმოებას სჭირდება უაღრესად სპეციალიზებული უნარ-ჩვევების ფლობა და უაღრესად დეტალური გაზომვებისა და ჩანაწერების წარმოება. არქეოლოგები გულმოდგინედ ადგენენ მთლიანი ობიექტის რუკას და გეოდეზიურ ბადეს, რომელზეც დააქვთ ჩაძირული ხომალდის თითოეული აღრიცხული არტეფაქტი და ნარჩენი. ასეთი დეტალური ჩანაწერების წარმოებით, არქეოლოგებს შეუძლიათ აღმოჩენილი მასალის ინტერპრეტირება, რაც გემის თავდაპირველი სახის აღდგენისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სხვადასხვა სავაჭრო ჯგუფებს შორის ურთიერთობების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.</p>	<p>რბილი მუსიკა ან ბგერები, რომლებიც ასახავს წყალქვეშა გარემოს</p>	<p>მყვინთავების მიერ აზომვებისა და ჩანაწერების წარმოების კადრები</p> <p>(14:36:00 — 14:53:20)</p> <p>რომელიმე არქეოლოგის ზედხედი, არტეფაქტების პლანშეტზე დატანის მომენტში</p> <p>(16:19:40 — 16:22:00)</p>
<p>სამთიანი გათხრების შემდეგ, ამოღებული და აღრიცხული იქნა კერამიკის, ქვის და ფაიფურის საგნების 5000-ზე მეტი ნატეხი, მოხდენილი ლურჯი და თეთრი კერამიკული ნაკეთობების ჩათვლით, როგორცაა ეს თეფში.</p>	<p>“წყლის მუსიკა” გრძელდება, სანამ ჩნდება სხვადასხვა არტეფაქტების ამსახავი კადრები</p> <p>ჰაერის ბუშტების მოძრაობისა და სუნთქვის დამახასიათებელი სხვადასხვა ხმები</p>	<p>არტეფაქტების ამსახაველი ლამაზი კადრები</p> <p>(7:21:00-7:40:00) (9:24:00-10:00:00-)</p> <p>(13:19:27-)</p> <p>კონკრეტული ნაწილები უნდა შეარჩიოს აუდიო-ვიზუალური სამუშაოების კონტრაქტორმა</p>
<p>ასევე, აღმოჩენილ მასალაში შედიოდა მცირე ზომის ზარბაზანი, რომელიც ყველაზე ძველია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ნაპოვნი ზარბაზნებს შორის.</p>	<p>იგივე რაც წინა პუნქტში</p>	<p>ზარბაზნის გასროლა</p> <p>(11:02:00-11:07:25)</p>
<p>არტეფაქტების ფსკერიდან ამოღების შემდეგ, ისინი თავსდება მარილიანი წყლის აბაზანაში, რათა მის ზედაპირზე დაღეჭილი ფიქალებისა და მარჯნის გამოშრობის შედეგად არ მოხდეს არტეფაქტის დაზიანება. კონსერვაციის სპეციალისტები და არქეოლოგები მსუბუქად ნმენდენ კერამიკულ არტეფაქტებს, ადებენ მათ საიდენტიფიკაციო ეტიკეტებს და განათავსებენ დამცავ გარემო სათავსოებში. შემდგომში, ისინი გაივსებენ ეროვნულ მუზეუმში, სადაც მათ ჩაუტარდება შემდგომი საკონსერვაციო დამუშავება, რის შემდეგაც ისინი მზად იქნება გამოფენაზე გამოსატანად, რათა სიამოვნება მიანიჭოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ მნახველებსა და მკვლევარებს.</p>	<p>მუსიკის გარეშე - ადამიანების მუშაობის ხმები</p>	<p>წყლის აბაზანის, კონსერვაციის სპეციალისტების მუშაობის ამსახავი კადრები</p> <p>(16:42:00-16:45:00)</p> <p>(17:18:20-17:25:00)</p>

<p>განსაკუთრებით კარგად შენახული და ხელუხლებელი პანდანანის ჩაძირული ხომალდი, გემის ზომების და არტეფაქტების წარმოდგენლად დიდი რაოდენობის წყალობით, ფილიპინებზე გაკეთებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს. დადგინდა, რომ ხომალდი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მცურავი სავაჭრო გემი იყო, მას გადაჰქონდა კონტინენტური აზიის სხვადასხვა კუთხის სავაჭრო ტვირთი, ჩინეთის, ვიეტნამის და ტაილანდის საქონლის ჩათვლით.</p>	<p>მუსიკის გარეშე - საყვინთ აპარატში სუნთქვის ხმა</p>	<p>პანდანანის ავარიის ამსახავი კადრები (14:02:00-14:18:00)</p>
<p>რადგან გემი სრუტეში ჩაიძირა, ამიტომ მისი ნარჩენების თითქმის ნახევარი წყლის ძლიერმა დინებამ წაიღო. ის, რაც ადგილზე დარჩა, დაცული იქნა ორგანული ელემენტების მავნე გავლენისგან ქვიშისა და მარჯნის ფენებით.</p>		<p>კადრები, რომლებშიც დაფის წინ მდგომი ფორნიერი უჩვენებს ჩაძირული ხომალდის ნაკლებ ნაწილს (15:31:21-15:40:00)</p>
<p>500-ზე მეტი წლის წინ ჩაძირული პანდანანის გემი და მისი ტვირთი მაღალი ოსტატობით იქნა ამოღებული; მოპოვებული არტეფაქტები დღეისთვის გამოფენილია ეროვნულ მუზეუმში. თითოეული ნატიფი საგანი ისტორიის ნაწილს შეიცავს და საკუთარი ამბის მოყოლა შეუძლია. არტეფაქტები არა მარტო ხელოვნების განუმეორებელ ნიმუშებს წარმოადგენს, არამედ იძლევა გასაღებს ძველ დროში სხვადასხვა კულტურების ურთიერთობებისა და გემთმშენებლობის ტექნიკის გააზრებისთვის.</p>	<p>დაბრუნება აბორიგენტთა მუსიკაზე, რომლითაც დაიწყო ვიდეო ჩვენება</p>	<p>არტეფაქტებიანი კადრების მეტრაჟი (18:44:0-19:07:00) ბოლო კადრი, კუნძულ პანდანანის ხედით (14:00)</p>

7.5 სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენება საშუალოდ გამოყენებაზე

ჰიუ ა.დ. სპენსერი

გასული ათწლეულის ორ ყველაზე ძვირადღირებულ და ფართოდ გაშუქებულ გამოფენას წარმოადგენს ლონდონის ბუნების ისტორიის მუზეუმის "დედამინის ხედების" გალერეა (იხ. პრაქტიკული მაგალითი 11.1) და ნიუ იორკში მდებარე ბუნების ისტორიის ამერიკის მუზეუმის ჰაიდენის პლანეტარიუმში განთავსებული "დედამინისა და კოსმოსის ვარდების ცენტრი". წარუშლელი შთაბეჭდილების შექმნის მიზნით, ორივე გამოფენაზე გამოყენებულ იქნა თანამედროვეობის ყველაზე განვითარებული ტექნოლოგიები:

- დედამინის ხედების გიგანტური მბრუნავი გლობუსი დაპროექტდა მასიური შიდა საპროექციო ზედაპირის სახით მუშაობის შესაძლებლობით, მაშინ როდესაც მნახველები მრავალსართულიანი ლიფტის საშუალებით მოძრაობენ დედამინის "გულის" გავლით. გლობუსის (რომელსაც მუდმივად თან სდევდა ტექნიკური პრობლემები) საყრდენად გამოყენებული იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი შიდა დადგმულობის ფოლადის კონსტრუქცია.

- დედამიწისა და კოსმოსის ვარდების ცენტრში დამონტაჟებული კომპიუტერით მართული გამოსახულებების სისტემა ისეთი მძლავრია, რომ იმ დროს, როდესაც მუზეუმი ფართო აუდიტორიისთვის დაკეტილია, იგი მონინავე ასტრონომიული და მათემატიკური კვლევებისთვის გამოიყენება.

ორივე გამოფენა თვალნათლივ ასახავს შესაბამისი დანესებულებების მიდრეკილებას კვლევითი პროცესისადმი. თუმცა, მათში სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენება პარადოქსულია, რადგან, უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, ობიექტები არ თამაშობს გადამწყვეტ როლს ფაქტიური საგამოფენო შთაბეჭდილების შექმნაში. მაშინ, როდესაც პრეზენტაციების შინაარსი შეიძლება განისაზღვროს კოლექციებით ან მათზე დაფუძნებული კვლევებით, თავად ობიექტები მეორეხარისხოვან ხასიათს ატარებს.

კოლექციების და კოლექციებზე დაფუძნებული კვლევების საფუძველს რეალობა წარმოადგენს. სპეციალიზებული მედია-პრეზენტაციები დაფუძნებულია მოვლენების ხელახალი შექმნის ან სენსორული მოდელირების გარკვეულ ფორმებზე. არსებობს მძლავრი და დამაჯერებელი მიზეზები, თუ რატომ უნდა ჩაერთონ რეალური სამყაროს შემსანვლელი დანესებულებები ფართო მომხმარებლისთვის მედია-საშუალებებით გენერირებული გამოსახულებების მიწოდების კომერციულ საქმიანობაში:

- ხშირად, ასეთი მოდელირებები გამიზნულია მნახველების მუზეუმის კოლექციების კონტექსტურ გარემოში მოსაქცევად – მაგალითად, ვიზიტორების გადასაყვანად მთვარის ზედაპირზე, ოკენის ფსკერზე, 6,5 მილიონი წლის წინანდელ წარსულში ან ნაკრძალის შუაგულში. მუზეუმებს სჭირდება ადგილებისა და პროცესების მოდელირება, რათა დაანახონ მნახველებს, თუ სად წარმოიშვა მათი კოლექციების ექსპონატები ან «გადაიყვანონ» ვიზიტორები ისეთ ადგილებში, სადაც მათ დამოუკიდებლად მოხვედრა არ შეუძლიათ.

- მოდელირება და სენსორული აღქმა, ასევე განაპირობებს კოლექციის ინტელექტუალური და წარმოსახვითი კონტექსტის შესწავლას. ამ გზით, ვიზიტორებს შეუძლიათ თვალი მიადევნონ ბუნებრივზე გაცილებით სწრაფად მიმდინარე ევოლუციურ პროცესებს ან დააკვირდნენ "დიდ აფეთქებას" (სამყაროს წარმოშობის თეორიის მიხედვით) და ვარსკვლავური სისტემების შექმნას. ამგვარი სახის შთაბეჭდილებები საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ პერსპექტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მეცნიერულ აზროვნებასა და შემოქმედებით მიღწევებს.

სპეციალიზებული მედია-საშუალებების მუზეუმებში გამოყენების პარადოქსი დაკავშირებულია იმასთან, რომ:

- ხშირად, ეს საშუალებები თავისი ზომებითა და მახასიათებლებით მრავალ საკოლექციო ობიექტზე დიდია

- ისინი წარმოადგენს მოდელირების საშუალებებს და არა "რეალურ საგნებს", თუმცა შეუძლიათ გადაგვიყვანონ კოლექციის ან მუზეუმის მიერ გამომზეურებული მთავარი საკითხის ფიზიკურ, ინტელექტუალურ ან წარმოსახვით კონტექსტში.

გარდა ამისა, სპეციალიზებული მედია-საშუალებების პოპულარობისა და საგანმანათლებლო პოტენციალი საკმაოდ დიდია და მრავალ შემთხვევაში, ასრულებს საკოლექციო დანესებულებების ინდივიდუალობისა და როლის დამკვიდრების მოვალეობას. დინოზავრების პირველმა რეკონსტრუქციამ ხელი შეუწყო ბუნების ისტორიის მუზეუმების მიერ საგანმანათლებლო წყაროების მოძიებისა და თავისუფალი დროის გასატარებელი ობიექტების ფუნქციების შექმნას. შედარებით ახლახანს, IMAX კინოების და მოძრავი

ტროტუარების გამოყენებამ, გააფართოვა ისტორიული ობიექტებისა და არქეოლოგიური გათხრების შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერების დონე.

ამ პარადოქსზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, მუზეუმის სპეციალისტებმა უნდა შეიმუშაონ და დაწესებულების მისიაში ორგანულად გაითვალისწინონ სათანადო საინტერპრეტაციო მეთოდები. ამასთან, არ დაუკარგონ მომხიბვლელობა და საკომუნიკაციო შესაძლებლობები მუზეუმის კვლევით საქმიანობას და კოლექციებს. მუზეუმმა თავი უნდა აარიდოს ისეთი მედია-ატრაქციონების მოწყობას, რომელშიც ძირითად ზემოქმედებას აუდიტორიაზე ასეთი, დაწესებულების როლთან ნაწილობრივ ან სრულიად შეუფერებელი, მედია-ტექნოლოგიები ახდენს.

მართალია, მოწინავე მედია-ტექნოლოგიები უკიდევანო შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ იმავდროულად, მათი გამოყენება სავარაუდოდ, დაწესებულების მიერ ოდესმე განხორციელებულ პროექტებს შორის ყველაზე რთულ და ძვირადღირებულ წამოწყებას წარმოადგენს. ამიტომ, ამ პარაგრაფში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავს მუზეუმების სპეციალისტების ხელშეწყობას მოწინავე მედია-ტექნოლოგიების პროექტების განხორციელებისას. წინამდებარე პარაგრაფი ასეთი შინაარსისაა:

- კლასიფიკაცია: სპეციალიზებული მედია-ტექნოლოგიების ტიპები
- სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენების განმსაზვრელი კრიტერიუმები
- ძირითადი ინფორმაცია სპეციალიზებული მედია-ტექნოლოგიების ტიპების შესახებ.

პრაქტიკული მაგალითი 7.1

მინეაპოლისის ხელოვნების ინსტიტუტის საინვესტიციო სტრატეგიის მულტიმედიის საშუალებების სწავრაში

მზადება გარდაუვალი “ხვალინდელი დღისთვის”

სკოტ საირი

უკვე ათი წელია, რაც მინეაპოლისის ხელოვნების ინსტიტუტმა თავის აფრიკულ გალერეაში დააინსტალირა პირველი ინტერაქტიური ვიდეოდისკით გასაშვები პროგრამა. მას შემდეგ ინსტიტუტის ინტერაქტიური მედიის ჯგუფმა, ინსტიტუტის თორმეტზე მეტი გალერეისთვის დაამზადა და დააინსტალირა სხვადასხვა მულტიმედიური პროგრამები, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა დაწესებულების მსოფლიოსთან დამაკავშირებელი სარკმელი. ამგვარი დამოკიდებულება მულტიმედიის, როგორც საინტერპრეტაციო ინფორმაციის გადაცემის ძირითადი წყაროს, მიმართ, მოითხოვს არა მარტო დიდი მოცულობის წინასწარი ინვესტიციის ჩადებას, არამედ უწყვეტი სტრატეგიის შემუშავებასაც, ამ პროგრამების მუდმივად საღ, აქტუალურ და განახლებულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მუზეუმის დამთვალიერებლების განუწყვეტლივ ცვალებადი მოლოდინის დაკმაყოფილებას. წინამდებარე პრაქტიკულ მაგალითში შესწავლილია ინსტიტუტის რამდენიმე აღმორჩენა და შეჯამებულია ჩვენს მიერ განზოგადებული რამდენიმე სტრატეგია, რომელიც გამიზნულია ხვალინდელი დღისთვის სათანადოდ მოსამზადებლად.

ნახი 1: კომპიუტერული მონყობილოზა და პროგრამები ჩქარა ქველდებზ ... ქალზე ჩქარა

ტიპიური პროგრამის "დასრულებიზსა" და დაინსტალირების დროისთვის, როგორც ნესი, უკეთესი შესაძლებლობებისა და თვისებების მქონე კომპიუტერული მონყობილოზა და კომპიუტერული პროგრამები ხელმისწვდომი არ არის. ამ მიზეზით, სპეციალიზებულ მონყობილოზასა და/ან პროგრამულ პროდუქტებზე დაფუძნებული სპროექტო გადან-ყვეტები, როგორიცაა საფირმო პანელებისა და ფაილების ფორმატების მარტივად გაუმ-ჯობესების შესაძლებლობები, სავარაუდოდ, შეზღუდული იქნება. იგივე იტქმის პროგრამული პროდუქტების მიმართ. ჩვენი ადრეული პროგრამები, რომლებიც შემუშავებული იყო გამოუცდელი (პირველი ვერსიების) პროგრამული პროდუქტების საფუძველზე, შემდგომში ყველაზე დიდ პრობლემებს ქმნიდნენ ტექნიკური მომსახურების თვალსაზრისით. მონყო-ბილოზისა და პროგრამების მწარმოებელი კომპანიები და მათი პროდუქცია ისე მიდის და მოდის წინ, რომ ნაკლებად ითვალისწინებს დამკვიდრებული საბაზისო მომხმარებლების ინტერესებს. მივცეთ საშუალება ინვესტორს თავი დაიცვას ამგვარი უარყოფითი მომენ-ტებისგან.

პრობლემატური მოდელი

ინსტიტუტის ვიდეოდისკზე დაფუძნებულ ადრეულ პროგრამებში გამოყენებული იყო სპეციალიზებული ვიდეო ინტერფეისის ბარათები, რომელთა გაუმჯობესება ძალზე დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

მუშა მოდელი

ბოლო დროის პროგრამებში, როგორებიცაა *Restoration Online da Modernism*, ჩასმულია iMac-ის კომპიუტერული პროგრამა, რომელშიც ჩაშენებული ვებ-ბრაუზერიც იძლევა პრო-გრამის შინაარსის გადაცემის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია 1

ყურადღება გაამახვილეთ პროგრამის შინაარსის ხარისხზე და მისი მიწოდებისთვის გამოიყენეთ ფართოდ ხელმისაწვდომი საშუალებები

მონყობილოზის შესახებ სწორი გადანყვეტილების მიღების ერთ-ერთ გზას რამდენიმე ხელმისაწვდომი გადანყვეტის გასაშუალოება და ფართოდ მიღებული სტანდარტების მაქსი-მალურად შესაძლებელი გამოყენება წარმოადგენს. ურთიერთჩანაცვლებადი მოდელები, რომლებიც შემოთავაზებულია სხვადასხვა დამამზადებლების მიერ, შექმნის ყველაზე დაბალ რისკს და სავარაუდოდ, მომავალში მათი განახლება შედარებით მარტივად იქნება შესაძლებელი. პროგრამული პროდუქტები, რომლებიც მუშაობს არასაფირმო (დაუპატენტე-ბელი) ფორმატების ფაილებზე და მარტივად შეუძლიათ ასეთი ფაილების იმპორტირება და ექსპორტირება, ყველაზე გრძელვადიან მოქნილობას უზრუნველყოფს. ეჭვის შემთხვევაში, მოიკითხეთ სათანადო ინფორმაცია თქვენს კოლეგებთან ან მიიღეთ კონსულტაციები სამ-უზეუმო მედია-საშუალებებში გამოცდილების მქონე ერთი ან რამდენიმე პროფესიონალური დაწესებულებისგან.

ნანი 2: ის, რაც დღეს კარგად გამოიყურება და ჟღერს ხვალ შეიძლება ასეთივე შეუღარაველი არ იყოს

მულტიმედია-პროგრამების ზემოქმედების დონე დამოკიდებულია მაყურებელში პროგრამის ხარისხის შესახებ შექმნილ წარმოდგენაზე. მართალია, ძირითად ფაქტორს პროგრამის შინაარსი შეადგენს, მაგრამ ხშირად, წარმოდგენილი მასალის აუდიო და ვიდეო გაფორმების ხარისხს შეუძლია გავლენა იქონიოს მომხმარებელზე. მულტიმედიისა და ინტერნეტ-პროგრამების "ტექნიკური ხარისხის" სტანდარტები განუწყვეტლივ მალდება ყოველი "ახალი" ტექნოლოგიის დახვეწასთან ერთად. თუ ერთმანეთს შევადარებთ დღევანდელ მოცულობითი გახმოვანებისა და მაღალი გარჩევის გამოსახულებების მქონე საოჯახო კინოთეატრისა და Sega™ ტიპის სათამაშო სისტემებითა და თანამედროვე კომპაქტ-დისკებით ან (რაც უფრო მნიშვნელოვანია) ინტერნეტით გადაცემული მასალის ხარისხს, მარტივად შევამჩნევთ, თუ რა მიმართულებით მოხდება მულტიმედია-ტექნოლოგიების სრულყოფა. ამგვარი შეფასების გათვალისწინებით, მულტიმედიური პროგრამული პროდუქტების აღქმადი ტექნიკური ხარისხის მდგრადობის უზრუნველყოფა, დროის გარკვეულ პერიოდში, მოითხოვს სათანადო ტექნიკური გაუმჯობესებისა და კორექტირების განხორციელების შესაძლებლობას.

ასეთი ორიგინალებისგან შესაძლებელია ლაზერული გამოსახულებების ხარისხის მქონე წარმოებული პროდუქციის დამზადება, რომელიც დააკმაყოფილებს მასალის მულტიმედია-საშუალებებით მიწოდების კუთხით მოქმედ დღევანდელ ნორმებს. ამასთან, თქვენი არქივირებული მასალა შესაძლებლობას მოგცემთ შემდგომში, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ამ მასალისგან მიიღოთ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია. ასევე, როგორც ეს პირველ რეკომენდაციაში იყო. აღნიშნული, დააარქივებთ თქვენი მასალა მტკიცედ დამკვიდრებული, სტანდარტული და არასაფირმო ფორმატების გამოყენებით. ამგვარი წინმსწრები ინვესტირება საშუალებას მოგცემთ თავიდან აიცილოთ მასალის ნულიდან დამზადების საჭიროება და გაზრდის მომავალში პროგრამის განახლებების ან ახალი პროგრამის პირობებში მასალის გამოყენების შესაძლებლობას.

პრობლემატური მოდელი

ინსტიტუტის 1995 წლის პროგრამა დასახელებით "ანტიკური ხანის ხმელთაშუაზღვისპირეთი" მოიცავს 45 ობიექტს, რომელიც ჩასმულია სამგანზომილებიან ვირტუალურ გარემოში, რაც ძალზედ ართულებს მათი მასშტაბის გაზრდას.

მუშა მოდელი

1999 წლის პროგრამა "მოდერნიზმი" (www.artsmia.org/modernism), რომელიც 200-ზე მეტ ობიექტს მოიცავს, აგებულია შაბლონზე დაფუძნებული მონაცემთა ბაზის გამოყენებით, რაც განუსაზღვრელი მოქნილობის უნარს იძლევა.

რეკომენდაცია 2

შეძლებისდაგვარად, ყველაზე მაღალი ხარისხით დაამზადეთ და დაარქივებთ თქვენი თავდაპირველი მასალა.

ნაწი 3: დაამზადეთ თქვენი პროგრამა ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის გათვალისწინებით

მართალია ტექნიკური გაუმჯობესებები შესაძლებელს ხდიან პროგრამის კარგი მუშაობისა და შესახედობის შენარჩუნებას, დამთვლიერებლების კიდევ და კიდევ მოსვლის უზრუნველყოფისთვის, უფრო დიდი მნიშვნელობაც კი აქვს პროგრამის შინაარსის ცვლილებისა და გაფართოების უნარს. პროგრამის დისკრეტული რაოდენობის ობიექტების ან რაიმე კონსტრუქციული ელემენტის გარშემო აგება (როგორცაა ინტერაქტიური პროგრამები), რაც მნიშვნელოვან მოთხოვნების დაწესებას იწვევს, ძალზედ ზღუდავს და შეუძლებელსაც კი ხდის მის შემდგომ გაფართოებას. უფრო მეტიც, ამგვარ შეზღუდვებს, რომლებიც ჩადებულია პროგრამაში შემუშავების ეტაპზე, შეუძლიათ იმოქმედონ პროგრამის ახალი კვლევების და მონაპოვრების შედეგებით და ისტორიული ცვლილებებით განახლების შესაძლებლობაზე.

პრობლემატური მოდელი

ინსტიტუტის 1995 წლის პროგრამა დასახელებით "ანტიკური ხანის ხმელთაშუაზღვისპირეთი" მოიცავს 45 ობიექტს, რომელიც ჩასმულია სამგანზომილებიან ვირტუალურ გარემოში, რაც ძალზედ ართულებს მათი მასშტაბის გაზრდას.

მუშა მოდელი

1999 წლის პროგრამა "მოდერნიზმი" (www.artsmia.org/modernism), რომელიც 200-ზე მეტ ობიექტს მოიცავს, აგებულია შაბლონზე დაფუძნებული მონაცემთა ბაზის გამოყენებით, რაც განუსაზღვრელი მოქნილობის უნარს იძლევა.

რეკომენდაცია 3

მომავალში სათანადო მოქნილობის უზრუნველსაყოფად, პროგრამების თავდაპირველი შემუშავებისთანავე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მომავალში მათი გაფართოების შესაძლებლობა.

პროგრამის სტრუქტურა უნდა შემუშავდეს როგორც კონსტრუქციული ჩარჩო და არა დისკრეტული კომპონენტების ერთობლიობა. ჩარჩო-კონსტრუქციებში უნდა განისაზღვროს შინაარსის ჩასასმელი ადგილები და სპეციალურად გამოიყოს ისეთი უბნები, რომლებიც ყველაზე მეტად შეიძლება საჭიროებდნენ მომავალში განახლებასა და გაფართოებას. ამის შემდეგ, ასეთ მოქნილ უბნებზე ორიენტირებით შეიძლება შეიქმანს შესაბამისი ინტერფეისები და ინფორმაციის გამოძახების მექანიზმები. ამგვარი შეუზღუდავი მოქნილობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებული მეთოდი გულისხმობს სტანდარტული ფუნქციების ნაკრების გამოყენებას უსასრულო რაოდენობის მონაცემების წყაროს მიმართ, როგორცაა მულტიმედიური შინაარსის შემცველ მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული შაბლონზე დაფუძნებული ინტერფეისები. უფრო სრულყოფილი, მონაცემებით მართული პროგრამები შეიძლება დაკავშირებული ან ინტეგრირებული იქნან არსებულ მონაცემთა ბაზასთან (როგორცაა კოლექციების მართვის ან ეტიკეტორების სისტემები), რაც კიდევ უფრო გააფართოებს პროგრამის შინაარსს. ნებისმიერი მონაცემთა ბაზის ფარგლებში

პროგრამის შინაარსის რედაქტირების ან გაფართოების დროს, ანალოგიური ცვლილებები ავტომატურად აისახება საჯაროდ გასაშვებ პროგრამაში. ამგვარი აგებულება იძლევა შინაარსის ეფექტიანად მოდიფიცირების შესაძლებლობას მცირე ან ნულოვანი დამატებითი საწარმოო დანახარჯების გარეშე.

ნაწი 4: შიჩარდით, დააკვირდით და მოუსმინეთ თქვენს მომხმარებლებს

პროდუქციის დამზადების პროცესების უმრავლესობას ახასიათებს მნიშვნელოვანი მოთხოვნები რესურსებზე, რაც შეზღუდულია პროექტის ბიუჯეტითა და განხორციელების ვადებით. ჩვეულებრივ, ამგვარი მოთხოვნები მოიცავენ მხოლოდ პროგრამის სანყისი (პირველი) ვარიანტის შემუშავებას და ხშირად არ ითვალისწინებენ პროდუქტის გამოცდებისა და დახვეწისთვის საჭირო რესურსებს. ასევე, ზედმეტად გამარტივებულ მიდგომას წარმოადგენს იმის დაშვება, რომ თუ პროექტი აზრიანად და მისაღებად გამოყურება მისი შემქნელებისთვის, იგი ასევე "იმუშავებს" საბოლოო მომხმარებლების მიმართებით. მრავალ შემთხვევებში ეს ასე სულაც არ არის. ამიტომ, პროგრამის წარმატების შესახებ არაფერი არ შეიძლება ითქვას მანამ, სანამ საბოლოო მომხმარებელი არ დაინყებს ურთიერთქმედებას და რეაგირებას პროგრამის დასრულებულ ვარიანტზე.

აუდიტორიის გამოკითხვები, წინასწარმოო ეტაპზე, მომხმარებელთა მიერ ჩატარებული ტესტირებები, გამოყენების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და მრავალმხრივი გამოყენებადობის ტესტირება მხოლოდ მხოლოდ რამოდენიმე საშუალებაა კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებს შორის, რომლებიც საჭიროა ეფექტიანი მედია-პროგრამის შესამუშავებლად. ასეთი შეფასებების საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია ხელს უწყობს საბოლოო პროგრამის მთლიანობას, ზრდის მომხმარებელთა ნდობის დონეს და უზრუნველყოფს საუკეთესო საფუძველის ჩაყრას მომავალი განვითარებისთვის. კარგად შესრულებულ შეფასებაზე დროის და თანხის გაღება ყოველთვის გამართლებულია.

პრობლემატური მოდელი

1999 წელს ინსტიტუტის ინტერნეტ-პროექტმა სახელით "ArtsConnectedEd" მოიგო საუკეთესო საგანმანათლებლო ვებ-კვანძებისთვის განკუთვნილი ორი ჯილდო. იმავე წელს, მოგვიანებით, ტესტირებამ უჩვენა, რომ მასწავლებლებისა და სტუდენტების აზრით ეს პროექტი მცირე პრაქტიკული ღირებულების აღმოჩნდა.

მუშა მოდელი

ორ ჯერზე ჩატარებული გამოსადეგობის ტესტირებების შედეგების საფუძველზე მოხდა "ArtsConnectEd" ინტერნეტ-გვერდის სრული გადამუშავება. ახალი ინტერნეტ გვერდის (www.artsconnected.org) განთავსებისა და ხელშეწყობის შედეგად, ინტერნეტ გვერდის ახალი ვერსიის პოპულარობა გაიზარდა. დაგეგმილია გამოყენებადობის მომდევნო ტესტირების ჩატარება

რეკომენდაცია 4

ყურადღება გაამახვილეთ პროგრამის შინაარსის ხარისხზე და მისი მიწოდებისთვის გამოიყენეთ ფართოდ ხელმისაწვდომი საშუალებები

გახედვა მომავალში

თუმცა შესაძლოა ვერ შევძლოთ ზუსტად ვინინასწარმეტყველოთ თუ როგორი იქნება ჩვენი ინსტიტუტის ტექნოლოგიური მომავალი, მაგრამ უკვე შეიძლება დაეინახოთ, რომ მრავალი სამეუზეუმო პროფესიონალი უკვე სპეციალიზირდება წარსულის გაშუქების სფეროში. ჩვენ დამოკიდებული ვართ სტანდარტულ პროგრამულ ინსტრუმენტებზე, არქივებზე და მეთოდოლოგიებზე, და ვახდენთ ჩვენი დღევანდელი ცოდნის დოკუმენტირებას. შეიძლება ასეთი მიდგომები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდეს, მათი საფუძველი ყოველთვის მომავალზე არის გათვლილი. მედიის განვითარების გამონაკლისს ამ მხრივ არც აქ აღწერილი მეთოდოლოგიები წარმოადგენენ.

7.5.1 სპეციალიზებული მედია-ტექნოლოგიების ტიპები

მაღალი ტექნოლოგიების გემოყენება მუშაობის პროცესში საკმაო სირთულეებს მოიცავს, განსაკუთრებით არასპეციალისტებისთვის. თუმცა, მოქმედებს ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს ასეთი საშუალებების სამეუზეუმო გამოყენებზე გამოყენების ფორმებს, რომელთა გააზრების შემთხვევაში, შესაბამისი სისტემების გამოყენების სახეობები და საინტერპრეტაციო პოტენციალი უფრო გასაგები და ხელმისწევლად ხდება მუზეუმების სპეციალისტებისთვის:

სპეციალიზებული მედია-ტექნოლოგიები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- სპეციალიზებული კინო – ეს შეიძლება მოიცავდეს IMAX-ს, 8-70 სისტემებს და მაღალი ხარისხის ფირებს;
- გაფართოებული თეატრალური წარმოდგენა – აუდიო-ვიზუალური ეფექტების კომბინირება ზოგიერთი სახის თეატრალურ წარმოდგენებთან. ეს შეიძლება მოიცავდეს საგნების თეატრს, მრავალეკრანიან წარმოდგენებს, ინტერაქტიურ თეატრებს, ინტერაქტიურ “თვალსაჩინო ეფექტებს” და “ცოცხალ” ფილმებს.
- სამოგზაურო სისტემები – ასეთი სისტემები გულისხმობს ადამიანების ვირტუალურ მოგზაურობას. სამოგზაურო სისტემები თავის მხრივ შემდეგ ორ ქვეტიპად იყოფა:
 - მოძრავი ტროტუარები – მათ ფაქტობრივად გადაყავთ ადამიანები სივრცეში, ჩვეულებრივი დიორამების ან თეატრალური მეთოდების გამოყენებით.
 - იმიტატორები – ეს საშუალებები ახდენს როგორც მოძრაობის, ასევე სივრცის იმიტაციას.

ცხადია, შესაძლებელია ზემოაღნიშნული მიდგომების სხვადასხვა სახით კომბინირებაც: მაგალითად, საგნების თეატრი, შეიძლება გამოყენებულ იქნას საიმიტაციო დოლის წინმსწრებ წარმოდგენად. გარდა ამისა, მოძრავი თეატრის ეფექტების შესაქმნელად, შეიძლება გამოყენებულ იქნას ფართო დიაპაზონის ტექნოლოგიები, დაწყებული პიდვარლიკურად ძვრადი პლატფორმებიდან, დამთავრებული რელსებზე მოძრავი მანქანებით. ასეთი საბაზისო კატეგორიის სისტემა, ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში, საუკეთესო საინტერპრეტაციო მიდგომის განსაზღვრის საწყის წერტილს წარმოადგენს.

7.5.2 სპეციალიზებული მედია-ტექნოლოგიების გამოყენების კრიტერიუმები

არსებობს სამი კრიტერიუმი სპეციალიზებული მედია-ნარმოდგენის შემუშავების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელიც განხილული უნდა იქნას დანესებულების მიერ გად-
ანყვეტილების მისაღებად:

- საინტერპრეტაციო და თხრობითი პოტენციალი
- ტერიტორიისა და შენობის მახასიათებლები
- საექსპლუატაციო მახასიათებლები

7.5.2.1 მასალის ინტერპრეტირებისა და გადმოცემის პოტენციალი

მედია-საშუალებები ერთმანეთისგან განსხვავდება მასალის გადმოცემისა და შთაბე-
ჭილების შექმნის შესაძლებლობებით. მაგალითად, ფართოეკრანიანი კინოთეატრი, ტრად-
იციულად, ფართოდ გამოიყენება საბუნებისმეტყველო ხასიათის დოკუმენტური ფილმებისა
და ლანდშაფტების ჩვენებისთვის, რამდენადაც იმიტაციური ტექნიკა დროსა და სივრცეში
გადაადგილების კარგ შესაძლებლობებს იძლევა. სხვადასხვა ინოვაციური მოდგომების
გზით, ასეთი ტექნოლოგიები შეიძლება ახლებურად იქნას გამოყენებული, თუმცა ამ დროს,
კონკრეტული გადანყვეტილების მიღებამდე, ყოველთვის აუცილებელია ტექნიკური საშუ-
ალებების შეხამება ინტერპრეტაციული გეგმის საკომუნიკაციო ამოცანებთან.

7.5.2.2 ტერიტორიისა და შენობის ფაქტორი

ზოგიერთი მედია-ტექნოლოგია მუზეუმის ტერიტორიისა და შენობის მიმართ მნიშ-
ვნელოვანი მოთხოვნებით გამოირჩევა. დანესებულებამ არ უნდა დაანერგოს ისეთი მედია-
საშუალებები, რომელთა ტექნიკური უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება არსებული
მონყოილობა-დანადგარების გამოყენებით. რაიმე კონკრეტული მიდგომით დაინტერესების
შესახებ გადანყვეტილების მიღებისთანავე, დანესებულებამ უნდა ჩაატაროს დეტალური
კვლევა, რათა განისაზღვროს არსებულ ტერიტორიასა და შენობაში დამონტაჟებული სა-
შუალებების მუშაობის შესაძლებლობა. ეს შეიძლება რთული აღმოჩნდეს, რადგან ზოგიერთ
მომწოდებელს გააჩნია საკუთარი ტექნოლოგიის მუზეუმის შენობასა და ტერიტორიასთან
მორგების შესაძლებლობა, ხოლო ნაწილ მომწოდებლებს – არა. ცხადია, თუ დანესებულე-
ბას კონკრეტული მედიის გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული მოტივაცია გააჩნია,
შესაძლოა შესაძლებელი აღმოჩნდეს თავად მუზეუმის შენობისა და ტერიტორიის სათანა-
დოდ ადაპტირება, თუმცა, ასეთი მედია-ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე სათანადო
გადანყვეტილების მიღებამდე, გასათვალისწინებელია ამგვარ ცვლილებებთან დაკავშირე-
ბული ხარჯებისა და შედეგების გავლენა მუზეუმის დანარჩენი ნაწილის ობიექტებსა და
ფუნქციებზე.

7.5.2.3 ექსპლუატაციის ფაქტორი

თითოეული მედია-საშუალება სათანადო ტექნიკურ მომსახურებას, პერსონალს და გად-

აპროგრამირების რესურსებს მოითხოვს, რაც აუცილებელი სიერცის, დროის, ადამიანებისა და ფულის ხელმისაწვდომობას გულისხმობს. დანესებულებამ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ისეთი მედია-საშუალებები, რომელთა გრძელვადიანი ტექნიკური უზრუნველყოფისთვისაც მას ადეკვატური შესაძლებლობები აქვს.

მომდევნო პარაგრაფში წარმოდგენილია ძირითადი ინფორმაცია სხვადასხვა ტიპების სპეციალიზებული მედია-საშუალებების შესახებ და განხილულია თითოეული ტიპის გავლენა მასალის გადმოცემისა და ინტერპრეტირების პოტენციალზე, მუზეუმის ტერიტორიასა და შენობაზე, განსაკუთრებით, ექსპლუატაციის პირობებზე.

7.5.3 ძირითადი ინფორმაცია სპეციალიზებული მედიის ტიპების შესახებ

აქ ჩვენ მიმოვიხილავთ ზოგიერთ, ყველაზე ხშირად გამოყენებული სპეციალიზებული მედია-ტექნოლოგიების ტიპებს, 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის მათი გამოყენებისა და მოთხოვნების მიმართებით არსებულ ძირითად ინფორმაციასთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინფორმაცია გამიზნულია შესაბამისი ზომების, ხარჯებისა და ოპერაციების წარმომადგენლობითი დიაპაზონის დასადგენად. 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, უდავოა, რომ ეს დიაპაზონი რიგ შემთხვევებში დაცული აღარ იქნება და ადგილი ექნება კონკრეტულ გამონაკლისებს.

7.5.3.1 სპეციალიზებული კინოთეატრი

დღეს, მუზეუმებისთვის არსებობს სამი ტიპის სპეციალიზებული კინოთეატრები (ზოგჯერ მოიხსენიება "ფართოფორმატიანი კინოთეატრების სახელით), კერძოდ IMAX ან OMNIMAX კინოთეატრები (დღეისთვის ცნობილია არიან, როგორც IMAX-Dome – ნახევრად სფერულზედაპირიანი ეკრანის მქონე კინოთეატრები), 8-70 სისტემები და მაღალი გარჩევადობის (Showscan) თეატრები.

IMAX

IMAX წარმოდგენს მოძრავი სურათების ჩვენების სისტემას, რომლის კინოფირიც ათჯერ ფართოა ტრადიციულ 35 მმ-იან ფოტოგრაფიულ ფირთან და სამჯერ ფართოა 70 მმ-იან კინოფირთან შედარებით (იხ. ცხრილი 7.3). ფორმატის გაფართოება მიიღწევა გვერდით-გორგოლაჭებიანი დაკბილულ-დოლიანი სისტემის გამოყენებით, რომელიც იძლევა გაზრდილი სიგანის კადრების გაშვების შესაძლებლობას 70 მმ-იანი ფირის ჩვენებისთვის დამზადებულ გამშვებ აპარატზე. შედეგად, ეკრანზე დაპროექტირებული გამოსახულება, შესამჩნევად დიდი და განსხვავებული პროპორციების მქონეა კომერციული 70 მმ-იანი ანაფისონ-ის ეკრანებთან შედარებით. IX-ის საპროექციო ეკრანი შეიძლება ოთხიდან შეიქმნას სართულის სიმაღლის იყოს. მრავალი IMAX კინოთეატრი ასოცირებულია დიდ კულტურულ და საგანმანათლებლო დანესებულებებთან, როგორებიცაა ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის ეროვნული მუზეუმი ბრადფორდში ან სმიტსონის ავიაციისა და კოსმოსის მუზეუმი ვაშინგტონში. IMAX ტექნოლოგია ასევე გამოიყენება კომერციული დანიშნულების ობიექტებზე, ასეთებია ნიაგარა ფოლსის IMAX კინოთეატრი ან ლონდონის ვატიერლოოს ხიდის სამხრეთ კიდესთან მდებარე კინოთეატრი. დღეისთვის IMAX თეატრების ქსელი რიგ

დიდ ქალაქებში მუშაობს.

IMAX სისტემები, ასევე თაღოვანი ეკრანების სახითაც გვხვდება, რომელთა საშუალებითაც გამოსახლება ზემოდან, უკნიდან და ყველა გვერდიდან აესებს მაყურებლის მხედველობის ველს და სამგანზომილებიან, მაღალი გარჩევადობის ფორმატშია წარმოდგენილი. ასეთ ეკრანებს IMAX-DOME (Imax-ის თალი), OMNIMAX და IMAX-HD სახელწოდებებით მოიხსენიებენ. ერთ-ერთი ასეთი სახის სისტემა, ცოტა ხნის წინ უდიდესი წარმატებით ამუშავდა მელბურნში მდებარე ვიქტორიას მუზეუმში.

ცხრილი 7.3 IMAX-ის ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
3000 კვ. ფუტი (300 მ2) 220 ადგილიანი დარბაზისთვის	ახალი IMAX თეატრის მონტაჟის საშუალო გაფასებული ხარჯები შეადგენს 5-7 მილიონ აშშ დოლარს (საპროექციო სისტემის გარეშე)	IMAX ტიპის ფილმის წარმოებისთვის საჭირო ხარჯები - 6-8 მილიონი აშშ დოლარი. კინოსაპროექციო მონოკობილობის იჯარის წლიური ღირებულება - 1,1 მილიონი აშშ დოლარი ფილმების ქირაობის წლიური ღირებულება - 150000 აშშ დოლარი	მინიმუმ, საჭიროა ოთხი მუდმივი საშტატო ერთეული: <ul style="list-style-type: none"> • კინოთეატრის მენეჯერი • კინომექანიკოსი • უფროსი შვეიცარი • შვეიცარი
6000 კვ. ფუტი (600 მ2) 800 ადგილიანი დარბაზისთვის			

ტერმინი "8-70" ნიშნავს Panavision-ის მარკის 70 მმ-იანი ფირის გასაშვები მონოკობილობის ადაპტირებას უფრო ფართო კინოკადრების შესაქმნელად (იხ. ცხრილი 7.4). 8-70 ტიპის ფირების უდიდესი მწარმოებელია კომპანია Iwerks. ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებით ჩვენებები ეწყობა კანზას-სითის "სამეცნიერო ქალაქში", ნიუ-მექსიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკში მდებარე ეროვნული ისტორიისა და მეცნიერების მუზეუმში და სინგაპურის აღმორჩენების ცენტრში. აღნიშნული ფორმატი მრავალ ყველაზე თანამედროვე კომეცრიულ კინოთეატრთან შედარებით გამოსახულების უფრო მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს, თუმცა ამ შემთხვევაში ეკრანის ზომები შედარებით მცირეა, ხოლო თავად გამოსახულება ნაკლებად კაშკაშა და მკაფიოა ყველაზე ფართოფორმატიან ფირებთან შედარებით.

ისევე როგორც IMAX-ის შემთხვევაში, 8-70 სისტემებისთვისაც არსებობს მაღალგარჩევადობიანი, თაღოვანი და 3-განზომილებიანი ვარიანტები. ასევე, გარკვეული ფილმები ორთავე აღნიშნული სისტემის საშუალებით შეიძლება იქნას გაშვებული.

Showscan-ის ტიპის / მაღალი გარჩევადობის ფილმების საჩვენებელი კინოთეატრი

Showscan წარმოადგენს მაღალ-ტექნოლოგიური ფირების საპროექციო სისტემას, რომელიც წამში უშვებს 70 მმ-იანი ფირის 60 კადრს სტანდარტული აპარატებით წამში გაშვებული 24 კადრის ნაცვლად (იხ. ცხრილი 7.5). შედეგად ეკრანზე მიიღება უფრო მაღალხარისხიანი, ფართო დიაპაზონის გამოსახულება, უაღრესად მაღალი გარჩევადობა, ზუსტი დინამიკა და საუკეთესო ფერები. რადგან შპონსცან სისტემა ფირის მეტ მოცულობას (კადრების მეტ რაოდენობას) მოითხოვს, ამიტომ ამ ფირების დამზადების ღირებულება 20 პროცენტით მეტია 70 მმ-იან ფირებთან შედარებით. მკაფიო გამოსახულებისა და მოძრაობის

ცხრილი 7.4: "8-70" სისტემის ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
1200 კვ. ფუტი (120 მ2) 50 ადგილიანი დარბაზისთვის	ახალი 8-70 მმ ფირის გასაშვები კინოთეატრის მონყობისა და მონტაჟის საშუალო გაფასებული ხარჯები შეადგენს 3-5 მილიონ აშშ დოლარს (საპროექციო სისტემის გარეშე)	ერთი ნუთი საჩვენებელი დროის შესაბამისი ხარჯები - 100.000-150.000 აშშ დოლარი.	<ul style="list-style-type: none"> • მინიმუმ, საჭიროა ოთხი მუდმივი საშტატო ერთეული: • კინოთეატრის მენეჯერი • კინომექანიკოსი • უფროსი შვეიცარი • შვეიცარი
5000 კვ. ფუტი (5600 მ2) 600 ადგილიანი დარბაზისთვის		ფილმების დაქირავების ნლიური ღირებულება - 100.000 აშშ დოლარი	

სრულყოფილად ჩვენების უნარის გამო, Showscan სისტემა ხშირად გამოიყენება რბოლების ფონური ჩვენებისთვის მუზეუმებსა და სამეცნიერო ცენტრებში დამონტაჟებულ საიმიტაციო ატრაქციონებზე.

ცხრილი 7.5: Showscan სისტემის ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
1200 კვ. ფუტი (120 მ2) 50 ადგილიანი დარბაზისთვის	ახალი Showscan ტიპის კინოთეატრის მონყობისა და მონტაჟის საშუალო გაფასებული ხარჯები შეადგენს 5-8 მილიონ აშშ დოლარს (საპროექციო სისტემის გარეშე)	ერთი ნუთი საჩვენებელი დროის შესაბამისი ხარჯები - 96.000 აშშ დოლარი. ნლიური საიჯარო ხარჯები ცნობილი არ არის.	<ul style="list-style-type: none"> • მინიმუმ, საჭიროა ოთხი მუდმივი საშტატო ერთეული: • კინოთეატრის მენეჯერი • კინომექანიკოსი • უფროსი შვეიცარი • შვეიცარი
5000 კვ. ფუტი (5600 მ2) 600 ადგილიანი დარბაზისთვის		ტექნიკური მომსახურების ხარჯები - შესაბამისი კონტრაქტის მიხედვით	

7.5.3.2 სპეციალიზებული თეატრები

სპეციალიზებული კინოთეატრების გარდა, არსებობს ოთხი ტიპის სპეციალიზებული თეატრი, რომელიც შეიძლება იყოს მუზეუმის საგამოფენო პროგრამის შემადგენელი ნაწილი:

- საგნების თეატრი
- მრავალეკრანიანი პრეზენტაციები
- ინტერაქტიური თეატრი
- ვირტუალური რეალობის ამსახველი თეატრი და გარემოცვა.

საგნების თეატრი

საგნების თეატრი, ჩვეულებრივ, განთავსებულია ჩაბნელებულ ფართზე, სადაც საჩვენებელი პროგრამა შეიძლება მოიცავდეს:

- ფაზირებულ განათებას, მასალის გადმოცემასთან კოორდინირებული სახით
- სტატიკური ან მოძრავი საგნების და ბუტაფორული მოდელების ჩვენებას. ეს საგნები შეიძლება წარმოადგენდეს არტეფაქტებს, მოდელებს ან დუბლიკატებს. თუ თეატრი გარეთ არის განთავსებული, ჩვენება შეიძლება მოიცავდეს შენობებს და ლანდშაფტის ნაწილებს.
- აუდიო პროგრამა, რომელიც შეიძლება ხაზს უსვამდეს მასალის გადმოცემის, გახმობის, წარმოდგენის ან მუსიკის ცალკეულ მომენტებს, ისევე როგორც წარმოადგენდეს საგნების ან მათი კონტექსტისთვის დამახასიათებელ ხმებს.
- გამოსახულებების პროექციები, დაწყებული მრავალეკრანიანი პანორამული ჩვენებებიდან, ახლო ხედებამდე, საგნებისა და შეხედულებების პრაქტიკული მოქმედების წარმოსადგენად.

- ფიგურები, როგორც ცოცხალი, ასევე ანიმაციური, რომლებიც ურთიერთქმედებს მათ გარშემო არსებულ გამოსახულებებთან, ხმებთან და საგნებთან.

საგნების თეატრი (იხ. ცხრილი 7.6) წარმოადგენს ძალზედ მოქნილ მედია-საშუალებას, რომელიც ისე შეიძლება დამონტაჟდეს, რომ მაყურებელმა წარმოდგენას უყუროს საგამოფენო გალერეასთან მიმდებარედ მონყობილი დასაჯდომი, მისაყრდნობი ან დასადგომი ადგილებიდან, როგორც ეს ონტარიოს პროვინციის ქალაქ სადბარიში მდებარე "ჩრდილოეთის მეცნიერების ცენტრშია" განხორციელებული; ან ასეთი ობიექტები შეიძლება გამოყენებულ იქნას შთამბეჭდავი და იუმორისტული საორიენტაციო წარმოდგენებისთვის, რასაც ადგილი აქვს მონრეალის არქეოლოგიურ მუზეუმში. ყველაზე უპრიანია, როდესაც მუზეუმს სურს ამბის გადმოცემა შეზღუდული რაოდენობის საგნების დახმარებით, რომლებიც მკაფიოდ დასანახი და გასაგები უნდა იყოს მაყურებლისთვის, როგორც ეს ხდება სინგაპურის "ალ-მოჩენების ცენტრში", სადაც ასეთი ჩვენება ომის ისტორიის გადმოცემისთვის გამოიყენება. საგნების თეატრის გამოყენების განსაკუთრებით თვალსაჩინო ნიმუში აღწერილია პრაქტიკულ 7.2 მაგალითში სათაურით - "ათასი წლის დღესასწაული", რომელიც აღწერს ბელგიის ქალაქ ინაიმის პროვინციულ მუზეუმში მონყობილ გამოფენას, სადაც საგამოფენო ვიტრინებში განთავსებულ არტეფაქტებთან ერთად, ეკრანზე უჩვენებენ მსახიობების მიერ გაცოცხლებულ ნატურალური ზომის მანეკენებს.

სასწავლო მაგალითი 7.2

ათასი წლის დღესასწაული

არქეოლოგიური მემკვიდრეობის ინსტიტუტის კურატორი, მარი-კლერ ვან დერ დონქტი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი დირკ კოლემოტი

ინეიმის პროვინციული მუზეუმი, რომელიც ბელგიის აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვინციის სოფელ ინეიმში მდებარეობს, საზოგადოებისთვის გაიხსნა 1998 წლის სექტემბერში და წარმოადგენს უფრო დიდი მასშტაბის მქონე "ინეიმი 974" პროექტის შემადგენელ ნაწილს. არქეოლოგიური კვლევების, ისტორიული ძეგლების დაცვისა და მემკვიდრეობის ნიმუშების პრეზენტაციის გრძელვადიანი პროგრამა დაფუძნებულია ინეიმის მატერიალური მემკვიდრეობის შემდეგ სამ გამორჩეულ წყაროზე: 1. მდინარე შელდტის ნაპირებზე მდებარე არქეოლოგიური პარკი, რომელიც მოიცავს X-XI საუკუნეების ციხესიმაგრისა და ქალაქის ტიპის დასახლების ნაშთებს და XI-XVIII საუკუნეების ბენედიქტელთა სააბატოს ისტორიულ ძეგლებს.

2. X საუკუნის წმინდა ლავრენტის ეკლესია (რომელიც დღესაც ფუნქციონირებს ადგილობრივი ეკლესიის სახით)

3. ბოს ტ'ინეიმის ნაკრძალი

თითოეული ზემოაღნიშნული წყარო განსაზღვრავს მუზეუმში წარმოდგენილ მასალას, რაც მთლიანობაში აღწერს ათასი წლის წინანდელ სოფლის სულიერ ცხოვრებას, მატერიალურ ისტორიას და ბუნებრივ გარემოს. მუზეუმი განთავსებულია სოფლის ცენტრალურ მოედანზე მდებარე განახლებულ და გარემონტებულ ისტორიულ შენობაში, რომელიც ვიზუალურად და კონცეპტუალურად დაკავშირებულია მის მახლობლად მდებარე ეკლესიასთან, არქეოლოგიურ პარკთან და ტყე-ნაკრძალთან.

974 წელს საფრანგეთისა და გერმანიის იმპერიების სასაზღვრო დასახლების სახით დაფუძნებული, ინეიმი მდიდარი ევროპული ისტორიის მქონე ტიპიურ ფლამანდურ სოფელს წარმოადგენს. ინეიმის მუზეუმი, რომელიც აღმოსავლეთი ფლანდრიის პროვინციის ბიუჯეტიდან ფინანსდება, მიზნად ისახავს ადგილობრივი თემის ისტორიული მემკვიდრეობის დაცვასა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და მიმზიდველი სახით წარმოდგენას. ამ კუთხით, მუზეუმი წარმოადგენს მუზეოლოგიური ექსპერიმენტების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ადგილობრივი მოსახლეობის სიამაყის ცენტრს. მუზეუმი წარმოაჩენს ფლანდრიული სოფლის კულტურას და ისტორიას, განხორციელებულს საკუთარ სოფელში და მისთვის დამახასიათებელ ფასეულობებს და თავისებურებებს წარუდგენს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მნახველებს.

გამოფენის ფართი 500 კვადრატულ მეტრს (5000 კვ. ფუტს) შეადგენს. მუზეუმის საერთო კონცეპტუალური სქემა და ძირითადი გამოფენების პროექტები, შემუშავებულია დიდი ბრიტანეთიდან მოწვეული სპეციალისტის ჯონ სანდერლენდის მიერ. გამოფენების სამეცნიერო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ფლამანდური თემის არქეოლოგიური მემკვიდრეობის ინსტიტუტს აქვს დაკისრებული. სამუზეუმო ექსპოზიციების დაგეგმარება იძლევა ინდივიდუალური არტიფაქტების ფართო კონტექსტში ჰარმონიულად ჩასმის შესაძლებლობას. ამ მიზნით ინტენსიურადაა გამოყენებული სპეციალიზებული მედია-საშუალებები (როგორცაა "ვირტუალური რეალობა", ინტერაქტიური კომპიუტერული პროგრამები, ფილმები და ვიდეო მასალა), რომელიც ამდიდრებს და არა – ანაცვლებს,

ტრადიციულ სამუზეუმო ექსპოზიციებს. ინიემში ახალი ტექნოლოგიები განიხილება არა როგორც დამოუკიდებელი და მთავარი კომპონენტი, არამედ როგორც მძლავრი იარაღი, რომელიც ეხმარება დამთვალეირებლებს როგორც ცალკეული საგნების, ასევე წარსულის უფრო ფართო და შინაარსიან კონტექსტში მათი ადგილის უკეთესად გააზრებაში.

რადგან სამუზეუმო ექსპოზიციების მთავარი თემები ცოცხალი მეხსიერებისა და ისტორიული აღმოჩენების ერთმანეთთან შერწყმით გადმოიცემა, ამიტომ სოფლის მოსახლეები აქტიური პარტნიორების სახით მონაწილეობენ სამუზეუმო კოლექციის შედგენაში. ინიემის მკვიდრნი გულუხვად (და უწყვეტად) სწირავენენ მუზეუმს ანტიკური ხანის სამეურნეო ნივთებს და საოჯახო სურათებს, რომლებიც აცოცხლებენ და პირად ელფერს არქეოლოგიური ჯგუფების მიერ მოპოვებულ ნეოლოთიდან თანამედროვე ეპოქამდე პერიოდის არტეფაქტებს. მაგალითად, მუზეუმისთვის ნაჩუქარი საოჯახო სურათები გადაყვანილია ციფრულ ფორმატში და გაიშვება ვიდეო-მონიტორზე, რომელიც განთავსებულია ნატურალური ზომის ფიგურებით წარმოდგენილი სცენის წინ, სადაც ბაბუა ფოტოსურათების ალბომს ათვალეირებინებს მის მუხლებზე შემომჯდარ შვილიშვილს.

სამუზეუმო ექსპოზიციების ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ინიემის ისტორიის პრეზენტაცია ტექსტური მულტიმედიის გამოყენებით, რომლის სათაურია "ათასი წლის დღესასწაული". ინიემის ტრადიციული ყოველწლიური დღესასწაულის საფუძველზე, ეს ჩვენება დიდ სამაგიდე ვიტრინაში განთავსებულ 24 სპეციალურად შერჩეულ არტეფაქტს აკავშირებს 24 ადამიანის პირად ამბავთან, რომლებსაც მაყურებელს ფართოეკრანიანი ვიდეო-ეკრანიდან მოუთხრობენ და ასრულებენ შესაბამისი პერიოდის ტანსაცმელში გამონყოფილი ცნობილი თანამედროვე ფლამანდიელი მსახიობები. ამასთან, ეს ეკრანი განთავსებულია საბანკეტო მაგიდის უკან, რომლის ირგვლივაც შემომსხდარია 24-ივე გმირის ნატურალური ზომის ფიგურები (იმავე მსახიობების მანეკენები). ასეთი ისტორიული ინტერპრეტაციები, რომელიც მომზადებულია გულმოდგინე გამოკვლევისა და ზუსტად შეკერილი კოსტიუმების გამოყენებით, მძლავრ ემოციურ ელფერს მატებენ ინიემის ისტორიის პრეზენტაციას. უფრო მეტიც, ისინი ადამიანურ კონტექსტს უქმნის გამოფენილ არტეფაქტებს, რისი დეფიციტიც ხშირად შეიმჩნევა ტრადიციულ არქეოლოგიურ მუზეუმებში.

გამოფენის სივრცეში შესვლისას, მნახველებს პირველ რიგში თვალში ეცემათ ფართო სადღესასწაულო მაგიდა, რომლის ირგვლივ ზის, დგას, წამოწოლილია, მიყრდნობილია ან ბრუნავს ნატურალური ზომის და ისტორიულ სამოსში გამონყოფილი 24 ფიგურა, ფეხებთან ჩაცმული ისტორიული ძალღის ჩათვლით. ეს შთამბეჭდავი მანეკენი-გმირები გამოხატავენ ათასი წლის წინანდელი ინიემის ყოველდღიურ ცხოვრებას, ხოლო მათი სახელები, წოდებები და ცხოვრების თარიღები გამოტანილია გრაფიკულ დაფაზე.

მახლობლად განთავსებულია წრიული ინტერაქტიური საგამოფენო ვიტრინა, რომელშიც ჩანყოფილია 24 არტეფაქტი. შესაბამისი არტეფაქტის შერჩევის შემდეგ, ვიტრინის კიდეზე მდებარე რომელიმე ლილაკზე დაჭერით ხდება როგორც არტეფაქტის, ასევე ერთ-ერთი ფიგურის განათება. იმავედროულად, სადღესასწაულო მაგიდის უკან დამონტაჟებულ ფართო ეკრანზე ჩნდება ანალოგიურად გამონყოფილი იგივე მსახიობი, რომელიც იწყებს ამბის მოთხრობას/შესრულებას. თითოეული პრეზენტაცია რამდენიმე წუთს გრძელდება, ხოლო ყველა გმირის წარმოდგენა ჯამში თითქმის ორ საათს იკავებს. ამ გზით, გამოფენა საკმარის მასალას იძლევა იმისათვის, რომ მნახველებს მუზეუმში რამდენჯერმე მოსვლის სურვილი გაუჩნდეთ.

სახასიათო გმირების შერჩევა "ათასი წლის დღესასწაულისთვის" დაფუძნებული იყო როგორც ისტორიულ კრიტერიუმებზე, ასევე მასალის საინტერესოდ გადმოცემაზე. ჩვენება მოიცავს დროის, სოციალური მდგომარეობის და პირადი თვისებების ფართო დიაპაზონს – დაწყებული XIX საუკუნის ინიემის ბატონიდან იმავე დროის უბრალო სოფელამდე; XV საუკუნის მსუქანი ბერიდან XVII საუკუნეში მცხოვრებ მოძღვრამდე; XIX საუკუნის მანან-ნალა ქალიდან თანამედროვე არქეოლოგამდე. მათი ამბავი აცოცხლებს სოფლის ათასწლიან ისტორიას.

მუზეუმში და "ინიემი 947" პროექტის სხვა კომპონენტებში, სამეცნიერო მიდგომის მაღალი სტანდარტები სოფლის ისტორიული მემკვიდრეობის საზოგადოებისთვის ახლებური საშუალებებით მიწოდების ამოცანასთან არის გაერთიანებული. მუზეუმში დამონტაჟებული მედია-საშუალებების გარდა, "ვირტუალური რეალობის" (Virტუალ ლეალიტყ) და თიმე-შცოპე სისტემების ინსტალაციები პირველად არის გამოყენებული ინიემის არქეოლოგიურ პარკსა და ეკლესიის მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებში და გადასცემს მნახველებს ინიემის მთავარი ძეგლების ისტორიული განვითარების გაცოცხლებულ სურათებს. მაგალითად, სააბატოს არქეოლოგიურ ობიექტზე მნახველები ხედავენ მათ წინ მდებარე ობიექტს, მაგრამ იმავედროულად შეუძლიათ დაინახონ იგივე შენობა ეკრანზე, სადაც იგი გარშემორტყმულია სხვადასხვა პერიოდის ისტორიული შენობებით, ისე, თითქოს ისინი მართლაც მნახველების წინ იყოს განთავსებული.

მუზეუმის სამომავლო განვითარების გეგმები მოიცავს სკოლებისთვის გამიზნული ინტერაქტიური საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოვებას. 2000 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილება სრული დატვირთვით მუშაობს და შემუშავებული აქვს რიგი პრეზენტაციები, რომლებიც კონკრეტული ასაკის აუდიტორიაზე გათვლილი, რაც ახალგაზრდა ვიზიტორებს აძლევს "ერთი დღით არქეოლოგებად" გახდომის საშუალებას და უშუალო განცდას იმისა, თუ როგორ მუსაობენ და სწავლობენ წარსულს არქეოლოგები. ასევე, დაგეგმილია საინტერპრეტაციო პროგრამები სახვადასხვა ცალკეული აუდიტორიისთვის, როგორიცაა: ხანდაზმული ადამიანები, ინვალიდები და სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

რამდენადაც მუზეუმს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მნახველები სტუმრობენ, ამიტომ იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ინიემის არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებრივ ცენტრთან, რომელიც წარმოადგენს ევროპის შესაბამის დარგობრივ დანესებულებებთან მჭიდრო პროფესიური კავშირების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციას. ორივე ორგანიზაცია სათავეში უდგას განათლებისა და არქეოლოგიის ურთიერთდამაკავშირებელ კვლევით და განვითარების პროგრამებს.

ცხრილი 7.6: საგნების თეატრის მიმართ არსებული ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
იცვლება ტერიტორიისა და შენობის მიხედვით. "ჩრდილოეთის მეცნიერების მუზეუმი" (შციენცე ორტკ) - 600 კვ. ფუტი (60 მ ²); მონრეალის არქეოლოგიის მუზეუმი - 4500 კვ. ფუტი	"ჩრდილოეთის მეცნიერების მუზეუმი" - 375 ათასი აშშ დოლარი არქეოლოგიის მუზეუმი - 1,5 მილიონი აშშ დოლარი	იცვლება ექსპოზიციის შემადგენლობისა და ხასიათის მიხედვით.	იცვლება ექსპოზიციის შემადგენლობისა და ხასიათის მიხედვით.

მრავალეკრანიანი პრეზენტაციები

მრავალეკრანიანი საპრეზენტაციო პროგრამები 20 წელზე მეტია წარმოადგენს მუზეუმებში, კულტურული/ისტორიული მემკვიდრეობის წარმოდგენებსა და სამეცნიერო ცენტრებში გამოყენებულ საჩვენებელ მეთოდებს (ცხრილი 7.7). ისინი მოიცავს სლაიდების გაშვებას, ისევე როგორც სატელევიზიო მონიტორების სინქრონულ გამოყენებას, რომლებსაც ხშირად "ვიდეო კედლების" სახელწოდებით მოიხსენიებენ. საგნების თეატრის მსგავსად, ასეთი ჩვენებებიც საგამოფენო გალერეასთან მიმდებარედ (ან მასში ინტეგრირებულად) შეიძლება მოეწყოს ან წარმოდგენილი იქნას საორიენტაციო თეატრებსა ან აუდიტორიებში.

ცხრილი 7.7: მრავალეკრანიანი პრეზენტაციების მიმართ არსებული ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
ძალზე ცვალებადია, დამოკიდებულია ობიექტსა და შენობაზე	ძალზე ცვალებადია სლაიდების პრეზენტაციის შემთხვევაში, ხელმისაწვდომ რესურსებსა და ჩვენების ხასიათზეა დამოკიდებული. ვიდეო პრეზენტაციის შემთხვევაში, დადგენილი ხარჯები შეადგენს: 6-ეკრანიანი საბაზისო სისტემა (შეზღუდული ფუნქციებით და ვიზუალური ეფექტებით) - 175 ათასი აშშ დოლარი; 12-ეკრანიანი კედლის ვიდეო სისტემა (ყველა ფუნქციით და ვიზუალური ეფექტით) - 550 ათასი აშშ დოლარი	ძალზე ცვალებადია, საჭირო ვიზუალური პროდუქციის ხასიათსა და მოცულობაზეა დამოკიდებული. ვიდეო პროგრამების სამუშაო ხარჯები იწყება 20 ათასი აშშ დოლარიდან. ტექნიკური მომსახურების ხარჯები განისაზღვრება შესაბამისი კონტრაქტით.	მონტაჟის დასრულების შემდეგ, ყოველდღიური ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივი პერსონალის მიერ. კაპიტალური რემონტი და ხელახალი დაპროგრამება უნდა შეასრულდეს საკონტრაქტო საფუძველზე.

მრავალეკრანიანი პრეზენტაციები გულისხმობს რამდენიმე გამოსახულების კომბინირებას ცვალებადი ვიზუალური სცენების ნაკრების შექმნის მიზნით, მათ შორის:

- პატარა გამოსახულებების გამოყენება გაცილებით დიდი კომპოზიციური გამოსახულების შესაქმნელად, ანუ როდესაც თითოეული ეკრანი ასრულებს დიდი ეკრანის შემადგენელი ნაწილის ფუნქციას

- ერთი და იმავე გამოსახულებების იმავე თანმიმდევრობით განმეორება ობიექტის შესახებ მნახველის შთაბეჭდილების გაძლიერების ან ვიზუალური "მრავალრიცხოვნების" ილუზიის შესაქმნელად

- საგნების, საქმიანობების და შეხედულებების მრავალფეროვნების გადმოცემა. ეს ეფექტი შეიძლება სასარგებლო იყოს პროცესის, მრავალსახეობის და სხვადასხვა მოსაზრებების დემონსტრირებისთვის.

ინტერაქტიური თეატრები

ინტერაქტიური თეატრი წარმოადგენს მრავალეკრანიანი და საპროექციო სისტემების გამოყენებით გასაშვებ სპეციალურ პროგრამულ პროდუქტს, რომლის გამორჩეული თვისებაა ვიზიტორის მიერ გაცემულ სიგნალებზე რეაგირება, რაც ზოგჯერ მოძრავი მოდელების და ცოცხალი მსახიობების საშუალებით ხორციელდება (ცხრილი 7.8). ფართო გაგებით, ინტერაქტიური თეატრალური ჩვენება მოიცავს ამბის ან სცენარის გადმოცემას, რომელიც საკვანძო მომენტებში წყდება და მნახველებს ეძლევათ მენიუში მითითებული ალტერნატიული მოქმედებების არჩევის შესაძლებლობა, რათა კოლექტიურად გადაწყვიტონ, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ამბის თხრობა. ჩვეულებრივ, ასეთი არჩევანი თითოეულ სავარძელში ჩამონტაჟებული ელექტრონული მენიუს პანელის საშუალებით კეთდება. აუდიტორიის მიერ ხმის მიცემის შედეგები ჯამდება კულისებში დადგმულ კომპიუტერში, რის შემდეგაც გაიშვება უმრავლესობის მიერ შერჩეული სცენარი მომდევნო გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე.

ინტერაქტიური თეატრი შეიძლება გამოყენებულ იქნას წმინდა გასართობი მიზნით ან უფრო რთული პროგრამების გასაშვებად, როდესაც მყურებელს მოეთხოვება ეთიკური სახის გადაწყვეტილებების მიღება ან გარემოს დაცვის მიმართებით რაიმე გადაწყვეტილების მიღების ან მიუღებლობის შედეგების განსაზღვრა. ეს ფორმატი საუკეთესოა "რა მოხდებოდა, რომ?" ტიპის ისტორიის გაკვეთილებისთვის. ინტერაქტიური თეატრის მაგალითებს შორისაა, "არჩევანის თეატრი" მურეის შტატში, კენტუკიში მდებარე "ბოისკაუტების მუზეუმი" და "OPUS Theatre" მიჩიგანის "კალამაზუს ხეობის მუზეუმი" (Kalamazoo Valley Museum). ასეთი ჩვენებისთვის საჭიროა სპეციალურად მოწყობილი თეატრი, რომლის სავარძლებში ჩამონტაჟებული უნდა იყოს ინტერაქტიური ტექნოლოგიური საშუალებები და ხშირ შემთხვევაში, მრავალეკრანიანი მონიტორები, რათა ყველას შეეძლოს მოქმედების მსვლელობის მიყოლა.

ვირტუალური რეალობის ამსახავი თეატრი და გარემო

გასული ათი წლის მანძილზე ინტერაქტიური კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ვიდეო-ელექტრონული გამოსახულებების ტექნიკის განვითარების მიღწევებმა მიგვიყვანა

ცხრილი 7.8 ინტერაქტიური თეატრების მიმართ არსებული ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
<p>"კალამაზუს ხეობის მუზეუმი" - 1300 კვ. ფუტი (130 მ²) 80-ადგილიანი თეატრისთვის;</p> <p>ვანკუვერის "ექსპო 86" გამოფენის "მომავლის პავილიონი" - 5500-6000 კვ. ფუტი (550-600 მ²) 250-ადგილიანი თეატრისთვის</p>	<p>"კალამაზუს ხეობის მუზეუმი" - 1,5 მილიონი აშშ დოლარი</p> <p>ვანკუვერის "ექსპო 86" გამოფენის მომავლის პავილიონი - 3,3 მილიონი აშშ დოლარი</p>	<p>"კალამაზუს ხეობის მუზეუმი" - 500 ათასი აშშ დოლარი</p> <p>ვანკუვერის "ექსპო 86" გამოფენის მომავლის პავილიონი - 1,2 მილიონი აშშ დოლარი</p>	<p>"კალამაზუს ხეობის მუზეუმი":</p> <ul style="list-style-type: none"> • თეატრის მენეჯერი/კონტროლიორი • ორი შვეიცარი

იმიტირებულ გარემოში გადაყვანის ახალ ფორმებთან. რამდენიმე მიმწოდებელს შექმნილი აქვს სისტემები, რომლებშიც ვიზიტორებს შეუძლიათ საკუთარი გამოსახულების ჩასმა კომპიუტერში შექმნილ ვირტუალური რეალობის (VR) ამსახვე გარემოში. ეს სისტემები შეიძლება განთავსდეს თეატრში ან უშუალოდ, საგამოფენო გალერეაში.

ასეთი ვირტუალური სისტემები ძალზე მოქნილია, როგორც ზომების, ასევე ხარჯების მხრივ (ცხრილი 7.9). ისინი შეიძლება უბრალოდ წარმოადგენდეს (სატელევიზიო წამყვანების ახალი ამბების გადაცემაში ჩასმისთვის გამოყენებული ტექნოლოგიების მსგავს) "ცისფერ ეკრანებიან" აპარატებს, რომელთა საშუალებითაც მნახველებს შეუძლიათ ითამაშონ "ვირტუალური ფრენბურთი" შერჩეულ ფანტასტიკურ პლაჟებზე ან უფრო რთულ შემთხვევაში, იძლეოდნენ "ვირტუალურ გამოქვაბულებში" შესვლის შესაძლებლობას, სადაც საჭიროა გონებისა და სათანადო წინდახედულობის დემონსტრირება. მაგალითად, სინგაპურის აღმორჩენების ცენტრში მნახველები ერთმანეთს ეჯიბრებიან პარაშუტისტების გამოსახულებების მიწაზე ზუსტად დაშვებაში ნამდვილ საპარაშუტო აღჭურვილობაში ტანის მოძრაობის საშუალებით.

ცხრილი 7.9: ვირტუალური რეალობის ამსახველი თეატრის და გარემოს მიმართ არსებული ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
<p>ძალზე ცვალებადი, დამოკიდებულია ობიექტსა და შენობაზე.</p> <p>ვირტუალური ჯგუფური თამაშების გარემო: 500 კვ. ფუტი (50 მ²)</p> <p>ვირტუალური გამოქვაბული - 2000 კვ. ფუტი (200 მ²)</p>	<p>ძალზე ცვალებადი, დამოკიდებულია ობიექტსა და შენობაზე.</p> <p>თამაში: 120 ათასი აშშ დოლარი</p> <p>გამოქვაბული: 2,5 მილიონი აშშ დოლარი</p>	<p>ძალზე ცვალებადი, დამოკიდებულია ობიექტსა და შენობაზე</p>	<p>ორი თანამშრომელი "ვირტუალური გამოქვაბულისთვის"</p> <ul style="list-style-type: none"> • კონტროლიორი • შვეიცარი

7.5.3.3 სანავიგაციო სისტემა

მართალია, მოძრავი ტროტუარები და იმიტატორები პოპულარულია, მაგრამ ზოგჯერ მათი გამოყენება წინააღმდეგობაში მოდის მუზეუმების და კულტურული მემკვიდრეობის გამოფენების საინტერპრეტაციო მიზნებთან. ასეთ "სანავიგაციო" სისტემებს შემდეგი საერთო თავისებურებები აქვთ:

- მოგზაურობისთვის დამახასიათებელი სიტუაციის გაცოცხლება, ისევე როგორც ეგზოტიკური სცენებისა და გარემოს წარმოდგენა
- მონაწილე მნახველისთვის გართობისა და ცოდნის მიღების შესაძლებლობების შექმნა, რაც გულისხმობს დათვალიერების დროის გახანგრძლივებისა და კომფორტის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
- დანესებულების მეტი კონტროლის შესაძლებლობები მნახველების მოძრაობის მარშრუტებზე. მრავალი მუზეუმისგან და კულტურული მემკვიდრეობის წარმოდგენებისგან განსხვავებით, საინფორმაციო კამერაში ან მოძრავ ბილიკზე შესვლის შემდეგ, მნახველს არანაირად აღარ შეუძლია მართოს გამოსახულებების დათვალიერების ან აუდიო-ვიზუალური პროგრამის ჩვენების მიმდევრობა და მასზე დახარჯული დრო. ამ კუთხით, სანავიგაციო სისტემები პასიურია და მცირე ან საერთოდ ნულოვან არჩევანს აძლევს მათ მომხმარებელს.

მოძრავი ტროტუარები

მოძრავი ტროტუარები (ცხრილი 7.10) თემატურ პარკებსა და გამოფენებზე 1890-იანი წლებიდან გამოიყენება. ამ ტექნოლოგიის კულტურული მემკვიდრეობის ჩვენებებში გამოყენების პირველ სერიოზულ ნიმუშს წარმოადგენდა იორკში იორვიკის არქეოლოგიური ობიექტის საჩვენებელი პროგრამა, რომლის მსვლელობის დროსაც დამთვალიერებლები რელსებზე მოძრავი ვაგონტებით გადაადგილდებოდნენ წარსულში (მეათე საუკუნემდე, კლუბადი რიგით დალაგებული თითოეული საუკუნის არტეფაქტებს შორის), რის შემდეგაც იწყებდნენ მოძრაობას დროში აწმყოს მიმართულებით, იორკის ვიკინგების ბუნებრივი ზომის ნასახლარში, რომელშიც სრული სურათის აღსადგენად, გამოყენებული იყო შესაბამისი სურნელი, გამოსახულებითი და ხმოვანი ეფექტები.

გამოიყოფა შემდეგი ორი ტიპის მოძრავი ტროტუარები:

- *ლენტური ბილიკები:* როგორცაა იორვიკის ან ედინბურგში მდებარე შოტლანდიის ვისკის ისტორიის მუზეუმში დამონტაჟებული სისტემები, სადაც ლიანდაგებზე მოძრავი ვაგონტებით, კონვეიერული ლენტებით ან გარკვეული სახის ბორბლებიანი მოძრავი სამუალებებით, მნახველები გადაადგილდებიან წინასწარ მომზადებული მარშრუტების გასწვრივ განთავსებული სხვადასხვა ისტორიული ეტაპებისა და მოვლენების ამსახვე ობიექტებს შორის. ჩვეულებრივ, სხვადასხვა ეტაპების ერთმანეთისგან გამოყოფა და მთელი ჩვენების შემადგენლობის ერთმანეთთან დაკავშირება ხდება ვაგონტებსა და სხვა მოძრავ სამუალებში დამონტაჟებული ხმოვანი სისტემით.
- *მბრუნავი თეატრები:* ამ ობიექტების მოწყობისთვის საჭიროა სავარძლების ფართო,

მოდრავ ზედაპირზე დამაგრება. სავარძლები მიმართულია სექციებისა და ეკრანისკენ, რომლებიც თეატრის ცენტრში აღმართული ცილინდრის გარშემო არის განთავსებული. საჩვენებელი პროგრამის მსვლელობისას, მოვლენების აღწერასთან ერთად, მაყურებლები გადაადგილდებიან სექციებსა და ეკრანებს შორის.

ცხრილი 7.10: მოძრავი ტროტუარების მიმართ არსებული ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
<p>იცვლება ტერიტორიისა და შენობის მიხედვით. ლენტური ტროტუარის ტურისტების საჭიროა 22.000-24000 კვ. ფუტის (2400 მ²) ფართი, საიდანაც 15.000 კვ. ფუტი მოდის სამოგზაურო გარემოს შექმნაზე, 5.000 კვ. ფუტი - დამხმარე ფართობზე და 2.000-4.000 კვ. ფუტი - მანქანების სადგომზე.</p> <p>მბრუნავი თეატრი: 4000 კვ. ფუტი (400 მ² ან მეტი</p>	<p>იცვლება ხელმისაწვდომი რესურსებისა და ატრაქციონის ხასიათის მიხედვით.</p> <p>ლენტური ტროტუარით მოგზაურობის ტური: 350-600 ათასი აშშ დოლარი ერთ კვადრატულ ფუტზე (3.500-6.000 დოლარი კვ. მეტრზე).</p>	<p>დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დასადებ ტექნიკური მომსახურების კონტრაქტზე მოლაპარაკების შედეგების მიხედვით.</p>	<p>იცვლება ატრაქციონის შემადგენლობისა და ხასიათის მიხედვით. ლენტური ტროტუარით მოგზაურობის ტური:</p> <ul style="list-style-type: none"> • მენეჯერი • მენეჯერის თანაშემწე • სისტემის ორი კონტროლიორი • ტექნიკური მომსახურების ორი მუშაკი • ორი შვეიცარი

საიმითაცო ობიექტები (სიმულატორები)

იმ დროს, როდესაც მოძრავი ტროტუარები მნახველებს რეალურ სივრცეში ხელოვნურად შექმნილ დუბლირებულ ადგილებს შორის გადაადგილებენ, საიმითაცო ობიექტებზე მოსული მაყურებელი, ერთ ადგილზე რჩება მთელი მოგზაურობის დროს. ამდენად, სიმულატორების შემთხვევაში, თავად მოგზაურობის პროცესიც კი ილუზიაა.

დღეს, მუზეუმებში მოქმედებს რიგი გასართობი სიმულატორები. ამ ობიექტების ტევადობა ერთ-ორ ადამიანზე გათვლილი სიმულატორებიდან 30-100 ადგილიან ჯგუფურ კინოთეატრამდე მერყეობს. მცირეზომიანი ვარიანტები შეიძლება ინტეგრირებული იყოს საგამოფენო სივრცეში, როგორც ამას ადგილი აქვს დაქსფორდში იმპერიული სამხედრო მუზეუმის აერონავიგაციის განყოფილებაში, ან შეიძლება განთავსდეს სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ თეატრში. სიმულატორები წარმატებით გამოიყენება ოტავაში მდებარე ცივილიზაციის კანადის მუზეუმსა და ლონდონის მეცნიერების მუზეუმში. სასიმულაციო ობიექტების გამოყენების მიზანშეწონილება ხშირად განიხილება სამეცნიერო ცენტრებში და ტრანსპორტისა და სამხედრო მუზეუმებში. (ცხრილი 7-11).

სიმულატორებს გარკვეული უპირატესობები აქვთ საინტერპრეტაციო შესაძლებლობების შეთავაზების თვალსაზრისით, კერძოდ:

- ისინი იძლევა საკმაოდ უნიკალური და გამორჩეული შთაბეჭდილების მიღების

შესაძლებლობას – სიმულირებული რბოლებისთვის საზოგადოებაში აღიარების მოხვეჭა მარტივია, იგი უზრუნველყოფს მნახველის ცოცხალ დაინტერესებას ობიექტის მიმართ.

- მათ შეუძლია ძალზე ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა – მაღალი ხარისხისა და ინტელექტუალური ფასეულობის მქონე სიმულირებულ რბოლას, შეუძლია “გადაიყვანოს” ადამიანები ისეთ ადგილებში, სადაც ისინი სხვაგვარად ვერასდროს მოხვდებოდნენ.

- ისინი აძლევს დაწესებულებას დამთვალეირებელთა გადაადგილების მეტი კონტროლირების შესაძლებლობას. ჩვენების ხანგრძლივობა და მნახველთა რაოდენობა რეგულირდება სიმულატორის სიმძლავრისა და პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით, თუმცა, ამ ფაქტორებს შეუძლიათ გამოიწვიონ დამთვალეირებელთა რიგები გამოფენებზე.

- სასიმულაციო ობიექტებს არ შეუძლია ჭარბი რაოდენობის დამთვალეირებლების მიღება, ამიტომ საჩვენებელი პროგრამის ხანგრძლივობა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროის შუალედები, წამების სიზუსტით უნდა იყოს დაგეგმილი და მართული.

- სასიმულაციო ობიექტები ნაკლებ ფართს იკავებს მოძრავ სისტემებთან შედარებით და ჩვეულებრივ, ასევე ნაკლებად მომთხოვნი არის პერსონალის რაოდენობისა და ტექნიკური მომსახურების მიმართ.

ცხრილი 7.11: სასიმულაციო ობიექტების მიმართ არსებული ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა (არსებულის საფუძველზე)

ფართი	მონტაჟის ხარჯები	ექსპლუატაციის ხარჯები	პერსონალით უზრუნველყოფა
30-50 ადგილიანი საიმითაციო ობიექტი - 4000 კვ. ფუტი (400 მ2)	ელექტრულად აძვრადი მოძრავი ბაქანი: 1-1,5 მილიონი აშშ დოლარი ჰიდრავლიკურად მოძრავი ბაქანი: 2,5-4 მილიონი აშშ დოლარი	20-ნუთიანი ისტორიული ფილმის (35-70 მმ) დამზადების ხარჯები: 500 ათასი - 1 მილიონი აშშ დოლარი. 20-ნუთიანი ფილმი სპეციალური ეფექტებით: 3 მილიონ აშშ დოლარზე მეტი	<ul style="list-style-type: none"> • სისტემის კონტროლიორი • ტექნიკური მომსახურების პერსონალი • ორი ბილეთების კონტროლიორი • ოთხი არასრულ განაკვეთზე მომუშავე შვეიცარი

7.5.3 სპეციალიზებული მედია-საშუალებების ინტეგრირება გამოფენის მოწყობის პროცესში

გამოფენის მოწყობის მთლიანი პროცესის განხილვისას გასარკვევია, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ სპეციალიზებული (მაღალ-ტექნოლოგიური) მედია-საშუალებების ინტეგრირება. ამ პარაგრაფში წარმოდგენილია სპეციალიზებული მედია-საშუალებების დაგეგმვის, დაპროექტების და განხორციელების საფეხურები, რომლებიც წარმოადგენს გამოფენის მოწყობის პროცესის შემადგენელ ნაწილს (ნახაზი 7.8):


- საფეხური 1: სპეციალიზებული მედია-საშუალებების პოტენციალის იდენტიფიკაცია
- საფეხური 2: სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენების აღწერა
- საფეხური 3: კონკრეტული სპეციალიზებული მედია-საშუალებების განსაზღვრა
- საფეხური 4: სპეციალიზებული მედია-საშუალებების მწარმოებლებისა და მომწოდებლების

ბლების განსაზღვრა

საფეხური 5: მედია-კომპონენტების წარმოება

საფეხური 6: მედია-მონყობილობების მონტაჟი და გაშვება

ნახაზი 7.8. გამოფენის მონყობის პროცესი. სპეციალიზებული მედია-საშუალებები



7.5.4.1 სპეციალიზებული მედია-ტექნოლოგიების პოტენციალის იდენტიფიკაცია

უმრავლესობა სპეციალიზებული მედია-საშუალებებისთვის დამახასიათებელი მაღალი ხარჯების, დიდი მოცულობის და მასშტაბურობის გამო, ისინი პროექტის შემუშავების ადრეულ ეტაპზევე უნდა იქნას იდენტიფიცირებული. საგამოფენო გარემოში რბოლების საიმიტაციო ტექნიკისა და IX თეატრის დამონტაჟება, ხარჯებისა და ობიექტისადმი ნაყენებული მოთხოვნების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს და მნიშვნელოვნად განაპირობებს გამოფენის კონცეფციისა და საინტერპრეტაციო ფუნქციების განსაზღვრას.

7.5.4.2 სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენის საკითხების განსაზღვრა

გამოფენის მიმოხილვა უნდა მოიცავდეს სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების აღწერას შემდეგი ასპექტების ჩათვლით:

- გამოფენის მიზნები და დანიშნულება
- შთაბეჭდილების შექმნა მედია-საშუალებების გამოყენებით
- სამიზნე აუდიტორია
- შესაძლო ტექნოლოგიური გადაწყვეტები და მათთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები

7.5.4.3 კონკრეტული მედია-საშუალებების იდენტიფიცირება

შერჩეული სპეციალიზებული მედია-საშუალებების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს სქემატური დაპროექტების შემადგენელი ნაწილის სახით და მოიცვას:

- *შემადგენლობის კვლევა:* სპეციალიზებული მედია-საშუალებების შესახებ ინფორმაციის დაჩქარებულ ტემპებში შეგროვება, რათა საკმარისი დრო იყოს სათანადო მასალების მოსამზადებლად – მაგალითად, სხვადასხვა სეზონების ამსახველი ფოტოგრაფიული მასალის მომზადების ან უცხოეთში მდებარე ობიექტზე გადაღებების დაგეგმვის მიზნით.
- *სცენარის დამუშავება:* სპეციალიზებული მედია-საშუალებების გამოყენებით გადამოსაცემი შესაძლო შთაბეჭდილების დეტალური აღწერა სცენების მიხედვით.
- *ბიუჯეტისა და კალენდარული გეგმის შედგენა* სპეციალიზებული მედია-საშუალებების კომპონენტების წარმოებისთვის.

7.5.4.4 სპეციალიზებული მედია-საშუალებების მომწოდებლებისა და მწარმოებლების დადგენა

ამ საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს ყველა ექსპონატის მომცველი სატენდერო ნაბაზებისა და სპეციფიკაციების კრებულის მომზადებასთან კოორდინირებულად, თუ შემადგენლობის ან წარმოების სპეციფიკა არ მოითხოვს შესაბამისი კონტრაქტების უფრო ადრე გაფორმებას.

7.5.4.5 მედია-კომპონენტების წარმოება

როგორც წესი, დეტალური საწარმოო სცენარების პროექტების შემუშავება, შემოქმედებითი პროდუქციის დამამზადებლების პასუხისმგებლობის სფეროს წარმოადგენს და უნდა ეფუძნებოდეს მუზეუმის მიერ მომზადებულ ბიუჯეტს, კალენდარულ გეგმებსა და დამუშავების საშუალებებს. თუმცა, სცენარები, წარმოებაში ჩაშვებამდე, უნდა განიხილოს მუზეუმის წარმომადგენლებმა. ზოგიერთ შემთხვევაში, მუზეუმებმა ასევე წინასწარ, საბოლოო ვარიანტის შექმნამდე, უნდა ნახონ შემუშავებული წარმოდგენების "შავი ვარიანტები".

7.5.4.6 მონტაჟი და გაშვება

ეს სამუშაოები კოორდინირებული უნდა იყოს ექსპონატების სამონტაჟო სამუშაოებთან, რათა მაყურებელმა სათანადო შთაბეჭდილება გამოიწვიოს გახსნის დღიდანვე მიიღოს. ობიექტის სპეციფიური მოთხოვნები მონაცემების მონტაჟისა და გამართვის მიმართებით, უნდა განიხილებოდეს და დაკმაყოფილდეს გამოფენის პროექტის მენეჯერთან შეთანხმებით.

გამოფენის მოწყობის პროცესი

სახელმძღვანელოს I ნაწილში სამუზეუმო გამოფენის მიზნებისა და დანიშნულების განხილვის, ხოლო II ნაწილში ამ გამოფენებისათვის საჭირო სივრცისა და საშუალებების უზრუნველყოფის საკითხების განხილვის შემდეგ, დროა განვიხილოთ სამუზეუმო გამოფენების მოწყობის პროცესი. მართალია, ღონისძიების მასშტაბი ყოველთვის განსხვავებულია და შესაძლოა გულისხმობდეს როგორც ხელოვნების ერთეული ნივთის გამოფენას, ისე ვრცელი გამოფენის მოწყობას, რომელიც დიდი მუზეუმის ყველა თანამშრომლის ერთობლივ მუშაობას მოითხოვს, გამოფენის მოწყობის პროცესი ყველა შემთხვევაში ერთნაირია და ნებისმიერი სახის სამუზეუმო გამოფენის მოწყობის პროცესზე, უამრავი ერთნაირი უარყოფითი ფაქტორი მოქმედებს.

გამოფენის მოწყობის ზოგი საფეხური, როგორცაა საგამოფენო კომიტეტის ან ჯგუფის (I თავი) ჩამოყალიბება, ან გამოფენის შეფასების პროცედურის შემოღება (თავი 4), უკვე განვიხილეთ. წინა თავი (თავი 7) მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორცაა აუდიო-ვიზუალური საშუალებების, მულტიმედიისა და სხვა მონინავე ტექნოლოგიებზე დამყარებული მედიის გამოყენება სამუზეუმო გამოფენებში. ამასთან, სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილში თავიდან ბოლომდეა განხილული გამოფენის მოწყობის პროცესი, საგამოფენო პროგრამის დაგეგმვიდან და მართვიდან – განსაკუთრებულ გამოფენებამდე, მათთან დაკავშირებული საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი პროგრამების (თავი 8) ჩათვლით. მე-9 თავში განხილულია გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული ფინანსური დაგეგმვის საკითხები. სამუზეუმო გამოფენის ინტერპრეტაციის დაგეგმვამდე (თავი 11) და გამოფენაზე ტექსტის ადგილის (მულტიმედიის ტექსტის ჩათვლით) განსაზღვრამდე (თავი 12), ხდება სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკურატორო როლის შემონახვა (თავი 10). პირველ თავში აღწერილ გამოფენის მოწყობის ზოგად პროცესთან დაკავშირებული საგამოფენო ინტერპრეტაციის დაგეგმვას და ტექსტის ან სცენარის ტექსტის ფუნქციებს, კონკრეტული ადგილი აქვს მიჩენილი ამ ნაწილის ბოლო თავებში მოცემულ სქემებში.

მრავალი ადამიანი, მათ შორის მუზეუმში მომუშავე ბევრი პროფესიონალი, ფიქრობს, რომ გამოფენის დიზაინერი სწორედ ის პირია, ვისი აზრიც პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული გამოფენის მოწყობის დროს. ამ სახელმძღვანელოში თითქმის ყველგან მითითებულია გამოფენის დიზაინერის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი მე-13 თავში, მაგრამ ამასთან, მისი სამუშაო დიდი საქმიანობის მხოლოდ ნაწილია. იმის მიუხედავად, ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი, ისტორიული თუ სამეცნიერო, გამოფენის პროექტი უნდა შეფასდეს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად წარმატებულად და გასაგებადაა გადმოცემული გამოფენის შინაარსი.

ზოგჯერ გამოფენის მოწყობა შესაძლოა გულისხმობდეს მხოლოდ სურათების დაკიდებას (რაც, თავისთავად არასდროს არ არის მარტივი საქმე), ზოგჯერ კი საქმე გვაქვს ისეთ პროცესთან, რომელიც წარმოებს, მშენებლობას და დალაგება-მოწყობას მოიცავს (თავი 14). განათება განხილულია სახელმძღვანელოს მე-7 თავში, რომელიც როგორც წესი,

უშუალოდ გამოფენის გახსნის წინ კეთდება ხოლმე. ნათურების მონტაჟი განხილულია მე-15 თავში. აღნიშნული პროცესების წარმართვა უშუალოდ გამოფენის პროექტის მენეჯერის მოვალეობაა (თავი 16).

სახელმძღვანელოს დასკვნით ნაწილში განხილულია სამუზეუმო გამოფენების მზარდი მნიშვნელობა და მუზეუმთან არსებული სპეციალური მალაზიები (თავი 17). ერთიანად, ამ ნაწილის შემადგენელ ათივე თავში, განხილულია სამუზეუმო გამოფენის მოწყობის პრაქტიკული პროცესი, დაგეგმვის პირველი საფეხურიდან გამოფენის გახსნის დღემდე.

თავი 8

საგამოფენო პროგრამის დაგეგმვა და მართვა

მუზეუმის იმ სამსახურებში, სადაც იგეგმება და საიდანაც იმართება საგამოფენო პროგრამები, ხშირად მთავარი ადგილი უჭირავს მწვანე, შავ ან თეთრ დაფებზე დაწერილ ცხრილებს და განრიგებს, ცარცს ან სპეციალურ ფლომასტერს და საშლელ ღრუბლებს წარწერების წასაშლელად, ვინაიდან ისინი ძალიან ხშირად იცვლება. მრავალი მუზეუმი მთავარი გამოფენის დაგეგმვას გამოფენამდე სამი-ოთხი წლით, ან უფრო დიდი ხნით ადრე იწყებს, თუმცა ამავე დროს ექსპონატების გადატანისა და გამოფენის გახსნის, ან შესაბამისი ლექციების ჩატარების ზუსტი თარიღები, გამოფენის დროის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად იცვლება. დიდ მუზეუმებში, სადაც მრავალი საგამოფენო დარბაზი და განყოფილებაა ჩართული, განრიგების დაფამ შესაძლოა სადგურის განრიგი მოგაგონოთ, მატარებლების ნომრებითა და დანიშნულების ადგილებით.

მრავალ მუზეუმში გამოფენების დაგეგმვა და მართვის გეგმა კოლექციების მმართველთა მოვალეობაში შედის, ასე რომ, ჩრდილო ამერიკის მუზეუმებში ეს საქმე ფონდების მცველებს, კურატორებს, ევალებათ. რიგ მუზეუმებში შემოღებულია საგანგებო თანამდებობა, რომელსაც "გამოფენების მოხელე", ან "გამოფენების კურატორი" ჰქვია. უფრო პატარა დაწესებულებებში გამოფენების დაგეგმვა და მართვა, როგორც წესი, დირექტორის ან კურატორების მოვალეობებში შედის. ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, რომ გამოფენებს მუზეუმის თანამშრომელთა დროისა და ყურადღების დიდი ნაწილი მიაქვს და მათ წარმატებულ დაგეგმვასა და მართვაზე უმრავლეს შემთხვევებში სრულიად მართებულადაა დამოკიდებული როგორც დაწესებულების სიჯანსაღე, მნახველთა მოზიდვა, გამოფენის სასწავლო-შემეცნებითი ღირებულება, ისე მუზეუმის მისიის შესრულება.

სავარაუდოდ, საგამოფენო პროგრამა შეიცავს:

- მუზეუმის მუდმივი კოლექციის შედარებით ხანგრძლივ გამოფენას, რომელიც როგორც წესი, რამდენიმე დარბაზში და განყოფილებაშია გაშლილი და სადაც ხშირად ხდება გამოფენილი მასალის როტაცია, ძირითადად საკონსერვაციო მიზნებისათვის.

- მუზეუმის საკუთარი დროებითი გამოფენების ცხრილს, რაც შესაძლოა გულისხმობდეს მუზეუმში დაცული სხვადასხვა კოლექციების ხანმოკლე და ცვალებად გამოფენებს, სხვა მუზეუმებში ან კერძო კოლექციებში დაცული ხელოვნების ნიმუშების ან არტეფაქტების დროებით გამოფენას და ასევე, სხვა დაწესებულებებში არსებული მთელი გამოფენების განთავსებას ან მათში თანამონაწილეობას.

- მოძრავი გამოფენების მონყობას, რომელთაგან ზოგს მუზეუმი უმასპინძლებს და გამოფენს, ზოგს სხვა მუზეუმებში გადააგზავნის, ხოლო თავისი გამოფენა სხვა მუზეუმებში სამოგზაუროდ გაემგზავრება.
- გამოფენებთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივ პროგრამებს.

ამ თავში თანამიმდევრობითაა განხილული თითოეული ზემოთჩამოთვლილი საკითხი.

8.1 მუდმივი კოლექციების გამოფენა

ბარი ლორდი

საზოგადოების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მუდმივმოქმედი გამოფენების მონყობა მუზეუმების ერთ-ერთი ძირითადი საქმეა, თუმცა დამთვალიერებლების გამოკითხვები აშკარად ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში მათ საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ მუზეუმები ჯეროვნად ვერ ასრულებენ თავიანთ ძირითად დანიშნულებას. მართლაც, ხშირად მუზეუმები საჯაროდ აღიარებენ და მეტიც, მასიურად ვრცელდება ასეთი პუბლიკაციები, როგორც სახსრების მოზიდვის კამპანიის მხარდამჭერი საშუალება – რომ მუზეუმებში მუდმივი კოლექციების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოფენილი. გამოფენილ მასალებს საგაზეთო სტატიები და მიმოხილვები ხშირად ძალზე ცუდად აფასებენ, თითქოს ისინი მუზეუმების დამსახურებებისა და ღირსებების საბოლოო შეფასებას გვაძლევდნენ. ასეთ პუბლიკაციებში ხშირად გამოთქმულია შეშფოთება და წუხილი, რომ საზოგადოებისთვის მუზეუმის კულტურული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი მიუწვდომელია.

უნდა ითქვას, რომ ვიდრე ლონდონის თეითის გალერეა თავის ექსპოზიციას ორად გაყოფდა, რომელთაგან ერთ-ერთი, თეით ბრიტნის ძველ შენობაში, მილბანკში, მდ. თემზის ჩრდილო ნაპირზე დარჩა, ხოლო მეორე – მდინარის სამხრეთ სანაპიროზე განახლებულ ელექტროსადგურში განთავსდა, მას თავისი მუდმივი კოლექციების მხოლოდ 10% ჰქონდა გამოფენილი მუდმივმოქმედ გამოფენაზე. თეით მოდერნის დასამთავრებლად საჭირო სახსრების მოზიდვის შემდეგ, აღმასრულებელმა დირექტორმა სერ ნიკოლას სეროტამ განაცხადა, რომ ამიერიდან საზოგადოება შეძლებდა ბენქსაიდში ენახა თეითის მუზეუმის ხელოვნების ნიმუშების კოლექციების 60%.

გამონაკლისის არსებობის მიუხედავად, როგორცაა მაგ. ბრიტანეთის ეროვნული გალერეა, რომელსაც შეუძლია გამოფინოს ევროპული მხატვრობის უმნიშვნელოვანესი შედეგების შედარებით მცირერიცხოვანი კოლექციის დიდი ნაწილი, სახვითი ხელოვნების მუზეუმების უმრავლესობას შეუძლია ერთდროულად გამოფინონ თავიანთი მუდმივი კოლექციების მხოლოდ 5% -დან 15 %-მდე. ისტორიის მუზეუმები ზოგჯერ უკეთეს შედეგს აღწევენ, თუმცა, თუ მათში გამოფენილი იქნება სოციალური ისტორიის, ან სამხედრო კოლექციები, მასალის პროცენტული მაჩვენებელი, სავარაუდოდ, ასევე დაბალი იქნება. ბუნების ისტორიის მუზეუმებში, განსაკუთრებით უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან არსებულ მუზეუმებში, გამოფენილი მასალები, ბევრად ნაკლებია ამ დანერგულებების კოლექციებში დაცული მასალების საერთო ოდენობასთან შედარებით, თუმცა, მათი მრავალი ნიმუში საკვლევი ერთეულია და არ არის გამიზნული გამოსაფენად.

ამდენად, ნებისმიერი მუზეუმის მუდმივი კოლექციის გამოფენის პროგრამის მომზადების უპირველესი ამოცანაა კოლექციის ყველა ერთეულის კლასიფიკაცია მისი მიზნის შესაბამისად. ჩვეულებრივ აქ სამ კატეგორიას გამოყოფენ. ესენია:

- გამოსაფენი კოლექციები: მუზეუმში დაცული ნივთები - უპირატესად საგამოფენო მიზნებისათვის – რა თქმა უნდა, მათ სწავლობენ და იკვლევენ კიდევ

- სასწავლო-კვლევითი კოლექციები: მუზეუმში დაცული ნივთები, რომლებსაც უპირატესად საიდენტიფიკაციო, სასწავლო, საკვლევო, ანალიზის ან სხვებთან შედარების ფუნქცია აქვს; შეიძლება ზოგი მათგანი საგამოფენო ღირებულებისაც იყოს და ამდენად მუდმივმოქმედ საგამოფენო კოლექციაშიც აღმოჩნდეს, მაგრამ მათ უპირველეს ყოვლისა სასწავლო-კვლევითი ღირებულება აქვს.

- სარეზერვო კოლექცია: ისეთი ნივთები, რომელთა მიმართაც მუზეუმს არა აქვს ნაკისრი მუდმივად შენახვის ვალდებულება, რაც შესაძლოა გამონეწეული იყოს ნივთის მდგომარეობით, კოლექციაში სხვა ასეთივე ნივთის არსებობით, საგანმანათლებლო პროგრამებში მისი გამოყენების გამო, როდესაც დაშვებულია მისი ხელით შეხება, როდესაც ნივთი ვერ უკავშირდება მთელ კოლექციას და გამოცალკევებულია (რომლის დროული აღდგენა ან შესაძლებელია, ან შეუძლებელი), ან სხვა ფაქტორებით. სარეზერვო კოლექციიდან ნივთი შესაძლოა გადავიდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორი კოლექციიდან ერთ-ერთში, როდესაც ისეა აღდგენილი, რომ ვარგისია საგამოფენო ან სამეცნიერო მიზნებისათვის, ან როდესაც მასთან ერთად სხვა ნივთებიც შეგროვდება ერთიან კონტექსტში; ზოგი ნივთი, როგორცაა მაგ. საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული მასალები, რომელთა ხელით შეხებაც დაშვებულია, შესაძლოა საბოლოოდ ამოღებული იქნეს კოლექციიდან და აღარ ინახებოდეს.

საგამოფენო კოლექციის განსაზღვრის შემდეგ, მუდმივმოქმედი გამოფენის დაგეგმვის მომდევნო საფეხური, მომავალში მის გაზრდას უნდა ითვალისწინებდეს. ზედამხედველებს თავიდანვე ანუხებთ გამოფენის შესაძლო გაზრდის ალბათობა, რადგან ექსპონატების შექმნის პროგრამის წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან, თავისთავად ეს ზრდა დიდწილად და ზოგჯერ მთლიანად, დამოკიდებულია შემოწირულ და საჩუქრად გადაცემულ ნივთებზე. ასე თუ ისე, წარსულში გამოფენის მოცულობის ცვალებადობის შესწავლა ყოველთვის ანგარიშგასანევი ფაქტორია და როგორც წესი, ამ საფუძველზე შესაძლებელია ზრდის სავარაუდო გონივრული განსაზღვრა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუზეუმის პროფესიონალ თანამშრომლებს სრული წარმოდგენა აქვთ შემოწირულობათა პოტენციურ წყაროებზე და ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების ალბათობასა ან გარდაუვალობაზე, როგორცაა ახალი სამუზეუმო შენობები ან განახლებული საექსპოზიციო გალერეები, რამაც შესაძლოა მეტი შემომწირველი მოიზიდოს.

ზოგი კურატორის მლელვარების საპირისპიროდ, ზრდის ტემპების სავარაუდო განსაზღვრა არ მოქმედებს მუზეუმის მოქნილობაზე, არამედ კიდევ უფრო ზრდის მის ამ თვისებას. ზრდის მოსალოდნელი ტემპების წინასწარი ცოდნა ხელს უწყობს კოლექციის მუდმივ გადამონწყებას ზრდის პარალელურად, რაც თავის მხრივ, აიოლებს მასში შესწორების შეტანას და ახალი ექსპონატების მიერ მოცემული შესაძლებლობების უპირატესობებით გონივრულ სარგებლობას, როდესაც გათვალისწინებული იქნება სივრცისა და დაგეგმვის ის სირთულეები, რომელიც გარდაუვალია ახალი ექსპონატების გამოფენის დროს. სასწავლო მაგალითში, რომელიც მოტანილია მ.2 ქვეთავში, განხილულია საგამოფენო კოლექციის ზრდის მაგალითი დროებითი გამოფენის ხარჯზე, რომელიც, როგორც დავინახავთ, უარყოფითად მოქმედებს

ვალტერსის სამხატვრო გალერეის მუდმივმოქმედი გამოფენის გეგმებზე.

მხოლოდ საგამოფენო კოლექციის საბოლოოდ განსაზღვრისა და მისი სავარაუდო ზრდის მაქსიმალურად გონივრული განსაზღვრის შემდეგადაა შესაძლებელი გამოფენილი და ზოგადად – მუზეუმში დაცული, კოლექციების ყველაზე ხელსაყრელი პროცენტული შეფარდების დადგენა. ამ შემთხვევაში, მაქსიმუმი ყოველთვის იდეალურს არ ნიშნავს:

- თუ მუზეუმი უნივერსიტეტთან გაერთიანებული საბუნებისმეტყველო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, იქ თავმოყრილი ნიმუშების დიდი უმრავლესობა, შესაძლოა მეცნიერთათვის განკუთვნილი შესასწავლი კოლექციები იყოს, ხოლო დამთვალეიერებლების/სტუმრების დაინტერესება სამეცნიერო დისციპლინებით, შესაძლოა მოხდეს ინტერქატიური მულტიმედიის საშუალებით. ასეთ დროს კი შედარებით მცირე რაოდენობის ექსპონატების გამოფენა არის დასაშვები;

- რაიონული ან ადგილობრივი მასშტაბის ისტორიის ან სამხედრო დიდების მუზეუმის კოლექციები, სადაც ექსპონატების უმრავლესობა სხვა მსგავს მუზეუმებში დაცულ ექსპონატებს იმეორებს, სწორედ ის მუზეუმებია, რომლებსაც შეუძლია ძირითადი ყურადღება გადაიტანონ შედარებით მცირერიცხოვან მასალაზე, სადაც გამოფენილი იქნება ყველა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნივთი თუ ხელოვნების ნიმუში. ამბის მოსათხრობად შესაძლო იქნებოდა კინოს ან თეატრის ელემენტების გამოყენება (აღწერილია მე-7 თავში);

- საარქივო მასალების ან წერილობითი ტექსტების შემცველი ექსპოზიციები მუდმივად უნდა იცვლებოდეს, სასურველია, რამდენიმე თვეში ერთხელ მაინც, ძირითადად, მასალის უკეთესად კონსერვაციის მიზნით. ამდენად, მათ გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ რომელიმე ერთ ექსპოზიციაში არ გამოიფინოს მუზეუმში დაცული ექსპონატების უდიდესი ნაწილი. საარქივო მასალების წარმოსაჩენად უკეთესი იქნება მათი ჩვენება ეკრანზე მულტიმედია საშუალებების დახმარებით.

ხშირად ისე ხდება, რომ მუზეუმი გაცილებით უკეთესად და ეფექტურად გადმოგვცემს სათქმელს შედარებით დიდ სივრცეში კარგად განაწილებული და დალაგებული შედარებით მცირე რაოდენობის ექსპონატების საშუალებით. ასეთ ვითარებაში ინტერპრეტაციას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. იმ მრავალი სარკინიგზო მუზეუმისაგან განსხვავებით, რომლებიც ერთი უბრალო მიზეზის, კერძოდ კი მასალისთვის სხვა ადგილის გამოძებნის შეუძლებლობის გამო, თავის მოვალეობად მიიჩნევენ ყოველი ძრავისა და ვაგონის ჩვენებას, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, კალიფორნიაში ქ. საკრამენტოში მდებარე, კალიფორნიის რკინიგზის სახელმწიფო მუზეუმის მაგალითზე კარგად ჩანს შედარებით შეზღუდული რაოდენობის ლოკომოტივებისა და სხვა მოძრავი შემადგენლობების ჩვენების უპირატესობა – როგორც ესთეტიკური ისე ისტორიული თვალსაზრისით. შვეიცარიის ტრანსპორტის მუზეუმმა, რომელიც ლუცერნში მდებარეობს და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, ასევე მნიშვნელოვნად შეამცირა გამოფენილი ექსპონატების რაოდენობა და მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის ნივთები წარმოადგინა, ხოლო დარბაზების ცარიელ სივრცეში ნაჩვენებია, თუ როგორ მუშაობს თითოეული გამოფენილი ნივთის შემადგენელი ნაწილი.

მეორეს მხრივ, ზოგიერთ მუზეუმს ისეთი კოლექციები აქვს, რომელიც გაცილებით უკეთ წარმოჩინდება ღია საცავის რეჟიმში მუშაობისას, ისე როგორც ეს აღწერილია 5.2 ქვეთავში მოტანილ მაგალითში, სადაც განხილულია ძალზე წარმატებული ეთნოგრაფიული გამოფენა ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმში, ქ.

ვანკუვერში. ამ ღია საცავში ნივთები ერთმანეთის მიყოლებითაა ჩალაგებული თაროებზე ან შუშის უჯრებში, ისე, რომ ხალხმა დაინახოს ისინი და ამავე დროს, ნახოს ყოველი ნივთის სამუზეუმო დოკუმენტაცია ბარათებზე მითითებული ტექსტის სახით ან ეკრანზე, რომელიც ვიტრინების გვერდითაა განთავსებული. ასეთივე მიდგომა ბრწყინვალედ განახორციელა ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმმა ლონდონში, მასში დაცული შუშის ნაწარმის უმდიდრესი, 8.000 ერთეულის შემცველი კოლექციისათვის, რომლის უდიდესი ნაწილიც გამოფენილია. ფილატელიური, ნუმისმატიური და მრავალი სხვა ნიმუშების გამოფენები, ისე როგორც შემინულ უჯრებში ჩალაგებული ქსოვილები, ამის ნათელი მაგალითებია, მაგრამ ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმმა აჩვენა, რომ ასეთი ტექნიკის მეშვეობით, წარმატებით შეიძლება ამერიკის დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების ჩვენება ავეჯის და სხვადასხვა სიმაღლეზე დაკიდული თაროების ჩათვლით. ბევრმა მუზეუმმა აუცილებლად უნდა გადაამოწმოს თავისი დახურული საცავები, რათა ზუსტად განსაზღვროს, შეუძლია თუ არა მეტი ინფორმაცია მიანოდოს დამთვალიერებელს და ამ გზით თავისი კოლექციების სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი გააცნოს საზოგადოებას. ღია საცავები არა მხოლოდ რიცხვობრივად ზრდის გამოფენილი კოლექციების პროცენტულ შეფარდებას მუზეუმში დაცული კოლექციების საერთო რაოდენობასთან, არამედ ხარისხობრივადაც აუმჯობესებს იმ მეთოდებს და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც 21-ე საუკუნის დამთვალიერებელი თვითონ აღმოაჩენს მუზეუმში გამოფენილ კოლექციებს. მოსალოდნელია, რომ ის დამთვალიერებელი, ვისთვისაც უცხო არ არის ინფორმაციის ინტერნეტში მოძიება, დადებითად შეხვდება საცავების დასათვალიერებლად გახსნის ფაქტს, რომლის დროსაც შესაბამის ბარათებზე ან ეკრანებზე, თითოეული ექსპონატის შესახებ სამუზეუმო დოკუმენტაცია სრულად იქნება წარმოდგენილი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ დასათვალიერებლად გახსნილი საცავები ექსპონატების გამოფენის ერთადერთი საშუალება უნდა იყოს, მაგრამ ეს საშუალება ძირითადად იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ მუდმივმოქმედი გამოფენების გეგმაში ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის სახით დასათვალიერებლად გახსნილი საცავების ჩართვამ, ფართო საზოგადოებისათვის კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს მუზეუმში დაცული ფონდების უმრავლესობა.

როდესაც განვსაზღვრავთ, თუ რამდენი ექსპონატია გამოსაფენი და შევარჩევთ მათი გამოფენის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს, აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ დებულებებით მუზეუმის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. მაგალითად, თუ მუზეუმის ძირითადი დანიშნულება ბუნების ისტორიის კვლევაა, მაშინ ალბათ, უმჯობესი იქნება სასწავლო კოლექციების გამოყენება დასათვალიერებლად ხელმისაწვდომი ექსპონატების სახით. თუ აქცენტი უმთავრესად საგანმანათლებლო ფუნქციაზე კეთდება, უფრო მოსახერხებელია ინტერაქტიური კომპონენტების შემცველი თემატური გამოფენების მოწყობა. ისტორიის მუზეუმებში ექსპონატების განლაგება მათი წარმოშობის კონტექსტიდან მოუწყვეტლად ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება. ჩამოთვლილი მაგალითებიდან ალბათ გასაგებია, რომ მუდმივმოქმედი გამოფენების დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დროს, აუცილებელია მუზეუმის მისიის ნათელი, გააზრებული და ზუსტი ჩამოყალიბება.

სახვითი ხელოვნების მუზეუმებში მნიშვნელოვანია მხატვრული ტილოების დაკიდებისა და ქანდაკებების განლაგების ფორმა. ბევრი მუზეუმი დღემდე ტრადიციული მეთოდით, ქრონოლოგიურად ალაგებს ექსპონატებს, ან ცალკეულ ჯგუფებად აერთიანებს სურათებს კონკრეტული პერიოდის, სტილის ან ქვეყნების მიხედვით. თუმცა, გასულ ათწლეულში

თეთის გალერეამ სურათების მიმართ შეიმუშავა თემატური მიდგომის მეთოდი, როდესაც ნამუშევრები გააერთიანა თემების მიხედვით, მაგალითად, "ქალთა სახეები XX საუკუნეში." ასეთი მიდგომა შესაძლოა წინააღმდეგობრივი ხასიათის იყოს, როგორც მოხდა კიდეც ბენქსაიდში მდებარე ახალ თანამედროვე თეთში, სადაც XX საუკუნის ნამუშევრები XIX საუკუნის ჟანრების მიხედვით იყო დაჯგუფებული: შიშველი ნატურა, ქალები ლანდშაფტურ ფონზე, იდილიური ცხოვრება და ა.შ., მაგრამ მაინც, თემატური გამოფენები შესაძლოა ძალზე შთამბეჭდავი გამოვიდეს, განსაკუთრებით არაორდინარული და უპრეცედენტო კოლექციის გამოფენის შემთხვევაში, რაც მოხდა კიდეც ატლანტის ჰაი მუზეუმში, სადაც ნამუშევრები ისეთი ვრცელი თემების მიხედვით შეირჩა, როგორცაა "რწმენა" ან "ოჯახი," როდესაც დამთვალიერებლებს ძირითადად ნამუშევრების შინაარსს აცნობდნენ და არა მათ მხატვრულ-ისტორიულ ღირებულებას.

თეთი ასევე პირველი მუზეუმი იყო, რომელმაც თავისი მუდმივმოქმედი გამოფენების მიმართ ახლებური მიდგომა შეიმუშავა, კერძოდ, ყოველწლიურად ხდებოდა მილბენქის გალერეებში (ახლა თეთი, ბრიტანეთი) დაცული კოლექციების გადახალისება და შემდეგ ერთნაირი დროებითი გამოფენების მონაცობა, ხოლო გამოფენის გახსნასა და განხილვას ფართო საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა. ასეთ მიდგომას მუდმივმოქმედ გამოფენებში მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული ნივთის შეცვლასთან შედარებით, ამ კარა უპირატესობა უნდა მიენიჭოს, რაც შესაძლოა წინასწარ შემუშავებული გეგმის გარეშე ხდებოდეს, მაგრამ როგორც ნესი, დამთვალიერებელი ძნელად თუ შეამჩნევს ამას.

მუდმივმოქმედი გამოფენის ექსპონატების შეცვლით, ან მისი დანაწილება-განლაგებაში ცვლილებების შეტანის სიხშირისაგან დამოუკიდებლად, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი სახის გამოფენაში ექსპონატების სიმჭიდროვის გათვალისწინებას. ამ ფაქტორის გამოთვლისას უნდა ვიცოდეთ, რამდენი ექსპონატია გამოფენილი საგამოფენო დარბაზის ყოველ ერთ კვადრატულ მეტრზე/ფუტზე, ან პირიქით, რამდენი კვადრატული მეტრი/ფუტი უჭირავს საშუალოდ, თითოეულ გამოფენილ ექსპონატს. ასე მაგალითად, საფოსტო მარკების შემთხვევაში, ხელსაყრელი იქნება პირველი შეფარდების, ხოლო გამოფენილი ლოკომოტივებისათვის – მეორე შეფარდების გამოყენება. გამოფენის სიმჭიდროვე მხოლოდ გამოფენილი ექსპონატების ზომების შესაბამისად კი არ იცვლება, არამედ გამოფენის მეთოდისა და დამთვალიერებლის მიერ მისი თითოეული ნაწილის გასააზრებლად გამოყენებული მიდგომის (აღწერილია 2.3 ქვეთავში) შესაბამისადაც. მუდმივმოქმედი გამოფენის დაგეგმვა და მართვა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მტკიცე გადანწყვტილებას, რომელი მეთოდი იყოს გამოყენებული და რა დოზით:

- ესთეტიკური მიდგომა, როდესაც ექსპონატების სიმჭიდროვე მინიმალურია
- თემატური გამოფენები, როდესაც ძირითადი ყურადღება ექცევა შედარებებსა და გამოფენის შინაარსს
- ოთახების განლაგება, როცა ხშირად ნივთები დაჯგუფებულია მათი თავდაპირველი ისტორიული კონტექსტისა და სიმჭიდროვის შესაბამისად
- ღია საცავეები, რომლებზეც ჩვეულებრივ, დახურული საცავეების სიმჭიდროვის ორი მესამედი მოდის
- რამდენიმე ან ყველა მეთოდის კომბინირებული გამოყენება მნახველისათვის ყველაზე მრავალმხრივი გამოცდილებისა და ცოდნის შესათავაზებლად, რომლის დროსაც მათ საშუალება ექნებათ სხვადასხვა კუთხით შეაფასონ გამოფენა.

მოქმედ მუზეუმებში არსებული მუდმივი გამოფენების შეცვლის წინასწარ დაგეგმვას, დიდი უპირატესობა აქვს, რადგან იქ, ფაქტობრივად, გამოფენა უკვე მონყობილია და არსებობს (თუმცა, შესაძლოა, გამოფენას დიდი ხნის ამონურული ჰქონდეს ხანდაზმულობის საზღვრები!). ასეთი დაგეგმვა იძლევა მუდმივი შეფასების და ამ შეფასებების შედეგების გადამონმების საშუალებას, რომლის ყველა მეთოდიც მე-4 თავშია აღწერილი. ამ თვალსაზრისით, მუზეუმს ნამდვილად შეუძლია გახდეს აუდიტორიის შეკითხვებზე გულისხმიერად მოპასუხე და დამთვლიერებელზე ორიენტირებული დანესებულება, რომელიც ამასთან, მთლიანად აცნობიერებს თავისი მუდმივმოქმედი გამოფენის მნიშვნელობას.

აღნიშნული საქმიანობის დასამთავრებლად, აუცილებელია მუდმივი გამოფენის მთელი პასუხისმგებლობით დაგეგმვა, რომლის დროსაც პირველ რიგში, მისი ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს. ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოფენები, რომლებიც მათი გახსნის დღისათვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, ასევე კარგად აღიქმება პირველი ხუთი წლის განმავლობაში და შემდეგ უცვლელად არსებობს მომდევნო 10-15 წლის მანძილზე. მუდმივი გამოფენის ნებისმიერ კარგად დაგეგმილ პროგრამაში, აუცილებლად მითითებულია თითოეული საგამოფენო დარბაზის "მოქმედების ვადა".

თავის მხრივ, შეუძლებელია მოქმედების ვადის განსაზღვრა, თუ მეტ-ნაკლები სიზუსტით მაინც არ განისაზღვრება ექსპოზიციის განახლებისათვის საჭირო ბიუჯეტი. გამოფენის განახლების ხარჯების გამოთვლა, შესაძლებელია არსებული გამოფენის მიმდინარე ხარჯების საფუძველზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხარჯები იმ კონკრეტული წლისათვის განსაზღვრულ ფულად განზომილებაშია მოცემული და ამდენად, გასათვალისწინებელი იქნება დაგეგმილი საქმიანობის გაუმჯობესების განსახორციელებლად საჭირო დამატებითი ხარჯები. მუზეუმის ბიუჯეტში ცალკე მუხლად უნდა აისახოს მუდმივი გამოფენის გადახალისების ხარჯები და უნდა გაერთიანდეს არსებული მუდმივი გამოფენის მომსახურებისა და დროებითი გამოფენების მონყობის ხარჯებში.

საჭირო თანხების ოდენობის გამოთვლა უნდა მოხდეს გამოფენის წლიური განახლების პროცენტის სახით – მაგალითად, თუ საგამოფენო დარბაზების ფართობი 20.000 კვადრატული ფუტია (2.000 მ²), ყოველწლიურად განახლებული ფართობის სიდიდე შესაძლოა 10%-ით განისაზღვროს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოფენის ხანგრძლივობის ათწლიანი ვადის დროს, ყოველწლიურად უნდა გამოიყოს ის თანხა, რაც საჭიროა 2.000 კვადრატულ ფუტზე (200 მ²-ზე) გამოფენის მოსაწყობად. ეს არ ნიშნავს, რომ ყოველწლიურად გამოფენის 1/10 უნდა გამოიცვალოს, სინამდვილეში ეს გეგმა შესაძლოა გულისხმობდეს გამოფენის მე-5 წელს საგამოფენო დარბაზების ზუსტად ნახევარში გამოფენის განახლებას, იმ პირობით, რომ ექსპონატების ნახევარი ხუთი წლით იყო გამოფენილი. ისიც დასაშვებია, რომ გამოფენის მე-10 წელს, ექსპოზიცია მთლიანად შეიცვალოს. გეგმის მიზანი სათანადო სახსრების მოზიდვის უზრუნველყოფაა, რათა მუზეუმებს არ დასჭირდეთ დიდი კაპიტალის ერთჯერადი დახარჯვა გამოფენის ხანგრძლივობის ვადის გასვლასთან ერთად. ბიუჯეტის ასეთი გრძელვადიანი პირობები, გარკვეულ სირთულეებს უქმნის ისეთ სახელმწიფო დანესებულებებს, რომლებსაც ზემდგომი ორგანოებისთვის ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის წარდგენა ევალებათ, მაგრამ თუ შესაძლებელია, აუცილებელია ისეთი საშუალების გამოძებნა, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი გამოფენების უწყვეტი განახლების პროცესს.

ქვემოთ განხილულია 8.1 მაგალითი, სადაც აღწერილია ქ. სალემის (მასაჩუსეტსი) "Peabody Essex Museum" მუდმივი კოლექციის შესწავლა-ანალიზისა და შემდგომი გამოფენის

პროცესი, კერძოდ, არნახულად შთამბეჭდავი და განსაცვიფრებელი ახალი გამოფენა "ოდისეა," სადაც ახალი ძალით გამოვლინდა მუზეუმის საცავებში დაცული მნიშვნელოვანი და ძალზე მრავალფეროვანი ექსპონატები.

სასწავლო მაგალითი 8.1

ოდისეა: მოგზაურობა მსოფლიო ხელოვნებაში

Peabody Essex Museum, სალემი, მასაჩუსეტსი

ავტორი: უილიამ პიპენი

200 წლის წინ, გლობალური ვაჭრობისა და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების გარიჟრაჟზე, სალემში, მასაჩუსეტსში დაარსებული Peabody Essex Museum, ცნობილია როგორც ინგლისში, ისე მთელ მსოფლიოში. ამერიკის რევოლუციიდან ცოტა ხნის შემდეგ, გემის კაპიტანი სალემი და რამდენიმე მენარმე, ახალი სავაჭრო გზების საძებნელად, ახლომდებარე ქალაქების პორტებიდან თვალუნვდენელ ოკეანეში გავიდნენ. ძალიან დიდი რისკის მიუხედავად, მათ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს, საფუძვლიანად შეცვალეს ამერიკის ეკონომიკა და ახალი ინგლისი კომერციის, განათლებისა და კულტურის საერთაშორისო ცენტრად გადაქციეს. ამავე დროს, მათ საფუძვლიანად შეისისხლხორცეს იდეა სხვა ხალხებისა და კულტურების შესწავლისა და დაფასების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ამ რწმენით, 1799 წელს მათ სალემში მუზეუმი დააარსეს, რათა კეთილი იმედის კონცხისა და ჰორნის კონცხის მიღმა მდებარე მიწებიდან, ე.ი აზიიდან, წყნარი ოკეანის აუზიდან და აფრიკიდან მომდინარე ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშების იქ გამოფენის საშუალებით, გაეფართოებინათ ამერიკის ინტელექტუალური და კულტურული ჰორიზონტები. გარდა ამისა, ისინი წარმოაჩენდნენ ახალი ინგლისის ხელოვნებასა და კულტურას ეროვნული იდენტურობის აღიარების ნიშნად.

მუზეუმის დაარსების შემდეგ, სალემი აქტიურად აგრძელებდა ექსპონატების შეგროვებას, რომელთაგან ყოველი ერთეული განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და განსხვავებულია, დღეს კი მუზეუმის საცავებში კულტურისა და ხელოვნების 2.5 მლნ-ზე მეტი ექსპონატია დაცული, რომელიც ადამიანის შთაგონებისა და გამომგონებლობის მრავალი ათასი წლის ისტორიას გადმოგვცემს. ექსპონატები უამრავ დისციპლინას, ერს, პერიოდსა და კულტურას აკავშირებს ერთმანეთთან. Peabody Essex Museum ახალი ტიპის მუზეუმად ყალიბდება, სადაც კარგადაა წარმოჩენილი თანამედროვე ინტერდისციპლინური ერა, რომელიც ხელოვნების, არქიტექტურის, ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა დისციპლინებს შორის არსებულ ძველ საზღვრებს არღვევს და მათ მიღმაა. ზოგადად, მუზეუმის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მან მნახველს შეუქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც ნათლად წარმოაჩენს კავშირს ერთის მხრივ, ადამიანებს შორის უდიდეს მრავალფეროვნებას, ხოლო მეორეს მხრივ – იმ საერთოს შორის, რაც გაზიარებულია ყველას მიერ. გლობალიზაციის გზაზე დამდგარ მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების დროს, როცა იშლება განსხვავებები საზოგადოებებს შორის და ისინი მეტად მობილური და ერთმანეთზე დამოკიდებული ხდება, მუზეუმის ერთ-ერთი ამოცანა ძლიერი, შთამაგონებელი გამოფენების მოწყობაა, რომელიც გააძლიერებს ურთიერთგაგებას კულტურულ საზღვრებს მიღმა.

1999 წელს მუზეუმმა დარსების 200 წლისთავი აღნიშნა. ხაზგასმით ითქვა, რომ ეს არის ქვეყნის უძველესი და უწყვეტად მოქმედი მუზეუმი, ხოლო მისი მომავალი იქნება

დინამიური და იგი კიდევ უფრო გაიზრდება მისი არსებობის მესამე საუკუნის დასაწყისთან ერთად. მუზეუმის 200 წლის იუბილეს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიება იყო სპეციალურად მოწყობილი გამოფენა, "ოდისეა" – მოგზაურობა მსოფლიო ხელოვნებაში, რომლის საშუალებითაც მუზეუმმა საცავეების უფრო ფართო ფენებისათვის ჩვენების თვალსაზრისით, წარმოაჩინა მიდგომის ახალი ფორმები. "ოდისეა" ჩაფიქრებული იყო როგორც გამოფენა, რომლის დათვალიერებისას მნახველი იმოგზაურებდა მსოფლიო ხელოვნებაში და კულტურულ აღმოჩენებში. მოგზაურობის მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, დამთვალიერებლებს მრავალი სახის "შეხვედრებს" სთავაზობდნენ, სწორედ ისეთს, რომლებიც შესაძლოა ნებისმიერს გადახდეს მოგზაურობისას. ნამდვილი მოგზაურობის დროს, ადამიანები სხვა ადამიანებს ხვდებიან, ადგილებსა და იდეებს ეცნობიან. ნებისმიერი ასეთი შეხვედრა განსაკუთრებულია თითოეული მოგზაურისათვის. თითოეულ ინდივიდს შემხვედრისთვის უნიკალური პერსპექტივა მოაქვს, უნიკალური რეაქცია აქვს და ეს ყველაფერი სრულიად განსაკუთრებულად მოქმედებს მასზე.

ნაწყვეტი ლორდ ტენისონის "ოდისეიდან"

"ოდისეა" შემუშავდა მუზეუმის ნაცნობ გარემოში მოგზაურობის შეგრძნების და გამოცდილების სიმულაციის მიზნით. გალერეებში გამოფენები ისე დაიგეგმა, რომ უცნობ გარემოსთან შეხვედრების წარმოდგენა ადვილი ყოფილიყო. ამ მეთოდით, დამთვალიერებელი გალერეაში გადაადგილდებოდა უცნობ ტერიტორიაზე, სწორედ ისე, როგორც მოგზაურს უხდება ხოლმე. ცალკეული, ჯგუფებად გაერთიანებული, თუ გიდის წინამძღოლობით, ყველა დამთვალიერებელი შეძლებდა კულტურული საზღვრების მიღმა გავრცელებულ მთელი მსოფლიოს ხელოვნებასთან დაკავშირებას, რაც ხალხს ხელოვნებასთან, იდეებთან და ერთმანეთთან დააკავშირებდა. ჩანაფიქრის მიხედვით, გამოფენას შეუცნობელთან შეხვედრის ინტრიგა უნდა შემოეტანა, აღმოჩენისა და გაცნობიერების სიხარული და ახლებურად ფიქრის მღელვარება უნდა დაენერგა დამთვალიერებელში.

გამოფენა ხუთ ცალკეულ, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ გალერეაში მოეწყო, რომელთა საერთო ფართობი 14.000 კვადრატული ფუტია (1300 მ²). ამ გამოფენისათვის ყველა დარბაზი მთლიანად განახლდა – ხელახლა მოაპირკეთდა და განათების, სახანძრო დაცვის და კლიმატის კონტროლის ახალი სისტემებით აღიჭურვა. ეს სიახლეები მუზეუმის საერთო განახლების პროგრამის ჩარჩოებში ჩატარდა, რომელიც მთლიანად 2003 წლისათვის უნდა დამთავრდეს. დამთვალიერებლები ერთი დარბაზიდან მეორეში გარკვეული თანმიმდევრობით გადაადგილდებიან, თუმცა, ყოველ კონკრეტულ გალერეაში თავად ირჩევენ მოძრაობის მარშრუტს.

გამოფენა "ოდისეა," მართლაც ვეებერთელა ტერიტორიას წარმოადგენს: ხელოვნების 400-მდე ნიმუში ყველა კონტინენტს მოიცავს. იმის მიუხედავად, რომ გამოფენის ზერელე დათვალიერება 1 საათში იყო შესაძლებელი, დრო, რომელიც ჩვეულებრივად ინფორმირებულ დამთვალიერებელს გამოფენის დასათვალიერებლად დასჭირდებოდა, შეზღუდული იყო. თავიდანვე გამოფენის მიზანი იყო ბოსტონის ჩრდილოეთით მდებარე სანაპიროების და საკუთრივ ქ. ბოსტონის მოსახლეობის მოზიდვა, თან ისე, რომ დამთვალიერებლები რამდენჯერმე მოსულიყვნენ გამოფენაზე. მუზეუმის მიერ გამოფენების მოწყობისა და მათი დაგეგმვის საქმეში ახალი მიდგომების დანერგვის პროპორციულად, ამ მუზეუმით

დაინტერესებული მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად იზრდება. "ოდისეა" იმ გათვლით დაიგეგმა, რომ იგი მრავალჯერ ენახა საზოგადოების სულ უფრო ფართო ფენებს და მოეზიდა ახალი აუდიტორია.

"ოდისეა" სულ მცირე, ერთი წლით გაიხსნა. ასეთი გადანყვეტილება ორ ძირითად გარემოებას ეყრდნობოდა: ერთი, რომ დაექმაყოფილებინა განმეორებით მოსული დამთვალეირებული და მეორე – გამოფენა მუზეუმის საიუბილეო, მე-200 წლისთავის საზეიმო პროგრამის მთავარი ღონისძიება იყო. გარდა ამისა, "ოდისეა" მუზეუმის ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამის სრული რეორგანიზაციის და მასში შესწორებების შეტანის საუკეთესო საშუალებას იძლეოდა და უფრო ნათლად წარმოაჩენდა მუზეუმის კოლექციების ინტერპრეტაციის საქმეში ახლებურ, უფრო დინამიკურ, ინტერდისციპლინურ მიდგომას. მუზეუმის ძირითადი მარშრუტი, უმაღლესი სასწავლო-საგანმანათლებლო და სასკოლო პროგრამები, "ოდისეას" ინტერპრეტაციული მიდგომის შესაბამისად შედგა და მის თარგზე მოიჭრა.

"ოდისეა" მუზეუმის მე-200 წლისთავთან დაკავშირებულ, ამბიციური მასშტაბის სპეციალურ გამოფენად მოიაზრებოდა, რომელიც ახალ აუდიტორიას მოიზიდავდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ გამოფენა ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა წარმოჩენის საქმეში მუზეუმის ახლებური, ინტერდისციპლინური მიდგომის შედეგს წარმოადგენდა.

მუზეუმის მიმართ ბაზრის მოთხოვნების მნიშვნელოვანი რეგიონული და საერთო-ეროვნული მასშტაბის მარკეტინგული კვლევები, მეტწილად სწორედ "ოდისეას" მიერ შემუშავებულ კონცეფციას და ინტერპრეტაციას დაეყრდნობოდა. ყველა შესაძლო რესურსის თავმოყრის მიზნით, გამოფენის კონცეფციის შემუშავების, დაგეგმვის და განხორციელების სტადიებზე, მუზეუმმა ახალი, ინტერდისციპლინური მიდგომა გამოიყენა. ამ მიდგომის დროს გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი, რომ გამოფენაში მუზეუმის ყველა განყოფილება და სამსახური მიიღებდა მონაწილეობას მთელი შტატით, განსაკუთრებით საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამების შემუშავების დროს. "ოდისეას" დაგეგმვის და განხორციელების პარალელურად, მუზეუმის ჩვეულებრივი, გეგმიური საქმიანობაც არ შეჩერებულა, რაც სპეციალური გამოფენების განრიგის და საგანმანათლებლო პროგრამების შედგენასთან ერთად, ძირითადი ფონდების და ნაგებობების გაფართოების გეგმის შედგენას და 100 მილიონი დოლარის მოზიდვის მიმდინარე კამპანიის გაგრძელებასაც გულისხმობდა.

ჯგუფური პრინციპი

მართვის ახალი, ნოვატორული სტრუქტურის შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე, გამოფენის მოქმედების ვადებში ჩამოყალიბდა "ოდისეას" ძირითადი მუშა ჯგუფი. მართვის გუნდი, რომელიც საშუალო და ხელმძღვანელი რგოლის მუშაკებით დაკომპლექტებული რვა სამუშაო ჯგუფისაგან შედგებოდა და საქმიანობის რვა კონკრეტული მიმართულების ზედამხედველობა ევალებოდა, საკმაოდ მცირერიცხოვანი აღმოჩნდა ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად. ამავე დროს, ეს გუნდი განაგებდა გამოფენასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საკითხს. გუნდი შექმნილი იყო ორგანიზაციის შიგნით გადანყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად და ამ პროცესისათვის საჭირო დონის უზრუნველსაყოფად. გუნდს უნდა შეექმნა მიმდინარე საქმიანობის კოორდინაციისათვის საჭირო აუცილებელი დონე, შეედგინა ანგარიშები პროგრესის შესახებ და გადაეჭრა ძირითადი მუშა ჯგუფის წინაშე წამოჭრილი საკითხები. ძირითადმა მუშა ჯგუფმა თავდაპირველად შეიმუშავა ამოცანების

ყოველმომცველი და დეტალური ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც აუცილებელი იყო საგამოფენო პროგრამის და სხვა, მასთან დაკავშირებული პროგრამების წარმატებით შედგენა-შემუშავებისათვის. სამუშაოების შესრულების გრაფიკისა და ბიუჯეტის შედგენის შემდეგ, ისინი კოლექტივზე გადანანილდა და ძირითადი მუშა ჯგუფის ყოველ წევრს თავისი კონკრეტული სამუშაოს შესრულება დაევალა. შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშებს, კვლავ ძირითადი მუშა ჯგუფი ადგენდა კოლექტიურად.

თავის მხრივ, ძირითად მუშა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მართვის სამკაცრიანი ჯგუფი, რომელიც ადგენდა შეხვედრების დღის წესრიგს, ატარებდა მათ, აწარმოებდა შეხვედრების ოქმს, ხელს უწყობდა კომუნიკაციას და უზრუნველყოფდა უკუკავშირს, შუამავლობდა დავალებების განაწილების დროს, ამონებდა მათ მიმდინარეობას, შესრულებას გრაფიკის შესაბამისად და ბიუჯეტს. ამ ჯგუფში შედიოდნენ: დირექტორის მოადგილე, რომელსაც ზოგადი ხელმძღვანელობა ევალებოდა, გამოფენის დამგეგმავ-ორგანიზატორი, რომელიც ეხმარებოდა დირექტორის მოადგილეს და აღმასრულებელი ასისტენტი. ძირითადი სამუშაო ჯგუფის ყოველი წევრი, რომელსაც კონკრეტული საქმიანობის ზედამხედველობა ევალებოდა, თავის მხრივ, უფრო ვრცელ ქვეჯგუფს აყალიბებდა, რომელშიც ორგანიზაციის თანამშრომლები შედიოდნენ. დროთა განმავლობაში, აქტიური მუშაობის წყალობით, ამ ჯგუფებმა შეასრულეს თავიანთი დავალებები და ორგანიზაციაში გაავრცელეს ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ:

- პირველი გუნდი - მიზნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფი – შედგენილია მიზნების ჩამონათვალი, ძალაშია და ცალსახად გარკვეულია, რომ სამუშაოები დაგეგმილია და დროულადაა შესრულებული. ყველა შესაბამის განყოფილებასთან ახლო თანამშრომლობის გზით, ამ ჯგუფმა გამოიკვლია და წარმოადგინა წინასწარი ინფორმაცია მიზნების შესახებ, უზრუნველყო როგორც მიზნების, ისე საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა

- მეორე გუნდი – პრობლემების კოლექტიური განხილვის და ინტერპრეტაციის ჯგუფი – წარმოადგენდა შემოქმედებით ჯგუფს, რომელმაც შეიმუშავა გამოფენის, ინტერპრეტაციის მედია საშუალებებისა და პროგრამების კონცეპტუალური და თემატური სტრუქტურა

- მესამე ჯგუფი – გამოფენის დაპროექტების ჯგუფი – პასუხს აგებდა გამოფენის დაპროექტების ყველა ასპექტზე, მის მონყობაზე, დიაგრამებისა და ინტერპრეტაციის მედია-საშუალებების ინტეგრაციაზე

- მეოთხე ჯგუფი – განახლებები – მოამზადა პროექტი საგამოფენო დარბაზების ძირეული განახლების შესახებ, პასუხს აგებდა ძირითად კონტრაქტორებთან თანამშრომლობაზე და საგამოფენო სივრცისათვის საბოლოო სახის მიცემაზე

- მეხუთე ჯგუფი – მნახველების მომსახურება – პასუხს აგებდა განახლებებისა და გამოფენის აწყობის სამუშაოებით გამონკვეული უარყოფითი ზემოქმედების შერბილების დაგეგმვაზე. ამ ჯგუფმა ასევე შეიმუშავა დამთვალეიერებელთა მომსახურებისა და გამოფენისათვის საჭირო საშუალებების გეგმები.

- მეექვსე ჯგუფი – ინტერპრეტაციის მედია და პროგრამები – საგნების შესახებ არსებული თავდაპირველი ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავა დამატებითი მონაცემების შემცველი ინტერპრეტაციები, რომლებიც თავსდებოდა მე-2 ჯგუფის მიერ შემუშავებულ კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აქ გაერთიანებულია ნებისმიერი სახის მარკერზე დატანილი ტექსტი, ბეჭდვითი მასალა, გამოფენის მეგზურები და გზამკვლევები, ვიდეო, აუდიო და ინ-

ტერაქტიური მასალა, ისე როგორც სხვა გამოფენასთან დაკავშირებული სხვა სპეციალური პროგრამების შედგენა, წარმოდგენების, ლექციების, სასწავლო პროგრამების და ტურების და სხვ. ჩათვლით. ეს ჯგუფი მუზეუმის დაარსების ორასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის მეკავშირეც იყო

- მეშვიდე ჯგუფი – მარკეტინგი და ვაჭრობა – მოამზადა გამოფენა "ოდისეას" მთელი ხელშემწყობი მასალა და ყველა პროცედურული სამუშაო მუზეუმის მარკეტინგისა და პოზიციონირების ზოგადი სტრატეგიის შესაბამისად.

- მერვე ჯგუფი – განვითარება და ღონისძიებები – დაგეგმა და განახორციელა გამოფენასათვის საჭირო სახსრების მოძიების ღონისძიებები. ამ ჯგუფმა გამოფენასთან დაკავშირებული საქმიანობის პარალელურად, გააგრძელა მუშაობა სახსრების მოზიდვის მიმართულებით და მჭიდროდ თანამშრომლობდა მუზეუმის დაარსების ორასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტთან.

"ოდისეა" გაიხსნა 4000 კვადრატული ფუტის (372 მ²) ფართობის მქონე აღმოსავლეთ ინდოეთის საზღვაო დარბაზში, ფედერალურ შენობაში, რომელიც 1825 წელს მუზეუმისთვის აიგო. სწორედ ამ დარბაზში შეხვდნენ მუზეუმის დამაარსებელი მენარმე-კაპიტნები და ერთმანეთს წარუდგინეს თავიანთი პირველი კოლექციები. ისინი იმ ადამიანებს შორის იყვნენ, რომლებმაც პირველებმა იხილეს და გამოსცადეს მსოფლიოს კულტურული და მხატვრულ-შემოქმედებითი მრავალფეროვნება. გამოფენისთვის სწორედ ეს დარბაზი შეირჩა, რათა ადამიანებში საზღვარგარეთ მოგზაურობის სურვილი გაეღვივებინა და ის გამოცდილება გაეზიარებინა სხვებისათვის, რამაც ასე საფუძვლიანად შეცვალა და უდიდესი გავლენა მოახდინა დამაარსებლებზე. აღმოსავლეთ ინდოეთის საზღვაო დარბაზში, დროებით, აღადგინეს დამაარსებლების მიერ მოწყობილი გამოფენა, სადაც მათ მიერ სხვადასხვა შორეული მიწებიდან ჩამოტანილი 200 ექსპონატი იყო წარმოდგენილი. მრავალი ნივთი იმავე ვიტრინებში მოათავსეს, რომლებშიც პირველად გამოფინეს ჯერ კიდევ 200 წლის წინ. მათ მაშინ "საკვირველებათა კაბინეტები" ერქვა. "ოდისეას" შემთხვევაში საგამოფენო დარბაზის ფუნქციონირებაც XIX საუკუნისათვის ჩვეულ ყაიდაზე წარიმართა, რამაც საშუალება მისცა დამთვალიერებლებს დაეფასებინათ და გაეაზრებინათ მსოფლიოს კულტურათა განსაცვიფრებელი მრავალფეროვნება და ამავე დროს, წარმოეჩინათ დამაარსებლების მისწრაფება და მრწამსი – ახალი საშუალებებით შეეტანათ განათლება და ცოდნა ხალხში. აღმოსავლეთ ინდოეთის საზღვაო დარბაზის დიდ გაღერეას სოციალური დანიშნულებაც ჰქონდა. აქ იმართებოდა შეხვედრები, ბანკეტები და აღინიშნებოდა ღირსშესანიშნავი თარიღები. 200 წლის შემდეგ "ოდისეაც" იგივე მიზნით გაიხსნა – ეს ადგილი უნდა ქცეულიყო ორსაუკუნოვანი საიუბილეო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ეპიცენტრად, სადაც გაიმართებოდა გალა მიღება, ცნობილი სწავლულების ლექციები, მსოფლიო სამუსიკო და საცეკვაო ხელოვნების წარმოდგენები და სხვა, მრავალი საინტერესო რამ. მართლაც, მრავალი კუთხით, აღმოსავლეთ ინდოეთის საზღვაო დარბაზი, განასახიერებდა სასიცოცხლო კავშირს დამაარსებლების ხედვასა და ღირებულებების მარადიულ მემკვიდრეობასთან.

თემატიკა

"ოდისეაზე" სამი მთავარი თემა გამოიკვეთა: "გამოფენა და სივრცე", "გამოფენა და ხალხი" და "გამოფენა და სულიერი სამყარო." ერთმანეთში გადახლართულმა ამ სამმა ძირი-

თადმა იდეამ, შეკრა და გააერთიანა მთელი გამოფენა. სწორედ ამის გამოა, რომ გერჩება შთაბეჭდილება, თითქოს ყოველი გამოფენილი ნივთი საზღვრებს მიღმა გასვლის დიდ სურვილს გადმოსცემს. ყოველ ნივთს როგორც მისი შემოქმედი, ისე დამთვალეირებელი მატერიალური სამყაროს საზღვრებს მიღმა, ესთეტიკურ, კონცეპტუალურ, ინტელექტუალურ და მეტაფიზიკურ სამყაროში გადაყავს.

ყოველი ადამიანი, რომელიც ასე თუ ისე ეხება გამოფენილ ნივთს, მასთან ერთად აგრძელებს მოგზაურობას მანამ, სადამდეც ამ ადამიანს ეს ემოციები გაჰყვება. ადამიანებს დიდი მრავალფეროვნებისა და მათი ურთიერთდამაკავშირებელი ძაფების აღმოჩენასთან ერთად, გამოფენაზე თავიანთი გამოცდილება და შეხედულებები მოჰქონდათ.

სამი განყოფილებიდან თითოეულის შესაბამისი თემა არც ერთი ნიშნით არ იყო ხაზგასმული, რითაც დამთვალეირებლებს ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს და ახალისებდნენ, რომ თავად ეკვლიათ ხელოვნება, ეძებნათ შემოქმედის მიერ დატოვებული მალალმხატვრული კვალი და ორიგინალობა; ეძებნათ შესრულების სტილში და გამოყენებულ მასალაში ალბეჭდილი დროისა და ადგილის კვალი; ეძებნათ კულტურაში და ნამუშევრის დანიშნულებაში ალბეჭდილი სულიერი თუ მეტაფიზიკური არსი. მასალის უნიკალური დაჯგუფება, მათი განლაგება და კომპოზიციური განთავსება, ისე, როგორც ნივთების ტექსტური განმარტება, ისე იყო დაგეგმილი, რომ შეუმჩნევლად და ძალდაუტანებლად შეეწყო ხელი გამოფენილ ნამუშევრებს შორის არსებული უამრავი ურთიერთკავშირის შემეცნებისათვის.

ყოველივე ზემოთქმული, ახლებური მიდგომის მანდატს წარმოადგენდა კოლექციების შერჩევისა და გამოფენის საქმეში, რაც აღწერილია თემატური ნაწილიდან მოტანილ მაგალითში "გამოფენა და ადგილი", რომელიც ლანდშაფტს და ბუნებრივი გარემოს სურათებს აერთიანებდა და დამთვალეირებელს ადგილის განხილვის საშუალებას აძლევდა და სთავაზობდა გაეაზრებინა, რა დამოკიდებულება ჰქონდა მხატვარს ლანდშაფტისადმი. ერთ კედელზე, ერთმანეთის გვერდით ორი ტილო იყო გამოფენილი – ერთი, პოლანდიელი მხატვრის ფრანც ბალთაზარ სელვინსის მიერ 1795 წელს შესრულებული "გაბრიელ ჯილეტის შეიარაღებული სავაჭრო გემის წყალში ჩაშვება", და მეორე – თანამედროვე ამერიკელი მხატვრის, დევიდ ბრედლის "ინდიელების სოფელი დღეს." პირველზე ალბეჭდილია კალკუტის სავაჭრო გემის ზღვაში ჩაშვება, რასაც უამრავი ხალხი ესწრება, აქვეა გემის მფლობელისა და წარჩინებული ინდოელებისაგან შემდგარი ცალკემდგომი ჯგუფი. მეორე ტილოზე, სამხრეთ-დასავლეთის პუებლოს ხედია ალბეჭდილი მალლობიდან; პუებლოში სარიტუალო ცეკვა სრულდება, მის გარეთ კი სამხედრო მანევრები გაუმართავთ, ნაღმებს დებენ, ჯგუფებიან ანუ პუებლოს დასახლებას განადგურება ემუქრება. დამთვალეირებელს შეუძლია სხვადასხვა დონეზე შეადაროს ეს სურათები. ორივე მათგანი ვიზუალურად საოცრად ეფექტურია და უნაკლოდაა შესრულებული. მიუხედავად მათზე წარმოდგენილი მიზანმიმართული მოქმედებისა, ორივე მათგანში გადმოცემული ზოგადი ატმოსფერო წყნარი და მშვიდია. ორივეს თემა "ინდოეთია" და შესაძლოა გააზრებული იქნას როგორც ნამუშევრები, სადაც გადმოცემულია თითოეული მხატვრის შეხედულება კოლონიალიზმზე და დომინანტობაზე. თუმცა, ორივე ნამუშევარი ერთმანეთს ეხმიანება და ურთიერთქმედებს, როგორც ვიზუალურად (თითოეულში ყვითელი ფერები ქარბობს), ისე ინტელექტუალურადაც. მაგალითად, ამერიკელი მხატვრის ნამუშევარში გადმოცემული საერთო სატირა და პესიმიზმი, შესაძლოა პოლანდიელის ნამუშევარზეც გავრცელდეს, რაც ვერ მოხდებოდა და ვერც დაეინახავდით, ის რომ ცალკე გამოეფინათ. გამოფენაზე სელვინსის ავტოპორტრეტიცაა გამოტანილი,

რომელსაც ავტოპორტრეტების თემასთან მივყავართ. იგი გამოფენის მომდევნო ნაწილშია განვითარებული – "გამოფენა და ადამიანები".

ახალი ტექნოლოგიები

"ოდისეას" მთავარი მიზანი იყო მასტიმულირებელი სასწავლო და საგანმანათლებლო – აღმზრდელობითი გამოცდილების შექმნა, რომელიც ამავე დროს, გამომწვევიც უნდა ყოფილიყო და აღქმის სხვადასხვა საშუალებაზე უნდა ემოქმედა. ამ მიზნის მისაღწევად გამოფენაზე უხვად იყენებდნენ აუდიო, ვიდეო და ინტერაქტიურ მედია-საშუალებებს, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებდა ამ გამოფენას Peabody Essex Museum-ის სხვა გამოფენები-საგან. აი, რამდენიმე მაგალითი:

- თითოეულ საგამოფენო დარბაზში დაამონტაჟეს სხვადასხვა სახის მედია-კომპონენტები. დიდი ეკრანი და DVD კინოაპარატურა აღმოსავლეთ ინდოეთის საზღვაო დარბაზის შესასვლელში დაამონტაჟეს. ოთხნუთიან ვიდეოშესავალში სწრაფად ცვალებადი ანიმაციური სურათები და მუსიკალური ფონი წარმოაჩენდა "ოდისეაზე" გამოფენილი ნამუშევრებისა და წარმოდგენილი კულტურების მრავალფეროვნებას. მოკლედ იყო მოთხრობილი გამოფენის სამი ძირითადი ნაწილის შესახებაც

- გამოფენაზე წარმოდგენილი 400 ექსპონატის მონაცემთა ბაზა და ვიზუალური გამოსახულებები CD-ROM-ზე იყო ჩანერილი, საიდანაც, კომპიუტერის ჯიხურიდან, შესაძლებელი იყო მათი ნახვა 19 დიუმიან (48 სმ.) ეკრანზე. "ოდისეას" გალერეებში ჯიხურები სხვადასხვა ადგილას იყო ჩადგმული. ყველა მათგანი ერთნაირად იყო დამონტაჟებული, დამთვალეირებელს შეეძლო ნებისმიერი გალერეიდან ვირტუალურად დაეთვალეირებინა მთელი გამოფენა და ნებისმიერ ნამუშევარზე დანვრილებითი ინფორმაცია მიეღო. თითოეული ექსპონატის სულ მცირე, ერთი ფოტო მაინც იყო მოთავსებული ვრცელი ტექსტური მასალით. მრავალ შემთხვევაში, დამატებითი სურათები, დეტალები და ზოგჯერ ვიდეო კლიპებიც, ხელმისაწვდომი იყო ასეთი ეკრანების საშუალებით

- წერილობითი ინფორმაცია შედგებოდა ნივთის მარკერში მითითებული ტექსტისაგან, უფრო ვრცელი კი დეტალური მონაცემებისაგან და კონტექსტური მასალებისაგან, ისევე როგორც რადიოთი გადაცემული აუდიო ტექსტისაგან, იმ შემთხვევისათვის, თუ გამოფენის დათვალეირების დროს საჭირო იქნებოდა ნამუშევრთან შერეება. ექსპონატების ურთიერთშედარების გასაადვილებლად, შესაფერისი სანავიგაციო ლილაკების ნაკრები, თითოეულ ეკრანზე იყო გამოტანილი, ისევე, როგორც ერთი კონკრეტული ნამუშევრის სხვა ინდივიდუალურ ნამუშევრებთან და მსგავსი თემატური კატეგორიების სხვა ნამუშევრების ჯგუფებთან დამაკავშირებელი ლილაკები. ასეთი სანავიგაციო საშუალებებით, დამთვალეირებელს შეეძლო მონაცემთა ბაზაში არსებული უამრავი შესაძლო გზიდან გაჰყოლოდა ნებისმიერს, იმის მიხედვით, თუ რომელს მიანიჭებდა უპირატესობას და რა დაინტერესებდა. როდესაც ჯიხურებს არ იყენებდნენ, თითოეული მათგანი თავისი, იმ ადგილას წარმოდგენილი თემატური ექსპოზიციის შესაბამის ანიმაციურ სკრინ-სეივერს აჩვენებდა, სადაც იყო განლაგებული. მონაცემთა ბაზა ისე იყო შექმნილი, რომ მისი გამოყენება შესაძლო ყოფილიყო მუზეუმის ვებ-გვერდზე ინტენსიური ინტერაქტიური ზონის სახით.

- აღმოსავლეთ ინდოეთის საზღვაო დარბაზში ვიზუალური მონაცემების ერთი ბაზა იყო მოთავსებული, თუმცა, ჩვეულებრივ ჯიხურში კი არა, არამედ დარბაზის ერთ-ერთ პირველ, შუშის ზედაპირის მქონე საგამოფენო ვიტრინაზე, რომელშიც ამ ბაზის გარდა,

მუზეუმის დამაარსებელთა მიერ მოგზაურობების დროს შექმნილი ხელოვნებისა და კულტურის ნიმუშების ნაკრები იყო წარმოდგენილი. ეს იყო სხვადასხვა ეპოქების მონიწივე სამუზეუმო ტექნოლოგიების თავბრუდამხვევი გამოფენა. ასე მაგალითად, "საკვირველებათა კაბინეტში" გამოფენილი ნივთების დანომრვა და დაბეჭდილ საგამოფენო კატალოგში თითოეულ მათგანზე მცირე განმარტებების შეტანა, 1825 წლისათვის ნამდვილად მნიშვნელოვანი სიახლე იყო, სწორედ ისეთი, როგორც დღეს პენტიუმ III-ის ბაზაზე ხელის შეხებით მომუშავე ელექტრონული ეკრანებია. ნაწილში "გამოფენა და ადგილი", ორი სახის მედია საშუალება იყო ინსტალირებული. ფართო ეკრანზე პეიზაჟების სხვადასხვა დეტალები იყო გამოტანილი, რაც დამთვალიერებელს ხელოვნების ნიმუშის ძალზე დანვრისებით შესწავლის საშუალებას აძლევდა. ამ მიდგომის ნათლად ხაზგასასმელად, წარმოდგენილი იყო XVIII საუკუნის სპილოსძვლისზედაპირიანი დიდი ჩინური სანერი მაგიდა, მთლიანად დაფარული ძალზედ წმინდა და კომპოზიციურად რთული, სოფლის ცხოვრების ამსახველი, ინკრუსტაციით; საპროექციო ეკრანზე მისი დეტალების დათვალიერებაც იყო შესაძლებელი.

- ლანდშაფტთან დაკავშირებული მეორე მედია საშუალება ერთმანეთის გვერდით ორი ეკრანის დამონტაჟება იყო. ერთი, ფართოეკრანიანი პლაზმური ეკრანი იატაკის დონეზე ოდნავ მაღლა იყო დამონტაჟებული, მასზე XX ს-ში ახალ გვინეაში ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის ამსახველ ვიდეოკლიპს უჩვენებდნენ. მეორე, პლაზმური ეკრანის უკან, ლაქით დაფარული წყვილი ჩინური დაფა ეკიდა. XVIII საუკუნის დაფები, სადაც აბრეშუმის წარმოების სცენები იყო გამოსახული, ბრიტანეთის ვესტინდური კომპანიის დირექტორმა აჩუქა მუზეუმს. მთავარი აზრი, რომელსაც ორივე ნამუშევარი ატარებდა, კულტურათა დომინირება და ექსპლუატაცია იყო. უზადოდ გაპრიალებულ შავ ზედაპირზე ვიდეოაპარატურის მოლურჯო ციმციმი სივრცეს უფრო მოძრავს ხდიდა და კიდევ ეფრო მეტად უსვამდა ხაზს განსხვავებებს ძველსა და ახალ ტექნოლოგიებს შორის.

- ავტოპორტრეტების თემატურ დარბაზში ვიდეოაპარატით აღჭურვილი სურათების გადამღები დანადგარი იყო დამონტაჟებული, რაც თავის მხრივ "გამოფენა და ხალხის" ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. აქ დამთვალიერებლებს შეეძლოთ საკუთარი სურათის გადაღება. თითოეული სურათის საფუძველზე კი ახალი ავტოპორტრეტი იქმნებოდა. სულ რამდენიმე წუთში ავტოპორტრეტი ვიდეოკამერიდან იშლებოდა და დამთვალიერებელს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა, იგი სხვა დარბაზში გამოფენილ თავის პორტრეტს ეკრანზე დაინახავდა.

- "ოდისეას" ბოლო ნაწილი ახალ ტექნოლოგიებს ეძღვნებოდა. მაგალითად, "კედელი - სახე", სამ ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმართულ კედელს წარმოადგენდა, რომლებზეც ერთმანეთის მიყოლებით, დიდი ფორმატით ჩნდებოდა ცალკეული სახეები, ადამიანთა ჯგუფები და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები კონტექსტის შესაბამისად. თითოეულ კედელზე დამაგრებული იყო ძალიან დიდი პლაზმური ეკრანი, სადაც სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა სახეებს უჩვენებდნენ. გამოფენაზე ექვსი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე სლაიდ-შოუ იყო გამართული, რომელიც შუქისა და მოძრაობის ძალზე აქტიურ კაკაფონიას ქმნიდა. მათი დამონტაჟებით, დროისა და სივრცისაგან გამოცალკევებით, ჩინებულად წარმოჩინდა ხალხის ფაციფუცი და ფუსფუსი და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კაცობრიობის მრავალფეროვნებას. "ოდისეას" დამთვალიერებლები ფიზიკურად მონაწილეობდნენ ყველა ტექნოლოგიის მუშაობაში, ვინაიდან ასეთი პროექციების შუაში თვითონ დამთვალიერებლები იდგნენ. ისინი ვირტუალურადაც ჩართულნი იყვნენ გამოფე-

ნაში. გალერეაში გადაღებული ზოგი მათგანის სურათი განსხვავებული პერიოდულობით, სხვა გამოსახულებებს შორის, რამდენიმე წამით პლაზმურ ეკრანზე ჩნდებოდა ხოლმე.

- კიდევ ერთი ახალი ტექნოლოგია ამ გალერეაში ელექტრონული საფოსტო ბარათების დანადგარი იყო, საიდანაც დამთვალეიერებლებს შეეძლოთ ექსპონატების ელექტრონული ღია ბარათების სახით იმიეილით გაგზავნა. მეტაფორული მოგზაურობის დროს ვირტუალური ღია ბარათის გაგზავნა, სრულიად ადექვატური გასართობი საქმიანობა გახდა.

- "ოდისეას" დამამთავრებელ ნაწილს არაოფიციალურად "კოქტეილის მიღება" ერქვა, რომელშიც სხვა დარბაზებისაგან განსხვავებით, უფრო შინაური გარემოს შესაქმნელად ხალიჩებით მოფენილ დარბაზში, 20 განსაკუთრებით მნიშვნელოვან მხატვრულ თუ კულტურულ ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ზოგი მათგანი, როგორცაა პორტრეტული ნამუშევრები ან პეიზაჟები, გამოფენის წინა ნაწილებს უკავშირდებოდა. სხვები, მაგალითად, სარიტუალო ცული ახალი კალედონიდან, ჰესენელი დაქირავებული ჯარისკაცის ჩაფხუტი, და ნატიფად მოჩუქურთმებული ფლანდრიული კრიალოსანი, არ უკავშირდებოდა გამოფენის წინა ნაწილებს. თითოეული ნამუშევრის შესახებ მომზადებული იყო აუდიო ტექსტი – სასაუბრო, რომელიც ამ კონკრეტული ნივთის თავზე დამონტაჟებული დინამიკებიდან ისმოდა. ხელოვნების კონკრეტულ ნიმუშებზე ეს სასაუბროები მომზადდა მათ შესახებ მრავალ სხვადასხვა ინდივიდთან ჩატარებული და ჩანერილი საუბრების საფუძველზე, რომლის დროსაც ისინი თავად ირჩევდნენ მათთვის საინტერესო ნივთს და საუბრობდნენ მის შესახებ. როდესაც მოძრაობის დეტექტორები ამა თუ იმ ნივთთან დამთვალეიერებლის მოახლოვებას დააფიქსირებდნენ, ირთებოდა მოკლე ხმოვანი კლიპები, სადაც ორიდან ოთხამდე ადამიანი ამ ნივთის შესახებ თავის ინტერპრეტაციას გვთავაზობდა. ძალზე საინტერესო იყო ის მომენტები, როდესაც რამდენიმე ხმოვანი კლიპი ერთდროულად ირთებოდა, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა გამოფენაზე. ამ დროს იქმნებოდა ხალხის დიდი რაოდენობით შეკრების შთაბეჭდილება, რაც დამთვალეიერებლებს ამ ადგილისაკენ იზიდავდა და იქმნებოდა ხელშემწყობი ვითარება ამ საუბრებში მათ ჩასართავად, ან სულ მცირე, მოსასმენად. "კოქტეილის მიღებებმა" გამოავლინა აზრთა დიდი სხვადასხვაობა ხელოვნების შესახებ და აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში, ამ საკითხზე ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. ამასთან, ნათლად წარმოჩინდა, რომ არ არსებობს მცდარი ან სწორი მოსაზრება, არამედ ყველა გამოთქმული მოსაზრება ხელს უწყობს ჯანსაღ საუბარს ხელოვნებაზე.

საერთო ჯამში, "ოდისეას" საბოლოო მიზანს მსოფლიო ხელოვნებაზე დიალოგის აუცილებლობის გაცნობიერება წარმოადგენდა, რომლის გაგრძელება მუზეუმის საზღვრებს მიღმაც შესაძლებელია. დროისა და ადგილისაგან განურჩევლად, ხალხი ყოველთვის მონაწილეობდა საუბრებში ხელოვნებაზე და ასე გაგრძელება მომავალშიც. ყველა ინდივიდს, როგორც დამთვალეიერებელს, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ხელოვნების ნიმუშის მიმართ, ვინაიდან ჩვენ შეგვწევს უნარი დროისა და სივრცის საზღვრებს მიღმა დავინახოთ მის კონტექსტში და მიზანში ჩადებული განზრახვა. ხელოვნებასთან ურთიერთობას მასთან კავშირის, მისი არსის და ჩანაფიქრის ძიების სტიმულირების გზით, შეუძლია შეცვალოს ჩვენი ცხოვრება, რასაც ხელოვნების ღრმა შრეებში შევყავართ და უკეთესად და უფრო მრავალმხრივ შევიმეცნებთ მას. ხელოვნების ნიმუშის ცქერა, მისი გააზრება, ღრმა და შემოქმედებითი პროცესია. მას შეუძლია განსხვავებული კუთხით დაგვანახოს სამყარო.

"რაც შემხვედრია, ნაწილი ვარ ყოველივესი ..."

ოდისეა ალფრედი, ლორდი ტენისონი

მუზეუმის გაფართოების პროგრამა, რომელიც 2003 წლისათვის უნდა დასრულდეს, მუზეუმში არსებული მუდმივმოქმედი კოლექციების ხელახალ გამოფენასაც გულისხმობს. ცალკეული კოლექციების გამოფენის ნახალისებასთან და ამ მიდგომის გადაფასებასთან ერთად, ახალი გამოფენა უეჭველად დაეფუძნება "ოდისეას" დროს გამოცდილ და გამოყენებულ თემებს, მიდგომებს და იდეებს, რაც პირველი ნაბიჯი იყო მუზეუმის ისტორიის შესამე საუკუნეში.

8.2 დროებითი გამოფენების დაგეგმვა და მართვა

ბარი ლორდი

თუ მუზეუმს სურს დამთვალეირებელთა საჭირო რაოდენობის მოზიდვა, ამ შემთხვევაში დროებითი გამოფენების მოწყობა უბრალოდ შეუცვლელი და აუცილებელი საშუალება ხდება. მუდმივმოქმედი გამოფენა, მისი თუნდაც ყველაზე პომპეზური პრეზენტაციის და გამოფენილი ნივთების ხშირი ცვლის შემთხვევაშიც კი, ვერ შეცვლის დროებითი გამოფენის მოწყობის ქმედით პროგრამას. უნიკალური კოლექციების მფლობელი სახელგანთქმული დანესებულებები, როგორცაა: ბოსტონის ისაბელა სტიუარტ გარდნერის მუზეუმი ან ლონდონის უოლესის კოლექცია, აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევენ საგანგებო დროებით გამოფენებს. დროებითი გამოფენა საუკეთესო საშუალებაა მუზეუმში რეგულარული დამთვალეირებლის ხშირი მოსვლის უზრუნველსაყოფად. ასეთი გამოფენები ახალ ინტერესებს აღუძრავენ იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან მუზეუმის ხშირი სტუმრები და იმედია, სამუზეუმო კულტურას ნაზიარებ ტურისტთა ყურადღებასაც მიიპყრობენ.

დროებითი გამოფენები "სამყაროში გაჭრილი ფანჯრის" როლსაც ასრულებენ იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ემსახურება მუზეუმი. ეს შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს ადგილობრივი მუზეუმისთვის, სადაც ძირითადი ყურადღება მხარის ისტორიას ეთმობა. მართალია, ასეთ მუზეუმებში მოწყობილი დროებითი გამოფენების ერთი ნაწილი ადგილობრივ თემატიკას უნდა ეხებოდეს, ხოლო დანარჩენი, შესაძლოა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისი ექსპონატების გამოფენას წარმოადგენდეს, რომლებიც სხვა შემთხვევაში მისთვის მიუწვდომელი დარჩებოდა. მუზეუმის საგამოფენო სტრატეგიაში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული დროებითი გამოფენის პროგრამის მიზნები და ამასთან, იგი უნდა შეიცავდეს რეალურ გათვლებს, რომლებიც წარმოაჩენენ, თუ წლის განმავლობაში გამართული გამოფენების საერთო რაოდენობიდან, რამდენი პროცენტი მოდის საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონული და ლოკალური წყაროების საფუძველზე გამართულ იმ გამოფენებზე, რომლებიც ადგილობრივ საზოგადოებას საშუალებას მისცემდა გაელო და გაეხედა "სამყაროში გაჭრილ ფანჯარაში".

დროებითი გამოფენა, შესაძლოა, მთელი ხელოვნების გალერეის ან საგამოფენო ცენტრის საგამოფენო პროგრამას წარმოაჩენდეს. ზოგჯერ, დროებითი გამოფენა შესაძლოა კონკრეტული ადგილის თავისებურებათა წარმომჩენ ადგილობრივ მუზეუმში გაიმართოს, რომელიც რომელიმე სახელოვან პიროვნებას ან ნაგებობას უკავშირდება. მაგალითად, ლონდონის ფროიდის მუზეუმმა, თანამედროვე ბრიტანულ მხატვართა რამდენიმე დროებით გამოფენას უმასპინძლა, რომელთა ნამუშევრები მუზეუმის ადგილმდებარეობით, ან იქ წარმოდგენილი ექსპონატებით და მისი ძირითადი არსით იყო შთაგონებული.

მრავალ მუზეუმში დროებითი გამოფენების მოწყობა უბრალოდ აუცილებელი საქმიანობაა, რომელიც ხშირად მთელი კოლექტივის შრომასა და ყურადღებას მოითხოვს და სადაც მოხალისეები, სპეციალურად მოწვეული კურატორები და უშიშროების დამატებითი ძალები მონაწილეობენ. ამ მაცდურ საქმიანობასა და სხვა აქტივობებს შორის ბალანსის დაცვა და უზრუნველყოფა მრავალი მუზეუმის დირექტორისათვის ხშირად რთული თავსატეხი ხდება. შესაძლოა, მუზეუმის დირექტორს ან კურატორს ძალიან დაეხმაროს მის სამუშაო ადგილზე მუდმივად გაკრული კითხვა "აუცილებელია თუ არა ამ გამოფენის მოწყობა?". ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე დროებითი გამოფენის მოსაწყობად მუზეუმები კონკრეტულ პირს, გამოფენის პასუხისმგებელ თანამშრომელს ნიშნავენ, ან ასეთი გამოფენის პროგრამის დაგეგმვისა და მართვის მიზნით, ქმნიან მთელ განყოფილებას. ჩრდილო ამერიკაში, როგორც წესი, გამოფენის რეგისტრატორი ის მთავარი ფიგურაა, რომელიც განკარგავს დროებით სარგებლობაში მიღებულ და გაცემულ ექსპონატებს.

ამასთან, საგამოფენო სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს დროებითი გამოფენის ორგანიზაციასა და მართვაში მუზეუმის მონაწილეობის ხუთი განსხვავებული დონის ურთიერთშერევის და შერწყმის საკითხებს. კერძოდ:

- დროებით გამოფენაზე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ახალი მასალები მუზეუმის მუდმივი კოლექციებიდან. უკანასკნელ წლებში თეითის გალერეამ (რომელიც სადღესოდ ორ შენობაშია განლაგებული – თეითი ბრიტანეთი და თეითი მოდერნი) არაერთხელ დაადასტურა, რომ შეუძლია ყოველწლიურად განაახლოს და ახლებურად მოაწყოს თავისი სამხატვრო კოლექცია, გამოფენის გახსნისას კი – მიღებები და განხილვები. ასეთი პროგრამის განხორციელების პოტენციული მთლიანად დამოკიდებულია მუზეუმის მუდმივი კოლექციების მოცულობასა და მრავალფეროვნებაზე.

- მუზეუმმა შეიძლება ითხოვოს ნამუშევრები, რომლებიც მის კოლექციებში დაცულ ამა თუ იმ ნივთს უკავშირდება და ერთდროულად, გამოფინოს ისინი თემატურად ურთიერთდაკავშირებული შოუს სახით. ლონდონში, ეროვნულ სამხატვრო გალერეაში მოწყობილი გამოფენა "საბრძოლო გემი", "შეუპოვარი", რომელიც მაგალითის სახით ამ ნივთის 10.1 თავშია განხილული, ეროვნულ გალერეაში მოწყობილი შოუების მთელი სერიის ბრწინვალე ნიმუშია, სადაც კოლექციაში წარმოდგენილ მთავარ ტილოსთან ერთად, წარმოდგენილი იყო კონტექსტურად მასთან დაკავშირებული ნამუშევრები, რომლებიც, როგორც წესი, სხვა დანესებულებებიდან ან კერძო პირებისაგან იყო მოტანილი. შედეგად, მუზეუმმა უკეთესად შეიმეცნა მისი კოლექციის მნიშვნელობა და ამავე დროს, კონკრეტული ტილოების, ხელოვნების ნიმუშის, არტეფაქტის მიმართ, საზოგადოების მხრიდან ინტერესმაც იმატა.

- მუზეუმმა შესაძლოა თავად შეარჩიოს ესა თუ ის თემა ან ნივთი და მრავალი სხვადასხვა წყაროდან მოიძიოს შესაბამისი ექსპონატები, ხოლო მის პირად კოლექციებში დაცული, გამოფენასთან დაკავშირებული ნივთები კი სულ რამდენიმე ერთეულს ითვლიდეს. გამოფენები, სადაც თავიდან ბოლომდეა დოკუმენტირებული მხატვრის მთელი შემოქმედება, ან წარმოდგენილია მთელი ცივილიზაცია, ან ცხოველების ისეთ სახეობებთან დაკავშირებული ყველა ასპექტი, როგორიცაა დინოზავრები ან ვეშაპები, ამ ტიპის გამოფენების კარგ მაგალითებს წარმოადგენს. სამეცნიერო ცენტრს შეუძლია ნაკლებად იყოს დამოკიდებული ნასესხებ ნივთებზე და მეტწილად, მის მიერ წარმოებული აპარატების გამოფენაზე გადაიტანოს ყურადღება, რომელთა საშუალებითაც შეძლებს ისეთი სფეროების კვლევას, როგორიცაა ქიმიკა, ფიზიკა ან ასტრონომია.

- მართალია, მონაწილეობის ზემოაღწერილი სამი დონე თვითონ საგამოფენო დაწესებულებების მიერ მოწყობილ გამოფენებს მიესადაგება, მაგრამ მუზეუმებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვების მიერ მოწყობილ გამოფენებში, სადაც ნათხოვარი კოლექციები ნარმოდგენილი. მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს გადასახადის გადახდაში, ან ერთობლივ კვლევით საქმიანობაში, კატალოგების მომზადებაში, კოლექციების დროებით გამოფენის თაობაზე მოლაპარაკებების გამართვაში ან სხვა სახის მომსახურებაში.

- და ბოლოს, მუზეუმებს შეუძლიათ მიიღონ და გამოფინონ ე.წ. "პაკეტირებული ჩვენებები" – მოძრავი გამოფენები, რომელთა გადაადგილებას სპეციალიზებული სააგენტოები კურირებენ, როგორცაა მაგ. ამერიკის ხელოვნების ფედერაცია ან სმითსონის ინსტიტუტის დროებითი გამოფენების სამსახური (SITES). ასეთი გამოფენებისთვის მიმღები მხარე გარკვეულ გადასახადს იხდის და შესაბამისად, ყოველმხრივ მომზადებულ გამოფენასთან ერთად, საგამოფენო კატალოგების განსაზღვრულ რაოდენობას, აფიშებს, საზოგადოებისთვის განკუთვნილ ფოტოებსა და პრესრელიზის ტექსტს იღებს.

"პაკეტირებული ჩვენებების" უმრავლესობა შედარებით პატარაა, რადგან მათი გამოფენა მრავალ სხვადასხვა დაწესებულებაშია ნავარაუდები. ამ მიდგომის საპირისპირო უკიდურესობაა ბლოკბასტერი. ეს უკანასკნელი შედარებით დიდი გამოფენაა, რომელიც სავარაუდოდ, საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს და სადაც მოხვედრა ძალზე შეზღუდულია. ფრანგი იმპრესიონისტების დიდი გამოფენა, ვან გოგის ნამუშევრები ან ძველი ეგვიპტის ხელოვნება, ყოველთვის ბლოკბასტერია, ისევე როგორც დინოზავრების, ძვირფასი ლითონების ან გემების გამოფენა. ჟურნალ "Art Newspaper"-ის 2000 წლის თებერვლის ნომერში, გამოქვეყნდა სამხატვრო გამოფენებზე დასწრების 1999 წელს მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვამ აჩვენა, რომ იმ წელს გამართული 20 ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენიდან, ცხრა შემთხვევაში ძირითადად, მონეს ან ფრანგი იმპრესიონისტების ნამუშევრები იყო ნარმოდგენილი. ლონდონის სამეფო აკადემიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ 1999 წელს გამართულ გამოფენას "მონე XX საუკუნეში", ყველაზე მეტი დამთვალიერებელი დაესწრო ბრიტანეთში ოდესმე გამართულ სამხატვრო გამოფენებს შორის. დღეში საშუალოდ 8.555 დამთვალიერებელი მოდიოდა, საბოლოო ჯამში კი გამოფენა 813.000-მა ადამიანმა ნახა, მათ შორის 40.000 დამთვალიერებელი გახსნის დღეს იყო მისული; გარდა ამისა, ბრიტანეთის ისტორიაში პირველად, გამოფენა თითქმის მთელი დღე-ღამე გაგრძელდა – შაბათის დილის 8 საათიდან კვირის საღამოს 6 საათამდე. იგივე გამოფენა ბოსტონის ნატიფი ხელოვნების მუზეუმშიც გაიმართა, სადაც მას 565,992 დამთვალიერებელი ეწვია და საერთო ჯამში, იგი მსოფლიოში 1,3 მილიონმა ადამიანმა დაათვალიერა. შედარებისათვის, ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში, 1972 წელს გახსნილ პირველ გამოფენა-ბლოკბასტერს (სწორედ ამ პირველი გამოფენისათვის შეიქმნა კიდეც ეს ტერმინი) – "ტუტანჰამონის საგანძურს", ყოველდღიურად საშუალოდ 6.160 ადამიანი ათვალიერებდა. იმ წელს გამოფენა ცხრა თვე მოქმედებდა და ამ ხნის მანძილზე იგი 1.7 მილიონმა ადამიანმა დაათვალიერა.

ასეთი გამოფენის მოსაწყობად, ცენტრალური მუზეუმები დიდ საგამოფენო ფართობს ითხოვენ – 12.000-დან 20.000 კვადრატულ ფუტამდე (1200-დან 2000 მ²-მდე), ამასთან, მათი მოთხოვნების თანახმად, ახლომახლო ისეთი დამატებითი საგამოფენო ფართობებიც უნდა არსებობდეს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოთავისუფლდება და მიუერთდება ძირითად საგამოფენო ფართს. მეორე უკიდურესობა ისაა, რომ პატარა ქალაქების პატარა

დანესებულებებში სულ რაღაც 1500 კვადრატული ფუტი (150 მ²) შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს პაკეტირებული შოუსთვის, ან ცალკეული გამოფენების, მაგ., ერთი რომელიმე მხატვრის გამოფენის მოსაწყობად. ჩრდილო ამერიკის მუზეუმების და საგამოფენო სააგენტოების რამდენიმე წლის წინ განხორციელებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ 5000 კვადრატული ფუტის (500 მ²) საგამოფენო ფართი, საკმარისი იყო თითქმის ყველა პაკეტირებული შოუს და საგამოფენო სააგენტოების ხელთ არსებული სხვა გამოფენების 95%-ის წარმოსადგენად. თუმცა, ისეთი დინამიკური პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც კრეატიული გამოფენის მოწყობას შეძლებდა სხვა მუზეუმებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ხშირად, სულ ცოტა 5-დან 8 ათას კვადრატულ ფუტამდე (500-დან 800 მ²-მდე) საგამოფენო ფართობია საჭირო, ხოლო უფრო დიდი დანესებულებები 12-დან 20.000 კვადრატულ ფუტამდე საგამოფენო ფართობს ითხოვენ.

დროებითი გამოფენებისათვის უფრო მეტი სივრცის გამოყოფა შესაბამისი პროგრამის მიხედვით უნდა ხდებოდეს, რაც ამ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფაქტორია. მართალია, მუზეუმის მიერ საკუთარი ძალებით, ან ერთ ან ორ სხვა მუზეუმთან ერთად, ორგანიზებული გამოფენა, როგორც წესი, თითოეულ მათგანში, ჩვეულებრივზე უფრო დიდი ხნით არის ხოლმე წარმოდგენილი; პაკეტირებული შოუები და მრავალი სხვა მოწვეული გამოფენა, ხშირად მხოლოდ 3-6 კვირას გრძელდება. გამოფენის მოსამზადებლად მხოლოდ ერთი კვირა რომ დაგეჭირდეს, ხოლო კიდევ ერთ კვირაში დემონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოები დავამთავროთ, ერთ კონკრეტულ გალერეაში წელიწადში 6-დან 10-მდე პაკეტირებული გამოფენის მოწყობა იქნება საჭირო. თუ ზემოხსენებულ გამოფენათა უმრავლესობას 5000 კვადრატული ფუტის (500 მ²) ან უფრო ნაკლები ფართობი სჭირდება, ხოლო მუზეუმს 15.000 კვადრატული ფუტი (1.500 მ²) აქვს დროებითი გამოფენებისთვის, ეს მიუთითებს, რომ ამ სივრცის ასათვისებლად წლის განმავლობაში 18-დან 30-მდე პაკეტირებული გამოფენა უნდა მოეწყოს. რა თქმა უნდა, გამოფენების რიცხვი შეიძლება შემცირდეს თვით მუზეუმის მიერ, ან ერთ ან ორ მუზეუმთან ერთობლივად მოწყობილი რამდენიმე თვიანი გამოფენის ხარჯზე, მაგრამ ეს მეტ მომსახურე პერსონალს, დროს და პროფესიულ გამოცდილებას მოითხოვს.

ამდენად, მოსაწყობი გამოფენების წყაროების პროპორციულად დაგეგმვასთან ერთად, საგამოფენო სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს მუზეუმის ან საგამოფენო ცენტრის მიერ მხოლოდ ისეთი საგამოფენო გალერეის გამოყოფა დროებითი გამოფენებისათვის, სადაც ფართობის და საშუალებების შეზღუდვებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული დანესებულების საბიუჯეტო, ადამიანური და დროის რესურსები. ერთ-ერთი პირველი, ვინც გამოსავალი გამოიხატა, ნეშვილის სახვითი ხელოვნების ცენტრი იყო, სადაც პირველ სართულზე 12.000 კვადრატული ფუტი (1200 მ²) ფართობი განაახლეს დროებითი გამოფენების მოსაწყობად. ამ ფართობთან ერთად, შენობის მეორე სართულის 8000 კვადრატული ფუტი (800 მ²) საგამოფენო სივრცე, სხვადასხვა მუზეუმებიდან გადმოტანილ შედარებით გრძელვადიან მოძრავ გამოფენებს უჭირავს, ხოლო ბლოკბასტერის გამოფენის შემთხვევაში, ზემოთ ნახსენები განახლებული ფართობის გამოყენება შესაძლებელი იქნება.

როგორც წესი, რეალურად ყოველი მუზეუმი ერთდროულად რამდენიმე გამოფენასა და შოუს მართავს, რომლებშიც მონაწილეობის აქ მითითებული ხუთივე დონეა წარმოდგენილი. ჩვეულებრივ, გამოფენების თანამშრომელს კედლის დიდი კალენდარი აქვს, რომელშიც საგამოფენო გეგმებია შესული და განსაზღვრულია და განერილია გამოფენის მომზადე-

ბის, დემონტაჟის, ექსპონატების შეფუთვის და ტრანსპორტირების თარიღები. მუზეუმებს, რომლებსაც არ აქვთ თავისუფალი სივრცეები დროებითი გამოფენებისათვის, შესაძლოა, მათთვის სივრცის დათმობა თავიანთი მუდმივმოქმედი გამოფენების დემონტაჟის ხარჯზე მოუხდეთ, რაც მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება.

ამასთან, საგამოფენო სივრცის არსებობა ერთადერთი პირობა როდია. მაგალითად, ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტისათვის აუცილებელია, რომ იმ გალერეების გვერდით, სადაც მისი მუდმივმოქმედი გამოფენაა წარმოდგენილი, სამი-ოთხი შედარებით პატარა ოთახი იყოს, სადაც აუდიო-ვიზუალური პროგრამები, აუდიო ტურის მოსაწყობად საჭირო აღჭურვილობა და მალაზია განთავსდება, სადაც გაიყიდება მოძრავი გამოფენების ძირითად ნივთებთან დაკავშირებული მასალა. ეს უკანასკნელი, გამოფენებიდან მიღებული მოგების მიღების მთავარ და ამავე დროს, ჩვეულებრივ საშუალებად გადაიქცა.

ამ ნიგნის მე-3 ნაწილის 5.3 ქვეთავში აღწერილი გამოფენის მომსახურე პერსონალისათვის, მთელი რიგი დამხმარე სათავსოებია საჭირო: ექსპონატების დალაგება-დასაწყობებისთვის, ყუთებში ჩალაგება-ამოღებისთვის, სატრანზიტო სანყოფილები, ან დროებითი გამოფენის სანყოფილები. არ უნდა დაგვავიწყდეს დაცვის სამსახურის სადგური, საიზოლაციო ოთახი (პარაზიტებით ინფიცირებული ყუთების შემთხვევაში), დოკუმენტაციის ოფისი, ჩარჩოების და თაროების/სტელაჟების სახელოსნო და გამოფენის წინასწარი მოწყობის ადგილი, სადაც სურათებს, არტეფაქტებს და ნიმუშებს, ჩარჩოებში სვამენ ან სტელაჟებზე ალაგებენ და საგამოფენო დარბაზებში გატანამდე ამონმებენ მათ განლაგებას.

დიდი მუზეუმებიდან გამოთხოვილი მნიშვნელოვანი გამოფენების წამოღების დროს, მუზეუმი აუცილებლად მიიჩნევს, რომ უმაღლეს დონეზე დააკმაყოფილოს ფუნქციური, ატმოსფეროს კონტროლის და დაცვის სტანდარტები გამოფენის დამხმარე სათავსოებში. მუზეუმის კურიერები – ჩვეულებრივ, კურატორები, რეგისტრატორები ან რესტავრატორები, ხშირად დაჰყვებიან სხვა მუზეუმში ან საგამოფენო დარბაზში დროებით ნაღებულ ხელოვნების მნიშვნელოვან ნიმუშებს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ მუზეუმის დამხმარე სათავსოების შესაძლებლობების შეფასებას. მაშინაც კი, როდესაც ღირეფტორები, კურატორები, რესტავრატორები ან რეგისტრატორები პირადად არ აცილებენ ექსპონატებს, სხვა მუზეუმების წინადადებებს გამოფენების მათთან განთავსების შესახებ ისინი განიხილვენ გაცემული სტანდარტული კითხვარის საფუძველზე. ამ კითხვარში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი დამხმარე სათავსოები და მოთხოვნები, რომ ექსპონატების დროებით გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ დანესებულებისთვის, რომელსაც აქვთ სათანადოდ აღჭურვილი სათავსოები და შეუძლიათ ისეთივე პირობების უზრუნველყოფა, როგორც ექსპონატის მფლობელ მუზეუმშია. ხშირად, სტრატეგია დროებითი გამოფენის მიმღებ მუზეუმს უფრო მკაცრ პირობებს უყენებს, ვიდრე ექსპონატის მფლობელ დანესებულებას აქვს.

არსებობს დროებით სარგებლობაში გადაცემის/მიღების უნივერსალური წესი, ანუ ყველამ შეიძლება ისეხსოს იმი პროპორციულად, რამდენის გაცემაც შეუძლია. შესაბამისად, მძლავრი მუდმივი კოლექციის მქონე მუზეუმი, საიდანაც მას თავისუფლად შეუძლია და სურს მიაქირავოს თავისი ექსპონატები სხვა აკრედიტებულ დანესებულებას, როგორც წესი, დროებით სარგებლობაში ნივთებს თვითონაც ადვილად იღებს. შედარებით უფრო ნაკლები საგამოფენო კოლექციების მქონე მუზეუმებმა ან საგამოფენო დარბაზებმა, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ საკუთარი კოლექციები, სხვებზე უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ და დააკმაყოფილონ გარემოს კონტროლის, უშიშროების და ფუნქციონირების

უმკაცრესი მოთხოვნები დროებითი გამოფენებისათვის განკუთვნილ თავის დამხმარე სათავსოებში, ისე როგორც საგამოფენო დარბაზებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ასეთი ტიპის დაწესებულებებს სურთ გამოფინონ ისეთი კოლექციები, ან ისეთი ღონისძიებებში ჩაერთონ, რომელიც არ შედის გამოფენების ცირკულაციის სააგენტოების პაკეტირებულ შოუებში.

შემუშავებულია სპეციალური ფორმები “ექსპონატების დროებით სარგებლობაში გადაცემის წინადადებების შესახებ” და “ექსპონატების დროებით სარგებლობაში გადაცემის შეთანხმების შესახებ”, რაც გამოფენის მიზნით ნივთების დროებით გაქირავებაზე და მიღებაზე პასუხისმგებელი პირების – რეგისტრატორების, კურატორების, გამოფენის თანამშრომლების სამუშაო იარაღი და საშუალებებია. როგორც მოქირავნე, ისე გამქირავებელი მხარის დასახელების, საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართების, ტელეფონებისა და ფაქსების გარდა, ამ ფორმებში მითითებული უნდა იყოს ქირის რაოდენობა, ექსპონატის ორივე მიმართულებით ტრანსპორტირებისათვის საჭირო ვადების ჩათვლით. იქვე უნდა იყოს მოთხოვნილი ნივთების დეტალური აღწერა, როგორც გამქირავებლის მიერ მინიჭებული საკატალოგო ნომრის, ისე დამქირავებლის მიერ მინიჭებული საგამოფენო ნომრის ჩათვლით.

სასურველია, ყოველ ნივთს ახლდეს ფოტოსურათი. აუცილებელია დეტალურად და ნათლად იყოს მითითებული დამქირავებლის ვალდებულება კონკრეტული გარემო პირობების, დაცვის და ხელოვნური განათების (სანთლის ან ლუქის განზომილებებში და განათების ზემოქმედების ხანგრძლივობა საათებში) შეზღუდვების უზრუნველყოფის შესახებ. დამქირავებელი და გამქირავებელი დაწესებულებების უფლებამოსილმა პირებმა, ხელი უნდა მოაწერონ შეთანხმებას, სადაც, როგორც წესი, გამქირავებლის ხელმოწერის შემდეგ წინადადება ექსპონატის დაქირავების შესახებ, ექსპონატის გაქირავების შესახებ შეთანხმებად იქცევა. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია დროებით სარგებლობასი გადაცემული ნივთის დაზღვევის მიზნით, დამქირავებელმა მიუთითოს დაზღვევის შესახებ, აქვე მკაცრად და ნათლად უნდა განისაზღვროს, თუ რომელი მხარეა პასუხისმგებელი გაქირავებული ნივთის დაზღვევაზე. დაზღვევის ამოქმედების დამადასტურებელი საბუთი თან უნდა დაერთოს შეთანხმებას გაქირავების შესახებ, მისი გაფორმებისთანავე. 8.2-8.5 სურათებზე ნიმუშების სახით ნაჩვენებია სმითსონის ინსტიტუტის ამერიკის ხელოვნების მუზეუმის (Smithsonian American Art Museum) მიერ გამოყენებული ფორმები.

დროებითი გამოფენების პროგრამის განხორციელებისას, ხარჯების ძირითადი ნაწილი ნათხოვარი ექსპონატების დაზღვევაზე მოდის. ბევრ მფლობელს ურჩევნია თვითონ დააზღვიოს თავისი ექსპონატი და დამქირავებელ დაწესებულებას წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში. სხვა შემთხვევებში, დამქირავებელმა უნდა უზრუნველყოს ე.წ. «კედლიდან კედლამდე» დაზღვევა. ხშირად მას «ლურსმნიდან ლურსმნამდე» დაზღვევასაც უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ სურათი დაზღვეულია მისი მფლობელი დაწესებულების ლურსმნიდან ჩამოხსნის მომენტიდან მისი ამავე ლურსმანზე დაბრუნების მომენტამდე. ორივე შემთხვევაში, დაზღვევის ღირებულება გაქირავებული ექსპონატების ფულადი ღირებულების პროპორციულია.

მრავალ ქვეყანაში, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ხელოვნების ნიმუშების მსოფლიო მასშტაბით ცირკულაციაში და ამ საშუალებით აწყობს კიდევც დროებით გამოფენებს, დაზღვევის ზემოხსენებული მეთოდების ალტერნატივის სახით შემოღებულია და მოქმედებს

ზარალის ანაზღაურების სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც, დამქირავებელი დაწესებულების ქვეყნის მთავრობა მთლიანად ანაზღაურებს ნებისმიერი ზარალის ან დაზიანების საფასურს. ასეთ შემთხვევაში, დაზღვევა სრულიად ზედმეტია. ამ პროგრამის ერთი სირთულე ისაა, რომ ზარალის შემთხვევაში, გამქირავებელი მხარის მიერ მოთხოვნილი ასანაზღაურებელი თანხა შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ თანხისაგან, რომლის გადახდასაც აპირებს დამქირავებელი მხარის ქვეყნის მთავრობა. თუ ეს ორი თანხა განსხვავდება, მაშინ გამქირავებელმა მუზეუმმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი სადაზღვევო გარანტიები.

სმითსონის ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი

შეთანხმება გაქირავების შესახებ ამერიკის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს – სმითსონის ორგანიზაციასა, და პირობით დამქირავებელს შორის

გამქირავებლის მისამართი

<p>გთხოვთ იხილოთ უკანა გვერდი თუ ექსპონატის აღებისა და დაბრუნების მისამართი განსხვავდება ამ ფორმაში მითითებული მისამართისაგან</p>	<p>არტ ავენიუ, ნებისმიერი ადგილი აშშ – ში. ტელ. (სამს.) (სახლი) კრედიტი გაასესხა ----- (დამქირავებლის დასახელება კატალოგის, საგამოფენო მარკეტისა და მისი საზოგადო დასახელების მიხედვით სიტყვიერად)</p>
---	--

გამოფენა: მიუთითეთ გამოფენის დასახელება

<p>თარიღები და მდებარეობა</p>	<p>ქირის ვადები ანუ მისი დანყების - დამთავრების თარიღი ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმში, ვაშინგტონი (თუ ტურნე ტარდება. მარშრუტის პუნქტები აქ მიუთითეთ)</p>
<p>ხელოვნების ნიმუში</p>	<p>მხატვარი: სურათის დასახელება მასალა შექმნის თარიღი</p>

<p>ზომები ნამუშევარი თავის პირვანდელ ჩარჩოში ან შალითაში დაბრუნდება, თუ არ არის სხვა წერილობითი შეთანხმება NMAA-თან</p>	<p>სურათი, გრაფიკა, გრავიურა, ფოტოსურათი უჩარჩოდ და უშალითოდ. (სიმაღლე X სიგანე) (თუ ნაბეჭდია, მიუთითეთ ფირფიტაზეა, გამოსახულებაა თუ ქალაღზეა) ქანდაკება/სამგანზომილებიანი ნივთი პედესტალის გარეშე (სიმაღლე, სიგანე, სიღრმე) პედესტალი (სიმაღლე, სიგანე, სიღრმე): წონა: ნამუშევრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეიძლება თუ არა მისი ჩარჩოში, შალითაში ჩასმა, ან საყრდენით გამაგრება [] დიახ [] არა შეგვიძლია თუ არა პლასტიკური შუშის შეცვლა ჩვეულებრივი შუშით [] დიახ [] არა</p>
---	--

<p>დაზღვევა პირობები იხ. უკანა გვერდზე</p>	<p>ფასი (სავარაუდო საბაზრო ფასი აშშ დოლარებში) დააზღვევს, თუ არ იქნება სხვა შეთავაზება გირჩევნიათ თავად დააზღვიოთ ექსპონატი [] დიახ [] არა სადაზღვევო შესატანის სავარაუდო ოდენობა</p>
--	---

ფოტოსურათი	<p>თუ სარეპროდუქციოდ გამოსადეგი შავ-თეთრი და/ან ფერადი სლაიდები ხელმისაწვდომია, მიუთითეთ მათი ტიპი და ის, თუ სად შეიძლება მათი მიღება: თუ ამ შეთანხმების ძალით არ არის აკრძალული, იგულისხმება, რომ გაქირავების დროს შესაძლოა ამ ნამუშევრის ფოტო და ტელე გადაღება, ან მისი რეპროდუქციის დამზადება საზოგადოებრივი, საგამომცემლო ან ამ გამოფენასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მიზნებისათვის და რომ ასეთი მასალა შესაძლოა, მომავალშიც გამოყენებული იქნეს საგანმანათლებლო მიზნით.</p>
------------	--

ხელმოწერა	<p>გამქირავებელი აცნობიერებს, რომ იგი მთლიანად უფლებამოსილია აღასრულოს ეს ხელშეკრულება, ადასტურებს, რომ იგი გაეცნო მეორე გვერდზე მოტანილ პირობებს და რომ იგი თანახმაა შეასრულოს ეს პირობები. თუ ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს გამქირავებლის წარმომადგენელი და არა თვითონ გამქირავებელი, წარმომადგენელი ვალდებულია თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი წარუდგინოს ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის რეგისტრატორს.</p> <p>ხელმოწერა ----- თარიღი ----- ----- თარიღი -----</p> <p>(ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის რეგისტრატორი)</p> <p>გთხოვთ დააბრუნოთ ამ ხელშეკრულების ყველა ასლი რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ასლი გამოგეგზავნებათ თქვენთვის განკუთვნილ დოკუმენტაციასთან ერთად.</p> <p>რეგისტრატორის ოფისი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი მე-8 და " " ქუჩები, ნიუ-იორკი. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 20560 – 0210 ტელ. 202.357.1381 ფაქსი: 202.786. 2607</p>
-----------	--

სურ. 8.2

სამუზეუმო ექსპონატის დროებით სარგებლობაში გადაცემის პირობები

მზრუნველობა და დაცვა:

მუზეუმიდან ნაქირავები ნივთებს შესაფერისი მზრუნველობა სჭირდება და ამავე დროს, ისინი დაზღვეულები უნდა იყოს დაკარგვის, დაზიანების ან ცვეთისაგან. დამქირავებელი მხარე თანახმაა დააკმაყოფილოს ნებისმიერი განსაკუთრებული პირობა დაქირავებული ნივთის გამოფენასა და შენახვასთან დაკავშირებით. ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის (შემდგომში NMAA) მიერ გაცემული ყველა ნივთი ყოველმხრივ შემონმდა ჩვენს საკონსერვაციო ლაბორატორიაში და შეფასდა, რომ ისინი კარგ მდგომარეობაში არის გაქირავების მომენტისათვის. NMAA-ს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ზიანის ან დანაკლისის აღმოჩენის ყველა შემთხვევა, უმოკლეს ვადებში გადაეგზავნოს შესაბამისი წერილობითი ანგარიში და აუცილებლობის შემთხვევაში, თან დაერთოს დაზიანების ამსახველი ფოტოსურათები. დაუშვებელია ნივთის ჩარჩოს მოხსნა, შეცვლა, განმენდა, ან შეკეთება NMAA-ს წერილობითი თანხმობის გარეშე. ყველა ნივთი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვილ შენობაში უნდა განთავსდეს და დაცული იყოს 24 საათის განმავლობაში. ნივთების დაცვა გარანტირებული უნდა იყოს ყოველგვარი საფრთხისაგან (ურჩეულო ტემპერატურა და ნესტი, ჭარბი სინათლე, მავნე მწერები, ჭიები, ჭუჭყი). ნივთებთან მხოლოდ გამოცდილი პერსონალი დაიშვება.

დაზღვევა:

ნივთების დაზღვევა დამქირავებელი მხარის ხარჯზე უნდა მოხდეს. დაზღვევის ღირებულება ამ შეთანხმებითაა განსაზღვრული და გათვალისწინებულია ყველა სახის რისკის ფაქტორი “კედლიდან კედლამდე” ნების შესაბამისად. საზოგადოდ აღიარებული სტანდარტული გამონაკლისების გარდა, დაზღვევა მოქმედებს ყველა იმ დაზიანების ან დანაკლისის შემთხვევაში, რომელიც გამონკვეულია ან მოხდა: მწერების ან ჭიების მიერ დაზიანების, გაცვეთის ან გახევის შედეგად, თანდათანობითი გაუარესების ან თანდაყოლილი დეფექტის გამო, შეკეთების, რესტავრაციის ან რეტუშირების დროს, საომარი მოქმედებების, სამოქალაქო მღელვარებების და/ან ატომური რეაქციის, ატომური რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურების შედეგად. NMAA თავად განსაზღვრავს, თუ ვინ დააზღვევს მისგან ნაქირავებ ნივთებს, დამქირავებელი მხარე, თუ თავად NMAA. ამ შემთხვევაში, იგი შესაბამის ანგარიშს წარუდგენს დამქირავებელ მხარეს პრემიის მისაღებად. თუ ნივთი ხანგრძლივი ვადითაა დაქირავებული, დასაშვებია დაზღვევის და პრემიის თანხების ოდენობების პერიოდული გადასინჯვა, რომელთა დროს NMAA იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ გაზარდოს სადაზღვევო და პრემიის თანხის ოდენობები და სხვა გარემოებებზე გაავრცელოს დაზღვევის მოქმედება. თუ ნივთებს დამქირავებელი მხარე აზღვევს, მაშინ მათ ტრანსპორტირებამდე NMAA-მ უნდა მიიღოს დაზღვევის სერტიფიკატი, ან სმითსონის ორგანიზაციის სასარგებლოდ მიღებული შესაბამისი დადგენილების ასლი. თუ არ არსებობს სხვა შეთანხმება, ნაქირავები ნივთების დაზღვევა შესაძლოა გადაეცეს ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო სააგენტოებს, თუმცა, ასეთი სააგენტოები პასუხს აგებენ ნაქირავები ნივთების შეკეთების ან შეცვლის ხარჯებზე, თუ ნივთების დაზიანება ან დანაკლისი მოხდება მათი სხვა მეურვის ხელში ყოფნის დროს.

შეფუთვა და ტრანსპორტირება:

ნივთის შეფუთვისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები ძალაშია მხოლოდ NMAA-ს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ. ნივთები მხოლოდ გამოცდილმა პერსონალმა უნდა შეფუთოს, თანაც კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ. ხელახალი შეფუთვის დროს უნდა გამოიყენონ პირველად გამოყენებული ან მათი მსგავსი ყუთები და მასალები. შეფუთვის მეთოდები არ უნდა განსხვავდებოდეს ნივთების მიღების მომენტისათვის გამოყენებული მეთოდებისაგან. შეფუთვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს დამქირავებელი მხარე გაიღებს.

მოსხენიების წესი:

ყოველი ნივთის მფლობელად აღნიშნული უნდა იყოს ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი, სმიტსონის ორგანიზაცია.

ფოტოსურათები:

თუ არ არის სხვა წერილობითი შეტყობინება, დამქირავებელი უფლებამოსილია გადაიღოს დაქირავებული ნივთების ფოტოები და გაამრავლოს ისინი დაქირავებულ მასალებთან პირდაპირ დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. ნივთების ფოტოსურათების გადაღება საგანმანათლებლო პროგრამების გარდა სხვა მიზნებისათვის და მათი პუბლიკაცია, დასაშვებია მხოლოდ NMAA-ს რეგისტრატორის სამსახურის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ. კომერციული მიზნით ფოტოსურათების გადაღება აკრძალულია.

ვადის გახანგრძლივება/დაბრუნება:

დაქირავებული ნივთები განსაზღვრულ დღეს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში უნდა დაუბრუნდეს NMAA-ს. ქირის ვადის გახანგრძლივება დასაშვებია მხოლოდ NMAA-ს დირექტორის ან მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის წერილობითი დასტურის შემდეგ. NMAA უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს უკან გამოითხოვოს ნებისმიერი დაქირავებული ნივთი და დროულად წარმოადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებითი ბარათი.

შეუსაბამობები:

ამ შეთანხმებასა და დამქირავებელი მხარის მიერ დადებულ ნებისმიერ სხვა შეთანხმებებს შორის შეუსაბამობებისა და კონფლიქტების შემთხვევაში, გადამწყვეტია ამ შეთანხმების დებულება.

სურ. 8.3 დაქირავების წინადადების ფორმა

შეთანხმება დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

შეთანხმება ექსპონატების გაქირავების შესახებ ამერიკის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს - სმიტსონის ორგანიზაცია- და დამქირავებელ მუზეუმს შორის/დამქირავებელი მუზეუმის დასახელება

ქირის მოქმედების ვადა: ვადის პირველი დღე- ვადის ბოლო დღე

გამოფენა: გამოფენის დასახელება

ხელოვნების ნიმუში (ნიმუშები): სამუზეუმო ნომერი და აღწერილობა და ზღვევის ღირებულება

1234.5 მხატვრის ვინაობა: ნივთის დასახელება, შექმნის თარიღი, მასალა, ზომები, კუთვნილება

ნებისმიერი ფოტომასალისათვის და ნებართვებისთვის დაუკავშირდით ფოტოსამსახურს შემდეგ ტელეფონებზე:

ექსპონატების განთავსების ზუსტი ადგილი გაქირავების დროს დამქირავებლის/მუზეუმის დასახელება, მისამართი

(თუ ნივთებს სხვა ადგილას ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის რეგისტრატორთან შეუთანხმებლად გადაიტანენ, ისინი დაუყოვნებლივ უკან იქნება გამოთხოვილი)

ხელმოწერა: დამქირავებელი ადასტურებს, რომ იგი გაეცნო ამ შეთანხმების მეორე გვერდზე მითითებულ პირობებს, აღიარებს მათ და მზადაა შეასრულოს ეს პირობები. შეთანხმება ძალაშია მხოლოდ მითითებული დამქირავებელი მხარის ხელმოწერის შემდეგ.

ხელმოწერა ----- თარიღი -----
(დამქირავებელი)

----- თარიღი -----
(ანოცირებული რეგისტრატორი, ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი)

დამქირავებელი მხარე ხელს აწერს შეთანხმებას და აბრუნებს მის პირველ პირს, მეორე პირს კი იტოვებს

რეგისტრატორის ოფისი ტელ. ----- ფაქსი: -----

სურ. 8.4 შეთანხმება დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

ექსპონატების დროებით სარგებლობაში მიღების პირობები

ზრუნვა და დაცვა:

ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (შემდგომში NMAA) ხელოვნების დროებით სარგებლობაში მიღებულ ყველა ნიმუშს ისეთივე მზრუნველობით მოეპყრობა, როგორც ეპყრობა ანალოგიურ საკუთარ ნივთებს.

ტრანსპორტირება:

შეფუთვისა და ტრანსპორტირების საკითხებს განაგებს და აკვარებს მხოლოდ NMAA რეგისტრატორის ოფისი. ამასთან, ტრანსპორტირების მეთოდები წინასწარ უნდა განიხილოს და შეათანხმოს როგორც NMAA-მ, ისე გამქირავებელმა მხარემ. მოქმედი სამთავრობო წესების თანახმად, შეფუთვის და ტრანსპორტირების ხარჯების გადახდა მხოლოდ მაშინაა დაშვებული, როცა მოგვარებულია NMAA-ს რეგისტრატორის სამსახურის მეშვეობით.

საერთაშორისო საბაჟო კანონები და წესები მტკიცედ იქნება დაცული.

დაზღვევა:

თუ გამქირავებელმა გამოთქვა სურვილი, თვითონ დააზღვიოს დაქირავებული ნივთი, NMAA თავად დააზღვევს მის კუთვნილ ნივთს მის მიერ შემუშავებული მხატვრობის ნიმუშების დაზღვევის სტრატეგიის შესაბამისად, რაც "კედლიდან კედლამდე" დაზღვევას გულისხმობს, ნივთების ტრანსპორტირების და მათი განთავსების პერიოდში ფიზიკური ზემოქმედების ან გარეშე ძალით გამოწვეული დანაკლისის ან დაზიანების შემთხვევაში.

ჩვეულებრივ, დაზღვევა ფარავს დანაკარგის ან დაზიანების ყველა შემთხვევას, გარდა იმისა, რომელიც გამოწვეულია ისეთი გარემოებების შედეგად, როგორცაა: გაცვეთა ან დაზიანება, თანდათანობითი გაფუჭება, თანდაყოლილი დეფექტი, თავდასხმა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო არეულობები, ატომური რადიაცია, კონფისკაცია ნებისმიერი სახელმწიფო თუ საჯარო ძალაუფლების მქონე ორგანოს ბრძანების საფუძველზე, კონტრაბანდის რისკი ან უკანონო ტრანსპორტირება და/ან ვაჭრობა, გამქირავებლის ნებართვით ჩატარებული მებისმიერი შეკეთება, რესტავრაცია ან რეტუსირება.

დაზღვევის თანხა უნდა შეესაბამებოდეს გამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ოდენობას და სამართლიანად ასახავდეს ნივთების საბაზრო ფასს. დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია გამქირავებელ დაწესებულებას მოსთხოვოს დაზღვევის ოდენობის დასაბუთება. თუ გამქირავებელი ვერ მიუთითებს კონკრეტულ ოდენობას, NMAA თვითონ განსაზღვრავს სადაზღვევო ოდენობას, რაც ძალაში იქნება ექსპონატების გაქირავების პერიოდში. ნივთის დაკარგვის შემთხვევაში, ანაზღაურება გამოითვლება სადაზღვევო თანხიდან, რომელიც ამ შეთანხმებაში გამქირავებლის მიერაა განსაზღვრული. გამქირავებელი მზადაა კომპენსაცია აშშ დოლარებში მიიღოს.

ინდუსტრიული ციკლის პირობებში წარმოებული ნივთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, თუ კი მისი შეკეთება ან შეცვლა შესაძლებელია შემოქმედის მითითებების შესაბამისად, NMAA-ს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ასეთი ნივთის შეკეთების ან მისი ხელახალი დამზადების ხარჯებით.

თუ დამქირავებელი აირჩევს, რომ თავად დააზღვიოს ნივთები, იგი მოვალეა NMAA-ს აუცილებლად გადაუგზავნოს დაზღვევის სერტიფიკატი, სადაც მითითებული უნდა იყოს, რომ ამერიკის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი- სმიტსონის ორგანიზაცია - თითოეულ მონაწილე მუზეუმთან ერთად დამატებითაა დაზღვეული, ან ამ პირობის ალტერნატივის

სახით, უარი თქვას სუბროგაციაზე -სთან და ყოველ მონაწილე მუზეუმთან დაკავშირებით. ამ პირობის დაუქმყოფილებლობის შემთხვევაში, გამქირავებლის მიერ ამ შეთანხმების პირობების შესრულება ნიშნავს, რომ და თითოეული მონაწილე მუზეუმი, პასუხს არ აგებს გაქირავებულ ნივთზე გაქირავების პერიოდში. ვერ აიღებს პასუხისმგებლობას, თუ გამქირავებლის მიერ თავისი დამზღვევებისათვის მიწოდებული ინფორმაცია ნაკლულია, ან უზუსტოა და მასში შეცდომებია გაპარული.

დაბრუნება:

თუ NMAA-ს არ მიუღია რაიმე საპირისპირო მნიშვნელობის წერილობითი შეტყობინება, ნივთი დაუბრუნდება მხოლოდ და მხოლოდ გამქირავებელს და გაეგზავნება ამ გვერდის ბოლოს ან მის მეორე მხარეს მითითებულ მისამართზე. თუ გაქირავების შესახებ ამ შეთანხმებით განსაზღვრულ პერიოდში ნივთის კანონით უფლებამოსილი მფლობელი იცვლება, მისი გარდაცვალების, ან მისი გადახდისუუნარობის ან გაკოტრების გამო ნივთის გაყიდვის, ნივთის ჩუქების, ან სხვა მიზეზით, ახალმა მფლობელმა უმოკლეს ვადებში წერილობით უნდა აცნობოს NMAA-ს ამ ცვლილების შესახებ. მფლობელისათვის ნივთის დაბრუნებამდე, გამქირავებელმა NMAA-სათვის დამაკმაყოფილებელი ფორმით უნდა დაადასტუროს, რომ უფლებამოსილია მიიღოს ნივთი. თუ ნივთის ახალი მფლობელის მისამართი უფრო შორსაა ვიდრე ის ადგილი, საიდანაც იგი დაიქირავეს, ნივთის ახალმა მფლობელმა წინასწარ, ნივთის მიღებამდე უნდა გადაიხადოს ნივთის გაგზავნის ხარჯების სხვაობა.

თუ გაქირავების შესახებ ამ შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ, გონივრული ხნის მანძილზე, NMAA ვერ დაუკავშირდა ნივთის მფლობელს და მისი ყველა მცდელობა ამ მხრივ წარუმატებელი აღმოჩნდა, ხოლო ნივთის დაბრუნების თაობაზე რაიმე კონკრეტული შეთანხმება არ არსებობს, ნივთი სანყობში გადაინაცვლებს, რაც მთლიანად მფლობელის ხარჯებსა და რისკებთან იქნება დაკავშირებული. თუ სამი წლის მანძილზე ნივთზე პრეტენზიას არავინ განაცხადებს, ამ ხნის განმავლობაში ამ ნივთის შენახვისა და დაცვის ხარჯების გათვალისწინებით ჩაითვლება, რომ გამქირავებელმა შეუზღუდავი პირობებით საჩუქრად გადასცა ეს ნივთი ამერიკის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს.

გამქირავებლისთვის ნივთის დაუბრუნებისას, NMAA მას უგზავნის შესაბამის ქვითარს. თუ ეს ქვითარი მისი გამოგზავნიდან 30 დღის მანძილზე არ დაუბრუნდება NMAA-ს ხელმოწერილი სახით, NMAA პასუხს არ აგებს ნივთის დაზიანებაზე ან დაკარგვაზე.

თუ მისამართი, საიდანაც ნივთი წაღებულია, ან მისამართი, სადაც ნივთი უნდა დაბრუნდეს, განსხვავდება ამ შეთანხმების პირველ გვერდზე მითითებული მისამართისაგან, გთხოვთ აღნიშნოთ და მიუთითოთ ახალი მისამართი:

[] წაღებულია [] დასაბრუნებელია

გამქირავებლის გარდა სხვა საკონტაქტო პირის ვინაობა -----
მისამართი -----
ტელ. სამსახური ----- სახლი -----

სურ.8.5 ექსპონატის გაქირავების შესახებ შეთანხმების ფორმა

დაზღვევის მაღალი ფასები ერთერთი მიზეზია, რის გამოც დაქირავებული ექსპონატებით მონყობილ გამოფენებში მონაწილეთათვის, ძალიან გაიზარდა შესატანი თანხები. დაქირავებული ნამუშევრების გირაოს გახანგრძლივება სხვადასხვა შესაძლო ბაზარზე დამატებითი გამოფენების მოწყობის საშუალებას იძლევა და ამგვარად, ამცირებს სადაზღვევო და სხვა ხარჯების წილს თითოეული მონაწილე მუზეუმისათვის. თუმცა, შესაძლოა, გამქირავებლებს აღარ მოუნდეთ თავიანთი ნივთების გირაოს გახანგრძლივება, ამასთან, მოგზაურობის მარშრუტის გაგრძელება შესაძლოა მიზანშეუწონელიც აღმოჩნდეს ექსპონატების კონსერვაციის თვალსაზრისით.

შეფუთვისა და ტრანსპორტირების ხარჯები და საჭიროების შემთხვევაში, კურიერის მომსახურების ხარჯები, რასაც ემატება კატალოგების გამოცემის, აუდიო მეგზურების, აუდიო და ვიზუალური პროგრამების და სხვა დამხმარე მასალების მომზადების ხარჯები, აუცილებლად თან სდევს დროებითი გამოფენების მოწყობის პროცესს და აუცილებელია მათი დაფარვა. გამოფენისათვის მზადება მოითხოვს დაგეგმვას, რაც ხარჯების პუნქტებად განერას გულისხმობს და რაც მთავარია, ყველა პუნქტისათვის ხარჯი რეალურად უნდა განისაზღვროს. შემოსავლისა და მოგების განსაზღვრამდე, აუცილებელია თავდაპირველად უზრუნველყოფილი იქნეს დროებითი გამოფენების მდგრადობა დანესებულების მიერ ასეთი გამოფენებისათვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

დროებითი გამოფენებიდან შემოსავლების მიღება შესაძლოა ბილეთების ფასისა და მაღაზიის გაყიდვების საშუალებით, ასევე სხვა მუზეუმების მიერ გამოფენაში მონაწილეობისათვის გადახდილი მოსაკრებლის ხარჯზე. დიდი გამოფენების დროს ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა დროებით გამოფენებში ბილეთის განსაკუთრებული ფასის დანესება-არდანესების საკითხს. ზოგჯერ მასპინძელი მუზეუმისათვის შესაძლოა უკეთესიც იყოს დამატებითი ფასის ბილეთის უქონლობა. სანაცვლოდ, გარკვეული შეღავათებისა და უპირატესობების მიღება შესაძლებელია ზოგადად გამოფენაში მონაწილეობისათვის დანესებული მოსაკრებლის გაზრდის ხარჯზე. მეორეს მხრივ, თუ მუდმივი კოლექციის დათვალიერება ჩვეულებრივ უფასოა, შესაძლოა აუცილებელი გახდეს ბილეთის თანხის დანესება, რათა ნაწილობრივ მაინც დაიფაროს დროებით სარგებლობაში მიღებული ექსპონატებით მონყობილი ძირითადი გამოფენის ხარჯები.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, დანესდეს თუ არა შეღავათები მუზეუმის წევრებისათვის ან მეგობრებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მუზეუმმა ფასდაკლებით ან პირველ რიგში მათ შესათავაზოს ბილეთები. ზოგი მუზეუმი მისი მუდმივი წევრების რიცხვის გასაზრდელად ბლოკბასტერებს იყენებს და ადგილობრივებისათვის რიგ უპირატესობებს აწესებს, რითაც უბიძგებს მათ, რომ მუზეუმის წევრობა შეიძინონ, სანაცვლოდ კი უფასოდ ან ფასდაკლებით აძლევს ბილეთს რომელიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოფენაზე. გამოფენის დახურვის შემდეგ მუზეუმების წინაშე ახალი გამოწვევაა – როგორ შეინარჩუნონ ახალი წევრები, რომლებიც, ვინ იცის, მხოლოდ დროებითაა გამოფენამ მიიზიდა. ეს გამოწვევა განსაკუთრებით საინტერესოა მაშინ ხდება, თუ გამოფენამ ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფის კულტურა და მემკვიდრეობა გამოიტანა დღის სინათლეზე და მხოლოდ ამით დაინტერესა ისინი. ისმის კითხვა: შეძლებს მუზეუმი მათი ინტერესის შენარჩუნებას მუდმივმოქმედი პროგრამების სერიების საშუალებით, თუ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდება მათი ინტერესების სფეროს გაფართოების მეშვეობით, რაც მათთვის სხვა შემოთავაზებული პროგრამების გაცნობით უნდა მოხდეს.

დროებით გამოფენებთან დაკავშირებული ნივთებით მოვაჭრე მალაზიების მონყობა მუდმივმოქმედი გალერეების გასასვლელებთან, ან მათ შორიახლოს, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა (იხ. თავი 17). მაგალითად, ვენის კუნსტფორუმის მალაზია მიმდინარე გამოფენის შესაბამისად აახლებს საქონელს და ყოველმხრივ ზრუნავს, რომ დამთვალეირებლებმა მხოლოდ მალაზიის გავლით დატოვონ გამოფენა. როგორც წესი, ახლა ყველა დიდ მუზეუმს აქვს დროებითი მალაზია, სადაც მიმდინარე გამოფენასთან დაკავშირებული საქონელი იყიდება. ხშირად ასეთი მალაზია შესაბამისი გამოფენის დარბაზის მიმდებარედ არის მონყობილი.

როგორც უკვე აღნიშნული იყო 8.4 თავში, დროებით გამოფენებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება და საგანგებო ღონისძიებების მონყობა ამ გამოფენების პრეზენტაციების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილებად იქცა. ბლოკბასტერების მასპინძელი მუზეუმები ზოგჯერ ამჩნევენ, რომ სპეციალური გამოფენების პერიოდში სასკოლო ჯგუფები, მუდმივმოქმედ გამოფენებზე სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ დასწრებასთან შედარებით, უფრო ხშირად ითხოვენ ასეთ სპეციალურ გამოფენებზე დასწრებას. განურჩევლად იმისა, მოხალისეები არიან თუ დაქირავებული თანამშრომლები, გიდეებმა სპეციალური მომზადება უნდა გაიარონ დროებითი გამოფენისათვის. ადვილი შესაძლებელია, დიდი და პოპულარული გამოფენებისათვის საჭირო გახდეს დამატებითი თანამშრომლების აყვანა და მომზადება. და კვლავ, მუზეუმების მთავარი ამოცანაა, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუნარჩუნონ ის ინტერესი მუზეუმისადმი, რომელიც მათ მხოლოდ დიდი და პოპულარული გამოფენების მიმართ გამოაქვლინეს.

აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიური პროგრამების მეშვეობით, შესაძლებელია დამატებითი შემოსავლების მიღება ან ხარჯების განაწილება ტელევიზიასთან ან სხვა მედია საშუალებებთან. მნიშვნელოვანი დროებითი გამოფენისათვის მზადება, როგორც წესი, მის გახსნამდე ორი-სამი წლით ადრე იწყება, ასე რომ, მარკეტინგისა და გამოფენის მონყობის სპეციალისტები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და დაცვის თანამშრომლები, თავიდანვე უნდა ჩაერთონ ამ პროცესში, რაც არა მხოლოდ სატელევიზიო განხილვებში მონაწილეობით უნდა შემოიფარგლოს, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გამოფენისადმი მიძღვნილ სპეციალურ სატელევიზიო გამოშვებებში, ან საკუთრივ მუზეუმში ან საკაბელო ტელევიზიით საჩვენებელ აუდიო-ვიზუალურ შოუებში უნდა აისახოს. აღსანიშნავია ერთი შემთხვევა: ამ წიგნის ავტორი საგამოფენო კომიტეტის იმ სხდომას ესწრებოდა, რომელზეც დაცვის ოფიცერმა მნიშვნელოვნად დაზოგა მუზეუმის ოპერატიული ხარჯები. ეს მან ძალზე იოლად მოახერხა, როდესაც მიუთითა, რომ გამოფენის შემოთავაზებული გეგმით მონყობა, გააორმაგებდა დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო მუშაკების რიცხვს. აქვე მან აჩვენა, თუ როგორ შეიძლებოდა დაცვის მუშაკების რაოდენობის განახევრება რამდენიმე თაროსა და პანელის გადაადგილების შედეგად, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, ბარიერების როლში გამოვიდოდნენ და ხელს შეუშლიდნენ დაცვის სამსახურს გალერეების პატრულირების დროს.

დროებითი გამოფენების მონყობის ხარჯების და მათი პოპულარობის მუდმივი ზრდის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ დროებითი გამოფენების მოსაწყობად აუცილებელი ხდება სპონსორების – კორპორაციების ან კერძო პირების, მოზიდვა, რაც გადამწყვეტ ფაქტორად იქცა ამ გამოფენების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით, თანაც იმდენად, რომ ეს უკანასკნელნი გავლენას ახდენენ ისეთ გადაწყვეტილებებზეც კი, როგორიცაა გამოფენის ხანგრძლივობა. ამდენად, სპონსორობის წესის განსაზღვრა მუზეუმის

საგამოფენო პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. მუზეუმის სანდოობა დიდადაა დამოკიდებული საზოგადოების მიერ მისი ობიექტურობის შეფასებაზე, რაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზარალებს, თუ მუზეუმი უფლებას მისცემს სპონსორს, ზემოქმედება მოახდინოს გამოფენის შინაარსზე და შემადგენლობაზე. მაგალითად, რომელიმე სამეცნიერო ცენტრი, რომელიც აწყობს გამოფენას საკვების მწარმოებელი ჯგუფების შესახებ, შესაძლოა ცდუნებამ შეიპყროს და თავი აარიდოს ისეთი მხარეების წარმოჩენას, რომელიც ეჭვს ბადებს სპონსორი კორპორაციის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასეულობასა და ხარისხზე, თუ მას არ აქვს ნათლად განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან გამოფენის შინაარსსა და სპონსორის ინტერესებს. ამასთან, არის რიგი სხვა საკითხებისა, მაგალითად, როცა სპონსორი თვითონაა კოლექციონერი და სარგებლობს იმ დაწესებულების მიერ მოპოვებული პრესტიჟით, სადაც მისი კოლექციაა გამოფენილი, სწორედ ისე, როგორც 1999 წელს ბრუკლინის მუზეუმში გამართულ ბრიტანეთის თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე "შეგრძნებაზე" ატეხილი დავის დროს მოხდა, სადაც სააჩის კერძო კოლექცია იყო წარმოდგენილი. სპონსორების უმრავლესობა, სულ ერთია ინდივიდები არიან ისინი, თუ კორპორაციები, აცნობიერებენ ისეთი სასპონსორო პოლიტიკის აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს მუზეუმის ერთიანობას და თანახმა არიან იმუშაონ მუზეუმში მიღებული პირობების შესაბამისად, თუ ეს პირობები პოზიტიურად მიენოდებათ მათ. და მაინც, სპონსორებით უზრუნველყოფის მნიშვნელობა და ის მზარდი ტენდენცია, როდესაც კორპორაციები სპონსორობას განიხილავენ, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ან მარკეტინგის ბიუჯეტების ფუნქციას, ნიშნავს, რომ გამოფენების სპონსორობის შესახებ წინადადებების მომზადებისას, მუზეუმებმა სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მარკეტინგის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სიმდიდრე, დემოგრაფიული ზემოქმედება, ეფექტები, ზემოქმედება.

სასწავლო მაგალითი 8.2 აღწერილია მოძრავი დროებითი გამოფენის მაგალითი, რომელიც ერთდროულად, ძალზე პოპულარულიც იყო და მასპინძელი მუზეუმის მუდმივმოქმედი გამოფენიდან ექსპონატების მთელი ჯგუფის დამატების საშუალებას იძლეოდა და შესაბამისად, მასპინძელი მუზეუმის ახალი მუდმივმოქმედი გამოფენისათვის ექსპონატების დამატების საშუალებასაც.

სასწავლო მაგალითი 8.2

აფრიკის სიონი

დროებითიდან მუდმივისაკენ ვოლტერსის ხელოვნების გალერეაში, ბალტიმორში გერი ვაიქანი

1993 წელს, ვოლტერსის ხელოვნების გალერეამ, როგორც ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პირველმა უმასპინძლა დროებით სარგებლობაში მიღებული ექსპონატების საფუძველზე მონყობილ ახლებურ და მონინავე საერთაშორისო გამოფენას, რომელიც ეთიოპიის XIII- XVIII საუკუნეების სასულიერო ხელოვნებას მიეძღვნა (იხ. სურ. 8.6). გამოფენამ "აფრიკის სიონი", რომელმაც პირველად წარადგინა ეთიოპიის ხელოვნება დასავლეთ ნახევარსფეროში, ორი წლის განმავლობაში, ბალტიმორის გარდა, ამერიკის კიდევ ექვს ქალაქში იმოგზაურა.

მოგზაურობის მანძილზე გამოფენამ დიდი მხარდამჭერა მოიპოვა, მას მრავალი მიმოხილვა მიეძღვნა, ყველგან დიდი ენთუზიაზმით იღებდნენ, ხოლო მისი კატალოგი, რომელიც

ახლა უკვე გაყიდულია, ყველაზე უფრო ავტორიტეტული ინგლისურენოვანი გამოცემაა შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების მომხიბლავი, მაგრამ ნაკლებად ცნობილი სფეროს შესახებ. გამოფენის იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე მეტ ფიქრს აღძრავდა, ერქვა "იესო, როგორც ხორციელი ადამიანი," სადაც წარმოდგენილი იყო იესოს გამოხატვის ისტორიული და თეოლოგიური ასპექტები სხვადასხვა კულტურაში.

ამ პროექტში ვალტერსის ხელოვნების გალერეის მონაწილეობით, ერთმანეთს შეერწყა კონკრეტული კოლექციების წარმოდგენის სიძლიერე, კურატორული ინტერესები და აუდიტორიის პროპროტეტები. კონკრეტულად ეს მოიცავდა:

- ჩვენი მუზეუმის შუა საუკუნეების ხელოვნების მნიშვნელოვან კოლექციას, რომელსაც თვალშისაცემად აკლდა ეთიოპური ხელოვნების ნიმუშები.

- ამ სტატიის ავტორის, როგორც ბიზანტიოლოგის, კურატორულ ინტერესებს, რომელიც ადრე მონყობილი გამოფენების საშუალებით (ბიზანტიური ვერცხლი – 1986 წ.; ბიზანტიური ხატები – 1988 წ., ყველანაირი მასალაში შესრულებული შუა საუკუნეების რუსული ხელოვნება – 1992 წ., სომხური ხელნაწერები – 1994 წ.) მართლმადიდებელი სამყაროს ხელოვნების შესწავლას გულისხმობდა, და ბოლოს,

- გალერეის დირექტორის რწმენასა და იმედს, რომ ასეთ გამოფენას ფართო გამოხმაურება ექნებოდა ბალტიმორის აფრო-ამერიკელების საკმაოდ მრავალრიცხოვან თემში, რომელიც მთლიანად გამართლდა. ყველა ჩვენგანი კმაყოფილი იყო და ამაყობდა, როდესაც ამ თემის მეთაურებმა, ამ პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი ბანკიდან შესაბამისი გრანტი გამოყვეს.

სრულიად მოულოდნელი შესაძლებლობა მოგვეცა 1995 წელს, როდესაც ეთიოპური ხელოვნების მეტად მნიშვნელოვანი კერძო კოლექცია გასაყიდად გამოიტანეს. პირველად ჩემს ცხოვრებაში, ძალიან გამიძარტლა და ყველა საუკეთესო ნიმუში შევიძინე, 1993 წლის გამოფენაზე წარმოდგენილი ერთი ძალიან იშვიათი, პერგამენტის ლიტურგიული სამწერობლის ჩათვლით.

როდესაც ამ ინიციატივის შესახებ შეიტყო, მეორე, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი, კოლექციის მფლობელი დამიკავშირდა და მუზეუმისათვის კიდევ ერთი, მეტად ძვირფასი ნივთი შემომთავაზა. წლის ბოლოსათვის ჩვენს მუზეუმს ნამდვილად შეეძლო ეტრაბაზა XIII-XVIII საუკუნეების ეთიოპური ხელოვნების პირველხარისხოვანი ნიმუშების საკუთარი კოლექციით, რომელთა რაოდენობამ ორ ათეულ ექსპონატს გადააჭარბა. ეს კოლექცია, რომლის შესაძენად იმ თანხის ერთი პატარა ნაწილი დაიხარჯა, რომელსაც რომელიმე კოლექციონერი შუა საუკუნეების იტალიური ან ბიზანტიური ხელოვნების ეკვივალენტური ნიმუშებისათვის გადაიხდიდა, სადღეისოდ საუკეთესოა თავის სფეროში აღის-აბებას კოლექციების შემდეგ. ფაქტიურად იგი "აფრიკის სიონის" მინიატურული ვერსიაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ვალტერსის გალერეის მუდმივ კოლექციას წარმოადგენს.

1996 წლის ზაფხულში, ჩვენი ახალი კოლექციის გამოფენის გახსნის დღეს, მუზეუმი სავსე იყო აფრო-ამერიკელებით და ოფიციალური პირებით მთელი მერილენდის შტატიდან. ამ დღიდან მოყოლებული, ეთიოპური კოლექცია მუდმივად იზრდება კერძო კოლექციონერების შემოწირულობების ხარჯზე, რომლებმაც შეიტყვეს ჩვენი დიდი ინტერესი აფრიკის ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი ნაწილის მიმართ. ამ კოლექციის უმნიშვნელოვანესი შენაძენია 1998 წელს ლონდონელი დილერისაგან შესყიდული XVI საუკუნის ეთიოპური ოთხთავის ხელნაწერი (უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ჩვენი ექსპონატის შეძენა მოხდა იუნესკოს

1970 წლის კულტურული საკუთრების შესახებ კონვენციის დებულებების შესაბამისად).

2001 წლის ოქტომბერში, სამწლიანი პაუზის შემდეგ, რაც გამოფენების განახლებას დასჭირდა, ვოლტერსის ხელოვნების გალერეა ხელახლა გახსნის ძველი და შუა საუკუნეების გალერეებს, რომლებიც სრულიად ახლებურადაა აღჭურვილი. შუა საუკუნეებისადმი მიძღვნილი სართულის ცენტრში ეთიოპურ კოლექციას მოვათავსებთ და ერთმანეთთან დაკავშირებთ შუა საუკუნეების მართლმადიდებლური სამყაროს ხელოვნების სხვადასხვა განშტოებებს.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალი გალერეა ჩვენი მუზეუმის საბჭოს აფრო-ამერიკელი წევრისა და მისი მეუღლის ძალისხმევით მოეწყო და გაიხსნა. ეს უკანასკნელი ჩვენს გალერეასთან არსებული აფრო-ამერიკული საკითხების კომიტეტის წევრია. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ძღვენია, რაც კი აქამდე გაუკეთებია აფრო-ამერიკელების კომიტეტს ბალტიმორის ნებისმიერი კულტურული დაწესებულებისათვის. უფრო მეტიც, ერთ-ერთმა წამყვანმა ევროპელმა ბიზნესმენმა ქალმა მნიშვნელოვანი შემოწირულობები გაიღო ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ამ კოლექციის კატალოგის დაბეჭდვის საქმეში, რომელიც გალერეის 2001 წლის სეზონის გახსნას მიეძღვნება.

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს ეთიოპური ხელოვნების ჩვენი კოლექცია და კატალოგი დროებითი გამოფენის მოსაწყობად სხვა მუზეუმს შეეთავაზოთ და სანაცვლოდ, ისეთი კოლექცია მივიღოთ, რომელიც სცდება ვოლტერსის გალერეის მუდმივი კოლექციების მიერ წარმოდგენილ რეგიონებს და ქრონოლოგიურ პერიოდებს.

8.3 მოქარაზი გამოფენები

ბარი ლორდი

როგორც წინა ნაწილში ითქვა, დროებით გამოფენებთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამ გამოფენების მოწყობა სხვადასხვა მუზეუმებში, რომლებიც ამისათვის მოსაკრებელს იხდიან და ამ გზით შემოსული თანხებით იფარება დროებითი გამოფენის მოწყობის ხარჯები. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გამჭირავებლებს სურთ გამოფენის გაქირავება, ან თუ ხანგრძლივი და შორი ტრანსპორტირება ექსპონატს არ დააზიანებს და არ გააფუჭებს. მეორეს მხრივ, შესაძლებელია "ვირტუალური გამოფენის" მოწყობა და მისი ელექტრონული საშუალებებით გავრცელება. ეს ალტერნატივა განსაკუთრებით სკოლების შემთხვევაშია მისაღები.

თითოეულ მუზეუმს წელიწადში მხოლოდ ერთი ან ორი მოძრავი გამოფენის მიღება შეუძლია, მაგრამ გამოფენების სამოგზაურო სააგენტოები, როგორიცაა მაგ. ამერიკის ხელოვნების ფედერაცია, ან სმითსონის დაწესებულების მოძრავი გამოფენების სამსახურის, SITES-ის, პროგრამა, მრავალ მოძრავ გამოფენას აწყობენ. შემდგომ, ამ გამოფენებს მუზეუმებს სთავაზობენ უკვე ყოველმხრივ გამზადებული პაკეტების სახით და რიგრიგობით გადაიტანენ იმ დაწესებულებებში, რომლებმაც შეუკვეთეს ეს გამოფენები და რომელთა ჩვენება ჩატანისთანავე შესაძლებელია. ამ პროგრამებით დაინტერესებული მუზეუმები ხშირად ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ დაჯაემონ ყველაზე პოპულარული პაკეტირებული გამოფენები.

მოძრავი გამოფენების ბიზნესში სხვა პროფესიონალებიც მონაწილეობენ. მათ შორის

აღსანიშნავია ხელოვნების ნიმუშების გადაზიდვებით დაკავებული კომპანიები, რომლებიც თავადვე აგვარებენ შეფუთვის, კონტინერებში და ყუთებში ჩალაგების, გადაზიდვების და განბაჟების საკითხებს, თუ ეს უკანასკნელი კონტრაქტით გათვალისწინებულია. მრავალ დიდ მუზეუმს თვითონ ჰყავს ამ საკითხებით დაკავებული პროფესიონალთა ჯგუფები. როგორც წესი, ჩრდილო ამერიკის მუზეუმებში ისინი რეგისტრატორს ექვემდებარებიან, რომელიც პასუხს აგებს ექსპონატების მიღებაზე და გაცემაზე.

ხელოვნების ნიმუშების და არტეფაქტების შეფუთვა მათი ტრანსპორტირების მიზნით, თავისთავად ძალზე სპეციფიკური ბიზნესია. მაგალითად, მხატვრული ტილოების გადატანა შესაძლებელია როგორც ვერტიკალურ და დამცავი გარსით შეფუთულ მდგომარეობაში, ისე ჰორიზონტალურად, ზურგზე დადებულ და საბაჟო პროცედურების გასაიოლებლად საგანგებოდ მათთვის დამზადებულ "აკენებში." თუ სურათები შემინულ ჩარჩოებშია მოთავსებული, მინა ისე უნდა შეიფუთოს, რომ ჩარჩოს არ ეხებოდეს, რადგან დაზიანების შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს, რომ სურათი არ დაზიანდება ნატეხებით. პენოპლასტის ბურთულები და ბუშტუკებიანი რბილი სახვევი მასალა ქანდაკებებისა და სხვა სამგანზომილებიანი ნივთების გადატანის დროს იხმარება; გადასატანი ყუთების ან კონტინერების შიდა ზედაპირებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საფენები/შალითები. არც ერთი შესაფუთი მასალა არ უნდა შეიცავდეს მჟავებს, რაც შესაბამისი ტესტებით უნდა დადასტურდეს. ცალკეული ექსპონატების, თუ მთელი გამოფენების, შეფუთვის და ტრანსპორტირების გამოცდილების მქონე პერსონალი-პრეპარატორები, შესაძლოა ფასდაუდებელი აღმოჩნდეს მუზეუმების მოძრავი გამოფენების პროგრამების უზრუნველყოფის და განხორციელების საქმეში. გამოცდილი რესტავრატორ-კონსერვატორის, ბ-ნი ნათან სტოლოვის შრომები, რომელთაგან ერთ-ერთი ამ ნიგნის ბიბლიოგრაფიაშია მითითებული, მეტად სასარგებლო გზამკვლევაა ხელოვნების ნიმუშების უსაფრთხო შეფუთვისა და მოგზაურობის უზრუნველსაყოფად.

როგორც წესი, კონტინერების ან ყუთების გახსნისთანავე კურატორები, კონსერვატორ-რესტავრატორები ან რეგისტრატორები ადგენენ ანგარიშებს ნივთების მდგომარეობის შესახებ. აუცილებელია, რომ ეს ანგარიშები კონტინერების გახსნისთანავე და ნივთების გადასატანად მომზადებისთანავე დაინეროს. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეისწავლონ ნივთის ყოველი დეტალი და ნებისმიერი სხვაობა. მაგ. "უმნიშვნელო გაუფერულება ტილოს ზედა ნახნაგიდან 7.54 მმ.-ით ქვემოთ და მარცხენა ნახნაგიდან 3.5 მმ-ზე." ნებისმიერი შესამჩნევი ცვლილებების შემთხვევაში, აუცილებელია მდგომარეობის შესახებ ანგარიშს თან დაერთოს შესაბამისი ფოტოსურათები. თუ გამოფენაზე განსაკუთრებით დიდ თანხად დაზღვეული ექსპონატებია წარმოდგენილი, მათი ფოტოსურათები შესაძლოა მოითხოვონ თითოეული ასეთი შეფუთული ნივთის ყოველი გახსნისას და დანიშნულების შემდეგ ადგილამდე ტრანსპორტირების წინ.

თუ კონტინერების ან ყუთების გახსნის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ნივთი დაზიანებულია, კურატორი, კონსერვატორ-რესტავრატორი ან რეგისტრატორი ვალდებულია დაუყონებლივ შეადგინოს ანგარიში ნივთის მდგომარეობის შესახებ, სადაც ნებისმიერი დაზიანება ფოტოსურათებით უნდა იქნეს დასაბუთებული და შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნოს როგორც ნივთის მფლობელ-გამქირავებელს, ისე მის დამზღვევეს. მწერების ან სხვა მავნებლების შემჩნევისას, კონკრეტული ყუთი ან კონტინერი და მასში მოთავსებული ნივთი, დაუყოვნებლივ უნდა განაცალკეონ დანარჩენი კონტინერებისაგან და იზოლირებულ ოთახში გადაიტანონ,

რომელიც შესაფუთი სახელოსნოს გვერდით უნდა იყოს. იზოლირებულ ოთახში მწერებისა და მავნებლების წინააღმდეგ დასაშვებია არამომწამველი საშუალებების გამოყენება, როგორცაა, მაგ. აზოტის ქეეჟანგი. დეზინფექციის ადრე გავრცელებულ მეთოდებს სადღეისოდ პრაქტიკულად აღარ იყენებენ.

მოძრავი გამოფენების მიღებისა და სხვა მუზეუმებში და გალერეებში გადაგზავნის მომენტები, მუზეუმის დაცვის სისტემის ყველაზე სუსტი წერტილებია და ამდენად, აუცილებელია მათი დეტალური დაგეგმვა თანამშრომლებისა და საკუთრივ ექსპონატების უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. როგორც უკვე ნათქვამი იყო 5.3 ნაწილში, აუცილებელია ოთხი, ერთმანეთისაგან იზოლირებული, მაგრამ ერთმანეთის გვერდით მდებარე ოთახი. კერძოდ, ჩასატვირთი პლატფორმა, სატრანსპორტო საშუალების მისაღები ადგილი, შესაფუთი /გასახსნელი ადგილი და სატრანზიტო საწყობი ან საწყობი მოძრავი გამოფენისათვის. გარდა ამისა, აუცილებელია უშიშროების უზრუნველყოფის სადგური, იზოლაციის ოთახი, დოკუმენტაციის ოფისი და ყუთების/კონტეინერების საწყობი, რომლებიც ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ მათ უშუალოდ უერთდებოდეს ოთხივე ზემოთჩამოთვლილი თანამიმდევრულად განლაგებული სივრცე. საცავებიდან ნივთების საგამოფენო დარბაზებში გადასატანად, ხშირად დიდი სატვირთო ლიფტებია საჭირო. ექსპონატების ჩასატვირთი პლატფორმა არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული სხვა ტვირთის მისაღებად და რა თქმა უნდა, არც საჭმლის მისაღებად ან ნარჩენების გასატანად.

ექსპონატების შეფუთვისა და გახსნის პრაქტიკული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამის უშუალოდ საგამოფენო დარბაზში გაკეთება არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან ამან შეიძლება გაზარდოს გამოფენის საბოლოო განთავსებასთან და განლაგებასთან დაკავშირებული რისკები. შეფუთული ექსპონატის საგამოფენო დარბაზში გახსნის დროს, შესაძლოა საჭირო გახდეს დაცვის დამატებითი ძალები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გახსნილი ნივთი მთელი ღამით რჩება დარბაზში. კიდევ ერთი უხერხული გარემოება ისაა, რომ საგამოფენო დარბაზში ექსპონატის შეფუთვის ან გახსნის დროს საჭირო ხდება ამ დარბაზების დაკეტვა, ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივი დროითაც.

ხის ყუთების და კონტეინერების გახსნა და შეფუთვა დასაშვებია მხოლოდ საამისოდ გამოყოფილ სპეციალურ ადგილებში და ამ საქმეს მხოლოდ მუზეუმის კვალიფიციური პრეპარატორები უნდა ასრულებდნენ კვალიფიციური და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კადრების – კურატორის, კონსერვატორ-რესტავრატორის ან რეგისტრატორის ზედამხედველობის ქვეშ, რომლებმაც უნდა მოამზადონ ანგარიში ექსპონატების მდგომარეობის შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში გადაიღონ სურათები. ციფრული კამერების გამოყენებამ და გამჭირავებელი დანესებულებებისთვის ნივთების ფოტოების პირდაპირი გაგზავნის შესაძლებლობამ საგრძნობლად გააუმჯობესა ანგარიშის შედგენა და აღრიცხვიანობისა და დოკუმენტირების პროცესი.

სხვა მუზეუმებიდან გამოგზავნილი ნაქირავები ნივთების და არტეფაქტების თანმხლები კურიერები, როგორც წესი, დაჟინებით ითხოვენ, რომ პირადად დაეხსრონ და თვალყური ადევნონ ნივთების გახსნას და ექსპოზიციისაში მათი განთავსების პროცესს. ირონია იმაშია, რომ კურიერები ხშირად ითხოვენ მათ მიერ ჩამოტანილი ნივთების გახსნა-შეფუთვის უშუალოდ საგამოფენო დარბაზში. ამ მოთხოვნას ისინი დარბაზში მისთვის განკუთვნილ ადგილამდე ექსპონატის შეფუთვადაც გადაადგილების მინიმუმამდე შემცირების სურვილით ასაბუთებენ. სწორედ ამის გამო მრავალ მუზეუმში წესად შემოიღეს ექსპონატების გახსნა

და შეფუთვა უშუალოდ საგამოფენო დარბაზში, მაშინაც კი, როდესაც მუზეუმში არის სპეციალური ადგილი ექსპონატების შესაფუთად ან გასახსნელად.

მარიონ მეკლენბურგის რედაქტორობით, ვაშინგტონის ხელოვნების ეროვნულმა გალერეამ გამოსცა წიგნი "ხელოვნება მოგზაურობის დროს", სადაც ყოველმხრივია შესწავლილი ის პროცესები, რაც თან სდევს მოძრავი გამოფენის პროგრამის განხორციელებას, რომელთა შორის აღსანიშნავია: შეფუთვა, კონტინერებში/ყუთებში ჩაწყობა, დაზღვევა, ვიბრაციები, დარტყმები, ტემპერატურისა და ტენიანობის ცვალებადობა.

მოძრავი გამოფენები უკვე ტრადიციული საშუალებაა იმისათვის, რომ ფართო საზოგადოებამ მუზეუმის გარეთ ნახოს ის კოლექციები, რომლებიც სხვაგვარად საცავეებს ვერ გასცდებოდა. სულ რამდენიმე წელიწადში ფართოდ გავრცელდა ასეთი გამოფენების მონაცემების პრაქტიკა, რასაც დიდად შეუწყობ ხელი სათანადო განყოფილებების დაარსებამ მუზეუმებში, სადაც როტაციის წესით, რეგულარულად იმართება მუზეუმების საცავეებში დაცული ნივთების გამოფენები. ამდენად, კოლექციების შენახვის და მოვლის ხარჯების ტვირთი, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ აქტივად გადაიქცა. ნიუ იორკის გუგენჰაიმის მუზეუმმა მსოფლიოში თავისი ფილიალების დაარსების გზით, ეს ყველაზე ეფექტურად მოახერხა. ამ ფილიალებიდან ყველაზე უფრო პომპეზურად ბილბაოს ფილიალის გახსნა აღინიშნა. შედარებით პატარა ბერლინისა და ვენეციის ფილიალები და სოპოში (ლონდონი) გახსნილი ქვემო მანჰეტენის გალერეა. გუგენჰაიმის მუზეუმი მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ დიდ და სახელგანთქმულ საგამოფენო დანესებულებასთან, როგორცაა მასაჩუსეტსის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნორს ადამსში. აქტიური სამენარმეო პოლიტიკის დანერგვის შედეგად, გუგენჰაიმის მუზეუმი, თავისი აურაცხელი კოლექციებით, რომელთა მოვლა და შენახვა ძალზე დიდ თანხებს მოითხოვდა (და ამდენად ნამგებია იყო ეკონომიკური თვალსაზრისით), ისეთ დანესებულებად იქცა, რომლის ხილვა, სხვადასხვა ადგილზე, გაცილებით უფრო მეტ ადამიანს შეუძლია. მეორე უპირატესობა ისაა, რომ ყოველ ფილიალში შესაძლებელია ისეთი დიდი ზომის ცალკეული ნამუშევრების განთავსება, როგორცაა მაგ. რიჩარდ სერრას 40 ფუტის (13 მ.) სიმაღლის ფოლადის ძალიან მძიმე ქანდაკება.

ბოსტონის ნატიფი ხელოვნების მუზეუმმაც, მილნეული შეთანხმების საფუძველზე, გადანაცვლითა თავისი კოლექციები მუდმივი როტაციის პირობით გამოეფინა მის პარტნიორ ნაგოიას მუზეუმში (რომელიც არ არის მისი ფილიალი). გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთში, ლონდონის თეითის გალერეამ რამდენიმე წლის წინ ფილიალები გახსნა ლივერპულსა და ნმ. აივსში, 2000 წლის მაისში – თემზის სამხრეთ ნაპირზე, ბენკსაიდში გახსნა თეით მოდერნი, ხოლო ჩრდილოეთ ნაპირზე, მილბენკის შენობაში – თეით ბრიტანეთი. ამგვარი ხასიათის საქმიანობამ, შესაძლოა, მომავალში იმოქმედოს მოძრავი გამოფენების ხასიათზე და მოსალოდნელია, რომ გამოფენების სხვა მუზეუმებში განთავსების ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს, ხოლო მუდმივმოქმედი გამოფენების როტაციული წესით სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობა ჩვეულებრივ ამბად იქცეს, რაც უფრო მეტად გაზრდის კოლექციების თავისთავად ღირებულებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში, ვინ იცის, რამდენ ხანს დარჩებოდნენ საცავეებში.

სასწავლო მაგალითი 8.3, კარგად აჩვენებს კიდევ ერთ კავშირს მუდმივ კოლექციებსა და მოძრავ გამოფენებს შორის. მაშინ, როცა მუზეუმები აახლებენ და ცვლიან თავის გამოფენებს, მათი კოლექციები სხვადასხვა ადგილას მოგზაურობს. 9.2 თავში განხილულია მოძრავი გამოფენის მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური ასპექტები.

სასწავლო მაგალითი 8.3

სამოგზაუროდ წასული განძი

სმითსონის ამერიკის ხელოვნების მუზეუმი, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი
ელიზაბეთ ბრაუნ

ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, მდებარე სმითსონის ამერიკის ხელოვნების მუზეუმმა 2000 წელს განახლების სამწლიანი პროგრამა დაიწყო. ასე დიდი ხნით მუზეუმის დახურვის გამო, საჭირო გახდა ქმედითი გეგმის შემუშავება, რათა ამერიკის ხელოვნების მსოფლიოში უდიდესი მუზეუმი ხელმისაწვდომი დარჩენილიყო. ამ მიზნის მისაღწევად მუზეუმს აუცილებლად უნდა დაემყარებინა ახალი პარტნიორული ურთიერთობები და შეემუშავებინა საზოგადოების მოზიდვაზე ორიენტირებული პროგრამები. ძიების ამ პროცესმა წარმოაჩინა მუზეუმში ექსპერიმენტებისა და ინოვაციების დანარგვის შესაძლებლობები, განსაკუთრებით დროებითი და მოძრავი გამოფენების სფეროში. სწორედ ამ დროს ჩაისახა განძის მოგზაურობის იდეა. წინამდებარე მაგალითში განხილულია კურატორობის, რეგისტრაცია-დოკუმენტაციის, შეფუთვის, მარკეტინგის და პარტნიორული ურთიერთობების ის შესაძლებლობები და პრობლემები, რომლებიც ამ რთული, მაგრამ საინტერესო პროექტის წინ გადაიშალა.

კურატორობა:

დირექტორისა და ცხრა კურატორისაგან შემდგარმა ჯგუფმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი მრავალჯერადი გამოფენის კომპლექსური ტურის შემუშავებას. დისკუსიების შემდეგ კურატორთა ჯგუფმა განსაზღვრა და შეისწავლა რამდენიმე ძირითადი საკითხი. კერძოდ:

- რამდენი ჩვენების მონყობა და ცირკულაცია შეუძლია მუზეუმს ისე, რომ ეფექტური გამოფენები შეინარჩუნოს

- რა თემები და საკითხები წარმოაჩენს საუკეთესოდ კოლექციის ფართე და ღრმა ხასიათს და ამასთან ერთად, გამოიწვევს საზოგადოებრივ ინტერესს?

- როგორ განსაზღვრავს მუზეუმი თითოეული გამოფენის არსსა და მასშტაბს?

ამ საკითხების ირგვლივ გამართული დისკუსიების დროს გაითვალისწინეს მრავალი სხვადასხვა შემადგენელი რგოლის მოსაზრება, კერძოდ: გამოფენების დამპროექტებლების, კონსერვატორ-რესტავრატორების, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტების, დიზაინერების, რეგისტრატორების, გამომცემლებისა და "ახალი მედიის" სპეციალისტების.

ამ შეკითხვებს ყველა თავისი კუთხიდან პასუხობდა, შედეგად განისაზღვრა მთელი პარამეტრების ის ნაკრები, რაც საჭირო იყო მოძრავი გამოფენა-ტურნეს მოსაწყობად, რომელიც, დარწმუნებულები ვართ, აქამდე მიწყობილ გამოფენებს შორის ყველაზე დიდი და მასშტაბური იქნებოდა. საერთო ჯამში რვა გამოფენა მოეწყო, სადაც თითოეულში 60 მხატვრული ტილო და ქანდაკება იყო წარმოდგენილი, რომლებმაც მთელი სიგრძე-სიგანით აჩვენეს მუზეუმში დაცული ამერიკის ხელოვნების საუკეთესო კოლექცია XVIII ს-დან დღემდე. ქალაქში შესრულებულ ნამუშევრებს და ფოტოსურათებს ვერ წარმოვადგენდით მეტად გრძელი მარშრუტის გამო. გამოფენებს ასეთი დასახელება ჰქონდა:

- ახალგაზრდა ამერიკა
- დასავლეთის ხიბლი

- ოქროს ხანა
- ამერიკული იმპრესიონიზმი
- მოდერნიზმი და აბსტრაქციონიზმი
- სცენები ამერიკული ცხოვრებიდან
- თანამედროვე ხალხური ხელოვნება
- არტე ლათინო

კურატორთა გუნდმა საზოგადოება განიხილა როგორც ბაზარი, რომელსაც ძალზე მიმზიდველად აწედიდნენ თითოეული ნივთის შინაარსსა და რაობას. მათ ყოველი გამოფენილი ნივთისთვის მოკლე ანოტაციების მომზადებაც გაითვალისწინეს და ამასთან, ძალიან ლამაზი, ილუსტრირებული სასაჩუქრო ნივთიც გამოსცეს, სადაც ფოტოებს ახსნა-განმარტებითი ტექსტიც დაურთეს. ნივთი უკლებლივ ყველა გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. მეტიც, კურატორებმა სპეციალური ვებ-გვერდიც შექმნეს, სადაც თავი მოუყარეს ყველაფერს, ტურებისათვის შეგროვილ მთელ მასალას. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, მუზეუმმა სრულიად ახლებურად გაიაზრა თავისი მუდმივი კოლექციების დანიშნულება და ეს ახლებური მიდგომა მუზეუმის ხელახლა გახსნის დროს დიდად იმოქმედებს მათი მფლობელი მუზეუმის მიერ მონყობილ გამოფენებზე და ინტერპრეტაციაზე.

ჩევისტრაცია და კოლექციების მართვა

ჩვენი ისტორიული შენობის განახლების და ამის გამო მუზეუმის დროებით დახურვის შესახებ, შეერთებულ შტატებში 250-ზე მეტ მუზეუმს დავეუზავნეთ სამარკეტინგო მასალები, სადაც ვიუნყებოდით, რომ ხსენებულ გარემოებათა გამო, მათ შეეძლოთ ემასპინძლათ ჩვენი მუდმივი კოლექციების ბაზაზე მონყობილი რვა მოძრავი გამოფენიდან ერთი, ან ორი გამოფენისათვის. შეტყობინებას თან დავეურთეთ განრიგები, რომლებიც თითოეულ მასპინძელ დაწესებულებას საშუალებას მისცემდა, ორი თვით, ერთთვიანი შუალედით (მასალების გასახსნელად, შესაფუთად, ექსპოზიციის მოსაწყობად, დასაშლელად და მასალის გადასაგზავნად), მიეღო თითო გამოფენა. პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ დავგეგმეთ გამოფენები ამ პროექტში მონაწილე მუზეუმებისთვის, ვცდილობდით მაქსიმალურად დიდი გეორაფიული არეალი მოგვეცვა და ვცდილობდით, ჩვენი სპონსორი კორპორაციისათვის საინტერესო ბაზრებიც არ გამოგვჩვენოდა.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველ ყველა მუზეუმს ვთხოვეთ გამოეგზავნათ ამერიკის მუზეუმების ასოციაციის სტანდარტის შესაბამისად შედგენილი ანგარიშები შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შესახებ. გამოფენების მასპინძელ დაწესებულებებს აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილებინა შენობებში კლიმატის კონტროლისა და დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნები და უნდა ჰყოლოდათ საჭირო ცოდნისა და გამოცდილების მქონე შესაბამისი პროფესიონალი კადრები. საგამოფენო კოლექციებში შედიოდა როგორც მცირე ზომის სურათები, ისე ფოლადის მძიმე ქანდაკებები, რომლებიც ნაწილ-ნაწილ შექმონდათ დარბაზებში და ჩანგლებიანი ამწეების დახმარებით აწყობდნენ, თანაც მათ გასამყარებლად თითოეული მხრიდან 3000 ფუნტის ტვირთამწეობის ხრახნს იყენებდნენ. სხვა საინტერესო ექსპონატებიდან აღსანიშნავია ნესტისადმი მგრძნობიარე ნიმუშები, რომლებიც მოგზაურობის დროს შესაფერისი მიკროკლიმატის მქონე პერმეტულად დახურულ ჩარჩოებში იყო მოთავსებული. ჩვენ ყოველმხრივ ვეცადეთ, მარტივად და ნათლად გადმოგვეცა ნივთების შეფუთვისა და გახსნის და მათი ექსპოზიციაში განთავსების პროცედურები. ამავე დროს,

მასპინძელ მუზეუმებს რამდენიმე თვით ადრე გაუფხავნეთ დიაგრამებისა და მითითებების მთელი ნაკრები, სადაც ნაჩვენებია იყო თითოეული ნივთის ადგილი და მასთან მოპყრობის თავისებურებანი. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოფენას თან ახლდა ჩვენი წარმომადგენელი – კონსერვატორ-რესტავრატორი ან რეგისტრატორი, რომელიც მასპინძელ მუზეუმს ეხმარებოდა განსაკუთრებით სათუთი ან რთული შემადგენლობის მქონე ძველი ნივთების განთავსებაში.

ვეფუთვა დაყუთვები ჩანყოფა

ყველა ნივთი პირველ საგამოფენო ტურნემდე დიდი ხნით ადრე გაიზომა, რათა ხის ყუთი- კონტინერების დამამზადებელ კომპანიებს საკმარისი დრო ჰქონოდათ ჩვენი შეკვეთის შესასრულებლად. ამ რთული დავალების შესამსუბუქებლად, გადავწყვიტეთ წინა საგამოფენო ტურნეების დროს დამზადებული რამდენიმე ძველი კონტინერის შიდა ზედაპირები გაგვეახლებინა და გამოგვეყენებინა. საკონსერვაციო და ადმინისტრაციულ ჯგუფებს მხოლოდ ერთ გამოფენაზე რომ ემუშავათ, გრაფიკი ისე შეიმუშავეს, რომ რვავე საგამოფენო ტურნე სხვადასხვა დღეს იწყებოდა. ვინაიდან ამ დროს ჩვენი მუზეუმი დაკეტილი იყო, საშუალება გვქონდა, დიდ საგამოფენო დარბაზებში სემინარები მოგვეწყო შეფუთვისა და მდგომარეობის ანგარიშების შედგენის შესახებ და აქვე დაგველაგებინა დანიშნულების ადგილზე გასაგზავნი ნივთები.

მარკეტინგი

მუზეუმის ადმინისტრაციამ რვავე მოძრავ გამოფენას თავისი ბრენდი მოუგონა, რომელიც დაკავშირებული იყო როგორც თითოეულ კონკრეტულ გამოფენასთან, ისე მუზეუმის სახელთან და ასე გაისტუმრა ეროვნულ ტურნეში. ეს ბრენდია "მოგზაური განძეულობა"

ხელოვნების ნიმუშების ამ ვრცელი კოლექციის ტურნეს რამდენიმე მიზანი ჰქონდა:

- სმითსონის ამერიკის ხელოვნების მუზეუმის მნიშვნელობის წარმოჩენა-ამაღლება ეროვნული მასშტაბით, მუზეუმის მთავარი საგამოფენო დარბაზების დახურვის მიუხედავად;

- "ბრენდ ინდუსტრიის" მშენებლობის დაწყება ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკული ხელოვნების ყველაზე დიდი კოლექციის მქონე მუზეუმისთვის;

- ურთიერთობა და თანამშრომლობა ამერიკის სხვა მუზეუმებთან, სამომავლო ტურნეების მოსაწყობად და მათში მონაწილეობისთვის.

მუზეუმი დარწმუნებული იყო, რომ "მოგზაური განძეულობის" ტურნეს შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად და მისი მნიშვნელობის გასააზრებლად აუცილებელი იქნებოდა გამოფენის ჯეროვანი გაშუქება ეროვნული პრესით. მარკეტინგის პროგრამებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიების ჩარჩოებში მოხდა შესაფერისი მოცულობის რეკლამების, საინფორმაციო სარეკლამო ჩართვების, სპეციალური გამოშვებების და მოკლე ანონსების განთავსება ეროვნულ ბეჭდვით საშუალებებში (ჟურნალები: თაიმი, იუ ეს ეი თუ-დეი) და ეროვნულ და სინდიკატურ სატელევიზიო არხებზე. ამ კომპანიის სტრატეგიის ჩარჩოებში შემუშავდა რეკლამის საინტერნეტო ვერსიები, სადაც შემოთავაზებული იყო ტურნეს სამახსოვრო ნივთების (აფიშების, ღია ბარათების, სასაჩუქრო გამოცემების) შესყიდვა. აქვე იყო საგანმანათლებლო ვიდეომასალა და სპეციალური პაკეტები მასწავლებლებისთვის და სპონსორ კორპორაციასთან ერთობლივად შექმნილი ვრცელი სარეკლამო საშუალებები,

რომელიც შერჩეული აუდიტორიისათვის იყო გამიზნული. ტურნეს დასახელების, ქვე-სათურის და სპონსორის კრედიტის ჯეროვანი პრეზენტაციის უზრუნველსაყოფად, მუზეუმმა შეიმუშავა გრაფიკული გამოსახულებების სტანდარტების სახელმძღვანელო. გარდა ამისა, მუზეუმმა სპეციალური ემბლემებიც შექმნა "მოგზაური განძეულობის" ჩარჩოებში მოწყობილი რვავე მოძრავი გამოფენისათვის, რომელთა ნახვაც შეიძლებოდა როგორც სპეციალურ მედია-საშუალებებში, აფიშებზე, ისე სასაჩუქრო წიგნების გარეკანებზე, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მასპინძელ დაწესებულებებში (იხ. სურ. 8.7).

პარტნიორი კორპორაცია

მუზეუმმა ახლებური მიდგომა გამოავლინა პარტნიორ კორპორაციასთან ურთიერთობაში და ერთ-ერთი მარკეტინგული ფორმის საშუალებით, ეროვნული მასშტაბით საჩვენებელი თანამშრომლობა დაამყარა მასთან. ამ პარტნიორობის უკეთ წარმოსაჩენად ფრინსიფლ ფაინენშლ გრუფის (Principal Financial Group[®]) მიერ მონოდებული სახსრებით მოწყობილ გამოფენებზე, სპონსორის ნიშანი ფიგურირებდა, რაც ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო. ხელშემწყობი საშუალებების პაკეტი ადგილობრივი მასპინძელი მუზეუმებისათვისაც ხელსაყრელი გამოდგა. ფრინსიფლ ფაინენშლ გრუფი პროგრამის ერთგული იყო, ვინაიდან ეს პროგრამა მთლიანად შეესაბამებოდა კომპანიის მარკეტინგის მიზნებს. ამასთან, "ფრინსიფლის" მიზნობრივი აუდიტორია მუზეუმის მიზნობრივ აუდიტორიას დაემთხვა და ამ ურთიერთდამთხვევამ გაზარდა როგორც კომპანიის პროდუქციის მომხმარებელთა, ისე ჩვენი და ადგილობრივი მასპინძელი მუზეუმების პოტენციური დამთვალიერებლების რიცხვი.

კორპორაციაებთან თანამშრომლობის უპირატესობები

მუზეუმმა შეძლო საკუთარი მიზნების მიღწევა და ეროვნული მასშტაბით თავისი პოპულარობა ისე გაზარდა, რომ არაფერი დაუხარჯავს. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მისი თანამშრომლების მიერ დახარჯული დრო და ენერჯია. 2002 წლის ბოლოსათვის მუზეუმში:

- განათავსებს რვა ფერად საინფორმაციო რეკლამას ჟურნალ Time-ის მთელ გვერდზე;
- თორმეტ ფერად საინფორმაციო რეკლამას ჟურნალ USA Today-ის მთელ გვერდზე;
- 500 მილიონ მედია შთაბეჭდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის ჩარჩოებში;
- განახორციელებს 5 მილიონი დოლარის ღირებულების ერთობლივ პროექტებს მის ახალ სპონსორ კორპორაციასთან;
- "ბრენდ ინდუსტრიის" მშენებლობის სამწლიანი გამოცდილება თავისი განახლებული ექსპოზიციის გახსნისათვის.

რეზიუმე

ამერიკის შეერთებული შტატების 70 სხვადასხვა დაწესებულებაში ერთდროულად მიმდინარე რვა გამოფენის კოორდინაციის ურთულესი ამოცანა, მუზეუმის სხვადასხვა სამსახურის მანამდე უპრეცედენტო და მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვდა. ეს ძალისხმევა ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა – ჩვენი მუზეუმის საგანძურის ამერიკელი ხალხისათვის ხელმისაწვდომობა. ამ საქმიანობამ ნათლად წარმოაჩინა სარეგისტრაციო სამსახურის უნარი, თავი გაერთმია მრავალგვარი დაკვეთისთვის, წარმოაჩინა დირექტო-

რისა და კურატორების შემოქმედებითი ნიჭი, საგამომცემლო და სასწავლო პროგრამების დეპარტამენტების პროფესიონალიზმი და განვითარების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების შორსმჭვრეტელობა. დირექტორის სწორმა მიდგომამ ეროვნულ ტურნესთან განამტკიცა დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობის სულისკვეთება და თვითდენტიფიკაცია შესძინა მუზეუმს მაშინ, როდესაც იგი დახურული იყო. ამ შემართებამ და ძალისხმევამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა მუზეუმის მიერ ახალი გეგმების შემუშავების დროს.

8.4. საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი პროგრამები გამოფენებისათვის

ქეთლინ ბრაუნი

იმის მიუხედავად, თუ რას ამზადებს მუზეუმი, თავისი მუდმივი კოლექციების გამოფენას, დროებით ექსპოზიციას თუ ორივეს ერთად, დამთვალეიერებელი გაცილებით უკეთ აღიქვამს მათ, თუ გამოფენებთან ერთად წარმოდგენილი იქნება საგანმანათლებლო თუ სხვა სახის საზოგადოებრივი პროგრამა და ღონისძიება, რაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს და უფრო ნათლად გადმოგვცემს გამოფენის მთავარ სათქმელს, მის დედააზრს. თუ გამოფენა გამიზნულია როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება, მაშინ გამოფენის ძირითადი თემატიკის შესაფერისი საკომუნიკაციო პროგრამების შექმნით, რომელთა შემუშავებისას შესაძლოა გამოყენებული იქნეს ალტერნატიული მედია საშუალებები და ტექნოლოგიები, შესაძლოა გაიზარდოს სწავლების მეთოდების რიცხვი, გაფართოვდეს ინტერესთა სფეროები და ინტელექტუალური უნარი. მაგალითად, თუ გამოფენის თემატიკა რთული ან პრობლემურია მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, შესაძლოა მიზნობრივი ტურების ან პროგრამების საშუალებით მისი გაიოლება ანუ უფრო "ადვილად მოსაწვდომად" წაწილებად დაყოფა ან დანაწილება. ასევე, რომელიმე სამეცნიერო ცენტრის მუდმივმოქმედ გალერეაში, შესაფერისი სივრცის პირობებში, შესაძლოა აქტიური სამეცნიერო ექსპერიმენტების გამოყენებაც.

ასეთი საზოგადოებრივი პროგრამების ფორმათა მრავალფეროვნება მხოლოდ მუზეუმის თანამშრომელთა გამომგონებლობაზე და შემოქმედებით უნარზე დამოკიდებული. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი პროგრამების დაგეგმვა გამოფენის დაგეგმვის ყველაზე ადრეულ, კონცეპტუალურ საფეხურზევე მოხდეს. ნათლად განსაზღვრული თემების, ქვე-თემებისა და დედააზრის დადგენა და საგანმანათლებლო ან სხვა საზოგადოებრივ პროგრამებზე მომუშავე ჯგუფისათვის მათი მიწოდება საგამოფენო სამუშაოების პარალელურად, ამ პროგრამებისთვის შესაფერისი ასპექტების თავდაპირველ გეგმაში ჩართვა და ასახვა, დაგეგმვარება განვსაზღვრავს პოტენციური საკომუნიკაციო შესაძლებლობების უმრავლესობა. ამ პროცესში, შესაძლოა, ახალი იდეებიც გარჩედეს, რომლებიც შესაძლოა გამოფენის ძალზე მნიშვნელოვან და საჭირო ელემენტებად იქცეს. იმის გაცნობიერება, რომ გამოფენა, მუზეუმის პროგრამების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრიდან, გამოხატვის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა, გვეხმარება იმ ახალი იდეების აღმოჩენაში, რაც შესაძლოა რომელიმე კონკრეტული საკითხის ან თემის

გადმოცემის ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება აღმოჩნდეს რომელიმე კონკრეტულ ვითარებაში. ასეთ დროს, მუზეუმი არჩევანის წინაშე დგება და მან უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელია ყველაზე ეფექტური და იაფი ტექნოლოგია და მიდგომა კონკრეტული საკომუნიკაციო მიზნის მისაღწევად.

ნებისმიერი საზოგადოებრივი პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გამოფენაზე მოსული დამთვალიერებლის, აუდიტორიის თუ სტუმრის სრული გაგება. ეს ასპექტი განხილული იყო მე-4 თავში, მაგრამ საკითხის მნიშვნელობა იმსახურებს, რომ კიდევ ერთხელ შევხვთ მას. საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვისთვისაა მოწყობილი ეს გამოფენა და ვის ემსახურება იგი, მაგრამ ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი "შედეგების" წინასწარ განსაზღვრასა და გათვალისწინებას, მაგ. რა ინტერესების, ან როგორი მიდგომების ნახალისება და სტიმულირება გვსურს, ან რა გვსურს შევაცხოვინოთ დამთვალიერებელს, რა გვინდა, რომ მან ისწავლოს და გააცნობიეროს გამოფენის დათვალიერების შემდეგ – ესაა საკითხები, რაც დაეხმარება გამოფენის დაგეგმვის საკითხებზე მომუშავეებს, რათა შესაფერისი საგანმანათლებლო ან სხვა საზოგადოებრივი პროგრამებისათვის სწორად შეარჩიონ ტექნოლოგიები.

გამოფენათა უმრავლესობა რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება, რომლებსაც საკუთარი სათქმელი აქვთ დამთვალიერებლისთვის. დამთვალიერებლის ამოცნობა, მისი გაგება დაეხმარება მუზეუმს, რომ გამოფენის კომპონენტები დამთვალიერებელთა კონკრეტული ჯგუფებისათვის უფრო გასაგებად და შესაფერისად მოაწყოს. ასეთი მიდგომის ბრწყინვალე მაგალითია ქ. სან-დიეგოს (კალიფორნია) ზოოპარკი. იგი რამდენიმე ასეულ აკრზეა გაშენებული და იქ ცხოველთა სახეობების განსაცვიფრებელი მრავალფეროვნებაა წარმოდგენილი. იგი უმთავრესად ოჯახურ დათვალიერებებზეა გათვლილი. ამ დიდი დანესებულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ზოოპარკი ბავშვებისათვის. აქ არა მხოლოდ უფრო პატარა, კარგად ცნობილი ცხოველებია თავმოყრილი ნაცნობ გარემოში, არამედ პატარა ბავშვებისათვის შემუშავებული, მრავალი წინასწარ დაგეგმილი და იმპროვიზირებული დამხმარე პროგრამა მოქმედებს. მათ შორისაა გამოცდილების იოლად გადაცემის პროგრამა (როგორიცაა შინაური პირუტყვის ბაკები, სადაც ნებადართულია ცხოველების მოფერება) და დემონსტრირებები (სადაც დამსწრე აუდიტორია, რომელიც ზის, უშუალოდ მონაწილეობს შოუში), ასევე ფასიანი გართობები და თამაშობები (სახის მოხატვა-გაფერადება, გასაბერი ცხოველები) და სრულიად ჩვეულებრივი რამ, როგორიცაა ფოტოსურათების გადაღება. სტუმრის შთაბეჭდილებები და სურვილები რომ სრულიად ნათლადაა ამოცნობილი, ამას მონშობს ისიც, რომ ყველა სანახაობა თუ თამაშობა შესაფერისია, მათი მასშტაბები და მოცულობები ბავშვებზე და მათ მშობლებზეა მორგებული, ამკარადაა გათვალისწინებული ის, რომ ვიზიტი ხანმოკლეა, რადგან პატარა ფეხები მალე იღლება და შორი-ახლოს წყნარი ადგილებიც საჭიროა წასაძინებლად.

სტუმარზე ორიენტირებული ასეთი მიდგომის განხილვისას, სამუზეუმო გამოფენების კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლო საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი პროგრამების აღწერამდე, განვიხილოთ, როგორ უნდა განსაზღვროს მუზეუმმა გამოფენისათვის საჭირო პროგრამის კონკრეტული მახასიათებლები. წინამდებარე წიგნის ამ ნაწილში სწორედ ეს მახასიათებლებია განხილული.

8.4.1 გამოფენების საზოგადოებრივი პროგრამების მახასიათებლები

სამუზეუმო საქმიანობას შეგვიძლია ვუნოდოთ "საზოგადოებრივი პროგრამა". გამოფენებთან დაკავშირებით განხორციელებულ ყველა პროგრამას გარკვეული განმსაზღვრელი მახასიათებლები აქვს, რაც ყველა მათგანისათვის საერთოა. როგორც წესი, ასეთი პროგრამები:

- იმართება უშუალოდ საგამოფენო გალერეებში ან მათ ახლოს;
- წარმოაჩენს გამოფენილი ექსპონატების ვიზუალურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს;
- ინტერაქტიურია და უშუალო კონტაქტს ამყარებს მნახველებთან;
- აძლიერებს ზემოქმედებას, დრამატიზმის განცდას, მოულოდნელობის ეფექტს და შთაგონებას;
- მოქნილი და დინამიურია.

8.4.1.1 საგამოფენო გალერეებთან სიახლოვე

გამოფენებთან დაკავშირებული პროგრამების უმრავლესობა იმავე გალერეაში იმართება, სადაც გამოფენა მოწყობილი, ან მასთან ძალიან ახლოს. ზოგიერთი პროგრამა ისეთია (მაგ. ლექციები ან ფილმები), რომ მათი ჩატარება ახლომდებარე აუდიტორიაში ან სალექციო დარბაზებში უფრო მისაღებია, თუმცა ბევრი თანამედროვე მუზეუმის პროექტი-შივეა გათვალისწინებული ასეთი "საკრებულო ადგილების" ფართობები. ის, თუ რომელი პროგრამა სად გაიმართება – უშუალოდ მუზეუმის ტერიტორიაზე, თუ სპეციალურად ამ მიზნებისათვის გამოყოფილ ახლომდებარე დანესებულებაში, დამოკიდებულია პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობაზე, მოსალოდნელი აუდიტორიის სავარაუდო რაოდენობაზე და საკუთრივ გამოფენის ელემენტებზე.

წინა ათწლეულებში, როგორც წესი, მუზეუმების საგამოფენო დარბაზებში მხოლოდ შეზღუდული ადგილები იყო გამოყოფილი ამა თუ იმ ჯგუფის შესაკრებად. სამაგიეროდ, გამოფენასთან დაკავშირებული საქმიანობა ან სხვა ჯგუფური ქმედებები სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ახლომდებარე აუდიტორიებში ან მრავალმხრივი დანიშნულების ოთახებში იმართებოდა, ანუ გამოფენის შესავალი ან სპეციალური საორიენტაციო ნაწილი შესაძლოა უშუალოდ მუზეუმის ფოიეში ან წინკარში გამართულიყო, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობა კი – საზოგადოებრივი დანიშნულების ოთახებში. მართლაც, ზოგ მუზეუმს დღესაც ბევრი ამგვარი სახის მრავალდანიშნულებიანი აუდიტორია აქვს, რომელიც, როგორც წესი, არასაექსპოზიციო ნაწილშია განლაგებული.

უკვე ბოლო ათი წელია ეს ტენდენცია შეიცვალა და გამოფენებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პროგრამები სულ უფრო ხშირად უშუალოდ გალერეებში იმართება, რაც საგრძნობლად ცვლის საგამოფენო გალერეების ბუნებას, ვინაიდან ახლა მათ ამ პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების მასპინძლობა უნდა შესძლონ. ასეთი ცვლილება იმითაა გამოწვეული, რომ მრავალი მუზეუმი, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, ცდილობს მათი ძირითადი საქმიანობის – სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, კოლექციების დაცვის და საზოგადოებრივი პროგრამების, მათ შორის – გამოფენების,

უფრო ყოვლისმომცველ და მრავალმხრივ ინტეგრაციას, ხოლო მთელი ეს ძალისხმევა იმას ემსახურება, რომ განამტკიცოს და ხარისხობრივად გააუმჯობესოს დამთვალეიერების კონტაქტი გაღერეებში გამოფენილ ექსპოზიციასთან. ეს მიმართულება, რომელიც გამოფენაში დამთვალეიერების მაქსიმალურად ჩართვას გულისხმობს, აშშ-ს სულ უფრო მეტ კონსერვატულად განწყობილ საგამოფენო დანესებულებაში ვრცელდება, რაც მუზეუმების საქმიანობის სხვა ასპექტებთან ერთად, გამოფენების დაგეგმვის ძირითად პრინციპებზეც ახდენს ზემოქმედებას. მოსალოდნელია, რომ ეს მიდგომა სულ უფრო მეტად გავრცელდება მთელ მსოფლიოში.


8.8 დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ წინა ათწლეულებში მუზეუმები ზოგჯერ ახერხებდნენ თავისი ძირითადი საქმიანობის სხვადასხვა სფეროების გარკვეულ, თუმცა შეზღუდულ, ინტეგრაციას, რაც ძირითადად საზოგადოებრივი პროგრამების უკანა პლანზე გადაწევის და მათი შინაარსის მოცულობისა და სიღრმის მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე ხდებოდა. თანამედროვე მუზეუმთმცოდნეობა კი მუზეუმის საქმიანობის სამივე ძირითად ელემენტს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს და მომავალში ეს ერთიანობა კიდევ უფრო გამყარდება და მაქსიმუმს მიაღწევს.

8.4.1.2. გამოფენილ ექსპონატებთან დაკავშირებული ვიზუალური და ინტელექტუალური მასალა

მუზეუმების მიერ განხორციელებული პროგრამების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი მახასიათებელი, რომლის მაქსიმალურ წარმოჩენასაც ისინი ცდილობენ, არის გამოფენილი ნივთების (არტეფაქტების, მხატვრული ნამუშევრების თუ ნიმუშების) ვიზუალური შესაძლებლობების წარმოჩენა, ისევე როგორც მათ შესახებ არსებული გამოკვლევების ინტელექტუალური მიღწევების ჩვენება. ეს განსაკუთრებით შეეხება საგამოფენო პროგრამებს და თავისთავად, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, რის გამოც ასეთმა პროგრამებმა უშუალოდ მუზეუმების შენობებში გადაინაცვლა. საკუთრივ რეალური ნივთი ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანია, რაც კი მუზეუმებს გააჩნია და რომელიც სხვა საშუალებებთან ერთად, საგანმანათლებლო თუ დასვენების მიზნებისათვის გამოიყენება; საგამოფენო გარემო ისეთია, სადაც ერთნაირი სიმძლავრითაა შესაძლებელი როგორც დამთვალეიერების ჩართვა ნივთის ამ შესაძლებლობებთან, ისე მისი ხალხთან კონტაქტი.

შესაძლოა, ზოგი არ დაგვეთანხმოს და ჩათვალოს, რომ თუ მუზეუმი რაიმე განსაკუთრებულ ღონისძიებებს ატარებს, ან თუ გამოფენაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ერთი რომელიმე ძეგლია წარმოდგენილი, სჯობს, თვითონ მუზეუმი იყოს ახლოს “საკუთრივ ნივთთან”. ამ მოსაზრების საფუძველზე, საჰაერო ბურთების საერთაშორისო მუზეუმის მონყობა, დაგეგმილია საჰაერო ბურთების სადღესასწაულო პარკში, ალბუკერკში, ნიუ მექსიკოს შტატში, სადაც საჰაერო ბურთების საქვეყნოდ ცნობილი დღესასწაული ყოველი წლის ოქტომბერში იმართება. ამის მსგავსად, კენტუკის დერბის მუზეუმი ლუისვილში, ჩერჩილ დაუნსში უნდა მოწყოს, სადაც ყოველ გაზაფხულზე იმართება ეს შეჯიბრება. ჯორჯ პეიჯის ლა-ბრა დისქავერის მუზეუმი (მინერალური ფისის აღმოჩენის მუზეუმი, რომელიც ლოს-ანჯელესის ქვეყნის ბუნების ისტორიის მუზეუმის ნაწილია), სწორედ მსოფლიოში ცნობილი ლა-ბრას ბუნებრივი ფისის საბადოების გვერდით მდებარეობს. თითქმის ყველა ის მუზეუმი, რომელიც ისტორიული ღირებულების მქონე სახლებს, ან კულტურული მემ-

სურ. 8.8 მუზეუმის ძირითადი ფუნქციები



- მისაღწევია:**
1. ბალანსი საზოგადოებრივ და არასაზოგადოებრივ პროგრამებს შორის
 2. ძირითადი ფუნქციების ყოვლისმომცველი ინტეგრაცია

კვიდრეობის თვალსაზრისით ფასეულ ნაგებობებს, უკავშირდება, უშუალოდ მათშია მოთავსებული, ან მათ გვერდზეა.

რა თქმა უნდა, ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში "საკუთრივ ნივთის" ახლოს მდებარეობა პროგრამების ფართო სპექტრის გადაფარვის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა და ცხოველმყოფელობასა და უშუალობას სძენს მათ. დამთვალეიერებელმა მსგავსი გამოცდილება შესაძლოა იმ პროგრამების შემწეობითაც მიიღოს (მართალია, უფრო მცირე მასშტაბით), რომლებშიც ძირითადი ყურადღება გამოფენაზე გამოტანილ "რეალურ ნივთზეა" გამახვილებული, ან მაშინ, როდესაც ვიზუალური მასალა საგამოფენო ექსპონატის დამატებით რეპლიკაციას წარმოადგენს, განსაკუთრებით ისეთი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, როგორცაა "შეგიძლიათ შეეხოთ," "სამეცნიერო-კვლევითი სადგურები" ან "აღმოჩენების ოთახი."

8.4.1.3 ინტერაქტიურობა და უშუალო კონტაქტი მნახველთან

გამოფენებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა პროგრამას საერთო ის აქვს, რომ მათი შემწეობით ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან. ასეთი შეხვედრები შესაძლოა გაიმართოს:

- დამთვალეიერებელსა და გიდს შორის, რომლის ფუნქციას, შესაძლოა, სხვადასხვა დროს ასრულებდეს უშუალოდ გიდი ან პროფესორი, ან დემონსტრატორი;
- სუროგატულ დემონსტრატორსა და დამთვალეიერებელს შორის. ასეთია აუდიო, ვიდეო ან კომპიუტერული პროგრამა;
- დამთვალეიერებელსა და დამთვალეიერებელთა იმ ჯგუფის წევრებს შორის, რომლის წევრიცაა თავად ეს დამთვალეიერებელი;
- დამთვალეიერებელსა და დამთვალეიერებელთა სხვა ჯგუფებს შორის;

ადამიანური ინტერაქტიურობა შეიძლება სხვა დონეზეც გამოვლინდეს, კერძოდ, ცალკეულ დამთვალეიერებელსა და მის საკუთარ მოსაზრებებსა და ღირებულებებს შორის – განსაკუთრებით მაშინ, როცა აღმოჩენებით სწავლების ტექნოლოგიაა გამოყენებული დიალოგების გასამართად და მათ სამართავად, რომელთა დროს იქმნება ხელშეწყობი პირობები იმისათვის, რომ დასმულ შეკითხვებს დამთვალეიერებელმა თავად უპასუხოს, ან ხელახლა შეაფასოს თავისი შეხედულებები კონკრეტული საკითხის თაობაზე.

ხშირად, მუზეუმებში ინტერაქტიურობის დასამყარებლად, სხვა ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მაშინ, როდესაც საგამოფენო ტექნიკაში ხშირად გამოიყენება ინტერაქტიურობის ესა თუ ის ელემენტი, ჩვენი არსი, როგორც სოციალური არსებებისა, იმას მიანიშნებს, რომ ინტერაქტიურობის ყველაზე ეფექტური და დამაკმაყოფილებელი საშუალება თავის ბუნებით, სოციალურია. ანაპოლისში, (მერილენდის შტატი), სწავლების ინოვაციური მეთოდების კვლევის ინსტიტუტში, ჯონ ფალკისა და ლინ დაიერქინგის მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ დამთვალიერებლის სოციალური წარმომავლობა და კონტექსტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ რა შთაბეჭდილებას მიიღებს დამთვალიერებელი მუზეუმისაგან. იმ დროისა და სახსრების მიუხედავად, რაც მუზეუმის შტატიან თუ მოხალისე თანამშრომლებზე იხარჯება, მრავალი მუზეუმი თავის საგამოფენო დარბაზებში ადამიანის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბავშვო მუზეუმებთან მიმართებაში, სადაც ძირითადი აუდიტორიის ასაკის გამო, წერილობითი ტექსტების გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია.

8.4.1.4 ეფექტების სტიმულირება - დრამატიზმი, მოულოდნელობა, შთაგონება

საუკეთესოდ მიჩნეული გამოფენებიდან, ზოგიერთი ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ ფიქრისაკენ კი არ უბიძგებს დამთვალიერებელს, არამედ შეგრძნებებსაც უღვივებს მას. პროგრამების შემუშავების დროს შემოქმედებითი მიდგომა, ცოცხალი გიდები და სხვა დამხმარე პერსონალი უთუოდ კიდევ უფრო გააძლიერებს ამ ზემოქმედებას. საგამოფენო პროგრამების ზოგიერთი სახეობა აქტიურად ცდილობს, რომ ინფორმაციის მიწოდებისა და პრეზენტაციების შინაარსის საშუალებით დამთვალიერებლები ემოციურადაც დააკავშიროს გამოფენასთან. ხელოვნების მუზეუმებში ზემოქმედებათა სტიმულირება მუდამ იყო შთაბეჭდილების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი (რაც ადვილია გამოფენაზე წარმოდგენილი მასალის ბუნებიდან გამომდინარე), რომელსაც სულ უფრო ხშირად იყენებენ სხვა მუზეუმებში გამართული გამოფენების დროს. საკმაოდ იშვიათია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ისეთი გამოფენა, რომელიც დრამატული, გასაკვირი და ზოგჯერ ერთმანეთში არეულ-დარეული დასკვნებით არ მთავრდებოდეს.

გამოფენებთან დაკავშირებულ პროგრამებზე მუშაობა ხშირად ერთმანეთის გვერდით ათავსებს ისეთ საკითხებს, რომლებსაც სრულიად უსაფუძვლოდ, კვლევის საგნადაც არ თვლიდნენ. ასეთია მაგ., მუზეუმის თანამშრომელთა მუშაობა, რომლებიც სწორედ იმ კუთხით სწავლობენ გამოფენის მოწყობის ძირითად პრინციპებს, რომ "უბრალო ფაქტებად" კი არ წარმოადგინონ იქ გამოფენილი მასალები, რომლებსაც თითო-ოროლა გრაფიკული ნახატი და წარწერა უნდა, არამედ გასცდნენ მასალების წარმოდგენის ამგვარ მიდგომას და ისტორიის წიაღში ჩაახედონ დამთვალიერებლები. შედეგი კი ის იქნება, რომ დამთვალიერებელი ბევრად უფრო ღრმა შთაბეჭდილებებს მიიღებს, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე გაჰყვება მას.

8.4.1.5 მოქნილობა და დინამიურობა

გამოფენებთან დაკავშირებული პროგრამების შემუშავება, მოქნილობასა და დინამიურობას ანიჭებს იმ საშუალებებს, რომლებიც სხვაგვარად, შესაძლოა ძირითადად სტატიკური ყოფილიყო. ამდენად, თვით პროგრამირება მრავალმხრივი უნდა იყოს, რათა მისი განხორციელება შესაძლებელი გახდეს ვითარების შესაფერისად. შაბათს დამთვალეირებელთა დიდ ჯგუფს ველოდებით? შესაძლებელია, რომ ის ყოველდღიური პრეზენტაცია, რომელსაც 2:15-სთ-ზე ვმართავთ, 1:30 საათისათვის გადმოვიტანოთ, თანაც უფრო ვრცელ ადგილას, ისე, რომ დამთვალეირებლებმა, რომლებიც არ არიან ამ დიდი ჯგუფის წევრები, ასევე შეძლონ გამოფენის დამთვალეირება ჩვეულებრივ დროს, ე.ი. ნაშუადღევის ორი საათის შემდეგ, როცა დამთვალეირებელთა რიცხვი მატულობს? ან იქნებ საკმარისია, გამოფენა ხელმეორედ გაიმართოს, რაც აუცილებლად უნდა აისახოს თანამშრომელთა რიცხვზე და შესაბამისი მასალების მომარაგებაზე.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: იმ პროცესზე დასწრება, სადაც მუზეუმის პროფესიონალი თანამშრომლები ან სათანადოდ მომზადებული მოხალისეები წმენდენ ნამარხ მასალას, ბევრად უფრო ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენს დამთვალეირებელზე, ვიდრე უბრალო გამოფენა, სადაც ნაჩვენები იქნება თუ როგორ წმენდენ ასეთ მასალას; მითუმეტეს, პირველ შემთხვევაში ერთი დიდი უპირატესობა აქვს – შეგიძლიათ კითხვების დასმა! დამთვალეირებლებს შეიძლება ზოგი ექსპონატის შეხების ნებაც დართონ ამ მიზნით სათანადოდ მოწყობილ სამეცნიერო-კვლევით სადგურში. შესაძლებელია დამთვალეირებელთა ჯგუფს კიდევ ერთი სიახლე შევთავაზოთ – მოვუნყოთ სპეციალური ტური, სადაც მათთვის საინტერესო საკითხებს წარმოაჩენენ და გიღებთან და ერთმანეთთან ურთიერთობის სრული თავისუფლება მიეცემათ.

იდეალურ შემთხვევაში მიღებული შთაბეჭდილებების მაქსიმალური გაძლიერების მიზნით, წინასწარი გეგმის მიხედვით მოწყობილი გამოფენისათვის შემუშავებულ საუკეთესო საგამოფენო პროგრამებში, როგორც წესი, გათვალისწინებულია და ძალზე ფრთხილად ურთიერთშეჯერებული გამოფენის ყველა ზემოხსენებული მახასიათებელი. სწორედ ამიტომ საგანმანათლებლო, სპეციალური ღონისძიებების და სხვა სახის საზოგადოებრივი პროგრამების მოწყობა გამოფენის დაგეგმვის პირველივე ეტაპებზე უნდა გავითვალისწინოთ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მისი საბოლოო წარმატებისათვის. საზოგადოებრივი პროგრამების შესაძლო დიაპაზონი ძალზე ვრცელია, რომელთაგან თითოეულს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოტენციური უპირატესობები და სუსტი მხარეები, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გამოფენის დაგეგმვისა და დაპროექტების დასაწყისში.

8.4.2 საგამოფენო საზოგადოებრივი პროგრამების ტიპოლოგია

საგამოფენო საზოგადოებრივი პროგრამების მრავალფეროვნების გამო, მათი სწორად განმარტებისა და მაქსიმალური უკუგების მისაღებად, ძალზე სასარგებლო იქნება, თუ მათ ტიპოლოგიურად განვიხილავთ და გავიაზრებთ. თითოეული ტიპის საზოგადოებრივი პროგრამაში შესაძლოა უფრო ვრცლად იქნეს გამოყენებული გონებრივ-შემეცნიებითი მიდგომა (სადაც მეტ ფაქტობრივ მასალას და კონკრეტულ ინფორმაციას შეიტანენ), ან ისეთი მიდგომა, სადაც ყურადღებას უფრო შეგრძნებებზე და ეფექტებზე გაამახვილებენ,

რათა დამთვალეირებლის ემოციებზე იმოქმედონ. ნიგნის ამ ნაწილში განხილულია ასეთი საზოგადოებრივი პროგრამის თორმეტი ნაირსახეობა.

8.4.2.1 დამთვალეირებელთა ჯგუფები გიდების ხელმძღვანელობით

მუზეუმების დიდი უმრავლესობის ძირითადი ბერკეტი – დამთვალეირებელთა ჯგუფები გიდების ხელმძღვანელობით – აქამდე ყველაზე კარგად ცნობილი და ყველაზე პოპულარული პროგრამაა სამუზეუმო გამოფენებთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ პროგრამებს შორის. მუზეუმი საერთოდ, სხვა არაფერს რომ არ აკეთებდეს დამთვალეირებელთა პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით, იგი, ნებისმიერ შემთხვევაში, დამთვალეირებელს ამა თუ იმ სახის საგამოფენო ტურებს მაინც სთავაზობს, რომელსაც მისი თანამშრომლები ან შესაბამისად მომზადებული მოხალისეები ატარებენ (და საკმაოდ ხშირადაც). თუ მრავალ მუზეუმში ეს მეთოდი ყოველმხრივ აპრობირებულია, არის სხვა გარემოებები, რომლებმაც ახლებური სული ჩაბერა კლასიკურ ტურს და ცხოველმყოფელობა და მრავალმხრივობა შესძინა დამთვალეირებლის შთაბეჭდილებებს.

ასეთი საგამოფენო ტურების დაგეგმვა მანქანის სადგომიდან იწყება, სადაც საკმარისი ადგილი უნდა იყოს მანქანების გასაჩერებლად და ავტობუსის მძღოლების მიერ მგზავრთა უსაფრთხოგადმოსხდომის უზრუნველსაყოფად (სასურველია, გადმოსხმა მოხდეს სპეციალურად მოწყობილ გადახურულ ადგილებში, მუზეუმის შესასვლელთან ახლოს, რომ მომსვლელებს უამინდობამ ხელი ვერ შეუშალოს), საიდანაც მათ მუზეუმის ტერიტორიაზე, ან საგანგებოდ გამოყოფილ მოსაცდელ ადგილამდე მიიყვანენ. დიდ მუზეუმებს ხშირად გამოყოფილი ჰყავთ სპეციალური პირი დამთვალეირებელთა დასახვედრად – ე.წ. დამხედურები, რომლებიც ავტობუსების სადგომების ბაქანზე ელოდებიან სტუმრებს. მათი მოვალეობაა ავტობუსში ავიდნენ და მიესალმონ დამთვალეირებელთა ჯგუფებს, გაარკვიონ, თუ რა დროს დაუთმობენ სტუმრები გამოფენის დათვალეირებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია (განსაკუთრებით მაშინ, თუ ავტობუსი დაგვიანებით მოვიდა). თუ ჯგუფი დიდია, შესაძლოა საჭირო გახდეს მისი გაყოფა. ვთქვათ, ყველა, ვინც მარცხნივ ზის გაყვება გიდს ყვითელი დროშით, ან ნაფეხურებით მონიშნულ მარშრუტს, ხოლო ყველა მარჯვნივ მჯდომი – გიდს წითელი დროშით.

ფოიე ან ვესტიბული საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რომ დაიტოს სტუმართა ჯგუფი. აქედან ხდება მათი შემდგომი ორიენტაცია მუზეუმის დარბაზებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ერთდროულად რამდენიმე ჯგუფის მოსვლას მოელიან. დიდ მუზეუმებში ასეთი მოსაცდელი ადგილები ბილეთების სალაროს გვერდით, თუმცა მისგან იზოლირებულად უნდა იყოს მოწყობილი, რათა ჯგუფს სხვა დამთვალეირებელი არ შეერიოს. სასურველია ცალკე მოეწყოს გარდერობიც. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რაც უნდა გაითვალისწინონ გამოფენის ორგანიზატორებმა – ესაა შენობის საკმარისი რაოდენობის სველი წერტილებით უზრუნველყოფა.

წინასწარ შეთანხმებული ჯგუფების მიღება შეიძლება ცალკე შესასვლელიდანაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოფენაზე ბევრი ხალხია ან ჯგუფს ისეთი ბილეთები აქვს, სადაც კონკრეტული დროა მითითებული. უშუალოდ დარბაზებში ექსპოზიცია ისე უნდა განანიღდეს, რომ საკმარისი ფართობი დარჩეს ჯგუფების გადაადგილებისათვის მოწყობილ ფოტოსტენდებსა და სხვა გამოფენილ ნივთებს შორის, განსაკუთრებით იმ

ადგილებში, სადაც დანამდვილებით ვიცით, რომ გიდები ჯგუფებთან ერთად ჩერდებიან. დამთვლიერებელთა ჯგუფების უსაფრთხო გადაადგილებისათვის საკმარისი ტერიტორიის გამოყოფა ერთ-ერთია იმ უმნიშვნელოვანეს საკითხთა შორის, რომელთა გამოც აუცილებელია მუზეუმის იმ თანამშრომელთა ჩართვა გამოფენის დაგეგმვისა და დაპროექტების ჯგუფში, რომლებიც მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებზე და საგანგებო ღონისძიებებზე მიუშაობენ. მათი წვლილი შესაძლოა განმსაზღვრელი იყოს არამარტო კოლექციების დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოებისათვის, არამედ დამთვლიერებელთათვის სასიამოვნო შთაბეჭდილების უზრუნველსაყოფად.

ჩვეულებრივი საგამოფენო ტურის დროს, ძირითადი ყურადღება იმ საკითხებს ექცევა, რომლებსაც გამოფენის პროექტი განსაზღვრავს: ზოგადად, ყოველი გამოფენა ნათლად განსაზღვრული თანამიმდევრობითაა მოწყობილი და დამთვლიერებელს მკაცრადგანსაზღვრულ ინფორმაციას ატყობინებს. საგამოფენო ტურებიც სწორედ ამ თანამიმდევრობის შესაბამისად იმართება. ზოგჯერ საგამოფენო ტურებთან მიმართებით, გიდების ხელმძღვანელებს გარკვეული თავისუფლება ეძლევათ, გიდებს კი, როგორც წესი, თხოვენ მეტნაკლებად დაიცვან საგამოფენო ტურების წინასწარ შემუშავებული მარშრუტები, ან მათი ძირითადი მიმართულებები მაინც. უმეტეს შემთხვევებში ტურები გამოფენილი ნივთების შესაბამისად იგეგმება და ბუნებრივია, მათზეა ორიენტირებული; გიდების მოსამზადებელ კურსებზეც ძირითადი ყურადღება გამოფენის შემადგენლობას ექცევა – რაც ზოგჯერ ინტერპრეტაციული მოსამზადებელი კურსის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გვერდის ავლის ხარჯზე ხდება, როგორიცაა სწავლების სხვადასხვა მეთოდების გააზრება.

ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ ამა თუ იმ ისტორიულ სახლში შეგხვდეთ რომელიმე გულანთებული გიდი, რომელიც თავადვე იმდენადაა დატყვევებული თავის მიერ გადმოცემული ამბებით, რომ ვერ აცნობიერებს უხერხულობას, რაც დამთვლიერებელთა ჯგუფს ექმნება იმის გამო, რომ ყურადღებით ვერ უსმენენ მის ნაამბობს. საუბედუროდ, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მუზეუმის საქმიანობასთან დაკავშირებით, სწორედ ასეთი სტერეოტიპია შექმნილი, რაც აუცილებელს ხდის საკითხისადმი ახლებური მიდგომის შემუშავებას.

მაშინ, როდესაც ასეთი საგამოფენო ტურების უმრავლესობა ცდილობს ყველა სფერო მოიცვას (ზოგჯერ ზედმეტი მოსდის და გამოფიტვამდე მიჰყავს დამთვლიერებელი), ალტერნატიული საშუალების სახით შემუშავებულია ე.წ. ძირითადი ტურები. ისინი უმთავრესად მუდმივი კოლექციების დათვლიერებისას გამოიყენება, როცა ყურადღება გამახვილებულია პირველხარისხოვან ექსპონატებზე – რაც ჩვეულებრივი მოვლენაა დიდი სამუზეუმო დაწესებულებებისთვის, სადაც შეუძლებელია ერთი მისვლით ყველა გამოფენის დათვლიერება, ან ისეთ მუზეუმებში, სადაც მსოფლიოში ცნობილი არტეფაქტები ან ხელოვნების ნიმუშებია დაცული, მაგ. იმედის ბრილიანტი ან მონა ლიზა, რომელიც ყველამ, თვით ყველაზე ჩვეულებრივმა მოკვდევამაც უნდა ნახოს. ასეთი ძირითადი ტურების დროს ხშირად მთავარი ყურადღება სწორედ გამოფენების იმ ძირითადი ელემენტების ან კოლექციების დათვლიერებას ექცევა, რომლებიც ამ დაწესებულების იდენტიფიკაციას განსაზღვრავენ, ან განსაკუთრებულობას ანიჭებენ მას. ამ ტიპის ტურები იმ ადამიანებისთვისაც გამართლებულია, რომლებსაც შესაძლოა მეორედ აღარ მიეცეთ ამ დაწესებულების ნახვის შესაძლებლობა და მაშინაც კი, როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცათ, დრო საკმაოდ შეზღუდული აქვთ, მაგ. ავტობუსით მოგზაური ტურისტული ჯგუფების შემთხვევაში. ძირითადი ტურების

გააზრების დროს აუცილებელია გვახსოვდეს როგორც ტურისტების მოთხოვნები, ისე ადგილობრივი დამთვალეირებლების ინტერესები. მათ შორის – ენა, რომლებზეც სავარაუდოდ მეტყველებენ ტურისტები, დამთვალეირებელთა საშუალო ასაკი და გვექონდეს ინფორმაცია – რამდენად დალილები არიან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ცნობილია, რომ იმ დღეს ისინი უკვე იყვნენ სხვა მუზეუმში.

ხშირია, როდესაც ძირითადი ტურები ერთმანეთთან აკავშირებს ადრე ცალკე ნივთებსა თუ თვისებებს. ზოგჯერ ამ ნივთებს ერთადერთი საერთო თვისება აქვთ – ისინი ერთ მუზეუმშია თავმოყრილი. მაგრამ, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ძირითადი ტურები დამთვალეირებელს მხოლოდ ზერელე წარმოდგენას უქმნიდეს მუზეუმზე. სინამდვილეში, თუ ასეთი ტური კარგადაა ორგანიზებული და მაღალ დონეზე ტარდება, შესაძლოა, ყველაზე ეფექტური საშუალება გახდეს განმეორებითი ვიზიტების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტურის დროს გაკვრით შეეხებიან სხვა მნიშვნელოვან ექსპონატებს, რომელთა დამთვალეირება ამჯერად ვერ მოხერხდა, მაგრამ შესაძლებელია სხვა დროს.

მიუხედავად იმისა, ყოველსმომცველია თუ ძირითადი, ნებისმიერ ეფექტურ საგამოფენო ტურს საერთო ნიშან-თვისებები ახასიათებს. წარმატებული ტური:

- მხოლოდ მშრალ ფაქტებს კი არ უნდა ატყობინებდეს დამთვალეირებლებს, არამედ აუცილებლად შეკითხვებს უნდა უსვამდეს მათ;
- პასიურად და ჩუმად კი არ უნდა ჰყავდეს დამთვალეირებლები, არამედ სადისკუსიოდ ინვევდეს მათ;
- დამთვალეირებლებში ნივთის მიმართ მხოლოდ პატივისცემას კი არ უნდა ნერგავდეს, არამედ შესაძლებლობას უნდა აძლევდეს მათ, დაწვრილებით შეისწავლონ და დაათვალიერონ ნივთის ყოველი დეტალი;
- პატივით მოეკიდოს დამთვალეირებელთა ყოველ ჯგუფს, გაგებით შეხედეს და უპასუხოს როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური დამთვალეირებლების ინტერესებს და ენთუზიაზმს.

ასეთი ტურებისთვის კარგად ინფორმირებული და მოტივირებული გიდების მომზადება მოხალისეებისა თუ მუზეუმების შტატიანი თანამშრომლების სახით, საკმაოდ რთული ამოცანაა ამ დაწესებულების საგამოფენო თუ საგანმანათლებლო სამსახურებისათვის. მუზეუმები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ გიდებმა ვერ უპასუხეს დამთვალეირებლის მიერ დასმულ შეკითხვას, ისინი მზად იქნებიან აღიარონ ეს და მიიღონ რჩევა, რომ ასეთ დროს უმჯობესია უთხრა დამთვალეირებელს, რომ მოგვიანებით უპასუხებ შეკითხვას ან პასუხს სხვა გზებით მიანოდებ, ვიდრე წარმოსახვითი და გამოგონილი პასუხი გასცე შეკითხვის ავტორს და დამთვალეირებელთა ჯგუფს თავი ყოველსმცოდნედ მოაჩვენო.

გიდების სათანადოდ მომზადება მუზეუმის საგანმანათლებლო სამსახურის უმთავრესი დანიშნულება და საქმიანობაა. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატიციების შესახებ მომზადებასთან ერთად, მოსამზადებელ პროგრამაში აუცილებლად უნდა შედიოდეს სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და ურთიერთობისა და საკომუნიკაციო ტექნიკის საკითხები. გამოფენების კურატორებმა აუცილებლად უნდა შეიტანონ თავისი წვლილი ამ მნიშვნელოვანი მოსამზადებელი პროგრამის შემუშავებაში. ძალზე ხშირად, საგანმანათლებლო სამსახურის წარმომადგენლები დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებენ, აიძულონ გამოფენის კურა-

ტორები, დაელაპარაკონ გიდებს გამოფენის შესახებ, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები გამოსცადონ იმ მოსალოდნელი შეკითხვების გასამკლავებლად, რომლებიც აუცილებლად დაისმება გამოფენის გახსნის შემდეგ.

გიდების შეფასების პროცესი მუდმივი უნდა იყოს, რაც ასევე მნიშვნელოვანი საქმეა, ვინაიდან საგამოფენო ტურების თვეობით და წლობით გაძლოვამ, თვით ყველაზე ერთგული გიდიც კი შეიძლება დაქანცოს და ამდენად, დამთვალეირებელზე მხოლოდ ზერელე და შთაგონებას მოკლებული შთაბეჭდილება მოახდინოს. თუ გიდები მოხალისეები არიან, მნიშვნელოვანია, რომ მათთან გააფორმებულ კონტრაქტებში ცალსახად მიეთითოს მომზადებისა და შეფასების კრიტერიუმები და ის გარემოება, რომ რეგულარულად მოხდება მათი შემონმება-შეფასებები, რათა გამოვლინდეს საქმიანობის გაუმჯობესების ხარისხი, ხოლო პრობლემების არსებობის შემთხვევაში, განიხილებოდეს მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესაძლებლობა. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალ მეცნიერულ დონეზეა მონყობილი გამოფენა ან რამდენად მიმზიდველია მისი პროექტი, რადგან გიდის მიერ ცუდად ჩატარებული ტური, აუცილებლად უარყოფით შთაბეჭდილებას მოახდენს დამთვალეირებელზე.

8.4.2.2. გიდის მიერ ჩატარებული კონკრეტული საკითხებისადმი მიძღვნილი პროგრამები – სასკოლო ტურები

მაშინ, როდესაც გიდის მიერ დამთვალეირებელთა ჯგუფისათვის ჩატარებული საგამოფენო ტურების დროს საკუთრივ გამოფენის შინაარსზეა გაკეთებული აქცენტი, მრავალი მუზეუმის ამოსავალი წერტილი და მთავარი საქმიანობა ისეთი პროგრამების შემუშავებაა, რომელიც უმთავრესად სასწავლო პროგრამების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და სასკოლო ჯგუფების სხვა მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული. ასეთი პროგრამების გიდები შეიძლება იყვნენ როგორც მუზეუმის შტატიანი თანამშრომლები, ისე მოხალისეები, ზოგჯერ კი სკოლის მასწავლებლებიც, რომლებსაც სკოლის ადმინისტრაცია მიამაგრებს მუზეუმს. იმ გიდების მომზადება-შეფასების კრიტერიუმები, რომლებსაც სასკოლო ტურების გაძლოვას ანდობენ, ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ზოგადი საგამოფენო ტურების გიდებისა, ხშირ შემთხვევაში კი უფრო მკაცრი და მომთხოვნიც, ვინაიდან ასეთი ტურები უნდა აკმაყოფილებდნენ ოფიციალურ სასკოლო საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

სასკოლო ან სხვა ჯგუფებისათვის პროგრამების შემუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია, მუზეუმის დიდი გამოფენიდან კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე მორგებული და დეტალიზებული ასპექტების შერჩევა. პროგრამების შემუშავების ასეთი ხერხის დამახასიათებელი თვისებაა გამოფენის ზოგადი შინაარსიდან ყურადღების გადატანა ძირითადად უფრო ფართო თემებზე, ან ისეთ საკითხებზე, რომელიც სასწავლო პროგრამების კონკრეტულ მიზნებს უკავშირდება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მუზეუმებს ურჩევენ გამოფენების მონყობისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ ეროვნული პროგრამა. კანადასა და შვედეთებულ შტატებში კი, როგორც წესი, მუზეუმებმა გამოფენები აუცილებლად სასკოლო გეგმების შესაფერისად უნდა მოაწყონ და პროგრამებიც ისე შეიმუშაონ, რომ უშუალოდ უპასუხონ სხვადასხვა კლასებისათვის დადგენილი სასწავლო გეგმების მოთხოვნებს და ამგვარად მოიზიდონ სკოლის აუდიტორია. მუზეუმების მოტივაცია, სასკოლო გეგმების

შესაბამისად მოაწყო თავიანთი გამოფენები, იმითაც აიხსნება, რომ მასწავლებლებს ძალზე დიდი დრო სჭირდებათ სასკოლო გეგმების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და სხვა საქმიანობისათვის თითქმის აღარ სცალიათ. ამდენად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შეძლონ თავიანთი მოსწავლეების მუზეუმებში წაყვანა, თუ ეს უშუალოდ არ უკავშირდება სასწავლო გეგმას.

ეს სტრატეგია წარმატებით რომ განახორციელონ, მუზეუმების საგანმანათლებლო სამსახურებმა კარგად უნდა იცოდნენ, თუ როგორი სასწავლო გეგმებია შემოღებული მათ ირგვლივ არსებულ სკოლებში თითოეული კლასისათვის. თუ არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და იურისდიქციის სკოლები (კერძო/სახელმწიფო, საქალაქო/ცენტრალური ან რელიგიური), რომელთა სასწავლო გეგმები უმნიშვნელოდ განსხვავდება, აუცილებელია, რომ მუზეუმების საგანმანათლებლო სამსახურებმა თითოეული მათგანისათვის კარგად მორგებული საზოგადოებრივი პროგრამები შეიმუშაონ. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია, მუზეუმების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების თანამშრომლობა მასწავლებელთა საბჭოებთან, სასწავლო გეგმების სპეციალისტებთან ან ზედამხედველებთან. ასეთი თანამშრომლობა, სამუზეუმო გამოფენებისა და სასწავლო გეგმების ურთიერთშესაბამისობასთან ერთად, უზრუნველყოფს ამ პროგრამებში მასწავლებელთა მოთხოვნების უფრო სრულად ასახვას, რაც დიდ როლს შეასრულებს ამ პროგრამებისაგან მიღებული შთაბეჭდილების გასაძლიერებლად.

სასწავლო პროგრამებზე ორიენტირებული მრავალრიცხოვანი სამუზეუმო პროგრამების შემუშავებას, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ერთი უპირატესობაც აქვს – მუზეუმში სასკოლო აუდიტორიის სტუმრობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შთაბეჭდილება ყოველთვის განსხვავებული იქნება. მაგ. თუ მესამეკლასელებს პროგრამის მიხედვით, უკვე გავლილი უნდა ჰქონდეთ მონაკვეთი ადგილობრივი ისტორიის შესახებ, ისტორიის მუზეუმში ამ საკითხებზე შემუშავებული კონკრეტული პროგრამა აუცილებლად განსხვავებული იქნება მეოთხეკლასელთათვის გათვალისწინებული პროგრამისაგან შტატის ან ქვეყნის ისტორიის შესახებ, სადაც ძირითადად ყურადღება მიექცევა განსხვავებულ საგამოფენო ექსპონატებს. ანალოგიურად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის შემუშავებული პროგრამისათვის "რა არის რეპტილია", სულ სხვა საგამოფენო ექსპონატები იქნება საჭირო, ვიდრე საშუალო სკოლის უფროსკლასელთათვის მოწყობილი პროგრამისათვის "პერპეტუოლოგიის შესავალი", თუმცა ორივე პროგრამა ბუნების ისტორიის მუზეუმის რეპტილიების დარბაზში გაიმართება.

მასწავლებლებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნება და მუზეუმის, როგორც კლას-გარეშე არაფორმალური საგანმანათლებლო რესურსის, გამოყენების გაგრძელება სწორედ ის რთული საკითხია, რომლის მოსაგვარებლად ზოგიერთმა მუზეუმმა სამოკავშირეო კომიტეტი შექმნა. დაინტერესებულ პედაგოგებს, რომლებიც წარმატებით იყენებენ მუზეუმის რესურსებსა და შესაძლებლობებს, მუზეუმები იწვევენ ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყების წინ მოწყობილ წვეულებებზე, სადაც მასწავლებლები თავიანთ სკოლებს წარმოადგენენ. სწორედ ასეთ წვეულებებზე აცნობენ მათ მუზეუმების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებს იმ განზრახვით, რომ სკოლაში დაბრუნების შემდეგ, მათ შესაბამისი კლასის და საგნის მასწავლებლებს დროულად გააცნონ დაგეგმილი გამოფენების და საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი, რათა ამ უკანასკნელებმა დროულად დაგეგმონ თავიანთი კლასების მუზეუმში წაყვანა. სკოლასა და მუზეუმს შორის სამოკავშირეო

კომიტეტის ნევრობა, შეიძლება გაფორმდეს მუზეუმთან კორპორატიული ნევრობის სახით, რაც შეიძლება სამუზეუმო ბილეთების ფასდაკლებაში გამოიხატოს (მათი ფასის შეცვლის შემთხვევაში).

არის რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც მუდმივად ემუქრება მუზეუმებში სასკოლო ტურების გამართვას. ესენია:

- ცვლილებები სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, სადაც მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საკლასო სამუშაოების წილი, რასაც ამ დოკუმენტებში შესაძლოა "ძირითადი სამუშაო" ერქვას, ხოლო სამუზეუმო სასწავლო პროგრამები ზოგჯერ "ზედმეტ ფუფუნებადაა" მიჩნეული

- განათლებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის შემცირება, რის გამოც სკოლას შეღავათიანი ტარიფებითაც კი აღარ შეუძლია მოსწავლის მუზეუმში მისვლის ხარჯების გაღება მუზეუმის ბილეთების ფასის შეცვლის დროს და ამდენად, სკოლა იძულებულია სამუზეუმო და ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვა ოჯახებს დააკისროს

- სასკოლო ავტობუსების პრობლემა, რომელთა საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა გადაყვანა სკოლიდან მუზეუმში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ავტობუსების გრაფიკი საკმაოდ გადატვირთულია

- გაკვეთილების ცხრილის შეცვლა: სამუზეუმო ტურის მოსაწყობად რამდენიმე მასწავლებლის თანხმობაა საჭირო, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როცა მუზეუმში ყოფნის დროს მოსწავლეებს გაკვეთილები უცდებთ.

ამ სირთულეების მიუხედავად, მუზეუმებს სულ უფრო ხშირად სთხოვენ სასკოლო ტურების მოწყობას. ამის პასუხად, ზოგიერთმა მუზეუმმა მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამები შეიმუშავა, რათა მათ თვითონ ჩაუტარონ სამუზეუმო ტურები მოსწავლეებს. რა თქმა უნდა, ეს დამატებით ძალისხმევას მოითხოვს მასწავლებლისაგან და მათ დასახმარებლად მუზეუმმა შესაძლოა შეიმუშაოს და სკოლას გაუგზავნოს ე.წ. სასკოლო ჯგუფების მოსამზადებელი კრებულები რეპროდუქციებით, ფერადი სლაიდებით, ასლებით და წერილობითი მასალით. დახმარების სახით აგრეთვე შესაძლებელია, მუზეუმმა თავისი თანამშრომელი, ან შესაბამისად მომზადებული მოხალისე, გააგზავნოს სკოლაში. ელექტრონული ფოსტა და ინტერნეტი განუზომლად აფართოებს სასკოლო ტურებისადმი ასეთი მიდგომის შესაძლებლობებს, ვინაიდან მათი მეშვეობით მასწავლებელს საგამოფენო ტურის შესახებ საინფორმაციო პაკეტის და სურათების მიღებასთან ერთად, შეუძლია მიღებული ინფორმაცია თავის კლასში განიხილოს და გარდა ამისა, დაუკავშირდეს კიდევც მუზეუმის საგანმანათლებლო სამსახურს და გააცნოს საკუთარი შეხედულებები გამოფენის შესახებ სასკოლო ტურის მომზადების პროცესში.

წინასწარ მომზადებული სასკოლო ტურები – ელექტრონული თუ ნებისმიერი სხვა სახით – ყოველთვის ეფექტურია. მოსწავლეებმა, რომლებმაც კლასში წინასწარ ნახეს რეპროდუქციები, ფერადი სლაიდები, ან ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი სურათები, ან ამ სურათებით მანიპულირების შესაძლებლობაც კი ჰქონდათ ინტერნეტში ან CD-ROM-ის ეკრანზე, შეუძლიათ იცნონ გალერეებში გამოფენილი დედანი და უფრო მეტი შეიტყონ მის შესახებ, მაშინ, როდესაც ხშირად, საკმაოდ რთულად აღსაქმელ ვიზუალურ ფენომენს, მოსწავლე პირველად გადაწყდება ხალხით გადატვირთულ და ყურადღების გამაფანტველ გარემოში და ნაკლებად ინტერესდება მისით.

როგორც სხვა, ისე სასკოლო ჯგუფური ტურების მომზადება და მათი დაგეგმვა, მან-

ქანის სადგომიდან იწყება. სასკოლო ასაკის ბავშვების შემთხვევაში, უსაფრთხოებას კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსვლის ადგილის გადახურვა კიდევ უფრო საჭირო ხდება. სადგომში მოსწავლეთა ჩამოსვლამდე, ავტობუსში ასული დამხვედური, ყველაზე უფრო ეფექტურად მოახერხებს მათ დამშვიდებას ჯფუფის რამდენიმე, უფრო მცირე გუნდებად დაყოფის საშუალებით (სასურველია, თითოეულში 15 ბავშვზე მეტი არ იყოს). ასევე, შესაძლოა გატარებული იქნეს რამდენიმე ღონისძიება უშიშროების უზრუნველსაყოფად – მაგ. დამხვედურმა მოსწავლეებმა ადგილზე დაატოვებინოს ბურთულიანი პასტები, მათ მაგივრად კი მუზეუმის ემბლემიანი ან წარწერიანი ფანქრები დაურიგოს (ხოლო ვიზიტის დამთავრებისას კვლავ დაუბრუნოს მათი კუთვნილი ბურთულიანი პასტები).

თუ ზემოხსენებული ღონისძიებები ავტობუსში არ ჩატარდა, მაშინ იგი მუზეუმში უნდა განხორციელდეს, რისთვისაც წინასწარ უნდა გამოიყოს ცალკე ფართობი. მრავალ მუზეუმში სასკოლო ჯგუფებისათვის ცალკე შესასვლელია მოწყობილი, თუმცა შესაძლოა უჯობესი იყოს, რომ სკოლის მონაწილეებმა ცანიცადონ მუზეუმში მთავარი შესასვლელიდან შესვლის მლეღვარება, ხოლო შემდეგ ისინი სასკოლო ჯგუფის მისაღებად მოწყობილ ადგილზე გადაიყვანონ. სასკოლო ჯგუფებისათვის რეკომენდებულია აგრეთვე სპეციალური გასახდევლების მოწყობა, სადაც მათ მოემსახურებათ ბორბლებიანი ურიკა, რომელშიც მოსწავლეები ჩაყრიან თავიანთ პალტოებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გახდა-ჩაცმისთვის გამოყოფილ დროს. შესაძლოა, მსგავსი რამ გამოვიყენოთ ლანჩის დროსაც, კერძოდ, ცალკე ფართობი გამოიყოს სკოლის მოსწავლეთათვის, ხოლო მუზეუმში არსებული კაფე სხვა დამთვალიერებლებს მოემსახუროს. ავტოსადგომებთან ახლოს ტუალეტების მოწყობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

როგორც სასკოლო, ისე ჩვეულებრივი საგამოფენო ტურები შესაძლოა გულისხმობდეს გარკვეული ხნით რომელიმე ექსპონატთან შეჩერებას, ან ჩანახატების გაკეთებას. ასეთი შემთხვევებისათვის მუზეუმს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მომარაგებული დასაკეცი სკამები.

აუდიტორიები მრავალი მუზეუმისათვის მეტად სასარგებლო ფართია, სადაც ხშირად სკოლის მოსწავლეებისათვის სპეციალურად მართავენ აუდიო-ვიზუალურ ჩვენებებს. ზოგჯერ აუდიტორიებში უბრალოდ გამოფენის წინა ან პროგრამის შემდგომი ბრიფინგები იმართება. მუზეუმის საგანმანათლებლო სამსახურში ხშირად დაობენ იმაზე, რამდენად საჭიროა აუდიტორიების გამოყენება მუზეუმის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროცესში. ზოგი თვლის, რომ ისინი კიდევ უფრო ამცირებენ ისედაც მცირე და ძვირფას დროს, რომელიც მთლიანად მუზეუმის გალერეებში უნდა დაიხარჯოს, ზოგის აზრით კი, ასეთი აუდიტორიული საქმიანობა ფასდაუდებელია გამოფენებზე სწორი ორიენტაციის, შემდგომი ბრიფინგების, წარმოდგენების თუ გამოფენებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობისთვის. წიგნებით, რეპროდუქციებით, CD-ROM-ებით და სხვა სასწავლო მასალით აღჭურვილი მასწავლებელთა რესურს-ცენტრები ფასდაუდებელი დამხმარე საშუალებებია მუზეუმებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესა თუ ის მუზეუმი ხელს უწყობს საგამოფენო ტურნეების ჩატარებას სკოლის მასწავლებლების მიერ.

ჩვეულებრივ საგამოფენო ტურებზე სასკოლო ჯგუფების ვიზიტის დროს, ექსპონატებს შორის მათი უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მუზეუმების საგანმანათლებლო სამსახურის სასკოლო ტურების პროგრამებზე მომუშავე პირების

შეყვანა გამოფენის დაგეგმვისა და დაპროექტების ჯგუფში. ის დრო, როდესაც მუზეუმში მოსული სასკოლო ჯგუფები ორ გრძელ რიგად ეწყობოდნენ და ასე გადაადგილდებოდნენ, რასაც ჩვენდა სავალალოდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ზოგ მუზეუმში, საბოლოოდ წავიდა, განსაკუთრებით იმ მუზეუმებისათვის, რომლებსაც კარგი საგანმანათლებლო პროგრამები აქვთ. სასკოლო ჯგუფები პატარა უნდა იყოს და მისი წევრები ისე უნდა განლაგდნენ, რომ გიდის ხმა კარგად ესმოდეთ, ხოლო სასკოლო ტურებისათვის გამოფენილი ექსპონატების განლაგებისას, უნდა დაიცვან უსაფრთხოების ნორმები, როგორც საკუთრივ ამ ექსპონატებისათვის, ისე მათ ახლოს თავმოყრილი მოსწავლეთა ჯგუფებისათვის ისე, რომ სხვა დამთვალიერებელს ხელი არ შეეშალოს გამოფენის სრულფასოვნად დამთვალიერებაში.

თუ სასკოლო ტურების დროს დაგეგმილია ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება, მათი რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს, რათა დიდი დრო არ დაიკარგოს, სანამ ჯგუფის ყოველი წევრი გამოსცდის მათ. ამდენად, აუცილებელია, მუზეუმის საგანმანათლებლო სამსახურის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, გამოფენის დაგეგმვის ადრეულ საფეხურებზევე გადაწყდეს თუ რომელი ინტერაქტიური საშუალების გამოყენება იქნება ყველაზე უფრო ეფექტური სასკოლო თუ სხვა სახის ჯგუფური ტურების დროს. "დამჯერი მონიტორები" – მულტიმედიური სადგურების თავზე დამონტაჟებული ეკრანები, რომლებზეც ნაჩვენებია, თუ რას ხედავს ან აკეთებს მულტიმედიური პროგრამით მოსარგებლე, მთელ ჯგუფს საშუალებას აძლევს იხილოს თუ რა შთაბეჭდილების ქვეშაა მისი ესა თუ ის წევრი.

სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მუზეუმები ცდილობენ სასკოლო პროგრამების ჩარჩოებში მიღებულ შთაბეჭდილებებს შეუხამონ მუზეუმში მიღებული შთაბეჭდილებებიც. შესაფერისი პირობების არსებობისას, შესაძლოა ეს უშუალოდ გალერეებში მოხდეს, ან ამისათვის ცალკე აუდიტორიები ან სტუდიები გამოიყოს. ამას გარდა, ბევრ მუზეუმს, სასკოლო ტურებთან ერთად, კიდევ უფრო ვრცელი და დეტალური პროგრამები აქვს შემუშავებული იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც მუზეუმში დიდხანს დარჩენა შეუძლია, მაგ. სამხატვრო ტექნიკის დახვეწაზე მომუშავეებისათვის, რომლებსაც სამხატვრო გამოფენის დამთვალიერებამდე შეეძლება ნაივარჯიშონ ტექნიკაში. სასკოლო ტურები არის და მომავალშიც იქნება სამუზეუმო გამოფენების მნიშვნელოვანი და დინამიური ასპექტი.

8.4.2.3 აუდიო ტურები

გიდის ხელმძღვანელობით ჩატარებული საგამოფენო ტურის პოპულარული ალტერნატიული ვარიანტია აუდიო ტურები, რომლის დროსაც დამთვალიერებელს სპეციალურ ელექტრონულ აუდიო მონაცხილობას აძლევენ. მისი მოსმენა შეიძლება როგორც თავიდან ბოლომდე, ისე გამორთვა-ჩართვით ან გადახვევით, დამთვალიერებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ან საინტერესო ამბის შესაბამისად. აუდიო ტურის დროს, დამთვალიერებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს აუდიო მონაცხილობა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რის გამოც მასზე დიდი მოთხოვნაა. ამ ბოლო დროს, ასეთი აუდიო გიდების ციფრული ვერსიებიც გაჩნდა, სადაც თავისუფალი შერჩევის ტექნოლოგიაა გამოყენებული, რაც დამთვალიერებელს გამოფენის რომელიმე ექსპონატის ან ტურის ამა თუ იმ ნაწილის არჩევის კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს და ნაკლებად მოითხოვს გამოფენის ხაზოვანი განლაგების მაგივრად შემუშავებული რიგითობის დაცვას. უფრო მეტიც, ტურის

ტექსტური მასალა შესაძლოა დირექტორის ან კურატორის მიერ იყოს დაწერილი და თავადვე კითხულობდეს მას. ასე რომ, ეს ტექნოლოგია ერთდროულად გვაძლევს ღრმა შინაარსის მქონე ინფორმაციას და მისი საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას.

ზოგჯერ აუდიო ტურები ცოცხალ ვიდეოსაც ცვლიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი ურთიერთობა, როგორც ინტერპრეტაციის საშუალება, მრავალი გამოფენისათვის კვლავ განსაკუთრებით ფასეულია. აუდიო ტურების მთავარი უარყოფითი მხარე სწორედ ისაა, რომ ამ დროს მნიშვნელოვნად მცირდება ცოცხალი ურთიერთობა დამთვალიერებელთა ჯგუფის წევრებს შორის და ამდენად, ახშობს მათ შორის შთაბეჭდილებებისა და შეხედულებების გაზიარების შესაძლებლობებს, მათთვისაც კი, ვინც უარი თქვა აუდიო ტურზე. მართლაც, ცოტა უცნაურად ჩანს, ადამიანი ხალხით სავსე გალერეაში იყო, ისმენდა ინფორმაციას და ერთადერთი საკონტაქტო ნივთი შენი ყურსაცვამი იყო.

მრავალ თანამედროვე გალერეაში გამოყოფილია საგანგებოდ აღჭურვილი ტერიტორია აუდიო მონყობილობის მისაღებად და დასაბრუნებლად, ხოლო ზოგჯერ ასეთი სახის მომსახურებას სალაროში, ბილეთის აღების დროს სთავაზობენ დამთვალიერებელს. ყურსაცვამის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელი იქნება ისეთი ადგილის გამოყოფა, სადაც შესაძლებელი იქნება მისი სანიტარული საფარის გადაგდება, (ვინაიდან ყურსაცვამს ყოველი ხელახალი ხმარებისას, სანიტარულ საფარს ხსნიან). აუდიო მონყობილობის აღების ადგილებში ხშირია რიგები, რაც უმეტესად ამ მონყობილობის გაცემის და მისი გამოყენების წესების ახსნის დროს ჩნდება. ამდენად, აუცილებელია ამ მომსახურებისათვის საკმარისი ტერიტორიის გამოყოფა, ვინაიდან, როგორც წესი, მისი მომხმარებელი საკმაოდ მრავალრიცხოვანია – ხშირად დამთვალიერებელთა უმრავლესობა.

8.4.2.4 აუდიო-ვიზუალური პროგრამები

ხშირად ფოტოსურათები ან ვიდეომასალა, თავისთავად, გამოფენის შემადგენელი ნაწილებია, თუმცა, მათი ჩვენება საგანგებოდ მონყობილ აუდიო-ვიდეო ოთახებშიც შესაძლებელია, ვთქვათ, გამოფენაზე ორიენტაციის მიზნით, ან წარმოდგენილი მხატვრის ცხოვრების ამსახველი მასალის, ქალაქის ისტორიის ან ხელოსნობის ტექნიკის საჩვენებლად. ასეთი პროგრამებისთვის აუცილებელია ე.წ. ელექტრო და საინფორმაციო ქსელით აღჭურვილი და საგამოფენო დარბაზების გვერდით განლაგებული "ჭკვიანი" ოთახები, სადაც დამთვალიერებლები ფეხზე დგანან, მოაჯირებს ეყრდნობიან, გორგოლაჭებიან სკამებზე, ან თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებში სხედან. თუ სლაიდების ან სურათების ჩვენება საპროექტორო აპარატით ხდება, შესაძლოა საჭირო გახდეს საპროექტორო ჯიხურის მონყობა და ოთახის აღჭურვა დასაბნელებელი ფარდებით, თუმცა თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო ხშირია სხვა ფორმატში არსებული მასალის ციფრულ ფორმატში გადაყვანა და მათი ვიდეოეკრანებზე ჩვენება, ხოლო მათი გამოყენება ადვილად შეიძლება ფანჯრებიან ნათელ ოთახში. იგივე ტექნოლოგიის ნყალობით, შეიძლება მოხერხებულად მოთავსდეთ სკამზე და კატალოგებში, წიგნებშიან ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიების ციფრულ ასლებს გაეცნოთ.

ვიზუალური საგამოფენო ტურების დროს, ყველაზე ხშირია ვიდეოტურების ცალკე გამოყენება, როდესაც გამოფენა, ან ადგილი, სადაც ის იმართება, გარკვეული მიზეზების

გამო მიუწვდომელია მნახველისთვის. ვიდეოტურების მოწყობა "ცოცხალი ჩართვების" ტექნიკითაც შეიძლება, მაგ. რომელიმე ისტორიული მნიშვნელობის სახლის შემთხვევაში, სადაც ინვალიდთა ეტლის ასასვლელი არ არის გათვალისწინებული, ხოლო პირველ სართულზე მონიტორია დამონტაჟებული და ყველაფერი, რაც ზედა სართულზე ხდება, მასზე აისახება და ამდენად, ვიზუალური დასწრება უზრუნველყოფილია მაშინ, როდესაც ფიზიკური დასწრება შეზღუდულია. იგივე ტექნიკა გამოიყენება ძლიერ დაღარული ლანდშაფტის დროს, ციცაბო და კლდოვან გარემოში (მაგ. გამოქვაბულებში, კლდის ან უფსკრულის პირას, რთული ტრაექტორიის გზებზე ან ხის სავალ ზედაპირებზე), ასევე ჯანმრთელობისათვის სახიფათო ადგილებში, ან იქ, სადაც ნივთების დაცვა უმნიშვნელოვანესია, როგორც მაგ. სთოუნჰენჯი ან ლასკო, ან არქეოლოგიური ძეგლების ნანგრევები, სადაც ადამიანის ყოფნა აუარესებს ძეგლის მდგომარეობას. უკანასკნელ შემთხვევაში, მართალია "რეალურ ნივთთან" შეხება საკმაოდ იზღუდება, მაგრამ რაღაც სახით კონტაქტი მაინც მყარდება იქ, სადაც ეს სხვაგვარად შეუძლებელია, მნახველთა რიცხვი კი დიდია.

8.4.2.5 ვირტუალური შთაბეჭდილებები

გამოფენის ინტერპრეტაციის ტექნიკის კიდევ ერთი თანამედროვე სახეობა, რომელიც აღმავლობის გზაზეა, ინტერნეტის მეშვეობით ვირტუალური საგამოფენო ტურების მოწყობაა. ეს მეთოდი ხშირად სოციალურად ორიენტირებული, ან ფართო მასებისათვის განკუთვნილი პროგრამის როლში გვევლინება და მთავარი საკითხებისადმი მიძღვნილ ტურებს მოგვაგონებს, თუმცა არის ზოგი ვირტუალური ტური, რომელიც ძალზე სიღრმისეული და შინაარსიანია. მაგალითად, კალიფორნიის უნივერსიტეტის პალეონტოლოგიის მუზეუმი, მისი განყოფილებების გარეთ, კამპუსებში, ფიზიკურად მხოლოდ ორი-სამი გამოფენითაა წარმოდგენილი, თუმცა ვირტუალურ სამყაროში მას მრავალი გამოფენა აქვს მოწყობილი, რომელიც უამრავ საკითხს ეძღვნება და ყველა მათგანი ინტერნეტშია განთავსებული. ასეთ მიდგომას ის უპირატესობა აქვს, რომ ძალიან იაფია და ასევე, იოლია პროგრამების შეცვლა; უარყოფითი მხარე კი ისაა, რომ "ნამდვილ ნივთთან" კონტაქტი ან ძალზე შეზღუდულია, ან საერთოდ არ არსებობს, ასეთი კონტაქტი კი ცალსახად არის კოლექციების მფლობელი მუზეუმების ძლიერი მხარე.

მიუხედავად ამისა, ვირტუალური გამოფენები უეჭველად უკვე არის და შესაძლოა კიდევ უფრო მეტად გახდეს 21-ე საუკუნის სამუზეუმო პროგრამების უმნიშვნელოვანესი სფერო. გამოსახულებების ხარისხი და შესაბამის ტექსტებთან მათი დაკავშირების უნარი, რომელთა გამოყენება მომხმარებელთა ძალზე ფართო წრეს შეუძლია – მათი რიცხვი კი ხშირად გამოფენების რაოდენობას ბევრად აჭარბებს – იმის მაუწყებელია, რომ ასეთი პროგრამები არის და მომავალშიც იქნება მუზეუმის როგორც საგამოფენო, ისე საგანმანათლებლო ფუნქციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. მრავალ დიდ მუზეუმში უკვე შექმნილია ვიზუალიზაციის სამსახურები, მაშინ როცა მსგავსმა დანესებულებებმა შესაძლოა დიდი სარგებელი ნახონ მათი რამდენიმე თანამშრომლის თავდადებული და შთაგონებული მუშაობისაგან, რომლებმაც შესაძლოა შექმნან ვებ-გვერდი მიმდინარე ვირტუალური გამოფენების სამსახურისათვის. სასკოლო მიზნებისათვის კი ამგვარი გამოფენების გამოყენების პოტენციალი ეს-ესაა ამოქმედდა.

8.4.2.6 ტურები მუზეუმის “კულისებში”

მართალია, ტურები “კულისებში” სამუზეუმო პროგრამებს შორის არ განიხილება და მათგან ძალზე განსხვავებულია, ვინაიდან ასეთი ტურების დროს დამთვალიერებელს უფლება ეძლევა ნახოს მუდმივი კოლექციები, მაგრამ როგორც წესი, ეს მხოლოდ გამონაკლისის სახით, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება (მაგ. განსაკუთრებული წევრებისათვის მონყობილი მიღების დროს). არსებობს ზოგადად სამუზეუმო და კერძოდ, საგამოფენო საქმიანობის ისეთი მხარეები, რომელიც ძალიან საინტერესოა დამთვალიერებლისათვის და მრავალი მათგანი სიამოვნებით ესწრება მას. მაგალითად, მანჩესტერის მრეწველობისა და მეცნიერების მუზეუმი უკვე დიდი ხანია დამთვალიერებლის თვალწინ ატარებს მომავალი საგამოფენო ექსპონატების კონსერვაციას.

გამოფენების “კულისებში” ტურების კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითს სან-ფრანცისკოს სამხრეთით, მონტერეის ყურეში მონყობილ აქვარიუმში ვხვდებით. აქვარიუმის იმ ნაწილებთან, რომელიც დამთვალიერებლისათვის ჩვეულებრივ უხილავია, ინდივიდუალურ სტუმრებსაც (და არა მხოლოდ ჯგუფებს) უშვებენ, რაც საგამოფენო პროგრამის ნაწილია. ამ დროს აქვარიუმთან აუცილებლად მორიგეობს ერთი ან რამდენიმე მომვლელი ან მოხალისე. აქვარიუმის ბინადართა მოვლისა და არსებობის პირობები ბევრს აინტერესებს და ამდენად, თანამშრომლებისათვის შეკითხვების დასმა ნებადართულია, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქ სპეციალური ნიშნებითაა აღნიშნული ის ადგილები, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ თავიანთი ცნობისმოყვარეობა, დასვან შეკითხვები და მიიღონ პასუხები. ამ პრაქტიკას ყოველმხრივ უწყობენ ხელს აქვარიუმის თანამშრომლები, რომლებიც მზად არიან დააკმაყოფილონ სტუმრის ნებისმიერი ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს პროგრამა დიდად წარმატებულია და ყოველ სტუმარში, რომელიც სულაც არ არის გამორჩეული, ბადებს და აძლიერებს მისი, როგორც განსაკუთრებული სტუმრის, შეგრძნებას სწორედ ისე, როგორც სპეციალური წევრებისათვის მონყობილი მიღებების დროს ხდება ხოლმე.

8.4.2.7 აღმოჩენების ოთახი

აღმოჩენების ოთახი – ესაა პატარა ოთახები ან ადგილები უშუალოდ საგამოფენო გალერეებში, სამეცნიერო-კვლევით სადგურებში ან სულაც ვიტრინები, სადაც, რაც მთავარია, ნებადართულია ექსპონატების ხელით შეხება. აქ შესაძლებელია გამოფენებთან დაკავშირებული შთაბეჭდილებების მიღება უშუალო შეგრძნებების და კონტაქტის გზით. გამოფენის გზავნილების უკეთ განმარტებისა და დისკუსიებისთვის, დაშვებულია ამ ოთახებში ან მოდულებში მოთავსებული ნივთების დამუშავება, კერძოდ, უბრალო თაროების ან უჯრების მონყობა, სადაც განთავსებული იქნება საგამოფენო ექსპონატების ასლები და ბავშვები შეძლებენ შეეხონ და დაამუშავონ გამოფენაზე წარმოდგენილი ნივთების ასლები, აღმოაჩინონ ან მოიგონონ გამოფენის შინაარსთან დაკავშირებული ჯგუფური თამაშები. აღმოჩენების ყველა ოთახში, საბავშვო მუზეუმებისათვის ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისათვის დამახასიათებელი ტექნიკაა გამოყენებული, რათა ნებისმიერი ასაკის დამთვალიერებელმა შესაფერისი შთაბეჭდილება მიიღოს იქ ყოფნისას.

აღმოჩენების ოთახები ყველაზე დიდ ეფექტს მაშინ იძლევა, თუ იქ შესაბამისი მომზადე-

ბისა და გამოცდილების მქონე თანამშრომელი მუშაობს, რომელიც ნივთების ზედამხედველობასთან და საქმიანობასთან ერთად, აღმოჩენების ტექნიკის სწავლების საშუალებით, უზრუნველყოფს კრიტიკულ დამოკიდებულებას დამთვალეიერებელსა და წარმოდგენილ ნივთებს შორის და შემდეგ ამ დამოკიდებულებას განაგრძობს და აკავშირებს გამოფენის ზოგად იდეებთან და გზავნილებთან. საბავშვო მუზეუმებისათვის ამ ჩვეულებრივ მიდგომას, ახლა სულ უფრო ხშირად იყენებს ნებისმიერი სხვა მუზეუმიც.

ამ მიდგომის უმთავრესი უპირატესობა ისაა, რომ მისი გამოყენება სტატიკური საგამოფენო დარბაზის პოტენციური გამოცოცხლების საშუალებას იძლევა. ასეთი ოთახების მოსაწყობად არ არის საჭირო დიდი ფართობები – ხშირად პატარა კუთხეებიც საკმარისია და თუ ესეც არ არის, შეიძლება სამუზეუმო ვირტინების უკან განლაგებული გადასატანი უჯრებისა და თაროების გამოყენებაც.

8.4.2.8 მუზეუმის თეატრი

სამუზეუმო თეატრები სულ უფრო პოპულარული ხდება და მათზე მოთხოვნაც მუდმივად იზრდება. მსოფლიო მასშტაბით სამუზეუმო თეატრალური პროგრამების დიდი მრავალფეროვნებაა. ასეთი პროგრამების ჩარჩოები ფაქტიურად შეუზღუდავია და შეიძლება გულისხმობდეს უშუალოდ გალერეაში მონყობილ წარმოდგენებს მხატვრულ ტილოებზე ასახული პირების, ან გამოფენასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების შესახებ. ვთქვათ, პლანეტარიუმში წარმოდგენილ ერთი პირის შოუებს კოსმოსის ათვისების შესახებ. სამუზეუმო თეატრების ვერსიებს ხშირად ვხვდებით საბავშვო მუზეუმებში, სადაც ბავშვები სრულიად თავისუფალ, სპონტანურ წარმოდგენებს მართავენ თავიანთი ცხოვრების ან კონკრეტული შემთხვევის შესახებ, ხშირად თეატრის, ხანდახან კინოს – ან ტელესტუდიის გარემოში.

ლიტერატურისა და კინონდუსტრიის პოპულარობა ცხადყოფს, რომ დრამას და ამბის კარგ თხრობა-გადმოცემას, განუმეორებელი მიმზიდველობა აქვს. სამუზეუმო თეატრალური პროგრამების რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოსალოდელია, რომ ისინი ერთ-ერთ მთავარ ადგილს დაიკავებენ მუზეუმის მრავალფეროვან საქმიანობაში. ლონდონის მოძრავი გამოსახულებების თეატრი, ამ საქმის აღიარებული ლიდერია. მის საგამოფენო გალერეებში მოსულ დამთვალეიერებლებს პირისპირ ხვდებოდნენ «ცნობილი პირები». აქვე იმართებოდა სრულმასშტაბიანი თეატრალური წარმოდგენები, სადაც დამსწრე მაყურებელიც მონაწილეობდა.

ბევრად უფრო მასშტაბური შოუების დადგმის საშუალებას იძლევა სამხედრო მოქმედებების გაცოცხლება. ასეთი ხასიათის შოუ ღია ცის ქვეშ იდგმება ხოლმე. ეფექტისთვის ხელახლა ცოცხლდება გარდასულ დღეთა ბრძოლები უშუალოდ ისტორიულ ადგილებში ან მათ ახლოს. ამ წარმოდგენების დროს მთლიანად დაცულია ეპოქისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობა, შეიარაღება და ენაც კი. კონკრეტული ისტორიული პირის ცოცხლად წარმოდგენა, რომელსაც გამოფენაზე მონვეული მსახიობები მხოლოდ ჩაცმულობით კი არა, ხასიათითაც განასახიერებენ დამთვალეიერებლებთან ურთიერთობის მთელი ხნის განმავლობაში, ლამის სახვითი ხელოვნების დარგად იქცა პლიმუთ პლანტიეში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა თითოეული კოსტუმირებული მსახიობის მომზადებას მასაჩუსეტსელი პურიტანი კოლონიისტების ცხოვრების სხვადასხვა დეტალის ცოდნაში.

უფრო პატარა მუზეუმების თეატრებში შეიძლება ერთმანეთს შეერწყას ცოცხალი წარმოდგენები და სურათებისა და მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების ჩვენება, ან თეატრში შეიძლება კომპიუტერული მედია-წარმოდგენის მონყოფაც. მუზეუმში მონყობილი თეატრალური დადგმებიდან, ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებულია ე.წ. საგნის თეატრი, სადაც მთავარ როლში გამოფენაზე გამოტანილი ნივთები (ან მათი ზუსტი ასლები) გვევლინება, ხოლო დანარჩენი მოქმედება ხმოვანი და სინათლის ეფექტებითა და სხვა აუდიო-ვიზუალური წარმოსახვითი საშუალებებითაა შევსებული, რომელთა პროექცია ეკრანებზეც შეიძლება და კედლიდან ან იატაკიდან პროექტირებულ ვიდეომონიტორებზეც. წარმოდგენის სპეც-ეფექტების გასაძლიერებლად, ზოგჯერ კვამლსა და სურნელსაც იყენებენ. და მაინც, მუზეუმის თეატრალურ პროგრამებს შორის ყველაზე უფრო ეფექტური ინტერაქტიური თეატრია, სადაც თითოეულ დასაჯდომ ადგილზე დამონტაჟებულ ელექტროლილაკზე ხელის დაჭერით, მაყურებელი ხმას აძლევს კონკრეტული წარმოდგენის ამა თუ იმ მნიშვნელოვან ადგილს.

მართალია, ამ უნარის უფრო მოკრძალებული დადგმა და წარმოდგენა გორგოლაჭებიანი სკამებით აღჭურვილი მრავალმხრივი დანიშნულების ოთახის ჩვეულებრივი ერთდონიანი იატაკის პირობებშიც შეიძლება, მაგრამ ბევრად უფრო ეფექტურია, თუ წარმოდგენა სპეციალურად ამ მიზნისთვის აშენებულ, ფიქსირებული დასაჯდომი ადგილებისა და ამაღლებული სცენის მქონე მუზეუმის თეატრში გაიმართება, სადაც მაყურებლები უკეთ დაინახავენ მიმდინარე მოქმედებას და უკეთეს შთაბეჭდილებებსაც მიიღებენ. ასეთ თეატრებში შესაძლებელი უნდა იყოს დარბაზის დაბნელება და მისი აკუსტიკური მონყობილობით აღჭურვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს თეატრები საგამოფენო დარბაზების გვერდითაა, სადაც ზოგჯერ ხმაურია. საპროექციო ჯიხურების ტექნიკურად დახვეწასთან ერთად, თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელი უნდა იყოს ციფრული ფორმატის გამოსახულებების გაშვება, ძალზე ხშირად კი, ჯიხური ანალოგური გამოსახულებების ციფრულ გამოსახულებებზე გარდაქმნის საშუალებებით უნდა იყოს აღჭურვილი. ამ წიგნის 7.3-7.5 ნაკვეთებში განხილულია სამუზეუმო თეატრალური პროგრამების მრავალი სხვა ასპექტი.

8.4.2.9 დემონსტრაცია

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების პროგრამების მთავარი დანიშნულებაა დემონსტრაცია. სამუზეუმო პროგრამების ეს ტიპი უნარის, მოსაზრების ან პრინციპის (ხშირად თეატრალური) ილუსტრაციისათვის გამოიყენება. მართალია, დემონსტრირება მუზეუმის თეატრის მონათესავეა, მაგრამ მისგან მაინც განსხვავდება, ვინაიდან ხდება დემონსტრატორის მიერ გამოფენასთან დაკავშირებული ამა თუ იმ უნარის წარმოჩენა-დემონსტრირება, როგორცაა მაგ. კაჟის ნუკლეუსებიდან ანატკეცების ატკეცვის ტექნიკის დემონსტრირება არქეოლოგიური გამოფენების დროს, ან ლიდის იარაღის სამეფო მუზეუმში შუა საუკუნეების იარაღის გამოფენაზე, მათი გამოყენების ხერხების დემონსტრირება. დემონსტრაციის დროს შესაძლებელია რაიმე პრაქტიკული პროცესის ჩვენება, მაგ. სამეცნიერო ცენტრში ქიმიური ექსპერიმენტის სახით, ან როგორც ნიუ-იორკის ჩრდილო გარეუბანში მდებარე კორნინგის მინის მუზეუმშია – მინის გაბერვის ტექნოლოგიის დემონსტრაცია.

სადემონსტრაციო ადგილების მონყოფა უშუალოდ საგამოფენო გალერეების ტერიტორიაზეც შეიძლება, მრავალფუნქციურ ოთახშიც და მუზეუმის თეატრშიც, როგორც მაგ.

კორნინგში. დემონსტრაციის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მრავალ პროცესში ძალზე ხშირად ცეცხლი და წყალია საჭირო, რაც თავის მხრივ უსაფრთხოებისა და უშიშროების საკითხების გათვალისწინებას მოითხოვს, ეს კი ნიშნავს, რომ ამ საქმეში მუზეუმის სახანძრო და უშიშროების სამსახურების ჩართვა არის აუცილებელი. დემონსტრაციისათვის საჭირო ფართის სიდიდე თვით ამ პროცესის პოპულარობაზეა დამოკიდებული – რაც მეტი ხალხი ადევნებს თვალყურს ამა თუ იმ პროცესს, მით დიდი ფართი სჭირდება მას. დამთვალეირებლებისთვის შეიძლება როგორც უბრალო სადგომი ადგილების, ისე დასაყრდნობი მოაჯირების ან დასაჯდომი ადგილების მოწყობა.

დემონსტრაციის, როგორც სამუზეუმო პროგრამის ერთ-ერთი ტიპის, წარმატებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მხარე თვით დემონსტრატორის ენთუზიაზმი, კომუნიკაციისათვის საჭირო უნარი და მისი პიროვნული თვისებებია. “ინდიანა ჯონსი” ან “ბილ ნეი – მეცნიერი ბიჭი” ნახევრად რეალური და ნახევრად გამოგონილი გმირები არიან, რომლებიც შეიძლება განასახიერონ როგორც შტატიანმა თანამშრომლებმა, ისე შთაგონებულმა მოხალისეებმა. ისეთ სამუშაოზე მიღების დროს, რომელიც საზოგადოებრივ პროგრამებზე მუშაობასაც ითვალისწინებს, აუცილებელია შემომდეს, აქვთ თუ არა მსურველებს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ყველა თვისება.

8.4.2.10 ლექციები და ფილმები

გამოფენების მხარდასაჭერად და მათი მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად შემოღებული პროგრამებიდან, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებაა ლექციები და ფილმები. როგორც წესი, ლექციას დარგის ცნობილი ავტორიტეტი პირადად კითხულობს (რომლის დროსაც ხშირად გამოიყენება ფერადი სლაიდები ან სხვა ვიზუალური მასალა), რაც სიღრმისეულ განსჯასთან ერთად, ადამიანური ურთიერთობების დამყარების დიდ უპირატესობასაც გულისხმობს.

სამუზეუმო ლექციებისა და ფილმების უმრავლესობა, როგორც წესი, უმთავრესად კონკრეტული საკითხებით დაინტერესებულ მოზრდილ აუდიტორიაზეა გათვლილი და ამდენად, არ შეიცავს გართობის ელემენტებს. ამ დროს მთელი ყურადღება ისეთ მიდგომაზეა გადატანილი, რომელიც შინაარსის სიმდიდრესა და სიღრმეს უზრუნველყოფს. კინოპროგრამები შესაძლოა ძალიან პოპულარული იყოს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთ ქვეყანაში ან ერთი რეჟისორის მიერაა გადაღებული, სერიების სახითაა წარმოდგენილი და ამომწურავად აშუქებს ერთ კონკრეტულ საკითხს.

ყველაზე მეტად პოპულარულია IMAX-ით ან სხვა ფართო ეკრანით აღჭურვილ თეატრებში წარმოდგენილი პროგრამები. ასეთი ეკრანები განსაკუთრებით ეფექტურია სამეცნიერო ცენტრებისა და ბუნების ისტორიის მუზეუმების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დამთვალეირებელთა მოსაზიდად, სადაც ფართოეკრანიანი ფილმების უდიდესი ნაწილი გეოგრაფიული შინაარსისაა. კიდევ უფრო შორს მიდის სიმულაციური თეატრები – მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც დიდი, ისე მცირე ფორმატით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხედრო და სატრანსპორტო მუზეუმებისათვის, სადაც დამთვალეირებლებს უნდა შეექმნათ სწორი წარმოდგენა გამოფენილი სატრანსპორტო საშუალების სიჩქარისა და სიმძლავრის შესახებ. ხშირად, ასეთ გამოფენებს ძალზე საინტერესო და ამაღლებელი ისტორიები ახლავს. ამ წიგნის 7.5 ნაწილში ეს პროგრამები უფრო დეტალურადაა აღწერილი.

8.4.2.11 საგანგებო ღონისძიებები

“საგანგებო ღონისძიებად” შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მოიცავს ზემოთ აღწერილი ვითარებების ნებისმიერ კომბინაციას, ან უფრო მეტს. გამოფენისადმი მედია-საშუალებებისა და საზოგადოების ინტერესის გამოცოცხლების მიზნით, საგანგებო ღონისძიებების ტურის ჩატარება, გამოფენის ვადის ნებისმიერ მომენტშია შესაძლებელი. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო ქმედითი საშუალებაა იმისათვის, რომ ინფორმაციის მასობრივი საშუალებების წყალობით, გამოფენა პოტენციური დამთვალიერებლის თვალსაწიერში დარჩეს, ვინაიდან როგორც წესი, გახსნის შემდეგ გამოფენა აღარ არის ახალი ამბავი და ამიტომ მუზეუმი მზად უნდა იყოს, რომ თუნდაც აღნიშნული საშუალებით, გამოფენა კვლავ დარჩეს ყურადღების ცენტრში.

ესა თუ ის ღონისძიება საგანგებოდ შეიძლება გადაიქცეს იმიტომ, რომ მის ჩარჩოებში იმ ღონისძიებების გარკვეული რაოდენობა ტარდება, რომელთა მეშვეობითაც იგი იღებს “კრიტიკულ მასას”, მიმზიდველი ხდება დამთვალიერებელთა ფართო წრისთვის. არის კიდევ ერთი პირობა – ასეთი ღონისძიება აუცილებლად მცირე ხანს უნდა გრძელდებოდეს (მთელი დღის ან შაბათ-კვირის განმავლობაში) და მუზეუმის ჩვეულებრივი საქმიანობიდან განსხვავებულ მოვლენად უნდა წარმოჩინდეს.

ისტორიულ ადგილებში შესაძლებელია როგორც საგანგებო ღონისძიებების ან დიდმნიშვნელოვანი მოვლენების თარიღების, ასევე ადამიანთა ცხოვრების ღირსახსოვარი ეტაპების აღნიშვნა. ზოგიერთი მუზეუმი მოხარულია მონაწილეობა მიიღოს ასეთ განსაკუთრებულ ღონისძიებებში, რომლებსაც მისი პერსონალის ნახევარი, ზოგჯერ კი უფრო მეტიც ესწრება, ზოგ მუზეუმს კი საგანგებო ღონისძიებები, თავისი თანამშრომლების საზღვარგარეთ, მაგ. გამოფენის მესაკუთრე ქვეყნის მთავარი არქეოლოგიური ძეგლების მიმოხილვით ტურში გაგზავნის საშუალებას აძლევს.

8.4.2.12 გასვლითი და სოციალურ ჯგუფებზე ორიენტირებული გამოფენები

გასვლითი პროგრამა მუზეუმის გამოფენის ან მისი კომპონენტების სხვა ადგილებში გატანას გულისხმობს, სადაც ისინი ფართო საზოგადოებისათვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომი გახდება. ასეთი პროგრამების დროს ორიგინალები იშვიათად გააქვთ – ძირითადად, ასლები, რეპროდუქციები და ფოტოსურათები მოგზაურობს. ასეთი პროგრამების ჩარჩოებში შესაძლებელია გამოფენების საავადმყოფოებში, ან თუნდაც ქალაქების ხელმძღვანელთა სახლებში მოწყობა ძირითადად იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც უჭირთ მუდმივი გამოფენის ადგილებში მოხვედრა. იმავე პროგრამის ჩარჩოებში, ფართო საზოგადოების დაინტერესების და მოზიდვის მიზნით, შესაძლებელია ექსპონატების განთავსება ბიბლიოთეკებში ან სავაჭრო ცენტრებშიც.

მეორე მხრივ, სოციალურ ჯგუფებზე ორიენტირებული პროგრამების წყალობით, მუზეუმი ცდილობს მოიზიდოს დამთვალიერებლები ისეთი ფენებიდან, რომლებიც ტრადიციულად არ იყენებენ მუზეუმების შესაძლებლობებს, როგორცია, მაგ. მცირე შემოსავლის მქონე ოჯახები ან კონკრეტული ეთნიკური ჯგუფები, საიდანაც მუზეუმში მოსულთა რაოდენობა ძირითადი მოსახლეობის არაპროპორციულია. გასვლითი გამოფენები ასეთ

შემთხვევაში საუკეთესო საშუალებაა.

როგორც სოციალურ ჯგუფებზე ორიენტირებულ, ისე გასვლით გამოფენებს, მუზეუმის კედლებს მიღმა გააქვთ მათი საქმიანობის შინაარსი, იდეები, რითაც ხელს უწყობენ მეტი დამთვალიერებლის მოსვლას მუზეუმში. ამ პროგრამების ორგანიზება სხვა სამყაროშიც შეიძლება (სკოლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში ან სხვა ადგილებში), ხოლო ახლა სულ უფრო ხშირია მათი ინტერნეტში განთავსების შემთხვევები. გამოყენებული მედია საშუალების მიუხედავად, იდეალური შედეგი ისაა, რომ ისინი ვიზიტორს მუზეუმში მოსვლისაკენ უბიძგებენ, სადაც იგი უშუალოდ მიიღებს შთაბეჭდილებას ისეთ გარემოში, რომელიც მას უამრავ სიახლეს შეატყობინებს, შთააგონებს და ააღვლევს. ასეთი პროგრამებისთვის ხშირად მრავალი სხვადასხვა საშუალებაა საჭირო, მათ შორის მუზეუმის სხვადასხვა საამქროები და გადასატანი საშუალებები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გრაფიკული გამოსახულებების სტენდები ან შოუს შემადგენელი სხვა მასალები გადააქვთ. სასკოლო გამოფენების, ან სხვა მომხმარებლებისათვის შემუშავებული ნაკრებებისთვის, ხშირად ვრცელი სასაწყობო ფართობებია საჭირო.

მუზეუმის საზოგადოებრივი პროგრამები არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთაღწერილი თორმეტი სახეობით. მათ გარდა, ყოველ დანესებულებაში შეიძლება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნიკალური პროგრამის შემუშავება. შემოქმედებითი მიდგომა საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი პროგრამების განხორციელების დროს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გამოფენის ხარისხს და გაზრდის მათ ზემოქმედებას დამთვალიერებელზე. ამგვარად, ნიგნის ეს ნაწილი შეგვიძლია დავასრულოთ იმ გაფრთხილებით, რომ თუ შედგენილი პროგრამები არ შეესაბამება გამოფენას ან დანესებულებას, ისინი წარმატებული ვერ იქნება. სადღეისოდ, მუზეუმებში საზოგადოებრივი პროგრამების დიდი და მუდმივად მზარდი მრავალფეროვნებაა და უეჭველია, რომ ეს ტენდენცია არ შეიცვლება. მაგრამ ამასთან, ამ პროგრამებმა არ უნდა დაჩრდილონ მუზეუმის მთავარი ფუნქცია, რომელიც აუთენტურ ორიგინალურ ნივთებზე და ცოდნაზეა ფოკუსირებული. წარმატების მთავარი საწინდარი კვლავ არის ისეთი პროგრამების განხორციელება, რომელიც უკეთ აცნობს საზოგადოებას როგორც გამოფენის ძირითად გზავნილებს, ისე მუზეუმის ძირითად დანიშნულებას.

გამოფენების დაფინანსების დაგეგმვა და მართვა

სამუზეუმო გამოფენების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასთან და გართულებასთან ერთად, მათი ფინანსური დაგეგმვა და მართვაც გართულდა. გამოფენების დაგეგმვის ჯგუფში საწყისი ეტაპებიდანვე აუცილებელია ფინანსური ადმინისტრატორის ან ისეთი პირის ჩართვა, რომელიც შესძლებს ხარჯთაღრიცხვის შედგენას და მთელ პროცესში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. მათი პასუხისმგებლობის სფეროში შედის მოლაპარაკებები პოტენციურ სპონსორებთან, გამოფენის საპროექტო გადაწყვეტილებების კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების განსაზღვრა, დამთვალეიერებელთა მოსალოდნელი რაოდენობის გათვლა და გამოფენიდან მიღებული შესაძლო უკუგების გამოანგარიშება.

როგორც წესი, სამუზეუმო გამოფენების პროექტების შემუშავებისას, თავს იჩენს ორი სახის ფინანსური სირთულე:

- მუდმივი კოლექციების ბაზაზე შექმნილი ახალი ან განახლებული გამოფენების კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების დაგეგმვა და მართვა და მათი დაბალანსება გამოფენისათვის გამოყოფილი სამთავრობო გრანტებიდან, კორპორაციული სპონსორებისაგან ან კერძო შემოწირულობებიდან მიღებულ შემოსავლებთან.

- მოქმედი დროებითი საგამოფენო პროგრამების მიმდინარე ხარჯების დაგეგმვა და მართვა და მათი დაბალანსება სპეციალურად გამოყოფილი თანხებიდან, სანევრო გადასახადებიდან, საცალო ვაჭრობიდან, საკვები პროდუქტების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებთან და ზოგ შემთხვევაში, მუზეუმის მიერ თავისი ექსპონატების გაქირავებით ან მოძრავი გამოფენების სხვა მუზეუმებში გამოფენით მიღებულ გადასახადებთან.

წიგნის ამ ნაწილში მოყვანილია ხსენებული სირთულეების წარმატებით მოგვარების ორი მაგალითი. ერთ მათგანში განხილულია ამერიკის ისტორიის ეროვნული მუზეუმის მიერ (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი) თავისი მუდმივი კოლექციების გამოფენისათვის შედგენილი გამოფენის ბიუჯეტის ნიმუში, ხოლო მეორეში – მანჩესტერის (დიდი ბრიტანეთი) მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმის დროებითი საგამოფენო პროგრამის ფინანსური დაგეგმვის და მართვის მაგალითი.

9.1 გამოფენის ბიუჯეტის ნიმუშის შემუშავება

მარტა მორისი

გამოფენის, ისე როგორც მუზეუმის სხვა საქმიანობის დაგეგმვა, ყველაზე ეფექტურია, თუ იგი მთელი მუზეუმის სტრატეგიული გეგმის ნაწილია. ხშირად, ამ პროცესის დასრულებისთანავე მუზეუმი ახალი პრობლემის – მისი ამბიციური გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება ხოლმე.

ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, მდებარე ამერიკის ისტორიის ეროვნული მუზეუმი (NMAH), რომელიც ერთ-ერთია სმითსონის დაწესებულებაში შემავალი მუზეუმებიდან, წარმატებით შეეჭიდა ამ პრობლემას. ამ ნაწილში განხილულია ამერიკის ისტორიის ეროვნული მუზეუმის გამოცდილება გამოფენების ფინანსური დაგეგმვის და მართვის სფეროში, რომელიც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს ურჩევს გაითვალისწინონ, რომ:

- ბიუჯეტის შედგენისა და დაგეგმვის ფუნქციების ურთიერთდაკავშირება სტრატეგიული გეგმების განხორციელების ძირითადი პირობაა;

- საგამოფენო პროექტების რეალური დაგეგმარება და მათ მიმართ ყოვლისმომცველი მიდგომა, მართებული ადრეული შეფასებები, უზრუნველყოფს სანდოობას დამფინანსებლების, სამთავრობო სტრუქტურების და მუზეუმით დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან;

- ბიუჯეტის შემუშავება და განხორციელება აუცილებლად მოითხოვს მუზეუმის ყველა სამსახურის ჩართვას ამ პროცესში და ხელმძღვანელობის მხარდაჭერას;

- ავტომატიზაციის წყალობით შესაძლებელია უფრო დახვეწილი, მოქნილი, დროული და მომხმარებლისათვის ადვილად გამოსაყენებელი მიდგომების გამოყენება გამოფენის ბიუჯეტის დაგეგმვის და მართვის დროს;

- ბიუჯეტის სწორი გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია წინა დანახარჯების ანალიზის და შედეგების გათვალისწინება, უფრო სანდო სამომავლო გათვლები და ამ პროცესში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა და გამოსწორება.

9.1.1 სტრატეგიული გეგმების შემუშავება: ცვლილებების კატალიზატორი

ამერიკის ისტორიის ეროვნული მუზეუმი უდიდესი მუზეუმია აშშ-ში, სადაც 3 მილიონზე მეტი ექსპონატია დაცული. 700.000 კვადრატული ფუტი (65.000მ²) ფართობის მქონე შენობა 1964 წელს გაიხსნა და ყოველწლიურად 6.000.000-მდე დამთვალიერებელს მასპინძლობს. ძალზე აქტიურ და გადატვირთულ პროგრამას 400 თანამშრომელი ემსახურება. დამთვალიერებელთა მომსახურებისათვის მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ამოქმედებულია კოლექციების მართვის, საგამოფენო, საგანმანათლებლო, გასვლითი და სოციალურ ჯგუფებზე ორიენტირებული პროგრამები. ამერიკის ისტორიის ეროვნული მუზეუმი სმითსონის დაწესებულების 16 მუზეუმიდან ერთ-ერთია და იგი თითქმის მთლიანად, 70%-ით აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაგრამ ფედერალური დაფინანსების მავნე ზემოქმედებების პირველმა ათწლეულმა, სხვებთან ერთად, ეს მუზეუმიც აიძულა თავისი ძირითადი პროგრამების განხორციელების დროს ეძებნა შემოსავლის საკუთარი წყაროები.

ყველა სხვა მუზეუმის მსგავსად, ამერიკის ისტორიის ეროვნულ მუზეუმსაც ჰქონდა ცვლილებებისა და ძიების პერიოდები. 1980-იან წლებში მუზეუმი მუდმივად მართავდა თანამედროვეობის შესაფერის მრავალდისციპლინურ გამოფენებს. გამოფენები "მინდვრებიდან ქარხნებამდე", "უფრო სრულყოფილი კავშირი" და "ცვლილებათა ძრავები", გადმოგვცემდნენ ამერიკის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიას, ბრძოლებს და მიღწევებს, სადაც აქცენტი გადატანილი იყო ქვეყნის სოციალურ და კულტურულ ისტორიაზე. გამოფენებისა და საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობის დროს, მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა მრავალ სხვადასხვა დაწესებულებასთან. განხორციელდა კოლექციების კატალოგიზაცია კონტექსტურად მათთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან ერთად, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, ზეპირი ინფორმაციის ჩათვლით. მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა თანამედროვე სოციალური ისტორიის ამსახველი კოლექციების შექმნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა მუსიკა, პოპ-კულტურა და სამოქალაქო უფლებები. მოსულ სტუმრებს ახალი, გაცილებით ვრცელი და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამე-

ბი შესთავაზეს, მათ უფლება ჰქონდათ შეხებოდნენ ექსპონატებს, უშუალოდ გაცნობოდნენ მსახიობების მიერ გაცოცხლებულ პერსონაჟებს და უფრო ინტერაქტიულები ყოფილიყვნენ გამოფენის მიმართ.

1990-ანი წლების დასაწყისი მუზეუმისთვის დრამატული ცვლილებების პერიოდი იყო. ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსების მკვეთრად შემცირებისა და საზოგადოებრივი და კერძო დაფინანსებლების მხრიდან ძლიერი ზენოლის გამო, მუზეუმის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე დაფინანსების პრობლემა ძალზე მწვავედ დადგა. გასულ ათწლეულში მრავალი მუზეუმისთვის ნათელი გახდა, რომ ისინი სულაც არ არიან დაცულები გლობალიზაციის საერთო ტენდენციისაგან, შემცირებების, კონკურენციისა და მომხმარებლების მხრიდან მუდმივად მზარდი მოთხოვნებისაგან, რაც ესოდენ კარგად იყო ცნობილი კომერციული სექტორის დაწესებულებებისთვის.

სწორედ ამ კონტექსტში წამოიწყო ბ-მა სპენსერ ქრიუმ, მუზეუმის ახალმა დირექტორმა, მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებისათვის სტრატეგიული გეგმის შემუშავების და განხორციელების პირველი მცდელობა. თვრამეტვიანი მუშაობის პერიოდში მთელ მუზეუმში გაძლიერებულად სწავლობდნენ შიდა საქმიანობის ყველა სფეროს და მუზეუმს გარეთ არსებულ გარემოს. დანიშნულების შესახებ ახალი კონცეფციის შექმნის, ახლებური ხედვის, ახალი მიზნების და ღირებულებების დანერგვის გზით, ქრიუმ და მისმა გუნდმა მტკიცედ განიზრახეს შეექმნათ ახალი მუზეუმი. ამ მუშაობის შედეგად შემუშავდა ექვსი კარგად დაბალანსებული საზოგადოებრივი და შიდა-სამუზეუმო მიზანი შემდეგ სფეროებში:

- დამთვალეირებლები (აუდიტორია)
- სამეცნიერო მუშაობა
- კოლექციები
- ინფრასტრუქტურა
- ფინანსები და მართვა
- ხალხი

მუზეუმის ახლადგაცხადებული მისია და მისი ადგილის განსაზღვრა, უმთავრესად საზოგადოების მომსახურებაზეა ორიენტირებული და გულისხმობს უმაღლესი დონის სამეცნიერო მუშაობას, საუკეთესო პროგრამების შექმნას და მთელი ქვეყნის მასშტაბით გასვლითი და სოციალურ ჯგუფებზე ორიენტირებული გამოფენების მოწყობას.

9.1.2 გარდაქმნების დეტალური გეგმები

დამთვალეირებელთა ინტერესების დანვრილებით შესწავლის საფუძველზე, შემუშავდა მუზეუმის ფიზიკური გარდაქმნის დეტალური და მეტად ამბიციური ათწლიანი გეგმა. მრავალი ახალი გამოფენისა და დამთვალეირებლების შთაბეჭდილებების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, მუზეუმმა მთელი ყურადღება და ძალისხმევა ახლად შერჩეული ყოველის-მომცველი თემისაკენ – “ამერიკული იდენტიფიკაცია” – გადაიტანა. რას ნიშნავს იყო ამერიკელი? რას წარმოადგენს ამერიკის განსაკუთრებული ღირებულებები და გამოცდილება, რომელია საერთო და რომელი – განმასხვავებელი იდეები? როგორ განიხილება თანამედროვე მსოფლიო ამერიკის ისტორიის გადასახედიდან? დეტალური გეგმები ისე შემუშავდა, რომ მომხდარიყო:

- ჩვენი კოლექციების უმნიშვნელოვანესი ექსპონატების შენარჩუნება და მათი შტამ-

ბექდავად წარმოდგენა;

- განახლებული მრავალდისციპლინური გამოფენების მონყობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ახალი თემები ამერიკის შეერთებულ შტატების მოსახლეობაში; აშშ-ს პრეზიდენტის როლი და უფლება-მოვალეობები; ტრანსპორტი; პოპ-კულტურა; საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური ზემოქმედება;

- აშშ-ს ისტორიის წარმოჩენა ამ საკითხებში საორიენტაციო ცენტრის საშუალებით;
- მნახველთა ორიენტაციის გასაადვილებლად, მუზეუმის საჭირო რაოდენობის ნიშნებითა და გზამკვლევებით უზრუნველყოფა, კეთილგანწყობილი გარემოს და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

- მეტი ფართობის გამოყოფა სწავლებისთვის როგორც ელექტრონული, ისე ექსპონატებთან უშუალო კონტაქტის გამოყენების მეთოდებით;

- სხვადასხვა თაობის დამთვალეირებელთა ჯგუფების და აუდიტორიის მოზიდვა, კონტაქტის დამყარება ახლადმიგრირებულ ან ისეთ მოსახლეობასთან, რომელიც ნაკლებად სარგებლობს მუზეუმის მომსახურებით;

ასეთი ფიზიკური ცვლილებების განსახორციელებლად აუცილებელი გახდა 300.000 კვადრატულ ფუტზე (28.000 მ²) მეტი ფართობის განახლება, რასაც, ჩატარებული გათვლების თანახმად, 200 მილიონი აშშ დოლარი სჭირდებოდა.

9.1.3 გეგმების განხორციელება

მუზეუმები არასდროს განიცდიან იდეების ნაკლებობას. მაგრამ ძალიან ხშირად, როგორც კი შემუშავებული გეგმების რეალურად განხორციელებას დაიწყებს, მუზეუმის სისტემა შოკში ვარდება. საიდან მოდის საჭირო რესურსები? მუზეუმის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ საქმეში, საკუთარი ბიუჯეტის ჩათვლით, აუცილებელია მართვის საუკეთესო სისტემებისა და მეთოდების გამოყენება.

ჩვენს მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა გადავდგით ნაბიჯები ისეთი სფეროების რეორგანიზაციის მიზნით, როგორიცაა ეფექტურობა, ხარისხი და ხელმძღვანელობის სიმტკიცე და ძლიერება. ახალ საორგანიზაციო სტრუქტურაში, მინიმუმამდე შემცირდა დამოუკიდებელი და არაკოორდინირებული სამსახურების რიცხვი. გადაისინჯა და ხელახლა დაიგეგმა კომუნიკაციის ყველა პროცესი, როგორც მუზეუმში მოსული, ისე მუზეუმს გარეთ მყოფი მომხმარებლების მომსახურების გასაუმჯობესებლად. თანამშრომელთა მომზადების პროგრამების ჩარჩოებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკომუნიკაციო უნარის განვითარებას, გუნდური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას, პროექტის ეფექტურ მართვას და საზოგადოების ისტორიის კურსების შემუშავებას.

მართვის სისტემის გარდაქმნის ყველაზე მკაფიო ნიშანია კრიტიკრიუმების განსაზღვრის და მათი მიხედვით შეფასების მეთოდის დანერგვა. კერძოდ, ვინაიდან შემუშავებული გეგმების მთავარ კომპონენტს გამოფენები წარმოადგენდა, კრიტიკრიუმების განსაზღვრის დროს ძირითადად ყურადღება ექცეოდა სხვა მუზეუმების გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკული შედეგების შესწავლას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: გამოფენების მონყობის ნესები, გადანყვებილებების მიღების სისტემა, რესურსების მოზიდვა და შეფასება.

შესაფერისი სისტემების შემუშავების შემდეგ, ამერიკის ისტორიის ეროვნულმა მუზეუმმა

მა ახალი რესურსების მოზიდვაზე დაიწყო ფიქრი. ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმების განხორციელების პროცესში, მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, დავაარსეთ საქვეყნოდ ცნობილი მრჩეველთა საბჭო, საჭირო სახსრების მოსაზიდად ნამოვიწყეთ ძალზე დიდი კამპანია, დავიწყეთ დონორის ძიება, საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის მოსაპოვებლად განვახორციელეთ მუზეუმის გაცნობიერების დონის ასამაღლებელი დამაჯერებელი ზომები და განვსაზღვრეთ ზედამხედველობის ეფექტური მეთოდები.

პირველი გაკვეთილების შედეგი ის იყო, რომ უმოკლეს ვადაში გავაცნობიერეთ მუზეუმის ახალ რელსებზე გადაყვანის აუცილებლობა. გარე დამფინანსებლებთან მუშაობამ გვაჩვენა, რომ აუცილებელი იყო გვესწავლა პასუხების სწრაფად გაცემა – დაფინანსების შესახებ წინადადებების განხილვის თვებობით გადადება შეუძლებელი იყო. უფრო მეტი მოქნილობის გამომუშავება და საზოგადოების მხრიდან ნაყენებული მოთხოვნებისათვის ანგარიშის განწევა, წარუმატებელი პროექტების მიერ ნაჩვენები რეალობების გათვალისწინება, გაურკვეველ და ცვალებად გარემოში მოქმედება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

9.1.4 გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელი

ჩვენი კამპანიის წინსვლასთან ერთად, დავიწყეთ ჩვეს მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელება და მალე გავაცნობიერეთ, რომ აუცილებელი იყო შეგვეცვალა ჩვენი მიდგომა ბიუჯეტის შედგენის მიმართ. ამ დარგში რამდენიმე წამყვანი თანამშრომლის გამოცდილებაზე დაყრდნობით აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი წინასწარი გაანგარიშებები მიუღებელი იყო. შედეგად, იძულებულები გახდით შეგვეცვალა გამოფენის გახსნის თარიღები, მოგვეძებნა დამატებითი ფინანსები, ან შეგვემცირებინა გამოფენის მასშტაბები.

ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ აუცილებელი იყო გადანყვეტილებების მიღების წესის მკაცრი დაცვა, რათა საკუთარი თავიცა და გარე დამფინანსებლებიც დაგვერწმუნებინა ბიუჯეტის სანდოობაში. ამასთან, გამოფენების მომზადების პროცესში მუზეუმს ახალ, მანამდე უცნობ სფეროებთან მოუხდა დაკავშირება, ვინაიდან გამოფენის პროექტის უდიდესი ნაწილის და მრავალი არქიტექტურული და სანარმოო ელემენტების შესრულება მესამე მხარის კონტრაქტორებს დაევალებათ, რაც ხშირად ახალ ტექნოლოგიურ კომპონენტებს შეიცავდა. ზოგი პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი გახდა არქიტექტურული ინფრასტრუქტურის საფუძვლიანი განახლება. შტატების შემცირების გამო, მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად ყოფნა უკვე შეუძლებელი იყო მუზეუმისათვის, თვით ისეთი ფუნდამენტური საქმიანობის დროსაც კი, როგორცაა ექსპონატების კონსერვაცია.

ყველა ახალი ინიციატივისათვის ჩვენთვის სასურველი და მისაღები ხარჯთაღრიცხვის შესამუშავებლად, მუზეუმმა ბიუჯეტის სტანდარტული მოდელი შექმნა. ეს მოდელი ნებისმიერი გამოფენის პროექტის ქვაკუთხედი და საყრდენი გახდა, განსაკუთრებით მისი შემუშავების ადრეულ ფაზაზე. არაფერი მტკიცდებოდა წინასწარ შემუშავებული, ყოვლისმომცველი და რეალური საბიუჯეტო გათვლის და ხარჯთაღრიცხვის გარეშე.

ასეთი შაბლონის შემუშავებისას მუზეუმის ხელმძღვანელობამ გამოიყენა სტრატეგიული გეგმების შემუშავების დროს ნაცადი მეთოდი: სისტემის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ის შიდა ჯგუფები და ექსპერტები, რომლებსაც შემდგომ მისი განხორციელება დაევალებოდათ. ახალი საბიუჯეტო შაბლონის შემუშავებაში მუზეუმის ყველა სამსახურს უნდა მიეღო მონაწილეობა: რეგისტრატორებს, რესტავრატორ-კონსერვატორებს, კონსტრუქ-

ტორებს და არქიტექტორებს, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტებს, შენობის კომენდანტებს, საზოგადოებრივი პროგრამების სპეციალისტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგანგებო შემთხვევებზე პასუხისმგებელ და ადმინისტრაციულ სამსახურებს.

ხარჯთაღრიცხვების შედგენის და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესების გზების მისაგნებად, ჯგუფმა გონებრივი შეტყევის – ბრეინშტორმინგის, მეთოდი გამოიყენა. ამ საუბრების შედეგად შემუშავდა რეკომენდაცია ერთი უნივერსალური სისტემის – გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელის შემუშავების შესახებ. განისაზღვრა რამდენიმე ძირითადი მიზანიც. ესენია:

- გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელი ყოვლისმომცველი უნდა იყოს და ახალი გამოფენის მოწყობის და მისი გრძელვადიანი მომსახურების ყველა ხარჯს უნდა ასახავდეს – როგორც პირდაპირს, ისე ირიბს, საგანგებო და გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით;
- ნებისმიერი ბიუჯეტი უნდა შედგებოდეს ხარჯების კატეგორიებად გაერთიანებული სანდო და მისაღები საბიუჯეტო მუხლებისაგან;
- ხელმძღვანელობისათვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ზოგადი მიმოხილვის დროს, აუცილებელი უნდა იყოს შაბლონი და ამასთან, მას მუდმივად უნდა იყენებდნენ გამოფენის პროექტის და ფუნქციური მენეჯერები;
- აუცილებელია ბიუჯეტის ელექტრონული ვერსიის შექმნა ციფრების ხშირი ცვლის გასაადვილებლად და ისეთი ანალიტიკური საშუალებების სანარმოებლად, როგორცაა ანგარიშები ნაღდი ფულის მიმოქცევის შესახებ, ანგარიშები თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვის შეცვლის მოთხოვნების შესახებ და ანგარიშები დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სახსრების ხარჯვის შესახებ;
- შაბლონის გამოყენების ერთ-ერთი შედეგი უნდა იყოს ზუსტი ხარჯთაღრიცხვა;
- შაბლონი ზედმინევით უნდა ემთხვეოდეს პროექტის განხორციელების ყველა სტადიას და უზრუნველყოს ხარჯების აღრიცხვის სიზუსტე.

9.1.5 გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელის დანერგვა და რეალიზაცია

გამოფენის ბიუჯეტის შაბლონში შესულია ფუნქციური მოთხოვნილებების სრული ნაკრები, სამეცნიერო სამუშაოებიდან საზოგადოებრივ პროგრამებამდე. ამ პროექტზე მუშაობის დროს გამოფენის მოსამზადებელი გუნდი ერთის მხრივ, შიდასამუზეუმო საქმიანობის დეტალური ცოდნისა და ადრინდელი ხარჯთაღრიცხვების მონაცემების საფუძველზე მოქმედებდა, მეორეს მხრივ კი კრიტერიუმების განსაზღვრის და საკითხების მათი მიხედვით შეფასების დროს ჩამოყალიბებულ იდეებს დაეყრდნო. გუნდმა შეიმუშავა აუცილებელი თანმიმდევრული მოქმედებების სტანდარტული სქემა, რომელიც გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელის კატეგორიებს და მუხლებს შეადარა. პროექტის სამუშაოების გრაფიკში მოცემულ საკითხებთან ბიუჯეტის სტანდარტული მოდელის საკითხების ასეთი შედარება გულისხმობს ყოველი კონკრეტული სამუშაოს შესწავლას იმის გათვალისწინებით, თუ რა დრო და რა მატერიალური სახსრები ან სხვა საჭირო რესურსებია (მაგ. ფართი) საჭირო ამის შესასრულებლად. ამავე დროს გუნდის წევრს სამუშაოს მიმდინარეობის

შემონმებაც უნდა შეეძლოს. გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელი შეთანხმებული მოქმედებებისათვის და ხარისხიანი ბიუჯეტების შემუშავებისათვის ეფექტური საშუალება რომ გამხდარიყო, ხელმძღვანელობამ შემუშავა სავალდებულო კატეგორიების ნაკრები, როგორცაა: კოლექციების ციფრული ვერსიების შექმნა, ხარისხიანი კატალოგის გამოშვება და გამოფენაზე გამოტანილი ყველა ექსპონატის მომსახურების უზრუნველყოფა.

ამდენად, სტანდარტულ მოდელში მოცემულია ხარჯების როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი მუხლები ყოველი ნივთისა და ყოველი მენეჯერისათვის. ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ხარჯების განსაზღვრა საგანგებო და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. სტანდარტული მოდელი საშუალებას აძლევს მენეჯერს, საგანგებო და გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის სანჯის ეტაპზევე გამოიყენოს მოძრავი შკალა, რომელიც საერთო თანხის 0-დან 20%-მდე მერყეობს, რაც პროექტებს დიდ მოქნილობას ანიჭებს მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

დეტალურ გეგმებზე შეუფერხებელი მუშაობის დროს, როგორც ზედნადები, ისე მათ შემუშავებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების, პუნქტებად ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პროცესი იყო და მუზეუმში იძულებული გახდა სახსრები გამოეძებნა ორივე ხარჯის დასაფარად. მათი ოდენობა ათწლიანი გეგმის პირველი წლების ფრონტალური დატვირთვის დროს – ე.ი როდესაც ძირითადი საქმიანობა, პროექტის მართვა და განვითარება ერთდროულად ხორციელდებოდა – 14%-ით განისაზღვრა.

სტანდარტული ფორმის შემუშავების პროცესი დეტალურადაა განხილული 9.1 ცხრილში, სადაც მითითებულია ხარჯები ჩვენს მიერ განსაზღვრულ 16 კატეგორიაში მუდმივი კოლექციის ბაზაზე შექმნილი ახალი ძირითადი გამოფენისათვის. წინასწარი გათვლების საფუძველზე გაანგარიშებული სავარაუდო ხარჯების გადასინჯვა ნებადართულია, მათში სავალდებულო ან არჩევითი კატეგორიების, საგანგებო და გაუთვალისწინებელი ხარჯების ასახვის მიზნით.

მას შემდეგ, რაც გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელი გამოფენის მონაცემების პროცესის სავალდებულო ნაწილი გახდა, ყველა მიმართულებისა და პროექტის მენეჯერი შეეგუა იმ რეალობას, რომ თავისი რესურსებისა და დროის უკეთესად მართვისთვის, მთლიანად მუზეუმში არსებული საჭიროებების ფართო სპექტრის მასშტაბური გააზრებისთვის, აუცილებელია ზუსტი ხარჯთაღრიცხვის შედგენა. მუზეუმის მთავარი ფინანსისტი კოორდინირებას უწევს ბიუჯეტის თითოეული სტანდარტული მოდელის შემუშავებას. მიღებული შედეგები ასეთია:

- ვინაიდან პროექტის რეალურად განხორციელების შესაძლებლობის შესწავლა უკვე დასრულდა, სავარაუდოდ, მუზეუმის ხელმძღვანელობა განიხილავს და დაამტკიცებს პროექტს, სადაც მოცემული იქნება ბევრად უფრო დაზუსტებული მონაცემები;
- ამ ეტაპზე აქტიურად გრძელდება სახსრების მოზიდვის პროცესი;
- ძირითადი სახსრების მოძიების შემდეგ, პროექტი ოფიციალურად დამტკიცდება და განისაზღვრება გამოფენის გახსნის თარიღი;
- ამ პროცესის შედეგად შეიქმნება ყველა ხარჯის მონაცემთა ბაზა, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალში ხარჯთაღრიცხვების შესადგენად.

სტანდარტული მოდელის განხორციელებასთან დაკავშირებული საბოლოო სირთულეებია:

- თანამშრომელთა მომზადება სისტემის გამოსაყენებლად;
- ანგარიშების სტანდარტული ფორმის შედგენა;
- პროექტის განხორციელების მონიტორინგი.

ამ საშუალების ელექტრონული ვერსიის გამოყენების ერთ-ერთი უპირატესობაა ანგარიშების შედგენის მნიშვნელოვნად გაიოლება. ჩვენ ვიყენებთ Microsoft Excel-ის პროგრამას, რომელიც, როგორც ცნობილია, მრავალი სხვადასხვა საორგანიზაციო თუ ფინანსური სტანდარტული ცხრილის შედგენის შესაძლებლობას იძლევა. ანგარიშების შედგენა შესაძლებელია ისეთ სფეროებში, როგორცაა:

- ფუნქციური ხარჯები;
- დაფინანსების წყაროები;
- დროის მონაკვეთი;
- პირდაპირი და არაპირდაპირი რესურსების შეპირისპირება;
- ზუსტი მონაცემები სახელისუფლებო ორგანოებისა და დამფინანსებლებისთვის.

ვინაიდან, როგორც ატლანტიკის ოკეანის ორივე სანაპიროზე, ისე ყველგან, სამუშაო მაჩვენებლების და შედეგების საფუძველზე შემუშავებული ზომები სულ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ტიპის საბიუჯეტო ანგარიშების შედგენა მეტად საჭირო ხდება.

ჩვენს წინაშე არსებული შემდეგი სირთულე არაპირდაპირი დანახარჯების განსაზღვრის უნარის დახვეწაა. ასეთი ხარჯებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია თანამშრომელთა მიერ პროექტებზე დახარჯული სამუშაო დროის ოდენობის განსაზღვრა. ამ დროს მუზეუმის თანამშრომლები ყოველთვის კომფორტულად როდი გრძნობენ თავს. არაპირდაპირი დანახარჯის გამოთვლას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ სმითსონის დანესებულების მრავალი წამყვანი სამსახური თავის ფონდებს და დროს უთმობს მუზეუმის პროექტებს. მათ შორის აღსანიშნავია უსაფრთხოების, კონტრაქტების, იურიდიულ-სამართლებრივი და არქიტექტურულ-საინჟინრო სამსახურები.

დასკვნის სახით: სრულიად ნათელია, რომ გამოფენის უფრო ორგანიზებული სტანდარტული ფორმის გამოყენება, განსაკუთრებით გამოფენის მონაცემების პირველივე საფეხურებზე, ნებისმიერი მუზეუმისათვის დიდმნიშვნელოვანი საქმეა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თანამშრომლებმა იციან, რომ მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებს ჯეროვნად უპასუხებს ხელმძღვანელობა, რომელიც თავის მხრივ, დეტალურად ერკვევა მუზეუმის საჭირობო საკითხებში და ამდენად, სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ხოლო დამფინანსებლები დარწმუნებულები არიან მართვის წარმატებული სისტემის არსებობაში, რაც გაამართლებს და შესაბამის უკუგებას მისცემს მათ ინვესტიციებს.

ყოველ მუზეუმში მისთვის დამახასიათებელი წესი და კულტურაა დამკვიდრებული და ამდენად, ამერიკის ისტორიის ეროვნული მუზეუმის მიერ შემუშავებული გამოფენის ბიუჯეტის სტანდარტული მოდელი, შესაძლოა ვერ გამოდგეს სხვა დანესებულებებში. თუმცა, მისი შემუშავების (უშუალო მომხმარებლის მონაწილეობით) და განხორციელების დროს მიღწეულმა წარმატებებმა, მნიშვნელოვანწილად გაზარდა და დახვეწა ჩვენი შესაძლებლობები მართვისა და კონტროლის სფეროში, რაც აუცილებელია ამბიციური გეგმების განსახორციელებლად. ჩვენი რჩევა იქნება, ყველა მუზეუმმა შექმნას ასეთი სტანდარტული მოდელი, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი მუზეუმის საგამოფენო პროგრამის მართვისა და ფინანსური დაგეგმვის ოპტიმალური მეთოდია.

9.2 დროებითი საგამოფენო პროგრამის ფინანსური დაგეგმვა და მართვა

რობერტ სკოტი

დღეს, მზარდი კონკურენციის პირობებში, მუზეუმები მუდმივ ზენოლას განიცდის ახალი აუდიტორიის მოზიდვისა და დამთვალეირებელთა რაოდენობის შენარჩუნების თვალსაზრისით. მიმზიდველი და ხელმისაწვდომი დროებითი საგამოფენო პროგრამების მოწყობა, რომელიც დამთვალეირებელზე იქნება ორიენტირებული და ყოველი მოსვლის დროს რაიმე ახალ შესთავაზებს მას, გაზრდის მისი მუზეუმში მოსვლის სიხშირეს, არის მუზეუმის საქმიანობის ძირითადი დანიშნულება.

1990-იანი წლების დასაწყისში, მანჩესტერის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმში (დიდი ბრიტანეთი) პირველად გავიაზრეთ, რომ იმის მიუხედავად, თუ რამდენად კარგი და საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი მუდმივი კოლექციების ბაზაზე მოწყობილი გამოფენა, დამთვალეირებელზე ორიენტაციის შესანარჩუნებლად და ამ ორიენტაციის უფრო დასახვეწად, კიდევ რაღაც სხვა იყო საჭირო. სწორედ იმ დროს შევექმენით საგანგებო ღონისძიებების ორგანიზატორის თანამდებობა და როდესაც საბოლოოდ მოვიპოვეთ შესაბამისი სახსრები, სრულად დავაბანდეთ ისინი დროებითი გამოფენების დარბაზში. დროებითი გამოფენების დარბაზი 1995 წელს გაიხსნა გამოფენით, რომელსაც "ზეციური სურნელება" ერქვა და საპარფუმერო მრეწველობას ეძღვნებოდა. ამ პირველი გამოფენის შემდეგ, დარბაზმა მრავალ სხვა გამოფენას უმასპინძლა, მათ შორის, რამდენიმე ბლოკ-ბასტერს, როგორცაა "ვარსკვლავთა გზა" და "დინოზავრები – ვეება, უხეში და საშიში ქმნილებები." მათ გარდა, იყო უფრო კონკრეტული გამოფენები: "ხვალინდელი სახლები დღევანდელი გადასახედიდან", ან "მინა, სინათლე და სივრცე". ყოველი მათგანი საინტერესო იყო დამთვალეირებლისათვის და ძირითად გამოფენასთან ერთად, უფრო მეტს აძლევდა მას.

მრავალი სხვა მუზეუმის მსგავსად, დროებითი გამოფენების დარბაზის აშენებას და სხვადასხვა გამოფენის მოწყობას რამდენიმე მიზანი ჰქონდა. კერძოდ:

- საშუალება მისცემოდა მუზეუმს, წარმოედგინა მისი მრავალრიცხოვანი კოლექციების ის ნაწილი, რომელიც ვერ მოხვდა მუდმივ გამოფენაზე;
 - მუზეუმი უფრო შესამჩნევი გამხდარიყო საზოგადოებისთვის;
 - მუზეუმი უფრო ხელმისაწვდომი და მიმზიდველი გამხდარიყო მოსახლეობის და ბაზრის იმ ნაწილისათვის, რომელიც ჩვეულებრივ ვითარებაში არ მოვიდოდა მუზეუმში (დინოზავრების შესახებ გამოფენა 220.000-მა ადამიანმა დაათვალიერა და მათი 56% მუზეუმში ნამყოფი არ იყო.) ჩვენი მუზეუმის მთავარი ექსპოზიციის დამთვალეირებელთა რიცხვი საშუალოდ 240.000-დან 250.000-მდე მერყეობს, მაგრამ წარმატებულ დროებით გამოფენას შესაძლოა კიდევ დაახლოებით 100.000 დამთვალეირებელი ეწვიოს;
 - შემოსავლების მაქსიმალური გაზრდა (დროებითი გამოფენების დარბაზის უკან, საწყობში მოწყობილმა დინოზავრების მაღაზიამ, ოთხთვიანი გამოფენის დროს 128.000 ფუნტით გაზარდა შემოსავალი);
 - განმეორებითი ვიზიტების და სეზონური ბილეთების გაყიდვის ხელშეწყობა (1998-99 წლების სეზონზე გაიყიდა 4000 ასეთი ბილეთი).
- უფრო ახლო წარსულში შემუშავდა ახალი სტრატეგია, რომლის მიხედვით, მეტი სახსრები უნდა დაგეგმვანდებინა ისეთი გამოფენების მოსაწყობად, რომელიც გაზრდიდა მუზეუმის

მნიშვნელობას საზოგადოებისათვის და იგი უფრო ცნობილი გახდებოდა. თავდაპირველად დასახული ამოცანა – დამთვლიერებელთა რიცხვის 300.00-მდე გაზრდის შესახებ, შევასრულეთ და ამ რიცხვის შენარჩუნების მიზნით, შევიმუშავეთ ისეთი სამწლიანი პროგრამა, რომელიც არ დაარღვევს ბალანსს განათლებასა და სიამოვნებას შორის. ამავე დროს, ინვესტიციის ზრდასთან ერთად, რისკიც იზრდება და უფრო ფრთხილ და ზუსტ ფინანსურ დაგეგმვას და მართვას მოითხოვს.

დროებითი გამოფენის პროგრამის შედგენის დროს, წელი სამ ძირითად პერიოდად დავყავით:

- იანვარი-ივნისი – პოტენციური ბლოკბასტიერის ნაწილის წარმოდგენა, რადგან ამ პერიოდს ემთხვევა თებერვლისა და მაისის სასკოლო არდადეგები და სააღდგომო არდადეგები

- ივლისი-სექტემბერი – ზაფხული, როდესაც ძირითადად ბავშვებისათვის საინტერესო გამოფენები ეწყობა

- ოქტომბერი-იანვარი – იაფი, მაგრამ საინტერესო გამოფენების მოწყობის პერიოდი, რომლებიც არდადეგების სეზონის გამო, ძირითადად საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ასე მოიპოვა მუზეუმმა ისეთი ცენტრის რეკონსტრუქცია, სადაც ეწყობა დიდი მნიშვნელობის საინტერესო გამოფენები და რომელიც მრავალ წინადადებასა და შემოთავაზებას იღებს სხვა მუზეუმებისა თუ სააგენტოებისგან, რომლებიც ცდილობენ დაითანხმონ მუზეუმი, უმასპინძლოს მათ გამოფენებს. ამ წინადადებების და შესაძლებლობების შესაფასებლად შეიქმნა მცირე შიდა სამუშაო ჯგუფი, სადაც დირექტორის მოადგილესთან ერთად, შევიდნენ მარკეტინგის, დიზაინის და გამოფენის მენეჯერები, რომლებმაც შეაფასეს თითოეული გამოფენის მოსალოდნელი მოგება და შესაძლო რისკები – განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში. თუ შემოთავაზებული გამოფენებიდან რომელიმე უკვე მოწყობილია და გახსნილია, მუზეუმის წარმომადგენლებმა შეძლებისდაგვარად მოინახულეს ზოგიერთი მათგანი.

9.2 ცხრილში წარმოდგენილია მანჩესტერის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმში 2000-2002 წლებში მოწყობილი დროებითი გამოფენების ჩამონათვალი და აქვეა მითითებული, თუ რომელ ბაზარზე იყო ორიენტირებული ესა თუ ის გამოფენა და მათი მოწყობის ხარჯები.

არის შემთხვევები, როცა დროებითი გამოფენის მოწყობა ძალზე ძვირი ჯდება. შესაძლოა ჩრდილო ამერიკაში ან იაპონიაში მოწყობილი დიდი გამოფენების ქირის ან მონაწილეობისათვის გადასახდელი თანხის ოდენობამ რამდენიმე ასეულ ათას, ზოგჯერ კი – მილიონობით აშშ დოლარს მიაღწიოს. როგორც 9.2 ცხრილიდან ჩანს, ევროპის ქვეყნებში მოძრავი ჩვეულებრივი სამეცნიერო გამოფენების მოწყობა საშუალოდ 75-80 ათასი ფუნტი ჯდება. ქირის და მონაწილეობის გადასახადის გარდა, დიდია მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები, ზოგ შემთხვევაში კი ამ სფეროებზე დანახარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის. ამას უნდა დაემატოს ექსპონატების განთავსების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და დროებითი მუშახელის შესაძლო დაქირავების ხარჯები. ყოველივე ზემოთქმულს ემატება ის რისკები, რომელზეც მიდის მასპინძელი მუზეუმი. არ უნდა დაგვავინწყდეს ასევე კატალოგების გამოცემის, აუდიო მეგზურების და სუვენირების მალაზიისათვის საჭირო ნივთების დამზადების ხარჯები, თუმცა მათი ცალკე გამოთვლაც შესაძლებელია, ვთქვათ, გაყიდვების და გაქირავების შემოსავლების გათვალისწინებით.

ცხრილი 9.2 მანჩესტერის (დიდი ბრიტანეთი) მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმის დროებითი გამოფენების განრიგი 2000 წლიდან 2002 წლის პირველ ნახევრამდე

თარიღი	დროებითი გამოფენა	აუდიტორია/ დანახარჯები და სხვ. მონაცემები
10/VII- 28/VIII 2000	მომავლის სამყარო	ბრიტანეთის რადიოგადაცემების კორპორაციის მიერ მონყობილი დიდი და ცნობილი მოძრავი გამოფენა, მათ მიერ პროგრამების შედგენისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე – მოიცავს ყველაფერს, კინოსკოპებიდან ციფრულ ტელევიზორებამდე. მიღებულია დაპირებები, რომ გამოფენას ცნობილი ადამიანები ეწვევიან. გათვლილია ყველა ასაკის ადამიანებზე. გამოფენას პერსონალის და მარკეტინგის ჩათვლით მთლიანად ბი-ბი-სი აფინანსებს. ასეთი პირობაა, რომ გამოფენაზე შესვლა უფასო უნდა იყოს. მუზეუმს ხარჯი არ ექნება.
22/IX/2000- 07/ I/2001	კოსმოსი და ოკეანე	გამოფენა საფრანგეთიდან, რომელიც პირველად ლისაბონის ექსპო 98-თვის მოეწყო. იგი ძალზე ინტერაქტიურია და რამდენიმე ისეთი მოდულისაგან შედგება, რომელიც ნათლად ადასტურებს პლანეტების გავლენას ოკეანეების მიქცევა-მოქცევაზე, ნავიგაციაზე და მსგავს საკითხებზე. ქირის ოდენობა- 5.000 ფუნტი თვეში.
	ჰაბლის ფოტოები	"კოსმოსის და ოკეანის" პაკეტში, დანართის სახით შესულია ჰაბლის ტელესკოპით გადაღებული ფოტოების პატარა, მაგრამ ძალიან საინტერესო, ეფექტური და ამალელებელი გამოფენა. ქირის ფასი – 4.500 ფუნტი ოთხ თვეში.
	ადამიანური ფაქტორი	ნამდვილად განსაკუთრებული, ძალზე ინტერაქტიური გამოფენა, რომელიც წარმოადგენს ერგონომიკის გავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ექსპონატების სახით წარმოდგენილია მანქანები და თვითმფრინავები. ლონდონის მეცნიერების მუზეუმში მონყობილი ამ გამოფენის წარმატება ნამდვილად მოულოდნელი იყო. უნდა მოეწყოს ახალ ინტერაქტიურ დარბაზში, ახალი რესტორნის გვერდით. გამოფენის მონყობა 15.000. ფუნტი დაჯდება, რაც მთლიანად დაფარულია ერთ-ერთი გრანტის საშუალებით.
19/I – 13/V 2001	ძველი კულტურები	ფინეთის ჰეურიკის სამეცნიერო ცენტრის მიერ მონყობილი ძალიან მნიშვნელოვანი და ცნობილი გამოფენაა, სადაც დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს ყოველდღიური ცხოვრება ძველ ეგვიპტეში, ასურეთში, ბაბილონში და სხვა ძველ ცივილიზაციებში. გამოფენა ძალზე ინტერაქტიურია. მოსალოდნელია, რომ დიდ ინტერესს გამოიწვევს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დისკუსიები, სადაც იხილება მანჩესტერის უნივერსიტეტის მუზეუმთან შესაძლო მოლაპარაკებების საკითხები, მათი კუთვნილი რამდენიმე ორიგინალური არტეფაქტით გამოფენის შევსების თაობაზე. საერთო ღირებულება –85.000 ფუნტი.

25/V – 30/IX 2001	უკანა ეზოს მონსტრები	ევროპის ბაზრისათვის მონყობილი და მორგებული ძალზე წარმატებული ამერიკული გამოფენაა, რომლის ტურებსაც აწყობს დანიური კომპანია "იუნაითიდ ეგ ზიბითსი." წარმოდგენილია გიგანტური მწერები, რომლებსაც "ლაპარაკი" შეუძლია. გამოფენა მრავალ ინტერაქტიურ მეთოდს გვთავაზობს, აქვეა უშუალო კონტაქტის მოედნები, სადაც დამთვალეობები შეძლებს შეეხოს ექსპონატს. საზაფხულო გამოფენა ძირითადად ბავშვებზეა ორიენტირებული. გაიმართა მოლაპარაკებები შემოსული თანხების განაწილებაზე, რაც ჩვენთვის ხელსაყრელი შედეგით დასრულდა.
12/X/2001 – 12/I 2002	მე და ტყე	ფინეთის ჰეურკის სამეცნიერო ცენტრის მიერ მონყობილი კიდევ ერთი წარმატებული გამოფენაა, სადაც წარმოდგენილია ტყესთან დაკავშირებული მასლები – ექსპონატები, გარემოს დაცვის საკითხები და ქალაქის მრეწველობა. ძირითადად გათვლილია სკოლის მოსწავლეებზე და ფართო საზოგადოებაზე. ფასი – 75.000 გამოფენის მანძილზე.
15/II – 02/VI 2002	დინოზავრების დაბრუნება	ძირითადი მიზანია გაზარდოს მუზეუმის როლი საზოგადოებაში მნახველებისათვის კონკურენციის ყველაზე დაძაბულ პერიოდში. განიხილება თანამშრომლობის სხვადასხვა ალტერნატიული ვერსიები, მათ შორის ლონდონის ბუნების ისტორიის მუზეუმთან. მოსალოდნელია, რომ გამოფენა ძალიან წარმატებული იქნება. მისი ღირებულება ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ უეჭველად, საკმაოდ ძვირი დაჯდება.
13/VI – 27/X 2002	ვარსკვლავების გზა – მრავალდის-იპლინური მეცნიერება	საზაფხულო გამოფენაა, რომლის მიზანია მოიზიდოს ერთა თანამეგობრობის თამაშებზე ჩამოსული ხალხი და ამ სფეროთი დაინტერესებული საზოგადოება. რეგიონის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმის მიერ მონყობილი ძალზე წარმატებული გამოფენაა. ამჯერად, წინა გამოფენასთან შედარებით, გაცილებით დიდი მასშტაბითაა წარმოდგენილი მეცნიერება. დამთვალეობებს საშუალება ექნებათ შეეხონ ექსპონატებს. ევროპაში ამ გამოფენის ტურებს აწყობს დანიური კომპანია "იუნაითიდ ეგ ზიბითსი." უკვე გაიმართა მოლაპარაკებები შემოსული თანხების განაწილებაზე.

მანჩესტერის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმმა დროებითი გამოფენების მონყობის დაფინანსების ორი ალტერნატიული მიდგომა შეიმუშავა:

- მონაწილეობის ქირის პირდაპირი გადახდა, როდესაც ჩვენ ვიხდით განსაზღვრულ თანხას განსაზღვრული დროის მანძილზე გამართული ამა თუ იმ გამოფენისათვის, როდესაც ჩვენს თავზე ვიღებთ ინვესტიციებთან დაკავშირებულ ყველა რისკს და ჩვენვე ვფარავთ ყველა ხარჯს. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, გამოფენიდან მიღებული შემოსავალი, თუ იგი წარმატებული აღმოჩნდა, მთლიანად მასპინძელ მუზეუმს რჩება.

- შეთანხმება მასპინძელ მუზეუმსა და მოძრავი გამოფენის მომწოდებელს ორგანიზაციას ან სააგენტოს შორის ყველა დანახარჯისა და შემოსავლის განაწილების შესახებ. ამ მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ ხარჯები განაწილებულია, თუმცა, ასევე ნაწილდება შემოსავლებიც.

გარემოებების შესაბამისად და საზოგადოების მიერ (ჩვენი ვარაუდით) გამოფენისადმი

გამოვლენილი ინტერესის მიხედვით, ვიყენებდით როგორც ერთ, ისე მეორე მიდგომას. მანჩესტერის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმში მოქმედებს ერთი პრაქტიკული ნესი – ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ბაზრის გათვალისწინებით, ნებისმიერი გამოფენის მონყოლისას, ჩვენ მზად ვართ ფართოდ ცნობილ და მიმზიდველ გამოფენაში, რომელიც დაახლოებითოთხი თვე გაგრძელდება, საშუალოდ 80 ათასი ფუნტი დავაბანდოთ. თუ ინვესტიციის სახით ამ თანხაზე მეტია მოთხოვნილი, მაშინ ჩვენს დასარწმუნებლად ძალიან მყარი დასაბუთება იქნება საჭირო. რა თქმა უნდა, ეს ზღვრული თანხა ყველა მუზეუმისა და ბაზრის შემთხვევაში სხვადასხვა იქნება, მაგრამ ზოგადად, ზღვრული თანხის ცნება და პოტენციური ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ინვესტიციების შეფასების აუცილებლობის პრინციპი, ყველა მუზეუმისათვის საერთოა.

ჩვენი შენობის გეგმარება ისეთია, რომ დამთვალეიერებლის შეყვანა მხოლოდ დროებითი გამოფენის დარბაზში ვერ ხერხდება. ამდენად, იძულებული ვხდებით, რომ გავზარდოთ მუზეუმის ბილეთის ფასი, სადაც შესულია დროებითი გამოფენის ღირებულება (ჩვეულებრივ, ბილეთის ფასი 5- დან 6.5-ფუნტამდე იზრდება ხოლმე). მუზეუმში მოსული ბავშვები, რომელთა ბილეთის ხარჯებს მუდმივი ექსპოზიციის დამთვალეიერების შემთხვევაში ბრიტანეთის კულტურის, მედიის და სპორტის სამინისტროს პროგრამა ფარავს, დროებითი გამოფენის დასათვალეიერებლად, როგორც ნესი, ორ ფუნტს იხდის. სტუდენტები, ხანდაზმულები და პენსიონერები კონცესიურ ფიქსირებულ თანხას – 3 ფუნტს იხდიან, ხოლო სკოლის მოსწავლეებით დაკომპლექტებული ჯგუფები – თითო ბავშვზე 1 ფუნტს. ამდენად, ყოველი მეტ-ნაკლებად მიმზიდველი და რამდენადმე საინტერესო ოთხთვიანი გამოფენის შემთხვევაში ასეთი სურათი გვაქვს:

საშუალოდ 25.000 ზრდასრული დამთვალეიერებლიდან თითოეული იხდის დამატებით 1.5 ფუნტს

(დღგ-ს გარეშე 1.28 ფუნტი) – ჯამი 32.000 ფუნტი;

საშუალოდ 15.000 ბავშვიდან თითოეული იხდის 2 ფუნტს (დღგ-ს გარეშე 1.70 ფუნტი) – ჯამი 25.000 ფუნტი

6.000 კონცესიონერიდან თითოეული იხდის 3 ფუნტს (დღგ-ს გარეშე 2.55 ფუნტი) – ჯამი 15.300 ფუნტი

5.000 სკოლის მოსწავლიდან თითოეული იხდის 1 ფუნტს (დღგ-ს გარეშე 85 პენი) – ჯამი 4.250 ფუნტი

სულ ჯამში – 77.050 ფუნტი;

ამდენად, ჩვენს მიერ გადასახდელი საიჯარო ან სანაწილო თანხები, მთლიანადაა დაფარული იმ შემთხვევაშიც კი, თუ დროებით გამოფენაზე სხვა დამთვალეიერებელი არ შემოვა, ეს კი ნაკლებად სავარაუდოა. გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი დამთვალეიერებლების მიერ მუზეუმში დახარჯული სხვა თანხები, მაგ. სუვენირების ჯიხურში ან კაფეტერიაში – უეჭველად გაზრდის შემოსავალს.

1999 წლის იანვრიდან ივნისის შუა რიცხვებამდე, მუზეუმმა მოაწყო გამოფენა – "ვეება, უხეში და საშიში დინოზავრები", რომელმაც ნათლად აჩვენა, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს დროებითი გამოფენა, დამთვალეიერებელთა რაოდენობისა და მიღებული შემოსავლების თვალსაზრისით. 9.3 ცხრილში მოტანილი რიცხვები, მიგვითითებს გამოფენის ფაქტიურ შემოსავლებს, სადაც პირველ რიგში მოცემულია ბილეთების გაყიდვის შედეგად და საბავშვო სპონსორობის სამთავრობო პროგრამის მოქმედების დროს მიღებული შემოსავლები (თუმცა, შემოსავლის ეს ორი წყარო მუზეუმმა მოიპოვა როგორც არაკომერციულმა, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო დაწესებულებამ), ხოლო ცალკეა მითითებული ჩვენი, როგორც დაწესებულების მიერ წარმოებული საცალო ვაჭრობით და საკვები პროდუქტებით მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები. წმინდა ფინანსური თვალსაზრისით ჩვენმა

მოგება 420.000 ფუნტი შეადგინა, რომლის საშუალებითაც სხვა დიდი სამუზეუმო პროექტი განხორციელდა. იმ შემოსავლების გათვალისწინებით, რასაც მუზეუმი დინოზავრების შესახებ გამოფენის მოწყობის გარეშე მიიღებდა, მისი სუფთა მოგება 200.000 ფუნტი მაინც იქნებოდა, მისი მუდმივმოქმედი გამოფენის ხარჯზე. რაც ყველაზე მთავარია, ცხრილში მოტანილი ციფრები ვერ ასახავს ამ გამოფენის წყალობით მუზეუმის მნიშვნელობის ზრდას საზოგადოებაში, ან რამდენად იმატა მისმა აუდიტორიამ, ბაზრის მოცულობამ და თანამშრომელთა მორალურმა კმაყოფილებამ.

1995 წლიდან, დროებითი გამოფენების პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მანჩესტერის მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმის საქმიანობის ყველა სფეროში. იმის გარდა, რომ დროებითი გამოფენები კიდევ ერთ პლუსად აღიქმება დამთვალიერებლის მიერ, მუზეუმის თანამშრომლებიც დიდი სიხარულით მოელიან ყოველ ახალ გამოფენას. ნარმატიული პროგრამისათვის საჭირო ყველა მიზანი მიღწეულია: საზოგადოებისათვის არასდროს ყოფილა მუზეუმის მნიშვნელობა ასე მაღალი, დამთვალიერებელს უფრო მეტ და მრავალფეროვან ექსპოზიციებს სთავაზობენ და ყოველივე ამის შედეგად მიღებული შემოსავლების წყალობით, მუზეუმის შემოსავლები იმდენად გაიზარდა, რომ მას შეუძლია გააგრძელოს თავისი განვითარების ამბიციური გეგმის განხორციელება. ნებისმიერ მუზეუმში, პროფილის მიუხედავად, სადაც დროებითი გამოფენების პროგრამა მოქმედებს, შედეგები იგივეა.

შემოსავალი / ხარჯი	ფუნტი
ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	525.653
საბავშვო სამთავრობო პროგრამით მიღებული შემოსავალი	47.000
მუზეუმის, როგორც საქველმოქმედო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღებული საერთო შემოსავალი	572.653
გამოფენის ქირის ხარჯები (გადასახადი მონაწილეობისათვის)	155.783
დამატებითი თანამშრომლების აყვანის ხარჯები	14.220
მარკეტინგის დამატებითი ხარჯები	40.000
სხვა პირდაპირი ხარჯები	24.270
საქველმოქმედო ანგარიშზე დარჩენილი საერთო მოგება	338.380
დინოზავრების მალაზიის შემოსავლები	128.000
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	46.432
მალაზიის დამატებითი თანამშრომლების ხარჯები	10.543
მალაზიის სუფთა შემოსავალი	71.025
დამატებითი ზე-მოგება	8.792
სავარაუდო შემოსავალი საკვები პროდუქტების რეალიზაციიდან	2000
სანარმოო მოგება	81.817
მოგება სულ	420.197

ცხრილი 9.2 მანჩესტერის (დიდი ბრიტანეთი) მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმის დროებითი გამოფენების განრიგი 2000 წლიდან 2002 წლის პირველ ნახევრამდე

კურატორობის ფუნქციები გამოფენის დაგეგმვის პროცესში

ჯინ ნიკსი

მუზეუმის კურატორობა გულისხმობს ყველა იმ საქმეში მონაწილეობას, რაც კი მუზეუმის კოლექციების გაზრდას, შესწავლას, დაცვას და ინტერპრეტაციას ეხება. თუმცა გამოფენის მომზადების დროს კურატორის ფუნქცია უფრო კონკრეტულია: მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საკითხი გამოფენის მომზადების დროს ისევ კურატორის პასუხისმგებლობის სფეროა, ძირითადი ყურადღება ამ მოვალეობებიდან ერთ-ერთზე – მასალების ინტერპრეტაციაზეა გადატანილი. გამოფენის მომზადების დროს კურატორის ყველა საქმიანობა ერთი ძირითადი მიზნისკენაა მიმართული – ხელი შეუწყოს და გააადვილოს გამოსაფენი მასალის ინტერპრეტაცია და მისი საუკეთესო კუთხით წარმოდგენა.

მასალის ინტერპრეტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც კარგად ხსნის მუზეუმის კურატორის ფუნქციის განხორციელების მნიშვნელობას მუზეუმის ნებისმიერი საგამოფენო პროექტის დროს. როცა გამოფენაზე მუზეუმის საკუთარ კოლექციებში დაცული ან სხვა მუზეუმებისაგან მიღებული ნივთებია გამოფენილი, კურატორის ფუნქციის აუცილებლობა სრულიად ნათელი ხდება. ისეთი გამოფენების დროსაც კი, სადაც არ არის კოლექციები (მაგ. ზოგი სამეცნიერო დაწესებულების ან საბავშვო მუზეუმების მიერ მონყობილი გამოფენები), აუცილებელია კურატორული კვლევის ინტერპრეტაცია, რომელზეც მძივივით აენწყობა ის ისტორია, რასაც გამოფენა მოუთხრობს დამთვალიერებელს.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ კურატორები შეუცვლელი არიან. როგორც წესი, გამოფენის მომზადების დროს კურატორობას იმავე მუზეუმის კურატორები ითავსებენ, თუმცა ეს მოვალეობები შეიძლება გადანაწილდეს სხვა მუზეუმებში მომუშავე და მონვეული კურატორის სტატუსის მქონე პროფესიონალებზე, ზოგჯერ კი ასეთი ფუნქციები შესაძლოა მთლიანად სხვა პირებს დაეკისროთ, მაგ. მხატვრებს, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტებს, სწავლულებსა და მეცნიერებს – აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, კონსულტანტებს, კოლექციონერებს, სტუდენტებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, ვისთვისაც ეწყობა გამოფენა, ან მოსახლეობის იმ ნაწილის წარმომადგენლებს, ვისი ნივთებიც იქნება წარმოდგენილი გამოფენაზე. ცხადია, ეს არ ცვლის და არ ამცირებს კურატორობის ფუნქციასა და მოვალეობებს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში არის მუზეუმის კურატორული მისიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, იმის მიუხედავად, თუ ვინ და რა მეთოდებით ასრულებს ამ ფუნქციებს.

გამოფენის მომზადების პროცესში შესაბამისი წვლილის შესატანად, როგორც წესი, კურატორის მოვალეობა შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- გამოფენის კონცეფციის შემუშავება
- კურატორული კვლევა-ძიება
- კოლექციის შეფასება, შერჩევა და შევსება
- დოკუმენტაციის შედგენა
- კონსერვაცია
- გამოფენის მოკლე შინაარსის მომზადება

10.1 გამოფენის კონცეფციის შემუშავება

ახალი გამოფენის მოწყობის პირველ საფეხურზე ხდება მთავარი იდეის ანუ კონცეფციის ჩამოყალიბება. თუ იგი ნათლად და დეტალურადაა დამუშავებული, როგორც მაგ. ლოს-ანჯელესის ტოლერანტობის მუზეუმში, თუმცა მთავარი იდეის ასეთი განსაზღვრება მაშინაც მართებული და უცვლელია, როცა იგი შედარებით შეფარულადაა გადმოცემული და გამოფენის მოწყობის კვალდაკვალ ვითარდება, როგორც მოხდა კიდეც ლონდონში, ეროვნულ გალერეაში მოწყობილი გამოფენის “საბრძოლო გემი “შეუპოვარი”-ს დროს. სწორედ ეს შემთხვევაა განხილული 1.01 სასწავლო მაგალითში. სიახლეებით დახუნძლულ ამ გამოფენაზე, თერნერის შედეგრი ერთგვარ “ფანჯარას” წარმოადგენდა, რომელიც დამთვალიერებელს საშუალებას აძლევდა უფრო ღრმად შეეფასებინა როგორც მხატვრის მამოძრავებელი მოტივები, ისე ამ ნამუშევრის სიმბოლური მნიშვნელობები თანამედროვე ბრიტანელი აუდიტორიისათვის. ამ გამოფენის მთავარი აზრიც სწორედ კურატორების მიერ შემუშავებული ის თეზისია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ამ ორ თემას, რაც მხატვრული ტილოს ყველა დეტალის გაშუქებისა და წარმოდგენის საშუალებით ხდება.

გამოფენის კონცეფციის, მისი მთავარი იდეის თუ თეზისის ჩამოყალიბება, უმთავრესია კურატორის მოვალეობებს შორის, თუმცა ეს პასუხისმგებლობა სულ უფრო მეტად გადანაწილდება სხვა მუზეუმებში მომუშავე პროფესიონალებს და სთეიქჰოლდერებს, დაინტერესებულ მხარეებს, შორის – მუზეუმის აუდიტორიის ჩათვლით, ეთნოგრაფიული გამოფენების შემთხვევაში კი – გამოფენის სუბიექტებს შორის. სწორედ ამის შესახებაა სასწავლო მაგალითი 3.1, სადაც აღწერილია ბრიტანეთის კოლუმბიის ვიქტორიას სამეფო მუზეუმში მოწყობილი ნუუ-ჩა-ნულსის გამოფენა, სადაც ნაჩვენებია, რომ მხოლოდ კურატორული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს გამოფენის სუბიექტების სწორად წარმოდგენას. ამგვარი გამოფენების დროს, კოლექციების მფლობელი აუთენტური ხალხის წარმომადგენლობის მოთხოვნის დაკმაყოფილება თავისთავად მთავარ და განმსაზღვრელ იდეად იქცევა. მთავარი იდეის წარმომავლობის მიუხედავად, გამოფენის კონცეფციის, ანუ თეზისის შემუშავება კურატორობის მთავარ და განმსაზღვრელ ფუნქციად რჩება.

10.2 საკურატორო კვლევა-ძიება

შთამბეჭდავი და ღრმააზროვანი გამოფენის ორგანიზება საინტერესო იდეიდან იწყება, მაგრამ მისი ეფექტური რეალიზაცია დიდადაა დამოკიდებული კურატორული კვლევა-ძიების ხარისხზე, როდესაც ხდება შემუშავებული თეზისის გაშლა-გავრცობა და საგამოფენოდ შერჩეული ნივთების კოლექციების და გამოფენის შემადგენელი სხვა მასალის დამუშავება. გამოფენის იდეის სარეალიზაციოდ კურატორული კვლევა-ძიების ორი მეთოდი გამოიყოფა:

- თემატური კვლევა-ძიება, როდესაც იძებნება და გროვდება გამოფენის კონტექსტთან დაკავშირებული ვრცელი საინფორმაციო ბაზა, მუშავდება გამოფენის ჩარჩოები და მის მიერ გადმოსაცემი ისტორიის დედააზრი;
- ობიექტზე მიმართული კვლევა, რომლის დროსაც აღინერება და დოკუმენტურად ფორმდება ხელოვნების ნიმუშები, არტეფაქტები, გრაფიკული გამოსახულებები ან აუდიო-ვიზუალური მასალები, რომელიც შეადგენს მასალებს, რომლითაც უნდა სეიქმნას

გამოფენა;

ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ზომებისა და ღონისძიებების თანამიმდევრობა შეიძლება იყოს ნაირგვარი:

- მრავალ მუზეუმში, როგორც თემატური, ისე ობიექტზე მიმართული, საკურატორო კვლევის ნაწილი განიხილება, როგორც საგამოფენო იდეების ჩამოყალიბების საფუძველი, რასაც შემდგომში ემყარება მიმდინარე საგამოფენო პროგრამის გრაფიკის ნაწილი. ამდენად, ორივე სახის კვლევა წინ უსწრებს ხოლმე გამოფენის შექმნის გადაწყვეტილებას.

- ამასთანავე, სულ უფრო ხშირად, სამომავლო გამოფენების მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებები ემყარება მძლავრი თემატური იდეის წარდგენასა და მიღებას. ეს იდეა ექცევა მთელი დანესებულების კვლევითი საქმიანობის ფოკუსში, რაც მიზნად ისახავს გამოფენის საფუძვლის მომზადებას. ამრიგად, თემატური და ობიექტზე მიმართული კვლევა ამუშავებს და ხვეწს თემატურ იდეას უკვე გამოფენის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

თუ მუზეუმის საგამოფენო პროგრამა კარგადაა დამუშავებული, წარმატებით გამოიყენება კურატორული კვლევის ორივე მეთოდი. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც თემატური, ისე ობიექტზე ორიენტირებული კვლევა მრავალჯერად პროცესად იქცევა, რომლის დროსაც უპირატესობა ხან ერთ და ხან მეორე მეთოდს ენიჭება და ერთი მეორეთი იცვლება. ამდენად, ვრცელი თემატური კვლევის დროს, რაღაც მომენტში აუცილებლად გახდება საჭირო მუზეუმის კოლექციაში დაცულ კონკრეტულ ობიექტზე მიმართული კვლევის მეთოდის გამოყენება, ან კვლევა შეიძლება ისეთ საკითხს მიეძღვნას, როგორიცაა მუზეუმს გარეთ არსებული და საზოგადოებრივ თუ კერძო კოლექციებში მოხვედრილი შესაფერისი ხელოვნების ნაწარმოების, არტეფაქტის ან ნიმუშის მოძიება. მოსალოდნელია, რომ ობიექტზე მიმართული ამ სახის კვლევა-ძიება ერთგვარად განავრცობს და შეცვლის თემატური კვლევის დროს მიღებულ შედეგებს და პირიქით, ამ ურთიერთმონაცვლეობის წრე, შესაძლოა არც არასდროს დასრულდეს თვით გამოფენის მიმდინარეობის დროსაც.

ასეა თუ ისე, გამოფენა უნდა გაიხსნას და ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის. ამდენად, კვლევის მეთოდების ურთიერთმონაცვლეობის პროცესი მარადიულად ვერ გაგრძელდება. გამოფენაზე მუშაობის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლიც, როგორც წესი, გამოფენის მკაცრი განრიგის ზეწოლის ქვეშ მიიღება ხოლმე, ისაა, რომ გამოფენის საორგანიზაციო ჯგუფმა უნდა განსაზღვროს, დამაკმაყოფილებელია თუ არა ჩატარებული საკურატორო კვლევის დონე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გამოფენის სამზადისის შემდეგი სტადიების განხორციელებას. ხშირად ისეც ხდება, რომ საკურატორო კვლევას გამოფენის მზადების რომელიმე კონკრეტულ ეტაპამდე აგრძელებენ, ხოლო პროექტის სხვა ასპექტებზე მუშაობა წინმსწრები ტემპებით მიმდინარეობს. ბოლოს გარდაუვალია ის დღეც, როდესაც გეგმები და ნახაზები სამშენებლო ტენდერების ან სატენდერო დოკუმენტაციის სახეს იღებს, რის შემდეგაც, საკურატორო კვლევის გაგრძელების შედეგად, შესაძლოა ძალზე დიდი ხარჯების განწევა გახდეს საჭირო რაიმე ცვლილების შესატანად. ამიტომ, თუ შესაძლებელია, ამ დროისათვის საკურატორო კვლევა უნდა დასრულდეს, თუმცა გამოფენის მომზადების კარგად დაგეგმილი პროცესი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ სავარაუდო ცვლილებებს გამოფენაზე მუშაობის პროცესის რაც შეიძლება გვიანდელ ეტაპებზეც კი.

სასწავლო მაგალითი 10.1

ნახელავი და მნიშვნელობა

თერნერის "საბრძოლო გემი "შეუპოვარი" ლონდონის ეროვნულ გალერეაში
მაიკლ უილსონი

1995 წელს ეროვნულმა გალერეამ წარმოადგინა ჯოზეფ მალორდ უილიამ თერნერის ყველაზე ცნობილი შედევი "პირისისაკენ უკანასკნელად მიმავალი სამხედრო გემი "შეუპოვარი" ბუქსირზე, განადგურების წინ", 1838 წ. ეს გამოფენა ამ სერიის ("ნახელავი და მნიშვნელობა") გამოფენებში მესამე იყო, რომელიც სსო-მ დააფინანსა. ამ საგამოფენო სერიის მიზანი ეროვნულ გალერეაში დაცული ცალკეული დიდი ნამუშევრების შექმნისა და მათი მნიშვნელობის დეტალური გამოკვლევა იყო. თერნერის ამ ტილოს თავდაპირველი კონტექსტიდან გამოცალკეების შედეგად – სურათი XIX ს-ის ინგლისის ფერწერის დარბაზშია წარმოდგენილი – იგი პერსონალური გამოფენის ერთადერთ ნამუშევრად იქცა, რამაც ათასობით დამთვალიერებელს ამ ნამუშევარში ჩაქსოვილი უამრავი აზრისა და მრავალდონიანი მნიშვნელობების, მათ მიერ გამოწვეული ასოციაციების გაცოცხლების საშუალება მისცა.

გამოფენის მოწყობის იდეა ეკუთვნის ბრიტანული ხელოვნების სახელგანთქმულ ისტორიკოსს, ჯუდი ეგერტონს, რომელმაც გააცნობიერა, რომ ეს ტილო ასეთ გამოფენას ზედმინვენით მიესადაგებოდა. გამოხატავს რა ავტორის, თერნერის, როგორც მხატვრის გულისტვივილს, ტრაფალგარის ბრძოლის მინაწილე ერთ-ერთი სახელგანთქმული სამხედრო გემის ბოლო სვლის ამსახველი ეს სურათი, სიღრმისეული კვლევის საუკეთესო საშუალებას იძლევა. ჯუდი ეგერტონის მიერ გამოფენის მომზადების პროცესში ჩატარებული კვლევა-ძიება და მისი შედეგები ასახულია მის წიგნში, რომელიც ბევრად აჭარბებს ხელოვნების ისტორიის შესახებ შექმნილი ჩვეულებრივი ნაშრომის მოთხოვნებს. ამ წიგნში ძალზე ღრმადაა განხილული XIX ს-ის პირველი ნახევრის ინგლისის ფლოტის ისტორიის საკითხები.

პროექტის განვითარების კვალდაკვალ, იგი გაცილებით უფრო რთულ, მრავალმხრივ და მოუხელთებელ ნამოწყებად იქცა, ვიდრე რომელიმე მონაწილეს ჰქონდა წარმოდგენილი. ისე ჩანდა, თითქოს ამ საქვეყნოდ ცნობილ სურათში ასახული იყო თერნერის ყველაზე უფრო დიდი ნუხილი, რომელიც მან ბრიტანეთის ფლოტის ისტორიაში ერთ-ერთ უბრწყინვალეს პერიოდთან დაკავშირებული საბრძოლო ხომალდის, "შეუპოვარის" ამგვარად ასახვით გამოთქვა, რაც გაცილებით უფრო ადვილად გასაგები და ნაცნობი იქნებოდა 1839 წელს სამეფო აკადემიაში შეკრებილი საზოგადოებისათვის, სადაც ეს სურათი პირველად წარმოადგინეს. შესაბამისად, როგორც გამოფენა, ისე ამ გამოფენისათვის დაწერილი ჯუდი ეგერტონის წიგნი, სამ პარალელურ ისტორიას წარმოგვიდგენს:

- საკუთრივ გემი "შეუპოვარის" ისტორია 1798 წლიდან, მისი წყალში ჩაშვებიდან 1805 წლის ტრაფალგარის ბრძოლაში მონაწილეობის მიმოხილვით და მისი შემდგომდროინდელი ისტორიით, 1838 წლამდე, როდესაც იგი ჩამოწერეს და გასანადგურებლად გაამწესეს

- თერნერის დიდი ინტერესი და განსაკუთრებული დამოკიდებულება ზღვის, საბრძოლო ხომალდების, ორთქლისძრავიანი გემების, შტორმებისა და დაისისადმი, რაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა

- არაჩვეულებრივი პარტიოტიზმი თერნერისა, რომელიც საშინლად განიცდის ტრაფალგარის ბრძოლის მონაწილე საბრძოლო ხომალდის განადგურებას.

გამოფენის ერთ-ერთი მიზანი იყო ნამდვილი ისტორიული ფაქტის განცალკეება შეთ-

ხზულისაგან, რაც, როგორც გამოფენის მომწყობნი მოელოდნენ, დაგვეხმარებოდა უკეთ გაგვეგო, რა ზრახვები, მისწრაფებები და სურვილები ამოდრავებდა თერნერს სურათის შექმნის დროს. დიდი ხანია ვარაუდობდნენ, რომ თერნერი პირადად ესწრებოდა იმ სცენას, რომელიც შემდეგში ტილოზე გადაიტანა. ჯუდი ეგერტონმა დიდი ალბათობით დაასაბუთა ამ მოსაზრების უსაფუძვლობა (მეტიც, დადგინდა, რომ ის შესაძლოა, ამ პერიოდში ინგლისშიც კი არ ყოფილიყო), თანაც ის, რაც თერნერმა დახატა, საფუძვლიანად განსხვავდებოდა რეალური ვითარებისაგან.

- თერნერმა საკმაოდ თავისუფალი ფორმით გადმოსცა როგორც “შეუპოვარი”, ისე საბუქსირო გემი. მისი უკანასკნელი რეისის დროს გემი “შეუპოვარი”, რომელიც თერნერს დახატული აქვს დაუზიანებელი ანძებით, სინამდვილეში უკვე საკმაოდ გაცვეთილ და ყოვლად გამოუსადეგარ კორპუსად ქცეულიყო. თერნერმა რეალურთან შედარებით ბევრად უფრო წინ წასწია საბუქსირო გემის საორთქლე მილი;

- ნახატზე აშკარად დაისია, რაც ნაკლებად სავარაუდოდ გამოიყურება, ვინაიდან მზის ჩასვლის შემდეგ “შეუპოვარის” ზომის სამხედრო გემის ბუქსირზე აყვანა ნამდვილად გაუაზრებელი ქმედება იქნებოდა.

- დასავლეთის, ანუ მზის ჩასვლის მიმართულებით მოძრაობა არასწორია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გემს გეზი მდ. თემზის აღმა, როთერჰითისაკენ ეჭირა.

თანამედროვეების ჩანაწერებმა და ნაბეჭდმა გამოსახულებებმა ნათლად აჩვენა, რომ თერნერის ტილო სახვითი ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია, რომელიც შექმნილია ეროვნული სიდიადით გამოწვეული პათოსის მაქსიმალურად გასაძლიერებლად.

გამოფენაზე თავი მოუყარეს სრულიად განსხვავებულ და ხშირად სრულიად შეუთავსებელ უამრავ ნივთს. ერთის მხრივ, აქ წარმოდგენილი იყო თერნერის საუკეთესო ტილოებისა და აკვარელების ნაკრები; მეორეს მხრივ – დოკუმენტური მასალა “შეუპოვარის” კლასის გემების ისტორიის შესახებ და ამ გემის ნარჩენებისაგან დამზადებული სხვადასხვა ნივთები. ამ გამოფენის მოწყობისას ძირითად სირთულეს წარმოადგენდა შთამბეჭდავი მასალის საუკეთესო მხრიდან წარმოდგენა, კერძოდ, გადმოცემული ყოფილიყო “შეუპოვარის” ისტორია და თან წარმოჩენილიყო ის, რისი გადმოცემაც ასე ძალიან სურდა სურათის ავტორს – ამავე დროს, საფუძვლიანად გამიჯნულიყო ერთმანეთისაგან ხელოვნების დიდი ნიმუშები, ისტორიული რეალობანი და სამახსოვრო საგნები ისე, რომ არ დაჩრდილულიყო თერნერის, როგორც ხელოვანის, მიღწევები.

გამოფენის გეგმის შემუშავებისას აუცილებელი იყო თემების ისე შემუშავება, რომ მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა შესაძლებელი ყოფილიყო საინსტურის ანფილადში განლაგებულ გალერეებში. ვინაიდან ამ გალერეებს ფიქსირებული ფორმები და ზომები აქვთ, აუცილებელია გამოფენის ცალკეული ნაწილების ძალზე ფრთხილი შეხამება საგამოფენო დარბაზების სივრცეებთან:

- პირველ, ყველაზე დიდ დარბაზში, მხატვრის სხვა შედეგებთან ერთად, გამოფენილი იყო სურათი “სამხედრო გემი შეუპოვარი”, აგრეთვე “სტაფუა და წვიმა” და “ორთქლი და სიჩქარე”, სადაც გადმოცემულია მხატვრის მიდგომა თანამედროვე საკითხებისადმი

- მეორე დარბაზში წარმოდგენილი იყო “შეუპოვარი”, მისი სახელოვანი ისტორია და წარმატებები ტრაფალგარის ბრძოლაში და აქვე იყო გამოფენილი ინგლისის სამხედრო გემებისადმი თერნერის დიდი სიყვარულისა და გატაცების დამადასტურებელი აკვარელები. ამ დარბაზის მთავარი ექსპონატი იყო ფრანგი სამხედრო ტყვეების მიერ ძელისაგან გაკეთე-

ბული "შეუპოვრის" მოდელი, რომელიც ბრწყინვალედ გადმოსცემდა გემის სიდიადეს, როცა იგი გამართულ მდგომარეობაში იყო

- მესამე ოთახში გამოფენილი იყო მასალები, რომელიც მოგვითხრობდა გემის ომის-შემდგომდროინდელ ისტორიას, როცა მას საალაღე გემად იყენებდნენ შირნესში ლუზაზე დგომის დროს; აქვე, თერნერის ორთქლის გემებით დიდი გატაცების დასტურად, წარმოდგენილი იყო მისი აკვარელები ამ თემაზე

- მეოთხე დარბაზი დაეთმო იმ მასალებს, სადაც გადმოცემული იყო "შეუპოვრის" ჩამონერისა და განადგურების ნამდვილი ამბავი. აქ თავმოყრილი იყო საბუთები გემის სამსახურიდან ჩამონერის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საბოლოოდ იგი გემების გამანადგურებელი საწარმოს მფლობელს, ჯონ ბეთსონს შეუსყიდა, ორი ორთქლისძრავიანი საბუქსირო გემით თემზის აღმა, შირნესიდან თავის ვერფზე, როზერჰითში გადაუყვანია – აქვეა წარმოდგენილი ჯონ ბეთსონის ძმის მიერ შესრულებული ლითოგრაფია, საიდანაც კარგად ჩანს გემის რეალური მდგომარეობა განადგურების წინ, რაც სრულებით განსხვავდება თერნერის პოეტური წარმოსახვისაგან

- მეხუთე, ბოლოსწინა დარბაზში, კვლავ თერნერის შემოქმედება იყო წარმოდგენილი, სხვა ტილოებისა და აკვარელების სახით, სადაც ჭარბობდა მზის ჩასვლის თემა, რაც კარგად გადმოსცემს ავტორის განწყობასა და ხასიათს; ამ ნამუშევრებში ხშირად ძირითადად მელანქოლია და პესიმიზმია გადმოცემული.

- ბოლო დარბაზში თავმოყრილი იყო გემის "სიკვდილის შემდგომი" ისტორია და მისი უწყვეტი კავშირი თერნერის ტილოსთან. სურათის წარმატება იმდენად დიდი იყო (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი ავტორის ანდერძის თანახმად ეროვნულ გალერეაში გადაიტანეს), რომ მისი შთაგონებით, "შეუპოვრის" დიდებას ლექსებს და სიმღერებს უძღვნიდნენ, ამაში კი ლომის წილი მიიწვია გემის თერნერისეულ წარმოსახვას ეკუთვნის. ამის დამადასტურებელი მაგალითები, სამახსოვრო მედლებთან და "შეუპოვრის" ნარჩენებისაგან დამზადებულ სკამთან, გონგის სადგართან და ბარომეტრთან ერთად, გამოფენის კულმინაციას წარმოადგენდა.

ისტორიული მასალებისა და ნივთების ასეთი ნაკრების ცენტრში თერნერის ნამუშევრებისა და კონკრეტულად "შეუპოვრის" მოთავსებისას, უეჭველია ეროვნული გალერეა დიდ რისკზე წავიდა ხელოვნების მნიშვნელობის შესაძლო დაკნინების თვალსაზრისით, ვინაიდან დიდებული ტილოს გამოფენას, ხშირად ძალზე უხეში და პროზაული ფაქტების საილუსტრაციო მასალების გვერდით, შესაძლოა დაეკნინებინა თერნერის ხელოვნების ზემოქმედება. მაგრამ რეალურად, პირიქით გამოვიდა. მართლაც დიდი სამუშაო ჩატარდა იმისათვის, რომ არ მომხდარიყო მასალების უხეში, უაზრო და უგულო ჩამორიგება ერთმანეთის გვერდით. ამგვარად წარმოჩენილმა ისტორიულმა კონტექსტმა კი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა თერნერის ამ დიდებული ნამუშევრის შეუზღუდავი პოეტური წარმოსახვის უნარი.

საზოგადოებისა და პრესის ენთუზიაზმით აღსავსე გამოძახილმა ცხადყო, რომ ამ ნამუშევრის წარმომავლობის დეტალურმა გამოკვლევამ ფართო აღიარება და დიდი მოწონება დაიმსახურა. თავისთავად ცხადია, რომ თანამედროვე მნახველის მიერ სურათის აღქმას მოაკლდა ის უშუალოება, რომელიც ჰქონდა 1839 წელს სურათის სანახავედ მოსული იმ აუდიტორია, რომელსაც ომის მოგონებები და ტრაფალგარის ბრძოლა ჯერ კიდევ ცოცხლად ედგა თვალწინ და რომლისთვისაც სრულიად ბუნებრივი იყო მუხის ვეებერთელა სამხედრო გემების არსებობა. თერნერის ბრწყინვალე ოსტატობითა და კოლორისტული ეფექტებით

აღფრთოვანება ვერ გადასწონიდა იმ ასოციაციების არქონას, რომელიც დაკავშირებულია სურათის გამოსახულებაში მოცემული მინიშნებებით. გამოფენაზე თანამედროვე დამთვალიერებელი ხელახლა ეცნობა ისტორიულ ფონს და ნათლად ხედავს, თუ რამდენად თავისუფლად ეპყრობოდა თერნერი ისტორიულ ფაქტებს ამ კონკრეტული სურათის შექმნის დროს. ამან შესაძლებელი გახადა სიღრმისეული კავშირების დამყარება ამ სურათთან და მის მშენიარების აღქმაც გააძლიერა. ამავე დროს გამოფენამ ყველას თვალნათლივ უჩვენა, თუ რამდენად მცდარია თუნდაც დიადი ხელოვნების ნიმუშის აღქმა უტყუარ ისტორიულ საბუთად და ამასთანავე, აჩვენა მხატვრის დიდი შემოქმედებითი თავისუფლება.

10.3 კოლექციების ევალუაცია, პერჩევა და განვითარება

ზოგი სამეცნიერო ცენტრისა და საბავშვო მუზეუმის მიერ მონყობილი გამოფენების გარდა, სწორედ კოლექციებია ის ბირთვი, რომლის ირგვლივაც ასე ხშირად ბრუნავს ხოლმე კარგად ორგანიზებული სამუზეუმო გამოფენები. საკურატორო ფუნქციებიდან გამომდინარე მოვალეობებში – კურატორების, არქივისტების და რესტავრატორ-კონსერვატორების მოვალეობების ჩათვლით – შედის მოთხოვნის შესაფერისი კოლექციების შერჩევა და მათი საგამოფენოდ მომზადება, კოლექციების გაფართოების იმ გეგმების შემუშავება, რომელთა საშუალებით ხდება საგამოფენო მოთხოვნების დადგენა და ამ გეგმების განხორციელება საგამოფენო მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად. გამოფენის მომზადების ამ სტადიაზე ჩვეულებრივ შეადგენენ გამოფენაზე წარმოსადგენი ექსპონატების ნუსხას. ასეთი ნუსხის შემუშავება გადამწყვეტი ეტაპია კოლექციებზე დაფუძნებული ნებისმიერი გამოფენის მომზადების დროს.

კურატორული მოსაზრება აუცილებელია იმის გასარკვევად, თუ რამდენად აკმაყოფილებს მუზეუმი განზრახული გამოფენის მოთხოვნებს, ან თუ რამდენად და რა რაოდენობით იქნება საჭირო სხვა კოლექციებიდან ექსპონატების დროებით სარგებლობაში აღება, ან თუ რამდენადაა შესაძლებელი არსებული კოლექციების გაფართოება შემოწირულობების, შესყიდვების ან ახალი საველე აღმოჩენების ხარჯზე. ზოგი გამოფენა მთლიანად დროებით სარგებლობაში მიღებული ექსპონატებისაგან შედგება, როგორცაა მაგ. მხატვრული ტილოების მოძრავი გამოფენა ბარნსის კოლექციიდან. სხვა შემთხვევაში გამოფენები შესაძლოა მხოლოდ მუზეუმის ფონდებში დაცული ექსპონატებისაგან შედგებოდეს. გამოფენათა უმრავლესობა ამ ორ უკიდურესობას შორისაა – და მართლაც, გამოფენის კონცეფციის მთავარი აზრი შეიძლება სწორედ სრულიად სხვადასხვა წყაროებიდან და ადგილებიდან გამომდინარე ხელოვნების ნამუშევრების, არტეფაქტების ან ნიმუშების ერთობლივად წარმოდგენა, მათი შედარება ან მათ შორის არსებული განსხვავებების ჩვენება იყოს, რაც, როგორც მეცნიერებს, ისე ფართო საზოგადოებას მისცემს ისეთ შანსს, რომელიც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ თუ მოხდება, როგორცაა მაგ., რომელიმე მხატვრის ერთიანი გამოფენის მონყობა, რომლის ნამუშევრებიც მსოფლიოს მრავალ მუზეუმშია გაბნეული.

შესაძლოა სულაც არ იყოს ადვილი საკურატორო დონეზე იმის გადანყვეტა, თუ რა დოზით უნდა განხორციელდეს შესაბამისი ნივთების შესყიდვები, დროებით სარგებლობაში აღება, საველე სამუშაოები ან სხვა საშუალებები კოლექციების გასაფართოებლად, მათი საგამოფენოდ მომზადების მიზნით. რაოდენობრივი მიდგომა შესაძლოა ყველაზე ნათლად

ასახვედეს ვითარებას – ადექვატურად ასახავს თუ არა მუზეუმში დაცული ექსპონატები კულტურის ამა თუ იმ სფეროს, ან ფაუნის რომელიმე წარმომადგენელს, ან მხატვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე პერიოდს. მაგრამ, შესაძლოა, ხარისხობრივი მიდგომა ბევრად უფრო ფაქიზი და რთული აღმოჩნდეს – როდესაც უნდა განისაზღვროს, თუ სად უნდა მოიძიონ გამოფენის კონცეფციასთან ან მის დედაზრთან ყველაზე უფრო მისადაგებული უმაღლესი ხარისხის ხელოვნების ნამუშევრები, არტეფაქტების ან ნიმუშების წყაროები. შერჩევის პროცესში შესაძლოა საჭირო გახდეს ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება, რაც შესაძლოა საველე სამუშაოებში გადაიზარდოს, ახალი არტეფაქტების მოპოვების, ან სახეობების ახალი ეგზემპლარების პოვნის მიზნით.

საკითხი, რომელიც გამოფენისათვის ნივთების შერჩევის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელია: თუ რა სახის ექსპონატებია გამოსაფენი – ჩვეულებრივი, წარმომადგენლობითი ნივთები თუ განსაკუთრებული და ერთეული ეგზემპლარები, თუ ორივე.

- ძალზე ხშირად არჩევანი განსაკუთრებულ ნივთებზე შეჩერდება ხოლმე, – მაგ. მხატვრის საუკეთესო ნამუშევრებზე, ყველაზე გამოგნებულ ნიმუშებზე, ან რომელიმე ისტორიულ პერსონაჟთან ან ამბავთან დაკავშირებულ არტეფაქტებზე.

- წარმომადგენლობითი ნივთების გამოფენაც შესაძლებელია, მაგ., ცხოვრების წესის, ან სახეობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების და მახასიათებლების, ან ამა თუ იმ ტექნოლოგიისათვის საჭირო იარაღების წარმოსაჩენად

- სისტემური გამოფენები – როგორცაა ღია საცავის პრინციპით წარმოდგენა, ან კიდევ უფრო შორს წასვლის შემთხვევაში – კოლექციის განვითარების ყოველი ცალკეული ეტაპის ჩვენება.

რა თქმა უნდა, ადვილი შესაძლებელია, რომ მრავალ დიდ გამოფენაზე, მათ სხვადასხვა ნაწილში, რომელიმე განსაკუთრებულ ნივთთან ერთად, წარმომადგენლობითი ნივთებიც იყოს გამოტანილი. ასევე შესაძლებელია, რომ გამოფენის მომზადების პროცესში შეიცვალოს მისი ძირითადი აქცენტები, რაც ისეთი საშუალებების მიგნებისას ხდება, რომელიც ზრდის გამოფენის წარმომადგენლობითობას თავდაპირველ ჩანაფიქრთან შედარებით.

მუზეუმის უნარი, კერძო ან სახელმწიფო კოლექციებიდან დროებით სარგებლობაში აიღოს ექსპონატები, ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს გამოფენისათვის ნივთების შერჩევის პროცესს. დიდი მუზეუმის მიერ პრესტიჟული გამოფენის მოწყობისას შესაძლოა საჭირო გახდეს ნივთების დროებით სარგებლობაში აღება მრავალი სხვადასხვა კოლექციიდან, ხოლო თუ ასეთივე გამოფენის მოწყობას უფრო პატარა დაწესებულება განიზრახავს, მოსალოდნელია, რომ მას გაცილებით მეტი სირთულე შეხვდება. სწორედ ეს არის ერთი მიზეზთაგანი, რის გამოც მუზეუმების უმრავლესობას სურს უმაღლესი სამუზეუმო ხარისხი უზრუნველყოს გარემოს კონტროლის, განათების და უსაფრთხოების მხრივ, რათა დააკმაყოფილოს ნივთის ნებისმიერი შესაძლო კერძო თუ სახელმწიფო მფლობელის მიერ წამოყენებული პირობები და მოთხოვნები სტანდარტების შესახებ. ორიგინალურ, ღრმა და მძლავრ საგამოფენო იდეას ან კონცეფციას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს, ხელი შეუწყოს და დადებითად გადანყვიტოს ექსპონატის დროებით სარგებლობაში აღების საკითხი.

გამოფენების საჭიროებისათვის ექსპონატის ან ნივთის სხვა მუზეუმისათვის დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხის გადანყვიტა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კურატორულ

პასუხისმგებლობებს შორის. როგორც უკვე განხილული იყო 8.2 ნაწილში, ექსპონატების დაქირავების ფორმა, როგორც წესი, დამქირავებელი მხარისაგან მოითხოვს მიუთითოს გარემოს კონტროლის საშუალებების არსებობა, უზრუნველყოს ნივთების უსაფრთხოება და დაზღვევა, წერილობით წარმოადგინოს ნაქირავებ ნივთებთან მოპყრობის პროცედურები და უზრუნველყოს მათი განუხრელი შესრულება. ასეთი ფორმების უმრავლესობა (8.2 სურათზე წარმოდგენილის მსგავსად) მოითხოვს, რომ ეს პირობები, სულ მცირე, ნივთის მფლობელ გამქირავებელ მუზეუმში არსებულ პირობებს მაინც შეესაბამებოდეს.

10.4 დოკუმენტაცია

კოლექციის შემადგენელი ნივთების გამოფენაზე წარმოდგენის მიზნით შექმნილი დოკუმენტაცია მხოლოდ მათ რეგისტრაციას და კატალოგიზაციას კი არ ეხება, არამედ მათი გადატანის საკითხების მართვასაც მოიცავს. ნივთების მოგზაურობა შეიძლება მუზეუმის ტერიტორიაზეც ხდებოდეს, მაგ. საცავიდან კურატორების სამუშაო ოთახში, საინსპექციოდ, იქიდან – საკონსერვაციო ლაბორატორიაში – შესამონმებლად, გასანმენდად ან დასამუშავებლად, იქიდან კი ე.წ. სუფთა სახელოსნოში გადაინაცვლოს, სადაც შეფუთავენ, ჩარჩოში ჩასვამენ და გამოფენაზე გატანამდე უსაფრთხოდ მოათავსებენ სადგარზე ან თაროზე, გამოფენაზე საბოლოოდ გატანამდე კი მომავალ საგამოფენო დარბაზში გადაიტანენ, სადაც შეამონმებენ, თუ როგორ გამოიყურება ისინი მათთვის მიჩენილ ადგილზე ან პოსტამენტზე. თუ გამოფენა მოძრავია, მაშინ ექსპონატს შესაფუთ საამქროში ჩაიტანენ, სადაც ძალზე ფრთხილად მოათავსებენ სპეციალური შეკვეთით დამზადებულ ხის ყუთში, რომლის შიდა ზედაპირზე ამოკრული იქნება გასამყარებელი მასალა, რომელიც არ შეიცავს მუავას. დიდი მუზეუმების კოლექციების მენეჯერებმა – იმის მიუხედავად, კურატორები პქვიათ თუ რეგისტრატორები, ასევე დოკუმენტურად უნდა აღრიცხონ დროებით სარგებლობაში გაცემული ყოველი ნივთის ნებისმიერი გადაადგილება სხვა მუზეუმებში გამართული გამოფენების დროს. კოლექციის მართვის კომპიუტერიზაციამ ძალზე გააადვილა ასეულობით ნივთის საგამოფენო მიზნებით ცირკულაციის თანამიმდევრული აღრიცხვიანობა.

დოკუმენტაცია, რაც გამოფენაზე წარმოდგენილი ნივთების ინტერპრეტაციის კარგი საფუძველია, მისი მიმდინარეობის პროცესშიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ზოგი გამოფენის დროს, განსაკუთრებით ღია საცავების შემთხვევაში, ამ გზით შესაძლოა უზრუნველყოფილი იქნეს იქ თავმოყრილი ნივთების სრული კატალოგიზაცია, დამთვლიერებლებს კი საგამოფენო თაროებსა და ვიტრინებთან ახლოს მოთავსებულ მონიტორებზე შეეძლება მათი მოძიება. უფრო ხშირად, კატალოგში შეტანილი ტექსტური მასალა საგამოფენო განმარტებითი ტექსტის ან სხვა გრაფიკული გამოსახულების სახით გამოიცემა. უფრო ადრეულ ხანებში ასეთი განმარტებები შესაბამისი წესით რეგულირდებოდა – ასე მაგ., ხელოვნების მუზეუმები მხატვრის მხოლოდ სახელს. დაბადებისა და გარდაცვალების წელს და ადგილს, ნამუშევრის დასახელებას, მასალას და შექმნის თარიღს, მისი მიღების თარიღს ან მისი მომწოდებლის ან მფლობელის ვინაობას უთითებდნენ. მართალია, ასეთი მწირი ინფორმაცია კვლავაც გვხვდება, სადღესოდ საგამოფენო ტექსტი უფრო ვრცელი და მდიდარია და როგორც წესი, ის უფრო ინტერპრეტაციული ხასიათისაა. მე-12 თავში მითითებულია, რომ საგამოფენო ტექსტის შექმნა შესაძლოა ერთობლივად დაევალოთ საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტებსა და ინტერპრეტატორებს, მაგრამ ამ სფეროშიც საკურატორო

ფუნქცია გადამწყვეტია საკატალოგო სტატიების ძირითადი მახასიათებლების დადგენის და ყველა ტექსტის სისწორის საბოლოო გადამოწმების და რედაქტირების დროს.

10.5 კონსერვაცია

გამოფენის მომზადების პროცესში საკურატორო ფუნქციების ერთ-ერთი სფერო საკონსერვაციო სამუშაოების ხელმძღვანელობა-უზრუნველყოფაა. აქ იგულისხმება როგორც პრევენციული, ისე სარესტავრაციო კონსერვაცია. პრევენციული კონსერვაციის მიზანი ნივთის მდგომარეობის გაუარესების პროცესის შენელებაა, ხოლო სარესტავრაციო კონსერვაცია ნივთის ისეთ დამუშავებას გულისხმობს, რომლის შემწეობით იგი ადრეულ, უფრო სასურველ მდგომარეობაში უნდა დაბრუნდეს. ამდენად, პროფესიონალი კონსერვატორ-რესტავრატორი საკურატორო გუნდის მნიშვნელოვანი წევრია.

სამუზეუმო გამოფენების დროს მაღალი დონის საკონსერვაციო საქმიანობა გულისხმობს:

- ყველა პერსპექტიული საგამოფენო ექსპონატის, ნიმუშის ან ხელოვნების ნიმუშის შემონახვას კვალიფიციური კონსერვატორის მიერ, და მისი რეკომენდაციების საფუძველზე საბოლოო გადამწყვეტილების მიღებას ნივთის საგამოფენო კოლექციის ნუსხაში ჩართვის შესახებ.

- წერილობითი ანგარიშის მომზადებას ექსპონატის მდგომარეობის შესახებ, გამოფენის დროს მისი მოვლის და მოპყრობის მეთოდების შესახებ რეკომენდაციების და გამოფენის დაწყებამდე ნებისმიერი საჭირო სარესტავრაციო-საკონსერვაციო ზომის მითითებით.

- საგამოფენო სადგარების, თაროების და სხვა საშუალებების, კოლექციების საბოლოო განლაგების ზედამხედველობას კონსერვაციის თვალსაზრისით.

- კონკრეტულ მითითებებს გარემოს კონტროლის საშუალებებისა და კოლექციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ და მათ კონტროლს.

გამოფენების დროს ექსპონატების სწორი მართვის მიზნით, მუზეუმმა შესაძლოა საჭიროდ ჩათვალოს რისკის მართვის მეთოდის შემოღება და დანერგვა. ამ მიდგომის თანახმად, ნებისმიერი გამოფენის დროს, ნებისმიერი ნივთი ამა თუ იმ რისკის ქვეშაა, თუმცა მისი მიზანი ამ რისკების მაქსიმალური შერბილებაა.

როგორც მითითებული იყო მე-5 თავის 5.5 ნაწილში, ხშირად აუცილებელია კომპრომისები კონსერვატორ-რესტავრატორებს, კურატორებსა და მუზეუმში მომუშავე სხვა დარგის პროფესიონალებს შორის, მაგრამ ნებისმიერი კომპრომისის მიზანი საგამოფენო კოლექციაში შესული ნივთის გამოფენის დროს გაფუჭების და დაზიანების რისკის შემცირება უნდა იყოს.

თუ გამოფენა მოძრავია, ან თუ ექსპონატები სხვა მუზეუმმა გამოითხოვა თავის მოძრავ გამოფენაში ჩართვის მიზნით, მაშინ კონსერვატორ-რესტავრატორის მოვალეობა უფრო მნიშვნელოვანი ხდება – მან ყოველი ნივთი უნდა შეამოწმოს და შეაფასოს, თუ რამდენად მდებარე თითოეული მათგანი შეფუთვის, გახსნის და ტრანსპორტირების დროს არსებული და მოსალოდნელი რისკებისადმი. მუზეუმის დროებით სარგებლობაში ნივთის გაცემის შეთანხმების ფორმა, რომელიც მხოლოდ კონსერვატორ-რესტავრატორის და კურატორის ნებართვით და დამონებით გაციემა, აუცილებლად უნდა მოითხოვდეს დამპირავებელი მუზეუმის კონსერვატორ-რესტავრატორის ან კურატორის მიერ შედგენილ წერილობით ან-

გარიშებს ნივთის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც შესაძლოა ახლდეს ნივთის მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათი მისი ყოველი შეფუთვის და გახსნის წინ. განსაკუთრებით მყოფე ნივთების შემთხვევაში, გამქირავებელმა მუზეუმმა დამქირავებელ დანესებულებას შეიძლება მოსთხოვოს ნივთის თანმხლები საკუთარი კურიერების სამივილინებო ხარჯების ანაზრაურება. კურიერებმა ნივთის საგამოფენო დარბაზში მოთავსებაც უნდა გააკონტროლონ. უმრავლეს შემთხვევებში ეს კურიერები მუზეუმის კონსერვატორ-რესტავრატორები ან კურატორები არიან.

10.6 გამოფენის ბრიფინგის მომზადება

წინასწარი დაგეგმვის დამამთავრებელ ეტაპზე, რომელიც გამოფენის დაგეგმვის და დაპროექტების მხოლოდ დასაწყისია, საკურატორო ფუნქციაში შედის გამოფენის ბრიფინგის მომზადება, რომელსაც ხშირად საკურატორო ბრიფინგსაც უწოდებენ. ბრიფინგს თავს უყრის მოსამზადებელ ეტაპზე შეკრებილ მთელ ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრავს გამოფენის შინაარსსა და მიზნებს. ეს მოკლე შინაარსი, რომელიც ფუძემდებლური განმსაზღვრელი განცხადებაა, ის ფუნდამენტია, რომელსაც ხშირად უბრუნდებიან გამოფენის დამპროექტებლები და მის გეგმაზე მომუშავენი.

გამოფენის ანუ საკურატორო ბრიფინგის მიზანია, მოკლედ ჩამოაყალიბოს გამოფენის შინაარსი და აგრეთვე – თემატური სტრუქტურა, რომლის ირგვლივ უნდა მოხდეს შინაარსის ორგანიზაცია და ასევე ჩამოაყალიბოს ის ფუნდამენტური საკითხები ან მოსაზრებები, რომელთა გამოკვლევაც არის საჭირო. ბრიფინგს წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც კურატორთან ერთად გამოფენის საინტერპრეტაციო გეგმაზე და ღიზინზე მომუშავე გუნდის წევრები იხელმძღვანელებენ.

ბრიფინგში აუცილებლად უნდა იყოს განხილული, სულ მცირე, შემდეგი საკითხები:

- მოსაზრების ან შეკითხვის სახით გადმოცემული დედააზრი, რომლის განხილვასაც ეძღვნება გამოფენა
- თემატური ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს გამოფენის თემებსა და საკითხებს
- თემატური სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს გამოფენის თემები
- ფაბულა, რომელიც გამოხატავს გამოფენით გადმოსაცემ ძირითად აზრებს
- რესურსების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არტეფაქტი, ნიმუში და ხელოვნების ნამუშევარი, ასევე – სხვა მასალა და ინფორმაცია, არის ხელმისაწვდომი გამოფენაში გამოსაყენებლად
- საზოგადოებრივი პროგრამის გეგმა, სადაც აღწერილია ყველა თანამდევი საქმიანობა ან ნივთი და ნაწარმი, რომელიც საჭიროა გამოფენისაგან მიღებული შთაბეჭდილების გასამდიდრებლად (იხ. ნაწილი 8.4)

ეს თავი გამოფენის მომზადების პროცესში ამ უმნიშვნელოვანესი საკურატორო ნვლის ყოველი საკითხის მოკლე განხილვით მთავრდება.

10.6.1 გამოფენის დედააზრი

"საჭიროა თუ არა ეს გამოფენა?" გამოფენის დედააზრი ნათლად უნდა სცემდეს პასუხს ამ შეკითხვას. პასუხი შეიძლება მოკლედ გამოიხატოს შეკითხვის, თეზისის ან პრობლემური

საკითხის ნამოწვევის სახით. მაგალითად:

- ხელოვნების გამოფენის დედააზრი შეიძლება იყოს რომელიმე მივიწყებული მხატვრის ხელახალი აღმოჩენა, ან კარგად ცხოვრილი ავტორის ხელახალი შეფასება

- სამეცნიერო გამოფენის დედააზრი შეიძლება იყოს ახალი აღმოჩენების ახსნა-განმარტება საზოგადოებისათვის, ან დამთვალეიერებლისათვის სამეცნიერო-კვლევითი მეთოდის გააზრების ახალი გზების ჩვენება

- ისტორიული გამოფენის დედააზრი შეიძლება იყოს სხვაგვარი მიდგომის წარმოჩენა რომელიმე ისტორიული პერიოდისადმი და მისი ახლებური გააზრება, ან რომელიმე ორგანიზაციის თუ ლიდერის ღვაწლის ხელახალი შეფასება

- ეთნოგრაფიული გამოფენის დედააზრი შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული კულტურის ხელახალი გააზრება და განსხვავებული შეფასება, ან რომელიმე ისტორიული ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე შთამომავლობასთან დაკავშირება

- არქეოლოგიური გამოფენის დედააზრი შეიძლება იყოს რომელიმე ძეგლის შესახებ ფართოდ აღიარებული მოსაზრების ეჭვქვეშ დაყენება, ან უბრალოდ, გათხრების დროს აღმოჩენილი ახალი ნივთების წარმოდგენა.

ყველაზე მძლავრი საგამოფენო იდეები ისაა, რომელიც დიალექტიკურად შეიძლება გამოიხატოს და რომლის საკითხებიც სავარაუდოდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაშინაც კი, როცა გამოფენა ერთგვარ იდუმალებით მოცულ თემას ეხება, ანდა ისეთს, რომელიც სავარაუდოდ მხოლოდ ვინრო, სპეციალისტების აუდიტორიისადმი არის მიმართული, სასარგებლო იქნება, თუ გამოფენის ძირითადი იდეა ჩამოყალიბდება იმ საკითხის ტერმინოლოგიით, რომელსაც გამოფენა მოიცავს. გამოფენის დედააზრის მკაფიო, ლაკონური ფორმა დაეხმარება მისი ინტერპრეტაციის დამგეგმავებსა და დიზაინერებს, რომ არ გადასცდნენ გამოფენის ძირითად მიმართულებას და კურსს.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ გამოფენას შესაძლოა წინ უძღოდეს დიდი მასშტაბის, ზოგჯერ რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით კურატორებს შეეძლება ლაკონურად და ნათლად ჩამოაყალიბონ გამოფენაზე განსახილველი საკითხები. ამასთანავე, შესაძლოა საჭირო გახდეს საზოგადოებრივი კონსულტაციების ჩატარება მოსახლეობის იმ ნაწილთან, ვისი კულტურული მემკვიდრეობიდანაცაა აღებული ეთნოგრაფიულ ან არქეოლოგიურ გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები (როგორც 3.1 ნაწილში განხილული ნუ-ჩა-ნულსის გამოფენაზე) და/ან მოსახლეობის იმ ფენებთან, ვისთვისაც ეწყობა ეს გამოფენა. როგორც მითითებული გვექონდა 4.2 ნაწილში, ეს კვლევა შესაძლოა ნაწილობრივ ან მთლიანად, შედგებოდეს გამოფენის კონცეფციის ჩამომყალიბებელი ევალუაციისაგან. გამოფენაზე მუშაობის ამ სტადიაზე მუშა ჯგუფის ყველა წევრი მზად უნდა იყოს მისი დედააზრის გადასასინჯად, ან მის დასაზუსტებლად, როგორც საკურატორო კვლევის, ისე დედააზრის ჩამომყალიბებელი ევალუაციის შედეგების საფუძველზე.

10.6.2 თემატური ჩარჩო

გამოფენაზე განსახილველ თემებზე დაყრდნობით განისაზღვრება გამოფენის შინაარსის შესამუშავებლად საჭირო როგორც ძირითადი მახასიათებლები, ისე მთავარი სფეროები. ჩვეულებრივ, როგორც პირველადი, ისე მათგან გამომდინარე მეორადი საკითხების შემ-

ცველი გამოფენის თემები, მის დადაზრზეა დამყარებული. ქვემოთ მოტანილია მაგალითი, სადაც ნაჩვენებია ამ სტატიის ავტორის მიერ ერ-რიადში, საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმის მუდმივი კოლექციების მუდმივმოქმედი გამოფენის დაგეგმვის პროცესი.

10.6.2.1 დედაზრი

საუდის არაბეთისა და საუდიტების სამეფო სახლის განსაკუთრებული როლი, როგორც ისლამის დაბადების ადგილის და მისი სინმინდეების მმართველებისა და მასპინძლებისა.

10.6.2.2. პირველადი საკითხები ან თემები

- ისლამი – ალაჰის მიერ დადგენილი ძირითადი კანონი
- არაბეთის განსაკუთრებული გარემო
- არაბეთის ხალხი, რელიგია, ისტორია და კულტურები

10.6.2.3 მეორადი საკითხები ან ქვე-თემები

- არაბეთის, როგორც ისლამის სამშობლოს და იმ ადგილის განსაკუთრებული მნიშვნელობა, სადაც მისი ყველაზე დიდი სინმინდეები მდებარეობს
 - ნდობისა და მართვის განსაკუთრებული ურთიერთობა საუდის არაბეთის ხალხსა და მის მშობელ მიწას შორის
 - არაბეთის ხალხის ისტორიული როლი საუდიტების სამეფოს ხელმძღვანელობით.

10.6.3 თემატური სტრუქტურა

თემატურ ჩარჩოებში განსაზღვრული თემების და მათი შემადგენელი ქვე-თემების ურთიერთკავშირს გამოფენის თემატური სტრუქტურა გამოხატავს. შერჩეული თემატური სტრუქტურა მთლიანად განსაზღვრავს გამოფენაზე მუშაობის მომდევნო სტადიებს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დამთვალეირების მიერ გამოფენისაგან მიღებულ საბოლოო შთაბეჭდილებას. ძალიან ხშირად, ისინი, ვინც გამოფენის თავდაპირველი გეგმის შემუშავებაზე მუშაობენ, ერთ კონკრეტულ სტრუქტურას ობიექტურ მოცემულობად აღიქვამენ და შესაძლოა ჩათვალონ, რომ იგი მასალის წარმოდგენის ერთადერთი გზაა – მაგრამ თითქმის ყველა ასეთ შემთხვევაში, ალტერნატიული საშუალებების აზრიან და გონივრულ განხილვას და გადასინჯვას, როგორც მოსალოდნელია, საინტერესო შედეგები ექნება, რასაც ნამდვილად შეუძლია გაამდიდროს გამოფენისაგან მიღებული საბოლოო შთაბეჭდილება.

ყველაზე უფრო გავრცელებულია ექვსი სახის თემატური სტრუქტურა. ესენია:


- მთავარ თემაზე ფოკუსირებული
- იერარქიული
- თანამიმდევრული
- პარალელური
- მატრიცული
- კონტექსტური

10.6.3.1 მთავარ თემაზე ფოკუსირებული თემატური სტრუქტურა

მთავარ თემაზე ფოკუსირებული თემატური სტრუქტურა განსაზღვრავს გამოფენის ერთ მთავარ იდეას, რომლის ირგვლივაც თავს იყრის ამ მთავარი თემიდან გამომდინარე რამდენიმე ქვე-თემა, დაახლოებით ისე, როგორც ყვავილის ფურცლები – გვირგვინის ირგვლივ. ამ ტიპის თემატურ სტრუქტურაზე დამყარებული გამოფენის მკაფიო მაგალითია ლონდონის ეროვნულ გალერეაში 1995 წელს მონყობილი გამოფენა “საბრძოლო გემი “შეუპოვარი”, რომელიც განხილული იყო ამ წიგნის 10.1 სასწავლო მაგალითში. გამოფენის მთავარი ნივთი იყო თერნერის ცნობილი სურათი, ხოლო მისი მთავარი იდეა, ანუ დედააზრი იყო ამ ტილოს შექმნის, მასში ჩაქსოვილი იდეებისა და მისი მნიშვნელობის გამოკვლევა. ამ სურათში სხვადასხვა საშუალებებით გადმოცემულია გამოფენის სამი პირველადი თემა, რომელთა საილუსტრაციო მასალები იქვე, მომიჯნავე გალერეებში იყო გამოფენილი. ამის წყალობით სურათი ყველა დამთვალიერებლისათვის მთლიანად გასაგები გახდა.

ვენის დიაგრამა კარგი მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება მეორადი თემის ძირითად თემაზე, ან დედააზრზე ფოკუსირება. ამის საილუსტრაციოდ შესაძლოა კვლავ საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმის მუდმივმოქმედი გამოფენის დაგეგმვის პროცესს დავესესხოთ, რაც დანვრილებითაა განხილული 10.4 ცხრილში. ამ შემთხვევაში, ურთიერთდამოკიდებულება პირველად, ანუ ძირითად თემებს შორის, განსაზღვრავს მთელი გამოფენის დედააზრს და მისგან გამომდინარე მეორად თემებს, რომელთა საილუსტრაციო მასალები უხვადაა წარმოდგენილი მუზეუმის სხვადასხვა გალერეაში.

სურ. 10.4 მთავარ თემაზე ფოკუსირებული თემატური სტრუქტურა: საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმი



მთავარი თემები:


- მართვა: ყველა ადამიანის პასუხისმგებლობა ალაჰის და მის მიერ შექმნილი სამყაროს წინაშე
- ქვე-თემები:
- არაბეთის, როგორც ისლამის სამშობლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა
- ისლამის განმსაზღვრელი როლი საუდის არაბეთის ხალხის კულტურასა და ცხოვრების წესზე
- განსაკუთრებული დამოკიდებულება საუდის არაბეთში მოსახლე ხალხებსა და მათ მშობლიურ მიწას შორის

10.6.3.2 იერარქიული თემატური სტრუქტურა

თემების ან საკითხების იერარქიული განლაგება ძირითად და მეორად საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების რაციონალისტურ კონცეფციას ემყარება – სამეფოებში, ორდენებში, გვარებსა და სახეობებში ორგანიზებული ცხოვრების მსგავსად. ყველაზე ზოგადი თემები ან იდეები, იერარქიული წყობის ყველაზე ზედა საფეხურზეა მოქცეული, რომლებიც იერარქიული "ხის" საშუალებით მათ ქვემოთ მოთავსებულ უფრო კონკრეტულ მაგალითებს უკავშირდებიან, რომლებშიც გადმოცემულია შთაბეჭდილებების ან პოპულაციების ვარიაციების საზღვრები ზემოთ მითითებული ზოგადი კატეგორიების ჩარჩოებში, როგორც ნაჩვენებია 10.5 სურათზე. ასეთმა ორგანიზაციამ შესაძლოა მოაწესრიგოს და დააღაგოს მონაცემების ძალზე რთული ნარევი, რაც ტრადიციულად გამოიყენება კიდევ ტიპოლოგიური კოლექციების გამოფენის დროს, განსაკუთრებით, ბუნების ისტორიის მუზეუმებში.

ამ იერარქიულ თემატურ სტრუქტურაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება მოთავსდეს როგორც ზემო ისე ქვემო დონეებზე და დანაწილდეს როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი მიმართულებებით – ზოგადი საკითხებიდან კონკრეტულისაკენ და პირიქით.


სურ. 105 იერარქიული თემატური სტრუქტურა



10.6.3.3 თანამიმდევრული თემატური სტრუქტურა

გამოფენის მომზადების პროცესში, ყველაზე ხშირად თანამიმდევრული თემატური სტრუქტურა გამოიყენება. იმის მიუხედავად, ქრონოლოგიურ პრინციპზეა მოწყობილი გამოფენა – როგორც მაგ. ისტორიული გამოფენის შემთხვევაში, თუ იდეათა ლოგიკური ჯაჭვის მიხედვით, თანამიმდევრული სტრუქტურა გულისხმობს გეგმის მიხედვით დალაგებულ და კონტროლირებულ გამოფენას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დამთვალიერებელმა ყოველმხრივ გაიაზროს გამოფენის მთავარი და ერთმანეთიდან გამომდინარე იდეებისა ან მოვლენების ურთიერთკავშირი. 10.6-ე სურათზე წარმოდგენილია საუდის არაბეთის ეროვნულ მუზეუმში მოწყობილი გამოფენის დროს გამოყენებული თანამიმდევრული თემატური სტრუქტურა.

ეს მოდელი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ისტორიული გამოფენების ან ბი-



სურ. 10.6 თანამიმდევრული სქემატური სტრუქტურა (სქემა): საულის არაბეთის ეროვნული მუზეუმი

ოგრაფიული, ან რომელიმე შემოქმედის რეტროსპექტიული გამოფენის დროს. თანამიმდევრულ პრინციპზე მონყობილი გამოფენა, შეიძლება სივრცეში ურთიერთდამოკიდებულებას ეფუძნებოდეს, როგორც იმ გამოფენების დროს ხდება, სადაც ექსპონატები ერთი სიბრტყის გასწვრივაა განლაგებული, მაგალითად კონტინენტის გასწვრივ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ან ქვეყნის ამა თუ იმ ოლქში ან ქალაქის უბნებში მოგზაურობის ამსახველი გამოფენის შემთხვევაში. გამოფენის მიმართულება ცალმხრივი ან ორმხრივია, მაგრამ რა მიმართულებაც არ უნდა აირჩიოთ, მუდამ კონტროლის ქვეშაა ის საკითხი, რომ დამთვალიერებელმა სივრცობრივი შთაბეჭდილება მიიღოს.

10.6.3.4 პარალელური თემატური სტრუქტურა


ხშირად გამოფენებს პარალელური თემატური სტრუქტურის საფუძველზე აწყობენ, როდესაც საგამოფენო თაროები ერთმანეთის გვერდიგვერდაა დალაგებული, 10.7 სურათზე ნაჩვენებ ისტოგრამის მსგავსად. თითოეული საკითხი დამოუკიდებლადაა წარმოდგენილი, თუმცა, საბოლოო გააზრების გასაადვილებლად, ყოველი მათგანი ერთნაირი წესითაა მონყობილი.

ვინაიდან ყოველი საგამოფენო თარო ძირითადად დამოუკიდებელია სხვა თაროებისაგან, პარალელური თემატური სტრუქტურის საფუძველზე მონყობილი გამოფენა ხშირად მოკლებულია რაიმე წესრიგს.


10.6.3.5 მატრიცული თემატური სტრუქტურა

მაშინ, როდესაც თანამიმდევრული თემატური სტრუქტურის საშუალებით, ყველაზე სრულად და მრავალმხრივად გადმოიცემა ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული თემები, იგი თითქმის არ იძლევა იმ იდეების და საკითხების განხილვის შესაძლებლობას, რომლებიც პარალელურად განლაგებულ თემებს განივად კვეთენ. ასეთი ვითარება ხშირია ეთნოგრაფიული ან ხელოვნების ისტორიის გამოფენების დროს. გამოფენის მატრიცული ორგანიზაციის დროს, დამთვალიერებელს საშუალება აქვს გამოფენა სხვადასხვა ღერძის შესაბამისად დაათვალიეროს, რაც ნაჩვენებია 10.8 სურათზე.

ამ მაგალითში წარმოდგენილია ინფორმაციის ნაკადი, რომელიც ორ ძირითად ღერძზე,



სურ. 10.7 პარალელური თემატური სტრუქტურა (ისტოგრამა)



სურ. 10.8 მატრიცის თემატური სტრუქტურა

წელთაღრიცხვის შკალის შესაბამისადაა განლაგებული, რომლებიც, სინქრონულად ერთ თემატურ ღერძს ქმნიან. მატრიცული სტრუქტურის გამოყენების დროს უფრო იოლია თემების ურთიერთშედარება სხვადასხვა კულტურებში, ადამიანების ცხოვრებაში, ხელოვნების სკოლებში ან სამეცნიერო პროცესებში. მაგალითისათვის, განვიხილოთ 1990 წელს, ქ. გლაზგოში გამართული გამოფენა “გლაზგოს გლაზგო,” რომელიც იმ წელს ევროპის კულტურულ დედაქალადად გამოცხადდა. აქ, ქალაქთან დაკავშირებული არტეფაქტები მატრიცულად იყო წარმოდგენილი, სადაც თემების განლაგება ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა მათ გეოგრაფიულ მდებარეობას – ისე რომ, ერთის მხრივ, ინფორმაციის ორი ღერძი გამოფენის ძირითად საკითხებს წარმოადგენდა (როგორცაა მაგ. უნივერსიტეტების როლი ან გემთსაშენი ქარხნების ისტორია) და ამავე დროს, ქალაქის ფარგლებში მათი გეოგრაფიული მდებარეობის ასოციაციასაც იწვევდა (გამოფენის შესასვლელიდან ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით, გლაზგოში მათი მდებარეობის შესაბამისად).

10.6.3.6 კონტექსტური თემატური სტრუქტურა


კონტექსტური თემატური სტრუქტურა სამუზეუმო გამოფენის თემატური სტრუქტურის კიდევ ერთი ნაირსახეობაა. მათი მოდელები თემებისა და საკითხების ორგანიზაციის ერთ ზე-სტრუქტურაში გაერთიანებულ ოთხ განსხვავებულ გზას გვთავაზობს, რომელშიც ასახულია გამოფენის ზოგადი შინაარსი, მაგ.: "ხახვი", "პიცა", გარემოსდაცვითი, ან არქეტიპული ორგანიზაცია. ეს გზები სქემატურად ნაჩვენებია 10.9 სურათზე. მათ აღწერისთვის კი გამოყენებულია შემდეგი ტერმინები:

- "ხახვი" –სადაც ძირითადი აზრები და თემები, ხახვის მსგავსად, ფენა-ფენა იშლება. ხელოვნების ერთეული მნიშვნელოვანი ნიმუშის, ან გადამწყვეტი ბრძოლის შედეგების, თანამიმდევრული წარმოჩენა ამ საფეხურის ნათელი მაგალითები იქნებოდა. სასწავლო მაგალითი 10.1 სწორედ ამის ნიმუშია

- პიცა – სადაც ცალკეული იდეები ან თემები დამოუკიდებლადაა განხილული ერთ ადგილას ან გალერეაში. და სადაც თითოეული ექსპონატის გააზრება დამოუკიდებლად შეიძლება, სხვა ცალკეულ ექსპონატთან დაუკავშირებლად. ასეთი სტრუქტურა ხშირადაა გამოყენებული სამეცნიერო ცენტრებში ან ჯგუფურ სამხატვრო გამოფენებში

- გარემოსთან დაკავშირებული – სადაც საკითხები და თემები წარმოდგენილია აღდგენილ (როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით) გარემო პირობებში, რაც უკეთ წარმოაჩენს კონტექსტს, უფრო ღრმა გააზრებისა და მნიშვნელობის უკეთ აღქმისათვის. ასეთი მიდგომა უმნიშვნელოვანესია იმ შემთხვევაში, თუ პრეზენტაცია რომელიმე ისტორიულ ნაგებობაში ან ძეგლზეა მოწყობილი, თუმცა, საკმაოდ ხშირად გამოიყენება ინტერპრეტაციული გამოფენების დროსაც

- არქეტიპული – როცა ამა თუ იმ სტრუქტურაში ასახულია რეალობა, რომელიც ანალოგიის ფუნქციას ასრულებს, მაგ.: სახლის სტრუქტურის გამოყენება რომელიმე კულტურის შიგნით სოციალური და კულტურული ურთიერთობების, ადამიანის ინდივიდუალურ სფეროსა და ოჯახურ ან უფრო ფართო სოციალურ გარემოში მის როლს შორის ურთიერთობების გასარკვევად. ეს სტრუქტურა დამთვალეირებელს კონკრეტულიდან ზოგადი დასკვნებისაკენ უბიძგებს.



სურ. 10.9 კონტექსტური თემატური სტრუქტურა

10.6.4 ფაბულა

გამოფენები ყოველთვის ლიტერატურული (ამბავი) ან ხაზოვანი (რაიმე ხაზოვანი მიმართულება) როდია. თუმცა ტერმინი “ფაბულა” მაინც იხმარება გამოფენის ბრიფის ძირითადი ნაწილის აღსანიშნავად, ვინაიდან, სწორედ იქაა გადმოცემული გამოფენის ბირთვში ჩაქსოვილი შეტყობინებები და სწორედ აქ გარდაიქმნება მკაცრად განსაზღვრული საკურატორო ფუნქციები ინტერპრეტაციულ დაგეგმვის ფუნქციებად, რაც მომდევნო თავშია აღწერილი. 10.1 ცხრილის სახით, მოტანილია ძირითადი სიუჟეტის ერთი ამონარიდი, რომელიც ისევ საუდის არაბეთის ეროვნული მუზეუმის მუდმივმოქმედი გამოფენის დაგეგმვის პროცესიდანაა ნასესხები და რომელშიც ავტორიც მონაწილეობდა.

ძირითადი სიუჟეტის შემცველი მატრიცის ძირითადი კატეგორიები ამ წიგნის მე-11 თავში აღწერილი ინტერპრეტაციული გეგმის მთავარი დებულებების მსგავსია: კერძოდ:

- კომპონენტი – თითოეული თემის და ქვე-თემის მოკლე აღწერა
- მიზნები – თითოეული თემის ან ქვე-თემის საკომუნიკაციო მიზნების განსაზღვრა, ანუ იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა გადმოსცეს თითოეულმა მათგანმა. მათზე დაყრდნობით მუშავდება გამოფენის გზავნილების კონტექსტები და ხდება არტეფაქტების და სხვა მედიის შერჩევა

• ძირითადი სიუჟეტის საკვანძო ადგილები – აქ ინფორმაციის სახით მოცემულია გამოფენაზე წარმოსადგენი ყოველი გზავნილის შინაარსი. მათზე დაყრდნობით შემუშავდება გამოფენის ინტერპრეტაციული გეგმა და ტექსტები

• გამოხატვის ფორმები – გვთავაზობს საგამოფენო საშუალებების შესაძლო სახეობებს და ტიპებს ძირითადი სიუჟეტის წარმოსადგენად.

10.6.5 რესურსების გეგმა

ძირითადი სიუჟეტის შემუშავების შემდეგ, ჯერი გამოფენის ბრიფის მომზადების პროცესის ბოლოსწინა საფეხურის – რესურსების გეგმის მომზადებაზე დგება. ამ გეგმის მიზანია ძირითადი სიუჟეტის გადმოცემის უზრუნველსაყოფად საჭირო ხელმისაწვდომი რესურსების განსაზღვრა. ჩვეულებრივ, ეს გააფართოვებს ძირითადი სიუჟეტის ფორმატს, ამ ეტაპზე მასში შესული ზოგიერთი კატეგორიის ხარჯზე. კერძოდ:

• კონსერვატორ-რესტავრატორის ნებართვისა და კოლექციების მმართველის მიერ გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე კოლექციებიდან შერჩეული არტეფაქტების, ნიმუშების, ხელოვნების ნამუშევრების ნუსხა.

• გრაფიკული გამოსახულებები – გამოფენის ძირითადი მიზნების მხარდაჭერი ყველა იმ საილუსტრაციო მასალის ჩათვლით, რომელთა რეპროდუცირებაც არის შესაძლებელი

• სხვა საშუალებები – აუდიო-ვიზუალური მასალის, ციფრული მულტიმედიის, ინტერაქტიური ექსპონატების ისეთი მასალების ჩათვლით, რომელთა ხელით შეხება დაშვებულია.

10.6.6 საზოგადოებრივი პროგრამის გეგმა

გამოფენის ბრიფის შემუშავების ბოლო საფეხურზე უნდა შემუშავდეს იმ პროგრამის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს საკურატორო მონაწილეობას და

მის მოცულობას გამოფენასთან დაკავშირებით დაგეგმილ სხვადასხვა საქმიანობაში და პროგრამებში. აქ იგულისხმება მე-8 თავის მე-4 ნაწილში აღწერილი ყველა საქმიანობა და გამოფენისათვის ბეჭდვითი თუ ელექტრონული მედიის ფართო სპექტრის მომზადება. დიდ დაწესებულებებში საზოგადოებრივი პროგრამის გეგმა შესაძლოა სპეციალისტების ჯგუფმა მოამზადოს, სადაც შევლენ საგანმანათლებლო პროგრამებზე მომუშავე სპეციალისტები და რედაქტორ-გამომცემლები. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, საკურატორო მონაწილეობა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დაგეგმვის ადრეულ სტადიაზე, როდესაც ხდება გამოფენის პროექტის მოცულობის და მასშტაბების განსაზღვრა და აუცილებელია დაგეგმვის პროცესის თანმიმდევრობის უზრუნველყოფა.

სრულიად ნათელია, რომ წინამდებარე თავის უკანასკნელ ნაწილებში ისეთი ფუნქციებია განხილული, რომელთა შესრულება გამოფენის ინტერპრეტაციულ გეგმაზე ან საგანმანათლებლო პროგრამებზე მომუშავე სპეციალისტებსაც შეუძლიათ და რალა თქმა უნდა, ყველა მუზეუმი თავისებურად გადაანაწილებს ამ ფუნქციებს და მოვალეობებს. ზოგ მათგანში ამ წიგნის მე-11 და მე-12 თავებში აღწერილი საქმიანობის შესრულება მუზეუმის კურატორებს დაეკისრებათ. ასეთი განსხვავებების მიუხედავად, საკურატორო ფუნქციის და მოვალეობების განმსაზღვრელი ცენტრალური როლი არ იცვლება, ვინაიდან მიზეუმში მომუშავე ყოველი პროფესიონალი თავის მოვალეობას ასრულებს იმ ურთულესი და თავისი არსით სოციალური ხელოვნების განვითარებაში, რაც არის სამუზეუმო გამოფენა.

ცხრილი 10.1 საულის კოორდინაციის მუხე-კოორდინაციის ფაზულა (ამონარიდი)

კომპონენტები	საკომუნიკაციო ამოცანები	ამის ფაზულა	გამობატვის ფორმები	გამობატვის ფორმები	ფართო გე:	საუდრეალი	გენიშენები
0.0. სანყისი ექსპონატი და საორიენტაციო ადგილები					150 + 550		
0.0. სანყისი ექსპონატი	მუხეუმის ძირითადი მიზნების და მთავარი თემების წარმოჩენა და საორიენტაციო ინფორმაციის მიწოდება	არ არის	იატაკე გამოსახულა არაბეთის ნახევარკუნძულის რუკა. მიწარქების კორტრეტები. შთამაგონებელი ინფორმაცია. საინფორმაციო სისტემა დამთვლიერებელთათვის -B დონე საორიენტაციო სისტემა დამთვლიერებელთათვის - B დონე დამთვლიერებელთათვის -B დონე საორიენტაციო სისტემა დამთვლიერებელთათვის - დონე		150		
0.1 ადამიანი და გუნები	მმართველობისა და მოვლა-პატრონობის იდეისა და ეროვნული მემკვიდრეობის, როგორც მუხეუმის ძირითადი თემის წარმოჩენა	დედამინის შემსწავლელი და პალეონტოლოგიური მემკვიდრეობის კონტექსტის შექმნა		მეტეორიტი ან რიმელომე ადრეული პერიოდის ქანი	80		
02. სამეფოების ხანა	სამეფოების ეპოქის თემების გაცნობა, ცვილი ზაციის პირველი საფეხურების წარმოჩენით	ადამიანის ისნავლა გარემოს გამოყენება, დაარსა სოფლები და ქალაქები. წარმოიქმნა ხელოსნობის დარგები და მომინაურებულა ცხოველები		ადრეული ხანის ლამიდარული ძეგლები	80		
0.3 ჯამილია	ჯამილის წარმოჩენა, რომელმაც მოამზადა პირობები გამოცხადების მისაღებად	საერთაშორისო ბაზრების დაქნება ძეგლი იმპერიების დამლასთან ერთად, არაბული ტომების და კულტურის აღმავლობა		ციტატა უნდა განისაზღვროს	80		

კომპონენტები	საკომპონენტო ამოცანები	ამბის დაბულა	გამოსატვის ფორმები	ფართ ვ²	საულ. რეალი	შენიშვნები
0.4. გამოცხადება	გამოცხადების მშენიარებისა და სინმინდის წარმოჩენა - გადმოცემა	დემონტაჟი მიანიჭა წინასწარმეტყველ მუშაშედს ისლამის საბოლოო გამოცხადება	96-ე სურის ტაეპი 1-5; გახმოვანებულია 97-ე სურის კედელზე წარწერილი ტაეპები - ამდლებული და წმინდა, მერეთთან მიმსგავებული გარემო;	80		გალერეაში ოაზისის გარემოა შექმნილი; იხ. გალერეა 4.0
0.5. ისლამი და არაბეთი	გალერეაში წარმოდგენილია ისლამის პირველი 1000 წლის ისტორია არაბეთში	არაბებმა არაბეთს გარეთ გაიტანეს მათთვის ნაბოძები სიტყვა და გაუნაწილეს იგი მსოფლიოს	უნდა შეირჩეს ციტატა	80		დეკორატიული ფილები წარწერებით
0.6 გაერთიანება	მეფე აბდულ აზიზის უდიდესი მიღწევის - საშეფოს გაერთიანების და საუდის არაბეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის პატივის მიცემა	მეფე აბდულ აზიზმა განახლა მისი წინაარების რწმენა, დაასრულა ბინ საუდის და მისი შამის მუშაშედის დანებული საქმე და წმინდა ქალაქების მფარველი გახდა.	უნდა შეირჩეს ციტატა	80		საუდოტების დროშა
07. საუდის არაბეთი და ისლამური სამყარო დღეს და პაჯი	წარმოდგინოს მმართველის მოვალეობები წმინდა ადგილების დაცვის, ისლამურ სამყაროში ღარიბთა უნგარო დახმარების და ქვეყნდომთა კეთილდღეობის დაცვის შესახებ	სამეფო გაერთიანდა და აღ-საუდების ოჯახი მოლოცველთა უსაფრთხოებაზე და კომფორტზე გახდა პასუხისმგებელი	ციტატა უნდა განისაზღვროს	80		მეფე ფაჰდის დიდი ყურანის ასლი

კომპონენტები	საკომუნიკაციო ამოცანები	ამბის ფაბულა	გამოხატვის ფორმები	გამოხატვის ფორმები	ფართ ვუ	საუდ. რეალი	შენიშვნები
0.8 შესავლელი/ გასასვლელი	გალერეების აღზურვა კართი და სამეფოს მემკვიდრეობის მნიშვნელობის ხაზგასმა	მუზეუმის მიზანია შეინარჩუნოს და წარმოადგინოს სამეფოს ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა	მეფე ფეისალის ციტატა "ერი, რომელიც ველარ აღოცემს თავის მემკვიდრეობას, კარგავს იმას, რაც განსაკუთრებულს ხდის მას"	არ არის	80		
1.0 ადამიანი და ბუნება	პერიოდი: დადამინის წარმოშობა, ვიდრე ქვის ხანამდე	არ არის	იატაკზე გამოსახული არაბეთის ნახევარკუნძულის რუკა. მონარქების პორტრეტები. შამაგონებელი ინფორმაცია. საინფორმაციო სისტემა დამთვლიერებელთათვის -B დონე საორიენტაციო სისტემა დამთვლიერებელთათვის - B დონე დამთვლიერებელთათვის -B დონე საორიენტაციო სისტემა დამთვლიერებელთათვის - დონე	არ არის	1,229		
1.1. შესავალი (0.1-თან ერთობლივად)	გამოფენის "ადამიანი და ბუნება" მთავარი თემების წარმოდგენა	ადამიანს პლანეტისა და მსზე არსებული სიცოცხლის ყველა ფორმის მიუღია დაეცალა	ადამიანს პლანეტისა და მსზე არსებული სიცოცხლის ყველა ფორმის მიუღია დაეცალა	ქირთადი ტექსტი, გრაფიკული გამოხატულება და მთავარი არტეფაქტები			მეტეორიტი ან რომელიმე ადრეული პერიოდის ქანი
1.1.1. დედამიწის ჩამოყალიბება	დამთვლიერებელს აჩვენოს უკიდურესო სამყარო, ჩვენ რომ ცხოვრობთ და მისი საოცრებები	სამყაროს ისტორია მისი დასაწყისიდან დედამიწის შექმნამდე (4.4 მლრ.დი წლის წინ) და პროტოკონტინენტების ჩამოყალიბება	კეადრასკოპული თეატრი, "ა" ტიპის შთაბეჭდილება				ტელესკოპ "უპული" გადაღებული ვარსკვლავთა ნარმოქმნის ფოტოები
1.1.2 ქანების ტექტონიკა	არაბეთის ნ.კ-ის წარმოშობისა და მომოჯავე კონტინენტებთან მისი კავშირის ახსნა და წარმოჩენა	კონტინენტების დრეიფი და არაბეთის ნ.კ-ის წარმოშობა.	"ა" ტიპის ინტერაქტიური პრეზენტაცია კონტინენტების დრეიფის და ზღვის დონების და კლიმატის ცვლილების შესახებ				რუკები და ცხრილები

კომპონენტები	საკომუნიკაციო ამოცანები	ამბის ფაბულა	გამოხატვის ფორმები	გამოხატვის ფორმები	ფართ გვ	საუდ. რეალი	შენიშვნები
1.2 ქანების კედელი	სამეფოს ფიზიკურ საძირკველისა და დადამინის შემსწავლელი მეცნიერების ჩვენება	სამეფოს ტერიტორიის გეოლოგიური ისტორიის მიმოხილვა და გეოლოგიის, როგორც მეცნიერების, წარმოჩენა, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა სამეფოს ფიზიკური რესურსების მნიშვნელობის გააზრებას	სამეფოს ტერიტორიის გეოლოგიური ისტორიის მიმოხილვა და გეოლოგიის, როგორც მეცნიერების, წარმოჩენა, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა სამეფოს ფიზიკური რესურსების მნიშვნელობის გააზრებას	ქანების ბირთვები, აერიოფოტოები და გეოგრაფიული რუკა მინერალების რესურსების მითითებით და კულკანური, მეტამორფული და დანალექი ქანების ნიმუშები, რომელთა შეხება ნებადართულია.			
1.2.1 ძვირფასი და სანახლავო ქვები და მინერალები	ქანებისა და მინერალების შემეცნელების ჩვენება და სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მათი დიდი მრავალფეროვნების დაფასება	სამეფოში აღმოჩენილი მინერალებისა და ქანების განსაზღვრა	ძვირფასი ქვებისა და მინერალების ოთახი მათი აღმოჩენის ადგილების ჩვენებით და ისეთი ნიმუშებით, რომელთა ხელში აღებაც ნებადართულია.	ძვირფასი ქვები და მინერალები			
1.2.2 ნავთობის ნარმოქმნის პროცესის ჩვენება	ნავთობის ნარმოქმნის პროცესის ჩვენება	ნავთობის ნარმოქმნა და მისი მნიშვნელობა სამეფოსათვის	ტექსტური მასალა, გრაფიკული გამოსახულებები და ნიმუშები	ნავთობი საცე ქვევრები, ნავთობის შემცველი ქანები და სხვ.			
1.1.1. დედამიწის ჩამოყალიბება	დამთავლიერებელს აჩვენოს უკიდურესი სამყარო, რევენ რომ ცხოვრობთ და მისი საოცრებები	სამყაროს ისტორია მისი დასაწყისიდან დედამიწის შექმნამდე (4.4 მილ.დი წლის წინ) და პროტოკონტინენტების ჩამოყალიბება	კვადრას კოპული თეატრი, "5" ტიპის შთაბეჭდილება	ტელესკოპ "კუბლით" გადაღებული ვარსკვლავთა ნარმოქმნის ფოტოები			
1.23 დედამიწის ძალები	საუდის არაბეთის მიწის შემქმნელი ბუნების ძალების გააზრება და მათი შეფასება	მთების, ეკლების, ტირასების და უდაბნოს ლანდშაფტის ნარმოქმნელი ძალების ახსნა	აღმოჩენების ზონები დამთავლიერებლისათვის, ინტერაქტიული ექსპონატებით ეკლანიზმის, ეროზიის, ტექტონიკური ძვრების, დანაოჭების და რღვევების შესახებ. "მ" ტიპის ინტერაქტიული გამოფენა	ქანების ნიმუშები და ფოტოები			

კომპონენტები	საკომუნიკაციო ამოცანები	ამის ფაქტორები	გამოხატვის ფორმები	გამოხატვის ფორმები	ფართობი	საუბრული	პერიოდები
1.3 პალეონტოლოგია	სიცოცხლის ძველი ფორმების ცვლილების დაკავშირება დროსთან	პრესტორიული სიცოცხლე მიულ დედამიწაზე გაქრცელდა, არაბეთის ჩათვლით, და სიცოცხლის უამრავი ფორმები არსებობდა, რომელთა დროში ცვალებადობა ნაჩვენებია გამოფენაზე	ოფისივ საუბრის არსებობა უფრო ნოტიო კლიმატი იყო და სარჩითი ამარაგებდა დღეს უკვე გადაშენებულ დად ტუქმინოურებს. მათი ნარჩენები მრავალ ადგილასაა აღმოჩენილი	ტექსტური დაფები, გრაფიკული გამოსახულებები და ნიმუშები, რომელიც მოცემულია მათ გარემოს იმიტაციასთან ერთად			
1.3.1 ბუნებრივი მემორია	მნიშვნელოვანი სახეობის პალეონტოლოგიური ნიმუშების შექმნა, არაბეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სიცოცხლის ძველი ფორმების გაზრდების უზრუნველყოფა და შესაბამისი დისკალინის სწავლება ნარდვენა	გეოლოგიური პერიოდის დანალექ კანტონი, განმარტებული ფაუნის მრავალი ნიმუშის ნახვა მედიკა, ყველაზე ადრეული დეკონური პერიოდისა. ისინი შეიცავენ როგორც წყლის, ისე ხმელეთის ბინადართა ნიმუშებს.	არაბეთში და შლოლოში აღმოჩენილი განმარტული ფაუნის ნიმუშები მონეობილი აღმოჩენების ზონა	გამონტის გამოსახულება, სადაც ნაჩვენებია მისი ჩონჩხი, ხოლო ნინ გამოფენილია ნამდვილი განმარტული ნარჩენი.			
1.3.2 განმარტული ნარჩენების აღმოჩენის ზონები	დამოუკიდებელი სივრცის განმარტული ცხოველების ამაღლებული სამეაროს გაცნობა	დროის კითხვებში კლიმატის შეცვლის და ამ პერიოდის ზემოქმედების ჩვენება ცხოველებზე და მცენარეებზე	არაბეთში და შლოლოში აღმოჩენილი განმარტული ფაუნის ნიმუშები მონეობილი აღმოჩენების ზონა				
1.4 პალეოკლიმატოლოგია	დროის კითხვებში კლიმატის შეცვლის და ამ პერიოდის ზემოქმედების ჩვენება ცხოველებზე და მცენარეებზე	კლიმატის და ზუგის დინამიკის ცვალებადობის კერძოდ	შვავის ტიპის თანამდროვე გეოსისტემების რუკები				
1.5 წყლის ისტორია	სიცოცხლისათვის წყლის მნიშვნელობისა და ამ ძვირფასი რესურსის დაცვის აუცილებლობის ნარჩენი. დედამიწაზე წყლის არსებობის შემსაგული მეციერების მნიშვნელობის გაზრდების უზრუნველყოფა	დედამიწის მთავალი იყენების წყლის არსებობის დინამიკის კონსერვაციის პროგრამა	წყლის ფოტოები, გლუტერები, წყლის გამტარების სანარმოები და მილსადენები				

ინტერპრეტაციის დაგეგმვა

პიუ ა. დ. სპენსერი

გამოფენის მომზადების პროცესში ინტერპრეტაციის დაგეგმვა, როგორც ცალკეული და განსაკუთრებული ელემენტი, რამდენიმე მიზეზის გამო გაჩნდა. ეს მიზეზებია:

- მუზეუმის როლისა და დანიშნულების შეცვლა საზოგადოებაში – მუზეუმის მისიის, მისი უფლებამოსილების, კოლექციების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და სამუზეუმო მომსახურების საზოგადოებრივ მოთხოვნებთან უფრო მეტად მისადაგების გამო, მუზეუმების მიერ თავის რესურსებზე და საქმიანობაზე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდება მეტად მნიშვნელოვანი ხდება

- საზოგადოების წევრთა მომზადების დონისა და მათი მოსაზრებების ცოდნის მნიშვნელობა: ვინაიდან მუზეუმის აუდიტორია მხოლოდ სწავლულებითა და მეცნიერებით, ხელოვნების მუშაკებით, კურატორებით, ან ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტთა ჯგუფებით არ შემოიფარგლება, მუზეუმის თანამშრომლები უნდა დაინტერესდნენ იმით, თუ რა იციან და რას ფიქრობენ სხვები. ამდენად, მუზეუმის თანამშრომლები უკეთეს გზებსა და საშუალებებს უნდა ეძებდნენ თავიანთი რესურსებისა და საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად


- მუზეუმის გამოფენაზე მოსვლის ხარისხობრივი მნიშვნელობა: როდესაც საზოგადოების წევრები მუზეუმში მოდიან, მათ დიდი ინფორმაციის შემცველი და მრავალმნიშვნელოვანი შთაბეჭდილებების მიღება სჭირდებათ. უფრო მეტიც, მუზეუმმა უნდა გამოახოს გზები შთაბეჭდილებების შინაარსისა და ხასიათის მართვისათვის, რომლის დროსაც უნდა გაითვალისწინოს დამთვალიერებლის ცოდნის დონე და ინტერესების სფერო – ან როგორც უნდა მოახერხოს, რომ ახალი ინტერესები გაუღვივოს მათ. ხშირად, ეს გარემოება მუზეუმისაგან გამოფენების და საგამოფენო კომპონენტების კონკრეტული საკომუნიკაციო მიზნებისა და ამოცანების მიხედვით დაგეგმვას გულისხმობს, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული საკომუნიკაციო მიზნები, რაც ქცევის ნორმების, დამოკიდებულებების და ინტერესის დონის შეცვლას ემსახურება.

ყველა მითითებული ტენდენცია მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია მუზეუმსა და დამთვალიერებელს შორის კომუნიკაციის ხარისხისა და შინაარსის წინასწარი დაგეგმვა.


11.1 კომუნიკაციის პროცესი

როგორც წესი, მუზეუმისათვის, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ყველაზე უფრო კარგი და ხანგრძლივი საშუალება გამოფენაა. ინტერპრეტაციის დაგეგმვის პროცესში კომუნიკაციის გაუმჯობესების გზებს არჩევენ. გამოფენების სულ უფრო გართულებასთან ერთად, მათი კომუნიკაციის განხორციელება, მიწოდება და შეფასებაც გართულდა. სწორედ ამ გარემოების გამო, ინტერპრეტაციის დაგეგმვის პროცესი ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა.


გამოფენის მთავარი დოქტრინა და მისი მიდგომა არაერთგვაროვანია და მუზეუმის



სურ. 11.1 კომუნიკაციის სტანდარტული მოდელი



სურ. 11.2 კომუნიკაციის გაფართოებული მოდელი



სურ. 11.3 გამოფენის კომუნიკაციის მაგალითი

დანიშნულების, უფლებამოსილების და კოლექციების შესაბამისად იცვლება. თუმცა, არსებობს ყველასათვის საერთო მოდელი, რომელიც კომუნიკაციის ნებისმიერ ფორმას მართავს და რომელიც გამოფენის კომუნიკაციასაც მიესადაგება. ეს ზოგადი მოდელი 11.1 სურათზეა წარმოდგენილი.

მუზეუმის მაგალითს თუ განვიხილავთ, თავისი უფლებამოსილების, კოლექციების და კვლევების საფუძველზე, ამ დაწესებულებას აქვს ის ინფორმაცია, ხედვა და წვდომის უნარი, რომელიც გამოფენაზე მოგზაურობის დროს ექსპონატების საშუალებით უნდა გადაეცეს დამთვალიერებელს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოფენები იმიტომ ეწყობა, რომ მათში გარკვეული მიზანი და აზრია ჩაქსოვილი – ანუ, საუკეთესო შემთხვევაში, როდესაც გამოფენაზე წავალთ, ჩვენ აღვიქვამთ და გავიაზრებთ იმ შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს, რომლებსაც გამოფენა გეთავაზობს, ხოლო თუ ისინი ჩვენთვის მისაღებიც გამოდგა, ან თუ ისინი ნამდვილად არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ნამდვილად გადმოგვცემს სიღრმისეულ მნიშვნელობებს, მაშინ ჩვენ კიდევ უფრო კმაყოფილები დავრჩებით.

ინტერპრეტაციის დაგეგმვის აუცილებლობა კიდევ უფრო ნათელი ხდება მაშინ, როდესაც გავიაზრებთ აზრის გადმოცემის სირთულეს და დაუშვებობ, რომ შესაძლოა, ზოგჯერ ჩვენი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდეს. ხშირად, მუზეუმის თანამშრომლებმა არც კი იციან, აღვიქვამს თუ არა დამთვალიერებელი მათ მიერ გამოფენაში ჩაქსოვილ აზრს, ან ახდენს თუ არა გამოფენა მათზე ისეთ შთაბეჭდილებას, რაც მათ განზრახული ჰქონდათ. შესაძლოა, დამთვალიერებლების მიერ გაგზავნილი შეტყობინებები შეესაბამებოდეს გამოფენის ორგანიზატორთა თავდაპირველ შეტყობინებებს. ან განსხვავდებოდეს მათგან. ეს ურთიერთობა შეიძლება გამოისახოს კომუნიკაციის მოდელის გაფართოების საშუალებით, რაც ნაჩვენებია კიდევ 11.2 სურათზე.

სპეციალური შემაჯამებელი ევალუაციის (აღწერილია 4 თავში), პრესაში გამოქვეყნებული მიმოხილვების, საზოგადოებაში "სიტყვის მასალად" ნათქვამი მოსაზრების, ან გამოფენის გახსნიდან რამდენიმე თვეში დაწესებულებისადმი საზოგადოების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების შესწავლის საშუალებით, მუზეუმს შეუძლია გამოიკვლიოს საზოგადოების და დამთვალიერებლის დამოკიდებულება გამოფენისადმი. როდესაც მუზეუმი იკვლევს, თუ რა წამოიღო და რა გაიგო დამთვალიერებელმა გამოფენაზე ყოფნის დროს, ხშირად აღმოჩნდება, რომ მათი მოსაზრებები საკმაოდ განსხვავდება გამოფენის მომწყობის მიერ განზრახული და გამოფენაში ჩაქსოვილი თავდაპირველი მოსაზრებებისაგან. ზოგჯერ, თუ დამთვალიერებელს წინასწარ შემუშავებული აზრი აქვს გამოფენის შენაარსის ან ექსპონატების, ან მათი წარმოდგენის საშუალებების მიმართ, ან თუ იგი რომელიმე კონკრეტულ მათგანს ირჩევს, ამან შესაძლოა დაუგეგმავი და ზოგჯერ არასწორი კომუნიკაციაც გამოიწვიოს. ასეთი მაგალითი 11.3 სურათზეა ნაჩვენები.

ამ მაგალითში (რომელიც რეალურად არსებულ მუდმივმოქმედ გამოფენას ემყარება) ნაჩვენებია, მუზეუმში ჩატარებული საკუთარი ბერძნულ-რომაული მონეტების კოლექციების კვლევის შედეგები, რომელმაც გამოავლინა რომის იმპერიაში ფულის მოჭრის ტექნოლოგიაში არსებული განსხვავებები რეგიონების მიხედვით. თავდაპირველი წინადადების მიხედვით (1-ლი ვერსია), შემოთავაზებული იყო მონეტების ესთეტიკურად სასიამოვნო თანამიმდევრობით დალაგება, სადაც ტექსტური მასალა მათი წარმომავლობის შესახებ მინიმალურად იქნებოდა წარმოდგენილი. შედეგად გამოირკვა, რომ გვიანდელი ხანის მონეტები ადრეულთან შედარებით უფრო პატარაა – ეს რომ დამთვალიერებელმა იხილა,

შეცდომით ჩათვალა, რომ მუზეუმმა მონეტები ასე განზრახ, გამოფენის მიზნებიდან გამომდინარე განალაგა.

ამ აღმოჩენის საფუძველზე მუზეუმმა სხვაგვარად განალაგა გამოფენის ექსპონატები – რომის იმპერიის რუკაზე მონეტები მათი წარმომავლობის ადგილზე მოათავსა (მეორე ვერსია). ახლა დამთვალეობებს შეეძლოთ სწრაფად მიმხედარიყვნენ, თუ რა იყო გამოფენის მთავარი თემა ანუ მონეტების განსხვავება რეგიონების მიხედვით. ამდენად, მუზეუმმა გამოფენის მთავარ მიზანს მიაღწია.

ეს შედარებით იოლი მაგალითია. თუმცა, გამოფენის შინაარსის, თემების და მიზნების დახვეწასთან და გართულებასთან ერთად, როდესაც, ვთქვათ, გამოფენაზე განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა ქაოსის თეორია, კულტურული რელატივიზმი, ტოლერანტობა ან ისტორიული განვითარების სხვა პერსპექტივები – სულ უფრო შესამჩნევი ხდება, რომ საჭიროა შესაფერისი და ზუსტი კომუნიკაციის არსებობა და მისი გაძლიერება. კომუნიკაციის გაზრდილი და გართულებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ინტერპრეტაციის დაგეგმვა ფორმატებისა და მიდგომების დიდ მრავალფეროვნებას გეთავაზობს.

11.2 მოგარაგებისა და უზრუნველყოფის პროცესი

ინტერპრეტაციის დაგეგმვა ის საშუალებაა, რომელიც გამოფენის მომზადების პროცესში უზრუნველყოფს პროექტის ზემდგომი ხელმძღვანელობის მხარდაჭერას. მოგარაგებისა და უზრუნველყოფის პროცესისათვის ინტერპრეტაციის გეგმებს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სარეჟისორო სცენარს კინო და სატელევიზიო პროდუქციის სტრუქტურის ასაწყობად. ფილმის სცენარი ხომ ცალკეული სცენების, ხასიათების, დიალოგების, კომპლექტების და სპეც-ეფექტების დეტალური ტექსტური აღწერაა. სწორედ ეს აღწერა განსაზღვრავს პროექტში მონაწილე ყველა შემოქმედებითი და ტექნიკური კადრის საქმიანობას. სწორედ ამგვარად, ინტერპრეტაციის გეგმა სისტემურად აყალიბებს გამოფენის მომზადების პროცესს, რომლის დროსაც განისაზღვრება შემდეგი საკითხები:

- გამოფენის ჩარჩოებში ჩასატარებელი კვლევა-ძიების მოცულობები, მისთვის საჭირო კოლექციები, გამოსახულებები და სხვა მასალა. ამ კონტექსტში, ინტერპრეტაციის გეგმა საჭირო ინფორმაციას აწვდის ან პასუხობს კვლევა-ძიების გეგმას

- გამოფენის დიზაინი და შემოქმედებითი მიდგომის საჭიროებანი. ინტერპრეტაციის გეგმაში მოცემულია გამოფენის ჩარჩოების, მასშტაბების, ხასიათის მონახაზი და მეტრინაკლები სიზუსტით განსაზღვრულია ექსპონატების მოსალოდნელი რაოდენობა და მათი ურთიერთქმედება საგამოფენო სივრცეში

- სანარმოო მოთხოვნები. ინტერპრეტაციის გეგმაში ყველაზე ადრე და ყველაზე დეტალურადაა მითითებული ექსპონატების და საგამოფენო საშუალებების დამზადების საჭიროებები პროექტის ჩარჩოებში. ინტერპრეტაციის გეგმაში აღწერილია ის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მედია საშუალებების გამოყენებას და ნაჩვენებია ამ ელემენტების – დიორამების, ვიტრინების და მულტიმედიის ფიზიკური გამოყენების გზები

- მოსალოდნელი აუდიტორია და საგამოფენო გარემოში მის მიერ მიღებული შთაბეჭდილებების ბუნება. ინტერპრეტაციის გეგმა ასახავს არსებული ბაზრის კვლევის შედეგებს და მასში შესულია წინასწარი შეფასების მონაცემებზე დამყარებული დასკვნები, რომელიც მათთან დაკავშირებულ მარკეტინგულ ინიციატივებზე მომუშავე პერსონალს საჭირო ინ-

ფორმაციას აწვდის საგანმანათლებლო პროგრამებზე, გასვლითი და სოციალურად ორიენტირებული გამოფენების მოწყობაზე, საზოგადოებრივ პროგრამებზე.

ინტერპრეტაციის გეგმა გამოხატვის საშუალებების ან საგამოფენო მედია საშუალებების მუდმივ აღწერას და მათი რაოდენობის კონტროლს გულისხმობს. ეს უზრუნველყოფს გამოფენის ყველა კომპონენტის რაოდენობრივი აღწერის სამუშაო ვარიანტების არსებობას. როდესაც ექსპონატების მედია კომპონენტებში ცვლილებების შეტანა ხდება, ვთქვათ, დამატება ან ამოღება, შესაბამისად ამ სისტემის მოდიფიცირებაც არის შესაძლებელი. მრავალი რთული გამოფენის პროექტში ინტერპრეტაციის გეგმის რაოდენობრივი აღრიცხვის სისტემა საპროექტო ნახაზებში და აუდიო-ვიდეო პროდუქციის განრიგებშია გადატანილი. აღწერის სისტემა, თავისთავად, შემოქმედებითი და ტექნიკური საქმიანობის გადამონმების მგრძობიარე საშუალებაა.

ინტერპრეტაციის გეგმა, რომელიც ყოვლისმომცველ რაოდენობრივ აღწერას წარმოადგენს, შეიძლება პროექტის ბრიფინგზე იქნას გამოყენებული და ამ შემთხვევაში იგი კონტრაქტორებისათვის განკუთვნილ მითითებადაც გამოდგება, რომელიც პოტენციურ დიზაინერებს, სპეციალისტებს და მოიჯარეებს საჭირო ინფორმაციას აწვდის პროექტის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ. ამის შემდეგ შეიძლება, რომ ეს გეგმა, ან ბრიფი, პროექტის განხორციელების წინსვლის გადასამონმებლად ცვალებადი იყოს, რაც უზრუნველყოფს კოლექციების შერჩევის და გამოფენის შინაარსისა და კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრის დროს დასახული ამოცანების წარმატებულ ასახვას საპროექტო და სანარმოო დავალებებში.

11.3 ინტერპრეტაციის დაგეგმვის პროცესი

ინტერპრეტაციის დაგეგმვის პროცესი რამდენიმე საფეხურისაგან შედგება და თითოეულს თავისი კონკრეტული მიზანი აქვს. მიზნების განხორციელების შემდეგ მიღებული შედეგები ხელს უწყობს მომდევნო საფეხურზე დასახული მიზნების შესრულებას. მართალია, ყოველი გამოფენის მომზადების პროცესის დეტალები განსხვავებულია, მაინც, ზოგადად ინტერპრეტაციის დაგეგმვის ოთხი საფეხური გამოიყოფა. ესენია:


- გამოფენის წინასწარი ვერსიის შემუშავება
- ინტერპრეტაციის გეგმა
- ტექსტური მასალა
- ევალუაცია და განხორციელება

11.3.1 პირველი საფეხური: გამოფენის წინასწარი ვერსიის შემუშავება

გამოფენის წინასწარი ვერსიის შემუშავების მიზანია მოკლედ ჩამოაყალიბოს და ზუსტად გადმოსცეს მუზეუმის ხედვა გამოფენის შესახებ; აღწეროს დამთვალიერებლის მიერ მიღებული მოსალოდნელი შთაბეჭდილების ძირითადი ასპექტები და კოლექციებისა და მედია საშუალებების სტანდარტული გამოყენების ფორმები. გამოფენის წინასწარი ვერსიის საფუძველზე ხდება დიზაინისა და არქიტექტურის თემების მოკლე შინაარსის შემუშავება. ამავე საფუძველზე მუშავდება პროექტის ჩარჩოებში ჩასატარებელი კვლევა-ძიების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს გამოფენის შინაარსს და ფართო გაგებით – პროექტის შემოქმედებით და ფიზიკურ მოთხოვნებს.

სურ.11.4 თემატური სტრუქტურა :

“ამერიკან როიალის” მუზეუმი და ვიზიტორთა ცენტრი



მთავარი თემა:

■ ამერიკული ტრადიციის აღნიშვნა კანზას-სითიში

ქვე-თემები:

▨ ამერიკან როიალში საგანგებოდაა გამოყოფილი შემდეგი საკითხები:
აღნიშნულია მიღწევები; შეჯიბრებაა დანესებული პრიზის მოსაპოვებლად

■ ამერიკან როიალის მემკვიდრეობა და კანზას სითი

▨ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ეკონომიკა და მეცნიერება

11.4. და 11.5 სურათებზე მოტანილია გამოფენის წინასწარი ვერსიის შემუშავების მაგალითი, რომელიც “ამერიკან როიალის” მუზეუმში (American Royal Museum) და კანზას სითის ვიზიტორთა ცენტრში გამართული ძალზე წარმატებული გამოფენისათვის შეიქმნა. გამოფენის მიზანი ყოველწლიური სასოფლო-სამეურნეო ბაზრობის “ამერიკან როიალის” აღნიშვნა და სტუმრებისათვის თანამედროვე ფერმერული მეურნეობის რეალობების წარმოდგენა იყო.

11.3.2 მე-2 საფეხური ინტერპრეტაციის გეგმა

ინტერპრეტაციის გეგმას ხშირად გამოფენის გეგმას, ან მის ბრიფსაც უწოდებენ. გამოფენაზე მუშაობის პროცესი სწორედ ამ საფეხურზეა ყველაზე ინტენსიური. ამ გეგმაში პუნქტებადაა მითითებული გამოფენის და საგამოფენო პროგრამის ყველა კომპონენტი და ყოველი მათგანისათვის აღწერილია ისეთი სფეროები, როგორიცაა:

- თემატური სფერო;
- საკომუნიკაციო ამოცანები და შთაბეჭდილების შექმნასთან დაკავშირებული მიზნები;
- საგამოფენო მედია საშუალებების არჩევანი;
- განსაკუთრებული მოთხოვნები და შესაძლებლობები

ინტერპრეტაციული გეგმა, როგორც წესი, სტრუქტურულია და იგი წერილობით და სქემატურ ფორმატში სრულდება. მასში ასახულია გამოფენის პროექტის შემუშავების მიმდინარე საქმიანობის, სამეცნიერო კვლევა-ძიების და ტექნიკური სამუშაოების შედეგები.

როდესაც გეგმა შემუშავებულია, იგი მთლიანად აკონტროლებს მუზეუმის თანამშრომელთა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობას გამოფენის შინაარსისა და გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ შემოქმედებით და დაგეგმილ სამუშაოებში და განსაზღვრავს, რანდენად უნდა აისახოს სხვა სამუზეუმო დისციპლინებიდან, მაგ. განათლების სფეროდან, დამთვალეირებელზო ორიენტირებული პროგრამების და საკონსერვაციო სამსახურიდან შემოსული რეკომენდაციები.

მთავარი თემები:

- ამერიკული ტრადიციის აღნიშვნა კანზას სითიში
საორიენტაციო გამოფენა: "ახლა "ამერიკან როიალის" დროა"
 - "ამერიკან როიალის" მუზეუმის მიერ მონყობილი ჩვენება
 - საგამოფენო ვიტრინებში/მაღაზიის ვიტრინებში/"ჯიხურებში" მონყობილი გამოფენები

ქვე თემები:

- "ამერიკან როიალის" მუზეუმში საგანგებოდაა გამოყოფილი შემდეგი საკითხები: მიღწევების აღნიშვნა; შეჯიბრი პრიზის მოსაპოვებლად "მაგარი" ექსპონატები "განიცადეთ და გაიაზრეთ "ამერიკან როიალი"
 - შეხვედით ხალხს
 - ჩემპიონების მინი-თეატრი
 - მიაღწიეთ ამ დონეს
- "ამერიკან როიალის" მუზეუმის მემკვიდრეობა კანზას სითიში ისტორია/ მუზეუმის გამოფენები: "ამერიკან როიალის" ტრადიციები"
 - ამერიკან როიალის ენციკლოპედია
 - ლულა ლონგ კომბსი
 - თომ ბასი
- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ეკონომიკა და მეცნიერება ინტერაქტიური ექსპონატები: "ამერიკან როიალის" გააზრება"
 - თავად იყავით მსაჯული
 - ცხოველები ყველაფერს ამბობენ
 - გამოკვლევა

სურ. 11.5 თემატური სტრუქტურა: "ამერიკან როიალის" მუზეუმი და ვიზიტორთა ცენტრი

ინტერპრეტაციის გეგმა, როგორც უზრუნველყოფისა და მომარაგების ერთ-ერთი საშუალება, შესაძლოა კოლექციებთან და კვლევით სამუშაოებთან დაკავშირებული გადამწყვეტილებებისათვის საჭირო ინფორმაციის წყაროდაც იქნეს გამოყენებული და ამავე დროს, ნათლად მიუთითოს სამომავლო დაგეგმარების საჭიროებები, ან დამატებითი პროდუქციისა და წარმოების აუცილებლობები. სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევა ხოლმე ინტერპრეტაციის გეგმა პროექტის ვირტუალურ "ბიბლიად" და სახელმძღვანელოდ.

ქვემოთ მოტანილი ჩარჩოში ჩასმული ტექსტი, 2000 წლის ბოლოსათვის გახსნილი ჰონკონგის ისტორიის მუზეუმის კანტონის ოპერის გალერეის ინტერპრეტაციის გეგმაა.

გალერეის მოწყობის იდეისა და მისი წარმოდგენილი ვერსიის ავტორი მუზეუმის უფროსი კურატორი ს.ი. იიმი და მისი გუნდი იყო. მათი აზრით, ეს გამოფენა მათ ახალი მუზეუმის მთავარი ღირსშესანიშნაობა იქნებოდა, ვინაიდან წარმოდგენილ ექსპოზიციაში შედიოდა კანტონის ოპერასთან დაკავშირებული ნივთების ძალზე მნიშვნელოვანი შემოწირული კოლექცია, ოპერა კი, ჰონკონგის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მხარეა. ინტერპრეტაციის გეგმა ამ სტატიის ავტორმა შეიმუშავა მუზეუმის ჯგუფთან თანამშრომლობის დროს.

ინტერპრეტაციის გეგმა

ჰონკონგის ისტორიის დარბაზი

კანტონის ოპერის გალერეა © ჰონკონგის ისტორიის მუზეუმი

აღწერა:

კანტონის ოპერის გალერეაში ნათლადაა გადმოცემული ჩინური საშემსრულებლო ხელოვნების ნაირსახეობის ცვალებადი ფორმები და შინაარსი. გალერეა სამ, ერთმანეთის გვერდით განლაგებულ ინტერპრეტაციულ დარბაზადაა დაყოფილი: შესწავლა, მონაწილეობა და ცოცხალი მემკვიდრეობა, სადაც წარმოდგენილია "მსახიობის კუთხე." საგამოფენო ვიტრინებში წარმოდგენილია კოსტიუმების, ნიღბების და გრიმის ნიმუშები, ხოლო ელექტრონული არქივების მეშვეობით დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ ნებისმიერ მედიაში "გააცოცხლონ" წარსულის დიადი წარმოდგენები. ბამბუკის სცენა წარმოდგენების გასამართი მნიშვნელოვანი ადგილი გახდება, სადაც შესაძლებელი იქნება კულისებს მიღმა მსახიობთა სამზადისის და მათი თამაშის ერთდროული ცქერა და კანტონის ოპერის სტრუქტურის გააზრება.

კომპონენტი – შესავალი ნაწილი და შესასვლელი

გზავნილები/ამოცანები:

- კანტონის ოპერის კულტურული ზემოქმედების, მისი შემოქმედებითი მრავალფეროვნების და გამომსახველობითი ხასიათის შესახებ პირველი ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა

- დამთვალიერებლის გადაყვანა კანტონის ოპერისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ გარემოში

- იმის გამოხატვა, რომ კანტონის ოპერის შესწავლა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას არსებული ჩინური კულტურის ცვლილებებისა და მისი ტრადიციის შესწავლის ერთ-ერთი მდიდარი და დიდი ინფორმაციის შემცველი საშუალებაა – განსაკუთრებით ჰონკონგის რეგიონის შემთხვევაში.

- იმის გადმოცემა, რომ კანტონის ოპერა შემდეგი თემების ირგვლივაა ორგანიზებული:

- მისი მემკვიდრეობა და შესწავლა

- წარმოდგენა და მონაწილეობა

- ცოცხალი გამოცდილება

- დამთვალიერებლების მოზიდვა და მათი ნაქეზება ისტორიის დარბაზში წარმოდგენილი

მედია საშუალებები და გამოხატვის ფორმები:

- ფუშანის სცენის ფასადი და ჰუა პაის დეკორაციები – გამოფენილია გალერეისაკენ მიმავალ გზაზე და ერთგვარი შესავალია მასში შესვლის წინ

- ფუშანის თეატრის ფოიე/მოსაცდელი – მონყობილია კანტონის ოპერის ტრადიციული ადგილის მსგავსად. თეატრის ქერის, იატაკისა და კედლების მორთულობის თემატიკა დარბაზში გამოფენილ ყველა ექსპონატს ბუნებრივ გარემოში წარმოადგენს

- დიდი ნილაბი – ერთფეროვანი დიდი ნილაბი სახის რელიეფური გამოსახულებით. კანტონის ოპერის გრძიმით მოხატული სახეების მუდმივად ცვალებადი სურათები (კანტონის ოპერის წამყვანი მსახიობების მიერ განსახიერებული გმირებისა) უწყვეტად აისახება დიდ ერთფეროვან ნილაბზე – რაც ამ მედიუმის შესაძლებლობების, გამომსახველობითი და ადამიანის სხვადასხვა ხასიათის გადმოცემის უნარის დიდ დიაპაზონს ადასტურებს.

- ფონური აუდიო პროგრამა - სხვადასხვა პერიოდის და განსხვავებული ადილებისათვის დამახასიათებელი მუსიკა.

კომპონენტი - კანტონის ოპერის მიმდინარეობა და მისი შესწავლის დარბაზი

გზავნილები/ ამოცანები:

- კანტონის ოპერის სპეციალური შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას მისცემს დამთვალიერებელს შეაფასოს მისი კულტურული მნიშვნელობა და დაინახოს ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ოპერა ჰონკონგს დანარჩენ სამყაროსთან აკავშირებს.

- კანტონის ოპერის დაბადების და მისი განვითარების ჩვენება – მისი ფესვებიდან მოყოლებული, რაც მინის დინასტიის ზეობის დროს მოხდა, ვაიძიანის ოპერის გაჩენის, “წითელი ნავეების” და სამსახიობო დასების მოღვაწეობის ამსახველი მასალების ჩვენება. ცვლილებები კანტონის ოპერის ფორმებში, შინაარსსა და გამოხატვის საშუალებებში ნათლად აჩვენებს, რომ მას აქვს ადაპტაციის უნარი და შეუძლია კვლავ მნიშვნელოვანი იყოს სხვადასხვა თაობებისათვის და განსხვავებული აუდიტორიებისათვის

- იმის წარმოჩენა, ზოგადად რატომ არის კანტონის ოპერა ჩინური კულტურის ნათელი გამოხატულება და მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში გავრცელებულ კულტურის ამ კერებს შორის

- კანტონის ოპერის კოსტიუმების განსაკუთრებული სილამაზის, მათი დიზაინის და კულტურული მნიშვნელობის ხაზგასმა – იმის ჩვენება, თუ როგორ გადმოსცემს ისინი განსხვავებულ ხასიათს, მსახიობთა ოსტატობასა და ტალანტს

- დამთვალიერებლისათვის კანტონის ოპერის მუსიკალური და სამსახიობო ელემენტების შესწავლისა და განხილვის უზრუნველყოფა.

მედია საშუალებები და გამოხატვის ფორმები

- არტეფაქტების, მოდელების, რუკის და ხელოვნების ჩვენება – რომლებიც წარმოაჩენს კანტონის ოპერის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას. მოდელებისა და ფოტოსურათების მეშვეობით სხვებთან ერთად ნაჩვენები იქნება ყველაზე ადრეული ჩინური თეატრები – ფუშანის თეატრის ჩათვლით.

- "წითელი ნაევბის" დასების კუთვნილი ექსპონატები – წითელი ნაევბის მოდელები, სცენის რეკვიზიტი და დეკორაციები, მცირე ზომის ნივთები, დოკუმენტური მასალა. "წითელი ნაევბის ოპერის" მოგზაური დასების ისტორიის ამსახველი მასალები წარმოდგენილი იქნება, როგორც კანტონის ოპერის ისტორიის საკვანძო ელემენტი.

- დოკუმენტების გამოფენა – სხვადასხვა დროს მოღვაწე დასების წარმოდგენების აფიშები, ბილეთები და კონტრაქტები

- კოსტიუმების ჩვენება საგამოფენო ვიტრინებში – კანტონის ოპერის ყველაზე მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი კოსტიუმების და მათი დიზაინის ჩვენება. ზოგი ვიტრინა მხოლოდ დამთვალეირებლის მიახლოებისას აინთება, რაც მიზნად ისახავს ქსოვილების მაქსიმალურ დაცვას შუქის ზემოქმედებისაგან და დრამატული ინტერაქტიურობის გრძნობის გაჩენას დამთვალეირებელში

- მუსიკალური ინსტრუმენტების გამოფენა მუსიკის ფონზე – ვიტრინებში მოთავსებულ ინსტრუმენტებთან და პარტიტურის ნიმუშებთან ერთად, ჩამონტაჟებული იქნება აუდიო-ვიდეო მონაცემები და ხმის მართვის სისტემები (კონუსური მიკროფონები და ყურსაცვამები), სადაც დამთვალეირებელს შეეძლება მუსიკის და ინსტრუმენტის მოსმენა.

- კანტონის ოპერის საერთაშორისო აღიარების დამადასტურებელი ექსპონატები – საგამოფენო ვიტრინებში გამოფენილი მასალები და სურათები ასახავს კანტონის ოპერის პოპულარობის ზრდასა და მის გასტროლებს მთელ მსოფლიოში, ყველგან, სადაც ჩინური თემი აქტიურია, მაგ. სინგაპურში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ ამერიკაში, კანადაში, აშშ-ში და ევროპაში

- კანტონის ოპერის ზეგავლენა – იმის ამსახველი აუდიო-ვიდეო მასალები და არტეფაქტები, თუ რა როლი და ზეგავლენა მოახდინა კანტონის ოპერამ სხვადასხვა გარემოზე, მაგ. ჩაის სახლებზე, კარაოკეზე და დასავლურ ოპერაზე.

კომპონენტი: წარმოდგენისა და მონაწილეობის დარბაზი

გზავნილები/ამოცანები:

- დამთვალეირებელს მიეცეს კანტონის ოპერის სხვადასხვა დროის წარმოდგენების, სხვადასხვა ფორმატში ჩანერილი დადგმების ნახვის და მათი შესწავლის საშუალება

- კანტონის ოპერაში კოსტიუმებისა და გრიმის როლისა და დანიშნულების ახსნა და ინტერპრეტაცია

- კანტონის ოპერის წარმომადგენლობითი დადგმებიდან სცენებისა და როლების ცოცხალი და სიღრმისეული ინტერპრეტაცია

- კანტონის ოპერაში თავად დამთვალეირებლის მონაწილეობის შეგრძნების შექმნა – მსახიობის ექსპრესიულობის ასპექტების გამოკვლევა, გააზრება იმისა, თუ რა შემოქმედებითი უნარი, ძალისხმევა და დისციპლინა საჭირო როლის შესასრულებლად; კანტონის

ოპერის მსახიობების, პროდიუსერების და მწერლების რეალური ცხოვრებისეული ისტორიების აღმოჩენა

- 1930-დან 1970 წლამდე კანტონის ოპერის ისტორიის წარმოჩენა ფილმების მეშვეობით და მნახველისათვის კინოს ამ უნიკალური ფორმის ნიმუშების ნახვის შესაძლებლობის მიცემა

- კანტონის ოპერის მნიშვნელობის წარმოჩენა სხვა საშუალებებით და მედიით, მაგ. დაბეჭდილი ტექსტით, აუდიო ჩანაწერებით ან რადიოთი,

- კანტონის ოპერის მსახიობების, მწერლების და კინორეჟისორების მიერ შექმნილი შედეგების საგანგებო აღნიშვნა

მედია საშუალებები და გამოხატვის ფორმები

- გრიმისა და კოსტიუმების სადემონსტრაციო ადგილი – დამთვალეირებლებს შეეძლება გრიმის გაკეთება, კოსტიუმების ასლების მორგება და სხვადასხვა როლის შესრულება. სარკეებიანი ზედაპირებისა და ვიდეო გამოსახულებების წყალობით, დამთვალეირებლებს საშუალება ექნებათ თავიანთი თავი იხილონ არამარტო კოსტუმებში, არამედ მთლიანად გამოფენის კონტექსტში

- დიდი სცენა, ბამბუკის ჩარდახი – ეს ის ადგილია, სადაც ჰონკონგში და მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო უყვართ ხოლმე კანტონის ოპერის წარმოდგენის გამართვა. ბამბუკის ჩარდახის გარდა, დამთვალეირებლებს შეეძლება ნახონ სცენა და კულისები აუდიო ანიმაციისა და შუქის თანხლებით – მათ შეუძლიათ კულისებში შევიდნენ და ნახონ კანტონის ოპერის კლასიკური სცენის სამგანზომილებიანი იმიტაცია. ცვლადი განათებისა და აუდიოგაფორმების საშუალებით გადმოცემულია ოპერის ოსტორია, წარმოდგენის წარმოშობის ამბავი და დახასიათებულია თითოეული როლი და დასის წევრის ფუნქცია როგორც სცენაზე, ისე კულისებში. კულისების სივრცეც კი ცარიელი არ იქნება, იქ გამოფენილი იქნება დეკორაციები და ბუტაფორია, პატარა სამლოცველო და წარმოდგენისთვის საჭირო სხვადასხვა აქსესუარები.

- ლის კინოთეატრი – გაფორმებულია 30-40-იან წლებში არსებული ადგილობრივი კინოთეატრის ფასადის მსგავსად და წარმოდგენილია მცირე ეკრანი, სადაც აჩვენებენ ნაწყვეტებს კინოფირზე გადაღებული კანტონის საუკეთესო ოპერებიდან. კარვისმაგვარ სიბრტყეებზე გამოფენილი იქნება სხვადასხვა ათწლეულებში გადაღებული ფოტოსურათები, დაბეჭდილი აფიშები და პლაკატები

- საოპერო ტერმინალები – მულტიმედიური საშუალებებით აღჭურვილი ბგერაგაუმტარი ჯიხურები, სადაც დამთვალეირებელს შეეძლება მოუსმინოს და ნახოს საარქივო კინომასალა ან მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული დიდებული საოპერო დადგმები. აქვე ახსნილი იქნება თითოეული ოპერა და მოცემული იქნება მისი ლიბრეტო

- აუდიო არქივები – ბგერითი ტერმინალები, სადაც გამოფენილია შესაბამისი პერიოდის რადიომიმღებები, გრამოფონები, ნუთში 78 ბრუნისანი და ხანგრძლივდასაკრავი ფირფიტების გარეყდები და კანტონურ ენაზე მაუწყებელი რადიოსადგურის პროგრამები. როდესაც დამთვალეირებელი მოუსმენს ისტორიული რადიოდადგმების ჩანაწერებს, მის თვალწინ გამოჩნდება კანტონის ოპერის ვიზუალური გამოსახულება

- მსახიობის კუთხე – ანუ სხვადასხვა მსახიობის ბიოგრაფიული კუთხე, სადაც გამოფე-

ნილი იქნება მათი ნივთები, კარიერასთან დაკავშირებული ოპერის ლიბრეტოები, პარტი-ტურები, კოსტიუმები და დეკორაციები. სადაც შესაძლებელია, უზრუნველყოფილი იქნება ჩანართები დიდი დადგმებიდან. აქვე იქნება წარმოდგენილი განსაკუთრებით გამორჩეული და ღვანღმოსილი მსახიობების ხსოვნისადმი მიძღვნილი შთამბეჭდავი გამოფენა.

კომპონენტი: ცოცხალი შთაბეჭდილება

გზავნილები/ ამოცანები:

- ფაქტის ხაზგასმა, რომ კანტონის ოპერა ცოცხალი და აქტიური ტრადიციაა, რომელსაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა თანამედროვე აუდიტორიისათვის
- სადღესასწაულო ატმოსფეროს შექმნა ბამბუკის ჩარდახის ირგვლივ და ისეთი ადგილის მოწყობა, სადაც მუდმივად გაიმართება კანტონის ოპერის ცოცხალი წარმოდგენები მუზეუმის ტერიტორიაზე
- სადღესასწაულო ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ფართოდ ასახავს კანტონის ოპერის კულტურული გავლენას და მის ასპექტებს
- კანტონის ოპერის მსახიობთა საქმიანობის მხარდაჭერა და მათი მუდმივი წვრთნისა და შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშეწყობა.


მედია საშუალებები და გამოხატვის ფორმები

- სახალისო გარემო – უკავშირდება ბამბუკის ჩარდახის ექსტერიერს, სადაც მრავალი ფერად-ფერადი აფიშა-პლაკატი და წამლის რეკლამაა გაკრული
- სირთულეები და დაცვა – საქმიანობისა და სამუშაო რეჟიმის გრაფიკები, სადაც ასახულია შემდეგი ელემენტები:
 - შემონირობათა კუთხე – ამ ადგილას განსაზღვრულია დოქტორ ლეუნ პუი-კამის და სხვათა მიერ შემონირობის ექსპონატების გამოფენა და მათი ინტერპრეტაცია
 - სასწავლო პროგრამები – აღწერილია ჰონკონგის კანტონის ოპერასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამა და მოცემულია სხვადასხვა ორგანიზაციების ნუსხა, რომელთა შორისაა, მაგ. ჰონკონგის ჩინელ მსახიობთა ასოციაცია.
 - მოყვარულები და ოპერის მოყვარულთა ასოციაციები – მასალების გამოფენა ისტორიულ ასპექტში, სადაც ნაჩვენებია ამ ასოციაციების წვლილი კანტონის ოპერის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში.


როგორც ნებისმიერი სხვა ინტერპრეტაციის გეგმის დროს, ამ შემთხვევაშიც შემოქმედებითმა განვითარებამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა, ზეგავლენა მოახდინა საბოლოო შედეგზე, მაგრამ საგამოფენო დარბაზის ძირითადი სტრუქტურა და მოწყობილი ექსპოზიციის შინაარსი დიდწილად უცვლელია და შეესაბამება ზემოთ მოტანილ გეგმას. მართლაც, გამოფენის მომზადების პროცესში ექსპონატების გარდაუვალი შემცირებისა და გადახალისების გათვალისწინებით, იქნებ უმჯობესია, უფრო მეტი მედია საშუალება და გამოხატვის ფორმათა მეტი მრავალფეროვნება იყოს გამოფენაზე, ვიდრე ეს საგამოფენო დარბაზის საბოლოო და მზა ვერსიის დროს არის ხოლმე.

ინტერპრეტაციის გეგმა გალერეის კომპონენტების შესაბამისადაა მოწყობილი და მასში განსაზღვრულია ის მთავარი გზავნილი (ან კომუნიკაციის მთავარი მიზანი), რომელსაც თითოეული კომპონენტი და ამ მიზნით საგამოფენო დარბაზში გამოყენებული მედია საშუალებები და გამოხატვის ფორმები აწვდის დამთვალიერებელს. საგამოფენო დარბაზის ზოგადი სტრატეგიის მოკლე შინაარსი გადმოცემულია 11.6 სურათზე.


**ისტორიის დარბაზი
კანტონის ოპერის გალერეა**



სურ. 11.6 პონკონგის ისტორიის მუზეუმის კანტონის ოპერის გალერეის ინტერპრეტაციის გეგმა



სურ. 11.7 გამოფენო ტექსტის ნიმუში "ამერიკან როიალის" მუზეუმიდან და ვიზიტორთა ცენტრიდან



სურ. 11.8 საგამოფენო ტექსტი ამერიკან როიალის მუზეუმიდან და კანზას სითის ვიზიტორთა ცენტრიდან

11.3.3. მე-3 საფეხური – გამოფენის ტექსტური მასალა

გამოფენაზე გამოყენებული მედია საშუალებების სირთულის შესაბამისად, ინტერპრეტაციის გეგმის ეს სტადია შესაძლოა შეიცავდეს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა:

- ექსპონატებთან დაკავშირებული ტექსტისა და გრაფიკული გამოსახულებების გამოყენების შესახებ მითითებების შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სიტყვათა რაოდენობა, შრიფტის ზომა, სურათების პროპორციები და სხვ.

- კონკრეტული მითითებები გამოფენაში ჩართული ყველა სახის მედიისათვის, ან მონინავე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მედიისათვის, ან მათი ინფორმაციის შინაარსის განსაზღვრა. როგორც წესი, მედია-პროდუქციის მწარმოებლები და/ან სცენარისტები მონინავე მედია-საშუალებებს იყენებენ და პროდუქციის შექმნის დროს ეყრდნობიან გამოფენის გეგმის შინაარსს და მასში განსაზღვრულ კომუნიკაციის მიზნებს.

- ტექსტური მასალის დანერა და რედაქტირება გამოფენის ყოველი ექსპონატისათვის, გარდა აუდიო-ვიზუალური და მონინავე ტექნოლოგიებზე დამყარებული მედია პროგრამებისა.

11.7 და 11.8 სურათებზე წარმოდგენილია გამოფენის დაგეგმვის პროცესის ორი მაგალითი, ამერიკან როიალის მუზეუმისა და კანზას სითის ვიზიტორთა ცენტრის.

11.3.4 მე-4 საფეხური - ევალუაციისა და განხორციელების სტრატეგია

ინტერპრეტაციის გეგმებში ჩამოთვლილი კომუნიკაციისა და შთაბეჭდილების შექმნის ამოცანები და გამოცდილება კარგი საფუძველია სხვა საკითხების განსასაზღვრად,მათ

შორის ისეთი საკითხებისა, როგორცაა:

- გამოფენის ერთიანი შემაჯამებელი ევალუაცია – დასრულებული პროექტის გასაუმჯობესებლად და გადასახედად, ან მუზეუმის მიერ დაგეგმილი შემდეგი გამოფენის ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის (იხ. თავი 4).

- ანიმაცია და თანამშრომელთა მომზადება – საგამოფენო დარბაზებში ცოცხალი ინტერპრეტაციისა და პროგრამების უზრუნველსაყოფად. ინტერპრეტაციის გეგმა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს უქმნის საფუძველს, რომელსაც ისინი უნდა დაეყრდნონ საგამოფენო გალერეებში ინტერპრეტატორის და მასპინძლის მოვალეობების შესრულებისას, ისევე, როგორც ყოველდღიური მუშაობისა და გალერეის გამოყენების დაგეგმვის დროს.

ქვემოთ განხილულია სასწავლო მაგალითი 11.1, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ გვაძლევს სავარაუდო აუდიტორიის დანვრილებით შესწავლა, მიზნების ყოველმხრივი გააზრება (ამ შემთხვევაში გეოლოგიისა) და აუდიტორიაზე ორიენტირებული ინტერპრეტაციის გეგმა მეტაფორებისა და კლასიკური ალუზიების მეშვეობით მნახველისთვის რთული თემის საკმაოდ დახვეწილად მიწოდების საშუალებას.

სასწავლო მაგალითი 11.1

გამოფენა, რომელიც დედამიწას თქვენთვის ამოძრავებს

ლონდონის ბუნების ისტორიის მუზეუმის დედამიწის გალერეები

რობერტ მ. ბლუმფილდი

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში, ლონდონის ბუნების ისტორიის მუზეუმმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი სამფლობელოები – შემოიერთა მისი მომიჯნავე ბრიტანეთის გეოლოგიური კვლევა-ძიების მუზეუმი. ბრიტანეთის გეოლოგიური სამსახური თავის საქმიანობას ქალაქგარეთ არსებულ შენობაში აგრძელებდა და ამასთან, სახელმწიფო კმაყოფაზე არსებული თავისი მუზეუმის მომავალზე ფიქრობდა. უეჭველი გახდა, რომ ეს მუზეუმი მარტო ვერ გააგრძელებდა არსებობას და მისი გადარჩენის საუკეთესო შესაძლებლობა, ზუსტად მის გვერდით განლაგებულ, ბუნების ისტორიის უფრო დიდ მუზეუმთან გაერთიანება იქნებოდა.

ამ გაერთიანების მთავარი ეფექტი ის იყო, რომ ბუნების ისტორიის მუზეუმმა $\frac{1}{3}$ -ით გაზარდა თავისი საზოგადოებრივი საგამოფენო ფართობები ორი შენობის ძირითადი სართულების ფიზიკურად ერთმანეთთან დაკავშირების შემდეგ, თანაც ისე, რომ დაკავშირების ადგილები ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ყოფილიყო საზოგადოებისათვის. გაერთიანებული კომპლექსისათვის შემუშავდა და დაინერგა ერთობლივი შესასვლელით სარგებლობის წესი. ასეა თუ ისე, შესასვლელთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, თავიდანვე ნათელი გახდა, რომ განსხვავება როგორც ფართო საზოგადოებიდან, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოსული დამთვალიერებლების რაოდენობაში, აშკარად შესამჩნევი იყო გაერთიანებული დაწესებულების ორ ნაწილს შორის. როდესაც ბუნების ისტორიის მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენის სანახავედ დამთვალიერებელთა სარეკორდო რაოდენობების მოსვლა არ წყდებოდა, გეოლოგიური მუზეუმის სტუმართა რაოდენობა საგანგაშოდ დაბალი იყო.

გეოლოგიური მუზეუმის ძირითადი გალერეები სამ სართულზე იყო განლაგებული.

სამივე სართული ღია გეგმარების სივრცეს წარმოადგენდა, მის ცენტრალურ ნაწილს კი ვებერთელა, ბალუსტრადიანი ატრიუმი კვეთდა, რომელიც თაღოვანი და მინით მოპირკეთებული ჭერით ბოლოვდებოდა. შენობის ექსტერიერი კლასიკური პერიოდის ფასადს წარმოადგენდა, მისი ინტერიერი კი 30-იანი წლების უსახური, ბეტონის უტილიტარული სივრცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

გეოლოგიურმა სამსახურმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელა, რომ მუზეუმი უფრო საინტერესო გამხდარიყო საზოგადოებისათვის. პირველ სართულზე მოწყობილი იყო საკმაოდ პროდუქტიული გამოფენა დედამიწის ისტორიის შესახებ. იგი 60-იანი წლების ბოლოს გამოფენების დიზაინერის ჯეიმს გარდინერის მონაწილეობით მოეწყო და საზოგადოებისათვის მიმზიდველი თემატური გამოფენის ადრეულ და დიდი მნიშვნელობის მქონე მცდელობას წარმოადგენდა. ასე თუ ისე, გეოლოგიურმა სამსახურმა ვერ მოახერხა განვითარების მდგრადი პროგრამის შემუშავება – ამ გამოფენას რამდენიმე მცირე მასშტაბის, შეუქრავი და ერთიანობას მოკლებული გამოფენა მოჰყვა, ზედა ორ სართულზე კი ვითარება არ იცვლებოდა შენობის გახსნის (30-იანი წლები) დღიდან. აქ, გრძელ რიგებად დალაგებულ კარადებში მოთავსებული იყო გეოლოგიური სამსახურის კოლექცია, რომელიც დიდი ბრიტანეთის გეოლოგიური ქანების, საშენი ქვების, მინერალების და განმარხეული ნარჩენების მცირე ზომის, ძირითადად ხელით იოლად ასაღები ნიმუშებისგან შედგებოდა და თითოეულ მათგანს ერთვოდა აღწერა-შეფასება და საკურატორო ინფორმაცია.

გეოლოგიის მუზეუმის ახალი მიუზეუმების მიერ ჩატარებულ წინასწარ გამოკვლევებში, რომელთა ჩარჩოებშიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეფასდა ორი შერჩეული ხარისხობრივი ჯგუფი, სავსებით თანამიმდევრულად აფასებდნენ პოტენციური დამთვალიერებლების სურვილებსა და შეგრძნებებს. მისი მაშინდელი მდგომარეობით გეოლოგიის მუზეუმი "მხოლოდ სპეციალისტებისათვის იყო," თანაც "მოსაწყენი," "მხოლოდ ქვებისა და ქანების შესახებ," და "არაფერი ჰქონდა საერთო ყოველდღიურობასთან." მუზეუმის გაღწერებში წარმოდგენილი ექსპონატები "მიუწვდომელი იყო უმრავლესობის გონებისათვის," თანაც ზღვა ინფორმაციას შეიცავდა, რომლის უდიდესი ნაწილი დამთვალიერებელთა უმრავლესობისათვის გაუგებარ, გეოლოგიის ენაზე იყო დანერილი. ამდენად, დამთვალიერებელთა სიმცირის მიზეზი მუზეუმის არსებობის ან მისი მისამართის არცოდნა კი არ იყო, არამედ ხალხი სრულიად შეგნებულად არ დადიოდა მუზეუმში, ვინაიდან გრძნობდნენ, რომ იგი მათთვის საინტერესოსა და შესაფერისს ბევრს არაფერს იძლეოდა.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, მარკეტინგული გამოკვლევები სულაც არ იყო უარყოფითი – შედეგები ნათლად მიუთითებდა, რომ დედამიწის შესახებ მეცნიერებას საზოგადოება მართლაც შეიძლებოდა დაინტერესებოდა და ენთუზიაზმითაც კი მოჰკიდებოდა. ჩვენს პლანეტაზე მიმდინარე დინამიური პროცესები, მისი დრამატული ისტორია, ახალ-ახალი მოსაზრებები "დედამიწის სისტემების შესახებ" და იმის გამოკვლევა და აღმოჩენა, თუ რამდენად ვართ დამოკიდებულები დედამიწის რესურსებზე, ნამდვილად დაინტერესებდა და გაართობდა არასპეციალისტთა აუდიტორიას, იმ პირობით, რომ ინტერპრეტაციას საკმაოდ ყურადღებით მიუდგებოდნენ. როდესაც მუზეუმის განვითარების ჯგუფისათვის ცნობილი გახდა პოტენციური დამთვალიერებლების ჯგუფების გამოკვლევის შედეგები, ისინი სრულებით დარწმუნდნენ, რომ შეიძლებდნენ ძალზე თავისუფალი, ამაღელვებელი და ენთუზიაზმით აღსავსე გამოფენის მოწყობას დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების შესახებ, რაც გააღვივებდა ინტერესს და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსი

იქნებოდა როგორც გასართობად მოსული, ისე უფრო ოფიციალური, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოყვანილი ჯგუფებისათვის.

1993 წლის დასაწყისში ბუნების ისტორიის მუზეუმმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო გაერთიანებულ სამუზეუმო კომპლექსთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილების თანახმად, 1888 წელს აგებული ვოთერჰაუსის შენობაში, სადაც განთავსებული იყო ბუნების ისტორიის მუზეუმი, მოეწყობოდა სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების გამოფენები, რომლებიც მოგვიანებით "სიცოცხლის გალერეების" სახელით გახდა ცნობილი. გეოლოგიის ყოფილ მუზეუმში კი უნდა მოეწყოთ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ვრცელი მომობილვითი ექსპოზიცია. მათ ბაზაზე წარმოიქმნა თანამედროვე "დედამიწის გალერეები."

გეოლოგიის ყოფილი მუზეუმის განახლებისათვის დიდი ყურადღებით და სიზუსტით შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია. ამ სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად დაედო სამი წყაროდან შემოსული ინფორმაცია:

- დამთვალეირებლების გამოკითხვა
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის საგნების ვრცელი მიმობილვა
- დიდი ბრიტანეთის ეროვნულ სასკოლო პროგრამასთან პოტენციური მულტი-დისციპლინური კავშირების მიმობილვა

მუზეუმის განვითარების გუნდის მიზანი იყო ამაღლებელი და მრავალი შეკითხვის გამომწვევი გარემოს შექმნა, რომელიც წაახალისებდა დამთვალეირებელს და ახალი კუთხით დაანახებდა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებას. ასეთი მიდგომის დროს ყურადღება უნდა გამახვილებულიყო დედამიწაზე, როგორც დროსა და სივრცეში მიმდინარე დინამიკური პროცესების და ურთიერთზემოქმედებების რთულ, მუდმივად განვითარებად სისტემაზე. დიდი ყურადღება დაეთმობოდა იმის წარმოჩენას, თუ როგორ არის დაკავშირებული დედამიწის ამგვარი სურათი ხალხთან და მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

ახალი სქემა ითვალისწინებდა მოკლე გასაუბრებას დამთვალეირებლებთან გამოფენების შესახებ, სადაც დაბალანსებულად იქნებოდა წარმოდგენილი დედამიწის შემსწავლელი ყველა მეცნიერება. დამთვალეირებლებს შესთავაზებდნენ:

- აღმოჩენებით დახუნძლულ მოგზაურობას დედამიწაზე მიმდინარე დინამიკურ პროცესებში, როგორცაა ვულკანები და მინისძვრები, რაც დედამიწის შიდა მხურვალეობითაა გამოწვეული
- იმის გამოკვლევას, თუ რა გავლენას ახდენს მზის ენერჯია დედამიწის მოუსვენარ ზედაპირზე მიმდინარე პროცესებზე
- დრამატულ მოგზაურობას დროში, სადაც ნაჩვენებია იქნებოდა დედამიწის წარმოშობა მტკვრისგან და იმ რთულ სისტემაზე გადაქცევა, რასაც იგი დღეს წარმოადგენს
- დედამიწის რესურსების უდიდესი სიმდიდრის გამოკვლევას და ჩვენებას, რაც განსაზღვრავს ადამიანების მატერიალურ კულტურას
- სამომავლოდ, ადამიანური რესურსების მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევას.

ასეა თუ ისე, ზემოთ აღნიშნული საქმის წარმატება დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რამდენად დაინტერესდებოდა გამოფენაზე მოსული აუდიტორია და განიმსჭვალებოდა თუ არა ის ენთუზიაზმით გამოფენის მიმართ. გამოფენის მომზადების დროს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მის პროექტში რაიმე განსაკუთრებული და სპეციფიკური ელემენ-

ტის განსაზღვრა, რომლის საშუალებითაც დაიძლეოდა ის განწყობა, რის გამოც ადამიანი არ მოდიოდა მუზეუმში და რომელიც ისეთ ხალხს მოუყრიდა თავს, ვისაც ნამდვილად დაატყვევებდა და ენთუზიაზმით აღავესებდა შემოთავაზებული ექსპოზიცია.

“თუ შევძელით იმ გზის განსაზღვრა, რომელსაც ყველაზე იოლად მიჰყავს დამთვალიერებელი უცოდინრობიდან დაინტერესებამდე, ჩვენ გადავჭრით პრობლემას, თუ როგორ დავაინტერესოთ ადამიანები გეოლოგიით და დედამიწის შემსწავლელი სხვა მეცნიერებებით. ეს გაცილებით უფრო მეტ მუშაობას და ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს სხვა გამოფენებთან ერთად წარმოდგენილი ერთი გამოფენის ჩარჩოებში, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოგვიდგენია ხოლმე” – ძვირფასი ქვებისა და მინერალების ევალუაცია.

პროექტის წარმატების ერთ-ერთი უნმიშვნელოვანესი საწინდარი იქნებოდა კომპლექსის გულის – ცენტრალური ატრიუმის ხელახლა მოწყობა. ბრიფის მიხედვით, ამ საქმეს ერთი მთავარი მიზანი ჰქონდა – ატრიუმში ისე უნდა მოწყობილიყო, რომ მისი შემწეობით ახალი გალერეები ლონდონის სტუმართათვის განკუთვნილ ტურისტულ რუკებზე “აუცილებლად სანახავ” ღირსშესანიშნაობათა რიგში შეეტანათ. ამ საქმიანობის საბოლოო მიზანი კი ის იყო, რომ ამ მუზეუმის კოლექციების მიმზიდველობა გათანაბრებულიყო ბუნების ისტორიის მუზეუმის ლურჯი ვეშაპის და ბრიტანეთის მუზეუმის მუმიების მიმზიდველობასთან.

ზემოთქმულის გარდა, პროექტის ბრიფში მითითებული იყო რამდენიმე დამატებითი ამოცანა, რომელთა შესრულებაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ატრიუმის ხელახლა მოწყობის ნებისმიერ წარმატებულ დიზაინში. აი, ეს ამოცანები:

- წინა პერიოდის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ძალზე ცოტა იყო ისეთი დამთვალიერებელი, რომელიც სტუმრობდა ზედა სართულებზე მოწყობილ გალერეებს. ამ საკითხის მოსაგვარებლად საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, თუ დამთვალიერებლებს გალერეების ახლადმოწყობილი სქემის შესაბამისად, მეორე სართულზე დედამიწის შესახებ მოწყობილ გამოფენაზე შეიყვანდნენ, მისი დამთვალიერების შემდეგ კი ქვემოთ, პირველ სართულზე, ჩამოიყვანდნენ. შენობის ზედა სივრცეებში ვიზიტორების აყვანის მექანიზმი ატრიუმის ახალი სქემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო

- აუცილებელი იქნებოდა ბალუსტრადიანი ღია ატრიუმის სამი მხრიდან დახურვაც: ღია გეგმარების დარბაზები “საიდუმლოს ვერ ინახავენ,” გამოფენის ახალი სქემის მიხედვით კი აუცილებელი იყო დახურული სივრცე და გარემო, სადაც დამთვალიერებლები განსხვავებულ შთაბეჭდილებებს მიიღებდნენ; ატრიუმის კედლებში უნდა მოწყობილიყო შენობების მართვის თანამედროვე სისტემებით გათვალისწინებული მიღგაყვანილობა ჰაერის ცირკულაციის, ტემპერატურისა და ტენიანობის რეგულირების მიზნით და ამასთან, მთელი შენობა სახანძრო ზონებად უნდა დაყოფილიყო

- მაშინ, როდესაც მუზეუმს სჭირდებოდა დრამატული განაცხადის გაკეთება, მის ატრიუმს უნდა შესაფერისი კონტექსტი უნდა შეექმნა და ვიზიტორების კონცეპტუალური ორიენტაცია მოეხდინა. ამ თვალსაზრისით, მას უნდა შეენარჩუნებინა კავშირი სამუზეუმო ტრადიციებთან, რომელთა უმთავრესი ფასეულობა რეალური ნიმუშის წარმოდგენა და ინტერპრეტაციაა. ამდენად, კონცეფციაში აშკარა და “ხელშესახები” უნდა ყოფილიყო ანმყოს შეგრძნება, რომელსაც წარსულიდან მოაქვს ინფორმაცია უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად.

1994 წელს ბუნების ისტორიის მუზეუმის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მან, ეროვნული ლატარიისა და კორპორაციული მფარველის - TRZ CRA -ის მხარდაჭერით, წარმატებით მოიზიდა საჭირო სახსრები; ამის შემდეგ დაიწყო შემუშავებული სქემის განხორციელების სტადია. გამოფენის მოწყობის მუზეუმისეული მეთოდოლოგიის თანახმად, აუცილებელი იყო თითოეული ძირითადი გამოფენისათვის გამოფენების დიზაინერი კომპანიების მოწვევა, რომელსაც ტენდერის საფუძველზე შეარჩევდნენ. შემდგომ, თითოეული გამოფენისათვის შეიქმნებოდა მცირე ერთობლივი მუშა ჯგუფები, სადაც შევიდოდნენ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების დიზაინერები და მუზეუმის საგამოფენო განყოფილების თანამშრომლები. ეს ჯგუფები მოაწყობდნენ თითოეულ გამოფენას. ტენდერის საფუძველზე შეირჩეოდა კიდევ ერთი სადიზაინერო კომპანია, რომელიც პასუხს აგებდა ინტერიერის ისეთ დიზაინზე, რომელიც ადვილად დააკეშირებდა საგამოფენო მარშრუტებს მუზეუმის საზოგადოებრივ ობიექტებთან.

ატრიუმისათვის, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა და განსაზღვრავდა პროექტის საერთო და საბოლოო წარმატებას, დიდი გულისყურით შერჩეულ ექვს დიზაინერულ და არქიტექტურულ ფირმას შეუკვეთეს და გადაუხადეს კიდევაც პროექტებისათვის. საბოლოო დიზაინი გამოფენების დიზაინერის, ნილ პოტერის მიერ შემოთავაზებული წინადადების საფუძველზე შეიმუშავეს. მისი ვერსია არსებითად მარტივი, თუმცა ტექნიკურად საკმაოდ რთული იყო:

- ატრიუმის ცენტრში უნდა დამონტაჟებულიყო ესკალატორი, რომელიც დამთვალიერებლებს შენობის ზედა სართულებზე აიყვანდა. ამრიგად, დამთვალიერებელთა ცირკულაცია სწორედ მუზეუმისათვის სასურველი მარშრუტით მოხდებოდა, თან ყველაზე იოლად და სწრაფად

- ესკალატორის ირგვლივ, რგოლებზე უნდა დამაგრებულიყო 11 მ. დიამეტრის მქონე დედამიწის მბრუნავი მაკეტი, რომელიც თითქმის მთლიანად შეავსებდა ატრიუმს; ესკალატორს და შესაბამისად, დამთვალიერებლებს მის შიგნით უნდა გაეკლოთ

- გალერეის თითოეულ მხარეს არსებული დიდი კედლები უნდა დაეფარათ ამოტვიფრული ვრცელი შავ-თეთრი გრაფიკული გამოსახულებებით, ამისათვის კი უნდა გამოეყენებინათ აღდგენილი ქვადაფის ფიქალისაგან დამზადებული ხსნარი. ამ საშუალებით ერთ კედელზე უნდა გამოესახათ მზის სისტემის პლანეტების წარმომადგენლობითი სურათი, ხოლო მეორეზე – ძირითადი თანავარსკვლავედები

- ატრიუმის შუშით მოპირკეთებული ჭერის თაღქვეშ, უნდა გაეკრათ მზის შუქის დამაბნელებელი ფირი, რაც დაამუქებდა გარემოს და თეატრალური განათების წყალობით ისეთ შთაბეჭდილებას შექმნიდა, თითქოს დედამიწის მაკეტი კოსმოსურ სივრცეში იყო გამოკიდებული.

მართალია, პოტერის თავდაპირველი სქემით გათვალისწინებული სხვა ელემენტები არ განხორციელებულა, მაგრამ მუზეუმმა იგრძნო, რომ ავტორის წინადადების ამ მთავარი ნაწილის მეშვეობით, ის შექმნიდა იმ დრამატულ და შთამაგონებელ შთაბეჭდილებას, რომლის შექმნაც ასე ძალიან სურდათ და რომ ამ სქემას შეეძლო ისეთი წინასწარი გარემო შეექმნა, რომელიც აუცილებლად მიიზიდავდა დამთვალიერებელს და მას მომდევნო გალერეების დათვალიერებისაკენ წააქეზებდა. პოტერს თავისი წინადადების განხორციელება დაევალა მუზეუმის საინტერპრეტაციო ჯგუფთან ერთად.

პოტერისა და მუზეუმის ჯგუფის თანამშრომლობის პროცესში გაჩნდა ახალი კონცეფ-

ცია ატრიუმში დედამიწის ხედების წარმოდგენის შესახებ და გამოფენის დიზაინის საბოლოო ვერსიას ორი დამატებითი ელემენტი დაემატა:

- ორი მთავარი კედლის გასწვრივ მოეწყო მცირე ზომის "ილუმინატორები" სადაც გამოფენილი იყო დიდი სიფრთხილით და ყურადღებით შერჩეული ძალზე განსაკუთრებული ექსპონატები. თითოეულ ასეთ ლიობში წარმოდგენილი ნივთი სამკაულის მსგავსად ზემოდან იყო განათებული, ხოლო მის ირგვლივ ბნელოდა, რაც კოსმოსური სივრცის ილუზიას ქმნიდა. თითოეულ ნიმუშს ახლდა მოკლე ტექსტური ინფორმაცია, სადაც ლაპარაკი იყო იმ ასპექტებზე, რაც განაპირობებდა მის მომხიბვლელობას და ამავე დროს გალერეების დათვალიერებისაკენ უბიძგებდა და აქეზებდა დამთვალიერებელს

- მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დამთვალიერებელთა ორიენტაციას შეეხებოდა, იყო გალერეების სქემის შესაბამისადირიტადი თემების წარმოჩენა. ამისათვის ბრინჯაოთი დაფერილი "ულტრა-კლასიკური" ფიგურების სამი წყვილი დაიდგა, რითაც შეიქმნა ესკალატორისაკენ მიმავალი ერთგვარი დერეფანი. თითოეული ფიგურა მინის ნახევარსფერულ პლატფორმაზე დგას და ვინაიდან პლატფორმები შიგნიდან და ქვემოდან ნათდება, იქმნება შტაბეჭდილება, რომ ფიგურები ჰაერში ლივლივებს. ჩანაფიქრის მიხედვით, თითოეული ფიგურა მთელი გალერეის მთავარი თემის ადვილად აღსაქმელი და გასაგები ანთროპომორფული განსახიერებაა და ამ ფიგურების ასეთი დანიშნულებით გამოყენების იდეა ერთგვარი ხერხია "მუზეუმში მუზეუმის დაბრუნებისა."

სამი წყვილი ფიგურა ქმნის გალერეის მომნუსხველ ხასიათს:

- ფიგურების პირველი წყვილიდან ერთი "დედამიწის დაბადების სახეა", მეორე კი "დედამიწის ფორმისა და ადგილის სახე". ეს ფიგურები შთაგონებულია უილიამ ბლეიკისეულ "ღმერთი ქმნის სამყაროს" და "ატლასი, რომელსაც დედამიწა უჭირავს" მიხედვით შექმნილი ქანდაკებებით

- ქანდაკებების მეორე წყვილი მითიურ ცხოველებს წარმოადგენს. ციკლოპის მითიური ფიგურა "დედამიწის წარსულის სახეს" გამოხატავს. როგორც ფიქრობენ, მითი ციკლოპზე წარმოშვა ძველი სამყაროს ადამიანების მიერ აღმოჩენილი განმარხეული სპილოების თავის ქალებში ხორთუმის ხერხლის გამო, რომელიც მათ ცალი თვალის ბუდე ეგონათ. ეს მცდარი ინტერპრეტაცია გამოყენებულია გეოლოგიის პრინციპის, ანუ ერთგვაროვნობის პრინციპის დასადგენად, რომლის თანახმადაც წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთი და იგივე ფიზიკური კანონზომიერებები მართავს. ამ წყვილის მეორე ფიგურა – "დედამიწაში მიმდინარე პროცესების სახე", იყენებს გორგონა მედუზას, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც ნეოპლატონური გამაქვავებელი ძალების ანთროპომორფული გამოხატულება. ის ერთგვარად პასუხობს კითხვას, თუ როგორ წარმოიქმნა სინამდვილეში მინერალები, განმარხეულები, ქანები და ძვირფასი ქვები. როგორც ანტიკური მითოლოგიიდან გახსოვთ, მედუზას ყველაფრის გაქვაგების ძალა შესწევს და ამ შემთხვევაშიც, იგი ქვად ქცევის პროცესების ანთროპომორფული გამოსახულებაა

- ფიგურების ბოლო წყვილი დედამიწის რთულ სტრუქტურას და ადამიანების მიერ მისი რესურსების ექსპლუატაციას გამოხატავს. "დედამიწის წესრიგის სახეები" ასტრონავტის სახითაა გადმოცემული, რაც ჩვენი პლანეტის, როგორც ცოცხალი და დინამიური სისტემის შესახებ ცოდნის ზრდას ასახავს. "დედამიწის მომავლის სახე" გამოხატულია სილიკონის ვაფლის მწარმოებლის ფიგურის სახით, რომლითაც გადმოცემულია დედამიწისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გავლენა კაცობრიობის კულტურაზე.

თითოეული ფიგურის ძირში მოთავსებულია საგულდაგულოდ შერჩეული ნიმუშები და ტექსტური მასალა, სადაც მითითებულია მათ მიერ გამოხატული ექვსი ძირითადი თემა. მაგ. სამყაროს წარმოქმნის გამომხატველი ფიგურასთან მოთავსებულ ექსპონატებს შორის არის მზის სისტემის შექმნის თანადროული მეტეორიტი, რკინის შემცველი ქანი, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის ყველაზე ადრეული დადასტურებაა. აქვეა ჩვენი წინაპრის, ავსტრალოპითეკის, ტერფის ანაბეჭდი და ერთ-ერთი პირველი თანამედროვე ადამიანის მიერ გაკეთებული კაყის ხელცული. ფიგურისა და ამ ექსპონატების ერთობლივ წარმოდგენას ერთი მიზანი აქვს – დედამიწისა და ადამიანების ასაკის შესახებ სამეცნიერო და მითოლოგიურ ცოდნას შორის არსებული განსხვავების ჩვენება – რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედამიწაში მიმდინარე პროცესების მასშტაბების შეფასებისთვის და ადამიანისათვის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების მნიშვნელობის გასააზრებლად და გასაგებად.

როდესაც სქემამ საბოლოო სახე მიიღო, ესკალატორის ძირში მოთავსებული ტექსტი დამთვალეირებელს ატყობინებდა, რომ დედამიწის სტრუქტურის შემსწავლელი მოგზაურობა დაიწყო. აქ იყო მითითება დედამიწის ფენოვან სტრუქტურასთან ანალოგიის შესახებ და ჩვენი პლანეტის შიდა აგებულების რეალური ბუნების შესახებ. სქემის მიხედვით მოგზაურობა, დედამიწის მაკეტის შუაგულში გავლით იწყებოდა. ეს იყო იმ მოგზაურობის მეტაფორული გამოხატულება, რაც დამთვალეირებელს ელოდებოდა მაკეტის მიღმა არსებულ გალერეებში.

დედამიწის გალერეების გამოფენები საბოლოოდ 1998 წლისათვის დასრულდა, მაგრამ დამთვალეირებლებისთვის განკუთვნილი ახალი შესასვლელი, ატრიუმი და ორი ყველაზე ზედა გალერეა უკვე პირველ ეტაპზე, 1996 წელს, გაიხსნა. სწორი და გონივრული კვლევებისა და დაგეგმვის შემწეობით (ცოტაოდენ ილბალთან ერთად), პროექტმა დიდ წარმატებას მიაღწია – ილბალი იმიტომ ვახსენეთ, რომ ისე მოხდა, რომ 1996 წელს გახსნილი გამოფენა დიდი ბრიტანეთის ეროვნული ლატარიის მხარდაჭერით განხორციელებული პირველი დიდი პროექტი იყო, რომელმაც შემდგომში დიდი სახალხო აღიარება მოიპოვა. ილბალი იყო იმ მხრივაც, რომ სწორედ მაშინ განხორციელდა ცვლილებები სასკოლო პროგრამებში და სასკოლო ჯგუფების ვიზიტები ახალი გალერეების გახსნას დაემთხვა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი დედამიწის გალერეების, როგორც ფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსის მიმართ.

დამთვალეირებლებს შორის გონივრულად ჩატარებული კვლევა-ძიება და ინტერპრეტაცია, მუზეუმის უწყვეტი წარმატების ძირითადი მიზეზია. პოტერის მიერ შთაგონებულ ატრიუმს დამთვალეირებლების მანამაღვ არნახული რაოდენობა ესტუმრა და გახსნის პირველივე წელს მომსვლელთა რაოდენობამ 200%-ით გადააჭარბა ყოფილ გეოლოგიის მუზეუმში მთელი არსებობის მანძილზე მოსულ დამთვალეირებელთა რიცხვს. როგორც დამთვალეირებელთა გამოკითხვები ცხადყოფს, ხალხისათვის ოდითგან საყვარელ ლურჯი ვეშაპისა და მუდამ პოპულარული დინოზავრების გამოფენებს თუ შევადარებთ, ახალი გალერეების მდგომარეობა დღემდე ხელსაყრელია. სწორედ გონივრული კვლევების გამო გახდა შესაძლებელი, რომ დედამიწა გასართობად მოსული მნახველისთვისაც დატრიალებულიყო.

გამოფენის ტექსტი

დიდი დისკუსიები გაიმართა სამუზეუმო გამოფენებში ტექსტის ხასიათის და მისი გამოყენების, ანუ – დაბეჭდილი სიტყვის საუკეთესო და ყველაზე ეფექტური გამოყენების საკითხზე. ამ თემის განხილვის საგნად ქცევა შესაძლოა რამდენადმე უჩვეულოდაც ჩანდეს:

- სიტყვები მცირე ზომისაა და ორგანოზომილებიანია. ჩვეულებრივ, ტექსტი არ არის გამოფენის ყველაზე უფრო ხარჯიანი და სივრცის «მომთხოვნი» ნაწილი. გამოფენები სამგანზომილებიანია და როგორც წესი, “ერთ სიცოცხლეზე უფრო დიდია”

- სიტყვები არ არის უჩვეულო და რაიმე განსაკუთრებული საგამოფენო გარემოსათვის. ტექსტური მასალა შეიძლება თითქმის ყველგან იყოს, როდესაც გამოფენას განსაკუთრებული გარემო სჭირდება – მუზეუმებში, გალერეებში ან საგამოფენო ცენტრებში

- ინფორმაციის, ემოციებისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად დაბეჭდილი ტექსტი შედარებით აბსტრაქტული საშუალებაა, გამოფენები კი უფრო მეტადუშუალო და პირდაპირ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს ეყრდნობა, რაც, როგორც ხშირად იტყვიან, დაბეჭდილი სიტყვის მიღმა რჩება. გამოფენების უმრავლესობა ნივთების კოლექციაზეა ორიენტირებული, სადაც დამთვალიერებელი ფიზიკურად ახლოს უნდა მივიდეს და ისე ნახოს.

როგორ შეუძლია ისეთ ჩვეულებრივ და მცირე ზომის საშუალებას, როგორიც დაბეჭდილი სიტყვაა, დიდი ზემოქმედება ჰქონდეს ისეთ ვრცელ და განსაკუთრებულ ღონისძიებაზე, როგორიც გამოფენაა? რატომ თვლიან მუზეუმის პროფესიონალები, რომ გამოფენის ტექსტური მასალა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი დეტალი? სრულებით ნათელია, რომ ეს კომუნიკაციის ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც ზეგავლენას ახდენს მუზეუმებზე და მრავალ სხვა მედია საშუალებაზე:

სიტყვა აზრის გადმოცემის უძლიერესი საშუალებაა და ჩვენს კულტურაში მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია.

როგორც დაბეჭდილი, ისე ნათქვამ სიტყვებს, “გონებრივ სივრცეებთან” დაკავშირებული განსაკუთრებული კონცეპტუალური დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. «გონებრივი სივრცეები» კი შესაძლოა გამოფენისათვის ისეთივე სირთულისა იყოს, როგორც ფიზიკური სივრცის საკითხი:

- სიტყვა აბსტრაქტულია. იმ დროს, როცა სიტყვებს შეუძლია ურთულესი აზრების, წარმოდგენებისა თუ გრძნობების გადმოცემა, თავისთავად, მათ არ შესწევს საკუთრივ იმ შთაბეჭდილებების გადმოცემის და ნივთების გამოსახვის უნარი, რომლებზეც ლაპარაკობს. მაგ. დაბეჭდილი სიტყვა “ვაშლი”, სულაც არ ჰგავს ბუნებაში არსებულ ვაშლს. ეს შეფასება ისევე მართებულია საგამოფენო ტექსტისათვის, როგორც ზოგადად ენისათვის.

- ტექსტი შესაძლოა ძალზე სუბიექტური იყოს. დაბეჭდილი სიტყვის “ვაშლი” ნაკითხვისას, გონებაში უამრავი პირადი და კულტურული ასოციაცია გვიჩნდება – გემრიელი საჭმელი, ჯანსაღი ჩვევები და პირველქმნილი ცოდვაც კი! სწორედ პირადი ინტერპრეტაციის ეს ფაქტორი, განსაკუთრებით ართულებს კომუნიკაციას, როდესაც ხშირად რიცხვების მსგავსად, დიდაქტიკური საუბრებისა და მსჯელობების ფორმით, განსაკუთრებით “ობიექტური” და სამეცნიერო ანგარიშების ან საკითხების სახით, როგორც ხშირად ვხვდებით

გამოფენებზე.

• ერთის მხრივ, როდესაც გვეუბნებიან, ასჯერ გაგონილს ერთხელ დანახული სჯობსო, უნდა გვახსოვდეს, რომ ელექტრონულ მედია საშუალებებს, როგორცაა ტელევიზია ან ფილმი, ბოლომდე ვერ ვენდობით, ვინაიდან ისინი ძირითადად გამოსახულების საშუალებით გვანვდის ინფორმაციას. ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ტელევიზიით გადმოცემულ ამა თუ იმ ამბავს უფრო ნაკლებად იჯერებს და ენდობა, ვიდრე საგაზეთო შეტყობინებაში ან სტატიაში მოთხრობილ იგივე შემთხვევას, ვინაიდან, მათი აზრით, დაბეჭდილი სიტყვით გადმოცემული ვერსია უფრო "ვრცელი და სრული", "გააზრებული" და "სიღრმისეულია." ამა თუ იმ კონკრეტული ფორმით გადმოცემული შეტყობინების სიზუსტე და აზრი, თავისი ღირსებებით ფასდება, მაგრამ უდავოა, რომ დაბეჭდილი სიტყვა დიდი ინტელექტუალური ავტორიტეტით სარგებლობს, რაც სწორად და პასუხისმგებლობით უნდა იქნეს გააზრებული და გამოყენებული გამოფენის მომზადების დროს.

12.1 ხედვის კუთხეების განონსნორება საგამოფენო ტექსტებში

პიუ ა. დ. სპენსერი

ნაბეჭდ სიტყვას გამოფენაზე სჭირდება გარკვეული "ავტორობა" – ტექსტი ხომ ვილაცამ უნდა დანეროს. ამ მოთხოვნის შესრულებას შესაძლოა მოყვეს კამათი იმაზე, თუ ვინაა საგამოფენო ტექსტის ავტორი – პიროვნება თუ დისციპლინა. როგორც ეს ამ ნიგნში არის ნაჩვენები, გამოფენის მოსამზადებლად უნარ-ჩვევების დიდი მრავალფეროვნება და ხედვის სხვადასხვა კუთხე არის საჭირო. მთელი ეს დიაპაზონი და მრავალფეროვნება შეიძლება ტექსტში აისახოს, იმის მიხედვით, თუ როგორ გამოვიყენებთ მას. ამ მხრივ, გამოფენაში ჩართული ყოველი დისციპლინა, შეიძლება აღქმულ იქნეს (განსაკუთრებით, თითოეული ამ დისციპლინის მხრიდან) საგამოფენო ტექსტის "ავტორად":

• საკურატორო და აკადემიური ხედვის კუთხიდან, ტექსტმა უნდა გადმოსცეს კვლევა-ძიებასთან და კოლექციებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოფენის ტექსტი, ამ თვალსაზრისით, განაერთებს საკურატორო და აკადემიური კვლევა-ძიების დროს მიღებულ და მუდმივმოქმედი გამოფენების კატალოგში, აკადემიურ სტატიაში ან სამეცნიერო პრეზენტაციაში გადმოცემულ შედეგებს.


• სასწავლო პროგრამებზე მომუშავე თანამშრომელთა აზრით, საგამოფენო ტექსტი შესაძლოა გააზრებული იქნეს როგორც დიდაქტიკური ინფორმაციის გადმოცემის საშუალება, რომელიც შეესაბამება არსებული სასწავლო გეგმისათვის შემუშავებული პროგრამის მიზნებს. ამ ხედვის კუთხით, ტექსტი გასაგები და მისაწვდომი უნდა იყოს მოსწავლეთა შესაბამისი ჯგუფებისთვის და ისეთ მასალას უნდა შეიცავდეს, რომ წამკითხველს გამოფენისადმი მიდგომის შემუშავებაში, ან ქცევის შესაბამისი ნორმის ჩამოყალიბებაში დაეხმაროს

• მარკეტინგული მიდგომის მიხედვით, გამოფენის ტექსტი შესაძლოა გააზრებული იქნეს როგორც მუზეუმის სამიზნე ბაზრებთან დამაკავშირებელი საშუალება, რომელიც დამთვალიერებელთა ყურადღებას სწორედ ისე მიიზიდავს, როგორც რეკლამა ან ესა თუ ის ამბავი იზიდავს აუდიტორიას. ასეთი ხედვის თანახმად, გამოფენის ტექსტი იმავე ფუნქციას უნდა ასრულებდეს, რასაც კარგი რეკლამა ან ჟურნალისტური პროდუქტი – უნდა ჰქონდეს საინტერესო სათაურები, უმთავრესი "გასაყიდი" ადგილები, გასაგები და ლაკონური სი-

ტყვეები, რომლებიც ციციხლად აღწერს გამოფენის ფაბულის ისეთ ასპექტებს, როგორცაა: ვინ, რა, რატომ, როდის და სად.

• დიზაინერული კუთხით, გამოფენის ტექსტი შეიძლება გააზრებული იქნეს, როგორც ვიზუალური ელემენტი, რომელიც უნდა ჩაჯდეს ექსპოზიციაში და რომელსაც გარკვეული სივრცე სჭირდება. სირთულეები, რომელსაც გამოფენის ტექსტი წარმოქმნის დიზაინის თვალსაზრისით, შეიძლება მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა დაბეჭდილი ტექსტის ადგილის, ზომის განსაზღვრა, იმისათვის, რომ მნახველისთვის ის ადვილად დასაწახი იყოს. ამასთან, აგრეთვე – ტექსტის, როგორც გრაფიკული დიზაინის სტრატეგიის შემადგენელ ელემენტად აღქმა, სადაც ტექსტი აადვილებს გამოფენის შინაარსის შემუშავების დროს დასახული ამოცანების მიღწევას და მისი კონცეპტუალური გარემოს წარმოჩენას. ტექსტის გამოყენებასთან დაკავშირებული ამგვარი გამოწვევის კარგი მაგალითია ვირჯინიის შტატის ქალაქ არლინგთონის ნიუსეუმი (ენსეუმ), სადაც დაბეჭდილი სიტყვა XX საუკუნის თავისუფალი პრესის ისტორიული განვითარებისა და როლის ინტერპრეტაციის საშუალებად ქცეულ პიქტოგრამას წარმოადგენს.

ამდენად, უმრავლეს შემთხვევაში, გამოფენებზე ტექსტის გამოყენების სხვადასხვა მიდგომაა შემუშავებული, ასე რომ, შეიძლება ვისაუბროთ კომბინირებულ ან ბალანსირებულ მიდგომაზე, რომელიც წარმოდგენილია 12.1 სურათზე.



სურ.12.1 ტექსტის გამოყენების ხედვის კუთხეები

საგამოფენო ტექსტების ისეთი გამოყენება, რომელიც 12.1 სურათზეა ნაჩვენები, სულაც არ არის ბალანსის "იდეალური" ვარიანტი. ის უფრო არის მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს ზოგადი დამოკიდებულება ტექსტისადმი და შეირჩეს ისეთი, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება კონკრეტულ გამოფენას. მაგ., უნივერსიტეტის მუზეუმის შემთხვევაში, სადაც ამა თუ იმ დარგის უკვე კარგად ინფორმირებული პროფესიონალებისათვის სამეცნიერო ნიმუშების სპეცილიზებული გამოფენებია მოწყობილი, საგამოფენო ტექსტი შესაძლოა შემუშავდეს 12.2 სურათზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით.

თუმცა, საბავშვო მუზეუმებში მოწყობილი გამოფენების შემთხვევაში, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული უზნის სკოლაში შემოღებულ სასწავლო გეგმასთან და რომელსაც ამასთან ერთად ჩამოსული ტურისტების მოზიდვის სრულიად კონკრეტული, მარკეტინგული

მიზანი აქვს, საგამოფენო ტექსტი შესაძლოა შემუშავდეს 12.3 სურათზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით.


ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ტექსტის გამოყენების სტრატეგია ნიშნავს გამოფენის შინაარსისა და შემცველობის დაგეგმვის პროცესში კვლევა-ძიებასა და საკურატორო საქმიანობის დაკნინებას, ან უნივერსიტეტის მუზეუმში მონყობილი, სპეციალისტებზე გათვლილი გამოფენის სხვა ფაქტორების უგულვებელყოფას – აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ თითოეულ გამოფენაზე დაბეჭდილი ტექსტის გამოყენებას თვითონ დამთვალეირებლის მოთხოვნილებები განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ რამდენად სჭირდება მას თხრობა და დიდაქტიკა.

ამ ურთიერთგანსხვავებულ მაგალითებში ერთი, მეტ-ნაკლებად უცვლელი კომპონენტია, ეს არის დიზაინის ანუ ვიზუალური კომპონენტი. ეს უცვლელი ტექსტის გამოყენების ობიექტური მოთხოვნებითაა განპირობებული, რომელთა შესრულება აუცილებელია, თუ საგამოფენო გუნდს უნდა, რომ დამთვალეირებელმა წაიკითხოს გამოფენის ტექსტური მასალა.

ქვემოთ მოტანილია საგამოფენო ტექსტის შედგენის და მისი პრეზენტაციის ოთხი ძირითადი პრინციპი:

1. იმისათვის, რომ წაიკითხოს, ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაინახოს სიტყვები. ამდენად, ტექსტის შრიფტი იმ ზომისა უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მათი გარჩევა. შემდეგ: ის, რაზეც განთავსებულია ტექსტი, ანუ ტრანსპარანტები, წარწერები, სტენდები მნახველისთვის ადვილად შესამჩნევ ადგილზე უნდა იყოს. თუ მუზეუმს სურს, რომ ტექსტთან ფიზიკური და ვიზუალური კონტაქტი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს (იხ. ნან. 5.7), მაშინ მისი ზომები უნდა გაიზარდოს და ცენტრალური ადგილი დაიკავოს ექსპოზიციაში.

2. ჩვეულებრივ, დამთვალეირებელი საგამოფენო ტექსტს ფეხზე მგომი კითხულობს. ეს ნიშნავს, რომ ტექსტის კითხვის დროს დამთვალეირებლები კომფორტულად კი არ სხედან და კითხულობენ, როგორც იმედია, ამას ახლა თქვენ აკეთებთ, არამედ შეჩერებულები არიან რომელიმე კონკრეტულ ექსპონატთან, რითაც ხელს უწყობენ მნახველთა ნაკადის დაგროვებას.




სურ.12.2 დარგის სპეციალისტებისათვის მონყობილი სპეციალური გამოფენისათვის ხედვის კუთხე

3. საგამოფენო ტექსტი, გამოფენის საერთო გარემოს შემადგენელი ნაწილია, სადაც სხვა უამრავი ექსპონატია სანახავე და მრავალ საქმიანობაშია მონაწილეობა მისაღები. ჩვეულებრივ, ერთ ადგილას გაჩერების და რთული ტექსტის გარჩევის საშუალება თითქმის არ არის, ხოლო თუ არის, უფრო დიდია ძალა, რომელიც შემდეგი ექსპონატისაკენ წასასვლელად გიბიძგებს.

4. საგამოფენო ტექსტი კონკურენტულ მედია სივრცეშია მოქცეული. დღითიდღე იზრდება დამთვალიერებელთა მოთხოვნები, რომ გამოფენაზე ვიზუალური და საზოგადოებრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც იყოს. ამიტომ, სულ უფრო ძლიერდება და იხვეწება ის ტექნოლოგიები, რომელიც სხვა მედია საშუალებების წყალობით იზიდავს ადამიანთა ყურადღებას.

ასეთი თვისებების გამო, აუცილებელია, საგამოფენო ტექსტი იყოს მოკლე და შეესაბამებოდეს დამთვალიერებელთა ინტერესებსა და მოტივაციას. ამასთან, ტექსტი ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ნაკითხვისთვის განაწყობდეს მსურველს. ამავე დროს ტექსტი, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსობრივად, მაღალპროფესიულ დონეზე უნდა იყოს შესრულებული:



სურ.12.3 ხედვის კუთხე საბავშვო და ტურისტებისთვის მონყობილი გამოფენისათვის

- ხშირად ძალიან მომგებიანია, თუ გამოფენის მოსამზადებელ ჯგუფში შევლენ სარეკლამო ტექსტებისა და სცენარების შედგენაში დახელოვნებული პროფესიონალები;
- გრაფიკული და საინფორმაციო დიზაინი ძალიან მნიშვნელოვანია ყველა საგამოფენო პროექტისათვის.

მართლაც, თვით ყველა ზემოჩამოთვლილი რესურსის განხორციელების შემთხვევაშიც კი, შესაძლოა დამთვალიერებელმა არ წაიკითხოს საგამოფენო ტექსტი. ასეა თუ ისე, თუ დაბეჭდილი ტექსტი ცუდად და არაპროფესიონალურადაა შესრულებული, ამას ყველა დამთვალიერებელი შეამჩნევს, მიუხედავად იმისა, აპირებდა თუ არა იგი ტექსტის წაკითხვას.

12.2 მითითებები საგამოფენო ტექსტისათვის

პიუ ა.დ. სპენსერი

ყველა გამოფენა თავის მხრივ უნიკალურია და საგამოფენო ტექსტის გამოყენება კონკრეტულად უნდა განისაზღვროს ყოველი მათგანისათვის. თუმცა, მრავალი სხვადასხვა ტიპის გამოფენა და მუზეუმი ტექსტის შედგენისას გარკვეულ საფუძველს ემყარება, რომლის დროსაც სარგებლობს ქვემოთ მოტანილი სტანდარტით:

გამოფენის ელემენტი	სიტყვათა რაოდენობა	შრიფტის ზომა
ძირითადი სათაური : მსაზღვრელები	3-8 სიტყვა	ასოების ზომა უნდა შეირჩეს ექსპონატის ზომის და მისი დანახვის კონტექსტის გათვალისწინებით. სტანდარტის სახით ხშირად იყენებენ 5-7.7 სმ ასოებს.
ქვე-სათაურები 1-ლი საფეხური მნიშვნელოვანი პუნქტები	10-25 სიტყვა	ზომა 100-120 პუნქტი. როგორც ნესი, ეს ნაწილი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დაბეჭდილი ინფორმაციაა.
ტექსტი ექსპონატების ჯგუფის შესახებ მე-2 საფეხური განმარტებითი ტექსტი	50-60 სიტყვა	ზომა 30-40 პუნქტი. ეს ტექსტი ხსნის თუ რატომაა მნიშვნელოვანი ესა თუ ის პუნქტი, ან აღწერს ექსპონატების რომელიმე ჯგუფს.
დეტალური ტექსტი მე-3 საფეხური დისკუსიები	60-80 სიტყვა	ზომა 24-32 პუნქტი. აქ გადმოცემულია არგუმენტაცია წარმოდგენილი ექსპონატების შესახებ და მათი დანიშნულება.
ტექსტი არტეფაქტის შესახებ ცალკეული ექსპონატი	10-20 სიტყვა	ზომა 18-22 პუნქტი. აქ გადმოცემულია ინფორმაცია გამოფენაზე წარმოდგენილი საგანგებო ნივთების შესახებ. ამ ტექსტის განთავსება შეიძლება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ წარწერებზე.

ცხრილი 12.1 საგამოფენო ტექსტის სტანდარტები

სიტყვათა რაოდენობისა და ფონტის ზომის შესახებ ზემოთ მოტანილ ცხრილში მითითებული სტანდარტები მხოლოდ საშუალო ვერსიებია. დასაშვებია მათი მოდიფიკაციები ქვემოთ მოტანილი გარემოებების გათვალისწინებით:

- შრიფტის გარნიტურის განსაკუთრებული მახასიათებლები და გრაფიკული დიზაინის დროს შერჩეული ტექსტის განლაგება
- ინფორმაციის მიწოდების, დიზაინის და დამთვალეირებელთა მოთხოვნილებები ყოველი კონკრეტული კომპონენტისადმი.

ასეა თუ ისე, ამ სტანდარტების არსი, ისე როგორც საერთო შეფარდებები, დაბეჭდილი ტექსტის სხვადასხვა დონეებს შორის, გონივრულად უნდა მივუსადაგოთ ყველა იმ შემთხვევას, როდესაც საგამოფენო ტექსტი არ ემთხვევა მოცემულ მითითებებს. ასეთი მითითებები მუზეუმში ზოგადად უნდა იყოს შემოღებული და მათი მიმოხილვა ან შესაძლო გადასინჯვა უნდა მოხდეს კონკრეტული საგამოფენო პროექტისათვის.

ამ მითითებების მიხედვით შრიფტისა და გარნიტურის შერჩევა გრაფიკული დიზაინის ჩარჩოებში უნდა მოხდეს, სადაც ნაბეჭდის გარეგნული სახე აუცილებლად უნდა დააბალანსოს მისი ნაკითხვის სიიოლემ და ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს გამოფენისათვის განსაზღვრულ ლექსიკურ ჩარჩოებს.

გრაფიკული ტექსტის სტანდარტების ცოდნა გამოფენის პროექტის მნიშვნელოვანი რესურსია. საგამოფენო ტექსტის სტანდარტების გამოყენება გამოფენის ჯგუფს, სულ მცირე, სამ საკითხში მაინც დაეხმარება:

- ტექსტისა და გრაფიკის შერჩევა: სადღეისოდ მსგავსი მითითებები შემოღებულია თითქმის ყველა დიდ მუზეუმში, გალერეაში, სამეცნიერო და საგამოფენო ცენტრებში.

- საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება: გრაფიკული ტექსტისათვის მითითების მიზანია დაბეჭდილი ტექსტის ეფექტური გამოყენების საშუალებით საზოგადოებისათვის გამოფენის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ სტანდარტების მიხედვით, დაბეჭდილი ტექსტი გამოფენის საერთო გეგმის გრაფიკული ნაწილია, რომლის დანიშნულებაა :

- ფიზიკურად უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს გამოფენა: როგორც აღნიშნულია 5.7 ნაწილში, ტექსტი უნდა შემონმდეს იმ მიზნით, რომ იგი გასაგები და იოლად აღსაქმელი იყოს განსხვავებული ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის. ტექსტის შრიფტი საკმარისად დიდი უნდა იყოს და ისე განთავსდეს ექსპოზიციაში, რომ იოლად შეიძლებოდეს მისი წაკითხვა

- ინტელექტუალურად უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს გამოფენა; ტექსტი წარდგენა ისეთი უნდა იყოს, რომ გამოფენაზე ინფორმაციის წასაკითხად განაწყოს დამთვალიერებელი. ტექსტი ისე უნდა იყოს მოწოდებული, რომ დაინტერესოს და წახალისოს დამთვალიერებელი, გაუადვილოს მას გამოფენის გააზრება და სასიამოვნოდ გაატარებინოს დრო

- დიზაინის ინტეგრაცია: გამოფენაზე ტექსტი ექსპონატების კონკურენტი ან ცალკე მდგომი ინტელექტუალური ელემენტის სახით არ უნდა მოგვევლინოს, არამედ მან უნდა შეავსოს გამოფენა და იქ გამოყენებული მედია საშუალებები

- უკეთესი ბალანსის მიღწევა სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს შორის: პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს მითითებები კარგი დამხმარე საშუალებაა ყოველი კონკრეტული გამოფენისათვის საჭირო სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს შორის ბალანსის მისაღწევად და შესანარჩუნებლად:

- კურატორისთვის/მკვლევარისთვის: მაშინ, როცა მრავალი გამოკვლევა, მათი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა არ იყოს საბოლოო და დასრულებული, იმის ცოდნა, თუ რა ტიპის და რამდენი ტექსტია საჭირო მთლიანად გამოფენაზე, გვეხმარება განვსაზღვროთ, რა დოზით უნდა აისახოს კვლევა-ძიების პროცესი საგამოფენო ტექსტში. ზოგი ექსპონატი შედარებით პატარა ტექსტს მოითხოვს, სხვებს კი შესაძლოა გაცილებით ვრცელი ტექსტი დასჭირდეს.

- დიზაინერისთვის: ტექსტის მახასიათებლები და გრაფიკული მოთხოვნები თითოეული ექსპონატისათვის – ამ სტანდარტებით განისაზღვრება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ტექსტის განთავსების ადგილი, მისი ზომა და გამოფენის პროექტთან თემატური და ესთეტიკური შესაბამისობა. ეს სტანდარტები კარგი საფუძველია იმისათვის, რომ გაირკვეს ტექსტის როლი გამოფენის ზოგად მუშაობაში და მისი გარეგნული სახის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე ის, თუ სად უნდა მოვთავსოთ ტექსტი და რა სივრცე უნდა გამოვყოთ მისთვის

- ტექსტის ავტორის/ინტერპრეტაციის დამგეგმავისთვის: ეს მითითებები ეხმარება ტექსტის ავტორებს, რომ განსაზღვრონ დასანერი ტექსტის მოცულობა, მასში დეტალური ინფორმაციის წილი, ტექსტის სტრუქტურა, ტონი და დაბეჭდილი ტექსტის როლი თითოეული საგამოფენო კონპონენტისათვის.

გამოფენის პროექტის წინსვლასთან ერთად, ეს მითითებები სასარგებლო იქნება ისეთი საკითხების გააზრებულად გადასაწყვეტად, როგორცაა:

- პროფესიონალ გრაფიკოს-დიზაინერთა მოწვევის საჭიროება: რამდენადაა საჭირო და რა ეტაპზე იქნება ყველაზე ეფექტური გრაფიკოს – დიზაინერის ჩართვა დეტალურ და სქემატურ საპროექტო სამუშაოებში

- ლოგოების, შრიფტის გარნიტურის და სათაურების საგანგებო გამოყენება. მითითებებში მოცემულია ის მახასიათებლები, რომელთა დახმარებით ირკვევა, თუ რამდენად უზრუნველყოფს შემოქმედებითი დამოკიდებულება კომუნიკაციის წერილობითი საშუალების დიზაინთან საზოგადოებისათვის გამოფენის ფიზიკური და ინტელექტუალური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს.

12.3 ტექსტის ჩართვა გამოფენის მზადების პროცესში

პიუ ა.დ. სპენსერი


გამოფენის მომზადების ზოგადი პროცესის ადაპტაციის სქემაზე, რომელიც 12.4 სურათზეა ნარმოდგენილი, ნაჩვენებია საგამოფენო ტექსტის გამოფენაში ჩართვის ეფექტური და შემოქმედებითი მეთოდები.

I სტადია: ტექსტის მოთხოვნების ჩამოყალიბება. შინაარსის კრიტერიუმები და კვლევის გეგმა, რომელთა შემუშავება პროექტის თავდაპირველ საფეხურებზე ხდება, აუცილებლად უნდა შეიცავდეს განმსაზღვრელ მითითებებს და მოთხოვნებს გამოფენაზე საგამოფენო ტექსტისა და აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიური საშუალებების გამოყენების შესახებ. ამ მითითებების საფუძველზე, გამოფენის მოსამზადებელი ჯგუფი გაიგებს, თუ რა სიდიდის და რა ტიპის ტექსტი უნდა მომზადდეს გამოფენისათვის.

- II სტადია: წინასწარი სამუშაო ვერსია: კონცეპტუალური მონახაზი. სქემატური მონახაზის დასრულების დროს, როდესაც განისაზღვრება კვლევა-ძიების მიზნები და კოლექციების წყაროები, უნდა მომზადდეს საგამოფენო ტექსტების პირველი სამუშაო ვარიანტები. ისინი წინასწარი, დამუშავებული და დახვეწილი ფორმით უნდა იყოს დაწერილი და პასუხობდეს პირველი და მეორე დონის ელემენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მოთხოვნებს – ე.ი უნდა დაინეროს მხოლოდ ძირითადი სათაურები (განმსაზღვრელები), ქვე-სათაურები (მნიშვნელოვანი პუნქტები) და სათაურები ექსპონატთა ჯგუფებისათვის. სავარაუდოა, რომ ეს სამუშაო ვერსიები მნიშვნელოვნად შეიცვლება, როდესაც მათ დარგის სპეციალისტები, შესაბამისი დანესებულებებისა და საზოგადოების წარმომადგენლები შეამოწმებენ.

- III სტადია: საგამოფენო ტექსტის პირველი სრული ვერსია და მისი აუდიო-ვიზუალური დამუშავების დასრულება. დეტალური პროექტის ბოლო ეტაპებისათვის უკვე მზად უნდა იყოს საგამოფენო ტექსტის სრული სამუშაო ვერსია, რომელიც ნახაზების მახასიათებლებისა და სპეციფიკაციების შემადგენელი ნაწილი გახდება. ტექსტის გამოფენაში ჩართვამდე, ის კიდევ ერთხელ უნდა შემოწმდეს სპეციალისტებისა და შესაბამისი პირების მიერ, რომლებიც შეიტანენ ყველა საჭირო ცვლილებას. ამ სტადიაზე მზად უნდა იყოს აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიური საშუალებებისათვის საჭირო სცენარები და ტექსტები, რადგან მომდევნო სტადიაზე ისინი გადამღებ ორგანიზაციებს გადაეცემა, აქ კი რაიმეს შეცვლა უკვე გვიან იქნება.

- IV სტადია: საგამოფენო ტექსტის რედაქტირება. ვიდრე საგამოფენო ტექსტებს



სურ. 12.4 გამოფენის მომზადების პროცესი: საგამოფენო ტექსტის ინტეგრაცია

გამოსაცემად გადააგზავნიდნენ, რაც მათი წარმოების ფაზაში ხდებდა, უნდა არსებობდეს ტექსტის საბოლოო ვერსიის ნაბეჭდი ასლი, რომელსაც გაასწოებს კვალიფიციური რედაქტორი და შესაბამისი დარგის სპეციალისტი. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ტექსტის შინაარსი გამართული იყოს როგორც გრამატიკულად, ისე მართლწერის თვალსაზრისით. ამასთან, გადაამოწმონ, რომ ტექსტში მოტანილ ყველა ფაქტს და შესწორებას ნამდვილად ადასტურებს და ეთანხმება კურატორი ან შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

ამ თავის 12.4 ნაწილში, რომელიც მარია პიაჩენტემ მოამზადა, განხილულია მულტიმედიაური პროგრამებისათვის ტექსტის მომზადების საკითხები.

12.4 მულტიმედიის ენა

მარია პიაჩენტე

ამ წიგნის მე-7 თავის მე-4 ნაწილში მითითებული იყო, რომ მუზეუმის თანამშრომელთა ხელთ არსებული კომუნიკაციის საშუალებათაგან, მულტიმედია მხოლოდ ერთ-ერთია, რომელიც ინფორმაციის მიღება-დამუშავებაში ეხმარება დამთვალიერებელს. კოლექციების სამგანზომილებიანი ბუნების გადმოცემისა და მათი კონტექსტუალიზაციის გარდა, მულტიმედიას შეუძლია ცვლილებებისა და დინამიზმის წარმოჩენა, თვისებებისა, რომელთა მოხელთება და გადმოცემა ჩვეულებრივი სტატიკური ექსპოზიციებით ერთობ რთულია.

სხვა ტრადიციულ საგამოფენო ტექნოლოგიებთან შედარებით, მულტიმედია მეტ ინფორმაციას გვანდის, რაც შესაძლოა სერიოზულ გამოწვევად იქცეს კურატორებისა და გამოფენის მომწყობთათვის. ბუნებრივია, რომ სამუზეუმო საქმის პროფესიონალები და ამ საქმის ექსპერტები უფრო მეტად არიან დაინტერესებულები ამ საკითხით, ვიდრე საზოგადოების დიდი უმრავლესობა, თანაც, ყოველთვის ძალიან მიმზიდველი და მაცდუნებელია, იმაზე მეტი უთხრა დამთვალიერებლებს, ვიდრე მათ სურთ. გალერეაში დადგმულ საკომპიუტერო ან ვიდეო კიოსკს, შეუძლია დააკმაყოფილოს იმ დამთვალიერებლის ინფორმაციული მოთხოვნილებები, რომელსაც სურს უფრო დანერჩილებით გამოიკვლიოს ესა თუ ის საკითხი. ამ საშუალებებს ნამდვილად შეუძლია გააღრმავოს დამთვალიერებლის შთაბეჭდილება და ცოდნა გამოფენაზე წარმოდგენილი სხვადასხვა ნივთისა თუ ექსპოზიციის შესახებ. თუმცა, როგორც საგამოფენო ტექსტების რაოდენობისა და მათი მოცულობის საკითხია საკმაოდ რთული, ასევე რთულია მულტიმედიაური პროდუქციის შინაარსის განსაზღვრაც, რომელიც, შესაძლოა, ძალიან გადაიტვირთოს და გართულდეს.

როგორ მყარდება კომუნიკაცია მულტიმედიაურ საშუალებებსა და დამთვალიერებელს შორის? კომუნიკაციის ტრადიციული სამუზეუმო მეთოდები ნივთის ან ექსპოზიციის და თანმხლები ტექსტის გარშემო ტრიალებს. მრავალი ნივთი და სტატიაა დანერჩილი, სადაც უამრავი მითითებაა მოცემული, როგორ უნდა დაინეროს ეფექტური ტექსტი, რომელიც «მისწვდება» დამთვალიერებელს და ფიქრს აღუძრავს მას. მართალია, მულტიმედია ტექსტსაც შეიცავს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ის გამოსახულების, ხმის და ტექსტის კომბინაციაა, რაც ასეთ დინამიზმს ანიჭებს მას – პოტენციურად ღირებულ და სასარგებლო საშუალებას.

აუდიო-ვიზუალური პროდუქცია და კომპიუტერული ინტერაქტიური საშუალებები "ელექტრული მარკერები" არ არის და სწორედ ამიტომ, ისინი ისე არ უნდა დავგვგმოდ, თითქოს გრაფიკული დაფები იყოს. ელექტრონული მედია გამოსახულებაზე დამყარებული

და მისი საშუალებით მონოდებული ინფორმაციის უპირატეს მნიშვნელობას პატივით უნდა მოვეპყროთ. აღდგენილ არქეოლოგიურ ძეგლებზე ვირტუალურ ვიზიტს, შესაძლოა არ ახლდეს რაიმე ტექსტი ან სიტყვები, მაგრამ ძეგლის შესახებ დაფაზე გაკრულ 150-სიტყვიან ტექსტთან შედარებით გაცილებით მეტ ინფორმაციას იძლეოდა.

ტექსტი, რომელიც ეკრანზე გამოჩნდება, ყოველთვის თემას უნდა მიესადაგებოდეს და იყოს მოკლე. თუ ვიდეო-პრეზენტაციას ბევრი სუბტიტრი ახლავს, შესაძლოა დამთვალიერებელს ყურადღება დაეფანტოს, ხოლო კომპიუტერის ეკრანზე დაწერილი სიტყვის წაკითხვა რთული აღმოჩნდეს. დაწერილი ტექსტი ამ მედია პროდუქციის აუდიო და ვიზუალური კომპონენტების დამატება და შემავსებელია.

კომპიუტერულ ინტერაქტიურ პროგრამებში ჩასმული ტექსტი თუ თხრობა, გემოვნებით შედგენილ ბლოკებად უნდა იქნას წარმოდგენილი. თუ რომელიმე კონკრეტულ საკითხზე ბევრია სალაპარაკო, ტექსტი უნდა დანაწილდეს, რაც დამთვალიერებელს ეკრანზე გამოსახულებების შეცვლის საშუალებას მისცემს. ეკრანზე გამოტანილი ტექსტის წაკითხვის, ან აუდიო მასალის მოსმენის და გააზრების გაადვილება ნაახალისებს დამთვალიერებელს, რათა მან უფრო ხანგრძლივად გამოიყენოს ინტერაქტიური პროგრამები.

იგივე ითქმის წრფივ ვიდეო-პროდუქციაზე, სადაც სუბ-ტიტრები აუცილებელია. თუ სუბ-ტიტრები ორ ხაზზე მეტი სიგრძისაა, მოსალოდნელია, რომ მაყურებელის ყურადღება გაიფანტოს და მას გამორჩეს ამბის დედააზრი, რადგან მას მთელი ყურადღება ტექსტზე ექნება გადატანილი, რომ მოასწროს მისი წაკითხვა ახალი ტექსტის გამოჩენამდე. ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ეცადეთ, რომ მთხრობელის მიერ ტექსტის კითხვა და მისი წერილობითი გამოსახულება, ერთდრულად იყოს წარმოდგენილი. მოსმენა უფრო ადვილია, ვიდრე კითხვა, მით უმეტეს, თუ ამის გაკეთება ამ საქმეში გამოუცდელ ადამიანს უწევს. ამბის თხრობა, უშუალო მონაწილის ან პირველი პირის ნაამბობი, დრამატული ჩანარები და ინტერვიუები იმისთვისაა, რომ მეტი ინტერესი შესძინოს მულტიმედიურ პროდუქციას და ნაკლებად ეფუძნებოდეს საკუთრივ ტექსტს.

ქვემოთ, მოკლე განმარტებების სახით, მოცემულია ის საკითხები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია სამუზეუმო გამოფენებში გამოყენებული მულტიმედიური საშუალებებისათვის ტექსტის დასაწერად:

12.4.1 არანრფივი კომპიუტერული ინტერაქტიური საშუალებებისათვის:

- საეკრანო ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას
- მაქსიმალურად გამოიყენეთ მთხრობელი და მისი ხმა
- შექმენით კომპიუტერული პროგრამები სმენადაქვეითებულთათვის
- შექმენით ნათელი და გამოსაყენებლად იოლი დამხმარე სანავიგაციო საშუალებები
- მუდამ გქონდეთ განმარტებითი ლექსიკონი
- კომბინირებულად გამოიყენეთ ვიდეოგამოსახულებები, ანიმაცია, ხმა და უძრავი გამოსახულებები
 - დრამატიზირების მეთოდების, ხმისა და ამბის თხრობის საშუალებით, უზრუნველყავით დინამიზმი
 - გახსოვდეთ, რომ აუდიტორიის ქცევა არანრფივ გარემოში მეტად განსხვავებულია მის მიერ კომპიუტერთან ან ინტერნეტში დახარჯული დროის თვალსაზრისით, რასაც აუ-

დიტორიის წევრთა შორის კომპიუტერულ პროგრამებში სანავიგაციო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განსხვავებაც განაპირობებს

- მულტიმედიის ტექსტურ და თხრობით ნაწილებზე მუშაობისას გაითვალისწინეთ, რომ მათი გაგების სირთულე დაწყებითი განათლების სირთულის დონეს შეესაბამებოდეს, ნუ დაუშვებთ, რომ ისინი საშუალო და უმაღლესი განათლების დონეზე იყოს შესრულებული
- შექმენით პროგრამები მხედველობადაქვეითებულთათვის.

12.4.2 წრფივი ვიდეოპროდუქციისათვის

- ორ ხაზამდე შეამცირეთ სუბ-ტიტრების ტექსტი თითოეული სცენისთვის
- ყოველთვის თარგმნეთ ინტერვიუები და დაურთეთ შესაბამისი ტანსკრიბციები მშობლიურ ენაზე
 - წერილობით ტექსტთან შედარებით, ყოველთვის უპირატესობა მიანიჭეთ გამოსახულებასა და ხმას (თხრობის ჩათვლით)
 - დრამატიზირების მეთოდების, ხმისა და ამბის თხრობის საშუალებით, უზრუნველყავით დინამიზმი
 - თუ წერილობითი ტექსტი და თხრობა ფართო საზოგადოებისათვისაა განკუთვნილი, ისინი ისე დაწერეთ, რომ გასაგები იყოს საშუალო განათლების არმქონე ადამიანებისათვისაც
 - შექმენით პროგრამები სმენადაქვეითებული და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისათვის

გამოფენის დიზაინერის როლი

ივ მეირენდი

ფულის მსგავსად, დიზაინი ჩინებული მსახური, მაგრამ ულმობელი ბატონია. თუმცა უეჭველია, რომ იგი შემოქმედებითი დისციპლინაა, გამოფენის დიზაინი მისი მონყობის ყოვლისმომცველი პროცესია, მისი საბოლოო სტადიაა. როდესაც სამუშაოთა განრიგით ჯერი დიზაინზე მიდგება და ის უმთავრესი ხდება, ამ საკითხში ნებისმიერი წარუმატებლობა საბოლოოდ დამთვალეიერებელზე კარგი შთაბეჭდილების დატოვების, მისთვის ახლის მიცემის და მისი დაკმაყოფილების წარუმატებელ მცდელობად იქვევა.

ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ კარგი დიზაინი უსუსური ან მოსაწყენი უნდა იყოს – სწორედ რომ პირიქით. ეს უბრალოდ, რელატიურობის, შესაბამისობის საკითხია. საგამოფენო გარემო და გამოფენის დიზაინი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი კონტექსტის შექმნაში, რომელიც დამთვალეიერებელამდე მიიტანს პროდუქციას – იმდენად, რამდენადაც დიზაინი ემორჩილება და პასუხობს მუზეუმის ემოციურ და საკომუნიკაციო განზრახვებს და მიზნებს. ეს წესი ყველა გამოფენისათვის ერთნაირია, იქნება ეს ნატიფი სამხატვრო გამოფენა თუ ველური “ბნელი რბოლა.”

გამოფენაზე მისვლა შთაბეჭდილებაა. ეს მოგზაურობაა. უამრავი ადგილია, სადაც ნასვლა ღირს, უამრავია ისეთი შთაბეჭდილება, რომლის განცდა და მიღება ღირს და რატომ უნდა ამოვირჩიოთ საგამოფენო დარბაზი? ესეც არ იყოს, რატომ სწორედ ეს დარბაზი და არა სხვა? პასუხი ერთია – მისი შინაარსის გამო. სულერთია, რა არის წარმოდგენილი – ნივთები, განათლების ესა თუ ის სფერო, თუ რომელიმე ამბავი, ნებისმიერი გამოფენის მთავარი მამოძრავებელი მისი შინაარსია. მაშასადამე, გამოფენის დიზაინერის მოვალეობაა ხაზი გაუსვას გამოფენის შინაარსს, გააძლიეროს იგი, მაგრამ არ გადატვირთოს, შექმნას გარემო და სცენა მის წარმოსადგენად.

შინაარსის გადმოსაცემად აუცილებელია, რომ გამოფენა, როგორც კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა საშუალება, დაიგეგმოს და დაპროექტდეს ისე, რომ მუდამ გვახსოვდეს კომუნიკაციის ადრესატი – დამთვალეიერებელი. წინამდებარე თავში განხილულია გამოფენის დიზაინერის როლი, რომელიც მუზეუმში მოსული დამთვალეიერებლისთვის გამოფენის შინაარსის ეფექტურად წარმოსადგენად თანამშრომლობს კურატორებთან, კონსერვატორებთან, ინტერპრეტატორებთან, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგენლებთან და სამუზეუმო საქმის სხვა პროფესიონალებთან.

13.1 სამუზეუმო გამოფენის ეფექტური დიზაინის პრიტარირეზები

მომქანცველი დეტალური აღწერის გარეშე, კომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშუალებებისათვის თვალის გადავლება და გვეხმარება, რომ დავინახოთ, რა განსაკუთრებულობა და უნიკალურობა ახასიათებს სამუზეუმო გამოფენებს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას. ამ კომუნიკაციის საშუალებათა უმრავლესობა ემოციებს აღგვიძრავს, მიმზიდველ და მომხიბლავ შთაბეჭდილებებს გვიქმნის. მრავალი მათგანი სოციალურია – მაგ. თეატრი,

მუსიკა, ცეკვა და ცირკი. სხვები უფრო ინდივიდუალურ შთაბეჭდილებებზეა გათვლილი, მაგალითად, როგორცაა ტელევიზია, კითხვა და გარკვეულწილად – კინოც.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან უმრავლეს შემთხვევებში აუდიტორია სცენის, მოქმედების მიღმაა, იქნება ეს სამგანზომილებიანი საშუალებების ნაკრები თეატრალური წარმოდგენის დროს, თუ ორგანზომილებიანი საშუალებები კინოეკრანზე. ფიცარნაგი სცენა, მოდების საჩვენებელი პოდიუმი და თეატრები, მუდამ ცდილობენ დასძლიონ ეს გათიშულობა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლიათ მიზნის მიღწევა. ამ მხრივ მხოლოდ ცირკი თუ ჩაითვლება ერთ-ერთ იშვიათ შთაბეჭდილებად, რომელიც მაყურებლის გრძნობებს საკომუნიკაციო საშუალებისათვის განკუთვნილ სივრცეში აქცევს, თუმცა ამ შემთხვევაშიც დისტანცია ცირკის არენაზე მიმდინარე მოქმედებებსა და მაყურებელს შორის მაინც გადაულახავია.

ეს სწორედ ის სფეროა, რომელსაც გამოფენის დიზაინის ძალა ეფუძნება. კარგი გამოფენა შლის ამ უხილავ საზღვარს მაყურებელსა და საკომუნიკაციო საშუალებას შორის – იგი დამთვალეირებლისა და გამოფენის შინაარსის დამაკავშირებლად გადაიქცევა. ამის მისაღწევად აუცილებელია ზოგადი მიდგომის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა დამყარდეს კავშირი დამთვალეირებელსა და წარმოდგენილ კოლექციას, ან განათლების რომელიმე სფეროს, ან ამბავს შორის. მხოლოდ ნათელი საკომუნიკაციო მიდგომისა და დამთვალეირებელზე შთაბეჭდილების მოხდენის მძლავრი სტრატეგიის მეშვეობით შევძლებთ ღირებული გამოფენების მოწყობას. სამუზეუმო გამოფენა ყველა დამთვალეირებელს უნდა გაესაუბროს, ჩასწავდეს მის გონებასა და გულს. ამდენად, მთავარია ისეთი ხედვის ჩამოყალიბება, რომლის საშუალებითაც ეს კავშირი დამყარდება.

რა არის ის, რასაც მუზეუმში დამთვალეირებელს სთავაზობს? მარტივად რომ ვთქვათ, ორი ძირითადი რამ:

- კოლექციები (ექსპონატები ან არქივები)
- ცოდნა (ფაქტები ან ამბები)

ამ ორი ელემენტის სწორი შერწყმის საფუძველზე ჩნდება აზრი და გამოფენის მნიშვნელობის გაგება. თუ ეს ვერ მოხერხდა, უმდიდრესი კოლექციაც და მსოფლიოში არსებული მთელი ცოდნაც კი, უაზრო ხდება, განსაკუთრებით ჩვეულებრივი დამთვალეირებლისთვის.

თუ გვჯერა, რომ ყველა დამთვალეირებელი, მათი განათლების ან საცხოვრებელი პირობების მიუხედავად, გონიერი და მგრძნობიარე არსებაა, მაშინ გამოფენის აზრი და მნიშვნელობა მარტოდენ შედეგი როდია, რაც გამოფენის დიზაინის შემუშავების დროს სანყისი წერტილი უნდა გახდეს ჩვენთვის. თუ ვინმეს არაფერი აინტერესებს და აღელვებს, შეუძლია განაცხადოს, რომ მისთვის ეს არაფერს ნიშნავს. თუ გვსურს, დამთვალეირებელი ნამდვილად დავაინტერესოთ გამოფენის შინაარსით და წარმოდგენილი მასალით, თუ გვსურს, რომ მას აღელვებდეს ის, რასაც წარუედგენთ, მაშინ აუცილებელია, რომ ცოდნა და კოლექციები გავაერთიანოთ ისე, რომ გამოფენა ფასეული გახდეს და მნიშვნელობა შეიძინოს დამთვალეირებელთათვის.

ზოგჯერ ამბობენ, რომ მუზეუმის ექსპონატებს “ლაპარაკის საშუალება უნდა მივცეთ.” მართლაც, გამოფენის დიზაინერისათვის უმნიშვნელოვანესია, სრული პატივი მიაგოს იმ მხატვრის შრომას, ვისი ნამუშევრებიც წარმოდგენილია სამხატვრო გამოფენაზე და ასეთივე პატივით მოეკიდოს საისტორიო გამოფენებზე წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ან


არქეოლოგიური არტეფაქტების შემოქმედთა თავდაპირველ განზრახვასა და მიზანს. მაგრამ ხშირად პრობლემა ისაა, რომ ნივთები ყოველთვის როდი ლაპარაკობენ საკუთარ თავზე, თუ რა თქმა უნდა, საქმე არ გვაქვს "ჭემმარიტ მცოდნეთა ელიტის" ნევრთან, რომელმაც იცის ნივთების ინტერპრეტაცია. ასეთ დროსაც კი, ექსპერტის ცოდნა შესაძლოა სრულიად აბსტრაქტული და იზოლირებული გამოდგეს იმ სპეციალური დისციპლინისათვის და ვერ დაუკავშირდეს უფრო ვრცელ და ყოვლისმომცველ რეალობას. კვლავ რჩება დამთვალუ-ერებელთა დიდ უმრავლესობასთან კავშირის დამყარების აუცილებლობა, რომლის საშუ-ალეობითაც ისინი ერთმანეთს დაუკავშირებენ გამოფენის შინაარსსა და თავიანთ ცხოვრებას. აღიარებული განსაზღვრების თანახმად, კავშირი ხომ ორს შორის არსებული საზღვარი ან საერთო სფეროა. ჩვენს შემთხვევაში კი ეს ორი – დამთვალეირებული და გამოფენის ში-ნაარსია (იხ. სურ. 13.1).

რა არის ეფექტური კავშირი სამუზეუმო გამოფენის შემთხვევაში? გამომთვლელი ტექნიკის ენას რომ დავესესხოთ, "ნარმატებული კავშირის" კრიტერიუმი ასე განისაზ-ღვრება:

გასაგები პირობითობები: კავშირში არაფერია რეალური. თეატრში, მაგ. კარგად ვიცით, რომ ჩვენს მიერ ნანახი წმინდა ფიქციაა, მაგრამ სცენის, სხვადასხვა საშუალებებისა და მსახიობების პირობითობა ჩვენთვის მაიც მისაღებია. მეორეს მხრივ, თუ კავშირის პირო-ბითობები ზომაზე მეტად გართულდა, ან ძალზე დაიხვეწა, ან მუდმივად ცვალებადი გახდა – როგორც ზოგიერთი საკომპიუტერო პროგრამები, – ცოტა თუ შეძლებს მიჰყვეს მათ და ამ შემთხვევაში, კავშირი ირღვევა.

მომხმარებელზე გათვლილი: ეფექტური კავშირი ინტუიციური და მარტივი უნდა იყოს

გამჭვირვალე: კავშირის დამყარება იოლი უნდა იყოს და არ ითხოვდეს დიდ ძალისხმე-ვას, იგი შთაბეჭდილებას უნდა შეერწყას და მასში უნდა გაქრეს.



სურ 13.1 კავშირი მუზეუმსა და დამთვალეირებულს შორის

კრიტერიუმი	კოლექციები	ცოდნა
გასაგები პირობითობები	ნათლად უნდა იყოს გამიჯნული საკუთრივ არტეფაქტი და თანამდევ რეკვიზიტები. აზრის უკეთ გადმოცემაში შესაძლოა დაგვეხმაროს კონტექსტური გაფორმება. მაგრამ კოლექციის აუთენტურობა არასდროს არ უნდა იქნეს აღრეული "ყალბ" კონტექსტთან. ფრაგმენტი მონმეა და საბუთია, რომელსაც თავისი ღირებულება გააჩნია. კონტექსტი, მხოლოდ მნიშვნელობის გადმოსაცემადაა შექმნილი.	ვინ მიმართავს დამთვალეირებელს? ვინ არის შუამავალი? ამ მნიშვნელოვან საკითხებს იშვიათად განიხილავენ. ყოველი დაბეჭდილი ტექსტი, აუდიო ჩანაწერი თუ ვიდეო მასალა ნათლად უნდა ეუბნებოდეს დამთვალეირებელს, თუ ვინ ლაპარაკობს: კურატორი, შთამომავალი თუ წინაპარი/ (გახსოვდეთ, რომ კინოში ჩვენ ყოველთვის ვიცით, თუ ვინ რას ლაპარაკობს, თუნდაც ეკრანზე არ ჩანდეს)
მომხმარებელზე გათვლილი	მართალია, კონსერვაციის პირობები მუდამ უნდა იყოს დაცული და ამის გადასინჯვა დაუშვებელია, მაგრამ კოლექციის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა მუდამ უნდა გვახსოვდეს. ამ თვალსაზრისით, ნივთის ადვილად დანახვის უზრუნველყოფა, განათება და ერგონომიკა, მძლავრი საშუალებებია.	ნებისმიერი მედია საშუალების ტექსტი გულდასმით და ყურადღებით უნდა დაინეროს და უშუალოდ გათვლილი უნდა იყოს დამთვალეირებელზე, ყველა ასაკობრივ ჯგუფზე. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაძლოა დაინეროს განსხვავებული ტექსტი
გამჭვირვალე	ყველა შემთხვევაში, კოლექცია გამოფენის მეფუა! ნებისმიერი კონტექსტური ელემენტი მხოლოდ უნდა აძლიერებდეს არტეფაქტის მიზიდულობის ძალას და არა პირიქით. როდესაც დამთვალეირებელი გაიაზრებს გამოფენის კონტექსტს, კონტექსტური ელემენტები, ჩრდილში უნდა მოექცეს და გამოფენილ ექსპონატებს და არქივს დაუთმოს სარბიელი, რათა მათ ალუქრან ემოციები დამთვალეირებელს.	ნებისმიერი ფაქტი თუ ამბავი, მაქსიმალურად უნდა დაუკავშირდეს არტეფაქტს და მისი შემწეობით - რეალობას. ამ თვალსაზრისით ცოდნა ასევე გარკვეულ კონტექსტში აქცევს არტეფაქტს. არტეფაქტები არასდროს არ უნდა გამოვიყენოთ ტექსტის ან ამბის უბრალო ილუსტრაციად და დანართად.
მიმზიდველი	ექსპონატები ისე უნდა იყოს წარმოდგენილი და გარკვეულ კონტექსტში მოქცეული, რომ დამთვალეირებელში ერთგვარი მოულოდნელობის ეფექტი გამოიწვიოს. ამას ზოგჯერ "ვაუ" ეფექტს უწოდებენ. მოულოდნელობა და ერთგვარი დესტაბილიზაცია, აღვიძებს დამთვალეირებლის ინტერესს და ისეთ შეკითხვებს ბადებს მასში, როგორიცაა: "ეს რა არის?" "ეს რატომ არის?"	მიმზიდველი და მომზიბლავი კომუნიკაცია, ყოველთვის კონკრეტული მოსაუბრისაგან უნდა მოდიოდეს. უმჯობესია, ეს რეალურმა ადამიანებმა გააკეთონ: კარგ ექსკურსიამძღოლს ვერაფერი შეცვლის.

13.2 სივრცის დიზაინი სამუზეუმო გამოფენისთვის

• მიზიდველი: კავშირმა წინაღობა არ უნდა წარმოქმნას, არამედ შინაარსს უნდა დაუახლოვოს დამთვალეირებელი და პირიქით, შინაარსი მიიტანოს დამთვალეირებლამდე.

და ბოლოს, კავშირი თავიდან ბოლომდე ერთიანი უნდა იყოს. მართალია, შთაბეჭდილებები განსხვავებული უნდა იყოს, მაგრამ კავშირი და პირობითობები უწყვეტად უნდა ქმნიდეს სრულიად ღია და მეგობრულ ატმოსფეროს. გამოფენის შინაარსი, მის მიერ შექმნილი შთაბეჭდილება და გაჩენილი ემოციები, შეიძლება დიდად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაგრამ კავშირი მუდამ უცვლელი რჩება, ისე, რომ დამთვალეირებლებს არ უნდა დასჭირდეთ მისი ხელახალი აღმოჩენა და შესწავლა ერთი საგამოფენო დარბაზიდან მეორეში გადასვლის დროს. ასე თუ შეეხედავთ, კავშირი ნელ-ნელა უჩინარდება და ქრება. ანუ როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ – “ars est cerare artem” – “ხელოვნებამ უნდა დამალოს ხელოვნება”.

13.1 ცხრილში ნაჩვენებია, თუ როგორ აისახება ზემოთ მოტანილი კრიტერიუმები იმ კონკრეტულ მიდგომებში, რომელთა საშუალებითაც უნდა განვიხილოთ გამოფენაზე წარმოდგენილი კოლექციები და ცოდნა.

13.2 სივრცის დიზაინი სამუზეუმო გამოფენისთვის

წინა თავში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ სამუზეუმო გამოფენის უნიკალური მახასიათებელი და თვისება ისაა, რომ დამთვალეირებლები უშუალოდ ესწრებიან მას. მიუხედავად იმისა, სტატიკური გამოფენაა, როგორც მაგ. ტრადიციული სამხატვრო გამოფენების შემთხვევაში, თუ ტექნიკის უკანასკნელი შესაძლებლობებით აღჭურვილი სამეცნიერო ცენტრის მიერ მოწყობილი თემატური გამოფენა, მაყურებლებმა, რომლებსაც მუზეუმის შემთხვევაში დამთვალეირებლები ჰქვიათ, აუცილებლად უნდა გაიარონ საგამოფენო სივრცე. ამდენად, ისინი მედიუმის შიგნით არიან მოქცეულები და მისი ნაწილი ხდებიან. რეალურად, სწორედ მათი ყოფნა განსაზღვრავს და ცვლის გამოფენის გარემოს. დამთვალეირებლები, ხშირად გაუთვითცნობიერებლად, საგამოფენო მედიუმში მონაწილეობენ.

ეჭვგარეშეა, რომ ამ სივრცეების ხარისხს შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს დამთვალეირებელზე. შესაძლოა, საგამოფენო გარემო არქიტექტურული იყოს, როგორც არის კიდეც ხელოვნების მრავალ გალერეაში, ან მთლიანად გამოფენის სუბიექტს წარმოადგენდეს, როგორც მაგ. ეპოქის ოთახებშია ხოლმე; ის შეიძლება სიმბოლურიც იყოს, ან მთლიანად მულტიმედიური და ვირტუალურიც კი. მაგრამ, მიუხედავად გამოფენის ხარისხისა, საგამოფენო სივრცე სრულიად განსაკუთრებულად განსაზღვრავს დამთვალეირებლის შთაბეჭდილებას. ამის ნათელი მაგალითია, მაგალითად, მაღალი და ნათელი ქერი, რომელიც გახსნილობის, დიდსულოვნებისა და კეთილშობილების ატმოსფეროს ქმნის, ხოლო დაბალმა და ჩაბნელებულმა ქერმა, შესაძლოა დათრგუნოს დამთვალეირებელი. ვაშინგტონის პოლოკოსტის მემორიალი დამთვალეირებლისათვის გამოფენის შინაარსის მძაფრად გადმოსაცემად არქიტექტურისა და გამოფენის ერთობლივი მუშაობის შესანიშნავი მაგალითია.

საგამოფენო სივრცე გამოფენის მარშრუტსაც განსაზღვრავს. ვრცელი და ერთმანეთთან დაკავშირებული საგამოფენო გალერეების პირობებში, დამთვალეირებლებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ. თუმცა, ასეთმა შთაბეჭდილებამ შესაძლოა ერთგვარად დააბნიოს და იმედი გაუცრუოს იმ დამთვალეირებელს, რომელიც წინასწარ მოწყობილი და ორგანიზებული ვიზიტისთვის ემზადებოდა. ნრფივად

განლაგებული და განსაზღვრული წესით მოწყობილი მარშრუტის უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელია მსჯელობისა თუ ამბის გაჭიანურებულად გადმოცემა, როგორცაა მაგალითად, რაიმე ისტორია თავისი დასაწყისით, განვითარების ხაზით და დასასრულით და რომელსაც სწორედ ამ თანამიმდევრობით შეიმეცნებს დამთვალიერებელი. მაგრამ ასეთი მიდგომის უარყოფითი მხარეა დამთვალიერებელთა მოზღვავების დროს შესაძლო საცობების გაჩენა, რასაც მათი გაღიზიანება და იმედგაცრუება მოჰყვება ხოლმე.

ამდენად, სივრცე მძლავრი, თუმცა მაინც მოქნილი მედიუმი, რომელიც გამოფენის შინაარსისაგან დამოუკიდებლად აყალიბებს დამთვალიერებლის შთაბეჭდილებას. არქიტექტურაში ადგილის შერჩევას გადამწყვეტი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს – ადგილმდებარეობის დამახასიათებელი ნიშნები, მასთან მისასვლელი გზები, განლაგება მზესთან მიმართებით და ხედები, მრავალთა შორის მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ადგილის შერჩევის დროს. სწორედ ასევე, სივრცის შერჩევა უნმიშვნელოვანესია გამოფენისათვის. ძალიან ხშირად, გამოფენებზე ცდილობენ ესა თუ ის კოლექცია თუ თემა სრულიად შეუსაბამო სივრცეში წარმოადგინონ – საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიწისქვეშა ბუნკერებში წარმოდგენიდან დაწყებული გრძნობააღმძვრელი ფოტოების სავაჭრო ცენტრებში გამოფენით დამთავრებული. სივრცე მძლავრი იარაღია. თუ მას კარგად და სწორად გამოვიყენებთ, ის სასწაულებს ახდენს, მაგრამ თუ ის უგულვებელყოფილია, ეს შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს.

სამუზეუმო გამოფენის სივრცე მოძრაობაზე უნდა იყოს გათვლილი. საგამოფენო დარბაზში მოსული დამთვალიერებლები მოძრაობენ. აქ მუდმივი მოძრაობა და პერსპექტივების ცვლაა, მოძრაობის გრძნობადი აღქმაა, რაც უნიკალურ დამოკიდებულებას ქმნის საგამოფენო გარემოსთან. ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ხედების და პერსპექტივების შესწავლას, რომელსაც გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებელს შესთავაზებენ და ამ მიზნით, შესაძლოა სამგანზომილებიანი მოდელების შექმნაც. აუცილებელია თუ არა, რომ დამთვალიერებელს გალერეაში შესვლისთანვე შეეუქმნათ ზოგადი წარმოდგენა გამოფენის შესახებ, თუ მან გზადაგზა უნდა აღმოაჩინოს მისთვის მომზადებული სიურპრიზები სივრცეში გადაადგილებასთან ერთად? თუმცა დამთვალიერებელი თვითონ წყვეტს, რა სისწრაფით დაათვალიეროს გამოფენა, დიზაინერს შეუძლია თავისი რიტმი დაამკვიდროს გამოფენის მარშრუტზე, სხვადასხვა აქცენტების დასმისა და ეფექტების შესაქმნელად, რომელთაგან ზოგი ძალზე ნატიფი და ძნელად შესამჩნევია, ზოგი დრამატულია.

გამოფენაზე დამთვალიერებლების მოძრაობა-გადაადგილების გარდა, ასევე შეიძლება მოძრაობდნენ ისეთი კომპონენტები, როგორცაა ნივთები, გამოსახულებები და ხმოვანი ეფექტები, რაც ზრდის დინამიურობას და პერსპექტივების ცვლის სიხშირეს. მაგ. მონრეალის არქეოლოგიური მუზეუმის თეატრალურ საორიენტაციო პრეზენტაციაზე, ეკრანი ჭერიდან ეშვება ან კედლიდან გამოდის ისე, რომ მათზე გამოჩენილი სურათები მოულოდნელია დამთვალიერებლისათვის.

გამოფენის დიზაინი რთული დისციპლინაა, სადაც გაერთიანებულია დიზაინის სულ მცირე ოთხი კლასიკური დისციპლინა. კერძოდ:

- ინტერიერის დიზაინი: ეს დისციპლინა განიხილავს იმ სივრცეს, სადაც გამოფენა იმართება. ფერის და განათების საკითხების გათვალისწინებით და გალერეებში ნივთების განაწილების საკითხის ჩათვლით, იგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამხატვრო გამოფენების დიზაინის დროს და მნიშვნელოვანია ნებისმიერი სამუზეუმო გამოფენისთვის

- ინდუსტრიული დიზაინი – ხშირად მას უბრალოდ, სამგანზომილებიან დიზაინსაც უწოდებენ. ეს დისციპლინა უმთავრესად საგამოფენო კომპონენტების დიზაინზეა ორიენტირებული, იქნება ეს თემატური გალერეის, საბავშვო მუზეუმის ან სამეცნიერო ცენტრის საგამოფენო ვიტრინები, პანელები, პოსტამენტები და პედესტალები თუ აუდიო-ვიზუალური ან ინტერაქტიური საშუალებებით აღჭურვილი მექანიკური ან ელექტრონული ექსპონატები. დღეს, ეს კომპონენტები შესაძლოა შეიცავდეს ისეთ საშუალებებს, როგორცაა მულტიმედიის კიოსკები, ვიდეოკედლები, კვადრასკოპები, "ბნელი რბოლები", სიმულატორებით აღჭურვილი კაბინები, "peper's ghost" ("საშინელ მოჩვენებათა") გამოსახულებები, ვირტუალური გამოქვაბულები და მრავალი სხვა კომპონენტი, რომლის საზღვრები მხოლოდ დიზაინერის ფანტაზიის უნარზეა დამოკიდებული და რომელიც გამოფენის შინაარსს და სავარაუდო დამთვალიერებლისთვის გარკვეული შთაბეჭდილების შექმნის მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

- გრაფიკული დიზაინი: ეს დისციპლინა ძირითადად ტექსტისა და ორგანზომილებიანი გამოსახულებების დიზაინზეა ორიენტირებული, რომლებიც შესაძლოა გრაფიკულ პანელებზე, ნიშნულებზე, აუდიო-ვიზუალურ ან კომპიუტერის ეკრანებზე იყოს მოთავსებული. გრაფიკული დიზაინის ერგონომიკა გადამწყვეტია, რათა დამთვალიერებელმა მაქსიმალურად ისიამოვნოს გამოფენით (იხ. თავი 12).

- განათების დიზაინი: ამ დისციპლინის სფეროში შემოდის როგორც ზოგადად საგამოფენო დარბაზების განათება და კონკრეტული ექსპონატების ილუმინაცია, ასევე გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალი პროექტირებული, უკანა განათების, თუ ვიდეოეკრანზე წარმოდგენილი გამოსახულების უზრუნველყოფა (იხ. ნაწ. 7.2 და თავი 15). ამ სფეროს წარმომადგენელს შესაძლოა დაევალოს პროგრამების შედგენა კომპიუტერიზირებული განათების მოსაწყობად, გამოფენაზე წარმოდგენილი თემის ან საგნის თეატრალიზებული წარმოდგენისთვის, ან სხვა შოუსთვის.

მხოლოდ ამ დისციპლინებმა როდი უნდა იმუშავონ ერთობლივად. როგორც 13.3 ნაწილშია ნათქვამი, მათი წარმატებული ურთიერთმერწყმისთვის, რაც აუცილებელია ეფექტური გამოფენის მოსაწყობად, დიზაინის ოთხივე დისციპლინას გამოფენის მთავარმა დიზაინერმა უნდა უხელმძღვანელოს და დააკმაყოფილოს მუზეუმში მოსული დამთვალიერებლის ინტერესთა და შეგრძნებათა მთელი სპექტრი.

13.3 გამოფენების დიზაინი შეგრძნებათა მთელი სპექტრისთვის

როგორც ცნობილია, ადამიანს რამდენიმე შეგრძნება აქვს. განურჩევლად ჩვენი საქმიანობისა და სამყოფელისა, ჩვენ მუდამ ვიყენებთ შეგრძნებებს. ამ ცნობილი ფაქტის მიუხედავად, გამოფენათა დიდი უმრავლესობა მხოლოდ მხედველობას იყენებს და ცდილობს, რომ დამთვალიერებელმა ნახოს გამოფენა და წაიკითხოს ტექსტი. მაშინ, როცა გამოფენის სივრცობრივ მახასიათებლებს ხშირად ცუდად იყენებენ, მათი მულტი-სენსორული ასპექტები უბრალოდ, უგულვებელყოფილია.

მაგალითისათვის, გალერეების აკუსტიკური მახასიათებლები ხშირად არასახარბიელოა. ასეთ ვითარებაში, ხმოვანი ჩანაწერების გამოყენება კაკაფონიას ქმნის და წარმოქმნილი ვითარება მთლიანად უკარგავს აზრს კომუნიკაციის ამ საშუალებას. მაშინაც კი, როდესაც აუდიო პროგრამა გამოერთულია, თვით დამთვალიერებლებიც ქმნიან ხმაურს, თუნდაც უმ-

ნიშნელოს. როგორც მხედველობა, სმენაც აღქმის ნებისმიერი სხვა ორგანოს მსგავსად, გარემომცველი ხმაურის დონეს ეწყობა. ამდენად, დიზაინერებმა დიდი სიფრთხილით და ყურადღებით უნდა შეარჩიონ საბოლოო მოსაპირკეთებელი მასალები და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ყველა დიდი გამოფენის დიზაინის ჯგუფის წევრი უნდა იყოს აკუსტიკის სპეციალისტი.

შუქი სამ მთავარ მოვალეობას ასრულებს:

- ფუნქციური თვალთახედვით, შუქის დახმარებით დამთვალეირებელი ხედავს საგამოფენო სივრცეს და გამოფენილ ექსპონატებს, კითხულობს საგამოფენო ტექსტს
- ესთეტიკური თვალთახედვით, შუქი ფერებით ამკობს და კონტრასტის მეტ-ნაკლებობის ბალანსის გზით ამეტიყველებს ყველაფერს, რაც სანახავადაა გამოგონილი
- დრამატული თვალთახედვით, შუქს შეუძლია მთლიანად შეცვალოს გარემო.

მოდით, სხვადასხვა გამოფენის განათების ხარისხი (ან მისი დაბალი ხარისხი, ან უხარისხობა) შევადაროთ განათებას თეატრში, გავაცნობიეროთ ამ საშუალების უდიდესი შესაძლებლობები და მისი დამოკიდებულება სივრცესთან. განათების დიზაინერი გულისყურით უნდა მოეკიდოს შუქს და იგი აუცილებლად უნდა იყოს ყველა დიდი გამოფენის დიზაინის ჯგუფის წევრი.

რაც შეეხება შეხებას, ყველასათვის ცნობილია, რომ დამთვალეირებლს კონსერვაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკრძალება ხელოვნების ნიმუშებთან, არტეფაქტებთან ან სხვა ნიმუშებთან შეხება. ეს არ ნიშნავს, რომ დამთვალეირებელი ვერ გრძნობს იატაკის როგორ ზედაპირზე დგას იგი (მაგარზე თუ რბილზე), ან რამდენად კომფორტულია გალერეებში მდგარი სკამები. ამავე დროს, ინტერაქტიური ექსპონატების წყალობით, შეხების თემა უკვე საკმაოდ საფუძვლიანად დამკვიდრდა გამოფენის დიზაინერის პასუხისმგებლობის სფეროთა ნუსხაში, იქნება ეს სენსორული ეკრანები, კლავიატურა თუ საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული აღმოჩენათა სკივრის კოლექციები, სადაც ნივთების ტექსტურას შესაძლოა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს და მათი გამოკვლევა ყოველმხრივ იყოს ნახალისებული.

შეგრძნებათაგან სამუზეუმო გამოფენებზე ყველაზე უფრო უგულვებლყოფილია სუნი. ამავედროულად, ყველამ კარგად ვიცით, რომ იგი მოგონებათა აღძვრის უმძლავრესი საშუალებაა. ყველა დანარჩენი შეგრძნების მსგავსად, მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა სუნმა გაამდიდროს მაყურებლის შთაბეჭდილება და გაამძაფროს მისი ყურადღება ამა თუ იმ ექსპონატისადმი. გამოფენა "იორვიკი იორკში" რომელიც დიდ ბრიტანეთში მოეწყო, აქამდე ცნობილ შემთხვევათაგან სუნის გამოყენების საუკეთესო მაგალითია, სადაც აღდგენილია X საუკუნის ვიკინგური სოფლისათვის დამახასიათებელი არომატები, რაც დამთვალეირებლების მიერ ადგილისა და დროის მთელი სიღრმით შემეცნებას ემსახურება.

13.4 გამოფენის დიზაინის შემუშავების პროცესი

თუ გავითვალისწინებთ იმ ზემოქმედებებს, რომელსაც გამოფენის ყველა კომპონენტი ახდენს დამთვალეირებელზე და რომელიც მონაწილეობს მისი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში, სრულიად ნათელია, რომ ხარისხიანი გამოფენის დიზაინის შემუშავება, მისი მომზადება და მზა პროდუქციის სახით წარმოდგენა საკმაოდ რთული საქმეა. იმის მიუხედავად, მრავალი ექსპონატია გამოფენილი თუ ერთი, რთულია თუ მარტივი, ნე-

ბისმიერ შემთხვევაში, შერჩეულ მედიას ერთი მიმართულება აქვს – შინაარსი მიიტანოს დამთვალეირებლამდე და მაქსიმალურად გააძლიეროს მის მიერ მიღებული შთაბეჭდილება. გამოფენის მნიშვნელობის მიუხედავად, იგი მაშინაა წარმატებული, როდესაც მიღწეულია ჰარმონია სხვადასხვა მედიას შორის.

ამ მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევა, მუდმივი მზადყოფნა და დისციპლინაა საჭირო. სისტემური მეთოდი მართლაც რომ შეუცვლელია. ხშირად ისეც ხდება, რომ პროექტის მომზადების დროს ერთგვარი ქაოსია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ყურადღება წამდაუნუმ ხან კოლექციაზეა გადატანილი, ხან კი გამოხატვის საშუალებებზე და პირიქით, ბოლოს კი ისევ პროექტის მიზნებზე. საკუთრივ გამოფენა ხომ მუდამ მისი შექმნის პროცესის საბოლოო შედეგია. არათანამიმდევრული და ხშირად ცვლადი პროცესი ანაწევრებს გამოფენას. უნესრიგო მიდგომას გაურკვეველ და უაზრო გამოფენამდე მივყავართ. თუ გამოფენის მართვის ჯგუფის სტილი ბიუროკრატიულია, მაშინ გალერეა ერთფეროვანი, უგემოვნო და უინტერესო გამოვა. ზოგადად, გამოფენის დიზაინის შემუშავებაში ხუთ ფაზას გამოყოფენ და თითოეულს, სულ ცოტა, ორი დასახელება აქვს. აი, ეს ფაზები:

- *დიზაინის ბრიფი ანუ ინტერპრეტაციის გეგმა:* როგორც უკვე ვთქვით მე-11 თავში, ეს დოკუმენტი დიზაინერს აწვდის გამოფენის შინაარსს, იგი აგრეთვე უნდა შეიცავდეს იმ შთაბეჭდილების შეფასებას, რომელიც გვსურს, რომ გამოფენამ შეუქმნას დამთვალეირებელს. ამასთან, აქ მითითებული უნდა იყოს საგამოფენო გალერეის ზომები და მისგან გამომდინარე შეზღუდვები, საგამოფენო ბიუჯეტი, ექსპონატების სახით გამოტანილი ატრეფაქტების, ხელოვნების ნიმუშებისა და ეგზემპლარების სია, მთლიანად გამოფენისა და მისი თითოეული კომპონენტის ძირითადი თემები და მიზნები და თითოეული კომპონენტის გამოხატვის საშუალებები. ბრიფის უკეთესი ილუსტრაციისათვის კი შესაძლოა კონცეფციის დეტალების გამოყენებაც.

- *კონცეპტუალური დიზაინი ან დიზაინის კონცეფცია:* დიზაინერი პასუხობს ბრიფის ან გეგმის მოთხოვნებს და ადგენს შესაბამის ნახაზებს, სადაც წარმოდგენილია გამოფენის სავარაუდო ვიზუალური სახე. ამ ეტაპზე ყურადღება საბოლოო შედეგზეა გამახვილებული, ანუ იმაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება შეექმნება დამთვალეირებელს. კონცეპტუალურ ჩანახატებს (იხ. სურ.13.3) აუცილებლად უნდა ერთვოდეს გენერალური გეგმა, სადაც გალერეის თითოეული კომპონენტის განლაგებაა ნაჩვენები. გრაფიკასთან დაკავშირებული მითითებები უნდა შეიცავდეს წინადადებებს გრაფიკული გეგმების თავდაპირველი სამუშაო ვერსიების შესახებ, როგორც გამოსახულებებთან, ისე ტექსტთან დაკავშირებით. უნდა მომზადდეს შოუების ძირითადი სცენების კადრირება. სასურველია, თუ დიზაინის კონცეფციის საფუძველზე მოხდება ხარჯების დაგეგმვა და შეჯერება ბიუჯეტთან. გარდა ამისა, შემოთავაზებული გეგმები აუცილებლად უნდა განიხილონ შენობის სახანძრო უსაფრთხოებისა და სხვა სამსახურების წარმომადგენლებმა;


- *დიზაინის შემუშავება და დეტალური დიზაინი:* როდესაც დამკვეთი მიიღებს და დაამტკიცებს დიზაინის კონცეფციას, გამოფენის დიზაინის ჯგუფს შეუძლია გენერალური გეგმისა და დამთვალეირებლის მიერ გალერეებში მიღებული შთაბეჭდილების ვიზუალიზაციის საფუძველზე შექმნას დეტალური ნატურული ნახაზები თითოეული საგამოფენო კომპონენტისათვის (იხ. სურ 13.4). გრაფიკულმა დიზაინმა შესაძლოა ხელი შეუწყოს თითოეული დაფისათვის თუ ეკრანისათვის საჭირო ტექსტის და გამოსახულების განსაზღვრა-გამოვლენას, ხოლო განათების დიზაინმა ამ ეტაპზე, შესაძლოა გეგმის შემდგომი დეტალიზაცია

გამოიწვიოს, სადაც განისაზღვრება ელექტროსაზღვრების და ნათურების საჭირო რაოდენობა და განლაგება. შესაძლოა საჭირო გახდეს სამშენებლო კონსტრუქციების ინჟინრის, ინჟინერ-მექანიკოსის, ინჟინერ-ელექტრიკოსის, აკუსტიკის სპეციალისტის ჩართვა. ამ სტადიის ბოლოს უნდა მოხდეს დიზაინის საბოლოო ვერსიის დამტკიცება, რაც აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ხარჯების შეჯერებას ბიუჯეტთან და მის დამტკიცებას შენობის სახანძრო და სხვა ადმინისტრაციული სამსახურების მიერ.

• **სატენდერო პაკეტების მომზადება:** როდესაც დამკვეთი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს მოაწერს და მიიღებს გამოფენის დეტალურ დიზაინს, დიზაინერს შეუძლია მოამზადოს გამოფენის შესაძლო კონტრაქტორებისათვის, ანუ სხვა დახელოვნებულ პროფესიონალთა ჯგუფისათვის, განკუთვნილი ნახაზებისა და სპეციფიკაციების (მახასიათებლების) პაკეტები. გამოფენის სირთულის შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლოა შეიცავდეს ნახაზებისა და სპეციფიკაციების ცალკეულ პაკეტებს რომელიმე მთავარი ექსპონატის ან კარკასული კონსტრუქციის დასამზადებლად, ექსპონატების გასანაწილებლად, ვიტრინების (საგამოფენო ყუთების) დასამზადებლად, აუდიო-ვიზუალური ტექნიკური საშუალებების და მათი პროგრამული უზრუნველყოფის მოსაწოდებლად, შოუს დასადგმელად, ასევე მოთხოვნებს გრაფიკული გამოსახულებების, მაკეტების, მანეკენების, პედესტალების, სადგამების და ისეთი სპეციფიკური საქონლის მწარმოებლებისათვის, როგორცაა სიმულატორები და ვირტუალური რეალობები. დამკვეთმა უნდა გადანყვიტოს, როგორ გასცეს ეს სატენდერო დოკუმენტაცია – ცალკეული თუ ჯგუფური კონტრაქტების სახით. უკანასკნელ შემთხვევაში დამკვეთი წაახალისებს გამოფენის მთავარ კონტრაქტორებს, რათა მათ შექმნან ქვე-კონტრაქტორი საკონსულტაციო ჯგუფები. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ წინა საფეხურზე წინასწარი ხარჯთარღიციხვა საგულდაგულოდ და ყურადღებითაა შედგენილი და იგი შეიცავს სახსრებს გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სატენდერო დოკუმენტაციაში, იმედია, არ გადავანყდებით მოულოდნელობებს. თუ შემოთავაზებული წინადადებები ბევრად აღემატება ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებს, მაშინ შესაძლოა, საჭირო გახდეს შესწორებები, ამ პროცესის ყველაზე არასასურველი შედეგი კი თავდაპირველი დიზაინის შეცვლა იქნება.

• **სამუშაო ნახაზები:** დიზაინის შემუშავების ამ საბოლოო სტადიაზე, კონტრაქტორების მიზანია სატენდერო პაკეტები იმ ნახაზებად აქციონ, რომელთა შესაბამისად დაამზადებენ კიდევ კარკასულ კონსტრუქციებს, ვიტრინებს, ვიდეო მონიტორებს, მოდელებს, მანეკენებს და გამოფენის ყველა დანარჩენ კომპონენტს. დიზაინზე მომუშავე ჯგუფმა აუცილებლად უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ყოველი ნახაზი და უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დიზაინის თავდაპირველ მიზნებთან და ამოცანებთან. ამასთან, კონტრაქტორები ვალდებული იქნებიან დაამზადონ ვიტრინებისა და სხვა საგამოფენო კომპონენტების ასლები და ვიდრე მათ გადასცემენ დაამზადებულ ორგანიზაციებს, ეს კომპონენტები უნდა განიხილოს და დაამტკიცოს გამოფენის მუშა ჯგუფმა. ხშირია ვიზიტები ქარხნებში, როდესაც დამკვეთი ამონებებს დაამზადებული პროდუქციის ხარისხს. ამის პარალელურად, დიზაინერები უნდა ამუშავებდნენ დეტალურ გენერალურ გეგმებს და თანამშრომლობდნენ დაამზადებლებთან.

ასეთი უნივერსალური მეთოდოლოგიის შემუშავების მცდელობა, რომელიც ერთნაირი წარმატებით გამოდგებოდა გამოფენის პროექტის ხუთივე სტადიაზე, არარეალურია. სი-



სურ.13.2 კონცეფციის გამოხატვა: ლინ ინის თალის რეკონსტრუქცია "დიდი ნილბით," რომელზეც აისახება კანტონის ოპერის გმირების სხვადასხვა ვიზუალური გამოსახულება ჰონკონგის ისტორიის მუზეუმის კანტონის ოპერის გალერეაში. აღდგენილია ჯოელის მიერ. © ჰონკონგის ისტორიის მუზეუმი, რომლის მთავარმა კურატორმა და ჯგუფმა მოაწყვეს კანტონის ოპერის გალერეა.

ნამდვილეში, კარგი მეთოდი სწორედ ისაა, რომელიც კონკრეტული პროექტის კონტექსტს მიესადაგება და მის თავისებურებებს ითვალისწინებს. ეს აუცილებელი პირობაა.




და მაინც, შესაძლებელია კარგი მეთოდოლოგიისათვის დამახასიათებელი ტიპური მახასიათებლების მითითება და მათი ჩამოყალიბება რეკომენდაციების სახით:

მისიის შესახებ დაწესებულების განცხადების, მისი კლიენტების, გამოყოფილი სახსრების და დროის გათვალისწინებით, განსაზღვრეთ ნათელი და რეალური მიზნები, მიუთითეთ ისინი დიზაინის ბრიფში ან გამოფენის გეგმაში. მართალია, ერთი შეხედვით, ეს შესაძლოა სრულიად ბუნებრივი გვეგონოს, მაგრამ საკმაოდ ხშირად ზოგი, ან ყველა მიზანიც კი, მიუღწეველი რჩება. ოქროს წესი, ალბათ სასაცილოდ ჩანს, მაგრამ ის მუდამ მართებულია და

新界文物館
粵語文物館

Heritage Hall
Cantonese Opera's Heritage Hall

Scale 1:75 - Gallery Section



Content

- 1.1 新界文物館
New Territories Heritage Hall
- 1.2 粵劇文物館
Cantonese Opera Heritage Hall
- 1.2a 粵劇戲園回聲
Hong Kong Cantonese World
- 1.2b 中國傳統木版印刷博覽
Chinese Wood Block Print
- 1.4 廖少堅藝術館
Chao Shao-An Art Gallery
- 1.5 香港數碼藝術
Hong Kong Digital Art
- 1.6 慶祝廿一世紀
Towards the 21st Century
- 1.7 戲樓石圍劇場
The Art of Dan Huang Cove



香港文化博物館
Hong Kong
Heritage Museum

Project Phase
Design Concept Report
Design Development for
Presentation & Entry

Stage 2.A
Revised/Issued
December, 1997

80

This documentation represents the most current and complete layout and storyline and is superior to earlier versions.

© PETCH DESIGN INTERNATIONAL INC 香港新界文物館顧問 LORD CULTURAL RESOURCES PLANNING & MANAGEMENT

სურ. 13.3 ჰონკონგის ისტორიის მუზეუმი. დიზაინის კონცეფცია: ლინ ინის თაღის რეკონსტრუქცია კანტონის ოპერის გალერეაში
კონცეფციის ავტორი Reich & Petch Design International Inc. © ჰონკონგის ისტორიის მუზეუმი, რომლის მთავარმა კურატორმა და ჯგუფმა მოაწვეეს კანტონის ოპერის გალერეა


ამასთან, მარტივიც:

სისწრაფი, ხარისხი, ფასი: ამოირჩიეთ ნაბისმიერი ორი მათგანი

ეს მარტივი მანტრა ნიშნავს:

- თუ მუზეუმს სურს სწრაფად და იაფად მოაწყოს გამოფენა, არ უნდა მოელოდეს მაღალ ხარისხს;
- თუ მუზეუმს სურს ხარისხიანი გამოფენის მოწყობა და თანაც მოკლე დროში, იგი ძვირი დაჯდება;
- თუ მუზეუმს შედარებით იაფად სურს ხარისხიანი გამოფენის მოწყობა, მაშინ ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი დრო უნდა გამოყოფს.

ოქროს წესი საგანგებოდ და ხაზგასმით თანამიმდევრულია. თუ მუზეუმმა რეალურად არ შეაფასა ეს სამი ფაქტორი, რეალობა ადრე თუ გვიან თავს იჩენს პროექტის განხორციელების რომელიმე სტადიაზე და ვერანაირი დიზაინერი ველარ აიცილებს თავიდან გარდაუვალ შედეგს.




სურ. 13.4 ჰონკონგის ისტორიის მუზეუმი. დეტალური დიზაინი: ლინ ინის თაღის რეკონსტრუქცია კანტონის ოპერის გალერეაში.

დეტალური დიზაინის ავტორი: Reich & Petch Design International Inc. © ჰონ კონგის ისტორიის მუზეუმი; კანტონის ოპერის გალერეის მოწყობის იდეა და მისი განხორციელება ეკუთვნის მუზეუმის მთავარ კურატორსა და მის ჯგუფს.

• დიზაინის ბრიფის მომზადების დროს აუცილებლად განსაზღვრეთ კომუნიკაციის მიზნები, თითოეული კომპონენტის შინაარსი და შემდეგ – ის კონკრეტული გზავნილი, რაც თითოეულ მათგანს მიაქვს დამთვალეიერებელთან. არ შეიძლება გამოხატვის ფორმებზე მსჯელობა, ვიდრე ნათლად არ განისაზღვრება თითოეული გზავნილი და სანამ ყველა, ვისაც ეს ევალება, არ გაიაზრებს და არ დაამტკიცებს მას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ნებისმიერი საშუალება უაზრო და გამოუსადეგარია, თუ იგი არ აკმაყოფილებს გზავნილისა და სანახაობის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმს. საშუალება არასდროს უნდა აღემატებოდეს შინაარსს. ცუდი ჩვეულებაა (და შესაძლოა რეფლექსიც), როცა ამაღლევენ მედიუმს შეარჩევნ, ხოლო შემდეგ ცდილობენ შინაარსი დაანიონ და როგორმე შეუსაბამონ მას, ეს, სამწუხაროდ, მრავალი დანებსებულების ქრონიკული პრობლემაა.

• დიზაინის ბრიფის მომზადებისას, ნათლად და გასაგებად შეიმუშავეთ თქვენი დიზაინერის სამუშაოს ჩარჩოები. შეძლებისდაგვარად, ნათლად განსაზღვრეთ თქვენი მიზნები, კრიტერიუმები და ხედვა. დიზაინერები შემოქმედები არიან და არა ნათელმხილველები. ამავე დროს, სამუშაოთა ჩარჩოების განსაზღვრისას, ეცადეთ, მაქსიმალური შემოქმედებითი გასაქანი დაუტოვოთ დიზაინერს. შემოქმედებითი უნარი და ნოვატია იმ გადანწყვეტილებების განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილებია, რომელიც თქვენს მიერ დადგენილი ჩარჩოების შესაბამისი იქნება. თუ თქვენი მიზნები და კრიტერიუმები ნათლადაა განსაზღვრული, გაცნობით გაგიადვილდებათ შეაფასოთ, რამდენად შესაბამისი და მისაღებია ნოვატორული და თვით ძალზე გაბედული იდეები.

• სადიზაინერო ტენდერის საშუალებით დიზაინერის შერჩევისას და დიზაინზე მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში, შემოთავაზებული დიზაინი შეაფასეთ არა მხოლოდ მისი



სურ. 13.5 ჰონკონგის ისტორიის მუზეუმი. გამოფენის საბოლოო სახე, კანტონის ოპერის გალერეა: ლინ ინის თაღის რეკონსტრუქცია და "დიდი ნილაბი" კანტონის ოპერის გვირგვინის სხვადასხვა ვიზუალური გამოსახულებით.

დაგეგმვა და პროექტის მენეჯმენტი: Lord Cultural Resources Planning & Management. ბარი კრინის ფოტო. © ჰონკონგის ისტორიის მუზეუმი; კანტონის ოპერის გალერეის კონცეფცია მუზეუმის მთავარი კურატორისა და მუშა ჯგუფის ავტორობით.

რაციონალური საფუძვლის გამოფენის შინაარსთან შესაბამისობის თვალსაზრისით, არამედ (რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია), დამთვლიერებლის აღქმის უნარის გათვალისწინებით. მაგ. თუ თეფშების გამოფენისთვის დიზაინერის წინადადებით ყველაფერს წრიულ ფორმას მივცემთ, ეს შესაძლოა თავისთავად ძალიან კარგიც იყოს, მაგრამ დამთვლიერებლისათვის სრულიად უსარგებლო გამოდგეს. დიზაინის რაციონალური საფუძველი აუცილებლად მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც დამთვლიერებლისათვის ვქმნით, მოკლედ რომ ვთქვათ, დამთვლიერებლის შთაბეჭდილებას. შესაბამისად, თუ ჩვენი მიზანია თეფშებისა და ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოჩენა, უმჯობესი იქნება ისინი დაახლოებით მაგიდის სიმალლეზე მონაცობილ რაიმე სიბრტყეზე მოგვეთავსებინა. მეორე მხრივ, თუ ვგსურს, რომ თეფშები განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ნივთებად წარმოვადგინოთ, მაშინ ისინი საერთო კონტექსტიდან მთლიანად

უნდა გამოვაცალკევოთ, რითაც თავიდან ავიცილებთ რაიმე მინიშნებას მათ ფუნქციასთან დაკავშირებით. მართალია, ესტეტიკური მხარე (წრიული ფორმების გამოყენება) ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ თეფშების გამოფენაში ჩადებული მიზნებისა და მისწრაფებების გასაგებად ის მაინც მეორეხარისხოვანი ხდება. მუზეუმები არასდროს არ უნდა აპყვენ ცდუნებას და არ უნდა გამოფინონ თუნდაც ყველაზე მომწუსხველი და მიმზიდველი მედია, ან მათი აღჭურვილობა და შემადგენელი ნაწილები, რომლებიც არ შეესაბამება გამოფენის შინაარსს. მხოლოდ შედეგი ამართლებს საშუალებას, მაგრამ ეს ურთიერთკავშირი არც ერთ შემთხვევაში არ მოქმედებს პირუკუ

- დიზაინის კონცეფციაზე მუშაობისას იზრუნეთ გამოფენის შინაარსის, ბიუჯეტისა და საგამოფენო სივრცის შესაბამისობაზე. უკიდევანო და გაუგებარი "ენციკლოპედიის" წარმოდგენას, სჯობს უფრო ნაკლები ექსპონატები იყოს წარმოდგენილი, მაგრამ კარგად და ყოველი მათგანი შესაბამისად იყოს გააზრებული. ნათელია, რომ ეს მძიმე არჩევანის გაკეთებას გულისხმობს, რაც აუცილებლად მოითხოვს დისციპლინას და თავშეკავებას, განსაკუთრებით კურატორების მხრიდან, რომელთა ცოდნა შესაძლოა მართლაც ენციკლოპედიური იყოს

- რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმეთ პროექტს. გამოფენების დიზაინზე მუშაობა და მათი მომზადება დაგეგმვას, შემოწმებას და შეფასებას მოითხოვს, რასაც დიდი დრო სჭირდება. ამ მხრივ, დიზაინის კონცეფციის შემუშავების სტადიაზე, კონკრეტულ საკითხებზე ფოკუს-ჯგუფების შექმნა შეიძლება ფასდაუდებელი იყოს. ნებისმიერმა ინტერაქტიურმა მონყობილობამ, საბოლოო დასრულებამდე აუცილებლად უნდა გაიაროს წინასწარი ტესტირება შერჩეულ მიზნობრივ ჯგუფებში

- დიზაინზე მუშაობის დროს აუცილებელია დამყარდეს სინერგია ჯგუფის წევრებს შორის, მათი მუშაობა მართლაც ერთობლივი იყოს. სხვადასხვა სფეროს ურთიერთდაპირისპირება მხოლოდ დაზარალებს პროექტს

- დიზაინერების საგულდაგულოდ შერჩევის შემდეგ ენდეთ მათ. თუ ურთიერთობები უნდობლობაზე და ეჭვებზეა დაფუძნებული, შთამბეჭდავ და ამაღლებელ გამოფენას ვერ მივიღებთ. თუ დიზაინზე მუშაობის პროცესში თქვენი ნდობა დიზაინერებისადმი რამდენადმე შეირყა, მიუთითეთ მიზეზები და ღიად და დაუფარავად განიხილეთ ისინი, რათა აღდგეს ძველი ნდობა.

გამოფენების მოწყობას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ გამოფენის დიზაინი ახალი პროფესიაა. ახალგაზრდის მსგავსად, იგი იმედისმომცემია, ენერგიული და აქტიურია, მაგრამ ამავე დროს, სავსეა წინააღმდეგობებითა და კონფლიქტებით. ასეა თუ ისე, ახალი ტექნოლოგიების მუდმივი განვითარება და დამთვალეიერებლის ქცევის ნორმების უკეთესი გააზრება ექსპერიმენტებისა და სიახლეების დანერგვის დიდ შესაძლებლობებს იძლევა. გამოფენა იყო და არის კომუნიკაციის საშუალება, რომელიც ყოველთვის თანამედროვე, დამთვალეიერებლის შესაბამისი, მისთვის მისაღები უნდა იყოს და მუდმივად ვითარდებოდეს. გამოფენის დიზაინერები ამ მომწუსხველი მედიუმის შემოქმედებითი განვითარების ცენტრში არიან.

ქვემოთ მოტანილია სასწავლო მაგალითი 13.1, სადაც გამოფენის საქვეყნოდ ცნობილი დიზაინერი ბ-ნი რალფ აპელბაუმი, გვიზიარებს თავის გამოცდილებას ნიუ-იორკის ამერიკის ბუნების ისტორიის მუზეუმში ახალი მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობის პროცესის შესახებ. მასში მრავალი ის საკითხია წარმოჩენილი, რომელიც განხილული იყო ამ თავში.

სასწავლო მაგალითი 13.1

ბასიქირება ნარსულში:

არქიტექტურა, ევოლუცია და სიცოცხლის ხე: ამერიკის ბუნების ისტორიის მუზეუმის განმარხეულთა გალერეების რეკონსტრუქცია და ახლებური ინტერპრეტაცია
რალფ აპელბაუმი

“ჩვენ გვინდოდა იმდენი ინფორმაცია მიგვეცა დამთვალეერებლისთვის, რამდენიც საკმარისი იქნებოდა, რომ ისინი მოგზაურ პალეონტოლოგებად გვექცია”

რალფ აპელბაუმი

ნიუ-იორკში, ამერიკის ბუნების ისტორიის მუზეუმის მე-4 სართულზე განლაგებული განმარხეული ფაუნის დარბაზების რეკონსტრუქციამ და ხელახალმა გააზრებამ საბოლოოდ ქრონოკინეზის – დროში მოგზაურობის ფორმა მიიღო.

გამოფენის დიზაინზე მუშაობისას თავდაპირველი სირთულე უკავშირდებოდა განმარხეული ფაუნის ვებერთელა კოლექციის დალაგებას კლადისტიკური თეორიის განვითარების შკალის შესაბამისად – ანუ ხერხემლიანთა დაჯგუფებას მათი საერთო ნიშან-თვისებების შესაბამისად და არა ქრონილოგიური შკალის მიხედვით. ეს კიდევ ერთი მეორეხარისხოვანი პრობლემის არსებობას გულისხმობდა – უნდა შეგვექმნა შესაბამისი გარემო, ე.ი. ახლებურად მოგვეწყო დარბაზების ფიზიკური სივრცე, სადაც ნაჩვენები იქნებოდა სიცოცხლის რთული გზის დასაწყისი. კურატორების ხედვის ფონზე დიზაინის ახლებური მიდგომის ყველაზე დიდი გარღვევა იყო განცხადება დიდი დარბაზების აღდგენის შესახებ – მათ უნდა დაბრუნებოდათ XIX საუკუნის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი თავდაპირველი სიდიადე, სადაც უნდა შეგვექმნა დრამატიზმით აღსავსე სცენა და წარმოგვედგინა ჩვენი ისტორია, ამასთან, უკან დაგვეწებოდით თანამედროვე პალეონტოლოგიის დასაწყისს – თავგადასავლებით აღსავსე ოქროს ხანას.

კლასიფიკაციის მეთოდის ახლებურად წარმოდგენის საჭიროებამ, წარმოქმნა ის ნაპერწკალი, რომელმაც გამოფენის ფიზიკურ მეტაფორაზე მიგვანიშნა – მოგზაურობა გენეოლოგიური ხის მეშვეობით.

მუზეუმს დაგეგმილი ჰქონდა მე-4 სართულზე განლაგებული ძუძუმწოვრების დარბაზის განახლება-გადახალისება, მაგრამ ამასთან, სრულიად ნათელი იყო, რომ გადახალისება სჭირდებოდა ახლომდებარე დინოზავრების დარბაზსაც; ხოლო პრიმიტიული ხერხემლიანები ერთ პატარა ნიშაში იყვნენ შეჩურთულები, სადაც კოლექციის მხოლოდ პატარა ნაწილი თუ მოთავსდებოდა. აღსანიშნავია, რომ მე-4 სართულზე ბიბლიოთეკა იყო განლაგებული, რომელსაც დიდი ხნის წინ დაედო აქ ბინა და ამის გამო არავის მოსდიოდა აზრად, რომ ევოლუციის ეს დიდებული ისტორია შეიძლებოდა უფრო ქმედითად დაეკავშირებინათ ერთმანეთთან როგორც ინტერპრეტაციის, ისე სივრცობრივი განლაგების თვალსაზრისით.

გენერალური გეგმის შემუშავებისას გავაცნობიერეთ, რომ ბიბლიოთეკისთვის, რომელსაც ყველა შემთხვევაში სჭირდებოდა განახლება, შეგვეძლო უფრო ვრცელი ტერიტორია დაგვეთმო ახალ შენობაში და ამგვარად ზედა სართული მთლიანად დაგვეთმო იმ ექსპოზიციისათვის, რომელიც ხერხემლიანთა ევოლუციის საინტერესო და დიდ ისტორიას მოგვითხრობდა. ვინაიდან მუზეუმს გარკვეული სიახლეების ჩატარება უკვე განუზრახა, ჩვენ შევთავაზეთ, რომ პროგრამას პრიმიტიული ხერხემლიანების ექსპოზიცია დამატებოდა და

იგი დინოზავრებისა და ძუძუმწოვრების ექსპოზიციასთან ერთობლივად წარმოგვედგინა, რაც მთელ მეოთხე სართულზე ექსპოზიციის წრიულად განლაგების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. შემდეგ ჩვენ დავინყეთ ფიქრი საკმაოდ რთულ პრობლემაზე – თუ როგორ გაგვეხადა ეს დარბაზები სხვებისაგან გამორჩეული და განსხვავებული. მუზეუმის პროექტის დირექტორმა ლოუველ დინგუსმა ასე აღგვინერა ეს პროცესი:

“ორივეს გვინახავს მრავალი თანამედროვე გამოფენა ევოლუციის თეორიის შესახებ, მართალია თითოეული მათგანი რაღაცით იყო გამორჩეული და მისთვის დამახასიათებელ შემოქმედებით ელემენტს შეიცავდა, მაგრამ ყველა ერთი მთავარი ორგანიზაციული პრინციპის გარშემო ტრიალებდა – ეს იყო მოგზაურობა დროში. ეს შაბლონი რომ გავარღვიოთ და ჩვენს გამოფენას განსაკუთრებული და ყველასაგან გამორჩეული ხელწერა მივცეთ, ჩვენ აუცილებლად მოგვინევს მნახველისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად სხვა გზის გამოძებნა და შეთავაზება. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს? ამ გზების ძიების პერიოდში, ჩვენ ერთი იდეა გაგვიჩნდა, კერძოდ ის, რომ ადამიანებს ყოველთვის აინტერესებთ თავიანთი ოჯახების ისტორია... და სრულიად რეალური გაგებით, ევოლუციური ისტორია უბრალოდ ვინმეს ოჯახის ისტორიის ექსტრაპოლაციაა, იმის მიუხედავად, თუ რა ტიპის ორგანიზმთან გვაქვს საქმე. ამდენად, გადავწყვიტეთ გვესინჯა, თუ რამდენად გამოგვივიდოდა საოჯახო გენეალოგიური ხის კონცეფციის გამოყენება და მისი სივრცობრივი გაშლა-გავრცობა. ეს საოჯახო გენეალოგია, ანუ კლადოგრამა – ევოლუციური ხის გრაფიკული გამოსახულება – გახდა დამთვალეირებელთა ნაკადის ძირითადი გზამკვლევი, რადგან ისინი დარბაზებში რეალურად სიცოცხლის გენეალოგიური ხის გასწვრივ დააბიჯებდნენ და როგორც მეცნიერი სტიფან ჯეი გულდი წერდა, “ახალ სქემაზე სიარულის დროს, კითხვის საშუალებით კონცეპტუალურ აღქმაზე უფრო მეტად, შინაგანად იწოდნენ მას.”

როდესაც მუზეუმმა მრავალი ჩონჩხის “დაშლა” დაიწყო, რათა მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებების მიხედვით, ხელახლა, უფრო ზუსტად და ნათლად აენყო ისინი, Ralph Appelbaum Associates-მა (RAA) საგამოფენო დარბაზების არქიტექტურული დონეების დაშლა წამოიწყო, რომლებიც ადრე განხორციელებული ნოვაციების წყალობით “შავ ყუთებად” ექციათ. ამ საქმიანობის წყალობით ჩვენ აღმოვაჩინეთ ნამდვილი არქიტექტურული ბრილიანტი – კალვერ ვოქსის შენობა თავისი პირვანდელი არქიტექტურით და ახლებურად მოვანყვეთ იგი. ჩვენ ოთახებს დავუბრუნეთ თავდაპირველი, XIX საუკუნის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სიღიადე და ბუნებრივი სინათლე დავაბრუნეთ მათში, რაც მეცნიერების განვითარების მეტაფორად გამოვიყენეთ. შენობის ფასადში დატანებული ყველა ფანჯრის აღდგენით, წარმოდგენილი ნიმუშები ბუნებრივ გარემოს დავუბრუნეთ. ამგვარად მოწყობილი დრამატული სცენა, ნამდვილად აღადგენს და ასახავს თანამედროვე პალეონტოლოგიის თავგადასავლებით აღსავსე პირველ ნაბიჯებს – მის ოქროს ხანას.

ჩვენს მიერ შემუშავებული დიზაინის კრიტერიუმები შემდეგ კონკრეტულ მიზნებს ემსახურებოდა:

- დარბაზების თავდაპირველი მოცულობისა და არქიტექტურული დეტალების აღდგენა ვრცელი და ღია სივრცეების მისაღებად, რომლებიც თავიანთ ისტორიულ არქიტექტურულ კონტექსტს (მუზეუმის წარსულს) გამოფენის კონტექსტის (მუზეუმის ვალდებულება, წარმოედგინა თანამედროვე მეცნიერება) სამსახურში ჩააყენებდნენ
- თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ფანჯრებიდან დარბაზებში დღის სინათლის “შემოშვება”, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ცენტრალური პარკის და მის მიღმა

არსებული ქალაქის ხედების დანახვა; ამ მეთოდით პარკის მსგავსი გარემოს შექმნა და ამავე დროს მისი დაკავშირება ქალაქთან; იმ საშუალებების აღდგენა, რომელსაც ისტორიულად იყენებდნენ დღის სინათლის გასაძლიერებლად

- გათბობის, ვენტილაციის და ჰაერის კონდიციონირების ახალი სისტემის გამართვა სტაბილური საგამოფენო გარემოს უზრუნველსაყოფად, ისე, რომ იგი მინიმალურ ვიზუალურ ზემოქმედებას ახდენდეს ექსპონატებზე და არქიტექტურაზე

- ელექტროგამანაწილებელი დაფების გამტარუნარიანობის გაძლიერება განათების სისტემისათვის და აუდიო-ვიზუალური ექსპონატებისთვის ელექტროენერჯის მინოდების უზრუნველსაყოფად.

ნიუ-იორკელებსა და მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ სტუმრებს დინოზავრების კოლექციისადმი ერთგვარი მესაკუთრული დამოკიდებულება – საერთო, საზოგადო საკუთრების შეგრძნება აქვთ გამოფენასთან დაკავშირებით და ეს გრძნობა უცვლელია დამთვალიერებელთა სხვადასხვა თაობებში. მათი ამგვარი დამოკიდებულების მიმართ ჩვენ ერთგვარი მოვალეობის გრძნობა გაგვიჩნდა და სწორედ ეს იყო იმ გადაწყვეტილების ერთგვარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომ განმარხეულები შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი ყოფილიყო დამთვალიერებელთათვის. ჩონჩხების სკულპტურულ სილამაზესთან უშუალო კონტაქტის გასამძაფრებლად, ყველგან, სადაც შესაძლებელი იყო, ექსპონატები ღიად, ყოველგვარი ყუთების თუ ვიტრინების გარეშე წარმოვადგინეთ და მათ ირგვლივ მხოლოდ წრეები მოვანყეთ.

საინფორმაციო მასალა ცალკეული პაკეტების სახით იყო წარმოდგენილი, სადაც ხშირად იცვლებოდა შრიფტის ტიპი და ზომა. მათ ერთვოდა ილუსტრაციები, ეს ყველაფერი კი ინფორმაციას უფრო ხელმისაწვდომსა და დინამიურს ხდიდა.

განათების ულტრა-თანამედროვე სისტემა შეინიღბა ძველებური სტილის ქაღებითა და შანდლებით, შემუშავდა ლამპის ახალი ტიპის მოსახსნელი ვაზნები, რომლებიც ჭერის მზიდი კონსტრუქციის კოჭებზე დამაგრდა და დაბალი სიმძლავრის ლამპიონები დაამონტაჟდა. მთელ განათებას დამუქების კომპიუტერული სისტემა მართავს; სენსორები აღიქვამს გარემოს განათებას და საჭიროების შესაბამისად ასწევს ან დასწევს ფანჯრებზე დამონტაჟებულ ფარდებს, გაანათებს ან გაამუქებს საკიდარზე დამაგრებულ ტექსტებს.

ხელოვნების სპეციალისტები და ეგზემპლარების პრეპარატორები, კონსერვატორ-რესტავრატორები და სპეციალისტი-ამწყობები, ინჟინერ-მექანიკოსები, სამშენებლო კონსტრუქციების ინჟინერ-მშენებლები, ინჟინერ-აკუსტიკოსები, ერთობლივად მუშაობდნენ Ralph Appelbaum Associates-Si (RAA), რათა "უნაწიბურო" გარემო შეექმნათ ეგზემპლარების, ექსპონატებისა და შენობის არქიტექტურის უნაკლო ურთიერთშეხამების მიზნით. ჩვენდა გასაკვირად აღმოვაჩინეთ, რომ ყველაზე ეფექტური ის დიზაინია, რომელიც თვალსა და ხელს შუა გისხლტება – სწორედ ეს გვეხმარება, რომ ყურადღება საგანზე იყოს გამახვილებული, ხოლო უამრავი დეტალის მართვა ისე ხდებოდეს, რომ დამთვალიერებელი ვერც კი აღიქვამდეს და აცნობიერებდეს მართვის მექანიზმებს.

როგორც მუზეუმის კომიტეტებმა, ისე მუზეუმს გარეთ არსებულმა მრჩეველთა საბჭოებმა, რომლებშიც მრავალი დისციპლინის წარმომადგენლები შედიოდნენ, დიდი მასშტაბის კვლევითი მუშაობა ჩაატარეს და დანვრილებით შეისწავლეს დიზაინის ყოველი საფეხური. RAA-ის დიზაინის ჯგუფში კოორდინატორის თანამდებობაზე პროფესიონალი პალეონტოლოგი მუშაობდა, რომელსაც შესაბამის სამეცნიერო სამუშაოებთან ერთად, მუზეუმის

სამეცნიერო ჯგუფთან მეკავშირეობა და დიზაინის მხრიდან სამუშაოების კოორდინაცია ევალუბოდა. RAA-მ გრაფიკული გამოსახულებების გარეგნული სახის კვლევებიც ჩაატარა, რომლის დროსაც საჭირო გახდა ინტენსიური კოორდინაცია მუზეუმის არქივთან.

განახლებული მიდგომის შედეგად, მუზეუმის ძეგლმწოდებებისა და პრიმიტიული ხერხ-ემლიანების ექსპონატები გაერთიანდა დინოზავრების საქვეყნოდ ცნობილ კოლექციასთან და ამ ერთიან კოლექციას მთლიანად დაეთმო შენობის ბოლო სართულზე, ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული ექვსივე დარბაზი. განმარხეული ფაუნის ექსპონატებს შორის გაყვანილია წინასწარ დამზადებული მოზაიკური ბილიკი. მასზე დატანილია ინტერპრეტაციული სქემის ძირითადი პუნქტები, რომლებსაც თავგადასავლებით აღსავეს გზაზე, გზამკვლევის დანიშნულება აქვთ. ბუნებრივი განათების გამაძლიერებლები, რაც მეცნიერული პროცესის მეტაფორას წარმოადგენს, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მუზეუმი შთაბეჭდილების სახით დამთვალეიერებლებს აღმოჩენებსა და მათთან დაკავშირებულ თავგადასავლებს სთავაზობს.

ამ ძალზე უცნაურ და ამაღელვებელ არსებებს შორის ნათესაური კავშირის სიღრმისეული გაცნობიერების ეფექტი, დამთვალეიერებელში აძლიერებს გრძნობას, რომ იგი უშუალოდაა დაკავშირებული სიცოცხლის უკიდეგანო და ძალზე რთულ უწყვეტ მდინარე-ბასთან იმ პლანეტაზე, რომელიც ადამიანებს გვერგო მემკვიდრეობად. ამის გაცნობიერება ცხადყოფს, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიება უფრო მეტად სწორი შეკითხვების დასმის ხელოვნებაა, ვიდრე მათზე საბოლოო და ამომწურავი პასუხების გაცემა და რომ მეცნიერება ძიებაა და არა დანიშნულება.

სწორედ ძიებისა და მეთოდის ამ გზაშესაყარზე მოხდა დიზაინის ხელოვნებისა და მეცნიერების ბედნიერი შეხვედრა.

კონსტრუქცია და ინსტალაცია

ჩაკ სიუთილა

ამ განყოფილების წინა თავებში სამუზეუმო ექსპოზიციის დაგეგმარებისა და დიზაინის ბევრ ეტაპზე ვისაუბრეთ. ამ თავში კი ექსპოზიციის კონსტრუქციების დამზადებასა და ინსტალირებას შევეხებით, რაც დაგეგმარების, დიზაინის და მომზადების მთლიანი პროცესის დასრულების შემდეგ ხდება. კარგად დაგეგმარებულ და გააზრებული დიზაინის მქონე ექსპოზიციის კონსტრუქციების დამზადებასა და ინსტალირების პროცესში, რა თქმა უნდა, ნაკლები სირთულეები იქმნება. სწორედ ასევე, პროექტის ის მენეჯერები, რომლებიც დაგეგმარებისა და დიზაინის შექმნის პროცესში მონაწილეობდნენ, უკეთ და სწრაფად ადგენენ, შეესაბამება თუ არა ექსპოზიციის შექმნა-დამუშავების პროცესის წინა ეტაპების მონაწილეთა ჩანაფიქრს კონსტრუქციებისა და ინსტალირების მიმდინარეობა.

პროექტის მასშტაბისა და მისი განხორციელების ეტაპის მიხედვით, საგამოყენო ექსპოზიციის კონსტრუქციების დამზადების უამრავი შესაძლებლობა არსებობს. მცირე ექსპოზიციის მოწყობა შედარებით მარტივი პროცესია: ამოცანათა უმეტესობა თავად მონაწილეთა მიერ სრულდება, გარე კონტრაქტორების მოწვევის აუცილებლობა კი ნაკლებია. დიდი ექსპოზიციები, მით უფრო თუკი საქმე კომპლექსურ, სამგანზომილებიან ექსპონატებს ეხება, ვთქვათ, რეალურს მიმსგავსებული ლანდშაფტების, ისტორიული ნაგებობების რეკონსტრუქციებისთვის გამიზნულ დიორამებს, ან მრავალკომპონენტური ექსპონატებსა და კომპლექსურ აუდიო-ვიზუალურ, ან მულტიმედია ინსტალაციებს, მათი აგება ისეთივე რთული, კომპლექსური სამუშაოა, როგორც თვით ნარმოსადგენი ნაგებობის აღმართვა. ისინი სპეციალიზებული შრომის შედეგად იქმნება, რაც, რა თქმა უნდა, მუზეუმის თანამშრომლების შესაძლებლობებს აღემატება.

შესაბამისად, როცა დიზაინის ფაზა განხორციელების ფაზაში გადადის, მუზეუმმა არჩევანი უნდა გააკეთოს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- როგორ უნდა იმოქმედოს მუზეუმმა, რომ კონსტრუქციებისა და ინსტალირების პროცესში მისი ინტერესებიდან გადახვევა არ მოხდეს, და წინდაწინ გამოკვეთოს შესაძლო გართულებები. ეს სპეციფიკური გადანყვეტილებების მიღებას მოითხოვს, რომელიც წინსვლასა და სრულ ანაგარიშგებას (ფინანსური ანაგარიში, ხარისხიანობასა და დროულობაში დარწმუნება).

- როგორ უნდა შეირჩნენ კონტრაქტორები და დამამზადებლები, როგორ უნდა მოხდეს მათი მართვა. ეს მათთვის შესათავაზებელი ანაზღაურების, მოლაპარაკებისა თუ ტენდერის გზით შერჩევასაც გულისხმობს, როცა დამამზადებელი მისი შემოთავაზების, თუ სატენდერო პირობების, გააზრებით ირჩევა. შემდეგ საკონტრაქტო პირობების, ფასის და გადახდის წესის, თუ გრაფიკის თაობაზე შეთანხმება ხდება. შემდეგ კონტრაქტის ადმინისტრირება ხდება.

როგორც არ უნდა იყოს მუზეუმის მიდგომა, საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რომელიც პროცესის ეფექტურობას, შედეგიანობასა და სრულ დოკუმენტირებას უზრუნველყოფს. ნაგებობათა მშენებლობის არქიტექტურული სახელმძღვანელოები ყველა

ქვეყანაში სამშენებლო ამოცანების უზუსტეს ჩამონათვალს გვთავაზობს, და ამათგან ბევრი საგამოფენო კონსტრუქციების აგებასაც მიესადაგება, როცა პროექტი ქვემოთ, 14.1 ცხრილში მოცემულ ოთხ ეტაპის განხორციელებამდე მიაღწევს.

1. კონსტრუქციასთან დაკავშირებული დოკუმენტები	<ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტის და განრიგის შეფასება • სატენდერო პაკეტი
2. ფასის შეთავაზება და მოლაპარაკება	<ul style="list-style-type: none"> • შეფასების კრიტერიუმები • შესყიდვები
3. კონტრაქტის ადმინისტრირება	<ul style="list-style-type: none"> • კონსტრუქცია და ინსტალირება • შუალედური გადახდები • ტექდათვალიერება და ჩაბარება
4. კონსტრუქციების შემდგომი	<ul style="list-style-type: none"> • გარანტია

ცხრილი 14.1 ექსპოზიციის კონსტრუქციების ფაზები

14.1 მუზეუმის მომზადება ექსპოზიციის კონსტრუქციებისა და ინსტალირებისათვის

ექსპოზიციის მომზადების დროს როლებისა და პასუხისმგებლობის დანაწილება (თავი 1. ცხრილი 1.1) თავად პროცესის განვითარების ფაზაზეა დამოკიდებული. უნდა დადგინდეს საჭირო პერსონალი, როლები მკაფიოდ განისაზღვროს, რადგან სავარაუდოდ, ამ ეტაპიდან პროექტის დასრულებამდე უფრო მეტი მონაწილე იქნება საჭირო. გონივრული იქნება პროექტის ცნობარის შექმნა, სადაც შეტანილი იქნება მონაწილეთა სახელი, ნოდება, საქმიანობა, პასუხისმგებლობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

მუზეუმის თანამშრომლებმა შეიძლება ზედამხედველობა გააუწიონ გარედან მონვეული მომწოდებლებს, მაგრამ შესაძლოა ამის ერთი ეტაპი აღარ იყოს საჭირო, თუკი მონვეული კონსულტანტი იქნება ჩართული კონსტრუქციებისა და ინსტალირების პროცესის მართვაში. (პროექტის მენეჯერის როლი დანვრილებით 16 თავში განიხილება). ეს ამოცანები ნებისმიერი ყაიდის ორგანიზაციაში უნდა შესრულდეს.

14.2 კონსტრუქციასა და ინსტალირებასთან დაკავშირებული კონტრაქტი

მივყავართ დეტალური დიზაინი, სატენდერო მონახაზები და სპეციფიკაციები შემდეგი ნაბიჯების მეშვეობით გარდაიქმნება სატენდერო პაკეტად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფასებზე შეთანხმებისათვის და შემდგომში გახდეს გამოფენის უშუალოდ კონსტრუქციებისა და ინსტალირების სახელმძღვანელო დოკუმენტი.

14.2.1 კონსტრუქციასთან დაკავშირებული დოკუმენტები

ისევე, როგორც მნიშვნელოვანი პროექტების უმეტესობა, სატენდერო პაკეტიც დანვრილებით მონახაზებსა და სპეციფიკაციებს შეიცავს, რომელიც მომზადებულია გამოფენის დიზაინერის მიერ. პაკეტში აგრეთვე შედის სპეციფიკური კალკულაცია და ფასების შეთავაზების დოკუმენტები, რომელიც შეესაბამება მუზეუმის მოთხოვნებს. სახელმწიფოს მიერ

დაფინანსებული პროექტებისა და სახელმწიფო მუზეუმებს ფასების შეთავაზების ძალიან დეტალიზებული და რთული სადოკუმენტაციო პროცედურები აქვთ.

სპეციფიკაციების დოკუმენტი ჩვეულებრივ ორი ნაწილისგან შედგება:

- ზოგადი ინსტრუქციები, რომელიც განსაზღვრავს აგების მეთოდებს, შემსრულებლების კვალიფიკაციას, ხარისხის კონტროლს, ჩაბარების პროცედურებსა და განხორციელება/მოვლის სახელმძღვანელოს, ასევე სპეციალიზებულ სამუშაოებს (მექანიკური, ელექტრო და ინტერიერის გაფორმების).

- დანართები, სადაც მითითებულია სპეციფიკური საექსპოზიციო ელემენტები, მომწოდებლები, მაღაზიის ამონაგების განრიგი, საჭირო ნიმუშები და მაკეტები, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც სჭირდება კონტრაქტორებს მომწოდებლებს შორის არჩევანის გასაკეთებლად.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ჩანაწერები ლაკონური, მკაფიო და საქმიანი იყოს. ნებისმიერი გაუგებარი ფორმულირება შემდეგ კონსტრუირებისა და ინსტალირების პროცესს აზარალებს, იმის გამო, რომ კონტრაქტორმა, პროექტის მენეჯერმა და კლიენტმა სხვადასხვაგვარად გაიგეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტებში, სადაც კონტრაქტორი, პროექტის მენეჯერი და მუზეუმის თანამშრომლები ერთმანეთს არა მხოლოდ მშობლიურ ენაზე ელაპარაკებიან.

რაკი სამუზეუმო ექსპოზიციის მომზადება ასეთი სპეციფიკური სამუშაოა, გასაკვირი არ იქნება, რომ დაქირავებულ პირებს, თუ კონტრაქტორებს მუზეუმებთან თანამშრომლობის გამოცდლება აკლდეთ, და მიუხედავად იმისა, რომ აქვთ საჭირო მასალების და ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილება. ამის გამო, დეტალიზებული ინსტრუქციების შემდგენმა ექსპოზიციის სამუზეუმო ასპექტები უკეთ უნდა გამოკვეთოს, განაკუთრებით მაშინ, როცა საქმე კოლექციებს, მათ გამოსაფენ ვიტრინებს, სადგამებს და სხვა ინვენტარს შეეხება. აგრეთვე ხაზი უნდა გაესვას იმ ამოცანებსაც, რომელთა დროულად შესრულებაზე ისეთი სამუშაოების შესრულების გრაფიკი იქნება დამოკიდებული, როგორცაა, მაგალითად, ექსპონატების ინსტალირება და განათებისათვის საბოლოო კუთხის მიცემა (იხილეთ თავი 15), რადგან ეს სამუშაოები ყველა მხოლოდ წინა ეტაპის დასრულების შემდგომ, უკვე მტკრისგან დაცულ, უსაფრთხო გარემოში უნდა ჩატარდეს.

ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, რამდენი კონტრაქტის დადება იქნება საჭირო. ერთი მიდგომა ასეთია: მომარაგება/ხელობასთან დაკავშირებული ყველა სუბკონტრაქტორის გაერთიანება ერთი მსხვილი კონტრაქტორის პასუხისმგებლობით, რომელიც მთელი პაკეტის გაკონტროლებას ითავეს და ყველა დანარჩენ მომწოდებელთან ქვეკონტრაქტს დადებს. ან მეორე: მუზეუმი ყველა მხარესთან დამოუკიდებელ კონტრაქტს დებს. რა თქმა უნდა, საუკეთესო პროცედურა ამ ორი მიდგომის შერწყმით მიიღწევა, როცა კონტრაქტორების ზოგი სფერო გაერთიანებულია, და ეს მხარეები მსხვილი კონტრაქტორის მიერ რეგულირებულ სუბკონტრაქტორებად ფიგურირებებენ, ხოლო დანარჩენებს მუზეუმი კონტრაქტს უშუალოდ უდებს. როგორც წესი, დიდი ექსპოზიციების საკონტრაქტო პაკეტი შეიძლება ისეთ კომპონენტებს შეიცავდეს, როგორებიცაა ნიმუშების დამზადება, რეპროდუქციებისა და მოდელების დამზადება, აუდიო-ვიზუალური მასალის მოწოდება/მომზადება, თვალსაჩინოებანი, მაკეტები, მანეკენები და სხვა მრავალი. ყველა პროექტისთვის არსებობს საკუთარი საუკეთესო კომბინაცია მუზეუმის მიერ მსხვილ კონტრაქტორთან (თავისი სუბკონტრაქტორებით) და ცალკე-ცალკე კონტრაქტორებთან

დადებული კონტრაქტებისა.

სატენდერო პაკეტის გაფორმებამდე მუზეუმმა აუცილებლად უნდა საბოლოოდ გადაამოწმოს ხარჯთაღრიცხვა, რათა დარწმუნდეს, რომ ნავარაუდები ბიუჯეტი და გრაფიკი რეალური და შესრულებადია. გამოფენის დეტალური დიზაინის პროექტი თავიდანვე უნდა შესრულდეს, ან საჭიროების შემთხვევაში შესწორდეს ბიუჯეტის შესაბამისად. უნდა მოხდეს საკმარისი რაოდენობის თანხის გათვალისწინება გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ცვლილებების ან ზედმეტი ხარჯების (დაახლოებით 10-20 პროცენტი) დაფარვა, გარდა ამისა, აუცილებელია თანხების განსაზღვრა მოგვიანებით დამატებული ელემენტებისთვის.

სასურველია, აგრეთვე, რომ მუზეუმის იურიდიულმა კონსულტანტმა შეისწავლოს სატენდერო პაკეტი და კონტრაქტის პროექტის ფორმა. ასევე, შესაბამისმა კონსულტანტმა უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება პაკეტი სამშენებლო სტანდარტებსა და წესებს.

სატენდერო პაკეტის (განაცხადის) გაფორმების პროცესში შეიძლება შედგეს პრეტენდენტთა წინა-საკვალიფიკაციო სია და მოხდეს მათი უფლებამოსილებისა და შესაბამისი გამოცდილების დოკუმენტური შემოწმება. ეს შეიძლება გაკეთდეს მუზეუმისთვის უკვე ცნობილი მომწოდებლების ნუსხის საფუძველზე, ან მოხდეს მონვევა კონტრაქტორებისა, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს ტენდერის წინა-საკვალიფიკაციო სიაში მოსახვედრად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მუზეუმმა აგრეთვე უნდა მოამზადოს განაცხადების შეფასების კრიტერიუმები. ფაქტორები, რომელთა გამოყენებასაც გადანყვეტს მუზეუმი განაცხადების შეფასებისას უნდა განისაზღვროს და აიწონ-დაიწონოს მათი მნიშვნელობის მიხედვით. იდეალურ შემთხვევაში ეს კრიტერიუმები უნდა წარმოადგენდეს სატენდერო ან განაცხადის პაკეტების ნაწილს და უნდა მიენიშოს ყველა მონაწილეს რათა მათ წარმოდგენა შეეძინათ იმაზე, თუ როგორ მოხდება მათი განაცხადების შეფასება.

14.2.2 ტენდერში მონაწილეობა და მოლაპარაკების წარმოება

გამოფენის კონტრაქტორობაზე უფლების მოპოვება შეიძლება რამდენიმე ფორმით მოხდეს: გაიმართოს ღია კონკურსი (რომელიც უნდა ჩატარდეს განაცხადების მიღების შესახებ გამოქვეყნებულ სარეკლამო განაცხადების მიხედვით), ჩატარდეს კონკურსი მონვეული და წინასწარ შერჩეული კონკურსანტებისთვის ან მოხდეს სამუშაოს შესასრულებლად რომელიმე ერთი კომპანიის ან კონსორციუმის მინვევა. ღია კონკურსი ყველაზე ნაკლებად სასურველი ფორმაა, რადგან ამ დროს ხდება დიდი რაოდენობით არაკვალიფიციური ან ნაკლებადკვალიფიციური ფირმების განაცხადების მიღება, რომლებსაც შემოწმება და გადამუშავება სჭირდება. ამგვარად, წინა-საკვალიფიკაციო რაუნდი შეიძლება გამოცხადდეს, მაგრამ რეალური კონკურსი კონტრაქტებს შორის უნდა შემოიფარგლოს იმ კომპანიებით, რომლებიც წინასწარ შერჩევა.

ამის შემდეგ ხდება სატენდერო პაკეტების დარიგება და თარიღის წინასწარ განსაზღვრა (დიდი პროექტების შემთხვევაში), რათა პრეტენდენტებმა აუცილებელი კვლევის ჩატარება და ხარჯთაღრიცხვის მომზადება მოასწორონ. თუ გრაფიკი ამის უფლებას იძლევა, მინიმალურ ვადად 3 კვირა, იდეალურად კი 6 კვირა ითვლება.

სასურველია გაიმართოს პრეტენდენტებთან შეხვედრა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს იმავე დროს, როდესაც ობიექტის დათვალიერება დაიგეგმება. შემდგომში პრეტენდენტთა მხრიდან ნებისმიერი შეკითხვის ნარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, ხოლო პასუხები დაურიგდეს ყველა პრეტენდენტს.

განაცხადის ფორმატი უნდა ითვალისწინებდეს გამოფენის ხარჯთაღრიცხვის დეტალურ ანალიზს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მოგვიანებით მისი გამოყენება როგორც განაცხადის შეფასებისას, ისე შემდგომში კრედიტებისა და ცვლილებების გამოსათვლელად. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდება გენერალური კონტრაქტორის შერჩევა ქვე-კონტრაქტებთან ერთად, განაცხადის ფორმატში გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული ქვე-კონტრაქტის დარგების მიხედვით თანხების განსაზღვრა, რადგან ამგვარ დეტალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს განაცხადის თითოეული კომპონენტის შეფასებისას.

განაცხადის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მუზეუმმა უნდა გამოიყენოს, ორი ნაწილისგან შემდგარ ქულების სისტემას უნდა ემყარებოდეს. ესენია:

- ფასის შემოთავაზება
- ტექნიკური შემოთავაზება.

მართალია, ფასი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ მისი ხვედრითი წილი გადანყვეტილების მიღების დროს არ უნდა აღემატებოდეს 35%. ტექნიკური შემოთავაზება, რომლის ხვედრითი წილია 65% ან მეტი, მოიცავს ფირმის ან კონსორციუმის გამოცდილების ისტორიას, პროექტზე მომუშავე პიროვნებათა განსაზღვრულ ჯგუფს, მუშაობის გრაფიკსა და ორგანიზებას, შემოქმედებით მიდგომას გამოფენის ტექნიკური მოწყობისა და ინსტალაციის საკითხებში.

ბევრი დიდი საგამოფენო პროექტი, განსაკუთრებით სახელმწიფო დაქვემდებარების, ტექნიკური მოწყობის მხრივ სერიოზულ პრობლემებს გადააწყდა სწორედ იმიტომ, რომ შემოთავაზებულ ფასს ძალზე მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდა და უპირატესობა მიენიჭა დაბალი ფასის მქონე განაცხადს. კონტრაქტის მოპოვების მიზნით პრეტენდენტმა შეიძლება წარმოადგინოს შემცირებული ფასები ან უფრო "დაბალი ქულებით შეაფასოს" განაცხადი. ორივე შემთხვევაში ტექნიკური მოწყობა ნეგატიური სიტუაციიდან იწყება, რადგან მომწოდებელი შეეცდება ან მასალა შეცვალოს უფრო იაფფასიანით, ვიდრე გათვალისწინებული იყო, ან ისეთ ფინანსურ წნეხში მოაქციოს ქვე-კონტრაქტორები, რომ იძულებული გახადოს უფრო დაბალკვალიფიციური პერსონალი გამოიყენონ, ან ზედმეტად დააჩქარონ მუშაობა. დაბალფასიანმა პრეტენდენტმა მათთვის გადასახდელი თანხის რაოდენობის გაზრდის მიზნით შეიძლება, აგრეთვე, მოისურვოს მთელი რიგი ცვლილებების შეტანა დამატებითი სამუშაოს შესაქმნელად, ან მიუხედავად მათ მიერ თავდაპირველად წარდგენილი დაბალი ფასებისა, სამუშაოს მსვლელობაში გაზარდოს ფასი. აქედან გამომდინარე, მუზეუმმა დიდი ყურადღებით უნდა შეაფასოს განაცხადები და უნდა დაადგინოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელიც ტექნიკურ შემოთავაზებას საკმარის ხვედრით წილს მიანიჭებს. დაბალი ფასის მქონე განაცხადის როგორც გასაჩივრება, ასევე მიღება ისეთ განსაკუთრებულ საქმეში, როგორც გამოფენების მოწყობაა, შეიძლება დამთავრდეს "ვითომ" ეკონომიით.

14.2.3 კონტრაქტის ადმინისტრირება

ტექნიკური სამუშაო ფაქტიურად მას შემდეგ იწყება, რაც მოხდება მომწოდებლის შერჩევა და კონტრაქტზე ხელის მოწერა. გამარჯვებულ კონტრაქტორს შეიძლება მოსთხოვონ კონტრაქტის შესრულების "საგარანტიო ვალდებულების" (გარკვეული თანხის დეპონირება პროექტის წარმატებით შესრულებამდე, რის შემდეგაც იგი კონტრაქტორს დაუბრუნდება) ფოსტით გადაგზავნა.

კომპლექსური გამოფენისთვის, სავარაუდოდ, საჭირო არის სპეციალისტი ქვე-კონტრაქტორების მოწვევა შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- კარკასული სადურგლო სამუშაოები
- ინტერიერები
- რეკონსტრუქცია და დიორამები
- ელექტრო და მექანიკური სამუშაოები
- სამღებრო სამუშაოები
- იატაკის დაგება
- ვიტრინები და სტენდები
- გრაფიკული გამოსახულებები
- განათება
- აუდიო-ვიდეო და მულტიმედიური აპარატურა და პროგრამები
- წარმოდგენების დადგმა (თეატრებისა და სიმულატორებისთვის)
- სადგამებისა და ჩარჩოების დამზადება
- მოდელები
- მანეკენები

კონტრაქტორის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა მოამზადოს კონსტრუირების დეტალური გრაფიკი, რომელიც რეგულარულად განახლდება. ეს შეიძლება საკმაოდ რთული იყოს, რადგან საჭირო იქნება სამუშაო პროცესში მონაწილე ყველა ქვე-კონტრაქტორთან შეთანხმება. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც გალერეის ინტერიერი უფრო ადრე უნდა შეიღებოს, ვიდრე მგრძნობიარე მულტიმედიური დანადგარები ან მსხვრევადი საექსპოზიციო ვიტრინები დამონტაჟდება.

გრაფიკი უნდა შეესაბამებოდეს, აგრეთვე, კონტრაქტში მითითებულ შეაღებულ გადახდებს და ყოველ "შეჩერებულ თანხას", რომლის გადახდაც არ უნდა მოხდეს გარანტიის საბოლოო პერიოდის გასვლამდე ან დეფექტების გამოსწორებამდე, რაც ხშირად გამოფენის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგაც კი ხდება ხოლმე. კონტრაქტის პირობებში მუზეუმმა შეიძლება მოითხოვოს კონტრაქტორისთვის ჯარიმების დანესება მიწოდების ან ინსტალაციის დაგვიანებისთვის. ჩვეულებრივ, ეს თანხა აკლდება კონტრაქტორების ანგარიშ-ფაქტურებს ყოველი დაგვიანებული დღისათვის, დანყებული პირველი დაგვიანებული დღიდან.

სწორედ პროექტის ამ ფაზაში დგება პროექტის ინტენსიური მენეჯმენტის დრო, რათა მუზეუმის ინტერესების სრულად იყოს დაცული. დიდი პროექტებისათვის სასურველია არსებობდეს ობიექტის მენეჯერიც, რომელიც უშუალოდ ობიექტზე მუშაობს; აგრეთვე ჩართული შეიძლება იყოს სხვა ტექნიკური და დამხმარე თანამშრომლებიც, მაგალითად, აუდიო-ვიდეო დანადგარებისა და ჩვენებების სპეციალისტები. პროექტის ან ობიექტის მენეჯერის ხელმძ-

დვანელობით უნდა ხდებოდეს პროექტის მონაწილეთა ყოველკვირეული, ხოლო გამოფენის გახსნის თარიღის მოახლოვებასთან ერთად – ყოველდღიური, კრებები. ეს კრებები უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, დადგენილი გრაფიკით და დღის წესრიგით, თითოეული გალერეისა და საგამოფენო სივრცისთვის, თითოეული ქვე-კონტრაქტისა და დარგისთვის. ასეთი კრებების ოქმებში დაფიქსირდება სამშენებლო პროცესის მიმდინარეობა.

კონტრაქტის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს შუალედური გადახდების მჭიდროდ დაკავშირება ისეთი ელემენტების მონოდებასთან, როგორცაა:

- გამოსაყენებელი მასალების ნიმუშები;
- მოდელები ან პროტოტიპები;
- დასამტკიცებლად წარსადგენი სამუშაო ნახაზები;
- ტექსტები, სცენარების აღწერა, და მიმდინარე კომპილაციები;
- მასალა;
- შესრულებული ინსტალაციის ან სამუშაოს პროცენტული რაოდენობა;
- ტესტირება, ექსპლუატაციაში შეყვანა და ჩაბარება.

პროექტის მენეჯერმა და/ან ობიექტის მენეჯერმა რეკომენდაციები უნდა წარუდგინოს მუზეუმს მისანოდებელი პროდუქტების / გასანევი მომსახურების მისაღებად ან დასადასტურებლად მათი მოტანისთანავე მთელი პროცესის განმავლობაში, რაც საბოლოოდ მთავრდება მუზეუმისგან წერილობითი დასტურის მიღებით, ამას კი კონტრაქტორებისთვის თანხების გადახდა უნდა მოყვეს.

მუზეუმის პერსონალმა და პროექტის მენეჯერმა / ობიექტის მენეჯერმა უნდა მოაწყონ ობიექტის რეგულარული დათვალიერება, რაც უფრო უნდა გახშირდეს პროექტის დასასრულის მოახლოვებასთან ერთად. თუ მუზეუმს გაუჩნდება ახალი იდეა ან შეცვლის წინა გადამწყვეტილებას იმგვარად, რომ საჭირო გახდება ცვლილებების შეტანა გამოფენის გეგმაში ან დიზაინში, პროექტის მენეჯერმა უნდა მოამზადოს მუზეუმის წარმომადგენლის (რომელიც პასუხისმგებელი გახდება დამატებით გადასახადზეც, რაც როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში გარდაუვალია) მიერ ხელმოწერილი ბრძანება ცვლილების შესახებ. თუ მუზეუმი მოისურვებს ამ ბრძანების გათვალისწინებას, მაშინ პროექტის მენეჯერმა კონტრაქტორს უნდა მოსთხოვოს ინფორმაცია ცვლილების შესახებ ბრძანების გათვალისწინების შესახებ, ანუ პროექტში შეტანილი ცვლილების ფასის წარმოდგენა. რაც უფრო უკეთესია გეგმარება და დიზაინი, მით ნაკლები ღირებულების ცვლილებების შეტანა გახდება საჭირო, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ისინი წარმოიშვას შემდგომი კურატორული კვლევის შედეგად. რა წარმოშობისაც არ ინდა იყოს ცვლილებები, მათ მაინც სჭირდება ყურადღებიანი მიდგომა მთელი პროცესის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც გალერეის შიდა სამუშაოები დასრულდება, ხოლო ობიექტი მზად იქნება იმისთვის, რომ მუზეუმმა დაიკავოს, კონტრაქტორმა მუზეუმს უნდა მიანოდოს:

- მოხმარების ინსტრუქციები და გარანტიები;
- გალერეის ფუნქციონირების ინსტრუქციები (განათება, უსაფრთხოება, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა);
- კოდირების გრაფიკი;
- მასალები ტექნიკური მომსახურებისთვის (იატაკის დაგება, საღებავები, განათება, დანადგარები, კომპიუტერული პროგრამები და პროგრამების ასლები);

- სამშენებლო ნახაზები.

აუცილებლად უნდა ჩატარდეს საბოლოო ინსპექცია კონტრაქტორის მიერ არსებული დეფექტების გამოსწორების ხარისხისა და სამუშაოს დასრულების შესამოწმებლად. ამ დროისათვის უკვე შეიძლება მოხდეს საბოლოო ანგარიშსწორება და კონტრაქტორისთვის სამუშაოს შესრულების საგარანტიო თანხის დაბრუნება, თუმცა, "შეჩერებული თანხის" დაკავება შეიძლება გაგრძელდეს გარანტიის გასვლის შემდგომ პერიოდამდეც.

14.2.4 კონსტრუირების შემდგომი პერიოდი

ბევრი საგამოფენო პროექტი კონტრაქტორისგან მოითხოვს ერთნაირ საგარანტიო ვადას, რომლის განმავლობაშიც იგი კისრულობს ვალდებულებას ნებისმიერი დეფექტის გასწორებაზე, აღჭურვილობის შეკეთებაზე ან შეცვლაზე. საგარანტიო პერიოდის დასრულებამდე კონტრაქტორისათვის გადახდილი შუალედური თანხები შეიძლება გამოაკლდეს "შეჩერებული თანხის" საერთო რაოდენობას. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ნებისმიერი "შეჩერებული თანხა" უბრუნდება კონტრაქტორს.

გამოფენის ტექნიკური და საინსტალაციო პროექტები შესრულების, პროდუქციისა და კადრების მომზადების მაღალ დონეს მოითხოვს. კარგად დაგეგმილ და გათვლილ პროცესს საინსტალაციო და საკონსტრუქციო სამუშაოების შეუფერხებელი განხორციელების მეტი შესაძლებლობა აქვს. ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ეტაპების მიდევნება უზრუნველყოფს შეთანხმებულ და პროდუქტიულ საუშაო პროცესს მინიმალური გადახრებით, რომლებიც გარდაუვალია თანამედროვე კომპლექსური სამუზეუმო გამოფენის მომზადების დროს მუშაობაში ჩართულ სხვადასხვა დისციპლინებს შორის ურთიერთქმედების გამო.

სასწავლო მაგალითი 14.1 ამ თავს უკავშირებს მე-4 თავს და უჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ევალუაციის პროცესმა იმოქმედოს გამოფენების კონსტრუირებაზე, რასაც ქვემოთ განხილულ მაგალითში საკმაოდ ეფექტურ შედეგამდე მივყავართ.

სასწავლო მაგალითი 14.1

ექსპონატების ტანსტირება კონსტრუირების პროცესში

ქირების სამეცნიერო აღმოჩენების ცენტრი სიუ ფოლი, სამხრეთ დაკოტა

ერის ციურნი

გამოფენების კონსტრუირება ზოგჯერ ისე აღიქმება, როგორც პერიოდი, რომლის განმავლობაშიც არაფერი შეიძლება ან უნდა შეიცვალოს. ფაქტიურად კი ეს ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდი, რომლის დროსაც არსებული ექსპონატები შეიძლება შემონმდეს, დაიხვენოს, მათი მნიშვნელობა გაიზარდოს (ან, უარეს შემთხვევაში, მოხდეს მათი უარყოფა მათი საერთო გეგმასთან შეუსაბამობის გამო).

"დერსი მიუზეუმ გრუპთან" თანამშრომლობისას მიღებულმა ჩემმა გამოცდილებამ, როდესაც დავეგემეთ და ავაშენეთ "ქერბის მეცნიერულ აღმოჩენათა ცენტრი" სიუ ფოლში, სამხ. დაკოტა, მაქცია ინსტალაციის დროს მუზეუმების ტესტირების მეთოდის ერთგულ მიმდევრად. იმის გამო, რომ "მეცნიერულ აღმოჩენათა ცენტრი" ხელოვნებისა და მეცნიერების პავილიონის ეკონომიკური წარმატების ქვაკუთხედს წარმოადგენდა, სიუ ჰოლი და ამ

ქალაქის საზოგადოების ერთგული წარმომადგენლები, რომლებიც დიდხანს იღწვოდნენ ამ ცენტრის საკეთილდღეოდ, ყოველნაირად ეცადნენ პროექტის წარმატებისთვის მიეღწიათ. მათ საქებრად უნდა ითქვას, რომ მათ ამ მიზნისთვის გამოფენის ბიუჯეტიდან გადადეს გარკვეული თანხა, რომელიც უნდა მოხმარებოდა ინტერაქტიური ექსპონატების ტესტირებას – ეფექტურობის უზრუნველყოფის ეფექტურ გზას – რომელსაც ხშირად უგულვებლყოფენ ხოლმე.

ჩვენს ხელთ არსებულმა თანხამ საშუალება მოგვცა მოგვეხდინა ექსპონატების დაახლოებით 25%-ის ოფიციალური ტესტირება. დანარჩენი ექსპონატების ტესტირება მოხდა არაოფიციალურად თანამშრომლების, მათი ოჯახების წევრებისა და მეგობრების მიერ. ორივე შემთხვევაში ტესტირება სასარგებლო გამოდგა.

პირველ რიგში უნდა გადაგვეწყვიტა, თუ რა პირობების გათვალისწინებით უნდა ჩატარებულიყო ტესტირება. ჩვენი თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა ექსპონატების პოტოტიპების გადატანას სამეცნიერო ცენტრში, რომელიც ჩვენი საექსპლუატაციო ობიექტის ახლოს მდებარეობდა და ტესტირების იქ ჩატარებას. ეს მუზეუმის ნამდვილ დამთვალეირებლებს იმის საშუალებას მისცემდა, რომ ექსპონატები ნამდვილ სამუზეუმო სივრცეში განეხილათ. ქერბის სამეცნიერო ცენტრის დირექტორთან ამ საკითხზე მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვიტეთ შეგვექმნა "მუზეუმის მსგავსი" სივრცე ჩვენსავე ობიექტზე და ტესტირება ჩვენთანვე, შინ ჩავგვეტარებინა. ექსპონატების ტრანსპორტირების ღირებულება ჩვენს ლოკალურ სამეცნიერო ცენტრამდე, მათი ადგილებზე განთავსება, მათზე მეთვლეყურეობა, ცენტრის დროისა და საშუალებების გაანგარიშება მათი საჭიროების მიხედვით, დამატებითი მასალების მოზიდვა, მათი დემონტაჟი და კვლავ ჩვენს ობიექტზე დაბრუნება გულისხმობდა იმას, რომ აქ უკეთეს შემთხვევაში – ექსპონატების 40%-ის ტესტირებას შევძლებდით. გარდა ამისა, "შინ" სამუშაოს უფრო სწრაფად და ეფექტურად შესრულება და გამოსაცდელ ჯგუფებს შორის უფრო სწრაფი კოორდინაცია შეიძლებოდა, რასაც თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საბოლოოდ, ამ სისტემამ ძალიან გაამართლა. ჩვენს ობიექტზე შევექმენით შემოღობილი სივრცე საკუთარი შესავლელით. ტესტირების მონაწილენი მოვიდნენ (ძირითადად ავტობუსებით) და შემოვიდნენ პირდაპირ ჩვენს "გალერეაში", სადაც რვიდან თორმეტამდე ექსპონატი იყო გამოფენილი. ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი, ტესტირებისთვის და მოცდენისთვის განსაზღვრული დროის არსებობა (აგრეთვე, იმის გაკონტროლება, თუ როდის ჰქონდა ადგილი თითოეულს ამ მოვლენათაგან) ლოჯისტიკური თვალსაზრისით ძალიან ხელსაყრელი იყო.

როგორ ავირჩიეთ ტესტირებისთვის საჭირო ობიექტები? არსებობდა სამი ჯგუფი:

- ჩავთვალეთ, რომ ინტერაქტიური ობიექტები, რომლებიც შექმნილი იყო ასე ვთქვათ, "თაროდან" – ანუ სხვა სამეცნიერო ცენტრების ან ავტორიტეტული მწარმოებლებისგან, მიიპყრობდნენ დამთვალეირებელთა საკმარის ყურადღებას მიუხედავად თავისი შესაძლო სუსტი მხარეებისა. ამის კარგი მაგალითია "ხელშესახები ტორნადო" სან ფრანცისკოს ექსპლორატორიუმიდან. შესაძლოა სწორედ ეს "გამოცდილი და ჭეშმარიტი" ექსპონატები დარჩენილიყო მომგებიან მდგომარეობაში ტესტირების შემდეგ, მაგრამ ჩენი "იერარქიის" თანახმად ვარჩიეთ, რომ უკეთესი იქნებოდა ასეთი ექსპონატები "წინასწარ დამტკიცებულად" ჩაგვეთვალა.

- შემდეგი კატეგორია იყო ექსპონატები, რომელთათვისაც შეიძლებოდა გვენოდებინა

"რე-ვიზიტი", ანუ ახალი მიდგომა ძველი იდეისადმი. ამის მაგალითია ხმის დაგვიანებით გადამცემი მილი. ამ მილის მოქმედების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ დამთვალეირებელს საკუთარი ხმა უბრუნდება დიდი დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც ხმა დიდხანს მოგზაურობს გრძელ მილში. როდესაც ჩვენ შევქმენით სამეცნიერო ცენტრის კლასიკური ექსპონატის საკუთარი ვერსია, მივხვდით, რომ ძირითადი კონცეფცია (მართლაც გასაოცარი!) იმდენად კარგად იყო შემუშავებული, რომ სრული ტესტირების განხორციელება აუცილებელი აღარ იყო. ჩვენ მოვახდინეთ ამ და სხვა, მსგავსი ექსპონატების მხოლოდ ფორმალური ტესტირება: მოვიწვიეთ მეგობრები და ოჯახის წევრები ექსპონატების გამოსაცდელად და იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩანვდებოდნენ მათი მოქმედების პრინციპს, შეძლებდნენ მათი ყველა კომპონენტით მანიპულირებას და ამ პროცესით სიამოვნებასაც მიიღებდნენ. ექსპონატების გამოცდა მოხდა სხვადასხვა ზომის ადამიანების მიერ (ბავშვები და მოზრდილები), აგრეთვე ბორბლებიანი სავარძლიდანაც.

- მესამე და ბოლო კატეგორიას მიეკუთვნება ის ექსპონატები, რომლებიც (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია) წარმოადგენს შედარებით ახალ კონცეფციას ან სჭირდება ახლებური მიდგომა. ამათგან გამოვარჩევდით ექსპონატებს, რომელთაც: აქვს ინტერაქტიურობის მაღალი დონე, შეიცავს დიდი რაოდენობის შესასწავლ ნაბიჯს და დეტალს, ან იწვევს ყველაზე მეტ უთანხმოებას გამოფენის განვითარების გუნდის წევრებს შორის.

ამ მეტ-ნაკლებად ორიგინალურ ექსპონატებს შორის ბევრია ისეთი, რომელთაც ერთი ან რამდენიმე უფრო ადრეული პროტოტიპი გააჩნია, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ შევამოწმოთ ზომების თანაფარდობა, დავრწმუნდეთ მექანიზმის ცალკეული დეტალების სიზუსტეში და ზოგადად, შევამოწმოთ ტექნიკური განხორციელების შესაძლებლობა. ასეთი პროტოტიპების არსებობა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გარკვეული შეფასებები და სწრაფად განვსაზღვროთ ექსპონატის სიცოცხლისუნარიანობა. სწორედ ამ დროს ვხვდებოდით, რომ ექსპონატი უნდა ყოფილიყო უფრო დიდი ან უფრო პატარა, უფრო სწრაფი ან უფრო ნელი, დაბალი ან მაღალი, მსუბუქი ან მძიმე. ჩვეულებრივ, მას შემდეგ, რაც ვამთავრებდით "უხეში" საცდელი ნიმუშების დამზადებას უკვე საკმაო ინფორმაციას ვფლობდით იმისთვის, რომ შეგვექმნა საბოლოო სამუშაო პროტოტიპი ტესტირებისათვის. ხშირ შემთხვევაში საბოლოო პროტოტიპი (მცირე შესწორებებით) საბოლოო გამოფენაზეც გაგვიტანია.

იმისათვის, რომ ინფორმაციის დიდი რაოდენობა დროის მცირე მონაკვეთში მიგველო, ჩვენი საცდელი პროტოტიპები თითქმის მზად უნდა ყოფილიყო სრულმასშტაბიანი ლაზერული შავ-თეთრი გრაფიკული ნახაზების ჩათვლით. ეს გვაძლევდა საშუალებას შეგვემოწმებინა ექსპონატების შინაარსობრივი დატვირთვა, ხელმისაწვდომობა, საექსპლუატაციო სიცოცხლის ხანგრძლივობა, პროტოტიპის ფიზიკური ფუნქცია და ზოგადი მიმზიდველობა. თანაც, ყოველივე ეს ერთდროულად ხდებოდა. გამოცდის სესიებს შორის ჩატარებული შესწორებები ეხებოდა ამ ცალკეულ საკითხებს ან ყველას ერთად, გამომდინარე ტესტირების შედეგებიდან. შესწორებების შემდეგ, მომდევნო სესიის დროს ზოგჯერ დამთვალეირებელთა დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნებოდა – ჩვეულებრივ გაუმჯობესება, ზოგჯერ კი გაუარესებაც – რის შემდეგაც შესწორებების შეტანა კვლავ ხდებოდა საჭირო.

ტესტირების ტიპური სესია დაახლოებით ასე უნდა წარიმართოს:

- დამთვალეირებლების ავტობუსის ჩამოსვლის შემდეგ ხდება დამთვალეირებელთა მიღება და განთავსება პრე-ტესტირებისთვის, რათა დადგინდეს მათი ცოდნის დონე;

- შემდეგ დამთვალეირებლებს ეძლევათ საშუალება თავისი სურვილისამებრ დაათვალეირონ საგამოფენო დარბაზი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვაკვირდებოდით შემდეგს: რამდენ ხანს ჩერდებიან თითოეულ ექსპონატთან, ექსპონატის "სწორ გამოყენებას" და დამთვალეირებლების ზოგად რეაქციას.

- აგრეთვე ვაკვირდებოდით ექსპონატის გამოყენებისადმი "შემოქმედებით" მიდგომას, ჩვენს მიერ დაგეგმილისგან განსხვავებულს. ერთ ძალიან პოპულარულ ექსპონატთან, რომელიც ვიდეოკამერების სამიზნე სისტემას ეხებოდა, ბავშვების მთელი რიგი დადგა. მოლოდინის პროცესში საკუთარი თავისა და მეგობრების გასართობად ბავშვები კამერების წინ სულელურად იქცეოდნენ. ამან მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ბავშვების ასეთი მოქმედება ჩვენს საქმიანობის მნიშვნელობას კი არ ამცირებდა, პირიქით, მიეხვედით, რომ ხალხზე დაკვირვების შესანიშნავი საშუალება აღმოვაჩინეთ.

- მას შემდეგ, რაც დამთვალეირებლებს საშუალება მიეცემათ ინტერაქტიურად დაათვალეირონ ყველა ექსპონატი, მათ უტარდებათ პოსტ-ტესტირება, რომელიც პრე-ტესტირების იდენტურია. პოსტ-ტესტირების მიზანია განისაზღვროს ექსპონატების შემეცნებითი მნიშვნელობა.

- დამთვალეირებელთა წასვლის შემდეგ ჩვენი თანამშრომლები და კონსულტანტები იკრიბებიან განხილვისათვის. რამ გაამართლა? რამ არა? რას ამბობდნენ და აკეთებდნენ დამთვალეირებლები? რომელმა ექსპონატებმა დაიმსახურა განსაკუთრებული ინტერესი? რომელს არ მიაქციეს ყურადღება? რით დარჩნენ ადამიანები უკმაყოფილო? რა ცოდნა შეიძინეს დამთვალეირებლებმა?

ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენ მივალნივთ, იყო ის, რომ ჩვენი დიზაინერები და ტექსტის ავტორები უშუალოდ აკვირდებოდნენ დამთვალეირებელთა ქცევას. ამან საშუალება მისცა მათ დაენახათ და მოესმინათ ყველაფერი და მიეღოთ უკეთესი, უფრო კონკრეტული და ეფექტური გადაწყვეტილებები. ტესტირების სესიებს შორის ჩვენ თავიდან გადავწერეთ ტექსტი, თავიდან შეექმენით ინტერაქტივები, კორექტირება შევიტანეთ ეტიკეტებში, დავამატეთ და წავშალეთ ინსტრუქციები, გავაკეთეთ ყველაფერი, რაც დაგვებმარებოდა დამთვალეირებლებთან უფრო ეფექტურ ურთიერთობაში.

როდესაც დამთვალეირებელთა მეორე ნაკადი მოვიდა, ჩვენ უკვე მზად გვექონდა ექსპონატები, რომლებიც ადრინდელზე ბევრად უკეთესი იყო. ჩვეულებრივ, ყოველ ორ ან სამ დღეში ჩვენ დამთვალეირებლების სამ ნაკადს ვიღებდით ექსპონატების თითოეული ჯგუფისათვის, რაც სამი ვარიანტის გასწორების საშუალებას გვაძლევდა. ჩვენთვის ძალიან სასიხარულო იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც არავითარი შესწორების შეტანა არ იყო საჭირო. დამთვალეირებლებისგან სწავლის პროცესი და აქედან გამომდინარე, ჩვენი ექსპონატების ეფექტურობის გაუმჯობესება ჩემთვის ყველაზე უფრო სასიამოვნო გამოცდილება იყო, რაც კი ოდესმე მიმიღია გამოფენების მოწყობის დროს.

ქვემოთ მოყვანილია ის რამდენიმე მაგალითი, რომელიც უჩვენებს თუ რა ცოდნა შეგვიძინა ასეთმა გამოცდილებამ:

- ბევრი ახალგაზრდა დამთვალეირებელი სტეტოსკოპს ისე იყენებდა, როგორც მიკ-

როფონს და არ იცოდა, რომ გულის მოსასმენად უნდა გამოეყენებინა. ჩვენ ექსპონატს დაუერთეთ ილუსტრაცია, რომელზეც ბავშვს სტიტოსკოპი გულზე ჰქონდა მიდებული და მცირე ცვლილებები შევიტანეთ ტექსტშიც. მან ძირეული ცვლილებები გამოიწვია და შეუდარებლად გაზარდა იმ მნახველთა რიცხვი, ვინც ექსპონატს თავისი გულის მოსასმენად იყენებდა. ს ნათლად გვიჩვენებს ილუსტრაციის მნიშვნელობას ექსპონატის ეფექტური გამოყენების დემონსტრირებისათვის.

- აღმოჩნდა, რომ ბევრ მნახველს უჭირდა განმარტებითი გარაფიკული გამოსახულების დაკავშირება მათ წინ მყოფი ექსპონატთან და ავერ ხვდებოდნენ, რა შეეძლოთ გაეკეთებინათ. ამიტომ ჩვენ გადავანაცვლეთ ინსტრუქციის ტექსტი გარაფიკული პანელიდან საკუთრივ ექსპონატის სიბრტყეზე ("აქ მიაჭირეთ", "ასე მოატრიალეთ"), რაც დიდად დაეხმარა მნახველებს გარკვეულიყვნენ, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ ექსპონატი.

- მარტივი ეტიკეტები ხშირად ეხმარებოდა ხალხს დაეკავშირებინა ინსტრუქციები კომპლექტებთან ან ყუთებთან, რომლებიც თავისუფალი ექსპერიმენტირებისთვის იყო განსაზღვრული. ჩვენ ამ ნივთებს ძალიან კარგად ვიცნობდით, დამთვალეირებლები კი ვერ იგებდნენ თუ რა მასალებზე იყო ლაპარაკი და ეშინოდათ რამე არ შემლოდათ. ეტიკეტების დახმარებით კი დამთვალეირებლებმა შეძლეს თავისუფლად ამოეღოთ ყუთებიდან მასალები და შედგომოდნენ მუშაობას.

- ერთ-ერთი ასეთი ექსპონატი დაკავშირებული იყო თავისუფალი ფრენის ექსპერიმენტთან, სახელად "ფრენის ტესტი". ამ ტესტის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ დამთვალეირებლებს შეთავაზებული მასალიდან უნდა აენწყოთ თვითმფრინავები და ვერტმფრენები, რომლებიც შემდეგ ქარიან გვირაბში უნდა გამოეცადათ. ჩვენ გვეგონა, რომ დამთვალეირებლები, განსაკუთრებით კი ბავშვები, ჩაეფლობოდნენ მიცემულ ყუთებსა და მასალებში და დაიწყებდნენ შემოქმედებით მუშაობას. ამის ნაცვლად ისინი საკმაოდ დაბნეულები ჩანდნენ და არ იცოდნენ საიდან დაენწყოთ. ამიტომ ჩვენ დავამატეთ მარტივი ნახაზები, რომლებშიც ზუსტად იყო მითითებული თუ რომელი დეტალი ყუთის რომელ ნაწილში იყო მოთავსებული და წარწერები (მაგ., "ვერტმფრენის ასანწყობი ზონა" დავარქვით მაგიდის ნაწილს).

- ყოველი ასეთი საქმიანობისათვის გაკეთდა ინსტრუქციის ბარათი ყუთებისათვის, სადაც ნაჩვენები იყო მარტივი პროექტის ნიმუში. ამის მიზანი იყო დამთვალეირებლის გონების ამუშავება (წინასწარ განპირობებული წარმატება). ჩვენ ამოვიღეთ ეს ბარათები ყუთებიდან და ლამინირების მეშვეობით დავაკარით სამუშაო ზედაპირებს, რითიც ისინი უფრო თვალსაჩინო გახდა. ამის შემდეგ დამთვალეირებელთა მონაწილეობის დონემ და ამოცანის გააზრების სისწრაფემ კვლავ იმატა. მსგავს კორექტირებას წარმატება მოჰყვა თავისუფალი ექსპერიმენტების სხვა შემთხვევებშიც.

პროტოტიპების ტესტირებაში ყველაზე უკეთესი შესაძლოა ის იყო, რომ ყველა იღებდა აქედან გარკვეულ გამოცდილებას: ჩვენ ნამდვილად მივიღეთ, მეცნიერებათა ცენტრმა გაუმჯობესებელი ექსპონატები მიიღო, ხოლო ადამიანები, რომლებიც ტესტირებაში მონაწილეობდნენ, ნამდვილად დიდ სიამოვნებას განიცდიდნენ. ქვემოთ მოტანილია ნაწყვეტები ორი წერილიდან, რომლებიც ასეთი ტესტირების შემდეგ მივიღეთ:

- დიდი მადლობა, რომ ნება დაგვრთეთ მონაწილეობა მიგველო ახალი ექსპონატების ტესტირებაში. მე ბევრი რამ გავიგე მაგნიტების, ელექტრობის, სინათლისა და ჰაერის შესახებ. სულაც არ ყოფილა ადვილი კოსმონავტის ხელთათმანების ტარება არასოდეს ვიფიქრებდი, თუ ელექტრობა ასეთი საინტერესო იქნებოდა, ან მაგნიტებს შეეძლოთ ყვე-

ლაფერი იმის კეთება, რაც ვნახე. ჰაერიც ძალიან საინტერესო ყოფილა. იცით თუ არა, რომ სინათლე შეიძლება მოილუნოს? მე კი ვიცი. ერთ რჩევას მოგცემთ: მე ვერ შევნიშნე ვერც ინსტრუქცია და ვერც რაიმე მითითება. იქნებ ნეონის ან მანათობელი ინსტრუქციები გაგეკეთებინათ, რომ ადამიანმა ადვილად შენიშნოს? თანაც ბავშვების უმრავლესობა ნამდვილად არაფერს ნაიკითხავს, თუ ამის აუცილობლობა არ ექნება.

პატივისცემით, ამანდა

- გუშინ ძალიან ბევრი ვიხალისე თქვენს მიერ შექმნილი ექსპონატებით. ჩემი აზრით სინათლის ექსპონატი ყველას ჯობდა. ნამდვილად ძალიან მომეწონა სხვადასხვა ფორმის მინის ორი სხვადასხვა სახის სინათლესთან დაკავშირების იდეა, რამაც სხვადასხვანაირი თამაშების გამოგონების შესაძლებლობა მომცა, თუმცა ინსტრუქცია ამას არ ითვალისწინებდა. მაგალითად, შევძელი სინათლის ზოლების მოღუნვა მინის ერთი ნატეხის საშუალებით, მეორე ნატეხით სინათლის სხივი სხვანაირად მოვლუნე. სწორედ ამიტომ, კიდევ მინდა მოვიდე, მეტი დრო რომ მქონდეს ექსპერიმენტებისთვის.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, სარა

გამოფენის განათება

ქვეან შოუ

თუ ნაწილი 7.2 განათების საკითხებს ეხებოდა, ეს მოკლე თავი მოგვითხრობს ისეთ აუცილებელ მომენტზე, როგორცაა გამოფენის ინსტალაციის დასრულება, როდესაც განათება უკვე დაყენებული და ფოკუსირებულია.

განათების დიზაინერები მუზეუმის ინსტალაციის საკითხს განსაკუთრებული კუთხით განიხილავენ. ისინი განათებას არა მარტო იმ თვალსაზრისით უზრუნველყოფენ, რომ დააკამაყოფილონ მუზეუმის მხატვრული და ტექნიკური მოთხოვნები, არამედ უნდა გაითვალისწინონ საფრთხეებიც, რომელიც საკუთრივ მის ბუნებასთან არის დაკავშირებული.

- ერთის მხრივ, განათება აუცილებელია ხედვისათვის და იგი არსებითი ფაქტორია კოლექციებში არსებული ინფორმაციის აღქმისათვის. ამასთანავე, განათება წარმოადგენს ერთ-ერთ ინტერპრეტაციულ და კურატორულ იარაღს. ის აგრეთვე წარმოადგენს კონტექსტს როგორც არქიტექტურული, ისე დამთვლიერებლის მიერ საგამოფენო ექსპონატის აღქმის თვალსაზრისით.

- მეორეს მხრივ, განათება შეიძლება დესტრუქციულ ძალადაც იქცეს და დამლუპველი აღმოჩნდეს გამოფენილი ექსპონატებისათვის. ამ კონფლიქტის დასარეგულირებლად განათების დიზაინერმა უნდა მიაღწიოს იმ ბალანსს, რომელიც მიზანშეწონილი იქნება გამოფენის განსაზღვრული პირობებისთვის.

განათების დიზაინისა და ინსტალაციის უპირველესი მიზანია შექმნას ოპტიმალური პირობები გამოფენილი ექსპონატების დასათვლიერებლად. ეს მოიცავს როგორც ობიექტების განათებას, ისე დამთვლიერებლის ვიზუალურ კომფორტს. განათებამ უნდა უზრუნველყოს ორიენტაცია, მოძრაობა და ვიზუალური ადაპტაცია განათების განსხვავებულ დონეებთან, რომელიც აუცილებელია გამოფენისთვის. განათების სხვა მოთხოვნების (მაგალითად, განათება ავარიული შემთხვევებისთვის, დაცვის სამსახურისთვის და სამეურნეო მიზნებისთვის) გათვალისწინებაც ძალზე მნიშვნელოვანია და უნდა მოხდეს მათი საერთო სისტემაში ეფექტური გაერთიანება.

განათება ინტერპრეტაციის უმნიშვნელოვანესი იარაღია. განათების შეუმჩნეველი ვარიაციები, ფერი, მიმართულება და ინტენსიურობა არის სწორედ ის ვიზუალური საშუალებები, რომლებიც ქვეცნობიერ დონეზე აწვდის გამოფენის დამთვლიერებელს კონტექსტუალურ ინფორმაციას გამოფენილი ექსპონატის დროის, ადგილისა და სხვ. შესახებ. ეს განსაკუთრებით დიდი ზომის ობიექტების დემონსტრირებას ეხება.

განათების ასეთი ვარიაციები იწვევს ცვლილებებს დამთვლიერებლის განწყობილებაში, დაწყებული კომიკურიდან და დამთავრებული ალელგებით. განათების ამგვარად გაპოყენება დიდი ხანია, რაც დანერგილია თეატრალური წარმოდგენების დროს, ასე, რომ გასაკვირი არ არის, რომ მუზეუმების განათების სექტორში დაკავებულ ამდენ განათების დიზაინერს თეატრში მუშაობის გამოცდილება აქვს.

განათებას მრავალნაირიად შეუძლია ინფორმაციის გადაცემა, და არა მარტო პროექტიბზე და ნახაზებზე სინათლის სხივის მიმართვით. მაგალითად, ფერად შუქს შეუძლია

თემების ან სივრცეების ურთიეთდაკავშირება, ამავე დროს მიზანმიმართულ სინათლეს (და ჩრდილს) შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს სხვადასხვა საგნები. მეტიც, შერჩევით განათებას შეუძლია ყურადღების ფოკუსირება ობიექტის გარკვეულ ნიშნებზე, ხოლო სპეციალურად მიმართულ სხივს შეუძლია გამოკვეთოს ზედაპირის მოპირკეთება, სტრუქტურა და დამუშავება. მაგალითად, ამინდის ზემოქმედების შედეგად დაზიანებულ ქვის ფილაზე ძლიერი კონტრასტული განათების შედეგად შეიძლება ვიზუალურად აღდგეს ნაშლილი ორნამენტი.

გამოფენის განათების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროა მაზე მუშაობა დიზაინის პროცესის საწყისი ეტაპებიდანვე დაიწყოს. განათების პროფესიონალმა დიზაინერმა უნდა უზრუნველყოს განათების სისტემის არა მარტო ჩამოყალიბებული პროექტისა და ინსტრუქციის, ტექნოლოგიისა და ბიუჯეტის მომზადება, არამედ უნდა გამოიყენოს ადგილზე არსებული განათების სისტემაც. თუ 7.2 ნაწილში ჩამოყალიბებული საკითხები გამოფენის გეგმის შემუშავებისას დაგვიანებით იქნება გათვალისწინებული, განათების პოტენციალი გამოფენის ინსტალაციის ამ ეტაპზე სრულყოფილი არ იქნება.

დანეხული გამოფენის დაგეგმვის უადრესი, კონცეპტუალური საფეხურიდან, განათების დიზაინერი უნდა იყოს დიზაინის გუნდის განუყოფელი წევრი. მის მოვალეობაში შედის კონსულტაციები როგორც გამოფენის დიზაინერთან, ასევე ელექტრობის ინჟინერთან, რათა მათ სამუშაოში და შესასყიდ მასალებში გათვალისწინებული იქნას განათების დიზაინთან დაკავშირებული ინფორმაცია.

უფრო მეტიც, განათების კარგი დიზაინერი უნდა ასრულებდეს შუამავლის როლს დიზაინერთა გუნდის ესთეტიკურ და საინჟინრო მიმართულებების წევრებს შორის და მჭიდროდ თანამშრომლობდეს ორივე მხარესთან. კონსტრუირების ფაზის განმავლობაში განათების დიზაინერი უნდა მონაწილეობდეს მასალების (ნათურები, გასანათებელი აპარატურა) შერჩევაში და მონიტორინგს უწევდეს ორივე გუნდს ხარჯების განაწილებასა და კონსტრუირების მსვლელობაში.

განათების დიზაინის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აუდიო-ვიდეო ჩვენების წარმატებულ წარმართვაში. მისი როლი შეიძლება იყოს უბრალო – როგორცაა საჩვენებელი სივრცის მონყოფა და იმის უზრუნველყოფა, რომ განათების პირობები შეესაბამებოდეს აუდიო-ვიდეო აპარატურის მოთხოვნებს, ან ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც არის აუდიო-ვიდეო ჩვენების მონყოფა ყოველგვარი დამატებითი აპარატურით: დინამიკებით, მხატვრული დეტალებით და ექსპონატის წარმოჩენის სხვა ხერხებით. განათების მონაცვლეობა, რომელიც მოიცავს ელვისებურ, სტრობოსკოპულ ან ტალღოვან განათებას, შეიძლება დაექვემდებაროს პრეზენტაციის საერთო კომპიუტერულ კონტროლს.

სხვადასხვა თვალსაზრისით, განათების დიზაინერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია გამოფენის გახსნის წინა დღეები. ეს ის პერიოდია, როდესაც უკანასკნელი თვეების, ზოგჯერ კი წლების მუშაობის შედეგი უნდა წარმოჩნდეს. თუმცა, განათების დიზაინის ეს საბოლოო, შემოქმედებითი ფაზა შეიძლება მხოლოდ მაშინ დაიწყოს, როდესაც ყველა ნივთს უკვე თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, საგამოფენო სივრცე დასრულებული, გარემონტებული და გასუფთავებულია, სამუშაო განათება და ხარაჩოები კი – მოხსნილი. განათების წყაროების ფოკუსირება, დონეების განსაზღვრა და კონტროლის სისტემების პროგრამირება სამუშაოს მხატვრული და შემოქმედებითი ნაწილია, რომელიც ხშირად სრულდება იდეალურზე ბევრად უფრო უარეს პირობებში გახსნის წინა დღეების მძიმე წნეხისა და დროის სიმცირის

თვალსაზრისით. ბუნებრივია, რომ ასეთ დროს ხდება იმ დროის ანაზღაურება, რომელიც პროექტზე მუშაობის პერიოდში გაცდა, ეს კი თავის მხრივ, ხელს უშლის განათების დიზაინის საბოლოო შემოქმედებითი ეტაპის დასრულებას. საბედნიეროდ, ეს პერიოდი სასიამოვნოც არის განათების დიზაინერებისთვის, რომლებიც ხშირად გამირულად შრომობენ დამატებით დროსაც, რათა თავიანთი სამუშაოს შედეგი ნახონ.

სამუშაოს დასრულებისას აუცილებელია რომ საბოლოო ინსტალაციის ყველა სამუშაო ჩანანერი და დეტალი დაფიქსირებული და შენახული იყოს. ზოგმა დიზაინერმა შეიძლება სამუშაოს ეს ასპექტი უგულებელყოს, რათა შეამციროს განათების დიზაინერისთვის გადასახდელი თანხის რაოდენობა, მაგრამ ნათურების ტიპების დეტალური ნუსხა, ფოკუსირების კრიტერიუმები და პროგრამირების მონაცემები ძალზე მნიშვნელოვანია გამოფენის შემდგომი ტექნიკური მომსახურებისათვის.

ასევე სასარგებლო იქნებოდა, თუ განათების დიზაინერი გამოფენის მიმდინარეობის პროცესში პერიოდულად შეამოწმებდა განათების სისტემის ფუნქციონირებას. ეს მაღალი ხარისხის მომსახურების უმარტივესი გზაა. ამ შემთხვევების მნიშვნელობა არ შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს, რადგან მუზეუმის არასაკმარისმა მომსახურებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს არა მხოლოდ გამოფენის ესთეტიკურ მხარეზე, არამედ დააზიანოს ექსპონატებიც (მაგალითად, ნათურების არასწორმა დამონტაჟებამ და არასწორმა დამატებებმა ან ცვლილებებმა განათების სქემაში). იმ შემთხვევაში, თუ განათების დიზაინერი შტატიანი თანამშრომელი ან კონტრაქტორია, მან პერიოდულად უნდა შეამოწმოს გამოფენა განათების დიზაინის თვალსაზრისით.

სასწავლო მაგალითი 15.1 ასახავს გამოფენის განათებისადმი ავტორის დამოკიდებულებას, რომელიც მას ამ დარგში მიღებულმა გამოცდილებამ გამოუმუშავა და რომელიც ჩამოყალიბებულია 7.2. ნაწილში.

სასწავლო მაგალითი 15.1

განათება გამოფენაზე "შოტლანდიის ადგილი ისტორიაში"

შოტლანდიის მუზეუმი, ედინბურგი

ქევიან შოუ

შოტლანდიის მუზეუმი გაიხსნა ედინბურგში 1998 წლის ნოემბერში. ის განთავსდა ახალ შენობაში, სადაც ცხრა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დაგეგმარება და სამშენებლო სამუშაოები, რათა მოემზადებინათ ახალი სივრცე შოტლანდიის ეროვნული მუზეუმის შოტლანდიური კოლექციის ექსპონატების ახლებური დემონსტრირებისა და ინტერპრეტაციისთვის. მუზეუმი აერთიანებდა ოთხ გამოფენას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო გამოფენა "შოტლანდიის ადგილი ისტორიაში", რომელსაც შენობის სამი სართული ეკავა.

გამოფენის მთავარი თემა იყო წერილობით წყაროებში შემონახული შოტლანდიელი ერის ისტორიის ახლებური ინტერპრეტაცია კოლექციიდან შერჩეული, ქრონოლოგიურად განლაგებული ისტორიული ნივთების საფუძველზე. გამოფენის ცალკეულ გალერეაში განთავსებული ექსპოზიცია ისტორიის განსაზღვრულ ასპექტს ეძღვნებოდა: ეკლესიას, ვაჭრობას, მრეწველობას და ა.შ. შენობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გამოფენის მოთხოვნილებების გათვალისწინებით დაპროექტდა და ძირითადად ემსახურებოდა ერისა და მისი ისტორიული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის წარმორჩენას. გამოფენის "შოტლანდიის ადგილი ისტო-

რიაში" პროექტი ეკუთვნოდა შოტლანდიის ეროვნული მუზეუმის საპროექტო დეპარტამენტს, ხოლო შენობის პროექტი არქიტექტორებს ბენსონსა და ფორსაიტს, რომლებიც დეპარტამენტთან თანამშრომლობდნენ.

განათების დიზაინის შექმნა ნაკარნახევი იყო ზოგიერთი უცვლელი არქიტექტურული თავისებურებით. ლენტისებრი და მიმართული სანათების განლაგება მკაცრ არქიტექტურულ ბადეზე იყო განლაგებული 1,5მ ინტერვალით. არქიტექტორთა მოთხოვნის შესაბამისად, მთლიანი შენობა ისე უნდა ყოფილიყო განათებული, რომ გადმოეცა შენობის არქიტექტურის კონტექსტური კავშირი გამოფენასთან. დღის სინათლე შენობაში აღწევდა მთავარი ფანჯრებიდან და სინათლის ტებიდან, რომლებიც გალერეის ძირითად სივრცის ირგვლივ იყო განლაგებული.

თავდაპირველად, შევადგინეთ დამხმარე რეკომენდაციები, რომლითაც ვხელმძღვანელობდით გასანათებელი აღჭურვილობის შექმნისას და სადაც მოცემული იყო როგორც ნათურების ტიპები, ასევე მონყობილობები, რომლებიც შედარებით გამოუცდელ კონტრაქტორსაც კი მისცემდა იმის საშუალებას, რომ ნათურები ფოკუსის შეცვლის გარეშე გამოეცვალა. ეს რეკომენდაციები დაურიგდა ამ პროექტში გაერთიანებული ყველა გამოფენის დიზაინერს. საბოლოოდ, სპეციალურად მუზეუმისთვის შერჩეული მონყობილობა დაამზადა შოტლანდიურმა სანარმომ "მაიკ სთოუნ ლაითინგ ლტდ"-მ.

გამოფენისთვის "შოტლანდიის ადგილი ისტორიაში" სპეციალურად შევიმუშავეთ სინათლის საშუალებით ექსპონატების აქცენტირებისა და ასევე, სინათლით "კედლების რეცხვის" სტრატეგია. "კედლების რეცხვის" მეთოდისთვის განათების დონის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად დაიგეგმა განათების დონე 45 ლუქსი, ხოლო ექსპონატების აქცენტირებისთვის დონე იცვლებოდა 150-დან 250 ლუქსამდე, ობიექტის გაშუქების დონის მიხედვით და გამოფენის თანაბარი განათების გათვალისწინებით. ყურადღება მიექცა გალერეებს შორის დამაკავშირებელ სივრცეებს, რომელთაც ორი მიმდებარე გალერეის ექსპონატების თემატური ურთიერთკავშირისთვის უნდა გაეცვათ ხაზი. ასეთ სივრცეებში ურთიერთკავშირის უკეთ წარმოსაჩენად დაიგეგმა ჩრდილები სივრცეთა შორის.

სინათლის საშუალებით აქცენტირება გამოიყენება ასევე ობიექტების უმნიშვნელოვანესი ნაწილების გამოკვეთისა და დემონსტრირებისთვის მეტი დინამიურობის მისანიჭებლად. მაგალითად, როგორც "ნიუქომენ ენჯინ ჰაუზში", რომელიც ნაწილობრივ განათებულია კოლექციის თანადროული სანათებით, რომელიც გამოიკვლიეს და დაამზადეს ექსპონატების მიხედვით.

ვიტრინების განათება ხდება ბოჭკოვანი ოპტიკური მონყობილობის საშუალებით. ამ სისტემის შემუშავება მოხდა ერთობლივად ვიტრინებისავე მომწოდებელთან, "გლასბაუ ჰანთან." თითოეული ვიტრინისთვის გამოყენებული იქნა ლინზების დიდი რაოდენობა, რათა მიეღწიათ მეტი ეფექტურობისთვის ჩაკეტილ სივრცეში სინათლის შესაღწევად.

როგორც ყოველთვის, საბოლოო წარმატება განათების საქმეში მიღწეულ იქნა გამოფენის გახსნის წინა კვირებსა და დღეებში, როდესაც მიმდინარეობდა განათების დაყენება და დამონტაჟება. თითოეულ მონყობილობა იძლევა მრავალი სხვადასხვანაირი ნათურის დამაგრების საშუალებას, აგრეთვე აქვს საერთო რეოსტატზე მიერთებისა და განათების დონის შერჩევის შესაძლებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ნათურების შერჩევას ექცევა. რეოსტატის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც საჭიროა განათების დონეების ფაქიზი გამოკვეთა, ექსპონატის ფერისა და სინათლის არეკვლის შენარჩუნება. ინსტალაციის ხარისხისა და მისი შემდგომი გამართული მოქმედების უზრუნველსაყოფად მოხდა ყველა მონყობილობისა და ნათურის ყურადღებით შერჩევა, ჩანერა და მუზეუმისთვის გადაცემა.

პროექტის მენეჯერის როლი

ჩაკ სუტილა

ხელოვნების ნიმუშების გამოფენა უფრო ხშირად ითვალისწინებს, პირველ რიგში, სურათების ჩამოკიდებას, ქანდაკებების დადგმას ან დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების ვიტრინებში ან ოთახის სივრცეში განთავსებას. ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს პანელების, სადგამების დამზადება ან დამონტაჟება, კედლებისა და სამაგრების გადაღება. ასეთ სამუშაოს, ძირითადად, ასრულებს მოსამზადებელი ჯგუფი, რომელსაც კურატორი ან დიზაინერი ხელმძღვანელობს. ისტორიული ან სამეცნიერო გამოფენები ჩვეულებრივ, მოითხოვს ექსპონატების კომპონენტების დამზადებას, აუდიო-ვიდეო ჩვენებას, ექსპონატების დასამაგრებელ და მრავალ სხვა დამატებით სამუშაოს შესრულებას, რომელის მეთვალყურეობაც ჩვეულებრივ, პროექტის მენეჯერს ევალება.

ვთქვათ, გამოფენის დიზაინის მენეჯერი (ან გუნდი) პასუხისმგებელია უხელმძღვანელოს და კოორდინაცია გაუწიოს გამოფენის ექსპონატების დამზადებასთან ან ინსტალაციასთან დაკავშირებულ სამუშაოს. ეს არის კლასიკური, შუალედური მენეჯმენტის როლი მუზეუმის საგამოფენო, დიზაინერთა და მშენებელთა გუნდებს შორის. ამ თავში წარმოდგენილია ზოგიერთი მეთოდი, რომლითაც უნდა იმოქმედოს დიზაინის მენეჯერმა და მოცემულია, აგრეთვე, პროექტის წარმატებული მენეჯერის დახასიათება:

ქვემოთ წარმოდგენილია გამოფენის დიზაინის წარმატებული მენეჯმენტის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი. შეგამოფენო პროექტი წარმატებას მიაღწევს:

- თუ მუზეუმის თვალსაზრისით პროექტი არის დროული, შეესაბამება დაგეგმილ ბიუჯეტსა და ხარისხს, რომელიც გათვალისწინებული იყო დეტალურ დეტალურ დიზაინსა და სტენდერო პაკეტში.

- თუ კონტრაქტორებისათვის ის მომგებიანი და პრესტიჟულია და გაზრდის მათ რეპუტაციას.

- თუ პროექტის მენეჯერისთვის (იმ შემთხვევაში, თუ იგი მონეულია) მომგებიანი და ეფექტურად მართვადია, ამასთანავე, თუ პოზიტიურ სამუშაო ადგილსაც წარმოადგენს.

- თუ დამთვალეობებისთვის შეიქმნება ინფორმატიული, მიმზიდველი და გასართობი გამოფენა.

პროექტის მენეჯერისთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა ინტერესთა კონკურენციის, ხშირად კი ინტერესთა კონფლიქტების დარეგულირება გამოფენაზე მუშაობის პროცესში. ასეთ სიტუაციაში ზოგჯერ ე.წ. "კულტურული ბროკერის" გამოცდილებაა საჭირო.

როგორც სამუზეუმო, ისე დიზაინერული ჯგუფები თავის განსაკუთრებულ ენაზე საუბრობენ და თავიანთი "ექსპონატების" მიმართ განსაკუთრებული მიდგომა აქვთ. რაც შეეხება სამშენებლო ჯგუფებს (დურგლებს, ელექტრიკოსებს, ქვის მთლელებს, აუდიო-ვიდეო სპეციალისტებს და გრაფიკის სპეციალისტებს), ხშირ შემთხვევაში მუზეუმებში მუშაობის გამოცდილება არ ქონიათ და მათთვის ეს უცხო სამყაროს წარმოადგენს. არც ერთ მხარეს წარმოდგენა არა აქვს მეორე მხარის სამუშაოს სირთულეზე, რამაც შეიძლება გაუგებრობა,

კონფლიქტები და სამუშაოს დაგვიანებით შესრულება გამოიწვიოს. მაგალითად, შეიძლება მუზეუმის სამუშაო ჯგუფმა მთლიანად ვერ წარმოიდგინოს დიზაინერთა მიერ შექმნილი დეტალური პროექტი მანამ, სანამ ის სანახევროდ ან მთლიანად არ შესრულება. აქედან გამომდინარე, მათ შეიძლება ძალზე გვიან მოისურვონ ცვლილებების შეტანა. ასევე, მშენებელთა ჯგუფმა შეიძლება სამუშაოს უფრო სწრაფად დასრულება მოისურვოს და ამის გამო სათანადო ყურადღება არ მიაქციონ დეტალებსა და სიზუსტეს, რომელსაც მუზეუმი მოითხოვს. მცირე პროექტების შემთხვევაში ასეთი საკითხების გადაწყვეტა უბრალო მოლაპარაკების საშუალებით შეიძლება, ფართომასშტაბიანი პროექტების დროს კი საქმე უფრო რთულადაა, რადგან პროექტის მენეჯერს შეიძლება მოუხდეს ფორმალური პროცედურების გავლა, მაგალითად, დოკუმენტაციის მომზადება ყველა გადასაწყვეტ საკითხზე და საქმის პროექტის მენეჯმენტის ოფისისთვის გადაცემა.

ქვემოთ მოტანილია ოთხი მთავარი მომენტი, რომლის გათვალისწინება პროექტის ყველა მენეჯერს დასჭირდება:

- შეიძლება მოხდეს ისე, რომ პროექტს დაგვიანებით დასრულება დაემუქროს. თქვენ ჯერ ზუსტად არ იცით რის გამო (გრაფიკული გამოსახულებების, მულტიმედიის თუ საზღვარგარეთიდან გამოწერილი მასალების განბაჟების) შეიძლება ეს მოხდეს, მაგრამ ითვალისწინებთ ამ გარემოებას და ამზადებთ ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს.

- მუზეუმის ხელმძღვანელ თანამშრომელთა უმრავლესობა ან სხვა სთიქპოლდერები (როგორცაა დირექტორი, გამგებობის საბჭო, დონორი ან მთავრობის წარმომადგენელი) გამოფენას გახსნამდე დაათვალიერებენ და მოითხოვენ გარკვეული ცვლილებების შეტანას. გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის ის, რომ "წინასწარი გახსნა" გამოფენის ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე კვირით ადრე შედგეს, რაც თავიდან აგაშორებთ ცვლილებების ბოლო წუთებში შეტანას.

- როცა პროექტი დასასრულს მიუახლოვდება, ჩნდება შექმნილი პრობლემების სწრაფად მოსაგვარებლად "ფულის მიფშენის" ტენდენცია. ასე ნუ მოიქცევით. ყოველთვის არსებობს სხვა გამოსავალი.

- საბოლოო დეტალების დროულად დახვეწის მიზნით პროექტის დასრულების ბოლო ვადა უნდა დადგინდეს მოთხოვნილზე სულ ცოტა, ერთი თვით ადრე მაინც.

16.1 პროექტის მენეჯმენტის მეთოდები

არსებობს მრავალი მეთოდი და საშუალება იმისთვის, რომ გამოფენის მომზადების პერიოდში დანესდეს სათანადო კონტროლი საგამოფენო პროექტის ეფექტური მენეჯმენტის მისაღწევად. მაგალითად:

- უნდა არსებობდეს კავშირი ექსპერტების ჯგუფთან, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ჩართვა კონტრაქტორის მუშაობის შეფასებაში ან რაიმე კერძო პრობლემის გადაწყვეტაში. მაგალითად, თუ რომელიმე პროექტზე მომუშავე აუდიო-ვიდეო სპეციალისტთა ჯგუფს არა აქვს მუზეუმებში მუშაობის სათანადო გამოცდილება, უნდა მოხდეს კონსულტანტის მონაცევა მოკლე სემინარის მოსაწყობად სამუზეუმო პროგრამების ჩანერასთან დაკავშირებით და ჯგუფის მუშაობის შემდგომი მონიტორინგის განსახორციელებლად, ვიდრე პროექტი კვლავ გრაფიკის მიხედვით ამუშავდება.

- აუცილებელია სათანადო სხდომებისა და საკომუნიკაციო გრაფიკის შემუშავება:

პროექტზე მუშაობის დანყებისას ალბათ საკმარისი იქნება კრებების ჩატარება ორ კვირაში ერთხელ, მაგრამ შემდგომში ეს პერიოდი უნდა შემცირდეს ერთ კვირამდე, შემდეგ კი გადაიზარდოს გალერეის ყოველდღიურ შემოვლაში გასასწორებელი უზუსტობების აღმოსაჩნად. კრებებს აუცილებლად უნდა ახლდეს დეტალური მითითებები, რომლებიც სწრაფად უნდა მომზადდეს და გავრცელდეს იმისათვის, რომ თითოეულმა მონაწილემ შესასრულებელი სამუშაო დროულად მოასწროს.

- *საჭიროა დიზაინის ცვლილებების კონტროლი და მონიტორინგი:* მუზეუმის ჯგუფმა შეიძლება ისეთი ცვლილებების შეტანა მოისურვოს, რომელებიც ადვილად განსახორციელებლად იქნება, მაგრამ იყოს ძვირიც და გამოიწვიოს საუშაობის გრაფიკიდან ამოვარდნა. თუმცა, შესაძლებელია მცირე ცვლილებების ადვილად გამკლავება, განსაკუთრებით მაშინ, თუ კონტრაქტორი დიზაინთან მიმართებაში მოქნილობას გამოიჩენს. შეიძლება ზოგიერთმა კონტრაქტორმა მასალების ისე შეცვლა მოისურვოს, რომ დიზაინის პირობებს აღარ შეესაბამებოდეს, ან დიზაინში მცირე ცვლილებების შეტანისთვის გაბერილი ფასები უჩვენოს. ხშირად იმის გამო, რომ კონტრაქტორი პრობლემებს ქმნის, პროექტის მენეჯერი იძულებული ხდება თავად შეარჩიოს მასალების წყაროები. ყველა შემთხვევაში, მთავარია სიტუაციის მჭიდრო მონიტორინგი იმგვარად, რომ მოხდეს პოტენციური პრობლემების ადრეულ საფეხურზე გამოვლენა და საჭირო მასალების დროული შეკვეთა-მიწოდება.

- *მოვალეობათა განაწილება:* დიდი პროექტები მოითხოვს გუნდს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ეფექტურ მენეჯმენტს. პროექტის მენეჯერი ვალდებულია გაანაწილოს ამოცანები და უხელმძღვანელოს გუნდს.

- *სათანადო კომპიუტერული პროგრამების გამოყენება გრაფიკების შედგენის, ფინანსური ოპერაციებისა და კომუნიკაციისთვის:* გამოყენის პროექტისათვის შეიძლება არსებული პროგრამების პაკეტების გამოყენება ან სპეციფიკური პროგრამის მისადაგება საგამოყენო პროექტისთვის.

16.2 დოკუმენტაცია

გამოყენის წარმატებისთვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება პროცესის ყოველ საფეხურზე. შემუშავებულია მთელი რიგი გამოყენის პროექტის მენეჯმენტის ფორმებისა, რომლებიც ემსახურება როგორც პროექტის დოკუმენტაციის შექმნას, ისე მუზეუმისგან მიღებულ გადაწყვეტილებათა აღნუსხვას. ეს ფორმებია:

- *გადაცემის ფორმა:* თან დაერთვის მუზეუმსა და კონტრაქტორს შორის ყველა მასალის გაცემის პროცესს, კურატორებისგან თავდაპირველად მიღებული ორიგინალური საცნობარო მასალის ჩათვლით.

- *კითხვარი ინფორმაციის მისაღებად:* ამ ფორმას იყენებს კონტრაქტორი სამუშაოს ზოგიერთ ასპექტში, განსაკუთრებით კი ნახაზებში, სპეციფიკაციებში ან ობიექტთან დაკავშირებულ რაიმე განსაკუთრებულ საკითხებში გასარკვევად.

- *ნახაზების წარდგენისა და კოორდინაციის ფორმა:* ეს ფორმა თან დაერთვის კონტრაქტორის მიერ მომზადებულ სამუშაო ნახაზებს და ხელმონერილია შესაბამისი ოფიციალური პირის მიერ (არქიტექტორი, მშენებელი ინჟინერი, ელექტრიკოსი, ინჟინერ-მექანიკოსი, რაოდენობათა ინსპექტორი ან სხვ. სპეციალისტები).

- *განაცხადი მასალების შესახებ:* კონტრაქტორი წარადგენს ამ ფორმას ყველა დასამტ-

კიცებელ ნიმუშთან ან მოდელთან ერთად.

- *მოთხოვნა ცვლილების შესახებ*: ამ დოკუმენტს კონტრაქტორი წარადგენს თავის პრეტენზიასთან ერთად როდესაც მიიჩნევს, რომ ზოგიერთი დაგეგმილი სამუშაო განსხვავდება პირველადი სატენდერო პაკეტისგან. ზოგ შემთხვევაში ამას შეიძლება მოყვეს ის, რომ მუზეუმს დაეზოგოს თანხა, მაგრამ უფრო ხშირად ამას დამატებითი ხარჯები მოყვება. მუზეუმმა შეიძლება წარადგინოს აგრეთვე მოთხოვნა შემოთავაზებული ცვლილების ფასის თაობაზე და სთხოვოს კონტრაქტორს დროულად შეატყობინოს ამ ცვლილების შესახებ.

- *ბრძანება ცვლილების შესახებ*: ეს ფორმა (რომელსაც აგრეთვე "შეცვლის ბრძანებას" უწოდებენ), წარმოადგენს პროექტის მენეჯერის რეკომენდაციას და მუზეუმის გადანყვეტილებას კონტრაქტორის მოთხოვნაზე ცვლილების შესახებ, ან ადასტურებს მუზეუმის მითითებას კონტრაქტორის მიმართ შეთავაზებული ცვლილების განხორციელებაზე.

- *დასამთავრებელი სამუშაოების სია*: პროექტის დასრულებისას პროექტის მენეჯერი მუზეუმთან კონსულტაციის შემდეგ ამზადებს სიას, რომელშიც პუნქტებად იქნება ჩამოყალიბებული ის კორექტირებები, რომლებიც უნდა იქნას შეტანილი სამუშაოში, სანამ კონტრაქტორის სამუშაო დასრულებულად ჩაითვლება.

- *ინპექტირების მოთხოვნა*: კონტრაქტორები ამ მოთხოვნას ამზადებენ მაშინ, როდესაც სჭირდებათ სამუშაოს ზოგიერთი ასპექტის (როგორცაა, მაგალითად, აუდიო-ვიდეო პროგრამა) ან მთელი გალერეის ოფიციალური ინსპექტირება. მუზეუმის მიერ დამტკიცება ნიშნავს, რომ სამუშაო მთლიანად დამთავრებულია და იმ შემთხვევაში, თუ საქმე მთელ გალერეას ეხება, ეს ნიშნავს, რომ იგი მზად არის იმისთვის, რომ ოფიციალურად ჩაბარდეს მუზეუმს.

- *ყოველდღიური სამუშაოს ფურცელი*: კონტრაქტორი აკეთებს სამუშაო საათების ჩამონათვალს დარგების მიხედვით, თითოეული გალერეისათვის. ეს დოკუმენტი ძალზე გამოსადეგია მაშინ, როდესაც ხდება რეალური ხარჯების ბიუჯეტის გათვლებთან შედარება.

- *ინსტრუქცია ობიექტის შესახებ*: პროექტის მენეჯერი კონტრაქტორის ოფიციალური ინფორმირებისთვის ავრცელებს დოკუმენტს სამუშაოს ზოგიერთი ასპექტის შესახებ. მაგალითად, თუ ობიექტზე არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა, შეიძლება გაიცეს ინსტრუქცია ამ ადგილზე პრობლემის მოგვარებამდე მუშაობის შეჩერების შესახებ.

ყველა ფურცელი უნდა თანმიმდევრობით დაინომროს, ასლები კი გადაეცეთ მხარეებს, რათა ყველა სრულად იყოს ინფორმირებული. თუ მოხდება ფაილების ყოველდღიური აკინძვა, პროექტის დასრულებისას უფრო ადვილი იქნება დოკუმენტების დაარქივება.

16.3 გამოწენის პროექტის წარმატებული მენეჯერის თვისებები

პროექტის მენეჯერს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა საქმის ერთდროულად კეთების ნიჭი და პროექტის მენეჯმენტისათვის აუცილებელი სხვადასხვა უნარ-ჩვევები. პროექტის მენეჯერი:

- უნდა იყოს ორგანიზებული;
- უნდა შეეძლოს საჭირო დოკუმენტაციისა და საკომუნიკაციო სისტემების მეთოდურად, ორგანიზებულად მართვა;

- უნდა შეეძლოს შესარულებელი სამუშაოს დელეგირება და მისი შემდგომი შესრულების მონიტორინგი – გამოფენის მოწყობა გუნდური სამუშაოა;
- უნდა შეეძლოს აზრის ზუსტად და მკაფიოდ გადმოცემა, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით;
- ფლობდეს კომპიუტერს (ტექსტები, ცხრილები, ელ-ფოსტა);
- უნდა შეეძლოს დროის ეფექტურად მართვა, გრძნობდეს რომელი სამუშაო როდის უნდა გაკეთდეს და რამდენ ხანს მოითხოვს;
- უნდა იყოს ერთგული უმაღლეს სამუზეუმო სტანდარტების (სამუშაოს ხარისხი), ბიუჯეტისა და გრაფიკის;
- უნდა იყოს შეუპოვარი, შეეძლოს პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და მათი აქტიურად გადაწყვეტა;
- შეეძლოს სხვების მოტივირება და დარწმუნება, რომ პროექტი გარკვეული მიმართულებით უნდა წარიმართოს;
- კარგად ერკვეოდეს ტექნიკურ საკითხებში და იცოდეს სად ეძებოს გამოსავალი;

16.4 საგამოფენო პროექტის ჩაბარება და დასრულება

ტესტირება და ჩაბარება არის იმის დასტური, რომ გამოფენა ტექნიკურად მზად არის დიზაინისა და ტენდერის სპეციფიკაციების შესაბამისად და მისთვის საჭირო ყველა მედია ფუნქცია (აპარატურა, პროგრამები, ელექტრული და მექანიკური სისტემები) გამართულად მუშაობს. ამის შემონმება ხდება თანმიმდევრულად ყველა გალერეაში, კონტრაქტორის მიერ თითოეული მათგანის დასრულების შემდეგ.

როდესაც გალერეის გამართვა დასრულდება და ყველა ექსპონატი თავის ადგილს დაიკავებს, კონტრაქტორმა მშენებლობის გეგმა დამთავრებული სახით პროექტის მენეჯერს და მუზეუმს უნდა მიანოდოს. ნახაზებს უნდა დაერთოს სია ყველა ექსპონატის, ნამუშევრისა და ნიმუშისა, რომელიც მოთავსებულია თითოეულ ვიტრინაში, აგრეთვე ვიტრინაში მოთავსებული ექსპონატების ფერადი ფოტოები. პროექტის დასრულებისას წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს სახელმძღვანელოებს, გარანტიებს, დამხმარე მასალებს და ინსტრუქციებს კომპიუტერული პროგრამების, ტექნიკის და აღჭურვილობისათვის, აგრეთვე, ინსტრუქციებს ყოველდღიური ოპერაციებისა და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტექნიკური მომსახურებისათვის. ამ დოკუმენტაციის ორი ასლი კონტრაქტორმა უნდა გადასცეს პროექტის მენეჯერს თითოეული გალერეის დასრულებიდან შეიდი დღის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც კონტრაქტორი გამოაცხადებს, რომ სამუშაო ძირითადად დამთავრებულია და ინსპექტირებას მოითხოვს, ყველა მხარის მოვალეობაა მოახდინოს გალერეის პირველი დათვალიერება, რათა დარწმუნდნენ ინსტალაციის, სამშენებლო დოკუმენტაციისა და ყველა სისტემის გამართულობაში. ასეთი ინსპექტირებიდან გამომდინარე, პროექტის მენეჯერი მოამზადებს დასამთავრებელი სამუშაოს სიას ყველა იმ ნაკლის გათვალისწინებით, რომელიც გამოსწორებას ან ცვლილებას მოითხოვს კონტრაქტორის მხრიდან. როგორც კი მოხდება რომელიმე ნაკლის გამოსწორება, ამის შესახებ სიაში აღინიშნება, ყველა ნაკლის გამოსწორების შემდეგ კი ინსპექტირება მოენწყობა. იმედია, სხვა დამატებითი ნაკლი არ

გამოვლინდება და სამუშაო დამთავრებულად ჩაითვლება.

კონტრაქტის თანახმად, ამ დროისათვის პროექტის მენეჯერი ამზადებს "სამუშაოს დასრულების სერტიფიკატს", რომელიც აღნიშნავს, რომ ამ დროიდან იწყება საგარანტიო პერიოდი და რომ გალერეა გადაეცემა მუზეუმს გახსნისა და გამოყენებისათვის.

16.5 საგარანტიო პერიოდი: მუშაობა და ტექნიკური მომსახურება

პროექტის მენეჯერმა და კონტრაქტორმა უნდა ერთობლივად მოამზადონ "მუშაობისა და მომსახურების სახელმძღვანელო", რომელიც ხელმისაწვდომი იქნება იმ დროისათვის, როდესაც კონტრაქტორი წარადგენს დასრულებული გალერეის ინსპექტირების მოთხოვნას. სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციები უნდა გადამონმდეს ობიექტის შემდგომი ინსპექტირების პერიოდში.

ასეთი სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს:

• გალერეების განლაგებას სართულების მიხედვით (შენობის დეტალურ პროექტთან და დოკუმენტაციასთან ერთად);

- ინვენტარისა და აღჭურვილობის ნუსხას გალერეების მიხედვით;
- ნაწილებისა და სათადარიგო ნაწილების ნუსხას;
- მუშაობის ინსტრუქციებს;
- გრძელვადიანი ტექნიკური მომსახურების გეგმას;
- მოკლევადიანი ტექნიკური მომსახურების გეგმას;
- ყურნალი ტექნიკური მომსახურების აღრიცხვისათვის;
- ყურნალი შეკეთების აღრიცხვისათვის.

მუზეუმმა პროექტის მენეჯერს უნდა დააეწიოს გალერეის ინსპექტირების ჩატარება საგარანტიო პერიოდის განმავლობაში. ასეთი ინსპექტირების მიზანია გალერეის მუშაობის ეფექტურობის გაკონტროლება. საგარანტიო პერიოდი შეიძლება იყოს ერთი წელი დასრულების შემდეგ, ხოლო ინსპექტირება შეიძლება იყოს კვარტალური. გაუმართაობის შემთხვევაში პროექტის მენეჯერს ევალება დაადგინოს ამის მიზეზი: არაკვალიფიციური მუშაობა (მაგალითად, მთლიანი საპროექციო სისტემისა), არაადეკვატური მომსახურება, შეცდომა ნახაზებში თუ უხარისხო მშენებლობა). პროექტის მენეჯერს ყველაზე უკეთ შეუძლია დასკვნების გამოტანა და გამოსავლის პოვნა, რადგან იგი თავიდანვე უწევდა კოორდინაციას გამოფენის მომზადების პროცესს. მუზეუმს უფლება აქვს დააკავოს 5% კონტრაქტორის კუთვნილი თანხიდან საგარანტიო პერიოდის გასვლამდე და საბოლოო ჩეკი გასცეს საბოლოო ინსპექტირების წარმატებით დასრულების შემდეგ.

პროექტის მენეჯერი შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილებას იგრძნობს მაშინ, როდესაც გამოფენა დროულად გაიხსნება და დააკმაყოფილებს ბიუჯეტის მოთხოვნებს, აგრეთვე, როდესაც ყველა გარდაუვალი პრობლემა წინასწარ განსაზღვრული და დროულად გადაჭრილი. კიდევ ერთი ჯილდო მისთვის იქნება იმის დანახვა, თუ როგორი აღტაცებით და ინტერესით დაათვალიერებს საზოგადოება გამოფენას და ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა შრომის შედეგად მოხდა ყოველივე ამის შექმნა.

სასწავლო მაგალითი 16.1 წარმოადგენს თუ როგორი მნიშვნელობა აქვს გუნდურ მუშაობას სამუზეუმო გამოფენის მომზადებაში და გვიჩვენებს პროექტის შიდა მენეჯმენტის მაგალითს.

სასწავლო მაგალითი 16.1

როლდ დალის ბავშვთა გალერეა

პროექტის მენეჯმენტი ბეკინგჰემშირის საგრაფოს მუზეუმში

ქოლინ დოუსი და დევიდ ერსკინი

როლდ დალის ბავშვთა გალერეა ბეკინგჰემშირის საგრაფოს მუზეუმში, (ეილსბური, გაერთიანებული სამეფო) ინოვაციური, აქტიური სწავლების დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს წარმოსახვით, ჯადოსნურ საგანმანათლებლო მუშაობას. ის იყენებს სიუჟეტებსა და პერსონაჟებს როლდ დალის საბავშვო წიგნებიდან იმისთვის, რომ შექმნას მუზეუმის კოლექციების უჩვეულო, მეტად პიროვნული გაცნობა. წინამდებარე სასწავლო მაგალითი აღწერს მუზეუმის განვითარებას და იმას, თუ როგორ მიმდინარეობდა მენეჯმენტი პროექტისა, რომელსაც განხორციელების გზაზე მრავალი განსაკუთრებული და უჩვეულო გარემოება ჰქონდა გასათვალისწინებელი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო:

- უნიკალური კონცეფცია, რომელიც ფაქიზ მიდგომას მოითხოვდა;
- როლდ დალის სახელის გამოყენება, რასაც საავტორო უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები ერთვოდა;
- პროექტის ჩართვა საგრაფოს მუზეუმის აღდგენის საერთო გეგმაში;
- კაპიტალური ფონდების მოზიდვის საჭიროება და ამასთან დაკავშირებული ვარაუდების განრიგის შედგენა;
- მკაცრი ბიუჯეტური შეზღუდვები;
- შეზღუდული საშტატო რესურსები.

1990-იანი წლების დასაწყისში ბეკინგჰემშირის საგრაფოს მუზეუმში კაპიტალური აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. არსებობდა სურვილი, რომ როგორც ამავე პროექტის ნაწილი, შექმნილიყო აქტიური სწავლების მუზეუმი ბავშვებისათვის, მაგრამ დაფინანსების შოვნა ძნელი იყო და ამიტომ თავდაპირველად გალერეის გახსნა თვითონ მუზეუმის მთავარ შენობაში დაიგეგმა. მაგრამ როდესაც როლდ დალის ოჯახმა შესთავაზა 75 ათასი ფუნტი სტერლინგი მისი მემორიალის შესაქმნელად, გაჩნდა გალერეის ცალკე შენობაში მოწყობის შესაძლებლობა. ეს იყო იქვე მდებარე XVIII საუკუნის შენობა, ყოფილი ეკლესიის სადგომი, რომელიც საუკეთესო არჩევანი იყო როლდ დალის სახელობის საბავშვო გალერეის მოსაწყობად.

ახალი გალერეის (რომელიც ერთობლივად დააარსეს რეგიონის მუზეუმების საბჭომ და ბეკინგჰემშირის საგრაფოს მუზეუმმა) კონცეფციის შექმნის საკითხზე სამუშაოდ მიიწვიეს ამ წიგნის ერთ-ერთი რედაქტორი, გეილ დექსტერ ლორდი. მან მუზეუმს დაუსაბუთა, რომ მსოფლიოს უსაყვარლესი საბავშვო მწერლის როლდ დალის სახელი საზოგადოების დიდ ინტერესს გამოიწვევდა. შემდგომში გამოფენის გეგმები გაფართოვდა და გადაწყდა შენობის არსებულ 150 კვადრატულ მეტრამდე გაფართოვება.

გეილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გაჩნდებოდა სურვილი, განსაკუთრებით ბავშვების მხრიდან, შეხვედროდნენ როლდ დალის ზღაპრების პერსონაჟებს. რა იქნებოდა როლდ დალის გალერეა კეთილი გოლიათის ან ვილი ვონკას გარეშე? ასე, რომ გადაწყდა დალის მოთხრობებისა და მათი პერსონაჟების გამოყენება იარაღად მუზეუმის საბავშვო კოლექციის ინტერპრეტაციისთვის.

გალერეის წინაშე გამოიკვეთა სამი ძირითადი ამოცანა:

- მუზეუმის კოლექცია ხელმისაწვდომი ყოფილიყო საოჯახო დასწრებისთვის;
- შექმნილიყო მძლავრი შემეცნებითი და სასწავლო პირობები;
- როაღდ დაღის საბავშვო ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი სულისკვეთება და თემატიკა აქტიურად გამოეყენებინათ.

გეილის ფირმა "ლორდ ქალჩერალ რესორსეს პლენინგ ენდ მენეჯმენტ" (Lord Cultural Resources Planning & Management) ასევე გადაერთო ვიზიტორთა და არა-ვიზიტორთა შესაწავლაზე და ქმნიდა სპეციალურ ჯგუფებს, რათა მათ მაგალითზე შეესწავლა საზოგადოების მოთხოვნილებები მუზეუმში ყოფნისას. ამ გამოკვლევამ უჩვენა, რომ სწორედ ოჯახები იქნებოდა უმნიშვნელოვანესი სექტორი, ამან კი თავის მხრივ, დიდი ზემოქმედება მოახდინა გალერეის სახესა და მის ამოცანებზე.

ისტორიული შენობა, ოდესღაც ეტლების სადგომი, ერთგვარ შეზღუდვებს ქმნიდა მისი საგამოფენოდ გამოყენებისათვის. სამაგიეროდ, შენობის უჩვეულო წყობა დიდი კარებით, ჭერის კოჭებით და მიმდებარე კოტეჯებით გამოფენისთვის მომგებიანი, თუმცა ძალიან სერიოზულ რემონტს მოითხოვდა და მუზეუმის შემოგარენის აღდგენის უფრო დიდი გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. დაგეგმარების ხელმძღვანელი გაგებით მოეკიდა არქიტექტორის წინადადებას მიშენების ინოვაციური დიზაინის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ახალ შესასვლელს, ლიფტს (დიდი შუშის ლიფტი "ჩარლი ენდ ჩოქლით ფექტორისგან"), კიბეს და სხვ.

გალერეის ხარჯთაღრიცხვის შედგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ როაღდ დელის ოჯახის მიერ ნაჩუქარი თანხა არასაკმარისი იყო მთლიანი პროექტის დასაფინანსებლად. ამიტომ გალერეის გენერალურ დაგეგმარებასთან ერთად აუცილებელი გახდა თანხების მოზიდვის პროგრამის განხორციელება დირექტორის, ქოლინ დოუსის მიერ. პროექტის განხორციელების განრიგი დიდად იყო დამოკიდებული თანხების შემოსვლაზე. გამოფენის გეგმა და ბიზნეს გეგმა, რომლებიც გადამწყვეტი იყო თანხების მოზიდვისათვის (განსაკუთრებით, ახალდაარსებული "ნაციონალური ლატარიისგან"), მიიღეს კომპანია "ლორდ ქალჩერალ რესორსეს პლენინგ ენდ მენეჯმენტისგან".

პროექტის შემდგომი წინსვლისთვის იგი ფაზებად და სერიებად დაიყო:

- ეტლების სადგომის შენობის აღდგენა (მიიღო ცალკე დაფინანსება, როგორც მუზეუმის საერთო აღდგენითი სამუშაოს ნაწილმა);
- ეტლების სადგომის შენობისთვის მიშენების პროექტის მომზადება და მშენებლობა;
- შინაარსობრივი გამოკვლევა (საავტორო უფლებების ჩათვლით);
- ექსპოზიციების თავდაპირველი დიზაინი;
- ექსპოზიციების საბოლოო დიზაინი და კონსტრუირება;
- დამხმარე გეგმარება გამოფენის გახსნისა და მენეჯმენტისთვის;

პროგრამის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო 1994 წლის დასაწყისიდანვე პროექტის განვითარებასა და ხელმძღვანელობაში განათლების მუშაკის ჩართვა. იმის გამო, რომ გალერეას ძირითადად საგანმანათლებლო ფუნქცია ეკისრებოდა და სკოლებისა და საზოგადოების სამსახურში უნდა ყოფილიყო, პროექტის მენეჯერი, რომელსაც გამოცდილება ექნებოდა როგორც პედაგოგიურ, ისე გამოფენების მენეჯმენტის სფეროში, წარმატებას მოუტანდა პროექტს. ხშირად განათლების სფეროს წარმომადგენლები პროექტის განვითარების უკა-

ნასკნელ მომენტამდე არ ერთვებიან ხოლმე პროექტში, ზოგჯერ კი სულაც გახსნის შემდეგ ერთვებიან.

დევიდ ერსკინი, საგანმანათლებლო პროგრამის ასისტენტი, ასრულებდა ბავშვთა გალერეის პროექტის მენეჯერის მოვალეობას მთელი რიგი ოპერაციების განხორციელების დროს და პარალელურად ექსპონატების კვლევისა და განვითარების საკითხებზე მუშაობდა. საგრაფოს მუზეუმის დირექტორს – ქოლინ დოუსს კვლავ საყოველთაო კონტროლი ევალებოდა, მაგრამ განსაკუთრებით ფონდების მოზიდვასა და მთავარი მუზეუმის აღდგენაზე იყო კონცენტრირებული. არქიტექტორი ამუშავებდა წინადადებებს მშენებლობის განრიგთან დაკავშირებით და ამგვარად ადგენდა პროგრამას, რომელიც უნდა დამთხვეოდა მთავარი მუზეუმის სამშენებლო სამუშაოების დამთავრებას. ეს იძლეოდა ობიექტზე მუშაობის გამოცდილების გამოყენების საშუალებას და თავიდან იცილებდა ფართომასშტაბიანი მშენებლობის საჭიროებას მთავარი მუზეუმის გახსნის შემდეგ.

საგრაფოს საბჭოს მიერ დაფინანსებული ეტლების სადგომის შენობის აღდგენა 1994 წელს დაიწყო. მის გასაფართოებლად მიშენების დაწყება რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან პროექტის დასრულებისთვის გამოყოფილი დამატებითი დაფინანსების მიღებამდე დაიწყო. იგივე შეიძლება ითქვას დისპლექსის დაპროექტებასთან დაკავშირებით, რომელიც დაიწყო იქამდე, ვიდრე მათი დაფინანსების საკითხი გადაწყდებოდა. მუზეუმის ხელმძღვანელობას არასოდეს არავითარი პასუხისმგებლობა რისკებზე დაფინანსების უკმარისობის გამო თავის თავზე არ აუღია.

იმ დროს, როდესაც დირექტორი გალერეისათვის ფონდების მოზიდვაზე მუშაობდა, საგანმანათლებლო პროგრამის ასისტენტი ექსპოზიციების იდეებს ამუშავებდა. თავიდაპირველ ეტაპზე მუზეუმის მთელი შტატი ნაახალისეს, რათა ჩართულიყვნენ ამ საქმეში და იდეები შემოეთავაზებინათ. ისინი კითხულობდნენ როაღდ დაღის წიგნებს, უსმენდნენ ფირზე ჩანერიღ მის მოთხრობებს და უყურებდნენ მისი საბავშვო ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ ფიღმებს. თავისუფალი აზრისათვის გასაქანის მისაცემად მუზეუმის გარეთ ტარდებოდა ბრენშტორმინგული შეკრებების მთელი სერიები. შემოქმედებითი მუშაობა სამუშაო საათებით არ შემოიფარგლებოდა, მრავალი იდეა აღმოცენდა არაფორმალურ სიტუაციაში – ჭამა-სმის დროს და მუზეუმის თანამშრომლების ოთახში.

საგანმანათლებლო პროგრამის ასისტენტი სტუმრობდა ადგილობრივ სკოლებს მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან კონსულტაციებისათვის, რათა გაეგო, თუ რას მოელოდნენ ისინი გალერეისგან, რა მოსწონდათ და რა – არა როაღდ დაღის ნაწარმოებებში. 1995 წლის თებერვალში გაიმართა საცდელი გამოფენა, რომელსაც უნდა გამოეყვინა საზოგადოების აზრი პროექტთან მიმართებაში, მისი აზრი ამა თუ იმ ექსპონატზე და ის, თუ რამდენად პოპულარული იყო თვით როაღდ დაღი.

გამოფენის ნარმატებისთვის აუცილებელი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად მიმზიდველი იქნებოდა იგი მოსწავლეებისთვის სემესტრის განმავლობაში და საზოგადოებისთვის უიკენდებისა და შვებულებების პერიოდში. მუზეუმის ექსპონატებთან დაკავშირებული იდეების ჩამოყალიბების პროცესში სამი შესაძლო ამოსავალი წერილი იყო:

- მუზეუმის კოლექციები;
- ნაციონალური სასწავლო პროგრამა
- როაღდ დაღის წიგნები

აირჩიეს დაღის წიგნები, რადგან იგი აღტაცებული იყო გარემომცველი სამყაროთი

და მის წიგნებში ბევრი მინიშნებაა ბუნებისმეტყველების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროდან. თემები, რომელიც საბოლოოდ შეარჩიეს, საუკეთესო კუთხით აშუქებდა არსებულ კოლექციებს და უკავშირებდა მათ სასწავლო პროგრამას. თანაბარი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამ მთავარ მცნებას: წარმოსახვა, სიტყვათა თამაში და იუმორი. ეს ელემენტები თანაბარ ზემოქმედებას ახდენდა გამოფენის ყველა ასპექტზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ასისტენტი გარკვეული მუშაობა უნდა ჩაეტარებინა მუზეუმის თანამშრომლებთან, რათა მიეღწია შეთანხმებისათვის იმაზე, თუ რომელი კოლექციების გამოფენა უფრო შესაფერისი იქნებოდა ასეთ უჩვეულო გარემოში. გამოიკვთა სამი კატეგორიის ექსპონატები:

- მაღალი ხარისხის ნამდვილი არტიფაქტები მუზეუმის მუდმივი კოლექციიდან, რომელთაც გამოფენის დროს დაცვა სჭირდება;

- სასწავლო ექსპონატები მუზეუმის ასლებისა და დუბლიკატების საგანმანათლებლო კოლექციიდან;

- დეკორატიული ან უცნაური ნივთები, სპეციალურად შექმნილი სხვა ნყარობიდან, როგორცაა ძველი ნივთების მალაზია ან ანტიკვარიატით მოვაჭრეები.

განსაზღვრული იყო, რომ ექსპონატები არ უნდა ყოფილიყო მაღალი ტექნოლოგიით დამზადებული, რათა მათი მომსახურება ადგილზევე ყოფილიყო შესაძლებელი. სასურველი იყო ჩვეულებრივ ხელმისაწვდომი კომპონენტების ისე გამოყენება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გაცვეთილი ნაწილების ადვილად გამოცვლა. ეს რაიმე ექსპონატის შეკეთების მიზეზით გამოფენის დახურვის დროს ამცირებდა, რაც ასეთი დიდი გალერეისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

პროექტის დასაწყისშივე გადაწყდა, რომ საბავშვო გალერეის ექსპოზიციების პროექტებს იგივე სადიზაინერო კომპანია შეასრულებდა, რომელიც იმუშავებდა მთავარი მუზეუმის გალერეების რეკონსტრუქციაზე. ამ მიზნით შეარჩიეს კომპანია "ბრემნერი და ორრი", რომელიც თავისი ინოვაციური სტილით და შიდა სამუშაოების შესრულების გამოცდილებით გამოირჩეოდა. მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ მთავარი მუზეუმი ბავშვთა გალერეაზე ერთი წლით ადრე უნდა გახსნილიყო, დიზაინერებს მიეცათ შესაძლებლობა ამ დროის განმავლობაში არაფორმალურად როალდ დალის ბავშვთა გალერეის პროექტზეც ემუშავათ. ამით იზრდებოდა პროექტისთვის მოსამზადებელი პერიოდი, რაც იდეების შემდგომი დახვეწის საშუალებას იძლეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპოზიციის საერთო სქემა შემუშავდა, საბოლოოდ არ დამტკიცებულა, რის გამოც შესაძლებელი გახდა უფრო მოქნილი, შემოქმედებითი და შეთანხმებული მუშაობა დიზაინერებსა და მუზეუმის თანამშრომლებს შორის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა, უბრალოდ, მეტი შესაძლებლობა იყო შემოქმედებითი მუშაობისათვის უკანასკნელ მომენტამდე. ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა სრული პატივისცემა და ურთიერთგაგება დიზაინერებსა და მუზეუმს შორის. მას შემდეგ, რაც მოგვიანებით პროექტმა სრული დაფინანსება მიიღო, ხანგრძლივი დაგეგმარებისა და პროექტზე მუშაობის შემდეგ, შესაძლებელი გახდა მისი გაგრძელება დადგენილი საბოლოო ვადის გარეშე.

გალერეის შინაარსი დეტალებისადმი დიდ ყურადღებას მოითხოვდა. მუზეუმის ზოგიერთ თანამშრომელს დაევალა იმის გაკონტროლება, რომ ყველაფერი სათანადოდ და დროულად ყოფილიყო შესრულებული. მაგალითად, დირექტორს გადაეცა პატარა საგა-

მოფენო ყუთები, რომლებიც ეკუთვნოდა ექსპოზიციას "ჩემი მუზეუმი" და სხვადასხვა კერძო პირთაგან დროებით მიღებულ კოლექციებს შეიცავდა, მაგალითად, როაღ დალის ოჯახის და იმ ადამიანების კოლექციებს, ვინც ასოცირებული იყო დალის ნიგნებთან და გალერეის შექმნასთან.

მჭიდრო ფინანსური შეზღუდვების გამო მუზეუმის ტექნიკური განყოფილების თანამშრომლები დიზაინერებთან ერთად მუშაობდნენ ვიტრინების დამზადებისა და გალერეებში სამღებრო სამუშაოების შესრულებაზე. ამ სამუშაოების გრაფიკს დიზაინერები ადგენდნენ და თანამშრომლები მის შესაბამისად მუშაობდნენ. ინტერიერის დეკორი ფერებისა და დეკორაციების შეთანხმების მხრივ დიზაინერების მიერ კონტროლდებოდა. მათ მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ არქიტექტორებთანაც, რათა ელექტრო და მექანიკური ინსტალაცია რაც შეიძლება უფრო ეკონომიურად შესრულებულიყო.

ექსპოზიციების მომზადება დაიწყო გალერეის გახსნამდე ექვსი თვით ადრე და წინ გაუხსნრო ისეთ სამუშაოებს, როგორცაა: გალერეის თანამშრომელთა დანიშვნა და მომზადება, გახსნაზე საზოგადოებისა და გამოჩენილ ადამიანთა მიწვევის, ბილეთებისა და ვიზიტორთა მიღების საკითხების ორგანიზაცია. დიზაინერებს აგრეთვე დაევალებათ შექმნათ სია იმ მასალებისა, რომლის შეძენაც დასჭირდებოდათ მუზეუმის მალაზიისათვის, რათა ის შესაბამისობაში ყოფილიყო გალერეის დიზაინის დეტალებთან.

გალერეის უფროსი ასისტენტი შტატების შერჩევისა და სამუშაო პროცედურების შესამუშავებლად გამოფენის გახსნამდე სამი თვით ადრე დაინიშნა. გახსნის შემდეგ მას ევალებოდა გალერეის მუშაობის ყოველდღიური მართვა, სასკოლო ჯგუფებისა და თანამშრომლების მომზადება. უიკენდებზე და არდადეგებზე მას სრულშტატიანი ასისტენტი და ნახევარშტატიანი გიდი- "ამხსნელების" ჯგუფი ეხმარებოდნენ.

გალერეას მხოლოდ 85 ადამიანის მიღება შეეძლო ერთდროულად, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი მეთოდის მოფიქრებას, რომელიც პიკის საათებში დამთვალიერებელთა რაოდენობას და დემონსტრირების ხარისხს შეინარჩუნებდა. თავიდან დანომრილი ბილეთების გაყიდვა დაიწყეს მათთვის, ვინც პირველად იყო მისული, ხოლო დამთვალიერების სურვილის მქონეთა შემდგომი ნაკადი მსურველთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა. ღიგში მდგომთათვის სამუხაროდ, ზოგიერთი დამთვალიერებელი უარს აცხადებდა ნებაყოფლობით გამოფენიდან გამოსვლაზე. მალე შემოიღეს ერთსაათიანი ვადის მქონე ბილეთები, რომლის წინასწარ დაჯავშნაც იყო შესაძლებელი.

პროექტის მთლიანი ღირებულება 620 ათასი ფუნტი სტერლინგი იყო. ძირითადი ფინანსური მხარდაჭერა როაღ დალის ოჯახის, ბეკინგჰემშირის საგრაფოს საბჭოს, "ლატარიის მემკვიდრეობის ფონდის", საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სპონსორებისგან მოდიოდა.

როაღ დალის სახელობის ბავშვთა გალერეა 1996 წლის 25 ნოემბერს გაიხსნა და არსებობის პირველ წელიწადში 75 ათასი დამთვალიერებელი მიიღო. მას შემდეგ გალერეა აგრძელებს მუშაობას და რეგიონის მთავარ ღირსშესანიშნაობად რჩება.

მალაზიები მუზეუმები

სიუზენ დანლოპი

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ მუზეუმებში განთავსებული მალაზიები ამ დაწესებულებათა პროგრამების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარდა იმისა, მალაზიების როლი დიდია როგორც შემოსავლის ერთ-ერთი წყაროსი, მნიშვნელოვანია მათი საგანმანათლებლო ფუნქციაც, ის, რომ მალაზიები მუზეუმში ვიზიტის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, ცვლის მათ შინაარსობრივ დატვირთვას და ზრდის მნიშვნელობას. მალაზიების გამო ნაწილობრივ იზრდება მუზეუმების დამთვალეიერებელთა რიცხვი. ადამიანები მუზეუმებში გართობას მოელონ, მალაზიები კი გართობის ნაწილია. ადმინისტრატორები აღიარებენ მალაზიების ზომისა და მდებარეობის დიდ მნიშვნელობას მათი მუშაობისთვის. სამუზეუმო მალაზიების მოდერნიზება, გაფართოვება, ინოვაცია, დახვეწა და განახლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შემოსავლის ზრდას.

მუზეუმის მალაზიები დაწესებულების ხასიათს თავიანთი დიზაინით, ექსპოზიციის გაფორმებით და დიზაინის თავისებურებებით გადმოსცემს, მათ პროდუქტებში კი გამოფენების, პროგრამებისა და კოლექციების ხასიათი აისახება. როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, მუზეუმის მალაზიებსაც სჭირდება მარკეტინგული სტრატეგია, რაც დიდად ეხმარება მათ და ხელს უწყობს მუზეუმთან ინტეგრირებაში. მუდმივი, დროებითი და მოძრავი გამოფენების დაგეგმვა და მოწყობა მოითხოვს მუზეუმის ყველა დეპარტამენტის ერთობლივ ძალისხმევას, მათ შორის მალაზიებისაც. მალაზიის თანამშრომლებს მოეთხოვებათ მუზეუმის ამოცანებისა და მიზნების ცოდნა და გაზიარება, კონცენტრირება მიმდინარე და მომავალ გამოფენებზე, ინფორმირებულობა მომავალი გეგმების შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მალაზიისთვის ახალი პროდუქციის, პროექტის შემოსავლების და ხარჯების დაგეგმვა.

17.1 საცალო ვაჭრობის კვლევა

მუზეუმის საცალო ვაჭრობის კვლევაში ორი მიმართულება არსებობს: კოლექციებზე დამყარებული გამოკვლევა და საბაზრო კონიუნქტურის შესწავლა.

მიუხედავად სამუზეუმო კოლექციების სიმდიდრისა როგორც დიზაინის, ისე იდეების მხრივ, პროდუქციის შექმნისა და მათი განვითარების მასშტაბებით მალაზიები გამოფენებს აღემატება. კოლექციის კვლევა უმნიშვნელოვანესი მომენტია იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი პროდუქციის შექმნა იქნება მეტად მომგებიანი და მუზეუმის სპეციფიკაციის მატარებელი რომელი პროდუქციის წარმოჩენა აჯობებს მალაზიისთვის. ეს მოითხოვს მუზეუმის მისიის, მისი დანიშნულებისა და თავისებურებების ცოდნას. ასევე, დროებითი თუ მოძრავი გამოფენების მუზეუმის გეგმების შესწავლა აუცილებელია იმის გადასაწყვეტად, საჭიროა თუ არა პროდუქციის შექმნა ან დამზადება ამ შედარებით ხანმოკლე გამოფენებისთვის.

პროდუქციის განვითარება ნიშნავს არტეფაქტების, ნიმუშების ან ნამუშევრების შერ-

ჩვენას მუდმივი ან დროებით სარგებლობაში მიღებული კოლექციებიდან, მაღაზიის ასორტიმენტის შესაქმნელად, რომელშიც იქნება როგორც განსაკუთრებული, ისე ჩვეულებრივი ნივთები.

გამოკვლევა უნდა მოიცავდეს აგრეთვე:

- სხვა მუზეუმების (განსაკუთრებით საიდანაც მიღებულია მოძრავი გამოფენა) მაღაზიებში ვიზიტები მისაბაძი იდეების აღმოსაჩენად;
- ორგანიზაციაში გამოყენებული გამოსახულებების განხილვა;
- დარგობრივ ჟურნალებში რეკლამის შესწავლა;
- სპეციალიზებულ სავაჭრო გამოფენებზე დასწრება.

პროდუქციის შექმნამდე აუცილებელია მისი კომერციული მიმზიდველობის შემოწმება. პროდუქციის კომერციული წარმატების შეფასებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას გარეშე მხარეები, როგორებიც არიან მომწოდებლები, საცალო მოვაჭრეები და ე.წ. ფოკუს-ჯგუფები.

პროდუქციის თითოეული სახეობის დამზადებაც ასევე კვლევის ნაწილია და მოიცავს შემდეგს:

- გადანყვეტილების მიღებას იმაზე, თუ რა ნივთი უნდა დამზადდეს, შესაფერისი დიზაინერისა და მწარმოებლის შერჩევას და მათი ფასის დადგენას, შერჩეულ მწარმოებელთან მუშაობას;
- დიზაინისა და დამზადების პროცესის მონიტორინგს, ამასთანავე, ხარისხის შეფასებასა და კონტროლს, შესაბამისი შეფუთვის უზრუნველყოფას;
- ბიზნეს გეგმის შემუშავებას, რომელიც დოკუმენტურად წარმოადგენს დასამზადებელი პროდუქტის ხარჯებს, სასაქონლო სახეს, თვითგამოსყიდვის წერტილს და პროგნოზირებული მოგების სიდიდეს;
- შემოწმებას, რომ წარმოების დაწყებამდე ყველა შეთანხმება წერილობით იყოს გაფორმებული მწარმოებლების სატენდერო დოკუმენტაციისა და კურატორებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მხრიდან დამამტკიცებელი საბუთების ჩათვლით.

კოლექციის კვლევასთან ერთად მაღაზიის მენეჯერს ევალება იცნობდეს ბაზაარს, რაც დაეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რა ტიპის პროდუქტების ყიდვა თუ დამზადება სჭირდება მაღაზიას. ეს მიდგომა ეფუძნება აზრს, რომ მაღაზია კლიენტისთვის არსებობს და საჭიროა იმის ცოდნა ვინაა ის და რა უნდა მას; მხოლოდ მაშინ შეძლებს მაღაზია მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბაზრის სეგმენტის განსაზღვრა დამოკიდებულია შემდეგ საკითხებზე:

- გეოგრაფიულ თავისებურებებზე (დამთვალეიერებელთა წამოსვლის ადგილის სიმორის მიხედვით – ადგილობრივები არიან, ახლომდებარე ადგილებიდან ჩამოსულები თუ ტურისტები?);
- დემოგრაფიულ თავისებურებებზე (დამთვალეიერებელთა სქესი, შემოსავალი, პროფესია, განათლება, ასაკი, ოჯახის წევრთა რაოდენობა და ა.შ.);
- ფსიქოგრაფიულ განსხვავებებზე (ცხოვრების სტილი, სამომხმარებლო სტატუსი).

მაღაზიის მენეჯერმა უნდა განიხილოს აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული გამოფენების ტიპები და განსაზღვროს, თუ რომელ აუდიტორიას მიმართავს, ასევე, უნდა წინასწარ განსაზღვროს დამთვალეიერებელთა ნაკადები და მათ გავლენა მაღაზიის მუშაობაზე. მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- **ვიზიტორთა ტიპები.** ვიზიტორთა ტიპების განსაზღვრა ძალზე მნიშვნელოვანია მუზეუმის პერსონალის დაკომპლექტებისთვის. ზოგიერთ მუზეუმში მნახველების ნაკადი უწყვეტია, ზოგი კი პირიქით, სეზონურ ცვალებადობაზე ან დასწრების სხვადასხვაგვარ მოდელზეა დამოკიდებული, რომელიც გამოფენებისა და სხვა პროგრამების გათვალისწინებით იცვლება.

- **ფასიანი და უფასო შესვლა.** უფასო შესვლამ შეიძლება უფრო ხშირი ვიზიტები გამოიწვიოს, რაც პოტენციური კლიენტების მოზიდვის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე, უფასოდ შესული კლიენტი უფრო მეტად არის განწყობილი ფულის დასახარჯად. კარგი იქნებოდა მაღაზიის ისეთ ადგილას განთავსება, რომ ემუშავა მაშინაც, როდესაც თავად მუზეუმი დაკეტილი იქნებოდა. თანაც თუ შესაძლებელი იქნებოდა მაღაზიაში უფასო შესვლა მაშინაც კი, როდესაც მუზეუმში შესვლა ფასიანია.

- **ვიზიტორთა დაკმაყოფილება.** გამოკვლევები უჩვენებს, რომ რაც უფრო მეტ ხანს ატარებს დამთვალეობელი მუზეუმში, მით უფრო მეტია მაღაზიაში დახარჯული თანხა.

არსებული საბაზრო მონაცემების გამოყენება და მუზეუმის პერსონალთან და დეპარტამენტებთან ერთად მუზეუმის საყოველთაო მარკეტინგული მიზნების განხილვა მაღაზიის მენეჯერს აძლევს საჭირო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი ბაზრები აქვს მუზეუმს დაპყრობილი და რომელია მისი სამიზნე ბაზრები მომავალში. ამ ინფორმაციით და კოლექციების შესახებ გამოკვლევით შეიარაღებულ მაღაზიის მენეჯერს შეუძლია დაგეგმოს პროდუქციის განვითარება და შეიმუშავოს შესაბამისი ბიზნეს სტრატეგია.

17.2 საქონლის ასორტიმენტი (ბაყიდვების სტრუქტურა)

ასორტიმენტზე მუშაობა მოითხოვს დროს და ხშირად ძვირიც არის. ეს საქმიანობა სხვადასხვა მუზეუმში სხვადასხვანაირად წარიმართება. ზოგიერთი მუზეუმის ასორტიმენტი იქმნება არარეგულარულად, კონკრეტული შემთხვევისთვის, მაშინ, როდესაც ზოგიერთ მუზეუმში ცდილობენ შექმნან იმდენი საკუთარი ბრენდი, რამდენის შესაძლებლობასაც მისცემს ფინანსური და ადამიანური რესურსები. ზოგიერთ დიდ მუზეუმს აქვს პროდუქციის განვითარების სრულად ჩამოყალიბებული პროგრამა, რომელიც სათანადოდ არის დაკომპლექტებული შტატებით და უზრუნველყოფილი ფინანსურად. მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმს აქვს პროდუქციის ათასამდე ხაზი, რომელიც მათ "საკუთარ ბრენდს" წარმოადგენს.

ზოგადად, მუზეუმის მაღაზიების პროდუქციას ერთდროულად მუზეუმის საგანმანათლებლო მიზნებისა და მისიის განხორციელებაშიც შეაქვს წვლილი და ამავე დროს – იყიდება კიდევაც. უნიკალური სამუზეუმო პროდუქცია სხვადასხვაგვარად შეიძლება შეიქმნას და განვითარდეს. ყველაზე ხშირად კი ეს არის:

- **რეპროდუქცია და ასლი:** ექსპონატის ზუსტი ასლი, როგორც ზომის, ისე ფერისა და მასალის თვალსაზრისით. ასეთი ნივთზე აუცილებლად უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული, რომ ის ასლია, და არა ორიგინალი.

- **ადაპტირება:** ნივთი ორიგინალთან უდაო მსგავსებას ავლენს, მაგრამ შეცვლილია მისი ზომა, ფერი და/ან მასალა – მაგალითად, შემცირებული ზომის კერამიკული ლარნაკი, ან სელის ძელებური სუფრა, რომლის ასლი პოლიესტერის მასალითაა შესრულებული.

- **ინტერპრეტაცია:** ნივთი შთაგონებულია მუზეუმის კოლექციაში დაცული ამა თუ იმ

ექსპონატი. მაგალითად, ქსოვილის ორნამენტი გადატანილია კედლის შპალერზე.

- **კრეაცია:** მხატვრის ან ფოტოგრაფის კვლევის შედეგად შექმნილია რალაც ახალი ნივთი; მაგალითად, ღია ბარათი ან პლაკატი, რომელიც არტეფაქტის ან სურათის ფოტოს საფუძველზეა დამზადებული.

- **სახსოვარი:** პროდუქცია, რომელიც მუზეუმში მოწყობილი საინტერესო ღონისძიების სამახსოვროდაა შექმნილი.

- **სპეციალურად დამზადებული საგნები;** კოლექციასთან დაკავშირებული პროდუქცია, რომელზეც მუზეუმის დასახელება და/ან ლოგოა აღბეჭდილი. მას ამზადებს მწარმოებელი, რომელიც შეიძლება ამასთანავე დისტრიბუტორიც იყოს, თუმცა შეიძლება მხოლოდ ამზადებდეს პროდუქციას. ეს შესაძლებლობას აძლევს მუზეუმს შექმნას პოპულარული გასაყიდი ნივთები, რომელიც მხოლოდ ამ მუზეუმთან არის დაკავშირებული და რომლის დიზაინის ღირებულებაც, ჩვეულებრივ, გასაყიდ ფასში შედის.

კალიფორნიაში, სენ სიმეონში, ჰერსტის ციხე-სიმაგრის დაცვის ფონდს აქვს მალაზია, რომელიც საკუთარი კოლექციის გონივრული გამოყენების მაგალითს წარმოადგენს და მას შთაგონების, ადაპტირების, რეპროდუცირების და დამზადების წყაროდ შესანიშნავად იყენებს. აქაური შანდლები, ნიგნის სადგარები, თაროები და კვარცხლბეკები კოლექციაში არსებული კლასიკური არქიტექტურული ელემენტების ადაპტაციებია. დეკორატიული ელემენტები კოლექციაში დაცული ნივთების: ქერუბიმების, ყვავილის გირლიანდების, ლომების და აკანტუსის ფოთლების მოყვანილობას და დიზაინს იმეორებს. არ ნუვოსა და არ დეკოს ავეჯითაა შთაგონებული გასაყიდი ჩარჩოები, ზარდახშები, სუნამოს ბოთლები და მოსაკაზმი მაგიდის დეტალები. აქვე შესაძლებელია ციხე-სიმაგრეში დაცული ვერცხლის ჭურჭლის, დანა-ჩანგლისა და შანდლების ასლების შექმნაც. რამდენიმე ნივთი კოლექციის ექსპონატი-ბითაა შთაგონებული — მაგალითად, ტყვიის ბროლის თასი და სადგამი, შთაგონებულია XX საუკუნის დასაწყისის მაგიდის სანათურის ფეხის დიზაინით, მაგრამ ამავე დროს იმეორებს ციხე-სიმაგრის ბაღში მდებარე XVI საუკუნის ფლორენციული მოჩუქურთმებული ქვის ავზის დეკორსაც.

როგორც ზემოთ ითქვა, მუზეუმების უმეტესობას იმის რესურსები არ გააჩნია, რომ 100% საკუთარი ბრენდი გამოუშვას და შენარჩუნოს. პროდუქციის ასორტიმენტი ნაწილობრივ იმ მხატვრების, ხელოსნების, გამომცემლების, გამყიდველების, აგრეთვე მსგავსი კოლექციების მქონე სხვა მუზეუმების მიერ მოწოდებული საქონლით ივსება, რომელიც მიესადაგება მოცემული მუზეუმის მისიას და უფლებამოსილებას. გამსაღებლებისაგან პროდუქციის შესყიდვას ის უპირატესობა აქვს, რომ მუზეუმს შესაძლებლობა ეძლევა შეამონმოს და შეაფასოს, თუ რამდენად იყიდება საქონელი, ვიდრე თვითონ დაიწყებს საკუთარი პროდუქციის შექმნას.

17.3 მუზეუმის მალაზიის მიღვა

მუზეუმების უმეტესობას არა აქვს კაპიტალი იმისათვის, რომ ინვესტიცია დააბანდოს მალაზიის ასორტიმენტის სრულმასშტაბიანი განვითარების პროგრამაში. ასევე არა აქვს მათ საკმარისი ადამიანური რესურსები საჭირო კვლევებისა და ევალუაციის ჩასატარებლად. ამდენად, მალაზიის საქმიანობაში ეძებენ საშუალებებს, რომ შეამცირონ საერთო ხარჯები და თანამშრომლების ჩართულობა. ამავე დროს, ცდილობენ უზრუნველყონ წარმოებული

პროდუქციის სწორი დისტრიბუცია. შედარებით დიდი მუზეუმების უმეტესობა აქტიურად განიხილავს სხვადასხვა შესაძლებლობებს და წარმატებასაც აღწევს, მაგრამ შედარებით პატარა მუზეუმებიც ახერხებენ შემოსავლის მისაღებად გარკვეული შესაძლებლობების გამოყენებას.

17.3.1 ბითუმად ვაჭრობა

მუზეუმის მალაზიებმა შეიძლება განსაზღვრონ, რომ მათ მიერ შესამუშავებლად გამიზნული პროდუქტი პოტენციურად საინტერესო შეიძლება იყოს სხვებისთვისაც. მცირე მასშტაბის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა მუზეუმებთან დაკავშირება, ისევე, როგორც გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობის მიღება. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში ასეთ გამოფენა-გაყიდვას სამუზეუმო მალაზიების ასოციაცია მართავს თავისი ყოველწლიური კონფერენციის დროს. მუზეუმის მალაზიას შეუძლია აგრეთვე რეკლამა გამოაქვეყნოს ამ ასოციაციის პუბლიკაციებში.

უფრო დიდი მასშტაბის შემთხვევაში, პროდუქციის მარკეტინგი ძირითადი ვალდებულებაა და მოითხოვს სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობას, რეკლამასა და უშუალო, საცალო, გაყიდვების ორგანიზებას. დისტრიბუცია მოითხოვს სანაწობების უზრუნველყოფას, შეკვეთისა და ანგარიშ-ფაქტურების სისტემების აწყობას. ამის ალტერნატივაა კონტრაქტის დადება სადისტრიბუციო ფირმასთან.

17.3.2 საფოსტო შეკვეთების კატალოგები

მუზეუმების დიდი ნაწილი კატალოგების ბიზნესში ჩაერთო. სპექტრი აქ ძალიან ფართოა – იაფი გამოცემებით დაწყებული, ძვირიბ ოთხფერში დაბეჭდილი, მაღალი ხარისხის, პრიალა ჟურნელებით დამთავრებული. აქ საჭროა გათვალისწინებულ იქნას ყველაფერი, მათ შორის – საფოსტო გზავნილის, შეკვეთის განხორციელების და ანგარიშ-ფაქტურის გაცემის ღირებულებაც. ბევრმა მუზეუმმა კონსორციუმები ჩამოაყალიბა ფასების ზრდის თავიდან ასაცილებლად. ასეთია, მაგალითად, Selections – კანადის მუზეუმების ასოციაციის კატალოგი. აგრეთვე შესაძლებელია ძირითად სამომხმარებლო კატალოგებთან დაკავშირებაც, თუ არსებობს მათში მუზეუმის ერთი ან მეტი პროდუქციის ჩართვის ინტერესი. მაგალითად, SkyMall არის კატალოგი, რომელიც ვრცელდება ბევრი ავიახაზის თვითმფრინავებში და შესაბამისად, უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო გავრცელებას, თუმცა, ამ კატალოგში რეკლამის განთავსებაც შესაბამისად ძვირია. მუზეუმი დარწმუნებული უნდა იყოს იმ პროდუქციაში, რომლის რეკლამირებასაც მოინდომებს ასეთ კატალოგში.

17.3.3 ინტერნეტის მეშვეობით გაყიდვა

ინტერნეტით საქონლის გაყიდვა სულ უფრო მეტად აჭარბებს კატალოგებით გაყიდვებს და სულ უფრო მეტი მუზეუმი ერთვება ელექტრონულ კომერციაში. მუზეუმების ვებსაიტებზე განთავსებულია სამუზეუმო მალაზიები და ბევრი მათგანი მომხმარებელს სთავაზობს უშუალოდ ვებსაიტიდან ყიდვის შესაძლებლობას. ეს ვებსაიტები, ფაქტიურად, მალაზიის ისეთი ვიტრინის ფუნქციას ასრულებს, რომელსაც მომხმარებელმა მაშინ და იმდენჯერ

წილშია მიაკითხოს, როცა და რამდენიც მოესურვება. კატალოგებისაგან განსხვავებით, აქ გაყიდვები და ფასები შეიძლება ცვალებადი იყოს, შეიძლება დაერთოს ინფორმაცია არის თუ არა ამ მომენტში მოცემული ნივთი მაღაზიის სანყოფინში, ასევე შეიძლება იყოს ინფორმაცია გადაგზავნის სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ. მუზეუმისთვის დამატებითი სარგებლობა მოაქვს შეკვეთის ფორმებიდან საფოსტო ინდექსებისა და ქვეყნის კოდების მეშვეობით მარკეტინგული ინფორმაციის მიღებას, ისევე, როგორც იქმნება შესაძლებლობა შესყიდვების სეზონურ ჩვევებზე დაკვირვებისთვისაც. გაყიდვის ეს მეთოდი აგრეთვე ძალიან კარგად ესადაგება გამოფენების ცვალებად პროგრამასაც.

17.3.4 პარტნიორობა

მსგავსი ტიპის კოლექციების მქონე მუზეუმებთან თანამშრომლობა წარმოების ხარჯების შემცირების კიდევ ერთი ხერხია. თუ პარტნიორს წარმოების ხარჯებში თანამონაწილეობა არ შეუძლია, მაშინ მუზეუმმა შეიძლება პარტნიორისთვის დანესებულ საბითუმო ფასში შეიტანოს დამატებითი საავტორო პროცენტები. მოლაპარაკებები საგამოფენო კატალოგების და სხვა საცალო ვაჭრობის პროდუქციის წარმოების ხარჯების გაყოფის შესახებ ხშირად წარმოადგენს მოძრავი გამოფენების ერთობლივ პროგრამაში მუზეუმების მონაწილეობის შეთანხმების ნაწილს.

17.3.5 ლიცენზირება

ლიცენზირება წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც მუზეუმებს შეუძლია გავიდეს ისეთ ბაზარზე, რომელიც მხოლოდ საკუთარი ძალების გამოყენებისას მათთვის მიუწვდომელი იქნებოდა. მუზეუმის ინტელექტუალური საკუთრება არის ლიცენზირებული პროდუქციის საფუძველი. ლიცენზირება საშუალებას აძლევს მუზეუმს თავისი ჩვეულებრივ სამომხმარებლო ბაზას გასცდეს და გააფართოვოს გავრცელების არეალი. ამასთან ეს გავრცელების მუზეუმის როგორც შემოსავლებს, ასევე პრესტიჟს. ლიცენზირების შედეგია ის, რომ პროდუქციის განვითარების, შექმნის ხარჯი გადადის ლიცენზიის მფლობელზე ან მწარმოებელზე, რომელიც ხდება ამ პროდუქციის მფლობელი. მაგრამ მხოლოდ პროდუქციის, და არა გამოსახულების ან ნივთის მფლობელი. სამაგიეროდ, მუზეუმი იღებს საავტორო პროცენტებს და თავიდან იცილებს წინასწარ ხარჯებს და დასაწყობების პრობლემებს.

დიდ მუზეუმებს რთული და ფართო სალიცენზიო პროგრამები აქვს შემუშავებული. თავისი ლიცენზირების პროგრამის მეშვეობით, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი ლონდონში ბრენდების მქონე პროდუქციის საცალო ვაჭრობიდან 100 მილიონ გირვანქა სტიერლინგზე მეტს იღებს. ამ დიდ და შთამბეჭდავ პროგრამაში სალიცენზიო შეთანხმებებს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ექვსი თანამშრომელი.

უმეტესი მუზეუმების შემთხვევაში ლიცენზირება ცალკეული პროდუქციისთვის კეთდება, რასაც მოაქვს გარკვეული შემოსავალი საავტორო პროცენტების სახით და გარდა ამისა, უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს იმას, რომ მუზეუმი მცირე თავდაირველი დანახარჯების შედეგად ლეზულობს გარანტირებულ საქონელს თავისი მაღაზიისათვის. მაგრამ, მუზეუმმა უნდა განახორციელოს კონტროლი პროდუქციის ხარისხის და აუთენტურობის უზრუნველსაყოფად. მუზეუმს აგრეთვე სჭირდება გამოყოს თანამშრომლების დრო,

როგორც კურუტორების, ასევე განვითარებაზე მომუშავეთა. განვითარებას (ანუ მუშაობას პროდუქციის შექმნის, განსაზღვრის და საწყისი ეტაპის სახვა საკითხებზე) შესაძლოა ორ წლამდე დასჭირდეს, ამდენად, საავტორო პროცენტების მიღებამდე, წინასწარი ინვესტიცია შესაძლოა, არც თუ მცირე აღმოჩნდეს.

17.4 დროებით გამოფენებთან დაკავშირებული პროდუქცია

მუდმივი გამოფენები ქმნის ზოგადი ასორტიმენტის საფუძველს, მაშინ როცა დროებითი და მოძრავი გამოფენები ხელს უწყობს პროდუქციის მრავალფეროვნებას. მცირე დროით მონყობილმა გამოფენებმა შეიძლება შექმნას ახალი მიმართულება ასორტიმენტის ჯგუფებში და აგრეთვე შექმნას შესაძლებლობა დამატებითი მარკეტინგული საქმიანობისა და განვითარებისათვის. ბლოკბასტერებიც და მცირე დროებითი ან მოძრავი გამოფენები მუზეუმის მაღაიისთვის ქმნის მეტი მოგების მიღების შესაძლებლობას და მომხმარებლის მრავალჯერადი მოზიდვის საშუალებას. როდესაც გამოფენა კარგად არის რეკლამირებული, სპეციალურმა გამოფენებმა შეიძლება მუზეუმებში და მათ მაღაზიებში მიიყვანოს ის ადამიანები, რომელიც მანამდე სავარაუდოდ არ ენეოდნენ მათ. ყველა ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად საჭიროა დაგეგმვის, წარმოსახვის, განყოფილებათაშორისი თანამშრომლობის და მარკეტინგის სწორი კომბინაცია.

ყველა სპეციალური გამოფენა მაღაზიისთვის განსაკუთრებული შესაძლებლობების გარანტია არაა. გამოფენათა უმრავლესობას ექნება კატალოგი ან სხვა გასაყიდი პუბლიკაცია, მაგრამ იმისათვის, რომ გადაწყვიტოს გამოფენასთან დაკავშირებული სხვა პროდუქციის შექმნა-არშექმნის საკითხი, მაღაზიამ უნდა შეაფასოს გაყიდვის შესაძლებლობები და ამისათვის საჭირო რესურსები. აქ მოყვანილია ზოგიერთი კრიტერიუმი იმის გადასანყვეტად, უნდა დაიწყოს მაღაზიამ ზრუნვა დამატებით პროდუქციაზე თუ არა. ეს კრიტერიუმებია:

- გამოფენის ხანგრძლივობა
- როგორია გამოფენილი ექსპონატების სახე, ვინაიდან მათთან დაკავშირებულმა პროდუქციამ უნდა მიიზიდოს სხვადასხვა ასაკის და გემოვნების ადამიანები
- არის თუ არა გამოფენისთვის შერჩეული პროდუქცია მიმზიდველი და უჩვეულო
- განსხვავდება თუ არა ახალი პროდუქცია მაღაზიის ჩვეულებრივი ასორტიმენტისგან

ახალი გამოფენებზე მუშაობის დასაწყისში მუზეუმმა უნდა შეიმუშავოს გამოფენის კონცეფცია ან ბრიფი, რომელიც მაღაზიისთვის ბევრ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს. კონცეფცია ან ბრიფი უნდა განსაზღვრავდეს შემდეგს:

- როგორ გამოიყენებს გამოფენა კოლექციებს
 - გამოფენის პირველადი თემა და კომუნიკაციის ძირითადი ამოცანები
 - სავარაუდო სამიზნე აუდიტორია
 - თემის, მიდგომის, ვიზუალური და საინტერპრეტაციო სტრატეგიების რეზიუმე
- საგამოფენო გუნდთან მუშაობა ძირითადი გამოფენის დაგეგმვაზე უზრუნველყოფს მაღაზიის მენეჯერის ინფორმირებულობას გამოფენის ყველა ელემენტის შესახებ. კურატორებმა, პროექტის მენეჯერებმა, საგანმანათლებლო პროგრამებზე მომუშავე თანამშრომლებმა და გამოფენის დიზაინერებმა შეიძლება მეტად ფასეული რესურსები მიანოდონ მაღაზიის მენეჯერს. მათ შეიძლება:

- შეარჩიონ არტეფაქტები გამოფენისათვის და იცოდნენ, რომელი მათგანი იქნება აქცენტირებული და ხაზგასმული

- ურჩიონ, რომელი გამოსახულებები ან სპეციფიკური თემები გაყვება მთელ გამოფენას ნითელ ხაზად

- უზრუნველყონ წერილობითი ინფორმაცია და ფოტოები, თუ მუზეუმი მოძრავი გამოფენის მასპინძლობისთვის ან საკუთარი, მაგრამ ახალი კოლექციის განთავსებას გეგმავს

ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ მალაზიის წარმომადგენლები საწყისი ეტაპიდანვე ჩართული იყვნენ ახალი დიდი გამოფენების დაგეგმვაში და რომ ახალი ასორტიმენტის განსაზღვრის და შემუშავების მიზნით მათთან სხვა განყოფილებებმა ითანამშრომლოს.

გამოფენასა და პროდუქციას შორის კავშირის გასამყარებლად სპეციალური გამოფენების მალაზიები შეიძლება განთავსდეს:

- მყიდველების უკეთ მოზიდვის მიზნით გამოფენის გამოსასვლელთან
- "პირველხარისხოვან" ადგილზე, მაგალითად, შესასვლელ/გასასვლელთან ან ფოიეში.

- მუზეუმის მალაზიის სპეციალურ გამოყოფილ ნაწილში
- განცალკევებულ "თანამგზავრ" მალაზიად, რომლის ასორტიმენტი ძირითად მალაზიაშიც იყიდება

გამოფენის სპეციალურ მალაზიებში გამოყენებული უნდა იყოს ამ გამოფენის დიზაინის ელემენტები, მალაზიის ვიტრინები შეიძლება მიემსგავსოს გამოფენის ზოგად იერსახეს და გამოყენებულ იქნას გამოფენასთან დაკავშირებული "ამბის მოსაყოლად". გარდა ამისა:

- მალაზიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველანაირი მარკეტინგული მასალა, სადაც წარმოდგენილია გამოფენის გამოსახულებები. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას პროდუქციის ნაწილის ფასის ასაწვევად

- მალაზიამ უნდა დასახოს გეგმები გამოფენის ხანგრძლივობის შესაბამისად, რაც შეამცირებს გაუსაღებელი საქონლის დარჩენის რისკს

- მალაზიამ უნდა შეზღუდოს ახალი პროდუქციის სახეობები და შემოიფარგლოს გამოცდილი კატეგორიებით, რომელსაც ცნობილია, რომ კარგად იყიდება

- მალაზიამ უნდა უზრუნველყოს, რომ სასაქონლე ლოგო გამოფენის ძირითად აზრს ეხმიანებოდეს

- მალაზიამ უნდა უზრუნველყოს გამოფენასთან დაკავშირებული სავაჭრო ადგილისადმი ყურედლების მიპყრობა მსგავსი მასალებისა და ფერების გამოყენების მეშვეობით

- მალაზიამ უნდა უზრუნველყოს სპეციალური პროდუქციის მოხსენიება შესაბამის პუბლიკაციებში

- მალაზიამ უნდა გამოიყენოს ვიტრინები გამოფენასთან დაკავშირებული მასალების რეკლამირებისათვის, განსაკუთრებით, თუ ცალკე არ არსებობს გამოფენის სპეციალური მალაზია. ეს ვიტრინები შეიძლება განთავსდეს რესტორნის სივრცეში, ასევე - გამოფენიდან გამოსასვლელთან, მუზეუმის შესასვლელთან

- მალაზიამ უნდა შექმნას გამოფენასთან დაკავშირებული პროდუქციის ისეთი შემოქმედებითი დისპლეები, რომელიც იყენებს საკუთრივ გამოფენის განმარტებითი ნიშნების შესაბამის ნიშნებს.

თუ გამოფენისთვის დამზადდა პლაკატი, მაშინ 5-6 ასეთი პლაკატის გვერდობერდ

მოთავსებით შეიძლება ყურადღების მიპყრობა მაღაზიის მიმართ. იგივე შედეგი ექნება გამოფენის გადიდებულ სურათებს და/ან ციტატებს კურატორების ან საგამოფენო კატალოგის ტექსტებიდან, რომელიც შეიძლება მაღაზიის ექსპოზიციის ნაწილი გახდეს. თუ გამოფენისათვის დამზადდა განმარტებითი ნიშნები, ასეთი ნიშნის დამატება მაღაზიას კიდევ ამითაც დააკავშირებს მუზეუმის გამოფენასთან. თუ გამოფენისთვის მზადდება სადგამები, შეიძლება გაკეთდეს დამატებითი რაოდენობა მაღაზიისთვისაც. აქ გასანევი იქნება ხარჯი, მაგრამ დიზაინში ფულის გადახდა აღარ იქნება საჭირო.

გამოფენასთან დაკავშირებული პროდუქციის ღირებულების შესამცირებლად:

- მაღაზიამ შეიძლება რეპროდუქციები, ადაპტაციები და ქმნილებები შეისყიდოს იმ მუზეუმების მაღაზიებიდან, რომლის კოლექციები მსგავსია მოცემული გამოფენისა

- მოძრავი გამოფენის შემთხვევაში მაღაზიამ შეიძლება განსაზღვროს, თუ რა გაყიდეს სხვა მუზეუმებმა ამ გამოფენასთან მიმართებაში და მათგანვე შეისყიდოს საჭირო ნივთები

- თუ მოძრავი გამოფენა მუზეუმის კუთვნილებაა, მაშინ მისი მაღაზიის მენეჯერმა უნდა ითანამშრომლოს იმ მუზეუმების გაყიდვების სპეციალისტებთან, რომლებთანაც გადინაცვლებს გამოფენა, და მათთან ერთად განსაზღვროს პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობები. ამ შემთხვევაში ძირითადი მუზეუმის მაღაზიამ შეიძლება ბითუმად მოამარაგოს დანარჩენი მუზეუმები, ან ჩამოაყალიბოს ამხანაგობები, რომლის შესაბამისადაც ყველა ინაწილებს ხარჯებს.

- მაღაზიამ შეიძლება ჩამოაყალიბოს ამხანაგობები ბითუმი შესყიდვებისათვის

- მაღაზიამ შეიძლება დაგეგმოს ერთი და იმავე დიზაინის მიხედვით რამდენიმე ნივთის შემუშავება და დამზადება

- დიზაინი შეიძლება ხელახლა იქნას გამოყენებული იგივე პროდუქტზე, ოღონდ სხვა ფერში.

გამოფენასთან დაკავშირებული პროდუქციის დანიშნულება გულისხმობს, რომ დამთვალეირებული ნაწილებს მას სახლში და მისი მეშვეობით გაიხსენებს გამოფენასა და მუზეუმში თავის ვიზიტს. რეპროდუქციების სახით, ეს ნივთები ემსახურება მუზეუმის რეპუტაციას და სავაჭრო სივრცეში განიხილება, როგორც აუთენტური, ავტორიტეტული და ზუსტი ნაკეთობა. შესაბამისად, მაღაზია წარმოადგენს მთლიანად დანესებულების სახეს და ბაზარზე გააქვს მისი დამახასიათებელი ნიშნები. მაღაზიის კარგად განვრთნილ პერსონალს წვლილი შეაქვს მუზეუმის დამთვალეირებლის მიერ მიღებულ საგანმანათლებლო გამოცდილებაში, თუკი პერსონალი მზადაა უპასუხოს ძირითად გზავნილებს როგორც სავაჭრო თვალსაზრისით, ასევე - საგანმანათლებლოთი და თუ მან კარგად იცის, როგორ არის დაკავშირებული პროდუქცია მუზეუმის კოლექციებთან. მუზეუმების მაღაზიები ცდილობს გახდეს მიმზიდველი მნახველისთვის და განაპირობოს მისი მრავალჯერადი მოსვლა რაიმე სპეციალური ნივთის საყიდლად. XXI საუკუნის მუზეუმებში მაღაზიები დამთვალეირებლის შთაბეჭდილების საგრძნობლად დიდ ნაწილს შეადგენს.

სასწავლო მაგალითი 17.1 წარმოადგენს ამერიკული "ბლოკასტერი" ხელოვნების გამოფენის მაღაზიის და სპეციალური პროდუქციის მოკლე მიმოხილვას.

სასწავლო მაგალითი 17.1

ვან გოგი: პირისპირ – გამოფენა დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტში; გამოფენის მაღაზიის დაგეგმვა

სიუზან დანლოფი

ექსპოზიცია-ბლოკბასტიერი სახელწოდებით "ვან გოგი: პირისპირ" დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტში 2000 წლის მარტში გაიხსნა. გამოფენამ XIX საუკუნის პოლანდიელი მხატვრის 66 სურათსა და ჩანახატს მსოფლიოს 31 მუზეუმიდან და კერძო კოლექციიდან მოუყარა თავი. ეს პირველი სრული გამოფენა იყო, რომელიც მიეძღვნა ვან გოგისეულ პორტრეტებს.

დეტროიტის გამოფენაზე 12 კვირის განმავლობაში დაახლოებით 300 000 დამთვალიერებელს მოელოდნენ. ბილეთები დროის გარკვეულ მონაკვეთზე იყო განსაზღვრული. ყოველ ნახევარ საათში საგამოფენო დარბაზში 250 ადამიანს უშვებდნენ (თუმცა, მათ იმდენ ხანს შეეძლოთ დარჩენა, რამდენსაც მოისურვებდნენ). შაბათსა და კვირას ჩვეულებრივი ბილეთი 16 აშშ დოლარი ღირდა, რომელიც მთელი მუზეუმის დათვალიერებისა და ვიდეო-აკუსტიკური ტურის საფასურსაც შეიცავდა. ამ გამოფენასთან თანამშრომლობდნენ ბოსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმი და ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი. დეტროიტის შემდეგ გამოფენა ჯერ ბოსტონში, შემდეგ კი, 2000 წლის ოქტომბერში, ფილადელფიაში იქნა გადატანილი.

დეტროიტსა და ფილადელფიაში გამოფენის სტუმრები დარბაზიდან ე.წ. "თანამგზავრი" მაღაზიის გავლით გადიოდნენ. დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტმა საკუთარ მაღაზიებში გაყიდვების მიახლოებით მოცულობად 1 მლნ. აშშ დოლარი დაგეგმა - 3 დოლარზე მეტი ერთ სტუმარზე. "თანამგზავრი" მაღაზია 7 სალაროთი აღიჭურვა, რათა დღეში დაახლოებით 4.000 მომხმარებლის მომსახურება არ გაძნელებულიყო. ვან გოგთან დაკავშირებული პროდუქცია ინსტიტუტის მთავარ მაღაზიაშიც იყიდებოდა.

გამოფენასთან დაკავშირებული პროდუქცია ყველა კატეგორიის დამთვალიერებლისთვის იყო განსაზღვრული. მაღაზიაში 11 კლასიფიკაციის საქონელი იყო წარმოდგენილი, კერამიკიდან და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებიდან საგანმანათლებლო მასალამდე, ბეისბოლის კეპებამდე და მაისურებამდე. მაღაზიამ 50.000 კალმისტარი შეიძინა, რომლებზეც ამ ინსტიტუტში დაცული ვან გოგის ავტოპორტრეტი იყო გამოსახული. იყო კალმისტრები, რომლებზეც ინსტიტუტის კუთვნილი ვან გოგის ოთხი სხვა ნამუშევარი და პატარა პალიტრა იყო აღბეჭდილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოფენის დასრულების განმავლობაში კალმისტრები ვერ გაიყიდებოდა სრულად, ყოველთვის მოიძებნებოდა მსურველი, რომელიც მათ ნებისმიერ სხვა დროს შეიძენდა, ვინაიდან მათი გამოსახულებები მუდმივ კოლექციასთან იყო დაკავშირებული. გამოფენასთან დაკავშირებულ სხვა პროდუქციაში შედიოდა:

- სანიშნები და ღია ბარათები (50 ცენტი)
- მაისურები ვან გოგის ცხრა ავტოპორტრეტიდან ერთ-ერთის გამოსახულებით (\$ 20)
- ბავშვებისთვის: ციფრებიანი გასაფერადებლები არატოქსიკური ფანქრებით (\$ 6.95)
- ვან გოგის "ვარსკვლავიანი ღამით" შთაგონებული მინის ლარნაკები (\$ 345)
- მზესუმზირის ბალი — მზესუმზირის ბალის მოსაწყობი ნაკრები, კერამიკული ქოთანის, თესლეების, ორგანული თიხის; სათანადო ინსტრუქციებითურთ (\$ 20)

• ვან გოგის სახლი — ნიგნი ბავშვებისთვის, რომლის გადაფურცვისას ოთხნაწილიანი დიორამა იშლება, თითოეული ვან გოგის იმ ოთახს წარმოადგენს, რომელშიც მას უცხოვრია ან უმუშავია (\$ 16.95)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ნივთი ლოს ანჯელესის ოლქის ხელოვნების მუზეუმმა 1999 წელს გაყიდა გამოფენაზე სახელწოდებით "ვან გოგის ვან გოგი." დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტმა ეს ნივთი ისე მიიღო, რომ ღიზინის და დამზადების ხარჯების გაღება არ მოუხდა.

უმედეგ რა?

სახელმძღვანელოს ეს უკანასკნელი თავი ზოგიერთ ისეთ ტენდენციას შეეხება, რომელიც უახლოეს წლებში შესაძლოა ძალზე აქტიუალური გახდეს. როგორც მომავლის ჭვრეტისას ხდება ხოლმე, ათელის წერტილად აქაც ანმყო გვევლინება, ხოლო ამ განყოფილებაში განხილული სასწავლო მაგალითები ეხება რამდენიმე უკანასკნელი დროის საგამოფენო პროექტებს, რომელიც ამ ტენდენციების წარმოსადგენად გამოდგება.

თავი 18

სამუზაუმო გამოფენები XXI საუკუნეში

ქევენ გოსლინგი

ამ წიგნის გვერდებზე ძირითადად ის მოსაზრება მეორდება, რომ გამოფენები არაა საკუთარ თავში ჩაკეტილი მოვლენა, არამედ არის მუზეუმების მიერ გამოყენებული მძლავრი საკომუნიკაციო საშუალება. ამ თავში თავმოყრილი ტენდენციები შესაძლებელია ერთ სამომავლო პროგნოზად გაერთიანდეს – როგორც ჩანს, მუზეუმების მიერ სათქმელის სპექტრი მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება. ამ თავის ერთ-ერთ მიზანს იმის ჩვენება წარმოადგენს, თუ როგორ გადმოსცემს იდეებს დღევანდელი ინოვაციური გამოფენები, შესაბამის მაგალითებსაც ამავე თავში გაეცნობით.

ასე მაგალითად, 18.2 სასწავლო მაგალითში, რომელიც პარიზში მდებარე ბუნების ისტორიის ეროვნულ მუზეუმის ევოლუციის დიდ გალერეას განიხილავს, პატრიკ ბლანდენი წერს:

“დღეს ბუნების ისტორიის მუზეუმები თავს აღარ იზღუდავს იმით, რომ იყოს ნიმუშების საცავები, ისინი უკვე იდეების მუზეუმებად გარდაიქმნება”.

იგივე შეიძლება ითქვას ბევრ სხვა ტიპის მუზეუმზეც, თუმცა ტერმინის “იდეების მუზეუმი” გამოყენება მაინც ფრთხილადაა საჭირო. რა იყო ძველი სისტემური გამოფენები (მნიშვნელობა არ აქვს, ბუნების ისტორიისა თუ ადამიანის მატერიალური კულტურის ამსახველი), თუ არა სამყაროს შესახებ გარკვეული იდეების გამოხატულება? და მაინც, “იდეების მუზეუმი” მოსახერხებელი აღნიშნაა იმ მუზეუმებისათვის, რომელიც ცდილობს გასცდეს კოლექციებზე დამყარებულ პროგრამას და სათქმელი დისციპლინათაშორისი ზღვარის გადაბიჯებით გამოხატოს.

ნანილობრივ, ასეთი მუზეუმები იმ აკადემიური დისციპლინების განვითარებასაც პასუხობს, რომლებიც მათ კოლექციებს იყენებს. ბუნების ისტორიაში, მაგალითად, ძირითად ტაქსონომიურ კვლევას მძლავრი ბიძგი მისცა ადამიანის მიერ დედამიანის ეკოსისტემის სიმყიფის სულ უფრო მეტმა გააზრებამ. როგორც წესი, ბუნების ისტორიის მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს სურს ბიომრავალფეროვნების შესახებ უფრო მეტი გაიგოს და რაკი ასეთი ინტერესი არსებობს, ექსპოზიციები მსგავს მუზეუმებში ისეა მოწყობილი, რომ სიც-

ოცხლის განსხვავებულ ფორმებს შორის ურთიერთკავშირი უფრო თვალსაჩინო გახადოს.

სავარაუდოდ, ევოლუციის დიდი გაღწევის თანამედროვე დამთვალეირებლები დარვინის ევლუციის თეორიას, ასე თუ ისე, იზიარებენ. მსოფლიოში სხვაგან არსად აღიარებენ ამ თეორიას აბსოლუტურ ჭეშმარიტებად. შესაბამისად, "იდეების მუზეუმის" ცნებას მაშინვე ესმის დაეჭვების კითხვა: კი მაგრამ, ვისი იდეებისა? კიდევ ერთი ახალი ტენდენცია სამუზეუმო სფეროში, რომელიც საექსპოზიციო პრაქტიკაში სწრაფად მკვიდრდება, არის უკვე სანქცირებული თეორიების გარდა, დამატებითი, ან გვერდითი თეორიების წარმოდგენა. ამის მაგალითებს რამდენიმე შემდეგი სასწავლო მაგალითი იძლევა:

- ონტარიოს სამეცნიერო ცენტრის გამოფენა "ჭეშმარიტების კითხვები", რომელიც ჰული მაკლოგინის 18.1 სასწავლო მაგალითშია აღწერილი, დამთვალეირებელს სთავაზობს დასავლური მეცნიერების მიერ აქამდე აღიარებულ ჭეშმარიტებებში დაეჭვების შეტანას, რომელთაც ეს მუზეუმი თავად ემყარება.

- სწორედ ასევე, როგორც ჯონ მილარდის 18.5 სასწავლო მაგალითი გვიჩვენებს, გამოფენაზე "თაინსაიდის ხელოვნება" ნიუკასლის ლეინგის ხელოვნების გაღწევაში, წარმოდგენილი სახვითი და დეკორატიული ხელოვნების კოლექცია კულტურის ისტორიის განსხვავებული გააზრების საშუალებას იძლევა და დიდი პოპულარობით სარგებლობს დამთვალეირებლებში, თუმცა არაა მისაღები ყველა ხელოვნებათმცოდნისთვის.

- 8.1 სასწავლო მაგალითი, რომელიც მასაჩუსეტსში, სალემში, პიბოდი ესექსის მუზეუმში მოწყობილ გამოფენას "ოდისეა" განიხილავს, გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ახალი მნიშვნელობები და შინაარსი წარმოშვას და მნახველებისთვის მძლავრ, შთაბეჭდავ გამოცდილებად იქცეს სხვადასხვა კულტურებისა და პერიოდის ნამუშევრების გვერდგვერდ მითავსება; ისეთი ნამუშევრების, რომელსაც ადრე მკაცრად განაცალკევებდნენ და სხვადასხვა გაღწევებში მოათავსებდნენ მათი კატეგორიების, თარიღის და კოლექციის მიზნების შესაბამისად.

- სტივენ კოქსის 18.3 მაგალითი ინდიანას შტატის "კონერ პერი"-ში მოწყობილ გამოფენას ეძღვნება, რომელიც რასიზმისა და მონობის საკითხებს შეეხებოდა, აჩვენებს არა მხოლოდ მუზეუმების პოტენციალს განიხილონ ამდენად რთული და საკამათო საკითხები, არამედ ამავე დროს ხაზს უსვამს ასეთი პროგრამების მომზადებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის მნიშვნელოვნებას.

როგორც 18.4 სასწავლო მაგალითში ფრედ ვარტნა მოგვითხრობს, როტერდამის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ექსპოზიციაზე "მოჯადოებული სამყაროები" მოსულ ბავშვებს მათთვის ყველაზე საყვარელი ნივთების მოტანას სთავაზობენ, რასაც ზოგჯერ დამაფიქრებელი შედეგებიც მოყვება ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ბავშვების ნივთები ექსპოზიციის ნაწილად არ იქცევა, როტერდამის მუზეუმის მაგალითი მიგვანიშნებს ტენდენციაზე, როცა საკურატორო პროცესში ჩასართვად იწვევენ რიგითი მოქალაქეებს. აქ თანამონაწილეობა უფრო მეტიც კია, ვიდრე "კონორ პერიის" შემთხვევაში. გაერთიანებულ სამეფოში უკანასკნელ წლებში არაერთი ისეთი გამოფენა გაიმართა, როდესაც საზოგადოების ჩვეულებრივ წევრს შეეძლო საკუთარი კოლექცია გამოეფინა. შხვა მუზეუმებსა და სამხატვრო გაღწევებში თანამშრომლებს (ვინც არ არის კურატორი) და საზოგადოების რიგით წევრებს სთავაზობდნენ დაეთვალეირებინათ მუზეუმის საცავები და მათ მიერ არჩეული ნიმუშები გამოეფინათ, მაგრამ ამასთან ერთად მათ საკუთარი არჩევნის დასაბუთებაც უწევდათ.

როდესაც მუზეუმების უმეტესობა განიხილავს საკამათო საკითხების წარდგენის შესაძლებლობას, მიზანი, როგორც წესი, არის დაბალანსებული ხედვის წარმოდგენა. ეს სამუხაზროა, რადგან არსებობს უამრავი თემა, რომლისთვისაც მეტად ახლებურად გაყვ-ერდებოდა გამოფენაზე მოუბოდიშებლად წარმოდგენილი შეხედულება, მათ შორის ისეთი თვალთახედვა, რომელიც არ ემთხვევა ძირითად, საყოველთაოდ მიღებულ, მაგისტრალურ ხაზს. სხვა საშუალებები ახერხებენ ყველა არსებული საკითხების განსხვავებული და გამომ-წვევი ინტერპრეტაციების წარმოდგენას ისე, რომ მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ ეს არის კონკრეტული ადამიანის ან ჯგუფების შეხედულება. ხშირად ეს არის სანიანალმდეგო შეხედულებების დიალოგი, რომელიც ყველაზე კარგად წარმოაჩენს საკითხის არსს, მაგრამ ეს საშუალება თითქმის არ გამოიყენება სამუზეუმო გამოფენებში.

მუზეუმებს შეუძლია განავრცოს გამომწვევი იდეების წარდგენა "კონკრეტული საკითხების" მიღმა, სამეცნიერო დებატების სამყაროში გადაიტანოს ისინი. მაგალითად, ბოლოდროინდელი ჰიპოთეზის თანახმად, პალეოლითური ხელცულები განსახიერებს ადრეული ადამიანის დანყვილების სტრატეგიას (არგუმენტი ისაა, რომ მათ დამზადებას ენერჯის არაეკონომიური ხარჯვა სჭირდებოდა, რომელიც შეიძლება შევადართო მხოლოდ არშიყობის ცეკვებს, რომელიც ცნობილია სხვა წყაროებიდან). მნიშვნელობა არა აქვს იმას, მართებულია ეს ჰიპოთეზა თუ არა. ეს არტეფაქტები წარმოადგენს ერთი მილიონი წლის წინანდელ ადრეული ადამიანის შემორჩენილ მატერიალურ კულტურას. რა მშვენიერი იქნებოდა გვენახა გამოფენა, რომელიც თავს აარიდებდა ჩვენთვის იმის თქმას, თუ რა ეწოდება პრეისტორიული ადამიანის ამ ნაკეთობებს, რომელიც ამოცნობილ იქნა და რომლის "დანიშნულება საკამათოა". ძალიან კარგი: გეთაყვა, მოგვეცით დანარჩენებს საშუალება, ჩავერთოთ სამეცნიერო დისკუსიაში.

ტექნიკა, რომელიც კარგად მუშაობს ალტერნატიული, და სავარაუდოდ საპირისპირო თვალთახედვის წარმოსადგენად, არის ცოცხალი ინტერპრეტაცია. ნამდვილად არაა შემთხვევითი, რომ კონერ პრერისა და როტერდამის გამოფენები, აღწერილი ამ ნაწილში, წარმოგვიდგენს ამ მიდგომის ფართო გამოყენებას. ცოცხალი ინტერპრეტაციის გამოყენება მუზეუმის ყველა ტიპებსა და ისტორიულ ძეგლებზე, უდავოდ გაგრძელდება და გაძლი-ერდება, ვინაიდან ის არა მხოლოდ დიდ პოტენციალს ქმნის გამოფენების კონტექსტისათვის, არამედ აგრეთვე ძალზე პოპულარულია მნახველებს შორის. როგორც ჩანს, სულ უფრო მეტი მუზეუმი დაგეგმავს თავის საგამოფენო დარბაზებს ისე, რომ მისადაგებული იყოს ცოცხალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებისათვის, და არა მხოლოდ გამოიყენებს მათ როგორც "საყრდენ სივრცეს".

იმედია, მომავალში უფრო მეტი მუზეუმი ითავეებს იდეების და მნიშვნელობების (მათი საფუძვლიანობის თუ უსაფუძვლობის დადასტურების გარეშე) კომუნიკატორის როლს და იდეების უფრო ფართო წრეს მოიცავს, ვიდრე აქამდე იყო წარმოდგენილი. ასეა თუ ისე, მუზეუმები რეალური ნივთებით ოპერირებს (ყოველ შემთხვევაში, მისი განსაზღვრებათა უმეტესობის თანახმად) და განიხილავს მათ შინაარსის გადმომცემ ობიექტებად. როგორი იქნება მომავლის სამუზეუმო გამოფენებზე წარმოდგენილი კოლექციები?

მათთვის, ვინც სამუზეუმო გამოფენის გეგმას ამზადებს, ერთ-ერთი ყველაზე რთული გამომწვევა იდეებსა და საგნებს შორის სწორი ბალანსის დაცვა და მათ შორის არსებული კავშირის გასაგებად ჩვენებაა. ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში 1991 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, იმ მუზეუმებში, სადაც უკანასკნელი ათწლეულების

განმავლობაში ეცადნენ გარდაქმნილიყვნენ და "ათასგვარი რალაცეებით გადაჭედილი უღიმ-
ლამო ადგილიდან" გადაქცეულიყვნენ აღმორჩენების აღფრთოვანების გამომწვევ ადგილებად,
თვალსაჩინო ტენდენცია გამოიკვეთა: ექსპოზიციაში გამოფენილი ნივთების რაოდენობა
ხშირად შემცირებული აღმოჩნდა. ეს მიდგომა საყოველთაო ყოველთვის პოპულარობით
არ სარგებლობდა. როცა ლონდონის ბუნების ისტორიის მუზეუმში ასე განაახლეს თავისი
გალერეები, მწერალმა ბილ ბრაისონმა დაწერა:

*"ბუნების ისტორიის მუზეუმში მის არსებობის უწინდელ ეტაპამდე დახიეს (კერძოდ, ჩემი
აზრით, უნდა აღდგეს იმ მწერების ექსპოზიცია, რომლებიც 1950-იანი წლებიდან საშინაო
მეურნეობის პროდუქტებს გაუჩნდა)."*

შენიშვნები სმოლ აილენდიდან. ლონდონი: დაბლდეი, 1955.

კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებულ ტენდენციად, როგორც ჩანს, მუზეუმებისა და
ცალკეული გალერეების შიგნით სივრცის დიფერენცირება იქცევა. ამის მიზანია მნახ-
ველების ფართო სპექტრის წარმომადგენლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მათ
შორის – ბილ ბრაისონისაც. სტატიაში "მუზეუმი, როგორც კომუნიკატორი" სათაურის შე-
საბამის მიდგომას და მუზეუმებისთვის ერთობ სასარგებლო ანალოგიას სერ როი სტრონგი
გვთავაზობს:

*მუზეუმის დამთვალეიერებელი მუდამ ცოდნის მწვერვალთა დასაპყრობად მიმავალ ადა-
მიანს მაგონებდა; აღმართის ნებისმიერი წერტილიდან ხედი თანაბრად ფასეულია, მაგრამ
მისი ხარისხი – სხვადასხვა. მუზეუმის ვალია, დაიცვას და განავითაროს ყველა ასეთი ხედვა
და არა დაჩაგროს ყველა ერთის გარდა. ცოდნის და ინტელექტის განსხვავებულ დონეთა ასე
შეჯერება არცერთ სხვა კულტურულ ორგანიზაციას არ აკისრია.*

"აზრი და საქმე გაერთიანებულ სამეფოში",
მუზეუმი, ტომი 35, 2 (1983), გვ. 75

გამოფენების უმეტესობის წყობა ისევე მონოლითურია, როგორც სტრონგის მიერ
დახატული სურათი. აქ თემა მთელ სივრცეშია განფენილი და იგულისხმება, რომ ყველა
დამთვალეიერებელი მის თიოთეულ ნაწილს შეხედავს. სხვადასხვა მნახველების ინფორმა-
ციაზე განსხვავებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ჩვეულებრივ, გრაფიკული
თვალსაჩინოების დაფაზე მოთავსებული ტექსტის იერარქიული აგების მეშვეობით ცდილო-
ბენ. იმ დამთვალეიერებლებს, რომელთაც მხოლოდ ზედაპირულად აინტერესებთ თემა, შეუ-
ძლიათ შემოიფარგლონ "სათაურების" ნაკითხვით, რომელიც უფრო წერილად დაბეჭდილი
ტექსტის მოკლე გამონაწელილს შეიცავს. ვინც გეგმავს ამგვარ გამოფენებს, კიდევ ერთი
საკითხის გადანყვეტის წინაშე არიან: რამდენი ექსპონატი უნდა გამოიფინოს: თუ ძალიან
ბევრი იქნება, მაშინ მნახველების ძირითადმა რაოდენობამ თავი შეიძლება დათრგუნულად
იგრძნოს; თუ ექსპონატები ცოტა იქნება, მაშინ ისინი, ვისაც განსაკუთრებულად ინტერესებთ
სავარაუდოდ განბილებულები დარჩებიან.

უფრო რთული მიდგომა არის ის, როცა გათვალისწინებულია დამთვალეიერებლების
მოძრაობის სავარაუდო ნაკადის მოხაზულობა და იქმნება "სწრაფი ბილიკი", რომელიც
ძირითად პუნქტებთან მიდის და ერთგვარ "მოკლე შინააარსს" მიყვება. ამასთან ერთად,
გალერეის დანარჩენ ნაწილებში დამთვალეიერებლების სპეციფიკური ტიპებზე გათვლილი

ექსპოზიცია მოეწყო. ეს მიზნობრივი საგამოფენო ნაწილები შეიძლება იყოს შედგენილი როგორც ისეთი ნივთებისაგან, რომლის ხელის ხლება დაშვებულია (რომელიც გათვალისწინებული ჯგუფებისათვის), ასევე ღია საცავის ტიპის ექსპოზიცია, რომელიც ენთუზიასტებს მისცემს საშუალებას უფრო ფართო სპექტრი დაათვალიერონ და შეისწავლონ გამოფენის თემატიკასთან დაკავშირებული მასალებისა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მნახველს დაინტერესებდა. როდესაც ეს მიდგომა დანერგულია მთელი მუზეუმის მასშტაბით, მაშინ ეს იღებს სხვადასხვა მიზნებისთვის განკუთვნილი დარბაზების სახეს: საწყისი გაცნობის დარბაზი, საბავშვო დარბაზი, სასწავლო ცენტრი (როგორც ეს აღწერილია ნ. ნაწილში).

საექსპოზიციო სივრცის ასეთი დიფერენციაცია უდავოდ ბევრი მუზეუმის მომავალი იქნება და ინტერესის და ცოდნის ყველა დონის დაკმაყოფილების პოტენციალს შეიცავს. მეტიც, საშუალებას იძლევა, მსურველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად უფრო მეტი ექსპონატი გამოიფინოს, ხოლო გარკვეულ განყოფილებებში, პირიქით – ნაკლები ექსპონატები, რომელიც განსახვავებული მიდგომით იქნება წარმოდგენილი. ეს კარგი სიახლე იქნება, მით უფრო, როცა ბევრი მუზეუმი განიცდის პოლიტიკურ წნეხს, რათა საკუთარი კოლექციები უფრო მისაწვდომი გახადოს, მაშინ როცა გამოფენების დამგეგმავებს აქამდე არსებული გამოცდილება და ცოდნა ობიექტების რიცხვის შემცირებას კარნახობს.

ამ თავში უფრო სამუზეუმო გამოფენების საკომუნიკაციო დატვირთვა განიხილება, ვიდრე მათ მოსაწყობად საჭირო საშუალებები, მაგრამ ერთი-ორი სიტყვა გამოფენებთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების პოტენციურ გავლენაზეც უნდა ითქვას. ეს ტექნოლოგიები ექსპოზიციების დამგეგმავებს როგორც რეალური, ისე ვირტუალური გამოფენების მოწყობის საშუალებას აძლევს. მაგალითად, შელის და დონალდ რუბინის კულტურის ფონდმა ინტერნეტით ტიბეტური ტანგების საკუთარი სრული კოლექციის ვირტუალური გამოფენა მოაწყო, იმ მუზეუმის გახსნამდე რამდენიმე წლით ადრე, რომლის გახსნასაც სამომავლოდ მანპეტენზე აპირებს. ამ ვირტუალურმა ჩვენებამ უკვე მოიპოვა კრიტიკოსების დიდი აღიარება.

დღემდე ვირტუალური და რეალური გამოფენების სრული ინტეგრირება არ ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ წესით მუზეუმებში ეს ორი ფორმა ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა არსებობდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად რეალური არტეფაქტების და ისტორიული ძეგლების ახლებურად ინტერპრეტირების შესაძლებლობები გაჩნდება. მაგალითად, დღეს უკვე შეგვიძლია დამთვალიერებელს დინოზავრების ჩონჩხებთან ერთად კუნთების და ტყავის ვირტუალური გამოსახულება შევთავაზოთ; ასევე შესაძლებელია ისტორიული ძეგლების პირვანდელი სახით დემონსტრირება, არქეოლოგიური გათხრების ადგილის ისტორიული რეკონსტრუირება.

ძალზე შთამბეჭდავი სანახაობაა რეალური და ვირტუალური ექსპონატების ინტეგრირებისა თუ სხვადასხვა ტიპის არქეოლოგიური ნაშთებისგან რეკონსტრუირების პროცესი, რომელმაც შეიძლება დამთვალიერებლის თვალწინ ჩაიაროს. ჩვეულებრივ, ვთქვათ, არქეოლოგიური გათხრების ფიზიკური მოდელი დასრულებული სახითაა წარმოდგენილი, ალტერნატიული ინტერპრეტაციების შეუთავაზებლად, ან კონსტრუქცია-რეკონსტრუქციის ამა თუ იმ ფაზაზე. მონიტორზე განთავსებული კომპიუტერული მოდელები ცალკეულ ნივთებს აჩვენებს, მაგრამ ხშირად დამთვალიერებელს რეალურ ექსპონატებთან მათი დაკავშირება უჭირს.

ახალი კომუნიკაციების კიდევ ერთი საინტერესო გამოყენება მუზეუმების მიერ სკო-

ლებსა თუ სხვა დაწესებულებებში (საიდანაც მუზეუმი მნახველების ჯგუფს ელოდება) სხვადასხვა სასკოლო-სასწავლო თუ ინფორმაციული მასალის შემცველი ვირტუალური გამოფენების წინასწარ დაგზავნაა, იმისათვის, რომ დამთვალიერებელთა ჯგუფები მუზეუმებში უკეთ მომზადებული მივიდეს. დაახლოებით ასეთი პრაქტიკაა მუზეუმში მისვლამდე მისი ვებ-გვერდის დათვალიერება, და განსაკუთრებით ეფექტურია (და სასიამოვნო), როდესაც ინტერნეტით შეთავაზებული ექსპონატების უმეტესი ნაწილი რეალურ გამოფენაზე წარმოდგენილი. ტრადიციული სასკოლო თვალსაჩინოების (სლაიდები, რეპროდუქციები ან ბეჭდვითი მასალა) გაკვეთილამდე დაგზავნა ან დარიგება რომ ძალზე შედეგიანი მეთოდია, ეს უკვე ყველამ იცის. ამ მეთოდზე საუბარია 8.4. ნაწილში. წინასწარი გაცნობის მიზნით მუზეუმის მომავალ დამთვალიერებელთა ინფორმირება ინტერნეტით ისე, რომ გამოფენაზე ის უკვე ნაცნობი ექსპონატების სანახავად მოვიდეს, თვით გამოფენის ხასიათზეც ახდენს ზემოქმედებას და ის უკვე ნაცნობ სამყაროსთან შეხვედრად იქცევა.

ზოგიერთი წინდახედული მუზეუმი ინტერაქტიურ საპილოტე მასალას შეიმუშავებს, რომელიც დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს კომუნიკაცია დაამყაროს არა მხოლოდ გამოფენასთან, არამედ სხვა დამთვალიერებელთანაც. Cité des Sciences პარიზის ლა ვილემში და სიეტლის Experience Music Project ამ ტექნოლოგიის სრულყოფაზე მუშაობენ, რომელიც სავარაუდოდ და ზოგიერთ ჩაანაცვლებს ახლანდელ აუდიოვიზუალურ შემთხვევაში იმ გამოფენებზე, სადაც რთული ინტერაქტიური ტექნოლოგია იქნება გამოყენებული. ს ახალი ტექნოლოგია საშუალებას მისცემს მნახველს, რომ ელექტრონული სანიშნით ჩაინიშნოს გამოფენის მულტიმედია პროგრამის მისთვის საინტერესო ნაწილი და მას უკვე სახლში, საკუთარ კომპიუტერთან, ინტერნეტის მეშვეობით დაუბრუნდეს რამდენჯერაც მოესურვება.

ისეთი მონიტორების გამოყენება, რომელიც ხელის შეხებით მუშაობს, ახლა ბევრ მუზეუმში დაინერგა. ისინი ინფორმაციას გრაფიკულ პანელებზე ან სხვა საშუალებით იძლევა. ინტერაქტიურობის ამ დონის სტანდარტულ ინფორმატიულ ფორმად ქცევა მხოლოდ დროის საკითხია. როგორც კი ეს მოხდება, გამოფენების დამგეგმავებს ბევრი ის დაბრკოლება მოეხსნებათ, რომელზეც ამ წიგნშია საუბარი. მნახველს წარმოდგენილ საგანთან სხვადასხვა ფორმით "მისვლის", გამოფენის სხვადასხვა კონტექსტით "აღქმის", სხვადასხვა შესაძლო ინტერპრეტაციის გაზიარების საშუალება ექნება.

მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ მოხდება, როდესაც იდეები წინა პლანზე გადმოინეწვს. თუ მუზეუმები XXI საუკუნის მიერ მათთვის შეთავაზებულ საკომუნიკაციო გამტარის როლს შეითვისებენ (და რა თქმა უნდა, ასეც იქნება), მუზეუმებში მომუშავე პროფესიონალები თამამად, წარმოსახვის გამოყენებით, პასუხისმგებლობის გრძნობით და შემოქმედებითი მიდგომით შეეჭიდებიან ახალ იდეებს.

მაგალითი 18.1

მეცნიერების ავტორიტეტისადმი კრიტიკული მიდგომა

"ჭეშმარიტების საკითხი" ონტარიოს სამეცნიერო ცენტრში (ტორონტო, კანადა)

ჭული მაკლოგლინი

1996 წლის ნოემბერში ონტარიოს სამეცნიერო ცენტრში (ტორონტო) გაიხსნა გამოფენა "ჭეშმარიტების საკითხი". ექსპოზიცია ცენტრის მთავარ დარბაზში მოეწყო და ერთი წელი გრძელდებოდა, შემდეგ კი ცენტრის მრავალი დარბაზიდან ერთ-ერთში გადაინაცვლა. გამოფენის მობილური, გადასატანი ვერსია შეერთებული შტატების სამეცნიერო ცენტრებმა და მუზეუმებმა სამთვინი ვადით იქირავეს. ამავე დროს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან არაერთ მუზეუმთან მიმდინარეობდა წერილობითი მოლაპარაკებები გამოფენის შემდგომ დაქირავებასთან დაკავშირებით.

გამოფენა ასობით ათასმა ადამიანმა დაათვალიერა. ბევრს საშუალება მიეცა საკუთარი აზრები და კომენტარები გამოფენაზე წერილობითი ფორმით დაეტოვებინა, რომლებსაც, თავის მხრივ, შემდეგ სხვა დამთვალიერებლები გაეცნობოდნენ. ეს ჩანაწერები გარკვეულწილად პასუხებია გამოფენის მიერ წამოჭრილ საკითხებზე, რომელიც მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორიის შესახებ დაკანონებული შეხედულებების კრიტიკულ გადახედვას უკავშირდება:

"ჭეშმარიტების საკითხი" გაბედულებას იჩენს და ამტკიცებს, რომ დასავლური მეცნიერება მხოლოდ ერთი ძირითადი მიმართულებით ვითარდება.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, გამოფენა დაეჭვებით ეკიდება ჩვენს საზოგადოებაში ევროპული მეცნიერების უპირატესობის დამკვიდრებულ რწმენას და სვამს კითხვას, ხომ არ მიუძღვის ამ რწმენას ბრალი ისეთ საეჭვო სამეცნიერო თეორიების ჩამოყალიბებაში, რომელმაც შემდგომ ისეთ არაადამიანურ მოვლენებს შეუქმნა საფუძველი, როგორც მონებით ვაჭრობა და ჰოლოკოსტია.

გარდა იმისა, რომ გამოფენა დამთვალიერებელთან დინამიური ინტერაქტიური კომუნიკაციის საშუალებას იძლეოდა, მის შექმნაში სხვადასხვა წარმომავლის ადამიანებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც იმხანად ონტარიოში ცხოვრობდნენ. ონტარიოს პროვინციის ხელისუფლებამ მოითხოვა, გამოფენას მეცნიერებაში ამ ხალხების წვლილის შესახებაც მიეწოდებინა ინფორმაცია, და გარდა ამისა, ცენტრს უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ ებრძოდნენ მეცნიერები უმეტრებას რასობრივ და გენდერულ საკითხებში. მაგრამ გამოფენის მზადების პროცესში მკვლევრები და დამგეგმავები მიხვდნენ, რომ ამ თვალსაზრისით მეცნიერთა დადებით როლს წარმოჩენასთან ერთად ისტორიული წარსულის იმ მომენტებზეც უნდა შეჩერებულიყვნენ, როდესაც მეცნიერება მხარს უჭერდა უმცირესობების, ისევე, როგორც ევროპული საზოგადოების განათლებული ფენების მიღმა დარჩენილი ადამიანთა ჯგუფების, მიმართ წინასწარშექმნილ უარყოფით დამოკიდებულებას და ჩავგრას.

სამყაროს ჩვენი, გარკვეულწილად, პესიმისტური ხედვა მოგვიანებით გამოფენის დამთვალიერებელთა ჩანაწერებმაც განგვიმტკიცა. უფრო ხშირად, ვიდრე ამას ვისურვებდით, ჩანაწერები ადამიანებში ღრმად ფეხმოკიდებულ დამოკიდებულებებს იმ აზრს ასახავდა, რომ ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები რასობრივი სხვაობებით გამოწვეულ გენეტიკურ ვარიაციებზეა დამოკიდებული, ან ის, რომ მეცნიერება არანაირად არ ასახავს კულტურულ გარემოს, რომლიდანაც მეცნიერია გამოსული.

“ჭეშმარიტების საკითხის” იდეა დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში იხვეწებოდა; კითხვები, რომლებიც მისი მზადებისას გვიჩნდებოდა, ოფიციალური მეცნიერებისადმი დაეჭვების გამოთქმის მეტ და მეტ სურვილს გვიჩენდა. ბევრი საკითხი საკმაოდ არაპოპულარული იყო, მაგრამ სამყაროს განსხვავებული კუთხიდან გვბჩვენებდა. იდეების ბუნებრივი განვითარების საყოველთაოდ აღიარებული მოდელი, რომელიც სამყაროზე წარმოდგენას გვიქმნის, მუშაობის პროცესში მხოლოდ მიკერძოებული თვალთახედვა აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ ვინრო, ევროპულ ხედვას ემყარება. ამ ხედვისთვის მიუღებელი თვალსაზრისები, როგორც ირკვეოდა, იგნორირების ერთმანეთის მსგავსი აქტებით იქნა უკუგდებული. გამოფენაზე ევროპული სამეცნიერო სტანდარტები მიკერძოებულ, წინასწარ განსაზღვრულ დამოკიდებულებებზე წარმოიჩინდა და არა იმ უცვლელი ცოდნის დასაყრდენად, რომელსაც ჩვენ ჩვენს სტუდენტებს ერთადერთ ჭეშმარიტებად ვუსახავთ და ასევე ვასწავლით.

გამოფენა დახურულ, მრავალკომპონენტიან სივრცეში ეწყობა. გარედან კედლის თავზე ამალღებულ ობელისკების რიგისგან შედგება, რომელთა ცენტრში თვალს უზარმაზარი შავი დრაპირებული კუბი ხვდება. გამოფენაზე შემსვლელს წინ ჩარაზული კარიბჭე ხვდება. კომპიუტერიზებული კარის გასაღებად ხელი ღილაკს უნდა დავაჭიროთ, და შესვლის უფლება ვითხოვოთ. ზოგიერთ ჩვენგანს კარი მაშინვე ეღება, ზოგს ცდა უნევს. ამგვარად, გამოფენის დათვალეიერებამდე ასე დახარისხებულნი, პრივილეგიებულ და ნაკლებად პრივილეგიებულ კატეგორიებად დაყოფილები, თავიდანვე ვემზადებით იმის გასაგებად, რას ნიშნავს ადამიანთა დისკრიმინაცია, რომელიც ჯერაც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კარიბჭის გავლისას თავს ისე ვგრძნობთ, თითქოს ახლახანს იმიგრაციის პროცესი გავიარეთ.

კედლებს შიგნით რამდენიმე საგამოფენო სივრცეა. შავ კუბში მოქცეულ ცენტრალურ სივრცეში საშუალება გვეძლევა, დავესწროთ ვიდეოჩვენებას, რომელიც დასავლური მეცნიერების ზოგად მიმოხილვას წარმოადგენს. თხრობა ისეა აგებული, რომ ევროპული მოდელის დაუეჭვებელ გაზიარებას თან ევროპელების სხვებზე უპირატეს ხალხად მიჩნევა მოსდევს.

კუბში განთავსებული დარბაზის გარეთ გამოფენის დამთვალეიერებელს კომპერნიკისეული მზის სისტემის კრიტიკული გადასინჯვა ელის. მზეზე ორიენტირებული ეს სისტემა გამოფენაზე მრავალ შესაძლო სამეცნიერო მოდელთაგან მხოლოდ ერთ-ერთი აღმოჩნდება. ეს მოდელი ძალიან ხელსაყრელია მზის სისტემისა და ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავების ურთიერთკავშირის შესასწავლად, მაგრამ ნაკლებ ხელსაყრელია კალენდრის შექმნისას, საოკეანო ნავიგაციისა და კოსმოსური მოგზაურობისათვის.

ექსპოზიციის ზოგიერთი კუთხე არაევროპულ ტექნოლოგიებს და სამეცნიერო აზრს განსხვავებული მხრიდან დაგანახებთ. მაგალითად, გაეცნობით წყნარი ოკეანის სამხრეთ კუნძულების მკვიდრთა დედამიწაზე ორიენტირებულ მზის სისტემას. ეს ხალხები ნავიგაციისთვის ორიენტირებად ჰორიზონტზე ამომავალ და ჩამავალ ვარსკვლავებს იყენებენ. თუმცა, რაკი ეს შორი წერტილები მათ კანოებთან ერთად მოძრაობს, ისინი თვლიან, რომ ვარსკვლავები და კანოე კი არ მოძრაობს, არამედ კუნძულები — ამოსავალი და საბოლოო პუნქტები. გამოფენაზე გამოტანილია ჩინური სანავიგაციო ინსტრუმენტები, ისლამურ მედიცინასთან და ჩრდილოეთ ამერიკის ძველი ხალხების სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მასალა, რომელიც მნახველებს ბევრ ღრმად გამჯდარ შეხედულებას გადაასინჯინებს.

ამ პირველი, მასალის გასაცნობად განკუთვნილი, სექციის შემდეგ გამოფენა ცოტა

განსხვავებულ სახეს იღებს. ექსპონატების სერია ადამიანის გენების გადაცემის თავისებურებებს და ადამიანთა შორის მსგავსებას განიხილავს, რომელიც სინამდვილეში უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ გვგონია. ადამიანთა ამა თუ იმ კატეგორიის ჩაგვრის ეპიზოდები იმ თეორიებთან ერთად განიხილება, რომელიც ამ დისკრიმინაციას საფუძველს უმაგრებდა, მაგალითად, ერთი მხრივ, სამეცნიერო ფილოსოფია და მეორე მხრივ — ორივე ამერიკაში გავრცელებული მონობა, ჰოლოკოსტი ფაშისტურ გერმანიაში. ბოლოს, გვეძლევა საშუალება ვიმსჯელოთ, შეიძლება თუ არა მეცნიერება კულტურული თვალსაზრისით მიკერძოებული იყოს. აქვე წარმოდგენილია დამთვალეიერებელთა შთაბეჭდილებების და წამოჭრილ საკითხების თაობაზე გამოთქმული აზრების შემცველი ჩანაწერები.

გამოფენის უკანასკნელი ნაწილი ძალზე პროვოკაციულია, ინფორმაცია - უჩვეულოდ დეტალიზებული, თუმცა, გათვლილი იმდენად არა ინტელექტუალურ, რამდენადაც ემოციურ აღქმაზე. ერთი ასეთი ექსპონატია კუბოსმაგვარი ყუთი (იხ. სურათი 18.1), რომელშიც დამთვალეიერებელს შეუძლია შეაბიჯოს, და წარმოიდგინოს იმ ადამიანთა განცდა, რომლებსაც აფრიკიდან ამერიკის სანაპიროებამდე მონებით მოვაჭრეთა გემებზე ამგვარ სივრცეში 23 საათის გატარება უხდებოდათ. შემდეგ იმ ადამიანთა მონათხრობს ისმენენ, რომლებმაც ნაცისტების სიკვდილის ბანაკებისკენ მატარებლით მგზავრობის საშინელება გამოსცადეს. ამ დროს ექსპოზიციის კედლები იხურება, და უსუსურ და შეშინებული ადამიანების წარმოდგენას თან იმ საეჭვო ფილოსოფიური მოძღვრებების სამეცნიერო ჟარგონი ერთვის, რომლითაც ადამიანთა მიმართ ასეთი მოპყრობა საბუთდებოდა. ეს წარმოდგენა შესწენებაა, რომ მეცნიერება არ შეიძლება იყოს აპოლიტიკური, ხოლო ისტორიასთან მისი კავშირის უარყოფა კი შეცდომაა.

“ჭეშმარიტების საკითხი” სამუზეუმო ექსპოზიციის დამთვალეიერებლებს ასეთ კითხვას აძლევს:

შეიძლება თუ არა, რომ კამათმა, დისკუსიამ განხეთქილება არ გამოიწვიოს და სასარგებლო აღმოჩნდეს?

საზოგადოების რეაქციამ გამოფენაზე გვაჩვენა, რომ მართლაც შეიძლება იყოს. როცა ადამიანების მიერ გამოთქმულ აზრებს გავეცანით, აღმოვაჩინეთ, რომ ისტორიის მეცნიერების წინააღმდეგობრივი აღქმა იმ დაეჭვებებს აჩენს, რომელიც თავდაპირველად გამოფენის კურატორს ეუფლება და თავისებურად, გამოფენის ახალი ფორმა ყალიბდება.

გამოფენის დიდი ნაწილი მუზეუმის კედლებს გარეთაა გატანილი, ხოლო მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილების სპეციალისტები, მეცნიერები და გამოფენის მონყობაში მონაწილე ადამიანები დამატებით მრჩეველთა ჯგუფს ქმნიან. ექსპოზიციის ნაწილის ღია ცის ქვეშ გატანის გადაწყვეტილება კურატორს ფუნქციებს სულაც არ უმცირებს. პირიქით, ამ მიდგომის საინტერესო გვერდითი მოვლენა სწორედ კურატორის, და ხსენებული მრჩეველთა ჯგუფის, თუ მონვეული სხვა ექსპერტების როლის გაერთიანებაში მდგომარეობს, რომლებიც გამოფენის მზადების პროცესში კურატორის მოკავშირეები ხდებიან. თუმცა, ეს იოლად შესაქმნელი ალიანსი როდია. ერთხელ, ადგილობრივი საზოგადოების წევრებთან ერთად დიდ დისკუსიას ვანყობდით იმასთან დაკავშირებით, როგორ გვექცია მონებით მოვაჭრეთა გემი ინტერაქტიურ გამოცდილებად. გამოფენის მონყობამდე ერთი წლით ადრე ადგილობრივი საზოგადოების წევრების მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა გეგმები შეგვაცვლევინა, რის შედეგადაც “ყუთი-საპყრობილეს” პროექტმა განსხვავებული პოლიტიკური შეფერილობა მიიღო.

ამ რთული მომენტების მიუხედავად, მრჩევლების ჯგუფის მთავარი ამოცანა დანარჩენებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება იყო, რადგან მუზეუმის კარი ტრადიციულად გარე თანამშრომლობისთვის მუდმივად ღიაა. კონსენსუსმა შედეგზე სასიკეთო გავლენა იქონია. ჩვენ რომ მხოლოდ სამეცნიერო ცენტრის მითითებებით გვემუშავა და ტრადიციულ ინსტიტუციურ ღირებულებებს დავყრდნობოდით, რეზულტატი ალბათ ოდნავ შეზღუდული ხასიათისა იქნებოდა. მაგრამ პროექტზე მუშაობის პროცესში გამოჩნდა, რომ თანაფარდობის დაცვა უფრო გონივრული იქნებოდა. ერთი მხრივ, როგორც კურატორს, მე ჩვენი სამეცნიერო ცენტრის ახალ გამომსახველობით დონეებზე აყვანა მევალებოდა, მაგრამ მეორე მხრივ კი ვიცოდი, რომ ჩვენი ექსპოზიცია ყველაზე ფართო აუდიტორიისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

განსხვავებული ინტერესების მქონე საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ზოგადად საზოგადოებას შორის ჩემი მედიატორული როლის გააზრებამ გამოფენის მზადების პროცესისადმი მიდგომა შემაცვლევინა. თვალსაზრისების შეჯერებამ იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ მეცნიერული ცოდნა, ან კულტურული ცოდნის ნებისმიერი ასპექტი, რომელსაც მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები იძლევა, როგორც "ჭეშმარიტების საკითხი", მისი განსაკუთრებულად დინამიური ხასიათი, ახალი ტიპის გამოფენების დაგეგმვისაკენ გვიბიძგებს, რომელთა მოწყობაშიც საზოგადოების წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ, ოღონდ ძლიერი კურატორის მეთვალყურეობით, რომელიც, ერთი მხრივ, სხვადასხვა ტიპის გონიერი დამთვალეობის მოსვლისთვის ემზადება, მეორე მხრივ კი, სამეცნიერო ტრადიციას და ცოდნის შენახვა-გადაცემის აუცილებლობას ითვალისწინებს.

მაგალითი 18.2

ევოლუციის დიდი გალერეა

ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმი, პარიზი

პატრიკ ბლანდენი

1889 წელს ბუნების ისტორიის ეროვნულმა მუზეუმმა შთამბეჭდავი შენობის აშენება იზეიმა. ამ შენობაში ზოოლოგიის გალერეა უნდა განთავსებულიყო, რომელშიც ცხოველთა სამყაროს ყველა სახეობის ნიმუში გამოიფინებოდა, როგორც მეცნიერული კვლევისათვის, ისე დამთვალეობელთა ინტერესის დასაკმაყოფილებლად. შენობის ცუდი მდგომარეობის გამო მუზეუმი 1966 წელს დაიხურა. კოლექციების საცავებისთვის აიგო მინისქვეშა შენობა, ხოლო განახლების პროგრამა 1987 წელს ამუშავდა. არქიტექტორებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებდნენ, და ბოლოს არჩევანი არქიტექტორებზე პოლ შემეტოვსა და ბორია პუიღობროზე და დიზაინერ რენე ალიოზე შეჩერდა. მუზეუმის საპროექტო გუნდსა და მშენებელთა ჯგუფს შორის თანამშრომლობა 1988 წლის ბოლოს დაიწყო. შედეგად ყველა თვალსაზრისით ბრწყინვალე "ევოლუციის დიდი გალერეა" მივიღეთ, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონიალი 1994 წლის ივნისში შედგა. გალერეას სამი დამატებითი კომპონენტი აქვს: ევოლუციის მიდმივმოქმედი ექსპოზიცია, კულტურულ-პედაგოგიური ცენტრი და დროებითი გამოფენებისათვის განკუთვნილი დარბაზი. მუდმივმოქმედი ექსპოზიციის დარბაზის ფართობი 6.000 მ²-ს აღწევს, დროებითისა - 900 მ²-ს, ხოლო კულტურულ-პედაგოგიური ცენტრისა - 1.000 მ²-ია. ევოლუციის დიდი გალერეა ყოველწლიურად დაახლოებით 500.000

დამთვალერებელს იღებს.

გამოფენაზე ევოლუციის პროცესი ისეა წარმოდგენილი, რომ ყველაზე ფართო აუდიტორიისთვის იყოს გასაგები და რა თქმა უნდა, რთულ სამეცნიერო თუ მუზეოლოგიურ ამოცანებს ისახავს. მეტიც, ჩვენი ამოცანა სახეობებისა და მეტ-ნაკლები ინფორმატიულობის მქონე ექსპონატების გამოფენით არ ამოიწურება: ჩვენი გადაწყვეტილებით, მუდმივმოქმედი გამოფენა ხელოვნების ნამუშევარი უნდა იყოს. ამის შემდეგ ჩნდება კრიტიკული კითხვა: როგორი უნდა იყოს ურთიერთკავშირი მეცნიერებას, ტექნიკასა და ხელოვნებას შორის ბუნების ისტორიის ისეთ მუზეუმში, როგორიც ჩვენია?

თავდაპირველი სამეცნიერო და საგანმანათლებლობლო მიზნები ძალზე ფართო იყო. სიცოცხლის დინამიკის მთლიანი სურათის გათვალსაზრისებით, მუზეუმს დამთვალერებლისთვის ევოლუციის გაგების ფართო მასშტაბები უნდა წარმოედგინა და იმ დასკვნის ფონზე, რომ ადამიანი სიცოცხლის სხვა ფორმებზე გავლენას ადრეც ახდენდა და დღესაც ახდენს, მუზეუმს სურდა, საზოგადოებისთვის ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ის საკითხები და პრობლემები გაეცნო, რომელთა წინაშეც დღეს კაცობრიობა დგას. რაკი ჩვენი გალერეა ზოოლოგიის მუზეუმის მემკვიდრე იყო, ზოოლოგიური კოლექციებისთვის (ძირითადი აქცენტით ცხოველთა სამყაროზე) განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიგვენიჭებინა. მეტიც, პალეონტოლოგიურ გალერეასთან მსგავსებასაც უნდა მოვრიდებოდით. ასეთი იყო ჩვენი სამეცნიერო კონცეფცია. აუცილებელი შეზღუდვები გამოიწვია თვით შენობის თავისებურებებმაც, რადგან იგი უზარმაზარი ცენტრალური კორპუსის გარშემო შემორკალულ სამ წრიულ კონსტრუქციას წარმოადგენს. ამ აივნური ტიპის კონსტრუქციებმა ექსპოზიციების დაგეგმვაზეც იქონია გავლენა. ეს პროცესი ჩვენ სამ "აქტად" დავყავით, ესენი იყო:

აქტი 1: ბიომრავალფეროვნება - ძირითადად ცხოველთა სახეობების მრავალფეროვნება - დღეს, ანუ ევოლუციის პროცესის მემკვიდრეობა.

აქტი 2: ევოლუციის თეორიები - ისტორიული თვალთახედვიდან და დღევანდელი ცოდნა მისი პროცესებისა და მექანიზმების შესახებ;

აქტი 3: ადამიანი, როგორც ევოლუციური ფაქტორი და როგორც მისი საქმიანობის შედეგი - გადაშენებული და გადაშენების საშიშროების წინაშე მდგომი სახეობები.

პირველი აქტი ორ დონედ იყოფოდა: ქვედა ზღვის ეკოსისტემებთან იყო დაკავშირებული, ხოლო ზედა - ხმელეთის ეკოსისტემებთან. ესენი ცენტრალურ ნეფს იკავებენ, რომლის სიღიადე და არქიტექტურული სილამაზე საგანგებო წარმოჩინებას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპონატები მათი სპეციფიკური ეკოსისტემების მიხედვითაა დაჯგუფებული, მაინც უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულია განთავსების ესთეტიკური ასპექტი. ექსპონატები სინათლის და მუსიკის ატმოსფეროშია "ჩაძირული", რაც თვალსაჩინო სანახაობას ქმნის, მაგრამ სამეცნიერო ინფორმაცია არ ერთვის.

მეორე აქტი, რომელიც ზედა აივანზეა განთავსებული, იმ თეორიების ისტორიას და კონცეფციების წარმოადგენს, რომლებიც დღეს სიცოცხლის ფორმების მრავალფეროვნებასა და ერთდროლად - ერთიანობას გვიჩვენებს. დამთვალერებელი იტყობს პალეონტოლოგიის, შედარებითი ანატომიის და მოლეკულური ბიოლოგიის წვლილის შესახებ სახეობების გენეალოგიების თვალის გადავებისას, წარმოდგენა ექმნება სიცოცხლის ისტორიის უმთავრეს მტაპებსა და მოლეკულური გენეტიკის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებზე.

მესამე აქტი მეორე აივანზეა განთავსებული და წარმოადგენს ბიოლოგიის, ეთნობი-

ოლოგიის, ეკოლოგიის და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ურთიერთკავშირს, რომელიც გვიჩვენებს ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების სხვადასხვაგვარ ასპექტებს და დამთვალეირებელს უბიძგებს ჩაუფიქრდეს ადამიანის პასუხისმგებლობას ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის.

რაკი გამოფენა ევოლუციის მთელ პანორამას წარმოადგენს, რთულ მეცნიერულ საკითხებს რთული საგანმანათლებლო ამოცანები დაეურთეთ. კერძოდ: როგორ უნდა წარმოვადგინოთ მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ინფორმაცია და როგორ უნდა შევუჯეროთ ერთმანეთს? იმ მისაზრებიდან გამომდინარე, რომ გამოფენის მხოლოდ სახეობებისთვის დათმობა საკმარისი არ იქნებოდა, შემუშავდა მუზეოლოგიური მასალის მდიდარი სპექტრი. ზოგ მასალას თან კომპიუტერული ინფორმაცია ერთვის. მიუხედავად ამისა, დამთვალეირებელმა თითოეული ექსპონატის დათვალეირებას საკმარისი დროც რომ დაუთმოს, მათ მხოლოდ შეზღუდული ინფორმაციის მიწოდება შეუძლია, ადამიანის და ბუნების ურთიერთქმედება კი კომპლექსური და რთულად გადმოსაცემი საკითხია: ადამიანთა საზოგადოება ბუნებაზე მრავალგვარ და ხშირად ერთდროულ ზეგავლენას ახდენს. ჩვენ შევქმენით მულტიმედიური ექსპონატები, რომელზეც გამოსახულია, ვთქვათ, მდინარის მოდელი დაბინძურების ყველა შესაძლო წყაროსთან ერთად, დაბინძურებული წყლის მასების ზღვაში ჩადინება; სამი სხვადასხვა ეკრანი მდინარის სხვადასხვა ნაწილის დაბინძურების დონეებს ასახავს, დიორამები კი — მდინარის ეკოსისტემის სხვადასხვა ასპექტებს. კომენტარი მთელ პრეზენტაციას ახლავს: რამდენიმე წუთის შუალედში იგი მდინარის ისტორიაზე, ევოლუციაზე მოგვითხრობს, განსაკუთრებული აქცენტი კი ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ შედეგებზე კეთდება.

თუმცა ეს ძალზე რეალისტური ექსპონატი გალერეაში გამოჩაჩისს წარმოადგენს. ალუზია და არა ილუზია: ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ არქიტექტორები და დიზაინერი. პრინციპი რეალისტური მუზეოგრაფიისთვის თავის არიდებას გულისხმობს, მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის საპირისპიროდ, როცა დიორამებზე ბუნებრივ გარემოში ნამდვილი სახეობების რეპროდუცირებას ახდენენ, რასაც ურთავენ არტიფაქტებს და გაფორმებას. ევოლუციის დიდ გალერეაში ბიომრავალფეროვნების გადმოსაცემად ცხოველთა სახეობებს სიმბოლურად განვათავსეთ. ამ გადაწყვეტილებას წინ საფუძვლიანი დებატები უძლოდა. მისაღებია თუ არა "გამოგონილი რეალობების" მეშვეობით ცოდნის ეფექტური გადაცემა? იქნებ საამისოდ სიმბოლური პროცედურების არჩევა სჯობს, რომლებიც რეალობას კი არ ენაცვლება, არამედ მას ანალოგიების, ან ძალიან არაპირდაპირი ალუზიების მეშვეობით გადმოსცემს?

ალუზიის მეთოდი დიზაინერს ბევრი შეზღუდვისგან ათავისუფლებს, მაგრამ იქმნება იმის რისკი, რომ წარმოდგენილ მასალასა და წარმოსადგენ რეალობას შორის კავშირი ძალზე ბუნდოვანი შეიქნას. ჩვენს გალერეაში ამ პრობლემის განსახიერებას აფრიკული ქარავანი წარმოადგენს. ცხოველების ჯგუფი შთამბეჭდავად, მაგრამ არარეალისტურად გამოიყურება. სანახაობა მოძრავია, ფერები და ზომები ცვალებადი, რასაც სინათლის ეფექტები აძლიერებს. როგორც ხვდებით, ამ ყველაფერს საგანმანათლებლო ფუნქცია არ გააჩნია. მნახველები თავიანთი შთაბეჭდილების აღსაწერად სიტყვებს "ჯადოსნური", "მაგიური" იყენებენ. და მაინც, აქვს თუ არა ამ "ჯადოსნობას" სამეცნიერო ცოდნის გადაცემის უნარი? აძნელებს თუ აადვილებს ამ კომუნიკაციას?

სტანდარტული პერიოდული გამოკითხვებით ვიგებთ, რომ მნახველების 95% კმაყოფილია, 60%-ზე მეტი ალფრთოვანებას გამოთქვამს. 90%-ზე მეტი აცხადებს, რომ აფრი-

კული ქარავანი შესაქცევ სანახაობად აღიქვა, 90%-ზე მეტი გვეუბნება, რომ სანახაობიდან, სულ მცირე, გარკვეული ცოდნა მაინც მიიღო. მეტიც, ხელმეორედ მის სანახავად მოსულთა პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა და 1996-დან 1999 წლამდე 30%-ს აღწევს. მნახველების ამ კატეგორიას დათვალეირების ზუსტად განსაზღვრული სტრატეგიები გააჩნია ექსპოზიციის გარკვეული მონაკვეთების შესასწავლად. ამგვარად, გალერიეს "მაგიურობა" ხელს უწყობს სამეცნიერო ცოდნის მნახველისთვის ხელმისაწვდომობას. ამის მიუხედავად, ევალუაცია გვიჩვენებს, რომ ცოდნის მიღების დონე კვლავ არადაამაკმაყოფილებელია. ჩვენ ეტაპობრივად მოგვიხდება ექსპოზიციის ნაწილის სრულყოფა ან შეცვლა, სწორედ ამ შეფასებების შედეგების გათვალისწინებით.

უკვე შექმენით ახალი სექცია, რომელიც სახეობის გაგებას და ცოცხალი სამყაროს კლასიფიკაციას ეძღვნება, და ახლა მე-2 და მე-3 აქტების ახლებურად ორგანიზებას ვინწყებთ.

ადრე კოლექციები მხოლოდ იმის ჩვენებას ემსახურებოდა, თუ როგორაა კლასიფიცირებული ბუნების მრავალფეროვნება. დღეს ბუნების ისტორიის მუზეუმები მხოლოდ სახეობების და სხვა კონკრეტული ექსპონატების ჩვენებას აღარ სჯერდება; ამიტომაც მუზეუმების კოლექციების გამოფენა ცოდნის გადასაცემად საკმარისი აღარ არის, რადგან ცოდნამ ფორმა და შინაარსი შეიცვალა; ამიტომ სამეცნიერო გამოფენების მოსაწყობად ახალი კონცეფციებია საჭირო, რადგან მუზეუმებისგან მხოლოდ ინფორმაციას კი არა, გართობასაც მოელიან. ევოლუციის დიდი გალერეა ბევრ ასეთ კონცეფციას წარმოადგენს, რომელიც სახეობების, ტექნოლოგიების და ხელღვნების ინოვაციურ შერწყმას გულისხმობს. წარმატება აშკარაა. გამოფენა თავისებური ექსპერიმენტია, რომლის გაანალიზება წინსვლას განაპირობებს. ევოლუციის დიდ გალერეაში ეს წინსვლაც აშკარად იგრძნობა.

სასწავლო მაგალითი 18.3

მისდით ჩრდილოეთის ვარსკვლავს კონარის პარიკში

(ინდიანას შტატი)

საკამათო პროგრამები

სტივენ ლ. კოქსი

რა უნდა შესთავაზონ მუზეუმებმა საზოგადოებას და როგორ უნდა წარუდგინონ? მხოლოდ კონკრეტული ცოდნა და ინფორმაცია უნდა გადასცენ დამთვალეირებელს, თუ ზოგადი კულტურული პროცესებითაც უნდა დააინტერესონ? მუზეუმის ზოგიერთი სპეციალისტი შეგვეკამათება, რომ წარმოდგენილი ექსპონატები მუზეუმის ფუნქციას სრულად აკმაყოფილებს; მეტი რაღა მოეთხოვება საზოგადოებრივ პროგრამებს; ან როგორი ყურადღება უნდა დაეთმოს წინააღმდეგობრივ თემებს და საკითხებს?

წინააღმდეგობების თავიდან არიდების გასაგები სურვილიდან გამომდინარე, ბევრი მუზეუმი ცდილობს, რომ წარმოსადგენი საკითხი გაამარტივოს, რათა დამთვალეირებლის გაღიზიანება ან დაბნეულობა არ გამოიწვიოს. მაგრამ თუ მუზეუმი ცდილობს, რომ კულტურის თვალუწვდენელი სივრცის თანასწორუფლებიან "მოთამაშედ" ჩაითვალოს, თითქმის ვალდებულია, რომ გააღიზიანოს, გამოიწვიოს, განგაშის ან გაფრთხილების ელემენტებიც კი გამოიყენოს, ამავე დროს, პროვოკატორის როლს არ დასჯერდეს, და საკითხის ანმყოც

და წარსულიც ერთიანად მოიცვას.

1990-იანი წლების ბოლოს "კონერ პრერიში", ყოფილი ისტორიის მუზეუმში ინდიანო-პოლისის სიახლოვეს, სადაც თამაშდებოდა სცენები ისტორიულ პირთა მონაწილეობით (მუზეუმი პირველი პირისგან თხრობის ტექნიკას იყენებდა), შეიქმნა "სრული მონაწილეობის" პროგრამა სახელწოდებით "მისდით ჩრდილოეთის ვარსკვლავს", რომელიც ყურადღებას ამერიკის ისტორიის და კულტურის უმთავრეს საკითხებზე ამახვილებს, როგორებიცაა მონობა, რასიზმი და მინისქვეშა რკინიგზის, "ანდერგრაუნდ რეილვეის" საიდუმლო ორგანიზაცია. საკითხის ამგვარად დასმა დიდ გამოწვევად იქცა მუზეუმის მუშაობაში, ხოლო ის, თუ როგორ განხორციელდა შესაბამისი ამოცანები, მის დიდ მიღწევადაც შეიძლება ჩაითვალოს.

"კონერ პრერის" მთხრობელები ყვებიან პრერითაუნის, გამოგონილი სოფლის ისტორიას, რომელშიც მოქმედება 1836 წელს ხდება, ხოლო მოვლენები მოიცავს ყველა სფეროს — პოლიტიკური კონფლიქტებიდან ქორწინებებამდე, ადამიანთა გარდაცვალებამდე; დამთვალეიერებელი იგებს, როგორ და ტრანსპორტის რომელი სახეობა მუშაობდა იმხანად, როგორი მალაზიები იყო, როგორ გამოიყურებოდა სოფლის მეურნეობა. წლების განმავლობაში, ყოველ თებერვალს, მუზეუმი ფოკუსირებას ახდენდა შავი ამერიკის, ანუ აფრო-ამერიკელების ისტორიაზე, წარმოაჩენდა ცნობილი აფრო-ამერიკელების მიღწევებს. მსახიობები წარმოადგენდნენ სცენებს ისეთი მოღვაწეების მონაწილეობით, როგორებიც იყვნენ ფრედერიკ დუგლასი, ჰარიეტ თიუბმენი, მედამ ს. ჯ. უოქერი (მწარმოებელი, რომელმაც აფრო-ამერიკელებისთვის პირველმა შეიმუშავა საგანგებო კოსმეტიკური ხაზი), და მეიჯორ ტეილორი (საქვეყნოდ ცნობილი ველომსრობელი). გარდა ამისა, მუზეუმი ხშირად მასპინძლობს სახელგანთქმული "თასკიჯი ეამენის", და ადგილობრივ მუსიკოსებს. სკოლის მოსწავლეებისათვის შედგენილ პროგრამებში მსახიობები დისკუსიებს აწყობენ ამერიკის კოლონიზაციის საზოგადოების დადებით და უარყოფით მხარეების გამოსავლენად (ეს ორგანიზაცია თავისუფალი აფრიკელების უკან, აფრიკაში ტრანსპორტირებას ეწეოდა). თუმცა მუზეუმმა ვერ შეძლო XIX ს. დასაწყისის რადიკალი აბოლიციონისტების (უკლებლივ ყველა შტატში მონობის გაუქმებისათვის მებრძოლი ადამიანები) წარმოჩენა, რადგან ამ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ჰუსიერების (ინდიანას შტატის მოსახლეობას ასე უწოდებდნენ) უმეტესობა 1830-იან წლებში აბოლიციონიზმის მიმართ კეთილგანწყობით არ გამოიჩინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ "მეგობართა საზოგადოებას" (კვაკერები) წევრებს შორის მონობის ბევრი მოწინააღმდეგე იყო.

მუზეუმის აფრო-ამერიკული მიმართულების გასაძლიერებლად, მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელმა ის შესაძლო საპროგრამო ინიციატივები შეისწავლა, რომელთა მეშვეობით "კონორ პრერი" ყოველწლიურ თებერვლის პროგრამებს შორის გასცდებოდა და "ცნობილი შავი ამერიკელებისადმი" ახლებური მიდგომის საშუალებას იძლეოდა. მათ ინახულეს კემპბელის ბანაკი ჰამილტონის ოლქში (ოჰაიო), ცინცინათის სიახლოვეს, რამაც საიდუმლო ორგანიზაციებზე (ანდერგრაუნდ რეილვეი - იმ თანამგრძობთა საიდუმლო ქსელი, რომლებიც მონებს კანადაში აპარებდნენ) წარმოდგენა გაუღრმავათ და "ანდერგრაუნდ რეილვეი"-ზე მუშაობის დაწყებაც შესაძლებელი გახდა. მაგრამ სად და როგორ უნდა წარმოგვედგინა "კონორ პრერიში" ეს პროგრამა ისე, რომ მაყურებელს ნანახი რეალობად აღექვას? ორი ერთდროული პრობლემის წინაშე ვიდექით, რომელიც შინაარსთან და მდებარეობასთან იყო დაკავშირებული. გვინდოდა, პირველი პირისგან თხრობის ტექნიკა აქაც გამოგვეყენებინა,

მაგრამ საკითხავი ის იყო, როგორ გვექნა ეს და ასევე, როგორი სახე უნდა მიგვეცა ჩვენი პერიოთაუნისთვის, რომელშიც მიჯრით აგებული საცხოვრებელი სახლების და ბალების გარდა არაფერი იდგა, რამდენიმე ათასი მილით დაშორებულ ადგილს რომ დამსგავსებოდა?

გადავწყვიტეთ, ყველაფერი თავიდან დაგვეწყო. "კონერ პრერის" თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ ეს პროგრამა ვერ ეტეოდა - და არც უნდა ჩატეულიყო, - პერიოთაუნის ფიზიკურ საღვრებში. ჩვენი არსებული პერსონაჟებიც, რა თქმა უნდა, ვერც "ანდერგრაუნდ რეილვის" განსახიერებას ეყოფოდა. საბოლოოდ, მიშელ ევანსმა და დაგ ჰეივიგმა, ინტერპრეტაციაზე მომუშავე თანამშრომლებმა, არსებული პირველადი და მეორადი წყაროების შესწავლის შედეგად ის საჭირო ინფორმაცია მოიპოვეს, რომელმაც პროგრამას სოლიდური ისტორიული საფუძველი მოუშადა. თავიანთი გამოკვლევის შედეგების განხილვის შემდგომ ევანსმა და ჰეივიგმა დაწერეს სცენარი, რომელშიც ახალი პერსონაჟები შეიყვანეს, რომელთა თვალსაზრისი მონობის, რასიზმისა და ჰუსიერი აბოლიციონისტების შესახებ 1830-იან წლების შუახანებში ყველაზე მეტად გავრცელებულ მიდგომას ასახავდა.

კონერ პრერის თანამშრომლებმა პროგრამის განხორციელების ადგილი და მასშტაბები პერსონაჟებზე მუშაობის პარალელურად განსაზღვრეს. "მისდით ჩრდილოეთის ვარსკვლავი" (როგორც "მინისქვეშა რკინიგზა") არა მხოლოდ ღამის პროგრამაა. მისთვის შეიმუშავებულ იქნა ისეთი შემომვლელი სამოძრაო მარშრუტი, რომელიც დღის ჩვეულებრივი მარშრუტისგან განსხვავდება. ზოგიერთი სახლები და ქოხები ამ მარშრუტზე მნიშვნელოვან საგზაო პუნქტებად ვაქციეთ, სხვა უჩვეულო ადგილ-მდებარეობები ატმოსფერული თუ ლოჯისტიკური მოსაზრებებით მოვიწონეთ, მათ შორის გზიდან გადასახვევი და სოფლიდან მოშორებული ბოსელი. მეტიც, თანამშრომლებმა მარშრუტი ერთნახევარი მილის სიგრძის ხრიოკ და გორაკებიან ადგილამდე გაიყვანა, რომელზეც ღამის საათებში გზის გაკვალვა გაძნელებული იქნებოდა.

ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ პროგრამა ძალზე ძვირი დაგვიჯდებოდა, ამის გამო დასახმარებლად მეცნიერებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას მივმართეთ. ორმა მრჩეველთა საბჭომ "ჩრდილოეთის ვარსკვლავის" მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა. ერთი, რომელმაც ინდიანას ჰუმანიტარული საბჭოდან გრანტი მიიღო, ისტორიკოსებისა და სხვა მუზეუმებიდან მონვეული პროფესიონალებისგან შედგებოდა; მათ სცენარში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს. მაგალითად, ერლჰემის კოლეჯის ისტორიკოსმა თომას ჰემმა, ამერიკული კვაკერობის ყველაზე ავტორიტეტულმა მკვლევარმა, კვაკერი პერსონაჟების მეტყველებას, ჩაცმულობასა და შეხედულებებს თითქოს მცირე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი დეტალები შემატა.

მეორე სამრჩეველო გუნდში ინდიანოპოლისის აფრო-ამერიკელი სპეციალისტები და სამუზეუმო საქმის პროფესიონალები შედიოდნენ. აფრო-ამერიკელმა მრჩეველებმა პროგრამის მომზადებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს. მათ "კონერ პრერის" თანამშრომლებს იმ პერიოდის აფრო-ამერიკელების ენასა და შეხედულებებთან დაკავშირებულ უამრავ საკითხს მოჰფინეს ნათელი. რა სიტყვები უნდა გვეხმარა და რა კონტექსტში? დისკუსიების შემდეგ დადგინდა ის სიტყვები და გამოთქმები, რომელიც იმ პერიოდის მონებით მოვაჭრეების ლექსიკონში მკვიდრად იყო გამჯდარი. ასევე შევთანხმდით, რომ მათგან ყველაზე დამამცირებელ ფორმებს არ გამოვიყენებდით. ასეთი ამოცანების წინაშე ჯერ არც ერთი მუზეუმი არ მდგარა.

საბოლოოდ, "ჩრდილოეთის ვარსკვლავი" "კონერ პრერის" მზრუნველთა საბჭოს არ-

სებულმა და უკვე ახლად არჩეულმა პრეზიდენტებმა, მარშა სემელმა და ჯონ ჰერბსტმა, მოინონეს. 1988 წლის ნოემბრისთვის პროგრამაში ადგილობრივი საზოგადოების ნევრთა მონაწილეობა დაიგეგმა. პირველი გამოცდა პროგრამამ მუზეუმის თანამშრომლების, საბჭოს და მოცემული სფეროს სპეციალისტების წინაშე ორჯერ, ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში გაიარა. ამ პრეზენტაციებმა საშუალება მოგვცა პროგრამის მცირე მონაკვეთებიც გამოგვეცადა და შეგვეცაღა, გადაგვეჭრა გეოგრაფიული ხასიათის პრობლემები, ხოლო მთხრობელი მსახიობებისთვის, რომელთაც ფიზიკურად და ემოციურად დატვირთული როლების შესრულება უხდებოდა, აუცილებელი პრაქტიკა გამოდგა. წარმოდგენილი პროგრამა მუზეუმის თანამშრომლის რემარკებით იწყებოდა, რომელიც "მიწისქვეშა რკინიგზის" ისტორიულ მიმოხილვას და წარმოდგენაში პროექტის სტუმრების როლს შეეხებოდა (რასაც მონობის შესახებ მოკლე ვიდეო-ექსკურსიც ერთვოდა). ამ ეტაპზე თითოეულ მონაწილეს თეთრი ნაჭრის ვინო ნაკუნ ეძლეოდა, რომლის თავზე ან ხელზე შემოხვევა მთხრობელისთვის იმის სიგნალი იქნებოდა, რომ ამ ადამიანს თოთხმეტკაციანი გუნდის წევრობა აღარ სურდა, თუმცა მას წარმოდგენის დატოვება არ მოეთხოვებოდა. ფაქტობრივად, ეს მოთამაშეები მთხრობელებისთვის უხილავები ხდებოდნენ. დანარჩენი მოთამაშეებისგან შემდგარ თითოეულ ჯგუფში მუზეუმის თითო თანამშრომელი მონაწილეობს, ისე, რომ ეს "კონორ პრერის" სტუმრებმა არ იციან. ეს უსაფრთხოების დაცვის დამატებითი საშუალებაა, იმისათვის, რომ მან გუნდის სწორი მიმართულებით მოძრაობა უზრუნველყოს.

საწყისი პრეზენტაციის შემდეგ, მუზეუმის თანამშრომელს ჯგუფი მუზეუმის ცენტრიდან პირველი შეხვედრის ადგილთან მიჰყავს და თან 1836 წლამდე, ანუ პროგრამისთვის არჩეულ წლამდე, აფრო-ამერიკული ისტორიის ეპიზოდებს უყვება. ამ მომენტში მონაწილეები აღმოაჩენენ, რომ მონებთ მოვაჭრეებით არიან გარემოცულნი, რომლებიც მათ შეურაცხყოფას აყენებენ, უსულო საგნებით ახარისხებენ, მუხლებზე აყენებენ, დანარჩენ მოვაჭრეებთან ერთად მათ შეფასებას იწყებებენ და ა.შ.

წარმოდგენით მუზეუმის ჩვეულებრივი დამთვალიერებლები ნოემბრის სუსხიან ქარში, მუხლებზე მდგარები! 30 წამის განმავლობაში ისინი აცნობიერებენ, რომ მოძრაობის უფლება აღარ აქვთ. ისინი უკვე ინდიანაში უკანონოდ გაყიდულ მონებად იქცნენ. ახალი პატრონი სამხრეთით - კენტუკიში, ან კიდევ სადმე, ხელახლა გაყიდვას ჰპირდება.

"მონები" ახალი პატრონისგან სალამოს დადგომამდე გარბიან და ბევრ ისეთ ადამიანს ხვდებიან, რომელთაც შეიძლებოდა, 1830-იან წლებში ინდიანაში ეცხოვრათ. ზოგი მათ ემუქრება, ან უნდოდ ეპყრობა, სხვები თანაუგრძობენ და ეხმარებიან, ზიგსაც ვერ გადაუნყვებთ, როგორ მოეპყროს. მონაწილეები შემდეგ ყვებოდნენ, რომ მათი ახალი გამოცდილება მარტო ემოციურად უჩვეულოდ დატვირთული კი არ იყო - არამედ მონობის, რასიზმის, თავისუფლების, "მიწისქვეშა რკინიგზის" როლის შესახებ ახალი კითხვებიც გაუჩნდათ. პროგრამა ემოციური გახლდათ მუზეუმის თანამშრომლებისთვისაც. პროგრამას ერთობ დიდი წარმატება ხვდა წილად. მთხრობელებს მუშაობის ინტენსიურობის ზრდასთან ერთად საკუთარი ძალების რწმენა ემატებოდათ, თუმცა იყო როლები, რომელთა შესრულება სიამოვნებას არც ერთს გვრიდა.

90 წუთიანი პროგრამის მსვლელობისას მონაწილეები მუზეუმის თანამშრომლებს 15-20 წუთიან გამოკითხვას უწყობდნენ - სიტუაციის, პერსონაჟების, და პროგრამის შინაარსის შესახებ, ხოლო რომელიმე თანამშრომელი ამ საკითხებს ისტორიულ თემებამდე, ან იდეებამდე განაზოგადებდა, ვთქვათ, ყვებოდა თავისუფალი შავკანიანების როლის შესახებ

"მინისტრების რეინიგზის" მუშაობაში, ან თეთრი ჰუსიერების უკეთური დამოკიდებულების შესახებ შავი მონების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ინდიანა "თავისუფალი შტატი" იყო. მონანილები თამაშს აბოლიციონისტთა ბიოგრაფიებით, რეპროდუქციებით, მონათა გათავისუფლების შესახებ კანონის ასლით ტოვებდენ, მათი გუნება-განწყობილება ერთნაირი არ იყო: ზოგიერთი შეუჩერებლად ლაპარაკობდა, გაოგნებული იყო, ზოგი დუმდა, და ფიქრებს იყო მიცემული. ბევრი თამაშის დასრულების შემდეგაც არ მიდიოდა, და მუზეუმის თანამშრომლებთან გაცხოველებულ საუბარში იყო ჩართული, რადგან შინ დაბრუნება ახლად მიღებული შთბეჭდილებისა და მისი დამატებითი მნიშვნელობის გააზრების გარეშე არ შეეძლო.

ნებისმიერი პროგრამა, რომელიც მონობასთან, რასიზმთან, თავისუფლებასთან და თანასწორობასთანაა დაკავშირებული, წინააღმდეგობრივ მომენტებსაც თავისთავად შეიცავს. მაგრამ მუზეუმები ემოციურად დატვირთულ ამ საკითხს არც და ვერც გაექცევა. რა თქმა უნდა, შეიძლება, რომ ზოგი ასეთი პროექტი განსახორციელებლად უფრო რისკიანი აღმოჩნდეს, მაგრამ მათი საგანმანათლებლო ფასეულობა ნამდვილად ღირს იმ ემოციურ ლელვად და ინტელექტუალურ ძვრებად, რომელსაც "ჩრდილოეთის ვარსკვლავი" წარმოშობს. "კონერ პრერის" მუზეუმის თანამშრომლებმა სტუმრებისგან ბევრი რამ ისწავლეს: კერძოდ ისიც, რომ ასეთი გამოფენები ადამიანს ფიქრებს უშლის, დისკუსიისა და კვლევის გაგრძელებისკენ უბიძგებს. ეს ასეა აფრო-ამერიკელებისა (ჩვენი სტუმრების ერთი მესამედი) და თეთრი რასის წარმომადგენელთათვისაც. მუზეუმის თანამშრომლებისთვის დასმულ კითხვებში და შემდგომ საუბრებში ჩანს, რომ ორივე რასის წარმომადგენლებს აქვთ რასიზმთან, დისკრიმინაციასთან, მონობის შედეგებთან და თავისუფლებასთან დაკავშირებული ხშირად, საკმაოდ მტკივნეული საკუთარი ამბავი - და ეს XX საუკუნის დასასრულს ხდება.

1998 წლიდან "ჩრდილოეთის ვარსკვლავმა" სახელმწიფოს და ადგილობრივი ისტორიის ამერიკული ასოციაციის ღირსების ჯილდო, შემდეგ ინდიანას სამოქალაქო უფლებათა კომისიის პრემია და ინდიანა ჰაუსის და სენატის ფორმალური აღიარება მიიღო. მასზე ბევრს წერდნენ ჟურნალ-გაზეთებშიც. "კონორ პრერი" ამაყობს ამ ჯილდოებით, განუული რისკითა და მიღებული შედეგით. ჩვენი პროგრამა მხოლოდ ფიზიკურად და ემოციურად დატვირთული არ ყოფილა. დარწმუნებულები ვართ, რომ ამიერიდან ჩვენი დამთვალიერებლებისა და სტუმრებისათვის მონობა და თავისუფლება მხოლოდ აბსტრაქტულ ცნებებად არ დარჩება.

სასწავლო მაგალითი 18.4

მოჯადოებული სამყაროები

მრავალკულტურული საზოგადოების გასაცნობი პრეზენტაცია ბავშვებისთვის როტერდამის ეთნოლოგიის მუზეუმში

ფრედ ვართნა

1992 წელს როტერდამის ეთნოლოგიის მუზეუმმა სატრანზიტო გეგმა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც მუზეუმი ქალაქის მულიკულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის სურვილს აცხადებდა. 1993 წლის გაზაფხულზე მუნიციპალიტეტმა მუზეუმს ისეთი გამოფენის გახსნა სთხოვა, რომელიც როტერდამის საშუალო სკოლების ბავშვებ-

სითვის იქნებოდა განკუთვნილი. მუზეუმს წარმატებული საგამოფენო საგანმანათლებლო პროგრამები ადრეც ჰქონდა განხორციელებული, თუმცა ეს პროგრამები უფრო ზრდასრულთათვის იყო განკუთვნილი. საბავშვო გამოფენის მოწყობა მუზეუმისთვის სასიამოვნო გამოწვევად იქცა.

საგამოფენოდ შემუშავებულ კონცეფციას სახელწოდება მოეძებნა: **მოჯადოებული სამყაროები**. პროგრამის მეშვეობით ბავშვებს სხვადასხვა კულტურულ სივრცეში უნდა "ემოგზაურათ". გამოფენის მიზანს კი ბავშვებში როტერდამში დამკვიდრებულ განსხვავებულ კულტურათა მიმართ ბალანსირებული დამოკიდებულების გამომუშავება წარმოადგენდა. ამის გამო "მოჯადოებულ სამყაროებზე" როტერდამში მცხოვრებ ძირითად ჯგუფთა ოთხი ძირითადი კულტურული არეალი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: თურქეთი/ მოროკო, ინდონეზია, ნიდერლანდები, სურინამი/კიურასაო.

გამოფენა სამ ნაწილად იყო ჩაფიქრებული:

- ტიპიური როტერდამული მოედანი, რომელზეც სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლების სახლები და მაღაზიები დგას

- ამ მოედანზე პატარა მუზეუმი იყო: **საყვარელი ნივთების მუზეუმი**. მასში შესული ადამიანი გამოფენის მეორე განყოფილებაში ხვდებოდა. აქ საყვარელი ნივთებით სავსე 25 ყუთი იყო წარმოდგენილი

- ყველაზე დიდ ყუთში არაფერი იდო, მაგრამ სამაგიეროდ, ბავშვებს ყუთში შესვლას სთავაზობდნენ. ამ ყუთიდან დამთვალეიერებელი ოთხი გასასვლელით ოთხ კულტურულ გარემოში ხვდებოდა.

"მოჯადოებული სამყაროები" სამ ძირითად პრონციპს ემყარებოდა:

- პირველი: დამთვალეიერებლებს ყველაფრის ხელის ხლების უფლება ჰქონდათ; ფაქტობრივად, ბავშვებს სხვა კულტურის შეგრძნებას ხელით შეხებით სთავაზობდნენ;

- მეორე: გამოფენა ინტერაქტიური უნდა ყოფილიყო კომპიუტერების, აუდიო-ვიზუალური მედიასაშუალებების, მექანიკური ინტერაქტიური ექსპონატების და ადამიანებთან ინტერაქტიური ურთიერთობის გზით;

- მესამე: გადაწყვეტიტე შეგვემუშავებინა თეატრალური მიდგომა, სათანადო დეკორით, გახმოვანებითა და განათებით, ხოლო საგანმანათლებლო განყოფილების ასისტენტებს როლები უნდა შეესრულებინათ

გამოფენის ძირითადი ბირთვი საყვარელი ნივთები იყო: საგნები, რომლებიც მათი პატრონების ცხოვრებაზე, კულტურაზე ბევრს გვეუბნება. ამ ნივთებისადმი ცნობისმოყვარეობის გამოჩენით ბავშვები მათი მფლობელების კულტურას უახლოვდებოდნენ. ეს ნივთები მუზეუმის კოლექციებთან რაიმე სახით იყო დაკავშირებული, რადგან ყველა ექსპონატი, რომელიც მუზეუმის საცავებში ინახება, ოდესღაც ვიღაცისთვის ძალზე ძვირფასი იყო, მათ ხომ სწორედ ამის გამო აგროვებდნენ.

გამოფენასთან დაკავშირებული ერთი სასკოლო პროგრამის მოთხოვნით, ბავშვებმა მუზეუმში თავიანთი საყვარელი ნივთები მოიტანეს. როგორც მოსალოდნელი იყო, უმეტესად სათამაშოები. თუმცა, ბევრი იყო სამკაულები, ფოტოსურათები, პრიზები, ხანდახან ტანსაცმელიც. მაგრამ ზოგიერთმა ბავშვმა საყვარელი ძაღლების საბელი მოიტანა, რომლებსაც მათი სიკვდილის შემდეგ ინახავდნენ, ერთმა მამამისის იუგოსლავიაში გადაღებული უკანასკნელი სურათი მოიტანა, - ორი დღის შემდეგ იგი უახლოესმა მეგობარმა მოკლა. ერთმა ბავშვმა თავის ყველაზე საყვარელ "ნივთად" დედამისი მოგვიყვანა.

საგანმანათლებლო განყოფილების თანამშრომლები "მოჯადოებული სამყაროების" პერსონალის ფუნქციას ასრულებდნენ. სიტყვის "მსახიობი" ხსენებას ვერიდებოდით, რადგან აქცენტირება საგანმანათლებლო ასპექტზე და პროგრამის დახმარებაზე კეთდებოდა. რათქმა უნდა, ეს ასისტენტები თამაშობდნენ, მსახიობობდნენ, და ამას შესანიშნავად, დიდი იუმორითაც აკეთებდნენ, ისე, რომ ბავშვების უსაფრთხოებასაც თამაშ-თამაშით იცავდნენ. ისინი რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ ფიგურებს არ ასახიერებდნენ, არც მხოლოდ გართობის მიზნით იყვნენ საგამოფენო პროცესში ჩართულნი, მათი მთვარი ფუნქცია ბავშვებსა და საგნებს შორის შუამავლობა იყო. დვილად ამოსაცნობ - პოლიციელის, გამყიდვლის, პროფესორის, ფოსტალიონისა თუ მრეცხავის, - კოსტიუმებში გამოწყობილები ბავშვებს მათს საყვარელ ნივთებზე კითხვებს უსვამდნენ, ერთმანეთში "კინკლაობდნენ", და ბავშვებს გამოფენის ერთი ნაწილიდან მეორეში მიუძღვებოდნენ.

პროექტის მსვლელობისას შეიქმნა კვირის სამუშაო საათების დროებითი ოდენობა - 32 საათი, საჭირო გახდა სამი სამუშაო ადგილის დამატება, შემდეგ მეტისაც. მიემართეთ სამსახურებით უზრუნველყოფის ადგილობრივ პროექტს. ერთჯერადად დავიჭირავეთ 10-19 ადამიანი. პროექტში ჩართულ 65 ასისტენტიდან 15 იმიგრანტი იყო. ყველაზე ახალგაზრდა ასისტენტი 17 წლისა იყო, ყველაზე უფროსი კი - 55 წლისა, ზოგადად მათი საშუალო ასაკი 26 წელი იყო. ასისტენტი ქალები მამაკაცებზე ორჯერ მეტი გვყავდა.

"მოჯადოებული სამყაროების" ფარგლებში სკოლებს სამი პროგრამა შეეთავაზეთ:

- **დაანის პალტო** - 4-6 წლის ბავშვებისთვის, რომელიც "გაცვლის" თემაზე იყო აგებული (ბავშვები ერთმანეთს საგნებს უცვლიან). მუზეუმში მოსული ბავშვები სკოლაში წინასწარ ნასწავლ სიმღერას მღერიან, რომელიც სწორედ ამ "გაცვლა-გამოცვლის" თემას ეხება.

- **საშუალო ასაკის სკოლის მოსწავლეები** ქალბატონი ვან არნჰემის, მოედნის ერთ-ერთი გამოგონილი მკვიდრის, წვეულებაზე მოვიპატიყეთ, რომელიც ახლახანს დაბრუნდა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობიდან. ბავშვებმა სკოლაში შინ დაბრუნებულის დასახვედრი სიმღერა მოამზადეს.

- **უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს** საყვარელი ნივთების მოტანა ვთხოვეთ. საყვარელი ნივთების მუზეუმის დირექტორმა ბავშვებს ბილეთები დაურიგა და ზურგჩანთებისა და გარკვეული ნივთების ნაკრებით სამოგზაუროდ გაუშვა, რათა ქვეყნიერება დაეთვალიერებინათ, და დაბრუნებულებს მოეყოლათ, სად და რატომ იქცნენ მათ ზურგჩანთებში შენახული საგნები საყვარელ ნივთებად.

კურატორებისა და მუზეუმის მენეჯერების აზრით, გამოფენა ინოვაციური და გამორჩეული გამოვიდა. ბავშვებმა გაიგეს, რომ სხვა კულტურების შეცნობა, ისევე როგორც მუზეუმში მისვლა, საინტერესო და სახალისოა.

გარე შეფასებისთვის სამი საკოლო პროგრამა შევადგინეთ. 36 მასწავლებელმა და 48 მოსწავლემ, ასევე საგანმანათლებლო სფეროს 600 მუშაკმა, ვრცელი კითხვარები შეავსეს. შედეგები ჩვენი შიდა კვლევის მონაცემებს დაემთხვა: დასახული მიზნების უმეტესობა მეტისმეტად აბსტრაქტული ხასიათისა აღმოჩნდა, ამის გამო ის ღონისძიებები, რომელიც ბავშვების ქცევისა და დამოკიდებულების შესაცვლელად იყო გამიზნული, შეფასების პროცესის მიღმა დარჩა. თუმცა, ქალბატონ ვან არნჰემის წვეულება და საყვარელი ნივთების მუზეუმი ყველასთვის დასახსომებელი და გასაგები აღმოჩნდა. სწორედ ასეთმა მიდგომამ გაუჩინა ბავშვებს სხვა კულტურების სხვადასხვა ასპექტების მიმართ ინტერესი.

სკოლების მიერ ორგანიზებული ვიზიტის წყალობით, გზა მუზეუმისკენ როტერდამის

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზრდასრულმა ადამიანებმაც – მშობლებმაც, გაიკვალეს. სევე აღმოჩნდა, რომ 4-6 წლის ბავშვებმა მუზეუმში ხელმეორედ მოსვლა ისურვეს და თავიანთი იმიგრანტი მშობლებიც წამოიყვანეს.

რა თქმა უნდა, ბავშვების 90-95%-ისთვის "მოჯადოებული სამყაროები" გასართობი, მიმზიდველი, ჯადოსნური სანახაობაა. როცა მათ ვკითხეთ, თუ რა მოეჩვენათ გამოფენაზე "სულელურად", გვიპასუხეს: "არაფერი". "ვერ გავერთეთ", ასეთი იყო მათი პასუხი, როცა დარბაზში ძალიან ბევრი მნახველი და სიცხე დახვდათ. ყველაზე მეტად მოეწონათ საიდუმლო გასასვლელები, კომპიუტერები, ზარები და ის, რომ ყველაფრის ხელისხლება შეიძლებოდა. ინდივიდუალურ სტუმართა 60% გოგონები იყვნენ, ნახევარზე ოდნავ მეტს 8-10 წლის ბავშვები შეადგენდნენ, 26%-ს - 4-7 წლის ასაკის ბავშვები, 16%-ს - 10-12-ისა. მნახველების ნახევარზე მეტი როტერდამში "მოჯადოებული სამყაროების" სანახავად საგანგებოდ ჩამოვიდა.

გამოფენის დიდ ღირსებად სხვადასხვა მედიასაშუალების გამოყენება და რა თქმა უნდა, თვით თემა - მულტიკულტურული საზოგადოება ჩავთვალეთ. ამ მიდგომას, ამსტერდამის ბავშვთა მუზეუმის ზოგიერთ მსგავს მეთოდთან ერთად, ზოგმა "ჰოლანდიური მეთოდი" უწოდა, რომლადაც ამ თემასთან კავშირში მნახველთან ურთიერთობის ამგვარი ტექნიკა ჩაითვალა.

ბავშვებისთვის განკუთვნილი ეს ინტერაქტიური პრეზენტაცია, რომელსაც ექსპერიმენტის სახე ჰქონდა, ძალზე წარმატებული აღმოჩნდა, როგორც მნახველთა რიცხვის, ისე შინაარსისა და მნიშვნელოვნების გათვალისწინებით. 118 ათასმა ბავშვმა და უფროსმა მთელი მსოფლიო რამდენიმე საათის განმავლობაში "მოიარა." მსოფლიოს დიდ ქალაქებთან და დედაქალაქებთან შედარებით, ეს მონაცემები ალბათ შთამბეჭდავად არ გამოიყურება, მაგრამ ნიდერლანდებისთვის ეს ნამდვილად დიდი რიცხვია და დამთვალეირებლთა წლიური ოდენობის თითქმის 40%-ს შეადგენს.

თუ მნახველთა რეაქციით ვიმსჯელებთ, "მოჯადოებული სამყაროები" ძალზე მცირე გამოჩვენების გარდა, ყველას მოეწონა. მუზეუმშიცა და თემაც - მულტიკულტურული სამყარო ბავშვებისთვის საინტერესო და ადვილად აღსაქმელი გამოდგა.

გამოფენა როტერდამის და მისი რეგიონის კულტურული ცხოვრების ნაწილად იქცა: მრავალეროვნულობის თემის მიმართ ბავშვების ინტერესი მშობლებმა და მასწავლებლებმაც მოიწონეს და გაიზიარეს. ამიტომაც გადაწყდა, რომ "მოჯადოებული სამყაროები" განვითარებული და შევსებული სახით 2000 წლის ზამთარში კვლავ გახსნილიყო. ამ ახალ პრეზენტაციაზე გაგრძელდა პირველი ვერსიის წარმატებული ასპექტები და გაუმჯობესდა შედარებით ჩამოუყალიბებელი ელემენტები. ახლა მან სასტუმროს ნომრებში სტუმრობის სახე მიიღო, სადაც მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი ცხოვრობდა. ბავშვების შესვლისას სასტუმროს მაცხოვრებლები არ ხვდებიან, მაგრამ მათი ნივთები პატრონის და მისი ცხოვრების წესის წარმოსახვაში ეხმარებათ.

1998 წელს "მოჯადოებული სამყაროების" შესახებ წიგნი დაიწერა. წიგნი გამოფენის მონახულებას აღწერდა და გამოფენის ისტორიასა და განვითარების პროცესს ასახავდა; მასში შეტანილი იყო ოთხი კრიტიკული ინტერვიუ სპეციალისტებთან, უამრავი ნახატი, ფოტოსურათი და ციტატა (80 გვერდი), ფერადი ილუსტრაციები, ტექსტების ნახევარი ინგლისურადაა ნათარგმნი. წიგნი 10 დოლარი ღირს, რასაც ფოსტით გადაგზავნის ხარჯები ემატება. მისი დაკვეთა შეგიძლიათ ინტერნეტით: www.wereldmuseum.rotterdam.nl

სასწავლო მაგალითი 18.5

ხელოვნება თაინსაიდში

ლეინგის ხელოვნების გალერეა, თაინის და ვეარის მუზეუმები, ნიუქასლი თაინზე
ჯონ მილარდი

თაინის და ვეარის მუზეუმები ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომაული ციხეს-
იმაგრიდან ტრანსპორტის მუზეუმამდე ათ სამუზეუმო დაწესებულებას შეიცავს. 1991 წელს
გამოფენა "ხელოვნება თაინსაიდში" ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებაში, ლეინგის ხელოვნების
გალერეაში მოეწყო. გამოფენამ მნიშვნელოვანი საფუძველი მოუმადა საზოგადოებრივი
თანამონაწილეობის იმ პოლიტიკას, რომელიც სამუზეუმო საქმის მეთოდისა და სა-
ზოგადოებრივი მომსახურებისა და სათანადო პროგრამების გაუმჯობესებას გულისხმობს.
თუმცა, განაცხადი, რომელიც გამოფენამ "ხელოვნება თაინსაიდში" გააკეთა, ამ მხრივაც
ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ხელოვნების გალერეაში მოეწყო, ყველაზე
ექსკლუზიურ საგამოფენო ადგილას.

1904 წელს გახსნილი ლეინგი ნიუქასლის ხელოვნების გალერეაა. 1990 წელს გალერეა,
პოლიტიკის თვალსაზრისით, საკმაოდ არაპოპულარული იყო, მის ექსპერიმენტულ ხასი-
ათს კი - რომელიც ხანდახან აღფრთოვანებასაც იმსახურებდა და ხშირად ინოვაციურიც
იყო - ფართო საზოგადოების მისდამი ინტერესი მცირედად თუ გაზარდა. "ხელოვნება
თაინსაიდში" ახალი ყაიდის ექსპერიმენტს წარმოადგენდა. ხელოვნების გალერეის დიდი
შესაძლებლობის დემონსტრირების მიზნით, გრანტებით შეგროვებული 300 000 ფუნტი
სტერლინგი მოხმარდა გამოფენას, რომელსაც მხატვრობის სფეროში რეგიონის მიღწევები
უნდა წარმოეჩინა. ლეინგი ფართო აუდიტორიისთვის გაიხსნა. საუკეთესო შედეგისათვის,
გამოფენა უფრო დამთვალეირებლისათვის კომფორტული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მშრალ
აკადემიურ ტრადიციაზე დაფუძნებული.

ლეინგის კოლექცია ფართო სპექტრის ექსპონატებს მოიცავდა, სახვითი და დეკორა-
ტიული ხელოვნების ნიმუშებიდან კოსტიუმამდე, იარაღიდან არქეოლოგიურ მასალამდე.
მისი შენახვა, მოვლა და კატალოგიზაცია ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმის ნიმუშით
გაკეთდა. ამ გამოფენამდე ლეინგში გამოფენები ადმინისტრირების ამ სისტემას ასახავდა.
თუმცა, ასეთ დაყოფას მხოლოდ სამუზეუმო საქმის ექსპერტები აფასებდნენ და ნებისმიერ
შემთხვევაში, თაინსაიდის ხელოვნებისა და ზოგადად - კულტურის განვითარება მუდამ
ამ კატეგორიების მიღმა რჩებოდა. მაგალითად, ბეილის ოჯახისა და თომას ბიუიქის XVIII
საუკუნის სახელოსნოები აწარმოებდა მომინანქრებულ მინას, გრავირებული ვერცხლის,
საბანკნოტე ბეჭდვითი ნიმუშებისა და კერამიკულ ნაკეთობებს, მაგრამ ეს ყველაფერი მხ-
ოლოდ ბიუიქის კლიშეების ფონის როლს ასრულებდა.

სახვითი და დეკორატიული ხელოვნების არსებული შერეული გამოფენები ძალზე
იშვიათად ეწყობა, მაგრამ XIX საუკუნის ნიუქასლში შემდგარი გამოფენების შესწავლამ
ახალი შესაძლებლობები გვაჩვენა: პრერაფაელიტი მხატვრის, უილიამ ბელ სკოტის ოთხი
ოფორტი, რომელიც გვიჩვენებს 1848 წელს ხელოვნების, მანუფაქტურის და პრაქტიკული
მეცნიერების გამოფენაზე (ნიუქასლში) წარმოდგენილ ექსპონატებს, რომელიც ჩართული
იყო ფართო სპექტრის მქონე გამოფენებში. 1860-იან წლებში გამოფენების სერიები, აგრეთვე
გამოფენები, რომელიც იმართებოდა ნიუქასლის ცენტრალური ბირჟის ხელოვნების გალ-
ერეაში, სადაც 1870 წლიდან სამხატვრო გამოფენები სახალხო გართობის ფონზე მიმდინ-

არეობდა. ეს გალერეა ერთ-ერთი შთამაგონებელი წყარო გახდა "ხელოვნება თაინსაიდის" ცენტრალური ვიქტორიანული გალერიისა, რომელშიც მისი მფლობელის თომას პალისტერ ბარქასის მანეკენი სლაიდ-შოუს "ატარებს."

მაშინ, როცა გამოფენების მიმართ ორთოდოქსული დამოკიდებულების გამო თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებს ასეთი ისტორიული მოდელების იმიტირების საშუალება არ აქვთ, საზოგადოების ისტორიის და სამეცნიერო ცენტრები უფრო თავისუფალი, შეუზღუდავი ექსპერიმენტირების მაგალითებს გვაძლევენ. რედმანის დიზაინერთა გაერთიანების წარმომადგენლები ამ პროექტის დიზაინერებად დაინიშნენ, რადგან საგამოფენო გამოცდილებაზე მეტად პროექტს ბევრი რამ შემატა ამ ჯგუფის ბრწყინვალე პროფესიულმა შესაძლებლობებმა.

რედმანის ჯგუფმა გამოფენის საექსპოზიციო ჯგუფს ის რჩევები მისცა, რაც უფრო ფართო აუდიტორიის მიზიდვის საშუალებას მისცემდა, ხოლო საგანმანათლებლო ჯგუფის და უნარშეზღუდული კატეგორიებისთვის საგანგებოდ შედგენილმა საკონსულტაციო ჯგუფმა ექსპოზიციას სამიზნე აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინების საშუალება მისცა. 1989 წელს ლენინგში ჩატარებულმა დამთვლიერებელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ უნარშეზღუდულთა მხრიდან ინტერესი ექსპერიმენტული გამოფენების სერიების მიმართ უჩვეულოდ დიდი იყო, გამოჩნდა აგრეთვე ბავშვების ინტერესის ნაკლებობაც. მიტომ გადაწყდა, რომ "ხელოვნება თაინსაიდში" სამიზნე ჯგუფები იქნებოდა 8-12 წლის ბავშვები და გარდა ამისა, ექსპოზიცია მისაწვდომი უნდა ყოფილიყო უნარშეზღუდული ადამიანებისთვისაც.

ექსპოზიციისაზე მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაერთნენ უნარშეზღუდულთა საკითხების შემსწავლელი კონსულტანტები, რომლებმაც დეტალური ანგარიში მოამზადეს იმისა შესახებ, თუ რა იქნება საჭირო ამ სამიზნე კატეგორიისათვის აღქმის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

8-12 წლის ბავშვებისთვის გამოფენის გრაფიკულ პანელებზე გაჩნდა ანიმაციური პერსონაჟები, როზი და ტომი, რომლებიც ბავშვებს ექსპოზიციის აღქმაში უნდა დახმარებოდნენ. შემუშავდა ნიუქასლის ისტორიული კონტექსტის წარმოსაჩენი ტექსტი, რომელიც 1 500 სიტყვისგან შედგებოდა, რომელსაც საბოლოო სახე საგანმანათლებლო განყოფილების მუშაკებმა მისცეს.

სახვითი ხელოვნება, დეკორატიული ხელოვნება და კოსტიუმი გამოფენაზე კარგად ინტეგრირებულ საექსპოზიციო ნაკვეთებად იყო წარმოდგენილი. ექსპოზიცია ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მისდევდა, ყოველი სექცია ამა თუ იმ პერიოდის სინამდვილეს თვალსაჩინოდ ასახავდა მაგალითად, ნაჩვენები იყო დიდი სახლის მისაღები ოთახი, ყავის მაღაზია, თვალწარმტაცი ნანგრევები და ხალხური რენვის სახელოსნოები. გამოფენას აცოცხლებდა სხვადასხვა საშუალება: მანეკენები, ფონური ხმაურის აუდიოჩანაწერი, სუნებიც კი. გამოფენის ბოლოს, მოკლე ვიდეოკლიპში, მსახიობი თიმ ჰილი დამთვლიერებლებს შენობის გარეთ, თაინსაიდის არქიტექტურისა და ხალხური ხელოვნების გასაცნობად ეპატიჟებოდა.

გამოფენის სულ ბოლო ნაწილში, მცირე საექსპოზიციო კუთხეში დამთვლიერებლებს ხვდებოდნენ თაინსაიდის მხატვრები და ხელოსნები, რომლებიც იქვე მუშაობდნენ თავის ნაკეთობებზე. ეს ნაწილი თავდაპირველად არააუცილებელ, მოთხოვნის-და მიხედვით დასატოვებელ არეალად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მას ისეთი მოწონება ხვდა წილად, რომ

ახლა ეს სანახაობა ჩვენს გეგმაში 18 თვით ადრეა განსაზღვრული.

გამოფენის გახსნის წელს ლეინგის დამთვალეიერებელთა რაოდენობა 38%-ით გაიზარდა. ეს პირველი შემთხვევა იყო ინიციატივათა იმ სერიიდან, რომელმაც 1989-90-დან 1999-2000 წლებამდე გამოფენის დამთვალეიერებელთა წლიური რიცხვი (108 257) გაორმაგებულ ოდენობაზე მეტად გაზარდა. 1990-იანი წლების გამოფენების შესაბამისმა მონაცემებმა ცხადყო, რომ "თაინსაიდის ხელოვნების" მსგავსი იდეები შეიძლება გალერეისა და მისი ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება-განახლებასაც კი წაადგეს. აი, 1990-იანი წლების იმ ღირსშესანიშნავ სიახლეთა ჩამონათვალი, რომელთა დანერგვა ახალმა მიდგომამ გახადა შესაძლებელი:

1991 - გაიხსნა "ხელოვნება თაინსაიდში"

1993 - ექსპოზიცია "თალები", სერიის მოწყობა, რომლის შექმნაშიც ნიუქასლელმა ინჟინრებმა მიიღეს მონაწილეობა

1994 - პროქტერ & გემბლის ბავშვთა გალერეის გახსნა. ამ ტიპის პირველი გამოფენა (ტექნიკური თვალსაზრისით) გაერთიანებული სამეფოს სამხატვრო გალერეების ისტორიაში. თავდაპირველად გამიზნული იყო 8 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის; 1996 წლის შემდეგ კი საგანგებოდ 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის

1996 - ახალი ტექნოლოგიებით დამზადებული შესასვლელის გახსნა, რომელმაც ძველი ტრადიციული კარი შეცვალა

1997 - ახალი კაფე და ახალი ტუალეტები

"ხელოვნება თაინსაიდში" თაინის და ვეარის მუზეუმების პირველი გამოფენა იყო, რომელმაც 1990-იან წლებში ორგანიზაციული ცვლილებები გახადა შესაძლებელი. მან იმ პროცესების აპრობირება მოახდინა, რომელიც შემდეგ ამ მუზეუმების ძირითად სტრატეგიებად იქცა. საპროექტო ჯგუფის როლი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდა. გუნდის შიგნით კი მკაფიოდ განისაზღვრა საგანმანათლებლო და მოგვიანებით, სამარკეტინგო ჯგუფის ფუნქციები. უნარშეზღუდულ ადამიანთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფმა ის მოდელი შემუშავა, რომელიც შემდეგ ნორმად იქცა და პერმანენტული სამუშაო ჯგუფის შექმნა მოიტანა. გამოფენის "ხელოვნება თაინსაიდში" შედარებით მცირე საექსპოზიციო სივრცემ მოსახლეობის ჯგუფები უფრო ფორმალურ და მასშტაბურ პროექტებშიც ჩართო და ფართო საზოგადოების დიდი აღიარებაც ჰპოვა. თუმცა, იყო უარყოფითი გამოხმაურებებიც. 1992 წელს ხელოვნების კრიტიკოსმა რიჩარდ დორმენტი მას ასე აფასებდა: "ყველაზე საზარელი სამუზეუმო ექსპოზიცია, რომელიც კი ოდესმე მინახავს". დორმენტის გამანადგურებელი შენიშვნები ზოგიერთმა იმის წინაპირობად მიიჩნია, რომ გალერეა სახელოვნებო ისთებლიშმენტის მოწონებას და მხარდაჭერას ვეღარ მოიპოვებდა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა, ლეინგის სამხატვრო გალერეა კი კვლავაც იმ მოწინავე გალერეების და მუზეუმების გვერდით მოიაზრება, რომლებიც აუდიტორიის გაფართოების გზით სოციალური ცვლილებების აგენტის ფუნქციას კისრულობენ და კულტურას ყველა კატეგორიის ადამიანებისათვის ხელმისაწვდომს ხდიან.

გაერთიანებული სამეფოს სამარკეტინგო სფერო მუზეუმების და გალერეების დამთვალეიერებლებს, ჩვეულებრივ, A-დან E-მდე სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიებად ჰყოფს. როგორც წესი, მუზეუმები და გალერეები უმეტესად მიმზიდველია A-C1 კატეგორიებისათვის. 1990-იან წლებში, ანუ იმ პერიოდში, როცა "თაინსაიდის ხელოვნება" და მისი მსგავსი ღონისძიებები ლეინგის მნახველთა შორის გაიზარდა შედარებით დაბალი

სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის რიცხვი: C2, D, E კატეგორიებისთვის 20%-იდან 28%-მდე გაზარდა. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ჯგუფების ვიზიტების ოდენობა გაორმაგდა და წელიწადში 15 000 ადამიანს გადააჭარბა. საინტერესოა, რომ ზოგიერთისთვის ეს ნიშნავს, რომ ამ მაჩვენებლების მქონე მუზეუმი ხელოვნების როლის დაქვეითებას ემსახურება, ასეთი აზრი უდაოდ ირონიას იმსახურებს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ მსგავსი შეფასებები ერთობ დრომოჭმულია, ჩვენს ინიციატივებს კი უთუოდ მოიწონებდნენ ისინი, ვინც გალერეა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დააარსა. ხელოვნების მოყვარული აუდიტორიის გაფართოება XXI საუკუნის სულისკვეთებას და მოთხოვნებს შეესაბამება.



ICOM -ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
საკონტაქტო ინფორმაცია:
karaiainga@yahoo.com
mburchuladze@yahoo.com



საქართველოს მუზეუმების ასოციაცია
საკონტაქტო ინფორმაცია:
salome_ts@yahoo.com
lasha_karaia@yahoo.com

საქართველოს მუზეუმების ვებ-გვერდი:

www.georgianmuseums.ge